

საქართველოს სახალხო დამცველის
საანგარიშო მოხსენება საქართველოში
ადამიანის უფლებათა და
თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის
შესახებ

2007 წლის პირველი ნახევარი

სარჩევი

1. სამართლიანი სასამართლოს უფლება - გვ. 4
2. საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები - გვ.37
3. შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები - გვ.43
4. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში, ასევე თავდაცვის სისტემაში არსებული ჰაუპტვახტების მონიტორინგის მონაცემები -გვ. 51
5. უდანაშაულობის პრეზუმფცია - გვ.72
6. ადამიანის უფლებები სასჯელაღსრულების სისტემაში - გვ. 81
7. სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში - გვ. 91
8. სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება - გვ. 100
9. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება - გვ.102
10. ინფორმაციის საჯაროობა - გვ. 109
11. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება - გვ. 111
12. კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვა - გვ. 120
13. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ - გვ.133
14. რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები - გვ. 140
15. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვა - გვ. 144
16. ლტოლვილების უფლებების დაცვის შესახებ - გვ.155
17. მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით - გვ.158
18. ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა - გვ.176
19. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიმოხილვა ეუთოს და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით - გვ.183
20. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები - გვ.193
 - ა) საკუთრების უფლება - გვ. 193
 - ბ) შრომის უფლება - გვ. 195
 - გ) სოციალური დაცვის საკითხები - გვ. 205
21. ბავშვის უფლებები - გვ. 211
22. ძალადობა ოჯახში - გვ. 230
23. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში - გვ. 238

24. სამედიცინო მომსახურება - გვ. 244
25. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები- გვ.267
26. ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი - გვ. 270
27. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი - გვ.275
28. სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელები - გვ.286
29. რეკომენდაციები - გვ. 307
30. დანართი #1 სამართლიანი სასამართლოს უფლება - გვ. 223
31. დანართი # 2 საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები - გვ. 369
32. დანართი # 3 შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები -- გვ.383
33. დანართი # 4 ადამიანის უფლებები სასჯელაღსრულების სისტემაში - გვ.408
34. დანართი # 5 სამედიცინო მომსახურება სადის დაწესებულებაში - გვ.415
35. დანართი # 6 სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება - გვ. 425
36. დანართი # 7 სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება - გვ.437
37. დანართი # 8 ინფორმაციის საჯაროობა - გვ.448
38. დანართი # 9 შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება - გვ.455
39. დანართი # 10 კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვა - გვ.464
40. დანართი # 11 დევნილთა მდგომარეობის შესახებ - გვ. 483
41. დანართი # 12 ლტოლვილების უფლებების დაცვის შესახებ- გვ.527
42. დანართი #13 მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით გვ.532
43. დანართი # 14 ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა - გვ.548
44. დანართი #15 სოციალურ-ეკონომიკური უფლებები - გვ.567
45. დანართი # 16 ბავშვის უფლებები - გვ.656
46. დანართი # 17 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები- გვ.667
47. დანართი # 18 ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი - გვ.668
48. დანართი # 19 ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი- გვ.683

სამართლიანი სასამართლოს უფლება

შესავალი

1995 წლის 25 აგვისტოს კონსტიტუციით განისაზღვრა სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობა და მის საქმიანობაში ჩაურევლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის 3 პუნქტის თანახმად, „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო სისტემაზე ნებისმიერი სახით განხორციელებული ზეწოლა ისჯება კანონით და არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

საქართველოში მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლოები ახორციელებენ. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპის პრაქტიკაში გატარება და ძლიერი და ეფექტური მართლმსაჯულების სისტემა თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია.

დღეს საქართველოს კანონმდებლობა მართალია ძალიან კარგად იცავს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, თუმცა საქართველოში საზოგადოების დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ჯგუფებისა თუ ცალკეული მოქალაქეების სახით ღიად უცხადებს უნდობლობას სასამართლოს და პროტესტს გამოთქვამს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხთან დაკავშირებით.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა დაცვას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესსა და მოქალაქეების უსაფრთხოებას, ამბიებს სოციალურ ფონს.

სასამართლოს დამოუკიდებლობის შემცირება პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში იმ ღირებულებებთან, რომელზეც ორიენტირებულია საქართველოს სახელმწიფო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკანონმდებლო და აღმსარებელი ხელისუფლება ზემოაღნიშნულისთვის რეალურ გარანტიებს უნდა ქმნიდეს.

სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მასში განხორციელებული ცვლილებები

* * *

1) 2007 წლის 11 ივლისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება და მისი მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი

ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს უფლებამოსილი პირი. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს თავის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო-, და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩანაწერა დაიშვება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით“.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს ზემოაღნიშნულ ცვლილებას და მიაჩნია, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა ამ ცვლილების გარეშე იძლევა საკმარის გარანტიას, დაიცვას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ასევე უზრუნველყოს ეფექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელება. მხარეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზოგადოება წარმოადგენენ ე.წ. „პასიურ მომხმარებლებს“, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულნი ხდებიან სასამართლოს დისკრეციაზე - გაავრცელოს ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღების და აუდიოჩანაწერის მასალები. ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და აუდიოჩანაწერა წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს, შესაბამისად, დასაშვებია აღნიშნული ცვლილების განხილვა სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში.

სასამართლო სხდომების გადაღების აკრძალვა სხდომის ოქმში არასწორი მონაცემის შეტანის ფაქტის მტკიცებას შეუძლებელს ხდის. თუ მხარე ამტკიცებს, რომ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსი არასწორად არის ასახული სასამართლო სხდომის ოქმში, აღნიშნული ჩვენების ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს საუკეთესო მტკიცებულებას ჭეშმარიტების დასადგენად. ოქმის შინაარსის შეგნებული გაყალბების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობისას, ბუნებრივია, არ უნდა ველოდოთ, რომ მხარისათვის ხელმისაწვდომი იქნება გაყალბებული საპროცესო მოქმედების ამსახველი ვიდეომასალა. შესაბამისად, სასამართლო სხდომის ფოტო და ვიდეოჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, დაცული ხდება მხარის უფლება სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოზე, რაც იმავდროულად წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს.

ნათელია წარმოდგენილი ცვლილების ლეგიტიმური მიზანი, დაიცვას სასამართლო ხმაურისა და განცხადებებისაგან, რასაც ჩვენს სინამდვილეში, განსაკუთრებით გახმაურებული საქმეების განხილვის დროს, ხშირად მიმართავენ სხდომაზე დამსწრე პირები მათი ქმედების კამერის ობიექტივში მოხვედრის მიზნით. მიჩნეულია, თითქოს მსგავსი შემთხვევები აკნინებს სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობას, თუმცა მოსამართლეს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს საკმარისი უფლებამოსილება იმისათვის, რომ აღკვეთოს მსგავსი ინციდენტები. მოქმედი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაუცველობისათვის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობისათვის, მოსამართლის განკარგულების შეუსრულებლობისათვის ითვალისწინებს სანქციებს. წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენება ჯარიმა ან პატიმრობა 30

დღე-ღამემდე ვადით. მოქმედი კანონმდებლობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლოს ჰქონდეს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება და თავისუფალი იყოს ნებისმიერი სახის პროვოკაციული თავდასხმისაგან.

უფრო მეტიც, მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, რომლითაც გამკაცრდა პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა - 30-დან 60 დღემდე გაიზარდა. სასამართლოს ხელში კიდევ უფრო მეტად მტკიცდება სხდომების ჩაშლისა და მართლმსაჯულების დისკრედიტაციისკენ მიმართული ქმედებების წინააღმდეგ რეაგირების ბერკეტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა - რამდენად არის სასამართლო პროცესის გადაღების აკრძალვა დასახული მიზნის პროპორციული?

კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში საზოგადოებას უფლება აქვს, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შემთხვევები, როცა ამგვარი ინტერესი არ არსებობს (მაგალითად, პირის ინტიმური ცხოვრების დეტალები, სასამართლო დავა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო და სხვა სახის საიდუმლოების შემცველი ინფორმაციას, არასრულწლოვანთა საქმეები) საპროცესო კანონმდებლობით საზოგადოებისათვის ისედაც დახურულია. სამართლიანი და ობიექტური სასამართლოს კონცეფცია ეფუძნება პროცესის მონაწილის რწმენას, რომ მისი საქმის საჯაროდ, მედიის თანდასწრებით განხილვის შემთხვევაში იგი დაცული იქნება მოსამართლის მხრიდან თვითნებობისაგან. ამგვარი გარანტია რეალურია ისეთ გარემოში, როდესაც დამოუკიდებელი მედიის კამერები აფიქსირებენ მოსამართლის და მხარეების თითოეულ ქმედებას და ასრულებენ კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის ფუნქციას. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ნაკლები გარანტია არსებობს იმ დროს, როცა კამერა წარმოადგენს მოსამართლის კონტროლის ობიექტს და შეუძლებელია თავად მოსამართლის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ფიქსაცია. საინტერესოა, წარმოდგენილი ნორმის მოქმედების პირობებში, რამდენად გაავრცელებდა მოსამართლე გიორგი ჩემია ვიდეომასალას, სადაც ასახულია სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირის მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ერთერთი განსასჯელისათვის მობილური ტელეფონის გადაცემის ფაქტი, მოსამართლემ კი რეაგირება საერთოდ არ მოახდინა. არ არსებობს ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც მედიას ამგვარი შემთხვევების გადაღების უფლებას აუკრძალავს.

საქართველოში სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობა ძალიან დაბალია და არსებობს საფრთხე, რომ ამ ნორმის მოქმედების შემთხვევაში ნდობის მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება. მოქალაქისათვის სასამართლო დაემსგავსება ჩაკეტილ სისტემას, სადაც ადამიანს დაკარგული ექნება თავისი უფლებების დაცვის რწმენა. შესაბამისად, მოქალაქეები უფლებათა დაცვის სასამართლო მექანიზმის გამოყენებისაგან თავს შეიკავებენ. საზოგადოებაში განმტკიცდება დღეისათვის

ღრმად დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომ სასამართლო ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი და იგი პოლიტიკური ხელისუფლებისა თუ პროკურატურის ნების უსიტყვო შემსრულებელია. ქართული მართლმსაჯულება დგას დიდი გამოწვევის წინაშე, მან უნდა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა.

ფოტო, კინო, ვიდეოგადაღების და აუდიოჩანჩერის აკრძალვა ვერ დაიცავს სასამართლოს ფართო საზოგადოებრივი კამპანიისაგან. პოლიტიკური და სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოს შინაგარეთ გამოიყენონ კრიტიკული, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები მოსამართლის მიმართ, მედიის, საპარლამენტო დებატებისა თუ სხვა საზოგადოებრივი ტრიბუნის საშუალებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში სანდი თაიმსი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ასევე პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ განაცხადა: „საზოგადოებასა და პოლიტიკოსს შეუძლია თვალი მიადევნოს მოსამართლის მიერ მასზე დაკისრებული მძიმე პასუხისმგებლობის განხორციელების პროცესს, ვინაიდან მოსამართლეებს არ შეუძლიათ საქმიანობა იზოლირებულად. რაც შეეხება კრიტიკას, მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა არ აძლევს სახელმწიფოს უფლებას, შეზღუდოს განხილვაში მყოფი საკითხების შესახებ საზოგადოებრივი დისკუსია. მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხელი კრიტიკისაგან.“

2) სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხიც: საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლთან დაკავშირებით და 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებით გააუქმა აღნიშნული მუხლი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლი (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა) პროკურატურისთვის წარმოადგენდა სასამართლოზე ზეწოლის ერთგვარ საშუალებას. კერძოდ, სსსკ-ის 336-ე მუხლის არსებობა პროკურატურას საშუალებას აძლევდა სისხლისსამართლებრივი დევნა განეხორციელებინა მოსამართლის წინააღმდეგ, რითაც პროკურატურა ფაქტობრივად გვევლინებოდა მე-4 ინსტანციად, რაც ლახავდა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გარანტირებულ პრინციპს, რომლის თანახმად, არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე და ბათილია ყველა ის აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ზემოაღნიშნულის გარდა, სსკ-ის 336-ე მუხლი პროკურატურას შესაძლებლობას აძლევდა, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის მუქარით, ზეგავლენა მოეხდინა მოსამართლეზე და ჩარეულიყო მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნიდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და უზენაესობის პრინციპს.

* * *

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მკაცრად არეგულირებს ხელისუფლების სამივე შტოს ვალდებულებას, დაიცვას ძალთა ბალანსი და არ მოხდეს უფლებამოსილებათა გადაფარვა და გადამეტება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება და სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლი ამოიღო დეკრიმინალიზაციის მიზნით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საწინააღმდეგოდ განმარტა აღნიშნული გადაწყვეტილება და პრაქტიკულად შეითავსა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია. ამ ქმედებით უზენაესმა სასამართლომ ხელი შეუწყო სასამართლოებსა და პროკურატურაში საქმის წარმოების არასწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რასაც შედეგად მოჰყვა ათეულობით ადამინის უკანონო პატიმრობა და მართლმსაჯულების დისკრედიტაცია. კონკრეტული ქმედების დანაშაულებრიობას თუ დეკრიმინალიზაციას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლის გადაწყვეტილებაც ყოველგვარი განმარტების გარეშე უნდა აღასრულონ სამართალდამცავმა ორგანოებმა.

2007 წლის 23 მაისის საქართველოს კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ პირველი მუხლის მე-5 ნაწილით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე).

აღნიშნული საკანონმდებლო აქტის კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია: "კანონის პროექტის მიხედვით ხდება სსკ-ის 184-ე მუხლის ამოღება, რადგან კოდექსის მოქმედი რედაქციით, სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, როცა მიზანი მისი დასაკუთრებაა, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად არის ჩამოყალიბებული ქურდობის, მარცვისა და ყაჩაღობის მუხლებში, რადგან სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება არ არის ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი, რომ აღნიშნული ქმედება იყოს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი, მითუმეტეს გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იყოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება გამოყენების მიზნით დანაშაული და სხვა ნივთების დაუფლება კი არა. კანონპროექტის მიხედვით ხდება აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია."

აღნიშნული განმარტებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ კანონმდებლის მიზანს აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია წარმოადგენდა, რაც განხორციელდა კიდეც.

2007 წლის 28 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ კ.კუბლაშვილის თავმჯდომარეობითა და მ.გოგიშვილის, ზ.მეიშვილის, მ.ჩინჩალაძის, მ.ოშხარელის (მომხსენებელი), ლ.მურუსიძის, ი.ტყემელაშვილის, მ.ვაჩაძის, მ.ცისკაძის შემადგენლობით ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორის ზ.გვრიტიშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007

წლის 22 მარტის განაჩენზე. პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განაჩენის გაუქმებას პ.ხვედელიძის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი პ.ხვედელიძის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში არის უკანონო, ამკარად ლმობიერი დადაუსაბუთებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინების სამოტივაციო ნაწილის თანახმად: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები.

როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 178-ე , 179-ე მუხლებით, ისე 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ. მათი ხელყოფის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ისეთი ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან. დამნაშავეს ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემდეგ უჩნდება შესაძლებლობა, ისარგებლოს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ანგარებითი მოტივი - პირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვისი საკუთრება - ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

სატრანსპორტო საშუალების გატაცება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანის დაუფლების შედეგად, რა დროსაც მას ჰქონდა მისი, როგორც საკუთარის გამოყენების შესაძლებლობა, განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა. კანონმდებელი, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე, მის ქმედებას აკვალიფიცირებდა ავტომანქანის გატაცებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის მუხლით, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც პირს განზრახული ჰქონდა თავის სასარგებლოდ ავტომანქანის არადროებით გამოეყენება.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო რა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი, ამით უარი თქვა, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე, ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მისი სპეციალური მუხლით დასჯაზე და ერთ სიბრტყეში, კერძოდ, გატაცების ხერხის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ

მიმართულ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში მოაქცია ავტომანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება როგორც დროებითი გამოყენების, ასევე სხვა ფორმით მისი გამოყენების მიზნით.

ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დისპოზიციამში არ არის მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე, თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას - ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს პირი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვებს მისი უკანონოდ გამოყენების შესაძლებლობას, რა დროსაც მას შეუძლია, განკარგოს ნივთი თავისი შეხედულებით. კანონის დათქმით, თუ დამნაშავე დროებით გამოიყენებდა ავტომანქანას, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იყო დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა, ვიდრე ავტომობილის ხანგრძლივი დროით დატოვების და მისი სხვა ფორმით გამოყენების დროს.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსიდან აღნიშნული მუხლის ამოღებით კანონმდებელმა უარი თქვა დამნაშავეს სპეციალური მუხლით დასჯაზე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებითი გამოყენების შემთხვევაში და ამ ნივთთან მიმართებით იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ავტომობილს, რა დროსაც მას აქვს მისი, როგორც ფაქტობრივად საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა, არა აქვს მნიშვნელობა, პირი რა სახით გამოიყენებს ავტომანქანას, - მისი დროებითი სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმებზე, - მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისთვის გამოყენებული ხერხის მისედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.“

2007 წლის 28 ივნისის აღნიშნული განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, მსჯავრდებულ პ.ხვედელიძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება - ავტომობილის დროებითი გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ეპიზოდში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით, ჩათვალა, რომ შეესაბამება დღეს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტს, თუმცა გადაკვალიფიცირება არ მოახდინა, ვინაიდან სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი უფრო მძიმეა, ვიდრე სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი.

2007 წლის 20 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ.ოშხარელი (თავმჯდომარე), ზ.მეიშვილი, ლ.მურუსიძე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ

მ.კოპალიანის საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 24 მაისის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 07 მარტის განაჩენით მ.კოპალიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. მას სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლის ვადით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 24 მაისის განაჩენით ზემოაღნიშნული განაჩენი მ. კოპალიანის მიმართ დარჩა უცვლელი. 2006 წლის 25 ოქტომბერს მსჯავრდებულმა მ.კოპალიანმა საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შესული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე მის მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანისა და სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით (2006 წლის 28 აპრილის კანონით სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსკ-ის 25-ე თავში მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზევით).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივლისის განჩინების სამოტივაციო ნაწილის თანახმად:

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინების სახით უკვე არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსით 184-ე მუხლით ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა შესაბამისი მუხლები.

მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ მ.კოპალიანის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება - დროებითი გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ეპიზოდში, დანაშაული, დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებს სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას, შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), რაც ითვალისწინებს ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირებული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ მ.კოპალიანის საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 24 მაისის განაჩენიდან ამორიცხა სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) წარდგენილი ბრალდება, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი დატოვა უცვლელი, მათ შორის დანიშნული სასჯელის ნაწილშიც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოსამართლე რ.ჭანტურიძის შემადგენლობით, სახელმწიფო ბრალმდებლის თ.ნოზაძის მონაწილეობით 2007 წლის 19 ივლისს დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე ალ.კერვალიშვილის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 08 მაისის განაჩენით ალ.კერვალიშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 05 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს ალ.კერვალიშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ.შაკიაშვილმა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი და მოხდა მასში აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია. ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ბრალეულ ქმედებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღარ ითვალისწინებს, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამისად კი სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს დანაშაულებრივ ქმედებას, აქვს უკუძალა, ალ.კერვალიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად დადგენილ უნდა იქნეს გამამართლებელი განაჩენი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა თ.ნოზაძემ მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 08 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენის სამოტივაციო ნაწილის თანახმად „პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღებით მოხდა მასში აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია და აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია 2007 წლის 16

იგნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემაღენლობის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები.

როგორც სსკ-ის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლებით, ისე 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ. მათი ხელყოფის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ისეთი ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან. დამნაშავეს ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემდეგ უჩნდება შესაძლებლობა, ისარგებლოს ან განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ანგარებითი მოტივი - პირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვისი საკუთრება - ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

სატრანსპორტო საშუალების გატაცება სსკ-ის 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანის დაუფლების შედეგად, რა დროსაც მას ჰქონდა მისი, როგორც საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა, განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა. კანონმდებელი, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე, მის ქმედებას აკვალიფიცირებდა ავტომანქანის გატაცებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური შემაღენლობის მუხლით, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც პირს განზრახული ჰქონდა თავის სასარგებლოდ ავტომანქანა არადროებით გამოეყენებინა.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო რა 184-ე მუხლი, ამით უარი თქვა, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მისი სპეციალური მუხლით დასჯაზე და ერთ სიბრტყეში, კერძოდ, გატაცების ხერხის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში მოაქცია ავტომანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება როგორც დროებითი გამოყენების, ასევე სხვა ფორმით მისი გამოყენების გზით.

მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ალექსანდრე კერვალიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, ჯგუფურად, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას, შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, მარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სისხლის სამართლის საქმეზე ალ.კერვალიშვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 08 მაისის განაჩენი, კვალიფიკაციის ნაწილში დატოვა უცვლელი, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით. სააპელაციო სასამართლომ პრაქტიკულად გაუქმებული/არარსებული მუხლით დატოვა პატიმრობაში პირი და განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ქმედებისათვის, რომელიც დანაშაულს უკვე აღარ წარმოადგენდა.

ზემოთმოყვანილი საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იგნორირება გაუკეთა კანონმდებლის ნებას აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაციის შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

ასევე, 2007 წლის 14 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას განსახილველად გადაეცა სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან ნ.აფრიამაშვილისა და ალ.ვაგილოვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2007 წლის 23 ივლისის დადგენილებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი და აღნიშნული მუხლის გათვალისწინებული ქმედების ჩადენა აღარ ისჯებოდა სისხლის სამართლებრივი წესით, წინასწარ გამოძიებას დაუბრუნდა სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან ნ.ა.-სა და ა.ვ.-ის მიმართ. 2007 წლის 08 აგვისტოს ნ.ა.-სა და ა.ვ.-ს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და იმავე დღეს სისხლის სამართლის საქმე გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. აღსანიშნავია, რომ განსასჯელთა მიმართ გამოყენებულია წინასწარი პატიმრობა.

2007 წლის 23 თებერვალს ახალციხის რაიონულ სასამართლოს განსახილველად გადაეცა სისხლის სამართლის საქმე ზ.ზვიადაურის, ნ.ნატროშვილისა და ი.ხიტარიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

ახალციხის რაიონული პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის დადგენილებით

წინასწარ გამოძიებას დაუბრუნდა სისხლის სამართლის საქმე ზ.ზვიადაურის, ი.ხითარიშვილისა და ნ.ნატროშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით. 2007 წლის 15 ივნისს ბრალდებულები ზ.ზვიადაური, ი.ხითარიშვილი და ნ.ნატროშვილი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით. ახალციხის რაიონული პროკურორის წერილის თანახმად, „ბრალდების შეცვლას და ახალი ბრალდების წაყენებას საფუძვლად დაედო სსკ-ში შესული ცვლილება სსკ-ის 184-ე მუხლის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გათვალისწინებულ მუხლებზე გადანაწილების შესახებ.“

აღსანიშნავია, რომ ამგვარი მსჯელობა არ გვხვდება არც უზენაესი სასამართლოს განჩინებაში და, მითუმეტეს, არც 184-ე მუხლის ამოღების შესახებ კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ამდენად, პროკურორმა გადაამეტა სამსახურეობრივ უფლებამოსილებას და შეითავსა კანონმდებლისა და სასამართლოს ფუნქცია ერთადერთი მიზნით – რათა ზემოხსენებული პირები არ გაეთავისუფლებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამართლადამცავი ორგანოების (სასამართლო, პროკურატურა) საქმიანობაში დამკვიდრდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ დეკრიმინალიზებული ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლების შემადგენლობაში იმპლიმენტაციის პრაქტიკა, რაც იწვევს იმ პირების უკანონო სისხლისსამართლებრივ დევნას, გასამართლებასა და მსჯავრდებას, რომელთა ქმედებებიც კანონმდებლობის თანახმად დანაშაულად არ ითვლება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დეკრიმინალიზებული მუხლით მსჯავრდებული პირები იხდიან თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელს და, შესაბამისად, იმყოფებიან უკანონო პატიმრობაში.

ერთი დეკრიმინირალიზებული ქმედების გადაკვალიფიცირება სხვა, უფრო მძიმე დანაშაულზე, შეიძლება აიხსნას ორი მოტივით. პირველი – თუ გამომძიებლები და პროკურორები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა) მასობრივად არასწორად აკვალიფიცირებდნენ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლით, რადგან აღნიშნული ქმედებისთვის განსაზღვრული იყო შედარებით მსუბუქი სასჯელი. თუ ეს ასეა და თუ სამართლადამცავი ორგანოების თანამშრომლები არასწორად ახდენდნენ ქმედების კვალიფიკაციას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის სასარგებლოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდებოდა შეგნებულად და ამ შემთხვევაში დანაშაულის ნიშნები იკვეთება თვით სამართლადამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქმედებებში, რაც ავალდებულებს პროკურატურას, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და დასაჯოს ყველა ეს პირი.

თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ აქ საქმე გვაქვს სრულიად სხვა მოვლენასთან. კერძოდ, ერთხელ დაკავებული და ბრალდებული, განსასჯელი თუ სულაც მსჯავრდებული პირების გათავისუფლება და მათი უდანაშაულოდ ცნობა ეწინააღმდეგება იმ მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას, რასაც ქვეყნის ხელისუფლება ატარებს და რის უტყუარ დასტურსაც წარმოადგენს 4 წელიწადში

პატიმრების რიცხვის ზრდა დაახლოებით 350 პროცენტით. სწორედ ამ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ის ათეულობით ადამიანი, რომელიც უკვე დეკრიმინალიზებული ქმედებისთვის ჯერაც იხდიან სასჯელს ან რომელთა სასამართლო პროცესებიც ამჟამად მიმდინარეობს.

ფაქტობრივად, ისინი არიან უკანონო პატიმრები და მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მძევლები. შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის საწინააღმდეგო ნება, არ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან არცერთი ის პირი, ვინც მსაჯავრდებული ან ბრალდებული იყო უკვე დეკრიმინალიზებული ქმედებისთვის, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებას, რაც არ გულისხმობს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე პოლიტიკის განხორციელებას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოების საქმიანობაში (სასამართლო, პროკურატურა) დამკვიდრებული პრაქტიკა არის უკანონო, რადგანაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ევროპის კონვენციის მე-7 მუხლს (მისი გამოყენების პრაქტიკას), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს პაქტის მე-15 მუხლს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ელ ნაწილს და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საჩივრით მიემართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისათვის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ იმ პირების მიმართ, რომლებიც გასამართლებულები არიან და სასჯელს იხდიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

აღნიშნულის პასუხად საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის #გ21.08.2007/77 წერილით ეცნობა, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2007 წლის 28 ივნისს #1042აპ საქმეზე მიღებული განჩინების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება არ გულისხმობს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული ქმედების დანაშაულებრიობისა და დასჯადობის გაუქმებას. ამდენად, არ არსებობს ახლადგამოვლენილი გარემოება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველს.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად დანაშაულად ითვლება ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის დისპოზიციაში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტია სუბიექტური მხარე, კერძოდ დანაშაულის მიზანი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, რაც გამორიცხავს ქურდობის ჩადენას აღნიშნული მიზნის გარეშე,

თუნდაც დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტების განხორციელება იყოს სახეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, დანაშაულად ითვლებოდა ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი დანაშაულის მიზნით განსხვავდებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულების შემადგენლობებისგან (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), რომელთა აუცილებელი შემადგენელი ელემენტია დანაშაულის მიზანი - მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, ხოლო 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზანს სხვისი ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და დროებითი გამოყენება წარმოადგენდა. შესაბამისად, ბუნებრივია ეს დანაშაული მკვეთრად განსხვავდებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებებისგან (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა).

განსაკუთრებული ყურადღება არის გასამახვილებელი იმ საკითხზეც, რომ თუ დამნაშავეს მიზნად დაუფლებული ნივთის (ავტომობილის ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალების) მისაკუთრება ექნებოდა, მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდებოდა ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით დამამძიმებელ გარემოებებში.

აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ დანაშაულის ის შემადგენლობა, რომელსაც 184-ე მუხლი შეიცავდა, სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებში არ გვხვდება.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად:

"არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს."

ამ ნორმის მე-2 წინადადების მიხედვით ცალსახაა, რომ კანონს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უკუძალა, თუ ის ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის გაუქმებას, აუცილებლად უნდა მიეცეს უკუძალა, რადგანაც აღნიშნული ნორმა აუქმებს პასუხისმგებლობას დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

ანალოგიური შინაარსია დადგენილი პაქტით "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ", რომლის მე-15 მუხლის თანახმად:

1. არავინ არ შეიძლება ცნონ დამნაშავედ რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის რომელიმე ისეთი მოქმედებისა და შეცდომის შედეგად, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ იყო სისხლის სამართლის დანაშაული. ასევე არ შეიძლება დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის

მომენტში; თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით წესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზე.

კონსტიტუციისა და პაქტის ეს დანაწესი ასახვას პოულობს საქართველოს კანონმდებლობაშიც. საქართველოს კანონის "ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს:

"თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა."

აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, სადაც ნათქვამია:

"სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა."

აღნიშნული ნორმების პრაქტიკული რეალიზებისათვის პროცედურა სისხლის სამართლის მიზნებისათვის გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, კერძოდ ამავე კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის თანახმად:

"ახლად გამოვლენილია სამართლებრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

ბ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;"

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ: "სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამაჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება." უზენაესი სასამართლოს მიერ განჩინებაში ნათქვამია, რომ "184-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები", თუმცა განჩინებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისაგან განსხვავებით, 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიზანი სულ სხვა იყო, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს კიდევ კანონმდებელი.

უზენაესი სასამართლო, მართალია განჩინებაში პირდაპირ არ აღნიშნავს, მაგრამ იყენებს კანონის ანალოგიას და 184-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას გატაცების ხერხის მიხედვით ქურდობის, მარცვისა და ყაჩაღობის მსგავს ქმედებას კრიმინალურ ქმედებად რაცხავს. ანუ სხვა დანაშაულთა მსგავს ქმედებას, რომელიც ცალკე მუხლით დანაშაულად არ არის ფორმულირებული სისხლისსამართლის კოდექსში, დანაშაულად აცხადებს ანალოგიის საფუძველზე.

აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქმეზე „კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ“ (Kokkinakis v. Greece), სასამართლომ გააკეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება. კერძოდ, მე-7 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმის აკრძალვით, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი სიახლე გამოყენებულ იქნეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისა თუ მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ. იგი, აგრეთვე, მოიცავს პრინციპს, რომლის თანახმადაც, მხოლოდ კანონმა შეიძლება განსაზღვროს დანაშაული და გაითვალისწინოს სასჯელი (nullum crimen, nulla poena sine lege). ასევე, პრინციპს, რომ პირის საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის განვრცობითი განმარტება (მაგალითად, ანალოგიით) დაუშვებელია. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ კანონი ყოველთვის ცხადად უნდა განსაზღვრავდეს დანაშაულს. ეს პირობა შესრულებულია, როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა, აღიქვას შესაბამისი ნორმის ტექსტიდან და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ტექსტის განმარტებიდან, რა ქმედებისათვის დაეკისრება მას პასუხისმგებლობა.

საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემული და მსჯავრდებული პირები სასჯელს იხდიან, მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 23 მაისის საქართველოს კანონით დეკრიმინალიზაცია განიცადა საქართველოს სისხლის სამართლის 184-ე მუხლმა. მეტიც, ახლაც კი მიდის პროცესები.

* * *

სექტემბრის თვიდან ქართული სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს ე.წ. „გაიდლაინებს“ გამოიყენებენ, რაც გულისხმობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრულ სასჯელზე მითითებას.

ჩამოყალიბდა უზენაეს სასამართლოსთან არსებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და მოსამართლეთათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელმაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით: „განაზოგადა სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო წინადადებები, რომლებსაც ყოველდღიურად გამოიყენებს თითოეული მოსამართლე კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს. სახელმძღვანელო წინადადებები დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა სასჯელი უნდა დანიშნოს მოსამართლემ ამა თუ იმ მუხლით პირის მსჯავრდების დროს შესაბამისი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში. ეს წინადადებები და ასევე, თავად მოსამართლეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს სასამართლოებში ყოველწლიურად განხილულ საქმეთა დაახლოებით 80 პროცენტს“.

კომისიის წევრთა განცხადებით, ზემოაღნიშნული ნიშნავს, რომ სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები ფაქტობრივად სავალდებულოა პროკურორებისა და ადვოკატებისათვის, რომლებსაც წინასწარ ეცოდინებათ, რომ კონკრეტულ საქმეში

არსებული კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში განსასჯელი მიიღებს ზუსტად განსაზღვრულ სასჯელს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება, ერთი მხრივ, დააჩქარებს და უფრო ეფექტურს გახდის მართლმსაჯულებას და გარკვეული შეზღუდავს მოსამართლის თვითნებობის სფეროს, მაგრამ ამასთან შესაძლებელია პრაქტიკაში სხვა პრობლემებიც შეიქმნას. რეკომენდაციები დასახვეწია და მისმა მშრალად გამოყენებამ შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსამართლე ამას იმპერატიულად მიიჩნევს.

კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ის პრინციპებია, რომელიც „მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიამ“ დაადგინა სახელმწიფოთათვის და რომლის უზრუნველყოფაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სასამართლო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს მნიშვნელობის გათვალისწინებით მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობამ შექმნას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის რეალური გარანტიები, თუმცა მოსამართლეთა ქმედებები არ უნდა გამოვიდეს სამართლებრივი სივრციდან და არ მიგვიყვანოს მათ თვითნებობამდე.

სასამართლოს არასათანადო კონტროლი წინასწარ გამოძიებაზე

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია იმ საკითხთა წრე, რომლებზეც ვრცელდება სასამართლო კონტროლი წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისა და პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე. ასევე, განსაზღვრულია სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლები და პროცედურა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის მიხედვით პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლო არ ახორციელებს სათანადო კონტროლს წინასწარ გამოძიებაზე და არ ახდენს სათანადო რეაგირებას ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის მიმართ დაშვებულ საპროცესო დარღვევებზე. ხშირად, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე არ იხილავს პირის ბრალეულობის საკითხს და არკვევს მხოლოდ იმას, იყო თუ არა დაცული კოდექსის მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრების დროს დაირღვა კანონი ან საპროცესო ვადა დაკავებული პირის მიმართ, მან თავის გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს ასეთი დასკვნის საფუძვლიანობა და გამოიტანოს კერძო დადგენილება (განჩინება).

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამომძიებო მოქმედებები ტარდება საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება) შედეგად ამოღებული საგნების დალუქვისას აღინიშნება მხოლოდ საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა, მაშინ როცა საქართველოს სსსკ-ის 323-ე მუხლის მე-8 ნაწილისა და 335-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა თანახმად, „...შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობა მიიღო საგამომძიებო მოქმედებაში“; ასევე, „შეფუთულ საგანზე, ლუქის გარდა, აღინიშნება საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა ხელმოწერები და თარიღი“.

სასამართლო საქმიანობის პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ასეთი დარღვევებით ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებებს, როგორც წესი, მოსამართლე კანონიერად ცნობს და არ გამოაქვს კერძო განჩინება (დადგენილება) საგამომძიებო მოქმედების განმახორციელებელი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესახებ.

ზემოაღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი საქართველოს სსსკ-ის 50-ე მუხლის ტექსტის გაუმართაობაა. კერძოდ, 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს სათანადო საფუძვლის არსებობისას გამოაქვს კერძო განჩინება (დადგენილება), რომლითაც სახელმწიფო ორგანოს, ან თანამდებობის პირის ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ კანონის დარღვევის

ფაქტზე, ... რომლებიც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას.“ ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „კერძო განჩინება (დადგენილება) შეიძლება აგრეთვე გამოიტანოს სასამართლო მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას.“

შესაბამისად, თუ ნორმის პირველი ნაწილით, კანონდარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს უპირობოდ გამოაქვს კერძო განჩინება, რათა სახელმწიფო ორგანომ თუ თანამდებობის პირმა მოახდინონ სათანადო ზომების მიღება დარღვევის ფაქტის თუ დანაშაულის ჩადენის მიზეზისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლის მიზნით, ნორმის მეორე ნაწილით წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებული მოქალაქეთა უფლებების დარღვევის, თუ კანონის სხვა დარღვევათა გამოვლენისას, მოსამართლეს უკვე დისკრეციული უფლება აქვს, გამოიტანოს კერძო განჩინება (დადგენილება). ამდენად, 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდა გამოძიების ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტი, მოსამართლეს არ აქვს კერძო განჩინების გამოტანის ვალდებულება. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მოსამართლემ შესაძლოა, ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე აღნიშნული საკითხი განსახვავებულად გადაწყვიტოს. კერძოდ, ერთ შემთხვევაში გამოიტანოს კერძო განჩინება, მეორე შემთხვევაში კი თავი შეიკავოს აღნიშნულისგან.

ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლება და მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან თავის საქმიანობაში, მაგრამ აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მოსამართლეს განუსაზღვრელი უფლებამოსილება გააჩნია. მოსამართლის საქმიანობა შემოფარგლულია კონსტიტუციითა და კანონით. შინაგანი რწმენის გარდა, მან სწორედ კანონიდან გამომდინარე უნდა მოახდინოს მტკიცებულებათა შეფასება. ეს გულისხმობს, რომ როცა საქმე ეხება მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტზე რეაგირებას, მოსამართლე შეზღუდული უნდა იყოს კონკრეტული ნორმის იმპერატიულობით. შესაბამისად, გამოძიების მწარმოებელი პირის ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული აშკარა დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლემ რეაგირება კერძო განჩინების გამოტანით უნდა მოახდინოს. საქართველოში დღეს მოქმედი სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი მოსამართლეს კერძო განჩინების გამოტანის თავის არიდების საშუალებას აძლევს.

მოსამართლეთა პრაქტიკული საქმიანობის დროს გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები მიდრეკილები არიან, არ გამოიყენონ ეს უფლება, შეიძლება გამოვიტანოთ სამწუხარო დასკვნა, რომ ისინი არ არიან ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტები და, პირიქით, ახდენენ უფლებათა დარღვევის ლეგიტიმაციას.

მოცემული საკითხის განხილვისას კიდევ ერთ პრობლემას ვაწყდებით. კერძოდ, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეებია: საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა და მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“.

შესაბამისად, მოსამართლის მიმართ, რომელიც რეაგირების გარეშე დატოვებს წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებულ კანონდარღვევის ფაქტს და არ გამოიტანს კერძო განჩინებას (დადგენილებას), შეუძლებელია დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება, ვინაიდან საქართველოს სსს კოდექსის 50.2 მუხლი სავალდებულო ხასიათის არაა. ამასთანავე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არც პროკურატურა სწავლობს წინასწარი გამოძიების ან პირველი ინსტანციის მიერ ჩადენილ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონის სხვა დარღვევის ფაქტებს და აპელირებას ახდენს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ უკვე იმსჯელა საგამომიებო მოქმედებების კანონიერებაზე და ვერ აღმოაჩინა რაიმე სახის დარღვევა. შედეგად ვიღებთ იმას, რომ წინასწარი გამოძიების დროს მოქალაქეთა უფლებების ან კანონის სხვა დარღვევა რჩება რეაგირების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან და **სავალდებულო ხასიათი მიეცეს** მოსამართლის მიერ კერძო განჩინების (დადგენილების) გამოტანას წინასწარი გამოძიებისას ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას კანონის მოთხოვნათა დარღვევის ყოველ ფაქტზე, თუნდაც ის არ იყოს არსებითი ხასიათის. 50.2 მუხლი კი **ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:** „სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს კერძო განჩინება (დადგენილება) მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას“.

სასამართლო ხელისუფლების მხრიდან არასათანადო კონტროლის ნათელი მაგალითია ი.სიჭინავასა და ლ.კუხიანიძის საქმე, კერძოდ:

ი.სიჭინავასა და ლ.კუხიანიძის საქმე

2007 წლის 5 აპრილს ქ.ფოთის საქალაქო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა ე.ძიმიგურმა ქ.ფოთის საქალაქო სამმართველოს ინსპექტორების გ.ქურდიანისა და ი.ქანთარიას მონაწილეობით ჩაატარა ი.სიჭინავას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს პისტოლეტი და მოყავისფრო-მოთეთრო ფერის თვლებიანი ყელსაბამი. ჩხრეკის ოქმში არ იყო მითითებული ჩხრეკაში მონაწილე პირების მიერ ამოღებული საგნების ლუქზე ხელმოწერის შესახებ.

ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 2007 წლის 5 აპრილს ქ.ფოთის საქალაქო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა რ.კვანტალიანმა დამსწრეების დ.ლაშხიას, ბ.ლაშხიასა და ინსპექტორ გამომძიებლის ლ.უნგაძის მონაწილეობით ჩაატარა ლ.კუხიანიძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს მარგალიტის მძივი, ვერცხლისფერი გრებილი ძეწკვი, საეკლესიო სამაჯური, მობილური ტელეფონი და გადაჭრილი თოფი ე.წ. „აბრეზი“. ჩხრეკის ოქმში არ იყო მითითებული ჩხრეკაში მონაწილე პირების მიერ ამოღებული საგნების ლუქზე ხელმოწერის შესახებ.

ი.სიჭინავასა და ლ.კუხიანიძის საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის ჩატარებისას არ იქნა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ, დაირღვა 323-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად „...შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობა მიიღო საგამომიებო მოქმედებაში.“

სახალხო დამცველმა საქმის მასალები გადაუგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას გამომძიებლებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესახებ. სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლომ ჩატარებული საგამომიებო მოქმედებები დადგენილებით კანონიერად ცნო და შესაბამისად, არავინ დაისჯება.

ვ.ქალდანის საქმე

ვ.ქალდანი დააკავეს ქ.ბოლნისში ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო შექმნა-ტარების ბრალდებით. ექვმიტანილის დაკავების ოქმში შეუსაბამობა იყო დაკავების დროსთან დაკავშირებით. საქმის სხვა მასალებიდანაც აშკარად იკვეთებოდა, რომ ბრალდებული რეალურად დაკავებული იყო უფრო ადრე, ვიდრე ეს დაფიქსირებული იყო დაკავების ოქმში. ამდენად, დაკავება მოხდა სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევით.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ასევე, თბილისის სააკპელაციო სასამართლომ ვ.ქალდანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხის განხილვისას რეაგირების გარეშე დატოვა ზემოაღნიშნული დარღვევა.

თემურ მიქიას საქმე

2001 წლის 15 ივლისს ფოთის შს სამმართველოს უფროსმა თ.საჯაიამ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს. აღნიშნული შუამდგომლობა განსახილველად გადაეცა მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძეს. ამოღება ჩატარდა შუქრი დიხამინჯიას საცხოვრებელ სახლში ფოთის შს სამმართველოს წარმოებაში არსებულ თემურ მიქიას მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის #4501104 საქმეზე.

მოსამართლე ა.გოგუაძემ მიიღო დადგენილება საგამომიებო მოქმედების - ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც მითითებულია: „ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ა.გოგუაძემ, განვიხილე ფოთის შს სამმართველოს უფროსის პოლიციის პოლკოვნიკის, თ.საჯაიას შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამომიებო მოქმედების - ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ.“

იმავე დღეს, მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძემ პროკურორის მონაწილეობის გარეშე განიხილა ფოთის შს სამმართველოს უფროსის თ.საჯაიას შუამდგომლობა

საგამოძიებო მოქმედების - ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა ქ.ფოთში ერთობის ქ.#62-ში ჯონი გელენავას საცხოვრებელ სახლში, თემურ მიქიას მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე. მოსამართლემ მიიღო დადგენილება აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.

მოსამართლის მიერ მიღებულ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის დადგენილებებში არ არის მინიშნებული შუამდგომლობის განხილვაში პროკურორის მონაწილეობა. იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ასეთი შუამდგომლობის განხილვის დროს პროკურორის მონაწილეობა სავალდებულო იყო (იხ.დეტალურად 2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენება).

* * *

სახალხო დამცველმა საქმის შესწავლის შედეგად უკანონო პატიმრობის ფაქტი გამოავლინა.

ქ.კირკიტაძის საქმე

2007 წლის 3 მარტს სახალხო დამცველს მიმართა მსჯავრდებულმა ქ.კირკიტაძემ, რომელიც მოთავსებულია ქსნის #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2001 წლის 31 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება ქ.კირკიტაძის მიმართ (სისხლის სამართლის #1001047 საქმე), დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლის მეორე ნაწილით (ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია)(ძვ.რედაქცია).

მოგვიანებით ქ.კირკიტაძეს წარედგინა ახალი ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და 23/362 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით(თანამონაწილეობა/ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება არაერთგზის და რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სისხლის სამართლის საქმე წარიმართა გლდან-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში განსახილველად. 2002 წლის 26 ივლისს ქ.კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობა. 2003 წლის 17 ოქტომბერს მოსამართლე გ.ქაჯაიამ ქ.კირკიტაძეს სასამართლო პროცესზე არაერთგზის გამოუცხადებლობის საფუძველით აღკვეთის ღონისძიება პოლიციის ზედამხედველობა შეუცვალა დაპატიმრებით და გამოაცხადა მასზე ძებნა. 2004 წლის 11 სექტემბერს ქ.კირკიტაძე დააკავეს და იმავე რაიონულ სასამართლოში გაგრძელდა

საქმის განხილვა. 2004 წლის 24 ნოემბერს მოსამართლის დადგენილებით საქმე დაბრუნდა წინასწარ გამოძიებაში, ხოლო 2004 წლის 29 დეკემბერს საქმე კვლავ შევიდა სასამართლოში.

2005 წლის 17 ოქტომბერს ამოიწურა ქ.კირკიტაძის მიმართ კანონით დადგენილი განსასჯელის პატიმრობის 12-თვიანი ვადა, მაგრამ იგი არ გაუთავისუფლებიათ და ქ.კირკიტაძე დარჩა უკანონო პატიმრობაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680⁴-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის ვადა, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ, არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განხილველი სასამართლოს წარდგინებით, ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 6 თვემდე. განსასჯელის პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.“ განსასჯელ ქ.კირკიტაძის სასამართლო პატიმრობის 12-თვიანი ვადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით არ გაგრძელებულა, შესაბამისად ის 2005 წლის 17 ოქტომბერს დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო სასჯელადსრულების დაწესებულებიდან. ქ.კირკიტაძე გათავისუფლდა მხოლოდ 2005 წლის 3 ნოემბერს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია „...პატიმრობის ვადის გასვლამდე 7 დღე-ღამით ადრე შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ხოლო თუ პატიმრობის მითითებული ვადა არ გაგრძელებულა, გაათავისუფლოს ბრალდებული საგამოძიებო იზოლატორიდან“. მართალია, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციას პატიმრობის ვადის გასვლის შემთხვევაში ევალება *ბრალდებულის* გათავისუფლება (საუბარია წინასწარი პატიმრობის ვადაზე), მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „**კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები**“. შესაბამისად, ქ.თბილისის #5 საპრობილის ადმინისტრაცია ვალდებული იყო, გაეთავისუფლებინა ქ.კირკიტაძე პატიმრობიდან 2005 წლის 17 ოქტომბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.კირკიტაძის მიმართ დაირღვა როგორც შიდა კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის მეორე ნაწილი („თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე“); საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილი („დაუშვებელია თავისუფლების შეზღუდვა კანონიერი საფუძვლისა და წესის გარეშე“), 159-ე მუხლის მე-2 ნაწილი („*სასამართლო*, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი“). ამასთან, დაირღვა ადამიანის უფლებათა და

ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი („დაცული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“); სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი („თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის და პროცედურისა“) და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლი - „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ .

სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სათანადო მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას. მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #74078205 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2007 წლის 19 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გ.ფურცელაძე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის #74078205 საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა ე.თბილისის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #5 საპრობილის სპეციალური აღრიცხვის განყოფილების თანამშრომელი, დ.ენუქიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

* * *

სახალხო დამცველმა ადვოკატ სოსო ბარათაშვილის მიმართვოს საფუძველზე ირაკლი ბათიაშვილის სასამართლო პროცესი შეისწავლა და მიაჩნია, რომ ი.ბათიაშვილის უფლებები დაირღვა (ვრცლად იხ. დანართი), კერძოდ:

ირაკლი ბათიაშვილის საქმე

2007 წლის 17 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს თბილისის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმარმა ირაკლი ბათიაშვილმა და მისმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

ადვოკატი მიიჩნევდა, რომ ბათიაშვილი სასამართლოს მიერ არაკანონიერად იქნა მსჯავრდებული, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მისი დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, გაყალბებულია სატელეფონო საუბრები, რომელთა საფუძველზეც დაედო მსჯავრი ბათიაშვილს.

საქმის შესწავლის შედეგად სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაირღვა ირაკლი ბათიაშვილის უფლებები,

რამაც არსებითი გავლენა იქონია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. მის მიმართ ასევე დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ხოლო გამოტანილი განაჩენი არის დაუსაბუთებელი და არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს.

1. ირაკლი ბათიაშვილს ბრალი წაუყენეს არამყარი მტკიცებულებების საფუძველზე. ი.ბათიაშვილს 2006 წლის 29 ივლისს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით, რომელიც ძირითადად ემყარებოდა ი.ბათიაშვილსა და ე.კვიციანს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში შემდგარ სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს. საქმის მასალებიდან ამკარად ჩანს, რომ 2006 წლის 29 ივლისს გამოძიებას რეალურად არ მოეპოვებოდა არც სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერი და არც მისი გაშიფრული ვარიანტი და კრებსები. ეს მასალები ნივთმტკიცების სახით სისხლის სამართლის საქმეს დაერთო 2006 წლის 2 აგვისტოს. ამდენად, გამოდის რომ ბრალი, რომელიც წარედგინა ბათიაშვილს, არ ემყარებოდა უტყუარ მტკიცებულებებს, ეს კი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტის უხეშ დარღვევას: „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.“

2. სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში შევიდა 2006 წლის 24 ნოემბერს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად – „სასამართლოში საქმის შესვლიდან 24 საათში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს განსასჯელის აღკვეთის ღონისძიების საკითხს“.

მოსამართლე ვალდებული იყო, მისი საკითხი განეხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით – „სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი“ – დადგენილი წესით და გაეგრძელებინა მისი პატიმრობის ვადა განაჩენის გამოტანამდე, მაგრამ არა უმეტეს 6 თვით. სასამართლომ (მოსამართლე მათა თეთრაული), ნაცვლად კანონით დადგენილი მოთხოვნისა, იმსჯელა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად იყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და 2006 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება – დატოვა უცვლელი.

3. დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ თავდაპირველად სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, თუმცა მოგვიანებით ყოველგვარი სამართლებრივი ლოგიკისა და კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე უარი განაცხადა შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის ერეკლე კოდუასა და შსს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსის ზურაბ კოტარიას დაკითხვაზე.

მოსამართლემ ამით დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა – „ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.“

დაცვის მხარე შუამდგომლობდა, მოწმის სახით დაკითხულიყო ზაზა ბრეგვაძე, შსს-ს სპეცოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე. ბრეგვაძე დაიკითხა წინასწარ გამოძიებაში და დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ მან განსასჯელის სასარგებლო ჩვენება მისცა, რაც გამორიცხავდა ი.ბათიაშვილის ბრალეულობას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ უარი განაცხადა მის დაკითხვაზე, რის გამოც დაცვის მხარეს წაერთვა შესაძლებლობა, ბრეგვაძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დაცვის სასარგებლო მტკიცებულებად გამოეყენებინა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა, რომ სასამართლომ შეგნებულად აარიდა თავი სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაბარებულ პირთა გამოცხადების უზრუნველყოფას და მათ დაკითხვას.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განსხვავებით მანამდე მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსისგან, თანამონაწილეობის მთავარი ფიგურა ამსრულებელია, ხოლო თანამონაწილეთა მოქმედება ამსრულებელზეა დამოკიდებული. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებელს თანამონაწილის სახედ არ თვლის. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს დანაშაულში თანამონაწილე ამსრულებლის გარეშე.

კონკრეტულ შემთხვევაში, გამოძიების მიერ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია ემზარ კვიციანი, როგორც დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი პირი (ამსრულებელი), თუმცა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ არის გამოტანილი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად (უდანაშაულობის პრეზუმპცია), ემზარ კვიციანი ჯერჯერობით უდანაშაულოა. სასამართლოს მიერ ირაკლი ბათიაშვილის დამნაშავედ გამოცხადება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის ამსრულებელიც მსჯავრდებულად ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თანამონაწილეობის აქცესორული კონცეფციის უხეში დარღვევაა. ანუ, ირაკლი ბათიაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო დამხმარედ იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის ჩადენაც ჯერ სასამართლოს მიერ არ არის დადასტურებული.

5. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მასალებით გამოძიების მიერ უტყუარად არ არის დადგენილი ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირები, მ.ქუსქიაშვილი და ვ.მუჯირიშვილი, კონკრეტულად რომელ შეიარაღებულ ჯგუფთან შეტაკებისას დაიჭრნენ. შესაბამისად, მათი დაზარალებულად ყოფნა საქმეში არ არის მართებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირაკლი ბათიაშვილის მიმართ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დღეს, განაჩენის გამოცხადებიდან რამდენიმე საათში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოიწვიეს ბრიფინგი, სადაც საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია იმ არგუმენტების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იყო ბრალდების მხარის მიერ ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ. პროკურორმა ირაკლი კობიძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ირაკლი ბათიაშვილი მსჯავრდებული იქნა კონკრეტული ქმედების გამო, რაც გამოიხატა ემზარ კვიციანიანისათვის ამბოხების მოწყობაში ინტელექტუალურ დახმარებაში. მან ასევე დასძინა, რომ დაცვის მხარემ ვერ წარმოადგინა ვერცერთი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულის უდანაშაულობას დაამტკიცებდა. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.“ შესაბამისად, ირაკლი ბათიაშვილს კი არ უნდა უნდა ემტკიცებინა მისი უდანაშაულობა, არამედ ბრალდებას უნდა წარედგინა სასამართლოსათვის უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ირაკლი ბათიაშვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენას.

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. ბათიაშვილის საქმის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო პირად მოსაზრებებს და იმ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობა საეჭვოა და რომლებიც სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია. ასეთ მტკიცებულებას კი წარმოადგენდა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები ერთი მხრივ, ირაკლი ბათიაშვილსა და მეორე მხრივ, ემზარ კვიციანსა და ნორა არღვლიანს შორის. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები და მათი დემონსტრირებული ტექსტი (კრებსი) ერთმანეთისაგან შინაარსობრივად განსხვავებული იყო. ამ განსხვავების მიზეზი თავად გამომძიებელმაც ვერ დაასაბუთა. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ საეჭვოდ არ მიიჩნია მათი ნამდვილობა და დაცვის მხარის მოთხოვნის მიუხედავად, ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო მათ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებულია: „წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიცავს საქმის სრულყოფილ შესწავლას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ და კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. ზემოთგანხილული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები არ

შეიძლება მივიჩნიოთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისად და უტყუარად, ისევე, როგორც უგულებელყოფილი იყო შეჯიბრობითობა და მხარეთა თანასწორობა (მოწმეთა გამოძახებისას, დაკითხვისას და ა.შ).

შესწავლილი მასალების საფუძველზე სახალხო დამცველი აცხადებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ირაკლი ბათიაშვილის საქმეზე არის დაუსაბუთებელი, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, რაც კანონის მოთხოვნის უხეში დარღვევაა, რის გამოც ბათიაშვილის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ვინაიდან, ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას და განაჩენით მოსამართლის მიერ კანონი (საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი) არაერთხელ იქნა უხეშად დარღვეული, სახალხო დამცველმა მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს რეკომენდაციით, დაიწყოს დისციპლინური წარმოება მოსამართლე მაია თეთრაულის მიმართ (ვრცლად იხ.დანართი #2)

* * *

საქართველოში მოქმედი კანონდებლობის თანახმად, ბრალმდებელს, მსჯავრდებულს ან გამართლებულს მისივე მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში უნდა გადაეცეს სასამართლო განაჩენის ასლი. საანგარიშო პერიოდში იყო შემთხვევა, როცა კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნა მოსამართლემ უგულებელყო. კერძოდ:

მანანა გაგოშიძის საქმე

2007 წლის 5 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მანანა გაგოშიძემ, სადაც იგი მიუთითებდა, რომ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში 2006 წლის 15 ნოემბერს მოსამართლე დავით ჯუღელმა ვახტანგ ცხვარიაშვილის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ვ.ცხვარიაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) და 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ერთობლივად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით.

განმცხადებლის განმარტებით, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დ.ჯუღელისათვის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, არ მოხდა ვ.ცხვარიაშვილის მიმართ დამდგარი განაჩენის გადაცემა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 514-ე მუხლის თანახმად, „განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე - არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა, განაჩენის

ასლი უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბრალმდებელს და მსჯავრდებულს ან გამართლებულს. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით გადაეცემა იმავე ვადაში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამისად შეეტანა სასამართლოში სააპელაციო საჩივარი.

2007 წლის 14 მარტს სახალხო დამცველის აპარატიდან გაეგზავნა მიმართვა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს დავით ჯუღელს, რათა მოეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, გადაეცა თუ არა მსჯავრდებულ ვ.ცხვარიაშვილის ინტერესების დამცველ ადვოკატს განაჩენი.

2007 წლის 4 აპრილს მოსამართლე დ.ჯუღელმა გვაცნობა, რომ „მოცემული საქმის სირთულის, ჩემს წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლისა და ტექნიკური მიზეზების გამო, განაჩენის დროულად დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, რის გამოც მსჯავრდებულ ვახტანგ ცხვარიაშვილის ინტერესების დამცველ ადვოკატს ალექსანდრე ალადაშვილს განაჩენის ასლი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 514-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ვერ ჩაბარდა“.

2007 წლის 11 მაისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაიგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დავით ჯუღელის ქმედების კანონიერების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით.

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა

* * *

დადებითად ვაფასებთ გასულ წელთან შედარებით საერთო სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ შუამდგომლობების კლების ტენდენციას. ადრე პროკურატურა ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობით, ა/ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე, რომელთა დიდი ნაწილი კმაყოფილდებოდა სასამართლოს მიერ. 2006 წლის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

2007 წლის პირველ 6 თვეში სასამართლოებში შევიდა 10443 შუამდგომლობა სამივე სახის ა/ღონისძიებაზე (პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა). აღნიშნული რიცხვიდან 5084 შუამდგომლობა იყო პატიმრობის შესახებ, ანუ სულ შესული შუამდგომლობების 48,5%, მათგან დაკმაყოფილდა 4689 შუამდგომლობა, ანუ დაახლოებით 92% პროცენტი.

2006 წლის პირველი ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოებში შევიდა 9418 შუამდგომლობა სამივე სახის ა/ღონისძიებაზე (პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა). აღნიშნული რიცხვიდან 5893 შუამდგომლობა იყო პატიმრობის შესახებ, ანუ სულ შესული შუამდგომლობების 62.5%, მათგან დაკმაყოფილდა 5202 შუამდგომლობა, ანუ დაახლოებით 88% პროცენტი.

ამასთან, აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით პროკურატურა პროცენტულად უფრო ხშირად ითხოვს აღმკვეთ ღონისძიებად არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას, ეს პატიმართა აბსოლუტურ რაოდენობაზე ვერ ახდენს სერიოზულ გავლენას, რადგან გაიზარდა მთლიანად დაკავებულთა რიცხვი.

სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასამართლომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე მაქსიმალურად შეზღუდოს აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება, რაც იმავდროულად გარკვეულწილად მოხსნის გადატვირთულობის პრობლემას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

საგულისხმოა, რომ 2006 წლისაგან განსხვავებით იმატა გირაოს შესახებ შესულმა და დაკმაყოფილებულმა შუამდგომლობების რაოდენობამ, მაგრამ იკლო პირადი თავდებობის შესახებ შესულმა შუამდგომლობების რიცხვმა. კერძოდ: 2007 წლის პირველ 6 თვეში გირაოს შეფარდების შესახებ საგამომიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობების რიცხვი შეადგენდა 5321, რომელთაგან 5153 დაკმაყოფილდა, პირადი თავდებობის შესახებ კი შევიდა 38 შუამდგომლობა, საიდანაც 38-ივე დაკმაყოფილდა. 2006 წლის მეორე ნახევარში გირაოს შესახებ 3445 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 3362, პირადი თავდებობის შესახებ კი 80 შუამდგომლობიდან ყველა დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული რიცხვები ეხება მხოლოდ პროკურატურის შუამდგომლობებს. დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ამის შესახებ, სამწუხაროდ, უზენაეს სასამართლოში ვერ მოვიპოვეთ.

აღკვეთის ღონისძიებების სტატისტიკა

	პროკურატურა სასამართლოში შევიდა შუამდგომლობით	დაკმაყოფილდა
2006 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	გირაო - 2212 პირადი თავდებობა - 221 პატიმრობა - 5868	გირაო - 2121 პირადი თავდებობა - 216 პატიმრობა - 5156
2006 წლის 1 ივლისი - 31 დეკემბერი	გირაო - 3445 პირადი თავდებობა - 80 პატიმრობა - 5893	გირაო - 3362 პირადი თავდებობა - 80 პატიმრობა - 5202
2007 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	გირაო - 5321 პირადი თავდებობა - 38 პატიმრობა - 5084	გირაო - 5153 პირადი თავდებობა - 38 პატიმრობა - 4689

წინა წლებთან შედარებით იკლო გამამართლებელი განაჩენების რიცხვმა. კერძოდ:

2007 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საერთო სასამართლოების პირველ ინსტანციაში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 7 პირის მიმართ, სააპელაციო სასამართლოში 4 პირის მიმართ და კასაციაში საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო 1 პირის მიმართ.

2005 წელს საერთო სასამართლოების პირველ ინსტანციაში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 64 საქმისა და 79 პირი მიმართ, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 12 საქმისა და 17 პირის მიმართ; 2005 წ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი 7 საქმისა და 8 პირის მიმართ, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში კი - 5 საქმისა და 5 პირის მიმართ; 2005წ. საკასაციო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი 11 საქმისა და 11 პირის მიმართ, ხოლო 2006წ. 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი 4 საქმისა და 5 პირის მიმართ.

2006 წლის მეორე ნახევარში პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი 20 საქმის მიმართ, სააპელაციომ - 8 საქმის მიმართ და საკასაციომ - 2 საქმის მიმართ.

გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა

	პირველი ინსტანციის სასამართლოები	სააპელაციო სასამართლო	საკასაციო სასამართლო
2005 წელი	64 საქმისა და 79 პირის მიმართ	7 საქმისა და 8 პირის მიმართ	11 საქმისა და 11 პირის მიმართ
2006 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	12 საქმისა და 17 პირის მიმართ	5 საქმისა და 5 პირის მიმართ	4 საქმისა და 5 პირის მიმართ
2006 წლის 1 ივლისი - 31 დეკემბერი	20 საქმის მიმართ	8 საქმის მიმართ	2 საქმის მიმართ
2007 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	7 პირის მიმართ	4 პირის მიმართ	საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო 1 პირის მიმართ

რაც შეეხება საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი კერძო განჩინების შესახებ ინფორმაციას, სტატისტიკური ანგარიშების მოქმედი ფორმების მიხედვით არც ერთი კერძო განჩინება არ არის გამოტანილი.

მეტად მნიშვნელოვანია სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი. 2007 წლის პირველ 6 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია 196 საქმე, რომელთაგან 173 დაკმაყოფილდა. 2006 წლის მეორე ნახევარში განხილულია მხოლოდ 86 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 40. ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ 2007 წლის პირველ ნახევარში განხილულ იქნა 2 საქმე, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, საანგარიშო პერიოდში განხილულია 1 საქმე, რომელიც დაკმაყოფილდა. 2006 წლის მეორე ნახევარში განხილული იყო 5 საქმე, რომელთაგან 3 დაკმაყოფილდა.

2007 წლის პირველ 6 თვეში ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ განხილული იყო 5 საქმე, რომელთაგან ხუთივე დაკმაყოფილდა.

2007 წლის პირველ 6 თვეში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილია 3888 განაჩენი 4689 პირის მიმართ. 7 საქმე დაუბრუნდა პროკურატურას საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, პროკურატურიდან შესული შუამდგომლობების 99% დაკმაყოფილდა.

2006 წელს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესულია 2547 საქმე, ხოლო საბრალდებო დასკვნით – 13302 საქმე, საიდანაც 1330 საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. სულ საპროცესო

შეთანხმება დამტკიცდა 3791 საქმეზე. ანუ, საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა მთელი საქმეების დაახლოებით 25 პროცენტი. საპროცესო შეთანხმებაზე პროკურატურას უარი ეთქვა და დაუბრუნდა საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად 10 საქმე.

* * *

საქართველოში მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მთავარი მოთხოვნა: „სასამართლო დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისგან და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“ უგულებელყოფილია. მოსამართლეების მიერ გამოტანილი განაჩენები და მიღებული გადაწყვეტილებები მიუთითებენ, რომ ისინი ხშირად არც კანონის და არც შინაგანი რწმენით მოქმედებენ.

სასამართლო ხელისუფლების ვერანაირი რეფორმა შედეგს ვერ გამოიღებს და ქვეყანაში დემოკრატიაზე ვერ იქნება საუბარი, სანამ ხელისუფლება პრიორიტეტად არ გამოაცხადებს მოსამართლეთა რეალური დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნასა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობას.

საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები

პროკურატურის მიერ საქმეების გამოძიების არაეფექტურობა

სახალხო დამცველის მიერ საქმეების შესწავლის შედეგად, ხშირად აშკარად იკვეთება მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნები. ყურადღება გასამახვილებელია ცემა-წამებაზე, უკანონო დაკავებაზე, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე, გამოძიების ტენდენციურობაზე და სხვ.

სახალხო დამცველი გამოძიების დაწყების მიზნით სათანადო მასალებს გენერალურ პროკურატურას უგზავნის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ წინასწარი გამოძიება. ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებული არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გარკვეონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. სახალხო დამცველისგან გაგზავნილი მასალები აშკარად მიუთითებს ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა პროკურატურა ხშირად არ იწყებს გამოძიებას თითქოს უსაფუძვლობის მოტივით (იხ.დანართი), უმეტეს შემთხვევაში არ ატარებს სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას ან გამოძიების დაწყება ხდება სხვა მუხლით, რომლისთვის გათვალისწინებული შემადგენლობაცა და სანქციაც ჩადენილ ქმედებასთან აშკარად არაადეკვატურია.

საქართველოში წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კონკრეტული წამების ფაქტების გამოძიების პოლიტიკური ნების არ არსებობის გამო და იმ მიზეზით, რომ სახელმწიფოსთვის აღნიშნული არ წარმოადგენს პრიორიტეტს, წამება ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება ქვეყანაში, რაც ყურადღების გამახვილებას საჭიროებს. პროკურატურიდან და შსს ორგანოებიდან მოწოდებული მასალებით, გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ საგამომძიებო ორგანოების დამოკიდებულებაზე ცემის, წამების და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების მიმართ.

თუმცა, ამ მიმართულებით განხორციელებული გარკვეული წინსვლებიც უნდა აღინიშნოს (მაგალითად, პოლიციის მიერ პოლიციის განყოფილებებსა და წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები თითქმის მთლიანად აღმოფხვრილია).

თუ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებას შევადარებთ ტრეფიკინგის დანაშაულს, რომელიც გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო რთული გამოსადიებელია, ვიდრე წამების ფაქტი, დავრწმუნდებით, რომ

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში გაცილებით მეტი წარმატებებია მიღწეული. ხელისუფლების მხრიდან აშკარად გადადგმულმა ნაბიჯებმა და ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ქვეყნისთვის პრიორიტეტად გამოცხადებამ, საგამოძიებო ორგანოების უკომპრომისო პოზიციამ და ადეკვატურმა სასჯელებმა განაპირობა ამ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში სერიოზული წარმატებების მიღწევა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის სპეციალურ ანგარიშში შეფასებათა შკალის უმაღლეს საფეხურზე საქართველოს გადანაცვლება.

სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არაერთი საქმის მასალა გაუგზავნა პროკურატურას გამოძიების დასაწყებად, მაგრამ საქმეებში მითითებული არც ერთი პიროვნება დღემდე არ დასჯილა.

2007 წლის პირველ 6 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სისხლის სამართლის კოდექსის 144¹, 144² და 144³ მუხლებით შევიდა და განიხილეს მხოლოდ 2 სისხლის სამართლის საქმე, ორივე ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. კერძოდ, 1) ელგუჯა თოდუას საქმე (ოზურგეთის შს რაიგანყოფილების ნატანების ქ/განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი) სსკ 144¹ მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალდების გამო და გიორგი გურგენაძის (ოზურგეთის შს რაიგანყოფილების ნატანების ქ/განყოფილების უფროსის მოადგილე) - სსკ 144² მუხლით ბრალდებით.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განაჩენით ელგუჯა თოდუა ცნობილ იქნა დამნაშავედ 335-ე მუხლის პირველი ნაწილით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება 1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის) და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. გიორგი გურგენაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ 144² მუხლით (წამების მუქარა) და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელად დატოვა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით საქმეზე საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული.

2) ჯემალ შამათავა (ოზურგეთის შს რაიგანყოფილების ურეკის ქ/განყოფილების უფროსი) სსკ 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით და 139-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალდების გამო.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განაჩენით ჯემალ შამათავა ცნობილ იქნა დამნაშავედ 144¹ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით და 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება - 1. სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტები ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური,

სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით) და სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პროკურატურამ, რომელიც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, „კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდაცვის ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის დროული გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღების, დანაშაულის მიზეზებისა და მათი ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით“, ერთნაირი ყურადღება უნდა დაუთმოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის გამოძიებას, განსაკუთრებით, როცა საუბარი ისეთ მძიმე და სერიოზულ დანაშაულზე, როგორც წამებაა.

პროკურატურის მისია სწორედ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა და დამნაშავეთა დასჯაა. იგი გამოძიების წარმმართველი და მასზე ზედამხედველი ორგანოა. ამასთან, სისტემიდან უნდა მოდიოდეს ნათლად გამოკვეთილი მესიჯი, რომ არც ერთი დანაშაული, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, დაუსჯელი არ დარჩება.

* * *

2007 წლის პირველ ნახევარში ისევ გამოიკვეთა სახალხო დამცველის მიერ პროკურატურაში გაგზავნილი მონიტორინგის ოქმების საფუძველზე არასრულყოფილი გამოძიების პრობლემა. სახალხო დამცველი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ მიმდინარეობდა საგამომიებო ორგანოებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულების სისტემაში დაფიქსირებულ სხეულის დაზიანების ფაქტებზე რეაგირების მოთხოვნით გაგზავნილი საქმეების გამოძიება. მონიტორინგის ოქმის მიღების შემდეგ გამომძიებელი თუ პროკურორი ხვდებოდა დაკავებულს (ბრალდებულს), ესაუბრებოდა მას, ამ ფორმით ამოწმებდა ოქმში მითითებულ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს და ადგენდა ოქმს, რომელშიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი უარყოფდა მის მიმართ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს. გამოძიება არ იწყებოდა და არ ტარდებოდა პროცესუალური მოქმედებები.

სახალხო დამცველმა 2006 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში მიუთითა აღნიშნულ პრობლემაზე, მაგრამ უშედეგოდ.

გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვას - „გასაუბრებას“ - როგორც საპროცესო მოქმედებას. ძალიან ხშირად საგამომიებო ორგანოები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმის ძიებას კი არ იწყებენ, არამედ ატარებენ ე.წ. „გასაუბრებას“ დაზარალებულთან. ასეთ დროს ადვილად შესაძლებელია, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა უარყონ მათზე განხორციელებული წამებისა და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გარკვეული გარიგების სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე, საფრთხე ექმნება წამებისა და

დირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას, რასაც ითვალისწინებს როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტები.

სახალხო დამცველმა 2007 წლის აგვისტოში ე.წ. „გასაუბრებასთან“ დაკავშირებით წერილი გაუგზავნა საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსსა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს. წერილში მითითებული იყო, რომ მცხეთა-თიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი, მიხეილ შაყულაშვილი პირადად შეხვდა დაკავებულ მერაბ ლომიძეს, რომელიც მიუთითებდა მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტზე და ზეპირად გაესაუბრა მას. პროკურატურიდან მიღებულ პასუხში არაფერია ნათქვამი გასაუბრებაზე. სახალხო დამცველს მხოლოდ ის ეცნობა, რომ პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ კანონშესაბამისი იყო (იხ. დანართი).

ამავე პრობლემაზე საქართველოს სახალხო დამცველი საუბრობდა 2006 წლის პირველი და მეორე ნახევრის მოხსენებებშიც, მაგრამ მდგომარეობა უცვლელია.

დაზარალებულად არ ცნობის პრობლემა

წინასწარი გამოძიების პროცესში კონკრეტულ პირთა დაზარალებულად ცნობის საკითხი სერიოზული პრობლემაა. პროკურატურისა და შსს-ს საგამოძიებო ორგანოებში ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის (დაზარალებულად ცნობა) არასწორი დეფინიცია და პრაქტიკაში მისი დამახინჯებული ფორმით გამოყენება. კერძოდ, მომხდარ ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყებისთანავე საგამოძიებო ორგანოების მიერ არ ხდება სათანადო პირების ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ იმ მოტივით, რომ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი დადგენილი არ არის - თითქოს, ჯერ უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები, რომლის შემდეგაც გადაწყდება, ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულს, რის მიხედვითაც გადაწყდება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა.

გამოძიების ორგანოს მიერ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასწორია. სსსკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს“. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, როგორც კი დაიწყება წინასწარი გამოძიება საქმეზე (მომხდარ ფაქტზე, სავარაუდოდ - დანაშაულებრივ ქმედებაზე), ავტომატურად უნდა მოხდეს სათანადო პირთა ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

ვინაიდან გამოძიების ორგანოს მიერ არ ხდება შესაბამისი პირების ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მათ არ ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ გამოძიების მიმდინარეობისას სსსკ-ის 69-ე მუხლით (დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები) დადგენილი უფლებებით, რაც, სსსკ-ის მე-18 მუხლიდან გამომდინარე (საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული), იწვევს გამოძიების ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენებას.

მსგავს ფაქტებზე დაწყებული გამოძიების დროს, გამოძიების ორგანო თავად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ უფლებამოსილმა პირებმა დასვან გამოძიების წინაშე კითხვები საქმეზე არსებულ საეჭვო გარემოებებთან დაკავშირებით და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით მიიღონ მათზე ადეკვატური პასუხები, რაც, საბოლოო ჯამში, მოხსნის უნდობლობას გამოძიებისადმი. იმავდროულად, თუ გამოძიების მსვლელობისას გაირკვევა, რომ არ არსებობს დაზარალებულად ცნობის საფუძველი, სსსკ-ის 68-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას (დადგენილებას), რომლითაც გააუქმებს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ

განჩინებას (დადგენილებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხი არ უნდა იყოს პრობლემატური გამოძიების ორგანოს მხრიდან (იხ. დანართი #3: მ.გოგოლაშვილის საქმე, გ.კუტალაძის საქმე).

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ პროკურატურა ხშირად სათანადოდ არ ასრულებს მასზე კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და დაკისრებულ მოვალეობას.

ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ბერკეტი სახალხო დამცველისათვის სწორედ მოპოვებული და შესწავლილი საქმის მასალების პროკურატურისთვის გაგზავნაა. თუმცა, ზოგჯერ, როცა აშკარად არ არსებობს მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენა ძალიან ძნელია. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებს, რაც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, ან ადამიანის უფლების კონკრეტულ დარღვევას მაღალი თანამდებობის პირის მიერ, ძალიან ძნელია ადეკვატური რეაგირების მიღწევა.

ყველაფერი ეს კი უარყოფითად მოქმედებს მართლმსაჯულების ხარისხზე, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტზე და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები

შესავალი

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეების მიმართ ძალის გამოყენების პრობლემა. მოქალაქეთა საჩივრები ძირითადად პოლიციის მიერ დაკავების დროს ძალის გამოყენებას ეხებოდა.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ საზოგადოების მოლოდინი ძალოვანი უწყებების მიმართ მკვეთრად გაიზარდა. მოსახლეობას გაუჩნდა იმედი, რომ მთავრობა თავისი ფუნქციების განხორციელებისას უფრო ჰუმანურ, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ მიდგომებს გამოიყენებდა. 2005 წლამდე პრობლემას დაკავებულის პოლიციის განყოფილებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში ცემა-წამება წარმოადგენდა, შემდეგ კი აღნიშნულმა პრობლემამ ქუჩაში გადაინაცვლა.

ცნობილია, რომ რეფორმები სახელმწიფო მმართველობის ყველა სექტორში მიმდინარეობს, მათ შორის, ძალიან აქტიურად - შს სამინისტროში. პოლიციის რეფორმა წარმატებულად ითვლება მაშინ, როცა ამ უწყების მთავარი მისია - დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში, შეამციროს დანაშაული და რეალურად დაიცვას ადამიანის უფლებები - ეფექტურად ხორციელდება.

არსებული მდგომარეობის ანალიზი/რეკომენდაციები

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი მიუთითებს, რომ პოლიცია მოვალეა, „მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“.

ამ მიზნის მისაღწევად, გარემონტდა და მატერიალურ-ტექნიკურად აღჭურვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შენობები. მოხდა სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია, მრავალრიცხოვანი ტრეინინგები ჩაუტარდათ პოლიციელებს, მოხდა თავად პოლიციელების აღჭურვა, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ პოლიცია ადამიანის უფლებათა რეალური დამცველი ყოფილიყო. მართალია, ყველა პოლიციელმა იცის, რომ არ უნდა ცემოს და აწამოს ადამიანი, მაგრამ მთავარია, ფუნქციონირებდეს პრევენციის ქმედითი მექანიზმები და გამოძიებისა და დასჯის ეფექტური სისტემა.

პოლიციის მიერ ძალის გამოყენება გლობალური პრობლემაა და საქართველო გამონაკლისი არ არის.

პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებულად გამოყენება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- პოლიტიკური ნების არარსებობით;
- არასათანადო კონტროლით თანამშრომელთა ქმედებებზე;
- პოლიციელების ფსიქოლოგიური განწყობით (მიდრეკილებით აგრესიისკენ);
- სპეციალური განათლების დეფიციტით;

პოლიტიკური ნება

ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი ბერკეტი სახალხო დამცველისათვის არის საპარლამენტო მოხსენებები და წინადადებითა და რეკომენდაციებით მიმართვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისადმი. როცა არ არსებობს მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენა და ადეკვატური შედეგის მიღწევა ძალიან ძნელია. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სისტემურ დარღვევებს ან ადამიანის უფლებების კონკრეტულ დარღვევას მაღალი თანამდებობის პირის მიერ, რაც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია.

მაგალითად, 2007 წელს სახალხო დამცველმა გამოიძია შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსთან, ირაკლი კოდუასთან დაკავშირებული ფაქტი. კერძოდ: 2007 წლის 18 თებერვალს, ღამის 3 საათზე ირაკლი კოდუას მეგობარს, ნატოს საინფორმაციოს ცენტრის უფროსს ნანუკა ჟორჯოლიანს მობილურ ტელეფონზე დაურეკა ერთმა ახალგაზრდა კაცმა. ამ ფაქტის გამო ირაკლი კოდუას ბრძანებით დააპატიმრეს ტელეფონის პატრონი ლაშა ხურგუანი და მასთან ერთად სამარშრუტო მიკროავტობუსში შემთხვევით მყოფი ორი ახალგაზრდა – ძმები გოჩა და ხვიჩა მილდიანები, რომლებიც, რატომღაც, პოლიციელებმა ხორგუანის მეგობრებად მიიჩნიეს.

იმისათვის, რომ შეექმნათ დაკავების კანონიერი საფუძველი, პოლიციამ შექმნა ყალბი დოკუმენტი, თითქოს ამ სამი პირის მონაწილეობით არსებობდა „კარგად ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფი“. დაკავების შემდეგ გააფორმეს, თითქოს დაკავებულებს ჰქონდათ დიდი რაოდენობით ნარკოტიკი და 3 ყუმბარა და თითქოს მათ დაკავების დროს პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დაკითხეს დაკავების მოწმე 6 პირი – მიკროავტობუსის მძღოლი და 5 მეზავრი და ყველამ დაადასტურა, რომ ჩხრეკის დროს დაკავებულ პირებს არც ნარკოტიკი ჰქონიათ და არც იარაღი და მათ პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. დაკავების შემდეგ ამ 3 პირს ნარკოტიკი გაუკეთეს.

როცა პოლიციამ გაარკვია, ძმები მილდიანები შემთხვევით იყვნენ დაკავებული, ისინი 2 დღეში გაათავისუფლეს, თუმცა ფალსიფიცირებული დოკუმენტები ადარ შეცვალეს და სასამართლომ ორივეს დაუდგინა ნარკოტიკის მოხმარება, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაცა და ნარკოტიკის გადაზიდვაც, ხოლო ერთ-ერთ ძმას ყუმბარების ქონაც. შესაბამისად, ერთი ძმის დანაშაულისთვის სანქცია 17 წელს აღწევდა, მეორისა – 25 წელს.

იმ ფონზე, როცა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ორ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და ბრძოლა ნარკომანიისა და ნარკოტიკების გამსაღებლების წინააღმდეგ, გამოძიებაც,

პროკურატურაც და სასამართლოც უპრეცედენტო ღმობიერებას იჩენენ და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებსა და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს მინიმალურ სასჯელს უფარდებენ – თითოეულს 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთას, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმას – სამ-სამი ათას ლარს.

მესამე პირი – ტელეფონის ავტორი – მხოლოდ 2 თვის შემდეგ გაათავისუფლეს 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთითა და დამატებით სასჯელად ხუთიათასი ლარის ოდენობის ჯარიმით, მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ მართალია, ზარი მისი ტელეფონიდან იყო გაშვებული, მაგრამ ზარის გამშვები სხვა იყო. ეს ყველაფერი დოკუმენტურად არის სახალხო დამცველის მიერ დამტკიცებული, თუმცა იმედი, რომ გამოძიება იმავს დაადასტურებს, ნაკლებია (იხ. მილდიანებისა და ხორგუანის საქმე).

სამინისტროს საქმიანობაზე კონტროლს პარლამენტი ახორციელებს. იქიდან გამომდინარე, რომ სამართალდამცავი პირების მიერ თითოეული პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უმიზეზოდ შექმნილი საფრთხე აღქმული უნდა იყოს, როგორც მთლიანად ქვეყნის სტაბილურობისთვის შექმნილი საშიშროება, პარლამენტმა თავის მხრივ, უნდა მოახდინოს რეაგირება შსს თანამშრომელთა მიერ უფლება დარღვევებზე.

არასათანადო კონტროლი თანამშრომელთა ქმედებებზე

საერთაშორისო გამოცდილება უჩვენებს, რომ იმ პირობებშიც კი, როცა სახელმწიფოს ნება ძალის გადამეტებული გამოყენების პრევენციისთვის გამოხატულია, საზოგადოებას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მაინც უჩნდება პრეტენზიები.

ძალოვანი უწყებების მხრიდან ძალის გადამეტებული გამოყენების პრევენციისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია უკუგებისა და კონტროლის ობიექტური, ქმედითი მექანიზმის არსებობა. ამ მიზნით შს სამინისტროს ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს:

1. *სამსახურში მიღების დროს ეფექტური შერჩევის ჩატარება.* გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ მიუთითებს, რომ „პოლიციელების შერჩევა უნდა მოხდეს სათანადო შემოწმების შემდეგ. ფუნქციათა ეფექტურად განსახორციელებლად პიროვნებას უნდა გააჩნდეს მაღალი მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მონაცემები და მიიღოს ხანგრძლივი და საფუძვლიანი პროფესიული წვრთნა. დაკისრებული მოვალეობების შესრულების უნარი პერიოდულად უნდა გადამოწმდეს“.
2. *წინასწარი გამოძიების დროს ეფექტური თანამშრომლობა.*
3. *კონტროლის გამკაცრება შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მუშაობის დროს ორმაგი სტანდარტების გამოყენებაზე.*
4. *უწყვეტი მონიტორინგის მექანიზმები.* ძალის გადამეტებული გამოყენების კონტროლის მიზნით სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, საპატრულო მანქანებზე ან ოპერაციის ხელმძღვანელი პოლიციელების

უნიფორმაზე ვიდეო კამერების დამონტაჟება, რომელიც მოახდენს პოლიციის და საზოგადოების ურთიერთქმედების ვიდეო დოკუმენტირებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ამ გზით მოპოვებული ვიდეო მასალა უნდა ინახებოდეს საკმარისად ხანგრძლივად იმისათვის, რომ უფლებამოსილმა დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ მისი გამოყენება (ეს მეთოდი აშშ-ში კარგად აპრობირებულია).

შესაძლებელია, ზემოაღნიშნულს მთავრობის მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვეს და დიდი ფინანსურ რესურსებზე მიუთითონ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რის მიმართაც არსებობს პოლიტიკური ნება (მაგ. სათვალთვალო კამერები), თანხები აუცილებლად მოინახება. საზოგადოების უსაფრთხო მოძრაობა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლე და უფლებები.

პოლიციელების ფსიქოლოგიური განწყობა (მიდრეკილება აგრესიისკენ)

ძალის გადამეტებული გამოყენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, საერთაშორისო გამოცდილებით, თანამშრომლების ფსიქოლოგიური მდგომარეობა სახელდება. პრევენციისთვის მნიშვნელოვანია უწყებაში თანამშრომლებისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისის დანერგვა. ასეთი მომსახურება საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს, თავიდან იქნას აცილებული და გამოსწორდეს პოლიციელების მხრიდან ძალადობა.

სერვისი თანამშრომლებს დაეხმარება, დაიცვან გადამეტებული ძალის გამოყენებლობის პრინციპი მუშაობის პროცესში მიღებული სტრესისა და არასტანდარტული მდგომარეობების დროსაც კი.

სპეციალური განათლების დეფიციტი

ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა 2001 წლის ვიზიტის შემდეგ საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია პოლიციელთა სამსახურში მიღებისა და პროფესიული წვრთნის შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ საჭიროა ადამიანის უფლებათა კონცეფციის პრაქტიკულ პროფესიულ ტრეინინგთან ინტეგრაცია, განსაკუთრებით რთული სიტუაციების მართვის სფეროში (პარაგრაფი 22).

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს შს სამინისტრომ გაიზიარა და პოლიციის თანამშრომლები მომზადდნენ თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით. ამის მიუხედავად, პოლიციელებისათვის ხშირად პრობლემას წარმოადგენს რთული სიტუაციების ოპერატიულად მართვა და ძალის გადამეტებული გამოყენება, რაზეც სახალხო დამცველის მოხსენებებში არაერთხელ იქნა ყურადღება გამახვილებული.

დასკვნა

პოლიციის რეფორმის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი საზოგადოებისთვის, რაც ნიშნავს, რომ ის რეალურ ცხოვრებაში, მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობასა და შინაარსში, სხვადასხვა ორგანიზაციების მოხსენებებსა თუ საზოგადოების განწყობაში უნდა აისახებოდეს.

ამავე დროს, პოლიციის რეფორმა მიმართული უნდა იყოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და საზოგადოების ინტერესების უფრო ფართო გათვალისწინებისკენ.

რეპრესიული და ძალადობრივი სისტემა დანაშაულის პრევენციის განმახორციელებელმა და ადამიანის უფლებათა დამცველმა ინსტიტუტმა უნდა შეცვალოს.

სათვალთვალო კამერები და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

მ/წ 13 აპრილს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციასა და ქალაქ თბილისის მერიაში გაიგზავნა წერილები, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას, რამდენად ხდება საზოგადოების ინფორმირება იმ ადგილების (ქუჩები, სკვერები ა.შ) არეალის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს სათვალთვალო კამერების მეთვალყურეობის ობიექტს. არსებობს თუ არა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც წყვეტს სათვალთვალო კამერების დამონტაჟების კანონიერებას იმისათვის, რომ კამერებით თვალთვალი განხორციელდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

მ/წ 13 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ქალაქ თბილისის მერის მოადგილის, დავით ალავიძის პასუხი, ხოლო მ/წ 14 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის წერილი. ორივე მათგანში აღნიშნულია, რომ თითოეულ კამერასთან დამონტაჟებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი.

დამოუკიდებელი ორგანოს შესახებ არც ერთ წერილში არ არის მითითებული. ამგვარი ორგანო საერთოდ არ არსებობს. რაც შეეხება გამაფრთხილებელ ნიშანს, ვიდეო თვალთვალის ყველა პერიმეტრზე მათი სრული დამონტაჟება განხორციელდა მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის წერილი იქნა გაგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციაში.

სახალხო დამცველი მიესალმება ტრანსპორტის სამომრავო ადგილებში სათვალთვალო კამერების დამონტაჟების ფაქტს. კამერები უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას. ამავე დროს წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე. მიუხედავად ამისა, სათვალთვალო კამერების ფუნქციონირება უნდა დაექვემდებაროს გარკვეულ მოთხოვნებს, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა.

გამაფრთხილებელი ნიშნის დამონტაჟება და დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა რეკომენდირებულია 2007 წლის 11 ივლისის სამართლის მეშვეობით კანონის უზენაესობის განმტკიცების თაობაზე ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის („ვენეციის კომისიის“) საჯარო განცხადებით. დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ვიდეო თვალთვალის დამონტაჟების კანონიერებას შეისწავლის, მიჩნეულია ადამიანის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს მიერ თვითნებური ჩარევისაგან დაცვის გარანტიად. ვიდეო თვალთვალის კანონიერების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის არარსებობით, საქართველო არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღებული ვალდებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ფექი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ დაადგინა შემდეგი: სათვალთვალო კამერის ჩანაწერის განსაჯაროება, რომელიც სცილდება უბრალო გამვლელის, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის დაკვირვების სფეროს, იმ ხარისხით, რასაც წინასწარ ვერ განჭვრეტს განსაჯაროების ობიექტი, კერძოდ პირადი ცხოვრების (დეპრესიის) ამსახველი სცენების ჩვენება ტელე-ეთერით და სხვა მედია საშუალებებით, არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. კომპეტენტურმა საბჭომ, რომელმაც პიროვნების სახის დაფარვის გარეშე ზემოხსენებული ჩანაწერის გაავრცელების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, სერიოზულად შეზღუდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. გარდა ამისა, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებზე სათვალთვალო კამერის გამოყენება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის (თავისუფალი გადაადგილების უფლება) დაცვის სფეროში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გოლდერის საქმეში განაცხადა, რომ არ არსებობს საფუძველი ეჭვი იქნეს შეტანილი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საჭიროებაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით კომპეტენტურ ორგანოს მიანიჭოს უფლებამოსილება, შეაგროვოს და შეინახოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო და სხვებისთვის ხელმისაწვდომი. ამ დროს, სახელმწიფოს გააჩნია შეფასების ფართო ზღვარი. თუმცა ასეთი ჩარევა უნდა იყოს პროპორციული. უბრალოდ დანაშაულის თავიდან აცილების მიზანმა არ შეიძლება განაპირობოს სათვალთვალო კამერების დამონტაჟება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უშიშროებისაკენ მიმართული პირდაპირი საფრთხე და სერიოზული დანაშაულის ჩადენის რისკი. ამისათვის დაშვებულია შერჩევითი თვალთვალის სისტემა, როდესაც შეიძლება გამართლებული იქნას ჩარევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და გადაადგილების თავისუფლებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კიდევ ერთი სტანდარტი: უნდა იყოს ცნობილი ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა (პერი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). ამის გარდა, სათვალთვალო კამერით მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნეს სპეციფიკური და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. დაუშვებელია აღნიშნული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენება. არ შეიძლება აღნიშნული მონაცემების გავრცელება, თუკი საფრთხე ექმნება გამოძიების, უსაფრთხოების დაცვის და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ვიდეო თვალთვალის სისტემის გამოყენება უნდა ხდებოდეს ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. მაგალითად ნიდერლანდებში არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვის კომისია, რომელიც ზედამხედველობს ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას. ნებისმიერი ისეთი მონაცემი, რომელიც არ ექვემდებარება შეგროვებასა და დამუშავებას, უნდა ეცნობოს კომისიას.


დამოუკიდებელი ორგანოს არ არსებობით ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

**სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი
მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში,
ასევე თავდაცვის სისტემაში არსებულ ჰაუპტვახტებში
განხორციელებული მონიტორინგის მონაცემები 2007 წლის
პირველი ნახევრის (იანვარი-ივნისი) მდგომარეობით**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფი 2007 წელსაც ინტენსიურად ახორციელებს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილებების შემოწმებას. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18-19 მუხლების თანახმად „საქართველოს სახალხო დამცველი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამოწმებს აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას; შემოწმების ჩატარებისას სახალხო დამცველს, ხოლო სახალხო დამცველის მოადგილეს და აპარატის თანამშრომლებს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით, უფლება აქვთ დაუბრკოლებლად შევიდნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში.....“ შესაბამისად სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მოიცავს დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ ქცევის წესების რეგულარულ შემოწმებას, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან დაკავებულების დაცვის გაძლიერებას; ასევე, თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის რეკომენდაციების წარდგენას. სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტში არსებული მონიტორინგის ჯგუფის მიერ შსს დროებითი მოთავსების იზოლატორების და პოლიციის განყოფილებების შემოწმება გვეხმარება გავარკვიოთ თუ რამდენად ხორციელდება როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა, კერძოდ კი პატიმართა და დაკავებულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით, რათა შემდგომ სახალხო დამცველმა, კანონის შესაბამისად, მოახდინოს რეაგირება. ამასთანავე, აღნიშნული აქტივობები პრევენციულ მიზანსაც ემსახურება.


2007 წლის იანვარი-ივნისის თვეებში სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა თბილისის მასშტაბით შსს დროებითი მოთავსების იზოლატორსა და პოლიციის განყოფილებებში განახორციელა სულ **380 ვიზიტი**. ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა მარტისა და აპრილის თვეებში დაფიქსირდა - 71 ვიზიტი, ხოლო მინიმალური კი - თებერვალში 33 ვიზიტი.

2007 წლის ინვარიდან ივნისის ჩათვლით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული 380 ვიზიტის შედეგად დაფიქსირდა ადამიანის უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა 97 ფაქტი, მაშინ როდესაც 2006 წლის პირველი ნახევარის მონაცემებით ადამიანის უფლებათა დარღვევის საერთო რაოდენობა შეადგენდა 384-ს, ხოლო 2006 წლის მეორე ნახევარში 150-ს, სულ 534. ამდენად, 2006 წლის პირველ ნახევართან შედარებით ადამიანის უფლებათა დარღვევის რიცხვმა იკლო სამჯერ.

დაკავებულ პირთა უფლებების და პროცედურული დარღვევების საერთო რაოდენობა 2005-2006-2007 I-VI წლების მიხედვით




მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ 2005 წელს მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა დაკავებულთა უფლებების და პროცედურული დარღვევების 1658 შემთხვევა, 2006 წელს აღნიშნულმა რიცხვმა იკლო და შეადგინა 534 შემთხვევა, ხოლო 2007 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა 97 ფაქტი, რაც უცილობლად დადებითი ცვლილებაა და დარღვევების რადიკალურ კლებაზე მიუთითებს.


დაკავებულის უფლებათა დარღვევის მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა ივნისში - 30 ფაქტი, ხოლო მინიმალური კი იანვარში - 9 შემთხვევა.


მონიტორინგის ჯგუფმა დროებითი მოთავსების იზოლატორში და პოლიციის განყოფილებაში მონახულა 1287 დაკავებული, რაც უკვე აღემატება 2006 წლის განმავლობაში მთლიანად მონახულებულ დაკავებულ პირთა რიცხვს - 1012. საგულისხმოა, რომ 1287 დაკავებულის გარეგნული დათვალიერებით 194 პირს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, ხოლო მათი გამოკითხვის შედეგად მხოლოდ 14-მა პირმა განაცხადა, რომ დაზიანებები მიღებული ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკური ზეწოლის შედეგად.

ფიზიკური დაზიანებების მქონე პირთა რაოდენობა თვეების მიხედვით



1287 დაკავებულიდან, მხოლოდ 31 აცხადებდა უფლებების დარღვევის შესახებ, აქედან 14 დაკავებული მიუთითებდა ფიზიკურ ზეწოლაზე, ხოლო დანარჩენი 17 კი მიუთითებდა, როგორც პოლიციის მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე - 11 ფაქტი, ასევე, ექვმიტანილად ცნობის დადგენილების ჩაუბარებლობაზე - 4 ფაქტი; 5 შემთხვევაში არ მიეცათ განმარტება უფლებების შესახებ; 1 შემთხვევაში არ მიეცათ ტელეფონით დარეკვის საშუალება, 17 შემთხვევაში არ განემარტათ ადვოკატის აყვანის უფლება, დაკავებულთა გადმოცემით 19 შემთხვევაში არ გაკეთდა შეტყობინება ოჯახის წევრებთან დაკავების შესახებ, 15 შემთხვევაში არ განემარტათ დუმილის უფლება, ხოლო 11 შემთხვევაში დაფიქსირდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევა.





2007 წლის იანვარი-ივნისის თვეებში მონიტორინგის შედეგად დაკავებულთა შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის არ არსებობის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

2007 წლის იანვარი-ივნისის თვეში მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა და აღრიცხა 1287 დაკავებული, აქედან 1221 იყო მამაკაცი, 69 ქალი, 70 არასრულწლოვანი ვაჟი, 5 არასრულწლოვანი გოგონა და 38 დაკავებული ეკუთვნოდა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს.

2007 წლის პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი) სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ პოლიციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა	I	II	III	IV	V	VI	ჯამო
დარღვევის ტიპი							
აღნიშვნება ფიზიკური დაზიანებები	19	22	40	28	44	41	194
აღიარებს, რომ აღბილი ჰქონდა ფიზიკ. ზეწოლას		3	2	3	3	3	14
ამბობს, რომ აღბილი ჰქონდა ფსიქ. ზეწოლას		3	2	2	2	2	11
არ ჩაბარდა ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება		3	1				4
არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ	2	1			2		5
არ მიეცა ტელეფონით დარღვევის საშუალება				1			1
არ განემართა აღვოკატის აყვანის უფლება	2	3	5		1	6	17
არ არის რეპისტრირ. სარეპისტრაც. ჟურნალში							
არ გაკეთდა შეტყობინება დაკავების შესახებ	3	3	5	1	1	6	19
არ განემართა ღუმლის უფლებების შესახებ	2	3	4		2	4	15
არ გადაეცა დაკავებულთა უფლებების ნუსხა							
დაუძიებელი დარღვევა					2	9	11

მომნივანი / უფლებადარღვეული	4	3	6	3	8	7	31
დარღვევათა საერთო რაოდენობა	9	19	19	7	13	30	97
ქალი	8	11	9	12	9	20	69
კაცი	174	126	225	201	229	266	1221
არასრულწლოვანი ბოზონა				4		1	5
არასრულწლოვანი ვაჟი	13	8	11	12	17	9	70
ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი	4	3	6	9	7	9	38
სულ დაკავებულია რაოდენობა დღე-ღამის განმავლ.	182	137	234	212	236	286	1287
გეობრაზია (მიუთითეთ განყოფილებების რაოდენობა)							
თბილისის ქალაქის სამმართველო	8	5	8	7	8	8	44
ბლანო-ნაპალაღვი	22	4	22	24	22	14	108
დიღუბა-ჩუღურეთი	9	3	6	4	6	8	36
ვაკე-საბურთალო	12	5	7	10	16	10	60
ქველი თბილისის	7	5	9	8	2	11	42
ისანი-სამგორი	12	11	19	18	13	17	90
სულ ვიზიტების რაოდენობა	70	33	71	71	67	68	380

2007 წლის პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი) მონიტორინგის ჯგუფის მიერ საქართველოს რეგიონებში განხორციელებული ვიზიტების დროს გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა.

სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს მონიტორინგის განხორციელებას საქართველოს რეგიონებში. 2007 წლის პირველ ნახევარში მთელი საქართველოს მასშტაბით რეგიონების შსს რაიონულ განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა **408 ვიზიტი**. ვიზიტების დროს მონახულებულ იქნა **371 დაკავებული**. მონიტორინგის ჯგუფმა დააფიქსირა 49 ადამიანის უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა ფაქტი, მათ შორის ადამიანის უფლების დარღვევის 24 შემთხვევა, ხოლო პროცედურული დარღვევის 25 შემთხვევა. **12 დაკავებულს** აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანების ნიშნები, ხოლო აქედან მხოლოდ **2 აღიარებდა**, რომ მასზე განხორციელდა პოლიციის მხრიდან ფიზიკური ზეწოლა.

მონიტორინგისას დაკავებულებთან გასაუბრებისას 2 აღიარებდა, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, 2-ს არ განუმარტეს ადვოკატის აყვანის უფლება, 1 შემთხვევაში არ გაკეთდა შეტყობინება ოჯახის წევრებთან დაკავების შესახებ, 2 დაკავებულს არ განემარტა დუმილის უფლება და დაფიქსირდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევის 3 შემთხვევა.

პროცედურული დარღვევიდან დაფიქსირდა 2 შემთხვევა, როდესაც არ არსებობდა რეგისტრაციის ჟურნალი, ხოლო დანარჩენ 22 შემთხვევაში რეგისტრაციის ჟურნალში ხდებოდა არასწორი ან არასრული ჩანაწერების წარმოება.

371 დაკავებულიდან 355 იყო მამაკაცი, 3 ქალი, 18 იყო არასრულწლოვანი ვაჟი და 26 პირი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.


მონახულებული დაკავებულებიდან მხოლოდ 2 პირი ჩიოდა მისი უფლებების დარღვევის გამო.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა	I	II	III	IV	V	VI	ჯამი
დარღვევის ტიპი							
აღნიშნება ვიზიკური დაზიანებები	2	3	1	2	3	1	12
აღიარებს, რომ აღბილი ჰქონდა ვიზიკურ ზეწოლას			1		1		2
ამბობს, რომ აღბილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას			1		1		2
მას არ ჩაბარდა ექვმიტანილად ცნობის დადგენილება							0
არ მიეცა ბანმართება უფლებების შესახებ							0
არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება							0
არ ბანმართა აღვოკატის აყვანის უფლება			1		1		2
არ არის რეგისტრირებული სარეგისტრაციო ქურნაღში							0
არ ბაკეიღა შეტყობინება დაკავების შესახებ			1				1
არ ბანმართა ღუმიღის უფლების შესახებ			1		1		2
არ ბადამცა დაკავებულთა უფლებების ნუსხის ასლი							0
ღავიქსირღა აღმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევა						3	3
სულ აღამიანის უფლების დარღვევა (რაღენობა)	2	3	6	2	7	4	24
რეგისტრაციის ქურნაღი არ არსებობღა	1					1	2
აღმოჩენიღი იყო ორი ან მეტი რეგისტრაციის ქურნაღი							0
ღავიქსირღა ქურნაღში არასწორი/არასრული რეგისტრაცია	1	1	6	5	6	3	22
პოღიცის თანამგრომღებმა ბაწიღს წინააღმღებობა	1						1
სულ პროცედურული დარღვევა	3	1	6	5	6	4	25
დარღვევათა საერთო რაღენობა	5	4	12	7	13	8	49
მოგზივანი / მსხვერპლი / უფლებაშელასული			1		1		2
ქალი		1		2			3
კაცი	64	40	60	59	47	85	355
არასრულწლოვანი ვაწი	1		1	4	10	2	18
ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი		4	5	8	5	4	26
დაკავებულთა რაღენობა დღე-ღამის ბანმავღობაში	64	41	60	61	60	85	371
ვიზიტების (ბანყოვიღებების) რაღენობა	79	48	72	64	67	78	408


უნღა აღინიშნოს, რომ 2006 წელთან შედარებით 2007 წელს მონიტორინგის ჯგუფი უფრო ინტენსიურად ახორციელებს საქართველოს რეგიონებში პოღიცის განყოფილებების და დროებითი მოთავსების იზოღატორების მონიტორინგს, რაზეც

მეტყველებს 2006 წელს ვიზიტების რაოდენობა, რამაც მთელი წლის განმავლობაში 426 შეადგინა, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა 123 ვიზიტი, რაც თითქმის ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე 2007 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობისა, ხოლო, მთლიანად, 2006 წელს განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა თითქმის იგივეა, რაც 2007 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ვიზიტებისა.

2006-2007 (იანვარი-ივნისი) წლებში რეგიონებში მონიტორინგის განხორციელების დროს ვიზიტების პროცენტული მაჩვენებელი.



2006 წელს რეგიონებსი ადამიანის უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა საერთო რაოდენობა შეადგენდა 176-ს, აქედან 123 შემთხვევა 2006 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა, რაც 2,5-ჯერ აღემატება 2007 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირებულ ადამიანის უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა რაოდენობას. შესაბამისად სახეზე გვაქვს რეგიონებში წინასწარი დაკავების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში ადამიანის უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა ფაქტების საგრძნობი კლება.



ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მასშტაბით განხორციელებულ მონიტორინგის შედეგებისგან განსხვავებით, სადაც პროცედურული დაღვევები (დაკავებულთა რეგისტრაციის ჟურნალში არასწორი ან არასრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის ჟურნალის არ არსებობა), არ დაფიქსირებულა, რეგიონში დაფიქსირდა სულ 25 პროცედურული ხასიათის დარღვევა, აქედან 22 შემთხვევა ეხებოდა პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციის მიერ დაკავებულთა რეგისტრაციის ჟურნალში არასწორ ან არასრულ რეგისტრაციას.

პოლიციის განყოფილებების ტექნიკური

მდგომარეობის მონიტორინგი

როგორც ზემოდ აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები რეგულარულად ახორციელებენ პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. რეგიონებში ჩატარებული დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგისას გამოვლინდა არაერთი დარღვევა და პრობლემა, რაც საფუძვლიან შესწავლას და გადაწყვეტას საჭიროებს. საყურადღებოა დროებითი მოთავსების იზოლატორების (რომლებიც რაიონებში შს განყოფილებების შენობაშია განთავსებული) ტექნიკური მდგომარეობა. მართალია, ზოგიერთ შენობას ჩაუტარდა რემონტი და შედარებით გაუმჯობესდა პირობები, მაგრამ თითქმის არც ერთ იზოლატორში არ არის საშხაპე, სამედიცინო ოთახი, მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობის და სავენტილაციო სისტემა. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს დაკავებულთა კვებით უზრუნველყოფისა და გათბობის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს ახლობლები ვერ აწვდიან საკვებს, დმი-ის თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან საკუთარი ხარჯებით გამოკვებონ ისინი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში აღნიშნული კეთილი ნების გამოვლენა თანამშრომელთა მხრიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხდება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირთათვის, რომელთაც ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა.

2006 წლის დეკემბრის თვეში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების უდიდესი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია: შენობები დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს, მოშლილია საკანალიზაციო, სავენტილაციო და გათბობის სისტემები, საკნებსა და საგამოძიებო ოთახებში ჩამოდის წყალი, ჩამსხვრეულია მინები, საკნები არ თბება, არ არის ნარები და დაკავებულებს ხშირად იატაკზე უწევთ დაძინება.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში პრობლემატურია დაკავებულთა კვების საკითხიც. კანონის თანახმად, პირმა დროებითი მოთავსების საკანში არ უნდა დაჰყოს 72 საათზე მეტი (აქედან 48 საათი, როგორც ექვმიტანილმა და 24 ბრალდებულის სტატუსით). ამ ხნის განმავლობაში მისი კვება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მძიმე პირობები და ანტისანიტარია იქ მყოფი დაკავებული პირების ადამიანურ ღირსებას ლახავს და არღვევს ადამიანის უფლებებს.

რაც შეეხება **თბილისის** დროებითი მოთავსების იზოლატორს, მოხდა მისი კოსმეტიკური გარემონტება, რამაც იქ არსებული ტექნიკური მდგომარეობა ვერ გამოასწორა. პრობლემატურია ბუნებრივი ვენტილაცია, არ მოდის წყალი და საწოლის ნაცვლად გამოიყენება ფიცარნაგები. შეზღუდულია ასევე გასაღებების უფლება. მითითებული მძიმე პირობები, განსაკუთრებით აუტანელია ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირებისათვის, რომლებსაც 30 დღემდე უწევთ გაუსაძლის პირობებში ცხოვრება. საგულისხმოა შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული წესით დაკავებულ ერთ-ერთ პირს აღნიშნულ დაწესებულებაში არ ეძლეოდა ოპტიკური სათვალთ სარგებლობის უფლება და პრობლემა მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ მოიხსნა.

ტყიბულის რაიონის დროებითი მოთავსების იზოლატორში ცხრა საკნიდან გამოსაყენებლად ვარგისია მხოლოდ სამი. დანარჩენი ხუთი ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო ერთ საკანში ინახება სხვადასხვა საგნები. შენობას დაზიანებული აქვს ჭერი და იატაკი, არ არის აბაზანა, საპირფარეშო გაუმართავ მდგომარეობაშია და საჭიროებს რემონტს, არ არსებობს პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობები. მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობის, გათბობისა და სავენტილაციო სისტემა. უმეტეს შემთხვევაში დაკავებულთა წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება იზოლატორის თანამშრომელთა მიერ. სანიტარული მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

შსს-დან მიღებული ინფორმაციით, **მარნეულის** დროებითი მოთავსების იზოლატორს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, თუმცა არის სამი საკანი, სადაც არ არის ფანჯრები, რის გამოც ვერ ხერხდება ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი.

დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის ოთხი საკანი. საკნებში არ არის გათბობა და სავენტილაციო სისტემა. საკნები ნათდება შესასვლელი კარის ზემოთ დამონტაჟებული ნათურებით. იზოლატორს არ გააჩნია ნორმალური საპირფარეშო, არ არის საშხაპე. გარდა ამისა, იზოლატორში, ისევე როგორც პოლიციის შენობაში, არ მოდის წყალი. იზოლატორი საჭიროებს რემონტს.

გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის ხუთი საკანი. საკნები არ თბება, საკნების ფანჯრებზე არ არის ჩასმული მინები, რის გამოც სიცივეა; არ არსებობს სავენტილაციო და საშხაპე სისტემები; საკნები ნათდება შესასვლელი კარის ზემოთ დამონტაჟებული ნათურებით, რაც არასაკმარისია განათებისათვის. იზოლატორს ესაჭიროება რემონტი.

შსს-დან მიღებული ინფორმაციით, **გარემონტდა ქუთაისის** დროებითი მოთავსების იზოლატორები, რის შემდეგაც აქ არსებული ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მონიტორინგის განხორციელებისას ყურადღება მიიქცია სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთა სიმრავლემ. დმი-ში ყოველდღიურად აღნიშნულ პირთა რაოდენობა ხუთიდან შვიდამდე მერყეობს. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში პატიმართა რიცხვმა ჩვიდმეტს მიაღწია. თითქმის ყველა მათგანს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შექმნა ან შენახვა, ან და ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე) გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰქონდათ ოცდაათ დღიანი პატიმრობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დმი-ში 4 საკანია, აქედან ერთი, ავარიული მდგომარეობის გამო, გამოსაყენებლად უვარგისია. დანარჩენ სამ საკანში მაქსიმუმ 13 პირის მოთავსებაა შესაძლებელი. სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში საკნების გადატვირთულობის პრობლემა მწვავედ დგას იმის გამო, რომ იქ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა გარდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებსაც ათავსებენ.

სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დროებითი მოთავსების იზოლატორის დათვალიერების, დმი-ის თანამშრომელთა განმარტებითა და პატიმართა მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ დმი საჭიროებს რემონტს. არ არის სააბაზანო ოთახი, პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობები. მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობის, გათბობისა და სავენტილაციო სისტემები. დაზიანებულია ფიცარნაგის ფიცრები, სადაც პატიმრები თითქმის მთელი დღის მანძილზე წვანან. ადმინისტრაციას არა აქვს ლეიბები და თეთრეული. ასევე, ვერ ხდება პატიმრების საკვებით უზრუნველყოფა და იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს ახლობლები ვერ აწვდიან საკვებს, დმი-ს თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან საკუთარი ხარჯებით გამოკვებონ ისინი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული კეთილი ნების გამოვლენა თანამშრომელთა მხრიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, პატიმრებს სახდელის მოხდა ფაქტობრივად არაადამიანურ პირობებში უწევთ.

სამტრედიის შს რაიონული განყოფილება არ წარმოადგენს გამონაკლისს. მსგავსი პრობლემები არსებობს სხვა რაიონების შს განყოფილებებშიც. მართალია, ზოგიერთ რაიონულ განყოფილებას და დმი-ს შენობას ჩაუტარდა რემონტი, მაგრამ ჰიგიენის დაცვის კუთხით არც იქ გვხვდება სახარბიელო მდგომარეობა (არ არსებობს სააშხაპეები).

გასათვალისწინებელია, რომ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) რეკომენდაციის მიხედვით, ციხეში არსებული ყველა ქმედება და მომსახურება გაუარესდება, თუ ადმინისტრაციას მოეთხოვა მოემსახუროს უფრო მეტ პატიმარს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია. მართალია, აღნიშნულ რეკომენდაციაში საუბარია სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე, თუმცა ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორი გვევლინება ის დაწესებულებად, სადაც ისინი შეფარდებულ სახდელს - დაპატიმრებას იხდიან,

ამდენად აღნიშნული რეკომენდაცია თავისუფლად ესადაგება დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებულ მდგომარეობას.

საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ათავსებენ ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენისთვის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით პატიმრობაშეფარდებულ პირებს. წევრ სახელმწიფოთათვის „ციხის ევროპული წესების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის #რ(87)3 რეკომენდაციის 99-ე პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც კანონით დაშვებულია დაპატიმრება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, ნებისმიერი არა-სისხლის სამართლის პროცესზე დაყრდნობით, ასეთი პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ იმაზე მეტ შეზღუდვებსა და სიმკაცრეს, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო განთავსებისა და წესრიგის დაცვისთვის. მათდამი მოპყრობა არ უნდა იყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობაზე უარესი.

განათება-ვენტილაციასთან დაკავშირებით გაეროს პატიმრებთან მოპყრობის ”მინიმალური სტანდარტული წესების” მე-11 წესის მიხედვით: დაწესებულებებში, რომლებშიც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: (ა) ფანჯრები უნდა იყოს ისეთი ზომის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; (ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის ადგენს, რომ ჰაერისა და საკმარისი განათების უქონლობა ქმნის დამამცირებელი მოპყრობის პირობებს. ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ თითოეული პატიმრის შემთხვევა ცალ-ცალკე, რათა დადგინდეს, გამართლებულია თუ არა უსაფრთხოების ზომები ცალკეულ შემთხვევაში და თუ ასეთი ზომების მიღება საჭიროა, პატიმრები უნდა უზრუნველყონ საჭირო ჰაერთა და შუქით. და ბოლოს, ასეთი პირობების უქონლობა ისეთი დაავადების გავრცელების საფუძველია, როგორცაა ტუბერკულოზი.”

ასევე, პატიმრებთან მოპყრობის გაეროს „მინიმალური სტანდარტული წესების (წესი მე-20 და 26-ე) თანახმად, „პატიმრები ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭმელად ვარგისი, ჯანმრთელობისათვის და ძალღონისათვის უსაფრთხო, ხარისხიანი და კარგი საკვებით, ამასთან წყლის დალევა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პატიმრისათვის ნებისმიერ დროს”.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს „მინიმალური სტანდარტული წესების მე-13 წესის თანახმად, საბანაო მოწყობილობანი და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული იბანაოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ, ზომიერი კლიმატის პირობებში - კვირაში ერთხელ მაინც. ასევე, მსწ-ის მე-15 წესის თანახმად, პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ ყოველთვის იყვნენ სუფთად. ამისათვის საჭიროა მათი

მომარაგება წყლით და პირადი ტუალეტისთვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად. სისუფთავის და პირადი ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ღირსების შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს მიეცეს შხაპით სარგებლობის და სხეულის სისუფთავის დაცვის საშუალება, რაც მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისთვის და ღირსების შენარჩუნებისთვის.

თეთრეულით მომარაგების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ყოველი პატიმარი ეროვნული და ადგილობრივი ნორმების შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით, აგრეთვე ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ციხის ევროპული წესების მე-17 წესის თანახმად, სანიტარული სათავსოები უნდა იყოს ადეკვატურად მოწყობილი და განლაგებული, რათა ყველა პატიმარს შეეძლოს ნორმალურად დაიკმაყოფილოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებები საჭიროებისამებრ სუფთა და მოწესრიგებულ გარემოში.

სახალხო დამცველმა აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მოხდეს დროებითი მოთავსების იზოლატორების შენობების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და იქ არსებული მდგომარეობის გამოსწორება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატი რეაგირებისთვის მიმართავს როგორც თბილისის პროკურატურას და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას და რაიონულ პროკურატურებს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა დროებითი მოთავსების იზოლატორების და პოლიციის განყოფილებების მონიტორინგისას პროცესუალური ხასიათის დარღვევებზე რეაგირებისთვის გააგზავნა 17 წერილი, აქედან 3 ფაქტზე დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება; დაკავებული პირისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე სარეაგირებოდ გაიგზავნა 15 მიმართვა, საიდანაც 10 ფაქტზე დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევის 10 ფაქტზე გაიგზავნა მიმართვები რეაგირებისთვის.

პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციით პროცესუალური ხასიათის დარღვევის 12 ფაქტი არ დადასტურდა, ხოლო პოლიციის მხრიდან დაკავებულისთვის

ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების 1 ფაქტზე დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო საქმეზე გამოძიება შეწყდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ პოლიციის დაწესებულებების და დროებითი მოთავსების იზოლატორების შემოწმების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია თვალყურის დევნება, თუ როგორ რეაგირებას ახდენენ საგამოძიებო ორგანოები სახალხო დამცველის აპარატიდან დაკავებულთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირებისთვის გაგზავნილ წერილებზე. აღნიშნული მასალების შესწავლით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვკვეთოთ, თუ როგორია პროკურატურის პოლიტიკა დაკავებულთა ცემისა და წამების საქმეთა გამოძიებაზე და ასევე, რამდენად ეფექტურად ტარდება გამოძიება ხსენებულ საქმეებზე.

ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) მონიტორინგი

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად, შემოწმების ჩატარებისას საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შევიდეს სამხედრო ქვედანაყოფში, სადაც ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პირადად ხვდება და ესაუბრება პატიმრობაში მყოფ პირებს; ამოწმებს აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ხოლო ამავე კანონის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე და აპარატის თანამშრომლები კანონის მე-18 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ან მის ნაწილს ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი პირების მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის დროს, მათ მიმართ საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმის, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს ათავსებენ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებულ ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში (ჰაუპტვახტებში).

ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში (ჰაუპტვახტები) განხორციელებული მონიტორინგი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სულ 6 (ექვსი) ჰაუპტვახტი ფუნქციონირებს – თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (თბილისი), კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (ვაზიანი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პოლიციის სამმართველოს ოფისის ტერიტორიაზე განლაგებული ჰაუპტვახტი (სენაკი), აჭარის რეგიონულ სამმართველოს ჰაუპტვახტი (ბათუმი), სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (ახალციხე) და სამხედრო პოლიციის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (გორი).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა 2006 წლის დეკემბრის თვიდან აქტიურად დაიწყო ჰაუპტვახტების მონიტორინგი, რა დროსაც ამოწმებდა თუ რამდენად იყო დაცული ჰაუპტვახტების ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური წესები.

2007 წელს მონიტორინგის ჯგუფმა ინტენსიურად გააგრძელა ჰაუპტვახტებში მონიტორინგის ჩატარება და იანვარიდან ივნისის ჩათვლით სულ განახორციელა 26 ვიზიტი.

მონიტორინგის შედეგად მიღებული მასალები

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტში, სადაც სულ 19 საკანია, საიდანაც ფუნქციონირებს მხოლოდ 18 საკანი. ჰაუპტვახტს აქვს 14 ერთადგილიანი საკანი 2,9 კვ/მ-ის ფართობის, ორი ოთხადგილიანი საკანი 9,4

კვ/მ ფართობის, ერთი ოცადგილიანი საკანი 68 კვ/მ ფართობის და ორი ოთხადგილიანი საკანი 9 კვ/მ ფართობის, რომელიც განკუთვნილია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის აღკვეთ ღონისძიება შეფარდებულ პირთათვის. განხორციელებული მონიტორინგისას გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: დაწესებულების შენობა მთლიანად სარემონტო იყო, დათვალიერებულ 68კვ/მ ფართობის საერთო საკანში არ იყო გათბობის სისტემა; საკანს ჰქონდა 2 ფანჯარა, რომლის მინები ჩამსხვრეული იყო; კედლებზე იყო ნესტი; საკანში იყო სიცივე; საკანს არ გააჩნდა საპირფარეშო და სველი წერტილები; საკანში განლაგებული იყო 10 დიდი ზომის საწოლი ფიცარნაგი; საკანის განათება ხდებოდა დერეფანში დამონტაჟებული ერთი ნათურით, რაც არასაკმარისი იყო ნომალური განათებისთვის.

ჰაუპტვახტში დათავლიარებული 14 ერთადგილიანი საკნიდან ფუნქციონირებდა 13. აქედან შვიდ საკანში საწოლი ფიცარნაგი აღებული იყო და პატიმრებს ეძლეოდათ საღამოს საათებში. ექვს საკანში საწოლი ფიცარნაგი იყო ასაწევი. საკნებს არ ჰქონდათ სველი წერტილები და გათბობის სისტემა. სველი წერტილები განლაგებული იყო ეზოში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტს აქვს 5.5 კვ/მ ფართობის 8 ორადგილიანი საკანი და 14 კვ/მ-მდე ფართობის 2 ოთხადგილიანი საკანი. საკნები ნათდება დერეფანში კარის ზემოთ დამონტაჟებული ნათურით. ჰაუფტვახტს არ ჰქონდა საშხაპე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტში (ქ.გორი) დათვალიერებული იქნა 5 (ხუთი) საკანი. საკნები არის დაახლოებით 5 კვ/მ, 6 კვ/მ, 9 კვ/მ და 12 კვ/მ ფართობის.

საკნებს ფანჯრები არ აქვს და განათება ხდება გარედან, თითო საკანზე თითო ნათურით; არ არის სავენტილაციო სისტემა; საღამოს საათებში პატიმრებს ეძლევათ დასაწოლი ფიცრები, რომლებიც დღის განმავლობაში ინახება დერეფანში. როგორც ჰაუპტვახტის საკნები, ისე მთლიანად შენობა, სარემონტო მდგომარეობაშია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის რეგიონულ სამმართველოს ჰაუპტვახტი შედგება ეზოში განთავსებული სამი დიდი და ექვსი ერთკაციანი საკანისგან. საკნებში გათბობა არ იყო, რის გამოც საკნებში ციოდა; საწოლების ნაცვლად, საღამოობით, საკნებში შეჰქონდათ ფიცრები, რომლებსაც აწყობდნენ ბეტონის შემადგენელ ადგილზე, რაც დილით გაჰქონდათ; ჰაუპტვახტის შენობაში არ იყო საპირფარეშო, რის გამოც დაკავებულები გაჰყავდათ სამხედრო პოლიციის შენობაში. არ იყო საშხაპეები, რის გამოც შხაპის მისაღებად დაკავებულები მიჰყავდათ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიის სამხედრო ნაწილში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტში დათვალიერდა ოთხი საკანი, აქედან

ორი საკანი არის ერთადგილიანი, რომლის ფართობი დაახლოებით 3 კვ/მ-ია, ხოლო ორი არის ოთხადგილიანი, რომლის ფართობია 10 კვ/მ.

ჰაუპტვახტის საკნებში არ იყო საპირფარეშო, საშხაპე და სველი წერტილები; არ არის სავენტილაციო სისტემა; საკნების განათება ხდებოდა საერთო დერეფანში განლაგებული ნათურებით; პატიმრებს სადამოს საათებში ეძლეოდათ დასაწოლი ფიცარნაგები, რომელიც დღის განმავლობაში დერეფანში ინახებოდა. გასასეირნებელი ეზოს კუთხეში არის ფიცრის საპირფარეშო; ასევე ეზოში დგას წყლის ონაკი. ჰაუპტვახტის შენობა საჭიროებს რემონტს.

ქსენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე განლაგებულ სამხედრო პოლიციის ჰაუპტვახტი განთავსებულია ახალშენებულ გარემონტებულ შენობაში, რომელიც შეესაბამება „NATO“-ს სტანდარტებს. ჰაუპტვახტს აქვს ცხრა საკანი, თითოეული გათვლილი 8 დაკავებულ პირზე.

განათება არის 24 საათიანი, რაც საკნებში შედის კარის ზემოთ არსებული ღიობიდან და ფანჯრებიდან; საკნებში ფიცარნაგები გაშლილ მდგომარეობაშია დღე-ღამის განმავლობაში არანაკლებ 7 საათისა, დანარჩენ დროს იგი აკეცილია; დაკავებულებს არ აქვთ წერილების მიღების უფლება.

წევრ სახელმწიფოთათვის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის №R(87)3 რეკომენდაცია ციხის ევროპულ წესებს ეხება, რომლის 99-ე წესის თანახმად იმ ქვეყნებში, სადაც კანონით დაშვებულია დაპატიმრება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე ნებისმიერი არა-სისხლის სამართლის პროცესზე დაყრდნობით, ასეთი პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ იმაზე მეტ შეზღუდვებსა და სიმკაცრეს, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო განთავსებისა და წესრიგის დაცვისთვის. მათდამი მოპყრობა არ უნდა იყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობაზე უარესი.

„პატიმრებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები“ ვრცელდება პატიმრობის ყველანაირ ადგილსამყოფელსა და ნებისმიერ თავისუფლებაზეზღუდულ პირზე. შესაბამისად, ადამიანის უფლებები პატიმართა მიმართ დაცული უნდა იყოს ყველა შემთხვევაში, დაწესებულების სტატუსის და პატიმრობის ადგილსამყოფელის მიუხედავად.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების მე-10 წესის თანახმად, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულიად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ამ ოთახების სიმაღლეს, მინიმალურ ფართობს, განათებასა და ვენტილაციას.

საკანი, რომელიც მდებარეობს ცივ კლიმატურ პირობებში, უნდა განსხვავდებოდეს ტროპიკულ სარტყელში განლაგებული საკნებისგან. მე-10 წესის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საძინებელი ოთახი უნდა პასუხობდეს მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ჯანმრთელობის

შესანარჩუნებლად. ციხის ადმინისტრაცია უნდა ზრუნავდეს, რომ ამ პირობებმა არ მიაყენონ ზიანი პატიმართა ჯანმრთელობას. ძალიან დახუთულ, ცივ ან ნესტიან საკნებში ძილმა შეიძლება გამოიწვიოს რიგი დაავადებები.

ანალოგიური პრინციპები არის მოცემული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის №R(87)3 რეკომენდაციაში წევრ სახელმწიფოთათვის ციხის ევროპული წესების შესახებ, რომლის მე-15 წესის თანახმად პატიმრების განთავსების ადგილები, განსაკუთრებით, ყველა საძინებელი სათავსო, უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს და განსაკუთრებით, ჰაერის კუბურ შემცველობას, ფართს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას.

პატიმრებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების (მსწ) მე-13 წესის თანახმად, საბანაო მოწყობილობანი და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული, იბანაოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ, ზომიერი კლიმატის პირობებში - კვირაში ერთხელ მაინც. ასევე, მსწ-ის მე-15 წესის თანახმად, პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ ყოველთვის იყვნენ სუფთად. ამისათვის საჭიროა მათი მომარაგება წყლით და პირადი ტუალეტისთვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ციხის ევროპული წესების მე-17 წესის თანახმად, სანიტარული სათავსოები უნდა იყოს ადეკვატურად მოწყობილი და განლაგებული, რათა ყველა პატიმარს შეეძლოს ნორმალურად დაიკმაყოფილოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებები საჭიროებისამებრ სუფთა და მოწესრიგებულ გარემოში.

სისუფთავის და პირადი ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ღირსების შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს მიეცეს შხაპით სარგებლობის და სხეულის სისუფთავის დაცვის საშუალება, რაც მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისთვის და ღირსების შენარჩუნებისთვის.

მსწ-ის მე-19 წესის თანახმად, ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით ეროვნული და ადგილობრივი ნორმების შესაბამისად.

საქმეზე პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება ოპოვ ვ. ლუსსია), სასამართლომ გააანალიზა კარცერში პატიმართა მოთავსების პირობები, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, საერთო ჯამში თვეზე მეტ ხანს. სასამართლომ აღნიშნა, რომ კარცერში განმცხადებელზე მოდიოდა 2.03-დან 2.36 კვ.მ. ფართობი. ამასთან, განმცხადებელი კარცერს ტოვებდა მხოლოდ ერთი საათით, სასეირნოდ გასვლის დროს. სასამართლომ გაამახვილა განსაკუთრებული

ყურადღება იმაზე, რომ დღე-ღამეში 16 საათის მანძილზე, კარცერში საწოლი იყო აკეცილ მდგომარეობაში, რის გამოც განმცხადებელს შეეძლო ესარგებლა მხოლოდ ვიწრო სკამით, ზურგის გარეშე. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კარცერებში პატიმრების განთავსების პირობები, ისევე როგორც, ადეკვატური სამედიცინო დახმარების არარსებობა, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას.

ის გარემოება, რომ ჰაუპტვახტის საკნებში საწოლების ნაცვლად საღამოს საათებში შეაქვთ ფიცრები, რათა პატიმრებმა დაიძინონ, მეტყველებს იმაზე, რომ ჰაუპტვახტში ადამიანის ნორმალური ყოფნისთვის შესაფერისი პირობები არ არის შექმნილი და აღნიშნულით პირდაპირ ირღვევა პატიმრებთან მოპყრობის პრინციპები, ვინაიდან ასეთი შინაგანაწესი პირდაპირ იწვევს პატიმართა გაუმართლებელ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს, განცდებს და ასეთი პირობები წარმოადგენს არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების მე-11 წესის თანახმად, დაწესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები (ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა. (ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.


ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცუდად განათებულ ოთახში ყოფნამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მხედველობას. საჭიროა ძალისხმევა საკმარისი განათების უზრუნველსაყოფად. მხოლოდ ხელოვნური განათების პირობებში ხანგრძლივმა ყოფნამაც შეიძლება საზიანოდ იმოქმედოს, როგორც პატიმრის მხედველობაზე, ასევე მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამდენად, ყველა საკანს უნდა ჰქონდეს საკმარისი ხელოვნური განათება ბუნებრივი განათების წყაროსთან ერთად. ელექტროგამომრთველი უნდა იყოს თითოეული საკნის შიგნით: სინათლის გამორთვისა და ჩართვის შესაძლებლობის არქონა ზრდის პატიმრის უსუსურობისა და სასოწარკვეთილების შეგრძნებას.

გაეროს 1998 წლის 9 დეკემბრის „ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავ პრინციპთა ერთობლიობის“ მე-19 პრინციპის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, აწარმოოს შეხვედრები და მიმოწერა თავისი ოჯახის წევრებთან და უნდა მიეხეს შესაძლებლობა, ჰქონდეს ურთიერთობა გარესამყაროსთან კანონითა და სხვა კანონიერი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული პირობებისა და შეღუდვების ფარგლებში. შესაბამისად, პატიმრის მიერ დაწერილ და მისაღებ წერილების ან კორესპოდენციების რაოდენობაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება არ უნდა ხდებოდეს. ამდენად, ის ფაქტი, რომ ქ. სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე განლაგებულ სამხედრო პოლიციის ჰაუპტვახტში პატიმრები ვერ სარგებლობენ წერილების მიღების უფლებით, არის გაეროს

„ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავ პრინციპთა ერთობლიობის“ მე-19 პრინციპის დარღვევა.

2006 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ჰაუპტვახტებში განახორციელეს 6 ვიზიტი, რის შემდეგაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს გაეგზავნა რეკომენდაციები ჰაუპტვახტებში შექმნილი ღირსების შემლახველი და არაადამიანური პირობების გამოსასწორებლად. მიუხედავად რეკომენდაციისა, 2007 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით განხორციელებული 26 ვიზიტის დროს დაფიქსირდა იგივე დარღვევები და ჰაუპტვახტებში არსებული მგდომარეობა პირველი ვიზიტის შემდეგ არ გამოსწორებულა. საგულისხმოა, რომ 26 ვიზიტიდან 15 შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წევრებს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა არ მისცეს შესაძლებლობა განხორციელებინათ მონიტორინგი.

2007 წლის პირველ ნახევარში (იანვარი-თებერვალი) ჰაუპტვახტებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა თვეების მიხედვით და იმ ვიზიტების რაოდენობა, როდესაც მონიტორინგის ჯგუფს არ მისცეს შემოწმების განხორციელების შესაძლებლობა



როგორც ზემოდ მოყვანილი გრაფიდან ჩანს 2007 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით სახალხო დამცველის რწმუნებულებმა განახორციელეს 26 ვიზიტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებულ ჰაუპტვახტებში, ქედან 15 შემთხვევაში რწმუნებულებს არ მიეცათ ჰაუპტვახტებში მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა ერთი და იგივე მიზეზით, კერძოდ თხუთმეტივე შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფის წევრებს არ უშვებდნენ ჰაუპტვახტის ტერიტორიაზე იმ მიზეზით, რომ სამმართველოს და ჰაუპტვახტის უფროსები იმყოფებოდნენ დეპარტამენტში თათბირზე, რომელთა ნებართვის გარეშეც ჰაუპტვახტში შესვლა აკრძალული იყო.

საგულისხმოა, რომ 2007 წლის 11 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მ. გელოვანის წერილში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მონიტორინგის განხორციელებისას არაერთხელ შექმნილ დაბრკოლებასთან დაკავშირებით ოპერატიულ თათბირზე ყველა დანაყოფის ხელმძღვანელს მიეცა მითითება, მომავალში „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად, ხელი შეუწყონ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს და მონიტორინგის განხორციელების დროს აღმოუჩინონ დახმარება. მიუხედავად აღნიშნულისა, სახალხო დამცველის რწმუნებულებს საკმაოდ ხშირად ექმნებათ დაბრკოლებები მონიტორინგის განხორციელებისას.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის წევრებისთვის მონიტორინგის განხორციელებაში დაბრკოლებების შექმნით, უხეშად ირღვევა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები და ეჭვის ქვეშ დგება თავდაცვის სამინისტროს რეალური სურვილი, გამჭირვალე გახადოს სისტემა და იქ არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საზოგადოებისთვის. დღეს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ნატოში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობაა. თავდაცვის სამინისტროს რეფორმების სამოქმედო გეგმის თანახმად, რეფორმის მიზანს წარმოადგენს ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესს.

საქართველოს ვალდებულებები ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის თანახმად, უნდა განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. ასევე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესახებ ინფორმაცია უნდა გახდეს საჯარო, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროების ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია. ეს მოიცავს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის საქართველოს მოსახლეობის მიერ გაგებასა და მხარდაჭერას. მოცემული გეგმის თანახმად, საქართველო მიზნად ისახავს სამინისტროზე მუდმივი დემოკრატიული კონტროლისა და ხელმძღვანელობის დამკვიდრებას.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის კონცეფციის თანახმად, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ნატო-ს განსაზღვრება ფოკუსირებულია სამხედრო ამოცანაზე: „კოორდინაცია და თანამშრომლობა ამოცანის მხარდასაჭერად, ნატო-ს სარდლობასა და სამოქალაქო მხარეებს (ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება), აგრეთვე ინტერნაციონალურ, ეროვნულ და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უწყებებს შორის“.

გარდა აღნიშნულისა, 2006 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ეფექტურობის გაზრდა, რაც გულისხმობს საჯაროს ნაწილების მონიტორინგსაც თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.

ზემოთ მითითებულის ფონზე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის ერთადერთი ადგილი, სადაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს, ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ექმნებათ პრობლემები ჰაუპტვახტებში დაუბრკოლებლად შესვლასთან დაკავშირებით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველის ინსტიტუტი არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით, მონიტორინგი განახორციელოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. ხოლო ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებს ექმნებათ დაბრკოლებები ჰაუპტვახტების შემოწმებისას, არის აშკარა მცდელობა ხელი შეეშალოს სახალხო დამცველის აპარატს ეფექტურად განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული ფუნქციები და ასევე, აღნიშნული შესაძლოა განხილული იქნეს, როგორც თავდაცვის სამინისტროს მცდელობა, მისი სისტემა აქციოს საზოგადოებისათვის დახურულ სივრცედ, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კონტროლის და საჯარისო ნაწილების გამჭვირვალეობის პრინციპს და ნატოში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას.

საგულისხმოა, რომ საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თავდაცვის სისტემის რეფორმის თვალსაზრისით. ბევრი დადებითი და სერიოზული ცვლილება განხორციელდა თავდაცვის სფეროში და ზოგადად NATO-ინტეგრაციის მიმართულებით. მართლია, საქართველოს ჯარი, ისევე როგორც, სხვა ნებისმიერი ქვეყნის ჯარი, საჭიროებს მკაცრ დისციპლინასა და სუბორდინაციას, თუმცა, ამავდროულად, არ უნდა უგულვებელყოთ გამჭვირვალეობის პრინციპი და ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, რაც პოზიტიურად იმოქმედებს ჯარის განვითარებაზე და ხელს შეუწყობს სამხედრო სფეროში ურთიერთობათა მოწესრიგებას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ პოზიტიურ ცვლილებებს, რაც ხორციელდება ქართულ ჯარში და არ სურს ზემოთ მითითებული ფაქტების გახმაურებით ჩრდილი მივაყენოთ მის პრესტიჟს. სახალხო დამცველისთვის მნიშვნელოვანია ის კურსი, რაც საქართველომ აირჩია ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით და სურვილი აქვს, რომ სახალხო დამცველის აპარატმა თავისი წვლილი შეიტანოს დასახული მიზნის მიღწევაში. ამისათვის კი ადამიანის უფლებების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველა ვინც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე არ დამტკიცდება დანაშაული კანონით დადგენილი წესით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ალემენტ დე რიბემონტი საფრანგეთის წინააღმდეგ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს ადამიანს ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და **სახელმწიფო თანამდებობის პირის განცხადებებისაგან**, რომლითაც ადამიანი მიჩნეულია დამნაშავედ, მაშინ როდესაც განცხადების გაკეთების მომენტისათვის არ მომხდარა დანაშაულის დამტკიცება კანონით დადგენილი წესით. იგივე ეხება სასამართლოსა და სხვა თანამდებობის პირების ისეთ განცხადებებს, რომლებიც მართალია ეფუძნება ადამიანის ბრალეულობის შესახებ გონივრულ მოსაზრებებს, მაგრამ დანაშაული არ არის დამტკიცებული ფორმალური განაჩენით.¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ბოჰმერი გერმანიის წინააღმდეგ განაცხადა, რომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება მთავრდება იქ, სადაც დასტურდება ბრალდებულის დანაშაული და მისი პიროვნება წარმოადგენს სასჯელადსრულების პროცესის ნაწილს. ამ დროს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოქმედება წყდება თუ სხვა სახისა და ხარისხის ახალი სისხლისამართლებრივი ბრალდება არ იქნება წარდგენილი მსჯავრდებულისათვის (იხ. აღნიშნული გადაწყვეტილების 55-ე პარაგრაფი).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ თავისი მოვალეობის განხორციელების დროს, მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო არ დაეყრდნოს წინასწარაკვიატებულ იდეას, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ინკრიმინირებული სამართალდარღვევა. მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდებას. ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის

¹ Allenet de Ribemont v. France judgment of 10 February 1995, Series A no. 308, p. 16, § 35

სასარგებლოდ.² უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა მაშინ, როდესაც მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდების მხარიდან დაცვის მხარეზე.³

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ განაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით საჯარო განცხადებების გაკეთების დროს, თანამდებობის პირებს მართებთ დიდი სიფრთხილე გამონათქვამების შერჩევისას, სანამ პიროვნება არ იქნება ცნობილი ბრალეულად კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში.⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბაარსი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე მოახდინა დიფერენცირება სიტყვების „არის ექვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში“ და „ჩაიდინა დანაშაული.“ ეს უკანასკნელი ფრაზა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა საქმე A.L. გერმანიის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში ლიმბურგის რეგიონულმა სასამართლოს პალატამ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე განმცხადებლის მიმართ, იმავდროულად უარი განაცხადა კომპენსაციაზე. განმცხადებლის ადვოკატმა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შეიტანა საჩივარი, რასაც იმავე პალატის თავმჯდომარე თავისი საპასუხო წერილით გამოეხმაურა. წერილში აღნიშნულია, რომ თუკი მოხდებოდა სისხლისამართლებრივი პროცედურის განახლება, განმცხადებელი დიდი ალბათობით იქნებოდა მსჯავრდებული მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში. განმცხადებელმა რეგიონული სასამართლოს პალატის თავმჯდომარის წერილი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად მიიჩნია და დადგენილი წესის დაცვით მიმართა სტრასბურგის სასამართლოს. ამ უკანასკნელმა განაცხადის საფუძვლიანობის შემოწმებისას განაცხადა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, ვინაიდან პალატის თავმჯდომარის წერილი არ წარმოადგენდა ამავე პალატის ოფიციალური გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს, არამედ წარმოადგენდა თანამდებობის პირის განცხადებას (გადაწყვეტილების 37 პარაგრაფი).

სასამართლომ იქვე ხაზი გაუსვა, რომ დაკტარასის საქმიდან გამომდინარე, შესაძლოა თანამდებობის პირების განცხადებებმა შელახოს უდანაშაულობის პრეზუმფცია და ჩამოაყალიბა შესაბამისი კრიტერიუმები. კონკრეტულ საქმეში ლიმბურგის რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება არ იყო **საჯარო ხასიათის, ვინაიდან იგი არ გაცხადებულა პრესკონფერენციაზე.** თავმჯდომარის წერილი მიმართული იყო ექსკლუზიურად განმცხადებლის დამცველისაკენ. ამავე დროს პალატის თავმჯდომარის წერილში მოყვანილი ტერმინები წარმოადგენდა საალბათო მსჯელობას და მტკიცებითი ფორმით არ იყო გადმოცემული, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული (იხ. აღნიშნული გადაწყვეტილება პარაგრაფი 38).

² Barberà, Messegué and Jabardo v. Spain judgment of 6 December 1988, Series A no. 146, pp. 31 and 33, §§ 67-68 and 77

³ John Murray v. the United Kingdom judgment of 8 February 1996, *Reports of Judgments and Decisions* 1996-I, p. 52, § 54

⁴ Daktaras v. Lithuania judgment of 10 October 2000, § 41.

ქართულ სამეცნიერო დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, პიროვნების ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ბრალის წაყენება ნიშნავს ვარაუდს იმისა, რომ პირმა ალბათობის მაღალი ხარისხით ჩაიდინა დანაშაული. შესაბამისად, საჯარო განცხადებების გაკეთებისას თანამდებობის პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ეჭვმიტანილის და ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ არის დადასტურებული, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა საქმეში არსებობდეს უტყუარი მტკიცებულებები. თუმცა არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც სატელევიზიო ეთერში სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი თანამდებობის პირები, ნაცვლად იმისა, რომ ვარაუდის ტონით ატყობინებდნენ საზოგადოებას კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მტკიცებითი ფორმით ახდენენ კონკრეტული ადამიანების დამნაშავედ გამოცხადებას. ასეთი მიდგომა წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევას.

2007 წლის 6 მარტს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა (კუდი) ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ჩაატარა სპეცოპერაცია. სამუშაო თათბირის მიმდინარეობის დროს დაკავებული იქნა აღნიშნული სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით მახარაძე და ქ.თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამშრომელი გიორგი ლაშხი. დაკავებულების მიმართ ეჭვი იქნა მიტანილი ქრთამის აღებაში. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-მა“ კუდზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ დაკავებულმა მოხელეებმა პროექტის დარღვევით აშენებული შენობის ლეგალიზაციის მიზნით, მოქალაქე კახა ხაინდრავას სავარაუდო შუამავლობით ასოციაცია „გენეზისის“ თანამშრომლის, ქეთი გოგოლაშვილისაგან ქრთამის სახით აიღეს 7000 დოლარი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ეთერში კომენტარი გააკეთა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, იოსებ თოფურიძემ:

„დაკავებულების მიერ ჩადენილია დანაშაული, ქრთამის აღება, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე. შუამავალმა, რომელმაც ხელი შეუწყო ქრთამის აღებას, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 15 წლამდე, ხოლო ვინც მისცა ქრთამი, მას ელოდება თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.“

კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევა. ინფორმაცია კონკრეტული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ არ იყო გადმოცემული ვარაუდის ფორმით. იოსებ თოფურიძე ვალდებული იყო განეცხადებინა, რომ დაკავებულები ეჭვმიტანილი არიან ქრთამის სავარაუდო აღებაში და არ ეთქვა მტკიცებითი ფორმით, რომ თითქოს **დაკავებულების მიერ ჩადენილია დანაშაული, ქრთამის აღება**. ამასთან ერთად, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი ითავსებს სასამართლოს ფუნქციას და აცხადებს, რომ შუამავლის მიმართ სასჯელის ზომად განსაზღვრული იქნება თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ხოლო ქრთამის მიმცემის მიმართ 8 წელი. კუდის ხელმძღვანელ თანამდებობის პირს უფლება ჰქონდა მხოლოდ მიეთითებინა

იმ მუხლის სანქციის მინიმალური და მაქსიმალური ზომის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დაკავებულთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

არსებობს კიდევ არაერთი შემთხვევა, როდესაც კუდის უფროსის მოადგილე იოსებ თოფურიძე სატელევიზიო ეთერში დამნაშავედ აცხადებს ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილ პირებს და ამგვარად უხეშად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგალითად:

2007 წლის 7 მაისს კონსტიტუციური უსაფთხოების დეპარტამენტმა დააკავა რკინიგზის დეპარტამენტის ოთხი თანამდებობის პირი: დავით გრძელიძე, ნიკა რაზმაძე, ოთარ ჭიპაშვილი და ირაკლი პეშკოვი. მათ მიმართ ეჭვი მიტანილი იქნა ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ ერთერთი კომერციული ორგანიზაციისაგან ქრთამის სახით 30 000 ლარის აღებაში. იოსებ თოფურიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში აღნიშნული დაკავების ფაქტი შეაფასა შემდეგი სიტყვებით:

„ვერც ერთი მექრთამე ვერ გავა თავისი სამუშაო კაბინეტიდან. ის ვინც აიღებს ქრთამს, დაკავებული იქნება თავის სამუშაო კაბინეტში. მათ აიღეს **30 000 ლარი ქრთამი და მიმდინარეობს გამოძიება.**“

თუკი, როგორც იოსებ თოფურიძე აცხადებს, მექრთამეებმა აიღეს 30 000 ლარი და ეს ფაქტი განცხადების ტონიდან გამომდინარე უკვე დადასტურებულია, გაუგებარია, რა მიზნით მიმდინარეობს საქმეზე წინასწარი გამოძიება ან რა ფუნქცია აკისრია სასამართლოს, რომელმაც დასახელებული ადამიანების ბრალეულობა უნდა დაადგინოს.

იოსებ თოფურიძე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ეთერში ქუთაისის ვიცე-მერის და ქალაქის მერიის 24 თანამშრომლის დაკავების კომენტარებისას აცხადებს: „ამ ხალხმა, ვისაც ეხლა ჩვენ ვაკავებთ, საქართველოს **მოპარეს 600 000 ლარი**, მაგრამ დღეს ეს ფული უკვე ხალხთან არის და ამ ფულით დარიგდება პენსიები.“

გარდა იმისა, რომ ქუთაისის მერიის თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე მითითების, ინფორმაციის გადმოცემის დელიკატური ფორმის შერჩევის ნაცვლად, იოსებ თოფურიძე უხეშად იყენებს სიტყვებს - „ამ ხალხმა საქართველოს **მოპარეს 600 000 ლარი**“ და ამგვარად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, კუდის უფროსის მოადგილე საკუთარ თავზე იღებს სასამართლოს ფუნქციას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრები მოაქციოს სახელმწიფოს საკუთრებაში, პარლამენტის ფუნქციას - დაამტკიცოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციას - საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში უზრუნველყოს პენსიების გაცემა.

იოსებ თოფურიძე არ წარმოადგენს ერთადერთ თანამდებობის პირს, რომელიც თავისი საჯარო განცხადებებით არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. აღნიშნული პრინციპის უხეშ დარღვევას წარმოადგენს ქ.თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის მიერ 2007 წლის 22 მარტს თბილისის სააპელაციო

სასამართლოს მიერ მსჯავრდებული არასრულწლოვანის, გიორგი ზერეკიძის საქმესთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარი. თბილისის პროკურორის განცხადების შეფასებამდე, მიზანშეწონილია თვალი გადავავლოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

საქმეში ასან რუშიტი ავსტრიის წინააღმდეგ, განმცხადებელი მკვლელობის ბრალდებით იქნა დაკავებული. 1993 წლის 1 სექტემბერს გრასის რეგიონულმა სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ შვიდი ხმით ერთის წინააღმდეგ გაამართლა განსასჯელი ასან რუშიტი, იმ საფუძველით, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მისი ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები. იმავე წლის ნოემბერში განმცხადებელმა მიმართა იმავე სასამართლოს კომპენსაციის მოთხოვნით. სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა, იმ საფუძველით, რომ მის მიმართ არსებობდა დასაბუთებული ეჭვი მკვლელობის ჩადენის თაობაზე და ეს ეჭვი არ იქნა გაქარწყლებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ავსტრიის კომპეტენტური ორგანოების განცხადებები, რომლითაც გრძელდებოდა შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეში არსებული ეჭვების გამოყენება განმცხადებლის წინააღმდეგ, მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (უდანაშაულობის პრეზუმფცია) დარღვევად.

საქმეში ბაარსი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ, განმცხადებელი დაკავებული იქნა სიყალბისა და ქრთამის მიცემაში ეჭვის საფუძველზე. 1995 წლის 11 ოქტომბერს მასტრიხტის რეგიონულმა სასამართლომ ბაარსის ბრალდების საქმე მიიჩნია დაუშვებლად, ვინაიდან გასული იყო საქმის განხილვის ხანდაზმულობის ვადა. მიუხედავად ამისა, ჰერტოგენბოშის სააპელაციო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბატონი ბ - პიროვნება, რომელმაც განაჩენის თანახმად, აიღო ქრთამი ბაარსისაგან. აღნიშნულ საქმეში ბატონი ბაარსი მონაწილეობდა მოწმის სტატუსით. სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმცხადებელი მოხსენიებული იყო, როგორც მსჯავრდებულის თანამონაწილე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მიიჩნია ბარსის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად, ვინაიდან განმცხადებელი წარმოდგენილი იყო დანაშაულში თანამონაწილედ მაშინ, როცა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილი იყო.

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება სტრასბურგის სასამართლოს დასკვნებს თბილისის პროკურორის მიერ „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ პირდაპირ ეთერში გასულ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება. გიორგი ღვინიაშვილმა თავდაპირველად ისაუბრა არასრულწლოვანის თავდასხმაზე შპს „არტი ჯგუფის“ დისტრიბუტორზე ლევან ბოჭორიშვილზე, რისთვისაც გ.ზერეკიძეს მკვლელობის მცდელობისათვის წინა დღით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაენიშნა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. პროკურორმა წაიკითხა მოწმეების, დაზარალებულისა და თავად მსჯავრდებულის ჩვენება, რაც განხილული იყო სასამართლოს მიერ. თბილისის პროკურორი, სასამართლოს განაჩენზე დაყრდნობით, აცხადებდა, რომ გიორგი ზერეკიძე დამნაშავე იყო მკვლელობის მცდელობაში. ამგვარი განცხადებით არ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვინაიდან სახეზეა სასამართლოს მიერ დადასტურებული გარემოებები.

ლევან ბოჭორიშვილის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე საუბრის დასრულების შემდეგ ქალაქ თბილისის პროკურორმა საზოგადოებას გააცნო შემდეგი ფაქტები:

„გიორგი ზერეკიძე შემჩნეულია სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში. 2005 წლის 27 ოქტომბერს ის შევიდა სუპერმარკეტ „შვაბში“ და მონობარათის უფასოდ დაუფლების მიზნით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გამყიდველს. როდესაც ის დაცვის თანამშრომლის მიერ გაყვანილი იქნა მალაზიიდან, მან ბოთლი ესროლა ქალბატონ გამყიდველს, რომელმაც ბოთლი შემთხვევით აიცილა. ბოთლი მოხვდა სუპერმარკეტის მინას და ჩაიმსხვრა. მის მიმართ ამ ფაქტზე საქმე იქნა შეწყვეტილი, რადგან მიყენებული ზიანი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვანს. ასევე, ამავე პერიოდში გიორგი ზერეკიძემ საცხოვრებელ სახლთან არსებული აფთიაქიდან გაიტაცა ნივთი, რა დროსაც მან იქ მყოფებს განუცხადა, რომ ის ამ უბანს კურირებდა და მისი უნდა შინებოდათ. ასევე მის მიერ ჩადენილია კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რაზედაც მიმდინარეობს გამოძიება.“

გ.ღვინიაშვილის განცხადებიდან იკვეთება, რომ 2005 წელს გიორგი ზერეკიძის მიერ სავარაუდოდ ჩადენილია ორი დანაშაულებრივი ქმედება. პირველი შეეხება სუპერმარკეტ „შვაბში“ მონობარათის გამოძალვას, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე (გამოძალვა) მუხლით და ამავე სუპერმარკეტის მინის ჩამსხვრევას, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება). მეორე შემთხვევა შეეხება აფთიაქიდან ნივთის გამოძალვას და უბნის კურირებას, ქმედება გათვალისწინებული სსკ-ის 223¹ მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა).

როგორც პროკურორის განცხადებიდან ირკვევა, პირველ შემთხვევაში დაწყებული წინასწარი გამოძიება შეწყდა, რაც, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, ავალდებულებს თანამდებობის პირს, თავი შეიკაოს აღნიშნული მონაცემების გამოყენებისაგან დახურულ საქმეში ექვმიტანილი პირის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, პროკურორის განცხადებიდან არ იკვეთება ის გარემოება, შეწყდა თუ კვლავ მიმდინარეობს აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება. თუკი დავეყრდნობით მისი განცხადების ბოლო წინადადებას, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს გამოძიება ზერეკიძის სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზერეკიძის სავარაუდო ქურდული სამყაროს წევრობასთან დაკავშირებით გამოძიება ან არ დაწყებულა ან დაიწყო და მოგვიანებით იქნა შეწყვეტილი, ვინაიდან სხვა და არა ეს კონკრეტული შემთხვევა წარმოადგენს შესწავლის საგანს. ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება თამამად, ითქვას, რომ პროკურორის განცხადება გიორგი ზერეკიძის ქურდული სამყაროს წევრობის შესახებ არ იყო ვარაუდის გადმოცემული ფორმით. გიორგი ზერეკიძე არასოდეს იყო მსჯავრდებული ქურდული სამყაროს წევრობაში. პროკურორის მიერ მოთხოვილი ფაქტები არასოდეს წარმოადგენდა სასამართლოს განხილვის საგანს. შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფცია.

2007 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატის უფროსს ირაკლი კოტეტიშვილსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს შოთა ხიზანიშვილს. აღნიშნულ მიმართვებში მითითებულია საუწყებო ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციების თაობაზე. მაგალითად, პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაცია: „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგიონული სამმართველოს უფროსი ლიცენზიებს უკანონოდ გასცემდა.“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოტანილი იყო შემდეგი ინფორმაცია: „კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ დაკავებულია ორგანიზებულ დამნაშავე პირთა ჯგუფი, რომლებიც ყალბ დოკუმენტაციას ამზადებდნენ.“ მოცემულ შემთხვევებში, არც ერთ საქმეზე არ არის დადგენილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამისი ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს, უზრუნველყოთ ინფორმაციის საუწყებო ვებგვერდზე იმგვარად განთავსება, რაც არ შექმნის შთაბეჭდილებას, თითქოსდა უკვე არსებობდეს გამამტყუნებელი განაჩენი დაკავებულ პირთა მიმართ. კერძოდ, მიუთითონ, რომ დაკავებული პირები არიან დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი/ბრალდებულები.

იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც შემხებლობა აქვთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასთან, სისხლის სამართლის საქმისწარმოებასა და სისხლისასამართლებრივ დევნასთან, შეზღუდულ შემთხვევებში, აქვთ შესაძლებლობა, გააკეთონ საჯარო განცხადებები პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს სასამართლო გამოძიების პროცესში ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს განსაჯელის მიერ დანაშაულის ჩადენის გარემოების განცხადება. პროკურორის აღნიშნული შესაძლებლობა გამომდინარეობს იმ ვალდებულებიდან, რასაც ბრალდების მტკიცების ტვირთი ეწოდება.

მაშინ, როდესაც შესაძლებელია გარკვეულწილად გამართლებული იყოს წინასწარი გამოძიების/სისხლისამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოების განცხადებები ადამიანის ბრალეულობასთან დაკავშირებით, ხშირად გაკვირვებას იწვევს ამ მიმართულებით იმ თანამდებობის პირების მსჯელობები, რომლებსაც არანაირი შემხებლობა არა აქვთ სისხლის სამართალწარმოებასთან.

2007 წლის 11 იანვარს დაახლოებით 16 საათზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ დაკავებული იქნა მარნეულის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ უგრეხელიძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეჭვმიტანილმა მოქალაქე მამუკა მახარაძისაგან სავარაუდოდ ქრთამის სახით აიღო 70 000 აშშ დოლარი. ნუგზარ უგრეხელიძის დაკავებას ესწრებოდა ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე, მან დაკავებულ ხელქვეითს ტელეკომპანია „მზის“ გადამღები ჯგუფის თანდასწრებით მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შენისთანების ადგილი არის იქ, სადაც მიჰყავხარ. არავის, არავის შევარჩინებ ამას. აი, ეს არის ის, რაც შენ გააკეთე. არც ერთ მოხელეს, არასოდეს არ შევარჩინებ არც ერთ თეთრს.“

ტელეკომპანია „მზისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მინისტრამ განაცხადა: „ასეთი ადამიანების ადგილი არის ციხეში. ისინი იქნებიან იქ, სადაც მათი ადგილია. ყველა ნებისმიერი უწყების, ნებისმიერი თანამშრომელს ყველა ქალაქსა თუ რაიონში გამოვაკლენთ და მივუჩენთ თავის ადგილს.“

ქრთამის აღება და სხვა თანამდებობრივი დანაშაულები სერიოზულ ზიანს აყენებს, პირველ რიგში, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ადამიანს, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. ამ დანაშაულის სპეციფიკიდან, ასევე მასთან ბრძოლის მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გამართლებულია მათ შორის ისეთი საშუალება, როგორცაა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის - მინისტრის - საჯარო, კრიტიკული განცხადებები, რომელშიც გამოვლენილია კორუფციის აღმოფხვრისაკენ მიმართული პოლიტიკური ნება. ამგვარი და კანონით დადგენილი სხვა ღონისძიების გარეშე მინისტრი თავად იქნებოდა პასუხისმგებელი მისდამი რწმუნებულ სახელმწიფო სისტემაში არსებულ კორუფციაზე. შესაბამისად, სავსებით მისაღებად მიგვაჩნია გიორგი არველაძის განცხადების ის ნაწილი, სადაც ის აღნიშნავს: „არც ერთ მოხელეს, არასოდეს არ შევარჩენთ არც ერთ თეთრს.“

ამავე დროს, კორუფციული სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად მიმართული ღონისძიებები არ ართმევს ადამიანს უფლებას უდანაშაულობის პრეზუმფციასა და სამართლიან სასამართლოზე. მინისტრ გარველაძის საჯარო განცხადება, რომ ექვმიტანილმა ნუგზარ უგრეხელიძემ ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, ვინაიდან არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი. უფრო მეტიც, მინისტრამ თავის განცხადებაში არა მხოლოდ დამნაშავედ გამოაცხადა მისი ხელქვეითი, არამედ ლამის სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების ვალდებულებაც შითავსა, რისი უფლებაც მას არანაირად არ ჰქონდა. გარდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისა, განცხადების მონაკვეთი - „ასეთი ადამიანების ადგილი არის ციხეში“ - შესაძლოა აღქმული იქნას ზეწოლად სასამართლოზე. მხოლოდ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი, ბრალის დადასტურების შემთხვევაში განუსაზღვროს ადამიანს სასჯელის ზომა. სახელმწიფოში, სადაც მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობა არის დაბალი, ბატონი გიორგი არველაძის მსგავსი სამართლებრივი და პოლიტიკური გავლენის მქონე თანამდებობის პირის ზემოხსენებული განცხადება, შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოზე ზემოქმედებად.

რეკომენდაცია:

ზემოთხსენებული არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირებს უნდა აეკრძალოთ მედიით კომენტარის გაკეთება წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუმცა საჯარო განცხადებების გაკეთებისას თანამდებობის პირები ვალდებული არიან:

1. ექვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის შესახებ საუბრისას მიუთითონ, რომ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა ემყარება ეჭვებს ან დასაბუთებულ ვარაუდს.

2. თავი შეიკაონ მტკიცებითი ფორმით ექვმიტანილზე, ბრალდებულზე ან განსასჯელზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, მითითებისაგან.
3. არასოდეს გამოიყენონ პირის წინააღმდეგ იმ სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელზეც წინასწარი გამოძიება/სისხლისამართლებრივი დევნა შეწყვეტილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის ნებისმიერი საფუძველით.

ადამიანის უფლებები სასჯელაღსრულების სისტემაში


საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, 2006 წლის შემდეგ საანგარიშო პერიოდში ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა.

სახალხო დამცველს კვლავ ინტენსიურად მიმართავენ პატიმრები/მსჯავრდებულები ან მათი ოჯახის წევრები სისტემაში არსებულ არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებთან დაკავშირებით. 2006 წლის პირველ ნახევართან შედარებით 2007 წლის პირველ ექვს თვეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესახებ საჩივრების რიცხვი 7%-ით გაიზარდა (2006 წლის მეორე ნახევართან შედარებით - 3%-ით).

სასჯელაღსრულების თერთმეტ დაწესებულებასთან მოქმედებს საზოგადოებრივი კონტროლის კომისია, რომლებსაც სახალხო დამცველის მრავალი რეკომენდაციის მიუხედავად, მონიტორინგის დროს კვლავ არ აქვთ ფოტოგადაღებისა და აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გაკეთების უფლება. აღნიშნული უფლება არც სახალხო დამცველის წარმომადგენლებს გააჩნიათ, რაც აძნელებს მონიტორინგის დროს დაფიქსირებული დარღვევების დოკუმენტირებას.

სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი საანგარიშო პერიოდშიც აგრძელებდა ინტენსიურ მონიტორინგს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა რიცხვი. კერძოდ:



საინტერესოა, თუ რამდენი პატიმარი მოდის ასიათას მოსახლეზე საზღვარგარეთის ქვეყნებში. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის ანგარიშის თანახმად, 100000 მოსახლეზე მოდის:

ალბანეთში - 85 პატიმარი;

ბელორუსიაში - 360;

ბულგარეთში - 163;

ფინეთში - 79;

საბერძნეთში - 92;

უნგრეთში - 146;

ისლანდიაში - 39;

პოლონეთში - 233;

რუმინეთში - 159;

სლოვაკეთში - 153;

გაერთიანებული სამეფო: ინგლისი და უელსი - 148;

გერმანია - 93;

დანია - 67;

იტალია - 67;

ესპანეთი - 147;

შვეიცარია - 79;

ნორვეგია - 75;

შვედეთი - 79;

ლიტვა - 235;

ლატვია - 292;

ესტონეთი - 333;

ჩეხეთი - 146;

თურქეთი - 112;

სომხეთი - 104;

აზერბაიჯანი - 202;

რუსეთი - 628;

აშშ - 750;

საქართველო - 401 (2007 წლის ივლისის თვის მონაცემებით). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რიცხვი ძალიან სწრაფად გაიზარდა 500-მდე 2007 წლის ოქტომბრის ბოლოს. ასეთი სწრაფი ცვალებადობა მხოლოდ საქართველოში აღინიშნება.

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობები

პატიმრების კვება და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გახსნილი მაღაზიები

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაღაზიების გახსნის შემდეგ პატიმრების კვების საკითხი შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა, მაღაზია ჯერ მხოლოდ რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფუნქციონირებს. კერძოდ: რუსთავის #6, რუსთავის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ქსნის #7 საერთო მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თბილისის #5 ქალთა

და არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში შეყვანის შემდეგ დაწესებულების საინფორმაციო-სპეციალური განყოფილება ამუშავებს მონაცემებს, რომელთა შემდეგაც სახალხო ბანკი ამზადებს პლასტიკურ ბარათებს. პატიმრის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შეუძლიათ ზემოაღნიშნულ ბარათზე თანხის ჩარიცხვა. ბარათები ინახება მაღაზიაში და თანხის დარიცხვის შემდეგ შესაძლებელია სასურველი პროდუქტების შეძენა.

პრობლემას წარმოადგენს ვეგეტარიანელი და დიეტური საჭიროებების მქონე პატიმრების კვება, რომელიც არც პრაქტიკულად და არც ნორმატიულად დარეგულირებული არ არის. კერძოდ, ბათუმის #3 საპრობილეში ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო საპრობილის ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული კატეგორიის პატიმრებს შესაბამისი საკვებით. არც ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებასა და ზუგდიდის #4 საპრობილეში მზადდება საკვები სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრებისთვის ცალკე.

რეკომენდაცია: სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უზრუნველყოს კვება ვეგეტარიანელებისა და სპეციალური საჭიროებების (მაგ. სამკურნალო დიეტა, მარხვა) მქონე პატიმრებისათვის და აღნიშნული განისაზღვროს ნორმატიული აქტით.

განათება, ვენტილაცია

საქართველოში არსებულ თითქმის არც ერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ არის დამონტაჟებული ხელოვნური ვენტილაცია. გადატვირთულობის გამო ვითარება რთულდება ზაფხულში, როცა ბუნებრივი ვენტილაცია არასაკმარისია და პატიმრებს სუნთქვა უჭირთ.

საპრობილეების გადატვირთულობა და იქ სათანადო ვენტილაციის არარსებობა იწვევს გაუსაძლის პირობებს და პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას.

რეკომენდაცია: დამონტაჟდეს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა ყველა საპრობილეში.

განათების საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, თუმცა განათებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია დაწესებულებაში არსებული გამომვლელი ელექტროსადენები. კერძოდ, ზუგდიდის #4 საპრობილეში ელექტროგაყვანილობა მოძველებულია, გაუმართავია და საფრთხეს უქმნის პატიმართა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ადმინისტრაციის განმარტებით, ელექტროსადენები

გამიშვლებულია და ამ მხრივ, ვითარება მოსაწესრიგებელია ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებასა და ქ.თბილისის #5 საპყრობილეშიც.

2006 წლის ზაფხულში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპყრობილეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 31 წლის მიხეილ თოხაძე გარდაიცვალა. პატიმრის გარდაცვალების მიზეზი გამიშვლებულ ელექტროსადენთან შეხება გახდა.

მსგავსი შემთხვევითი ფაქტების პრევენციის მიზნით მივმართავთ შესაბამის სტრუქტურებს, უზრუნველყონ უსაფრთხოების წესების დაცვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ელექტროსადენებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სასწრაფოდ უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების დაცვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ელექტროსადენებთან დაკავშირებით.

პატიმართა ჰიგიენა

ჰიგიენის თვალსაზრისით, სასჯელაღსრულების უმეტეს დაწესებულებაში რთული მდგომარეობაა. კერძოდ:

ახლად აშენებული ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საპყრობილეში მწყობრიდანაა გამოსული წყალგაყვანილობის სისტემა. საკნების ნაწილში ჟონავს წყალი, რაც ნათლად შეინიშნება საკნებისა და დერეფნების დათვალიერების დროს. ადმინისტრაციის განმარტებით, გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით რემონტის ჩატარება ქუთაისის #2 საპყრობილეშიც იგეგმება.

წყალგაყვანილობის სისტემის დაზიანების გამო დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს საშხაპეები და პატიმრებს შხაპის მიღება საკანში (საპირფარეშოში) უწყევთ.

ზუგდიდისა და ბათუმის საპყრობილეების საკნებში არსებული საპირფარეშოების დასუფთავება პატიმრებს ხელით უწყევთ. ბათუმში წყლის არასაკმარისი რაოდენობის გამო ჰიგიენური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საპირფარეშოების დასუფთავებისთვის ცალკე წყლის ტექნიკური მიწოდება შეფერხებულია ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაშიც.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საკნის სისუფთავეზე თავად პატიმარი ზრუნავს. დალაქის ფუნქციასაც პატიმრები თვითონ ითავსებენ, სარეცხს თვითონ რეცხავენ ან ოჯახის წევრებს მიაქვთ გასარეცხად (თბილისის #7 საპყრობილე, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, ქსნის #7 საერთო მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების

დაწესებულება, ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, ზუგდიდის #4 საპყრობილე, ბათუმის #3 საპყრობილე).

ქ.თბილისის #5 საპყრობილეში, სადაც პატიმართა რაოდენობა დაწესებულების ლიმიტს ორ ნახევარჯერ აღემატება, ჰიგიენაზე საუბარი ზედმეტია.

რეკომენდაცია: იუსტიციის სამინისტრომ მეტი ყურადღება გაამახვილოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ჰიგიენურ მდგომარეობაზე. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ამუშავდეს სამრეცხაოები, მოწესრიგდეს საშხაპეების პრობლემა. პატიმრები უზრუნველყონ პირადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებითა და დალაქის მომსახურებით.

ტანსაცმელი და თეთრეული

სასჯელაღსრულების უმეტეს დაწესებულებაში თეთრეულის პრობლემაა. როგორც თბილისის უმეტეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ისე დასავლეთ საქართველოს საპყრობილეებში პატიმრები ტანსაცმლითა და თეთრეულით ძირითადად საკუთარი ოჯახებიდან მარაგდებიან, ამასთან თეთრეულს მათ თვეობით არ უცვლიან.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის #2 დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამმარბერგის ვიზიტის დროს პატიმრების ნაწილს ზეწრები საერთოდ არ ჰქონდა, ხოლო ვისაც ჰქონდა, სამი თვის განმავლობაში არ იყო გამოცვლილი და გარეცხილი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად: ”ყოველი პატიმარი ეროვნული და ადგილობრივი ნორმების შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით, აგრეთვე ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს”.

დასაქმება, განათლება

პატიმართა რეაბილიტაციისთვის აუცილებელი დასაქმებისა და განათლების საკითხი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის კვლავ არაა პრიორიტეტული. პატიმრები ვერ სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული შრომისა და განათლების უფლებით.

თბილისის #5 ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებასა და თბილისის #7 საპყრობილეში ბიბლიოთეკა საერთოდ არ ფუნქციონირებს.

რეკომენდაცია: იუსტიციის სამინისტრომ ეტაპობრივად განახორციელოს პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამები.

რეკომენდაცია: სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი პატიმარი, რომლებთან მუშაობა აუცილებელია. დროულად ამოქმედდეს იუსტიციისა და განათლების მინისტრების ერთობლივი ბრძანების ნორმები.

დადებითად ვაფასებთ, რომ სასჯელაღსრულების ზოგიერთ დაწესებულებაში ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამები. კერძოდ, ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ამოქმედდა საგანმანათლებლო და სამუშაო პროგრამები.

ვიდეოკამერები

დღეს მოქმედი კანონმდებლობით კვლავ შემცირებულია მოკლევადიანი პაემნის დრო და გაუქმებულია ხანგრძლივი პაემნები. თუმცა, მისასალმებელია, რომ აღნიშნულს ითვალისწინებს სასჯელაღსრულების კოდექსის პროექტი.

2006 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის #2 და თბილისის #7 საპყრობილეში პატიმრებისა და ადვოკატების, გამომძიებლებისა და სახალხო დამცველთან შეხვედრის ოთახებში დაყენებული ვიდეოკამერების დემონტაჟი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ „დამცველს უფლება აქვს, შეხვედეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე“.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს დღემდე არ გაუზიარებია. ვიდეოთვალი ქუთაისის #2, ბათუმის #3 და თბილისის #7 საპყრობილის გარდა, რუსთავის #6 საპყრობილესა და ქ.თბილისის #5 საპყრობილეშიც დაამონტაჟეს. ვიდეოთვალი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადვოკატის დამცველთან კონფიდენციალურად შეხვედრის უფლებას.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ჯიუტად არ ასრულებს ზემოაღნიშნულ რეკომენდაციას, რითაც არღვევს საქართველოს კანონმდებლობას

რეკომენდაცია: იუსტიციის სამინისტრომ მოხსნას საპყრობილეებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები.

რეკომენდაცია: კანონის დარღვევისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებისათვის ჯიუტად თავის არიდების გამო, რეკომენდაციით მივმართავთ იუსტიციის მინისტრს, დააყენოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

საპატიმროთა გადატვირთულობა

მდგომარეობა საკნების გადატვირთულობის მხრივ კვლავ საგანგაშოა. 2007 წლის სექტემბრის მდგომარეობით:

- ქსნის #7 საერთო მკაცრი და საპრობილის რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულება: გათვალისწინებულია 1336 პატიმარისათვის, განთავსებულია 1942 პატიმარი;
- ქ.ზუგდიდის #4 საპრობილი: გათვალისწინებულია 305 პატიმარისათვის, განთავსებულია 502 პატიმარი;
- ქ.ბათუმის #3 საპრობილში საპრობილი გათვალისწინებულია 250 პატიმარზე, ამჟამად იმყოფება 885 პატიმარი;
- ქ.თბილისის #5 საპრობილი: გათვალისწინებულია 2020 მსჯავრდებულზე, განთავსებულია 4668 პატიმარი.

2007 წლის 24 ივლისს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სასჯელადსრულების დეპარტამენტის #5 საპრობილში, სადაც მოინახულეს საპრობილის ყველაზე გადატვირთული საკნები. კერძოდ:

1. 97-ე საკანი: იმყოფებოდა 88 პატიმარი, საკანში 26 დასაწოლი ნარი იყო. პატიმართაგან ნახევარზე მეტი განსასჯელი იყო, ნახევარს კი დაახლოებით წელიწად-წელიწადნახევარი ჰქონდა მისჯილი.
2. მე-80 საკანი: იმყოფებოდა 67 პატიმარი, იდგა 26 დასაწოლი ნარი. პატიმართაგან ნახევარზე მეტი განსასჯელი იყო. იმავე საკანში იმყოფებოდა ტუბერკულოზით დაავადებული 5 პატიმარი.
3. 72-ე საკანი: იმყოფებოდა 83 პატიმარი, იდგა 24 დასაწოლი ნარი.
4. 55-ე საკანი: იმყოფებოდა 83 პატიმარი, იდგა 30 დასაწოლი ნარი. უმრავლესობას მისჯილი ჰქონდა. იყვნენ ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებიც.

ზემოაღნიშნულ საკნებში არ არის ვენტილაცია, უჰაერობა და ანტისანიტარია, რაც გაუსაძლის პირობებს ქმნის. ფაქტობრივად, სუნთქვა შეუძლებელია.

საქართველოს სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის გამო შეშფოთება გამოთქვა ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, გააორმაგოს ძალისხმევა გადატვირთულობის აღსაკვეთად და მიაღწიოს კომიტეტის სტანდარტს - ერთ პატიმარზე სულ მცირე 4მ² ფართობს, რისთვისაც სახელმწიფომ შესაბამისი სტრატეგია უნდა შეიმუშავოს.

პატიმართა ცემა-წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა

აღსანიშნავია, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებებში იკლო პატიმართა ცემა-წამების ფაქტებმა, თუმცა ზემოაღნიშნული შემთხვევები მაინც გვხვდება და რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, ისინი ხშირად გამოუძიებელი რჩება ან გამოძიება არასწორი მუხლით იწყება (იხ. დანართი).

2006 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში სახალხო დამცველმა რუსთავის #6 საპრობილის კარცერში მოთავსებულ შიშველ პატიმრებზე მიუთითა. ისინი კარცერში დასჯის მიზნით ჰყავდათ მოთავსებული. სახალხო დამცველის 2

თანამშრომელი იყო აღნიშნულის თვითმხილველი (ერთი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში „სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერების პროექტის“ თანამშრომელი და ერთი - სახალხო დამცველის აპარატის) და იგივე დასტურდება თავად პატირების მიერ მიცემული ჩვენებებიდანაც. მდგომარეობა ამკარად შეესაბამებოდა წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე 2006 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად გენერალურ პროკურატურას გაუგზავნა. 27 ოქტომბერს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება რუსთავის #6 საპყრობილის ცალკეული მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

პრაქტიკულად ერთი წლის შემდეგაც კი არაფერი შეცვლილა. პირიქით, სახალხო დამცველის ინფორმაციით, ზეწოლა გრძელდება პატიმრებზე, რომლებმაც არ უარყვეს ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტები (დეტალურად იხ. 2006 წლის მეორე ნახევრის მოხსენება).

ხელისუფლება პერმანენტულად აცხადებს, რომ აშენებს ლიბერალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოს და აღნიშნულის ფონზე ახდენს ცემისა და წამების ფაქტების იგნორირებას. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავ ორგანოებში იზრდება დაუსჯელობის სინდრომის ხარისხი.

კანონის უზენაესობა გულისხმობს, რომ არც ერთი ინდივიდი და თანამდებობის პირი კანონზე მაღლა არ უნდა იდგეს. დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების საქმიანობა საკანონმდებლო ჩარჩოებშია მოქცეული. აღნიშნულს ვერ ვიტყვით საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაზე, როცა სისტემაში „წესრიგის“ დასამყარებლად ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა რამდენიმე დაწესებულებაშია. მაგ. ქუთაისის ახალ #2 საპყრობილეში. ქუთაისიდან ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში გადაყვანილი ყველა არასრულწლოვანი მიუთითებდა თანამშრომლების მიერ მათ ცემაზე.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატური გამოუძიებლობა და მწამებლების დაუსჯელობა მიაწინებს ფაქტზე, რომ აღნიშნული შემთხვევები ხელმძღვანელობის მიერ არის წაქეზებული და ნებადართული.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამება გამოხატავს სისტემის სამოქმედო პოლიტიკასა და შეგნებას, რომ ეს ხერხი შეიძლება კონკრეტული პატიმრის დასჯას ემსახურებოდეს.

თუკი დაწესებულებაში მომხდარი წამების ფაქტები კონკრეტული დაწესებულების თანამშრომლის ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგია, აღნიშნული მიაწინებს სისტემის არასწორ მენეჯმენტსა და თანამშრომლებზე არასათანადო კონტროლზე.

2006 წლის მოხსენებაში იყო ფაქტები, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს პატიმრებთან არაადამიანური მოპყრობის გამო თანამდებობრივად აქვეითებდნენ, მაგრამ არ სჯიდნენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ ძალადობაზე ყურადღება ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოს შესახებ თავის 2007 წლის ანგარიშში გაამახვილა. კერძოდ, მიუთითა რამდენიმე დაწესებულებაზე, რომელთაგან ფიზიკური ძალადობის შესახებ პატიმრებისგან არაერთი საჩივარი მიიღო. კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია, რომ „რუთავის #6 საპყრობილის ხელმძღვანელობამ ნათლად გამოკვეთილი გზავნილი უნდა გაუგზავნონ თანამშრომლებს, რომ პატიმრებზე ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა ან სხვა ღირსების შემლახავი და დამამცირებელი მოპყრობა მიუღებელია და ძალიან მკაცრად დაისჯება. მენეჯერებმა ამ მხრივ დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინონ, მათი წარმომადგენლების მუდმივად დაკავების ადგილას ყოფნითა და პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტით, პატიმრების საჩივრების გამოძიებითა და ციხის თანამშრომლების გაუმჯობესებული ტრენინგით“.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისტემაში ძალადობის პრევენციისთვის ზემოაღნიშნული ღონისძიებები სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უნდა ხორციელდებოდეს.

დასკვნა

იუსტიციის სამინისტრომ სასჯელაღსრულების სისტემის დემოკრატიზაციისთვის მეტი ძალისხმევით უნდა იმუშავოს. აღნიშნული მოიცავს:

- პატიმართათვის ადამიანური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;
- პატიმართა საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას;
- პატიმართა რესოზიალიზაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას;
- დაკავების ადგილებში კულტურული და რეკრეატიული ღონისძიებების ჩატარებას;
- ცემისა და წამების ფაქტების ეფექტური გამოძიებისათვის ხელშეწყობასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას.


რეკომენდაციები:

1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უზრუნველყოს კვება ვეგეტარიანელებისა და სპეციალური საჭიროებების (მაგ. მარხვა) მქონე პატიმრებისათვის და აღნიშნული განისაზღვროს ნორმატიული აქტით.
2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სასწრაფოდ უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების დაცვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ელექტროსადენებთან დაკავშირებით.

3. საპრობილემოს გადატვირთულობა და იქ სათანადო ვენტილაციის არარსებობა იწვევს გაუსაძლის პირობებს და პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას. დამონტაჟდეს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა ყველა საპრობილეში.
4. იუსტიციის სამინისტროს მივმართავთ რეკომენდაციით, მეტი ყურადღება გამახვილდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ჰიგიენურ მდგომარეობაზე. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ამუშავდეს სამრეცხაოები, მოწესრიგდეს საშხაპების პრობლემა. პატიმრები უზრუნველყონ პირადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებითა და დალაქის მომსახურებით.
5. ეტაპობრივად განხორციელდეს პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამები.
6. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი პატიმარი, რომელთან მუშაობაც აუცილებელია. რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს, დროულად ამოქმედდეს იუსტიციის და განათლების მინისტრების ერთობლივი #614/6 („მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ“) ბრძანების ნორმები.
7. მოიხსნას საპრობილეებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები, შევიდეს ცვლილებები იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის ბრძანებაში „პატიმრობის მოხდის შესახებ“ და გაუქმდეს აღნიშნული ბრძანების მე-19 მუხლის მე-9 ნაწილის ბოლო წინადადება: „საპრობილის მოსამსახურეს უფლება აქვს ვიზუალურად, მოსმენის გარეშე, აკვირდებოდეს შეხვედრას“.
8. კანონის დარღვევისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებისათვის ჯიუტად თავის არიდების გამო, რეკომენდაციით მივმართავთ იუსტიციის მინისტრს, დააყენოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების სისტემაში

2007 წლის I ნახევარში საქართველოს პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში გარდაიცვალა 53 პატიმარი, რაც აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ყველა გარდაცვლილი იყო მამაკაცი. მათი ასაკობრივი ზღვარი მერყეობდა 16 დან 88 წლამდე. გარდაცვლილთა საშუალო ასაკი იყო 42,7. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გარდაცვლილია 20 წლამდე ასაკის 2 პატიმარი (3.77%); 20-40 წლამდე ასაკის 23 პატიმარი (43.4%); 40-60 წწ 19 პატიმარი (35.85%) და 60 წელზე უფროსი ასაკის 9 პატიმარი (19.98%). ანუ გარდაცვლილთა ასაკი ძირითადად 20-დან 40 წლამდე მერყეობს.



/A: 20 წლამდე / B: 20-40 / C: 40-60 / D: 60 და მეტი/

წლის დასაწყისში სიკვდილობის შემთხვევები უფრო მაღალი იყო და სტაბილურად შეადგენდა 10-ს, მაშინ, როცა საანგარიშო პერიოდის მეორე ნაწილში შედარებით შემცირდა. მიუხედავად ამისა, ყველა თვეში მაჩვენებელი აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში სიკვდილის მიზეზად დასახელებულია ტუბერკულოზი. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ნერვული სისტემის, მუცლის ღრუს ორგანოთა ტუბერკულოზთან, რაც მიუთითებს ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მკურნალობისა და მოვლის ნაკლოვანებაზე. აღსანიშნავია, რომ გარდაცვალების მიზეზთა შორის კვლავ სახელდება ისეთი ტრადიციული ცნება, როგორცაა “გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა”. მიუხედავად სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი რეკომენდაციისა, აღნიშნული გათვალისწინებული არ იქნა. საანგარიშო პერიოდში გარდაცვლილი პაციენტების სიკვდილის მიზეზებს შორის 8 შემთხვევაში არ არის გამოქვეყნებული სიკვდილის მიზეზი. შიდასივრცით გარდაცვლილია 2 პატიმარი, ხოლო სუიციდი დაფიქსირდა 2 შემთხვევაში. ორივე მათგანში სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია (ჩამოხრჩობა). ასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით მომატებულია ღვიძლის დაავადებებით, ასევე თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლით და ავთვისებიანი სიმსივნეებით გამოწვეული სიკვდილობა. დაავადებათა პირობითი დაჯგუფების მიხედვით 2007 წლის I ნახევარში აღინიშნა შემდეგი სურათი:

ტუბერკულოზი (ფილტვის, მეზოადენიტი, მენინგიტი)	18	
ღვიძლის დაავადებები	4	
	8	
დაუდგენელი დიაგნოზით	4	
თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა	4	
ავთვისებიანი სიმსივნეები	2	
სუიცუდი	2	
შიდსი	1	
მიოკარდიუმის ინფარქტი	1	
ბრონქოპნევმონია	1	
ნაწლავური ინფექცია	2	

ასევე ერთეულ შემთხვევებში სიკვდილის უშუალო მიზეზად დასახელებულია: ფილტვის პნევმოთორაქსი და ატელექტაზი, ფილტვის არტერიის მწვავე უკმარისობა, ფილტვიდან სისხლდენა, პერიტონიტი, სისხლდენა სწორი ნაწლავიდან. ამ შემთხვევებში, საფიქრებელია, რომ სიკვდილი შესაძლებელია გამოიწვიოს ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არარსებობამ ან მისმა უკიდურესად დაბალმა ხარისხმა.

53 შემთხვევიდან 25 შემთხვევაში (47%) სიკვდილის მიზეზთა ჩამონათვალში მითითებულია ტრადიციული ფრაზა – “გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა”, ხოლო 6 შემთხვევაში (11%) – “გულ-ფილტვის მწვავე უკმარისობა”. აღსანიშნავია, რომ როგორც გულის, ისე სისხლძარღვთა და ფილტვის უკმარისობა წარმოადგენს სინდრომს და არა დიაგნოზს. გულის უკმარისობა ვითარდება ნებისმიერი მიზეზით დამდგარი სიკვდილის შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, რის გამოც ამ მიზეზის დასახელება არაინფორმატიულია და არ ასახავს რეალობას. უფრო მეტიც, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის სიკვდილის მიზეზად დასახელება არასამედიცინო განათლების მქონე პირთა ნაწილში აღძრავს იმის რწმენას, რომ პაციენტის გარდაცვალების მიზეზი უნდა ყოფილიყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის რომელიმე დაავადება; გარდა ამისა, ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული მიდგომა გამოყენებულია იმისათვის, რომ არ გამოცხადდეს სიკვდილის ძირითადი მიზეზი.

53 გარდაცვლილი პაციტიდან 35 გარდაიცვალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში; 5 პაციენტი გარდაიცვალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სასჯელადსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში; 4 პატიმარი გარდაიცვალა საქართველოს სხვადასხვა ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) საავადმყოფოებში; 9 პატიმარი გარდაიცვალა სასჯელადსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში. მათ შორის: 2 – თბილისში, #5 საპყრობილეში, ხოლო თითო-თითო რუსთავის #1, ბათუმის #3, რუსთავის #6, #9, ზუგდიდის #4, ქუთაისის #2 და ქალთა და არასრულწლოვანთა #5 დაწესებულებაში.

ადგილი	აბსოლუტ. რიცხვი	%
	35	66,0%
სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება	5	9,4%
სად ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება	4	7,54%
ქალაქის სხვადასხვა კლინიკებში	9	17,0%

გარდაცვლილი პატიმრები რიცხული იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის შემდეგ საპყრობილეებსა და დაწესებულებებზე:

		აბსოლუტ. რიცხვი	%
1	სად ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება	7	
2	№5 საპყრობილე	11	
3	რუსთავის №1	2	
4	ქსანი №7	4	
5	თბილისი №1	5	
6	ბათუმი №3	2	
7	სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება	6	
8	რუსთავი №2	1	
9	რუსთავი №6	4	
10	ზუგდიდი №3	3	
11	გეგუთი №8	2	
12	ხონი №9	1	
13	ქუთაისი №1	1	
14	ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულება	1	

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წერილობით მიმართა და გამოითხოვა გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. იუხედავად ამისა,

ბიუროდან პასუხმა თითქმის 2 თვით დააგვიანა, როს გამოც საბოლოო ანალიზის ჩატარება ამ მოხსენებისათვის დაგვიანდა.

სიკვდილობის სპექტრის შესწავლა საქართველოს პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ხორციელდება პატიმართა სამედიცინო მომსახურება. ამ თვალსაზრისით, სამედიცინო მომსახურება ციხეებში ან არ არსებობს, ან ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ან მათი ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ სამედიცინო თვალსაზრისით სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა. კონკრეტულ სფეროებში გვაქვს გაუარესების ნიშნებიც. სამედიცინო მომსახურება არ არის ეკვივალენტური, ექიმის ხელმისაწვდომობა მინიმალურია, ხოლო ჩატარებული მკურნალობისა და მოვლის ხარისხი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აბსოლუტურად შეუსაბამოა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი ღირსებისათვის (იხ.დანართი: რ.მარგველანის საქმე).

სამედიცინო სფეროში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა შესაძლებელია აიხსნას მინიმუმ სამი მიზეზით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამ სფეროში საკანონმდებლო რეგულირების კრიზისი, როგორც კანონების, ისე კანონქვემდებარე აქტების დონეზე. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას არ გააჩნია სამედიცინო საქმიანობის წარმოების ლიცენზია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (შეტანილი ცვლილება)” ამგვარ ლიცენზიას არ სთხოვს ე.წ. “ციხის საავადმყოფოს”, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი ცალსახად განმარტავს, რომ სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას. სამედიცინო დაწესებულების კონტროლის მექანიზმები კი საკმაოდ მკაფიოდაა ფორმულირებული საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

მიუხედავად ამისა, საქმე გვაქვს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პარადოქსთან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება არ არსებობს ბუნებაში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ე.წ. დაწესებულებაში პაციენტთა მკურნალობა, მოვლა და ნებისმიერი სახის სამედიცინო ღონისძიებას ახორციელებს უშუალოდ იუსტიციის სამინისტრო, მის სტრუქტურაში მყოფი ერთ-ერთი დეპარტამენტის საშუალებით, რაც დისკრიმინაციული მიდგომაა და არღვევს როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. ბევრი ქვეყანა არ გამოირჩევა იმით, რომ ჯანდაცვის შიდა კანონმდებლობაში (ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა) გამოკვეთილად რეგულირდებოდეს პატიმართა და დაკავებულთა სამედიცინო მოქმედების საკითხები. ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა დახვეწილი და გამართულია. ჯანმრთელობის დაცვის, საექიმო საქმიანობისა და პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონები ცალკე თავებით არეგულირებენ (საკმაოდ ვრცლად) პენიტენციური ჯანდაცვის საკითხებს. სავსებით მისაღებია ასევე ის დებულებები, რომლებიც მოიპოვება საქართველოს კანონში “პატიმრობის შესახებ”. მიუხედავად ამისა, შესაბამისი კანონები ამ მიმართულებით აბსოლუტურადაა იგნორირებულია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, პატიმართა მკურნალობისა და მოვლის ხარჯები გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტით, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ” პირდაპირ მიუთითებს, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა მკურნალობა ფინანსდება ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით. ამ კანონის დარღვევა აშკარად ქმნის პატიმრების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას სწორედ პატიმრობის ნიშნით.

კანონქვემდებარე აქტების დონეზე არსებული პრობლემები უპირველეს ყოვლისა უკავშირდება იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემულ დოკუმენტებს, რომლებიც გარდა იმისა, რომ სამედიცინო თვალსაზრისით არაკვალიფიციური და გაუმართავია, არ შეესაბამება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულის დასადასტურებლად შესაძლებელია რამდენიმე მაგალითის მოყვანა: უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს ავადმყოფ მსჯავრდებულთა და პატიმართა გადაყვანას საპრობილექებიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და ქვეყნის სხვადასხვა საავადმყოფოებში. სამედიცინო თვალსაზრისით სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია, მაგალითად ქირურგიული მდგომარეობების დროს შესაძლებელია, დაიგეგმოს და განხორციელდეს გადაუდებელი, სასწრაფო და გეგმური წესით. დახმარება ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ტიპით ხორციელდება. იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში კი საუბარია გადაუდებელი მდგომარეობების გეგმური წესით გადაწყვეტაზე, რასაც გარდაუვლად მოყვება პაციენტის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლა. საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მინისტრის ბრძანებით ამტკიცებს სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებს, მისი წარმოების და შენახვის წესებს. მიუხედავად ამისა, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის ფორმები (სტაციონარული და ამბულატორული), რომლებიც სტრუქტურულად და ხშირად შინაარსობრივადაც კი მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივ, “სამოქალაქო” ჯანდაცვის სფეროში მოქმედი ანალოგიური დოკუმენტებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი წესით შევსებული დოკუმენტებიც კი ძირითადად ხელმიუწვდომელია პაციენტების, მათი ნათესავებისა და კანონიერი წარმომადგენლებისათვის და სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვება თუნდაც გაცნობის მიზნით უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, რაც უხეშად არღვევს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო სტანდარტებს.

პრობლემათა მეორე ჯგუფი უკავშირდება სამედიცინო ხასიათის საკითხებს, რაც გამოიხატება როგორც ჯანდაცვის სფეროში ადამიანური რესურსების სიმწირით, ასევე ამ სფეროს წარმომადგენელთა უკიდურესად დაბალი კვალიფიკაციით. სამედიცინო მომსახურების სფეროში არსებული პრობლემები მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ისე კლინიკურ საკითხთა კრიზისს. ექიმების უმრავლესობა ახორციელებს საქმიანობას მედიცინის იმ დარგში, რომელიც არ წარმოადგენს მისთვის სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართულ სპეციალობას, ანუ ისინი პრაქტიკულად ეწევიან უკანონო სამედიცინო საქმიანობას. ჩვენს მიერ ასევე გამოვლენილია არაერთი ფაქტი იმისა, რომ ექიმებს არ აქვთ სახელმწიფო სერტიფიკატი არც ერთი სპეციალობით. უწყვეტი პროფესიული განათლებისა და უწყვეტი პროფესიული დახმარების ციკლები ციხის ექიმთათვის თითქმის არ

არის მიუწვდომელი, რაც ნეგატიურად აისახება პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

პრობლემათა მესამე ძირითადი ჯგუფი, რაც უარყოფითად მოქმედებს პაციენტთა ჯანმრთელობაზე მდგომარეობს სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირთა (მათ შორის ექიმების) არაეთიკურ ქცევაში. ანუ ისინი არ იჩენენ კეთილ ნებას, რომლის პოზიტიურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სიკვდილობისა და ავადობის მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება და ამ მიმართულებით დადებითი დინამიკა.

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია არა ობიექტური მიზეზით (როგორცაა, მაგ. რომ ადამიანი მოკვდავია), არამედ სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობით, საჭირო რესურსების ნაკლებობითა და ადმინისტრაციის მხრიდან ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის პრობლემის იგნორირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისია

2006 წლის 7 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 714-241/ნ ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისია. აღნიშნული ბრძანების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმის გარდამავალ ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც შეისწავლის და მოამზადებს შესაბამის დასკვნას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისიის დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიის ფუნქციაა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ სასამართლოში წარსადგენად სათანადო დასკვნის მომზადება.

სსსკ-ის 608-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე და „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის ან, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებულია მისი კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან/და სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის, აგრეთვე **სამედიცინო ან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე**, მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული პირის მიმართ სასამართლოს უფლება აქვს, გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ.

2007 წლის 15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადოიმ დადგენილებით უარი უთხრა ადვოკატ ზაზა ხატიაშვილს მსჯავრდებულ ნანული ალავერდაშვილის ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე.

აღნიშნული დადგენილებიდან ირკვევა, რომ 2006 წლის 20 დეკემბერს ადვოკატ ზაზა ხატიაშვილის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 12 აპრილის ერთობლივი კომისიის დასკვნის საფუძველზე მსჯავრდებულ ნანული ალავერდაშვილს დაუდგინდა საბოლოო დიაგნოზი მარცხენა ფილტვის ცენტრალური კიბო მეტასტაზებით ღვიძლში **T4NXM1**, მე-4 სტადია, მე-4 კლინიკური ჯგუფი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი, იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მსჯავრდებულ ნანული ალავერდაშვილს ჰქონდა უკიდურესად ცუდი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ითხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის #5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის წარმომადგენელმა გიორგი შალამბერიძემ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დასკვნა არ არის საექსპერტო ბიუროს მიერ გაცემული, შესაბამისად ექსპერტებიც არ არიან გაფრთხილებულნი ცრუ დასკვნის გაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რის გამოც, მსჯავრდებულის ჯანმრთელობიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა 2007 წლის 19 აპრილს მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით. ასევე თბილისის #5 საპყრობილის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნა იმ დროისათვის არ ჰქონდათ მიღებული.

სასამართლომ #60/10024 დადგენილებაში მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 12 აპრილის ერთობლივი კომისიის დასკვნა და მსჯავრდებულის მდგომარეობის შემოწმება **არ მომხდარა სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის მიერ (რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 608 მუხლის პირველი ნაწილი)**, შესაბამისად ისინი არ ყოფილან გაფრთხილებული სსსკ-ის 370-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „ყალბი დასკვნის გაცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“, ასევე სსსკ-ის 74-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს მძიმე ავადმყოფობა, რომელიც ხელს

უმლის სასჯელის მოხდას, რაც, მოსამართლის აზრით, მოცემულ შემთხვევაში გარკვეული არ იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ადვოკატ ზ.ხატიაშვილის შუამდგომლობა მსჯავრდებულ ნ.ალავერდაშვილის ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ უსფუძვლობის გამო არ დააკამყოფილა.

მსჯავრდებული ნაწილი ალავერდაშვილი გარდაიცვალა.

მ/წლის 30 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინა ინფორმაცია: 2006 წლის განმავლობაში, ასევე 2007 წლის იანვრიდან დღემდე რამდენი მძიმე და განუკურნებელ სენით დაავადებულ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნა შესწავლილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისიის მიერ ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მიზნით და მათგან რამდენზე მომზადდა სათანადო დასკვნა სასამართლოში წარსადგენად.

მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ 2006 წლის 7 სექტემბრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე, ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე, ერთობლივ კომისიას მიმართეს ერთ მსჯავრდებულთან დაკავშირებით, ხოლო 2007 წლის 1 იანვრიდან დღემდე 13 მსჯავრდებულთან დაკავშირებით. ყველა მათგანზე კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში მოახდინა რეაგირება, შეისწავლა და განიხილა თითოეული განცხადება, მათგან 11 შემთხვევაში, სადაც სრულად არ იყო წარმოდგენილი აუცილებელი სამედიცინო დოკუმენტაცია, გამცხადებლებს მიეცათ წერილობითი რეკომენდაცია დოკუმენტაციისა და პროცედურის სრულყოფის შესახებ. **3 (სამ)** შემთხვევაში ერთობლივი კომისიის მიერ მომზადებული იქნა სათანადო დასკვნა, რომლის სასამართლოში წარდგენაც იმ სასჯელადსრულების პრეროგატივაა, რომელსაც ერიცხება მსჯავრდებული.

2007 წლის 18 სექტემბერს სასჯელადსრულების დეპარტამენტიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული წერილიდან ირკვევა, რომ 2006 წლის სექტემბრიდან დღემდე საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 714-241/ნ ბრძანების საფუძველზე, შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე, სასჯელადსრულების დეპარტამენტის მიერ სასამართლოს წინაშე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე წარდგინება არ გაკეთებულა.

იკვეთება, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 714-241/ნ ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის ვერ უზრუნველყოფს იმ ფუნქციის შესრულებას, რომელიც მას აქვს მინიჭებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სსსკ-ის 608-ე მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე და „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის ან, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებულია, მისი კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან/და სასჯელადსრულებითი დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის, სამედიცინო ან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული პირის მიმართ სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი მის მიერ მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულებაზეა დამოკიდებული.

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულება ევალება იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს. დეპარტამენტის სუსტი მხარეები დაწვრილებით იყო აღწერილი წინა პერიოდის მოხსენებაში, ამიტომაც ამ საკითხს აქ აღარ შევხებით. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ამ სამსახურის გამართულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ამიტომ მის გაძლიერებას დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ იუსტიციის სამინისტრომ და სხვა სათანადო უწყებებმა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საქმე, რომლებიც წინა პერიოდის მოხსენებაში იყო მოხსენიებული, როგორც აღუსრულებელი, სახალხო დამცველის რეკომენდაციით დღეისათვის სისრულეში მოიყვანა სააღსრულებო დეპარტამენტმა. ასეთია, მაგალითად, მოქალაქე ლედი სალინაძის საქმე და თემურ სილაგაძის საქმე (ორივე ეხებოდა სახელფასო დავალიანებას).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით 2007 წლის იანვრის თვიდან ივლისის ჩათვლით სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების-სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იყო 113 293 საქმე, საიდანაც დამთავრდა 34 057 საქმე, საერთო რაოდენობის 30%, წარმოებაში დარჩენილ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 79 236 საქმე, შესაბამისად საერთო რაოდენობის 70%.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის და საბიუჯეტო ორგანიზაციების (მოვალე ორგანიზაციები) მიმართ აღსასრულებელი საქმეების რაოდენობას, იგი 2007 წლის იანვრის თვიდან ივლისის ჩათვლით შეადგენდა 2 729 საქმეს, საიდანაც აღსრულებულია 722 საქმე, ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ აღსასრულებელ საქმეთა საერთო რაოდენობის 26 %, ხოლო წარმოებაში დარჩა 2 007 საქმე, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ აღსასრულებელ საქმეთა 74 %.

როგორც ვხედავთ, აღსრულებული საქმეებიდან ბიუჯეტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საქმეების მხოლოდ გარკვეული ნაწილია აღსრულებული, რაც მხოლოდ 26 % (გასული წლის მონაცემებთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტი) შეადგენს, სწორედ ამიტომ ყველაზე ბევრი საჩივარი სწორედ ამ კუთხით არის მიმართული. მოქალაქეები სახალხო დამცველისადმი მიმართვაში ხშირ შემთხვევებში მიუთითებენ, მაგალითად, აღსრულებელ სახელფასო დავალიანებებზე და ა.შ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არის არაერთი საქმე, რომელიც კერძო პირთა შორის წარმოშობილ დავებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების არააღსრულებას ეხება. მაგალითად, **ნათელა გოდერიძის საქმე;** **მაია მურადიძის საქმე.** საბიუჯეტო დავალიანებას ეხება მოქალაქე ლონდა

წიტიშვილის საქმე; აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის წინააღმდეგ არსებული დავებიდან აღსრულდა ამირან დიაკონიძის და კახა იობიშვილის საქმეები (დაწვრილებით იხ.დანართში).

უნდა ითქვას, რომ ზოგადად კმაყოფილი ვარ სააღსრულებო დეპარტამენტის მუშაობით, რომელიც მუდმივ მზადყოფნას გამოთქვამს აღსრულოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები და მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერია.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

2007 წლის პირველი ნახევარში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თაობაზე სახალხო დამცველს მიმართავდნენ რეგიონული მედიის წარმომადგენლები. აღნიშნული განცხადებები შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მუქარას, წყაროს კონფიდენციალობის დარღვევის მიზნით იძულებას, საჯარო დაწესებულებებში მედიასთან ურთიერთობის დისკრიმინაციულ პრაქტიკას და ჟურნალისტთა შრომით უფლებებს

მუქარა

2007 წლის პირველ ნახევარში რეგიონებში ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ჟურნალისტების მიმართ ადგილი ჰქონდა ქმედებებს, რომელიც წინასწარი გამოძიების მიერ კვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე (მუქარა), 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) და 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა) მუხლებით. სახალხო დამცველის რეკომენდაციით 2007 წლის 17 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტის ილია ჩაჩიბაიასათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პრეს-სამსახურის უფროსის ლალი გელენავას და დიმიტრი მარკოიძის მიერ თავისუფლების აღკვეთის და მისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით 2007 წლის 11 მაისს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის #8207842 საქმეზე ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ დამფუძნებლის ბადრი ნანეტაშვილის მიმართ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მარლენ ნადირაძის მიერ განხორციელებული მუქარის ფაქტზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით 2007 წლის 19 თებერვალს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტის ნინო ჩიბჩიურის მიმართ სსკ-ის 151-ე (მუქარა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელების ფაქტზე. ჟურნალისტი აღნიშნულ მუქარას უკავშირებს თავის პროფესიულ საქმიანობას.

წყაროს კონფიდენციალობის დაცვა

სიტყვის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე შემთხვევას წარმოადგენს ჟურნალისტის იძულება - გაამხილოს ინფორმაციის წყარო. მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქ.ზუგდიდში, სადაც 2006 წლის 17 დეკემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პრეს-სამსახურის უფროსი ლალი გელენავა და დაცვის თანამშრომელი დიმიტრი მარკოიძე გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტის, ილია ჩაჩიბაიასაგან იძულების გზით ცდილობდნენ კონფიდენციალური წყაროს ვინაობის გაგებას. აღნიშნულ გარემოებას არ უარყოფს

თავად პრესამსახურის უფროსი. რომელიც სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში პირდაპირ აცხადებს, რომ დაცვის თანამშრომელი დიმიტრი მარკოიძე ილია ჩაჩიბაიას ინფორმაციის წყაროს დასახელებას სთხოვდა. ამ მიზნით ლალი გელენავამ და დიმიტრი მარკოიძემ ჟურნალისტს წაართვეს მობილური ტელეფონი. იგი დააკავეს რწმუნებულ ზაზა გოროზიას სამუშაო კაბინეტში.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება. იმავე კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი დავის შემთხვევაში მოპასუხეს დააკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება.

ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის პრინციპის მნიშვნელობა ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე გუდვინი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. სასამართლომ აღნიშნა, რომ წყაროს კონფიდენციალობა წარმოადგენს არა მხოლოდ ჟურნალისტთა ქცევის კოდექსის რეგულირების სფეროს, არამედ მისი მნიშვნელობა აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით და კონვენციის მონაწილე მთელი რიგი სახელმწიფოების კანონმდებლობითაც. სასამართლომ განაცხადა, რომ კონფიდენციალობის დაცვის გარეშე ინფორმაციის წყაროებს სურვილი დაეკარგებათ, დაეხმარონ პრესას საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებაში. შედეგად პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის (watchdog) ფუნქცია შესაძლოა დაკნინდეს და ხელყოფილი იქნეს პრესის უნარი - უზრუნველყოს საზოგადოება ზუსტი და სანდო ინფორმაციით.

ამგვარად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, თავი შეიკავოს ჟურნალისტის იძულებისაგან, გაამხილოს ინფორმაციის კონფიდენციალური წყარო. აღნიშნული ვალდებულების არსებობა სახელმწიფოსაგან მოითხოვს, ჟურნალისტის მიმართ მსგავსი იძულება გამოაცხადოს უკანონოდ და სათანადო ღონისძიების გამოყენებით აღკვეთოს ასეთი შემთხვევები, ვინაიდან აღნიშნული ქმედება არა მარტო ხელყოფს ჟურნალისტის პიროვნულ ხელშეუხებლობასა და თავისუფლებას, არამედ წარმოადგენს მის საქმიანობაში ჩარევის უხეშ ფორმას. საბოლოო ჯამში, წყაროს კონფიდენციალობის დარღვევა ხელყოფს საზოგადოების უფლებას, ამგვარი წყაროების მეშვეობით მიიღოს აქტუალური ინფორმაცია.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს პირდაპირ ამკრძალავ ნორმას ჟურნალისტის იძულებისათვის - გაამხილოს კონფიდენციალური წყარო. მსგავსი ქმედება შესაძლოა მოხდეს კოდექსის სხვადასხვა მუხლის მოქმედების ქვეშ. მათ შორის არის სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი, რომელიც მოიცავს ზოგად აკრძალვას ჟურნალისტის იძულებისათვის, გაავრცელოს ინფორმაცია (რაც ასევე გულისხმობს იძულებას, რომელიც მიზნად ისახავს კონფიდენციალური წყაროს გამხელას). სწორედ აღნიშნული მუხლის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა)

მუხლთან ერთობლიობით იქნა დაწყებული წინასწარი გამოძიება ჟურნალისტ ილია ჩაჩიბაიას საქმეზე.

შრომითი ხელშეკრულებები და სარედაქციო დამოუკიდებლობა

ქართულ მედიაში კვლავ პრობლემატურია შრომის ხელშეკრულებების არარსებობის საკითხი. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მედიაში სარედაქციო დამოუკიდებლობას. რაც, პირველ რიგში, მედია მფლობელისაგან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თავიდან აცილების გარანტიას წარმოადგენს. სარედაქციო დამოუკიდებლობის ინსტიტუტი პრინციპების დონეზე აღიარებულია „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში. თუმცა, გარდა იმისა, რომ არ არსებობს აღნიშნული ცნების ლეგალური დეფინიცია, მოქმედი კანონმდებლობა თითქმის არ შეიცავს რეალურ მექანიზმს სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის რეალიზებისათვის. არ არსებობს ნორმა, რომელიც შეზღუდავს მედიის მფლობელს ახალი ამბების რედაქციაზე ზემოქმედების შესაძლებლობისაგან. შექმნილი გარემო აიძულებს ჟურნალისტს, სამუშაოს შენარჩუნების მიზნით ემსახუროს იმ პოლიტიკური ან ბიზნეს ჯგუფის ინტერესებს, რომელთანაც დაახლოებულია შესაბამისი მედიის მფლობელი.

ახალი შრომის კოდექსის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულება, როგორც სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვის გარანტია, დადგა ახალი გამოწვევის წინაშე. 2006 წლის 25 მაისამდე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავდა შრომითი ხელშეკრულების წერილობით ფორმას. ამის მიუხედავად, მედია საშუალებები კანონის გვერდის ავლით არ უფორმებდნენ ჟურნალისტს შრომით ხელშეკრულებებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მოსკოვის ბიუროს თანამშრომლის ჟურნალისტ რუსუდან ნიკურაძის საქმე. ასევე სახალხო დამცველის მიერ განხილული თამარ ოქრუაშვილის, საბა წიწიკაშვილის და სხვების განცხადება ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ დამფუძნებლის ბადრი ნანეტაშვილის წინააღმდეგ, სადაც შრომითი ხელშეკრულებების არარსებობის გამო, გაურკვეველი იყო დასაქმებული ჟურნალისტის უფლება-მოვალეობები. შედეგად, ჟურნალისტებს უხდებოდათ ისეთი არაკვალიფიციური სამუშაოს შესრულება, როგორცაა მაგალითად ტელე-რადიო კომპანიის ეზოს მოვლა.

ახალი კოდექსის მე-6 მუხლი საკმაოდ უმარტივებს საქმეს მედია მესაკუთრეს, ვინაიდან მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „**შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.**“ ამ დროს ზეპირი შრომითი ხელშეკრულების არსებობის მტკიცების ტვირთი გადადის ჟურნალისტზე, თუმცა პრობლემას წარმოადგენს არა იმდენად შრომითი ურთიერთობის არსებობის ფაქტის დამტკიცება (სხვა სამუშაოებისაგან განსხვავებით, ამგვარი მტკიცება განსაკუთრებით იოლია მედიაში, სადაც არსებობს ვიდეო, აუდიო და საგაზეთო ჩანაწერები), არამედ ის, თუ დამსაქმებლის თვითნებობისაგან დაცვის რა პირობებს შეიცავს ზეპირი ხელშეკრულება.

ამ პრობლემამ თავი იჩინა ცაულინა მაღაზონიას საქმეში. აღნიშნული ჟურნალისტი 2006 წლის 1 სექტემბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა ახალციხეში გამოძვალა დამოუკიდებელი გაზეთის, „სამხრეთის კარიბჭის“ ჟურნალისტად. ამ პერიოდის განმავლობაში მასთან გაფორმებული იყო წერილობითი ხელშეკრულება, სადაც ნათლად იყო გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის დასაქმებულის ხელფასი, 300 ლარის ოდენობით. 2007 წლის პირველი იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით, ჟურნალისტის ხელფასის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, რამაც მისი უკმაყოფილება და სამსახურის დატოვება გამოიწვია. გაზეთის რედაქტორის, ლელა ინასარიძის განმარტებით, 2007 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით, გაზეთის არც ერთ თანამშრომელთან არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. არსებობდა მხოლოდ ზეპირი ხასიათის შეთანხმება ხელფასთან დაკავშირებით.

ბუნებრივია ხელფასი, როგორც მუდმივი, არაერთჯერადი საქმიანობის ანაზღაურების ფორმა, არ შეიძლება იყოს ზეპირი ხელშეკრულებების რეგულირების საგანი. გრძელვადიან შრომითი ურთიერთობების შემთხვევაში აუცილებელია წერილობითი შრომითი ხელშეკრულებების არსებობა, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები. თუკი მოქმედი კანონის მიღებასთან დაკავშირებულ დებატებს გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება, რომ კანონპროექტის ინიციატორებს სწორედ მსგავსი მიზნები ამომრავებდათ, თუმცა საბოლოო ვარინტმა მკაფიოდ ვერ განსაზღვრა ის შემთხვევები, როცა ზეპირი ხელშეკრულების ფორმის გამოყენება არის დასაშვები. წერილობითი ხელშეკრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც მრავალჯერადი ხასიათის საქმიანობას ახორციელებენ კონკრეტულ მედია ორგანიზაციაში.

მედიასთან ურთიერთობის დისკრიმინაციული პრაქტიკა

2007 წლის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირების მხრიდან მედია საშუალებების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას. ბეჭდური მედიის წარმომადგენლები ხშირად უჩივიან იმას, რომ ელექტრონული მედიის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, არ ხდება მათი მიწვევა ან დაშვება მაღალი თანამდებობის პირების ბრიფინგებზე. თავის მხრივ, არც ყველა ეროვნული მაუწყებელია ჩაყენებული თანაბარ მდგომარეობაში. საპარლამენტო უმრავლესობის და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ბოიკოტს უცხადებენ ტელეკომპანია „იმედს“ და არ მონაწილეობენ აღნიშნული ტელევიზიის თოქშოუებში, თუმცა იმავდროულად უარს არ აცხადებენ სხვა სამაუწყებლო საშუალებების ანალოგიური ფორმატის გადაცემებში მონაწილეობაზე. თავისთავად ცხადია, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ამგვარი არჩევანი არ მიუთითებს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მძიმე ფორმის ინსტიტუციური დისკრიმინაციის არსებობაზე. მით უმეტეს, პოლიტიკოსების ამგვარი დამოკიდებულება არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას.

სატელევიზიო საშუალების არჩევა, ისევე, როგორც პირდაპირ ეთერში ინსტერვიუზე დათანხმება, გამოხატვის თავისუფლებით დაცულ უფლებას წარმოადგენს. თუმცა პოლიტიკოსების, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირების დამოკიდებულება ამა თუ იმ ჟურნალისტის ან მედია საშუალების მიმართ, რომელიც აშკარად მოტივირებულია ამ უკანასკნელთა პოლიტიკური შეხედულებით, არ ახდენს დადებით ზეგავლენას პრესის თავისუფლების განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე.

უფრო შემამფოთებელ და საქართველოს კანონმდებლობასთან აშკარად შეუსაბამო შემთხვევებს ვაწყდებით რეგიონებში. თავისთავად ნათელი და მისაღებია ის თვალსაზრისი, რომ საჯარო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების მიზნით ამ დაწესებულების შენობა თუ მის წარმოებაში არსებული დოკუმენტაცია ყოველთვის ვერ იქნება ხელმისაწვდომი, შესაბამისად, არსებობს ლეგიტიმური მიზანი იმისა, რომ საჯარო დაწესებულების შენობაში მოძრაობა, ისევე, როგორც იქ დაცული ინფორმაცია დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, როგორცაა აკრედიტაცია და საშვთა სისტემა. თუმცა ეს უკანასკნელი უნდა იყოს დარეგულირებული ნორმატიული აქტით, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამასთან ერთად, აღნიშნული წესები უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა: შემზღუდველი ნორმატიული აქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს საკმარისი სიზუსტით, რომელიც მოიცავს საჯარო ხელისუფლების ჩარევისაგან დაცვის მექანიზმებს. იმავედროულად, ამგვარი წესები უნდა იძლეოდეს იმ შედეგის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას, რაც შესაძლოა გამოიწვიოს სუბიექტის მოქმედებამ. ყველაზე უმთავრესი მოთხოვნა არის ის, რომ ამგვარი წესები ხელს არ უნდა უწყობდეს დისკრიმინაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ბათუმში იყო შემთხვევა, როდესაც აკრედიტაციის არ არსებობა ორჯერ გამოიყენეს გაზეთი „ბათუმელების“ ჟურნალისტების საჯარო შეხვედრაზე დასწრების აღსაკვეთად. საშვის დაუშვებლობის გამო ტელერადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტს ნინო ჩიბჩიურს, მისი თქმით, უარს ეუბნებიან გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომებზე დასწრებაზე. ამ უკანასკნელს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი არ აწვდიდა ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო სხვა მედიის წარმომადგენლებისათვის. ამის მიზეზი იყო ის, რომ ტელერადიო კომპანია „თრიალეთი“ არაობიექტურად აშუქებდა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობას, რაც ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელის თქმით, არღვევდა გამგებლის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უფლებებს. სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი თეა ფაიქიშვილი პირდაპირ აცხადებს: „მე „თრიალეთის“ გარდა ვთანამშრომლობ სხვა ტელევიზიებთან და ჟურნალ-გაზეთებთან. ინფორმაცია გაიცემა მათი მოთხოვნილებების მიხედვით (ხდება მათთვის ფოტო-მასალის მიწოდებაც).“ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტებს არ მისცეს არანაირი ინფორმაცია მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე. რადგან სწორად გაცემული ინფორმაციის მიუხედავად, სიუჟეტები იქნება ცალსახა (ცალმხრივი) და კვლავ დაირღვევა ქარელის

მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები“ - აცხადებს თეა ფაიქაშვილი.

ევროსასამართლომ საქმეში გუერა-იტალიის წინააღმდეგ განაცხადა, რომ „უფლება - მიიღო ინფორმაცია - მოიცავს დაინტერესებული საზოგადოების დამოუკიდებელ უფლებას, წაიკითხოს ან მოისმინოს სხვა პირების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ან იდეა. რაც გულისხმობს ჟურნალისტის ვალდებულებას, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციაზე, რისთვისაც აუცილებელია ასეთ დოკუმენტებთან, ოქმებთან და საჯარო დაწესებულების საკუთრებასთან დაშვება.“

„პრესას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხზე. ამასთან არა მარტო პრესას აქვს ასეთი ინფორმაციის და მოსაზრების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას ასევე გააჩნია მათი მიღების უფლება“ (ლინგენსი-ავსტრიის წინააღმდეგ საქმე).

რაც შეეხება პრესის მიერ არაობიექტური ინფორმაციის, თუნდაც ჭორების გავრცელებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე თორგეისონი-ისლანდიის წინააღმდეგ განაცხადა, რომ ჟურნალისტისათვის სიმართლის დამტკიცების ვალდებულების დაკისრება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე აშკარად არაგონივრული და შეუძლებელია, პრესა ვერ შეძლებს რაიმეს გამოქვეყნებას, თუ მას მოსთხოვენ მხოლოდ დამტკიცებული ფაქტების გამოქვეყნებას. საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ევროსასამართლომ განაცხადა, რომ სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცმყოფელი, შოკისმომგვრელი ან ამაღელვებელია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის განცხადება იმის შესახებ, რომ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ არაობიექტურად აშუქებს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და აღნიშნული გარემოება საფუძვლად უნდა დაედოს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთისათვის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარს, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, არამედ არღვევს საქართველოს შიდა კანონმდებლობასაც, კერძოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას, როგორც სანქციის სახეს ჟურნალისტის არაკეთისინდისიერი მოქმედებისათვის, არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა. ამასთან ერთად, საქართველოს კანონი „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საერთოდ გამორიცხავს ჟურნალისტისათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრებას განცხადებისათვის, რომელიც ეხება საჯარო პირს და წამოთქმულია საზოგადოებრივი ინსტერესის მქონე საკითხთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული განცხადება შეიცავდეს მცდარ ფაქტებს.

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ახსნა-განმარტებით, დასტურდება ქარელის მუნიციპალიტეტში

ამკარა დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობა. თ.ფაიქაშვილი აცხადებს, რომ იგი „თრიალეთის“ გარდა თანამშრომლობს მედიის ყველა სხვა საშუალებასთან. ამგვარი მიდგომით ქარელის მუნიციპალიტეტი, სრულიად უსაფუძვლოდ, „თრიალეთთან“ შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სხვა მედია საშუალებებს, რაც აკრძალულია როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ისე მრავალი საერთაშორისო დოკუმენტით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი აცხადებს: „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“ კონკრეტულ შემთხვევაში ქარელის გამგეობის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილი აქვს ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას ამავე კონვენციის მე-10 მუხლთან კავშირში.

რეკომენდაცია

1. ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონულმა სამმართველომ უზრუნველყოს ილია ქაჩიბაიასათვის თავისუფლების აღკვეთისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე ეფექტური გამოძიების წარმოება.
2. სახალხო დამცველი საკანონმდებლო წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შრომის კოდექსის მე-6 მუხლში იმპერატიულად განისაზღვროს არაერთჯერადი სამუშაოს შესასრულებლად წერილობითი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი.
3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მედიის ან ჟურნალისტთა აკრედიტაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები დარეგულირებული იქნეს ნორმატიული აქტით. დაუშვებელია აკრედიტაციის მომწესრიგებელი ნორმები უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ არ ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს ან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან.

ინფორმაციის საჯაროობა

ინფორმაციის ღიაობა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ერთ-ერთი სერიოზული მონაპოვარია და მისი უგულვებელყოფა სწორედ ამ პრინციპებისა და ღირებულებების ხელყოფად უნდა შეფასდეს.

მოქალაქეები და სხვადასხვა ორგანიზაციები ხშირად ჩივიან, როგორც საჯარო ინფორმაციის მიღების ვადების დარღვევაზე, ასევე იმაზე, რომ ხშირად საერთოდ შეუძლებელი ხდება საჯარო ინფორმაციის მიღება. არის შემთხვევები, როცა მოცულობითი ინფორმაციის მოთხოვნისას სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული პასუხი ზედაპირული და არასრულყოფილია. ისინი მიუთითებენ იმ ვებ-გვერდებზე, სადაც ამ ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი, მაშინ როცა მოქალაქეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, უფლება აქვს, თვითონ აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა.

საიპიჩმენტო პროცედურათა ინიციატივის ცენტრის დირექტორმა გიორგი მკურნალიძემ სხვადასხვა დროს არაერთგზის მიმართა ქალაქ თბილისის მერიას სხვადასხვა შინაარსის საჯარო ინფორმაციის მიღების თაობაზე. თუმცა მოთხოვნილი ინფორმაცია მოქალაქეს მხოლოდ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შედეგად გადასცეს.

ანალოგიური ვითარება შეექმნათ ქალაქ თბილისის მერიიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის გარემოსდაცვითი პროგრამის კოორდინატორს, ლია თოდუას, ცენტრის დირექტორს, ეკა ურუშაძეს, იურიდიული ფირმა „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, მიურატი და პარტნიორები-ს“ ადვოკატს, ირაკლი ყანდაშვილს.

კონკურსანტმა გერონტი გასვიანმა, რომელიც მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამოცხადებულ კონკურსში, უნივერსიტეტისგან მოითხოვა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების ქსეროასლი და მისი გაცნობა დედანში. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ხასიათისაა და კანონის თანახმად, მას ამ დოკუმენტის დედანში გაცნობის უფლებაც ჰქონდა, გერონტი გასვიანის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ხოლო სახალხო დამცველს ინსტიტუტის ადმინისტრაციამ რეკომენდაციის პასუხად მისწერა, რომ „ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის 2006 წლის 26 აგვისტოს სხდომის დადგენილების თანახმად, საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევისას კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და კენჭისყრის პროცესში მათ მიერ დაფიქსირებული პოზიცია კონფიდენციალურია და ამ ინფორმაციის უცხო პირზე, მათ შორის, კონკურსანტებზე გაცემა დაუშვებელია“. პასუხის შინაარსი ცხადყოფს, რომ ეს ინფორმაცია, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის, უსაფუძვლოდ გასაიდუმლოებულია.

ყოველი ასეთი ფაქტი, ვფიქრობ, პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რათა თითოეულმა იმ პირმა, ვინც სამართლებრივად შეხებაშია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან, გაითავისოს, რომ ის, რაც კანონითაა განსაზღვრული და დადგენილი, ვერ დარეგულირდება იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტით. ინფორმაციის ტიპებს ადგენს საქართველოს კონსტიტუცია და განმარტავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. სწორედ ამ კანონიდან გამოდინარე არის შესაძლებელი, დადგინდეს ინფორმაციის სახეობა და მისი გასაიდუმლოების საფუძველი. სხვა ყველა მოსაზრება ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დადგენილი აქტები ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით შესასრულებლად სავალდებულო არ არის.

საყურადღებო და საგულისხმო ამ შემთხვევაში არის არასამართლებრივი მიდგომა საკითხისადმი. როცა საჯარო დაწესებულებიდან მოქალაქეები ვერ იღებენ საჯარო ინფორმაციას, ეს უნდა განიხილებოდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და შესაბამის მოხელეს უნდა ეკისრებოდეს სათანადო სანქციები, მაგალითად, ჯარიმის სახით.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა დავაყენეთ გასული პერიოდის მოხსენებაში, თუმცა პარლამენტის მხრიდან ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

საჯარო ინფორმაციის გავრცელებისა და გაცემისას ყველაზე მთავარი სწორედ მისი დროულად და კანონით დადგენილ ვადებში გაცემაა, რადგან დაგვიანებამ და დროის გაჭიანურებამ შესაძლოა ამა თუ იმ ინფორმაციას აქტუალობა და ღირებულება დაუკარგოს.

თვით საზოგადოების დამოკიდებულება, რომ მათ აინტერესებთ საჯარო თუ სხვადასხვა სტრუქტურებში დაგროვილი და თავმოყრილი ინფორმაცია კონკრეტულ ფაქტებთან, მოვლენებთან და ვითარებებთან დაკავშირებით, მათი მხრიდან სამოქალაქო აქტივობის გაზრდაზე მეტყველებს და მას, როგორც დემოკრატიის ერთერთ ღირებულ ფასეულობას, მოფრთხილება სჭირდება. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი მსგავსი აქტივობის მიმართ დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან უნდა იყოს ადეკვატური. ვფიქრობ, სახელმწიფოებრივი ინტერესია, რომ მოქალაქეებმა საჯარო ინფორმაცია დროულად და ამომწურავად მიიღონ.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით, რომლის პირველ პუნქტში აღნიშნულია:

„ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.“

შეკრების თავისუფლება გაერთიანების თავისუფლებასთან კავშირში გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების დარღვევის კუთხით 2007 წლის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა იმით, რომ აღნიშნული უფლებით მოსარგებლე პირთა მიმართ ადგილი ჰქონდა ისეთი უკიდურესი ღონისძიების გამოყენებას, როგორცაა ადმინისტრაციული პატიმრობა. საპროტესტო აქციის მონაწილეები დაექვემდებარნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არასათანადო ძალის გამოყენებას, რამაც აქციის ერთერთი მონაწილის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. ქ.ზუგდიდში ერთერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ხელისუფლების მხრიდან წააწყდა სერიოზულ დაბრკოლებებს პარტიული კონფერენციის ჩატარებლად.

ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე. ამის მიუხედავად, 2007 წლის პირველ ნახევარში არც ერთი პიროვნება არ ყოფილა აღნიშნული მუხლით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული.

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ჰქონდა ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებას იმ პირთა მიმართ, ვინც სარგებლობდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული უფლებით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა არაერთხელ გამხდარა აღნიშნულ უფლებაში ჩარევის საფუძველი. მათ შორის ადგილი აქვს ისეთი მკაცრი ზომის გამოყენებას, როგორცაა ადმინისტრაციული პატიმრობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანცელარიის უფროსის 07.08.2007 წლის #2830 წერილით ირკვევა, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის ივლისამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრა სამ პირს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საპროტესტო აქციაში. პატიმრობას საპროტესტო აქციის

მოწყობისათვის უკვე მერამდენედ დაექვემდებარენ თანასწორობის ინსტიტუტის წევრები, ჯაბა ჯიშკარიანი, ლევან გოგიჩაიშვილი და დავით დალაქიშვილი. აღნიშნული პირებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების საფუძველი გახდა სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მოთხოვნის - შეეწყვიტათ საპროტესტო აქცია პროკურატურის შენობიდან 20 მეტრის რადიუსში - შეუსრულებლობა

აღნიშნულმა საქმემ კიდევ ერთხელ ნათელი მოჰფინა იმ გარემოებას, თუ რამდენად დაუსაბუთებლად შესაძლოა იყოს გამოყენებული ცალკეული სახელმწიფო დაწესებულებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციის უპირობო აკრძალვა. კერძოდ „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად,

აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.

ამგვარი აკრძალვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ მუხლში ნახსენები სახელმწიფო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. თუმცა აკრძალვა ატარებს აბსტრაქტულ და აბსოლუტურ ხასიათს. საკანონმდებლო აქტის აღნიშნული რედაქცია არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, თუ რამდენად არის შესაძლებელი შენობიდან 20 მეტრის რადიუსში ყველა შემთხვევაში ხელი შეეშალოს მე-9 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობას. ბუნებრივია, აღნიშნული აკრძალვა გამართლებულია, თუკი მაგალითად შეკრების მონაწილეების მხრიდან ხდება ხმის გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენება, რაც ხელს უშლის კონკრეტულ სახელმწიფო დაწესებულების ნორმალურ საქმიანობას. იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ამგვარი საშუალებების გამოყენება, აქციის მონაწილეებს გამოტანილი აქვთ საპროტესტო ტრანსპარანტები, ტროტუარზე ხდება საპროტესტო წარწერების გაკეთება, ამგვარი ქმედებით უბრალოდ წარმოუდგენელია ხელი შეეშალოს სახელმწიფო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ზემოხსენებულ საქმეში სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დავით დალაქიშვილი პროკურატურის შენობის წინ ასფალტზე საღებავით წერდა აქციის მოთხოვნებს.

საინტერესოა აღნიშნული შემთხვევის შედარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთერთი საქმესთან, ნიდჰემი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განმცხადებლებს ვენსტმისტერში დედოფალი ელიზაბეტის საკონფერენციო ცენტრის წინ გამოტანილი ჰქონდათ ბანერი წარწერით: „ემსახურეთ მშვიდობას და არა ომს“. აღნიშნული ქმედებისათვის აქციის მონაწილეებს დაპატიმრების სახით დაეკისრათ პასუხისმგებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეში დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა. ევროსასამართლო მთლიანად

დაეყრდნო ინგლისის პრეცედენტული სამართლის კონცეფციას იმის შესახებ, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში ჩარევის საფუძველი შესაძლოა იყოს წესრიგის ისეთი დარღვევა, როდესაც პიროვნება მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს მართლზომიერი საქმიანობა უკანონო და ძალადობრივი ქმედებების მეშვეობით ხელისშემლის გამო (ლორდი დენინგის განმარტება). ლორდ-მოსამართლე ვატკინის თქმით, შეკრებისა და მანიფესტაციის დასაშლელად საჭიროა ზიანის არსებობა ან მისი დადგომის რეალური საშიშროების შექმნა, რაც გამოწვეული იქნება თავდასხმის, აურზაურის, ამბოხების, არაკანონიერი შეკრების და სხვა დესტრუქციული ხერხების გამოყენებით. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ დედოფალი ელისაბედ მეორის საკონფერენციო დარბაზის წინ პაციფისტური ლოზუნგის გამოტანა არ ჯდება ზემოაღნიშნულ განსაზღვრებაში და შესაბამისად, წარმოადგენდა მე-11 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას.

მეორე პრობლემა, რაც გამოკვეთა „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში, არის ის, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არასწორად ესმით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და სახელმწიფო დაწესებულების შენობის შესასვლელების სრული ბლოკირების ცნება. ჩვენ ვემხრობით, კანონმდებლის პოზიციას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება იმ დროს, როდესაც ხდება კონკრეტული „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო დაწესებულების შესასვლელისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის ბლოკირება. იმისათვის, რომ შენობის ბლოკირებისათვის ადამიანს დაეკისროს პასუხისმგებლობა, მტკიცებულებების გამოკვლევის გზით უნდა დადგინდეს ის გარემოება, რომ ბლოკირებამ ხელი შეუშალა შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და შენობით ჩვეულებრივ სარგებლობას.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების ლევან გოგიჩაიშვილის და ჯაბა ჯიშკარიანის სამართალდარღვევის ოქმებში აღნიშნულია, რომ პასუხისმგებაში მიცემული პირები გენერალური პროკურატურის შენობასთან არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ახდენდნენ პროკურატურის შენობის ბლოკირებას.

სამართალდამცავი ორგანოს მუშაკისათვის სიტყვიერი შეურაცხოფის მიყენება, მითუმეტეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რა თქმა უნდა წარმოადგენს წერიგის დარღვევას. აღნიშნული გარემოება წარმოშობს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის უფლებას, კანონიერი მოთხოვნის წაყენების მეშვეობით უზრუნველყონ აღნიშნული მოქმედების შეწყვეტა. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა, რა მიიჩნევა სიტყვიერ შეურაცხყოფად.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება უხამსობას. იმავე კანონით განმარტებულია უხამსობის ცნება. კერძოდ, უხამსობა არის

განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს. ამგვარად, სიტყვიერ შეურაცხყოფად შესაძლოა მიჩნეული იქნეს უხამსი გამონათქვამები, უცენზურო სიტყვები. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების მიერ გენერალური პროკურატურის წინ გამოტანილი იყო ლოზუნგები: „არა-ძალადობას“ „ადეიშვილი რუხი კარდინალი“, „შენი სიცოცხლე საფრთხეშია.“ აღნიშნული განცხადებები შესაძლოა შეურაცხმყოფელი მოსასმენია, თუმცა ატარებს აშკარად პოლიტიკურ ხასიათს, შესაბამისად, არ წარმოადგენს უხამსობას და დაცულია გამოხატვის თავისუფლებით. როგორც განაცხადა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ: „სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან ამადლევებელია“ (ჰენდისაიდი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). იმის გამო, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის“ ლოზუნგები არ იყო უხამსი, პოლიციელს არ ჰქონდა საფუძველი, აღნიშნული მიეჩნია შეურაცხმყოფელად და მოეთხოვა მისი შეწყვეტა. შესაბამისად, არ არსებობდა სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი.

რაც შეეხება შენობის ბლოკირებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის პრაქტიკაში ეს ცნება გაგებულია, როგორც „შესასვლელის ბლოკირების რეალური საშიშროების შექმნა.“ პოლიციის თანამშრომლები კანონიერ მოთხოვნად თვლიან შენობის ბლოკირების შეწყვეტას მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი ჯერ არ აქვს ადგილი. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად იკრძალება პროკურატურის შესასვლელის სრული ბლოკირება. მტკიცების სტანდარტი „სრული ბლოკირება“ - აკისრებს ოქმის შემდგენელს ვალდებულებას - დაამტკიცოს ის გარემოება, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მოქალაქემ ვერ შეძლო შენობაში შესვლა. თუკი შენობის ბლოკირება უბრალოდ ხელს უშლის, მაგრამ არ გამორიცხავს შენობაში მოხვედრის შესაძლობლობას, არ შეიძლება სახეზე იყოს შენობის სრული ბლოკირება. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების საქმე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა შენობის ბლოკირების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტზე, იმის მიუხედავად, დამტკიცებულია თუ არა თავად ბლოკირების ფაქტი დაზარალებულის ჩვენებით, არის თუ არა მითითება ერთ კონკრეტულ მოქალაქეზე ან თუნდაც პროკურატურის თანამშრომელზე, რომელსაც აღეკვეთა შენობაში შესვლის შესაძლებლობა.

მოსამართლემ თავი აარიდა ამგვარი ქმედების უკანონოდ აღიარებას. სასამართლომ ვერც პროკურატურის შენობის ბლოკირების და პოლიციელისათვის შეურაცხყოფის ფაქტი ვერ დაადასტურა. დადგენილება ეფუძნება ისეთ გარემოებას, რომელიც არ იყო გამოკვლეული დადგენილი წესით. პოლიციელის მოთხოვნა - პროკურატურის შენობიდან 20 მეტრის რადიუსში აქციის ჩატარების შეწყვეტის შესახებ - არ იყო მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში. მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა, გასცდენოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის

ფარგლებს. შესაბამისად, 20 მეტრიანი რადიუსის დაუცველობის მოტივით „თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენელთა მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება აშკარად უკანონოა.

გადამეტებული ძალის გამოყენება აქციის მონაწილეთა მიმართ

სამსახურეობრივი უფლებამოსილების გამოყენებით შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევას ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდშიც. 2004 წლიდან მოყოლებული მსგავსი ფაქტები არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის შესწავლის საგანი. აღნიშნული ქმედებები ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. საქმეების უმრავლესობაზე, რომელიც 2004 წლიდან დღემდე სახალხო დამცველის მიერ გადაგზავნილი იქნა გენერალურ პროკურატურაში, წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით. სამწუხაროდ, აღნიშნული საქმეებიდან მხოლოდ სიღნაღის რაიონის სოფელი ვაქირის გამგებლის იოსებ ნანობაშვილის, საკრებულოს მდივნის ჯემალ დემეტრაშვილის და ვასილ მუჯირიშვილის მიერ 2006 წლის 15 ივლისს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის დარბევის ფაქტზე დაწყებული წინასწარი გამოძიება დამთავრდა წარმატებით. ბრალდებულების ქმედების კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით. იოსებ ნანობაშვილს და ვასილ მუჯირიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა ორი თვის ვადით. ამჟამად, საქმე გადაგზავნილია სასამართლოში იოსებ ნანობაშვილს და ვასილ მუჯირიშვილს შეფარდებული საქმის დასრულებამდე შეფარდებული აქვს არასაპატიმრო ღონისძიება.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს; შეკრებისა და მანიფესტაციის კანონიერად ცნობის პირობები განსაზღვრულია „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-9 მუხლებით. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, ამისათვის გამოიყენონ შენობების შესასვლელები და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.“

იგივე კანონის მე-9 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის იმ სახელმწიფო დაწესებულების შენობებს და მათგან მანძილს 20 მეტრის რადიუსით, სადაც დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება. აქედან გამომდინარე არ

არსებობდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი უკანონოდ ყოფილიყო მიჩნეული 2007 წლის 26 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ მიერ ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი დემონსტრაცია. ამ დროს რუსთაველის პროსპექტის ტრანსპორტის სამომხრად ადგილზე მიმდინარეობდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი. აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ შემდეგი შინაარსის ტრანსპარანტები: „არა ძალადობას“, „შენი სიცოცხლე საფრთხეშია“, „დაისაჯონ მკვლელები.“ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებს არ მისცეს ტრანსპარანტების გაშლის შესაძლებლობა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, დავით დალაქიშვილს.

გადამეტებული ძალის გამოყენების კუთხით სიახლეს წარმოადგენდა პოლიციის მხრიდან დემონსტრაციის დასაშლელად ბასრი საგნის გამოყენება. 2007 წლის 26 მაისს ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის მიერ დემონსტრაციის დაშლის დროს, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა ზურგში წიხლი ჩაარტყეს აქციის ერთ-ერთ მონაწილეს დავით დალაქიშვილს, რის შედეგადაც იგი წაიქცა. მისი ცემა წაქცევის შემდეგაც გაგრძელდა. სწორედ ამ დროს მიიღო ჭრილობა ბასრი საგნით. დავით დალაქიშვილი გადაყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის კლინიკური საავადმყოფოში, სადაც დაესვა დიაგნოზი: მარცხენა მტევნის სამი თითის ნაკვეთი ჭრილობა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის იმ სპეციალურ საშუალებებს, რომლებიც როგორც გამონაკლისი, გამოიყენება განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების დროს. ესენია: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბერიტი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძალის და ცხენები, ელექტრომოკური მოწყობილობა. ბასრი საგანი ამ ჩამონათვალში აშკარად არ შედის. რაც გულისხმობს იმას, პოლიციელის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ხსენებული კანონიერი გამოყენების შესაძლებლობა ყოველად დაუშვებელია.

მ/წ 15 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს #გ13.08.2007/84 წერილობითი პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში 2007 წლის 26 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება. დაზარალებულად ცნობილი და დაკითხული იქნა დავით დალაქიშვილი, მოწმის სახით დაკითხული იქნენ პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებიც ამ წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ასრულებდნენ სამსახურეობრივ მოვალეობას. დანიშნული იქნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-დან მოპოვებულ ჩანაწერზე დაინიშნა ფონოსკოპიული-ჰიბიტოსკოპიური კომპლექსური ექსპერტიზა.

შეკრება ჭერქვეშ

შეკრებისა და მანისფესტაციის უფლებით დაცულია არა მხოლოდ დადგენილი წესით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩატარებული საპროტესტო აქციები, არამედ ასევე შეკრება ჭერქვეშ. ეს უკანასკნელი, იმის გათვალისწინებით, რომ ნაკლებ საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სახელმწიფოს უსაფრთხოებას, უფრო ნაკლებად შეიძლება დაექვემდებაროს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას. ამ დროს აქტუალობას კარგავს ტრანსპორტის და ხალხის მოძრაობის შეფერხების ინტერესი. აღსანიშნავია, რომ ამ ფორმით ჩატარებული შეკრებისათვის თითქმის არანაირ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ უფლების რეალიზაცია ძირითადად უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი, პროფესიული და პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის თავისუფლებას. საზოგადოებასთან შეხვედრის უფლებას უფრო ხშირად პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყენებენ და შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შესაძლებლობა წარმოადგენს მათი საქმიანობის უმთავრეს საფუძველს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი თავის თავში აერთიანებს როგორც შეკრების, ასევე გაერთიანების თავისუფლებას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ორი უფლების განუყოფელ ხასიათზე.

ჭერქვეშ შეკრების თავისუფლების ერთადერთ შეზღუდვას შესაძლოა წარმოადგენდეს ის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით ასევე „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით, კერძოდ შეკრების დროს დაუშვებელია მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ამგვარი მოწოდება დასჯადია, თუკი იგი ქმნის ზემოხსენებული საფრთხის განხორციელების რეალურ საშიშროებას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, გამონათქვამებმა არ უნდა წააქეზოს ადამიანთა ჯგუფი (გადაწყვეტილებაში საუბარია ქურთებზე) ძალის გამოყენებაზე ან არ უნდა დაარღვიოს დემოკრატიული თანაარსებობის წესები (თავისუფლებისა და დემოკრატიული პარტია თურქეთის წინააღმდეგ 40 პარაგრაფი). შესაძლოა, პოლიტიკური პროგრამა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს (თურქეთის რესპუბლიკის) მოწყობის პრინციპებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არღვევს დემოკრატიული თანაარსებობის წესებს. დემოკრატიის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წაახალისოს განსხვავებული პოლიტიკური პროექტების წამოყენება და განხილვა (გადაწყვეტილება საქმეზე - სოციალისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ - 47 პარაგრაფი).

ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის თაობაზე ხელისუფლებისაგან განსხვავებული პოლიტიკური პროგრამის გამო,

ადგილი ჰქონდა რესპუბლიკური პარტიის და პაატა ზაქარეიშვილის შეკრების თავისუფლებაში ჩარევას. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ ინფორმაციით, 12 ივლისს დევნილებთან შესახვედრად ჩასულ პაატა ზაქარეიშვილს ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ გამოუყო დარბაზი. ამის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის, გალის მიმართულების ხელმძღვანელმა, ფრიდონ კილანავამ, გამოაძევეს პაატა ზაქარეიშვილი ზუგდიდის დიაგნოსტიკური ცენტრის შენობიდან. აღნიშნული ფაქტი ჩვენს მიერ შეფასებული იქნა შეკრების თავისუფლების ხელყოფად. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174² მუხლის თანახმად: „შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.“

აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, მ/წ 30 ივლისს სახალხო დამცველის #2420/05-2/1253-07 რეკომენდაცია გაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს, რათა კანონით დადგენილ ვადაში სამართალდარღვევის ოქმი შეედგინათ ფრიდონ კილანავას მიმართ.

მ/წ 05 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უფროსის წერილობითი პასუხი, რომლითაც უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნა. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გასული ვიდეომასალის მიუხედავად, შს სამმართველოს წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ დევნილებთან შეხვედრა ჩაშალა მოხდა გალის მიმართულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამავე დროს ფრიდონ კილანავას ქმედება არ იქნა მიჩნეული სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებად.

რეკომენდაციები და წინადადებები

1. საკანონმდებლო წინადადებით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში ნათლად განისაზღვროს სახელმწიფო დაწესებულებიდან ოცი მეტრის რადიუსში შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი და ამ დროს მანიფესტაციის დაშლის საფუძვლები.
2. რეკომენდაციით მივმართავთ შინაგან საქმეთა მინისტრს შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის უკეთ გაცნობის მიზნით მოხდეს შესაბამისი პატრულ-ინსპექტორების გადამზადება, იმისათვის, რომ მომავალში მათ შეძლონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და შეკრება-მანიფესტაციის უფლებით ჯეროვანი სარგებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

3. დადგინდეს და სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული პოლიციის ის თანამშრომელი, ვინც 2007 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით აქციის დასაშლელად გამოიყენა ბასრი საგანი, რის შედეგადაც აქციის ერთერთ მონაწილეს დავით დალაქიშვილს მიაღდა ჯანმრთელობის დაზიანება.
4. რეკომენდაციით მივმართავთ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, აწარმოონ ეფექტური გამოძიება 2006 წლის 7 ივნისს ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებისათვის მიყენებული შეურაცხყოფისა და 2006 წლის 21 ივნისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მთავრობის კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ თანამშრომლების მშვიდობიანი აქციის დარბევის ფაქტზე

კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ

2007 წლის I ნახევრის მონაცემებით, კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის მდგომარეობა კვლავაც საგანგაშოა. აღნიშნულ საკითხში გარკვეული პროგრესის მიღწევა, რასაკვირველია, დამოკიდებულია საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წარმატებებზე სამშვიდობო პროცესში და მის მიერ იურისდიქციის თანდათანობითი აღდგენაზე. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თავის ერთ-ერთ რეზოლუციაში მწუხარებას გამოთქვამს (1477(2006)) იმის გამო, რომ კონფლიქტის მხარეებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად არ მიღწეულა რეალური პროგრესი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებთან მიმართებაში. „კონფლიქტში დაინტერესებულმა ყველა მხარემ, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პარალელურად უნდა მოახდინოს მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაწყვეტისადმი საკუთარი მისწრაფების დემონსტრაცია, როგორც პრინციპულად, ასევე პრაქტიკაში“ - ნათქვამია იმავე რეზოლუციაში.

პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას სახელმწიფოს მიერ საკუთარი იურისდიქციის სრული განხორციელებისათვის და, შესაბამისად, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების იმპლემენტაციისათვის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები კვლავ ეფექტური კონტროლის მიღმა რება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფოს „ტერიტორიისა“ და „იურისდიქციის“ ცნებები არ ემთხვევა ერთმანეთს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს აზრით, ასეთ სიტუაციებში მყოფ სახელმწიფოებს დე ფაქტო ტერიტორიებთან მიმართებაში გარკვეული ვალდებულებები მაინც ეკისრებათ. საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა, რომ „თუ ხელშემკვრელი მხარე ვერ ახორციელებს საკუთარ ხელისუფლებას მის ტერიტორიაზე არსებული დე ფაქტო სიტუაციის გამო, როგორცაა სეპარატისტული რეჟიმის დაფუძნება, როდესაც ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაციას, კონვენციის პირველი მუხლის აზრით ტერიტორიის ამ ნაწილზე მისი იურისდიქცია არ წყდება. იმის მიუხედავად, რომ ასეთი ფაქტობრივი სიტუაცია ამცირებს აღნიშნული იურისდიქციის მასშტაბებს, მის ტერიტორიაზე მყოფ პირებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მოვალეობებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში. სახელმწიფომ უცხო სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში უნდა გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალება, რათა გააგრძელოს კონვენციაში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირება.“ პოზიტიური ვალდებულებები თავის მხრივ გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კონვენციის გარანტიების დაცვა მესამე მხარეების მიერაც კი.

თავისი 2007 წლის 18 აპრილის რეზოლუციებში (1547 (2007), 1548 (2007)) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აღნიშნავს, რომ ზოგიერთ წევრ ქვეყანაში სრული მოცულობით არ არის რეალიზებული კანონის უზენაესობა. ბევრ შემთხვევაში გაძლიერებას საჭიროებს სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართლებრივი წარმოების ეფექტურობა. უფრო მეტიც, არსებობას განაგრძობენ გეოგრაფიული „შავი ხვრელები“, სადაც შეუძლებელია განხორციელდეს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა მექანიზმების იმპლემენტაცია. მათ შორისაა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

სიცოცხლის უფლება

კონფლიქტის ზონებში კვლავ მწვავეა ვითარება სიცოცხლის უფლების გარანტირების კუთხით. გარდა აღნიშნული უფლების ხელყოფის კონკრეტული ფაქტებისა, ამაზე მეტყველებს დე ფაქტო რეგიონებში არსებული „სამართლებრივი“ პრაქტიკა სიკვდილით დასჯის შესახებ.

2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილების თანახმად, „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2, პუნქტი 2). შედეგად, საქართველოს სახელმწიფო შეუერთდა სიკვდილით დასჯის დე იურე აბოლიციონისტ სახელმწიფოთა რიცხვს. თუმცა დე ფაქტო დონეზე პრობლემად რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობა.

amnesty international-ის 2007 წლის მოხსენების თანახმად, ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება აგრძელებს მორატორიუმს სიკვდილის მისჯასა და მის აღსრულებაზე. აფხაზეთში მხოლოდ მის აღსრულებასთან დაკავშირებით არის მორატორიუმი გამოცხადებული. ამავე მოხსენების თანახმად, ორი ადამიანი დგას სიკვდილით დასჯის რიგში აფხაზეთში. ადრეული 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ მცირე 16 ადამიანი დაექვემდებარა სიკვდილით დასჯას ამავე რეგიონში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თავის რეზოლუციაში (1560 (2007)) მკაცრად მიუთითა, რომ სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. სიკვდილის რიგში მდგარი ყველა პატიმრის სასჯელი დაუყოვნებლივ უნდა შემსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის ფარგლებში, რათა დასრულდეს წლების მანძილზე სიკვდილის რიგში მდგარი და თავიანთ საბოლოო ხვედრთან დაკავშირებით გაუგებარ მდგომარეობაში მყოფი ყველა ადამიანის სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა.

კონფლიქტებთან დაკავშირებული გაუჩინარება და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები

ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სპეციფიკურ პრობლემად რჩება კონფლიქტებთან დაკავშირებული გაუჩინარება და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხი.

აღნიშნულ თემაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მთავარი პრინციპია „ოჯახების უფლება, იცოდნენ თავიანთი ახლობლების საბოლოო ხვედრის შესახებ (მუხ.32 პროტ 1)“. შესაბამისად, კონფლიქტის თითოეულ მხარეს ეკისრება ვალდებულება, ეძებოს მეორე მხარის მიერ უფო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული პირები.

თუ უფო-უკვლოდ დაკარგული ადამიანი გარდაცვლილია, უფრო რთულდება ოჯახის ინფორმირება. შესაძლოა ცალკეულ მხარეებს არ ეკისრებოდეთ ვალდებულება, მოახდინონ ყოველი აღმოჩენილი გვამის იდენტიფიკაცია. ისინი მარტივად უნდა ეცადნონ და მოაგროვონ ინფორმაცია, რომელიც გაადვილებს გარდაცვლილის იდენტიფიკაციას. გარდაცვლილს უნდა მიაგონ პატივი და იგი სათანადოდ უნდა დაიკრძალოს. ახლობლებს შესაძლოა მიეცეთ ხელმისაწვდომობა ამ სამარხებისადმი და დაუბრუნდეთ გვამი, მხარეებს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციით (რეზ. 1553(2007)) განისაზღვრა, რომ კონფლიქტის მხარეები ატარებენ პასუხისმგებლობას ადამიანთა გაუჩინარების თავიდან აცილებაზე, უფო-უკვლოდ დაკარგული პირების შემდგომი ხვედრის გამოაშკარავებასა და მათი ოჯახების საპასუხო საჭიროებებზე. უფო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხი ჰუმანიტარული პრობლემაა ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით. ის არ უნდა განიხილებოდეს როგორც პოლიტიკური საკითხი და, შესაბამისად, არ უნდა იყოს დამოკიდებული რეგიონში არსებული კონფლიქტების პოლიტიკურ გადაწყვეტაზე.

ამავე რეზოლუციის თანახმად, უფო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საომარ მოქმედებათა დონის, უნდობლობის, არატოლერანტულობის საგრძნობ შემცირებას, რეგიონში ნდობის განმტკიცებას და ამავე დროს გააიოლებს კონფლიქტების პოლიტიკურ გადაწყვეტას.

აფხაზეთის რეგიონიდან უფო-უკვლოდ დაკარგულია 1763 ქართველი და 197 აფხაზი. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო გამოევიდნა 10 ქართველი და 122 ოსი უფო-უკვლოდ დაკარგული. ამ კონტექსტში ასამბლეა რეკომენდაციით მიმართავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ადმინისტრაციებს“ და ამავე დროს ხაზს უსვამს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უფო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 18 მარტის #218 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. სახელმწიფო კომისია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 დეკემბრის #1067 ბრძანებულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაექვემდებარა. კომისიის წევრები მიუთითებენ, რომ მათი მუშაობა ჩიხში შევიდა - ბოლო რამდენიმე წელია ვერ მიაღწიეს კომპრომისს კონფლიქტის მხარეებთან და, შესაბამისად, ვერ მოხერხდა ვერც ერთი გვამის გადმოსვენება.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთში

არალეგიტიმური არჩევნები

2007 წლის 11 თებერვალსა და 4 მარტს აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. აღნიშნული არჩევნები ლეგიტიმურად არ უცვნიან არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციასა თუ სახელმწიფოს. ამავდროულად 15 მარტს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ფიორენცო სტოლფიმ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპის საბჭო არ ცნობს აღნიშნული ე.წ. არჩევნების ლეგიტიმურობას და ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მის სრულ მხარდაჭერას. მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც უზრუნველყოფს ყველა გადაადგილებული პირის უფლებას თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე, შესაძლოა საქართველოს აღნიშნულ რეგიონში ჩატარებული არჩევნები იყოს ვალიდური.

12 თებერვალს, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის “შვერნიკის” უბანში, მოქალაქე ოლიფანტე ელიავას ოჯახში აფხაზეთში არჩევნების დღესთან დაკავშირებით განათავსეს მილიციისა და სპეც-სამსახურის 40-მდე შეიარაღებული პირი. ეს ჯგუფი სოფელში თავხედურად იქცეოდა, მოსახლეობას ძალად ფულს, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მოსახლეობისაგან მოითხოვდა სასმელსა და საჭმელს. 13 თებერვალს, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ჯგუფის წევრებმა რამოდენიმეჯერ უმისამართოდ ისროლეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასევე ორჯერ გაისროლეს ყუმბარმტყორცნიდან.

არსებული ინფორმაციით, ე.წ. 4 მარტის არჩევნებთან დაკავშირებით, გალის რაიონის სოფლებში შეიარაღებული ჯგუფი ჯავშანტრანსპორტით დადიოდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იძულებით საარჩევნო უბნებში წასაყვანად, მაგრამ სახლებში არავინ დახვდათ. მოსახლეობა დროულად განერიდა 4 მარტს, ზოგი ზუგდიდში გადმოვიდა, ზოგმა ტყეს შეაფარა თავი.

18 მარტს აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 17 საარჩევნო ოლქში ჩატარდა. არსებული ინფორმაციით, მოსახლეობის დასაშინებლად ფიჩორსა და გაგიდაში აფხაზეთის სპეცრაზმიც შევიდა, თუმცა იარაღის მუქარით მოსახლეობა მაინც ვერ წაიყვანა საარჩევნო უბნებში. საარჩევნო უბნები დღის მეორე ნახევარშიც არ იყო გახსნილი.

ადამიანების გატაცება, გაუჩინარება

აფხაზეთში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია სიმწვავეს ინარჩუნებს. ბოლო დროს, განსაკუთრებით გალის რ-ნის ტერიტორიაზე გახშირდა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების ფაქტები. თითქოს ჩადენილი დანაშაულთა გახსნის მიზნით, ე.წ. მილიციის თანამშრომლები შედიან სოფლებში, აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, უსაფუძვლოდ ეჭვმიტანილის სახით აკავებენ სხვადასხვა პირებს და მათ გათავისუფლების სანაცვლოდ სძალავენ ფულს, აყენებენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. გატაცებული პრავაშა ჩეხერიას საქმეზე, თითქოს ეჭვმიტანილის სახით, მილიციის

თანამშრომლებმა დააკავეს და შემდეგ ფული გამოსძალეს სოფ. სიდაში მცხოვრებ ლეჩავას, შამუგიას, ასევე ძმებ შამუგიებს და სხვ.

თავისუფალი გადაადგილების უფლება

გამუდმებულად ირღვევა თავისუფალი გადაადგილების უფლება. აღნიშნული საკითხი ე.წ. აფხაზური საბაჟოს თანამშრომელთა თვითნებობაზეა დამოკიდებული. უმრავლეს შემთხვევებში ისინი გარკვეულ თანხას იღებენ ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის სანაცვლოდ. ადგილი აქვს ასევე მოქალაქეთა ცემისა და მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებს. პერიოდულად ადმინისტრაციული საზღვარი საერთოდ იკეტება და მისი გადაკვეთა შეუძლებელია ხოლმე.

საკუთრების უფლება

2007 წლის I ნახევრის მონაცემებით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი 72 ობიექტის გასხვისება. არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ძირითადად რუსული ინვესტიციების შემოსვლა ხდება.

„აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილების მე-7 პუნქტის შესაბამისად, „ბათილია ყველა გადაწყვეტილება, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლებიც არღვევენ მოქალაქის, იურიდიული პირის, სახელმწიფოს საკუთრების და სარგებლობის უფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე“. „აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის #1331 დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „უკანონოდ იქნეს ცნობილი ყველა ის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება დადებული 1992 წლის 14 აგვისტოდან, რომლებიც ეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისებას.“

აფხაზეთის ტერიტორიაზე იმატა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების რიცხვმა. ხშირია ფულის, ძვირფასეულობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩამორთმევის ფაქტები.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა და თვითნებური დაკავება

თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და თვითნებური დაკავების ფაქტებს ადგილი აქვთ ე.წ. აფხაზური მილიციის თანამშრომელთა მხრიდან. ხდება ეთნიკურად

ქართველი, გალში დაბრუნებული ახალგაზრდების იძულებითი გაწვევა აფხაზურ ჯარში.

23 მაისს, არსებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო სავალდებულო გაწვევებთან დაკავშირებით სეპარატისტული მთავრობის კომისარიატმა გააქტიურა თავისი საქმიანობა გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე. კომისარიატმა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს გადასცა უწყებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ჩაბარდათ ადრესატებს. გალის ე.წ. „სამხედრო კომისარიატი“ ატარებს რეიდებს, აკავებს წვევამძღვლებს და გათავისუფლების სანაცვლოდ სძალავს ფულს.

29-30 მაისს გალის რ-ნის სოფ. რეჩხში შემოვიდნენ პოლიციისა და სამხედრო განყოფილების თანამშრომლები და სამხედრო ჯარში გაწვევის მიზნით დააკავეს სამი პიროვნება. დააკავეს სამგზავრო ავტობუსიც, მაგრამ წვევამძღვლები ვერ აღმოაჩინეს.

1-2 ივნისს გალის რაიონის სოფ. ქვემო ბარდებში ორი „უაზის“ მარკის ავტომანქანით შევიდნენ აფხაზური კომისარიატის და მილიციის თანამშრომლები. მათ დააკავეს ბ.შამუგია და ზ.აბუხბაია, რომლებსაც მოხდილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური ქართულ არმიაში. მათ გასათავისუფლებლად მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა 50 ათასი რუსული რუბლი. თანხის გადახდა ოჯახის წევრებმა ვერ მოახერხეს და სხვა დაკავებული პირებთან ერთად ისინი იძულებით წაიყვანეს აფხაზურ ჯარში.

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე, ბატონმა ვალტერ კელინმა რეკომენდაციით მიმართა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, რათა არ მიიღონ ის ზომები, აფხაზურ სამხედრო ძალებში ეთნიკური ქართველების იძულებითი გაწვრთნის ჩათვლით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი იძულებით გადაადგილებულ და დაბრუნებული პირებთან მიმართებაში ან ხელი შეუშალონ გადაადგილებაში მყოფი პირებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაში.

დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით

ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც 2005 წლის ოქტომბრიდან მოქმედებს, პოტენციურად ქმნის მნიშვნელოვან სიძნელეებს და ადმინისტრაციულ ბარიერებს იმ დაბრუნებული პირებისათვის, რომელთაც არ სურთ მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა. აღნიშნული „კანონი“ შეიცავს დებულებებს, რომელსაც დისკრიმინაციული ხასიათი აქვს არა-აფხაზური წარმოშობის პირებთან მიმართებაში, დაბრუნებული ეთნიკურად ქართველების ჩათვლით. აღნიშნული „კანონის“ მე-6 მუხლი ორმაგი მოქალაქეობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ეთნიკურად აფხაზებს, მაშინ როდესაც არა-აფხაზ „მოქალაქეებს“ აქვთ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების უფლება. ამგვარად, გამორიცხულია გალის რაიონში დაბრუნებული პირების არჩევანი -შეინარჩუნონ თავიანთი ქართული პასპორტი აფხაზური „მოქალაქეობის“ შეძენის შემთხვევაში. გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ვალტერ კელინის შეფასებით, აღნიშნული „კანონი“ ქმნის მტრულ ატმოსფეროს

დაბრუნებულ პირებთან მიმართებაში და აფუძნებს ფსიქოლოგიურ ბარიერს შემდგომი დაბრუნებისათვის.

როგორც ცნობილია, სოხუმის უნივერსიტეტში 70-მდე ეთნიკურად ქართველი სტუდენტი სწავლობს. მათ მოქალაქეობის შეცვლას სთხოვენ. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა სტუდენტები რუსეთის პასპორტებს არ აიღებენ, მათ სასწავლებლიდან გარიცხვით ემუქრებიან. ასეთი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო 28 ივნისს, მას შემდეგ, რაც აფხაზ მეგობრებთან ერთად სტუდენტები სამი დაპატიმრებული ქართველი სტუდენტების სასამართლო პროცესზე მივიდნენ. ქართველი სტუდენტები ულტიმატუმის შესრულებას არ აპირებენ.

განათლების მიღების შეზღუდვა

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან პერმანენტულად ადგილი აქვს მცდელობას, შეზღუდონ ან გამორიცხონ ქართული ენის გამოყენება საჯარო სკოლებში. აღნიშნული პოლიტიკა ხორციელდება სისასტიკის სხვადასხვა ხარისხის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სასწავლო მასალისა და ქართულენოვანი მასწავლებლების აცილებას, რამაც გამოიწვია სასწავლო მასალებისა და პერსონალის დეფიციტი.

განათლების ქართულ ენაზე მიღების საწინააღმდეგო მოწოდებებს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ხან რჩევის ხასიათი აქვს, ხან მუქარის. ერთ შემთხვევაში, გალის რ-ნის სოფ. პირველ გალში, ნარინჯოვანის საშუალო სკოლაში ტყვარჩელის უშიშროების თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა, დაარბიეს ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, თან წაიღეს საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები და ვიდეო კასეტები.

საბოლოო ჯამში, ეს ქმედებები ადგილობრივი სკოლების რეგულარულ ფუნქციონირებაში ჩარევად და განათლების ხარისხზე უარყოფით ზემოქმედებად შეიძლება შეფასდეს.

წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს ძირითადად ადგილი აქვთ აფხაზი ე.წ. მებაჟეებისა და მესაზღვრეების, დე ფაქტო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მხრიდან. განხორციელებული სამართალდარღვევები დისკრიმინაციული ხასიათით გამოირჩევა, რადგან მსხვერპილებად ასეთ საქმეებში ძირითადად ეთნიკური ქართველები ფიგურირებენ. ერთ შემთხვევაში, 15 აპრილს, გალის რაიონის სოფელ თაგილონში “ლაკობას” სახელობის კოლმეურნეობაში განლაგებულმა, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა აფხაზმა მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ამავე სოფლის ახალგაზრდებს. საბაბი იყო ის, რომ სოფლის ახალგაზრდებმა არ მიულოცეს მათ აღდგომა.

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას სამშვიდობო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული თავისუფლების გარანტირება ამავე დროს ახალისებს დიალოგს, ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების სრულ, მრავალმხრივ ინფორმირებას და, შესაბამისად, მის ფართო და წარმატებულ ჩართულობას კონფლიქტის მოგვარების საკითხში. სამწუხაროდ, ამ მხრივ პრობლემები კვლავ შეინიშნება და საკითხი აქტუალურია.

13 მაისს, დაუდგენელმა პირებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამომავალი გაზეთ „გალის“ რედაქტორს ნუგზარ სალაყაიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა სტატია, რომელშიც სალაყაია აფხაზი ე.წ. სამართალდამცავების მიერ დაკავებულ სამ ქართველ სტუდენტს აფხაზების მძევლებს უწოდებს და აცხადებს, რომ აფხაზი ხალხი დღემდე ვერ ხვდება, რომ საფრთხე ემუქრება არა ქართველებისაგან, არამედ რუსეთისაგან. აღნიშნული სტატიის დაბეჭდვა გახდა რედაქტორისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიზეზი.

არსებული ინფორმაციით, ნუგზარ სალაყაია ისე სასტიკად სცემეს, რომ იგი სოხუმის ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. გაზეთი „გალი“ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვრცელდება, იგი მეხუთე წელია რუსულ, ქართულ და მეგრულ ენებზე გამოდის, თუმცა იშვიათად.

ტერორიზმის შემთხვევები

აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მომრავლდა ტერორიზმის ფაქტები. მათი უმრავლესობა მიმართულია დე-ფაქტო ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკების წინააღმდეგ. დე ფაქტო პოლიტიკურ ელიტაში მკაცრი ანგარიშსწორებების ფონზე მატულობს დაუცველობის შეგრძნება და ადამიანთა უსაფრთხოებას ეცლება საფუძველი.

20 ივნისს, დაახლოებით დილის 5:30 საათზე ახალი ათონის მახლობლად გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა. ე.წ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა მისვლისას ნახეს 1 მეტრის დიამეტრისა და 40 სანტიმეტრის სიღრმის ორმო, ასაფეთქებელი მოწყობილობა და რადიომართვადი მოწყობილობის ნაწილები. დივერსია მიმართული იყო დე ფაქტო პრემიერის წინააღმდეგ. არსებული ინფორმაციით, ამ ტრასაზე უნდა გაევლო დე ფაქტო აფხაზეთის პრემიერ-მინისტრს ალექსანდრე ანკვაბს, რომლისთვისაც მოწყობილი იყო აღნიშნული ასაფეთქებელი მოწყობილობა.

11 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე აფხაზეთში, დრანდა-განახლების გზის მონაკვეთზე უცნობი პირების მიერ დაცხრილულ იქნა დე-ფაქტო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის, ეროვნებით აფხაზი ტოლიკ კვარაცხელიას ავტომანქანა ვაზ-2107, რომელიც მიემართებოდა ქსოხუმის მიმართულებით. ინციდენტის მომენტში ტკვარაცხელია მანქანაში იყო თავის მძღოლთან ერთად. სროლის შედეგად, რომელიც განხორციელდა

მიზანმიმართულად, მსუბუქად დაიჭრა ავტომანქანაში მსხდომი ორივე პიროვნება.

იძულებითი შრომა, ტრეფიკინგი

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ხდება ადამიანური შრომის ექსპლუატაცია მათივე საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნულ ღონისძიებებს დისკრიმინაციული ხასიათი აქვს და, როგორც წესი, ეთნიკურად ქართველების მიმართ გამოიყენება.

19 თებერვალს აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ გალის რაიონის მაღალი და დაბალი ზონის სოფლებში შემოიყვანა დამატებითი ძალები. ისინი ეწეოდნენ მოსახლეობის აგიტაცია-პროპაგანდას, აშინებდნენ ხალხს, ათხრევინებდნენ სანგრებს, ათრევინებდნენ ქვიშით სავსე ტომრებს. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა სოფლებში თაგილონი, ჭუბურხინჯი და მეორე ოტობაია.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში

დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

„დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის #4735 დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნას დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 მაისის #297 ბრძანებულებით ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა დიმიტრი სანაკოევს. პრეზიდენტის #296 ბრძანებულებით „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ“ განისაზღვრა დროებითი ადმინისტრაციის ფუნქციები. ამავე უწყებას დაეკისრა „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისა და ეთნიკური ჯგუფების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი ინტერესების დაცვა“ (მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). ასევე, განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც ენიჭება დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის განხორციელების უფლებამოსილება.

ქონებრივი რესტიტუცია და კომპენსაცია

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“.

აქვე მინდა გამოვხატო ჩემი პოზიტიური დამოკიდებულება ყველა იმ ძალისხმევასა და მუშაობასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მესაკუთრეთა ქონებრივი უფლებების ეფექტურ აღდგენას.

ზემოთ მითითებულმა საკანონმდებლო აქტმა თავის გარდამავალ დებულებებში მკაფიოდ განსაზღვრა კონკრეტული ვადები მისი აღსრულების ცალკეული ეტაპებისათვის. 36-ე მუხლის თანახმად, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია იქმნება კანონის ამოქმედებიდან 5 თვის ვადაში, კომისია თავის წესდებას იღებს შექმნიდან არა უგვიანეს 2 თვისა, კომისია განცხადებების მიღებას იწყებს ამ კანონის ამოქმედებიდან 9 თვის შემდეგ. კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ის ამოქმედდა 2007 წლის 1 იანვრიდან.

„ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის

შესაბამისად, „საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დასანიშნ წევრთა დანიშვნისა და მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი, ასევე კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კომისიის შექმნის პროცესში მონაწილე საერთაშორისო სამართლის სუბიექტთან (სუბიექტებთან) დადებული მემორანდუმის შესაბამისად.“

სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და გამოითხოვა ინფორმაცია კანონის აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შესახებ. კერძოდ, კონკრეტულად რა ეტაპზეა კანონის იმპლემენტაციის პროცესი, რა ღონისძიებებია გატარებული საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების ასლი, ასევე ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის იურისტის, ზურაბ ჯამაგიძის მიერ არაოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ჯერ არ არის შექმნილი, ხოლო საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან მოლაპარაკებების გამართვა, მათი კვოტით დასანიშნ წევრთა კანდიდატურების შესათანხმებლად, დაევალა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს, თინა ბურჯალიანს.

პირადი ხელშეუხებლობის უფლება, უსაფრთხოება

სამხრეთ ოსეთში ხშირია სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების ფაქტები. ასეთი ტიპის სამართალდარღვევებს საფუძვლად ეროვნული დისკრიმინაცია უდევს და მათი უმრავლესობა მიმართულია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებში გაეროს კომიტეტის (სახელშეკრულებო ინსტიტუტი) შესაბამის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული კონფლიქტების შედეგად, აღნიშნულ რეგიონებში ჩამოყალიბდა დისკრიმინაცია სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანების მიმართ, იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობის ჩათვლით.

პირდაპირი სახელმწიფო კონტროლის მიღმა არსებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე, რომელთაც არ მიუღიათ საერთაშორისო აღიარება, გაეროს „სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ მე-2 პრინციპი ამბობს: ასეთი დე ფაქტო ხელისუფლება, მისი სამართლებრივ სტატუსის მიუხედავად, ვალდებულია პატივი სცეს შესაბამისი იძულებით გადაადგილებული პირების უფლებებს. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები პასუხისმგებელნი არიან თავიდან აიცილონ ნებისმიერ ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა გადაადგილება, დაიცვან მოსახლეობა, რომელიც გადაადგილდება მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დაიცვან იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები, რომლებსაც სურთ თავიანთ საცხოვრებლ ადგილებზე დაბრუნება ან განსახლება მათ მიერ კონტროლირებად სხვა ტერიტორიაზე.

საკუთრების უფლება

საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები ძირითადად დაკავშირებულია შეიარაღებული ბანდფორმირებების მიერ მოსახლეობის ძარცვისა და ყაჩაღობის შემთხვევებთან. ხშირია ავტომანქანების გატაცების ფაქტები. 2007 წლის 21 ივლისს 01:30 წუთზე ბორჯომის რაიონის სოფელ ლიკანში მცხოვრებ ნოე იანტელიძეს ზნაურის რაიონის სოფელ სუნისში თავისი ძმის, გივი იანტელიძის საცხოვრებელ ბინაში ყაჩაღურად თავს დაესხა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ხუთი ბოროტმოქმედი, რომლებმაც გასტაცეს მისი კუთვნილი ავტომანქანა "ვაზ-2121".

თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თვითნებური დაკავების ფაქტები

თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და თვითნებური დაკავების ფაქტების შემთხვევაში, გარკვეული წარმატების მიღწევა და დანაშაულის მსხვერპლთა გათავისუფლება პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია აღნიშნულ პროცესებში უცხოელი დამკვირვებლებისა და სამშვიდობო ძალების ჩარევაზე. 2007 წლის 9-10 მაისის ღამეს ძიებით დაუდგენელმა პირებმა ქცხინვალთან უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს გიორგი ხევიაშვილს და მის თანმხლებ პირებს. მათი გათავისუფლება მოხდა უცხოელი დამკვირვებლების და სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ.

2007 წლის 3 ივნისს ცხინვალის რაიონის სოფელ კოხათთან ე.წ. სამხარეო ოსეთის შს სამინისტროს მდენისის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსმა ნოდარ ბიბილოვმა და მისმა თანამებრძოლებმა აღუკვეთეს თავისუფლება ალიკა თედელურს. მისი გათავისუფლება მოხდა უცხოელი დამკვირვებლების და სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ.

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

Amnesty international-ის მონაცემებით, გამოხატვის თავისუფლება სამხრეთ ოსეთში რისკის ქვეშაა. ამა წლის ივნისის თვეში, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტის, ალან ჯუსოითის დედა გაათავისუფლეს მის მიერ დაკავებული ცხინვალის სკოლის დირექტორის თანამდებობიდან. ეს იყო ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ნათელი მცდელობა, ზეწოლა მოეხდინათ მის შვილზე, რათა ამ უკანასკნელს შეეწყვიტა კონტაქტი ქართული სამოქალაქო საზოგადოებასთან. რამოდენიმე დღის შემდეგ, ალან ჯუსოითმა და ახალგაზრდა აქტივისტებმა - ალან პარასტაევმა და თემურ ცხოვრებოვმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ სატელევიზიო დისკუსიაში. ისინი ოსებსა და ქართველებს მოუწოდებდნენ მშვიდობისა და დიალოგისაკენ, საქართველოსაგან კი მოითხოვდნენ იმის აღიარებას, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას აქვს თვითგამორკვევის უფლება. მოგვიანებით,

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ შეკრიბა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები და აუკრძალა მათ ქართველებთან კონტაქტი.

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

ზოგადი შეფასებები

2007 წლის I ნახევრის განმავლობაში, ტრადიციულად პრობლემური სფეროების გვერდით, გამოიკვეთა დევნილთა უფლებებთან დაკავშირებული სირთულეების ახალი სპექტრი. უპირველესად, საკითხი შეეხება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ დამატებებს, რომელიც ძალაში 2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ასევე, აღსანიშნავია დევნილთა რეგისტრაციის პროცედურა, რომელიც 2007 წლის გაზაფხულზე დაიწყო და ჯერაც არ დასრულებულა. აქტუალობას ინარჩუნებს დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ცენტრების ელექტროენერგიით მომარაგების, პრივატიზების შედეგად მათი კომპენსაციით დაკმაყოფილებისა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხები. პრობლემათა სიმრავლისა და დევნილთა უფლებების მასობრივი დარღვევების გამო, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2007 წლის 30 აპრილს წერილობით მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, რადგან ჩემს განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები აღმოჩნდა არასაკმარისი (იხ.დანართი).

გამოსახლებები

დევნილთა განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურების მხრიდან დევნილების უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტები. საქმე ეხებოდა სხვადასხვა ობიექტებში სახელმწიფოს მიერ ჩასახლებული დევნილების გამოსახლების შემთხვევების მზარდ რაოდენობას. შსს-ს თანამშრომლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებები ამ კუთხით აშკარად სცილდებოდა კანონის ჩარჩოებს და ზოგიერთ შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებადაც შესაძლოა დაკვალიფიცირებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გავრცელება სხვადასხვა ობიექტებში სახელმწიფოს მიერ ჩასახლებულ დევნილებზე არალეგიტიმური იყო და ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. ამავე დროს, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებდა დევნილთა საბინაო დავების საკითხებს, რაც ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმებს შორის კოლიზიას იწვევდა. თუმცა, იმის გამო, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი არის სპეციალური კანონი, რომელიც ეხება პირთა სპეციფიკურ წრეს - დევნილებს, სახალხო დამცველმა მისი პრიორიტეტული გამოყენებისაკენ მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს თავის არა ერთ რეკომენდაციაში. მითითებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დევნილთა საბინაო დავებთან დაკავშირებული დავები წყდება

სასამართლო წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება“. ნორმის მოცემული ფორმულირებიდან თავისთავად ნათელია, რომ სპეციალური კანონი დავის გადაჭრის მხოლოდ ერთ - სასამართლო გზას იცნობს. დევნილთა სოციალური ჯგუფი იმდენად მოწყვლადია ჩვენს საზოგადოებაში, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მათი გამოსახლების უფლებამოსილება მიენიჭა თავისთავად უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე სასამართლო ხელისუფლებას და არა - სამართალდამცავ ორგანოებს.

ხშირი იყო სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებები „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე იმ შემთხვევებშიც, როდესაც სასამართლო პროცესები უკვე მიმდინარეობდა. პოლიციელების მიერ ხდებოდა საკუთრივ სასამართლო განჩინების უგულებელყოფაც. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, დევნილებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. სასამართლოს 2007 წლის 19 აპრილის განჩინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებას აეკრძალა დევნილების გამოსახლება შანდორ პეტეფის ქ.#15-ში მდებარე გ.გიუნაშვილის კუთვნილი ფართიდან, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა იმ დღეს, როცა დევნილებმა მიიღეს სააღსრულებო ფურცელი, მეპატრონე და პოლიციის თანამშრომლები შეიჭრნენ დევნილთა საცხოვრებელში და მათი ნივთები ქუჩაში დაყარეს. შედეგი არ მოყოლია დევნილების მიერ სააღსრულებო ფურცლის წარმოდგენასაც. შედეგად, იძულებით გადაადგილებულ პირთა რვა ოჯახი აღმოჩნდა ღია ცის ქვეშ, თავსხმა წვიმაში და ასეთ მდგომარეობაში გაატარეს მათ რამდენიმე დღე. პოლიციელთა უკანონო ქმედებების შედეგად მოქალაქეებმა განიცადეს სერიოზული მატერიალური ზარალი - განადგურდა მათი ქონების ნაწილი.

სახალხო დამცველმა დევნილთა გამოსახლების ფაქტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და მიმართა რეკომენდაციით, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, გამოეძიებინა გადაგზავნილი ყოველი კონკრეტული საქმე და კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები გაეტარებინა შესაბამისი პირების მიმართ. გარდა ამისა, შესაბამისი რეკომენდაციები სათითაოდ გაეგზავნათ პოლიციის განყოფილებებსაც. შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული დევნილთა გამოსახლების პროცესები შეჩერდა.

სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს რეკომენდაციით (#751/05-3) მიმართა ჯერ კიდევ 2007 წლის 14 მაისს. ამავე წლის 29 მაისს გამოქვეყნდა (სსმ #75 მუხ.809) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანება „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“. მანამდე, 2007 წლის 4 მაისს აღნიშნული საკითხები გახდა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომის განხილვის საგანი.

ახალი რეგულაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანება „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ თავის რიგ მუხლებში ითვალისწინებს დევნილთა დაცვის მექანიზმებს. კერძოდ, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევს დევნილის მოწმობასა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემულ ცნობას დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. აღნიშნული ბრძანების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტით კი დადგენილია: „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შეთანხმებით. აღნიშნული შეთანხმების წერილობითი ფორმით მიღებამდე უნდა შეჩერდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების აღსრულება.“ ბრძანებაში ჩადებული ეს პუნქტები შესაძლოა შეფასდეს შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და დევნილების საკითხში კოორდინაციის მაგალითად.

შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანება სამართლებრივად იცავს მხოლოდ დევნილთა იმ ნაწილს, რომელიც კომპაქტური განსახლების ობიექტში ცხოვრობს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს დევნილის დროებით საცხოვრებელ ადგილს (დევნილის რეგისტრაციის ადგილს) და დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. ამასთან, პირველი ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მეორე. უნდა ითქვას, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიც იმავე ლოგიკას იმეორებს, რასაც შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანება ეყრდნობა და ამბობს, რომ დევნილთა გამოსახლება კომპაქტური განსახლების ობიექტიდან არ ხდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვეული წინაპირობებია დაკმაყოფილებული.

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა დევნილები არ არიან დამისამართებულნი კომპაქტური განსახლების ობიექტში, უნდა აღინიშნოს, რომ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ურთიერთობაში სამართალდამცავი ორგანო გამოდის როგორც ადმინისტრაციული ორგანო. ამგვარი განმარტების საფუძველს იძლევა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი: „ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერის სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.“ ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი აზუსტებს, რომ: „ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

- ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
- ბ) ოპერატიულსამძებრო საქმიანობასთან;
- გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
- დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
- ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;
- ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან“.

სამართალდამცავი ორგანოს მიერ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას არც ერთ ზემოხსენებულ გარემოებას ადგილი არა აქვს. მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანო არ ახორციელებს დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნას, არ აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს და არც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისათვის ის ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ. შესაბამისად, მასზე გავრცელდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მთელი რიგი ნორმები ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის მონაწილეობასთან, საქმის გარემოებების გამორკვევასთან, მტკიცებულებათა გამოკვლევასთან, ადმინისტრაციული წარმოების მასალების მხარისათვის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ თითოეულ საქმეში უხეშად იყო დარღვეული და უგულებელყოფილი.

დევნილთა რეგისტრაცია

2007 წლის გაზაფხულზე დაიწყო და ჯერაც არ დასრულებულა დევნილთა რეგისტრაციის პროცედურა. აღნიშნული პროცესი მთელი რიგი დარღვევებით მიმდინარეობდა. ქრონოლოგიურად, პირველი კანონდარღვევები გაჩნდა პროცესის სამართლებრივი უზრუნველყოფის ეტაპზე. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის N127 (2006 წლის 2 ოქტომბერი) ბრძანების „იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ მე-5 მუხლი (გარდამავალი დებულებები) განსაზღვრავს:

„ 1. დევნილთა 2004 წლის ნიმუშის მოწმობის გამოცვლა და ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა განხორციელდეს 2006 წლის 15 აგვისტოდან 15 დეკემბრამდე.

2. 2004 წლის ნიმუშის დევნილის მოწმობა ძალაშია 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

3. 2006 წლის რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) დროს განხორციელდეს დევნილთა ანკეტირება (დევნილის ანკეტაში მონაცემთა შევსება ან განახლება). “

მინისტრის მოცემული ბრძანება ძალაშია შესული 9 ოქტომბერს და საკუთარი მოქმედების ვადის ათვლას 15 აგვისტოდან იწყებს. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ბატონ მინისტრს 9 ოქტომბერს ამოქმედებული ბრძანებით იმის განსაზღვრა, რომ „დევნილთა 2004 წლის ნიმუშის მოწმობის გამოცვლა და ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა განხორციელდეს“ იმავე წლის 15 აგვისტოდან?

გარდა ამისა, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის ¹ მუხლის „კ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დევნილთა რეგისტრაციას, როგორც „სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადებში დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციისა და ახალი მოწმობის გაცემის პროცედურას“. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის #127 ბრძანებამ დაარღვია სპეციალური კანონის მიერ დადგენილი სტანდარტი, რაც რეგისტრაციის „წინასწარ გამოცხადებაში“ მდგომარეობს. მსგავსი მიდგომა ძირს უთხრის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს - სამართლებრივ უსაფრთხოებას, რაც სამართლებრივი შედეგების პროგნოზირების შესაძლებლობაში მდგომარეობს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის #127 ბრძანება შესაძლოა საფუძვლად დაედოს დევნილებისათვის ყოველთვიური შემწეობის შეჩერებას, თუ ისინი სამინისტროს მიერ წინასწარ დადგენილ ვადებში არ გაივლიან რეგისტრაციას და, შესაბამისად, შეუჩერდებათ დევნილის სტატუსი. გარდა ამისა, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5² მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი დევნილის ვალდებულება გულისხმობს მის მიერ რეგისტრაციის გავლას მხოლოდ „სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადებში.“

მიუხედავად ამისა, მინისტრმა თავისი ბრძანებით უკვე 18 დეკემბერს (ძალაში შევიდა მხოლოდ 21 დეკემბერს) ცვლილება შეიტანა აღნიშნულ აქტში და მისი მოქმედების ვადა „გაახანგრძლივა“. საინტერესოა, რატომ არ შესრულდა თავის დროზე მინისტრის ბრძანება? ვინ იყო პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე და რატომ არ დაეკისრათ შესაბამისი პასუხისმგებლობა სათანადო პირებს?

სამართლებრივი სიზუსტის უკმარობის კვალდაკვალ, პრობლემურად მიმდინარეობდა დევნილთა რეგისტრაციის პროცედურაც. მაგალითად, დევნილი მერაბ ფიფია წინა რეგისტრაციის მონაცემებით იპოდრომის კომპლექსის ერთ-ერთ შენობაში იყო დამისამართებული. იპოდრომის კომპლექსი დაექვემდებარა პრივატიზებას, თუმცა მას კანონით განსაზღვრული კომპენსაცია არ მიუღია. სამინისტროს წარმომადგენლებმა მ.ფიფიას უარი განუცხადეს იმავე მისამართზე დარეგისტრირებაზე და დევნილის მოწმობაში დროებით საცხოვრებელ ადგილად დაუფიქსირეს „საბურთალო“. დევნილი ნანა ლომაძე წინა რეგისტრაციის მონაცემებით ოზურგეთში, კერძო სექტორში, ნათესავის კუთვნილ ბინაში იყო

მიწერილი. წელიწადზე მეტია, რაც ის არ ცხოვრობს ადრინდელ მისამართზე და რეალურად თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი. სამინისტროს წარმომადგენლებმა ნ.ლომაძე დაარეგისტრირეს ისევ ძველ მისამართზე და ზეპირი ფორმით შეჰპირდნენ, რომ მისი გადარეგისტრირება განხორციელდებოდა „ახლო მომავალში“.

უნდა ითქვას, რომ სამინისტრო, უმრავლეს შემთხვევაში, კერძო სექტორში ფორმალურად დამისამართებული დევნილების საცხოვრებელი დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებლობას იხსნის იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ რეგისტრაციის მონაცემების თანახმად, მათ უკვე აქვთ თავშესაფარი (დროებით საცხოვრებელ ადგილად დაფიქსირებულია ნათესავის ან მეგობრის მისამართი).

მოყვანილი მაგალითებიდან რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება. პირველ რიგში, რეგისტრაციის ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ზუსტ მისამართს და არა ისეთ ბუნდოვან და ძალიან ზოგად გეოგრაფიულ მინიშნებებს, როგორცაა მხოლოდ და მხოლოდ უბნებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მითითება. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაციის მონაცემები არასრული და არაზუსტი იქნება და ის ვერ შეასრულებს იმ კანონიერ მიზანს, რაც დევნილის დროებითი საცხოვრებლის იდენტიფიკაციაში გამოიხატება. ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე „სავაჭრო ცენტრის“ საქმეში სახალხო დამცველს აინტერესებდა ინფორმაცია ამავე შენობის მე-2 სართულის მარჯვენა მხარეს მდებარე 150მ² ფართში (ფართის ადგილმდებარეობა საკუთრების დოკუმენტებში ასეა მოცემული) მიწერილი დევნილების შესახებ. მიღებულ პასუხში (#01/01-17/5045) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ, ირაკლი გორგაძემ განაცხადა: „რაც შეეხება კონკრეტულად იმ პირებს, რომლებიც მიწერილნი არიან წერილში მითითებულ 150მ² ფართში, სამინისტროს არ შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია, ვინაიდან არც აღნიშნულ და არც სხვა კომპაქტურად ჩასახლებული ცენტრების მიხედვით, ჩვენ ასეთი დეტალური ინფორმაცია არ გაგვაჩნია, შენობების გენერალური გეგმებისა და სხვა მონაცემების უქონლობის გამო.“ დროებითი საცხოვრებელი ადგილის ზუსტ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანების „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ მიზნებისთვისაც (მოითხოვება დევნილის მოწმობისა ან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ გაცემულ ცნობის წარდგენა. ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანხმობა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებისათვის. ბუნებრივია, სამინისტროს თანხმობა უნდა ეყრდნობოდეს რეგისტრაციის ჩანაწერებში დაფიქსირებულ ზუსტ და სრულ მონაცემებს და არა ზოგად მინიშნებებს დასახლებულ პუნქტსა თუ უბანზე).

მეორე მხრივ, რეგისტრაცია უნდა ასახავდეს თანამედროვე და ახალ ფაქტებს და არ უნდა იმეორებდეს ძველსა და უკვე შეცვლილს. სწორედ ესაა რეგისტრაციის ლოგიკური და ლეგიტიმური მიზანი - ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ოფიციალური ჩანაწერები და რეალური ფაქტები.

რეპატრაციასთან დაკავშირებული საკითხები

1999 წლის 27 იანვარს (ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებამდე ზუსტად 3 თვით ადრე), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო #209 მოსაზრება (Opinion No.209 (1999)) ევროსაბჭოში გაწევრიანების თაობაზე საქართველოს მიერ შეტანილ განაცხადთან დაკავშირებით. აღნიშნულ დოკუმენტში საპარლამენტო ასამბლეამ გამოხატა მოლოდინი, რომ საქართველო მოაგვარებდა მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში. დოკუმენტის „ე“ პუნქტი შეეხება შემდეგ ვალდებულებათა განხორციელებას:

- გაწევრიანებიდან 2 წლის განმავლობაში: საბჭოთა რეჟიმის მიერ გადასახლებული მესხი მოსახლეობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმის შემუშავება, რომელიც მათ რეპატრაციისა და ინტეგრაციის საშუალებას მისცემს, საქართველოს მოქალაქეობაზე უფლების ჩათვლით;
- ამგვარ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსულტაციების წარმოება ევროსაბჭოსთან, მის მიღებამდე;
- გაწევრიანებიდან 3 წლის განმავლობაში: რეპატრაციისა და ინტეგრაციის პროცესის დაწყება;
- გაწევრიანებიდან 12 წლის განმავლობაში: მესხი მოსახლეობის რეპატრაციის პროცესის დასრულება.

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“. პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებითი ბარათის „და.ა“ და „და.ბ“ ქვეპუნქტებში ვკითხულობთ: „კანონის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს“, „კანონის პროექტთან დაკავშირებით ექსპერტთა შეფასებები არ არსებობს“. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვალდებულებები კანონის პროექტის ტექსტის ევროსაბჭოსთან შეთანხმებას ითვალისწინებდა, ეს არ განხორციელებულა. თავად კანონის მიღება მოხდა გაწევრიანებიდან 8 წლის შემდეგ. შესაბამისად, რეპატრაციის პროცესის დასრულებამდე დარჩენილი ოთხწლიანი ვადა ძალიან მცირეა პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის.

საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ აწესრიგებს მხოლოდ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცედურებსა და წესებს და არაფერს ამბობს რეპატრიანტის სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებსა თუ ქონების რესტიტუციაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება რეპატრიანტების მიმართ „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპების განხორციელება“, რაც თავის მხრივ კანონის მიზნებს წარმოადგენს და 1-ელ მუხლშია დეკლარირებული. კანონი არც ერთ უწყებას არ აკისრებს ვალდებულებას სამართლებრივი აქტით მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხები. სახელმწიფო კოსრულობს მხოლოდ განაცხადის განხილვასთან,

სტატუსის მინიჭების ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან, მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებასთან დაკავშირებულ პროცედურული ხასიათის ვალდებულებებს. პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტის „ბ.გ“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული იყო, რომ „კანონის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე“, „კანონის პროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას“.

მიგვაჩნია, რომ კანონის გარდამავალ დებულებებში უნდა იყოს დაკონკრეტებული, თუ ვის ეკისრება კანონის აღსრულების ვალდებულება. ამ უკანასკნელში იგულისხმება კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობების შესახებ სამიზნე ჯგუფისათვის ინფორმაციის მიწოდება. საქართველოში მაცხოვრებელი პოტენციური რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლის ინფორმაციული უზრუნველყოფის ვალდებულება უნდა დაეკისროს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ხოლო საზღვარგარეთ მაცხოვრებლის - საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

ინფორმაციული უზრუნველყოფის ვალდებულება ნიშნავს სამიზნე ჯგუფისათვის გასაგები ფორმით ინფორმაციის მიწოდებას, თუ რა ვადებში, სად და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს პოტენციური რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელმა, ასევე სხვა სახის ინფორმაციას (სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების, საკანონმდებლო გარანტიებისა და სხვათა შესახებ).

საქართველოს კანონმა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღჭურვა ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით. კანონით არ არის განსაზღვრული ის ვადა, რომლის განმავლობაშიც სამინისტრო ამოწმებს განცხადებასა თუ თანდართულ დოკუმენტებში ხარვეზის არსებობის საკითხს. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რა ვადის განმავლობაში წარმოემოხა პირს რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლად აღრიცხვის უფლება.

კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამინისტრო დოკუმენტაციას უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე სხვა უწყებებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ შესაბამის დასაბუთებულ დასკვნას რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე. შესაბამისად, კანონი სამინისტროს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ უწყებას გადაუგზავნის დოკუმენტაციას დასკვნის მისაღებად.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სარგებლობს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შესაბამისი უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და მათი ანალიზის შემდეგ, სამინისტრო ამზადებს დასკვნას რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, რის საფუძველზედაც საქართველოს

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გამოსცემს ბრძანებას პირისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის თაობაზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მინისტრის ბრძანება ნორმატიული აქტია, თუმცა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი მას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უწოდებს.

კანონის მიხედვით, მინისტრის ბრძანება არის საბოლოო, მისი გასაჩივრება არ შეიძლება არც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და არც სასამართლოში, რაც პირდაპირ არღვევს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. საქმეში „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი მოიცავს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას, იმის მიუხედავად, რომ კონვენციის ტექსტში ამაზე პირდაპირ მითითებული არაა. „მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ადგენს სასამართლოსა თუ ტრიბუნალზე ხელმისაწვდომობის უფლებას აშკარა ფრაზებით... მე-6 მუხლი ისე რომ იყოს აღქმული, თითქოს ეხებოდეს მხოლოდ იმ პროცესის წარმართვას, რომელიც უკვე აღძრული იქნა სასამართლოში, ხელშემკვრელი სახელმწიფო შეძლებდა დაეხურა თავისი სამართლოები ან გადაეცა მათი უფლებამოსილება მთავრობაზე დაქვემდებარებული ორგანოებისათვის... ყველა ზემოხსენებული მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული უფლების შემადგენელ ნაწილს“ (გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარაგრაფი 28, 35, 36). საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის I პუნქტს სამართლებრივი ტექნიკის თავლსაზრისით, ასეთი კოლიზიის დროს უპირატესობა ენიჭება უფრო მაღალი ძალის მქონე ნორმატიულ აქტს - კონსტიტუციას.

ბიუროკრატიზმის საფრთხეს ქმნის ის გარემოება, რომ ამომწურავად არ არის განსაზღვრული დოკუმენტაცია, რომლის წარდგენაც აუცილებელია რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად. კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, თუმცა იგი არ არის შეზღუდული რაიმე გონივრული ვადით. თავისთავად, აღნიშნული დებულება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის 1-ელ ნაწილთან: „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა“.

კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემდეგ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რეპატრიანტს სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს საგამოძიებო ორგანოების მიერ საქმის შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი დადგენილების გამოტანამდე ან სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პუნქტით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და

ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მულის მე-2 პუნქტით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია. გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოჰყვება არა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს, არამედ ბრალდებულის სახით პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემას. საქმეში „ბარბერა, მესეგე და ჯაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „უდანაშაულობის პრეზუმფცია *inter alia* მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლოს წევრები საქმის განხილვას არ შეუდგნენ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული.“ „უდანაშაულობის პრეზუმფცია იქნება დარღვეული იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არ ყოფილა დამნაშავედ ცნობილი კანონის შესაბამისად, ხოლო მასთან დაკავშირებით არსებული სასამართლოს გადაწყვეტილებას ასახავს აზრს, თითქოს ის არის დამნაშავე“ (ბარბერა, მესეგე და ჯაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ, პარაგრაფი 77, 91). ხოლო საქმეში „სეკანიანა ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია სავალდებულოა არა მხოლოდ სისხლის სამართლის სასამართლოებისთვის, რომლებიც საქმეს განიხილავენ, არამედ სხვა ხელისუფალთათვისაც (სეკანიანა ავსტრიის წინააღმდეგ, პარაგრაფი 21).

რეპატრინტის სტატუსი ადამიანს ანიჭებს საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალური ცხოვრების უფლებას. შესაბამისად, რეპატრიანტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, აღარ იარსებებს პირის საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი და იგი დაექვემდებარება გაძევებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს ოჯახის გაერთიანების პრინციპს. თუმცა აღნიშნული გარანტიის სათანადოდ იმპლემენტაციისათვის კანონი უნდა იყოს თანმიმდევრული. როდესაც „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ ოჯახის წევრთა განაცხადებს სამინისტრო ერთობლივად განიხილავს, იმავდროულად განსაზღვრული უნდა იყოს მინისტრის ადმინისტრაციული აქტით ოჯახის ყველა წევრისათვის რეპატრიანტის სტატუსის ერთობლივად მინიჭების შესაძლებლობა.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვა

სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარის, ბატონი გურამ სოსელიას განცხადება, რომელშიც წამოჭრილია არაერთი საყურადღებო საკითხი. გამცხადებელი მიუთითებს, რომ კანონმდებლობაში, კერძოდ კი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონში შესული ყოველი ახალი ცვლილება მიმართულია ამ კატეგორიის ადამიანების სოციალური უფლებების შემცირებისაკენ და იმ შეღავათების გაუქმებისაკენ, რომლებიც სახელმწიფომ თავდაპირველად დაუწესა რეპრესიების მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეებს. მეტიც, ზოგიერთი სახელმწიფო უწყების მხრიდან დაუდევრობის თუ განზრახ უმოქმედობის გამო ხშირად ამ ადამიანებს უჭირს იმ უფლებების განხორციელებაც კი, რომლებიც მათ კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული.

1. პოლიტრეპრესირებულთა ოჯახის წევრების უფლებები

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის თავდაპირველი ვერსიის მე-14 მუხლის მიხედვით, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის შრომისუუნარო შვილისთვის (ნაშვილებისთვის) ყოველთვიური პენსიის გაცემას ითვალისწინებს, უნდა ამოქმედებულიყო 1998 წლის 1 სექტემბრისთვის. ამის შემდგომ, კანონში შევიდა სამი ცვლილება, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული მუხლის ამოქმედება ჯერ 1999 წლის 1 სექტემბრისთვის, ხოლო შემდეგ 2000 წლის 1 ივლისისთვის გადაიდო, საბოლოოდ კი 2002 წლის 1 იანვრისთვის იქნა გათვალისწინებული. ამის შემდეგ თარიღი აღარ შეცვლილა და დღესაც, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის შრომისუუნარო შვილის (ნაშვილების) მიმართ ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.“

მიუხედავად ზემოთქმულისა, რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულების შვილებისათვის ყოველთვიური პენსიის გაცემა დაიწყო არა 2002 წლის 1 იანვარს, არამედ მხოლოდ 2003 წლის 1 ივლისიდან, რითაც უხეშად დაირღვა ბენეფიციარების უფლებები და კანონის მოთხოვნები.

2002 წლის დასაწყისში გამცხადებელმა წერილობით მიმართა სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის განყოფილებას, საიდანაც იმავე წლის 4 თებერვალს მიიღო განყოფილების გამგის პასუხი: „პენსიის

გადაანგარიშება პოლიტრეპრესირებულთა მემკვიდრეებზე კვლავ შეჩერებულია. პენსია, როგორც რეპრესირებული ოჯახის მემკვიდრეს, გადაგიანგარიშდებათ კანონის ამოქმედების შემდეგ.“ ეს პასუხი მიღებულია მაშინ, როცა კანონის შესაბამისი მუხლი უკვე შესულია ძალაში.

ამ საკითხით დაინტერესდა საქართველოს სახალხო დამცველიც, რომელმაც 2002 წლის 22 თებერვალს წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს ახსნა-განმარტების მოთხოვნით. პასუხად, აღნიშნულმა უწყებამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ პენსიის გაცემა შეჩერებული იყო „2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

„2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ამბობს: „პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებულ პირთა პენსიის ოდენობა 2002 წელს განისაზღვროს ომის ინვალიდებისთვის დადგენილი პენსიის დონეზე - 45 ლარის ოდენობით.“

მარტივად რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში არ იქნა გათვალისწინებული პოლიტრეპრესირებულთა შვილების პენსიების გაცემისათვის საჭირო ასიგნებები, ამ პენსიების გაცემა 2002 წლისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

სახალხო დამცველმა 2002 წლის 6 ივლისს აღნიშნულ საკითხზე რეაგირებისათვის და დარღვეული უფლებების აღსადგენად მიმართა საქართველოს პრეზიდენტსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც დაინტერესებული მოქალაქეების და არც სახალხო დამცველის ძალისხმევას შედეგი არ გამოუღია და პოლიტრეპრესირებულების შვილებზე პენსიის გაცემა დაიწყო წელიწადნახევრის დაგვიანებით.

გამცხადებელი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ საშინაო ვალად უნდა აღიაროს რეპრესირების მსხვერპლთა შვილებისთვის კანონით გათვალისწინებული ყოველთვიური პენსიის 2002 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 1 ივლისამდე განკუთვნილი თანხა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში არ გაცემულა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ გამცხადებლის ეს პრეტენზია დასაბუთებულია. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დარღვეული უფლებების აღდგენაზე.

2. პოლიტრეპრესირებულთა სოციალური გარანტიების გაუარესება

1997 წლის 11 დეკემბრის კანონით „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ განისაზღვრა პოლიტრეპრესირებულებისა და მათი ოჯახების სოციალური დაცვის გარანტიები (მუხლი 12):

- სამედიცინო დაზღვევა სახელმწიფოს ხარჯზე;

- საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებების ღირებულების 50%-იანი ფასდაკლება, თუ ამ მომსახურებას ახორციელებდა სახელმწიფო დაწესებულება;
- საპროთეზო და ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;
- სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობის უფასო ტალონები;
- საჯარო უწყებებში შტატების შემცირებისას სამუშაოზე უპირატესი დატოვება;
- პოლიტრეპრესიების მსხვერპლად აღიარების საკითხებში უფასო იურიდიული კონსულტაცია და სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლება.

2005 წლის 12 დეკემბერს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში შესულმა ცვლილებამ გააუქმა ზემოაღნიშნული სოციალური გარანტიების უმრავლესობა. კანონის მე-12 მუხლის ახალი რედაქცია პოლიტრეპრესირებულებისა და მათი ოჯახებისთვის ითვალისწინებს მხოლოდ სამ გარანტიას:

- ყოველთვიური სახელმწიფო პენსია;
- საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების ღირებულების 50%-იანი ფასდაკლება თუ აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება; რაც შეეხება ელექტროენერგიის საფასურს, კანონში დაზუსტდა, რომ პოლიტრეპრესირებულებს და მათ ოჯახებს მხოლოდ 30 კვტ/სთ ელექტროენერგია მიეწოდებათ უფასოდ (45 კვტ/სთ, თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირია);
- სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პუნქტს, ანუ სოციალურ დახმარებებს, არაფერი აქვს საერთო პოლიტრეპრესირებულის სტატუსთან. ეს არის ის დახმარებები, რომლებიც სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებს, ლტაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებს ენიშნებათ სპეციალური - ამ შემთხვევაში, პოლიტრეპრესირებულის - სტატუსის მიუხედავად (2006 წლის 29 დეკემბრის „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი).

2005 წლის 12 დეკემბრის ცვლილებით, პოლიტრეპრესირებულთა კანონის მე-13 მუხლით ასევე განისაზღვრა პოლიტრეპრესირებულების საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების გაუქმება „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის ამოქმედებისთანავე, ანუ 2007 წლის 1 იანვრიდან („სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის 1 პუნქტი).

შედეგად, დღესდღეობით, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, მისი დანიშნისა და გაცემის წესი და პრინციპები“ არის ერთადერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ კატეგორიის მოქალაქეებისათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს ითვალისწინებს. აღნიშნული ნორმატიული აქტის მე-4 მუხლის კ) ქვეპუნქტის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებზე ყოველთვიურად 7 ლარის ოდენობის საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაიცემა.

3. ელექტროენერგიით სარგებლობის შეღავათები - კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო საკანონმდებლო ცვლილებები

ცალკე უნდა იყოს მოხსენიებული ის ცვლილებები, რომლებიც პოლიტრეპრესირებულებისათვის დაწესებულმა ელექტროენერგიით სარგებლობის ღირებულების შეღავათებმა განიცადა.

პოლიტრეპრესირებულების შესახებ კანონის თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული იყო ელექტროენერგიით სარგებლობის ღირებულების 50%-იანი ფასდაკლება სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ამ მომსახურებას ახორციელებდა სახელმწიფო დაწესებულება. 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებებით, ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განისაზღვრა 30კვტ/სთ-ის ოდენობით (კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მეორე წინადადება).

ორმა მოქალაქემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენა ზემოაღნიშნული დისპოზიციის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებაში.

2003 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული სარჩელი არ ყოფილიყო მიღებული არსებითად განსახილველად და სთხოვა საქართველოს პარლამენტს, უზრუნველყო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის ელექტროენერგიის უფასო მოხმარების საკითხის იმის ანალოგიურად გადაწყვეტა, როგორც განისაზღვრა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებისათვის ელექტროენერგიით სარგებლობის შეღავათები საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის გათვალისწინებული ელექტროენერგიის შეღავათების შემცირებას ითვალისწინებდა და დაადგინა, რომ საქართველოს პარლამენტს გონივრულ ვადებში უნდა მოეწესრიგებინა მოქალაქეთა აღნიშნული კატეგორიის ელექტროენერგიით სარგებლობის საკითხი.

გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფო არამართო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია. ქვეყანაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი, სახელმწიფოს კიდევ უფრო ვალდებულს ხდის დაიცვას მოსარჩელეთა და მათი მსგავსი კატეგორიის მოქალაქეთა ინტერესები.“

ამ გადაწყვეტილების შემდგომ, ვეტერანებისათვის გათვალისწინებული შეღავათების ოდენობამ კვლავ აიწია, თუმცა უცვლელი დარჩა პოლიტრეპრესირებულების საკითხი. ამის თაობაზე, პოლიტრეპრესირებულთა უფლებების დამცველი საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარემ წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 2006 წლის 16 აპრილს, რის საპასუხოდაც, 2006 წლის 26 ივნისს მიიღო საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პასუხი, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი შემდგომი განხილვისათვის გატანილი იქნება, სავარაუდოდ, 2006 წლის საშემოდგომო სესიაზე.“

ამის შემდგომ, აღნიშნულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი პარლამენტს არ განუხილავს. მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2007 წლის 1 იანვრიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, კომუნალური შეღავათების შესახებ დისპოზიცია (კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი) ძალადაკარგულად ითვლება.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული და ფიზიკური პირი, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მათი უფლებამოსილებიდან წარმოდგება.“

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს უმოკლეს დროში უნდა განეხილა და საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების შესაბამისად გადაეწყვიტა პოლიტრეპრესირებულების ელექტროენერგიით უფასო სარგებლობის საკითხი, რაც დღემდე არ მომხდარა.

გარდა ამისა, მოქალაქეთა ეს კატეგორია, მონეტიზაციის შესახებ დადგენილების მიხედვით, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებთან შედარებით შეზღუდული უფლებებით სარგებლობს, რაც ასევე ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ამ ორი კატეგორიის მოქალაქეების საკითხი ანალოგიურად უნდა გადაწყვეტილიყო.

4. გაცემული პენსიის ანაზღაურება ურთიერთგამომრიცხავი საკანონმდებლო ნორმების არსებობის გამო

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიას ამ კატეგორიის ადამიანებისთვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „პენსიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.“

ამის საპირისპიროდ, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პოლიტრეპრესირებულებს და მათი ოჯახის წევრებს „მიუხედავად დასაქმებისა მიეცემა ყოველთვიური პენსია, რომლის ოდენობას და გაცემის წესს ადგენს კანონი.“

როგორც ვხედავთ, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი თავად ითვალისწინებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით დადგენილი წესების გამოყენების გამონაკლისს, კერძოდ, სხვა სახელმწიფო პენსიონერებისაგან განსხვავებით, პოლიტრეპრესირებულების უფლება სახელმწიფო პენსიის მიღებაზე წარმოიშობა პირის დასაქმების გაუთვალისწინებლად.

მიუხედავად ამისა, როგორც გამცხადებელი აღნიშნავს, ამ სამართლებრივი გაუგებრობის ნიადაგზე „პენსიის გაცემა შეუწყვიტეს და ადრე მიღებული პენსიების დაბრუნება მოსთხოვეს საჯარო საქმიანობით დაკავებულთ“.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივი კაზუსების გამო არ უნდა დაზარალდნენ ის მოქალაქეები, რომლებსაც კანონიერად მიაჩნდათ პენსიის მიღება და რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ სახელმწიფოს შეცდომაში შეყვანისათვის.

გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში შეგნებულად არის გათვალისწინებული პოლიტრეპრესირებულთა უფლება, სახელმწიფო პენსია მიიღონ დასაქმების მიუხედავად. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას, რომელიც გამორიცხავს ამ ნორმით დარეგულირებულ საკითხზე ზოგადი ნორმის - „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გავრცელებას. შესაბამისად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო დებულება ამ კატეგორიის ადამიანების შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანება N46/ნ „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დამტკიცების თაობაზე, მე-12 მუხლის ა) ქვეპუნქტით ითვალისწინებს პოლიტრეპრესირებულის სტატუსის მქონე პირთათვის პენსიის დანიშვნას პენსიის მიღების ძირითადი საფუძვლების წარმოშობის მიუხედავად. შესაბამისად, სპეციალური კანონის არსებობის გამო, პოლიტრეპრესირებულებზე სრულიად მართებულად არ გავრცელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-

ლი პუნქტი. ანალოგიურად უნდა იქნეს გადაწყვეტილი ამავე კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დისპოზიციის პოლიტრეპრესირებულებზე გავრცელების საკითხიც.

5. კანონმდებლობით აღიარებული სოციალური უფლებების შეზღუდვა - საქართველოს საერთაშორისო და ევროპულ დონეზე აღებული ვალდებულებების საწინააღმდეგო მოვლენა

ა) სოციალური დახმარება, როგორც ადამიანის უფლება

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონე და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობა არ საჩივრდება.“

ზემოთ მოყვანილი დისპოზიცია ეხმაურება იმავე კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც, ამ კანონის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს „სოციალური დახმარების, როგორც საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერის, მაგრამ არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების, აღიარება;“

მეტიც, ხსენებული კანონის განმარტებით ბარათში პირდაპირ არის მითითებული, რომ „სოციალური დახმარების ცნება გაგებული უნდა იყოს არა როგორც ადამიანის უფლება, არამედ როგორც ხელისუფლების საჩუქარი.“

სახალხო დამცველს თავის მოხსენებებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სოციალური დახმარების ცნების მსგავსი გაგება დაუშვებელია და რადიკალურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ პრინციპებს და საქართველოს მიერ საერთაშორისო თუ რეგიონულ დონეზე აღებულ ვალდებულებებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების და პიროვნების განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევით, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად.“

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მიხედვით, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.“

ევროპის სოციალური ქარტიის 12(1) მუხლის მიხედვით კი „სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით მხარეები ვალდებულებას იღებენ, შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა“.

ამგვარად, სოციალური უზრუნველყოფა უდაოდ ადამიანის უფლებების სფეროს განეკუთვნება. კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

შესაბამისად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას [...] ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის 1-ლი წინადადება⁵.)

სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის N3 ზოგადი კომენტარის მე-5 პუნქტში ვკითხულობთ: „კანონმდებლობის გარდა „სათანადო ღონისძიებებს შეიძლება მიეკუთვნოს უფლებებისათვის სასამართლო დაცვის შესაძლებლობის მინიჭება, რომლებიც, ეროვნული სამართლებრივი სისტემის საფუძველზე, სასამართლოში აღსრულებადი იყოს. კომიტეტი აღნიშნავს, მაგალითად, რომ აღიარებული უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე ნაწილობრივ შესაძლებელია მათთვის სასამართლო დაცვის ან სხვა ეფექტური საშუალებების მინიჭებით. უფრო მეტიც, იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც იმავდროულად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მონაწილენი არიან, უკვე აღიარებული აქვთ ვალდებულება (ამ პაქტის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების და 26-ე მუხლის საფუძველზე), რომ ნებისმიერი პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები (მათ შორის თანასწორობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლება) შეილახა, უზრუნველყონ „სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით“ (მუხლი 2 პუნქტი (ა)). გარდა ამისა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში არის დებულებები, მათ შორის მუხლები: მე-3, მე-7 (ა)(ი), მე-8, მე-10(3), მე-13(2)ა, მე-13(3), მე-13(4) და მე-15(3), - რომლებიც, როგორც ჩანს, შესაძლებელია პირდაპირ იქნას გამოყენებული სასამართლოების და ეროვნული მართლმსაჯულების სისტემის სხვა ორგანოების მიერ.“

ამგვარად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სასამართლოს წესით გადაწყვეტის შესაძლებლობა. ნებისმიერი საკანონმდებლო დისპოზიცია, რომელიც მოქალაქეებს წაართმევს ამ უფლებას, დაარღვევს საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს

⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი 1986 წლიდან აღიარებს მე-6(1) მუხლის სოციალური დახმარების საკითხებში გამოყენების უფლებას (*1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებები „ფელდბურგი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ და „დეუმელანდი გერმანიის წინააღმდეგ“*). 1993 წლიდან კი ამ მუხლით გარანტირებული დაცვა გავრცობილ იქნა კანონით დადგენილ სოციალურ შეღავათებზე, რომლებიც საჯარო-სამართლებრივ ხასიათს ატარებს (*1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება „სალესი იტალიის წინააღმდეგ“ და 1993 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება „შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ“*).

და შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს. აქედან გამომდინარე, „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობა ექვეყნებოდა.

ბ) სოციალური უფლებების დაუსაზღვრებელი შეზღუდვის დაუშვებლობა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფომ განუწყვეტლივ უნდა იზრუნოს სოციალური უფლებების, თავისი მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებაზე და ყოველი სიახლე ამ სფეროში წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს მოქალაქეთა კეთილდღეობისაკენ.

სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია „გადადგას ნაბიჯები მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით აღიარებული უფლებების თანდათანობითი, სრული რეალიზაციისათვის.

სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ეს მუხლი ადგენს მიზნისკენ სწრაფი და ეფექტური სვლის ვალდებულებას. გარდა ამისა, ამ სფეროში ყველა შეგნებულად რეგრესიული ნაბიჯი აუცილებლად უნდა იყოს განხილული უდიდესი ყურადღებით და სრულად უნდა იყოს დასაზღვრებული პაქტით აღიარებული უფლებების მთელ სპექტრთან მიმართებაში.“⁶

როგორც უკვე ვიხილეთ, ევროპის სოციალური ქარტიის 12(2) მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, შექმნას და შეინარჩუნოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. ამას ემატება იმავე ქარტიის 12(3) მუხლი, რომელიც ხელმომწერ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, ავალდებულებს, მიიღოს ზომები „სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით“.

ევროპის სოციალური ქარტიის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია ხსენებული დისპოზიცია არ აწესებს უფლებების შეზღუდვის ზოგად აკრძალვას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ყოველთვის მოითხოვს განმარტებებს ამგვარი ღონისძიებების გატარების მიზეზებსა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე მათი გავლენის შესახებ.⁷

ამ თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო უფრო შორს მიდის და უკვე ხსენებულ 2002 წლის 18 აპრილის N1/126,129,158 გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ

⁶ კომიტეტის ზოგადი კომენტარი N3, მე-9 პუნქტი;

⁷ ევროპის სოციალური ქარტიის პრეცედენტული სამართალი, დამატება N2, 1987 წ., გვ. 24; დამატება N3, 1993 წ., გვ. 114.

სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მართებს, თავი შეიკავოს იმგვარი ღონისძიებებისაგან, იქნება ეს საკანონმდებლო ცვლილების თუ სხვა სახის, რომლებსაც შედეგად გარკვეული ჯგუფის სოციალური უფლებების შეზღუდვა მოსდევს. როგორც საკონსტიტუციო სასამართლო თავის 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, „მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობა ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვის სერიოზული გარანტი. ნორმატიულმა აქტმა მხოლოდ ასე შეიძლება შეინარჩუნოს სრულად მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. აღნიშნულ მოთხოვნათა უფლებელყოფით კი ირღვევა კანონთა სამართლიანობისა და შეუქცევადობის პრინციპები.“

განხილულ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ პოლიტრეპრესირებულების უფლებების შეზღუდვისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიების გაუქმების ობიექტური საფუძვლები არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, არავის შეუწუხებია თავი, ამ ადამიანებისათვის განემარტა ნეგატიური ცვლილებების მიზეზები და მომავალში შესაძლო გაუმჯობესების პერსპექტივა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში დაუშვებელია. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების ფონზე მივიჩნევთ, რომ შესაძლოა დადგეს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2005 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხიც.

ზოგადად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პოლიტრეპრესირებულებისათვის სოციალური შეღავათების დაწესება არა მხოლოდ სახელმწიფოს სოციალურ, არამედ მორალურ ვალდებულებასაც წარმოადგენს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის და ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი ებრძოდნენ საბჭოთა რეჟიმს და რომლებსაც უდიდესი დამსახურება აქვთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში. საქართველოს მუდმივად მზარდი ბიუჯეტიდან გამომდინარე, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტს, სოციალური პროგრამების შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, ულტაკესი ოჯახების დახმარება წარმოადგენს, მაინც უნდა მოიძებნოს სახსრები იმისათვის, რომ პოლიტრეპრესირებულებმა იგრძნონ სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება და პატივისცემა. რომ არაფერი ვთქვათ იმ მძიმე სოციალურ ფონზე, რომელშიც ამ ადამიანებს უხდებათ არსებობა და რომლის გამოც ნებისმიერი მატერიალური დახმარება დიდ მნიშვნელობას იძენს.

რეკომენდაციები:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს 2002 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 1 ივლისამდე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირების შვილებზე გაუცემელი ყოველთვიური პენსიის თანხის საშინაო ვალად აღიარების საკითხი;
2. წინადადებით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, განიხილოს პოლიტრეპრესირებულთათვის კანონის თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული სოციალური გარანტიების აღდგენის საკითხი;
3. წინადადებით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, განიხილოს „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაუქმების საკითხი;
4. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, მისი დანიშვნისა და გაცემის წესისა და პრინციპების“ მე-4 მუხლის კ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბსიდიის ოდენობის განსაზღვრა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის გათვალისწინებული სუბსიდიის ოდენობის იდენტურად;
5. საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ უზრუნველყოს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებსა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო პენსიის გაცემა მათი დასაქმების მიუხედავად, როგორც ამას ითვალისწინებს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და იზრუნოს იმ პირთა უფლებების აღდგენაზე, რომლებსაც საჯარო სამსახურში დასაქმების გამო შეუწყდათ პენსიის გაცემა და რომლებიც იძულებულები გახდნენ, უკან დაებრუნებინათ უკვე მიღებული პენსიები.

ლტოლვილთა უფლებების დაცვის შესახებ

2007 წლის I ნახევრის მანძილზე, გარკვეული წინსვლა შეინიშნება ლტოლვილთა უფლებების დაცვის კუთხით. თავისთავად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაციას ცდილობს.

2007 წლის 27 აპრილს საქართველოს კანონში „ლტოლვილთა შესახებ“ შევიდა დამატებები. საქმე ეხება ამავე კანონის მე-4¹ მუხლს - „ლტოლვილის დროებითი ბინადრობის მოწმობა“. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა აღნიშნული სოციალური ჯგუფის სამგზავრო დოკუმენტებით უზრუნველყოფის პრობლემა. მითითებულ საკითხზე ყურადღება გამახვილებული იყო სახალხო დამცველის წინა წლების მოხსენებებში. იმის გამო, რომ ჭიანჭურდებოდა საქართველოს „ლტოლვილთა შესახებ“ კანონის ჰარმონიზაციის პროცესი „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციასთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ვერ უზრუნველყოფდა ლტოლვილებს გადაადგილებისათვის აუცილებელი სამგზავრო დოკუმენტებით. შესაბამისად, მათ აზერბაიჯანში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ოჯახის წევრების მონახულების საშუალება არ ჰქონდათ. მათ პრობლემები ექმნებოდათ ბანკებში ფულადი გზავნილების მიღების დროსაც.

ამჟამად, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლტოლვილად ცნობილ პირს ეძლევა დროებითი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს ლტოლვილად ცნობილი პირის მოქალაქეობას, ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე და სტატუსს. ის გაიცემა 3 წლის ვადით და მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე. დროებითი ბინადრობის მოწმობაში ლტოლვილად ცნობილი პირის მოქალაქეობასთან ერთად ჩაიწერება სიტყვა „ლტოლვილი“, ხოლო მისამართად მიეთითება შესაბამისი სუბიექტის მიერ დასახელებული მისამართი.

სახალხო დამცველი ასევე მიუთითებდა, რომ „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფო ჩეჩენ ლტოლვილებზე შემწეობებს არ გასცემდა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ჰუმანიტარული დახმარება, ჩეჩენი ლტოლვილების ინფორმაციით, ძალზედ მცირე და უხარისხო იყო. ამასთან, ჩეჩენი ლტოლვილები არ სარგებლობდენ დევნილებისთვის დაწესებული სოციალური შეღავათებით ელექტროენერჯის საფასურის გადახდისას.

ამჟამად, „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია ორგანიზებულად ჩასახლებულ ერთ ლტოლვილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა 11 ლარის, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ ლტოლვილზე - 14 ლარის ოდენობით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2007 წლისათვის ორგანიზებულად ჩასახლებული ერთი ლტოლვილის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფინანსება ხორციელდება ცენტრალიზებულად და თვეში განისაზღვრება ქ.თბილისში 13.48 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა

რეგიონებში – 12.98 ლარით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (მათ შორის, ობიექტში ჩასახლებულ დევნილთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, ჩასახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ერთ დევნილსა და ლტოლვილზე განისაზღვრა თვეში არა უმეტეს 4 ლარის ოდენობით. აღნიშნულის დაფინანსება ხორციელდება სახელმეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებსა და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

მიუხედავად პროგრესისა, ცალსახაა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შემწეობები და შეღავათები არაა საკმარისი ლტოლვილთათვის, რათა შეიქმნან ცხოვრების სათანადო პირობები. ქვეყანაში არსებული ინფლაციისა და სამომხმარებლო კალათის გაძვირების გათვალისწინებით, მათი სოციალური მდგომარეობა სავალალოა.

აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის ტერიტორია ჩეჩენი ლტოლვილების ძირითადი საცხოვრებელი ადგილია. საქართველოს გაეროს ასოციაციის მონაცემებით, ჩასახლების ადგილებად გამოყენებულია როგორც კომპაქტური შენობები, ასევე კერძო სახლებიც. ზოგიერთ სოფელში ლტოლვილები განთავსებულნი არიან მესაკუთრეებისაგან მიტოვებულ სახლებში, ზოგიც ნათესავების და ახლობლების ნებართვით და ხელშეწყობით ბინავდება.

კომპაქტური ჩასახლების ადგილებად გამოყენებულია ყოფილი საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, ამბულატორიები და სხვა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აქაც პრობლემებს აწყდებიან ლტოლვილები, როდესაც ხდება ამა თუ იმ შენობის პრივატიზაცია და მათ ახალი ჩასახლების ადგილის ძიება უწევთ.

ხეობაში მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარებაა. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, ლტოლვილებს მეტად არასასიამოვნო პირობებში უწევთ ცხოვრება. სანიტარული პირობები ძალიან ცუდია, განსაკუთრებით კომუნალურ თავშესაფრებში, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები ზედამხედველობენ პანკისის ხეობაში. ის მცირერიცხოვანი ნაწილი მოსახლეობისა, რომლებიც მიწას ფლობს პანკისში, საკმაოდ მწირ დამატებით შემოსავალს იღებს დაბალნაყოფიერი მიწებიდან. მაგრამ ლტოლვილების უმეტესი ნაწილი ამასაც მოკლებულია და შესაბამისად იძულებული ხდება სხვა გზა ეძებოს თავის სარჩენად.

ბევრი ლტოლვილი მზადაა იმუშაოს საწარმოებსა თუ სამომსახურეო სექტორში. მხოლოდ რამდენიმე ადამიანია დასაქმებული საერთაშორისო ორგანიზაციაში, რაც ფულადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. რამდენიმე ლტოლვილი სკოლებსა თუ ბაღებშია დასაქმებული მაწავლებლის, ძიძის სტატუსით. თუმცა, ამ შემთხვევებში მათ არ ეძლევათ ფულადი ანაზღაურება, მათი შრომა ჰუმანიტარული პროდუქტების დამატებითი ნორმების მიღებით ანაზღაურდება. ჩეჩენები აცხადებენ, რომ სამუშაო ადგილების განაწილებისას ადგილობრივი მოსახლეობა ახლობლებსა და ნათესავებს ასაქმებს და ისინი სამსახურის ძებნისას დისკრიმინაციას განიცდიან.

ლტოლვილთა დასაქმება ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან „მოცემულ რეგიონში მოსახლეობის დასაქმების დონის გათვალისწინებით, ლტოლვილს მისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით დახმარება გაუწიონ შრომით მოწყობაში“. ამავე კანონის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე „ბინათმოწყობის, დასაქმების, განათლების, უსაფრთხოების“ მინიმალური სტანდარტები გარანტირებულია არა მხოლოდ ლტოლვილისთვის, არამედ ჯერ კიდევ ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრირებული პირისათვის. ხოლო ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის მე-17 მუხლი განმარტავს: „ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს დაქირავებულ შრომაზე უფლების საკითხში უქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ გარემოს, რომლითაც იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები“.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, „ხელმომწერი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას“. თუმცა მოქალაქეობის მინიჭების გაადვილებული პროცედურა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნულ დებულებასთან.

საქართველოს მოქალაქეობის მიღება შედარებით მისაღებია წარმომოებით ქისტი ლტოლვილებისათვის, რომელთა რამდენიმე თაობა ნამდვილად დაიბადა და დღემდე ცხოვრობს პანკისში.

ლტოლვილები განათლების სფეროში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესს არადაძაპყროფილებლად აფასებენ. განსაკუთრებული პრეტენზიები აქვთ უმაღლესი განათლების სფეროში ინტეგრირების მიმართ - მათი უმეტესობა თვლის, რომ პროცესი არ შედგა. ანალოგიურად აფასებენ პროფესიული განათლების სფეროში ინტეგრირების პროცესსაც. „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ლტოლვილ ბავშვებს სახელმწიფო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობაში“. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მე-4 თავის 22-ე მუხლის (სახალხო განათლება) თანახმად, „სახელმწიფოები ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს და ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები“.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩენი ლტოლვილების უმრავლესობა გამოთქვამს მესამე ქვეყანაში გადასვლის სურვილს და პრეტენზიას გამოთქვამს საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მიმართ. თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების შემდეგ, ქვეყანათა მცირე რაოდენობა გამოხატავს ჩეჩენი ლტოლვილების მიღების მზადყოფნას.

მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით

საანგარიშო პერიოდში, 2006 მეორე ნახევართან შედარებით, თითქმის სამჯერ გაიზარდა რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული ძალადობისა და დისკრიმინაციის რიცხვი: ჩვენთვის ცნობილი 22 შემთხვევიდან 20 იეჰოვას მოწმეების საქმიანობას ეხება, 1 - საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების მიერ კრიშნაიტული რელიგიური ლიტერატურის უკანონოდ დააკავებასთან არის დაკავშირებული (იხ. დანართი ვალერი სკვორუცოვის საქმე), ხოლო 1 შემთხვევაში კი შსს მაღალჩინოსანმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ისლამის ქართველი მიმდევრები რელიგიურ-ნაციონალური მოტივით საჯაროდ შეურაცხყო (იხ. დანართი. ზოტის საქმე). აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის რუკაზე ახალ შტრიხად გაჩნდა ისლამის ქართველი მიმდევრების მიმართ გამოხატული ქსენოფობიის შემთხვევები როგორც მედიაში და საჯარო სკოლებში, ასევე სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, რაზეც ქართველი მუსლიმები უკვე ხმამაღლა საუბრობენ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით შსს-სა და საქართველოს პროკურატურის საქმიანობა უფრო ეფექტური გახდა: ერთი მხრივ, არსებობს პოლიტიკური ნება, დაცული იყოს რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპები და აღიკვეთოს ძალადობა რელიგიურ ნიადაგზე, მეორე მხრივ, ამ სფეროში სახალხო დამცველისა და სამართალდამცველების ურთიერთანამშრომლობა პოზიტიურ შედეგს იღებს. თუმცა არსებული პრობლემები, რაც ძირითადად დაბალი თანამდებობის პირების სუბიექტივიზმთან, გულგრილობასა და არაეფექტურ პირველად რეაგირებასთან არის დაკავშირებული უკვე „ტრადიციულ“, ხასიათს იძენს და ამ მხრივ არ შეიმჩნევა რაიმე სახის დადებითი დინამიკა.

გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა სოფელ ივლიტის ეკლესიის საკითხის გარშემო (იხ. სახალხო დამცველის ანგარიში 2006 წლის მეორე ნახევარი. რელიგიის თავისუფლება). 2007 წლის თებერვალში ივლიტას მოსახლეობამ კენჭისყრა გამართა ეკლესიის კუთვნილების შესახებ. კენჭისყრის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა ტაძრის კათოლიკეებისთვის დაბრუნებას მიემხრო. კენჭისყრას საპატრიარქოსა და კათოლიკე ეკლესიის დიალოგის კომისიის მუშაობის განახლება მოყვა. კომისია საანგარიშო პერიოდში ორჯერ შეიკრიბა, თუმცა რაიმე რეალურ შედეგზე საუბარი ჯერჯერობით ძნელია. ადგილიდან არ დაძრულა სხვა „სადავო“, ეკლესიების საკითხი (იხ. სახ. დამცვ. ანგარიში. რელიგიის თავისუფლება 2004. 2005. 2006. წწ.)

რელიგიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სასამართლოების საქმიანობაში.

კვლავ უაღრესად პრობლემურია ქართულენოვან მედიასაშუალებებში რელიგიური უმცირესობების ნეგატიური და სტერეოტიპული გამუქება ან მათი სრული იგნორირება.

ისევ დისკრიმინაციულად შეიძლება შეფასდეს საჯარო სკოლებში არსებული გარემო. ეს პრობლემა განსაკუთრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებშია თვალშისაცემი. მუსლიმ ბავშვებს ასწავლიან მხოლოდ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, პედაგოგები კი კანონსაწინააღმდეგოდ ახორციელებენ პროზელიტიზმსა და ინდოქტრინაციას, სკოლებში არააკადემიური მიზნით გამოფენილია ქრისტიანული რელიგიური სიმბოლოები.

1. ძალადობა იეჰოვას მოწმეთა მიმართ, დისკრიმინაცია და სახელმწიფო

გამრავალფეროვნდა იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ხასიათი. თუკი წინა საანგარიშო პერიოდში ძირითადად ადგილი ჰქონდა ქუჩასა თუ შენობებში იეჰოვას მოწმეების მიერ რწმენის გავრცელებისას მათ მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ ძალადობას, როგორც ერთგვარ უკანონო, მაგრამ მაინც რეაქციას ამ რელიგიური გაერთიანების წევრთა მისიონერულ საქმიანობაზე, ახლა ძალადობამ შედარებით მასშტაბური, ორგანიზებული და პროაქტიური ხასიათი შეიძინა. თბილისში (გლდანი, ვარკეთილი, დიდუბე-ჩუღურეთი), გორსა და ქუთაისში იეჰოვას მოწმეების ოფისებს პერმანენტულად თავს ესხმოდნენ, ქვებს უშენდნენ და მათი ოფისების გალავნების კედლებზე შეურაცხმყოფელი, უხამსი და მუქარის შემცველი წარწერები ჩნდებოდა, ზოგჯერ კი ოფისში მყოფ ან იქედან გამოსულ მორწმუნეებს ყოველგვარი „გამადიზიანებელი“ საფუძვლის გარეშე ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული ერთგვაროვანი შინაარსის განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა გლდანის რაიონის მე-4 მ/რ-ში მორეტის ქ.24-ში იეჰოვას მოწმეების რელიგიური შეკრებებისთვის განკუთვნილ შენობაზე („სამეფო დარბაზი“) თავდასხმებს, რელიგიური გაერთიანების წევრებისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებრივი შემთხვევების მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა გულგრილობასა და ასეთი დანაშაულების არასწორ სამართლებრივ კვალიფიკაციას. აღიშნული გარემოების გათვალისწინებით ერთგვაროვან განცხადებებზე რეაგირება მოხდა სახალხო დამცველის №1662/05-2/0455-06/1 რეკომენდაციით, სადაც კონკრეტული ფაქტების მითითებით, შინაგან საქმეთა მინისტრისა და გენერალური პროკურორისაგან მოვითხოვეთ საგამომიებო ორგანოების საქმიანობაში დანერგილი არასწორი პრაქტიკის აღმოფხვრა და სამართალდარღვევებისთვის შესაბამისი იურიდიული კვალიფიკაციის მინიჭება. ამასთან დაკავშირებით 2007 წლის 13 ივლისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს №გ12.07.2007/40 წერილი, სადაც მითითებულია, რომ მოხდა რეაგირება იმ ხუთ შემთხვევაზე (თ.ჯიქურაშვილის საქმე, ი.გნოლიძის საქმე, თ.ჯიქურაშვილისა და ბ.ხაჭაპურიძის საქმე, დ.ელიზბარაშვილისა და ს.მიჭელაშვილის საქმე, გ.დილიჯაშვილის საქმე), რომლებიც მოხსენიებული იყო სახალხო დამცველის რეკომენდაციაში (იხ.დანართი).

რელიგიური შეუწყნარებლობით განპირობებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე სამართალდამცავების რეაგირებისას სხვა შემთხვევებშიც ისევ ინერტულობას, არაობიექტურობას, დანაშაულის რელიგიური მოტივის იგნორირებას ჰქონდა ადგილი. ყველაზე მეტად შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ერთ შემთხვევაში შეუწყნარებლობის გამო დევნა თავად შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების

დაცვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომელმა ვახტანგ გაბელიამ განახორციელა, ხოლო საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ ვალერი გრიგალაშვილმა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიასადმი წერილში იეჰოვას მოწმეთა საქმიანობას „ძირგამომთხრელი„ უწოდა და გაამართლა შსს ოფიცრის დანაშაულებრივი ქმედება (იხ. დანართი. მიქავასა და გამახარიას საქმე).

საპატრულო პოლიციის საქმიანობა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, როგორც განცხადებებიდან ირკვევა, ჩვეულებრივ, დაგვიანებით რეაგირებენ რელიგიური ნიშნით დანაშაულის ჩადენის შესახებ შეტყობინებებზე. გვიან გადიან შემთხვევის ადგილზე, ხშირად არასათანადოდ ახორციელებენ ან საერთოდ არ ატარებენ გადაუდებელ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არ ახდენენ მათი თანდასწრებით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთასა და დანაშაულის ჩამდენ პირებს არ აკავებენ. ორჯერ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, განმუხტვისა და მოძალადეების დაკავების ნაცვლად, ხელი შეუწყვეს ძალადობის შემდგომ ესკალაციას. (იხ. დანართი. გლდანში, მორეტის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმები). პოლიციის რეაგირება ადეკვატური ხშირად მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენლები იტყობენ მომხდარის შესახებ და მოითხოვენ პოლიციის მხრიდან შესაბამისი ზომის მიღებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საახლო დამცველის წარმომადგენლების ჩარევის შემდეგ, როგორც წესი, რეაგირების ეფექტიანობის ხარისხი უმჯობესდება.

პროკურატურის საქმიანობა. პროკურატურა ძირითადად ადეკვატურად რეაგირებს რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა მის მუშაობაში მაინც შეინიშნება გარკვეული ხარვეზები. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თავისი საქმიანობის ერთერთ პრიორიტეტად გამოაცხადა რელიგიის თავისუფლების დაცვა და წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ამასთანავე, რიგ შემთხვევებში არ ხდება საქმეებზე ეფექტური გამოძიების წარმოება. დაზარალებულთა განმარტებით, გამოძიებლები ზოგჯერ ცდილობენ, შეწყვიტონ საქმეებზე წინასწარი გამოძიება. რამდენიმე შემთხვევისას პროკურატურა მხოლოდ გამოძიების დაწყებით შემოიფარგლა და გონივრული დროის განმავლობაში დანაშაულის თანაზომად შედეგს ვერ მიაღწია. საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები, როგორც წესი, დანაშაულებრივ ქმედებაში რელიგიური მოტივაციის იგნორირებას ახდენენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამართალდამცავები თავს არიდებენ რელიგიური უფლებების შელახვის ფაქტების არსებობის აღიარებას.

ზოგადად 2007 წლის იანვრიდან ივლისის თვის ჩათვლით სტატისტიკა ასე გამოიყურება: შეუწყნარებლობის ნიადაგზე დაფიქსირებულია ძალადობის 16 შემთხვევა. ამ ეტაპზე ორი საქმე შეწყვეტილია, 14-ზე მიმდინარეობს გამოძიება, აქედან 10 შემთხვევაში დაწყებულია სამართლებრივი დევნა სსკ 142, 155, 156 მუხლების პირველი პუნქტებით, მათგან 7 შემთხვევაში რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს თავიდან ხულიგნობის, სხვისი ქონების

დაზიანების ან სხვა კვალიფიკაცია მიეცა. მხოლოდ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შემდეგ ეს საქმეები დაკვალიფიცირდა როგორც რელიგიური დევნა (სსკ 156 მუხლი), რელიგიური საქმიანობისთვის ხელის შეშლა (სსკ 155 მუხლი) და რელიგიური ნიდაგზე განხორციელებული დისკრიმინაცია (სსკ 142მუხლი).

დანართში წარმოდგენილი საქმეებიდან ჩანს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რელიგიური სიძულვილის ნიდაგზე ჩადენილ დანაშაულთა მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება იჩენს ხოლმე თავს, რაც რელიგიური შეუწყნარებლობისა და ძალადობის შემთხვევების გამრავლების ყველაზე მძლავრი წამახალისებელი ხდება.

ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობა. იეჰოვას მოწმეების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებიდან ორ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება უკანონოდ და უსაფუძვლოდ აჭიანურებდა იეჰოვას მოწმეების რელიგიური შეკრებებისთვის განკუთვნილი შენობების - „სამეფო დარბაზების,, ექსპლუატაციაში მიღების შესახებ დადგენილების გამოცემას, რითაც ახორციელებდა ამ რელიგიური გაერთიანების დისკრიმინაციას.

კერძოდ, ქრუსთავში ფალიაშვილი ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, იეჰოვას მოწმეების რელიგიური თავშეყრის შენობა აშენდა. 2006 წლის ორ ნოემბერს მესაკუთრეებმა მერიაში შეიტანეს განცხადება შენობის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით. ოთხი თვის გასვლის შემდეგაც კი აღნიშნულ განცხადებაზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა, თუმცა კანონის თანახმად პასუხი 30 დღის ვადაში უნდა ყოფილიყო გაცემული. 2007 წლის 12 მარტს, შენობის ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის ნაცვლად შენობის შესამოწმებლად რუსთავის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ, რომლებმაც შენობის დეტალური შემოწმების შედეგად, მას შემდეგ, რაც ვერ აღმოაჩინეს დარღვევა, შეადგინეს აქტი და ოქმი, რომელშიც მიუთითეს სამართალდარღვევა, კერძოდ: „სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვო დაკავება”, მაგრამ დოკუმენტში არ არის აღნიშნული კონკრეტულად რას გულისხმობს „სამართალდარღვევა”. მათი ზეპირი განმარტებით ეს გამოიხატა იმაში, რომ ღობის გარეთა მხარე 20-30 სმ-ით გადაცილებულია საკუთრების საზღვარს. ამ ეტაპზე საკითხი რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ამოწურულია, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ერთერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ სსკ 142-ე მუხლით (დისკრიმინაცია რელიგიის საფუძველზე) დაწყებულია დევნა.

ქახალციხეში იეჰოვას მოწმეების თავშეყრის ადგილის მშენებლობის დასრულების შემდეგ 2006 წლის სექტემბერში მესაკუთრეებმა განაცხადი შეიტანეს შენობის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით და 2006 26 სექტემბერს მიიღეს ოქმი №6 ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, თუმცა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დადგენილება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მესაკუთრეების მრავალი მცდელობის მიუხედავად, არ გამოცემულა.

2004 წლიდან მოკიდებული იეჰოვას მოწმეები, მიუხედავად იმისა, რომ ასრულებენ მშენებლობისთვის კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვერ ახერხებენ ადგილობრივი ხელისუფლების „ჩინოვნიკების” მიერ ხელოვნურად შექმნილი ანალოგიური უკანონო და დისკრიმინაციული ბარიერების გადალახვას, მშენებლობის დროულად წარმოებასა და დასრულებას. მშენებლობის დაწყება, წარმართვა და შენობის ექსპლუატაციაში მიღება შესაძლებელი ხდება უდიდესი ძალისხმევით და, როგორც წესი, სასამართლოს, სამართალდამცავი ორგანოების ან ზემდგომი ორგანოების ჩარევის შედეგად. გასულ წლებში იეჰოვას მოწმეები ამ ტიპის დისკრიმინაციას შემდეგ ქალაქებში წააწყდნენ: ჭიათურაში-2003-2004 წ; თელავში-2004-2006 წ; სამტრედიისში-2003-2005 წ; ქუთაისში- 2005-2006წ.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეგნებულად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ეწევიან რელიგიური ნიშნით იეჰოვას მოწმეების დისკრიმინაციას.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის პოზიცია. იეჰოვას მოწმეების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების შემცველია კიდევ ერთი შემთხვევა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარემ ლ.ბეჟაშვილმა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შეღავათით სარგებლობასთან დაკავშირებით იეჰოვას მოწმე მღვდელმსახურის სამართლებრივი სტატუსი არ მიიჩნია სხვა აღმსარებლობის მღვდელმსახურთა თანასწორად. დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოვლინდა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის საპასუხო №4407/4-10/635. 10.04.07 წერილში თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის გიორგი ქორქაშვილის მიმართვაზე, რომელიც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს სთხოვდა განემარტა, შესაძლებელი იყო თუ არა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ” ქვეპუნქტის თანახმად მოქალაქე ერეკლე მადრაძეს, რომელიც რელიგიური გაერთიანება „იეჰოვას მოწმის” ხუცესია, ესარგებლა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებით. კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი აღნიშნავს, რომ იურიდიულ კომიტეტში საკითხის განხილვის შედეგად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომლის თანახმად იეჰოვას მოწმე სასულიერო პირი ვერ ისარგებლებს კანონით გათვალისწინებული საშეღავათო ნორმით. პასუხი არ არის შესაბამისად არგუმენტირებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება (იხ. სახალხო დამცველის 2006 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება. ალტერნატიული შრომითი სამსახური. ერეკლე მადრაძის საქმე. გვ 79-80): „ეს ნორმა უნდა განიმარტოს პირთა საკმაოდ ფართო წრის მიმართ. ამის საფუძველს იძლევა თვით ნორმის ფორმულირება, როდესაც ის მიუთითებს ზოგადად მღვდელმსახურობაზე და არ ზღუდავს მას რაიმე კონფესიური ჩარჩოთი. აღნიშნული ინტერპრეტაცია თავსდება ადამიანის უფლებათა კონსტიტუციურ სტანდარტებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-14

მუხლი საუბრობს ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობაზე, განურჩევლად „...რელიგიისა.“ ეს არის ზოგადი დებულება დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, რომელიც იცავს ყველა ადამიანს, რათა იდენტური გარემოებების არსებობისას მას არ მოექცნენ განსხვავებულად“. ამდენად, ლ. ბეჟაშვილის პასუხი, იქედან გამომდინარე, რომ მასში გაუმართლებლად განსხვავებული მოპყობაა გამოვლენილი იეჰოვას მოწმე მღვდელმსახურის მიმართ, დისკრიმინაციულ მიდგომად შეიძლება იქნას შეფასებული.

საბოლოოდ, იეჰოვას მოწმე მღვდელმსახურის სხვა კონფესიის მღვდელმსახურებთან სამართლებრივი თანასწორობის საკითხი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა, რომელმაც მიიჩნია, რომ იეჰოვას მოწმეთა ხუცესები ასევე უნდა სარგებლობდნენ გადავადებით, როგორც სხვა რელიგიათა მღვდელმსახურები.

სასამართლო გადაწყვეტილებები. იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის განხორციელებასთან დაკავშირებით სასამართლომ 2007 წლის პირველ ნახევარში 4 განაჩენი გამოიტანა, რომლითაც რელიგიური ნიშნით დევნის (სსკ 156) მუხლით გასამართლებული არიან მოძალადეები და მათ შეფარდებული აქვთ პატიმრობა. (რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით გ.მელიქიძის შეფარდა 1 წელი პატიმრობა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით კ.ნინიკურს, გ.ალასანიას, ნ.ციხელაშვილს, შ.მოსიაშვილს შეფარდათ 8 წელი პატიმრობა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენით გიორგი ფერაძეს შეფარდა 1 წელი პატიმრობა. ხარაგაულის რაიონული სასამართლოს განაჩენით ს.დვალს შეფარდა 7 წელი პატიმრობა. აღნიშნული საქმეების შესახებ იხ. სახალხო დამცველის 2006 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება. რელიგიის თავისუფლება. 277-279 გვ.) ამ დროისთვის რელიგიურ ძალადობასთან დაკავშირებული კიდევ 3 საქმის განხილვა მიმდინარეობს, ხოლო ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო კოლეგია 2 საქმეს განიხილავს.

2007 წლის 3 მაისს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე „იეჰოვას მოწმეთა გლდანის კრების 97 წევრი და 4 სხვა პიროვნება საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც 1999-2002 წლებში რელიგიის თავისუფლების შემლახავი 138 ძალადობის შემთხვევა და საპასუხოდ შესაბამის ორგანოებში შეტანილი 784 საჩივარი ერთად იქნა განხილული. ამ საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-9 და მე-14 მუხლების დარღვევის გამო გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ გამოიტანა. სასამართლომ სახელმწიფოს დაზარალებული მხარისთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით მთლიანობაში 56 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა.

საჯარო სკოლა. კვლავ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება საჯარო სკოლებში დისკრიმინაციული და ქსენოფობური გარემო. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის სახელზე იეჰოვას მოწმეთა ორი ასეთი ხასიათის განცხადებაა შემოსული რუსთავიდან და თელავიდან. ამ კანონდარღვევებზე განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი რეაგირების მიუხედავად, განცხადებებში ნახსენებ საჯარო სკოლებში პრობლემა ამოწურული ჯერაც არ არის.

ქ. თელავის №2 საშუალო სკოლაში მოსწავლის რელიგიური ნიშნის მიხედვით შევიწროების ფაქტს ეხება 2007 წლის 20 ივნისს იურიდიული ფირმა „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ მშობელმა, ეკარუსიშვილმა განაცხადა იმის თაობაზე, რომ მისი შვილის თქმით, ქართულის მასწავლებელი ნათელა ბერიძიშვილი საკლასო ოთახში ყიდდა სანთლებს, საეკლესიო ლიტერატურას და საკმეველს, თან უხსნიდა მოსწავლეებს, როგორ გამოეყენებინათ იგი. მშობლის განმარტებით, მასწავლებელი იეჰოვას მოწმეებს უხეშად იხსენიებდა და შეურაცხყოფდა მათ. ამ ფაქტს მოჰყვა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომა, რომელსაც პედაგოგებიდან სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებლები ესწრებოდნენ: ლალი ელიბეგოვა, ნანა ჩიდრაშვილი, თინა ზურაბაშვილი და სკოლის დირექტორი ნათელა ჯანაშვილი. სხდომაზე პედაგოგები შეურაცხყოფას აყენებდნენ იეჰოვას მოწმეთა მრწამსის მქონე მშობლებს ეკარუსიშვილსა და თინა ზაუტაშვილს. მათ შვილების არასწორ აღზრდაში ადანაშაულებდნენ და იეჰოვას მოწმეების რელიგიას აკრიტიკებდნენ. იეჰოვას მოწმეების მიმართ საკუთარი ნეგატიური პოზიცია სკოლის დირექტორმაც გამოხატა. საკითხს ობიექტურად მხოლოდ ერთადერთი პედაგოგი ნანა ჩიდრაშვილი მიუდგა.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ „მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არცერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება“.

სამეურვეო საბჭოს სხდომის ამ ფორმით ჩატარება ეწინააღმდეგება იმავე კანონის მე-13 მე-6 პუნქტის მოთხოვნას, რომელიც ადგენს, რომ „სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“.

საქართველოს განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2007 წლის 31 მაისის №17-10/8596 წერილიდან ირკვევა, რომ დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება სკოლებში მოსწავლეთა მიმართ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტებზე.

ქ. რუსთავის მე-18 სკოლის მე-7 „გ“ კლასის მოსწავლის ნონა გაფრინაშვილის განმარტებით ბიოლოგიის მასწავლებელი ნანა ბელიძე მოსწავლისგან რელიგიის შეცვლას მოითხოვდა: „რა გინდა მაგ იაღოვაში, გამოდი მაგ რწმენიდან.. ოღონდ ჩვენს რწმენაზე გადმოდი და გაგაღმერთებო.. მე მოგნათლავ და მერე შეგვიძლია ოჯახებითაც დავახლოვდეთ და კარგი

მეგობრები ვიყოთ” მიმართავდა პედაგოგი ნ.გაფრინდაშვილს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება”.

იეჰოვას მოწმეების ადვოკატის მანუჩარ ციმინტიას განმარტებით მე-18 საჯარო სკოლის სხვა პედაგოგების მხრიდანაც აქვს ადგილი იეჰოვას მოწმე ბავშვებისადმი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. ადვოკატი მიმართავს საქართველოს განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მათი კომპეტენციის პარგლებში განიხილონ ბიოლოგიის მასწავლებლის ნანა ბელიძის ქმედება და მიიღონ მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების მე-7 მუხლის „ბ” პუნქტის შესაბამისად, განახორციელონ სამსახურებრივი მოკვლევა პედაგოგების ლია ლობჯანიძის, ნინო ბორჩხაძის, ქეთინო ნოზაძისა და იზა წიკლაურის მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე და მიიღონ სათანადო ზომები. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი მონიტორინგს უწევს აღნიშნულ ორ განცხადებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს რეაგირებას.

ამასთანავე სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი რელიგიური უმცირესობების მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას ახორციელებს საჯარო სკოლებში რელიგიური დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის ფაქტების გამოსავლენად. ამ ეტაპზე როგორც თბილისში ასევე რეგიონებში გამოკითხულია 1000 მ-დე რესპონდენტი. გამოკითხვის პირველი შედეგებიდან ჩანს, რომ შეუწყნარებელი და დისკრიმინაციული დამოკიდებულება არამართლმადიდებლური მრწამსის სკოლის მოსწავლეების მიმართ სისტემური ხასიათის მქონეა. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისადმი შეუწყნარებლობას ავლენენ და უთანასწოროდ ეპყრობიან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, პედაგოგებიცა და მოსწავლეებიც.

2. რელიგიური შეურაცხყოფა სოფელ ზოტში

გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის, ბესიკ გელენიძის მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტის შესწავლის მიზნით, 2007 წლის 5 აპრილს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებიდნენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში. ხსენებული სოფელი დასახლებულია მუსულმანური სარწმუნოების ეთნიკური ქართველებით. სახალხო დამცველის წარმომადგენლები საკითხის შესწავლის მიზნით, შეხვდნენ სოფლის მოსახლეობას და მათგან მიიღეს ახსნა-განმარტებები.

მიღებული ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა შემდეგი: 2007 წლის 10 მარტს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლები. ისინი მოძრაობდნენ მანქანებით. თავდაპირველად სოფელში ავიდა ორი ავტომობილი - ერთი სატვირთო და მეორე მსუბუქი, ხოლო მოგვიანებით კიდევ ორი - ნივისა და ჯიპის მარკის ავტომობილი. მოსახლეობის განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებს არ წარმოუდგენიათ არავითარი დოკუმენტი. ეს უკანასკნელნი მივიდნენ სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის კუთვნილი ტრაქტორის წასაყვანად. მოსახლეობამ მოითხოვა ამ საპროცესო მოქმედების საფუძვლის განმარტება და ასევე იმის დაზუსტება, თუ სად მიჰქონდათ ამოღებული ნივთი. მათ ჰქონდათ გარკვეული უსამართლობის გრძნობა ადრე ამოღებულ ტრანსპორტთან დაკავშირებით. რომელიც, მათი განმარტებით, ყოველგვარი ოქმისა და დოკუმენტაციის გარეშე იქნა წაყვანილი.

მოსახლეობამ სოფლის ცენტრში მოიყარა თავი, რათა გაერკვიათ, თუ რატომ მიჰყავდათ ტრაქტორი. პოლიციელებმა უპასუხეს, რომ ამას ვერ განუმარტავდნენ, წაიყვანდნენ ტრაქტორს და შემდეგ ხელმძღვანელობა აუწყებდა მათ ტრაქტორის წაყვანის მიზეზს.

პოლიციელები ელოდებოდნენ სამმართველოს უფროსს, ბ.გელენიძეს. ეს უკანასკნელი მივიდა თუ არა, ცეცხლსასროლი იარაღით ხელში მანქანიდან გადმოვიდა და ხალხს მისცა ზუსტად სამი წუთი იმისათვის, რომ დაშლილიყვნენ. როგორც მოსახლეობის განმარტებებიდან ირკვევა, გელენიძე ისროდა ჰაერში. შეშინებულმა ქალებმა კითხეს - „რას აკეთებთ, ქართველები არა ხართ?“ ამაზე სამმართველოს უფროსმა, გელენიძემ უპასუხა - „თქვენ რა ქართველები ხართ, თათრები ხართ! თუ ქართველები ხართ თავზე რატომ გახურავთ?“ სროლის შემდეგ ბ.გელენიძემ სოფლის მცხოვრებ ერთ-ერთ ბავშვს - 16 წლის ემზარ ძირკვამეს უმიზეზოდ გაართვა ხელი. შემდეგ 4-5 ადამიანზე გამოიყენა ელექტროშოკი, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია ხალხში. ელექტროშოკისაგან მიყენებული უცარი ტკივილების გამო ეს ადამიანები მიწაზე ეცემოდნენ და ხმამაღლა ყვიროდნენ - ვკვდებითო. ამ დროს გაისმა პოლიციელების ხმა - „ტრუპი გავაკეთეთ“ და გაეცალნენ იქაურობას. მოსახლეობის განმარტებების შესაბამისად, ელექტროშოკის გამოყენებას მოჰყვა ქვების სროლა პოლიციელების მისამართით მათი მხრიდან. ამ დროს ჩაიმსხვრა ერთ-ერთი მანქანის, ჯიპის უკანა მინა. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ სიტყვიერ

შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა მხოლოდ გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის, ბესიკ გელენიძის მხრიდან. პოლიციის დანარჩენი თანამშრომლები ხმას არ იღებდნენ, პირიქით, მოუწოდებდნენ მას, რომ შეეწყვიტა ლანძღვა-გინება.

სოფელ ზოტის მაცხოვრებლები შემფოთებას გამოთქვამდნენ მათ მიმართ მრწამსის ნიადაგზე გამოჩენილი შეუწყნარებლობისა და მიყენებული შეურაცხყოფის გამო. ისინი მოითხოვდნენ გურიის სამხარეო შს სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან გადაყენებასა და დასჯას.

5 აპრილს, დაახლოებით დღის 3 საათზე სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გურიის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში და შეხვდნენ აღნიშნული სამმართველოს უფროსის მადგილეს, ზურაბ ასანიშვილს. მისი განმარტებით, ბესიკ გელენიძე იმ დროისათვის თბილისში იმყოფებოდა, ამიტომ მასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. მომდევნო დღეს, დაახლოებით დღის 4 საათსა და 30 წუთზე წარმომადგენლები განმეორებით იმყოფებოდნენ გურიის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში. ამჯერად მათ განუმარტეს, რომ გელენიძე გასული იყო შემთხვევის ადგილზე, ერთ-ერთ ტყეში, სადაც გვამი იქნა აღმოჩენილი. ისინი ესაუბრნენ მის მიადგილეს, მურმან ცირდავას, რომელიც თავად არის ინციდენტის თვითმხილველი. მისი განმარტებით, 10 მარტს ის იმყოფებოდა სოფელ ზოტში გელენიძესთან ერთად და მსგავს ინციდენტს, ადგილი არ ჰქონია. მ.ცირდავას განცხადებით, საკუთრივ მოსახლეობა იყო საკმაოდ აგრესიული. ისინი ისროდნენ ქვებს, რის გამოც პოლიციის რამდენიმე თანამშრომელს დაზიანებაც კი მიადგათ. მისივე განმარტებით, 2006 წლის ნოემბერში გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ამოიღეს რამდენიმე სატრანსპორტო საშუალება („ურალის“ ტიპის სატვირთო ავტომანქანა), როგორც ნივთმტკიცება. მ.ცირდავას განცხადებით, გამოძიება ადგენს ამ სატრანსპორტო საშუალებების ნამდვილი მესაკუთრეების ვინაობას. მან ასევე დააზუსტა, რომ ნივთმტკიცების ამოღებისას სათანადო დოკუმენტები გააცნეს ამ ნივთების უშუალო მფლობელებს და ბუნებრივია, არა მთელი სოფლის მოსახლეობას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად: „პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს. პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.“ ამავე კანონის მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა: „მოქალაქეებთან ურთიეთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები.“ ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველია. ამავე კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და

დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.“

აღნიშნული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, 2007 წლის 20 აპრილს „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მერაბიშვილს რათა შეესწავლა აღნიშნული საკითხი და ბესიკ გელენიძის მიმართ გამოეყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომა.

2007 წლის 15 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის, მ.ჩიკვილაძის პასუხით გვეცნობა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შსს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება. ხოლო ამავე წლის 25 ივნისის პასუხით გვეცნობა, რომ სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე, შსს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნით, შსს თანამშრომლის დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის შსს სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს, ბესარიონ ალექსანდრეს ძე გელენიძეს შსს მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის №874 ბრძანებით შეეფარდა დისციპლინური სახდელი - საყვედური.

3. კრიშნაიტული ლიტერატურის უკანონო დაკავება ვალერი სკვორუოვის საქმე

2007 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრს მიმართა რუსეთის მოქალაქემ ვალერი სკვორუოვი. ბატონი სკვორუოვი კრიშნას სულიერი ცნობიერების ტაძრის მიმდევარია. 2007 წლის 7 აპრილს მან გადმოკვება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი, სასაზღვრო-გამშვები პუნქტის - „წითელი ხიდის“ გავლით. მას თან ჰქონდა რელიგიური ლიტერატურა - კრიშნაიზმის შესახებ (24 ცალი სხვადასხვა დასახელების წიგნი). მესაზღვრეებმა ბარგის დათვალიერებისას წიგნები აღმოაჩინეს. მათ ვ.სკვორუოვს განუცხადეს, რომ ამ წიგნებს საქართველოში ვერ შეიტანდა. მას შეეძლო ქვეყნის დატოვების დროს ისინი უკან წაეღო. მესაზღვრეებმა ასევე მიასწავლეს განმცხადებელს ვინმე ფედია, ვისთანაც შეეძლო წიგნების შენახვა, თუმცა, მანამდე ურჩიეს დალოდებოდა უფროსის მოსვლას, რადგან შეიძლებოდა უფროსს მიეცა წიგნების საქართველოში შეტანის უფლება. მერვე სექტორის უფროსთან - თემურ გვენეტაძესთან საუბარი უშედეგო აღმოჩნდა. მესაზღვრეთა პოზიცია არ შეცვლილა და ვ.სკვორუოვი იძულებული გახდა ფედია მოეძებნა. ფედია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობს. მან შორიდანვე დაუქნია ხელი ვ.სკვორუოვს, თავისთან მიიხმო და წიგნების შენახვაზე გაურიგდა. ერთი დღის განმავლობაში წიგნის შენახვის საფასური ერთი დოლარი იყო. ფედიამ ასევე ორმოცი ამერიკული დოლარის სანაცვლოდ წიგნების თბილისში ჩატანა შესთავაზა.

2007 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე“ და აღნიშნული პუნქტის უფროსის მოადგილეს ნუგზარ ჩუბინიძესა და მერვე სექტორის უფროსს თემურ გვენეტაძეს შეხვდნენ. საუბრისას ნ.ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ რელიგიური ლიტერატურის შემოტანის შემთხვევებთან დაკავშირებით, ის ყოველთვის საქმის კურსში აყენებდა სოღ-ის თანამშრომლებს, რომელთა ტელეფონის ნომრებიც სამუშაო წიგნაკში ჰქონდა ჩაწერილი (წიგნაკის დემონსტრაცია მან საჯაროდ მოახდინა). ჩუბინიძის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუცია მას პირდაპირ ავალდებულებს საზღვარზე იმ რელიგიური ლიტერატურის დაკავებას, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს აყენებს ზიანს. სახალხო დამცველის წარმომადგენლების შეკითხვის მიუხედავად, მან ვერ დაასახელა, (და ცხადია ვერც დაასახელებდა) კონსტიტუციის კონკრეტული მუხლი, ხოლო ზიანის მიყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ირანში ან არაბულ ქვეყნებში დაბეჭდილი ლიტერატურა მოიაზრება, როგორც საზიანო და საჭიროებს შინაარსის შესწავლას. კითხვაზე, როგორ აპირებდნენ ისინი ამ გარემოებების დადგენას, ჩუბინიძეს კონკრეტული პასუხი არ გაუცია. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ვ.სკვორუოვის კუთვნილი წიგნები მათ არ დაუკავებიათ და აღნიშნული პროცედურა მეზაჟეების კომპეტენციას განეკუთვნებოდა. თ.გვენეტაძემ უარი განაცხადა ამ ფაქტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას განემარტა „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, რომელიც ამას პირდაპირ ავალდებულებდა. ნ. ჩუბინიძემ დაწერა ახსნა-

განმარტება, თუმცა ამ დოკუმენტში არც საკუთარი რეგალიები და არც კონკრეტული კანონი არ მოუხსენებია.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები ასევე ესაუბრნენ საბაჟო-გამშვები პუნქტის თანამშრომლებს. დილის ცვლა სამუშაო ადგილზე აღარ იმყოფებოდა. თუმცა სახალხო დამცველის წარმომადგენლების თხოვნის საფუძველზე, მორიგე ჯგუფის მთავარი ინსპექტორი, მერაბ ღირსიაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა მის კოლეგას, გიორგი გელაშვილს. ეს უკანასკნელი მთავარი ინსპექტორია და მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქმის კურსში იყო. მან განაცხადა, რომ რელიგიური ლიტერატურა საზღვარზე მესაზღვრეების გადაწყვეტილების საფუძველზე დააკავეს.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საზღვარზე გარკვეული საგნების მოძრაობის შეზღუდვას სასაზღვრო პოლიციის მიერ, თუმცა ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული რელიგიური შინაარსის ლიტერატურა. კერძოდ, მესაზღვრეთა მოვალეობაა „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საქართველოს საზღვაო სივრცეში ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგის), კონტრაბანდული საქონლის, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების გადატანის/გადმოტანის თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთა.“ 2006 წლის 29 დეკემბერს „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად კი საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია (270/5-ე მუხლის „ლ.ბ“ პუნქტი):

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე (ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას - 1500 ლარამდე) ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის (ფიზიკური პირის შემთხვევაში) განკუთვნილი საქონლის იმპორტი.“ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფებს შორის არის ასევე ბეჭდური ლიტერატურა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა თანდასწრებით, ვალერი სკვორუოვმა საკუთარი წიგნები ყოველგვარი სირთულის გარეშე გადმოიტანა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. ამ დროს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის თანამშრომლებს ეს არ გაუპროტესტებიათ.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი ბექა მინდიაშვილი შეხვდა და გაესაუბრა ვინმე ფედიას, რომელიც ეგრეთ წოდებულ ნეიტრალურ ტერიტორიაზე ცხოვრობს. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას ფედიამ დაადასტურა, რომ წიგნების მფლობელის სურვილის შემთხვევაში, საფასურის გადახდის შემდეგ, მას შეეძლო ამ წიგნების საზღვარზე გადატანა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების გამო ვერ შეძლეს იმ კონკრეტული უწყებისა და პასუხისმგებელი პირის გამოვლენა, რომლის უშუალო გადაწყვეტილების საფუძველზეც განხორციელდა ვ.სკვორუოვის კუთვნილი რელიგიური ლიტერატურის დაკავება საქართველოს საზღვარზე. თუმცა, აშკარაა, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა კორუფციულ გარიგებასა და ლიტერატურის შემოტანის სანაცვლოდ ფულის გამოძალვის მცდელობას. ამაზე მეტყველებს საქმეში ვინმე „ფედიას“ ჩართვა, რომელიც ფულს ითხოვდა წიგნების საქართველოში შემოტანისათვის. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოქალაქე „ფედია“ ამგვარი გზით თანამშრომლობს სასაზღვრო და საბაჟო უწყებებთან და მათთან ერთად მონაწილეობს მსგავს გარიგებებში. გარდა ამისა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ რელიგიური ლიტერატურის შემოტანის შემთხვევებში ისინი უკავშირდებიან სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, არ არის გათვალისწინებული არც ერთი ნორმატიული აქტით და შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2007 წლის 24 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსს, ბადრი ბიწაძეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსს, მინდია გადაეცეს, რათა შეესწავლათ აღნიშნული საკითხი და სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება.

2007 წლის 14 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის, ბ.ბიწაძის პასუხით გვეცნობა, რომ ვ.სკვორუოვმა დაუბრკოლებლად გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. საკონტროლო საიმიგრაციო გამშვები პუნქტის მუშაკებს მისი ჩანთა არ დაუთვალა იერებიან. იმავე წერილის თანახმად, ვ.სკვორუოვის საპასპორტო კონტროლის დამთავრებიდან ოცი წუთის შემდეგ მესაზღვრეებმა საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებისაგან შეიტყვეს, რომ საბაჟო კონტროლის დროს მის ხელჩანთაში ნახეს რელიგიური ხასიათის ლიტერატურა, სულ 24 ცალი წიგნი, ხოლო მოგვიანებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ ვ.სკვორუოვმა მის ხელთ არსებული ლიტერატურა შესანახად მიაბარა ე.წ. ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებ ვინმე „ფედიას“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვ.სკვორუოვის გამოკითხვა და გარემოებების დაზუსტება ვერ მოხერხდა, ვინაიდან 2007 წლის 25 აპრილს მან დატოვა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ხოლო სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2007 წლის 7 აპრილს, ვ.სკვორუოვის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დროს მესაზღვრეთა მხრიდან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

2007 წლის 18 მაისს მივიღეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის, მ.გადაევის წერილი რომლითაც გვეცნობა შემდეგი: როგორც საბაჟო მოხელეები განმარტავენ, მიმდინარე წლის 7 აპრილს, მათი მორიგეობის დროს, მოქალაქე ვასილ სკვორუოვს აზერბაიჯანიდან

საქართველოში შემოჰქონდა რელიგიური ლიტერატურა, რომელიც დაათვალიერა შსს სასაზღვრო პოლიციის მუშაკმა და არ მისცა მას საქართველოში შემოსვლის უფლება. საბაჟო მოხელეების განმარტებით, მათ ვ.სკვორუოვის ხელბარგთან დაკავშირებით საბაჟო პროცედურები არ განუხორციელებიათ.

2007 წლის 18 ივნისს ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის, შ.რეხვიაშვილის წერილით გვეცნობა, რომ სახალხო დამცველის მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე ქვემო ქართლის საოლქო საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას აფერხებს ის ფაქტი, რომ ვ.სკვორუოვის მისამართი დაუდგენელია.

4. ფერიის მთაზე მშენებარე ტაძრის დანგრევა

საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით შესწავლილი იქნა 2007 წლის 19 მაისს აჭარაში, ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესიის ნგრევის კანონიერება.

შეხვედრები გაიმართა ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსთან მეუფე დიმიტრისთან (შიოლაშვილი), ხელვაჩაურის რაიონის გამგებელთან, ქ.ბათუმის მერთან ირაკლი თავართქილაძესთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასევე, მოვიპოვეთ გარკვეული დოკუმენტაცია, რაც შემდეგი სამართლებრივი დასკვნის გაკეთებას იძლევა:

მთავარეპისკოპოს დიმიტრის განცხადებით, ფერიის მთაზე ეკლესიის მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით დაიწყო დაახლოებით წელიწადნახევრის წინ. ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესიის ტერიტორია, რომელიც დოკუმენტებში გვხვდება როგორც სოფელი ანარია, დაკავებული ჰქონდათ საბჭოთა სამხედრო ნაწილებს. მთავარეპისკოპოს დიმიტრის განცხადებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნული ტერიტორია ეკუთვნოდა მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლს, რომელიც ამჟამად საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია.

სამხედროების წასვლის შემდეგ, ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ მიმართა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას, გადმოეცათ ტერიტორია ტაძრის ასაგებად. მიწის კანონმდებლობის მიხედვით, ეკლესიას უფლება აქვს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე საკუთრებაში მიიღოს მიწის ნაკვეთი.

გამგეობამ არ მოახდინა რეაგირება განცხადებაზე, არ გაეცა პასუხი განცხადებას, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის დარღვევაა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, თუმცა გამგეობის უმოქმედობა არ აძლევდა იურიდიულ უფლებას ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსს, დაეწყო ტაძრის მშენებლობა.

აღნიშნული ტერიტორია არის აჭარის ა/რ მთავრობის საკუთრებაში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და რასაც არ უარყოფს ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსი. შესაბამისად, მშენებლობა ითვლება უკანონოდ და სახელმწიფოს ჰქონდა სრული უფლება, მოეთხოვა მშენებლობის შეჩერება და საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთა პოლიციის მეშვეობით, რაც არ განხორციელებულა.

19 მაისს, დაახლოებით დილის 3 საათიდან გათენებამდე, მოხდა მშენებარე ეკლესიის ნაგებობის ნგრევა სავარაუდოდ ტექნიკის გამოყენებით, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარყო, რომ ეს მისი განხორციელებული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 18 მაისს სატელევიზიო გადაცემებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მათ ჰქონდათ ტაძრის დემონტაჟის სრული უფლება, რაც რამდენიმე საათში განხორციელდა კიდეც.

თუ დემონტაჟი არ განუხორციელებია ადგილობრივ ხელისუფლებას, მაშინ აუცილებელია დაიწყოს გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურების ფაქტზე (სსკ მუხლი 187) და გამოიკვეთონ შესაბამისი პირები.

ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ დემონტაჟი განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, მიგვაჩნია, რომ დარღვეულია პროცედურები, კერძოდ: უნდა ყოფილიყო აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართვა პოლიციისადმი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172.3-ე და საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ მე-9 მუხლის ფ) ქვეპუნქტის საფუძველზე საკუთრების ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნით. პოლიციის მიერ უნდა დაწყებულიყო ადმინისტრაციული წარმოება, მიეღო შესაბამისი აქტი და გადაეცა ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსისათვის საკუთრების უფლების ხელყოფის ნებაყოფლობით აღკვეთაზე წინადადება. ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული პროცედურები დაცული არ არის, რაც შესაძლოა შეფასდეს უფლებამოსილების გადამეტებად.

ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა

2007 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო პერიოდში გასულ წელთან შედარებით, ეროვნულ უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული ცვლილებები არ შეინიშნება. განათლების, სამოქალაქო ინტეგრაციის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის, მედიაკორექტულობის და სხვა საკითხებში გასული წლების ანგარიშებში გადმოცემული პრობლემები კვლავ აქტუალურია.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი

2007 წლის საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში კვლავ მოუგვარებელი იყო ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისა და განათლებისთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორცაა ეროვნული უმცირესობებისთვის მათი კომპაქტური დასახლების რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელმისაწვდომობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემატურია ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში “ქართული ენის სახლების” ფუნქციონირების შეჩერება. ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ქართული ენის სახლები ფუნქციონირებდა ეუთოს პროგრამის ფარგლებში, 2007 წ-ს კი ისინი გადაეცა განათლების სამინისტროს, მაგრამ ჯერჯერობით მათი ფუნქციონირება არ განახლებულა.

ათწლეულების განმავლობაში, როგორც საბჭოთა პერიოდში, ასევე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში საკომუნიკაციო და საქმისწარმოების ენა რუსული ენა იყო და, შესაბამისად, მოსახლეობაში არ არსებობდა ქართული ენის შესწავლის სურვილი და მოსახლეობა ვერც ენის საჭიროებას გრძნობდა. ხელისუფლებისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ეთნოცენტრისტული მიდგომების გამო ეროვნული უმცირესობები ქართული ენის შესწავლაში ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავდნენ. სულ რაღაც 3-4 წლის წინ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ბევრი ადამიანი ქართული ენის სწავლას უსარგებლოდ და რიგ შემთხვევებში სამარცხვინოდაც მიიჩნევდა. გასული წლებისგან განსხვავებით ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ახალგაზრდები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები და სახელმწიფო თანამდებობებზე დასაქმებული ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი წარმატების, კარიერული წინსვლისა და ქვეყნის საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობისთვის აუცილებლად მიიჩნევს ქართული ენის სწავლას. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის შესწავლის მზარდი მოთხოვნის მიუხედავად, ამ რეგიონებში საანგარიშო პერიოდში არ მუშაობდა არცერთი სახელმწიფო პროგრამა (სასკოლო განათლების გარდა), რომელიც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას ხელს შეუწყობს.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში რაიონისა და დასახლების დონეზე სახელმწიფო ენის საკომუნიკაციო არეალი ძალზე შეზღუდულია, რაც ქართული ენის შესწავლის მხრივ ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლებში კვლავ მოუფვარებელ პრობლემად რჩება ქართული ენის მასწავლებლების საკითხი. ამის გამო რეგიონების უმრავლეს სკოლაში, განსაკუთრებით სოფლებში, ქართული ენის გაკვეთილი ფორმალურად ან საერთოდ არ ტარდება. შედეგად ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები საკომუნიკაციო დონეზეც კი ვერ ფლობენ ქართულს.

საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ახორციელებენ რამდენიმე პროექტს, რომლებიც დაინტერესებული ადამიანებისთვის ქართული ენის სწავლებას ითვალისწინებს, მაგრამ ეს პროგრამები არ არის საკმარისი და ისინი სრულად ვერ ფარავს რეგიონის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ახალქალაქის რამდენიმე საბავშვო ბაღში დანერგილია ორენოვანი სწავლება და ურთიერთობები ქართულ და სომხურ ენებზე. როგორც სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფს განუცხადეს, აღნიშნული პროგრამა მშობლების დიდი ინტერესსა და მოწონებას იწვევს.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეროვნული უმცირესობებისთვის კვლავ არ არის სრულყოფილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო პროგრამების, სხვადასხვა სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ. ეს, ბუნებრივია, ხელს უშლის ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით, კომპაქტურად განსახლებული ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ უმცირესობების ენებზე მომზადებული საინფორმაციო გადაცემები და ტელე-პროგრამა “იტალიური ეზო”. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამები არ არის საკმარისი ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი ინფორმირებისთვის.

დასაქმებისა და მონაწილეობის საკითხი

საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიხედვით უზრუნველყოფილია ეთნიკური, რელიგიური და სხვა განსხვავებების მქონე მოქალაქეთა თანასწორობა, ხოლო ამ განსხვავებების გამო დისკრიმინაცია ისჯება სისხლის სამართლის

კოდექსით. აღნიშნულ სამართლებრივ ნორმებთან სრულ თანხვედრაშია ქვეყნის ხელისუფლების პოზიცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარად შეიმჩნევა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა გარიყულობა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან. როგორც წარსულში, ისე ამჟამადც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მინიმალურად არიან ჩართულები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ძალზე მცირე რაოდენობით არიან დასაქმებულნი სახელმწიფო დაწესებულებებში, რაც განპირობებულია:

1. ამ მიმართულებით გატარებული შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობით;
2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი განსაკუთრებით უნარიანი და კვალიფიცირებული ადამიანების საქართველოდან მიგრაციით;
3. ეროვნული უმცირესობების დიდ ნაწილში კვლავ ძლიერია გასულ წლებში საქართველოში არსებული ნაციონალიზმისა და ამის შედეგად განვითარებული მეორეხარისხოვანი მოქალაქეობის შეგრძნება;

ეს უკანასკნელი არის საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ნაკლები აქტიურობის ერთ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საჯაროდ ამის თქმას ერიდებიან, თავს გრძნობენ მეორეხარისხოვან მოქალაქეებად. ამ სტერეოტიპული წარმოდგენის გამო სხვადასხვა თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსებში ისინი თავს არაკონკურენტუნარიანებად მიიჩნევენ და ამგვარ კონკურსებში მონაწილეობასაც იშვიათად ღებულობენ. სახალხო დამცველის აპარატში სხვადასხვა თანამდებობებზე გამართულ კონკურსებშიც არაადეკვატურად დაბალი იყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა. როგორც ჩვენთვისაც ცნობილი, მსგავსი ვითარებაა სხვა სახელმწიფო უწყებებში.

ამ პრობლემის გამოსწორება შესაძლებელია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების სპეციალური პროგრამის შექმნით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მომზადებას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აქტუალურია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებული და გასატარებელი პროგრამებისა და ამ პროგრამების აუცილებლობისა და პოზიტიური მხარეების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდების საკითხი. არაინფორმირებულობა ან მცდარი ინფორმაცია შემდგომ ბადებს უნდობლობას, რაც თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციაზე. მაგ. სასურველია რომ მოსახლეობას მეტი ინფორმაცია ჰქონდეს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის საჭიროებისა და პოზიტიური მხარეების შესახებ, ამ მშენებლობით ჯავახეთი სატრანზიტო რეგიონის ფუნქციას შეიძენს, რაც ნიშნავს რეგიონში ახალ ინვესტიციებს, რეგიონში საქონლისა და ფინანსების ბრუნვის მატებას, დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდასა და სხვა პოზიტიურ შედეგებს.

აგრეთვე სასურველია, რომ მოსახლეობას ჰქონდეს უფრო სრულყოფილი ინფორმაცია ნინოწმინდაში ციხის მშენებლობის საჭიროებისა და იმ შედეგების შესახებ, რასაც ეს მშენებლობა მოუტანს რეგიონს. ციხის მშენებლობას რეგიონში ბევრი არასასურველ მოვლენად მიიჩნევენ, ამ უარყოფითი დამოკიდებულების გასანეიტრალებლად, ალბათ საჭიროა საუბარი იმ დადებით მხარეებზე რაც შესაძლოა მოჰყვეს ამ მშენებლობას. კერძოდ: ციხის მშენებლობაზე და ადმინისტრაციაში შესაძლოა დასაქმდნენ ადგილობრივი კადრები, შესაძლოა მოხდეს პატიმრებისთვის საჭირო პროდუქტების ნაწილის ადგილობრივ მოსახლეობისგან შექმნა და სხვა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის დადებითი შედეგის მომტანი იქნება.

ეთნოცენტრიზმისა და ნაციონალიზმის პრობლემა

ეთნოცენტრისტული და ნაციონალისტური შეხედულებებისგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნაწილი კვლავ არ არის გათავისუფლებული. როგორც ეთნიკურად ქართული წარმოშობის, ასევე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ზოგიერთი ლიდერი, ჟურნალისტი და თანამდებობის პირიც კი ხშირად ახდენს რადიკალური ნაციონალისტური შეხედულებების პროპაგანდას, ან დგამს ნაციონალიზმსა და ეთნოცენტრიზმზე დაფუძნებულ ნაბიჯებს.

ეთნიკურად ქართველი ნაციონალისტები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პრობლემად მიიჩნევენ ეროვნული უმცირესობების არსებობასაც კი და იმთავითვე უნდობლობით ეკიდებიან ეროვნული უმცირესობების ნებისმიერ აქტიურობას, მათ შორის სხვადასხვა მოთხოვნებით გამართულ აქციებს, ახდენენ მათ პოლიტიზირებას და განიხილავენ, როგორც ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებას. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის იმავე სახის აქტიურობა ფასდება, როგორც ჩვეულებრივი საზოგადოებრივი აქტიურობა.

ეროვნული უმცირესობის ზოგიერთი ლიდერი იმთავითვე უნდობლობით ეკიდება ქვეყნის ხელისუფლების მიერ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში განხორციელებულ ნებისმიერ აქტივობას და მას ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს, მაგალითად: ახალციხე-ახალქალაქის გზის მშენებლობამდე ჯავახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ნაციონალისტურად განწყობილი ადამიანები გამოთქვამდნენ პრეტენზიას უხარისხო გზის გამო. ხოლო მას შემდეგ, რაც გზის მშენებლობა დასრულდა, ნაციონალისტურად განწყობილი ჯგუფები გზის მშენებლობისთვის გამოყოფილ თანხებს “ჰაერში გატყორცნილად და საზიანოდ” მიიჩნევენ, რადგან თითქოს, “ამ გზით მხოლოდ ქართველებმა უნდა იმობრაონ და ამ გზას ქართველები ჩვენი განდევნისთვის აშენებენ”. ამავე დროს საქართველოს ყველა რეგიონისთვის საერთო პრობლემებს - დასაქმებას, რთულ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს განიხილავენ, როგორც მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების ექსკლუზიურ პრობლემებს. მსგავსი პოზიციის მქონე ადამიანები არ არიან უმრავლესობაში და მათ გავლენა საზოგადოებაზე თანდათან მცირდება, მაგრამ ეთნოცენტრისტული და ეთნოსთაშორისი უნდობლობის დამკვიდრების გამომწვევი მოსაზრებები ნეგატიურ

გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის წარმომადგენელთა თანამშრომლობაზე, ნდობაზე და სამოქალაქო ინტეგრაციაზე.

სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური განსხვავებები მქონე მოქალაქეთა სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად არ განხორციელებულა. როგორც შედეგებიდან ჩანს, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არასრულყოფილია, ინტეგრაციული პროცესების მართვა უფრო ეფექტური პროგრამებით უნდა ხორციელდებოდეს. ამჟამად იგრძნობა სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებისა და მედიაპროდუქციის ნაკლებობა. ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მაუწყებლისა და განათლების სამინისტროს გარდა არცერთი სახელმწიფო უწყება არ ახორციელებს შესაბამის პროგრამებს. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის გაცილებით მეტი ეფექტის მომტანი შეიძლება იყოს კულტურის სამინისტროს მიერ შესაბამისი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ჯერჯერობით კულტურის სამინისტროს მხრიდან ამ თვალსაზრისით არავითარი პროგრამები არ არის განხორციელებული.

რეგიონული ინტეგრაციის საკითხი

როგორც ეთნიკური უმცირესობებით, ასევე უმრავლესობით დასახლებული საქართველოს რეგიონების მოსახლეობა არასრულყოფილადაა ინფორმირებული ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების, პრობლემების, პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ. საქართველოს იმ რეგიონების მოსახლეობას, სადაც ეთნიკური უმცირესობები მცირე რაოდენობით ცხოვრობენ, ეთნიკური უმცირესობების შესახებ წარმოდგენა ძირითადად ქართული მედია საშუალებებიდან ექმნება, ხოლო ქართული მედია საშუალებები ეროვნულ უმცირესობების შესახებ ძირითადად ნეგატიურ ინფორმაციას გადასცემენ, რაც ხელს უშლის ინტეგრაციულ პროცესებს. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისთვის, ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების დაკავშირება არა მხოლოდ დედაქალაქთან, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებთანაც.

მედიაკორექტულობის პრობლემა

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ მედიით ძირითადად ვრცელდება ნეგატიური ინფორმაცია. ხდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ დასმული საყოფაცხოვრებო, სამართლებრივი და სხვა პრობლემების პოლიტიზირება.

ქართულ საზოგადოებაში წლების განმავლობაში მკვიდრდებოდა ნეგატიური სტერეოტიპები ჩეჩნების მიმართ. მედიაში მათ ხშირად მოიხსენებენ

ტერორისტებად და კრიმინალებად. საქართველოში ნეგატიურ სტერეოტიპები ჩეჩენი ლტოლვილების მიმართაც მკვიდრდებოდა მათ ხშირად მიაწერდნენ ადამიანის გატაცებებსა და ნარკობიზნესში მონაწილეობას. თუმცა, ჩვენი მონაცემებით საქართველოში ადამიანის გატაცების გამო, არცერთი ჩეჩენის ლტოლვილის მიმართ არ დამდგარა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სტერეოტიპების ხელოვნურად წარმოშობას.

2007 წელს ქართულმა მედიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მდინარე ენგურზე განლაგებული რუსი სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში ეთნიკურად ჩეჩენი ჯარისკაცების გამოჩენას. რუსეთის ჯარების შემადგენლობაში მყოფი ჩეჩენი ჯარისკაცების ეთნიკურ წარმოშობას ქართული მედია უმრავლეს შემთხვევაში ხაზს უსვამს, მაშინ როდესაც მსგავსი რამ არ კეთდება რუსეთის სამშვიდობოების შემადგენლობაში მყოფი სხვა ეთნიკური წარმოშობის (ყალმუხი, ადიღეველი, ოსი, დაღესტნელი და სხვა) ჯარისკაცების მიმართ. მედიასაშუალებების მსგავსი “ყურადღება” ხელს უწყობს ჩეჩენების მიმართ ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარების შემადგენლობაში რუსეთის სამხედრო მეთაურების გადაწყვეტილებით სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან და მათ შორის ჩეჩენებიც, მაგრამ ისინი ყველანი ემორჩილებიან რუსეთის სარდლობას და ჯარისკაცების ეთნიკურ წარმოშობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს.

ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის საკითხი

ჯავახეთიდან რუსული სამხედრო ბაზის გასვლამ უდავოდ პოზიტიური გავლენა იქონია რეგიონში ეთნიკურ ურთიერთობებზე. ეთნიკური ელფერის მქონე პროვოკაციების რაოდენობა და მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირდა. თუნდაც აქედან ჩანს, რომ რეგიონში რუსული სამხედრო ბაზა წარმოადგენდა სხვადასხვა პროვოკაციების წყაროს და ხელს უწყობდა ვითარების ხელოვნურად დამაბვას.

რუსული სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ ხელსაყრელი გარემოა შექმნილი რეგიონის სამოქალაქო ინტეგრაციისთვის, მაგრამ ეს ვითარება შესაბამის მართვას საჭიროებს. ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებული მოლოდინით უყურებს იმ დანაპირებების შესრულებას, რაც სხვადასხვა დროს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ გაკეთდა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით აქტუალური იყო თავდაცვის სამინისტროსთვის საჭირო კარტოფილის ჯავახეთში შექმნის საკითხი. რუსული ბაზის გასვლის დროს საქართველოს იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ჯავახეთის მოსახლეობას დაპირდა, რომ საქართველოს ჯარისთვის საჭირო კარტოფილს ახალქალაქსა და ნინოწმინდაში მცხოვრებლებისგან შეისყიდინენ. ეს დანაპირები არ შესრულებულა, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებასა და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ უნდობლობას იწვევს. ჯავახეთის მოსახლეობა სამართლიანად ითხოვს ქვეყნის ხელისუფლების ამ დანაპირების შესრულებას.

ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების საკითხი

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოში ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების მომზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნული უმცირესობათა დიასპორების წარმომადგენლები. რეკომენდაციებთან დაკავშირებით კონსულტაციები ჩატარდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. რეკომენდაციების ოფიციალური წარდგინება მოხდა 2007 წლის 29 მაისს. სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებმა გაიზიარეს რეკომენდაციების საერთო პათოსი და გამოხატეს მზადყოფნა გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება ჩარჩო კონვენციის იმპლიმენტაციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გარდა, არცერთი სახელმწიფო უწყებიდან სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ოფიციალური პასუხი არ მიუღია. უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციებში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია დასმული, რომელთა გაზიარებაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე. /იხილეთ რეკომენდაციების დანართი/

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო აქტიურობის წახალისებას, ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში დასაქმებას.

საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს და განხორციელდეს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საქართველოს სხვა რეგიონებთან დაკავშირებისა და ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამა.

საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ეროვნული უმცირესობებით დასახლებული და საქართველოს სხვა რეგიონების მედია საშუალებებისა თანამშრომლობის ინიცირებას, სტიმულირებასა და მხარდაჭერას შეუწყობს ხელს.

განათლების სამინისტროს - ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მივლენის მიზნით შერჩეულ იქნან ქართული ენის კვალიფიცირებული პედაგოგები. უპირატესობა უნდა მიენიჭოთ იმ პედაგოგებს, რომლებიც ფლობენ შესაბამისი უმცირესობის ენას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიმოხილვა ეუთო-ს და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით

2005 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა სთხოვა ვენეციის კომისიას, მოემზადებინა დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესახებ. ამ დასკვნის⁸ მიზანი იყო საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობა დემოკრატიული არჩევნებისთვის აუცილებელი ისეთი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთო-ს ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. დასკვნის მომზადებისას კომისია ძირითადად ეფუძნება ვენეციის კომისიის 2002 წლის 5-6 ივლისის “მართებული პრაქტიკის კოდექსს საარჩევნო სფეროში” და ეუთო-ს 1990 წლის “კოპენჰაგენის დოკუმენტს”.

2001 წლის 2 აგვისტოს საარჩევნო კოდექსის მიღების შემდეგ მასში მრავალი ცვლილება შევიდა. შედეგად გაუმჯობესდა კანონის ზოგი ასპექტი, კერძოდ, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა, კანდიდატების მიერ სამაუწყებლო საშუალებების თანასწორი გამოყენება, საარჩევნო ბიულეტენების სხვადასხვა ენაზე მომზადება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ხმის მიცემის პროცედურის ადაპტაცია შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებზე, მრავალჯერადი ხმის მიცემის თავიდან ასაცილებლად ამომრჩეველთა მარკირება, საარჩევნო სიების მომზადების პროცესის გაუმჯობესება და სხვა.

მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, ვენეციის კომისიის და ეუთო-ს მიერ გაკეთებული რეკომენდაციების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული. ვენეციის კომისიის აზრით, საარჩევნო კოდექსის ბევრი დისპოზიცია ჯერ კიდევ შეიცავს ბევრ პოტენციურ საფრთხეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით და საჭიროებს საგრძნობ გაუმჯობესებას ეუთო-ს და ევროსაბჭოს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

I. საარჩევნო სისტემა

ა. საპრეზიდენტო არჩევნები

1. როგორც საარჩევნო კოდექსის, ასევე კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წარსადგენად მოქალაქემ უნდა მოაგროვოს 50 000 ხელმოწერა. საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა დაახლოებით 2 მილიონ 300 ათასია.⁹ საერთაშორისო სტანდარტებით

⁸ ვენეციის კომისიის 2006 წლის 10 აპრილის დასკვნა #362/2005 CDL-EL(2006)017rev

⁹ ეუთო-ს 2004 წლის 28 მარტის საბოლოო დასკვნა საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში

მიღებულია, რომ საჭირო ხელმოწერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ს.¹⁰

ამგვარად, სასურველია პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის საჭირო ხელმოწერების რიცხვის ნახევრამდე შემცირება. ამისთვის ცვლილებები უნდა შევიდეს როგორც საარჩევნო კოდექსის 81-ე, 83-ე და 84-ე მუხლებში, ასევე კონსტიტუციის 70-ე მუხლშიც.

2. უნდა დაიხვეწოს 86-ე და 87-ე მუხლების დისპოზიციაც, რათა ზუსტად განისაზღვროს, რა იგულისხმება გამოთქმაში “არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმები.” ითვლება თუ არა თეთრი და გაუქმებული ბიულეტენები ან შეუსაბამოები საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ბიულეტენების რაოდენობასა და ამომრჩეველთა სიებში არსებულ ხელმოწერათა რაოდენობას შორის. რეკომენდებულია მხოლოდ ვალიდური ხმების მხედველობაში მიღება, რადგან მხოლოდ ისინი გამოხატავს ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ არჩევანს.

ბ. საპარლამენტო არჩევნები

1. კანონის 105-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, იმ სიის ყველა კანდიდატი, რომელმაც ამომრჩეველთა 30%-ზე მეტი ხმა მიიღო, არჩეულად ჩაითვლება. ეს საპარლამენტო არჩევნებისთვის უჩვეულო სისტემაა და არღვევს პროპორციული სისტემის პრინციპს. სასურველია საერთაშორისო პრაქტიკაში უფრო მიღებული ფორმის დამკვიდრება, რომელშიც მანდატების რაოდენობა ხმების პროპორციულად გადანაწილდება.

2. 2005 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შედეგად საარჩევნო კოდექსი გამორიცხავს დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობას არჩევნებში. მართალია, შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემა თავისთავად ართულებს დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობას, მაგრამ არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას. კანონი დამოუკიდებელ კანდიდატებს უნდა აძლევდეს საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში. “კოპენჰაგენის დოკუმენტის” პარაგრაფი 7.5 აღიარებს მოქალაქის უფლებას, ინდივიდუალურად მოიპოვოს პოლიტიკური მანდატი. ამ შესაძლებლობის გამორიცხვა ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის 1-ლ პუნქტს.

2. ადგილობრივი არჩევნებისგან განსხვავებით, საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში არ არის ნათელი, რამდენი ბიულეტენი გადაეცემა ამომრჩეველს კენჭისყრის დროს. 103-ე მუხლის მიხედვით, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ორი ოქმის შედგენას ითვალისწინებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამომრჩეველს გადაეცემა ორი ბიულეტენი, თუმცა აჯობებდა, ეს პირდაპირ ყოფილიყო მითითებული კანონში.

3. 95-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, პარტიამ, რომელიც არ არის წარმოდგენილი პარლამენტში, არჩევნებში მონაწილეობისთვის უნდა მოაგროვოს 50

¹⁰ “მართებული პრაქტიკის კოდექსის” I.1.3.ii

000 ხელმოწერა. ამ დისპოზიციაზე ვრცელდება იგივე მოსაზრება, რაც საპრეზიდენტო არჩევების შემთხვევაში (იხ. I.ა.1). 95.10 პუნქტის გარდა უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტიც, რომელიც ითვალისწინებს იმავე რაოდენობის ხელმოწერებს.

4. 105-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, მანდატების მისაღებად პარტიულმა სიამ უნდა გადალახოს 7%-იანი ბარიერი. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1477(2006) რეზოლუცია ავალდებულებს საქართველოს, შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე ეს ზღვარი 5%-მდე ჩამოიყვანოს.¹¹

გ. საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა

1. ერთმანდატიანი სისტემის მოქმედების დროს ეუთო-ს დამკვირვებელთა მისია რეგულარულად აღნიშნავდა სხვადასხვა საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა რიცხვს შორის დიდ სხვაობებს, რაც ეწინააღმდეგება უნივერსალური და თანასწორი არჩევნების პრინციპს.¹² მრავალმანდატიან სისტემაზე გადასვლამ ეს პრობლემა ვერ მოაგვარა. საარჩევნო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ 19 საარჩევნო ოლქს შორის მანდატები არათანაბრადაა გადანაწილებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურბანული მოსახლეობის არასაკმარისი წარმოდგენა. მაგალითად, თბილისში 200 000 მოქალაქეზე მხოლოდ ერთი მანდატი მოდის მაშინ, როცა სვანეთში ერთი მანდატით 11 000 მოქალაქეა წარმოდგენილი.

პირველ რიგში, აუცილებელია, საარჩევნო კოდექსის ფარგლებში ჩამოყალიბდეს ის ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა დაცვითაც მოხდება საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა.¹³ კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული ოლქებს შორის მაქსიმალურად დასაშვები განსხვავების პროცენტული განაკვეთიც. საზოგადოდ, მიღებულია არაუმეტეს 10%-იანი განსხვავება.¹⁴

2. მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი საარჩევნო უბნები მიეკუთვნება N01 საარჩევნო ოლქს. შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა ამომრჩევლის ხმა ითვლება N01 საარჩევნო ოლქში, რაც ეწინააღმდეგება თანასწორუფლებიანი არჩევნების პრინციპს¹⁵ და ამომრჩეველსა და არჩეულს შორის ყველანაირ კავშირს გამორიცხავს, რაც ასევე მიუღებელია. აუცილებელია ამ მუხლის სათანადოდ დახვეწა.

დ. ადგილობრივი არჩევნები

კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დანიშნვიდან ორი დღის ვადაში აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ოლქების

¹¹ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2006 წლის 24 იანვრის 1477 (2006) რეზოლუციის §10.2.3

¹² ვენეციის კომისიის 2004 წლის დასკვნა CDL-AD(2004)005; ვენეციის კომისიის 2005 წლის 15 დეკემბრის დასკვნა საარჩევნო კოდექსის ცვლილებებზე CDL-ID(2005)042

¹³ „მართებული პრაქტიკის კოდექსის“ I.2.2 ii

¹⁴ „მართებული პრაქტიკის კოდექსის“ I.2.2 iv

¹⁵ *ibid.* I.2.2

შესახებ მათი საზღვრების მითითებით. ამავე დისპოზიციის მე-3 პუნქტი მართალია მიუთითებს, რომ ოლქების განსაზღვრა უნდა მოხდეს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული და ადმინისტრაციული თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა არ არის განსაზღვრული, რას მოიცავს აღნიშნული თავისებურებები და რა მოხდება მათი გათვალისწინებლობის შემთხვევაში. გარდა ამისა, მხოლოდ ტერიტორიული და ადმინისტრაციული ასპექტების გათვალისწინება ვერ უზრუნველყოფს ოლქებში ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობით განაწილებას. ამ დებულებების ზოგადი ხასიათი ასევე ქმნის საშიშროებას, რომ არჩევნიდან არჩევნებამდე დაუსაბუთებლად შეიცვალოს საარჩევნო ოლქების საზღვრები. აუცილებელია, კანონმა ჩამოაყალიბოს ის ობიექტური კრიერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ცესკო განსაზღვრავს ოლქების საზღვრებს.

II. კანდიდატთა და ამომრჩეველთა უფლებები

გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 25-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მოქალაქეს დაუსაბუთებელი შეზღუდვის გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში როგორც უშუალოდ, ისე არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მისცეს ხმა და იქნეს არჩეული. საარჩევნო კოდექსის ზოგი დისპოზიცია არღვევს ამ უნივერსალურ პრინციპს.

1. კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პატიმრებს არ აქვთ არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება. ეს ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, ეუთო-ს „მართებული პრაქტიკის კოდექსის“ მოთხოვნებს¹⁶ და მეორე მხრივ, ევროსასამართლოს 2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებას „ჰერსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომლის მიხედვით, ამგვარი აბსოლუტური აკრძალვა, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებლად, არღვევს ევროსაბჭოს I ოქმის მე-3 მუხლის და ეუთო-ს „მართებული პრაქტიკის კოდექსის“ მოთხოვნებს. ამგვარად, სასურველია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

2. 92-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ნარკომანი არ შეიძლება იქნეს არჩეული დეპუტატად, ხოლო 107-1 მუხლის მიხედვით, დეპუტატს, რომელიც ვერ გაივლის ნარკომანის ტესტს, უფლებამოსილება შეუწყდება.

ეს დისპოზიციები უნდა დაზუსტდეს. ერთი მხრივ, უნდა მიეთითოს, რა რაოდენობით უნდა იყოს ესა თუ ის ნივთიერება აღმოჩენილი ორგანიზმში იმისთვის, რომ პიროვნება კვალიფიცირებული იყოს ნარკომანად და მეორეც, რამდენი ტესტის შედეგზე იქნება ეს კვალიფიკაცია დამყარებული - ერთი ტესტის შედეგების მიხედვით ადამიანის ნარკომანად კვალიფიცირება მიუღებელია.

3. 111-ე მუხლის მიხედვით, საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში, პარლამენტის წევრს დეპუტატის უფლებამოსილებები უწყდება. ორი

¹⁶ I.L.1 div

მანდატის შეუთავსებლობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნებას არ უნდა ეკავოს ორი არჩევითი თანამდებობა. ამგვარი შეუთავსებლობა კი ჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი მოიპოვებს მეორე მანდატს. აქედან გამომდინარე, ორი მანდატის შეუთავსებლობის პრინციპის გავრცელება კანდიდატობის პერიოდზე მიუღებელია. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლიც.

4. რაც შეეხება მხარდამჭერთა ხელმოწერების შემოწმებას, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს შემოწმება ხდება შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანმიმდევრულად. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი წესები, რაც სიების ერთმანეთის საწინააღმდეგო კრიტერიუმებით შეფასების შესაძლებლობას ქმნის.

დამაფიქრებელია შემოწმების მეთოდიც - იმ შემთხვევაში, თუ სიაში გარკვეული რაოდენობის ბათილი ხელმოწერა აღმოჩნდება, მთელი სია ბათილდება. ეს ნიშნავს, რომ თუნდაც სიაში კანონის მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ვალიდური ხელმოწერა იყოს, იგი გაბათილდება სხვა რამდენიმე ხელმოწერის ბათილობის გამო. 42-ე მუხლის ეს დისპოზიცია აუცილებლად უნდა შეიცვალოს - ხელმოწერების მიზანი უნდა იყოს არა ბათილი ხელმოწერების ძებნა, არამედ პირიქით, იმდენი ვალიდური ხელმოწერის პოვნა, რაც საშუალებას მისცემს საარჩევნო სუბიექტს, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.¹⁷ მით უმეტეს, რომ ბათილობის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, უბრალო უყურადღებობაა.

5. მე-100 მუხლი ითვალისწინებს არჩევნებამდე ორი დღის ვადამდე კანდიდატურის მოხსნის შესაძლებლობას. ეს ვადა ძალიან მოკლეა, რადგან არ ითვალისწინებს ბიულეტენების დაბეჭდვის თარიღს - კანდიდატურის მოხსნის ბოლო ვადა უნდა იყოს ბიულეტენების დაბეჭდვამდე, რათა არ გახდეს საჭირო მათი ხელით ჩასწორება და გამოირიცხოს ამ შესაძლებლობის ბოროტად გამოყენება. ასევე ზუსტად უნდა გაიწეროს ის პროცედურა, რომლის დაცვაც აუცილებელია კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით მე-100 და 121-ე მუხლის მე-2 პუნქტში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

7. გადასახედია 106-ე მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებიც, რომლებიც ითვალისწინებს ვაკანტური მანდატის გაუქმებას იმ შემთხვევაში, თუ მისი მინიჭება ვერ მოხერხდა სიაში მომდევნო ან სარეზერვო კანდიდატისთვის. ეს პრაქტიკა დამკვიდრდა შუალედური არჩევნების გაუქმების შედეგად. იგი ამცირებს შესაბამისი ოლქის წარმომადგენლობას პარლამენტში და არღვევს ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპს, რომელიც საარჩევნო ოლქების განსაზღვრის ძირითადი საფუძველია.

¹⁷ „მართებული პრაქტიკის კოდექსი“, I.1.3 iv

III. საარჩევნო კომისიები

ა. კომისიების შექმნა

ეუთო-მ და ვენეციის კომისიამ წარსულში არაერთხელ გაუსვეს ხაზი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცედურაში არსებულ ხარვეზებს.¹⁸ მიუხედავად ამისა, 2005 წელს შეტანილმა ცვლილებებმა არათუ არ ასახა ეს რეკომენდაციები, არამედ კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა გამჭვირვალობის და პლურალიზმის თვალსაზრისით.

1. საკონკურსო კომისიების როლი ცესკოს შექმნაში ძალიან მნიშვნელოვანია. მათ აქვთ ცესკოს კანდიდატების სიის გადახედვის უფლება, რაც ქმნის იმის თეორიულ საშუალებას, რომ სიაში დარჩნენ მხოლოდ ერთი ბლოკის ან პარტიის კანდიდატები. ამის გამო საკონკურსო კომისიის წევრების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია. კერძოდ, საარჩევნო კოდექსმა ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს საკონკურსო კომისიის წევრების შერჩევის წესები და განსაზღვროს ამისთვის გამოსაყენებელი ობიექტური კრიტერიუმების ნუსხა.

2. საპრეზიდენტო და საპარლამენტო უმრავლესობებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ისინი ერთმანეთს ემთხვევა, ფართო კონტროლი აქვთ მთელ საარჩევნო ადმინისტრაციაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, არსებობდეს ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის იმაზე უფრო მყარი გარანტიები, ვიდრე ამას საარჩევნო კოდექსი გვთავაზობს. მაგალითად, უნდა განისაზღვროს საოლქო და საუბნო კომისიების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის იმგვარი წესები, რომლებიც არ მიანიჭებს ავტომატურ უპირატესობას ერთ რომელიმე პარტიას ან ბლოკს. ამ საკითხებზე „მართებული პრაქტიკის კოდექსი“ შეიცავს წესებს, რომლებითაც კანონმდებელს შეეძლება იხელმძღვანელოს შესაბამისი ცვლილებების მომზადების პროცესში.¹⁹

3. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობისთვის აუცილებელია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. ეს, რა თქმა უნდა, ამაღლებს კომისიის წევრების კომპეტენტურობას და თავისთავად მისასაღმებელია, მაგრამ საჭიროა სერტიფიცირების წესების წინასწარი განსაზღვრა, რათა სერტიფიკატების მინიჭება მოხდეს ობიექტურად და მიუკერძოებლად. ამისთვის ცესკომ წინასწარ უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებული იქნება ტესტირების პროცესში; კონკურსი უნდა ტარდებოდეს გამჭვირვალედ, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და დამკვირვებლებმა შეძლონ მის მიმდინარეობაზე თვალყურის დევნება; უნდა მიეთითოს სერტიფიკატის ვადის ან უვადობის და საჭიროების შემთხვევაში, მისი განახლების პროცედურების შესახებ; უნდა დაზუსტდეს, აქვს თუ არა ცესკოს სერტიფიკატის გაბათილების

¹⁸ ეუთო-ს 2003 წლის ნოემბრის და 2004 წლის იანვრის ანგარიში საპარლამენტო დაკავშირებით და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით; ვენეციის კომისიის დასკვნა საარჩევნო კოდექსში 2003 წლის 14 აგვისტოს შეტანილი ცვლილებების შესახებ (CDL-AD(2004)005)

¹⁹ II 3.1 §§70-76

უფლება და რა შემთხვევაში; საზოგადოდ, სერტიფიკატის ქონა არ უნდა გამორიცხავდეს შემდგომ ტრენინგებსაც.

ბ. კომისიის წევრთა სტატუსი და უფლებამოსილებები

1. მე-17 მუხლის I პუნქტი საარჩევნო ადმინისტრაციას განიხილავს, როგორც საჯარო სამართლის ერთ იურიდიულ პირს. ეს ნიშნავს, რომ მისი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია საქმის წარმოების კოლექტიურ პრინციპზე, კომისიის წევრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საპირისპიროდ. ეს ტექსტი უნდა დაზუსტდეს, რათა არ გამოირიცხოს, ერთი მხრივ, კომისიის წევრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და მეორე მხრივ, მათი უფლება ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

2. კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თ) ქვეპუნქტის მიხედვით, კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი მისი წარმდგენი პარტიის აკრძალვა ან ლიკვიდაციაა. ეს ეწინააღმდეგება მე-19 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშნავი სუბიექტის წარმომადგენელი და დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სასურველია, ეს ქვეპუნქტი საერთოდ ამოღებული იქნეს 21-ე მუხლიდან.

3. იმავე დისპოზიციის ი) ქვეპუნქტი საშუალებას აძლევს პარტიებს, გაიწვიონ თავისი დანიშნული კომისიის წევრი. ეს შესაძლებლობა პრობლემატურია იმავე მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში და სერიოზულ საფრთხეს უქმნის კომისიის წევრის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. სასურველია, კომისიის წევრების გამოწვევა დამნიშნელი პარტიების სუბიექტური მოსაზრებებისგან დამოუკიდებელ, ობიექტურ და წინასწარ განსაზღვრულ საწყისებზე იყოს შესაძლებელი.

4. 22-ე მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. სასურველია ხმების გაყოფის სხვაგვარი გადაწყვეტა - მაშინ, როცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობა ისედაც განიცდის პოლიტიკური პლურალიზმის ნაკლებობას, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კიდევ უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებს იმ პარტიას ან ბლოკს, რომელიც აკონტროლებს თავმჯდომარის დანიშვნას. ეს, თავის მხრივ, ლახავს საზოგადოების ნდობას საარჩევნო ადმინისტრაციისადმი.

IV. ამომრჩეველთა სიები

რეგულარულად განახლებული საარჩევნო სიები დემოკრატიული არჩევნებისთვის გადამწყვეტია. როგორც ამომრჩეველთა რეგისტრაციის არარსებობა, ასევე მრავალჯერადი რეგისტრაცია, არღვევს უნივერსალური და თანასწორი არჩევნების პრინციპს. ეუთო-მ და ვენეციის კომისიამ არაერთგზის მიუთითა საქართველოს ამომრჩეველთა სიების შედგენის მეთოდის სრულყოფის აუცილებლობაზე. ამ მხრივ საარჩევნო კოდექსმა არაერთი ცვლილება განიცადა.

უკანასკნელი არჩევნების დროს მწვავედ გამოვლინდა საარჩევნო სიების ხარვეზები. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩევლები საკუთარ თავს ვერ პოულობდნენ სიაში და პირიქით, გარკვეულ მისამართებზე დაფიქსირებული იყვნენ არარსებული პიროვნებები ან გარდაცვლილი ოჯახის წევრები.

ზემოხსენებული მიზეზების გამო უნდა გაგრძელდეს მუშაობა საარჩევნო სიების შედგენის მექანიზმის სრულყოფის თვალსაზრისით. რეკომენდებულია, სიების გამოქვეყნება მოხდეს ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით არჩევნების თარიღამდე საკმარისი დროით ადრე, რათა ამომრჩეველს მიეცეს საშუალება, შეამოწმოს თავისი არსებობა საარჩევნო სიაში და საჭიროების შემთხვევაში გააპროტესტოს სიების შედგენასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი.

V. საარჩევნო კამპანია

ა. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა

1. საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი უკრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო აგიტაციაში. ეს ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციის, კერძოდ 1-ელ, მე-10 და მე-11 მუხლების მოთხოვნებს. ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია ადგილობრივი არჩევნების შემთხვევაში - ევროპის ბევრ ქვეყანაში უკვე დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში გარკვეული დროის მანძილზე რეგულარულად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არათუ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის, არამედ ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაც აქვთ. სასურველია, შესაბამისი ცვლილებები შევიდეს საქართველოს საარჩევნო კოდექსშიც.

2. „მართებული პრაქტიკის კოდექსის“ მიხედვით, ხელისუფლება კანდიდატთა თანასწორუფლებიანობის გარანტია. ამისთვის ოფიციალურ პირებს აქვთ ნეიტრალიტეტის ვალდებულება საარჩევნო კამპანიის პროცესში.²⁰ ეს ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივია ასახული საქართველოს საარჩევნო კოდექსში - სახელმწიფო დაფინანსების მქონე ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების აკრძალვით საარჩევნო კამპანიისთვის (76-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). საჭიროა, ნეიტრალიტეტის ვალდებულება უფრო ფართოდ აისახოს კანონმდებლობაში და მოიცვას საარჩევნო კამპანიის ყველა ასპექტი, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლობის საშუალებებით გამოსვლისას ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულებაც.

3. 76-ე მუხლის მე-4 პუნქტის აკრძალვა არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე, როცა ისინი არიან კანდიდატები.

²⁰ „მართებული პრაქტიკის კოდექსი“, I.3.1 a

4. დასაზუსტებელია 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის თ) ქვეპუნქტი - რას ნიშნავს თანამდებობრივი და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება.

ბ. საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები

1. საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენას არჩევნების შემდგომ. სასურველი იქნებოდა, ამგვარი შემოწმება ჩატარებულიყო არჩევნებამდეც და არჩევნების შემდგომაც. ამასთან ერთად, არჩევნებამდე ჩატარებული შემოწმების შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაცია კენჭისყრამდე გარკვეული დროით ადრე უნდა მიეწოდოს ამომრჩეველს.

2. 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საარჩევნო ფონდი არის საარჩევნო კამპანიისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა, თუმცა ამავე მუხლის მე-7 პუნქტი და 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი საარჩევნო ფონდში აერთიანებენ ასევე უსასყიდლოდ მიღებულ ყველა საქონელსა და მომსახურებას. აქედან გამომდინარე, 48-ე მუხლის მე-11 პუნქტი, რომელიც მხოლოდ ფულადი შემოწმებების კონტროლს ითვალისწინებს, არ არის საკმარისი მექანიზმი საარჩევნო კამპანიის სახსრების გასაკონტროლებლად.

3. კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის 48-ე მუხლის მე-8 პუნქტით დაწესებული სანქცია არაპროპორციულია და შეიძლება გამოყენებული იქნეს არჩევნებში მონაწილე რომელიმე პარტიის წინააღმდეგ, რადგან იმ დროს, როცა კამპანიის სახსრების შემოწმება ხდება, უკვე ცნობილია კენჭისყრის შედეგები. აგრეთვე უნდა დაზუსტდეს, სასამართლო საკუთარი ინიციატივით იხილავს ამ საკითხებს თუ საარჩევნო კომისიების საჩივრის საფუძველზე და აქვს თუ არა დაინტერესებულ სუბიექტს ისეთივე გარანტიები, როგორიც ჩვეულებრივი სასამართლო პროცესის დროს.

VI. კენჭისყრის და მისი შედეგების შეჯამების პროცედურა

1. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საარჩევნო უბანი იქმნება არაუმეტეს 2000 ამომრჩევლისთვის. ეს რიცხვი ძალიან დიდია და პრობლემატურია ადმინისტრაციული თვალსაზრისით. რეკომენდებულია ამ რიცხვის 1000 ან 1500-მდე შემცირება.

2. მიუღებელია 58-ე მუხლის მე-4 პუნქტის დისპოზიცია, რომლის მიხედვითაც, გადასატან საარჩევნო ყუთში ერთი ზედმეტი ბიულეტენის აღმოჩენის შემთხვევაში, მასში არსებული ყველა ბიულეტენი ბათილად ითვლება. ერთი ზედმეტი ბიულეტენის ჩაგდება ან ამომრჩევლის უყურადღებობა, რომელმაც ხელი არ მოაწერა საარჩევნო ოქმს, არ უნდა იყოს საკმარისი მთელი საარჩევნო ყუთის გაბათილებისთვის. უმჯობესია, ზედმეტი ბიულეტენის არსებობის ფაქტი აღინიშნოს სპეციალურ ოქმში, შეჯამების მომენტში განხილულ იქნეს ამ ერთი ხმის გავლენა საბოლოო შედეგებზე და მთელი ყუთი გაბათილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ ხმას შეუძლია კენჭისყრის შედეგების შეცვლა.

3. რაც შეეხება კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნებას, უნდა ქვეყნდებოდეს არა მხოლოდ საარჩევნო ოლქის შეჯამებული შედეგები (63-ე მუხლი), არამედ სათითაოდ ყველა საარჩევნო უბნის შედეგები, რათა არჩევნებში მონაწილეებს და დამკვირვებლებს მაქსიმალურად გაუადვილდეთ მათი გადამოწმება.

VII. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრება

77-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში. საჭიროა, გასაჩივრების პროცედურა უფრო დაწვრილებით იყოს განსაზღვრული, რათა თავიდან ავიცილოთ ერთმანეთის გამომრიცხველი გადაწყვეტილებები, ერთი და იმავე საკითხის პარალელური განხილვა სხვადასხვა ორგანოში და შესაბამისად, პროცედურის არამართებული გაწევა. საჩივრის განხილვის ადმინისტრაციული პროცედურა ან საერთოდ უნდა გაუქმდეს, ან სავალდებულო გახდეს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა მოხდეს სასამართლო წესით.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

საკუთრების უფლება

სახალხო დამცველის ყველა მოხსენებაში საკუთრების უფლების დაცვას მაქსიმალური ყურადღება ეთმობოდა. საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონებით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკულად ის მყარად არ არის დაცული. საანგარიშო პერიოდში ძალიან ხშირად ადგილი ჰქონდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განადგურებას, რაც ძირითადად გამოიხატებოდა უკანონო დემონტაჟით. დემონტაჟის წესი უძრავს შემთხვევაში დარღვეული იყო ანუ უძრავი ქონების დანგრევა ხდებოდა ყოველგვარი ადმინისტრაციული წარმოების გარეშე.

ბოლო პერიოდში აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, ხშირად, უკანონო მშენებლობის ან კანონის დარღვევით განხორციელებული შენობის აღმოჩენის შემთხვევაში, იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას, თუმცა სახალხო დამცველის აპარატში არის საქმეები, სადაც ან დემონტაჟის წესი სრულყოფილად დაცული არ არის ან სრულიად უკანონოა იგი.

მოქალაქე **ციცინო ბოჭორიშვილი** არის რიყის ტერიტორიის ნაწილის კანონიერი მესაკუთრე, სადაც მას განთავსებული ჰქონდა შენობა-ნაგებობა. 2006 წლის აპრილის თვეში რიყის ტერიტორიაზე განხორციელებული ნგრევის დროს ყოველგვარი ადმინისტრაციული წარმოებისა და კანონის მოთხოვნათა დაცვის გარეშე განხორციელდა ც.ბოჭორიშვილის საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ.თბილისის მერიამ სახალხო დამცველს მიმართვის პასუხად აცნობა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება. დღეისათვის მოქალაქესთან მიმდინარეობს საკომპენსაციო თანხაზე მოლაპარაკება.

კანონის მოთხოვნათა სრული იგნორირებით განხორციელდა **მეტრო „გოცირიძესთან“** მდებარე სავაჭრო ცენტრის დემონტაჟი, რითაც შეილახა მრავალი მესაკუთრის უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე ქ.თბილისის მერიიდან დღემდე პასუხი არ არის მიღებული, რაზედაც გაიგზავნა არერთი შეხსენება.

უკანონოდ იქნა აღებული, აგრეთვე, ქ.გორში, **ტელეკომპანია „თრიალეთის“** შენობის ღობე. ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ 2005 წლიდან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სს „ქართული ფილმის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლით, 2015 წლის 1 მაისამდე. საქმეში წარმოდგენილია ლითონის ღობის საპროექტო დოკუმენტაცია, რაც დამოწმებულია გორის მთავარი არქიტექტორის მიერ და შეთანხმებულია გორის რაიონის გამგეობასთან. აღნიშნული ადასტურებს ამ ღობის მშენებლობის

კანონიერებას. მიუხედავად ამისა, ღობე აღებულ იქნა. სახალხო დამცველმა კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას და, აგრეთვე, გორის რაიონულ პროკურატურას საკითხის შესწავლის მიზნით.

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს მივიღეთ პასუხი გორის რაიონული პროკურატურიდან, სადაც აღნიშნული, რომ დასახელებულ ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება და ტელეკომპანია „თრიალეთის“ დირექტორი, ბადრი ნანეტაშვილი დაიკითხა დაზარალებულის სახით. რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხს, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე არ იქნა გაზიარებული.

უხეშად დაირღვა მოქალაქეების: გელა ბეჟაშვილისა და ჯემალ წიკლაურის საკუთრების უფლება.

გელა ბეჟაშვილი 2006 წლის 14 დეკემბრამდე იყო ქ.სიღნაღში ერეკლე II #1^ა-ს ტერიტორიის (საერთო ფართი 720კვ.მ) მესაკუთრე, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სიღნაღის ბაზარი. 2006 წლის 14 დეკემბერს მოქალაქე გელა ბეჟაშვილსა (შპს „აჩო“) და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გელა ბეჟაშვილმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მის საკუთრებაში არსებული ბაზარი, მდებარე ქ.სიღნაღში ერეკლე II #1^ა.

გ.ბეჟაშვილი აცხადებს, რომ ეს იყო იძულებით დადებული გარიგება და იგი დაწვრილებით აღწერს, რა პირობებში დაათმობინეს ქონება (დაწ.იხ.დანართში).

საქმე რეგირებისათვის გადაეგზავნა პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფს, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია.

სწორედ იძულებით დადებულ გარიგებას ეხება მოქალაქე ჯემალ წიკლაურის საქმე. მან 1996 წელს კონკურსის წესით შეიძინა გორის აგრარული ბაზარი და დააფუძნა ინდივიდუალური საწარმო „ლიახვი“. მოქალაქე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ქ.გორში, გურამიშვილის #5-ში და მის საკუთრებაში იყო გორის მოქმედი ბაზარი, მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით. 2004 წლის 12 იანვარს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა განახორციელეს საბაზრო ობიექტის შემოწმება. მათ შორის იყო შიდა ქართლის ამჟამინდელი გუბერნატორი მიხეილ ქარელი. შსს გორის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ერთ-ერთი მოქალაქის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიუთითებდა, რომ ვინაიდან იგი მოატყუა გამყიდველმა, ლოგიკურად, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ჯემალ წიკლაური სახელმწიფოს უმაღლავდა გადასახადებს. ჯემალ წიკლაურს წარედგინა ბრალი, აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. სწორედ საპატიმროში მოხდა ქონების ჩუქება. ჯემალ წიკლაურის განცხადებით, ეს იყო მუქარით განხორციელებული ზეწოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ასეთი ნება არ გააჩნდა (იხ.დანართი).

2007 წლის 30 მარტს ქ.თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება #07.01.205, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის

1998 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება და ქ.თბილისის მთავრობის მთელი რიგი დადგენილებები, რომლებითაც ქ.თბილისში მცხოვრებ მოქალაქეებს გადაეცათ **საცხოვრებელი ბინები** საკუთრების უფლებით. ვინაიდან ეს დადგენილებები კანონის მოთხოვნათა დარღვევით იქნა მიღებული, მოქალაქეების: ნინო გვენცამის, ანზორ აბრალავას, ჯემალ ხუციშვილის, გულნარა ქსოვრელის, ჯემალ სეფიაშვილის, ირაკლი ჭიაბრიშვილის და ზაზა კოლეიშვილის წარმომადგენელმა სახალხო დამცველს მიმართა მათი საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნით. საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული მოქალაქეები აკმაყოფილებდნენ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის #15-5 გადაწყვეტილების მე-14 მუხლით დადგენილ პირობებს, რომლის თანახმად, „საცხოვრებელი სადგომების მიღებას ექვემდებარებიან მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრები ოჯახები, რომელთაც გააჩნიათ ქ.თბილისში რეგისტრაციის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.“ ამავე გადაწყვეტილების მე-15 მუხლით კი განსაზღვრული იყო, რომ „საცხოვრებელი სადგომების განაწილებისას უპირატესობა ეძლევათ განსაკუთრებით მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრებ: ა) ოჯახებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო. ბ) ომის ვეტერანებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა, უზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაინვალიდებულთა ოჯახებს. გ) მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახებს.

მათი უფლებების დაცვის მიზნით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიას, თუმცა იგი არ იქნა გათვალისწინებული. დღეისათვის მხარეები დაობენ სასამართლოში.

იგივე საკითხს ეხება მოქალაქე **დოდო გიორგაძის** საქმე, იგი აღნიშნავდა, რომ მცხეთის რაიონის გამგეობამ ბათილად ცნო ის დადგენილება, რომლითაც განმცხადებელს გადაეცა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე. საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა, ბათილად ეცნო მცხეთის რაიონის გამგეობის #447-ე დადგენილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ადამიანების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით, საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა-შესწავლის შედეგად, უზრუნველყო ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება, თუმცა რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის პასუხის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე გადაწყვიტა მათ სასარგებლოდ. მოცემულ ეტაპზე ის გასაჩივრებელია სააპელაციო წესით (დაწვრილებით იხ.დანართში).

მიწის რეფორმასთან დაკავშირებით მიღებული და გამოცემული სხვადასხვა ნორმატიული აქტები ცალსახად გამოხატავდა სახელმწიფოს ვალდებულებას მისი მოქალაქეებისადმი, რომ მათ შექმნოდათ ცხოვრებისა და განვითარების ნორმალური პირობები. მიუხედავად აღებული ვალდებულებისა და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებისა, რომ დააკმაყოფილებდნენ მიწის რეფორმის ფარგლებში მოქალაქეებს, სხვა დაზარალებულებთან ერთად, **სოსო სუთიაშვილი** დღემდე კუთვნილი მიწის გარეშეა დარჩენილი. 1992 წლიდან საქართველოში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა. მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე (მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N48, 8 თებერვლის N128 და 10 მარტის N290 დადგენილებები) რეფორმის

პერიოდში მიწები პირველ რიგში უნდა მიეღო სოფლად მუდმივად მცხოვრებ ყველა კატეგორიას. სოფელ დიღომში, მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწების ფონდიდან დაიწყო მიწების განაწილება, მაგრამ სოსო სუთიაშვილი არ იქნა დაკმაყოფილებული მიწის ნაკვეთით, რადგან მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარემ, ნოდარ ლასურაშვილმა დიღმის მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ფონდიდან მიწები არ გაანაწილა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული ქმედების გამო ნოდარ ლასურაშვილის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და 2006 წლის 7 სექტემბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოქალაქე სოსო სუთიაშვილი სხვებთან ერთად დაზარალებულად არის ცნობილი. მის საქმეში მრავალი დარღვევაა აღმოჩენილი, ამიტომ სახალხო დამცველმა ქ.თბილისის მერიას საკითხის სრულყოფილად შესწავლის მოთხოვნით მიმართა, რაზედაც პასუხი ჯერ არ მიგვიღია (იხ. დანართში).

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს ქ.ბათუმში, სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა მრგვალი მაგიდა „საკუთრების დაცვის მექანიზმები“, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მრგვალ მაგიდასთან განხილულ იქნა აჭარაში მიწის რეფორმის განხორციელების პრობლემები, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ამ რეგიონში რეფორმა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, რის გამოც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კუთვნილი მიწის გარეშეა დარჩენილი. მიწის რეფორმის და საკუთრების უფლები არაერთი დარღვევის შესახებ დაწვრილებით იქნება საუბარი სახალხო დამცველის სპეციალურ მოხსენებაში.

შრომის უფლება

2007 წლის პირველი იანვრიდან სახალხო დამცველის სახელზე შემოსულ განცხადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური მოქალაქეთა შრომითი უფლებების დარღვევაა, რაც შრომითი ხელშეკრულებების სხვადასხვა ფორმით მოშლასა და თანამშრომელთა სამსახურებიდან დათხოვნაში აისახა. რევოლუციის შემდგომ საქართველოში მთელ რიგ სახელმწიფო სტრუქტურებში და ადმინისტრაციულ ორგანოებში ტრადიციად დამკვიდრდა რეორგანიზაციის, შტატების შემცირებისა და ოპტიმიზაციის საბაზით ათასობით მუშაკის სამსახურიდან დათხოვნის პრაქტიკა. შემოსული განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში დათხოვნები განხორციელებულია დაუსაბუთებლად, სამართლებრივი მოტივაციის გარეშე. მოქალაქეებს არა აქვთ პასუხი კითხვაზე, რატომ შეიწირა მათი სამტატო თანამდებობა ეგრეთწოდებულმა რეორგანიზაციამ, როცა მისივე მონაცემების მქონე, მაგრამ ნაკლებად პროფესიონალი კოლეგა კვლავ აგრძელებს სამსახურში მუშაობას. ან კიდევ მათ განყოფილებას ან თანამდებობას მხოლოდ სახელი შეეცვალა და დატვირთვა და ფუნქცია უცვლელი დარჩა.

მოქალაქეებს პრობლემები შეექმნათ სხვადასხვა სტრუქტურებში გამოცხადებული ვაკანსიების დასაკავებელ კონკურსებზე. შემოსული განცხადებებიდან გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ფორმით უხეშად ირღვეოდა მათი უფლებები. კონკურსების გამოცხადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძველს, თითქმის ყველა სახელმწიფო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურაში შეადგენდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შემუშავებული საკონკურსო დებულება, სადაც მუხლებად და პუნქტებად იყო გაწერილი კონკურსის ძირითადი მოთხოვნები, მიზნები და საკონკურსო კომისიის ფუნქცია-მოვალეობები; თუმცა კონკურსის შედეგების ამსახველ დოკუმენტებში ხშირად იგნორირებულია დებულების უმთავრესი და პრიორიტეტული მოთხოვნა, საკონკურსო კომისია ხშირად უფლებამოსილების გადამეტებით იღებდა გადაწყვეტილებას, ხოლო ოქმში არ არის ასახული და დასაბუთებული, თუ რატომ ვერ გაიარა ამა თუ იმ კონკურსანტმა კონკურსი. კონკურსის მსვლელობისას ხშირადაა დარღვეული კონკურსის თანასწორობის, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების პრინციპი. წარმოდგენილი მასალებისა და განმცხადებელთა განმარტებებიდან ჩანს, რომ კომისია ხშირ შემთხვევაში იჩენდა ტენდენციურობას, იყო მიკერძოებული და კომისიის მიერ გაკეთებული შეფასებები არ შეესაბამებოდა რეალობას.

2005 წლის სექტემბრის თვეში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა. საკონკურსო კომისიის დროებითი დებულების მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ "საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეარჩიოს აკადემიური პერსონალი და თავისი მოსაზრებები წარუდგინოს დეკანს. კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონფიდენციალურია. საჯარო შეიძლება იყოს მხოლოდ საოქმო გადაწყვეტილება".

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მესამე თავის მიხედვით კანონმდებელმა მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რა სახის ინფორმაციაა კონფიდენციალური და რა დროს ხდება ამ თუ იმ ინფორმაციის გასაიდუმლოება. კანონის ამ პრინციპიდან გამომდინარე საკონკურსო კომისია არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა რაიმე სახის ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხი და ვერც მის მიერ მიღებული რაიმე სახის გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მართლზომიერი და კანონთან შედარებით უპირატესი ძალის მატარებელი.

კონკურსზე მოქალაქე გიორგი გოროშიძეს განაცხადი შეტანილი ჰქონდა ასოცირებული პროფესორის საძიებო ვაკანსიაზე. კომისიის დარგობრივი ჯგუფის რეკომენდაციის მიხედვით, მას წარდგენილი მასალების ფრაგმენტულობისა და პედაგოგიური სტაჟის სიმცირის გამო უარი ეთქვა აღნიშნული თანამდებობის დაკავებაზე, მაშინ როცა მის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი იყო საკონკურსო დებულების მოთხოვნასთან სრულ შესაბამისობაში და ჰქონდა ყველა მონაწილე კონკურსანტზე მეტი პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟი. კომისიის რეკომენდაციაში მოყვანილი არგუმენტი არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რადგან კონკურსში მონაწილეობას იღებდა კონკურსანტი, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა პედაგოგიური შრომითი სტაჟი, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, წარმატებით გაეწვლია კონკურსი. საქმის მასალებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო არაობიექტური, მიკერძოებული, დარღვეული იყო მოქალაქის შრომითი უფლებები. შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თსუ რექტორს, გიორგი ხუბუას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე გიორგი გოროშიძესთან მიმართებაში, თუმცა რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მდგარი ქვეყნის არცერთ მოქალაქეს არ უნდა უჩნდებოდეს განცდა, რომ ის დაუსაბუთებლად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე დატოვებს სამსახურის გარეშე და მისი სოციალური მდგომარეობა შეგნებულად გაუარესდა სხვათა ინტერესების დაცვის ხარჯზე. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათი ადგილი დაიკავა მათზე ღირსეულმა, პროფესიონალმა და კომპეტენტურმა კადრმა და ის არ გამხდარა შემთხვევითობის მსხვერპლი. თუკი კანონმდებლები დაუყოვნებლივ არ დაიწყებენ მუშაობას კონკურსების შესახებ კანონპროექტზე და პროცესები საკანონმდებლო დონეზე არ დარეგულირდება, ცალკეულ ჩინოვნიკებს მუდმივად ექნებათ მცდელობა კონკურსანტთა ბედი არა საქმის სასიკეთოდ გადაწყვიტონ, არამედ პირადი დამოკიდებულებისა და განწყობის მიხედვით.

ამდენად, სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, მიიღოს კანონი კერძო და საჯარო სამსახურში საკვალიფიკაციო/საატესტაციო კონკურსების შესახებ. ეს იქნება ერთ-ერთი გარანტი ამ პროცესებში კონკურსანტთა უფლებების დასაცავად.

ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების აუცილებლობა დაგვანახა სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდებისა და განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ ჩატარებულმა დირექტორთა შესარჩევმა კონკურსის შედეგებმა (მასალები იხილეთ დანართში. გურჯაანის სოფელ ახაშენის საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ კანონდარღვევით ჩატარებული დირექტორთა არჩევნები, რაზეც მომზადდა რეკომენდაცია; სამხატვრო აკადემიაში შემოქმედებითი კონკურსის საქმე და ა.შ).

არის შემთხვევები, როცა მოქალაქეებს სამსახურში მიღებაზე უარს მათ მიერ წარსულში ჩადენილი, მაგრამ გაქარწყლებული დანაშაულის გამო ეუბნებიან. არავის აქვს უფლება, მოქალაქეს წარსულის გამო წაართვას შესაძლებლობა, მოახდინოს საზოგადოებაში ადაპტირება და მის სრულფასოვან წევრად გახდომა. **მოქალაქე შაქრო კობაიძეს** სასაზღვრო პოლიციის სამსახურში მიღებაზე მხოლოდ იმ მოტივით უთხრეს უარი, რომ ის წარსულში ნასამართლევ იყო. სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე, ხელახლა განეხილათ მისი სამსახურში დასაქმების საკითხი, რადგან განცხადების დაწერის მომენტისათვის მას გაქარწყლებული და მოხსნილი ჰქონდა ნასამართლობა, სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელმა მეტად ორიგინალური უარი მოგვწერა. სიტყვა „ნასამართლევ“ მათ განმარტეს და გაიგეს არა ისე როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია განმარტებული, არამედ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე დაყრდნობით. ეს ის შემთხვევაა, როცა კომენტარი ზედმეტია. სამწუხაროა, როცა სახელმწიფო სტრუქტურებში მოქალაქეთა ბედს ასეთი კომპეტენციის მოხელეები წყვეტენ, რაც არის არაჯეროვანი მმართველობის კლასიკური მაგალითი.

დარღვევით ჩატარებული კონკურსის შედეგები გახდა არაერთი კადრის დათხოვნის საბაზი **ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან**. 2006 წლის 5 სექტემბერს აღნიშნულ ინსტიტუტში ჩატარებული კონკურსის შედეგები კონკურსის მიმდინარეობისას არსებული დარღვევების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ბათილად გამოცხადდა. ინსტიტუტის ადმინისტრაციას დაევალა საკონკურსო განაცხადების საფუძველზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ხელახალი კონკურსი ჩატარება, რაც რეალურად არ განხორციელდა. ინსტიტუტის ადმინისტრაციამ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხელახალ კონკურსს მისცა ფორმალური ხასიათი, არ მოახდინა კანონის შესაბამისად ახალი კონკურსის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება კონკურსანტებისათვის და საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტა კონკურსანტთა ბედი. ინსტიტუტის ადმინისტრაციიდან მიღებული პასუხის თანახმად, თანამშრომელთა განთავისუფლებას საფუძვლად დაედო კონკურსის არადამაკმაყოფილებელი შედეგები, რაც თავისთავად გულისხმობდა მათ სამსახურებიდან დათხოვნას და არავითარი საჭიროება არ იყო გათავისუფლებაზე გამოცემულიყო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი-ბრძანება.

საკონკურსო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა დაედო საფუძვლად **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან** თანამშრომლების დათხოვნას. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა კონკურსის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისა, საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით გაყალბებული იყო საკონკურსო კომისიის

წევრთა ხელმოწერები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ არაუფლებამოსილი პირები. არსებული დარღვევებიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, ბ-ნ დავით ტყეშელაშვილს, რათა ბათილად ეცნო მის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი. რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა. კონკრეტულ საქმეში კანონშეუსაბამოა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევები იმდენად აშკარა და ცალსახა იყო, მასალები რეაგირებისათვის საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტებში გადავგზავნეთ. გარდა შრომითი უფლებების დარღვევისა, დათხოვნილ კონკურსანტებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ გაუსტუმრა 1998-2000 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანება.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთში, გოგა ხაჩიძემ დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის პერიოდში, შრომის კანონმდებლობის სრული დარღვევით სამსახურიდან გაათავისუფლა მცირეწლოვანი შვილის დედა, **ირინა გოგოლაძე**. ვინაიდან, მის განთავისუფლებასთან დაკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციული აქტი იყო კანონშეუსაბამო და სამართლებრივ საფუძველს მოკლებული, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მოითხოვა მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა. რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომაც სწორედ ირინა გოგოლაძის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, თუმცა ის დღეისათვის სააპელაციო წესით არის გასაჩივრებული მეორე მხარის მიერ.

შრომითი დავების საკითხზე სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებიდან კიდევ ერთი ტენდენცია იკვეთება. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებს გადაწყვეტილება თანამშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე მიღებული აქვთ პირადი შეხედულებებიდან და მოსაზრებებიდან გამომდინარე. მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი ბოლომდე არ არის დაცული.

რეფორმა გულისხმობს გამოცდილი და პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას, დაწინაურებას ან ახალი პროფესიონალი და მოტივირებული კადრების მიღებას, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სხვათა ინტერესებისა და ღირსების შელახვის ხარჯზე. ჯანსაღი კონკურენციის პრინციპის დამკვიდრება უნდა გახდეს ამ პროცესის ამოსავალი პრინციპი.

შრომითი უფლების შელახვას ეხება მოსამართლე **გიორგი გიორგაძის** თანამდებობაზე გამწესება მისი თანახმობის გარეშე, რაზედაც სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს საკითხის შესწავლისა და გ.გიორგაძის კონსტიტუციური უფლების აღდგენის მიზნით (დაწვრილებით იხ.დანართში).

შრომითი უფლებების დარღვევას ეხება, აგრეთვე, იუსტიციის ლეიტენანტის, **დარეჯან მეფარიშვილის საქმე**, რომელიც 2002 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრეს-სამსახურის

უფროს სპეციალისტად. დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ დარეჯან მეფარიშვილს არ უშვებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში და ყოველმხრივ ეზღუდებოდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების საშუალება, ხოლო ერთი თვის შემდეგ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ იგი დაითხოვა სამსახურიდან.

საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვია, რომ ერთი თვის განმავლობაში (2 მარტიდან 3 აპრილამდე, სამსახურში გასვლიდან დათხოვნამდე) დარეჯან მეფარიშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში შეუშვეს მხოლოდ სამჯერ, ისიც მცირე დროით და დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ იგი რეალურად ვერ ასრულებდა თავის სამსახურეობრივ მოვალეობებს. ამასთანავე გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც, რაც საფუძვლად დაედო დარეჯან მეფარიშვილის შრომითი უფლებების დარღვევას და მის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას.

დარეჯან მეფარიშვილის დარღვეული უფლებების აღსადგენად სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოვითხოვა დარეჯან მეფარიშვილის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების ბათილად ცნობა და მისი აღდგენა თავდაპირველ თანამდებობაზე, ასევე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმ თანამშრომელთა ქმედებების შესწავლა, რომლებმაც ხელი შეუშალეს დარეჯან მეფარიშვილს სამსახურის შესრულებაში და მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა. რეკომენდაციის არსებითად განხილვაზე იუსტიციის სამინისტრომ უარი განაცხადა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან დ.მეფარიშვილმა უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოს.

სამწუხაროდ, ისეთ შემთხვევებში, როცა საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მსგავსი რეკომენდაციების სამართლებრივი ბუნება არამართებულად არის აღქმული და სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე ვღებულობთ უარს სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონო საფუძველით. ადმინისტრაციული ორგანოები ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლით, რომლის თანახმად „ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.“ ადმინისტრაციული საჩივარი კი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენს „დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილ წერილობით მოთხოვნას დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის...“.

ადმინისტრაციული საჩივარსა და სახალხო დამცველის რეკომენდაციას შორის არის დიდი განსხვავება მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით. სახალხო დამცველი ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ჩვეულებრივ დაინტერესებულ

პირად, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და მისი რეკომენდაციის გაიგივება ადმინისტრაციულ საჩივართან დაუშვებელია.

სახელფასო დავალიანებები

ხშირად შრომითი უფლებების დარღვევას თან ახლავს საკომპენსაციო თანხების მიუღებლობა, რაც თავისთავად გადადის სოციალური უფლებების შელახვაში. ყველაზე ბანალური ამ ისტორიებში სახელმწიფო სტრუქტურების პოზიციაა - „გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის“. სახალხო დამცველის აპარატში ამ მიმართულებით შემოსული არაერთი საჩივრისა და განცხადების შინაარსი ცხადყოფს, რომ ძველი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის პრობლემა დღესაც მწვავედ დგას. მოქალაქეები კუთვნილ საკომპენსაციო თანხების მიღებას არათუ კანონით დადგენილ ვადებში ვერ ახერხებენ, არამედ, ისინი იძულებულნი ხდებიან, საკუთარი უფლებების აღსადგენად და კუთვნილის მისაღებად მიმართონ სასამართლოს, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების მერეც თვეობით ან წლობით ელოდებიან ამ თანხებს და არ ხდება ამ გადაწყვეტილებების აღსრულება.

მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ თავდაცვის სამინისტრო, რომელსაც, მიუხედავად დიდი დაფინანსებისა, წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანება გაუსტუმრებელი აქვს. ამის თაობაზე სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა ტარიელ ბჟალავამ, ჯუმბერ ბენდელიანმა, მერაბ გვასალიამ, ნაზი ლობჯანიძემ და ელგუჯა ლობჯანიძემ. ისინი წლების მანძილზე მუშაობდნენ თავდაცვის სამინისტროს ქ.ხონის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო ნაწილებში. მათ მისაღები აქვთ წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანება, კვების კომპენსაცია, ფულადი ჯილდო და ბინის ქირა. შესაბამისი სამსახურებისადმი მიუხედავად მრავალგზის მიმართვისა, მათ დღემდე არავითარი თანხა არ მიუღიათ. განცხადებებს თან ახლავს მიუღებელი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

იგივე პრობლემას ეხება მოქალაქე **ნანა ჯაფარიძის** განცხადება, რომელიც მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ქ.ახალციხის #22-ე ბრიგადაში, საიდუმლო ნაწილში. 2005 წელს იგი ასაკის გამო გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან და მისაღები დარჩა 1998-1999-2000 წლების ხელფასი.

დავალიანების გასტუმრებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე თავდაცვის სამინისტროს პასუხები ერთმანეთის მსგავსია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ დაკრედიტებული დავალიანების ანაზღაურება განხორციელდება ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში, სამინისტრო განიხილავს დავალიანებების გასტუმრების საკითხს.

სახელფასო დავალიანებას ეხება, აგრეთვე, შსს ყოფილი თანამშრომლების, გალაქტიონ ბიბილეიშვილისა და ტარიელ კაპანაძის საქმეები, რომლების, ასევე წლობით ელოდებიან მათ კუთვნილ თანხებს (დაწვრილებით იხ.დანართში).

მოქალაქეთა საჩივრები სახელფასო დავალიანების შესახებ სხვადასხვა უწყებების მიმართაც მრავლად არის სახალხო დამცველის აპარატში.

მაგალითად, მოქალაქე ცისანა ხეცურიანი თავის განცხადებაში მიუთითებდა, რომ მისი მეუღლე, ვახტანგ ცომაია გარდაცვალებამდე ელოდა სახელფასო დავალიანებას სს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიდან. მიუხედავად შესაბამისი სამსახურებისათვის მრავალჯერ მიმართვისა, გ.ცომაიამ ვერ შეძლო თავისი კუთვნილი თანხების აღება სიცოცხლეში. ოჯახი განიცდიდა უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე და აპარატის თანამშრომელთა ძალისხმევით სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ გივი ცომაიას ოჯახს ჩაურიცხა ხელფასის ნაწილი 460 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დავალიანების დაფარვა, მიღებული პასუხის თანახმად, მოხდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე.

მოქალაქეები: აზარაშვილი, მარკოიშვილი, გეგეშიძე და სხვები მოითხოვენ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან. ამავე სამინისტროდან გარდაცვლილი მეუღლის სახელფასო დავალიანებას ითხოვდა მოქალაქე მაყვალა ბოჭორიშვილი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი მეუღლე, ვახტანგ წიგწივაძე 30 წლის განმავლობაში მუშაობდა აბასთუმნის ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსად. 2006 წლის 31 დეკემბერს მოხდა აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაცია და მიუღებელი დარჩა 18 თვის სახელფასო დავალიანება. აღნიშნულის თაობაზე მან არაერთხელ მიმართა შესაბამის სამსახურებს, თუმცა საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან მიღებულ იქნა სტანდარტული პასუხი: „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს არ გააჩნია ეკონომია წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად, რის გამოც, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დამატებითი ასიგნების გამოყოფამდე უზრუნველყოს სახელფასო დავალიანების დაფარვა.“

ეს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, რომელსაც კომპლექსური მიდგომა სჭირდება სახელმწიფოებრივად და არა ცალკეული უწყებების დონეზე. სახელფასო დავალიანებების გასტუმრების ვალდებულება თავად სახელმწიფოს ეკისრება და არა კონკრეტულ უწყებას. მინისტრები და სხვა ხელმძღვანელები, რომლებიც სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, ასეთ ტრაფარეტულ პასუხებს კი არ უნდა გვწერდნენ, არამედ, ისინი გამუდმებით უნდა მიმართავდნენ ფინანსთა სამინისტროს, პრემიერ-მინისტრს და ა.შ. ამ სამარცხვინო პრობლემის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. მითუმეტეს დღეს, ქვეყნის ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლევა.

ამჯერად, საქართველოს ფინანსთა და პრემიერ მინისტრებს საჯაროდ მივმართავ რეკომენდაციით განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ძველი საბიუჯეტო დავალიანებების გასტუმრების მიზნით.

სოციალური დაცვის საკითხები

გაზრდილი ბიუჯეტის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება და აბსოლუტურად დაუცველია. სტატისტიკა ამ მხრივ შემაშფოთებელია, რაზედაც ამ მიმართულებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების სიმრავლე მეტყველებს. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შინაარსის ანალიზმა ცხადყო, რომ „სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა“ არ ხორციელდება გამჭვირვალედ. პროგრამის ფარგლებში დახმარებას ვერ იღებენ ის ადამიანები, ვისაც ის რეალურად ეკუთვნის, მისი სოციალური პირობებიდან გამომდინარე. ჩვენი რეკომენდაციები, რაც სამართლებრივად დასაბუთებულია, ნაკლებად კმაყოფილდება შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მხრიდან.

მოქალაქე **ინა კომახიძე** სამი წელია ცხოვრობს ღია ცის ქვეშ, მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში. არის უსახლ-კარო. მან არაერთგზის მიმართა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს დახმარებისთვის, მაგრამ მისთვის ვერ გამოინახა საცხოვრებელი ფართი. უფრო მეტიც, სახალხო დამცველის რეკომენდაციის პასუხად სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტომ განაცხადა, რომ ვინაიდან მას არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ფართი, სახელმწიფო ვერ დაეხმარებოდა. ბუნებრივად იბადება კითხვა - თუკი ადამიანი, რომელიც ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი, ულუკმაპუროდ, უსახსროდ ვერ მიიღებს პროგრამაში მონაწილეობის უფლებას, ვის ვეხმარებით? ამ მიმართულებით მოქალაქეთა საჩივრები ძალიან ბევრია. დროა, შესაბამისმა სტრუქტურებმა მოამზადონ ცვლილებების პაკეტი ცალკეულ ნორმატიულ აქტებში შესატანად, ვინაიდან სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისთვის ვერაფერი ნუგეშია იმის ცოდნა, რომ საკითხი ვერ გადაწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პრობლემას არ არეგულირებს მინისტრის ესა თუ ის ბრძანება. პროცესები უნდა გამარტივდეს და დახმარება და თანადგომა უნდა მიიღოს უკლებლივ ყველამ, ვისაც სახელმწიფოსგან ეს სჭირდება.

მოქალაქე **გაიოზ გიორგაძემ** სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციისთვის შესაბამისი სტრუქტურას 2006 წლის 8 აგვისტოს მიმართა ოფიციალური განცხადებით. მას გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა ესაჭიროებოდა და ყოველი დაგვიანებული დღე მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად ისახებოდა. იმის გამო, რომ სოციალური დაცვისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო გადატვითული იყო განცხადებებით (ყოველ შემთხვევაში მოქალაქისათვის მიწერილ ოფიციალურ პასუხში ასეა აღნიშნული), მისი განცხადება დროულად ვერ დამუშავდა და სარეიტინგო ქულაც მოქალაქეს დაგვიანებით მიენიჭა, შესაბამისად, მან ვერ მიიღო სამედიცინო დაზღვევის პოლისი. თუმცა განცხადების კანონით დადგენილ ვადებში განხილვის შემთხვევაში, მოქალაქე მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულებიდან გამომდინარე ხდებოდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული უფასო სამედიცინო დახმარების ბარათის ბენეფიციარი. სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს

აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა სამინისტრომ უარი თქვა გ.გიორგაძისათვის სამედიცინო პოლისის გადაცემაზე (იხ.დანართი).

ანალოგიური საქმეები დაწვრილებით იხილეთ დანართში (მაგალითად ალა, სამსონაძე, ჟუჟუნა ოდიკაძე, სვეტლანა ბონდოიანი, მარინა მსხილაძე და ა.შ).

საბინაო საკითხები

2007 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველის სახელზე შემოსული განცხადებების დიდი ნაწილი მოქალაქეთა მძიმე საბინაო პირობებს ეხება. უმეტეს შემთხვევაში, მოქალაქეები საცხოვრებელი ფართის ან თავშესაფრის უქონლობას უჩივიან. განმცხადებელთა ნაწილი ისეთ საყოფაცხოვრებო პირობებშია, რომ სიცოცხლისათვის საშიში შედეგი შეიძლება ნებისმიერ დროს დადგეს. რეკომენდაციები, რაც ამ მიმართულებით გაიგზავნა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში (თვითმმართველობაში) შეიძლება ითქვას, არცერთი არ დაკმაყოფილდა და პასუხი უმეტეს შემთხვევაში ერთგვაროვანია, რომ არ არსებობს საბინაო ფონდი.

უბედური შემთხვევის გამო 2007 წლის პირველ იანვარს **ლიზა მჟავანაძის** ოჯახს დაეწვა საცხოვრებელი სახლი. გაჩენილი ხანძრის დროს დაიწვა ლ.მჟავანაძის მეუღლეც. ოჯახი დარჩა საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის საჭირო ყოველგვარი ინვენტარის გარეშე და ისინი იძულებულნი გახდნენ, შესახლებულიყვნენ ქერჩის ქ.#22-ში (ყოფილი უშიშროების აკადემია), სადაც პირობების არარსებობისა და სივიწროვის გამო მათი ოჯახის მცირეწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

ლ.მჟავანაძის განცხადების საფუძველზე მივმართეთ ქ.თბილისის მერიას, თუმცა პასუხად გვაცნობეს, რომ ქალაქ თბილისში გასანაწილებელი თავისუფალი საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო ლ.მჟავანაძეს ვერ აკმაყოფილებენ საცხოვრებელი ფართით. იქვე მითითებულია, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის მიერ განხილული იქნება ლ.მჟავანაძის საბინაო საკითხი. (ანალოგიური შინაარსის რეკომენდაციები, პასუხებთან ერთად იხილეთ დანართში - სოციალურ საკითხებზე, მაგალითად, **მზია ჯაჭვლიანის საქმე, ლიზა ბარნაბიშვილის საქმე, ცისანა მამისაშვილის საქმე, ნაზი ბიჭაშვილის საქმე, ინა კომახიძის საქმე, მურმან თოლორდავას საქმე და ა.შ)**

იმის თქმა, რომ არ არსებობს საბინაო ფონდი, ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ თავისუფალი საცხოვრებელი ფართი, რის გამოც ვერ დააკმაყოფილებენ უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეებს, არ არის სამართლებრივი არგუმენტი სახელმწიფოსთვის, რომელსაც კანონით (საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ მუხლი 18) ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მისი მოქალაქეები სათანადო საცხოვრებელით.

საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი

2007 წლის 12 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისში წერეთლის გამზირის მე-7 კორპუსში, ბინა #19-ში მცხოვრებმა მოქალაქე მარიამ თოდაძემ საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის და ბინაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მარიამ თოდაძე იმყოფება მძიმე სოციალურ პირობებში, შეყვანილია უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახთა მონაცემთა ბაზაში და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს თავისუფლად გადაადგილებას. განმცხადებლის წარმომადგენლის განმარტებით, 2006 წლის ოქტომბერში განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და წარადგინა რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი. 2006 წლის 4 დეკემბერს საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა გამოსცა ადმინისტრაციული აქტი #0113-032968, რომლის მიხედვით, მოქალაქეს უარი ეთქვა ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე, გადახდილი მომსახურების საფასურის და წარდგენილი დოკუმენტების უკან დაბრუნებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომაც, 2007 წლის 10 იანვრის #01/11-43/თ-39 გადაწყვეტილებით, რომელშიც, მიმდინარე წლის 6 მარტს სააგენტოს თავმჯდომარის #84 ბრძანებით შეტანილი შესწორების მიხედვით, მოქალაქეს განმეორებით ეთქვა უარი საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში რეგისტრაციაზე.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, 2006 წლის 2 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ გამოსცა განკარგულება #359 რაიონის საბინაო ფონდიდან წერეთლის გამზირზე მდებარე საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის შესახებ და 16 ნოემბერს გამგეობის წარმომადგენელს ნინო სახვაძესა და მარიამ თოდაძის წარმომადგენელს ლევან გიგაშვილს შორის სანოტარო წესით გაფორმდა ხელშეკრულება მოქალაქე მარიამ თოდაძისათვის ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მარიამ თოდაძის წარმომადგენლის ლევან გიგაშვილის განმარტებით, პრივატიზაციის ხელშეკრულება, 37 ლართან და სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად, 22 ნოემბერს წარმოებაში მიიღო თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა, რაზეც მოქალაქეს გადასცეს მიღება-ჩაბარების საგარანტიო საბუთი, რომლის მიხედვით, საკუთრების რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს სარეგისტრაციო სამსახური გასცემდა ხუთი სამუშაო დღის შემდეგ, ე.ი. 29 ნოემბერს.

იმ დროისათვის მოქმედი “ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდის შექმნა და განკარგვა. შესაბამისად, ზემოთმოყვანილი ადმინისტრაციული აქტის (#01/11-43/თ-39) მიექვესე აზრით აღნიშნულია, რომ განკარგულება პრივატიზაციის შესახებ გამგეობამ გამოსცა 2006 წლის 2 ოქტომბერს და პრივატიზაცია განხორციელდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც სავსებით კანონიერია. 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგების ოფიციალურად

გამოცხადების დღიდან, ანუ 19 ოქტომბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა “ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი და ამოქმედდა “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი. ამ კანონის მე-16 მუხლში განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს “თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა”.

მოგვიანებით 2006 წლის 29 დეკემბერს კანონში დამატებით შეტანილი იქნა 65² მუხლი და ამით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დროებითი უფლებამოსილება: “ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელონ კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა”.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დასტურდება, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მარიამ თოდაძე ბინის რეგისტრაციასთან დაკავშირებით განცხადებებით მიმართავდა საჯარო რეესტრის სამსახურს (იხ. დანართი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ქვითრები. შემოსული წერილები #თ-39 (18.12.2006), თ-43 (26.12.2006), 345/თ (12.02.2007), ასევე, სს “საქართველოს ბანკის“ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები 17.11.2006, 21.11.2006 და სხვა), მაგრამ პასუხად ყოველთვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ ბინის რეგისტრაციაზე უარს და #01/11-43/თ-39 ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო გარემოება, რომ ხელშეკრულება დაიდო გამგეობის არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული აქტის მეშვიდე აბზაცის ბოლო წინადადებაში აღნიშნულია: “მოცემულ შემთხვევაში პრივატიზაციის ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 16 ნოემბერს, იმ დროისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი ემოქმედა გამგეობის სახელით, როგორც პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარეს.” ხოლო პრივატიზაციის ხელშეკრულებაში აღნიშნულია საწინააღმდეგო, სადაც წერია, რომ ნინო სახვაძე წარმოადგენს დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობას და მოქმედებს მისი სახელით, თანახმად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მინდობილობისა (გაც. 03.02.2006 წელს #გას 18-05).

სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის საფუძვლებს ამომწურავად განსაზღვრავს “უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, ამ მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ხოლო მოცემულ შემთხვევაში, თუ რატომ არ იყო აღნიშნული დროისათვის გამგეობის წარმომადგენელი ნანა სახვაძე-უფლებამოსილი, დაედო ხელშეკრულება, საერთოდ არ არის მოტივირებული და ეს გარემოება, რაც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, არ არის დასაბუთებული.

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის და 96-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ასევე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ მუხლში (მე-2 ნაწილში) მოყვანილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2007 წლის 6 მარტის #84 ბრძანება ვერ ჩაითვლება #01/11-43/თ-39 ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური ან გამოთვლის შედეგად დაშვებული შეცდომის გასწორებად, რადგან ამ ბრძანებით შეიცვალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება (#01/11-43/თ-39) და განმცხადებელს, თავდაპირველი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, ეთქვა უარი საცხოვრებელი ბინის რეგისტრაციაზე, რაც თავის მხრივ ნიშნავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანას და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მუხლი 59, მე-2 ნაწილი). ასევე, შეუძლებელია დავეთანხმოთ 2007 წლის 7 მარტის #01/11-1242/თ-39/345/თ გადაწყვეტილებას, სადაც აღნიშნულია, რომ “საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, რაც ყოველთვის არ იძლევა მოქალაქეების მიმართ სამართლიანობის და გულისხმიერების გამოჩენის შესაძლებლობას.“

2007 წლის 10 იანვრის #01/11-43/თ-39 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და აღნიშნულ საკითხზე მიღებული სხვა გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის, ასევე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო რეესტრის სამსახურს გაეგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და წარმოადგინა პასუხი, სადაც ამჯერადაც არ არის დასაბუთებული რატომ არ იყო უფლებამოსილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი ნინო სახვაძე ემოქმედა გამგეობის სახელით და დაედო ხელშეკრულება 2006 წლის 16 ნოემბერს.

მიწის ნაკვეთის დაკანონების საკითხი

მიმდინარე წლის 8 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე აპოლონ გადელიამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებით. აპოლონ გადელია არის პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი და დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (იხ.დანართი). საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 13 მარტის #273 განკარგულების თანახმად, აპოლონ გადელიას ნება დაერთო პირდაპირი განკარგვის წესით შეეძინა თბილისში ინჟინრის ქ.#38/6-ში #6 საავტორო სკოლასა და ვირსალადის ქ.#8 საცხოვრებელ სახლს შორის მის საკუთრებაში არსებული გარაჟის გარშემო-არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთი კეთილმოწყობის მიზნით. ამავე განკარგულების მეორე ნაწილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიას (ი.ზოდელავა) დაევალა აპოლონ გადელიას მიერ შესყიდვისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ ერთ თვეში უზრუნველყო მიწის ნაკვეთის შესყიდვის გაფორმება.

2004 წლის 20 თებერვალს მოქალაქემ გადაიხადა მიწის ნაკვეთის ღირებულება 2244 ლარი და 50 თეთრი (იხ. დანართი, გვ.5, თბილბიზნესბანკის სალაროს შემოსავლის ორდერი #001, 0402008) თბილისის თვითმმართველობის ორგანოს საკრებულოს მიერ დაწესებული ტარიფის მიხედვით და თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი იქნა მიწის ნაკვეთის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ. რაც შეეხება მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უძრავ ნივთებზე საკუთრების მოპოვებისათვის კანონით განსაზღვრული წესით, იგი მოქალაქემ დღემდე ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი განცხადება წარადგინა ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურებში, სათანადო დოკუმენტების მომზადების მოთხოვნით.

ქალაქ თბილისის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, “ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.“ ასევე, “თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ამავე კანონის მე-100 მუხლის მიხედვით დადგენილ ვადებში და კანონით განსაზღვრული წესით უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, მიუთითოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ და ამისათვის განუსაზღვროს ვადები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც

უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს დაშვებული შეცდომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

“სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, მიწით მოსარგებლე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მიწის ნაკვეთებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა გააფორმონ ამ კანონის მიღებიდან ოთხი წლის განმავლობაში, ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული პირები იხდიან ჯარიმას მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მიწის წლიური გადასახადის ოდენობით. რაზეც აპოლონ გადელია სამართლიანად განმარტავს, რომ მისთვის მიწის დაკანონებაზე უარის თქმა ან დაკანონების გაჭიანურება გამოიწვევს მატერიალურ ზიანს.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ საკითხის აღნიშნული ვადებით გაჭიანურებასთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 13 მარტის #273 განკარგულებით ქალაქის მთავრობას მიცემული ჰქონდა ერთგვანი ვადა შესყიდვის გაფორმებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა დარღვეულად მიიჩნია მოქალაქე აპოლონ გადელიას უფლებები და “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მერიას მიმართა რეკომენდაციით, კანონის მოთხოვნათა დაცვით განეხილა აპოლონ გადელიასათვის მიწის ნაკვეთის დაკანონების საკითხი.

მიმდინარე წლის 20 მარტს ქალაქ თბილისის მერიიდან მივიღეთ პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ გასულ წლებში ჩატარებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კონკურსებსა და აუქციონებში გამარჯვებულებთან, ასევე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გაცემული მიწის ნაკვეთის მიმღებ ზოგიერთ პირთან დღემდე არ გაფორმებულა ხელშეკრულებები. თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის განმარტებით, მათთვის უცნობია რა მიზეზით არ განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებულ ერთი თვის ვადაში თქვენთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მიწის ნაკვეთის შესყიდვის გაფორმება.

მათივე მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, დღეისათვის განცხადება თანდართული მასალებით შესასწავლად გადაეცა ქალაქ თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციას.

ბავშვთა უფლებები

ძალადობა

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა ბავშვზე ძალადობის არაერთი საქმე. ფაქტები ეხებოდა ბავშვის ფიზიკურ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას და სექსუალურ ძალადობას. გამოიკვეთა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე არსებული ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის ბავშვისათვის სრულფასოვანი დახმარების აღმოჩენას.

ნათელი გახდა, რომ საქართველოში ამ პრობლემის მიმართ არ არსებობს სისტემური მიდგომა. თითოეულ ფაქტზე, სასურველი შედეგის მისაღწევად, გვიხდებოდა შესაბამისი სტრუქტურებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა, თუ რა ქმედებებია მათი მხრიდან ჩასატარებელი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოში ბავშვზე ზრუნვის სისტემა უფრო სახელმწიფოებრივ მიდგომას მოითხოვს.

რესურს ცენტრები

აღსანიშნავია ის დადებითი ცვლილებები, უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელდა: შეიქმნა მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოები, ე.წ. რესურსცენტრები. მათი რეგიონულ დონეზე არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვზე ზრუნვის სისტემის ეფექტური მუშაობისთვის.

რესურსცენტრები ახალი სტრუქტურაა და ალბათ, ამიტომ, ამ სამსახურის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო როლი ბავშვზე ზრუნვის სისტემის სხვადასხვა სეგმენტებსა და თავად რესურსცენტრების თანამშრომლებსაც კი, ზოგჯერ კარგად არ აქვთ გაცნობიერებული.

ამის მიზეზი კანონის დაუხვეწაობა და მოუქნელობაცაა. გარდა ამისა, ის სამუშაო რომელიც რესურსცენტრების თანამშრომლებს ეკისრებათ, ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს - ის ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობის ყველა ასპექტს მოიცავს.

რესურსცენტრი, დებულების თანახმად, კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციებს; ის უზრუნველყოფს შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის პროცესის კოორდინაციას, შესაბამისი საინფორმაციო ბანკის წარმოებას და შესრულებული სამუშაოს შესახებ პერიოდულად ან საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის წარდგენას სამინისტროში; გარდა ამისა, ეს სტრუქტურა საადმინისტრაციო და სკოლის გარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების საქმიანობასაც კურირებს. ასევე: “ახორციელებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საადმინისტრაციო, სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებებში, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული სწავლების ცენტრებსა

და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევასა და ზედამხედველობას“;

როდესაც მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდის მოვალეობას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს ასეთი მშობლებისათვის ბავშვის ჩამორთმევისა და მისი მეურვეობაში ან მზრუნველობაში გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად. მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი დასკვნის შემდეგ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. ამასთან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ ამას ბავშვის ინტერესები მოითხოვს. ყოველთვის აქვს უფლება, მოითხოვოს შვილად აყვანის გაუქმება.

აღნიშნული სტუქტურის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია სწრაფი რეაგირება, ზუსტად გაწერილი მოქმედების გეგმა და კვალიფიციური ადამიანური რესურსი.

ჯერჯერობით, რესურსცენტრებში თანამშრომელთა რაოდენობა სამს არ აღემატება; უმრავლეს შემთხვევაში, ცენტრებს არ ჰყავთ სოციალური მუშაკები, თანამშრომელთა კვალიფიკაცია კი შემდგომ ამაღლებას მოითხოვს.

კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

2006 წელს მიღებულ იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვასა და რეაბილიტაციასაც ითვალისწინებს.

კანონში განსაზღვრულია ბავშვის მოძალადე მშობლისაგან დამცავი ღონისძიებები: როგორც მე-4 მუხლშია განმარტებული, ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობა უპირობო საფუძველია იმისა, რომ დაისვას საკითხი მისი მოძალადე მშობლისგან განცალკევების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2006 წელს თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული იყო 96 შემაკავებელი ორდერი, ხოლო აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს მიერ 16 შემაკავებელი ორდერი. 2007 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საქართველოში სულ გამოცემულია 326 შემაკავებელი ორდერი. მათ შორის, თბილისში შედგენილია 234 ოქმი, აჭარის რეგიონში - 40, იმერეთის რეგიონში - 19 ოქმი, კახეთის რეგიონში - 7, შიდა ქართლში - 18 და ქვემო ქართლში - 8 ოქმი. ამასთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხში აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე ის არ ფლობს სტატისტიკურ მონაცემებს თუ რამდენ შემთხვევაში შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემა ეხებოდა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ნამდვილად საჭიროებს დამუშავებას, ანუ აუცილებელია არსებობდეს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ თუ რამდენი ბავშვი გახდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, მითუმეტეს როდესაც საქმეზე რეაგირება განხორციელდა.

გადაუდებელი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია, გამოცემულ იქნას შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, რომლის მოთხოვნის უფლებაც, ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებულია თითქმის ყოველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას მსხვერპლის ძალადობისაგან დასაცავად.

თუმცა, პრაქტიკამ ნათელიყო გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის არსებული მდგომარეობის გამოსწორებას.

პირველი და აშკარა დაბრკოლება ბავშვის ძალადობისგან დასაცავად არის საზოგადოების მიდგომა ასეთი ფაქტების მიმართ. საზოგადოებას არა აქვს სწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ფიზიკური ან/და მორალური ზიანი შეიძლება მიადგეს ბავშვს მასზე მშობლის (მშობლების) ან გარეშე პირების მხრიდან განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში. ბავშვზე ფიზიკური ძალადობა არ არის აღქმული როგორც დანაშაული, ხშირად ჩვეულებრივ მოვლენასაც წარმოადგენს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითმენს მოძალადის მხრიდან შეურაცხყოფას, ეშინია იმის გაცხადება, რომ მის მიმართ ძალადობენ, რადგან იცის, რომ საზოგადოება მის პოზიციას არ გაიზიარებს.

სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა განცხადება, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანი გოგონას მიმართ მამის მხრიდან ძალადობის ფაქტებს (ვრცლად იხილეთ დანართი # 1)

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვმა რამდენჯერმე გააფრთხილა ნათესავები იმის შესახებ, რომ მამას მის მიმართ სექსუალური ძალადობის მცდელობა ჰქონდა და ფიზიკურ შეურაცყოფასაც აყენებდა, მისთვის დახმარება არავის აღმოუჩენია.

გოგონასა და მისი და-ძმის მხრიდან წინააღმდეგობამ მამა-შვილის ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა; მიუხედავად ამისა, მამა კვლავ ვერ ფარავდა ქალიშვილის მიმართ სექსუალურ ინტერესს;

ერთი თვის შემდეგ მსხვერპლმა ახლო ნათესავის დახმარებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს. განცხადებაში გოგონა დაუფარავად აღწერდა მომხდარს. საქმე შემდგომი შესწავლისა და რეაგირების მიზნით გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. ნათესავების ზეწოლის გამო ბავშვი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სახლში.

ცოტა ხანში მოვლენები სხვაგვარად წარიმართა: გოგონას ნათესავმა, რომელიც თავიდან ინიციატორი იყო იმისა, რომ მსხვერპლს სახალხო დამცველისთვის

მიემართა, მოითხოვა, რომ საქმე პროკურატურაში არ აღძრულიყო, რადგან მსხვერპლის მამას არ გაეგო ამის შესახებ.

ხშირად, მსხვერპლს, მას შემდეგ, რაც ის დახმარებისთვის მიმართავს შესაბამის ორგანოებს, კვლავ მოძალადესთან ერთად უწევს ცხოვრება. მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ მწვავედება, როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება - მოძალადე მშობლის აგრესია ბავშვის მიმართ იზრდება და ის ბავშვისთვის უფრო სახიფათო ხდება.

ჩვენს მიერ აღნიშნულ შემთხვევაშიც, დაზარალებული თავის და-ძმასთან ერთად დედის გარეშე ცხოვრობდა მამასთან და კარგად იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც მომხდარის შესახებ განაცხადებდა, მისთვის და მისი და-ძმისთვის შეუძლებელი გახდებოდა მამასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. თავშესაფრის არარსებობა იყო მისთვის ერთ-ერთი ის დაბრკოლება, რატომაც მან შესაბამისი ორგანოებს დროულად ვერ სთხოვა დახმარება.

აღმწერი საქმის წარმოებაში მიღებისთანავე სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა რეაგირებისთვის შესაბამისი სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებს მიმართა. კერძოდ, შესაბამისი რეკომენდაციით მიემართეთ გენერალურ პროკურატურას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე 2007 წლის 14 მაისს ყვარლის შს რაიონულ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მამის მხრიდან არასრულწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე. ამავე წერილში მითითებულია, რომ მსხვერპლმა დაკითხვისას უარყო მის მიმართ ძალადობის ფაქტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალურ მუშაკთან საუბრის დროს ბავშვმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მამის მხრიდან სექსუალური ძალადობის მცდელობის ფაქტები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოსული პასუხიდან გამოვარკვეით, რომ ბავშვები - სამივე და-ძმა - გადავიდნენ ბებიის სახლში საცხოვრებლად.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი

შემაკავებელი და დამცავი ორდერი არის დოკუმენტი, რომელიც, საქმის საბოლოო შესწავლამდე, დროებით ზღუდავს მოძალადე მშობლის უფლებებს ბავშვის მიმართ. მხოლოდ ამ ორდერის არსებობის საფუძველზე შეუძლიათ სხვადასხვა თავშესაფრებსა თუ სარეაბილიტაციო ცენტრებს, იზრუნონ ბავშვზე მშობლის ნებართვის არარსებობის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ ბავშვმა მშობლის სურვილის გარეშე მოითხოვოს თავშესაფარი, აუცილებელია, არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვზე პასუხისმგებელი პირი

არ ახორციელებს თავის მოვალეობას და ზღუდავს ბავშვის უფლებას, მასთან ბავშვის დარჩენა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობა უპირობო საფუძველია იმისა, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით დაისვას მოძალადე მშობლისაგან მისი განცალკევების საკითხი. სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიების სახით დამცავი ორდერით არეგულირებს მოძალადე მშობლისაგან ბავშვის განცალკევების საკითხს.“

ძალადობის კვალის არსებობის დადასტურება მოითხოვს სახელმწიფო ექსპერტიზას, რაც ითვალისწინებს პროცედურებს, რომელთა დასრულებამდეც, შესაძლოა, ძალადობის კვალი გაქრეს.

აღნიშნულმა წესმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იმუშაოს, როდესაც არასრულწლოვანი მსხვერპლი ძალადობის მომენტში უკავშირდება პოლიციას და სთხოვს დახმარებას ან თუ ძალადობის კვალი (ფიზიკური დაზიანება) მძიმეა და სწრაფად არ გაქრება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ რთულ შემთხვევებში ბავშვს უჭირს სწორი და გააზრებული ნაბიჯების გადადგმა და შესაბამისი სტრუქტურებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება, რაც შემდგომში ართულებს მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევების საკითხს.

ბავშვის უფლებათა ცენტრში შემოსული განცხადებების უმრავლესობა სწორედ იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, როდესაც გამოძიების პროცესში არასრულწლოვანის დარჩენა მოძალადე მშობელთან არ იყო მიზანშეწონილი.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტზე მუშაობის პროცესში მივმართეთ რამდენიმე თავშესაფარსა და სარეაბილიტაციო დაწესებულებას (იგულისხმება არასამთავრობო ორგანიზაციები) და მივიღეთ პასუხი, რომ მათ მშობლის ნებართვისა და შემაკავებელი ორდერის გარეშე არ ჰქონდათ ბავშვისთვის თავშესაფრის მიცემის უფლება.

შემდეგი ინსტანცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იყო. როგორც მათ სეგვატყობინეს, სოციალურ მუშაკთან გასაუბრებისას ბავშვმა აღიარა მამის მხრიდან მის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში გადაცემაზე მუშაობა. თუმცა ბავშვების მეურვეობის საკითხი დღემდე დადგენილი არ არის, ისინი უბრალოდ გაერიდნენ მამას და საკუთარი ინიციატივით საცხოვრებლად ბებიასთან გადავიდნენ.

არის შემთხვევები, როდესაც პოლიცია ძალადობის ფაქტების არსებობის დროსაც კი თავს იკავებს შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მოთხოვნაზე. ამის მაგალითია

შემთხვევა, რომელიც ბავშვის უფლებათა ცენტრმა შესასწავლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2006 წლის ზაფხულში გადასცა.

საქმე ეხება ოჯახს, სადაც დედა და 14 წლის გოგონა ცხოვრობენ. აქ მდგომარეობა გაუსაძლისი იყო; დედასაც და ბავშვსაც ფსიქიკური პრობლემები აღმოაჩნდათ, დედა სათანადოდ ვერ ზრუნავდა ბავშვზე; ჩვენი მიმართვის შემდეგ, გოგონა მარტყოფის ბავშვთა სახლში მოათავსეს, დედას კი მისი სახლში დაბრუნება სურდა და რამდენჯერმე წამოიყვანა კიდევ გოგონა ბავშვთა სახლიდან. ბავშვს სახლში დაბრუნება არ სურდა და დედა-შვილის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. როგორც მეზობლები იხსენებენ, სახლიდან ისმოდა ჩხუბის ხმა, მუქარა; მეზობლებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს; ბავშვი აივანზე იდგა და შველას ითხოვდა; დედამ პოლიციის თანამშრომლები სახლში არ შეუშვა, ბავშვი აივნიდან გადმოიყვანეს და ბავშვთა სახლის დირექტორის თანხლებით უკან, მარტყოფში დააბრუნეს.

აღნიშნული ქმედება დედის ნებართვის გარეშე განხორციელდა, რადგან აშკარა იყო, რომ ოჯახში არსებული დამაბული მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა ბავშვის ჯანმრთელობას.

მიუხედავად იმისა, რომ დედისა და ბავშვის თანაცხოვრება უბრალოდ შეუძლებელია და საქმის შესწავლა უკვე ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს, დედის უფლების შეზღუდვის საკითხი არ დასმულა. კანონის თანახმად, მიუხედავად დედის მხრიდან რეალური საფრთხისა, მას დღემდე აქვს შვილის ბავშვთა სახლიდან წამოყვანის უფლება. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ითვალისწინებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. სამართალდამცავთა მხრიდან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მოქმედება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოფდა ბავშვის უსაფრთხოების გარანტიას, დედა კი შეიზღუდებოდა თავის ქმედებაში.

ამ პრობლემის არსებობას სწორედ საკანონმდებლო ხარვეზები განაპირობებს. არსებული პროცედურები ხშირად ჭიანჭურდება და შემდეგ უკვე რამდენიმე სტრუქტურას უწევს გამოსავლის ძიება ბავშვისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულისათვის ეფექტური და დროული დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელია, რომ პოლიციამ და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ძალადობის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ შეიტყოს.

ასეთ სისტემას არ შესწევს უნარი, არასრულწლოვანის ოჯახში ძალადობისგან დაცვა უზრუნველყოს. საჭიროა ამაღლდეს პოლიციის თანამშრომელთა კვალიფიკაცია ამ მიმართულებით და გაძლიერდეს მზრუნველობის ორგანოების სტრუქტურა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თვითონ საზოგადოებამ გააცნობიეროს თავისი როლი ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულია შემდეგი: „ფიზიკური და იურიდიული პირები,

რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულნი არიან ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებულნი არიან, გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“.

ამ მუხლის რეალური ამოქმედება და გამკაცრება ვალდებულს გახდის ძალადობის შემსწრე ნებისმიერ მოქალაქეს, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და ამით გაამყარებს ბავშვთა უსაფრთხოებას.

აღნიშნული მუხლის რეალური ამოქმედების აუცილებელი პირობაა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება ამ მიმართულებით - საგანგებო კამპანიების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და აქციების დაგეგმვა და ჩატარება, ელექტრონული და ბეჭდვითი მას მედიის ფართომასშტაბიანი ჩართვა ამ საქმეში. **გარდა ამისა, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ გულგრილობისთვის ის პასუხს აგებს კანონის წინაშე.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით: „ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობა მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, აგრეთვე არასრულწლოვანის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ან მის მიერ სხვა სამართალდარღვევათა ჩადენა (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე სპირტიანი სასმელების მიღება), – გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე. წვრილმანი ხულიგნობა ან ხულიგნობა, ჩადენილი თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდის მიერ გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე. **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ შეუტყობინებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით.**“

სახალხო დამცველის 2006 წლის მეორე ნახევრის ანგარიშის ბავშვის უფლებათა ნაწილში მოცემულია კონკრეტული საქმეები, რომლებიც მოიცავს ზემოხსენებულ ფაქტებს, აქვე აღსანიშნავია, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა რეაგირებისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ შესაბამის ორგანოში არის გადაგზავნილი. კერძოდ, 17 წლის ბ.ა-ს და და-ძმა ლ.ა-ს(12 წლის) და მ.ა-ს(15 წლის) საქმეების შესწავლით გამოვლინდა ის გარემოება, რომ ორივე ოჯახის შემთხვევაში ბავშვები სასწავლო პროცესს მოწყვეტილები არიან

მშობლების გამო, ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ საქმეები გადაეგზავნა შესაბამის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრებში

და პოლიციის ორგანოებში. მ.ნ-ას, ლ.ს-ის, გ.გ-ს, მ.პ-ს, ს.ბ-ას საქმეები ისეთი შემთხვევებია, როდესაც მშობლები არიან ალკოჰოლიკები და ამის გამო, თავად ბავშვებს უწევთ ქუჩაში ცხოვრება და მათხოვრობა. ამასთანავე აღნიშნულ საქმეებში იკვეთება მშობელთა მხრიდან ბავშვებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები.

შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოების, კერძოდ სამართალდამცავებისა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრების მხრიდან განხორციელებულ ქმედებებს ზემოხსენებულ ბავშვთა მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით არ მოჰყოლია ეფექტური შედეგი. ჩვენთვის მოწოდებული უკანასკნელი ინფორმაციის საფუძველზე, ბავშვები ცხოვრებას განაგრძობენ იმავე პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა იძლევა გარკვეული დამცავი ქმედებების განხორციელების საშუალებას, იგი საკმაოდ დაუხვეწავია ამ მიმართულებით და არ აძლევს რეაგირებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს ზუსტ განსაზღვრებას იმ ქმედებებისა, რომელიც მათ მიერ უნდა იქნეს განხორციელებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის უფლებათა სრულფასოვანი დაცვა.

მეორეს მხრივ, რომ იყოს აღნიშნულზე პასუხისმგებელი სტრუქტურების დაინტერესება, ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მაინც შესაძლებელი იქნებოდა. ანუ მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მოქმედებები არ არის გაწერილი, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობაში გაფანტული სხვადასხვა ნორმებისა თუ მუხლების მოშველიებით მიღებულ იქნას ზომები და აღიკვეთოს ბავშვის უფლებადარღვევის შემთხვევები.

ამკარაა, რომ დღეს რეაგირება, პასუხისმგებელი ორგანოების კეთილ ნებასაა მინდობილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის მუხლი არ მოქმედებს. გულგრილობისთვის, ჯერჯერობით, არავინ დაჯარიმებულა. თუმცა კი ზემოთ აღწერილი შემთხვევიდან ნათლად ჩანს, რომ ბავშვი ნათესავებისგან ითხოვდა დახმარებას და მათი ადეკვატური რეაგირების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა შემდგომში განვითარებული უმძიმესი მოვლენების თავიდან აცილება. საქმის შესწავლის პროცესში ერთხელაც არ დასმულა საკითხი აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა როგორც კანონის დახვეწა და გამკაცრება, ასევე შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურების გადამზადება ამ მიმართულებით.

როგორც აღვნიშნეთ, ბავშვის მშობლისგან განცალკევება, ძალადობის ფაქტის არსებობის ამკარა შემთხვევებშიც კი, ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ შემთხვევების შესწავლა, როგორც წესი, ძალიან ჭიანჭურდება.

პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირად გაურკვეველია, ვის ეკისრება ბავშვის უსაფრთხოების კონტროლი და პასუხისმგებლობა მის ჯანმრთელობაზე საქმის შესწავლის პროცესში. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ეს მოთხოვნა არ ხორციელდება.

აქედან გამომდინარე ბავშვი მშობლის ძალადობის მსხვერპლი მაშინაც კი ხდება, როდესაც საქმე შესასწავლად უკვე გადაეცა შესაბამის სტრუქტურებს.

სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო მოხსენებებში არაერთხელ მოითხოვდა რეაგირების ვადების განსაზღვრას. 2006 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში გაკეთდა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საქმის წარმოების ვადების შემცირებას, როდესაც საქმე არასრულწლოვანს შეეხება, რადგან სწრაფი რეაგირება ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს; 2006 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ბავშვის იძულებითი მათხოვრობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში უნდა დადგინდეს სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირების მკაცრად განსაზღვრული ვადები. ბავშვის ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ რეაგირება იყოს რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური. სახალხო დამცველმა ამავე მოხსენებაში რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა კონკრეტულად განსაზღვრულიყო რეაგირების მექანიზმები და ორგანოები, რომლებიც ვალდებული არიან, დაიცვან ბავშვები მოძალადე მშობლებისგან. აქვე მითითებული იყო, რომ აუცილებელია, დაწესდეს რეაგირების უმოკლესი ვადები, როდესაც დანაშაული სახეზეა, ან/და არსებობს მისი არსებობის საფუძვლიანი ეჭვი;

აუცილებელია, დადგინდეს და კანონით განმტკიცდეს პირველადი ზომების მიღების პერიოდი და გამოიკვეთოს კონკრეტული სტრუქტურა, რომელიც საქმის შესწავლის პროცესში პასუხისმგებელი იქნება დაზარალებულის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ამას კი, საქართველოს კანონმდებლობა ჯერჯერობით არ ითვალისწინებს.

ასეთი სამსახურის არსებობა შეამცირებს ძალადობის მსხვერპლისთვის ზიანის მიყენების რისკს სახელმწიფო სტრუქტურაში განაცხადის შეტანის შემდეგ. ბავშვი, რომელიც ითხოვს დახმარებას, ამბობს რომ მას სცემენ, სასტიკად ეპყრობიან ან ძალით ამათხოვრებენ, სახელმწიფომ ფაქტის გაცხადებისთანავე უნდა დაიცვას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, შემთხვევა, როდესაც სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრს განცხადებით მომართა ქ.თბილისის „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის“ დირექტორმა, ქეთევან კობალაძემ (ვრცლად იხილეთ დანართი # 2).

საქმე ეხებოდა 2000 წელს დაბადებულ უ.ა.-ს, რომელიც ზემოხსენებულ ცენტრში მოხვდა და ექიმის დათვალიერების შედეგად მას სხეულისა და სახის არეში აღმოაჩნდა მრავალი დაზიანება. თავად ბავშვი მიუთითებდა, რომ დაზიანებები მას დედამ და დეიდამ მიაყენეს. უ.ა. აღნიშნავდა, რომ დედა და დეიდა მას აიძულებდნენ მათხოვრობასა და მათთვის ფულის მოტანას. აღნიშნულ საქმეზე ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ შედგა ოქმი, ხოლო საქმესთან დაკავშირებულ პირებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები. თავად ბავშვი ითხოვდა დახმარებას და კატეგორიულად არ

სურდა სახლში დაბრუნება. საქმის მასალები შესასწავლად და შესაბამისი რეაგირებისთვის სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა

გადააგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტსა და გლდანინამალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრში.

მეორე დღესვე, მიუხედავად ბავშვის წინააღმდეგობისა, დედამ იგი ძალით წაიყვანა სახლში. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოხდა ბავშვის დედასგან განცალკევება და წყნეთის ბავშვთა სახლში გადაყვანა, ხოლო იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც უ.ა. იმყოფებოდა სახლში, გრძელდებოდა ბავშვზე ძალადობა და ბავშვი აგრძელებდა ქუჩაში დგომასა და მათხოვრობას.

კრიტიკას ვერ უძლებს ის, რომ ძალადობის ფაქტის დადასტურების შემდეგ ბავშვი აგრძელებს იძულებით მათხოვრობას, შიმშილობს და უძლებს მშობლ(ებ)ისგან, ან ნებისმიერი სხვა პირისგან შეურაცყოფას, დამამცირებელ მოპყრობას და სისასტიკეს.

სახალხო დამცველის აპარატისთვის მსგავსი ფაქტები არაერთხელ გამხდარა შესწავლის საგანი.

აღნიშნული ხარვეზი მოქალაქეთა თვალში სახელმწიფო სტრუქტურების ქმედუნარიანობას ეჭვქვეშ აყენებს, აქვეითებს მათდამი ნდობას, ხოლო მიმართვები უდავოდ კარგავს ყოველგვარ აზრს.

სტიგმა

სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად მიიჩნია კიდევ ერთი გარემოების აღნიშვნა; ოჯახური ძალადობის ფაქტს ყველაზე მეტად თავად დაზარალებული ძალავს; ის როგორც წესი გვთხოვს, საქმე ანონიმურად და მაქსიმალურად გაუხმაურებლად შევისწავლოთ. ძალადობის მსხვერპლს, როგორც წესი, არ სურს, რომ მის ოჯახში არსებული მდგომარეობა გარეშე პირებისთვის გახდეს ცნობილი.

ანონიმურობას განსაკუთრებული სიმკაცრით მოითხოვს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, მით უმეტეს, თუ ამ შემთხვევაში სექსუალური მოძალადე მშობელი ან ოჯახის სხვა წევრია და ძალადობის ამ, ხალხის თვალში მეტად სამარცხვინო ფორმას კიდევ ინცესტის (სქესობრივი კავშირი სისხლის ნათესავეებს, ოჯახის წევრებს შორის) ფაქტიც თან ერთვის.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის 19-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ „ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შესახებ მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.“ . თუმცა აღნიშნული მუხლი არ არის კანონიერ ძალაში შესული.

სტიგმა საზოგადოების მხრიდან რომელიმე იმ პიროვნული თავისებურების ან ღირებულების მიუღებლობაა, რომელიც, ხალხის შეხედულებით, ამ საზოგადოების კულტურისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ არის მიმართული.

სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებით რთული ტაბუდადებული ფორმის ძალადობის (სექსუალური ძალადობა, ინცესტი) ფაქტის აღმოჩენა, მისი შესწავლა და მსხვერპლისთვის დროული დახმარება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მას, პირველ რიგში თვით ძალადობის მსხვერპლი მაღავს.

საზოგადოების მხრიდან აღნიშნული კატეგორიების სტიგმატიზაციასთან ბრძოლა ურთულესი პრობლემაა და დიდ დროსაც მოითხოვს. ამიტომ ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების გამოსწორებით უნდა დაიწყოს - კარგია, როდესაც მოქალაქეს შეგნებული აქვს, რომ მან უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან მასზე ან სხვა ადამიანზე განხორციელებული ძალადობის ფაქტის დადგენის, მისი შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით, მაგრამ უკეთესია, რეალურად მუშაობდეს კანონი, რომელიც ძალადობის ფაქტის დამალვისათვის მოქალაქეს პასუხს მოსთხოვს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსხვერპლს უჭირს ძალადობის ფაქტზე საუბარი და მისი გახსენება, მით უმეტეს როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლთან გასაუბრებას აწარმოებდეს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილების მქონე კომპეტენტური პროფესიონალი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ამ კუთხით და მას ბავშვი ენდობა. ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის რთულია უცხო ადამიანთან საუბარი, ხშირად ეს ბავშვისთვის სტრესის გამწვავებას იწვევს.

სასურველია, რომ ბავშვის გამოკითხვას, სოციალურ მუშაკთან ან ბავშვზე ზრუნვის სისტემის სხვა წარმომადგენელთან (ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოლოგი ან პედაგოგი) ერთად, ბავშვის თანხმობით, დაესწროს მისი ოჯახის ის წევრიც, ვისაც ის მეტად ენდობა.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის მსხვერპლის გამოკითხვა ხდებოდეს ამისათვის საგანგებოდ შემუშავებული კოდექსის დაცვით; პრაქტიკაში უნდა დაინერგოს „ინფორმირებული თანხმობის“ გამოყენება; გარდა ამისა, გამოკითხვას უნდა ჰქონდეს თავისი წესები, რომლებიც დაიცავს ბავშვს დამატებითი ტრავმისგან.

რეაბილიტაცია

საქართველოში მწვავედ დგას ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და შემდგომი დახმარების საკითხი. ძალადობის მსხვერპლი, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანი, საჭიროებს შემდგომ რეაბილიტაციას.

არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რეაბილიტაციის სავალდებულო ხასიათს, არ ავალდებულებს მშობელს, ბავშვი ასეთი დახმარებით უზრუნველყოს.

2007 წლის 25 მაისს ბავშვი საკუთარი მამინაცვალის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა (ვრცლად იხილეთ დანართი # 3).

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომელმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ადგილზე შეისწავლეს მდგომარეობა.

გოგონას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა სამედიცინო-გინეკოლოგიური და ფსიქოლოგიური დახმარება; იგი სასტიკად იყო ნაცემი.

თუმცა ბავშვისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან რესურსცენტრის წარმომადგენლის ვიზიტის შემდეგ დედა ბავშვთან ერთად გაუჩინარდა და ამ დრომდე მათი მოძებნა ვერ მოხერხდა. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რესურს ცენტრის უფროსმა გვაცნობა, ისინი განაგრძობენ ბავშვის ძებნას. აღსანიშნავია, რომ ამისათვის მათ პოლიციის ორგანოებისთვის არ მიუმართავთ. ბავშვის დედამ ვერ გააცნობიერა, რეაბილიტაციის გავლის აუცილებლობა თავისი შვილისთვის, ხოლო კანონი აღნიშნულთან დაკავშირებით პირდაპირ არ ავალდებულებს მშობელს უზრუნველყოს მისი სრულფასოვანი მკურნალობა.

სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებს კანონმდებლობა სრულფასოვნად ვერ არეგულირებს; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მოთხოვნის მიუხედავად, ვერ განხორციელდა ღონისძიებები ბავშვის ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობის რეაბილიტაციისთვის. მიუხედავად, იმისა, რომ ასეთი ტრამვის გადატანის შემდეგ არათუ ბავშვს, არამედ ზრდასრულ ადამიანსაც კი გაუჭრდება სპეციალური დახმარების გარეშე, ადაპტირება გარემოსთან.

* * *

ამდენად შესწავლილი მაგალითებიდან გამომდინარე ნათელი გახდა, რომ ბავშვზე ზრუნვის სისტემისა და ძალადობისაგან დაცვისთვის საქართველოში კიდევ მრავალი სამუშაოა ჩასატარებელი. ზემოთ აღნიშნული ხარვეზები ძალიან მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს. მათი დამუშავება და გამოსწორება მსხვერპლი ბავშვებისთვის სრულფასოვანი დახმარებისა და პრევენციის საშუალებას მოგვცემდა.

ასეთი ფაქტები, მართლაც რომ საგანგაშოა. თითოეული ბავშვის შემთხვევა რომელიც აღწერილია უმძიმესი ხასიათისაა. ძალადობა ზრდასრულ ადამიანზეც კი წარუშლელ კვალს ტოვებს, ხოლო ბავშვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის ფაქტები მოზარდი ფსიქიკისთვის განსაკუთრებით მწველად ასატანია, მითუმეტეს, რომ მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამები საქართველოში დახვეწილი არ არის და არათანამიმდევრულ ხასიათს ატარებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ძალადობის მსხვერპლები ხდებიან არც თუ ისე მცირეა, თუმცა ხშირ შემთხვევაში არ ხდება მსგავსი ფაქტების გამოვლენა, ვინაიდან არ არსებობს ამ პრობლემის მიმართ

სისტემური რეაგირების მექანიზმები. შესაბამისად, მრავალი შემთხვევა ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება, რაც საზოგადოებაზე ძალიან ნეგატიურად აისახება.

რეკომენდაციები

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს რესურსცენტრების როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გაძლიერება. კერძოდ, ყველა რესურსცენტრს დაემატოს კვალიფიციური სოციალური მუშაკები, რომლებსაც ზუსტად ეცოდინებათ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ფორმები.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ზუსტი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები იქნება ასახული.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სხვადასხვა საშუალებებით უნდა შეუწყონ ხელი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და განათლებას ბავშვის ოჯახური თუ სხვა სახის ძალადობისგან დასაცავად.
- საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს სპეციალურად ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის განკუთვნილი ალტერნატიული ზრუნვის სისტემის არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს მსხვერპლი ბავშვის უპირველესი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად სწრაფ დროში მისი უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, იმ დრომდე, სანამ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები არ დარწმუნდებიან იმაში, რომ ბავშვის ოჯახში დაბრუნება მისთვის უსაფრთხოა.
- ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს უპირობო საფუძველი იმისა, რომ ბავშვს დაუყოვნებლივ ჩაუტარდეს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებული არიან, გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდეს დამატება, რომლის საფუძველზეც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის შემთხვევაში, პირები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები და არ იმოქმედეს შესაბამისად, დაჯარიმდებიან. ვინაიდან პასუხისმგებლობა მითითებული

მუხლის დარღვევის შემთხვევაში სცილდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლებს და საჯარო სამართალს უკავშირდება.

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, აუცილებელია ზუსტად მიუთითონ რეაგირების ვადები საქმის წარმოებაზე, რომელიც არასრულწლოვან ძალადობის მსხვერპლ ბავშვს შეეხება:
 1. თუ ნათელია, რომ მდგომარეობა საგანგაშოა და არსებობს რისკი იმისა, რომ ბავშვს მიაღება ზიანი, შესაძლებელი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში ბავშვის გადაყვანა მისთვის უსაფრთხო ტერიტორიაზე.
 2. თუ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ბავშვი ოჯახში არის ძალადობის ქვეშ, საკითხის პირველადი შესწავლა უნდა მოხდეს ერთი კვირის ვადაში, რათა გადაწყდეს, თუ რამდენად სახიფათოა ბავშვის მდგომარეობა.
- წინადადებით მიმმართველ საქართველოს პარლამენტს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმად, ამავე კანონის მეექვსე თავის 19-ე მუხლი ამოქმედება დაუყოვნებლივ;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჭიროა უზრუნველყონ, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან გასაუბრებას აწარმოებდეს პირი, რომელიც ამისათვის სპეციალურად იქნება მომზადებული.

ბავშვთა სახლები

2007 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა დეტალური შესწავლა ჩაატარა საქართველოს 7 ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში - ლაგოდეხის ობოლ და მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში, ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონში, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის ობოლ და მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა თავშესაფარში, წყნეთის ბავშვთა სახლში, ახალციხის სკოლაში (ღია ტიპის პანსიონი - სხვადასხვა უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვებისთვის), სანატორიუმ გაზაფხულსა და არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვი და გარემოს ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „ბელურებში“ რომელიც ე.წ. „ქუჩის ბავშვებისთვის“ არის განკუთვნილი.

ზემოთ ჩამოთვლილი სახლების მონიტორინგი უკვე მეორედ ჩატარდა და ამჟამად უფრო დეტალურ ხასიათს ატარებდა. შესწავლილ იქნა ბავშვების საცხოვრებელი პირობები, მათი განათლების საკითხი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა. ასევე გამოკითხულ იქნა ინფორმაცია აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

საცხოვრებელი პირობები:

შემოწმებული არცერთი ბავშვთა სახლი არ აკმაყოფილებს ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს. შენობების უმრავლესობა დანგრევის პირასაა. გამოკითხვის თანახმად თითქმის ყველა დაწესებულებაში 2003-2005 წლებში შენობებს ჩაუტარდათ კოსმეტიკური რემონტი, თუმცა აშკარაა, რომ აღნიშნული სამუშაოები საკმარისი არ აღმოჩნდა, ვინაიდან შენობები ძალიან ძველი და ამორტიზებულია. საქართველოში ბავშვთა დაწესებულებებში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება არ ხდება, წლების მანძილზე პრობლემებმა ამ მიმართულებით უფრო იმატა. მიუხედავად იმისა, რომ სახლებში მომუშავე პერსონალი ცდილობს შეინარჩუნოს სისუფთავე, არსებული პირობები ხშირად ამის საშუალებას არ იძლევა. გაფუჭებული ონკანები, დანგრეული ვანა-ტუალეტები, მოუწესრიგებელი საკანალიზაციო მიწები, გამონგრეული კედლები დერეფნებში - ეს არის ჩვეულებრივი სურათი, რომელსაც დათვალეირების დროს ვხვდებით. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი, თუ სოციალური განვითარებისთვის. სახელმწიფო კი თავისმხრივ, ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ ვალდებულების განხორციელების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უკვე სამი წელია ახორციელებს ბავშვთა სახლების მონიტორინგს. ამ პერიოდის განმავლობაში თითქმის არცერთ მათგანში მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ყოველ აღმოჩენილ კონკრეტულ დარღვევებთან დაკავშირებით სახალხო დამცველი მიმართავს რეკომენდაციით საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევები, როგორც წესი ერთი და იგივე ხასიათს ატარებს.

მაგალითად მონიტორინგის დროს ერთ-ერთ დაწესებულებაში ყურადღება მიიქცია ე.წ. „ფანტაზიის“ ოთახმა, სადაც ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოებია მოთავსებული. ოთახი წარმოადგენს შუშაბანდს და შესაბამისად, იქ მოთავსებული სათამაშოების დათვალიერება გარედანაც არის შესაძლებელი. თვითონ ოთახი ჩაკეტილია და ბავშვებისთვის მიუწვდომელი, რაც აღმზრდელების მიერ იმით იყო ახსნილი, რომ ბავშვები სათამაშოებს სწრაფად აფუჭებენ. ანუ, პერსონალი არ უარყოფს, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილი ნივთებზე ხელმისაწვდომობა მათ მიერ შეგნებულად და დაუფარავად არის შეზღუდული. (ვრცლად იხილეთ დანართი #5)

სამედიცინო მომსახურება:

შემოწმებული იქნა სამედიცინო კაბინეტები და სამედიცინო დოკუმენტაცია. შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი დარღვევები სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასა და მედიკამენტებით უზრუნველყოფაში.

ეწრის ბავშვთა თავშესაფარში მონიტორინგის დროს ჩაკეტილი იყო ექთნის ოთახი, სადაც მოთავსებულია პირველადი საჭიროების მედიკამენტები. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, სამედიცინო ოთახის გაღება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, შეკითხვაზე, თუ რა ღონეს მიმართავენ აღმზრდელები, თუ ბავშვი რაიმეს დაიზიანებს ან უბრალოდ სიცხე აუწევს, მათ განგვიმარტეს, რომ მიმართავენ ადგილობრივ სასწრაფო დახმარებას. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ სამედიცინო ოთახის არსებობის საჭიროება საერთოდ ეჭვქვეშ დგება.

ცენტრის თანამშრომლები, პაციენტის უფლებათა დაცვის ცენტრის მთავარ ექსპერტთან, ირმა მანჯავიძესთან ერთად მონიტორინგის წარმოების პროცესში გაეცნენ სამედიცინო დოკუმენტაციას სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბეს სკოლა-პანსიონში (ვრცლად იხილეთ დანართი #4).

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ექთნის მიერ წარმოებული წამლების რვეულში არსებული ჩანაწერები არ ემთხვეოდა ექიმის მიერ აღსაზრდელების ჯანმრთელობის ბარათებში მითითებულ ჩანაწერებს. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს. სააგენტომ შესწავლით დაადგინა, რომ სიღნაღის რაიონის სოფ. ზემო ბოდბის სკოლა-სანსიონის ექიმი არის სერტიფიცირებული სპეციალობაში - „შინაგანი სნეულებანი“, ეწევა უკანონო საექიმო საქმიანობას სპეციალობაში - „პედიატრია“, ანუ ექიმს პედიატრად მუშაობის უფლება არ ჰქონდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეივსო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაეცა სიღნაღის სასამართლოს, ასევე დაისვა საკითხი სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე: „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაწესებულების

ექიმის პასუხისმგებლობის შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, ექიმს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი 1000 ლარის ოდენობით. იმის გამო, რომ ამჟამად ექიმი იმყოფება სადეკრეტო შვებულებაში, მასზე სხვა ღონისძიებების გატარება ჯერ-ჯერობით არ გადაწყვეტილა.

სააგენტომ ასევე დაწესებულებაში დააფიქსირა ექთნის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე წამლების გაცემის ფაქტი. დაისვა საკითხი „ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონის“ დირექტორის წინაშე, განიხილოს ექთნის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ექთანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია რამდენად დაუცველი შეიძლება იყოს დახურულ ინსტიტუციაში მოხვედრილი ბავშვი და აღმზრდელთა, თუ ბავშვთა სახლის სხვა თანამშრომელთა მიერ ირღვეოდეს მათი სხვადასხვა ტიპის უფლებები. ამ შემთხვევებში კი საუბარია, ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე მუხლით განსაზღვრული ბავშვის უფლებაზე, უზრუნველყოფილი იყოს პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარებით, გარდა ამისა კონვენციის 30-ე მუხლი ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, დასვენებასა და თავისუფალ დროზე, ასევე ასაკისათვის შესაფერის თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობაზე.

ბავშვის უფლებათა ცენტრის ბავშვთა სახლების მონიტორინგის კითხვარი მოიცავს ისეთი ტიპის შეკითხვებს, რომლის საშუალებითაც ვლინდება აღმზრდელების უნარ-ჩვევები, თუ როგორ მოქმედებენ ისინი, როდესაც ავლენენ და აწყდებიან ძალადობის ფაქტებს, როგორც ბავშვებს შორის, ასევე აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს შორის. დამაფიქრებელი და არადადამაჯერებელი იყო აღმზრდელების პასუხი იმის თაობაზე, რომ მათ დაწესებულებაში ძალადობის შემთხვევები არასოდეს დაფიქსირებულა და ამიტომაც ისინი არც საჭიროებენ განსაკუთრებულ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ ასეთ შემთხვევებში.

ზემოხსენებული კონკრეტული ფაქტები არის ბავშვის უფლებათა დარღვევის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, თუმცა საერთო დასკვნის გაკეთების შედეგად, კარგად ჩანს რეფორმებისა და ზოგადად პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა ბავშვთა სახლებში. საჭიროა ინერტულად დამკვიდრებული მიდგომის განახლება და მისი შეცვლა პიროვნების ღირსებასა და პატივისცემაზე ორიენტირებულ აღზრდის მეთოდზე.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ მიერ ევროპის საბჭოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „ჩვენი თვალით“. საგანმანათლებლო-გამაჯანსაღებელი-გასართობი ბანაკის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თავმოყრილ მოზარდებს დახმარებოდა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების შეთვისებაში, ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების გაცნობაში და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანს წარმოადგენდა ბანაკის მონაწილეთა დაახლოვება და ინტეგრაცია.

კონკურსის ჩატარების პროცესში გამოვლინდა, რომ შერჩეული ბავშვთა სახლის ბავშვების უმრავლესობას სერიოზული პედაგოგიური ჩამორჩენა ჰქონდათ, ზოგიერთმა ბავშვმა წერაც კი არ იცოდა. ბანაკის მიმდინარეობის პროცესში, იქ მოწვეული პედაგოგებისა და ტრენერების შეფასებით, აშკარა იყო, განსხვავება განათლების დონის თვალსაზრისით საჯარო სკოლის ბავშვებსა და ბავშვთა სახლის ბავშვებს შორის. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ გამონაკლისების გარდა, ხშირ შემთხვევაში, მათი ცოდნისა და სასწავლო პროგრამის დაძლევის მაჩვენებელი არადაამაკმაყოფილებელია.

აშკარაა, რომ ბავშვთა სახლების ადმინისტრაცია და თავად პედაგოგ-ადმინისტრატორები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, ხშირ შემთხვევაში კადრების გადახალისების საკითხის აუცილებლობაც დგება.

მნიშვნელოვანია საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რადგან ზოგიერთ ბავშვთა სახლში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები უკვე წარმოადგენს ბავშვის ისეთი უფლების დარღვევას, რომელიც გულისხმობს, იმას, რომ ბავშვი ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს ნორმალურ, სტაბილურ და ჰიგიენურ გარემოში.

აუცილებელია სამზრუნველო დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების დადგენა, რადგან სტანდარტის არსებობა, ბავშვების დაცვის და დაწესებულების კონტროლის მთავარი წინაპირობაა.

სახელმწიფოში მიმდინარე დენსტიტუციონალიზაციის პროცესი მისაღები და მისასალმებელია, აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობის შედეგად 2007 წლამდე 3 ბავშვთა სახლის ლიკვიდაცია განხორციელდა, 2007 წლიდან 2008 წლამდე კი დაგეგმილია 3 დაწესებულების ლიკვიდაცია და 3 მსგავსი ტიპის სახლის რეორგანიზაცია. გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ ბავშვთა სახლებში არარეინტეგრირებული ბავშვები დღემდე ცხოვრობენ ინსტიტუციებში და პრაქტიკულად ისინი იძულებულები არიან აიტანონ მძიმე პირობები და ზოგიერთ შემთხვევაში ღირსების შემლახავი მოპყრობა, გულგრილობა და დაუდევრობა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. მთელი საქართველოს მასშტაბით არის 50 საადმინისტრაციო დაწესებულება, რომლებშიც იზრდება და ცხოვრობს 4000მდე ბავშვი.

ზემოხსენებული პრობლემები მეორდება სახალხო დამცველის ყველა ანგარიშში მოყოლებული 2005 წლის მეორე ნახევრიდან, რომლებიც მოიცავენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუმცა მონიტორინგის შედეგად ჩანს, რომ ვითარება დღემდე გამოუსწორებელია.

ძალადობა ოჯახში

ძალადობა ოჯახში საზოგადოებისათვის დამანგრეველი საფრთხეა და ძალადობის გამოვლინების ყველაზე ფარულ და საშიშ ფორმას წარმოადგენს. საზოგადოებას ხშირად არ სურს, თვალი გაუსწოროს ამ პრობლემის რეალურ მასშტაბებს და ურჩევნია ჩათვალოს, რომ ოჯახის წევრებზე მხოლოდ ლოთი, ნარკომანი ან ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები ძალადობენ, ისიც გამონაკლის შემთხვევებში. სამწუხაროდ, ძალადობა არ ცნობს კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ საზღვრებს და შეიძლება ნებისმიერ საზოგადოებაში შეგვხვდეს. (გაეროს სააგენტოების გუნდი საქართველოში (UNDP, UNFPA, UNICEF, UNIFEM, RC Office), „ოჯახში ძალადობა და ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოში“, 2006)

ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები არიან. სამწუხაროა, რომ ქალი ყველაზე დაუცველი ოჯახშია და მის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი სწორედ ოჯახის წევრების მხრიდან ხდება. საზოგადოების ერთ ნაწილს ამ პრობლემის აღიარება უჭირს, ხოლო მეორე ნაწილი ამას აღიქვამს, როგორც პირად, ოჯახურ და არა, როგორც მწვავე სოციალურ პრობლემას.

ევროსაბჭოს მიერ ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ წვერი სახელმწიფოებისადმი გაკეთებულ რეკომენდაციებში (რეკ.№(2002)52) მინისტრთა კომიტეტი ადასტურებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალსა და მამაკაცს შორის უფლებამოსილებათა დაუბალანსებლობის შედეგი, იწვევს ქალის დისკრიმინაციას როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში და ურჩევს წვერ სახელმწიფოებს, შეხედონ ამ პრობლემას, როგორც გენდერული უთანასწორობის ყველაზე მწვავე გამოვლინებას.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გენდერული პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა თუ ეკონომიკა, თანაბარ შესაძლებლობებს შექმნის ქალისა და მამაკაცისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ოჯახში მათი სტატუსის გათანაბრებასაც შეუწყობს ხელს და ოჯახში ძალადობის გამოვლენას შეამცირებს.

2006 წლის 9 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, თუმცა მისი ცხოვრებაში გატარება და სრულყოფილი ამოქმედება რთული აღმოჩნდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა მონიტორინგის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს მიზანია, განახორციელოს მონიტორინგი კანონის იმპლემენტაციაზე და გამოავლინოს არსებული ხარვეზები, შეიმუშაოს რეკომენდაციები კანონის შემდგომი სრულყოფისათვის.

ზემოაღნიშნული კანონის ძალაში შესვლიდან გასულია ერთი წელი. ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ კანონის იმპლემენტაციისათვის, შეიქმნათუ არა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვის რეალური მექანიზმები, გამოგვევლინა ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონის ეფექტურობის გაზრდას. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა რამდენიმე პრობლემა. მათ შორის:

- მოქმედ კანონმდებლობაში სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით არსებობს ხარვეზები. კერძოდ, ეს შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების ზედამხედველობას გულისხმობს.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა პოლიციის თანამშრომლების მიერ ძალადობის ფაქტის დაფიქსირების, მხარეების დაშორების შემდეგ და წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებით ღონისძიებას. თუმცა, დღეს არსებული კანონმდებლობით, ამ ორდერის დარღვევისას მოძალადეს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. აუცილებელია, კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც შემაკავებელი ორდერის შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებს პასუხისმგებლობას.

დამცავ ორდერს გამოცემს სასამართლო, რომელიც ადგენს, თუ რა ეკრძალება მოძალადეს მსხვერპლთან მიმართებაში. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს“. მიგვაჩნია, რომ ეს მუხლი საჭიროებს გარკვეულ ცვლილებას.

კერძოდ, დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის პრიორიტეტული, ვინაიდან ხშირად ადგილი აქვს ისეთ ქმედებებს, რომლებშიც არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობა. იგულისხმება ისეთი ტიპის დარღვევები, რომლებიც არ არის გამოხატული უხეში ფორმით, არ იწვევს მნიშვნელოვან ზიანს და ა.შ. ასეთი დარღვევებისათვის სრულიად უსამართლო იქნებოდა პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ მოძალადის მიერ დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისას დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის საკითხი არის დროში ბევრად უფრო გაწელილი და რთული პროცედურა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოსამართლეს მისცემს საშუალებას, უფრო ოპერატიულად გადაწყვიტოს საკითხი.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისაგან და ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეებისაგან. ჯგუფის მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებებს.

საქმეს ისიც ართულებს, რომ თითოეული უბნის ინსპექტორი 5 ათასამდე მოსახლეზეა პასუხისმგებელი და ასეთი რაოდენობის მოქალაქეთა მომსახურება და მათი მუდმივად დაცვა თითქმის შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ უბნის ინსპექტორები არა მხოლოდ ოჯახურ ძალადობაზე, არამედ სხვა საქმეებზეც არიან პასუხისმგებლები.

ასევე ხშირია შემთხვევები, როცა მსხვერპლი თავად არ არის წინააღმდეგი, მოძალადესთან კვლავ იქონიოს ოჯახური ურთიერთობები.

- თანასწორობის პრინციპი, რომელსაც მიღებული კანონი აღიარებს, პირველ რიგში მატერიალურ თანასწორობას გულისხმობს. ხშირად კი მსხვერპლი მატერიალურად მოძალადეზეა დამოკიდებული და მას ოჯახში დარჩენა თავშესაფრის შენარჩუნებისთვის უწევს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური დახმარების ეფექტური სამსახურის შექმნას, რომელიც რისკ-ოჯახებში სიტუაციის მონიტორინგისა და რეგულირების უზრუნველყოფას შეძლებს.

- არაეფექტურად ფუნქციონირებს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის აქტუალობა, როგორცაა ძალადობა ოჯახში, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სოციალური სამუშაოების ორგანიზებას, კერძოდ, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდის – სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვას მოითხოვს. სოციალური სამსახურის ძირითადი მისია ადამიანთა გარკვეული ჯგუფების კეთილდღეობის ამაღლებაა. ზემოაღნიშნული სამსახური უნდა ითვალისწინებდეს როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე ოჯახის, ადამიანთა ჯგუფების, ორგანიზაციებისა და საზოგადოების მოთხოვნილებებსა და მათში არსებულ პოტენციალს, თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს მათში არსებული რესურსების მობილიზაციას, პიროვნებათა და ადამიანთა ჯგუფების თვითშეფასების დონის ამაღლებასა და თვითრეალიზებას საზოგადოებაში.

კანონის მიხედვით, მუხლი, რომელიც გულისხმობს სოციალურ მომსახურებას, 2007 წლის 1 ივლისიდან უნდა ამოქმედებულიყო. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა განესაზღვრა სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმები და უზრუნველყო შესაბამისი სოციალური მუშაკის მომზადება.

კანონის მოთხოვნით, სოციალურმა მუშაკმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის (ოჯახური დავების მიზეზების შესწავლა, ანალიზი, რისკ-ჯგუფების გამოვლენა), დახმარების (მხარდაჭერა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელება), რეაბილიტაციისა და ძალადობის პრევენციის ღონისძიებებში, აწარმოოს მონიტორინგი დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულებაზე, დაესწროს სასამართლო პროცესს, რეკომენდაციები მისცეს ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებებისა და თავშესაფარში მოთავსების ვადების თაობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 9 თებერვალს #43/ო ბრძანებით შეიქმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში

ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომლის მიერ მომზადებულ იქნა სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისი სოციალური მუშაკის მომზადების კონცეფცია.

ვინაიდან საქართველოში არ არიან აკრედიტებული უმაღლესი განათლების მქონე სოციალური მუშაკები და არ არსებობს სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმები, მომზადებული კონცეფციით განისაზღვრა სოციალური სამსახურის ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩამონათვალი; ოჯახური ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკის პროფესიული სტანდარტის საფუძვლები; სოციალური სამსახურის მოწყობის პრინციპი და კონტინგენტის შერჩევის კრიტერიუმები; ოჯახური ძალადობის სპეციფიკის გათვალისწინებით სოციალურ მუშაკებად გადასამზადებელი ტრენინგის თემატიკა (ამ ეტაპზე საუბარია 20 სოციალური მუშაკის მომზადებაზე).

- კანონი სრულყოფილად ვერ არეგულირებს ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებს. იგი მიმართულია განცალკევებისა და დაცვისათვის აუცილებელი გადაუდებელი ზომების მიღებისაკენ. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვანია, ამასთან მიმართებაში ზოგიერთი საკითხი საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. კერძოდ, უნდა გამოიყვანონ თუ არა ბავშვი ოჯახიდან, სად მოათავსონ იგი, რამდენი ხნით, ვიზიტების რა რაოდენობა არის მიზანშეწონილი, როდის უნდა მოხდეს ბავშვის ოჯახთან შეერთება, რა მომსახურებები სჭირდებათ მას და მის მშობელს. ეს პროცესი ვერ მოგვარდება მხოლოდ სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების ჩარევით და მოითხოვს ამ პროცესში სოციალური სამსახურების ჩართულობას.

- დღესდღეობით არ არის სახელმწიფო თავშესაფრები, სადაც მოხერხდებოდა მსხვერპლის დროებითი განთავსება და მისთვის დახმარების გაწევა. ასევე მნიშვნელოვანია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, სადაც მოხდება მოძალადის მკურნალობა. კანონით თავშესაფრები და სარეაბილიტაციო ცენტრები 2008 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული იქნა თავშესაფარში მსხვერპლთა მიღებისა და მომსახურების აუცილებელი იურიდიული და სხვა ტიპის დოკუმენტაციის პაკეტი, თავშესაფრისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისთვის აუცილებელი კონკრეტული გაანგარიშებები და სტანდარტები. შესამუშავებელია სარეაბილიტაციო ღონისძიებების პოლიტიკა.

- სირთულეს წარმოადგენს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები. მართალია, დაზიანების ზედაპირული შემოწმება პოლიციის მიმართვის საფუძველზე უფასოა, მაგრამ, როგორც წესი, დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების დადგენისათვის სიღრმისეული სამედიცინო გამოკვლევაა საჭირო, რასაც ფინანსურად სახელმწიფო არ უზრუნველყოფს. ძალადობის მსხვერპლს კი ხშირად არ აქვს საშუალება, საკუთარი სახსრებით მიიღოს საქმისათვის ისეთი აუცილებელი მტკიცებულება, როგორც სამედიცინო დასკვნაა.

- საზოგადოებაში აღნიშნული კანონის შესახებ ცოდნის დონე არ არის მაღალი და საჭიროებს სრულმასშტაბიანი კამპანიის ჩატარებას. აქტუალურია მედიის როლი ოჯახური ძალადობის პრობლემის გაშუქების საქმეში; როგორ და რამდენად ეფექტურად, ხარისხიანად და ეთიკურად აშუქებს მედია ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ მწვავე საკითხებს.

- კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ვალდებულება კანონის ძალაში შესვლიდან ოთხი თვის ვადაში (2006 წლის 9 ოქტომბრამდე) შეემუშავებინა და დაემტკიცებინა სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერდა კანონის შესრულებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. აღნიშნული გეგმა, რომლის მოქმედება განისაზღვრებოდა 2006-2008 წლებით, შეიქმნა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მაგრამ არ იქნა დამტკიცებული განსაზღვრულ ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 აპრილის #185 განკარგულების შესაბამისად, ზემოაღნიშნულმა სამოქმედო გეგმამ ცვლილებები განიცადა და შემუშავდა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, თუმცა მისი დამტკიცება მხოლოდ 2007 წლის 30 ივლისს მოხერხდა, მას შემდეგ, რაც Amnesty International-ის მიერ გამოქვეყნდა საჯარო განცხადება (2007წ. 7 ივნისი), რომელშიც ორგანიზაცია უარყოფითად აფასებს გეგმის დაუმტკიცებლობას და მოუწოდებს ხელისუფლებას, „გამოიჩინოს მტკიცე ნება, რომ შეებრძოლოს ამ პრობლემას ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისა და მისი პრევენციისათვის საჭირო ზომების სამოქმედო გეგმის განახლებული ვარიანტის დროულად დამტკიცებით და მისი შესრულების დროულად დაწყებით“.

უნდა ითქვას, რომ მიღებული გეგმა არის შეკვეცილი და ზოგ შემთხვევაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არის დაუმთავრებელი. მაგალითად, პირველი მიზანი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, მაგრამ საქმიანობა არ ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე რიგ საკანონმდებლო აქტში შესატანი ცვლილებების მომზადებას და პარლამენტში წარდგენას.

გეგმა უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ მკაფიოდ გამიჯნავდა ფუნქციებს სამინისტროებს შორის, რადგან ზოგ ვალდებულებებზე ხდება გადაფარვა ან შემსრულებლად „საქართველოს მთავრობა“ მითითებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა და სამინისტროებს მისცეს საშუალება, თავი აარიდონ მათ შესრულებას.

ამასთან, გეგმა არ ითვალისწინებს 2008 წლის 1 იანვრიდან თავშესაფრის და სარეაბილიტაციო ცენტრის ამოქმედებას, რაც ნიშნავს, რომ არამარტო არ სრულდება კანონი, არამედ არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების პოლიტიკური ნება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით 2005 წელს დაფიქსირებულია ოჯახური კონფლიქტის 3254 ფაქტი (I ნახევარში -1785, II

ნახევარში – 1469), 2006 წელს – 3665 ფაქტი (I ნახევარში – 1910, II ნახევარში – 1755), 2007 წლის ექვსი თვის მონაცემებით - 1103 ფაქტი, დამტკიცდა - 274 შემაკავებელი ორდერი.

2007 წლის პირველ ნახევრის საპარტულო პოლიციის მონაცემები.

	I		II		III		IV		V		VI		სულ	
	ოჯახ. კონფლიქტ.	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ კონფ ლიქ.	შემაკ ორ-დერ	ოჯახ. კონფ ლიქტ	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ ლიქტ	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ ლიქტ	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ ლიქტ	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ ლიქტი	შემაკ. ორ-დერი
თბილისი	47		81	34	72	40	70	36	92	45	75	29	437	184
იმერეთი	26		14	2	14	9	17	3	17	1	10	4	98	19
კახეთი	2		5	4	6	-	4	-	4	1	2	-	23	5
შიდა ქართლი	7		11	4	8	4	6	3	17	5	7	2	56	18
ქვემო ქართლი	75		58	4	49	3	44	1	48	-	60	-	334	8
აჭარა	10		31	31	17	5	11	3	7	-	17	1	93	40
სამეგრელო ზემო სვანეთი	8		15	-	3	-	17	-	7	-	12	-	62	-
სულ	175		215	79	169	61	169	46	192	52	183	36	1103	274

აღნიშნული ციფრები პრობლემის რეალურ სურათს არ ასახავს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ოჯახური ძალადობა ჩვეულებრივ აღიქმება, როგორც პირადი, ოჯახური და არა, როგორც მწვავე სოციალური პრობლემა. ასევე, არსებული სურათი მოითხოვს პრობლემის უფრო ღრმა შესწავლას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემებით, 2006 წლის 9 ივნისიდან 2007 წლის ივლისამდე ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით 63 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება. აქედან 34 საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, დანარჩენი სასამართლო წარმოებაშია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ინფორმაციით, 2006 წლის 22 სექტემბრიდან, როდესაც შევიდა პირველი განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, 2007 წლის 1 ივლისამდე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შემოვიდა 22 განცხადება, აქედან 9 შემთხვევაში გამოიცა დამცავი ორდერი. ყველა შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენს ქალი, ხოლო ერთ შემთხვევაში იყო არასრულწლოვანი. 8 დამცავი ორდერი გამოცემული იქნა ოჯახში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, ხოლო ერთი – ფსიქოლოგიური ძალადობის აღკვეთის მიზნით.

2006 წლის 16 ნოემბრიდან 2007 წლის 1 ივლისამდე სასამართლოში შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით შემოვიდა 313 შუამდგომლობა. აღნიშნული

კანონის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად სრულად დაკმაყოფილდა 275 შუამდგომლობა, 5 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, უარი ეთქვა 31 შუამდგომლობას შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე, 2 საქმე შეწყდა.

ამასთან, სასამართლოში არსებული სტატისტიკის მიხედვით, დამტკიცებული შემაკავებელი ორდერები ოჯახის წევრის (მომალადის) მიერ ოჯახში სხვადასხვა ფორმით განხორციელებული ძალადობის აღკვეთის მიზნით 248 შემთხვევაში მიღებული იქნა ოჯახის მეორე წევრის (მსხვერპლის) – ქალის მიმართ, 25 შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა მსხვერპლი მამაკაცის, ხოლო 5 – ერთობლივად ქალისა და მამაკაცის მიმართ. გარდა ამისა, ორი შემაკავებელი ორდერი სასამართლომ დაამტკიცა არასრულწლოვნის, ხოლო 2 – ქალისა და არასრულწლოვნის მიმართ ოჯახის წევრის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე.

გარდა ამისა, სასამართლოს მიერ სტატისტიკური მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნული შემაკავებელი ორდერების დამტკიცება გამოწვეული იქნა მსხვერპლის მიმართ ყველა იმ სახის ძალადობის აღკვეთის მიზნით, რაც გათვალისწინებულია კანონით.

რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ერთდროულად ორი ან მეტი სახის იძულების ფაქტს. დღეის მდგომარეობით, დომინირებს ერთდროული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, რაც გამოხატულია ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი სხვადასხვა სახის მოქმედებებით, რასაც თან ახლავს მომალადის მხრიდან ფიზიკური ძალადობის განხორციელება.

განხორციელებულ ძალადობათა სახეობის რაოდენობრივი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა აღკვეთის მიზნით სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა შემაკავებელი/დამცავი ორდერი:

- ფსიქოლოგიური-ფიზიკური – 132;
- ფსიქოლოგიური – 121;
- ფიზიკური – 11;
- ეკონომიკური-ფიზიკური-ფსიქოლოგიური – 7;
- ეკონომიკური – 6;
- ეკონომიკური-ფსიქოლოგიური – 7;
- ფსიქოლოგიური-იძულების – 3;
- ეკონომიკური-ფიზიკური – 2;
- სექსუალური – 1;
- იძულების – 1;
- ფსიქოლოგიური-სექსუალური-იძულების – 1;
- ფიზიკური- ფსიქოლოგიური-იძულების – 1;
- ფიზიკური-ფსიქოლოგიური-სექსუალური – 1.

რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონით დადგენილ ვადებში – 2008 წლის 1 იანვრისთვის, ამ კანონის მე-8 მუხლის და VI თავის ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. კერძოდ, შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები და ჩაატაროს მოძალადეთა რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები. ამ მიზნით დამუშავდეს მიღებული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულებისთვის მკაფიოდ გაიმიჯნოს გეგმით გათვალისწინებული ფუნქციები სამინისტროებს შორის.
- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და მისგან გამომდინარე რიგ საკანონმდებლო აქტში შევიდეს ცვლილებები, რომელიც შემაკავებელი ორდერის შეუსრულებლობისთვის გაითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში

საქართველომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის სპეციალურ ანგარიშში მაღალი შეფასება მიიღო. სახელმწიფო პოლიტიკა, სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზა, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა ის ფაქტორებია, რომლებმაც განაპირობა საქართველოს შეფასებათა შკალის უმაღლეს საფეხურზე გადასაცვლება ისეთი ქვეყნებს შორის, როგორებიცაა ავსტრია, ბელგია, დანია, საფრანგეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი (სულ 30-მდე ქვეყანა).

„საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდში მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ტრეფიკერთა სისხლისსამართლებრივი დევნისა და მათზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი იყო წინსვლა როგორც ამ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და მათთვის დახმარების გაწევაში, ისე პრევენციის მხრივ გადადგმულ ნაბიჯებში. საქართველომ შეიმუშავა და აამუშავა მსხვერპლის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი, უზრუნველყო ქვეყანაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირველი თავშესაფარისთვის შენობის გამოყოფა, გამოყო სპეციალური დაფინანსება ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებისთვის, შეიმუშავა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, აქტიურად აწარმოა სისხლისსამართლებრივი დევნა და გაამკაცრა ამ დანაშაულის ჩადენისთვის დაწესებული სანქციები, ისე როგორც მოახდინა მრავალმხრივი და აქტიური პრევენციული პროგრამების ინიცირება“ - ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის ანგარიშში.

წინადადებული ნაბიჯები და მიღებული შედეგები არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო გათავისუფლდა ტრეფიკინგის პრობლემისგან. ეს უკანასკნელი საქართველოში კვლავ აქტუალურია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეაგირების უწყვეტ პროცესს.

ამ დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციისათვის, 2007 წლის 25 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, გარკვეულ უწყებებს დაევალებათ ქმედითი ღონისძიებების გატარება.

სამოქმედო გეგმა ე.წ. „3 P-ს“ პრინციპზეა აგებული, რაც მოიაზრებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნისთვის თანაბარი ყურადღების დათმობას. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნები და საქმიანობა სწორედ ამ პრინციპების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული და მათი შესრულება

საქართველოს ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით უნდა მიმდინარეობდეს.

სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო უფრო მეტ ყურადღებას უთმობდეს აღნიშნულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ხელს უწყობდეს მათ ჩაბმას მონიტორინგის პროცესში. მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც უშუალოდ მსხვერპლთან მუშაობენ, შესაძლებელს გახდის ტრეფიკინგის სიტუაციის უფრო ზუსტ შეფასებას.

ამავდროულად, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაერთონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგიის განხორციელებაში და ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით, საკუთარ სამოქმედო გეგმებში გაითვალისწინონ რეინტეგრაციის ცალკეული ღონისძიებების უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სისტემატურ მონიტორინგს - თითოეული უწყება ვალდებულია, სამ თვეში ერთხელ, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საკოორდინაციო საბჭოს.

აუცილებელია, ჩამოყალიბდეს შეფასების ინდიკატორთა სისტემა, რომლის საშუალებითაც მოხდება ანტი-ტრეფიკინგული ზომების განხორციელების, ეროვნული რეფერალური მექანიზმების ფორმატის, მონაწილე ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამუშაოსა და ანგარიშგების სისტემის შეფასება. ინდიკატორები უნდა მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ზომებს.

როგორც უკვე აღინიშნა, 2007-2008 წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა სამი ძირითადი ამოცანისგან შედგება. ესენია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია, ამ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა და დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი დევნა.

პრევენციის ერთერთი მნიშვნელოვანი მიზანია საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული კამპანია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, როგორც პრევენციული მექანიზმი. ამასთან, კამპანია უნდა იყოს მიმართული ტრეფიკინგის თავიდან აცილების უახლესი მეთოდების გაცნობასა და მათი დანერგვის ხელშეწყობაზე. კერძოდ, მნიშვნელოვანია ტრენინგების ჩატარება ისეთი მიზნობრივი ჯგუფებისათვის, როგორებიც არიან მესაზღვრეები, უბნის ინსპექტორები, ჯანდაცვის სისტემის მუშაკები, ჟურნალისტები და განათლების სისტემის თანამშრომლები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის არსისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ადამიანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა საქმიანობა: მომზადდა ვიდეორგოლი, რადიო და

სატელევიზიო გადაცემები, ბეჭდვითი საინფორმაციო მასალა, მოეწყო შეხვედრები და საჯარო დისკუსიები უმაღლესი განათლების დაწესებულებებსა (ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის, ადამიანთა უფლებების (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობით მომზადებული ვიდეორგოლის ეფექტურობა, მასში მითითებულ ცხელი ხაზების ნომრებზე შემოსული კითხვებისა და რჩევის მთხოვნელთა რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ მაღალი იყო.

მასმედიის წარმომადგენლებთან მუშაობა, ამ პრობლემის შესახებ მათი ცოდნის გაღრმავება მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჟურნალისტთა საფუძვლიან მომზადებას. კერძოდ, არამარტო ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ჩატარებას, არამედ ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე სასწავლო პროგრამაში ტრეფიკინგთან ბრძოლის თემატიკის შეტანას.

ადამიანებით ვაჭრობა სწრაფად გავრცელებადი გლობალური ფენომენია და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს ამ საფრთხის შესახებ. ადამიანებით ვაჭრობის და მისი შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო მედია საშუალებებია. ამასთან, ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებზე მუშაობის დროს უნდა არსებობდეს რიგი გარანტიები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რესპონდენტი ძალადობის მსხვერპლი ან/და არასრულწლოვანია.

ჟურნალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანით ვაჭრობის საკითხების გაშუქების დროს მნიშვნელოვანია მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვა. სწორედ ამიტომ, მსხვერპლის პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გაუმჟღავნებლობა ამ ადამიანის უფლებების დაცვის უპირველესი გარანტიაა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ამ დანაშაულის მსხვერპლთა/დაზარალებულთა წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხო დაბრუნება წარმოადგენს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით, 2007 წლის იანვარში ტრეფიკინგის მსხვერპლი უზბეკეთის მოქალაქის საქართველოდან წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხო დაბრუნება მოხდა. ამ დანაშაულში მსჯავრდებულს 2006 წლის დეკემბერში 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ასევე მოხდა რამდენიმე საქართველოს მოქალაქის უსაფრთხო დაბრუნება სამშობლოში და მათთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება. ერთ-ერთ საქმეზე წინასწარი გამოძიება დასრულებულია და საქმე განსახილველად სასამართლოშია წარმართული.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია, რომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები აწარმოებდნენ მიზანმიმართულ მუშაობას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარებისა და ტრეფიკიორთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. საკონსულო დაწესებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდნენ საქართველოს მოქალაქეთა (როგორც კანონიერად, ისე არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების) უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ასევე უნდა მიმდინარეობდეს აქტიური მუშაობა და მჭიდრო თანამშრომლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გამოუვალ მდგომარეობაში მოხვედრილ და ტრეფიკინგის მსხვერპლად იდენტიფიცირებულ პირთა დახმარების მიზნით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტები ძირითადად ფიქსირდება თურქეთის რესპუბლიკაში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელდა 9 ტრეფიკინგის მსხვერპლად იდენტიფიცირებული საქართველოს მოქალაქის დაბრუნება საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მათი საქართველოს საკონსულო დაწესებულებებისადმი მიმართვის შემთხვევაში, თუმცა უმეტესწილად ისინი თავს არიდებენ საკონსულო დაწესებულებებთან ურთიერთობას, რის გამოც მათი სრული აღრიცხვა გართულებულია.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებისა და რეინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და მათი ეფექტურად ამოქმედება. ამ ეტაპზე ჩამოყალიბებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის ჩარჩო პროგრამა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სპეციფიკის გაცნობის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ტრენინგ-ცენტრში მომზადებულ სასწავლო პროგრამაში ტრეფიკინგის საკითხებს ყურადღება ეთმობა როგორც სტაჟიორი პროკურორების სწავლების, ისე მოქმედ პროკურორთა გადამზადების პროცესში. ამასთან, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოწმის, მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლის და დაზარალებულის დაცვის სპეციალურ მექანიზმებსა და მათი ეფექტური განხორციელების თავისებურებებს. აუცილებელია, აქცენტი გაკეთდეს ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე.

არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი უდიდეს პრობლემად რჩება მსოფლიოში და უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს. ეს პრობლემა არც საქართველოსთვის არის უცხო და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც მიმართული იქნება არასრულწლოვანთა ვაჭრობის, მათზე ძალადობის წინააღმდეგ და მაქსიმალურად უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცულობას. კერძოდ, აუცილებელია ბავშვთა ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების შესახებ კვლევის ჩატარება, ტრეფიკინგის მცირეწლოვან და არასრულწლოვან მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის ზომების საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, არასრულწლოვანთათვის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და სრულყოფა.

ამასთან, აუცილებელია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ყველა გამოვლენილი ბავშვის (ობოლი, მზრუნველობამოკლებული, მრავალშვილიანი ან მარტოხელა მშობლების, სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები, ქუჩის ბავშვები) მდგომარეობის შესწავლა და მათი საჭიროების უზრუნველყოფა, რადგან ხშირად სწორედ ამ კატეგორიის ბავშვები იქცევიან ადამიანით ვაჭრობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც ატარებს კანონმდებლობის ანალიზს და ამზადებს ცვლილებებს კანონმდებლობაში. იგეგმება ბავშვთა პორნოგრაფიისა და ონლაინ პორნოგრაფიის გამოძიების თავისებურებების შესწავლა.

2007 წლის პირველ ნახევარში მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებს სახალხო დამცველის წარმომადგენელი, ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭა 4 პირს, 2 მათგანი მოთავსებულია თავშესაფარში. აღნიშნულ პერიოდში ფონდის თავშესაფარმა მომსახურება გაუწია 7 ადამიანს: 3 - დაზარალებული, 2 - მსხვერპლი; 2 - ბავშვი. რაც შეეხება მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარებას, საანგარიშო პერიოდში გაიცა კომპენსაცია ტრეფიკინგის ორ მსხვერპლზე.

2007 წლის 8 თვეში სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გამოძიება დაიწყო 22 სისხლის სამართლის საქმეზე.

განაჩენი დადგა 12 სისხლის სამართლის საქმეზე 15 პირის მიმართ. მათ შორის ერთ-ერთ მსჯავრდებულს, რომელმაც ორი ადამიანის, მათ შორის ერთი არასრულწლოვანის წინააღმდეგ ჩაიდინა ტრეფიკინგის დანაშაული, 2007 წლის 26 აპრილს სასამართლომ 26 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2007 წლის სტატისტიკური მონაცემებით ტრეფიკინგისთვის მსჯავრდებულთა საშუალო სასჯელი 13-14 წელია.

რეკომენდაციები

1. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისაკენ. აქცენტი უნდა გაკეთდეს დასაქმების პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი შრომის ბაზრის დაცვისაკენ.
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ უზრუნველყოს მის მიერ მიღებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ამ პრობლემაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფორმაციის გავრცელებაზე საქართველოს რეგიონებში.
3. საკოორდინაციო საბჭომ და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა ერთობლივად შეიმუშაონ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩატარების მეთოდები და განსაზღვრონ შეფასების კრიტერიუმები.

სამედიცინო მომსახურება

საქართველოში მოქმედი სამედიცინო-სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ

ქვეყნის სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა და სოციალური რისკების მართვა წარმოადგენს. შესაბამისად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ძალისხმევა ისეთი ინსტიტუციების ჩამოყალიბებისაკენ უნდა იქნეს მიმართული, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, შეიძინოს თითოეული რისკისაგან სოციალური დაცვა და უზრუნველყოს იმ მოქალაქეების ღირსეული ცხოვრება და სოციალური ინტეგრაცია, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო ასეთი დაცვის შეძენის უნარი არ შესწევთ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში დაწყებული გარდაქმნების შედეგად პრაქტიკულად გადაწყდა სამედიცინო მომსახურებისა და წამლებისადმი ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა. დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას ჯანდაცვის სამსახურებისადმი ეკონომიკური ხელმისაწვდომობისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის დეკლარაციის ეგიდით საქართველოს მთავრობამ ვალდებულებად აიღო ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში ასახოს ათასწლეულის განვითარების მიზნები (სულ 8 მიზანი) და უზრუნველყოს ამ მიზნების მიღწევა 2015 წლამდე. დეკლარაციის უმთავრეს (#1) მიზანს წარმოადგენს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა.

ათასწლეულის განვითარების მიზნებს შორის სამი (მიზანი 4, 5 და 6) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული. ჯანმრთელობის დაცვის ასპექტები მოაზრებულია აგრეთვე სხვა მიზნების ქვეშ. ამრიგად, მსოფლიო აღიარებს, რომ ჯანმრთელობა წარმოადგენს სიღარიბისა და კეთილდღეობის დონის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს.

2004 წელს გაერომ მოამზადა პირველი აგარიში “ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში”. ეს დოკუმენტი იუწყება, რომ საქართველოს მდგომარეობა ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით ძალზედ არასახარბიელოა, განსაკუთრებით კი პირველ მიზანთან მიმართებაში, რამდენადაც 2000-2005 წლებში სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში გაუმჯობესების ნაცვლად მნიშვნელოვნად გაურესდა, კერძოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა თუ 2000 წელს 51,8%-ს შეადგენდა, 2004 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 52,7%-ს მიაღწია. ასეთივე ტენდენციებია უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მიხედვითაც, 14,3%-დან (2000წ) 16,9%-მდე გაიზარდა (2004წ).

ჯანდაცვის პროგრამული უზრუნველყოფის დინამიკა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წინა წლებში პროგრამების დაფინანსების შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, როგორცაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ეროვნული მოხსენება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (2004 წელი, 2005 წელი)²¹ შესაძლოა გაანალიზდეს ჯანდაცვაზე პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემები.

2003 წელს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი 2002 წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა (69,4 მლნ. ლარიდან 77,0 მლნ. ლარამდე). შესრულებული სამუშაოს დაფინანსების მოცულობა კი პრაქტიკულად არ შეცვლილა - 58,2 მლნ. ლარი (2002 წ. 58 მლნ. ლარი), რაც დაგეგმილის 75,6%-ს მიაღწია. ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციისა და ეპიდკონტროლის სახელმწიფო პროგრამით შესრულებული სამუშაოს დაფინანსება დაგეგმილის 54%-ს შეადგენდა, სოციალური სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური რეფორმის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება - 50,4%-ს, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დაფინანსება კი 80,1%-ი იყო.

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დაუფინანსებლობა დღევანდელი დღის მოვლენას არ წარმოადგენს, მას ქრონიკული ხასიათი ქონდა. ჯერ კიდევ რეფორმის დაწყებამდე (1994 წელს) დამტკიცებული გეგმა შესრულდა 60,3% და დარგს დააკლდა 755.3 ათასი ლარი. ანალოგიური მდგომარეობა გაგრძელდა 1995 წელსაც და ურთულესი, რეფორმის სასტარტო წელი 10.2 მლნ ლარის დეფიციტით იქნა დამთავრებული. შედარებით გამოსწორდა მდგომარეობა 1996 წელს, როდესაც გეგმის შესრულების მაჩვენებელმა 91,2% მიაღწია, ხოლო დეფიციტი მხოლოდ 1.9 მლნ ლარი იყო. 1997-99 წლებში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების მაჩვენებელმა შემოსავლების ყველა წყაროს მიხედვით 60%-ს ვერ გადააჭარბა და რაც ყველაზე სავალალოა - დინამიკაში ადგილი ჰქონდა რეგრესს. 2000 წლიდან მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და პროგრამების დაფინანსებამ გეგმით გათვალისწინებულის 81%-ს მიაღწია, 2001 წელს კვლავ გაგრძელდა მატება (90,2%), თუმცა 2002 წელს დეფიციტმა 11,4 მლნ. ლარი შეადგინა. 2003 წლის საგეგმო დავალება მხოლოდ 75,6%-ით შესრულდა, რაც განპირობებული იყო როგორც ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერის (შესრულდა გეგმის 36,9%), ისე ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ურგენტული და ამბულატორიული პროგრამების დასაფინანსებლად გადმოსარიცხი თანხებისა და სპეციალური დაფინანსების (61,1%) გეგმიური მაჩვენებლების შეუსრულებლობით.

²¹ ეროვნული მოხსენება-საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 2004 წელი (თბილისი 2006წ), ეროვნული მოხსენება -საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2005წ (2007)

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება 2005 წელს წინა წელთან შედარებით 2,8%-ით შემცირდა, ვინაიდან ცალკე იქნა გამოყოფილი სამედიცინო დაწესებულებების ოპტიმიზაციის პროგრამა და მისი დაფინანსება თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.

2004 წელთან შედარებით 2005 წელს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება მხოლოდ 1%-ით გაიზარდა, მოსახლეობის ამბულატორული დახმარების პროგრამის დაფინანსება კი 6%-ით. მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამას დაემატა პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასწრაფო სამედიცინო დახმარება“ (9,4 მლნ.ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის დაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და საშუალოდ 93-96%-ი შეადგინა.

ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების დაფინანსება გაუმჯობესდა ქვეყნის ყველა რეგიონში, გარდა სამეგრელო-ზემო სვანეთისა (მუნიციპალური პროგრამების საერთო დაფინანსება შემცირდა 10%-ით), თბილისისა (დაფინანსება შემცირდა 15%-ით) და ქვემო ქართლისა (დაფინანსება შემცირდა 16,7%-ით). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მატება იყო აჭარაში (მუნიციპალური პროგრამების საერთო დაფინანსება გაიზარდა 75%-ით-2004 წელს) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (მუნიციპალური პროგრამების საერთო დაფინანსება გაიზარდა 50%-ით) .

2003 წელს მუნიციპალური პროგრამების საერთო დაფინანსების მაჩვენებელმა ერთ სულ მოსახლეზე 5,2 ლარს მიაღწია (2002 წელს – 5,1 ლარი), ცენტრალური პროგრამების დანა ხარჯებმა კი 13,5 ლარს (2002 წელს – 12,31 ლარი), სულ 18,7 ლარი, რაც 2002 წლის ანალოგიურ მონაცემებზე (17,36 ლარი) მხოლოდ 1,34 ლარით ანუ 7,7% ით მეტია . თუ ამას დავუმატებთ უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების ხარჯებსა და პარალელური სამსახურების მიერ გაწეულ ხარჯებს, 2003 წელს სახელმწიფო ჯანდაცვაზე ხარჯავდა 19,74 ლარს ერთ სულ მოსახლეზე. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯებმა მიაღწია ერთ სულ მოსახლეზე 1,80%-ს

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, მოსახლეობის მინიმალურად აუცილებელი სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ხარჯები წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე 34 დოლარი, ანუ სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე სულ მცირე 70 ლარი მაინც უნდა იყოს. დღეისათვის კი ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსებამ მიაღწია 37 ლარამდე.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელი ევროპის რეგიონში, მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირება იმ ძირითადი სტრატეგიების შესაბამისად, რომლებიც სამედიცინო მომსახურების მიწოდების ეკონომიკურ ეფექტურობას ზრდის. კერძოდ, სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტის შემუშავება, მართვის დეცენტრალიზაცია, საბაზრო მექანიზმების დანერგვა, სტაციონარული მომსახურების რეორგანიზაცია და პირველადი ჯანდაცვის

პრიორიტეტულობა, პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების არჩევის უფლება, მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა და ხარისხის გაუმჯობესება. უკანასკნელი წლების განმავლობაში უკვე განხორციელდა მრავალი ინსტიტუციონალური და ფუნქციური ცვლილებები, რომლებიც მიმართულია სათანადო დონის სამედიცინო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებაზე, მის ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობაზე.

პროგრამების მიმდინარეობის შეფასება

ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული პროგრამების შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა Welfare Foundation-ის მიერ მოწოდებული კვლევის შედეგები²² UNDP –ის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული პაციენტთა გამოკითხვის დასკვნები²³, რაც მოიცავდა პაციენტების პროგრამებში მონაწილეობისა და დაკმაყოფილების ხარისხს და ასევე მოწვეული ექსპერტის მიერ განხორციელებული კვლევის მონაცემები, რაც ითვალისწინებდა ჯანდაცვის ორგანიზაციების მხრიდან პროგრამული დაფინანსების შეფასებას.

პაციენტები –ჯანდაცვის პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად შევეცადეთ პასუხი მოგვეძებნა იმ კითხვებზე, რომელიც დგას მომხმარებლისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წინაშე. ვინაიდან, მოგვაჩნია, რომ ერთის მხრივ პროგრამებზე გამოყოფილი დაგეგმილი ბიუჯეტის რეალური შესრულება 40%-დან თუნდაც 80%-მდე წარმოშობს სიძნელეებს მოსახლეობის თითოეული მოქალაქისათვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის.

გამოკითხულ პაციენტთა ნახევარზე მეტი, თვითონ აფინანსებს მკურნალობის ხარჯებს. 8.7%-ს ჯანმრთელობის დაზღვევა უფარავს ხარჯებს, თითქმის ყოველ მეხუთეს (18.5%) ეხმარება ახლო ნათესავი ან მეგობარი, ხოლო გამოკითხულთა 29%-ის მკურნალობის ხარჯებს ფარავს სახელმწიფო პროგრამა.

ბოლო 12 თვის განმავლობაში (2006 წლის სექტემბრის თვისათვის), სპეციალური სამედიცინო დახმარების პროგრამებიდან, რესპონდენტთა 16.5%-მა გამოიყენა პოლისი, ხოლო 9.2%-მა კი 200 ლარიანი ვაუჩერი უფასო მშობიარობისთვის. ყოველმა მეოცე (4-5%) გამოკითხულმა გამოიყენა უფასო სასწრაფო დახმარება 03-ის სერვისი და უფასო კონსულტაციის მიღების უფლება.

- გამოკითხულ პაციენტთა თითქმის მესამედის სამედიცინო მომსახურება დაფინანსდა სახელმწიფო პროგრამების მიერ.

²² სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტის- სამედიცინო დახმარების მონიტორინგი, Welfare Foundation, 29 გვ. 2006 წელი

²³ ადამიანის უფლებათა დაცვა სამედიცინო მომსახურების პროცესში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პაციენტების უფლებების ცოდნისა და დაცვის შესახებ, თბილისი, 2007

თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანები არცთუ კარგად არიან ინფორმირებულნი სახელმწიფო პროგრამების შესახებ ვიდრე „პაციენტის როლში აღმოჩნდებოდნენ“.

რა იციან პაციენტებმა ზოგადად პროგრამების შესახებ სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულ შეღავათებსა და სახელმწიფო პროგრამებს შორის, პაციენტებს ყველაზე ხშირად სმენიათ სოციალური პროგრამებისა და შეღავათების შესახებ და შედარებით ნაკლები სიხშირით, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტების შესახებ.

ყოველი გამოკითხული ათი პაციენტიდან, შვიდს (70%) სმენია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის არსებული სოციალური პროგრამების შესახებ, ამ პროგრამით რესპონდენტების 0.8%-მა ისარგებლა.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტს სმენია შემდეგი სახელმწიფო პროგრამების შესახებ: მარტოხელა დაუსაქმებელ პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის, ომის ინვალიდებისთვის, დედ-მამით ობოლი ბავშვებისთვის, 18-წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და პერსონალური პენსიონერებისთვის.

გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილს (23.7%) სმენია ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის შესახებ, ასევე მცირე ნაწილმა იცის (23.3%) ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტით უზრუნველყოფის კომპონენტების შესახებ.

რესპონდენტთა 42.5%-ს სმენია იმუნიზაციის პროგრამის შესახებ. სხვა პროგრამებთან შედარებით, ყველაზე მეტმა პაციენტმა ამ პროგრამით ისარგებლა (5.9%).

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამებიდან, რესპონდენტები ყველაზე ხშირად სარგებლობენ იმუნიზაციის (5.9%) პროგრამით, მარტოხელა დაუსაქმებელი პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის შექმნილი პროგრამით (2.3%) და საკუთარი თხოვნის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ერთჯერადი დახმარებით.

- *პაციენტთა უმრავლესობას გაუგია სოციალური შეღავათებისა და დახმარებების შესახებ, მოსახლეობის ასეთი სახის ინფორმაციით დაინტერესება დაბალი შემოსავლებისა და სიღარიბის ზრდით უნდა აიხსნას.*

სამეანო პროგრამის მიმდინარეობის თავისებურებანი

Welfare Foundation-ის მიე ჩატრდა კვლევა სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში სამეანო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობისა და პროგრამის რეალური განხორციელების შესახებ.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად

აღიარა. 2004 წლიდან “სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში სახელმწიფომ თავის თავზე აიღო მშობიარობის ღირებულების ანაზღაურება. პროგრამის ფარგლებში ორსულ ქალებს (ორსულობის მე-13 კვირიდან) ეძლევათ სამეანო ბარათი (ე.წ. ვაუჩერი), რომელიც მათ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამშობიარო დაწესებულებაში უფასოდ მშობიარობის უფლებას აძლევს. ამავდროულად, სამეანო ბარათი ფარავს მხოლოდ მშობიარობისათვის აუცილებელ სამედიცინო მინიმუმს, ხოლო ყოველგვარ ე.წ. “დამატებით მომსახურებაზე” (როგორცაა ექიმის არჩევა, კვება, კომფორტული პალატა, ბავშვისა და დედის ჰიგიენური მოვლის საგნები), რომლის ღირებულებასაც ყოველი სამედიცინო დაწესებულება თავად განსაზღვრავს, სახელმწიფო ფინანსურ პასუხისმგებლობას პაციენტს აკისრებს. მშობიარეს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს “დამატებითი მომსახურების პაკეტის” შინაარსსა და ღირებულებას, და სურვილისამებრ დათანხმდეს მის მიღებაზე ან დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამეანო ბარათით გათვალისწინებული ე.წ. “უფასო” მომსახურებით.

მოსახლეობისთვის (მათ შორის, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის) კვალიფიციური სამეანო დახმარების ფინანსური, გეოგრაფიული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის შეფასების მიზნით.

ინფორმირებულობა სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ შეფასდა რიგი პრამეტრებით, კერძოდ კი კითხვაზე სმენიათ თუ არა სახელწოდება “სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის” შესახებ გამოკითხულთა 98% ზუგდიდში და გამოკითხულთა 92.7% ბათუმში იძლევა დადებით პასუხს. როგორც ირკვევა ინფორმაციის ძირითადი წყაროა ქალთა კონსულტაციები, თუმც კი მიღებული ინფორმაცია სამეანო ბარათით გათვალისწინებული შეღავათების შესახებ მწირია და არაზუსტი. ასე მაგალითად, ზუგდიდში აღებული სამეანო ბარათის მფლობელთა მხოლოდ 27% იცოდა რომ მისი ღირებულება 150 ლარს შეადგენდა, ხოლო ბათუმში აღებული სამეანო ბარათის შემთხვევათა მხოლოდ 40% რომ მისი ღირებულება 180 ლარს შეადგენდა. ასევე არასრულყოფილია ინფორმაცია იმ შეღავათებისა და ცვლილებების შესახებ რომლებიც შევიდა სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში 2006 წლის 1 ივლისიდან. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზუგდიდში გამოკითხულთაგან 29% აცხადებს, რომ ვაუჩერი აიღო უფასოდ, 51.3% აცხადებს, რომ ბარათის აღებისათვის მოუწია გარკვეული საფასურის გადახდა (2-20 ლარის ოდენობით), დანარჩენი 20% თავს იკავებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. რაც შეეხება ბათუმს, გამოკითხულთა 58% აცხადებს, რომ ვაუჩერი აიღო უფასოდ, 42% - თავს იკავებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. ასევე არავინ აკონკრეტებს, თუ ზუსტად რამდენი ლარის გადახდა მოუწიათ ვაუჩერის აღებაში.

საშუალოდ გამოკითხულთა 51% (44.3% ზუგდიდში და 57.3% ბათუმში) ფიქრობს, რომ სამედიცინო დაწესებულებაში სრულიად უფასოდ მშობიარობა შეუძლებელია, მათი აზრით მშობიარეს და მის ოჯახს თითქმის ყოველთვის უწევს გარკვეული თანხის გადახდა.

მშობირობაზე გაწეული სამედიცინო ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ ზუგდიდში თითოეული პაციენტის ოჯახმა მშობირობაზე საშუალოდ 187 ლარი (მინიმუმი 50, მაქსიმუმი – 700 ლარი) დახარჯა. რაც შეეხება ბათუმს, აქ დანახარჯი აღემატება ზუგდიდში საშუალოდ დახარჯულ რაოდენობას და შეადგენს თითოეულ ოჯახზე საშუალოდ - 418 ლარს (მინიმუმი 8, მაქსიმუმი 1350 ლარი). საყურადღებოა, რომ დახარჯული თანხის გადახდა არსებული ოჯახის სახსრებით, გამოკითხულთა მხოლოდ 58% შეძლო, დანარჩენ შემთხვევათა წილი კი შემდეგნაირად გადანაწილდა (25.3% მშობიარის ოჯახს მოუხდა ფულის სესხება, 4.0% საკუთრების გაყიდვა, 5.3% თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან).

სესხისათვის ძირითადად ნათესავს ან ახლობელს, კერძო პირს და მევახშეს მიმართავდნენ. დაახლოებით 5% მიმართა ბანკს ან ლომბარდს. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ეთქვათ უარი სესხის მიცემაზე მყარი შემოსავლების არქონა და დაბრუნების გარანტიის არარსებობა იყო.

- პაციენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად მშობიარის ოჯახს თითქმის ყოველთვის უწევს გარკვეული თანხების გადახდა (უმრავლეს შემთხვევაში რაიმეს გაყიდვის ან სესხის აღების გზით); საშუალოდ მშობიარობაზე გაწეული ხარჯები 1.5ჯერ აღემატება ოჯახის საშუალო თვიურ შემოსავალს როგორც ბათუმში, ასევე ზუგდიდში ჩატარებული კვლევების შედეგად.

. **Welfare Foundation-** მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე თუმცა კი გაიზარდა წინა კვლევასთან შედარებით, მაგრამ ინფორმაცია პროგრამების შესახებ – როგორც “სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის” ასევე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის არსებული შეღავათების შესახებ (კონკრეტულად რას გულისხმობს, რას ფარავს, შეტანილი ცვლილებების შესახებ) - ძალზედ მწირია. აუცილებელია ჯანდაცვის ხელისუფალთა მხრიდან უფრო მეტად ქმედითი ღონისძიებების ჩადება ნებისმიერი სახის ახალი კანონისა თუ პროგრამის ამოქმედებამდე, რათა შემდგომში მათი წარმატებით იმპლემენტაცია მოხდეს და ამ პროგრამით მოსარგებლე პირები დაცულნი იყვნენ ფინანსური რისკებისაგან. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული ჩრდილოვანი მხარეები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქტუალური და მოუგვარებელია. სახელმწიფო პროგრამები მხოლოდ იდეაში და ფურცელზეა უფასო, რაც შეეხება რეალურ სიტუაციას, როდესაც საქმე მათ განხორციელებასთან მიდის, მაშინ მოსახლეობის დაცვის მექანიზმები ან არ მუშაობს, ან ისინი იგნორირებულნი არიან.

ამიტომ, ჩვენის აზრით, მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი პროგრამის განმახორციელებელ და აღმასრულებელ მხარეებს შორის ურთიერთვალდებულებების და პასუხისმგებლობის საკითხი.

ჯანდაცვის ხელმძღვანელი მუშაკები და პროფესიონალი ექსპერტები პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა კითხვარი და შეფასდა საქართველოს ჯანდაცვის პროგრამების მიმდინარეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჯანდაცვის ორგანიზატორების წარმომადგენლების მიერ.

კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოში სამედიცინო-სოციალური პროგრამების მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება, მომხმარებლის რეალური საჭიროებებისა და პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების რაოდენობის შესაბამისობა.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა სოციოლოგიური კვლევისა და ექსპერტული ანალიზის მეთოდები. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა სპეციალური კითხვარით, რომელიც შეიცავს 18 კითხვას და განკუთვნილია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის. სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, მათ შორის რეგიონებიდან.

ექსპერტული ანალიზის მეთოდის გამოყენებით შეფასებული იქნა 2003 წლიდან დღემდე სამედიცინო-სოციალური პროგრამების მიმდინარეობა და გამოკვეთილი ძირითადი პრობლემები.

ჯანდაცვის ხელმძღვანელი მუშაკების გამოკითხვის საფუძველზე მიღებული იქნა შემდეგი მონაცემები:

1. კითხვაზე მოიცავს თუ არა პროგრამა მოსახლეობის საჭიროებებს რესპოდენტთა 45% უარყოფითად უპასუხა, 23% აღნიშნა, რომ მოიცავს ნაწილობრივ, 10% არ იცის, 22% აღნიშნავს, რომ მოიცავს.
2. კითხვაზე მოიცავს თუ არა პროგრამა მოსახლეობის მოთხოვნებს პასუხი თითქმის იდენტურია 48% უარყოფითი, 22% ნაწილობრივ, 8% არ იცის, 22% მოიცავს. დაგვიანებულ დაფინანსებას აღნიშნავს რესპოდენტთა 10,2%.
3. რესპოდენტთა უმრავლესობა 58% აღნიშნავს, რომ ლიმიტირებული დაფინანსება სერიოზულ პრობლემებს უქმნით სამედიცინო მომსახურების მიწოდების დროს.
4. მომხმარებლის მიერ სამედიცინო მომსახურების მიუღებლობის მიზეზად რესპოდენტთა უმრავლესობა 60% აღნიშნავს არაინფორმირებულობას და 34% სამედიცინო მომსახურების ტერიტორიულ პრობლემას-სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების მისაღებად რეგიონების მოსახლეობას უწევს სხვადასხვა მანძილზე გადაადგილება, რაც ფინანსურ, დროის და კლიმატურ-გეოგრაფიულ პრობლემებს უკავშირდება.
5. ძირითად პრობლემად პროგრამების მართვაში რანჟირებით პირველ ადგილზე არასწორი დაგეგმვა და მენეჯმენტი-52%, მეორეზე-მომზადებული კადრების დეფიციტი 25%, მესამეზე კომუნიკაციის დეფიციტი-23%.
6. პროგრამებში არა არის ასახული რეგიონალური თავისებურებები-კლიმატო-გეოგრაფიული, მიმოსვლის საშუალებები, სათანადო კადრები, მომხმარებელთან საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა აღნიშნულზე მიუთითებს რესპოდენტთა 68%.
7. არასაკმარისი დაფინანსება, განსაკუთრებით წლის ბოლოს დახმარებლის მიმწოდებელს უქმნის სერიოზულ პრობლემას მომხმარებელთან, ასევე

ჩნდება კონფლიქტების საფუძველი-აღნიშნულზე მიუთითებს რესპოდენტთა 78%.

8. უმწეოთა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების რაოდენობა არ შეესაბამება ლიმიტირებულ დაფინანსებას რაც ხშირად კონფლიქტისა და პაციენტთა უფლებების დარღვევის მიზეზი ხდება-აღნიშნავს რესპოდენტთა 52%-აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება განსჯის საგანი ვინაიდან მომხმარებელი ოფიციალური საჩივრისაგან თავს იკავებს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა პენსიონერი და ხანდაზმულია და აუცილებელი ხდება სრული პაკეტის გამოყენება-აღნიშნავს რესპოდენტთა 82%.
9. როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, საკმარისად რთულია, პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების ეფექტური მართვა, როდესაც ადგილი აქვს დაფინანსების დაგვიანებას და შეუსაბამობას ღირებულებასა და რაოდენობას შორის-აღნიშნავს რესპოდენტთა 62%.
10. რესპოდენტებმა ხუთბალიანი სისტემით შეაფასეს მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი-შედეგი ასეთია 3 ქულა-52%, 4 ქულა-48% სამედიცინო პერსონალის კმაყოფილების ხარისხი- 3 ქულა 55%, 4ქულა-43%, ქულა-2%., სამედიცინო დაწესებულების შესაძლებლობებისა და საქმიანობის შეფასება თვითშეფასების სისტემით 3 ქულა-45%,4 ქულა-55%.
11. ადგილობრივი მართვის ორგანოების ხელშეწყობა 2 ქულა-58%,3 ქულა-42%. რესპოდენტთა უმრავლესობა 56% აღნიშნავს რომ დასახვეწია პროგრამების მონიტორინგისა და შესრულებული სამუშაოს კონტროლის მექანიზმი და ფორმები. არ არის შემუშავებული თვითშეფასების ეფექტური მეთოდები.არ გამოიყენება საინფორმაციო სისტემის შესაძლებლობები, არ არის კონტაქტი და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მიმწოდებლებს შორის.

პროგრამების შესრულების ხარისხს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კვალიფიციური კადრები, რომელთა მწვავე დეფიციტზე მიუთითებს გამოკითხულთა დიდი ნაწილი 61,5% განსაკუთრებით რეგიონებში, ასევე დგას შრომის დაბალი ანაზღაურების პრობლემა.

რესპოდენტთა უმრავლესობა 54% აღნიშნავს, რომ პროგრამების მართვის სისტემა დასახვეწია, ვინაიდან ნაკლებად აძლევს თავისუფლებას დახმარების მიმწოდებელს, საჭირო შემთხვევაში შეიტანოს კორექტივი, როგორც რაოდენობაში ასევე ხარისხში. პროგრამა არ ტოვებს განვითარების შესაძლებლობას, ასევე არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხის ზრდის შესაძლებლობა.

ამრიგად ჩვენი გამოკვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პროგრამების დაგეგმვა და მართვა.

არ არის კოორდინირებული მონიტორინგისა და შეფასების სიტემები, კავშირი ქვემოდან ზემოთ (ანუ სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელობასა და სამინისტროს შორის პროგრამის მიმდინარეობის, განხორციელების სიძნელების, მომსახურების გაუმჯობესების რეალური გზების შესახებ; ასევე პროგრამების

მიმდინარეობა ადგილებზე გავლენას არ ახდენს ახალი გადაწყვეტილებების მიღებასა და პროგრამული უზრუნველყოფის ცვლილებებზე)

- სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფის შესახებ informacia არ არის ხელმისაწვდომი მოსახლეობის ფართო მასებისათვის. მასმედიის საშუალებებით არ ხდება პროგრამების შესახებ მოსახლეობის რეგულარული ინფორმირება
- სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტებს არ ეძლევათ ამომწურავი ინფორმაცია პროგრამის მოცულობის, გავრცელებისა და დაფინანსების შესახებ, ხოლო პროგრამული დაფინანსების ფორმებისა და მოცულობის სწრაფი ცვლა კიდევ უფრო ძნელებს სწორი ინფორმაციის გავრცელებას
- პროგრამების დაგეგმვისას არ არის გათვალისწინებული რეგიონული თავისებურებანი (მაღალმთიანი რეგიონებისათვის გამწვანებული მიმოსვლა და დამატებითი კომუნიკაციის ხარჯები) და მოსახლეობის საჭიროებანი, რაც გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე
- მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მხრიდან სამედიცინო დაწესებულებებში პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა.
- ლიმიტირებული პროგრამული დაფინანსების პირობებში სამედიცინო დაწესებულებას არ შეუძლია გაუწიოს სამედიცინო მომსახურე თვის ბოლოსათვის დადგენილი ფორმატით, რაც პაციენტების მხრიდან კონფლიქტის უზშირესი მიზეზი ხდება
- პროგრამული დაფინანსების დაგვიანება საშუალოდ თითქმის რამოდენიმე თვით აძნელებს პროგრამით მოსახლეობის დაკმაყოფილების მაღალი ხარისხის მიღწევას
- ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება გამწვანებულია მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირით, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში; დაბალი ანაზღაურება ვერ უქმნის სამედიცინო მუშაკს საკმარის მოტივაციას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის.
- ექსპერტთა ჯგუფის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ზოგიერთი სასიკეთო ცვლილებისა, საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ფინანსური ხელმისაწვდომობა კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. სახელმწიფოს მიერ მშობიარობაზე გამოყოფილი თანხა (150-200 ლარი ერთ შემთხვევაზე) კვალიფიციური სამედიცინო მოსახურებისათვის აუცილებელ სამედიცინო მინიმუმსაც კი ვერ ფარავს. რეალურად, მშობიარობა არათუ არ არის “სრულიად უფასო” (როგორც ეს “სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამაშია” გათვალისწინებული), არამედ ხშირად მშობიარის ოჯახისათვის ძნელად ხელმისაწვდომ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ექსპერტთა (მათ შორის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების) შეფასებით მშობიარობაზე სახელმწიფო ტარიფი მინიმუმ 500 ლარამდე უნდა გაიზარდოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშობიარობისათვის აუცილებელი სამედიცინო მინიმუმი.

რა შეიცვალა სამეანო დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით?!

უნდა აღინიშნოს, რომ სამეანო დახმარების კომპონენტმა გადაინაცვლა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამაში, რომელტა ბენეფიციარები შესაძლებელია გახდნენ, როგორც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრები (სარეიტინგო ქულა არ არემატება 70000) და მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეთ 400 ლარის ოდენობით ქ.თბილისში, ხოლო სხვა ქალაქებსა და რეგიონებში 300 ლარის ოდენობით, პათოლოგიური მშობიარობის შემთხვევაში 300-400 ლარის ოდენობით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამპროგრამის დებულების მიხედვით - იმ ორსულებს, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში, მაგრამ თავს თვლიან სოციალურად დაუცველ ღარიბებად და შესაბამისად სურვილი აქვთ უფასო მშობიარობის, ავსებენ სპეციალური განაცხადის ფორმას სსიპ -ის სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს რაიონულ განყოფილებებში, მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები უნაზღაურდებათ 200 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ასეთ პირობებში არა მარტო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანებისათვის არის ხელმისაწვდომი ვაუჩერი არამედ, ყველა იმ ადამიანისათვის ვისაც არ შეუძლია მშობიარობისათვის აუცილებელი თანხების დაფარვა, ამიტომაც გაუმჯობესდება სამეანო დახმარების ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხი.

მოსახლეობის უსაფრთხოება და პრევენციული ღონისძიებები ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით

2005 წლის დაავადებიათობისა და ავადობის წინა წლის მონაცემებთან შედარება ცხადყოფს, რომ ზოგადად ქვეყანაში დაავადებიათობაც და ავადობაც მომატებულია. 2005 წლის განმავლობაში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხული დაავადებების შემთხვევების რაოდენობა 11%-ით გაიზარდა.

2005 წლის განმავლობაში²⁴ აღირიცხა ვირუსული ჰეპატიტების 3869 შემთხვევა, რაც 1145 ერთეულით მეტია 2204 წელს აღრიცხულ შემთხვევებთან შედარებით. რეალურად შემთხვევები გაიზარდა 42%-ით. ეს გაუშიფრავი B და C ჰეპატიტების შემთხვევათა რაოდენობის მატებით არის გამოწვეული, რაც, თავის მხრივ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ შემთხვევათა სტანდარტული განსაზღვრების დანერგვის შედეგია. განსაზღვრების კრიტერიუმების დანერგვამ, გააუმჯობესა ჰეპატიტების დიაგნოსტიკა. ამრიგად B ჰეპატიტმა მოიმატა 442 შემთხვევიდან (2004წ) 751 შემთხვევამდე (2005წ), ხოლო C ჰეპატიტმა კი 442 -დან (2004წ) 961-მდე (2005წ).

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემად რჩება არასამედიცინო მანიპულაციების შედეგად ინფექციის გადაცემა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჰეპატიტის ვირუსი 100-ჯერ უფრო გადამდებია, ვიდრე შიდსი, ამასთან ჰეპატიტის ვირუსი გარემოში ძალიან გამძლეა.

B და C ჰეპატიტების გავრცელების ერთ-ერთი გზა არის არასტერილური იარაღებით სხეულის მთლიანობის დარღვევა, რასაც ხშირად ადგილი აქვს საპარაკმახეროებში.

ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ აივ/შიდსის გავრცელების ტემპი საქართველოში ძალიან გაიზარდა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, რაც უკავშირდება აივ/შიდსის გადაცემის არა მარტო სქესობრივ, არამედ პარენტერალურ გზასაც, ცხადია პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მნიშვნელობა.

სწორედ ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #231/ნ (25 ივლისი 2007 წელი), რის საფუძველზეც ძალდაკარგულად გამოცხადდა „საპარაკმახეროებისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 ნოემბრის #307/ნ ბრძანება.

ზემოაღნიშნული ბრძანება ამტკიცებდა სანიტარულ წესებსა და ნორმებს „ჰიგიენური მოთხოვნები საპარაკმახეროებისადმი“ საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 70-ის თანახმად, „მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის და სათანადო ზედამხედველობის საკითხები

²⁴ ეროვნული მოხსენება-საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 2005 წელი (თბილისი 2007)

წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით“. მისანიშნებელია ისიც, რომ ამავე კანონის 81-ე მუხლის მიხედვითაც „სახელმწიფო წარმართავს ენტერული და პარენტერული ჰეპატიტების პროფილაქტიკას...“

ფაქტობრივად, ბრძანების გაუქმება მოყვა ისეთი სახის ღონისძიებებს, როგორებიც იყო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციისა და სანიტარული კოდექსის გაუქმებაჩვენს ქვეყანაში. ამ გზით კანონით დეკლარირებული სახელმწიფო გარანტიების შესრულება პრაქტიკულად გამწვანდა.

ბრძანების თანახმად, საპარიკამხეროებისადმი წაყენებული მოთხოვნები ჰიგიენური გარემოს, საპარიკამხეროების აღჭურვისა და მოწყობისადმი, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები სათავსების მოწესრიგებისა და საპარიკამხეროებში ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმისა და საპარიკამხერო იარაღების და სამუშაო მაგიდის ზედპირის დეზინფექციის წესების დაცვა უზრუნველყოფდა ისეთი გადამდები ინფექციური დაავადების გავრეცელების პროფილაქტიკას, როგორც B და C ჰეპატიტია.

ამგვარად, ამ გზით მოსახლეობის უსაფრთხოება და გადამდები ინფექციური დაავადებებისაგან დაცვის საკითხი საპარიკამხეროების მომსახურებით სარგებლობის დროს მოითხოვს სათანადო ყურადღებას და მეთვალყურეობას, რათა მოსახლეობისათვის ინფექციური დაავადებების განვითარების კიდევ ერთი რისკი თავიდან იქნეს აცილებული.

ბიზნეს გარემოს გამარტივება და სახელმწიფოს ნაკლები ჩარევის პოლიტიკა არ არის გამართლებული იმ სფეროებში, სადაც საფრთხე ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

აივ/შიდსის გავრცელება და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები

დღეისათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას აივ/შიდსის ეპიდემია წარმოადგენს, რადგანაც ის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ქვეყნების ეკონომიკურ სტაბილურობას და ადამიანურ განვითარებას დიდ საფრთხეს უქმნის.

შიდსი რეგისტრირებულია მსოფლიოს 213 ქვეყანაში, ინფიცირებულთა 90% განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. აივ-ით 5 მლნ ადამიანია დაინფიცირებული, ხოლო 3 მლნ-ზე მეტი გარდაცვლილი, მათ შორის 2,3 მილიონი ბავშვია.

საქართველოში 1989 წლიდან 2007 წლის 30 ივნისამდე რეგისტრირებულია 1335 ინფიცირებული. მათ შორის აივ/შიდსის რეგისტრირებულ შემთხვევათა გავრცელების მაჩვენებელი (პრევალენტობა) 2007 წლის 1 ივლისისათვის შეადგენს 30,33-ს 100 000 მოსახლეზე.

აივ/შიდსის რეგისტრირებული შემთხვევები და მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე გეოგრაფიულად განაწილებულია შემდეგნაირად²⁵: ყველაზე მაღალია თბილისში (483), შემდგომ სამეგრელოსა (216) და აჭარაში (207). სულ რეგისტრირებულია 1335 შემთხვევა, ყოველ 100 000 მოსახლეზე ავადობის მაჩვენებელი 30,33 შეადგენს (2005 წლისათვის 15,3). აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში დარეგისტრირებულია 179 შემთხვევა და გარდაიცვალა 17 პაციენტი, რაც გაცილებით მაღალია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აივ/შიდსის შემთხვევები ყველაზე მაღალია 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

საქართველოში აივ/შიდსის გავრცელების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორებია: ნარკომანიის ფართო გავრცელება (მათ შორის ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება); პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება; შიდსის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე;

მოსახლეობის მზარდი მიგრაცია და ფართო საერთაშორისო კონტაქტები; საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შიდსის გავრცელების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობა.

2007 წლის პირველ ნახევარში პენიტენციურ სისტემაში გამოვლინდა 8 ინფიცირებული პატიმარი, გარდაიცვალა ერთი. ამ სისტემაში აღინიშნება ინფიცირებულთა რიცხვის მატების ტენდენცია.

საქართველოში ხორციელდება გლობალური ფონდის პროგრამა „აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ“. ამ პროგრამის ფარგლებში ყველა აივ/შიდსით დაავადებულს უტარდება უფასოდ ანტირეტროვირუსული მკურნალობა.

²⁵ 1989-2007 წლების მონაცემები, 2007 წლის 31 ივლისის ინფორმაციით;

აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკის, მართვისა და კონტროლის მიზნით ქვეყანაში ფუნქციონირებს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი შიდსის საწინააღმდეგო სპეციალური სამსახური, რომელიც სამედიცინო პროფილის ლიცენზირებული საწარმოა და რომლის ძირითადი საქმიანობის საგანს მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს. ცენტრი არის აივ ინფექციისა და შიდსის დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ქვეყანაში მათი დანერგვის მაკოორდინირებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო, საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური და საორგანიზაციო-მეთოდური დაწესებულება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 2007 წლის აპრილიდან ეწევა აივ ინფექციისა და შიდსის ეპიზედამხედველობას ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ხელმძღვანელობს CCM (Country Coordinating Mechanism), რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ერთიან საკოორდინაციო საბჭოს შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია. მას ქმნის საქართველოს მინისტრთა კაბინეტი და ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრის მოადგილე. კომისიას ევალება აივ ინფექციასთან/შიდსთან ბრძოლის საკითხებში სხვადასხვა სამინისტროს, უწყებისა და სამსახურის საქმიანობის კოორდინირება და უფლებამოსილია გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა გამოკვლევის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური მეთვალყურეობის წესებსა და პროგრამებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 1995 წლის 21 მარტს მიღებულია კანონი „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“. ამჯერად მიმდინარეობს აღნიშნული კანონის რევიზია მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის მიზნით. კანონი მაქსიმალურად უნდა დაიხვეწოს და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებთან ადგილობრივი ეკონომიკის, კანონმდებლობისა და ბიოეთიკის საკითხების გათვალისწინებით.

რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს ამგვარ მხარდაჭერას, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთათვის, რეალურად არცერთ მათგანს არ უსარგებლია ამგვარი დახმარებით. ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდნენ შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი და საქართველოს “პლუს” ჯგუფი, 2007 წლის მარტის თვიდან World Vision-ის მიერ ხორციელდება აივ/შიდსით დაავადებულთა სხვადასხვა სახის დახმარება, არარეტროვირუსული მედიკამენტებით მკურნალობა, ტანსაცმლის, საოჯახო ნივთების, საკვებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის ოპერაციების დაფინანსება, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და პირუტყვის შეძენა.

აღსანიშნავია, რომ გაეროს სასურსათო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის ოქტომბრიდან მუშაობა დაიწყო პროექტმა “ნუტრიციული დახმარება შიდსით დაავადებული პაციენტებისათვის” (უტრიტონალ შუპპორტ თპროუგპ ოოდ შუპპლემენტაციონ ოფ Pეოპლე წიტპ IV/ I შ (ჭ). პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილება მხოლოდ ანტირეტროვირუსულ (არვ) თერაპიაზე მყოფი პაციენტების მომარაგება სასურსათო პროდუქტებით (10 კგ თეთრი ფქვილი, 2 კგ შაქარი და 1 ლ ზეთი თითოეული პაციენტისათვის ერთი თვის განმავლობაში).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 2 აპრილის №110/ნ ბრძანებით დამტკიცდა “მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამა”, ხოლო №111/ნ ბრძანებით – “დაავადებათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა”. აღნიშნულ პროგრამებში შევიდა გარკვეული ცვლილებები და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 ივლისის №232/ნ ბრძანების სახით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდი, ხოლო 2007 წლის 1 ივლისიდან მისი უფლებამონაცვლე – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო ახორციელებს აივ/შიდსით დაავადებულთა სამედიცინო მომსახურებას ჯანმრთელობის დაცვის 2007 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებულია აივ-ინფექცია/შიდსის სტაციონარული მომსახურება შემდეგი ღონისძიებებით:

1. **დიაგნოსტიკური მომსახურება:**
 - პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებიდან ან სტაციო-ნარიდან შემოსული პაციენტების დიაგნოზის დადასტურება (საჭიროების მიხედვით კლინიკო - ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები);
 - საჭიროების მიხედვით სპეციალისტების კონსულტაცია.
2. **მკურნალობა:**
 - ანტირეტროვირუსული მკურნალობა;
 - ინდიკატორული დაავადებების მკურნალობა (ოპორტონისტული დაავადებები);
 - შესაბამისი მედიკამენტოზური უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ კონტრაქტირებული დაწესებულებები ფინანსდება საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში. დაფინანსების ერთეულს წარმოადგენს მკურნალობის თითოეული ეპიზოდი ნოზოლოგიურ ჯგუფებზე დამტკიცებული საშუალო ღირებულების ტარიფის შესაბამისად შემდეგი ცხრილის მიხედვით:

- შიდსი – ამბულატორია:
 1. ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა – 59 ლარი;
 2. მკურნალობა – 379 ლარი;
 3. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა – 266 ლარი;

4. ვიზიტი/კონსულტაცია – 30 ლარი
- შიდსი – სტაციონარი – 2 558 ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტოს მიერ 2007 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში დაფინანსებულია:

- შიდსი – სტაციონარი – 38 შემთხვევა;
- ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა – 26 შემთხვევა;
- მკურნალობა – 8 შემთხვევა;
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა – 203 შემთხვევა;
- ვიზიტი/კონსულტაცია – 270 შემთხვევა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან თანაგადახდის პრინციპი არ მოქმედებს, ანუ აივ/შიდსით დაავადებულთა მკურნალობა პრაქტიკულად უფასოა.

აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა მკურნალობის კომპონენტის ბიუჯეტი განსაზღვრულია 600 ათასი ლარით და მას საქართველოს მასშტაბით ახორციელებენ შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები:

- სს “ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი”;
- “ქ. ბათუმის ინფექციური საავადმყოფო”;
- შპს “ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო”

ამასთანავე მოსახლეობის ურგენტული მომსახურების პროგრამის ფარგლებში, გარკვეულ ნოზოლოგიურ ჯგუფებში, გათვალისწინებულია აივ-ინფექციაზე კვლევა.

შიდსის პროფილაქტიკის ღონისძიებები გათვალისწინებულია დაავადებათა პროფილაქტიკის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის დაავადებათა (მ.შ., ნარკომანიის) პროფილაქტიკის კომპონენტის, შიდსის პროფილაქტიკის და ასევე მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების უსაფრთხო სისხლით უზრუნველყოფის კომპონენტებშიც. აღნიშნული კომპონენტები მოიცავს რისკის ჯგუფის პირთა (მ.შ., ნარკომანების, ჰომოსექსუალების, მეძავეების და სხვა) ნებაყოფლობითი უფასო გამოკვლევებს და აივ-ინფექცია შიდსზე მათი ცოდნის დონის გაუმჯობესებას, ასევე დონორთა სისხლის აივ-ინფექციაზე სკრინინგული კვლევის უზრუნველყოფასა და მისი აღრიცხვიანობის მოწესრიგებას. კომპონენტის ფარგლებში, სააგენტოს მიერ სამედიცინო დაწესებულების ანაზღაურება ხდება დადგენილი გამოკვლევების და ფასების მიხედვით.

შიდსის პროფილაქტიკის კომპონენტის ბიუჯეტი განსაზღვრულია 150 ათასი ლარით. მას საქართველოს მასშტაბით ახორციელებენ სს “ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი” და მისი ქვეკონტრაქტორები. ასევე ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ “ვიშნევსკაია-როსტროპოვიჩის ფონდი საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობისა და მოძავლისათვის” საქართველოში აივ-ინფექციაზე ინფიცირებულ ქალთა აღმოსაჩენად და მათი დროული მკურნალობის მიზნით, ახალშობილებზე

ინფექციის ვერტიკალური გადაცემის თავიდან ასაცილებლად, განახორციელა საქველმოქმედო აქცია – აივ-ინფექციასა და ჰეპატიტზე ორსულ ქალთა კვლევისათვის საჭირო სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემებისა და შესაბამისი მასალების გადმოცემა. 2007 წლის 1 ივნისიდან პირველადი ჯანდაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტის ანტენეტალური დახმარების ქვეკომპონენტის ფარგლებში - “ორსულთა მეთვალყურეობის პირველი ვიზიტი” - გათვალისწინებულია ორსულთა გამოკვლევა აივ-ინფექციაზე სწრაფი, მარტივი მეთოდით, რისთვისაც დადგენილი წესით და ფორმით სააგენტოს კონტრაქტორ დაწესებულებებს (საქართველოს მასშტაბით - 190 დაწესებულება) უსასყიდლოდ გადაეცემათ კვლევისათვის საჭირო ტესტები, ხოლო კვლევის ჩატარების შემდეგ, გამოკვლევის შედეგები და შესაბამისი სამედიცინო საქონლის ხარჯვა ყოველთვიურად ეცნობება სააგენტოს. აივ-ინფექციაზე ორსულთა გამოკვლევის შემდეგ ყველა დადებითი და საეჭვო შემთხვევა გადამოწმებულია შესაბამის ლაბორატორიებში.

აღსანიშნავია, რომ აივ/შიდსით დაავადებულთა სოციალური უფლებების დაცვის სახელმწიფო მექანიზმი ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩამოყალიბებული. ამისთვის საჭიროა „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა კანონის ქმედუნარიანობის ამალლებისა და აივ/შიდსით დაავადებულების დაცვის რეალური გარანტიების შექმნის თვალსაზრისით.

ბავშვთა ავადობისა და სიკვდილობის ძირითადი ტენდენციები საქართველოში

საქართველოში არსებული დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს. ბავშვთა ჯანმრთელობის მრავალი შემადგენელი ნაწილი უკავშირდება ისეთ პარამეტრებს, როგორცაა დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნაყოფის განვითარება ანტენატალურ პერიოდში, მშობიარობის მართვა, ახალშობილის მოვლა ადრეულ ნეონატალურ პერიოდში, ბავშვის განვითარებაზე რუტინული მეთვალყურეობა, სოციალური და ფიზიკური პირობები. კერძოდ, სიღარიბე და არაკეთილსაიმედო გარემო შეიძლება იმ სოციალურ ფაქტორთა რიგში აღმოჩნდეს, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამანადგურებლად იმოქმედებს ჯანმრთელობაზე.²⁶

საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამსახურის ხელმისაწვდომობასა და ხარისხის გაუმჯობესებას, როგორც პოლიტიკური დეკლარაციით, ასევე პროგრამული ფინანსირებით. დღეისათვის, ქვეყნების უმრავლესობაში შობადობის შემცირებისა და მოსახლეობის დაბერების ფონზე, უმთავრესი ამოცანა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და მათი დაავადებების მიმართ რეზისტენტულობის გამომუშავებაა.

საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმძღვანელი ქვეყანამ, აღებული ვალდებულებების განხორციელება დაიწყო ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის შემუშავებით. 2004 წლის ივნისში მომზადდა ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნული საბაზისო ანგარიში, რომლის შემუშავების ფარგლებში ფაქტობრივად განხორციელდა მსოფლიოში აღიარებული მიზნებისა და ამოცანების ნაციონალიზაცია და საქართველოს რეალობასთან მისადაგება.

საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნებს შორის #4 კომპონენტს ბავშვთა სიკვდილობის შემცირება წარმოადგენს. საკითხი მით უფრო პრობლემატურია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით. კერძოდ მკვეთრად დაბალია ბუნებრივი ნამატი 0,8, მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელთან შედარებით (0,0) თითქოს აღინიშნება ბუნებრივი ნამატის ზრდა, რაც თავის მხრივ არა შობადობის ზრდის ხარჯზე მოხდა, არამედ სიკვდილობის შემცირების ხარჯზე (2002 წელს სიკვდილობა შეადგენდა 10,7, ხოლო 2005 წლისათვის კი 9,9).²⁷

ბავშვთა ავადობა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები

ბავშვთა სიკვდილობა განუხრელად უკავშირდება ბავშვთა ავადობის საკითხს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

²⁶ ეროვნული მოხსენება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ -2005 წელი, თბილისი 2007 წ

²⁷ www.statistics.ge

მონაცემებით, 2005 წელს სულ ცოცხალი დაიბადა 47022 ბავშვი. ავადმყოფი დაიბადა ან ავად გახდა 5489 ბავშვი, აქედან აღრიცხულია პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობების 4743 და თანდაყოლილი ანომალიების 329 შემთხვევა. ზოგადად ბავშვთა ავადობა 1998 წლიდან 2002 წლამდე დინამიურად მატულობდა (80 396 დან 84 951 შემთხვევამდე), ხოლო 2003 წლისათვის მკვეთრად შემცირდა (62860), რასაც შემდგომ წლებში მოყვა ავადობის შემდგომი ზრდა (63 421)²⁸.

0-დან 14 წლამდე ბავშვთა ავადობის განხილვისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების შემთხვევებმა 2003 წლიდან (221,1 ათასი შემთხვევიდან) 2006 წლამდე მკვეთრად მოიმატა (276,2 ათას შემთხვევამდე). დაავადებათა ინფრასტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს სასუნთქი ორგანოების (9137,1 ათასი შემთხვევიდან 2003 წ., 182,8 შემთხვევამდე 2006 წ.), ასევე მოიმატა ტრავმებისა და მოწამვლების რიცხვმაც (6,1 ათასი შემთხვევიდან 2003 წ., 6,8 ათას შემთხვევამდე 2006წ.).

ბავშვთა დაავადებების გამოვლენა, დიაგნოსტიკა, მართვა და რეაბილიტაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით.

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ამბულატორულ დახმარებას, სპეციალიზირებულ ამბულატორიულ დახმარებას, გადუდებელ სასწრაფო დახმარებას, დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობას. ამბულატორიული მომსახურების სერვისებს (მხოლოდ ჩამონათვალის მიხედვით) მიიღებს ყველა მოქალაქე ასაკის, სქესის და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

სტაციონარული დახმარების პროგრამა გულისხმობს 0-15 წლამდე იშვიათი დაავადებების მქონე, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ბავშვების სტაციონარულ მკურნალობას. 0-3 წლამდე ბავშვების სამედიცინო დახმარების ხარჯები დაიფარება სრულად. 3-დან 15 წლამდე ბავშვების სტაციონარული მომსახურების ანაზღაურება ხდება თანაგადახდით, პაციენტი იხდის მკურნალობის 20%-ს. მუდმივჩანაცვლებითი და იშვიათი დაავადებების მკურნალობა უფასოა (მათ შორის არის უშაქრო დიაბეტი, ჰემოფილია და სხვა). მშობელთა მზრუნველობამოკლებულ და კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა მკურნალობა სრულად ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, კვების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ მშობლისათვის სტაციონარული დახმარების 20%-ის გადახდა გამწვანდება ქვეყანაში არსებული ისეთი მაჩვენებლების პირობებში, როგორცაა

²⁸ ეროვნული მოხსენება. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ -2005 წელი, თბილისი 2007 წ

უმუშევრობის მატემა 11,1%-დან (2001წ.) 18,8%-მდე (2005წ.) და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 25%-მდე შემცირება (2004 წლის მონაცემებით).²⁹

ზემოაღნიშნული ტენდენციები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პირველადი ჯანდაცვის რგოლში პრევენციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, რასაც ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. პირველადი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული ამბულატორული მომსახურების სერვისების გაუმჯობესება, ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაზე მეთვალყურეობა დაავადებების ადრეული გამოვლენის მიზნით შეამცირებს ბავშვთა ავადობას.

ბავშვთა სიკვდილობა

მსოფლიოში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2005 წლის მოხსენების თანახმად, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის 90% ექვსი ძირითადი მიზეზით არის განპირობებული: ნეონატალური პერიოდის მწვავე შემთხვევები - 36%, პნევმონია - 19%, დიარეა - 17%, მალარია - 8%, წითელა - 4%, აივ/შიდსი - 3%. აღნიშნულის თავიდან აცილება შესაძლებელია მარტივი, ხელმისაწვდომი და ეფექტური ზომების გამოყენებით. მაგალითად, პერორალური რეჰიდრატაცია, რაციონალური ანტიბიოტიკოთერაპია, მალარიის საწინააღმდეგო წამლები და ინტექტიციდებით დამუშავებული ბადეები, ვიტამინები და სხვა მიკროელემენტები, ბუნებრივი კვების ხელშეწყობა და ფართო რეკლამირება, იმუნიზაცია და სათანადო დონის კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარება ორსულობისა და მშობიარობის დროს.

ამგავრად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ყველა წევრ-ქვეყანას აღნიშნული ზომების ფართო გამოყენებისა და "დახმარების კონტინუუმის" მიდგომის დანერგვისკენ მოუწოდებს, რაც გულისხმობს, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჯერ კიდევ ორსულობამდე იწყება, ორსულობის, მშობიარობის და ზრდის პერიოდში გრძელდება.

2000 წლამდე საქართველოში არ მოიპოვებოდა რუტინული სტატისტიკა 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შესახებ. 2000 წლიდან უკვე აღირიცხება სტაციონარებში 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა, ხოლო 2002 წლიდან კი ბინაზე გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობაც. 2005 წელს სამედიცინო დაწესებულებებში აღირიცხა 0-14 წლამდე ასაკის 1002 გარდაცვლილი ბავშვი. აქედან 0-1 წლამდე ასაკის - 851, 0-5 წლამდე ასაკის - 911 ბავშვი. ბავშვთა 93% სტაციონარებში გარდაიცვალა.

დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 2004 წელს დაიბადა 46 734 ცოცხალშობილი, მ.შ. 1180 ბავშვი ბინაზე. ოფიციალური სტატისტიკით 2000-2004 წწ. პერიოდში ჩვილ ბავშვთა სიკვდილობა 21,1-დან 17,98-მდე შემცირდა, ხოლო 5 წლამდე სიკვდილობის მაჩვენებელი - 24,9-დან 19,9-მდე. 2000 წელთან შედარებით

²⁹ www.statistics.ge

შემცირდა ადრეული ნეონატალური სიკვდილობის (12,2-დან 12,1-მდე) და მკვდრადშობადობის (17,6-დან 15,3-მდე) მაჩვენებლები. 0-1 წლის ასაკის ბავშვთა სიკვდილობის 65% პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობებითაა განპირობებული, 11,6% - თანდაყოლილი ანომალიებით, 8% - რესპირაციული დისტრესით, 7% კი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო და სამედიცინო სტატისტიკის დაპარტამენტების მონაცემთა შეუსაბამობა საეჭვოს ხდის არსებული მაჩვენებლების სანდოობას. ამასთანავე 1999 წწ. ჩატარებულმა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევამ მკვეთრად განსხვავებული მონაცემები გამოავლინა ჩვილ (41/1,000) და 5 წლის (45/1,000) ასაკის ბავშვთა სიკვდილობაში, რაც ცხადყოფს რეგისტრაციისა და აღრიცხვიანობის სისტემების სრულყოფის აუცილებლობას.

2005 წლის ბოლოსათვის ცნობილი გახდა გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევების შედეგები, რაც უმნიშვნელოვანესია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და არსებული ტენდენციების შესაფასებლად.

ოფიციალური სტატისტიკისა თუ კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით, 2004 წ. 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლებში წამყვანი ადგილი კვლავ 1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობას უჭირავს, ხოლო ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების მაღალ მაჩვენებელს ძირითადად ნეონეტალური და განსაკუთრებით ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობა განაპირობებს.

საქართველოში 2005 წელს დაბადებიდან პირველი ექვსი დღის ასაკში გარდაიცვალა 585 ბავშვი (მაჩვენებელი 12,4 1000 ცოცხალშობილზე), რაც 4,1%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებმა (სტაციონარი, პოლიკლინიკა) აღრიცხეს ერთ წლამდე ასაკის 851 ბავშვის გარდაცვალება (მოკვდაობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 18,1). მიუხედავად გარდაცვლილთა რაოდენობის მატებისა, ეს მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელს მხოლოდ ოდნავ აღემატება (2004წ. 18,0 ყოველ 1000 დაბადებულზე).

საქართველოში ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის ოფიციალურად რეგისტრირებული მაჩვენებელი გარკვეულწილად მაღალია ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. საქართველო ყირგიზეთისა (29,6) და ტაჯიკეთის (18,1) შემდეგ ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებლის მიხედვით მესამე ადგილზეა (18,1 - 2004 წლის მონაცემების მიხედვით).

ჩვილ ბავშვთა სიკვდილობის შემცირებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში იმუნიზაციის პროგრამით ბავშვთა მოსახლეობის მოცვა. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყო იმუნიზაციის სფეროში ეფექტური პოლიტიკისა და პროგრამების გატარება. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმუნიზაციის პროგრამაში 1994 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის არსებული თანამშრომლობაა. სწორედ მათი ხელშეწყობით ქვეყნის მამულებით

დაინერგა იმუნიზაციისა და ეპიდზედამხედველობის პროგრამების საინფორმაციო მართვის სისტემა. 2002 წლიდან გაფართოვდება თანამშრომლობა გლობალურ ალიანსთან (გავის), რის საფუძველზეც დაინერგა ეროვნული აცრის კალენდარში B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. 2007 წლიდან სახელმწიფომ სრულად დაფარა იმუნიზაციის ხარჯები.

ამრიგად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ბავშვთა სიკვდილობის შესახებ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა (2004 წლის შემდგომ აღარ მომხდარა ბავშვთა სიკვდილობის სტატისტიკის წარმოება), ბავშვთა სიკვდილობის განმსაზღვრელი დეტერმინანტების იდენტიფიცირება, პროფილაქტიკური აცრების ფართო მოცვა, დაავადებათა ადრეული გამოვლენა, სამედიცინო მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ხარისხიანი სამედიცინო-მომსახურება თავის მხრივ მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრებით, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დანადგარებით და პაციენტთა უსაფრთხოების დაცვის საფუძველზეა შესაძლებელი.

ბავშვთა ავადობისა და სიკვდილობის შემცირება მნიშვნელოვანწილად შეცვლის ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციას.

მოსახლეობის ოპტიმალური ასაკობრივი სტრუქტურით უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე ჯანმრთელობისათვის მავნე ფაქტორების ზემოქმედების შემცირებასთან, მათი ნორმალური სწავლა-აღზრდისა და დასვენების, კვების, ფიზიკური და ფსიქოემოციური სტატუსის გაუმჯობესების საკითხებთან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

2007 წლის I ნახევრის მანძილზე უცვლელი რჩება ის პრობლემები, რომელიც ხაზგასმული იყო სახალხო დამცველის 2006 წლის II ნახევრის მოხსენებაში. გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე ხშირი რეორგანიზაცია იქცა ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის (იხ. სახალხო დამცველის 2006 წლის II ნახევრის ანგარიში).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური გარანტიების დაცვა

საქართველოში 2005 წელს შესაძლებლობის შეზღუდვით ინვალიდად პირველად ცნობილ პირთა რიცხვმა 26 296 შეადგინა, რაც 2004 წელთან შედარებით 5998 ადამიანით მეტია.³⁰ ხოლო თუ ამ მონაცემს შევადარებთ 2000 წლის ანალოგიურ მონაცემს (8914 შემთხვევა), ინვალიდად პირველად ცნობილი პირების რაოდენობამ 3-ჯერ მოიმატა. მათ შორის უმეტესობა 40 წლიდან საპენსიო ასაკამდე ადამიანების ჯგუფს მიეკუთვნება, 21,7% 39 წლამდე ასაკი იყო და მხოლოდ 7,9% - საპენსიო ასაკს ზევით.

2005 წელს შესაძლებლობის შეზღუდვით პენსიონერთა რიცხვი 226,2 ათას შეადგენდა. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა რაოდენობამ 12754 შეადგინა (2004წ.-10722), ბავშვობიდან ინვალიდთა რაოდენობა კი 22994 იყო. უკანასკნელ წლებში გაიზარდა სოციალური პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობა და 2005წ. მან 150,6 ათასი ადამიანი (2004წ.-100,5 ათასი) შეადგინა.

2007 წლის 1 მაისიდან საქართველოში შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების წესი, (მინისტრის ბრძანებების საფუძველზე), რასაც წინ უსწრებდა საქართველოს კანონში „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ ცვლილებები და შედეგად სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროების გაუქმება. ამჟამად, ინვალიდობის სტატუსის ხელახალი მინიჭება ყველა სამედიცინო დაწესებულებაში არის შესაძლებელი. ჯანდაცვის სამინისტრომ ცვლილებები შეიტანა დაავადებათა ნუსხაშიც - სიიდან ამოღებულია ნაკლებად მძიმე და განკურნებადი დაავადებები.

ზემოაღნიშნული კანონისა და ბრძანების შესაბამისად, ქმედუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს განსაზღვრავენ ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც უფლებამოსილი არიან აწარმოონ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა. არსებული სამედიცინო დაწესებულებები მოქალაქეთა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა/გადამოწმების დროს სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და ექიმ-

³⁰ ეროვნული მოხსენება-საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2005 წელი (თბილისი 2007 წ)

სპეციალისტთა კონსულტაციის საფასურს განსაზღვრავენ დამოუკიდებლად (შიდა სტანდარტით).

გამონაკლისს წარმოადგენენ იმ ოჯახების წევრები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000-ს. არსებული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ამბულატორიულ გამოკვლევებს ექიმის დანიშნულებით არაუმეტეს 200 ლარისა ერთ მოსარგებლეზე.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით 24 ათას ადამიანს ინვალიდის სტატუსი გაუუქმდა. შესაბამისად, ინვალიდობის დამადასტურებელი ცნობის აღება განმეორებით გამოკვლევების ჩატარებასთან არის დაკავშირებული. ხელახალი რეგისტრაციისათვის სხვადასხვა სახის გამოკვლევების საფასურის გადახდა დიდ სიძნელეს წარმოადგენს პენსიონერებისათვის, მაშინ როცა ინვალიდთა საშუალო პენსია 38 ლარია, ხოლო ამ სახის სამედიცინო კვლევისათვის ხარჯები არცერთი სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

აღნიშული ცვლილებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გარკვეული რაოდენობა დარჩა პენსიისა და საარსებო ფინანსური დახმარების გარეშე. ბევრმა მათგანმა მიმართა სახალო დამცვლის ოფისს, ზოგმა სატელეფონო შეკითხვის თუ განცხადების სახით. ძირითადად შეკითხვები ეხებოდა პენსიის შეწყვეტის საკითხს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არაერთხელ მივმართეთ წერილობით, რომლითაც ვითხოვდით იმ დაავადებათა ნუსხის გადახედვას, რომელიც წარმოადგენს პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს. ამასთან, კონკრეტული შემთხვევების გამო მიმოწერისა და ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების შედეგად სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხებთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარკვეული კატეგორიებისათვის შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად მიზანშეწონილად ჩაითვალოს, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან ერთად უახლოეს მომავალში მოხდეს იმ დაავადებათა ჩამონათვლის გადახედვა, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს და აუცილებლობის შემთხვევაში, ახალი რედაქციით მომზადდეს აღნიშნულ დაავადებათა ნუსხა.“

რეკომენდაციები:

სახალხო დამცველი განმეორებით მიმართავს რეკომენდაციით საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, უმოკლეს დროში უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურის დაწყება.

განახლდეს პრეზიდენტთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციისა და უწყებათშორისი თანამშრომლობის ორგანიზაციის თვალსაზრისით.

შრომითი დასახიჩრების შემთხვევებისათვის შეიქმნას დამსაქმებლის სრული ან ნაწილობრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მექანიზმი, რომელიც დამსაქმებელს დაავალდებულებს, იკისროს დასახიჩრებული პირის რეაბილიტაციასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები. ზემოხსენებული პროექტის შემუშავების ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა არა დამსაქმებლის შეხედულებისამებრ, არამედ დასახიჩრებულის მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს კომპენსაციის ოდენობის გადახედვის შესაძლებლობას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, თუ ეს გაუარესება დაკავშირებული იქნება იმავე ტრავმასთან, რამაც თავდაპირველი კომპენსაციის გაცემა გამოიწვია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალურად შშმ პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებებისა და შეღავათების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხსა და პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს შეღავათიანი სისტემა იმ შშმ პირების დამხმარე საშუალებებით აღჭურვისა და ჯანმრთელობის დაზღვევისთვის, რომლებიც ვერ მოხვდებიან ლატაკი ოჯახების მონაცემთა ბაზაში. ჩამოყალიბდეს შეზღუდვის ხარისხის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად, დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური სამსახური ან დაევალოს რომელიმე უკვე არსებულ ორგანოს იმავე კოდექსის 178¹ და 178² მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციების შესრულება.

მომზადდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები შშმ პირისათვის კანონით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდებისთვის განსაზღვრული ჯარიმის გაზრდისა და განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევაში დამატებითი სანქციების დაწესების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიეთითოს, რომ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დაკისრებული შესრულებისაგან.

ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა 2007 წლის მაისში, საქართველოს მასშტაბით მონიტორინგი ჩაატარა ქვეყანაში არსებულ თითქმის ყველა ხანდაზმულთა თავშესაფარში, მათში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესასწავლად. მონიტორინგი განხორციელდა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში, ხანდაზმულთა სახლ "ბეთელში", სათნოების სახლ "კათარზისში", ძევის შშმპ-თა პანსიონატში, საპატრიარქოსთან არსებულ ძეგვის ხანდაზმულთა სახლში, ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატსა და ხანდაზმულთა სახლ "სათნოებაში".

მონიტორინგის მიზანი

მონიტორინგის მიზანი იყო ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში ადამიანის უფლებების დარღვევათა შესწავლა. ინფორმაციის შეგროვება მათი საცხოვრებელი, კვების, უსაფრთხოების, სამედიცინო მომსახურების, მოვლის, რეაბილიტაციის და ღირსეული მოპყრობის პირობებზე, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

შედეგები

მონიტორინგმა გამოავლინა საცხოვრებელი, კვების და სხვა პირობების კონტრასტული სურათი, რომელიც არის ხანდაზმულთა დაწესებულებებში.

ზოგადი სურათით თბილისში არსებული ორი დაწესებულების გარდა, (თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი და ხანდაზმულთა სახლი "ბეთელი") საცხოვრებელი პირობები ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს. ტუალეტები და სააბაზანოები გამოსულია მწყობრიდან; ჰიგიენური საშუალებებით მობინადრეები არ არიან უზრუნველყოფილი; გათბობის სისტემები და ელექტროგაყვანილობა უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; ინვენტარი მოძველებული და არასაკმარისია; შენობები საჭიროებს რემონტს.

მობინადრეთა მოვლის პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი, ხშირ შემთხვევაში პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია. მობინადრეები სათანადო ყურადღებას ვერ იღებენ. უმრავლესობას სამედიცინო მომსახურებაზე და სხვადასხვა პროფილის ექიმის კონსულტაციაზე ხელი არ მიუწვდება. მედიკამენტებით უზრუნველყოფა არასაკმარისია.

ინფორმაციის მიღების უფლება არ არის რეალიზებული. მობინადრეები არ იცნობენ შინაგანაწესს, მხოლოდ ნაწილს აქვს ტელევიზორით და ტელეფონით სარგებლობის

საშუალება. შიდა გასაჩივრების მექანიზმი არ მუშაობს. ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში მობინადრეებზე ინფორმაციის შეგროვების პროცესი კანონდარღვევით მიმდინარეობდა, კერძოდ მობინადრეებს უწევდათ სპეციალური ანკეტის შევსება, სადაც მათ მოეთხოვებოდათ რელიგიური მრწამსის მითითება. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქუთაისის ხანდაზმულთა სახლს, რომელმაც აღნიშნული დარღვევა გამოასწორა.

მობინადრეებს უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

მონიტორინგის ჩატარების შემდეგ, ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში არსებული მდგომარეობა არაერთხელ გაშუქდა მედიის საშუალებით. გასულ სიუჟეტებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ შესაბამისი ზომებით უპასუხა და დახმარება გაუწია იმ დაწესებულებებს, რომლებშიც საცხოვრებელი პირობები მინიმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა.

გათვალისწინებულ იქნა ასევე სახალხო დამცველის რეკომენდაცია, მობინადრეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

დასკვნები

ხანდაზმულთათვის არსებული დაწესებულებების რაოდენობა არასაკმარისია, რადგან გაცილებით მეტი მიუსაფარი, მარტოხელა და ეკონომიკურად შეჭირვებული ხანდაზმულია, ვიდრე გამოყოფილია რესურსები მათი მოვლა-პატრონობის, კვების, პირველადი სამედიცინო მომსახურების და რეაბილიტაციისთვის. ყველა დაწესებულების ხელმძღვანელი ცალსახად აცხადებს, რომ ბევრი მსურველი მიმართავს, თუმცა მათი დიდი ნაწილის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება.

არაერთგვაროვანია ასევე ხანდაზმულთა სახლებში/პანსიონატებში არსებული პირობები. დაწესებულებების მიმართ ერთიანი მიდგომა საერთო სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, არ არსებობს.

დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში ახდენენ ხანდაზმულთა იზოლირებას საზოგადოებისგან და ართმევენ მათ სოციალურ და ეკონომიკურ როლს.

არ არის უზრუნველყოფილი ხანდაზმულთათვის ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და მისაღები სამედიცინო მომსახურება.

პანსიონატების და ხანდაზმულთა სახლების ბინადართათვის არ არის ხელმისაწვდომი კულტურული, სოცო-ეკონომიკური ან სხვა სპეციალური პროგრამები, რომელიც ხანდაზმულთა სხვადასხვა პროცესებში მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

ხანდაზმულთა სახლებში არსებული მდგომარეობა პატივისა და ღირსების შემლახველია მობინადრეებისთვის. კონტრასტული სურათი, რომელიც არის თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატსა და ხანდაზმულთა სახლ "ბეთელში" სხვა დაწესებულებებთან შედარებით, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეფექტური მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ტიპის დაწესებულებებში ჰუმანური გარემოს და მომსახურების უზრუნველყოფა.

არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში საჭიროა:

- რეგულარული მონიტორინგი;
- რეკომენდაციების აღსრულებაზე კონტროლი;
- შიდა საჩივრების მექანიზმის დანერგვა;
- მომსახურე პერსონალის გადამზადება;
- ხანდაზმულთა უფლებების შესახებ საზოგადოებრივი კამპანიის წარმოება;
- სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი მიდგომის შემუშავება და დაფინანსების კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული მექანიზმის შექმნა;

ხანდაზმულები უნდა იყვნენ განვითარების პროცესის სრულფასოვანი მონაწილეები და უნდა ისარგებლონ მისი სიკეთეებით. ყველა ქვეყანაში, საზოგადოების მიმდინარე სოციო-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, იზრდება ხანდაზმულთა ამ პროცესში აქტიური ინტეგრაციის საჭიროება. ამასთან ერთად მიმდინარე მიგრაციის, ურბანიზაციის და სხვა პროცესებმა შესაძლოა გამოიწვიოს ხანდაზმულთა მარგინალიზაცია განვითარების ძირითადი მიმართულებებისაგან და ჩამოართვას მათ სოციალური და ეკონომიკური როლი.

ხანდაზმულთა როლი საზოგადოებისა და ოჯახების არსებობაში უმნიშვნელოვანესია. საზოგადოება, რომელიც ხანდაზმულთა მიმართ სოლიდარობას არ გამოხატავს და მათ დამსახურებებს და მნიშვნელობას არ აღიარებს ჰუმანური ვერ იქნება და შესაბამისად ჰუმანურ, ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე ორიენტირებულ სისტემებს ვერ შექმნის ქვეყნის მართვისა და განვითარებისთვის.

რეკომენდაციები

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

- განახორციელოს სახლებსა და პანსიონატებზე რეგულარული და ობიექტური კონტროლი, რადგან ასეთ დაწესებულებებში მოთავსებული კონტინგენტი შერეულია და ხშირად ყველა კონტინგენტის წარმომადგენელთათვის აუცილებელი პირობები არ არის შექმნილი. (მაგ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანდაზმულები);

- გაუმჯობესოს დაწესებულებებში მოთავსებული ხანდაზმულებისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;
- დააკმაყოფილოს ხანდაზმულთა პანსიონატებზე და სახლებზე არსებული მოთხოვნა ახალი, თანამედროვე დაწესებულებების შექმნის გზით, რომლებიც სპეციალიზებული იქნება სხვადასხვა კონტინგენტის მოვლაზე;

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

- სსიპ "თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი" წარმოადგენს შპს "სავანეს" სამართალმემკვიდრეს, თუმცა პანსიონატის ბალანსზე ჯერ კიდევ არ არის გადაცემული შპს "სავანეს" ბალანსზე არსებული ქონება. მიუხედავად პანსიონატის ადმინისტრაციის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართვებისა, საკითხის გადაჭრა გაჭიანურებულია, რაც ხელს უშლის პანსიონატს განვითარებაში. დაუყოვნებლივ მოგვარდეს აღნიშნული საკითხი;

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

- ხანდაზმულთათვის გამოყოფილი დაფინანსება არ არის საკმარისი, მათი პატრონაჟის, მოვლა-პატრონობის, კვების, პირველადი სამედიცინო მომსახურების და რეაბილიტაციისთვის. გაიზარდოს დაფინანსება და შემუშავდეს დაფინანსების კონკურენტუნარიანი მოდელი, რომელიც თანაბარ პირობებში მოაქცევს დაწესებულებებს;

რეკომენდაციით მივმართავთ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს

- დამონტაჟდეს უსაფრთხოების სისტემა. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოკითხული მოზინადრეები აცხადებენ, რომ მათი უსაფრთხოების პირობები არ არის დაცული და მოითხოვენ სპეციალური სასიგნალო სისტემის დამონტაჟებას, რომლის მეშვეობითაც საშუალება ექნებათ კრიზისულ მომენტებში კომუნიკაცია დაამყარონ პერსონალთან;

რეკომენდაციით მივმართავთ ძეგრის შშმპ-თა პანსიონატს

- მოწესრიგდეს ელექტროგაყვანილობის სისტემა და დაცულ იქნას უსაფრთხოების მოთხოვნები. გაუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები.
- გამკაცრდეს კონტროლი მოზინადრეთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, შრომის გამოყენების ფაქტებზე;

რეკომენდაციით მივმართავთ ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატს

- დაწესებულებაში შშმპ-თა მოთავსებისთვის აუცილებელი პირობები არ არის უზრუნველყოფილი. მიღებულ იქნას ზომები მათთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად.

- ყურადღება დაეთმოს მოზინადრეთა აზრის გამოხატვის თავისუფლებას;

რეკომენდაციით მივმართავთ ხანდაზმულთა სახლ "სათნობას"

- დაცულ იქნას უსაფრთხოების აუცილებელი პირობები მოზინადრეთა ოთახებში; მოზინადრეებს გაეწიოთ დახმარება პენსიებთან, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებში;

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი - 2007 წლის I ნახევარი

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭომ ფინდ "ღია საზოგადოება - საქართველოს"-ს ფინანსური მხარდაჭერით 2007 წლის I ნახევარში განახორციელა მონიტორინგი შემდეგ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში: მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიული საავადმყოფო, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო, ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო და ბათუმის რესპუბლიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფო.

საქართველოში ფსიქიკური პრობლემების მქონე 100.000 ადამიანია რეგისტრირებული, ხოლო სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურებისთვის სულ 1145 საწოლია განკუთვნილი.

მონიტორინგის შედეგები:

დადებითი ტენდენციები

2005-2006 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები ფსიქიატრიული დაწესებულებების მუშაობაში უკვე აისახა.

ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები.

სამედიცინო პერსონალის მომსახურებით პაციენტები უფრო კმაყოფილები არიან, ვიდრე წინა წლებში. მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში დაინერგა ალტერნატიული თერაპიის მეთოდები. გაუმჯობესდა არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

პაციენტები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში.

თითქმის ყველა დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას არის გავრული დაწესებულების შინაგანაწესი და პაციენტთა უფლებების შესახებ ინფორმაცია. განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები.

უარყოფითი ტენდენციები

ყველგან, სადაც განხორციელდა მონიტორინგი, პაციენტებს უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე. ხშირად ისინი

ასრულებენ დაბალი მედპერსონალისთვის განკუთვნილ სამუშაოს. გამოკითხვით ჩანს, რომ ასეთ შრომას იძულებითი ხასიათი არ აქვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პაციენტები პერსონალთან არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან, პერსონალის მხრიდან მათი შრომის გამოყენება პაციენტის უფლებების აშკარა დარღვევაა. პაციენტთა შრომის გამოყენებას ყველაზე აშკარა და მძიმე სახე ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში აქვს, სადაც პაციენტებს უწევთ საკვების მძიმე კონტეინერების გადაზიდვა, განყოფილებების დასუფთავება, სანიტარული კვანძების მოწესრიგება და სხვა.

ყველა დაწესებულებაში მოუგვარებელია პაციენტების სოციალური პრობლემები. გაურკვეველია მათ პენსიებთან და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არა მხოლოდ საავადმყოფოს პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით მწვავედ დგას მეურვეებთან ურთიერთქმედების პრობლემა. მხოლოდ ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოს, პაციენტთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად დაშვებული აქვს სოციალური მუშაკის შტატი. ამ საავადმყოფოში შედარებით მოწესრიგებულია პაციენტთა პირადი დოკუმენტაციის, მეურვეებთან ურთიერთობის და პაციენტთა პირადი შემოსავლების საკითხები. ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით სოციალური მუშაკის ფუნქციებსაც ითავსებს.

ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მონიტორინგისას გამოკითხულ იქნა ქალბატონი, რომელიც უსახლკაროდ დარჩა მას შემდეგ, რაც მისი საკუთარი ბინა მოტყუებით გაყიდეს მისმა ნათესავებმა; ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოსა და ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს რამდენიმე პაციენტს, საავადმყოფოში ხანგრძლივი სტაციონირების შედეგად, დაკარგული აქვს ქონება.

საავადმყოფოში პაციენტთა კონტინგენტის ნაწილი არ საჭიროებს სტაციონარში აქტიურ მკურნალობას. ამ შემთხვევაში საავადმყოფო მათთვის თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს, რაც ხელს უწყობს პაციენტებში „ჰოსპიტალიზმის“ სინდრომის ჩამოყალიბებას და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო უნარების დაკარგვას.

სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება კვლავ დაბალია, რაც მათ უკმაყოფილებას და მოტივაციის არ ქონას იწვევს. პერსონალის ანაზღაურების სიმცირე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რადგან ასეთი ანაზღაურების პირობებში ვერ ხერხდება კვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც გავლენას ახდენს მკურნალობის და მოვლის ხარისხზე.

სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურების ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტში მკურნალობისთვის გამოყოფილი დაფინანსება 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, თითქმის 20%-ით გაიზარდა. (2006 წელს ერთ პაციენტზე გამოყოფილი დაფინანსება დღეში 8 ლარსა და 60 თეთრს შეადგენდა, ხოლო 2007 წელს იგი დიფერენცირებული გახდა და დაავადების მწვავე სტატუსის მქონე პაციენტებისთვის 32 ლარი, ქვემწვავე სტატუსის მქონე პაციენტებისთვის 15 ლარი, ხოლო ქრონიკული სტატუსის მქონე პაციენტებისთვის 8 ლარი და 60 თეთრი შეადგინა). თუმცა,

გაზრდილი დაფინანსება კვლავ არასაკმარისია პაციენტთათვის ხარისხიანი, თანამედროვე და ეფექტური ფსიქიატრიული მომსახურების მისაწოდებლად.

უფლებათა დარღვევები

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები ინფორმაციის მიღების უფლებით ისევე უნდა სარგებლობდნენ, როგორც სხვა მოქალაქეები. ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია მისი დაავადების და მკურნალობის შესახებ - ეს ინფორმაცია საშუალებას უნდა აძლევდეს მას, მონაწილეობა მიიღოს მკურნალობის დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტისთვის ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა არაეფექტურია და სამედიცინო პერსონალის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, ინფორმაციის მოთხოვნაზე დაბალია პაციენტთა აქტივობაც.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტებს საკუთარი დიაგნოზის, მკურნალობის, მკურნალობაში ცვლილებებისა და პროგნოზების შესახებ ინფორმაცია მათთვის გასაგები ენით არ მიეწოდებათ. ეს სურათი საერთოა ყველა საავადმყოფოსთვის, სადაც მონიტორინგი განხორციელდა.

პირადი ცხოვრების უფლება

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტების პირადი ცხოვრების უფლება შეზღუდულია. პაციენტებისთვის არ არის დამონტაჟებული ტელეფონი, მათ არ აქვთ განმარტოების საშუალება. არ შეუძლიათ აბაზანის გამოყენება სურვილისამებრ. პალატებში (ახალ გარემონტებულ დაწესებულებებშიც კი, მაგ: ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიული საავადმყოფო და ბათუმის რესპუბლიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფო) არ არის დამონტაჟებული ინდივიდუალური განათება. პაციენტებს არ აქვთ პირადი ნივთების შესანახი უსაფრთხო სათავსოები. ხშირია პაციენტთა შორის ქურდობის ფაქტები.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტებს არ აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება, რითაც ირღვევა ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის უფლება, კავშირი ჰქონდეს გარესამყაროსთან. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, საჭიროა ადმინისტრაციამ განყოფილებებში დაამონტაჟოს ტელეფონები და განსაზღვროს მათი გამოყენების რეჟიმი.

შესაძლებელია პაციენტებს მიეცეთ გარკვეული დრო საუბრისათვის, ხოლო დამატებითი დროის გამოყენებისას თავად გადაიხადონ საუბრის საფასური სპეციალური ბარათების საშუალებით.

დისკრიმინაცია

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადგილი აქვს „ასისტენტი“ პაციენტების წახალისებას. ის პაციენტები, რომლებიც პერსონალს ყოველდღიური სამუშაოს შესრულებაში ეხმარებიან, სარგებლობენ სხვადასხვა პრივილეგიებით - ეძლევათ დამატებითი საკვები, თამბაქო, გადაადგილების თავისუფლება და სხვა. ასეთი პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოსა და ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.

წამება და არაადამიანური მოპყრობა

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არაადამიანური მოპყრობის და წამების შესახებ საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ პაციენტთა გარკვეული ნაწილი აღნიშნულ დაწესებულებებში ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდს ატარებს. ასეთი პაციენტები საკუთარ მდგომარეობას, როგორც პატიმრობას ისე აფასებენ.

გამოკითხვის შედეგებით ზოგიერთ დაწესებულებაში ხშირია პაციენტთა ფიზიკური შეზღუდვის, მუქარის და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. ასევე არის პაციენტთა ხანგრძლივი იზოლირების შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული პაციენტები მიუთითებენ მტკივნეული ინექციებით დასჯის ფაქტებზე. პერსონალის განმარტებით, ინექციები კრიზისულ სიტუაციებში იძულებით მართლაც უკეთდებათ პაციენტებს, მაგრამ მათი თქმით, ეს მკურნალობის შემადგენელი ნაწილია, - პაციენტები კი დასჯად იმიტომ აღიქვამენ, რომ მათ ეს ინექციები აგრესიის და ძლიერი აგზნების შემთხვევაში უკეთდებათ.

პაციენტთა შრომის გამოყენება

ფსიქიატრიულ სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი პაციენტი არ უნდა იქცეს იძულებით სამუშაო ძალად. ყოველ ასეთ პაციენტს უფლება აქვს ნებისმიერი სახის სამუშაოში იგივე ოდენობის ანაზღაურება მიიღოს, რომელსაც ჯანმრთელი ადამიანი მიიღებდა. *(ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაცვის პრინციპები გაეროს რეზოლუცია 1991წ.)*

2007 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ხდება პაციენტთა შრომის გამოყენება.

მონიტორინგმა გამოავლინა ფაქტები, რომლის დროსაც პაციენტები ასრულებენ დაბალ მედპერსონალზე დაკისრებულ სამუშაოს - უვლიან დაუძღვრებულ პაციენტებს, ალაგებენ პალატებს, დერეფნებს, მონაწილეობენ ტუალეტების დასუფთავებაში, ეზიდებიან საკვების კონტეინერებს, პაციენტებს თავად უტარებენ ჰიგიენურ პროცედურებს, მონაწილეობენ გარდაცვლილი პაციენტების გვამების მოწესრიგებაში;

პაციენტების გადმოცემით ისინი ასევე მონაწილეობენ სარემონტო სამუშაოებში, მუშაობენ მახლობლად მდებარე მეურნეობებში.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ აღნიშნულ სამუშაოებს პაციენტები ნებაყოფლობით ასრულებენ, თუმცა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტები და მედპერსონალი არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან და პაციენტი ცალსახად დამოკიდებულია მედპერსონალზე, რის გამოც პაციენტთა შრომის გამოყენება, თუნდაც მიღებული თანხმობით, მათ ექსპლუატაციად შეიძლება ჩაითვალოს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ პაციენტის შრომის გამოყენებაზე სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული არგუმენტები გააჩნიათ და აღმოჩენილ ფაქტებს ადმინისტრაციის წარმომადგენლები შრომათერაპიას, ადამიანურობის გამოვლინებას და ნებაყოფლობით შრომას უწოდებს.

აღსანიშნავია, რომ არცერთ დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული კონტრაქტი, თუნდაც ნახევარ განაკვეთზე, იმ პაციენტებთან რომელთა შრომასაც იყენებს. გამოკითხული პაციენტები ამბობენ, რომ ასეთი მუშაობისთვის ისინი გასამრჯელოდ სიგარეტს, ყავას, შოკოლადს, ზედმეტ ულუფა საკვებს და სხვა წახალისებას იღებენ. ფაქტები, რომლის დროსაც პაციენტები ასრულებენ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს, დოკუმენტირებულია მონიტორინგის ჯგუფის მიერ.

ფსიქიატრიული საავადმყოფოების ადმინისტრაციებს ამ დრომდე არ შეუქმნიათ ქმედითი მექანიზმი, პაციენტთა ექსპლუატაციის ფაქტების აღსაკვეთად.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა შრომის ასეთი სახით გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს რეაბილიტაციურ ღონისძიებად, რადგან შრომა, რომელიც რეაბილიტაციის მიზნით გამოიყენება საჭიროებს ორგანიზებას და დასაბუთებას.

ამ მიზნით დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პაციენტთა შრომითი რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც დაარეგულირებს შრომის სახეებს, შრომის მოცულობას, შრომის პროცესში მონაწილეობისას პაციენტის ნების ობიექტურ გათვალისწინებას, პაციენტის უფლებას - აირჩიოს შრომის ესა თუ ის სახე, შრომისთვის აუცილებელ გარემოს და განრიგს, შრომითი რეაბილიტაციის მორგებას პაციენტის მკურნალობის გეგმასთან, შრომის პროდუქტის რეალიზებას და მიღებული შემოსავლების გამჭვირვალე და სამართლიან ხარჯვას და სხვა.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება პაციენტთა შრომა ჩაითვალოს რეაბილიტაციურ ღონისძიებად. ვინაიდან:

შრომათერაპია არის რეაბილიტაციის სახე, რომელიც მიზნად ისახავს რეალური ცხოვრების საქმიანობების გამოყენებით შეამციროს ან დაძლიოს პაციენტის ფსიქო-ფიზიკური უნარშეზღუდულობა.

შრომათერაპიის მიზანია მიაღწიოს პაციენტთა უკეთეს ფუნქციონირებას, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების გზით.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა შრომას უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ხასიათი და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სამკურნალო მიზნებს.

თავისუფალი გადაადგილების უფლება

პაციენტთა თავისუფალი გადაადგილების უფლება დარღვეულია მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში. პაციენტების ნაწილს (მათ შორის ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს) არ აქვს ეზოში გასვლის საშუალება. მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პაციენტთა გასეირნება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს და მხოლოდ ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი, ხოლო ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში პაციენტებს ეზოს შიგნით რკინის ბადით სპეციალურად შემოღობილ მცირე ტერიტორიებზე ასეირნებენ, რაც ერთი ნახვით ციხეს მოგვაგონებს. დიდი, გამწვანებული ეზოს საუკეთესო ნაწილში სეირნობა მათთვის აკრძალულია.

არ არსებობს ზუსტი პროცედურა, რომელიც დაარეგულირებს პაციენტთა მიერ დაწესებულების დროებით დატოვებას (შვებულებაში წასვლას). ხშირ შემთხვევაში პაციენტებს არ ეძლევათ უფლება, მოინახულონ საკუთარი ნათესავები, ოჯახის წევრები სტაციონარში წლობით მკურნალობის დროსაც. ამ მხრივ გარკვეულ როლს პაციენტის ახლობლების გულგრილობაც თამაშობს. პერსონალის მოსაზრებით, პაციენტთა თავისუფალი გადაადგილების უფლებაზე შეზღუდვები ისევ პაციენტთა სასარგებლოდ წესდება - მათი გარეთ გაშვება საფრთხეს წარმოადგენს თავად პაციენტებისთვის - ცივ ამინდში შეიძლება გაცივდნენ, დაუძლურებული პაციენტები კი შეიძლება დაიკარგონ ან ტრავმა მიიღონ.

საკუთრების უფლება

პაციენტის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები მოუგვარებელია. მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც პაციენტი აცხადებს პრეტენზიას, რომ სტაციონირების შემდეგ მისი ქონება ნათესავებმა მიითვისეს, ან ხანგრძლივი სტაციონირების პირობებში საერთოდ დაკარგა პირადი ქონება. ასეთი ფაქტები ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოსა და ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში პაციენტთა და ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა.

ასევე სრულყოფილად არ არის დაცული პაციენტთა საკუთრების უფლება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. კერძოდ, აღმოჩენილია ცალკეული შემთხვევები, როდესაც სამედიცინო პერსონალი ან პაციენტის ნათესავები თავად პაციენტის გამოხატული ნების გარეშე იღებენ მის პენსიას ან სხვა შემოსავალს;

ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკითხვის პროცესს პაციენტები პირადი ნივთებითა და ნათესავების მიერ მოტანილი საკვები პროდუქტებით ესწრებოდნენ, რადგან ხშირია პაციენტებს შორის ქურდობის ფაქტები.

მკურნალობა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფება, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება ზრუნავდეს ასეთი პაციენტების საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა (ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიული საავადმყოფო, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და ბათუმის რესპუბლიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფო), არ აქვთ შედგენილი ინდივიდუალური გეგმა პაციენტის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის - მათი სოციალური და შრომითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. დაწესებულებების მუშაობაში არსად არ არის ასახული მეთოდები და მიდგომები, რომელიც პაციენტების საზოგადოებაში დამოუკიდებლად თანაცხოვრებას შეუწყობს ხელს.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჭარბობს მედიკამენტური მკურნალობის მეთოდები. სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ალტერნატიული მკურნალობის მეთოდები საერთოდ არ არის დანერგილი.

პაციენტები პრაქტიკულად არსად არ არიან ჩართული საკუთარი მკურნალობის პროცესში და მასზე კონტროლს ვერ ახორციელებენ. მკურნალობის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია აქვთ, რომელსაც როგორც წესი, მხოლოდ მაშინ იღებენ, როდესაც ექიმი არწმუნებს, რომ ეს მკურნალობა მათ აუცილებლად ესაჭიროებათ.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ სპეციალიზებულ არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე. მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევა, როდესაც ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში პაციენტი ფეხის მძიმე ტრავმით 4 თვის განმავლობაში ელოდა ქირურგის კონსულტაციას.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება

2005-2006 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ადმინისტრატორებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების დარღვევის შესახებ. საარჩევნო უფლების რეალიზაციაზე მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ პაციენტების დიდ ნაწილს საერთოდ არ მიეცა 2006 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, ხოლო დანარჩენმა ნაწილმა დარღვევით - პირადობის მოწმობის გარეშე

მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდა ხარვეზები საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოებთან მიმართებაში.

სახალხო დამცველის ოფისში მოეწყო მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ დაინტერესებული მხარეები. შედეგად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უპასუხა სახალხო დამცველს, რომ მომავალში გათვალისწინებული იქნება მისი რეკომენდაციები და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის სპეციალურ ღონისძიებებს მიმართავს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ სრული მზადყოფნა გამოხატა პაციენტთათვის პირადობის მოწმობების აღდგენასთან დაკავშირებით, ხოლო ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრაციებს მიეცათ რეკომენდაცია, მოაგვარონ პაციენტების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საკითხი სტაციონირების ან შემდგომ, უახლოეს პერიოდში.

პაციენტთა არჩევნებში მონაწილეობის უფლებაზე სახალხო დამცველის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი გაგრძელდება.

ქმედუნარო პაციენტები და მათი უფლებები

ქმედუნარო პაციენტების რაოდენობა ძალიან მცირეა, თუმცა რეალურად გაცილებით მეტი პაციენტი საჭიროებს ქმედუნაროდ აღიარებას. ამის გამო ასეთ პაციენტებს არ ყავთ ოფიციალური მეურვეები და ექვქვეშ დგება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და მათი ინტერესების დაცვის საკითხები.

მეორეს მხრივ, ის პაციენტები, რომლებიც აღიარებული არიან ქმედუნაროდ და ჰყავთ მეურვეები, ხშირ შემთხვევაში მეურვეთა მხრიდან გულგრილობისა და ქონებრივი დაინტერესების გამო სხვადასხვა პრობლემებს აწყდებიან. ასეთ შემთხვევაში მათ არ ეძლევათ საშუალება, აირჩიონ მეურვე, ან შეცვალონ იგი, რადგან ქმედუნარო პაციენტებს არ აქვთ საკუთარი მეურვეების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის უფლება.

მზრუნველობის ორგანოების თანამშრომლობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებთან ხშირად ფორმალურია ან საერთოდ არ არსებობს. ასეთ პრობლემას წააწყდა ბათუმის რესპუბლიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფო, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია პაციენტთა სოციალური პრობლემების მოგვარებაში. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ არაერთხელ მიმართა მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს პაციენტისათვის მეურვის შეცვლის თხოვნით, რადგან აღნიშნული მეურვე საკუთარ მოვალეობებზე უარს ამბობდა, თუმცა დღემდე აღნიშნული საკითხი არ მოგვარებულა, რაც ცხადყოფს, რომ მეურვეებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე კონტროლი და მათი არაკეთილსინდისიერი შესრულების დროს სათანადო რეაგირება არ ხდება.

ქმედუნარო პაციენტებს ჩამორთმეული აქვთ ქორწინების უფლება, რაც მათი პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვაა.

სამედიცინო პერსონალი და მათი უფლებები

ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის ანაზღაურება კვლავ დაბალი რჩება, რაც იწვევს მათ დემოტივაციას და კვალიფიციური კადრების დეფიციტს. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის სამუშაო გარემო მათთვის შეურაცხმყოფელია, მათი სამუშაო ოთახები მოუწესრიგებელია და განახლებას საჭიროებს. არ არის დაცული სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება სამუშაო პროცესში. უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება თანამედროვე ლიტერატურაზე და ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებზე.

დასკვნები

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები თვალნათლივ მიუთითებს, რომ ტრადიციული, ინსტიტუციურ მომსახურებაზე ორიენტირებული და ცენტრალიზებული ფსიქიატრიული სერვისი ვერ უზრუნველყოფს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ინტერესების და უფლებების სრულყოფილ დაცვას, ვინაიდან ასეთი სისტემა იმთავითვე „დეფექტური“ პიროვნებების იზოლაციისთვის იყო შექმნილი.

საქართველოს სახალხო დამცველს და საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს მიაჩნიათ, რომ ინვესტიციების განხორციელება არსებული არაეფექტური სისტემის ზედაპირული გაუმჯობესებისთვის ხელს უშლის საზოგადოებრივი ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესებას, ვინაიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მკურნალობის შედეგები, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა.

2005-2006 წლებში განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ დაფინანსების მაშინდელი სისტემა, რომელიც განურჩევლად დაავადების სტატუსისა ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრული თანხის გამოყოფას გულისხმობდა, საშუალებას აძლევდა დაწესებულებას პაციენტი სტაციონარში დაეყოვნებინა. ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა და უფრო მოქნილი და პაციენტის ინტერესებზე ორიენტირებული დიფერენცირებული დაფინანსების სისტემა შემუშავდა.

საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა თემზე დამყარებული სოციალური სერვისის განსავითარებლად, თანამედროვე ფსიქოსოციალური მოდელის შემუშავების და დანერგვისათვის.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები არ უნდა იმყოფებოდნენ ხანგრძლივ რეზერვაციაში დახურულ ინტიტუციებში!

რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, სხვადასხვა უწყებების მიმართ შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა ერთი პაციენტის სტაციონარული მკურნალობისთვის დღიურად გამოყოფილი დაფინანსების გაზრდა. / საქართველოს ფინანსთა სამინისტროს/
- აუცილებელია თემზე ორიენტირებული ფსიქიატრიის განვითარება. უწყვეტი ფსიქიატრიული სერვისის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის მკურნალობას და შემდგომში რეაბილიტაციას. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს/
- ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ საკუთარი უფლებების შესახებ პაციენტთა ინფორმირებისთვის დამატებითი ზომები უნდა მიიღოს. შესაძლებელია შინაგანაწესით განისაზღვროს პაციენტთა დაწესებულებაში მიღებიდან გარკვეული დროის განმავლობაში სავალდებულო ინფორმირება მათი უფლებების შესახებ ან/და მკურნალობის პროცესში მიაწოდოს მედპერსონალმა ან სოც. მუშაკმა ასეთი ინფორმაცია. / ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/
- აუცილებელია დაწესებულების ადმინისტრაციამ შექმნას ქმედითი მექანიზმი, პაციენტთა ინფორმირებისთვის მათი დაავადების/დიაგნოზის, მკურნალობის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. პაციენტებისთვის სამედიცინო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. / ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/
- იმ საავადმყოფოებში სადაც ჯერ კიდევ არ არის, დაშვებულ იქნას სოც.მუშაკის შტატი, რადგან პაციენტთა სოციალური საკითხები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პირადი შემოსავლების, მეურვეებთან ურთიერთობის და პაციენტების საკუთრების საკითხები კომპეტენტურმა პირმა მოაგვაროს. /მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, ქ. თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს/
- დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა სტაციონარიდან გაწერის საკითხი. მონიტორინგი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში პაციენტთა დაყოვნება ხდება, თუმცა ადმინისტრაციის არგუმენტი, რომ ეს სოციალური შეჭირვების გამო კვლავ მიუსაფარ პაციენტთა დასახმარებლად ხდება, წინააღმდეგობაში მოდის კანონთან „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, ასევე საწინააღმდეგოს ამტკიცებს გამოკითხვის შედეგები, სადაც გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობამ იცის, თუ სად უნდა დაბრუნდეს მკურნალობის დასრულების შემდეგ. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/
- საჭიროა შეიცვალოს პაციენტის როლი მკურნალობის პროცესში და პაციენტი აღიქმებოდეს არამხოლოდ როგორც მზრუნველობის ობიექტი, არამედ როგორც პარტნიორი. საკუთარი მკურნალობის პროცესში მონაწილეობის

უფლება პაციენტებს „პაციენტთა უფლებების შესახებ“ კანონით აქვეთ გარანტირებული. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

- აუცილებელია მკურნალობის პროცესში ისეთი ალტერნატიული მკურნალობის მეთოდების ჩართვა, რომელიც სტაციონარში პაციენტის უნარ-ჩვევების შენარჩუნებას და განვითარებას შეუწყობს ხელს. დღეისათვის პაციენტები სტაციონარში მკურნალობის განმავლობაში იმ სასარგებლო შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევების დიდ ნაწილს კარგავენ, რომელმაც უნდა გაუადვილოს მათ საზოგადოებასთან თანაცხოვრება. ერთის მხრივ, ფსიქიატრიული სერვისის მიმწოდებლებმა უნდა დანერგონ ასეთი სერვისი და, მეორეს მხრივ სერვისის დამფინანსებელმა უნდა მოითხოვოს ფსიქიატრიული მომსახურების პაკეტში მისი შეტანა. რა თქმა უნდა ასეთი სერვისის გაწევა შესაბამისად უნდა იყოს დაფინანსებული. პაციენტებს უნდა ჰქონდეთ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/
- აუცილებელია გაუმჯობესდეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა ხელმისაწვდომობა არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე. ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა სამედიცინო არაფსიქიატრიული მომსახურებით სარგებლობის უფლების დარღვევა დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებს/
- ადმინისტრაციამ უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს დაბალი მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა შრომისა და ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებაზე, რათა ეს ქმედება მედპერსონალის მხრიდან სავალდებულო პროცედურის დაცვით მოხდეს. /ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/
- საჭიროა შიდა საჩივრების სისტემის - როგორც დაწესებულებასა და პაციენტს შორის უკუგების მექანიზმის - დანერგვა და ეფექტურად გამოყენება. მონიტორინგმა აჩვენა, რომ საჩივრების არსებული მექანიზმი - საჩივრების ყუთები, რომლებიც საავადმყოფოებში, უფრო გარეშე სტუმრების დასანახად არის დამონტაჟებული, ვიდრე პაციენტების და მათი მეურვეების კრიტიკული აზრის გასაგებად, საჭიროებს წახალისებას ადმინისტრაციის მხრიდან. უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის აზრს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას /ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/.

სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოსარჩელე: საქართველოს სახალხო დამცველი
მისამართი: თბილისი, მაჩაბლის 11.
წარმომადგენელი: გიორგი მშვენიერაძე
მოპასუხე: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. #8

კონსტიტუციური სარჩელი

სადავო აქტი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის 1 ნაწილის ვ) ქვეპუნქტი. „პირი შეიძლება მიიმალოს“ (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 29 დეკემბერს #4213-რს).

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.“

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ.“

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით

„ყველას აქვს თავსუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავსუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. ესენია: . . .“

c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის **საფუძვლიანი ეჭვი**, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის 1 ნაწილით:

„დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.“

აღნიშნულ ნორმაში მოცემული ეჭვი გაგებულ უნდა იქნას როგორც „**საფუძვლიანი ეჭვი**“, რადგანაც ევროპული კონვენცია სწორედ საფუძვლიანი ეჭვის არსებობას უკავშირებს მე-5 მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო საქმეზე „ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom) **„საფუძვლიან ექვს“** განმარტავს როგორც “ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს იმაში, რომ შესაბამის პირს შეეძლო ჩაედინა ასეთი დანაშაული”.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c) ქვეპუნქტის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო კუთხით დაკავების საფუძვლად მითითებულია „საფუძვლიანი ექვის“ არსებობა. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაკავების საფუძვლები უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რომ თითოეული მათგანის შინაარსით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას თვალსაჩინოდ იქმნებოდეს „საფუძვლიანი ექვი“, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. შესაბამისად, განვიხილოთ დაკავების თითოეული საფუძველი და გავანალიზოთ წარმოშობს თუ არა ის საფუძვლიან ექვს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში ექვიტანილად დასაკავებლად.

1. **პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.** ამ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ უფლებამოსილი პირი დანაშაულის ჩადენაზე ან ჩადენისთანავე წაასწრებს პირს, ბუნებრივია მის მიმართ სამართლიანად გაჩნდება „საფუძვლიანი ექვი“, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

2. **თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე.** აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით პირის დაკავება დაკავშირებულია სხვა პირების მიერ მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე მითითებაზე. ასეთ პირებს კი განეკუთვნებიან თვითმხილველები და დაზარალებული. ბუნებრივია, როდესაც სამართალდამცავ ორგანოს დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებული მიუთითებს პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს უჩნდება „საფუძვლიანი ექვი“, რომ დანაშაული იმ პირის მიერ არის ჩადენილი.

3. **პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი.** ამ ქვეპუნქტის მიხედვით სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ექვს უჩენს მის მიერ დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალის არსებობა, რომელიც აღმოჩნდება მასზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე. კანონმდებლის მიერ ხაზგასმულია, რომ კვალი უნდა იყოს აშკარა.

4. **პირი მიიძალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიციო დაზარალებულმა.** ამ პუნქტშიც, მსგავსად მე-2 ნაწილში განხილული საკითხისა, ადგილი გვაქვს იმ შემთხვევასთან, როდესაც დანაშაულში ექვიტანილ პირს ცნობს დაზარალებული, ოღონდ განსხვავებით წინა შემთხვევისგან, ექვიტანილი დანაშაულის შემდეგ უნდა მიმალულიყო. ამოცნობად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც უშუალოდ ამოცნობა, ასევე ამოცნობა ფოტოსურათით. ამ შემთხვევაშიც სამართალდამცავ ორგანოს აბსოლუტურად ლოგიკურად აქვს „საფუძვლიანი ექვი“, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი დააკავოს.

5. **პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ;** მოცემულ შემთხვევაში პირის დაკავების საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს განჩინება ან გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილება ძებნის წარმოების შესახებ. აღნიშნული დადგენილების გამოტანა ხდება 160-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, კერძოდ: **„თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირი**

მიმალვაშია, გამომძიებელს მის დაუსწრებლად გამოაქვს დადგენილება პირის ექვიმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ, ხოლო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების შემდეგ უფლება აქვს, პროკურორის თანხმობით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ "

ამ შემთხვევაში საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები უნდა იყოს საკმარისი ვარაუდისათვის, რომ პირი მიმალვაშია. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და ამის დასასაბუთებლად შეიძლება არსებობდეს მთელი რიგი გარემოებები, მაგალითად, თუ ექვიმიტანილი ამოიცნო დაზარალებულმა სურათით, ან არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც წარმოშობს „საფუძვლიან ეჭვს“ პირის დასაკავებლად და ა.შ.

აღნიშნული ქვეპუნქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ კონვენციის მიერ განსაზღვრული „საფუძვლიანი ეჭვი“ ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილულ დებულებებში.

შესაბამისად, სადავო აქტი, რომელიც პირის დაკავების საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რომ ის შეიძლება მიიმალოს, ბუნებრივია არანაირ საფუძვლიან ეჭვს არ წარმოშობს დანაშაულის ჩადენის შესახებ. თუ გარემოებები ქმნის ეჭვს, რომ დანაშაული შეიძლება პირმა ჩაიდინა, მხოლოდ ეს არ არის თავისუფლების შეზღუდვისათვის საკმარისი. ეჭვი თავისუფლების შეზღუდვის ყველა შემთხვევაში უნდა იყოს საფუძვლიანი, ხოლო ის გარემოება, რომ პირი, რომელზეც არსებობს ეჭვი, რომ დანაშაული ჩაიდინა, შეიძლება მიიმალოს, ამ ეჭვს საფუძვლიანს ვერ გახდის.

ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებით ცალსახაა, რომ მხოლოდ „საფუძვლიანი ეჭვი“ შეიძლება გახდეს პირის დაკავების საფუძველი. „საფუძვლიან ეჭვად“ კი შეგვიძლია მივიჩნიოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი დაკავების შემდეგი საფუძვლები: პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა; პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ;

თითოეული მათგანი შეიცავს ისეთი ფაქტებსა და ინფორმაციას, რომელიც დააკმაყოფილებდა დამოუკიდებელ დამკვირვებელს, ეჭვი მიეტანა, რომ სწორედ დაკავებულ პირს შეეძლო ჩაედინა დანაშაული.

რაც შეეხება სადავო ნორმას, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი შეიძლება მიიმალოს, არ შეიძლება გახდეს მისი დაკავების საფუძველი, თუ სხვა „საფუძვლიანი ეჭვი“ ანუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაკავების საფუძველი არ არსებობს. „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობა აუცილებლად უნდა შეიცავდეს დაკავების იმ საფუძვლებს, რომელიც სადავო ნორმის გარდა მოცემულია 142-ე მუხლის პირველ ნაწილში. შესაბამისად, პირის დაკავების საფუძველსაც სადავო აქტის გარდა არსებული სხვა საფუძვლები უნდა წარმოადგენდეს. თავისთავად მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე ფაქტია, რომ სადავო ნორმის არსებობა უფლებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს,

„საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობის გარეშე, თვითნებურად ხელყონ კონსტიტუციით გარანტირებული „თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება“.

განსაკუთრებულად ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იყო დაკავების კიდევ ერთი საფუძველი: „თუ არსებობს სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე, ეს პირი შეიძლება დააკავონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი გაქცევას ცდილობდა, ან მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან არ არის დადგენილი მისი ვინაობა.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო დაკავების აღნიშნული საფუძველი. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, დაკავება ეს არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელსაც პირობად უნდა დაედოს საკმაო საფუძველი ეჭვისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, დაკავების მიზანს კი წარმოადგენს აღნიშნული პირის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა, მისი გაქცევის ან დამალვის, აგრეთვე მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილება. სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ კოდექსის ზემოთმოყვანილი დებულებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ განხორციელდეს კანონიერი დაკავება, უნდა არსებობდეს 141-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების გამოყენების როგორც პირობა, ისე მიზანი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობამაც შეიძლება განაპირობოს პირის დაკავება ამავე კოდექსის 141-ე მუხლში აღნიშნული მიზნებისათვის. ეს საფუძველებია: ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა; ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძეზნის წარმოების შესახებ“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით, პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, დადგენილია არა ის საფუძველები, ან საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კანონით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება პირის დაკავება, არამედ „სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“. სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია დაკავების კანონით დადგენილი შემთხვევები, ხოლო იმავე მუხლის მე-5 პუნქტი კი მიუთითებს „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი“. ასევე აღსანიშნავია, გაერთიანებული ერების 1966 წლის 16 დეკემბრის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლი, რომლის თანახმადაც, „არავინ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძველისა და პროცედურისა“. ამრიგად,

საქართველოს კონსტიტუცია და აღნიშნული საერთაშორისო პაქტი ითვალისწინებენ დაკავებას – თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე. იგივეს ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის პირველი ნაწილი – „1. თუ პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს ამ კოდექსში აღნიშნული დაკავების საფუძველები...“ და ა.შ. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე, ეს მონაცემები შესაძლებელია დაედოს საფუძვლად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას.“

აღნიშნულის მიხედვით, სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დაკავების საფუძველები (სადავო ნორმის გარდა) ამომწურავია და ამ საფუძველების არსებობის გარეშე პირის დაკავება უნდა მივიჩნიოთ „საფუძვლიანი ეჭვის“ გარეშე პირის დაკავებად. სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ ასეთი მონაცემები საფუძვლად შეიძლება დაედოს ეჭვს და არა პირის დაკავებას.

სადავო ნორმა შინაარსობრივად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაკონსტიტუციურად ცნობილი 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის მატარებელია. 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირის დაკავება შეიძლებოდა სხვა მონაცემების საფუძველზე თუ „იგი გაქცევას ცდილობდა“, (ხოლო სხვა მონაცემებს წარმოადგენდა 142-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საფუძველებისაგან განსხვავებული მონაცემები). სადავო აქტით ფაქტობრივად ხდება უკვე დადგენილი საფუძველებისაგან (იგულისხმება 142-ე მუხლის 1 ნაწილი სადავო ნორმის გარდა) განსხვავებული, სხვა მონაცემების საფუძველზე პირის დაკავება, თუ ის შეიძლება მიიმალოს.

სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა „თუ არსებობს სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე, ეს პირი შეიძლება დააკავონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი გაქცევას ცდილობდა . . .“ შინაარსობრივად იგივეა, რაც სადავო ნორმა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.“

მიუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი იმავე შინაარსის მატარებელ აქტს წარმოადგენს. შესაბამისად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4¹ პუნქტისა, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე ცნობილია არაკონსტიტუციურად, ხოლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – „აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამოდ, ასევე იმავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან ან საქართველოს კანონებთან შეუსაბამოდ, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.”

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის 1 პუნქტის თანახმად: „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 142-მუხლის პირველი ნაწილის ვ) ქვეპუნქტი „პირი შეიძლება მიიმალოს“, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებს და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამოცხადდეს ძალადაკარგულად.“

ასევე მივიჩნევთ, რომ ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი იქონიოს იმ პირებისათვის, რომლებიც სადავო ნორმის საფუძველზე შეიძლება იქნან დაკავებული. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გთხოვთ, შეაჩეროთ სადავო ნორმის მოქმედება.

თუ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე მივა დასკვნამდე, რომ სადავო ნორმა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევით არის მიღებული, ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-4 პრიმა პუნქტის მიხედვით ცნობილ იქნას ძალადაკარგულად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოსარჩელე: საქართველოს სახალხო დამცველი

მისამართი: თბილისი, მაჩაბლის 11.

წარმომადგენელი: გიორგი მშვენიერაძე

მოპასუხე: საქართველოს პარლამენტი

მისამართი: რუსთაველის გამზ. # 8

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი:

"მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს."

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილია:

"კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს."

2007 წლის 25 იანვარს განცხადებით მომართა მოქალაქე მოგელი ტყებუჩავას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმა, რომელიც აცხადებდა, რომ მოგელი ტყებუჩავა იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში, და მოითხოვდა შეგვესწავლა საკითხი და მიგველო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

საკითხის შესწავლით დადგინდა:

მოგელი ტყებუჩავა ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრებული იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც განაჩენი დატოვა ძალაში. მოგვიანებით სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულის ადვოკატებმა გაასაჩივრეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელის 2006 წლის 28 ნოემბრის განჩინებით საჩივარი არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

განმცხადებელი სადავოდ ხდიდა შემდეგ ფაქტს: მოგელი ტყებუჩავამ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა 2000 წლის 5 მაისს, როდესაც მოქმედებდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსი (1960 წლის რედაქციით). მის მიერ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდებოდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. სასჯელის სახედ გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით, ხოლო დანაშაულისათვის ხანდაზმულობა იყო 5 წელი.

2000 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვითაც დანაშაული გადაკვალიფიცირდა 333-ე მუხლის 1 ნაწილით.

დანაშაულისათვის სასჯელის სახედ გათვალისწინებული არის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრა 6 წელი.

მოგელი ტყებუჩავას ჩადენილი ქმედებისათვის ბრალი წაუყენეს 2006 წლის 20 იანვარს, ანუ დანაშაულის ჩადენიდან 5 წლის, 7 თვისა და 15 დღის შემდეგ.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება კანონს **მხოლოდ** იმ შემთხვევაში ანიჭებს უკუძალას, თუ ის ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას. ანუ ამ დებულების შესაბამისად კანონი, რომელიც არ ცვლის პირის სამართლებრივ მდგომარეობას პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, უკუძალის მატარებელი ვერ იქნება, რომ არაფერი ვთქვათ მდგომარეობის დამძიმებაზე.

ჩვენთვის ნათელია, რომ კონსტიტუციის ეს დანაწესი უნდა გავრცელდეს სისხლის სამართლის ან/და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებზე და არა პროცესუალურ კანონებზე, ანუ ის უნდა გავრცელდეს იმ კანონებზე, რომლითაც სამართალდარღვევისათვის დადგენილია პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობად კი უნდა მივიჩნიოთ სასჯელი ან სახდელი და ასეთ კანონებს ბუნებრივია არ უნდა მივაკუთნოთ ზოგადად საპროცესო კანონმდებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, განსხვავებით კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისაგან, არ არ იძლევა საშუალებას ერთგვაროვნად იქნას გაგებული კანონის მოთხოვნა და სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს მისცა საშუალება, განემარტათ კონსტიტუციის დებულების საწინააღმდეგოდ, კერძოდ:

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებით კანონის უკუძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაშვებული, თუ ის ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით უკუძალა აკრძალულია იმ შემთხვევაში, თუ კანონი **"აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს"**. ანუ, თუ სისხლის სამართლის კანონი არ აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან არ ამკაცრებს სასჯელს, შესაძლებელია უკუძალის მატარებელი იყოს. ამის თვალსაჩინო მაგალითია მოგელი ტყებუჩავას საქმე, სადაც ფოთის საქალაქო სასამართლომ, ხოლო შემდეგ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ კანონს სისხლის სამართლის მატერიალურ ნორმას იმ შემთხვევაშიც მისცა უკუძალა, როდესაც ის არ ამსუბუქებდა ან არ აუქმებდა პასუხისმგებლობას. აღნიშნული გადაწყვეტილებების შესახებ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

აქვე აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებული უზენაესი სასამართლოს პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ "დანაშაულის ხანდაზმულობათან მიმართებში მოქმედებს კანონი, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის გამოვლენის დროს." იქვე აღნიშნულია, რომ უდავოა, რომ მოგელი ტყებუჩავამ დანაშაული ჩაიდინა ძველი სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებისას, თუმცა ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში იგი მიეცა 2006 წლის 20 იანვარს - ანუ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შემდეგ, რომელმაც თავის მხრივ დაადგინა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირის გათავისუფლების ხანდაზმულობის ახალი ვადები... აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ტყებუჩავას მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების კანონმდებლობით

დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ დარღვეულა. აღნიშნული საკითხი ანალოგიურადაა განმარტებული . . . სასამართლო პრაქტიკის მიერ.

აღნიშნული მაგალითები თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკით, კანონს, თუ ის არ შეეხება უშუალოდ სასჯელს ან ქმედების დანაშაულებრიობას, ყველა შემთხვევაში ანიჭებენ უკუმაღას, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის დებულებასთან.

ორგანული კანონის "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით "ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს."

არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოები სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებისას აშკარად ცილდებიან კონსტიტუციით დადგენილ პრინციპს, რომ "სისხლის სამართლის კანონმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქონიოს უკუმაღა, თუ ის პირს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს."

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას შეეხება ხანდაზმულობის გამო. ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება.

მუხლი 71. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

1. პირი თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ1) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–342¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს; (25.07.2006 N 3530)

დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

3. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

4. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

5. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად მიჩნეულია ხანდაზმულობის ვადის გასვლა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თავისი არსით, სისხლის სამართალში პირის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია დანაშაულის ხანდაზმულობაზე და მისი გასვლა პირს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სადავო აქტის შემთხვევაში კი საუბარია არა პასუხისმგებლობისაგან, არამედ სასჯელისაგან გათავისუფლებაზე, რაც ბევრად ავიწროვებს კონსტიტუციით გარანტირებული დებულების გაგებას და იმაზე მეტად ზღუდავს პირის უფლებებს, ვიდრე კონსტიტუცია.

შესაბამისად, მოვითხოვთ, არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, რადგან ის (მისი გამოყენების პრაქტიკა) ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოსარჩელე: საქართველოს სახალხო დამცველი

მისამართი: თბილისი, მაჩაბლის 11.

წარმომადგენელი: გიორგი მშვენიერაძე

მოპასუხე: საქართველოს პარლამენტი

მისამართი: რუსთაველის გამზ. # 8

კონსტიტუციური სარჩელი

სადავო აქტი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილი: *„თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.“* (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 29 დეკემბერს #4213).

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია უდანაშაულობის პრეზუმპცია: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“

სისხლის სამართალში პირი დამნაშავედ შეიძლება მიიჩნიოს მხოლოდ სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლო, გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად აფასებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, მოქმედებდა თუ არა ბრალეულად და შესაბამისად გამოაქვს განაჩენიც. სასამართლო დამნაშავედ ცნობასთან ერთად პირს უნიშნავს სასჯელს. სასჯელის დანიშვნა ხდება მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალეულად. სისხლის სამართალში აღნიშნული პრინციპი ცნობილია, როგორც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი (*nulla poena sine culpa*).

საქართველოს კონსტიტუციაში, მართალია, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი დეკლარირებული არ არის, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად: "საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან."

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სასჯელის ინდივიდუალურობა ერთერთი ძირითადი პრინციპია.

სადავო აქტის მიხედვით, არასრულწლოვანი მსჯავრდებული თუ გადახდისუნაროა, მის ნაცვლად ჯარიმა შეიძლება დაეკისროს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის

თანახმად, ჯარიმა წარმოადგენს სასჯელის სახეს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით:

ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. შესაბამისად, პირი, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, სასამართლოს მიერ შეიძლება ცნობილი იქნას დამნაშავედ და დაენიშნოს სასჯელი. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია (სსკ მე-39.1 მუხლი). შესაბამისად, სასჯელმა გავლენა უნდა იქონიოს უშუალოდ დამნაშავეზე, ხოლო სასჯელით სხვა პირი არ უნდა დაზარალდეს. ჯარიმის მშობელზე, მეურვესა და მზრუნველზე დაკისრება ვერანაირად ვერ აღადგენს სამართლიანობას, ვერც ახალი დანაშაულის ჩადენას აიცილებს თავიდან და ვერც დამნაშავის რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს, პირიქით გამოიწვევს სხვა პირთა დასჯას, რაც ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

სადავო ნორმა სასჯელს აკისრებს პირს, რომელიც არ არის ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად სცნო დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია. აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ გარემოებასაც, რომ ქონების კონფისკაცია არ შეესაბამებოდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: "ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ."

სადავო ნორმის შემთხვევაშიც სასჯელი მიმართულია არა დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო მშობლის ან მეურვისა და მზრუნველის წინააღმდეგ, რაც სისხლის სამართლის ძირითად პრინციპს - სასჯელის ინდივიდუალიზაციას - ეწინააღმდეგება.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ერთერთი ძირითადი პრინციპია და მიგვაჩნია, რომ ის თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის დებულებებიდან. საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს რა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მაღალ სტანდარტებს, ცხადია რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიც გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან.

სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ პრაქტიკა, რომელიც არსებობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და საერთაშორისო სასამართლოებში.

იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია.“

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121.1 მუხლი თანახმად: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი ქმედებისთვის შეიძლება არსებობდეს.“

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 პარაგრაფი: „მხოლოდ დამნაშავე დაისჯება.“

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაში „პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ“, §186 აღნიშნულია:

„ექვგარეშეა, რომ როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სამართლის სისტემებში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეფუძნება ინდივიდუალური ბრალეულობის პრინციპს: არავის შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ აქტებისა თუ გადაცდენებისათვის, რომლებშიც პირადად არ იყო გარეული ან რომლებშიც სხვა რაიმე ფორმით არ მონაწილეობდა (*nulla poena sine culpa*). შიდა სამართალში ეს პრინციპი განსაზღვრულია კონსტიტუციით, კანონმდებლობით ან სასამართლო გადაწყვეტილებებით. საერთაშორისო სამართალში იგი გაცხადებულია საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მე-7-1 მუხლში, რომლის მიხედვითაც: ვინც დაგეგმა, უბიძგა, უბრძანა, ჩაიდინა ან სხვა რაიმე ფორმით დაეხმარა ან წახალისა 2-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის დაგეგმვა, მომზადება ან შესრულება, ინდივიდუალურად პასუხისმგებელია ამ დანაშაულზე.“

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა: "ეს პრინციპი (*nulla poena sine culpa*) უფრო ხშირად იმპლიციტურია, თუმცა არის შემთხვევები, როცა იგი პირდაპირ ცხადდება. მაგ. დიდ ბრიტანეთში, *R v Dalloway* (1847) 2 Cox CC 273; ბელგიის საკასაციო სასამართლოს 1952 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება; გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება, მაგ. BVerfGE 6, 389 (439) 50 და 125 (133) გადაწყვეტილებები; გერმანიის ფედერალური სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, მაგ. BGHSt 2, 194 (200)".

ევროკავშირის სასამართლოს (Court of Justice of the European Communities) გადაწყვეტილებიდან C-210/00 *Kaserei Champignon* გამომდინარეობს, რომ "ყველა სისხლის სამართლის სასჯელი უნდა იცავდეს პრინციპს - *nulla poena sine culpa*". დავის საგანი იყო ნორმა, რომელიც სანქციას აწესებდა ბრალეულობის არსებობის მიუხედავად. სასამართლო აცხადებს, რომ ამ ნორმის მიერ გათვალისწინებული სასჯელი შეუსაბამო იქნება პრინციპთან "*nulla poena sine culpa*" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სისხლის სამართლის სასჯელია.

დოქტრინის მიხედვით, ამავე პრინციპს ამკვიდრებს ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიც (იურგენ შვარცე, სახელმწიფო სამართლის პროფესორი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის დეპარტამენტი და ფრაიბურგის ევროპა-ინსტიტუტის დირექტორი, სტატიაში „ევროპის ადმინისტრაციული პროცედურების სამართლებრივი განხილვა.“)

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე BVerfGE 20, 323, 1966 წლის 25 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება:

მოსარჩელე მხარე, B-კონცერნის ერთერთი ფირმა B-Lesering-ი. ის თავისი საქმიანობის რეკლამირებას ახდენდა მისგან დამოუკიდებელი სარეკლამო კომპანიების, ე.წ. "მეურვე კომპანიების" მეშვეობით.

ერთერთმა მეურვე კომპანიამ სარეკლამო კამპანია ჩაატარა ისეთი სახით, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონს "რეკლამის შესახებ". ამის გამო სასამართლოს მიერ ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრა მოსარჩელე მხარეს B-Lesering-ს.

B-Lesering-მა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ფედერაციის სუბიექტის (მიწის) უზენაეს სასამართლოში, რომელმაც დაადგინა:

მოსარჩელე მხარის ვარაუდი, რომ "მეურვე კომპანიის" მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებელი არ არის, გამართლებულია. მოსარჩელემ წერილობით არაერთხელ გააფრთხილა მეურვე კომპანია (მოპასუხე მხარე), რომ ის კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა და მას საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტით დაემუქრა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის ბრალეულობა "მეურვე კომპანიის" მიერ ჩადენილ კანონდარღვევაში ვერ დასტურდება.

მიუხედავად ამისა, მოპასუხემ (მეურვე კომპანიამ) შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო, რომ მოსარჩელე მხარე პასუხისმგებელია მისი ხელქვეითების მიერ ჩადენილი ქმედებისათვის და რომ მან სათანადო მეთვალყურეობა და კონტროლი ვერ გაუწია თავისი თანამშრომლების საქმიანობას, რის გამოც B-Lesering-ს დაეკისრა მორიგი ფულადი ჯარიმა.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც გასაჩივრებულ იქნა კონსტიტუციური სარჩელით:

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: გერმანიის კონსტიტუციის 103-ე აზნაცის თანახმად, ყოველი ქმედების დასჯობადობა კანონით განისაზღვრება. კანონით უნდა იყოს ნორმირებული: ქმედების ობიექტური არსი და დასჯობადობა (სუბიექტური ელემენტი), ყოველ სასჯელს უნდა განაპირობებდეს დანაშაული. ფედერალური მიწის სასამართლო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მხედველობიდან გამორჩა ეს პუნქტი, აქედან გამომდინარე მისი გადაწყვეტილება კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია. მან განაცხადა, რომ "მეურვე კომპანია არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი და ის თავად აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი კანონდარღვევისათვის. კონსტიტუციაში გაწერილია, რომ არ არსებობს სასჯელი დანაშაულის გარეშე და რადგან B-Lesering-ს არ ჩაუდენია დანაშაული, ის არც უნდა დაისაჯოს "მეურვე კომპანიის მიერ ჩადენილი კანონდარღვევისათვის - nulla poena sine culpa."

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ პრინციპი "არავითარი სასჯელი ბრალის გარეშე", რაც აუცილებლად გულისხმობს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, მიჩნეული უნდა იქნას კონსტიტუციურ პრინციპად, მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის ასახული.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა, რომელიც უხეშად არღვევს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 42-მუხლის მე-5¹ ნაწილი, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ასევე მივიჩნევთ, რომ ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი იქონიოს იმ პირებისათვის, რომლებსაც სადავო ნორმის საფუძველზე შეიძლება დაენიშნოთ სასჯელი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გთხოვთ, შეაჩეროთ სადავო ნორმის მოქმედება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოსარჩელე: საქართველოს სახალხო დამცველი

მისამართი: თბილისი, მაჩაბლის 11.

წარმომადგენელი: გიორგი მშვენერიძე

მოპასუხე: საქართველოს პარლამენტი

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. #8

კონსტიტუციური სარჩელი

სადავო აქტი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლის 2 ნაწილის სიტყვები: "თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ." (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 20 თებერვალს #1251 - III)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულია პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება. ამავე მუხლის მე-7 პუნქტით "უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება".

პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების უკანონოდ შეზღუდვის შემთხვევაში კომპენსაციის მიღება გარანტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით. "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მე-5 მუხლის თანახმად - ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი კონვენციის მე-5 მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

კომპენსაციის მიღების უფლება, ასევე აღიარებულია "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტით": "თითოეულს, ვინც უკანონოდ დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება, რომელსაც სარჩელის ძალა ენიჭება" (მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: "ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან."

საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 20 თებერვალს, მიიღო კანონი "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", რომელშიც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტისა და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლი ადგენს:

1. ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით უნაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო. ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან საქმე შეწყდა ამ

კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლებით.

2. ფიზიკური ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ.

3. მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით ბოდიშის მოხდის გზით, აგრეთვე ფულადი კომპენსაციით."

ამ ნორმის მიხედვით, პირს კომპენსაცია მიეცემა მატერიალური, მორალური და ფიზიკური ზიანისათვის, ანუ თუ პირს მიაღდა მატერიალური, მორალური ან ფიზიკური ზიანი.

აღნიშნული მუხლის 2 ნაწილის თანახმად, უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად პირისადმი მიყენებული ფიზიკური ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ.

ნორმა საშუალებას იძლევა, სახელმწიფოს მხრიდან ფიზიკური პირისათვის მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოწვეულია საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის დროს რეჟიმის დარღვევით, ანუ ამ მუხლის მიხედვით, უკანონოდ დაპატიმრებულ პირს უფლება არ აქვს მოითხოვოს ფიზიკური ზიანის ანაზღაურება, თუ მის მიმართ საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის დროს რეჟიმი არ დარღვეულა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, რადგანაც სახელმწიფო ორგანოების მიერ პირისათვის მიყენებული ზიანი **სრულად** უნდა ანაზღაურდეს. სადავო ნორმის მიხედვით თუ პირი დაავადდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაგრამ მისი დაავადება რეჟიმის დარღვევას არ გამოუწვევია, ფიზიკური ზიანისათვის კომპენსაციას ვერ მიიღებს.

საქართველოს კანონის "პატიმრობის შესახებ" მე-6 მუხლის 3 პუნქტით გათვალისწინებულია 3 ტიპის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება:

1. საერთო რეჟიმის დაწესებულება;
2. მკაცრი რეჟიმის დაწესებულება;
3. საპყრობილე.

ამავე კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად "ბრალდებულს, რომელიც დაპატიმრებულია (შემდგომში - პატიმარი) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ამყოფებენ საპყრობილის სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში."

შესაბამისად რეჟიმის დარღვევად უნდა მივიჩნიოთ შემთხვევა, როდესაც პატიმარს ათავსებენ სხვა რეჟიმის დაწესებულებაში, ანდა არ მისცემენ საშუალებას, ისარგებლოს რეჟიმით დადგენილი უფლებებით.

თუ ასეთ დარღვევას არ ექნა ადგილი, სადავო ნორმის მიხედვით პირი ფიზიკური ზიანისათვის სახელმწიფოდან კომპენსაციას ვერ მიიღებს, რაც თავისთავად გამორიცხავს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ზიანის სრულად ანაზღაურებას.

ყოველივე აღნიშნული, უკანონოდ დაპატიმრებულ პირს ართმევს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით გარანტირებულ უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან უკანონო დაპატიმრების შედეგად მიყენებული ფიზიკური ზიანის სრულად ანაზღაურება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: "საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას."

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" 165-მუხლის მე-2 ნაწილის შემდეგი სიტყვები: **"თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ"**, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტებს და საქართველოს ორგანული კანონის "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოსარჩელე: საქართველოს სახალხო დამცველი
მისამართი: ქ.თბილისი, მაჩაბლის ქ. #11
წარმომადგენელი: გიორგი მშვენიერაძე
მოპასუხე: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. #8

კონსტიტუციური სარჩელი

სადავო აქტი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9.8¹ მუხლი: „*დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი*“. (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 24 ივნისს #1781)

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით:

1. შრომა თავისუფალია.
2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.
3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.
4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით."

შრომის უფლებას აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად:

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ

მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.“

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად:

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, კერძოდ:

a) ანაზღაურება, რომელიც ყველა მშრომელისათვის, როგორც მინიმუმს, უზრუნველყოფს;

I) სამართლიან ხელფასს და თანაბარ ანაზღაურებას ტოლფასოვანი შრომისათვის რაიმე განსხვავების გარეშე, ამასთან, კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შრომის ისეთი პირობები, რომლებიც მამაკაცთა შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის;

II) მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელ არსებობას ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;

b) უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობები;

c) ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობა სამუშაოზე დაწინაურდეს შესაბამის უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კვალიფიკაციის საფუძველზე;

d) დასვენება, თავისუფალი დრო და სამუშაო დროის გონივრული შეზღუდვა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულება, ისევე როგორც ანაზღაურება უქმე დღეებისათვის.“

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება შრომის უფლების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები განსაზღვროს კანონით. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ემსახურება საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ მოვალეობებისა და საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებული უფლების უზრუნველყოფას.

სწორედ ამ ვალდებულებების შესასრულებლად ხდება კონსტიტუციური დებულებების რეგლამენტაცია "შრომის კოდექსით". მასში გაწერილია კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარანტიები, მაგალითად - შრომის სამართლიანი ანაზღაურება - დარეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-7 თავით, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები - მე-8 თავი და ა.შ.

საქართველოს კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ" დადგენილია საჯარო სამსახურის გავლის წესი და პირობები, რომელიც განსხვავებულია შრომის კოდექსისა, თუმცა ეს განპირობებულია საკითხის განსაკუთრებულობით, რადგან საჯარო მოხელის საქმიანობა დაკავშირებულია ამა თუ იმ დაწესებულების მიერ საჯარო ფუნქციის განხორციელებასთან. მიუხედავად კანონმდებლის მიერ

განსხვავებული დებულებების დაწესებისა, საჯარო მოსამსახურეთა უფლებები რეგლამენტირებულია საკანონმდებლო აქტით - კანონით "საჯარო სამსახური შესახებ". კონსტიტუციის დებულება იმის შესახებ, რომ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შრომის პირობები განსაზღვრულია კანონით დაცულია როგორც საჯარო სამსახურში, ასევე კერძო შრომით ურთიერთობებშიც.

სადავო აქტის თანახმად: „*დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი*“.

აღნიშნული დებულებით დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომითი საქმიანობა არ რეგულირდება შრომის კოდექსით. ბუნებრივია მათზე ვერ გავრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონიც. შესაბამისად მათთან შრომითი ურთიერთობის დამრეგულერებელი სხვა საკანონმდებლო აქტი სახელმწიფოში არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით დადგენილია ასეთი ურთიერთობის საკანონმდებლო აქტით მოწესრიგების აუცილებლობა.

იმ შემთხვევაში, თუ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე არ გავრცელდება კანონი, რომელიც მოაწესრიგებს საწარმოსთან მათ შრომით ურთიერთობებს, მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევა გარდაუვალია. კანონის ის დანაწესი, რომელიც კრძალავს კანონის საფუძველზე შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას, ცალსახად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტს. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინებით, რომლის თანახმად: "კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს შრომითი ურთიერთობების, შრომის პირობების და ანაზღაურების კანონით განსაზღვრის აუცილებლობას."

„საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9.8¹ მუხლი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტს და ქმნის ადამიანის უფლებების დარღვევის შესაძლებლობას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოვითხოვთ, სადავო ნორმა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ასევე მივიჩნევთ, რომ ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი იქონიოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ექცევიან მისი მოქმედების ქვეშ. შესაბამისად "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გთხოვთ შეაჩეროთ სადავო ნორმის მოქმედება.

რეკომენდაციები

უდანაშაულობის პრეზუმფცია რეკომენდაციები:

ზემოთხსენებული არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირებს უნდა აეკრძალოთ მედიით კომენტარის გაკეთება წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუმცა საჯარო განცხადებების გაკეთებისას თანამდებობის პირები ვალდებული არიან:

4. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის შესახებ საუბრისას მიუთითონ, რომ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა ემყარება ეჭვებს ან დასაბუთებულ ვარაუდს.
5. თავი შეიკაონ მტკიცებითი ფორმით ეჭვმიტანილზე, ბრალდებულზე ან განსასჯელზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, მითითებისაგან.
6. არასოდეს გამოიყენონ პირის წინააღმდეგ იმ სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელზეც წინასწარი გამოძიება/სისხლისამართლებრივი დევნა შეწყვეტილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის ნებისმიერი საფუძველით.

ადამიანის უფლებები სასჯელაღსრულების სისტემაში რეკომენდაციები:

1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უზრუნველყოს კვება ვეგეტარიანელებისა და სპეციალური საჭიროებების (მაგ. მარხვა) მქონე პატიმრებისათვის და აღნიშნული განისაზღვროს ნორმატიული აქტით.
2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სასწრაფოდ უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების დაცვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ელექტროსადენებთან დაკავშირებით.
3. საპყრობილეების გადატვირთულობა და იქ სათანადო ვენტილაციის არარსებობა იწვევს გაუსაძლის პირობებს და პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას. დამონტაჟდეს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა ყველა საპყრობილეში.
4. იუსტიციის სამინისტროს მივმართავთ რეკომენდაციით, მეტი ყურადღება გამახვილდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ჰიგიენურ მდგომარეობაზე. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ამუშავდეს სამრეცხაოები, მოწესრიგდეს საშხაპეების პრობლემა. პატიმრები უზრუნველყონ პირადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებითა და დალაქის მომსახურებით.
5. ეტაპობრივად განხორციელდეს პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამები.
6. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი პატიმარი, რომელთან მუშაობაც აუცილებელია. რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს, დროულად ამოქმედდეს იუსტიციის და განათლების მინისტრების ერთობლივი #614/6 („მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ“) ბრძანების ნორმები.
7. მოიხსნას საპყრობილეებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები, შევიდეს ცვლილებები იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის ბრძანებაში „პატიმრობის მოხდის შესახებ“ და გაუქმდეს აღნიშნული ბრძანების მე-19 მუხლის მე-9 ნაწილის ბოლო წინადადება: „საპყრობილის მოსამსახურეს უფლება აქვს ვიზუალურად, მოსმენის გარეშე, აკვირდებოდეს შეხვედრას“.
8. კანონის დარღვევისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებისათვის ჯიუტად თავის არიდების გამო, რეკომენდაციით მივმართავთ იუსტიციის მინისტრს, დააყენოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება რეკომენდაცია

4. ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონულმა სამმართველომ უზრუნველყოს ილია ქაჩიბაიასათვის თავისუფლების აღკვეთისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე ეფექტური გამოძიების წარმოება.
5. სახალხო დამცველი საკანონმდებლო წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შრომის კოდექსის მე-6 მუხლში იმპერატიულად განისაზღვროს არაერთჯერადი სამუშაოს შესასრულებლად წერილობითი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი.
6. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მედიის ან ჟურნალისტთა აკრედიტაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები დარეგულირებული იქნეს ნორმატიული აქტით. დაუშვებელია აკრედიტაციის მომწესრიგებელი ნორმები უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ არ ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს ან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება რეკომენდაციები და წინადადებები

5. საკანონმდებლო წინადადებით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში ნათლად განისაზღვროს სახელმწიფო დაწესებულებიდან ოცი მეტრის რადიუსში შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი და ამ დროს მანიფესტაციის დაშლის საფუძვლები.

6. რეკომენდაციით მივმართავთ შინაგან საქმეთა მინისტრს შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის უკეთ გაცნობის მიზნით მოხდეს შესაბამისი პატრული-ინსპექტორების გადამზადება, იმისათვის, რომ მომავალში მათ შეძლონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და შეკრება-მანიფესტაციის უფლებით ჯეროვანი სარგებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

7. დადგინდეს და სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული პოლიციის ის თანამშრომელი, ვინც 2007 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით აქციის დასაშლელად გამოიყენა ბასრი საგანი, რის შედეგადაც აქციის ერთერთ მონაწილეს დავით დალაქიშვილს მიაღდა ჯანმრთელობის დაზიანება.

8. რეკომენდაციით მივმართავთ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, აწარმოონ ეფექტური გამოძიება 2006 წლის 7 ივნისს ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებისათვის მიყენებული შეურაცხყოფისა და 2006 წლის 21 ივნისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მთავრობის კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ თანამშრომლების მშვიდობიანი აქციის დარბევის ფაქტზე

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვა რეკომენდაციები:

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს 2002 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 1 ივლისამდე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირების შვილებზე გაუცემელი ყოველთვიური პენსიის თანხის საშინაო ვალად აღიარების საკითხი;
7. წინადადებით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, განიხილოს პოლიტრეპრესირებულთათვის კანონის თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული სოციალური გარანტიების აღდგენის საკითხი;
8. წინადადებით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, განიხილოს „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაუქმების საკითხი;
9. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, მისი დანიშვნისა და გაცემის წესისა და პრინციპების“ მე-4 მუხლის კ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბსიდიის ოდენობის განსაზღვრა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის გათვალისწინებული სუბსიდიის ოდენობის იდენტურად;
10. საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ უზრუნველყოს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებსა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო პენსიის გაცემა მათი დასაქმების მიუხედავად, როგორც ამას ითვალისწინებს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და იზრუნოს იმ პირთა უფლებების აღდგენაზე, რომლებსაც საჯარო სამსახურში დასაქმების გამო შეუწყდათ პენსიის გაცემა და რომლებიც იძულებულები გახდნენ, უკან დაებრუნებინათ უკვე მიღებული პენსიები.

ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო აქტიურობის წახალისებას, ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში დასაქმებას.

საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს და განხორციელდეს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საქართველოს სხვა რეგიონებთან დაკავშირებისა და ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამა.

საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ეროვნული უმცირესობებით დასახლებული და საქართველოს სხვა რეგიონების მედია საშუალებებისა თანამშრომლობის ინიცირებას, სტიმულირებასა და მხარდაჭერას შეუწყობს ხელს.

განათლების სამინისტროს - ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მივლენის მიზნით შერჩეულ იქნან ქართული ენის კვალიფიცირებული პედაგოგები. უპირატესობა უნდა მიენიჭოთ იმ პედაგოგებს, რომლებიც ფლობენ შესაბამისი უმცირესობის ენას.

ბავშვის უფლებები რეკომენდაციები:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს რესურსცენტრების როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გაძლიერება. კერძოდ, ყველა რესურსცენტრს დაემატოს კვალიფიციური სოციალური მუშაკები, რომლებსაც ზუსტად ეცოდინებათ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ფორმები.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ზუსტი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები იქნება ასახული.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სხვადასხვა საშუალებებით უნდა შეუწყონ ხელი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და განათლებას ბავშვის ოჯახური თუ სხვა სახის ძალადობისგან დასაცავად.
- საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს სპეციალურად ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის განკუთვნილი ალტერნატიული ზრუნვის სისტემის არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს მსხვერპლი ბავშვის უპირველესი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად სწრაფ დროში მისი უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, იმ დრომდე, სანამ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები არ დარწმუნდებიან იმაში, რომ ბავშვის ოჯახში დაბრუნება მისთვის უსაფრთხოა.
- ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს უპირობო საფუძველი იმისა, რომ ბავშვს დაუყოვნებლივ ჩაუტარდეს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებული არიან, გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდეს დამატება, რომლის საფუძველზეც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის შემთხვევაში, პირები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები და არ იმოქმედეს შესაბამისად, დაჯარიმდებიან. ვინაიდან პასუხისმგებლობა მითითებული მუხლის დარღვევის შემთხვევაში სცილდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლებს და საჯარო სამართალს უკავშირდება.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, აუცილებელია ზუსტად მიუთითონ რეაგირების ვადები

საქმის წარმოებაზე, რომელიც არასრულწლოვან ძალადობის მსხვერპლ ბავშვს შეეხება:

3. თუ ნათელია, რომ მდგომარეობა საგანგაშოა და არსებობს რისკი იმისა, რომ ბავშვს მიადგება ზიანი, შესაძლებელი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში ბავშვის გადაყვანა მისთვის უსაფრთხო ტერიტორიაზე.

4. თუ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ბავშვი ოჯახში არის ძალადობის ქვეშ, საკითხის პირველადი შესწავლა უნდა მოხდეს ერთი კვირის ვადაში, რათა გადაწყდეს, თუ რამდენად სახიფათოა ბავშვის მდგომარეობა.

- წინადადებით მიმემართავთ საქართველოს პარლამენტს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმად, ამავე კანონის მეექვსე თავის 19-ე მუხლი ამოქმედება დაუყოვნებლივ;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჭიროა უზრუნველყონ, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან გასაუბრებას აწარმოებდეს პირი, რომელიც ამისათვის სპეციალურად იქნება მომზადებული.

ძალადობა ოჯახში რეკომენდაციები:

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონით დადგენილ ვადებში – 2008 წლის 1 იანვრისთვის, ამ კანონის მე-8 მუხლის და VI თავის ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. კერძოდ, შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები და ჩაატაროს მოძალადეთა რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები. ამ მიზნით დამუშავდეს მიღებული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულებისთვის მკაფიოდ გაიმიჯნოს გეგმით გათვალისწინებული ფუნქციები სამინისტროებს შორის.
2. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და მისგან გამომდინარე რიგ საკანონმდებლო აქტში შევიდეს ცვლილებები, რომელიც შემაკავებელი ორდერის შეუსრულებლობისთვის გაითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში რეკომენდაციები

4. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისაკენ. აქცენტი უნდა გაკეთდეს დასაქმების პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი შრომის ბაზრის დაცვისაკენ.
5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ უზრუნველყოს მის მიერ მიღებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ამ პრობლემაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფორმაციის გავრცელებაზე საქართველოს რეგიონებში.
6. საკოორდინაციო საბჭომ და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა ერთობლივად შეიმუშაონ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩატარების მეთოდები და განსაზღვრონ შეფასების კრიტერიუმები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები რეკომენდაციები:

სახალხო დამცველი განმეორებით მიმართავს რეკომენდაციით საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, უმოკლეს დროში უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურის დაწყება.

განახლდეს პრეზიდენტთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციისა და უწყებათშორისი თანამშრომლობის ორგანიზაციის თვალსაზრისით.

შრომითი დასახიჩრების შემთხვევებისათვის შეიქმნას დამსაქმებლის სრული ან ნაწილობრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მექანიზმი, რომელიც დამსაქმებელს დაავალდებულებს, იკისროს დასახიჩრებული პირის რეაბილიტაციასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები. ზემოხსენებული პროექტის შემუშავების ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა არა დამსაქმებლის შეხედულებისამებრ, არამედ დასახიჩრებულის მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს კომპენსაციის ოდენობის გადახედვის შესაძლებლობას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, თუ ეს გაუარესება დაკავშირებული იქნება იმავე ტრავმასთან, რამაც თავდაპირველი კომპენსაციის გაცემა გამოიწვია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალურად შშმ პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებებისა და შეღავათების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხსა და პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს შეღავათიანი სისტემა იმ შშმ პირების დამხმარე საშუალებებით აღჭურვისა და ჯანმრთელობის დაზღვევისთვის, რომლებიც ვერ მოხვდებიან ლატაკი ოჯახების მონაცემთა ბაზაში. ჩამოყალიბდეს შეზღუდვის ხარისხის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად, დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური სამსახური ან დაევალოს რომელიმე უკვე არსებულ ორგანოს იმავე კოდექსის 178¹ და 178² მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციების შესრულება.

მომზადდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები შშმ პირისათვის კანონით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდებისთვის განსაზღვრული ჯარიმის გაზრდისა და განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევაში დამატებითი სანქციების დაწესების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიეთითოს, რომ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დაკისრებული შესრულებისაგან.

ხანდაზმულთა სახლებსა და პანსიონატებში ადამიანის უფლებების უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი

რეკომენდაციები

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

განახორციელოს სახლებსა და პანსიონატებზე რეგულარული და ობიექტური კონტროლი, რადგან ასეთ დაწესებულებებში მოთავსებული კონტინგენტი შერეულია და ხშირად ყველა კონტინგენტის წარმომადგენელთათვის აუცილებელი პირობები არ არის შექმნილი. (მაგ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანდაზმულები);

გააუმჯობესოს დაწესებულებებში მოთავსებული ხანდაზმულებისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;

დააკმაყოფილოს ხანდაზმულთა პანსიონატებზე და სახლებზე არსებული მოთხოვნა ახალი, თანამედროვე დაწესებულებების შექმნის გზით, რომლებიც სპეციალიზებული იქნება სხვადასხვა კონტინგენტის მოვლაზე;

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

სსიპ "თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი" წარმოადგენს შპს "სავანეს" სამართალმემკვიდრეს, თუმცა პანსიონატის ბალანსზე ჯერ კიდევ არ არის გადაცემული შპს "სავანეს" ბალანსზე არსებული ქონება. მიუხედავად პანსიონატის ადმინისტრაციის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართვებისა, საკითხის გადაჭრა გაჭიანურებულია, რაც ხელს უშლის პანსიონატს განვითარებაში. დაუყოვნებლივ მოგვარდეს აღნიშნული საკითხი;

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

ხანდაზმულთათვის გამოყოფილი დაფინანსება არ არის საკმარისი, მათი პატრონაჟის, მოვლა-პატრონობის, კვების, პირველადი სამედიცინო მომსახურების და რეაბილიტაციისთვის. გაიზარდოს დაფინანსება და შემუშავდეს დაფინანსების კონკურენტუნარიანი მოდელი, რომელიც თანაბარ პირობებში მოაქცევს დაწესებულებებს;

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს

დამონტაჟდეს უსაფრთხოების სისტემა. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოკითხული მობინადრეები აცხადებენ, რომ მათი უსაფრთხოების პირობები არ არის დაცული და მოითხოვენ სპეციალური სასიგნალო სისტემის დამონტაჟებას, რომლის მეშვეობითაც საშუალება ექნებათ კრიზისულ მომენტებში კომუნიკაცია დაამყარონ პერსონალთან;

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ ძველის შშმპ-თა პანსიონატს

მოწესრიგდეს ელექტროგაყვანილობის სისტემა და დაცულ იქნას უსაფრთხოების მოთხოვნები. გაუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები.

გამკაცრდეს კონტროლი მობინადრეთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, შრომის გამოყენების ფაქტებზე;

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატს

დაწესებულებაში შშმპ-თა მოთავსებისთვის აუცილებელი პირობები არ არის უზრუნველყოფილი. მიღებულ იქნას ზომები მათთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად.

ყურადღება დაეთმოს მობინადრეთა აზრის გამოხატვის თავისუფლებას;

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ ხანდაზმულთა სახლ "სათნობას"

დაცულ იქნას უსაფრთხოების აუცილებელი პირობები მობინადრეთა ოთახებში; მობინადრეებს გაეწიოთ დახმარება პენსიებთან, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებში;

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი რეკომენდაციები:

მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, სხვადასხვა უწყებების მიმართ შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

საჭიროა ერთი პაციენტის სტაციონარული მკურნალობისთვის დღიურად გამოყოფილი დაფინანსების გაზრდა. / საქართველოს ფინანსთა სამინისტროს/

აუცილებელია თემზე ორიენტირებული ფსიქიატრიის განვითარება. უწყვეტი ფსიქიატრიული სერვისის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის მკურნალობას და შემდგომში რეაბილიტაციას. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს/

ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ საკუთარი უფლებების შესახებ პაციენტთა ინფორმირებისთვის დამატებითი ზომები უნდა მიიღოს. შესაძლებელია შინაგანაწესით განისაზღვროს პაციენტთა დაწესებულებაში მიღებიდან გარკვეული დროის განმავლობაში სავალდებულო ინფორმირება მათი უფლებების შესახებ ან/და მკურნალობის პროცესში მიაწოდოს მედპერსონალმა ან სოც. მუშაკმა ასეთი ინფორმაცია. / ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

აუცილებელია დაწესებულების ადმინისტრაციამ შექმნას ქმედითი მექანიზმი, პაციენტთა ინფორმირებისთვის მათი დაავადების/დიაგნოზის, მკურნალობის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. პაციენტებისთვის სამედიცინო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. / ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

იმ საავადმყოფოებში სადაც ჯერ კიდევ არ არის, დაშვებულ იქნას სოც.მუშაკის შტატი, რადგან პაციენტთა სოციალური საკითხები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პირადი შემოსავლების, მეურვეებთან ურთიერთობის და პაციენტების საკუთრების საკითხები კომპეტენტურმა პირმა მოაგვაროს. /მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, ქ. თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს/

დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა სტაციონარიდან გაწერის საკითხი. მონიტორინგი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში პაციენტთა დაყოვნება ხდება, თუმცა ადმინისტრაციის არგუმენტი, რომ ეს სოციალური შეჭირვების გამო კვლავ მიუსაფარ პაციენტთა დასახმარებლად ხდება, წინააღმდეგობაში მოდის კანონთან „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, ასევე საწინააღმდეგოს ამტკიცებს გამოკითხვის შედეგები, სადაც გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობამ იცის, თუ სად უნდა დაბრუნდეს მკურნალობის დასრულების შემდეგ.

/საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

საჭიროა შეიცვალოს პაციენტის როლი მკურნალობის პროცესში და პაციენტი აღიქმებოდეს არამხოლოდ როგორც მზრუნველობის ობიექტი, არამედ როგორც პარტნიორი. საკუთარი მკურნალობის პროცესში მონაწილეობის უფლება პაციენტებს „პაციენტთა უფლებების შესახებ“ კანონით აქვთ გარანტირებული. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

აუცილებელია მკურნალობის პროცესში ისეთი ალტერნატიული მკურნალობის მეთოდების ჩართვა, რომელიც სტაციონარში პაციენტის უნარ-ჩვევების შენარჩუნებას და განვითარებას შეუწყობს ხელს. დღეისათვის პაციენტები სტაციონარში მკურნალობის განმავლობაში იმ სასარგებლო შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევების დიდ ნაწილს კარგავენ, რომელმაც უნდა გაუადვილოს მათ საზოგადოებასთან თანაცხოვრება. ერთის მხრივ, ფსიქიატრიული სერვისის მიმწოდებლებმა უნდა დანერგონ ასეთი სერვისი და, მეორეს მხრივ სერვისის დამფინანსებელმა უნდა მოითხოვოს ფსიქიატრიული მომსახურების პაკეტში მისი შეტანა. რა თქმა უნდა ასეთი სერვისის გაწევა შესაბამისად უნდა იყოს დაფინანსებული. პაციენტებს უნდა ჰქონდეთ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

აუცილებელია გაუმჯობესდეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა ხელმისაწვდომობა არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე. ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა სამედიცინო არაფსიქიატრიული მომსახურებით სარგებლობის უფლების დარღვევა დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს. /საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებს/

ადმინისტრაციამ უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს დაბალი მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა შრომისა და ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებაზე, რათა ეს ქმედება მედპერსონალის მხრიდან სავალდებულო პროცედურის დაცვით მოხდეს. /ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/

საჭიროა შიდა საჩივრების სისტემის - როგორც დაწესებულებასა და პაციენტს შორის უკუგების მექანიზმის - დანერგვა და ეფექტურად გამოყენება. მონიტორინგმა აჩვენა, რომ საჩივრების არსებული მექანიზმი - საჩივრების ყუთები, რომლებიც საავადმყოფოებში, უფრო გარეშე სტუმრების დასანახად არის დამონტაჟებული, ვიდრე პაციენტების და მათი მეურვეების კრიტიკული აზრის გასაგებად, საჭიროებს წახალისებას ადმინისტრაციის მხრიდან. უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის აზრს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას /ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს/.

დანართი #1

სამართლიანი სასამართლოს უფლება

1) გ.ლომიძისა და გ.ფოფხაძის საქმე

2006 წლის 22 თებერვალს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.თაყაძემ, სახელმწიფო ბრალმძებლის ზ.გვრიტიშვილის მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე გ.ლომიძისა და გ.ფოფხაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19 -184-ე (მე-19 მუხლი: დანაშაულის მცდელობა; 184-ე მუხლი: ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე) მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით და დამნაშავედ სცნო გ.ლომიძე და გ.ფოფხაძე საქართველოს სსკ-ის 19 -184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

2006 წლის 22 თებერვლის ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენის თანახმად, გ.ლომიძისა და გ.ფოფხაძის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 20 ივლისს, დაახლოებით 14:00 საათზე, ქ.ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე არსებული პურის საცხობის წინ, არასრულწლოვანი გ.ლომიძე შეხვდა ყოფილ პარალელკლასელ არასრულწლოვან გ.ფოფხაძეს, მასთან დაჯდა პურის საცხობის წინ არსებულ სკამზე და დაიწყეს საუბარი. რამდენიმე წუთის შემდეგ აღნიშნულ ადგილზე თავისი კუთვნილი ველოსიპედით პურის საყიდლად მივიდა არასრულწლოვანი ლ.გელაშვილი, რომელმაც ველოსიპედი დატოვა მაღაზიის კარებთან, თვითონ კი შევიდა პურის საყიდლად შენობაში. გ.ლომიძემ და გ.ფოფხაძემ მოილაპარაკეს, რომ დროებით გამოყენების მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ლ.გელაშვილის ველოსიპედს. ორივე მივიდა ველოსიპედთან და გ.ფოფხაძემ დააპირა მასზე დაჯდომა. ამ დროს შენობიდან გამოვიდა ლ.გელაშვილი და უთხრა, თავი გაენებებინათ ველოსიპედისათვის, რადგან თვითონ სჭირდებოდა და ვერ ათხოვებდა. გ.ფოფხაძემ მას განუმარტა, რომ ველოსიპედის დროებით გამოყენება სურდა და როდესაც კვლავ უარი მიიღო, დაუწყო გინება და მუქარა, თან ცდილობდა ველოსიპედის წაყვანას, რა დროსაც მას მიეხმარა გ.ლომიძე, რომელმაც, მოქმედებდნენ რა საერთო მიზნითა და ერთიანი განზრახვით, ისეთი ძალადობით, რაც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, შეეცადნენ დროებითი გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ლ.გელაშვილის კუთვნილ ველოსიპედს, რა დროსაც იგი წააქციეს და შეშებზე დაცემის შედეგად მიაყენეს მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინაიდან ხმაურზე გამოვიდნენ იქვე მცხოვრები მოქალაქეები და შეიქმნა მათი დაკავების საშიშროება, რის გამოც ორივე მიიძალნენ შემთხვევის ადგილიდან.

საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის თანახმად, დანაშაულად ითვლება „ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით.“ „საგზაო

მოდრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ნ“ პუნქტის თანახმად, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას განეკუთვნება ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, მოპედის გარდა, აგრეთვე ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა. აღნიშნული განმარტება გამოიყენება არა მხოლოდ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის.

გარდა ამისა, ტერმინ „სატრანსპორტო საშუალების“ დასაზუსტებლად უნდა მივმართოთ სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლს, რომელიც სატრანსპორტო საშუალებად მიიჩნევს გადაადგილების იმ საშუალებებს, რომელთაც გააჩნიათ შიდაწვის ძრავა ან ელექტროძრავა და მათი მოძრაობა მოწესრიგებულია საგზაო მოძრაობის წესებით. მაგალითად, ველოსიპედი (ისევე როგორც, ურემი, ციგა, სკეიტბორდი) არ წარმოადგენს ამ დანაშაულის საგანს, ვინაიდან იგი არ განეკუთვნება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას (სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი, პროფ. მ.ლეკვეიშვილი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა სახის ტრანსპორტის, მათ შორის, ველოსიპედის დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გ.ლომიძისა და გ.ფოფხაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა, ხოლო ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.თაყაძემ დამნაშავედ ცნო ისინი იმ ქმედების ჩადენაში, რაც არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურორს გაუგზავნა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 22 თებერვლის განაჩენის ასლი, იმ პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად, ვისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად მოხდა გ.ლომიძისა და გ.ფოფხაძის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და გასამართლება.

2) ირაკლი ბათიაშვილის საქმე

2007 წლის ივნისი

2007 წლის 17 მაისს განცხადებით მოგვმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #7 დაწესებულების პატიმარმა, ირაკლი ბათიაშვილმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში, ხოლო მოგვიანებით მისმა ადვოკატმა ი.ბარათაშვილმა წარმოადგინა საქმის მასალები და მოითხოვა ი.ბათიაშვილის საქმის სრულად შესწავლა. ადვოკატი მიიჩნევდა, რომ ი.ბათიაშვილი სასამართლოს მიერ არაკანონიერად იქნა მსჯავრდებული. სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც მის დამნაშავეობას დაამტკიცებს, გაყალბებულია სატელეფონო საუბრები და არის პოლიტიკური პატიმარი.

საკითხის სირთულიდან და მოკლე დროში შესწავლის აუცილებლობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საქმე შეესწავლა პირთა ჯგუფს. ჯგუფი დაკომპლექტდა შემდეგი პირებისაგან:

გიორგი მშვენიერაძე - სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი;

ნათია იმნაძე - სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი;

ია გუმბერიძე - მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტები:

1. წინასწარი გამოძიების მასალები (სისხლის სამართლის საქმე 3 ტომად);
2. პირველი ინსტანციის (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის ოქმი);
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი;
4. გალისა და გულიფშირის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი ნორა არღვლიანის გამამტყუნებელი განაჩენი.
5. ადვოკატ იოსებ ბარათაშვილის მიერ დაყენებული შუამდგომლობები:
 - ა) 2006 წლის 16 დეკემბრის შუამდგომლობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვისა და დაცვის მხარისათვის მათი გაცნობის თაობაზე.
 - ბ) 2007 წლის 14 თებერვლის შუამდგომლობა, სასამართლო პროცესზე მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის შესახებ.
 - გ) 2007 წლის 09 მარტის შუამდგომლობა მტკიცებულებათა საქმეზე დართვის შესახებ.
 - დ) 2007 წლის 19 მარტის შუამდგომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვისა და დაცვის მხარისათვის მათი გაცნობის, აგრეთვე სასამართლო პროცესზე მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე.
6. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მ.თეთრაულის მიერ 2006 წლის 24 ნოემბერს გამოტანილი დადგენილება - აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის შესახებ.

7. დაცვის მხარის შუამდგომლობა მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის შესახებ.

საკითხის შესწავლა ჯგუფმა დაიწყო 2007 წლის 1 ივნისს და დაასრულა 14 ივნისს.

აღწერილობითი ნაწილი

სისხლის სამართლის საქმეში მოცემული მასალების მიხედვით, 2006 წლის 22 ივლისს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, კერძოდ „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა კურიერში და ტელეკომპანია „იმედი“-ს საინფორმაციო გადაცემა „დროება“-ში - ში გასული იქნასული იქნა სიუჟეტები, სადაც კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებულის,ის ემზარ კვიციანის მიერის გაკეთდა განცხადება შეიარაღებული ფორმირება „მონადირის“ შექმნისა და სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებლობის გამოცხადების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2006 წლის 22 ივლისს, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება ემზარ ბექმურზის ძე კვიციანის ბრალდების სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით (*უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა*) და 236-ე მუხლის პირველი (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვგულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვა*) და მეორე (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვგულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება*) ნაწილებით. საქმის სირთულიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ გამოიყენა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მინიჭებული პროცესუალური უფლება და სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე გამოძიების ჩატარება დაავალა გამომძიებელთა ჯგუფს. (# 1 ტომის მე-3 და 4 ფურცელი)

2006 წლის 22 ივლისს #18/3/1-2527 წერილით სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ზურაბ ბეიტრიშვილმა, რომელსაც დაევალა საგამომძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობა, საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორს ა.კვეტენაძეს შეატყობინა სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ. (#1 ტომის მე-8 ფურცელი)

2006 წლის 22 ივლისს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ზურაბ ბეიტრიშვილმა მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორს ა.კვეტენაძეს ეშუამდგომლა ამ

უკანასკნელს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე, რათა სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით განხორციელებულიყო ტელეფონის 899 357729; 899 187181 ; 899 540007; 877 540007; 877 732959; 877 750488 ნომრებზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება „სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა“, 2006 წლის 23 ივლისიდან 2006 წლის 23 ოქტომბრამდე. (#1 ტომი მე-9 ფურცელი)

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2006 წლის 23 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ა.კვეტენაძემ მიმართა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს გ.შავლიაშვილს (#1 ტომის მე-11 ფურცელი), 2006 წლის 23 ივლისს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მ.ნოზაძემ გამოსცა ბრძანება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ (#1 ტომი, მე-17 ფურცელი).

პარალელურად ა.კვეტენაძის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და სპეციალურ დავალებათა მთავარ სამმართველოს უფროსს ლ.გურგენიძეს დაევალა მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ზემოაღნიშნულ ტელეფონის ნომრებზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, „სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა“, განხორციელება.(#1 ტომი, მე-13 ფურცელი).

პ.ს - #1 ტომის მე-5 და მე-6 ფურცლებზე აშკარად ჩანს, რომ სისხლის სამართლის #07022906 საქმეზე უკვე მიმდინარეობდა ტელეფონის ნომერზე 899 357729 (ნომერი, რომლითაც სარგებლობდა ემზარ კვიციანი) შემაჯავალი და გამაჯავალი სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება-მოსმენა. ამდენად, ემზარ კვიციანის სატელეფონო საუბრების მიყურადება და ფიქსაცია ამზოხების დაწყებამდეც ხდებოდა.

2006 წლის 26 ივლისს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ზ.ბეიტრიშვილმა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორის ა.კვეტენაძის წინაშე დააყენა შუამდგომლობა ტელეფონის ნომერზე 899 534740 განხორციელებულიყო ფარული მიყურადება-მოსმენა და აღნიშნულზე სასამართლო ნებართვის მიღების მიზნით მიემართა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარისათვის, იმდენად, რამდენადაც ტელეფონის 899 534740 ნომერი ეკუთვნოდა ნორა არღვლიანს (კვიციანს) და ის გამოძიების მიერ მიჩნეული იყო ე.კვიციანის თანამოაზრედ (#1 ტომის 38-39-ე ფურცელი).

2006 წლის 26 ივლისს ა.კვეტენაძის შუამდგომლობის საფუძველზე (#1 ტომი 40-41 ფურცელი) ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ვ.ფუხაშვილის მიერ გაიცა ბრძანება, 2006 წლის 26 ივლისიდან 2006 წლის 26 ოქტომბრამდე ნორა არღვლიანს (კვიციანს) კუთვნილ ტელეფონის 899 534740 ნომერზე განხორციელებულიყო სატელეფონო საუბრების

ფარული მიყურადება-ჩაწერა შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მიერ (#1 ტომი, 43-ე ფურცელი).

პარალელურად გაიცა დავალება, ა.კვეტენაძის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და სპეციალურ დავალებათა მთავარ სამმართველოს უფროსზე ლ.გურგენიძეზე, რათა მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განეხორცილებინათ 899 534740 ტელეფონის ნომერზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება – „სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა“. (#1 ტომი, 42 ფურცელი)

2006 წლის 25 ივლისს გამოტანილი იქნა დადგენილება ემზარ კვიციანის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით (*უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა*) და 236-ე მუხლის პირველი (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვა*) და მეორე (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება*) ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. 2006 წლის 25 ივლისს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს ზ.ბეიტრიშვილმა და ა.კვეტენაძემ მიმართეს შუამდგომლობით ე.კვიციანისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ, რომელიც დაკმაყოფილდა. ე.კვიციანზე გამოცხადდა ძებნა. (#1 ტომის 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე ფურცლები).

2006 წლის 28 ივლისს გამოტანილი იქნა ახალი დადგენილება ე.კვიციანის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. (სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილი (*უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა*), 237-ე მუხლის პირველი ნაწილი (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), მისი მაკომპლექტებელი დეტალის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა*), 236-ე მუხლის პირველი (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვა*) და მე-2 ნაწილი (*ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება*), 307 მუხლი (*სახელმწიფოს დალატი*), 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი (*საქართველოს თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ საქართველოს სამხედრო ტექნიკის ან სამხედრო ობიექტის დაზიანება, მწყობრიდან გამოყვანა ან განადგურება, აგრეთვე სამხედრო ან თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა*), 315-ე მუხლის მე-3

ნაწილი (ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ან სხვა მძიმე შედეგი).

2006 წლის 26 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის კრიმინალური დეპარტამენტის #231-ე ოთახში სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზურაბ ბეიტრიშვილის მიერ მოწმის სტატუსით დაიკითხა ირაკლი დიმიტრის ძე ბათიაშვილი ე.კვიციანთან მისი ურთიერთობის, ბატალიონ „მონადირის“ სამართლებრივი სტატუსის და კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

2006 წლის 26 ივლისს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს გამომძიებელმა თ.შენგელიამ დაზარალებულად ცნო სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე მიხეილ ქოქიაშვილი (შსს თანამშრომელი) და ვალერი მუჯირიშვილი (შსს-ს სპეც.ოპერაციების ცენტრის სამედიცინო ქვედანაყოფის უფროსი) და დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

2006 წლის 29 ივლისს დილის 11 საათზე ირაკლი ბათიაშვილს ჩაბარდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზ.ბეიტრიშვილის უწყება, რომლითაც ეს უკანასკნელი იბარებდა ირაკლი ბათიაშვილს ბრალდების წარსადგენად. (#1 ტომი, 220-ე ფურცელი)

2006 წლის 29 ივლისს მოხდა სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე ი.ბათიაშვილის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. ბრალდების არსი მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის #180-ე ბრძანებით გაუქმდა კოდორის ხეობაში დისლოცირებული თავდაცვის სამინისტროს ბატალიონი „მონადირე“.

ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ე.კვიციანმა კოდორის ხეობაში ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტების და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, ამბოხების მოწყობის მიზნით თავისი ხელმძღვანელობით ბატალიონის ყოფილი წევრების, ირაკლი არღვლიანის და სხვათა მონაწილეობით შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, მათთან ერთად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, გაუქმებულ ბატალიონ „მონადირეზე“ რიცხული საბრძოლო მასალა, ცეცხლსასროლი იარაღები, სამხედრო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური ფასეულობები.

ე.კვიციანმა 2006 წლის 22 ივლისს დაიწყო ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა მის დამხობას.

ირაკლი ბათიაშვილმა გადაწყვიტა მითითებების, რჩევების მიცემისა და საჭირო ინფორმაციების მიწოდებით ისეთი ინტელექტუალური დახმარება გაეწია ე.კვიციანისათვის, რითაც მნიშვნელოვნად გაუადვილებდა მას დასახული მიზნის მიღწევას. ვინაიდან ამბოხების მიზნის მიღწევისათვის, გარდა კარგად შეიარაღებული მრავალრიცხოვანი რაზმისა, აუცილებელი იყო ფართო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და ხელისუფლების ნების პარალიზება,

ი.ბათიაშვილმა აღუთქვა ე.კვიციანს, რომ თავისი და რიგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებით დაეხმარებოდა ამბოხების მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

შეპირების შესაბამისად, ი.ბათიაშვილმა საჯარო გამოსვლებში გამოთქვა აშკარა მხარდაჭერა შეიარაღებული ამბოხებისადმი. გაამართლა ამბოხებულთა მოქმედება, ე.კვიციანს უწოდა გმირი.

ე.კვიციანთან პირად საუბრებში ი.ბათიაშვილი დადებით შეფასებას აძლევდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მის საჯარო გამოსვლებს და მოქმედებებს, რითაც მოუწოდებდა ამბოხების გაგრძელებისაკენ.

იგი აძლევდა მითითებებს შემდგომი საჯარო გამოსვლების აუცილებლობის შესახებ და ურჩევდა, თუ რა ხასიათის და შინაარსის მოწოდებები იყო მნიშვნელოვანი, რომ ამბოხებას მოეპოვებინა საზოგადოების მხარდაჭერა და მომხდარიყო სახელმწიფოს ნების პარალიზება.

ამ მითითებებისა და რჩევების შესაბამისად, ე.კვიციანმა თავის საჯარო გამოსვლებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მოუწოდა არ აღეკვეთათ ამბოხება და საზოგადოებას აუწყა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებულ გამოსვლას მოაწყობდა თბილისში.

ი.ბათიაშვილი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლების და მომავალში მოსალოდნელი განცხადებების შესახებ ე.კვიციანს აწვდიდა ინფორმაციებს, არწმუნებდა, რომ რიგი პოლიტიკური პარტიები იწონებდნენ მის მოქმედებას.

ი.ბათიაშვილმა თავისი მოქმედებით ე.კვიციანს გაუმყარა იმის წარმოდგენა, რომ საზოგადოება იყო მის მხარეს, მეამბოხეთა სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისთვის გააკეთა მნიშვნელოვანი საჯარო განცხადებები, ხელისუფლების ნების პარალიზების მიზნით მის წარმომადგენლებს მოუწოდა, არ აღეკვეთათ ამბოხი. ე.ი. ი.ბათიაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (25) 307-ე, 315 მუხლის მე-3 ნაწილით.

ი.ბათიაშვილისათვის ცნობილი იყო, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება აპირებდა ამბოხებაში ჩარევას, კერძოდ, რომ აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გარი კუპალბამ ე.კვიციანს აღუთქვა დახმარება მნიშვნელოვანი შეიარაღების მიწოდებით, მაგრამ სურდა რა ხელისუფლების დასამხობად ამბოხებაში ე.კვიციანისთვის დახმარების აღმოჩენა, მის შესახებ არ შეატყობინა საქართველოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. ე.ი. ირაკლი ბათიაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით.

ამდენად, ი.ბათიაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (25)307-ე , 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, კერძოდ ი.ბათიაშვილსა და ე.კვიციანს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში შემდგარი სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ 2006 წლის 25 ივლისის

სადამოს საინფორმაციო გამოშვება, „კურიერში“ გადაცემული სიუჟეტის, ტელეკომპანია „იმედი“-ს 2006 წლის 25 ივლისის დამის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ გადაცემული ი.ბათიაშვილის გამოსვლის, ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემული, რუსული ტელეკომპანია „რტრ“-სთვის ი.ბათიაშვილის მიერ მიცემული სატელეფონო ინტერვიუს ჩანაწერები, 2006 წლის 22 ივლისს სატელევიზიო კომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებაში, სატელევიზიო კომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ და სატელევიზიო კომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“, 2006 წლის 23 ივლისს სატელევიზიო კომპანია „იმედის“ სატელევიზიო გადაცემა „დროებასა“ და სატელევიზიო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „პოსტ-სკრიპტუმში“, 2006 წლის 24 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერსა“ და სატელევიზიო საშუალებების მეშვეობით გადაცემული ე.კვიციანის გამოსვლებისა და ინტერვიუების ჩანაწერები და საქმეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ირაკლი დიმიტრის ძე ბათიაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (25) 307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით. ამდენად, ი.ბათიაშვილს ბრალად დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (25) 307-ე (სახელმწიფოს ღალატი), 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შენობაშივე წარედგინა ი.ბათიაშვილს ბრალი და 29 ივლისს, 14 საათსა და 12 წუთზე დაიწყო მისი დაკითხვა. ბრალდებულმა ი.ბათიაშვილმა გამოიყენა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით მინიჭებული დუმილის უფლება. (#1 ტომი, 227-ე ფურცელი) 2006 წლის 29 ივლისს 14 საათსა და 26 წუთზე ი.ბათიაშვილი დაკავებული იქნა. (#1 ტომი, 228-230-ე ფურცელი)

2006 წლის 29 ივლისს გამომძიებელ ზ.ბეიტრიშვილის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება ნივთიერ მტკიცებულებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ 2006 წლის 23 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით შემდგარი სატელეფონო საუბრების ჩანაწერების, ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ 2006 წლის 25 ივლისის სადამოს საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ გადაცემული სიუჟეტის, ტელეკომპანია „იმედის“ 2006 წლის 25 ივლისის დამის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ გადაცემული ი.ბათიაშვილის გამოსვლის, ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემული, რუსული ტელეკომპანია „რტრ“-სთვის ი.ბათიაშვილის მიერ მიცემული სატელეფონო ინტერვიუს ჩანაწერები, 2006 წლის 22 ივლისს სატელევიზიო კომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებაში, სატელევიზიო კომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ და სატელევიზიო კომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“, 2006 წლის 23 ივლისს სატელევიზიო კომპანია „იმედის“ სატელევიზიო გადაცემა „დროებასა“ და სატელევიზიო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „პოსტ-სკრიპტუმში“, 2006 წლის 24 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერსა“ და სატელევიზიო საშუალებების მეშვეობით გადაცემული ე.კვიციანის გამოსვლებისა და ინტერვიუების ჩანაწერები და

ნივთმტკიცების სახით დაურთო სისხლის სამართლის საქმეს. (#1 ტომი 232-235-ე ფურცელი)

2006 წლის 29 ივლისსვე ი.ბათიაშვილმა ზ.ბეიტრიშვილს მიმართა შუამდგომლობით ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი ვიდეო ჩანაწერებისა და სატელეფონო საუბრების გაცნობის მოთხოვნით.

2006 წლის 29 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ა.კვეტენაძემ მიმართა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს გ.შავლიაშვილს, ბრალდებულ ი.ბათიაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, დაპატიმრების შერჩევის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაცემის თაობაზე. (#1 ტომი, 237-240 ფურცელი)

2006 წლის 30 ივლისს გამომძიებელ ზ.ბეიტრიშვილის მიერ გამოტანილი იქნა ახალი დადგენილება ნივთიერ მტკიცებულებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ, კერძოდ „2006 წლის 26 ივლისს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხული იქნა ირაკლი ბათიაშვილი და მისი დაკითხვა დაფიქსირებული იქნა ვიდეოკამერაზე, რის შემდეგაც დაკითხვა ჩაწერილი იქნა კომპიუტერის კომპაქტ “C “ დისკზე“ და იმდენად რამდენადაც ამ ჩანაწერს სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა, მიზანშეწონილად მიიჩნია გამომძიებამ მისი სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერმტკიცებულებად დართვა“.

2006 წლის 30 ივლისს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის გ.გოგინაშვილის მიერ ი.ბათიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება, (#1 ტომი, 253-ე ფურცელი), რომელიც გასაჩივრებული იქნა ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის იოსებ ბარათაშვილის მიერ ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2003 წლის 03 აგვისტოს ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის მოსამართლის ი.ჟორჟოლიანის დადგენილებით ძალაში იქნა დატოვებული ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის გ.გოგინაშვილის მიერ გამოტანილი 2006 წლის 30 ივლისის ბრძანება ი.ბათიაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ. (#2 ტომი, 83-88-ე ფურცელი)

2006 წლის 01 აგვისტოს მიხეილ ოთარის ძე ქოქიაშვილი დაკითხული იქნა მოწმის სახით სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე.

2006 წლის 05 აგვისტოს იმავე სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სახით მოხდა ვალერი მუჯირიშვილის დაკითხვა.

2006 წლის 22 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #089060100 საქმეზე ემზარ კვიციანის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით (მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ).

2006 წლის 01 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურატურის მეშვეობით აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე შემდგომი გამოძიების უზრუნველსაყოფად გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, მიენიჭა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმის სარეგისტრაციო ნომერი #090060788. ეს უკანასკნელი კი გაერთიანდა სისხლის სამართლის #090060756 საქმესთან.

2006 წლის 02 აგვისტოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ე.კოდუამ საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორს ზ.კოტარიას გადაუგზავნა 6 ცალი ვიდეოკასეტა რომელზეც განთავსებული იყო ირაკლი ბათიაშვილსა და ემზარ კვიციანს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრები და კოდორის ხეობაში არსებული მოვლენების სიუჟეტების ჩანაწერები, რათა განეხორცილებინათ ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში ამ ჩანაწერების გაშიფვრა და მათი კრებების სახით წარმოდგენა. (#2 ტომი, მე-16 ფურცელი)

2006 წლის 02 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს გენერალური პროკურატურის შსს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსთან გაიგზავნა წერილი, რომლითაც ითხოვდნენ, რომ 2006 წლის 29 ივლისს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამომძიებლის ზ.ბეიტრიშვილის წინაშე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაყენებული იქნა შუამდგომლობა საქმის მასალების გაცნობის შესახებ, რომელიც 31 ივლისს გამომძიებლის მიერ დაკმაყოფილდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ბრალდებულს მაინც არ მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა საქმის მასალებს.

2006 წლის 03 აგვისტოს ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის ი.ბარათაშვილის მიერ კვლავ იქნა დაყენებული შუამდგომლობა გამომძიებელ ზ.ბეიტრიშვილის მიმართ საქმის მასალების გაცნობის შესახებ, რომელზეც 2006 წლის 06 აგვისტოს ზ.ბეიტრიშვილმა აცნობა ი.ბარათაშვილს, რომ ნივთმტკიცების სტატუსის მქონე ვიდეომასალა გაშიფვრისა და შესაბამისად კრებების დამზადების მიზნით გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში. მათი გაშიფვრისა და უკან დაბრუნების შემდეგ მოხდებოდა ი.ბათიაშვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის, იოსებ ბარათაშვილისათვის ზ/აღნიშნული საქმის მასალების გაცნობა.

2006 წლის 10 აგვისტოს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზ.ბეიტრიშვილის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება „კრებების“ მტკიცებულებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ. (#2 ტომი, 122-129 ფურცელი)

2006 წლის 11 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ე.კოდუამ მიმართა საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორს ზ.კოტარიას, რათა ამ უკანასკნელს დაევალებინა მისდამი დაქვემდებარებული დანაყოფისათვის, (ზ.ბეიტრიშვილის მიერ უკვე ნივთმტკიცებად ცნობილი) კ-163 11205642, 11206522,11208208; k-270 11229465 საუბრების ცალკე „CD“ დისკზე ჩაწერა. (#2 ტომი, 144-ე ფურცელი)

2006 წლის 11 აგვისტოს ზ.ბეიტრიშვილის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება კომპაქტ-დისკის (CD) ნივთიერ მტკიცებულებად ცნობისა და სისხლის სამართლის საქმეზე დართვის შესახებ, რომლის თანახმადაც: „სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს მოპოვებული იქნა საქმისათვის მნიშვნელოვანი სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულის ჩადენაში ამხელენ ირაკლი ბათიაშვილს, ემზარ კვიციანს, ირაკლი არღვლიანს და მათ თანამზრახველებს. კომპაქტ-დისკს, რომელზედაც ჩაწერილია აღნიშნული სატელეფონო საუბრები, საქმეზე გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ამიტომ ხსენებული კომპაქტ-დისკი უნდა იქნა ცნობილი ნივთიერ მტკიცებულებად და დაერთოს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს.“ (#2 ტომი, 136-140 ფურცელი)

საქმეში არის ზ.ბეიტრიშვილის მიერ 2006 წლის 12 აგვისტოს შედგენილი ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი ი.ბარათაშვილი გაეცნო ცალკე ვიდეოკასეტაზე ჩაწერილ ი.ბათიაშვილის, ემზარ კვიციანის საუბრების და კოდორის ხეობაში არსებული მოვლენების სიუჟეტების ამსახველ „კრებსებს“, ასევე გაეცნო 1) 23.07.06 ე.კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის სატელეფონო საუბრების K-163 11205642, 11206522 „კრებსს“; 2) 24.07.06 ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის სატელეფონო საუბრის k-163 11212883 „კრებსს“ და 3) 27.07.06 ნორა კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის K-270 11229465 „კრებსს“, ხოლო 2006 წლის 15 აგვისტოს ი.ბარათაშვილი გაეცნო საუბრის K-163 11208208 „კრებსს“.

2006 წლის 12 აგვისტოს ზ.ბეიტრიშვილს ი.ბარათაშვილმა მიმართა შუამდგომლობით, გადაეცათ მისთვის:

- 1) ე.კვიციანსა და ი.ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები;
- 2) ე.კვიციანსა და ი.ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული სატელეფონო საუბრების დაშიფრული ტექსტების ქსეროასლები;
- 3) ი.ბათიაშვილის ბრალდების დადგენილებაში დასახელებული ყველა სატელევიზიო გამოსვლის დეშიფრირებული ტექსტების ვარიანტები;
- 4) 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე ი.ბათიაშვილის მობილური ტელეფონიდან (899 941111) გამავალი და მასში შემავალი ყველა სატელეფონო საუბრის ნუსხა.

ადვოკატის ეს შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობის ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი პუნქტი, მაგრამ დადგენილების მიხედვით, "მოთხოვნა (ბათიაშვილისათვის საქმის მასალების უახლოეს დროში გაცნობის შესახებ) დაკმაყოფილებულია და იგი საქმის ყველა მასალებს გაეცნობა ქ.თბილისში #7 საპრობილეში ტექნიკური საკითხების

მოგვარების შემდეგ, რადგან საქმეს ახლავს ნივთიერმტკიცებულებები ვიდეოკასეტების სახით“ (სკანირება 171-172-ე ფურცელი)

სისხლის სამართლის #09006065 საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ ლალი მელაძე, ზაზა ბრეგვაძე, ვალერიან ალოიანი, დავით თარხან-მოურავი, ავთანდილ გურული, ლამარა მინდიაშვილი, ნინო ლოლაძე, ლიგია ხურციძე, ილია ხარანაული, ივანე ბერაძე, გიორგი კანდელაკი, გოჩა საყვეარაშვილი, თამარ ჩიქოვანი, ლევან ბერიშვილი, ნუგზარ კერესელიძე, გოჩა ჩარექაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, გია ანდლულაძე, გიორგი გაგუა და თენგიზ გავაშელი, ალექსი რომანოვსკი, რეზო ამამუკელი, ალექსანდრე ქანთარია, აკაკი სვანიძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, ი.ბათიაშვილის მობილურ ტელეფონზე განხორციელებული ზარების შინაარსის დადგენის მიზნით. თუმცადა, როგორც მოწმეთა დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, არც ერთ მოწმესა და ი.ბათიაშვილს შორის საუბარი კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით არ შემდგარა.

2006 წლის 7 სექტემბერს ზ.ბეიტრიშვილის დადგენილებით სისხლის სამართლის #090060756 საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილ იქნა რუსეთის ტელეკომპანიის „ნტვ“-ს კორესპონდენტის, ნუგზარ კერესელიძის მიერ 2006 წლის 5 სექტემბერს წარმოდგენილი ‘Vერბატიმ V -ღჭ’ დისკი #51 8 და დაერთო სისხლის სამართლის #090060756 საქმეს (#2 ტომი, 267-271 ფურცელი). აღნიშნულ დისკზე არსებული ჩანაწერების გაშიფვრისა და „კრებსების“ ქართულად თარგმნისა და ქართული ვარიანტის მიწოდების შუამდგომლობით მიმართა ე.კოდუამ საქართველოს შს სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორს ზ.კოტარიას.

სისხლის სამართლის საქმეში არსებობს #9 და #10 ვიდეოკასეტების ნივთიერ მტკიცებულებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ დადგენილებები.

2006 წლის 12 სექტემბერს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს ზ.ბეიტრიშვილს მიმართა ი.ბარათაშვილმა შუამდგომლობით მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების - ბეთანიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელმონაზონის იაკობის (ბანძელაძის), ჟურნალ „სარკის ჟურნალისტის ნინო მეტრეველისა და მოქალაქე სერგო ბეგაშვილის განცხადებების საპროცესო დამაგრების მოთხოვნით, რომელთაც საქმისათვის ჰქონდათ არსებითი მნიშვნელობა, რასთან დაკავშირებითაც გამომძიებელ ზ.ბეიტრიშვილის მიერ იქნა გამოტანილი დადგენილება ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. (ტომი #3 , 3-4 ფურცელი)

2006 წლის 20 სექტემბერს, ქ.თბილისის #7 საპრობილიდან ზ.ბეიტრიშვილს გაეგზავნა შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ ი.ბათიაშვილის წინასწარი პატიმრობის 2 თვიანი ვადა იწურებოდა 29 სექტემბერს და პატიმრობაში ყოფნის დაწესებული ვადის გაგრძელებაზე მოსამართლის ბრძანება საპრობილეში არ შესულა. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2006 წლის 21 სექტემბერს პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ი.კობიძემ,

ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ბრალდებულ ი.ბათიაშვილისათვის შეფარდებული დაპატიმრების ვადის ერთი თვით სამ თვემდე, ანუ 29 ოქტომბრამდე გაგრძელების მოთხოვნით. (#3 ტომი, 10-14 ფურცელი).

2006 წლის 22 სექტემბერს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის ე.არეშიძის ბრძანებით დაკმაყოფილდა ი.კობიძის შუამდგომლობა და ი.ბათიაშვილს გაუგრძელდა პატიმრობის ორ თვიანი ვადა კიდევ ერთი თვით სამ თვემდე, ანუ 2006 წლის 29 ოქტომბრამდე. (#3 ტომი 19-20)

მოსამართლის ბრძანება გასაჩივრებული იქნა ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის, ი.ბარათაშვილის მიერ ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც არ დაკმაყოფილდა და ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის გ.გოგიაშვილის დადგენილებით დატოვებული იქნა უცვლელად. (#3 ტომი, 21-22 ფურცელი)

2006 წლის 13 ოქტომბერს ქ.თბილისი #7 საპრობილის სპეც/განყოფილიდან ზ.ბეიტრიშვილს კვლავ გაეგზავნა შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ ი.ბათიაშვილის წინასწარი პატიმრობის 3 თვიანი ვადა იწურებოდა 29 ოქტომბერს და პატიმრობაში ყოფნის დაწესებული ვადის გაგრძელებაზე მოსამართლის ბრძანება საპრობილეში არ შესულა. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2006 წლის 23 ოქტომბერს პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ი.კობიძემ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ბრალდებულ ი.ბათიაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ვადის კიდევ ერთი თვით, ოთხ თვემდე, ანუ 2006 წლის 29 ნოემბრამდე გაგრძელების თაობაზე. (#3 ტომი, 45-49 ფურცელი)

2006 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისი საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის დ.მეტრეველის მიერ გამოცემული იქნა ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა ი.კობიძის შუამდგომლობა და ი.ბათიაშვილის პატიმრების სამ თვიანი ვადა გაგრძელდა კიდევ ერთი თვით, ოთხ თვემდე, ანუ 2006 წლის 29 ნოემბრამდე. (#3 ტომი, 53-56 ფურცელი)

მოსამართლის ბრძანება გასაჩივრებული იქნა ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის, ი.ბარათაშვილის მიერ ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც არ დაკმაყოფილდა და ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის ბრძანება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის ი.ქორქოლიანის დადგენილებით დატოვებული იქნა უცვლელად. (#3 , 66-68-ფურცელი ფურცელი)

2006 წლის 01 ნოემბერს გამოტანილი იქნა კიდევ ერთი დადგენილება სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის #090060756 საქმესთან გაერთიანდა საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სპეციალურ დავალებათა მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის #051821საქმე, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით, (#3 ტომი, 75-76 ფურცელი), რომელზეც დაიწყო წინასწარი გამოძიება 2005 წლის 15 ნოემბერს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ივემებოდა კოდორის ხეობაში ელექტრო გადამცემი ხაზის „კავკასიონის“ აფეთქება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრების მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ვინმე ო.ტ. ამ უკანასკნელს კი კავშირი აქვს კოდორის ხეობაში მცხოვრებ ი.არღვლიანთან და ნორა კვიციანთან. დანაშაულის გამოვლენის მიზნით მოხდა ამ პირების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება-მოსმენა მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. ირკვევა, რომ ე.კვიციანის ნომერზე 899 35-77-29 მიმდინარეობდა ფარული მიყურადება-მოსმენა 2006 წლის 05 ივლისიდან (#3 ტომი, 85 ფურცელი)

ამდენად ნ.კვიციანსა და ი.ბათიაშვილს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრების „კრებები“ 1. ბ-270 11209763; Z-270 11211522; Z-270 11212193; Z-270 11218326; Z-270 11218528. 2006 წლის 01 ნოემბერის დადგენილებით ცნობილ იქნა ნივთიერ მტკიცებულებად და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. (#3 ტომი, 94-97 ფურცელი)

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად იქნა ცნობილი „CD“ დისკი, რომელზეც ჩაწერილი იყო ე.კვიციანის, ნ.კვიციანის და ი.ბათიაშვილის სატელეფონო საუბრების აუდიოჩანაწერები, მაგრამ კონკრეტულად რომელი, მითითებული არ არის.(#3 ტომი, 98- 101,).

2006 წლის 02 ნოემბერს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სპეციალურ დავალებათა მთავარი სამმართველოს, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მიმართა შსს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსს მოთხოვნით, რათა ამ უკანასკნელს განეხორციელებინა Z-270 11209763; Z-270 11211522; Z-270 11212193; Z-270 11218326 და 11218526 სატელეფონო საუბრების „CD“ დისკზე ერთი წლის ვადით შენახვა და ჩაწერა. (#3 ტომი, 102 ფურცელი)

2006 წლის 21 ნოემბერს ი.ბათიაშვილს განმეორებით წარედგინა ბრალდება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე და 307-ე (*სახელმწიფოს დალატი*), 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით (*ამზობება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამზობად ან ხელში ჩასაგდებად*) და 376-ე მუხლით (*დანაშაულის შეუტყობინებლობა*). (#3, 109-115 ფურცელი)

ბრალდებულის სახით დაკითხვისას ი.ბათიაშვილმა კვლავ გამოიყენა დუმილის უფლება.

2006 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ, ეკვიციანისა და სხვათა ბრალდების საქმეზე წარმოებულ სისხლის სამართლის #090060756 საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო ი.ბათიაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე და 307-ე (*სახელმწიფოს ღალატი*), 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით (*ამზობება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად*) და 376-ე მუხლით (*დანაშაულის შეუტყობინებლობა*), და მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი #090061129. (#3 ტომი, 124-125 ფურცელი)

საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლის #090061129 საქმე საბრალდებო დასკვნით გადაიგზავნა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში. (ტომი #3, 132-138.)

გამოძიების დასრულების შესახებ ეცნობათ ადვოკატებს იოსებ ბარათაშვილს და გელა ნიკოლაიშვილს, შესაბამისად დაზარალებულებს ვალერი მუჯირიშვილს და მიხეილ ქოქიაშვილს.

სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში შევიდა 2006 წლის 24 ნოემბერს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად - *„სასამართლოში საქმის შესვლიდან 24 საათში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს განსასჯელის აღკვეთის ღონისძიების საკითხს“*.

ამდენად, მოსამართლეს შეეძლო განსასჯელი დაეტოვებინა წინასწარ პატიმრობაში, თუმცა, ვალდებული იყო მისი საკითხი განეხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით - *„სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი“*, დადგენილი წესით და გაეგრძელებინა მისი პატიმრობის ვადა განაჩენის გამოტანამდე, მაგრამ არა უმეტეს 6 თვით.

სასამართლომ (მოსამართლე მაია თეთრაული) იმსჯელა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად იყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და 2004 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით დატოვა უცვლელი.

სისხლის სამართლის # 1/7189-06 საქმეზე, ირაკლი ბათიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25/307-ე მუხლით (*სახელმწიფო ღალატი*), 315-ე მუხლის მესამე ნაწილით (*ამზობება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი*) და 376-ე მუხლით (*დანაშაულის შეუტყობინებლობა*), სასამართლო გამოძიება დაიწყო 2007 წლის 25 აპრილს. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულად წარმოდგენილი იყვნენ მოქალაქეები მიხეილ ქოქიაშვილი და ვალერი მუჯირიშვილი .

აღნიშნულმა პირებმა კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების შედეგად მიიღეს სხეულის დაზიანება.

სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერდა პროკურორი ირაკლი კობიძე.

დაცვის მხარეს წარმოადგენდნენ ადვოკატები: იოსებ ბარათაშვილი და გელა ნიკოლეიშვილი.

სასამართლო განხილვა გრძელდებოდა 10 დღე, აქედან 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქმის არსებითი განხილვა, მეათე დღეს კი სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი.

სასამართლოზე მოწმედ გამოძახებული იყვნენ: ნუგზარ კერესელიძე, ზურაბ ბეიტრიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი, ნორა კვიციანი, გოჩა ფიფია, ე.კოდუა, ნ.ტაბატაძე, ზ.კოტარია

ბრალდების მოწმეები: ნუგზარ კერესელიძე

დაცვის მოწმეები: ე.კოდუა, ნ.ტაბატაძე, ზ.კოტარია, გ.ფიფია, ნ.კვიციანი და ზ.ბეიტრიშვილი

2007 წლის 23 მაისს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე *მაია თეთრაულმა*, გიორგი კერატიშვილის მდივნობით, სახელმწიფო ბრალმდებლის *ირაკლი კობიძის*, განსასჯელის *ირაკლი ბათიაშვილის*, *ადვოკატების იოსებ ბარათაშვილისა და გელა ნიკოლეიშვილის* მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე ირაკლი დიმიტრის ძე ბათიაშვილის, დაბადებულის 1961 წლის 8 აგვისტოს, ქ. თბილისში, საქართველოს მოქალაქეს, უმაღლესი განათლების მქონის, ცოლშვილიანის, ნასამართლობის არმქონის, მცხოვრების: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #11, ბინა #28, ამჟამად აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების ქვეშ მყოფის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 307-ე, 315-ე მუხლის მესამე ნაწილით.

აღწერილობითი ნაწილის თანახმად, საბრალდებო დასკვნით, ირაკლი ბათიაშვილს ბრალი ედებოდა, რომ მან ჩაიდინა დახმარება სახელმწიფოს ღალატში, ამბოხებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობაში, ხოლო ბრალდების ახალი ფორმულირებით ირაკლი ბათიაშვილს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა დახმარება სახელმწიფოს ღალატში, ამბოხებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის #180 ბრძანებით გაუქმდა კოდორის ხეობაში დისლოცირებული თავდაცვის სამინისტროს ბატალიონი „მონადირე“.

ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ე.კვიციანმა, კოდორის ხეობაში ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტების და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ამბოხების მოწყობის მიზნით, თავისი ხელმძღვანელობით, ბატალიონის ყოფილი წევრების, თავისი ნათესავის ირაკლი არღვლიანის და სხვათა მონაწილეობით შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, მათთან ერთად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, გაუქმებულ ბატალიონ „მონადირეზე“ რიცხული საბრძოლო მასალა,

ცეცხლსასროლი იარაღები, სამხედრო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური ფასეულობები.

ე. კვიციანიმა 2006 წლის 22 ივლისს დაიწყო ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა მის დამხობას.

ირაკლი ბათიაშვილმა გადაწყვიტა მითითებების, რჩევების მიცემით და საჭირო ინფორმაციის მიწოდებით დახმარება გაეწია ე.კვიციანისათვის, რითაც მნიშვნელოვნად გაუადვილებდა მას დასახული მიზნის მიღწევას.

ვინაიდან ამბოხების მიზნის მიღწევისათვის, გარდა კარგად შეიარაღებული მრავალრიცხოვანი რაზმისა, აუცილებელი იყო ფართო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და ხელისუფლების ნების პარალიზება, ი.ბათიაშვილმა ე.კვიციანს აღუთქვა და დაარწმუნა, რომ თავისი და რიგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებით დაეხმარებოდა ამბოხების მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

ემზარ და ნორა კვიციანებთან 23 და 25 ივლისს შემდგარ, სულ ცხრა სატელეფონო საუბარში ი.ბათიაშვილი დადებით შეფასებას აძლევდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მათ საჯარო გამოსვლებს და მოქმედებებს, რითაც ამხნევებდა და მოუწოდებდა ამბოხების გაგრძელებისაკენ. ამასთან ერთად არწმუნებდა, რომ საქართველოს რიგი პოლიტიკური პარტიები მხარს უჭერდნენ მათ.

ი.ბათიაშვილი, ნაცვლად იმისა, რომ ე.კვიციანისა და ამბოხებულებისათვის მოეწოდებინა, შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და იარაღი ჩაებარებინათ ხელისუფლებისათვის, ამბოხებულთა მიმართ საზოგადოების მხარდაჭერისა და სახელმწიფოს ნების პარალიზების მიზნით, ე.კვიციანს ურჩევდა, საჯარო გამოსვლების დროს გაეკეთებინა მიმართვა და ხელისუფლების ძალოვანი უწყების შეიარაღებული ქვედანაყოფებისათვის მოეწოდებინა, დაეყარათ იარაღი და არ დაეშვათ შეიარაღებული ამბოხების აღკვეთა.

თავის მხრივ, ე.კვიციანიმა შეასრულა ი.ბათიაშვილის მითითება და საჯარო გამოსვლებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მოუწოდა, არ აღეკვეთათ ამბოხება, ხოლო საზოგადოებას აუწყა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებულ გამოსვლას მოაწყობდა მთელ ქვეყანაში და მათ შორის თბილისში.

ი.ბათიაშვილი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს საჯარო გამოსვლების და მომავალში მოსალოდნელი განცხადების შესახებ ე.კვიციანს აწვდიდა ინფორმაციებს, არწმუნებდა, რომ რიგი პოლიტიკური პარტიები იწონებდნენ მის მოქმედებას და მხარს უჭერდნენ მას.

ი. ბათიაშვილმა თავისი საუბრების შედეგად ე. კვიციანს გაუმყარა იმის რწმენა, რომ საზოგადოება იყო მის მხარეს, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი, კერძოდ, კოდორის ხეობაში ამბოხებულებმა, ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმწიფო წესრიგის აღსადგენად შესულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს, რამაც კოდორის ხეობის მოსახლეობის პანიკა გამოიწვია, ხოლო 25 ივლისს სოფელ საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე

მოდრავ ავტოკოლონაზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ დავალებათა ცენტრის სამედიცინო ქვედანაყოფის უფროსმა, ვალერი მუჯირიშვილმა გულმკერდის მარცხენა არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, ხოლო ცენტრის ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსმა, მიხეილ ქოქიაშვილმა, მარცხენა თეძოს ძვლის ფრთის არეში ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობით მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ამის გარდა, დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა სამხედრო ტექნიკა. შეიარაღებული შეტაკების შემდეგ, ემზარ კვიციანი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები გაიქცნენ, მიიმაღნენ და კვლავ აგრძელებენ დანაშაულებრივ საქმიანობას.

ზემოაღნიშნული ქმედებისათვის ირაკლი ბათიაშვილს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 307-ე, 315-ე მუხლის მესამე ნაწილით.

სასამართლო გამოძიების დასრულების შემდეგ, სახელმწიფო ბრალდებამ დადგენილად მიიჩნია, რომ ირაკლი ბათიაშვილის ქმედებას არ გამოუწვევია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი - საქართველოს მოსახლეობის პანიკა, ქვეყნის დესტაბილიზაცია და სხვა, რის გამოც მას მოუხსნა სსკ-ის 25, 315-ე მუხლის ნაწილი და მისი ქმედება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 25, 315-ე მუხლის მეორე ნაწილზე. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული 2007 წლის 27 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები/ ამოქმედდა 2007 წლის 7 მაისიდან/, რომლის თანახმადაც ამოღებული იქნა 307-ე მუხლი.

სამოტივაციო ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა ირაკლი ბათიაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა შემდეგი: მას არ ჰქონდა გადაწყვეტილი ემზარ კვიციანისათვის მითითებების, რჩევების მიცემისა და საჭირო ინფორმაციების მიწოდებით დახმარება გაეწია დასახული მიზნის მიღწევაში. მას არც დახმარება აღუთქვამს ამბოხებისათვის მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში საკუთარი და რიგი პოლიტიკური პარტიების გამოსვლებით. 2006 წლის 24 ივლისს ნორა და ემზარ კვიციანებთან საუბრის დროს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ კარგ განცხადებაში გულისხმობდა, რომ მათ სურდათ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა. ამასთან მან განმარტა, რომ აღნიშნული გამოსვლების თაობაზე იგი ინფორმაციას კი არ აწვდიდა, არამედ ისინი აღნიშნულზე ცვლიდნენ აზრებს.

იგი წინასწარ არავის შეთანხმებია, რომ მხარი დაეჭირათ ამბოხებისათვის. მას ასეთი განზრახვა რომც ქონოდა, ამის შესახებ ტელეფონით არ ისაუბრებდა, ვინაიდან იყო უშიშროების ყოფილი უფროსი და ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის მუშაობის შესახებ მისთვის კარგად იყო ცნობილი. მან განმარტა, რომ 21 ივლისს წავიდა ბეთანიის მონასტერში, საიდანაც დაბრუნებისას, 23 ივლისს, დაურეკა ჟურნალ „სარკის“ ჟურნალისტმა - ნინო მეტრეველმა, რომლისგანაც შეიტყო ემზარ კვიციანის მიერ დაუმორჩილებლობის შესახებ გაკეთებული განცხადების თაობაზე. აღნიშნულის შემდეგ, მან დაურეკა ე. კვიციანს და ჰკითხა, რა მოთხოვნები ჰქონდა, რაზედაც კვიციანმა უპასუხა, რომ თავდაცვის მინისტრი ი.ოქრუაშვილი მათ

შტურმით დაემუქრა, რის გამოც იგი ითხოვდა, რომ ძალისმიერი ოპერაცია არ ჩატარებულიყო.

რაც შეეხება მოსალოდნელი შტურმის მიზეზს, მისთვის ცნობილი არ ყოფილა, თუმცა იცოდა, რომ ითხოვდნენ გაუქმებულ ბატალიონ „მონადირეზე“ რიცხული იარაღის ჩაბარებას. ი.ბათიაშვილმა ასევე აჩვენა, რომ ბატალიონ „მონადირის“ გაუქმება იყო შეცდომა, ვინაიდან ეს დანაყოფი წლების განმავლობაში იყო ხეობის დაცვის და უსაფრთხოების გარანტი. განსასჯელის განმარტებით, მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ადგილი ჰქონდა პროტესტს, ვინაიდან ე.კვიციანი და მისი მომხრეები არ აყენებდნენ არც პრეზიდენტის გადაყენებისა და არც ხელისუფლების გადაღობის მოთხოვნას. ი.ბათიაშვილის ჩვენებით, ე.კვიციანის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, პარლამენტს არ დაემტკიცებინა შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი. მან იცოდა, რომ მას მაინც დაამტკიცებდნენ და ცდილობდა დაერწმუნებინა ე.კვიციანი, რომ მოეხსნა აღნიშნული მოთხოვნა.

ბათიაშვილის თქმით, მისთვის მთავარი იყო, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ის, რომ კვიციანი შეიარაღებული ძალით უპირისპირდებოდა საქართველოს ხელისუფლებას და მიზნად ისახავდა მის დამხობას, მისთვის ცნობილი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ე. კვიციანმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა, მისი აზრით, ადგილი ჰქონდა მძაფრი ხასიათის პროტესტს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში პროტესტი და დაუმორჩილებლობა მისი გაგებით ერთი და იგივე იყო. ი.ბათიაშვილის ჩვენებით, მის მიერ ე.კვიციანის გამოსვლების დადებითი შეფასება გამოიხატა მხოლოდ რეპლიკით - „კაი იყო კაი შენი“ და შემდგომ, სადაც ეუბნება, რომ იგი კარგად გამოჩნდა ტელევიზიით ვინაიდან ჩანდა, რომ ამ კუთხისთვის მებრძოლი კაცი იყო. მისივე განმარტებით, მას ე.კვიციანისათვის შეიარაღებული ამბოხებისაკენ არ მოუწოდებია.

ი.ბათიაშვილისათვის ცნობილი იყო, რომ კოდორის ხეობაში ყველა შეიარაღებული იყო ხელისუფლების და სახელმწიფოს მიერ მიცემული იარაღით, თუმცა მან აქვე განმარტა, რომ არ იცოდა, ემზარ კვიციანი იქნებოდა თუ არა შეიარაღებული. აღნიშნულის გამო იგი გრძნობდა, რომ კონფლიქტი, რომელიც შეიქმნა კოდორის ხეობაში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილსა და სახელმწიფოს შორის, იყო საფრთხესთან დაკავშირებული, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა შეიარაღებული დაპირისპირება. იგი როდესაც ე.კვიციანს ურჩევდა სატელევიზიო გამოსვლაში მიემართა სამხედროებისა და ჯარისკაცებისთვის, გულისხმობდა როგორც ბატალიონ „მონადირის“ წევრებს, რომლებიც გამოცდილი სამხედროები იყვნენ, ასევე სახელმწიფოს შეიარაღებულ ქვედანაყოფებს. მან ასევე განმარტა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ემზარ კვიციანისა და მისი მხარდამჭერებისათვის იარაღის ჩაბარების მოთხოვნას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რის გამოც მასთან აღნიშნულზე არც უსაუბრია. განსასჯელის ჩვენებით, მას სურდა სიტუაციის განმუხტვაში მიეღო მონაწილეობა, რის გამოც ცდილობდა დაკავშირებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, რათა ჩასულიყო კოდორის ხეობაში, რაც ვერ მოახერხა /იხ. სხდომის ოქმი/.

სასამართლო ვერ გაიზიარებს განსასჯელ ი. ბათიაშვილისა და დაცვის მხარის მტკიცებულებებს, ბრალად შერაცხულ ქმედებაში მისი უდანაშაულობის შესახებ,

ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება საქმეში არსებული წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით.

ირაკლი ბათიაშვილის მიერ, მასზე ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია წინასწარი და სასამართლო გამოძიებით საქმეზე შეკრებილი შემდეგი მტკიცებულებებით, კერძოდ:

დაზარალებული მიხეილ ქოქიაშვილის მიერ სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობდა შს სამინისტროს სპეციალურ დავალებათა ცენტრში. 2006 წლის 23 ივლისს მიიღეს სპეც.ოპერაციისათვის მომზადების ბრძანება, რომ კოდორის ხეობაში ხდებოდა ამბოხება და მის აღსაკვეთად საჭირო იყო ძალის გადაყვანა. მისი განმარტებით, ისინი 25 ივლისს შევიდნენ კოდორის ხეობაში. საღამოს, დაახლოებით 17:00 საათისათვის, სოფელ საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყიდან ავტოკოლონის მისამართით გაიხსნა ცეცხლი, რა დროსაც ა/მანქანის ძარიდან ჩამოქვეითებისას მოხვდა ტყვია და დაიჭრა. დაზარალებულის ჩვენებით, მას ჯერ ზუგდიდის, ხოლო შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოში გაუწიეს სამედიცინო დახმარება. იგი ჭრილობის მიღების შემდეგ 6 თვის განმავლობაში იყო შრომისუუნარო და ფიზიკურად ვერ ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. (იხ. სხდომის ოქმი)

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #4719 დასკვნის თანახმად, მ.ქოქიაშვილი 2006 წლის 25 ივლისს მიღებულ ტრამვასთან დაკავშირებით მკურნალობას იტარებდა 2006 წლის 26 ივლისს დიაგნოზით: ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა მარცხენა თეძოს მიდამოში, რის შემდეგაც იგი გადაყვანილი იქნა ქ.ქუთაისის ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის დიაგნოსტიკური დეპარტამენტის კლინიკაში, რომლის სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათი #624-ის ჩანაწერების მიხედვით გადიოდა მკურნალობას 2006 წლის 26 ივლისიდან 07 აგვისტოს ჩათვლით დიაგნოზით: ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობა მარცხენა თეძოს ძვლის ფრთის არეში, თეძოს ძვლის ფრთის მოტეხილობა, უცხო სხეული (ტყვიის გულა) მარცხნივ რეტროპერიტონიულ სივრცეში. დაზიანება განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის მოქმედების შედეგად და განეკუთვნება დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა. /იხ.ტ.3, ს.ფ.30-33, სხდომის ოქმი.

დაზარალებულ ვალერი მუჯირიშვილის მიერ სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობდა შს სამინისტროს სპეციალურ დავალებათა ცენტრში. მისი განმარტებით, იგი პროფესიით არის ექიმი. მან მიიღო ბრძანება, რომ კოდორის ხეობაში სპეც. ოპერაციის ჩატარების დროს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აღმოეჩინა სამედიცინო დახმარება. 2006 წლის 25 ივლისს, დაახლოებით 17:00-18:00 საათზე, სოფელ საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემადგენელი ადგილიდან გაიხსნა ცეცხლი. მისი ჩვენებით, სროლის დაწყებისთანავე დაიჭრა, რის გამოც სხვებს ვეღარ გაუწია დახმარება. მას პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, შემდეგ გადაიყვანეს ჯერ ზუგდიდის, ხოლო მოგვიანებით ქუთაისის საავადმყოფოში, სადაც იმყოფებოდა ერთი კვირის

განმავლობაში. ამის შემდეგ კი 2 თვე და 15 დღე მკურნალობდა სახლში /იხ. სხდომის ოქმი/.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #354 დასკვნის თანახმად, ვ.მუჯირიშვილს 2006 წლის 25 ივლისს მიღებულ ტრამვასთან დაკავშირებით დადგენილი აქვს დიაგნოზი: დაზიანებები ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გულმკერდის მარცხენა ნახევარში შემღწევი, ჰემოტორაქსი, მარცხენა მხრის და კისრის მიდამოზე ჭრილობები, რომელიც მოცემულია მოქ. ვ.მუჯირიშვილის ავადმყოფობის ისტორიის ჩანაწერში, მიყენებულია რაიმე ცეცხლმსროლელი იარაღის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშ მძიმე ხარისხის დაზიანებას. ხანდაზმულობით დაზიანებები შეეფარდება წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს /იხ. ტ. ს.ფ. 68-70, სხდომის ოქმი/.

დაცვის მხარის შუამდგომლობით დაკითხული მოწმეების ჩვენებებით დადგენილია შემდეგი: **მოწმე** - გიორგი გოგოლაშვილის მიერ სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. კოდორის მოვლენებთან დაკავშირებით საზოგადოება იყო ინფორმაციულ ვაკუუმში, რის გამოც უნივერსიტეტის დიდი საბჭოს ორგანიზებით, 24 ივლისს ჩატარდა საინფორმაციო მიტინგი. მათ იმ პიროვნებებს, რომლებიც კერძო არხებით იყვნენ დაკავშირებული კოდორთან, მათ შორის ირაკლი ბათიაშვილს, სთხოვეს აღნიშნულთან დაკავშირებით მიეწოდებინათ ინფორმაცია. მათ მიერ მიღებული ინფორმაციით, კოდორის ხეობაში იყო გარკვეული ძალადობის გამოვლენა, რის გამოც მათ მოუწოდეს ხელისუფლებას, რომ არ გამოეყენებინა ძალა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ და არ დაეღვარა სისხლი, რასაც ეთანხმებოდა ირაკლი ბათიაშვილი.

მოწმის ჩვენებით, მისთვის ე.კვიციანის მოთხოვნები, გარდა ტელევიზიით გადაცემულისა, არ იყო ცნობილი. იგი ფლობდა ინფორმაციას, რომ საქართველოს ძალოვანი უწყებები წესრიგის დასამყარებლად შევიდნენ კოდორის ხეობაში, ხოლო ვინც გაბედავდა, დარჩებოდა იქ. მოწმემ ასევე აჩვენა, რომ მათ ჰქონდათ წარმოდგენა, რომ ხელისუფლება არღვევდა კანონს, იგი შეიარაღებული შევიდა კოდორის ხეობაში და მოსალოდნელი იყო სისხლისღვრა. გ.გოგოლაშვილის განმარტებით, „როცა ასეთი დაპირისპირებული ორი შეიარაღებული ძალაა, აქ მოსალოდნელი იყო სისხლისღვრა, რადგან ორივე მხარეს უნდა ეზრუნა იმაზე, რომ არ დაღვრილიყო სისხლი. კვიციანი თუ დაღვრიდა სისხლს, ის დაისჯებოდა“. მიუხედავად ამისა, მათ მხოლოდ ხელისუფლებას მოუწოდეს, არ გამოეყენებინა ძალა და არ დაეღვარა სისხლი. / იხ. სხდომის ოქმი/

მოწმე - ნორა არღვლიანის /კვიციანის/ მიერ სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მან ტელევიზიის მეშვეობით შეიტყო, რომ მისმა ძმამ - ემზარ კვიციანმა ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. აღნიშნულის გამო იგი გაოგნებული და გაბრაზებული იყო, რის გამოც დაურეკა ი.ბათიაშვილს. მოწმის განმარტებით, იმის გამო, რომ მისი ძმა აკეთებდა ძალიან ცუდ განცხადებებს, ი.ბათიაშვილს ეშინოდა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო და რეკავდა ემზართანაც და მასთანაც. ნ.არღვლიანმა აჩვენა, რომ მას 25 ივლისის შემდეგ ე.კვიციანი არ უნახავს და მისთვის ი.ბათიაშვილთან საუბრის შინაარსი არ გადაუცია. მოწმემ ასევე განმარტა, რომ მისთვის უცნობია, რა რჩევებს აძლევდა მის ძმას განსასჯელი. /იხ. სხდომის ოქმი/

მოწმე - გოჩა ფიფიას მიერ სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის საქართველოს პარლამენტის წევრი. ემზარ კვიციანის მიერ დაუმორჩილებლობის შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ იგი დაუკავშირდა ე.კვიციანს, შეუთანხმდა და იმავე დამეს წავიდა კოდორის ხეობაში. იგი მეორე დღეს, ღამით შეხვდა ე.კვიციანს. მოწმემ აჩვენა, რომ მასთან შეხვედრისას დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა, ისინი საუბრობდნენ მხოლოდ ბატალიონ „მონადირის“ გაუქმებაზე, გაუსაძლის მდგომარეობასა და მათ მიმართ ხელისუფლების უყურადღებობაზე. მან ასევე აჩვენა: „ მე შემიძლია ერთი რამ დავადასტურო, რომ ამბოხი, გადატრიალება, კონსტიტუციური წყობის და ასე შემდეგ, ასეთ განზრახვაზე, რასაც ამბოხი ჰქვია თუ დამხობა ხელისუფლების, ღიად საუბარი არ ყოფილა“. გ.ფიფიამ განმარტა, რომ კოდორის ხეობაში ყოფნის დროს იგი არ შესწრებია ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის გამართულ რომელიმე სატელეფონო საუბარს. მისივე განმარტებით, ე.კვიციანი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში როდესაც ამბობს, რომ გოჩა ფიფია მის გვერდით იყო, იმ დროს გულისხმობდა, რომ იგი იყო იქ და არა იმას, რომ გოჩა ფიფია მის გვერდით იყო ბრძოლაში, შეიარაღებებსა და ამბოხებაში. /იხ. სხდომის ოქმი/

სასამართლო ვერ გაიზიარებს განსასჯელის განმარტებას, იმის თაობაზე, რომ ე.კვიციანის ქმედება იყო არა ამბოხება, დაუმორჩილებლობა, არამედ პროტესტი; ასევე, იმ გარემოებას, რომ მისთვის ე. კვიციანისა და მისი მომხრეების შეიარაღებისა და მათი მიზნების შესახებ ცნობილი არ ყოფილა, შემდეგ გარემოებათა გამო;

„ინტერპრეს ნიუსის“ მიერ 2006 წლის 22 ივლისს გავრცელებული იქნა ინფორმაცია სათაურით - „სახალხო ლაშქრის სარდალი ხელისუფლების დაუმორჩილებლობას უცხადებს“, სადაც მოთავსებულია სახალხო ლაშქრის „მონადირის“ სარდალის ემზარ კვიციანის განცხადება: „უნდობლობას და დაუმორჩილებლობას ვუცხადებთ დღევანდელ, არსებულ ხელისუფლებას, რამეთუ ოქრუაშვილმა გამოგვიცხადა ომი, 27 ივლისს აპირებს შტურმით შემოსვლას, ეს არის სამოქალაქო ომის დასაწყისი და გვინდა, რომ დაფიქსირდეს, რომ ჩვენ კი არ ვიწყებთ ომს, არამედ ისინი, რადგან უშუალოდ კოდორის ხეობას ემუქრება შეიარაღებული ძალები და მათი სარდალი“. ე.კვიციანი არცერთ თავის გამოსვლაში, არც ამ და არც სხვა განცხადებების გაკეთების დროს არ პასუხობს, თუ როდის დაემუქრა თავდაცვის მინისტრი - ირაკლი ოქრუაშვილი კოდორის ხეობას. /იხ. ტ. 2, ს.ფ. 5, სხდომის ოქმი/.

განსასჯელი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები ყურადღებას ამახვილებენ ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ე.კვიციანის ნათქვამზე - „არ არსებობს არანაირი შეიარაღებული ამბოხი“ და განმარტავენ, რომ განსასჯელისათვის მხოლოდ ეს ჩანაწერი იყო ცნობილი, რასაც სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მოცემულ გამოსვლაში ე. კვიციანი კითხვაზე - „თქვენთან ერთად იმყოფებიან თუ არა შეიარაღებული ადამიანები“, აცხადებს, რომ „ყველა ოჯახი არის ციხე-სიმაგრე... მთელი შეიარაღება იყო აქა. ჩვენ კიდევ უფრო მაგრად გავამაგრეთ, ვისაც სამშობლო უნდოდა, რომ მტერი არ შემოგვეშვა და ჩვენ ნაღდად არ ვიფიქრებდით, რომ მტერი ხიდას უღელტეხილიდან იქნებოდა მოსალოდნელი.... შესაძლებელია საქართველოს გათავისუფლებაც აქედან დაიწყოს ამ ეშმაკებისგან.“ /იხ. სხდომის ოქმი/

აღნიშნულ სატელევიზიო ჩანაწერზე განსასჯელმა ი.ბათიაშვილმა განაცხადა, რომ იგი მას ნანახი აქვს და სწორედ ამ ჩანაწერის შემდეგ ერთ-ერთ სატელეფონო

საუბარში ე.კვიციანს უთხრა: „კაი იყო, კაი შენი, აი გამოჩნდა, რომ შენ ამ კუთხისთვის მებრძოლი კაცი ხარ“. გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ საინფორმაციო გადაცემა „კურიერის“ მიერ 2006 წლის 24 ივლისს გადაცემული ზემოაღნიშნული სიუჟეტის შემდეგ, ი.ბათიაშვილმა დაურეკა ე.კვიციანს და უთხრა: „ემზარ, კაი იყო, კაი შენი“, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ეუბნება - „ეხლა ნახე გრიგოლიაზე“ /იხ. ტ. 1, ს.ფ. 21ა - სატელეფონო საუბარი #11212883, სხდომის ოქმი/, ხოლო მის მიერ მითითებულ გადაცემა „პირველებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ე.კვიციანი არ უარყოფს შეიარაღებულ წინააღმდეგობას და აცხადებს: „...რადგანაც ჩვენ „მონადირეებმა“ გადავდგით ეს ნაბიჯი, ჩვენ ერთი ნაბიჯით არ დავიხევდით, ვიცით ჩვენ რაზეც მივდივართ.. ჩვენ მზად ვართ მოქმედებებისათვის... ნებისმიერ მტერთან.. ამ შემთხვევაში მტერი არის ოქრუაშვილი, რომელმაც გადაწყვიტა ჩამოვიდეს და დაგვაჩოქოს თავის ჭკუით.“ /იხ. სხდომის ოქმი/.

საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ე.კვიციანი აცხადებს: „ცოტა ეშლებათ, თუ 350 გონიათ მაგათ. არ არის მარტო 350 ადამიანი გაერთიანებული ამ ბატალიონში, ამ ბატალიონში ბოლოს ათასხუთას კაცზე ვიყავით ასულები“, ხოლო საინფორმაციო გადაცემა „კურიერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „მე კი არ ჩამოვედი და შევხვდი... მე დამიძახეს ხეობაში ჩემმა ყოფილმა წევრებმა ბატალიონის და დავუდგები ალბათ სათავეში მე ამ ხალხს, იმისთვის, რომ დავიცვათ კოდორი, ნებისმიერი ძალისაგან, რომელიც შეიარაღებული შემოვა ხეობაში, ყველას გაეცემა პასუხი, პასუხი დამაჯერებელი..“ ე.კვიციანის განმარტებით, იგი „ძალაში“ გულისხმობს საქართველოს ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების შესვლას ხეობაში. აღნიშნული მზადყოფნის შესახებ ე.კვიციანი ი.ბათიაშვილს ეუბნება #11205642 სატელეფონო საუბარში: „27-ში მოვდივარ შტურმით და ამან დამაბა სიტუაცია და ემზადებიან, ჰოდა კვიციანიც უკვე მოვემზადეთ რა“ /იხ. ტ1, ს.ფ. 18-19, სხდომის ოქმი/

გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთ ინტერვიუში ე. კვიციანი აღნიშნავს: „ოქრუაშვილს უნდოდა თითქოსდა ლაპარაკი ჩემთან, გამომიგზავნა ის. მერე რადგანაც უარი მიიღო, მერე იყო ის, რომ, 27-ისთვის გეგმავსო შემოსვლას, შტურმით. ჩვენ კიდევ მზადა ვართ მაგისი შტურმის მისაღებად. გადმოვიგდეს „პერჩატკი“, ჩვენ მივიღეთ ეს და შევხედავთ. უყვართ ულტიმატუმებით ლაპარაკი და მეც ულტიმატუმებით ველაპარაკები და შევხედავ: ან ისინი, ან მე. მორჩა, გათავდა ამაზე ლაპარაკი.“ კითხვაზე ულტიმატუმის ვადა თუ აქვს გაწერილი, ე.კვიციანი პასუხობს: „ვადებში გაწერილი მათი არის - 27 რიცხვი და ველოდები 27-ს და მერე უკვე, ჩვენ შეკრებილები ვართ და მერე ვიფიქრებთ, როგორი ვითარება წავა თბილისში, დემონსტრატებს როგორ მოექცევინ, იმის მიხედვით, თუ არა, მერე ჩვენ მივაკითხეთ იქეთ“. კითხვაზე: „ანუ, თბილისში ჩახვალთ?“ იგი პასუხობს: „აუცილებლად. აბა რა? დედაქალაქის გარეშე აზრი აქვს ცხოვრებას?“ /იხ.სხდომის ოქმი/.

სატელეფონო საუბარში #11211522 /ტ.3, ს.ფ. 88-89/ 24 ივლისს ი.ბათიაშვილი ურჩევს ე.კვიციანს: „შენ პირველ რიგში აი, ტელევიზიით რო გამოხვალ, მომისმინე, დღესაც ალბათ ხო შეეხმიანები... უნდა შენ მოუწოდო ჩვენს სამხედროებს და ჯარისკაცებს, რო თავიანთ ძმებზე ხელი არავინ არ აღმართოს. სისულელე არ გააკეთოს, ეს არის ეხლა მთავარი“, ხოლო მომდევნო საუბარში /ტ.1, ს.ფ. 21ა/ ახსენებს და ეუბნება, რომ აღნიშნული მიმართვა ძალიან მნიშვნელოვანია. ი.ბათიაშვილმა თავის ჩვენებაში

განმარტა, რომ მან „სამხედროებში“ იგულისხმა როგორც ხელისუფლების, ისე ე.კვიციანის გვერდით მდგომი პირები, რომლებიც იყვნენ /ნაომარი/ სამხედროები.

ამასთან, მან ასევე განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა ე.კვიციანის და მის გვერდით მდგომი პირების შეიარაღების შესახებ. თუმცა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში მან განაცხადა: „მოდით, ესე ნუ გავაიოლებთ იქ არსებულ სიტუაციას და ნუ ვიტყვით, რომ ეს არის ემზარ კვიციანის და მისი რაღაც ცალკე ჯგუფის რაღაც პროტესტი და დაუმორჩილებლობა. არაა ეს ვითარება, მე მინდა, რომ გითხრათ, რომ ვითარება არის საკმაოდ რთული, კერძოდ, ბატონი ემზარ კვიციანის ირგვლივ, მის მხარდამჭერებად იკრიბება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძალა და მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ის ადამიანები, სხვათა შორის, ეს არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძალა. ეს არის ყველა ის ბრძოლისუნარიანი ადამიანები, ის ადამიანები, რომლებიც გამოწრთობილები არიან ომში და სხვადასხვა ხასიათის საბრძოლო მოქმედებებში“.

მან ამავე გამოსვლაში განაცხადა, რომ „არმიაში ისე უნდა დააყენო საქმე და საერთოდ სახელმწიფოში, რომ არ აიჯანყო სახელმწიფოს და ქვეყნის ყველაზე ერთგული ხალხი.“ გარდა ამისა, ი.ბათიაშვილი პრესკონფერენციაზე აცხადებს, რომ „ინფორმაციები, რომლებიც მაქვს უშუალოდ ხეობიდან, მათ შორის ემზარ კვიციანისაგან, რომელიც მე მიკავშირდება ხოლმე. ამჟამად მიმდინარეობს ბრძოლები“. /იხ. სხდომის ოქმი/.

წარმოდგენილ სატელეფონო საუბრებში, რომლებიც შედგა ემზარ კვიციანსა და ნორა არღვლიანს /კვიციანს/ შორის 23-25 ივლისს, ირაკლი ბათიაშვილი დადებით შეფასებას აძლევდა ემზარ კვიციანის გამოსვლებს, აძლევდა მას რჩევებს, მითითებებს, აწვდიდა საჭირო ინფორმაციებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლების და მომავალში მოსალოდნელი განცხადებების შესახებ და არწმუნებდა, რომ ისინი მხარს უჭერდნენ მას, აკეთებდნენ და ასევე გააკეთებდნენ მის მხარდამჭერ განცხადებებს. სატელეფონო საუბარში #11212883 ი. ბათიაშვილი ე. კვიციანს ეუბნება: „რა გინდა, ოპოზიციამაც ძირითადად მხარი დაგიჭირეს ძმაო.“

#11209763 სატელეფონო საუბრისას ი.ბათიაშვილი ნ.არღვლიანს /კვიციანს/ ეუბნება: „მე მინდა, ქალბატონო ნორა, იცოდეთ რა, უმეტეს, დაამშვიდოთ, უმეტესობა ნამდვილი პარტიების, ყველა გიჭერთ მხარს თქვენ“; ნ.არღვლიანის /კვიციანის/ ნათქვამზე: „მე კიდევ რა იცით? ახლა, რო საქმის კურსში ჩააყენოთ ოპოზიცია და ვინც კი გამოდის, არავინ არ გამოვიდა თქვენს მეტი“, ი.ბათიაშვილი ამშვიდებს და არწმუნებს: „არა, არა, აი ახლა მე სულ ვიცი სხვების აზრი, შალვა გამოვიდა ძალიან კარგად ნათელაშვილი, ტრადიციონალისტებს ძან კაი პოზიცია აქვთ, ამ პოზიციას იტყვიან, აგერ გუბაზი აქ არის, ეროვნულ-დემოკრატიებს, კიდევ სხვებს, უნივერსიტეტის პროფესურას“, ხოლო კითხვაზე: „და ტელევიზიით გამოვიდნენ?“ პასუხობს: „კი, კი ყველა გამოვა“ და კვლავ არწმუნებს: „კი, კი თქვენ მაგაზე ნუ ნერვიულობთ, ყველა დაამშვიდეთ, უმეტესობა საზოგადოების, 90% არის თქვენ გულშემატკივრობთ სულ ყველა... დაამშვიდეთ თქვენ უმეტესობა, ყველა მაგ ხალხის მხარე რა.“

აღნიშნული საუბრის შემდეგ, ი.ბათიაშვილი იმის გამო, რომ ვერ უკავშირდება ე.კვიციანს, ურევავს ნ.არღვლიანს /კვიციანს/, რომლის ტელეფონის მეშვეობით ესაუბრა ე.კვიციანს, /სატელეფონო საუბარი # 11211522/, აწვდის ინფორმაციებს და არწმუნებს, რომ „კაი განცხადებები გააკეთა ყველამ... კოკომაც კაი განცხადება გააკეთა... და გამყრელიძემაც და უმეტესობამ რა და ახლა სხვებიც გააკეთებენ, ტრადიციონალისტები და ლეიბორისტებმაც, შალვამაც კაი განცხადება გააკეთა“. /იხ. ტ.1. ს.ფ. 18-21ა, ტ.3, ს.ფ. 86-93, სხდომის ოქმი/

ირაკლი ბათიაშვილის მიერ მასზე ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა, დადგენილია ასევე: სატელეფონო საუბრებით /ტ.1, ს.ფ. 18-21ა, ტ.3, ს.ფ. 86-93/; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის #180 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც 2005 წლის 1 ივნისიდან გაუქმდა ქვეითი ბატალიონი „მონადირე“ /ტ.1, ს.ფ. 139/; საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის #172 ბრძანებით /ტ.1, ს.ფ. 136/; გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთას ამბულატორიის შენობის დათვალიერების ოქმით /ტ.1, ს.ფ. 254-265/; სკოლის დათვალიერების ოქმით /ტ.2, ს.ფ. 92-96/; სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის #6/8-13/ზ დასკვნით /ტ.2, ს.ფ. 130-135/; ექსპერტის #ამ-123 დასკვნით /ტ.2, ს.ფ. 152-154/; ე.კვიციანის ჩანაწერით /ტ.2, ს.ფ. 303-305/; საქმეზე დართული ნივთმტკიცებებით.

ამდენად, არსებითად განიხილა რა სისხლის სამართლის საქმე, გამოიკვლია და შეაფასა წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, საქმის გარემოებებთან მათი დამოკიდებულების, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ განსასაჯელმა ირაკლი ბათიაშვილმა ჩაიდინა დახმარება ამბოხებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის #180 ბრძანებით გაუქმდა კოდორის ხეობაში დისლოცირებული თავდაცვის სამინისტროს ბატალიონი „მონადირე“.

ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ე.კვიციანმა, კოდორის ხეობაში ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტების და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ამბოხების მოწყობის მიზნით, თავისი ხელმძღვანელობით, ბატალიონის ყოფილი წევრების მონაწილეობით შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, მათთან ერთად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, გაუქმებულ ბატალიონ „მონადირეზე“ რიცხული საბრძოლო მასალა, ცეცხლსასროლი იარაღები, სამხედრო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური ფასეულობები.

ე.კვიციანმა 2006 წლის 22 ივლისს დაიწყო ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა მის დამხობას. ირაკლი ბათიაშვილმა გადაწყვიტა მითითებების, რჩევების მიცემის და საჭირო ინფორმაციების მიწოდებით, დახმარება გაეწია ე.კვიციანისათვის, რითაც მნიშვნელოვნად გაუადვილებდა მას დასახული მიზნის მიღწევას. ი.ბათიაშვილმა ე.კვიციანს აღუთქვა და დაარწმუნა, რომ თავისი და რიგი პოლიტიკური პარტიების

წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებით დაეხმარებოდა ამბოხების მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ემზარ კვიციანთან და ნორა არღვლიანთან /კვიციანთან/ 23-25 ივლისს შემდგარ სატელეფონო საუბრებში ი.ბათიაშვილი დადებით შეფასებას აძლევდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მათ საჯარო გამოსვლებს და მოქმედებებს, რითაც ამხნევებდა და მოუწოდებდა ამბოხების გაგრძელებისაკენ. ამასთან ერთად არწმუნებდა, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები მხარს უჭერდნენ მათ.

ი.ბათიაშვილი, ნაცვლად იმისა რომ ე.კვიციანისა და ამბოხებულებისათვის მოეწოდებინა, შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და იარაღი ჩაებარებინათ ხელისუფლებისათვის, ამბოხებულთა მიმართ საზოგადოების მხარდაჭერისა და სახელმწიფოს ნების პარალიზების მიზნით, ე.კვიციანს ურჩევდა, საჯარო გამოსვლების დროს გაეკეთებინა მიმართვა და ხელისუფლების ძალოვანი უწყების შეიარაღებული ქვედანაყოფებისათვის მოეწოდებინა დაეყარათ იარაღი.

თავის მხრივ, ე.კვიციანმა შეასრულა ი.ბათიაშვილის მითითება და საჯარო გამოსვლებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მოუწოდა, არ აღეკვეთათ ამბოხება, ხოლო საზოგადოებას აუწყა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებულ გამოსვლას მოაწყობდა მთელ ქვეყანაში და მათ შორის თბილისში.

ი.ბათიაშვილი სხვადასხვა მოსალოდნელი განცხადებების შესახებ ე.კვიციანს აწვდიდა ინფორმაციებს, არწმუნებდა, რომ რიგი პოლიტიკური პარტიები იწონებდნენ მის მოქმედებას და მხარს უჭერდნენ მას.

ი.ბათიაშვილმა თავისი საუბრის შედეგად ე.კვიციანს გაუმყარა იმის რწმენა, რომ საზოგადოება იყო მის მხარეს, რის შედეგადაც კოდორის ხეობაში ამბოხებულებმა, ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმწიფო წესრიგის აღსადგენად შესულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს. 25 ივლისს სოფელ საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრავ ავტოკოლონაზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ დავალებათა ცენტრის სამედიცინო ქვედანაყოფის უფროსმა, ვალერი მუჯირიშვილმა გულმკერდის მარცხენა არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, ხოლო ამავე ცენტრის ქვედანაყოფის უფროსმა, მიხეილ ქოქიაშვილმა, მარცხენა თემოს ძვლის ფრთის არეში ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობით მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. შეიარაღებული შეტაკების შემდეგ, ემზარ კვიციანი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები გაიქცნენ, მიიმალნენ და კვლავ აგრძელებდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას.

ესე იგი, ირაკლი ბათიაშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

განსასჯელ ი.ბათიაშვილის სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაული ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას,

მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, განსასჯელის პიროვნებას.

განსასჯელ ი.ბათიაშვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ იგი არ არის ნასამართლელი, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნის მიღწევა, მოცემულ კონკრეტულ საქმეზე, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია სასჯელის სახით, ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემთხვევაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე დართული ნივთმტკიცება - „პანასონიკის“ ფირმის ვიდეოკასეტა 10 ცალი, „პანასონიკის“ ფირმის მცირე ზომის ვიდეოკასეტა 1 ცალი, „DVD“ ფორმატის კომპაქტ-დისკი 1 ცალი, „CD“ ფორმატის კომპაქტ-დისკი 2 ცალი, შენახული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი - ცეცხლსასროლი იარაღები, ვაზნები და საბრძოლო მასალა /ტ.1, ს.ფ. 272-282ა, ტ.2, ს.ფ. 176-179/, ასევე ნივთმტკიცებად ცნობილია სისხლის სამართლის #090060746 საქმეზე, რის გამოც მათი საკითხი გადაწყდეს აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

2007 წლის 23 მაისს მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი და ირაკლი ბათიაშვილი დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 25 და 315- ე მუხლის მეორე ნაწილით - *„ამზობება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამზობად ან ხელში ჩასაგდებად“*, გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დასკვნითი ნაწილი

საქმის შესწავლის შედეგად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დარღვეულია ირაკლი ბათიაშვილის უფლებები, რამაც არსებითი გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაზე. ასევე გამოკვეთილია მის მიმართ კანონით დადგენილი სისხლის სამართლის საპროცესო მოთხოვნების დარღვევები, რაც ი.ბათიაშვილისათვის აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის ვადის გაგრძელებას შეეხება, ხოლო გამოტანილი განაჩენი არის დაუსაბუთებელი და არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს. აღნიშნულ დასკვნამდე მივედით შემდეგი გარემოებების გამო:

1. ი.ბათიაშვილს ბრალი წაუყენეს არამყარი მტკიცებულებების საფუძველზე.

როგორც წინასწარი გამოძიების საქმის მასალებიდან ირკვევა, 2006 წლის 02 აგვისტოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ე.კოდუამ საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის

დირექტორს ზ.კოტარიას გადაუგზავნა 6 ცალი ვიდეოკასეტა, რომლებზეც განთავსებული იყო ირაკლი ბათიაშვილისა და ემზარ კვიციანს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრები და კოდორის ხეობაში არსებული მოვლენების სიუჟეტების ჩანაწერები, რათა განეხორცილებინათ ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში ამ ჩანაწერების გაშიფვრა და მათი კრებსების სახით წარმოდგენა. (#2 ტომი, მე-16 ფურცელი).

1.1. ი.ბათიაშვილს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25 და 307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით, რომელიც ემყარებოდა სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ შემდეგ მტკიცებულებებს: ი.ბათიაშვილსა და ე.კვიციანს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში შემდგარი სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ 2006 წლის 25 ივლისის საღამოს საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ გადაცემული სიუჟეტის, ტელეკომპანია „იმედის“ 2006 წლის 25 ივლისის ღამის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ გადაცემული ი.ბათიაშვილის გამოსვლის, ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემული, რუსული ტელეკომპანია „რტრ“-სთვის ი.ბათიაშვილის მიერ მიცემული სატელეფონო ინტერვიუს ჩანაწერები, 2006 წლის 22 ივლისის სატელევიზიო კომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებაში, სარტელევიზიო კომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ და სატელევიზიო კომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“, 2006 წლის 23 ივლისის სატელევიზიო კომპანია „იმედის“ სატელევიზიო გადაცემა „დროებასა“ და სატელევიზიო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „პოსტ-სკრიპტუმში“, 2006 წლის 24 ივლისის ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერსა“ და სატელევიზიო საშუალებების მეშვეობით გადაცემული ე.კვიციანის გამოსვლებისა და ინტერვიუების ჩანაწერები და საქმეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ირაკლი დიმიტრის ძე ბათიაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (25) 307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით.

გამოდის, რომ რეალურად არ არსებობდა ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა გაშიფრული ვარიანტი და მათი კრებსები, ეს უკანასკნელი ნივთმტკიცების სახით სისხლის სამართლის საქმეს დაერთო 2006 წლის 02 აგვისტოს. ამდენად გამოდის, რომ ბრალი, რომელიც წარედგინა ი.ბათიაშვილს, არ ემყარებოდა უტყუარ მტკიცებულებებს, ეს კი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის მესამე პუნქტის უხეშ დარღვევას – “დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. “

1.2. სასამართლო სხდომის ოქმში ნათლად არის ასახული ზ.ბეიტრიშვილის ჩვენება, სადაც აღნიშნულია, რომ პირადად ზ.ბეიტრიშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად არ დაუღუქავს ნივთმტკიცება (საუბრების ჩანაწერები, რომელიც შედგა ი.ბათიაშვილს, ე.კვიციანსა და ნ.არღვლიანს შორის) და არც მოუსმენია, თუ რა იყო ჩაწერილი კომპაქტ-დისკზე, მაშინ როდესაც ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტები და გამოძიების მიერ მოპოვებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერები დაედო საფუძვლად ირაკლი ბათიაშვილის 2006 წლის 29 ივლისის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მიცემას.

2. ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ი.ბარათაშვილმა და გ.ნიკოლეიშვილმა არაერთგზის დააყენეს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ი.ბათიაშვილის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, რასაც ასაბუთებდნენ შემდეგი გარემოებით:

2006 წლის 24 ნოემბერს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მათა თეთრაულის მიერ გამოტანილი დადგენილება ალკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის შესახებ, რომლის თანახმად:

„2006 წლის 24 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში საბრალდებო დასკვნით, არსებითად განსახილველად შემოვიდა სისხლის სამართლის საქმე ირაკლი ბათიაშვილის მიმართ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25 და 307-ე, 315-ე მუხლის მესამე ნაწილით და 376-ე მუხლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2006 წლის 30 ივლისის ბრძანებით განსასჯელ ი.ბათიაშვილის მიმართ ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა დაპატიმრება. ბრძანებაში აღნიშნულია:

„ალკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს, მხედველობაში იქნა მიღებული, რომ არსებობს განსასჯელის მიმართ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები (საკმაო მტკიცებულებანი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის) – მას ბრალი ედება ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩადენაში და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლში მითითებული მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა სხვა სახის ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში.

გავეცანი რა სისხლის სამართლის საქმეს, მიმაჩნია, რომ ალკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს გამოყენებული არგუმენტების მხედველობაში მიღებით, მოცემულ ეტაპზე არ არსებობს განსასჯელის მიმართ ალკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილით,

დავადგინე:

განსასჯელ ი.ბათიაშვილის მიმართ ალკვეთის ღონისძიება დაპატიმრება გამოყენებულია სწორად და არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძვლები.

დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.“

მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება ალკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის შესახებ, მართალია, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სრულად არ პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ „ალკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და შეცვლის შესახებ ბრძანების გაცემისას მოსამართლე განიხილავს შუამდგომლობას 140-ე მუხლით დადგენილი წესით“, მაგრამ დადგენილების ამგვარი ფორმულირებაც არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის უხეშო დარღვევა.

3. ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის იოსებ ბარათაშვილის მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებული იქნა შუამდგომლობა მოწმის სახით დაეკითხათ დავით გამყრელიძე, შალვა ნათელაშვილი, კოსტანტინე გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, გიორგი კობახიძე, ზურაბ ბეიტრიშვილი, გ.გოგოლაშვილი, ნორა კვიციანი, გოჩა ფიფია, ერეკლე კოდუა, ნიკოლოზ ტაბატაძე, ზაზა ბრეგაძე, ზურაბ კოტარია და სხვ. მაგრამ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ინტერესების საზიანოდ სასამართლოში არ გამოცხადდნენ ე.კოდუა (როგორც მოსამართლემ განაცხადა, სასამართლოს მიერ შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საორგანიზაციო-ანალიტიკური და რეგონული დანაყოფის მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილისაგან მიღებული წერილის თანახმად, მოწმის სახით დაბარებული ე.კოდუა იმყოფება სამსახურებრივი მივლინებაში, რის გამოც მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა), ზ.კოტარია (არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის გამო) და ნ.ტაბატაძე (სასამართლოს მიერ მისი მოწმის სახით დაბარება სასამართლოში ვერ მოხერხდა მხოლოდ იმის გამო, რომ დაცვის მხარემ არ წარუდგინა სასამართლოს ნ.ტაბატაძის ადგილსამყოფელის მისამართი).

მოსამართლე მ.თეთრაულმა დაცვის მხარეს განუმარტა, რომ „სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა დაცვის მხარის შუამდგომლობა მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე. მხარის თხოვნით, სასამართლოს მიერ ორჯერ იქნა სასამართლო უწყება გაგზავნილი ე.კოდუასა და ზ.კოტარიას სახელზე, მიუხედავად ამისა ვერ მოხერხდა მათი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა. რაც შეეხება მოწმის სახით ნ.ტაბატაძის გამოძახებას, მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა, დაცვის მხარის მიერ მისი მისამართი და ადგილსამყოფელი დღემდე სასამართლოსათვის მოწოდებული არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო გადადის სასამართლო გამოძიების შემდეგ ეტაპზე.“ (იხ.სასამართლო სხდომის ოქმი, 61-ე ფურცელი).

არგუმენტი, რომელიც სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის მიერაა წარმოდგენილი, სამართლებრივ ლოგიკას არის მოკლებული. თუკი ჩავთვლით, რომ ნ.ტაბატაძის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის უყურადღებობის გამო მოხდა, მაშ რატომ არ განხორციელდა ე.კოდუასა და ზ.კოტარიას სასამართლო პროცესზე გამოცხადება, მითუმეტეს, რომ სასამართლოსათვის ცნობილი იყო ამ პირთაგან ერთ–ერთის მივლინების ადგილი და ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი იქნა დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზ.კოტარიას სამსახურებრივი მივლინება დასრულდებოდა 2007 წლის 10 მაისს, ხოლო ე.კოდუას მივლინების ადგილი არ იყო ცნობილი, რაც ეჭვს ბადებს რომ ის შეგნებულად არიდებდა თავს სასამართლოში გამოცხადებას.

სასამართლოს უნდა ეზრუნა ე.კოდუას ადგილსამყოფელის დადგენაზე, ხოლო ზ.კოტარია 11 მაისს უნდა დაებარებინა სასამართლოში მოწმის სახით. მათი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი უნდა გამოეყენებინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლით მინიჭებული უფლება – „პირები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით იძახებენ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ვალდებული არიან გამოცხადდნენ ზუსტად დანიშნულ დროს.

არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროცესის მონაწილენი შეიძლება იძულებით მოიყვანონ.“ მოსამართლემ არ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, რითიც უგულებელყო კანონით დაცვის მხარისათვის მინიჭებული პროცესუალური შესაძლებლობა და დაცვის მხარეს შეუზღუდა ეფექტური დაცვის განხორციელების საშუალება.

მოსამართლემ ასევე დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა – "ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს."

დაცვის მხარე შუამდგომლობდა მოწმის სახით დაკითხულიყო ზაზა ბრეგვაძე, რომელიც შსს-ს სპეცოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე არის. ბრეგვაძე დაკითხული იყო წინასწარ გამოძიებაში და დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ მან განსასჯელის სასარგებლო ჩვენება მისცა, რაც გამორიცხავდა ი.ბათიაშვილის ბრალეულობას. მიუხედავად ამისა სასამართლომ უარი განაცხადა მის დაკითხვაზე, რის გამოც დაცვის მხარეს წაერთვა შესაძლებლობა მისი წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება მათ სასარგებლო მტკიცებულებად გამოეყენებინა.

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა, რომ სასამართლომ შეგნებულად აარიდა თავი სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაბარებულ პირთა გამოცხადების უზრუნველყოფას და მათ დაკითხვას.

დანაშაულში თანამონაწილეობა და მისი აქცესორული ხასიათი

1. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში თანამონაწილეობის საკითხისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია. შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ პრინციპულად სხვადასხვა ორი მიდგომა. ერთ სისტემაში მოქმედებს „ექვივალენტურობის“ თეორია, რადგან ყველა მოქმედი პირი არის შემსრულებელი და უნდა დაეკისროთ თანაბარი პასუხისმგებლობა. მაგ: კალიფორნიის შტატის კანონმდებლობით: ყველა ის პირი რომელმაც ჩაიდინა დანაშაული (მათ შორის ისინიც ვინც ეხმარებოდნენ ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში), პასუხს აგებს როგორც ამსრულებელი (კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის თავი 31) „ექვივალენტური“ თეორია კარგად არის აპრობირებული აშშ-ში.

რაც შეეხება გერმანულ სისტემას, მასში განცალკევებულია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ანუ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია შემსრულებლის, წამქეზებლის, დამხმარის ქმედების მიხედვით. ყოველი მათგანი პასუხს აგებს სხვადასხვა ხარისხით ანუ იმისდა მიხედვით, თუ რა წვლილი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში. ეს ძალიან კარგად ჩანს წამქეზებლისა და ამსრულებლის მაგალითზე. ამერიკული სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „ერთ პირზე ხდება პასუხისმგებლობის მეორე პირზე დაფუძნება“. ამ დოქტრინის მიხედვით პირი ისე აგებს პასუხს სხვისი მოქმედებისათვის, როგორც საკუთარისათვის. აღნიშნულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „ის ვინც მოქმედებს სხვისი მეშვეობით, თვითონ მოქმედებს ანუ არის თანაამსრულებელი. ეს არის იგივე ამსრულებლის „მე“. ასე, რომ ამ დოქტრინის მიხედვით, თანამონაწილეობის მოქმედება გადაიქცევა ამსრულებლის მოქმედებად.

გერმანული სამართალი კატეგორიულად უარყოფს ამ მიდგომას და ამკვიდრებს იმ პრინციპს, რომ ყველამ პასუხი უნდა აგოს საკუთარ ქმედებისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გერმანული სამართლის სისტემას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე „სხვის ქმედებაზე პასუხისმგებლობა, „პასუხისმგებლობის დაკისრება“ უნდა იქნას უარყოფილი, რადგან არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს, რომელსაც კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენია.

2. მოქმედი კოდექსით განსხვავებით მანამდე მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსისგან, თანამონაწილეობის მთავარი ფიგურა ამსრულებელია, ხოლო თანამონაწილეთა მოქმედება ამსრულებელზეა დამოკიდებული. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებელს თანამონაწილის სახედ არ თვლის. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს დანაშაულში თანამონაწილე ამსრულებლის გარეშე.

3. სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას". პირი არ შეიძლება პასუხისმგებაში მიეცეს როგორც დამხმარე, თუ არ არის დადასტურებული ამსრულებელის მიერ დანაშაულის ჩადენის ნამდვილობა. ასეთ დადასტურებად კი უდანაშაულობის პრეზუმპციის კონსტიტუციური პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი უნდა მივიჩნიოთ.

4. კონკრეტულ შემთხვევაში, გამოძიების მიერ ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში არის მიცემული ემზარ კვიციანი, როგორც დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი პირი (ამსრულებელი), თუმცა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ არის გამოტანილი. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ირაკლი ბათიაშვილის დამნაშავედ გამოცხადება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის ამსრულებელიც მსჯავრდებულად ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თანამონაწილეობის აქცესორული კონცეფციის უხეში დარღვევაა. ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, ირაკლი ბათიაშვილი სასამართლომ დამნაშავედ სცნო დამხმარედ იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის ჩადენაც ჯერ სასამართლოს მიერ არ არის დადასტურებული.

5. პროკურატურა საბრალდებო დასკვნაში მტკიცებულებად იყენებს ირაკლი ბათიაშვილის სატელეფონო საუბარს ნორა არღვლიანთან (კვიციანთან) ტომი 3, ს.ფ.134.

ირაკლი ბათიაშვილს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა დანაშაულის ჩადენაში გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 25-315-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო საბოლოოდ ბრალდება ჩამოყალიბდა 25-315-ე მუხლის მე-2 ნაწილით. თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, ირაკლი ბათიაშვილს დახმარება მის მიერ მიცემული რჩევებით, დარწმუნებით ან მოქმედებით უნდა გაეწია უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი პირისთვის (პირებისთვის). შესაბამისად, მის მიერ სხვა პირთათვის (რომლებიც არ არიან დანაშაულში თანამონაწილენი) მიცემული რჩევები და მათთან გამოთქმული მოსაზრებები არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც ფსიქოლოგიური დახმარება დანაშაულის ჩასადენად. შესაბამისად, ის სატელეფონო საუბარი, რომელიც ირაკლი

ბათიაშვილსა და ნორა არღვლიანს შორის შედეგა, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ემზარ კვიციანის მიმართ აღმოჩენილი დახმარება რჩევა-დარიგებების მიცემით თუ დარწმუნებით, რადგანაც ნორა არღვლიანი ამ დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა.

6. შესაბამისად, არაკანონიერად უნდა იქნას მიჩნეული განაჩენის ის დებულებები, რომელიც ნორა არღვლიანთან განხორციელებული სატელეფონო საუბრის ანალიზით ადგენს ირაკლი ბათიაშვილის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ფაქტს, რადგან ნ.არღვლიანისათვის მიცემული რჩევა, თუ მასთან საუბარში გამოხატული აზრი ი.ბათიაშვილის მიერ ე.კვიციანისათვის ამბოხების ორგანიზებას და რეალიზაციაში განსახორციელებელ მოქმედებებთან დაკავშირებით გარკვეული რჩევების მიცემის ფაქტს არ ადასტურებს.

დაზარალებული

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად "დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ... შედეგად..."

2. მიმაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულად ცნობილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო, რადგანაც ირაკლი ბათიაშვილს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში "ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ("კარი მეთერთმეტე - დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ"). თუმცა საქმის მასალების მიხედვით დაზარალებულად ცნობილი იყო არა სახელმწიფო, არამედ ორი ფიზიკური პირი (შსს თანამშრომლები).

3. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მასალებით გამოძიების მიერ უტყუარად არ არის დადგენილი ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ პირებს მ.ქუსქიაშვილსა და ვ.მუჯირიშვილს ზიანი მიადგათ თუ არა ნამდვილად ამბოხების გამო და კონკრეტულად რომელ შეიარაღებულ ჯგუფთან შეტაკებისას დაიჭრნენ ისინი.

4. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირები დაზარალებულად იქნენ ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი და მე-2 და 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით ჩადენილ დანაშაულზე. ხოლო ირაკლი ბათიაშვილს ბრალად აღნიშნული დანაშაული არ წაყენებია და არც სასამართლოს უცვნია დამნაშავედ აღნიშნულ დანაშაულში.

5. ალბათ გარკვეულ ლოგიკას დაექვემდებარებოდა სასამართლოს მსგავსი შეხედულება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ უტყუარად (გამამტყუნებელი განაჩენით სხვა პირთა მიმართ) იქნებოდა დადგენილი ის გარემოება, რომ დაზარალებულებს ფიზიკური ზიანი მიადგათ დანამდვილებით ამბოხებულთა მხრიდან და ამ დანაშაულისათვის სხვა პირები (ორგანიზატორი, ამსრულებელი) იქნებოდნენ მსჯავრდებული.

6. შედარებით დასაბუთებული იქნებოდა, საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ჩართულიყო სოფელ ჩხალთაში მცხოვრები რუსუდან გერლიანი-გუგუსიანის (რომელიც გარდაიცვალა უშუალოდ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ამბოხებასთან დაკავშირებით განხორციელებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად) რომელიმე ახლო ნათესავი.

სხვა მტკიცებულებები

ირაკლი ბათიაშვილის მიერ, მასზე ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია წინასწარი და სასამართლო გამოძიებით საქმეზე შეკრებილი შემდეგი მტკიცებულებებით:

1. დაზარალებული მიხეილ ქოქიაშვილის ჩვენებით;

როგორც მიხეილ ქოქიაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, ის არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-ოპერაციების ცენტრის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი. 2006 წლის 23 ივლისს მიიღო სპეც-ოპერაციის მომზადების ბრძანება და გადავიდა კოდორის ხეობაში. 25 ივლისს შევიდნენ კოდორის ხეობაში, საღამოს 05 საათისთვის საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ორმხრივი სროლის დროს მოხვდა ტყვია და დაიჭრა (იმყოფებოდა ა/მანქანის ძარაზე და ჩამოქვეითებისას დაშავდა). იგი გადაიყვანეს ქუთაისში, სადაც გაუწიეს კვალიფიციური დამედიცინო დახმარება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მ.ქოქიაშვილის ჩვენებაში არანაირად არ იკვეთება ამბოხებასთან ირაკლი ბათიაშვილის უმნიშვნელო კავშირიც კი. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ წარმოადგენს მ.ქოქიაშვილის ჩვენება ბრალდების დამადასტურებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, ფურცელი #21-22).

ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქმის მასალებიდან და მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე არ იკვეთება ის ფაქტი, თუ კონკრეტულად ვინ მიაყენა ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა – ესენი იყვნენ ამბოხებულები თუ სხვა პირები. ამ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდი იმისა, რომ დაზარალებულებს თავს დაესხნენ სწორედ ამბოხებულები, – როგორი საფუძველიც არ უნდა არსებობდეს ამგვარი ვარაუდისთვის – არ არის საკმარისი.

2. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #4719 დასკვნით (მ.ქოქიაშვილის დაზიანებათა ხარისხი) მიხეილ ქოქიაშვილის აღენიშნებოდა „ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობა მარცხენა თემოს ძვლის ფრთის არეში, თემოს ძვლის ფრთის მოტეხილობა, უცხო სხეული /ტყვიის გულა/ მარცხნივ რეტროპერიტონიანულ სივრცეში. დაზიანება განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან

გასროლილი ჭურვის მოქმედების შედეგად და განეკუთვნება დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა“, თუმცა მიხეილ ქოქიაშვილის დაჭრასთან ი.ბათიაშვილის კავშირი არ არის დადგენილი, მითუმეტეს, რომ მოწმემ ჩვენებაში განაცხადა: “განსასჯელს არ ვიცნობ, მის მიმართ არავითარი ინტერესი არ გამაჩნია.“ (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, ფურცელი #22).

3. დაზარალებული ვალერი მუჯირიშვილის ჩვენებით:

როგორც ვალერი მუჯირიშვილის ჩვენებიდან ირკვევა, ის არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-ოპერაციების ცენტრის სამედიცინო ქვედანაყოფების უფროსი. მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, კერძოდ 2006 წლის 25 ივლისს, დაახლოებით საღამოს 05-06 საათზე კოდორის ხეობაში, სოფელ საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე, ორმხრივი სროლის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება. მოწმის ჩვენებით, იგი ი.ბათიაშვილს არ იცნობს, მას არ დაუნახავს, ვინ ესროლა და არანაირად არ აქვს იმგვარი შთაბეჭდილება, თითქოს ი.ბათიაშვილმა ან მისი დახმარებით ვინმე სხვამ ესროლა (იხ.სასამ.სხდომის ოქმი, ფურცელი #23-23).

4. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #354 დასკვნით (ვ.მუჯირიშვილის დაზიანებათა ხარისხი) „დაზიანებები ცეცხლსასროლი იარაღითაა მიყენებული. გულმკერდის მარცხენა ნახევარში შემღწევი, ჰემოტორაქსი, მარცხენა მხრის და კისრის მიდამოზე დაზიანებები, რომელიც მოცემულია მოქალაქე მუჯირიშვილის ავადმყოფობის ისტორიის ჩანაწერში, მიყენებულია რაიმე ცეცხლმსროლელი იარაღის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშ მძიმე ხარისხის დაზიანებას“. იმ ფაქტს, რომ ვალერი მუჯირიშვილმა მიიღო სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, ამას ექსპერტის დასკვნაც ადასტურებს, მაგრამ ორმხრივი სროლის შედეგად დაზარალებული ვ.მუჯირიშვილისთვის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო დასკვნა რატომ წარმოადგენს ი.ბათიაშვილის ბრალდების დამადასტურებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას, ნამდვილად გაუგებარია.

5. მოწმე გიორგი გოგოლაშვილის ჩვენებით, მას ურთიერთობა ქონდა ი.ბათიაშვილთან, როგორც უნივერსიტეტში კოლეგასთან. კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო მიტინგი და პოლიტიკოსებს, რომლებიც ფლობდნენ ინფორმაციას კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მიმართეს თხოვნით, დასწრებოდნენ საინფორმაციო მიტინგს. ერთ-ერთი ამ პოლიტიკოსთაგანი იყო ირაკლი ბათიაშვილიც. როგორც გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს, „მოუწოდეთ ხელისუფლებას, რასაც ეთანხმებოდა ირაკლი, რომ არ გამოეყენებინა ძალა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ და არ დაეღვარა სისხლი, აი ამ პოზიციებიდან ჩვენ თანამოაზრეები გავხდით.“

ასევე გაუგებარია, თუ რატომ წარმოადგენს გიორგი გოგოლაშვილის ჩვენება ი.ბათიაშვილის ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებას, მაშინ როდესაც მოწმე პირდაპირ აცხადებს, რომ ი.ბათიაშვილიც უერთდებოდა მოწოდებას

ხელისუფლების მიმართ არ დაღვრილიყო სისხლი და რაიმე მოსაზრება ან მხარდაჭერა მას ამბოხების მიმართ არ გამოუხატია.

6. მოწმე ნორა არღვლიანის ჩვენებით როგორც ნორა არღვლიანის ჩვენებიდან ირკვევა, ემზარ კვიციანის მიერ დაუმორჩილებლობის გამოცხადების შემდეგ, მას ჰქონდა სატელეფონო საუბრები ირაკლი ბათიაშვილთან, რომელიც გაკვირვების მეტს არაფერს გამოთქვამდა ემზარ კვიციანის საქციელის გამო. მხარდაჭერა ე.კვიციანის მოქმედებებისთვის ი.ბათიაშვილს არ გამოუვლენია, თორემ, როგორც ნ.არღვლიანი აცხადებს: “ი.ბათიაშვილს მაგი რომ ეთქვა: აბა ემზარი შენ და შენი ვაჟკაცობა და მოდი დავამხოთ ეს ხელისუფლება. მე ჩავთვლიდი ი.ბათიაშვილს ემზარის მტრად. ვინც ემზარის წააქეზებდა, პირველი მტერი იქნებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის.” ნ.არღვლიანის თქმით, მას ემზარ კვიციანისთვის არ გადაუცია ირაკლი ბათიაშვილთან საუბრის შინაარსი: „არანაირი შინაარსი არ გამიცვნია. რა შინაარსი უნდა გამეცნო, ნერვიულობდა, სისხლი არ დაიღვაროსო და მაგიტო რეკავდა“.

ნორა არღვლიანის ჩვენებაში პირდაპირაა საუბარი იმის შესახებ, რომ ირაკლი ბათიაშვილის მიზანი იყო, როგორმე თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა და არ დაეშვათ შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობა, თუმცა, გაურკვეველია, თუ რატომ მიიჩნია სახელმწიფო ბრალდებამ ნორა არღვლიანის ჩვენება ირაკლი ბათიაშვილის ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად, ისევე როგორც სასამართლომ. რადგან, თუ შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე მოხდებოდა კრიზისის დამლევა და დამნაშავეთა შეპყრობა, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა იმ დამაბული სიტუაციიდან, რომელიც კოდორის ხეობაში არსებობდა.

7. მოწმე გოჩა ფიფიას ჩვენებით ირაკლი ბათიაშვილს შეხება ემზარ კვიციანის მიერ ორგანიზებულ ამბოხებასთან არ ჰქონია და არც ამ უკანასკნელის მხარდაჭერა გამოუხატავს, რადგან იგი(ფიფია) თავად იმყოფებოდა კოდორის ხეობაში და კვიციანისგან მსგავსი ინფორმაცია არ მიუღია.

8. ინტერპრესნიუსის მიერ 2006 წლის 22 ივლისს გავრცელებული ინფორმაცია სათაურით: "სახალხო ლაშქრის სარდალი ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებს". აქაც იმის თქმა, რომ ე.კვიციანის ამ განცხადებასთან ირაკლი ბათიაშვილს რაიმე კავშირი ჰქონდა, არასერიოზულია.

9. ემზარ კვიციანის და ირაკლი ბათიაშვილის სატელეფონო საუბარი#11212883 (ტ.1.ს.ფ. 21ა);

10. ე.კვიციანის მიერ გადაცემა პირველებისათვის მიცემული ინტერვიუ;

11. საინფორმაციო გადაცემა ქრონიკისათვის მიცემული ინტერვიუ და გადაცემა კურიერისათვის მიცემული ინტერვიუ;

12. სატელეფონო საუბარი ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის #11205642 (ტ.1 ს.ფ.18-19);

13. ინტერვიუ ემზარ კვიციანთან, სადაც ემზარ კვიციანი გადაცემა „დროება“-ში ჟურნალისტს კითხვაზე პასუხობს: "დედაქალაქის გარეშე აზრი აქვს ცხოვრებას;"(იხილეთ: ტომი #2, საქმის ფურცელი 57-58)

14. სატელეფონო საუბარი ე.კვიციანსა და ი.ბათიაშვილს შორის # 11211522 (ტ.3ს.ფ.88-89.);

15. ი.ბათიაშვილის პრესკონფერენცია.

მოცემულ საქმეზე სასამართლო გამოძიებისთვის ბრალდების მხარე ძირითადად ბრალს აფუძნებდა 23-25 ივლისს ე.კვიციანს, ნ.არღვლიანსა და ი.ბათიაშვილს შორის განხორციელებულ სატელეფონო საუბრების ჩანაწერებზე, რომლის კრების მოცემული იყო სისხლის სამართლის საქმეში. ასევე საქმეს მტკიცებულებად ერთვოდა სატელევიზიო ჩანაწერები, სადაც ასახული იყო როგორც ბრალდებულის, ასევე სხვა პირთა სატელევიზიო ინტერვიუები, კომენტარები და ა.შ.

როგორც საქმის მასალების შესწავლიდან ირკვევა, საქმეს ნივთმტკიცებად დართული ჰქონდა 2 ცალი კომპაქტ დისკი (2006 წლის 11 აგვისტოს დადგენილება და 2006 წლის 1 ნოემბრის დადგენილება), სადაც ჩაწერილი იყო ე.კვიციანს, ნ.არღვლიანსა და ი.ბათიაშვილს შორის განხორციელებულ სატელეფონო საუბრები, ასევე ვიდეო კასეტები.

წინასწარი გამოძიების მასალებიდან არ ჩანს, თუ რა სახით მიაწოდა გამოძიებას თავდაპირველად ოპერატიულ სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალები შსს ოპერატიულ-ტექნიკურმა დეპარტამენტმა, მაგრამ თუ საქმეში არსებული მასალებით ვიმსჯელებთ, მათი მიწოდება თავდაპირველად უნდა მომხდარიყო კრების სახით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული მტკიცებულების დამოკიდებულების (ანუ შესახებობის) და დასაშვებობის (ანუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების) საკითხის გადაწყვეტასთან ერთად სასამართლოს უნდა გამოერკვია მისი უტყუარობაც.

სასამართლო განაჩენი საქართველოს კონსტიტუციის მე-40-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ეს პრინციპი ასევე განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილითა და 496-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

უტყუარი მტკიცებულების ცნებას მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს და იგი არსებითად განსხვავდება დაუშვებელი მტკიცებულებებისგან. შესაძლებელია მტკიცებულება დასაშვები იყოს, მაგრამ არა უტყუარი. მოცემულ საქმეზე სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერებთან და კრებთან მიმართებით არ იკვეთება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძვლები, რამდენადაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით „1. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია:

ა) იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეზე;

ბ) კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან;

გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით;

დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

2. ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობისა და დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.

3. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით).

4. დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულება ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და ინახება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანცელარიაში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადის განმავლობაში.

5. დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მტკიცებულებათა სარწმუნოებას (უტყუარობას).

მოსამართლე თავის შინაგანი რწმენით აფასებს, თუ რა ჩაითვლება უტყუარ მტკიცებულებად, მაგრამ შინაგანი რწმენა არ გულისხმობს მოსამართლის სრულ თავისუფლებას, არამედ იგი ვალდებულია, განაჩენს საფუძვლად დაუდოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა-შეფასება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად:

1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამომძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.“

კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილია, რომ:

1. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით.

2. მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი

მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით.“

ამავე კოდექსის 132-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ

1. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.
2. გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მტკიცებულებას აფასებენ თავისუფლად, შინაგანი რწმენით.
3. ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.
4. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.
5. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.“

მოსამართლე ვალდებულია, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სრულყოფილად გამოიკვილოს და შეაფასოს უკლებლივ ყველა მტკიცებულება. განსაკუთრებით კი ის მტკიცებულება, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველია. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებოდ დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“, ხოლო ამავე კოდექსის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.“

ამავე კოდექსის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ "გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.“

სისხლის სამართლის საქმეში მოცემული სატელეფონო საუბრების კრებები და აუდიო ჩანაწერები შინაარსობრივად განსხვავებულია.

თავდაპირველად ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეში მოცემული იყო სატელეფონო საუბრების კრების, ანუ აუდიო ჩანაწერის დემიფრირებული ვარიანტი. ბუნებრივია, საქმეში არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ აუდიო ჩანაწერის დემიფრირებული კრების, თუ არ არსებობს თავად აუდიო ჩანაწერი, რომელიც მტკიცებულებად არის ცნობილი. წინასწარ

გამომიებაში გამომძიებლის მიერ მტკიცებულებად არის ცნობილი როგორც სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები, ასევე მათი კრებსიც. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ აუდიო ჩანაწერის იდენტური ინფორმაციის მატარებელი უნდა იყოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, "კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულებები."

შესაბამისად, სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები წარმოადგენენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებულ მონაცემებს ფაქტის შინაარსის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად "სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან უნდა მიიღოს."

ასეთ პირველწყაროს კი წარმოადგენდა სწორედ აუდიო ჩანაწერები, რომელიც სასამართლო პროცესზე იქნა გამოქვეყნებული. აღნიშნული ჩანაწერები, ნაცვლად ორი კომპაქტ დისკისა, როგორც ეს გამომძიებლის დადგენილებაშია ნათქვამი, წარმოდგენილი იქნა ერთ დისკად და ის არსებითად განსხვავებულ შინაარსს ატარებდა კრებსისაგან. შესაბამისად, სასამართლოს აუცილებლად უნდა გაჩენოდა კითხვა, რომელ მტკიცებულებას უნდა დაყრდნობოდა – უშუალოდ აუდიო ჩანაწერებს, თუ კრებსს, რომელიც გაცილებით ინფორმაციული იყო. ამავდროულად, დაცვის მხარე და უშუალოდ განსასჯელი აცხადებდნენ რომ სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერი იყო გაყალბებული და ამას ამტკიცებდნენ იმ გარემოებით, რომ კრებსში გაცილებით მეტი ინფორმაცია იყო, ვიდრე აუდიო ჩანაწერში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ როდესაც გამომძიებელი ნივთმტკიცებად მიიჩნევს ამა თუ იმ საგანს, ნივთს, ის უნდა დალუქულიყო და დართვოდა სისხლის სამართლის საქმეს. თუ აღნიშნული დისკი ექსპერტიზისათვის გადაიგზავნებოდა სხვა დაწესებულებაში, ექსპერტიზის შემდეგ ის ასევე დალუქულ მდგომარეობაში უნდა დაბრუნებოდა საგამომიებო ორგანოს.

სასამართლოში, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი დისკი და ამას მოწმედ დაკითხული ზ.ბეიტრიშვილისაგან (საქმის გამომძიებელი) არადამაჯერებელი და საეჭვო არგუმენტაცია მოჰყვა იმის შესახებ, რომ მას მტკიცებულება უშუალოდ არ უნახავს და ვირტუალურად ცნო ის ნივთმტკიცებად.

სასამართლო გამოძიების დროს განსასჯელის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა იოსებ ბარათაშვილმა და გელა ნიკოლაიშვილმა სასამართლოს წინაშე იმუამდგომლეს, რომ დანიშნულიყო ფონოსკოპიური ექსპერტიზა ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილ კომპაქტ დისკებზე არსებული სამი ჩანაწერის სინამდვილესთან დაკავშირებით. კერძოდ, #11206522, #11205642 და #11211522 სატელეფონო საუბრები.

მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნის შესახებ. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებული იყო დაენიშნა ექსპერტიზა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 356-ე მუხლიდანაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად „ექსპერტიზა ტარდება გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, ასევე სასამართლოს დადგენილებით დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტთა დასკვნა. თუ გამომძიებელს, პროკურორს ან სპეციალისტს აქვთ სპეციალური ცოდნა, ეს არ გამორიცხავს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას.“

შუამდგომლობის მიხედვით, პირველი ჩანაწერიდან საუბრის ნაწილს აქვს დადებული ზუმერი და ეს აღძრავს ეჭვს, რომ მოხდა აღნიშნული საუბრების გაყალბებით წარდგენა სასამართლოში. გარდა ამისა, აღნიშნული საუბრის შინაარსი არ ემთხვევა დემიფირებული ტექსტის შინაარსს, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი.

მეორე საუბართან დაკავშირებით ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა შეეხება ასევე იმას, რომ საუბრის შინაარსი არ ემთხვევა დემიფირებული ტექსტის შინაარსს და უნდა დაზუსტდეს ი.ბათიაშვილის ფრაზა „გასაგებია მარა“. შემდეგ საუბარში ტექსტი წყდება სიტყვაზე „რომ“ და, როგორც ი.ბათიაშვილმა გამოხატა თავისი თვალსაზრისი, ტექსტი გაწყვეტილია ბრალდების მხარის მიერ, იგი არის ხელოვნურად შემცირებული.

მესამე ჩანაწერი არის ბათიაშვილსა და ე.კვიციანს შორის შემდგარი სატელეფონო საუბარი. ამ საუბარში ე.კვიციანის სიტყვებს „კაროჩე ირაკლი“ მოსდევს ხანგრძლივი ზუმერი და, ი.ბათიაშვილის განმარტებით, ამოჭრილია სწორედ ის ადგილი, რომელიც უტყუარს გახდიდა ბრალდების უსაფუძვლობას.

სახელმწიფო ბრალმდებელი არ დაეთანხმა შუამდგომლობას და არც მოსამართლემ დააკმაყოფილა იგი. პროკურორის და მოსამართლის კონტრარგუმენტები არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა დაცვის მხარეს ჰქონდა წინასწარი გამომძიების დროსაც და სასამართლო გამომძიების დაწყებამდეც. სსსკ-ის 468-ე მუხლით გათვალისწინებულია ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის განხილვა, რა დროსაც განსასჯელიც და ადვოკატიც გაცნობილი იყვნენ აღნიშნულ მტკიცებულებას. სასამართლო გამომძიების სტადიაზე აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება მიმართულია საქმის გაჭიანურებისკენ, ხოლო ახლად აღმოჩენილ გარემოებად ვერ ჩაითვლება ის, რომ სასამართლო მას ცნობდა დაუშვებელ მტკიცებულებად, ვინაიდან მათ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ არ შეიძლებოდა წინასწარ სცოდნოდათ.

განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი ი.ბარათაშვილი განმარტავს შემდეგ: „იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილდებოდა დაცვის მხარის შუამდგომლობა

კომპაქტ-დისკის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, აღარ იარსებებდა ფონოსკოპიური ექსპეტიზის დანიშვნის საჭიროება იმავე კომპაქტ-დისკზე. ის ფაქტი, რომ აღნიშნული კომპაქტ-დისკი უნდა ყოფილიყო ცნობილი დაუშვებელ მტკიცებულებად, დასტურდება იმ გარემოებებით, რომ არ არსებობს გამომძიებლის დადგენილება მისი ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ. საქმეში არ არის წარმოდგენილი გამომძიებლის მიერ ნივთმტკიცებად ცნობილი კომპაქტ-დისკები და მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს სურს დაცვის მხარე მოაქციოს შუამდგომლობების დაყენების თანმიმდევრობის იმ რეჟიმში, რომელიც პროკურორს სურს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე-231-ე მუხლების მიხედვით, დაცვის მხარეს აქვს ნებისმიერ ეტაპზე შუამდგომლობის დაყენების უფლება. ამას დაცვის მხარეს ვერავინ ვერ აუკრძალავს.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 468-ე მუხლით განსაზღვრულია მხარის მიერ შუამდგომლობების განცხადებისა და სასამართლოს მიერ მათი გადაწყვეტის წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად „1. თავმჯდომარე პროცესის მონაწილე ბრალდებისა და დაცვის მხარეთა წარმომადგენლებს ეკითხება, აქვთ თუ არა შუამდგომლობა აცილების, ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე ახალი მტკიცებულებების ან დოკუმენტების გამოთხოვის ან საქმისთვის დართვის, მოწმეების, ექსპერტების მოწვევის, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს წარედგინება ერთად. პირი, რომელიც აღძრავს შუამდგომლობას, ვალდებულია მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის განცხადებული შუამდგომლობა.

2. სასამართლომ უნდა განიხილოს ყოველი განცხადებული შუამდგომლობა და გაიგოს პროცესის მონაწილეთა აზრი. თუ გარემოებები, რომელთა დასადგენადც განცხადებულია შუამდგომლობა, საქმისათვის მნიშვნელოვანია, სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას. პირს, რომელსაც უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უფლება აქვს განაცხადოს იგი სასამართლო გამოძიებისას საქმისათვის ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში.“

ცალსახად უნდა ითქვას, რომ **შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობით მოსამართლემ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული საკვანძო პრინციპები და მთელი რიგი ნორმები**, კერძოდ, 468-ე, 356-ე, მე-10(3), მე-18, მე-19, 132-ე, 496-ე(3) და 503-ე(2) მუხლები, ვინაიდან დაუშვებელია მოსამართლემ თავი აარიდოს თავისი ვალდებულების შესრულებას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მტკიცებულებათა უტყუარობის დადგენასთან დაკავშირებით, საქმის გაჭიანურების შესახებ უსაფუძვლო მითითებით. მით უმეტეს, რომ დაცვის მხარეს აღნიშნული შუამდგომლობა სავსებით კანონიერად ჰქონდა დაყენებული. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დაცვის მხარე ვერ იქნებოდა დაინტერესებული პროცესის გაჭიანურებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ განსასჯელს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა წინასწარი პატიმრობა. გარდა ამისა, განსასჯელი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ი.ბათიაშვილი არის უკანონო პატიმარი და მათი მოთხოვნა იყო მხოლოდ და მხოლოდ გამამართლებელი განაჩენი.

ამკარა კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმების თანახმად, ეჭვის კანონით დადგენილი წესით დადასტურება გაიგივებულია უტყუარი მტკიცებულების არსებობასთან, ხოლო უტყუარი მტკიცებულება უნდა დადგენილიყო სასამართლოს მიერ, ყველა შესაძლო საპროცესო მექანიზმის გამოყენებით (რაც ამ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარებაში გამოიხატება და რაც მოთხოვნილი იყო დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის თანახმად: "მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით, სასამართლო სხდომის მდივანი საჯაროდ კითხულობს წინასწარი გამოძიების დროს საქმისთვის დართულ წერილობით მტკიცებულებებსა და საგამომიებო მოქმედების ოქმს. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე." შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა საქმეზე დართული წერილობითი მტკიცებულებების (მათ შორის სატელეფონო საუბრების დემიფირებული ტექსტების) სანდოობაზეც.

თუ სასამართლო აღნიშნულ სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერებზე არ ჩატარებდა ექსპერტიზას, შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად არ დაედებოდა მტკიცებულებები, რომელთა უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი სრულად არსებობდა. სხვაგვარად რომ ითქვას, სასამართლო თუ საქმის გადაწყვეტისას არ გამოიყენებდა იმ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობაც საფუძვლიანად ეჭვის ქვეშ იდგა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა სასამართლომ სწორედ აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიტანა განაჩენი, რაც როგორც კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთელი რიგი მოთხოვნების უხეში უგულვებელყოფა და დარღვევაა.

შესაბამისად, უმართებულოდ მიმაჩნია იმ სატელეფონო საუბრების შინაარსზე მსჯელობა, რომელთა უტყუარობა ვერ დასტურდება და რომელთაც არ შეუძლიათ ამომწურავი ინფორმაცია მოგვცეს ირაკლი ბათიაშვილსა და ემზარ კვიციანს შორის შემდგარ სატელეფონო საუბრებზე.

განვიხილეთ რა ყველა ის არგუმენტი, რომელიც ბრალდების მხარეს ქონდა პროცესზე წამოყენებული და ყველა ის მტკიცებულება, რომელზეც სასამართლომ დააყრდნო თავისი გადაწყვეტილება მივიღეთ შემდეგი:

დაზარალებულების ქოქიშვილისა და მუჯირიშვილის დაკითხვის ოქმები და ექსპერტიზის დასკვნები მოწმობენ, რომ მათ სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს დაუდგენელ პირებთან შეტაკებისას, მაშინ როდესაც დავალების შესასრულებლად მიემგზავრებოდნენ სოფელ საკენტან და მათ დაჭრასთან არანაირი კავშირში არ იმყოფებოდა ირაკლი ბათიაშვილი.

მოწმე გიორგი გოგოლაშვილის ჩვენებით სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც ირაკლი ბათიაშვილმა მოუწოდა ხელისუფლებას, არ დაეღვარა სისხლი, ეს უკანასკნელი მონაწილეობას იღებდა გიორგი გოგოლაშვილის და მისი თანამოაზრეების მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო მიტინგში, რომლითაც უნდა მომხდარიყო საზოგადოების ინფორმირება კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მითუმეტეს, რომ ი.ბათიაშვილის გარდა ზემოაღნიშნულ საინფორმაციო მიტინგში მონაწილეობას იღებდნენ სხვა პოლიტიკური ფიგურებიც. აღნიშნული ფაქტებით კიდევ ერთხელ დასტურდება ის გარემოება, რომ ი.ბათიაშვილის კავშირი ე.კვიციანიის მიერ კოდორის ხეობაში ორგანიზებულ ამბოხებასთან დაუდასტურებელია.

გენერალური პროკურატურის ბრიფინგი

1. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ირაკლი ბათიაშვილის მიმართ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დღეს, განაჩენის გამოცხადებიდან რამდენიმე საათში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოიწვიეს ბრიფინგი, სადაც საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია იმ არგუმენტების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იყო ბრალდების მხარის მიერ ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ.
2. პროკურორმა ირაკლი კობიძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ირაკლი ბათიაშვილი მსჯავრდებული იქნა კონკრეტული ქმედების გამო, რაც გამოიხატა ემზარ კვიციანიასთვის ამბოხების მოწყობაში ინტელექტუალურ დახმარებაში. მან ასევე დასძინა, რომ ნიშანდობლივი იყო ის გარემოებაც, რომ დაცვის მხარემ ვერ წარმოადგინა ვერცერთი მტკიცებულება, რომელიც მის უდანაშაულობას დაამტკიცებდა.
3. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით "არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს." შესაბამისად, ირაკლი ბათიაშვილს კი არ უნდა უნდა ემტკიცებინა მისი უდანაშაულობა, არამედ ბრალდებას უნდა წარედგინა სასამართლოსათვის უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ირაკლი ბათიაშვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენას.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად "გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ." ბათიაშვილის საქმის ანალიზი ცალსახად გვიჩვენებს, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო საკუთარ მოსაზრებებს და იმ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობა საეჭვოა და რომლებიც სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებულია: "წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი

საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ."

სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიცავს საქმის სრულყოფილ შესწავლას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ და კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. ზემოთგანხილული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები არ შეიძლება მივიჩნიოთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისად და უტყუარად, ისევე, როგორც უგულვებელყოფილი იყო შეჯიბრობითობა და მხარეთა თანასწორობა (მოწმეთა გამოძახებისას და დაკითხვისას და ა.შ).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, რაც კანონის მოთხოვნის უხეში დარღვევაა, რის გამოც ი.ბათიაშვილის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

დანართი #2

საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები

1. ჯარჯი ჯაბანაშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა მასალები იმ პირთა (გენერალური პროკურატურის თანამშრომელთა და მოსამართლეთა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად, რომელთა უკანონო ქმედებების შედეგად 2003 წლის 8 ივნისიდან 2003 წლის 22 აგვისტომდე ჯ.ჯაბანაშვილი იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში სსკ-ის 375-ე მუხლის (დანაშაულის დაფარვა) ბრალდებითა და უკანონოდ იქნა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სსკ 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის, გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

კერძოდ, დანაშაული, რომლის ჩადენაც ჯ.ჯაბანაშვილს ედებოდა ბრალად, 1996 წლის 25 სექტემბერს მოხდა. აქედან გამომდინარე 2003 წლის 8 ივნისს, როცა ჯ.ჯაბანაშვილი დააკავეს და წარუდგინეს ბრალდება სსკ-ის 375-ე მუხლით, გასული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე; სსკ-ის 71-ე მუხლის თანახმად, მსგავსი კატეგორიის (ნაკლებად მძიმე) დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა არის 6 წელი.

2005 წლის 28 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით უდანაშაულოდ ცნეს ის პირები, რომელთა მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა ედებოდა ბრალად ჯ.ჯაბანაშვილს. 2005 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2005 წლის 28 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი აღნიშნულ ნაწილში უცვლელი დატოვა.

2006 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა, ლ.ყიფიანმა გამოიტანა დადგენილება ჯ.ჯაბანაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

2003 წლის 22 აგვისტოს ჯ.ჯაბანაშვილს წაეყენა სხვა ბრალდებაც და მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით

გათვალისწინებულ დანაშაულში (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა და გასაღება). ზემოაღნიშნული დანაშაული მან 1996 წელს ჩაიდინა.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. სსკ-ის 71-ე მუხლის თანახმად, ხსენებული დანაშაულებიცი მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ამდენად, 2003 წლის 22 აგვისტოს ჯ.ჯაბანაშვილისთვის სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდებების წაყენება და შემდგომ ამ ბრალდებებით მისი გასამართლება მოხდა კანონდარღვევით, ვინაიდან გასული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა (დანაშაული ჩადენილი იყო 1996 წელს).

2004 წლის 10 მარტს საქართველოს გენერალური პროკურორმა, ი.ოქრუაშვილმა დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა სისხლის სამართლის საქმეზე ჯ.ჯაბანაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით. აღნიშნული საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა თბილისის საოლქო სასამართლოში, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე (ჯ.ჯაბანაშვილის მიმართ დანაშაულის დაფარვის ფაქტზე), ჯერ ისევ მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება.

2005 წლის 19 ივლისს ჯ.ჯაბანაშვილი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლისა და 2 (ორი) თვის ვადით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი.

10 ივლისს გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2003 წლის 8 ივნისს ჯ.ჯაბანაშვილის დაკავებასა და მისთვის სსკ-ის 375-ე მუხლით ბრალდების წაყენების საკითხზე თავის დროზე იმსჯელა სასამართლომ, შეამოწმა ჯ.ჯაბანაშვილის დაკავების კანონიერება და მიიჩნია, რომ დაცული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები და კანონიერად შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. რაც შეეხება ჯ.ჯაბანაშვილის გასამართლებას სსკ-ის 236-ე მუხლით, ამ შემთხვევაშიც გენერალური პროკურატურა მიუთითებს, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ჯაბანაშვილის მიმართ, რაც უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

სსსკ-ის 261-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება“. ამავე კოდექსის 263-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ან/და იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან

თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირმა...“. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, „პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გენერალურმა პროკურატურამ უგულვებელყო სსსკ-ის მოთხოვნები და არ დაიწყო წინასწარი გამოძიება ჯ.ჯაბანაშვილის მიმართ გამოძიების ორგანოს წარმომადგენლებისა და მოსამართლეთა მხრიდან კანონის უხეშ დარღვევებზე, რითაც არსებითად შეილახა მისი საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებები.

2. ვახტანგ ქალდანის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართა წინასწარი გამოძიების დასაწყებად ბრალდებულ ვახტანგ ქალდანის დაკავებისას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე.

ვ.ქალდანი ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო შექმნა-ტარების ბრალდებით ქ.ბოლნისში დააკავეს. ეჭვმიტანილის დაკავების ოქმში დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის დროდ დაფიქსირებული იყო 2006 წლის 6 დეკემბრის 16:00 საათი, ხოლო ფაქტობრივი დაკავების დროდ - 2006 წლის 6 დეკემბრის 22:00 საათი. ე.ი. ფაქტობრივ დაკავებასა და პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების დროს შორის არის შეუსაბამობა. კერძოდ, თუ ვ.ქალდანი დააკავეს 2006 წლის 6 დეკემბრის 22:00 საათზე, შეუძლებელია იგი პოლიციაში მიყვანილი ყოფილიყო 2006 წლის 6 დეკემბრის 16:00 საათზე.

ვ.ქალდანის დაკავების დროსთან დაკავშირებით აღსანიშნავია დაზარალებული თ.ნიკურაძის ჩვენება, რომელიც მიუთითებს, რომ ვ.ქალდანი პოლიციამ დააკავა 2006 წლის 6 დეკემბერს დაახლოებით 11:00 საათისათვის, მას შემდეგ რაც პოლიციას მიუთითეს მასზე. ვ.ქალდანს ბოლნისის შს რაიგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი გამომძიებლის ა.ისიანის მიერ, ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ.ლაზარეშვილის თანხმობით, 2006 წლის 8 დეკემბერს 19:25 საათზე წარედგინა ბრალდება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით; 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

2007 წლის 3 იანვარს სახალხო დამცველმა ვ.ქალდანის უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით სათანადო მასალები გენერალურ პროკურატურაში გააგზავნა. გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, ვ.ქალდანი საპროცესო ნორმების დაცვით დააკავეს, კერძოდ: ვ.ქალდანი ნებაყოფლობით გაჰყვა პოლიციის მუშაკებს განყოფილებაში, სადაც მივიდნენ 16:00 საათზე, ხოლო 22:00 საათზე, ვ.ქალდანი დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით. ამდენად წინასწარი გამოძიება არ დაიწყო.

დაცვის მხარემ საქართველოს სახალხო დამცველს დამატებით წარუდგინა ვ.ქალდანის უკანონო დაკავების ფაქტის დამადასტურებელი სისხლის სამართლის საქმის მასალები. კერძოდ: ბოლნისის რაიონულ სასამართლოში პროკურორმა, ბ.პატარაიამ 2006 წლის 6 დეკემბერს შეიტანა შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ (გაიჩხრიკა ვ.ქალდანის საცხოვრებელი ბინა). შუამდგომლობაში მითითებულია, რომ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების - პირის ამოცნობის - დროს დაზარალებულებმა ნ.მგალობლიშვილმა და თ.ნიკურაძემ ამოიცნეს ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელიც აღმოჩნდა ქ.ბოლნისში გოგებაშვილის ქ#22-ში მცხოვრები ვ.ქალდანი. ამოცნობის შემდეგ გაიჩხრიკა ვ.ქალდანის საცხოვრებელი ბინა, საიდანაც საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ნივთი ვერ ამოიღეს. აღსანიშნავია, რომ

პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმის მიხედვით, დაზარალებული თ.ნიკურაძის მიერ ვ.ქალდანის ამოცნობა დაიწყო 2006 წლის 6 დეკემბერს 16:50 საათზე, ხოლო დაზარალებულ ნ.მგალობლიშვილის მიერ ვ.ქალდანის ამოცნობა დაიწყო 2006 წლის 6 დეკემბერს 17:50 საათზე. აქედან გამომდინარე, ვ.ქალდანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა ვერ ჩატარდებოდა 6 დეკემბერს 15 საათზე, როგორც ეს არის მითითებული პროკურორ ბ.პატარაიას შუამდგომლობაში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ, რაც თავისი დადგენილებით კანონიერად სცნო მოსამართლე გულნარა ლიპარტელიანმა.

ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ ვ.ქალდანი რეალურად დაკავებული იქნა 2006 წლის 6 დეკემბერს 15 საათამდე, რადგან პროკურორის შუამდგომლობაშიც და მოსამართლის დადგენილებაშიც მითითებულია, რომ ბინის ჩხრეკა ჩატარდა 6 დეკემბერს 15 საათზე, მას შემდეგ, რაც ბოლნისის შს განყოფილებაში დაზარალებულებმა ამოიცნეს ვ.ქალდანი. შესაბამისად, პროკურატურის წარმომადგენლის, რ.ჟღენტის მიერ მოყვანილი არგუმენტი, რომ ვ.ქალდანი რეალურად დაკავებული იქნა 2006 წლის 6 დეკემბერს 22 საათზე, სიმართლეს არ შეესაბამება.

ვ.ქალდანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნულ ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ სისხლის სამართლის საქმის მასალების დედნებსა და მათ ასლებს შორის არის განსხვავებები, კერძოდ: დედნებში გარკვეულ ადგილებში გადასწორებულია ვ.ქალდანის მოწმის სახით დაკითხვის დაწყებისა და დამთავრების დრო. ძლიერი მექანიკური ზემოქმედება და გაორმაგებული შტრიხები აღინიშნება დაზარალებულების თ.ნიკურაძისა და ნ.მგალობლიშვილის მიერ ვ.ქალდანის ამოცნობის ოქმებზეც. ასევე, გაორმაგებული შტრიხი გამოვლინდა რ.ლაზარეიშვილის მოწმის სახით დაკითხვის ოქმზეც. დაზარალებულ ნ.მგალობლიშვილის დაკითხვის ოქმში და ასევე მის მიერ კ.ხუგოიანის ამოცნობის ოქმზე ფრაზები მიწერილია შემდგომში, იგივე საწერი საშუალებით. დაზარალებულ თ.ნიკურაძის მიერ კ.ხუგოიანის ამოცნობის ოქმში არ არის დაფიქსირებული, თუ რომელი ადგილი დაიკავა ამოსაცნობმა პირმა კ.ხუგოიანმა. ასევე არაა აღნიშნული ლ.ლაზარეიშვილის დაკითხვის ოქმში, თუ რომელი ადგილი დაიკავა ვ.ქალდანმა ამოცნობისას და რომელ ნომერ პიროვნებაზე მიუთითა თ.ნიკურაძემ. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას.

აღნიშნული მასალების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველმა 2007 წლის 11 მაისს განმეორებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დასაწყებად ვ.ქალდანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების ფაქტზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმე ვ.ქალდანის მიმართ არსებითად განსახილველად წარმართულია სასამართლოში და საქართველოს სსსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, ყოველგვარი შუამდგომლობა და საჩივარი წარედგინება უშუალოდ სასამართლოს.

სსსკ-ის 261-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან დაიწყოთ წინასწარი გამოძიება“. ამავე კოდექსის 263-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირმა...“. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, „პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოთ სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გენერალურმა პროკურატურამ უფულვებელყო სსსკ-ის მოთხოვნები და არ დაიწყო წინასწარი გამოძიება ვ.ქალდანის მიმართ გამოძიებისა ორგანოს წარმომადგენლებისა და მოსამართლეთა მხრიდან კანონის უხეშ დარღვევებზე, რითაც არსებითად შეილახა მისი უფლებები.

3. ვარლამ ფხაკაძის საქმე

2007 წლის 26 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ი.კაპატაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლით და 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით. საქართველოს 114-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით. საქართველოს 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოხდა სასჯელთა საბოლოო შეკრება და საბოლოოდ ი.კაპატაძეს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ი.კაპატაძეს ბრალი ედებოდა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჩადენილ მკვლელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლით. ასევე, მან ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

ი.კაპატაძის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 19 იანვრიდან ი.კაპატაძე მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავე პირის დაკავების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მხოლოდ კანონით დადგენილი გარემოებების არსებობისას შეეძლო.

2006 წლის 06 დეკემბრის 8 საათიდან 7 დეკემბრის 8 საათამდე იმერეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს #31 ეკიპაჟის წევრი ი.კაპატაძე მის მეწყვილე ფ.მინაშვილთან ერთად „ფოლკცვაგენის“ მოდელის ავტომანქანით მათ სამოქმედო კვარტალში ზ.გამსახურდიას გამზირსა და სოფ.ქვიტირის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ასრულებდა სამსახურებრივ პატრულირებას. 2006 წლის 7 დეკემბერს, 4 საათსა და 30 წუთზე, საპატრულო პოლიციის ოპერატორისაგან მიღებული შეტყობინებით #24 ეკიპაჟის ადგილზე არყოფნის გამო, #31 ეკიპაჟის წევრებს დაევაღათ ქ.ქუთაისში ზ.ჭავჭავაძის ქ.#48-ში მდებარე ბინასთან გასვლა, საიდანაც მე-4 სადარბაზოში მცხოვრები მოქალაქე ი.მჟავანაძე იტყობინებოდა, რომ ამავე ბინის სარდაფებში ადგილი ჰქონდა ქურდობის ფაქტს.

დასახელებული ბინის პირველ სადარბაზოსთან მისვლისას პატრულ-ინსპექტორი დ.მინაშვილი გადმოვიდა ავტომანქანიდან და სვლა ფეხით განაგრძო, ხოლო ი.კაპატაძემ სამსახურებრივი ავტომანქანა ამავე ბინის მე-4 სადარბაზოს წინ შეაჩერა. ავტომანქანიდან გადმოსვლის შემდგომ ი.კაპატაძემ მის მფლობელობაში არსებული „მაკაროვის“ სისტემის #BT 0385 სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და ქურდობის ფაქტის გადამოწმების მიზნით ამავე

სადარბაზოში შევიდა, რა დროსაც მისგან მოულოდნელად, იქვე სარდაფში მყოფმა ვ.ფხაკაძემ გააღო ჩასასვლელი რკინის კარი და შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მიზნით პატრულ-ინსპექტორს შეეჯახა. ამ უკანასკნელს მარცხენა ხელიდან გაუვარდა ფანარი და იმავდროულად თავისუფალი მარცხენა ხელი ვ.ფხაკაძეს ქურთუკში ჩაავლო.

პატრულ-ინსპექტორი ი.კაპატაძე მოქმედებდა რა ვ.ფხაკაძის შეპყობის მიზნით, სათანადოდ ვერ შეაფასა სარდაფიდან მისი გაქცევის მცდელობა და ის ფაქტი, რომ ვ.ფხაკაძე იყო შეუიარაღებელი, ხოლო მისი მეწყვილე პატრულ-ინსპექტორი დ.მინაშვილი ამ დროისთვის მის დასახმარებლად მე-4 სადარბაზოს შესასვლელ ბაქანთან იდგა და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით ვ.ფხაკაძის მიმართულებით „მაკაროვის“ სისტემის სამსახურებრივი იარაღიდან სამჯერ გაისროლა.

პატრულ-ინსპექტორის ი.კაპატაძის მიერ განხორციელებული გასროლების შედეგად ვ.ფხაკაძემ მიიღო გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ბეჭის ზედა მესამედის არეში.

ი.კაპატაძემ სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული გასროლების შემდგომ მის მეწყვილე დ.მინაშვილთან და მათ დასახმარებლად მისულ #27 ეკიპაჟის წევრებთან ა.გაბრიჭიძესთან და კ.გაბუნიასთან ერთად, სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და მათი არაჯეროვანი შესრულების გამო დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ჩატარების მომენტშივე არ მოახდინა ეჭვმიტანილ ვ.ფხაკაძის სხეულზე გასროლების შედეგად მიყენებული შესაძლო დაზიანებების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. არამედ, „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნათა უგულვებელყოფით მხოლოდ დაკავებულის ვინაობის გამოკითხვითა და გამომძიებელთა ჯგუფის გამოძახებით შემოიფარგლა. ამ მიზეზით მის მიერ შემთხვევის ადგილზე განხორციელებული გასროლების შედეგად ვ.ფხაკაძის დაჭრისა და ძლიერი სისხლდენის ფაქტი აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ შემთხვევის ადგილზე მისული გამომძიებელთა ჯგუფის მიერ, რომელთაც დაუყოვნებლივ მოახდინეს ვ.ფხაკაძის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა.

ვინაიდან ი.კაპატაძის გულგრილი დამოკიდებულებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო ცეცხლნასროლი ჭრილობის შედეგად ილიის არტერიისა და ვენის გაგლეჯით დაზიანებული ვ.ფხაკაძე დაუყოვნებლივ არ იქნა გადაყვანილი სამედიცინო დაწესებულებაში, არ გაეწია დროული და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მიღებული ცეცხლნასროლი დაზიანებისა და საავადმყოფოში დროულად გადაყვანლობის გამო განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობის შედეგად გარდაიცვალა საავადმყოფოში მიყვანიდან 05 დღის შემდეგ - 2006 წლის 12 დეკემბერს.

აღნიშნულით ი.კაპატაძემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლითა და 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ი.კაპატაძის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლით სადაოა, რადგან, საბრალდებო დასკვნაში აღწერილ დანაშაულის ხერხში იკვეთება განზრახ მკვლელობის ნიშნები (სსკ-ის 108-ე მუხლი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.) კერძოდ, ი.კაპატაძის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლით მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პატრულ-ინსპექტორი ი.კაპატაძე არსებულ შემთხვევაში (ვ.ფხაკაძე იყო შეუიარაღებელი, ხოლო მისი მეწყვილე პატრულ-ინსპექტორი დ.მინაშვილი ამ დროისთვის მის დასახმარებლად მე-4 სადარბაზოს შესასვლელ ბაქანთან იდგა) ვ.ფხაკაძის მიმართულებით განახორციელებდა ერთ გასროლას. პატრულ-ინსპექტორმა ი.კაპატაძემ კი მოახდინა სამი გასროლა სამსახურებრივი იარაღიდან შეუიარაღებელი ვ.ფხაკაძის მიმართულებით, ახლო მანძილიდან, რაც მიუთითებს მის განზრახვაზე, მიეყენებინა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება ვ.ფხაკაძისათვის.

სსსკ-ის 450-ე მუხლის თანახმად „საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ“, შესაბამისად პროკურორი ვალდებული იყო აღნიშნული ქმედებისათვის მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება და არ გამოეჩინა ლოიალობა დამნაშავე პოლიციელის მიმართ.

4. გ.ლუნწკიდის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს 2006 წლის 18 აგვისტოს განცხადებით მიმართა მოქ. გ.ლუნწკიძემ სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შესახებ.

განცხადების თანახმად, მოქალაქეები გ.ლუნწკიძე, ლ.ალანია და მ.დოლიძე 2004 წლის 26 ოქტომბერს გაათავისუფლეს სამსახურიდან - სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ქვემო ქართლის ფილიალიდან. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელმა გაასაჩივრა ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში. 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით მოსამართლემ, თ.ჯალიაშვილმა მოსარჩელეთა სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის 2004 წლის 26 ოქტომბრის #208 ბრძანება ლ.ალანიას, მ.დოლიძის, გ.ლუნწკიდის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აღიარა უკანონოდ. სასამართლო გადაწყვეტილებით ლ.ალანია, გ.ლუნწკიძე, მ.დოლიძე უნდა აღდგენილიყვნენ თავიანთ ყოფილ თანამდებობებზე. მათვე უნდა ანაზღაურებოდათ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი. ამავე სასამართლოს 2005 წლის 25 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა გ.ლუნწკიდის, ლ.ალანიას, მ.დოლიძის განცხადებები იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა გ.ლუნწკიდის, ლ.ალანიას, მ.დოლიძის დაუყოვნებლივ აღდგენას წინანდელ თანამდებობებზე და 25 აპრილსვე გასცა სააღსრულებო ფურცელი.

2005 წლის 12 აპრილის ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაასაჩივრა. 2006 წლის 28 თებერვლის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ, ზ.კვარაცხელიამ სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ დირექტორის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. განჩინება სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატაში გაასაჩივრა. 2006 წლის 26 ივნისის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატამ სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საკასაციო საჩივარი დატოვა განუხილველად. 2006 წლის 26 ივნისს ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. 2006 წლის 30 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიერ.

2004 წლის 20 აგვისტოს ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორის დ.უაითის განცხადება გაკოტრების წარმოების გახსნის გადავადების შესახებ. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა გადავადდა 18 თვით.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „გაკოტრების განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით დროებით შეჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ხოლო იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიებების განხორციელება არ დაიშვება...“ აღნიშნული 18 თვე, რომლის გამწვანებაშიც შეჩერებული იყო იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიმართ გავიდა 2006 წლის 20 თებერვალს.

2006 წლის 20 თებერვალს სასამართლო აღმასრულებელმა „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ქვემო ქართლის ფილიალს გაუგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. 27 თებერვალს მოვალეს ჩაბარდა წინადადება ქონებრივი ნუსხის წარმოდგენის შესახებ, რაც მისი მხრიდან არ შესრულდა. აღნიშნულის შემდეგ, 2006 წლის პირველ მარტს სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ქვემო ქართლის ფილიალის მიერ აღმასრულებლის წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ გადაეგზავნა სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალურ დირექტორს - დ.უაითს. დ. უაითის 2006 წლის 25 აპრილის წერილით ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 აპრილის #2/9682-06 განჩინების საფუძველზე სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა გადავადდა 18 თვის ვადით და მის მიმართ იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება დროებით შეჩერდა.

იმის მიუხედავად, რომ 2006 წლის 20 თებერვლიდან 2006 წლის 7 აპრილამდე სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიმართ არ მოქმედებდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი, გ.ღუნწვიძე, ლ.ალანია და მ.დოლიძე არ აღადგინეს სამსახურში და არც გაცდენილი დროის ხელფასი აუნაზღაურეს.

საქმის შესწავლის შედეგად, სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ხელმძღვანელი პირების ქმედებებში იკვეთებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. საქართველოს სახალხო დამცველმა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაუგზავნა. საქართველოს გენერალურ პროკურატურას საქართველოს სახალხო დამცველისათვის აღნიშნული მასალების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არ უცნობებია.

5. მერაბ ლომიძის საქმე

სახალხო დამცველის თანამშრომლებს მონიტორინგის განხორციელებისას დაკავებულმა მერაბ ლომიძემ განუცხადა, რომ მცხეთა-თიანეთის პოლიციაში მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. კერძოდ, მას პოლიციის თანამშრომლები აიძულებდნენ ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი ყაჩაღობის აღიარებას.

ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ სახალხო დამცველმა მასალები გადაუგზავნა საქართველოს შსს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს მ.ჩიკვილაძეს. მან სახალხო დამცველს გამოუგზავნა მცხეთა-თიანეთის საოლქო პროკურატურის წერილის ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ მცხეთა-თიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი, მიხეილ შაყულაშვილი პირადად შეხვდა მერაბ ლომიძეს და გასაუბრების ფორმით გადაამოწმა სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შედგენილ ოქმში მითითებული კანონსაწინააღმდეგო ფაქტი. „ზეპირი გასაუბრების“ გარდა, მას არ დაუწყია წინასწარი გამოძიება და შესაბამისად, არ უწარმოებია პროცესუალური მოქმედებები.

სახალხო დამცველმა 2007 წლის აგვისტოში ე.წ. „გასაუბრებასთან“ დაკავშირებით წერილი გაუგზავნა საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსსა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს.

სახალხო დამცველს მხოლოდ ის ეცნობა, რომ პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ კანონშესაბამისი იყო.

6. მ.გოგოლაშვილის საქმე

შს სამინისტროს ინტერნეტგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2007 წლის 22 აპრილს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის, სამცხე ჯავახეთის მთავარი სამმართველოს პატრულ ინსპექტორებმა ქალაქ გორში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის გააჩერეს ავტომანქანა, რომელსაც არაფხიზელ მდგონარეობაში მამუკა გოგოლაშვილი მართავდა. იგი ნარკოლოგიურ დისპანსერში გადაიყვანეს. საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში მამუკა გოგოლაშვილმა მოულოდნელად ამოიღო „TT“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და თვითდაზიანების მიზნით სახის არეში მოახდინა გასროლა, რის შედეგადაც აღნიშნული პიროვნება ქალაქ გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 2007 წლის 22 აპრილს შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა).

2007წ. 8 მაისს მ.გოგოლაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ.რევაზიშვილმა მიმართა შიდა ქართლის საოლქო პროკურორს და მოითხოვა მ.გოგოლაშვილის დაზარალებულად ცნობა. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ მამუკა გოგოლაშვილთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შეუძლებელი იყო. ამასთან, გამოძიების იმ ეტაპზე შეკრებილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი.

სახალხო დამცველმა მიმართვა გაუგზავნა შიდა ქართლის საოლქო პროკურორს, ემსჯელა მ.გოგოლაშვილის დაზარალებულად ცნობის საკითხზე. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი მ.გოგოლაშვილზე სხვისი მხრიდან ზიანის მიყენების დანაშაულებრიობის ან მართლწინააღმდეგობის დასადგენად, რის გამოც იმ ეტაპზე იგი არ იყო ცნობილი დაზარალებულად.

7. გ.კუტალაძის საქმე

2007 წლის 2 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის #5 საპრობილეში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მსჯავრდებულებს - გელა კუტალაძესა და დავით თავაძეს. ქსნის #7 დაწესებულებაში ახსნა-განმარტება ჩამოერთვათ მსჯავრდებულებს: ე.მჭედლიანს, გრ.გაგუასა და ვ.ჯულაყიძეს, რომლებმაც დაადასტურეს მსჯავრდებულ, **გ.კუტალაძის** ცემის ფაქტი.

სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა სათანადო მასალები შემდგომი რეაგირებისათვის მსჯავრდებულ **გ.კუტალაძის** ცემის ფაქტთან დაკავშირებით.

14 მაისს მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურიდან გვეცნობა, რომ 3 აპრილს დაიწყო გამოძიება ქსნის #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულ გელა კუტალაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და რომ მსჯავრდებული **გ.კუტალაძე** დაიკითხა **მოწმის** სახით.

23 მაისს სახალხო დამცველმა მიმართა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას ემსჯელათ მსჯავრდებულ **გ.კუტალაძის** დაზარალებულად ცნობის საკითხზე, რაც დააკმაყოფილეს.

დანართი #3

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები

1. ალ.ხოსიტაშვილის საქმე

2007 წლის 13 აპრილს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს #6 განყოფილების თანამშრომლებმა სოფელ დილოში დააკავეს ალექსანდრე ხოსიტაშვილი. დაკავების დროს, მიუხედავად იმისა, რომ ა.ხოსიტაშვილი წინააღმდეგობას არ უწევდა, პოლიციის მუშაკებმა ის სასტიკად ცემეს. ცემის შედეგად ა.ხოსიტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა (მარცხენა წვივის მოტეხილობა) და იგი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გადაიყვანეს „ალ.ლუდუშაურის“ სახელობის კლინიკაში.

კლინიკიდან გაწერის შემდეგ ა.ხოსიტაშვილი გადაიყვანეს ვაკე-საბურთალოს რაიონის #6 შს განყოფილებაში. 14 აპრილს კი იგი კვლავ დააბრუნეს „ალ.ლუდუშაურის“ სახელობის კლინიკაში. დაისვა შემდეგი დიაგნოზი: ვარიკოზული სისხლდენა საყლაპავი მილიდან, ჰემოგრაფიული შოკი. პაციენტს ასევე აღენიშნებოდა ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „C“, ძლიერი სისხლდენით. ალ.ხოსიტაშვილი გარდაიცვალა 15 აპრილს.

2007 წლის 16 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სახალხო დამცველმა განცხადება გააკეთა ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. პირველად სახალხო დამცველის თანამშრომლებმა დაკითხეს საქმესთან დაკავშირებული მოწმეები, რომლებიც მიუთითებდნენ პოლიციელების მხრიდან ალ.ხოსიტაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. ეს მოწმეები გამოძიებას ხოსიტაშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგაც არ ჰყავდა დაკითხული. მეტიც, შსს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა მოვლენებს გაუსწრო და საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიციელებს ბრალი არ მიუძღვით ზემოაღნიშნულში და ხოსიტაშვილს პოლიციელებთან შეხვედრამდე ჰქონდა დაზიანებები.

2007 წლის 16 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სახალხო დამცველმა მეტად მწვავე განცხადება გააკეთა ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველმა 23 აპრილს გენერალურ პროკურატურაში გააგზავნა სათანადო წერილობითი მასალა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ალ.ხოსიტაშვილის მიმართ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით და გამოითხოვა ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.

შსს ადმინისტრაციის უფროსმა მოვლენებს გაუსწრო და საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიციელებს ბრალი არ მიუძღვით ზემოაღნიშნულში და ხოსიტაშვილს პოლიციელებთან შეხვედრამდე ჰქონდა დაზიანებები.

გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2007 წლის 18 აპრილს ბრალდებულის სახით დააკავეს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლები ლ.გელბახიანი, მ.ჩადუნელი და გ.სახაბერიძე. ამავე დღეს ლ.გელბახიანს და მ.ჩადუნელს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე (წამება) მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ პუნქტებით და 341-ე (სამსახურეობრივი სიყალბე) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. გ.სახაბერიძეს წარედგინა ბრალდება სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.¹⁹ აპრილს ეჭვმიტანილის სახით დააკავეს ვაკე-საბურთალოს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომელი გ.კოკოლიშვილი, 20 აპრილს წარედგინა ბრალდება სსკ-ის 144¹-ე (წამება) მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

2007 წლის 19 აპრილს ლ.გელბახიანს, მ.ჩადუნელსა და გ.სახაბერიძეს, ხოლო გ.კოკოლიშვილს ამავე წლის 21 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება. ამჟამად საქმე გადაცემულია სასამართლოში.

2. ზაზა ლექვთაძის საქმე

2007 წლის 2 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს ახსნა-განმარტება მისცა ქ.ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფმა ზაზა ლექვთაძემ. მისი განმარტებით, 2007 წლის 1 მაისს, მეგობარ ილია ხაინდრავასთან ერთად იმყოფებოდა მის საცხოვრებელ სახლში (წყალტუბოს რაიონი, სოფელი გვიშტიბი). დაახლოებით საღამოს 9:30 სთ-ზე საცხოვრებელ სახლში შევიდა პოლიციის ფორმაში ჩაცმული დაახლოებით 5 მამაკაცი. პოლიციის თანამშრომლებმა სათანადო დოკუმენტაციის გარეშე ჩაატარეს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს ასაფეთქებელი ნივთიერება (ე.წ. კაფსულა). ზ.ლექვთაძე განმარტავს, რომ ჩხრეკის ჩატარების შემდეგ იძულებით მოაწერა ხელი მისთვის უცნობი შინაარსის დოკუმენტს. ამის შემდეგ ზ.ლექვთაძე და ილია ხაინდრავა წყალტუბოს შს სამხარეო სამმართველოში გადაიყვანეს.

ზ.ლექვთაძის განმარტებით, წყალტუბოს შს სამხარეო სამმართველოში მისვლის შემდეგ უთხრეს, რომ სოფელ გვიშტიბში მაღაზიის ძარცვა ედებოდა ბრალად. მისივე სიტყვებით, არჩადენილი დანაშაულის აღიარების მიზნით წყალტუბოს შს სამმართველოში მასზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა განხორციელდა. ზ.ლექვთაძე დეტალურად აღწერდა მასზე განხორციელებული ზეწოლის ფორმებსა და ხანგრძლივობას.

ზ.ლექვთაძე მიუთითებდა, რომ არც დაკავებისას და არც დაკავების შემდეგ მისთვის უფლებები არ განუმარტავთ, ასევე არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა ადვოკატის მოყვანის შესახებ. დაკავებული აღნიშნავდა, რომ ჩვენება პოლიციელ გ.ცანავას კარნახით დაწერა.

2007 წლის 6 ივნისს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა სათანადო მასალები შემდგომი რეაგირებისათვის. მიღებული პასუხის თანახმად, 2007 წლის 26 ივნისს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სს #4107902 საქმეზე სსკ-ის 144¹-ე მუხლის (წამება) მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

3. ხუხუას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ბრალდებულების, ვახტანგ ზარანდიასა და სოსო ხუხუას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა კობა კვარაცხელიამ. კ.კვარაცხელია აღნიშნავდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ დაკავების დროს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის გარდა, ადვოკატის მითითებით, ექვმიტანილთათვის ბრალის წაყენების დროს ოთახში იმყოფებოდა პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მას გაცნობოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ წაყენებული ბრალდების შინაარსს. ადვოკატმა დაკავებულთათვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ მიმართა გამომძიებელს, თუმცა მისგან პასუხი არ მიუღია.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა 2007 წლის 14 მაისს ახნა-განმარტებები ჩამოართვეს ზუგდიდის №4 საპრობილის პატიმრებს, ვახტანგ ზარანდიასა და სოსო ხუხუას.

სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ვახტანგ ზარანდია მიუთითებდა, რომ 2007 წლის 9 მაისს საღამოს 22 საათისთვის კუთვნილი ავტომანქანით მეზობელ სოსო ხუხუასთან ერთად მოძრაობდა ზუგდიდი-ჯიხაშკარის მიმართულებით. ამ დროს მათ შეეჯახა ავტომობილი, რის გამოც საჭე ვერ დაიმორჩილა და მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს გადავიდა. ვ.ზარანდიას განმარტებით, იგი იარაღის მუქარით გადმოიყვანეს ავტომანქანიდან (როგორც შემდეგ გაირკვა, პოლიციის წარმომადგენლებმა), რის შემდეგაც მასზე ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა. მისივე თქმით, ცემის შემდეგ, პოლიციელებმა ავტომანქანაში ჩადეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდი და ხელყუმბარა. ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ ვ.ზარანდიას ადგილზევე გააცნეს მისი (სავარაუდოდ, ექვმიტანილის) უფლებები და ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. ავტომობილის ჩხრეკის შემდეგ ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდი და ხელყუმბარა.

ანალოგიურ ახსნა-განმარტება მისცა სოსო ხუხუამაც. იგი განმარტავდა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა (მათ შორის იყო ვინმე „კონჭი“) ავტომანქანიდან იძულებით გადმოიყვანეს და მასზე ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება განახორციელეს. ვ.ზარანდიას მსგავსად ს.ხუხუას ადგილზე ჩაუტარდა ჩხრეკა. რაც შეეხება ავტომანქანას, ს.ხუხუა ამბობს, რომ ამოღებული მჭიდი და ხელყუმბარა ავტომანქანაში უშუალოდ პოლიციელებმა მოათავსეს.

ვ.ზარანდია და ს.ხუხუა სხვადასხვა მანქანით სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, სადაც მათი ექვმიტანილის სტატუსით დაკითხვა განხორციელდა. დაკავებულის მითითებით, მან მთელი ღამე გამომძიებლის ოთახში გაატარა. მომდევნო დღის 22 საათზე მასთან ბრალის წაყენების მიზნით გამომძიებელი დ.წიწავა და ადვოკატი კ.კვარაცხელია გამოცხადდნენ. დაკავებულები მიუთითებენ, რომ პოლიციის წარმომადგენლებმა

მათ წაყენებული ბრალდების შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა არ მისცეს და ამ უკანასკნელის გაცნობა მხოლოდ სასამართლოში გახდა შესაძლებელი.

ორივე დაკავებული აღნიშნავდა დაკავების მომენტში გაგონილ ფრაზას: „ზვიადისტები ყოფილან, ურტყით...“

2007 წლის 11 მაისს ბრალდებულები ვახტანგ ზარანდია და სოსო ხუხუა ზუგდიდის №1 დროებით მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩატარებული გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით ვახტანგ ზარანდიას მარჯვენა თვალის შელურჯება და მარცხენა ხელზე შემუპება აღენიშნებოდა. სოსო ხუხუას კი - მარცხენა თვალზე შელურჯება და მარცხენა ხელზე ნაკაწრი. არცერთ შემთხვევაში მითითებული არ იყოს, თუ როდის და რა მიზეზითაა მიიღეს პირებმა აღნიშნული დაზიანებები, ამავე ოქმების მიხედვით ვ.ზარანდია და ს.ხუხუა ეჭვმიტანილნი არიან სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დადგენილებით ვ.ზარანდიასა და ს.ხუხუას 2 თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, რის შემდეგაც ისინი ზუგდიდის №4 საპყრობილეში შეიყვანეს.

სახალხო დამცველმა 2007 წლის 6 ივნისს საქართველოს გენერალურ პროკურატურას შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო მასალები გაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში 4 ივნისს დაიწყო წინასწარი გამოძიება სს #5307858 საქმეზე ვ.ზარანდიასა და ს.ხუხუას მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. მ.ფორჩხიძის საქმე

2007 წლის 16 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს ახსნა-განმარტება მისცა ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების პატიმარმა მირზა ფორჩხიძემ. მას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში ედებოდა.

მ.ფორჩხიძის განმარტებით, 2007 წლის 31 მარტს დახლოებით ღამის 3 საათზე მეზობელთან და ბიძაშვილთან ერთად მისი საცხოვრებელი ბინის (მდებარე ქ.ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა #217) წინ იმყოფებოდა. ამ დროს მასთან მივიდა პოლიციის თანამშრომელი რამაზ ჩხობაძე (მეტსახელად „ყბა“) და გაყოლა მოსთხოვა. ვაზ 2106-ის მარკის თეთრი ფერის ავტომობილით მ.ფორჩხიძე ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილებაში მიიყვანეს.

ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის #4 განყოფილებაში მიყვანის შემდეგ მ.ფორჩხიძე მე-2 სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს, სადაც ყაჩაღური თავდასხმის ჩადენის აღიარების მიზნით ამ უკანასკნელზე ფიზიკური და სიტყვიერი ზეწოლა განხორციელდა. ახსნა-განმარტებაში პატიმარი დეტალურად საუბრობს მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფორმებსა და ინტენსივობაზე. მისი განმარტებით, ცემდნენ გვერდებსა და მუცლის არეში, ხოლო ცემაში პოლიციის თანამშრომლების გარდა დაზარალებულის მეუღლეც მონაწილეობდა. როგორც მ.ფორჩხიძე განმარტავს, მას თავზე რამდენჯერმე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი, რის გამოც მას ჟანგბადის მიწოდება შეუწყდა და დაკარგა გონი. მას წყლით ასულიერებდნენ. ფორჩხიძე აცხადებს, რომ ცემა-წამებაში მონაწილეობდა დაახლოებით 8 პოლიციელი, რომელთაგან განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ განყოფილების უფროსი დავით ჯიბლაძე და ამავე განყოფილების თანამშრომელი რამაზ ჩხობაძე. დანარჩენების ვინაობა მისთვის უცნობი იყო.

მეორე დღით მ.ფორჩხიძე დაზარალებულს შეახვედრეს. პატიმრის განმარტებით, ამოცნობას დაზარალებულის გარდა პროკურორი და მისთვის უცნობი კიდევ ერთი მამაკაცი ესწრებოდნენ. დ.ჯიბლაძისა და რამაზ ჩხობაძის მუქარის გავლენით, მ.ფორჩხიძეს, პროკურორის შეკითხვის მიუხედავად, მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ არაფერი უთქვამს. მირზა ფორჩხიძე განმარტავს, რომ მას განყოფილებაში, მისი თხოვნის მიუხედავად, არ მისცეს ახლობელთან დაკავშირების საშუალება, უფლებები კი მხოლოდ მეორე დღეს განუმარტეს.

ეჭვმიტანილის დაკავების ოქმის მონაცემების მიხედვით, მირზა ფორჩხიძე 2007 წლის 2 აპრილს, 06:30სთ-ზე, ქუთაისის პოლიციის #4 განყოფილების გამომძიებელმა, ელგუჯა ჯულაყიძემ დააკავა. დაკავებული დროებითი მოთავსების იზოლატორში მხოლოდ 3 აპრილს 15:30სთ-ზე გადაიყვანეს. ანუ, მან განყოფილებაში დაჰყო დაახლოებით 32 საათი (აქედან უმატესი ნაწილი განყოფილების სამორიგეო ნაწილში არსებულ გაუქმებულ საკანში). ანგარიშსწორების შიშით მას ცემის შესახებ დროებითი მოთავსების იზოლატორში დათვალისწინებისას არ განუცხადებია.

გარეგნული დათვარიელების ოქმების მონაცემით ფორჩხიძეს მარცხენა თვალის მიდამოში აღენიშნებოდა მცირე ზომის ნაკაწრი, რაც მისი განმარტებით მიიღო დაკავების მომენტში.

სახალხო დამცველმა 2007 წლის 7 ივნისს საქართველოს გენერალურ პროკურატურას შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო მასალები გაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, 2 ივლისს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სს #6907908 საქმეზე, მირზა ფორჩხიძის წამების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, ე და ზ პუნქტებით.

5. ზაალ მამასახლისის საქმე.

2007 წლის 28 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ ქ.ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებულეებში მყოფ პატიმარს ზაალ მამასახლისს, რომელმაც საუბრისას აღნიშნა, რომ 2007 წლის 22 მაისს, დაახლოებით 1 საათზე იმყოფებოდა ქ.ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე #157-ში მდებარე სასურსათო მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე. მის მახლობლად იყვნენ ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებსაც თვითონ არ იცნობდა. ჩანდა, რომ მთვრალეები იყვნენ და ერთმანეთში ხმამაღლა საუბრობდნენ. როგორც ზაალ მამასახლმა განმარტა, მათთან მივიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და მოსთხოვეს სახლებში წასვლა. აღნიშნული მოთხოვნა ზაალ მამასახლისმა გააპროტესტა, რასაც მას და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის ურთიერთშელაპარაკება მოჰყვა. პოლიციელებმა ზაალ მამასახლისი დააკავეს. მან წინააღმდეგობა გაუწია, რადგანაც პოლიციაში ცემის ემინოდა. ზ.მამასახლისი აღნიშნავს, რომ ის ცემეს როგორც დაკავებისას, ასევე საპატრულო პოლიციის სამმართველოში მიყვანის შემდეგ. ზ.მამასახლისი არ საუბრობს მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკური ზეწოლის დეტალებზე, ასევე არ ასახელებს მისი ცემის მონაწილეებს.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ზ.მამასახლისმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს მიაწოდა ზეპირი ფორმით. მან კატეგორიული უარი განაცხადა წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემაზე და რაიმე ფორმით თანამშრომლობაზე, რაზეც სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ შედგა ოქმი.

ექვმიტანილის დაკავების ოქმის მიხედვით, 2007 წლის 22 მაისს ზაალ მამასახლისი დააკავა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს I სახაზო საპატრულო სამმართველოს პატრულ ინსპექტორმა, შოთა შოთაძემ. იგი ექვმიტანილი იყო საქართველოს სსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში ბევრი შეუსაბამობა აღმოჩნდა. კერძოდ, დაკავების ოქმის მიხედვით ზაალ მამასახლისის დაკავების საფუძვლად მითითებულია, რომ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას. ფაქტობრივი დაკავების ზუსტ დროდ მითითებულია 2007 წლის 22 მაისის 03:25 სთ. დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოებში მიყვანის დროდ მითითებულია 22 მაისის 03:20სთ. მას დაკავებიდან სამმართველოში მიყვანამდე სტატუსი არ გააჩნდა (ანუ მას ფაქტობრივად შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება იმ წუთიდან, როცა მას ხელბორკილები დაადეს და ჩასვეს საპატრულო პოლიციის ავტომობილში). საინტერესოა, რომ ოქმში ფაქტობრივი დაკავების ზუსტ ადგილად მითითებულია ქ.ქუთაისის რუსთაველის ქ#157 (სასურსათო მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია).

ოქმში მითითებულია ოქმის შედგენის დრო და ადგილი, კერძოდ, შედგენის დროდ მითითებულია 22 მაისის 03:30 სთ, შევსების ადგილად - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო, ხოლო იმავე ოქმის პუნქტში - თუ

სად მიიყვანეს დაკავებული, მითითებულია, რომ დაკავებული პირი მიიყვანეს ქ.ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში (03:20სთ). იზოლატორის ოქმისა და იზოლატორიდან გამოთხოვილი მონაცემების მიხედვით დაკავებული დმი-ში მოთავსდა 2007 წლის 22 მაისს 06:30 საათზე. რეალურად დაკავებული მიიყვანეს საპატრულო პოლიციის სამმართველოში, სადაც მასზე განხორციელდა ზეწოლა. ამის შემდეგ იგი გადაჰყავთ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ეს ხდება 06:30 საათზე, როგორც იზოლატორის ოქმშია მითითებული).

დაკავებული პირის მდგომარეობა დაკავების მომენტში - მითითებულია, რომ „სახის არეში აღენიშნება დაზიანება. მარჯვენა მხარეს აქვს შესიება და სისხლჩაქცევა, მარჯვენა თვალის ქვემოთ აღენიშნება წითელი ლაქა). ხოლო შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალერების ოქმის მონაცემების მიხედვით, მას „მთელ ზურგზე, ისევე როგორც ორივე ხელის მაჯაზე აღენიშნება ნაკაწრები, ორივე თვალის თვალბუდეზე - შემუპება, ჩალურჯება, ნაკაწრი, ასევე ნაკაწრი აქვს ცხვირზე, მარჯვენა ხელის იდაყვზე აქვს ფუფხით დაფარული ნაკაწრი“. აქვეა მითითებული, რომ დაკავებულმა აღნიშნული დაზიანებები მიიღო დაკავებისას და დაკავების შემდეგ, თუმცა მას პრეტენზია არ გააჩნია. ქუთაისის #2 საპრობილის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ოქმის მიხედვით კი: „მუხლის არეში მოწითალო ფერის ფუფხი ზომით 3x2-თან, თვალბუდის არეში ორვე მხარეს მოლურჯო მოყვითალო ფერის სისხლჩაქცევები ზომით 3x1-ზე, 4x2-თან; ზურგზე, გულმკერდის არეში, მრავლობითი მოყვითალო ფერის სისხლჩაქცევები, მარცხენა თვალბუდის არეში მოწითალო ფერის ექსკორაციები ზომით 2x5“.

2007 წლის 24 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით ზაალ მამასახლის ალკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

2007 წლის 22 მაისს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით). ზ.მამასახლის კონკრეტულ პირებზე არც გამოძიებისათვის მიუწოდებია ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2007 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, 22 მაისს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს #8807833 საქმეზე, ზაალ მამასახლისის მიმართ პოლიციის თანამშრომელთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის „ბ“ პუნქტით.

6. გოდერძი სანიკიძის საქმე

2007 წლის 16 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს ახსნა-განმარტება მისცა ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების პატიმარმა გოდერძი სანიკიძემ. გ.სანიკიძის განმარტებით, იგი 10 მაისს იმყოფებოდა ქ.თბილისში, სადაც მობილური ტელეფონით დაუკავშირდა მეუღლე და უთხრა, რომ დაბარებული იყო იმერეთის შს სამხარეო მთავარ სამმართველოში. გ.სანიკიძე იმავე დღეს გამოცხადდა იმერეთის შს სამხარეო მთავარ სამმართველოში, სადაც იგი დააკავეს. ის ეჭვმიტანილია საქართველოს სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

გ.სანიკიძის განმარტებით, სამხარეო სამმართველოში მისვლის შემდეგ მას განუმარტეს, რომ ვანის რაიონის სოფელ სალომინაოში ერთ-ერთი მცხოვრების დაკრძალვაზე მობილური ტელეფონის მოპარვაში იყო ეჭვმიტანილი. მას შემდეგ, რაც გ.სანიკიძემ მობილური ტელეფონის მოპარვა უარყო, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მასზე ფიზიკური ზემოქმედება განხორციელდა. პატიმარი ამბობდა, რომ ცემა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, ამ დროს იგი ორ პოლიციელს გაკავებული ჰყავდა, ხოლო სხვები ცემდნენ თავსა და გვერდებში. დროებით მოთავსების იზოლატორში გადაყვანისას მან განაცხადა, რომ ნაცემი იყო, ხოლო მოგვიანებით შეუძლოდ გახდა, რის გამოც რამდენჯერმე სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო.

დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმში აღნიშნულია, რომ სანიკიძეს პრეტენზიები გააჩნია პოლიციასთან. მისი განმარტებით, დაკავებისას მას ერთერთმა პოლიციელმა მუშტი ჩაარტყა თავში, რომლის ვინაობაც არ იცოდა, თუმცა ამოცნობა შეეძლო.

2007 წლის 7 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გენერალურ პროკურატურაში გაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, 12 მაისს ბრალდებულ გ.სანიკიძეს პროკურორისა და ადვოკატების თანდასწრებით ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა, ხოლო 18 მაისს იგი შეამოწმა ექიმ-ნევროპათოლოგმა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გ.სანიკიძე პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო, ასევე არ დასტურდებოდა მის მიერ მითითებული ცემა-წამების გარემოებები.

გიორგი გაბიძაშვილის, ივანე ლორთქიფანიძის, ომარ კიკვიძისა და ავთანდილ ვაჩიბერაძის საქმე

2007 წლის 2 ივლისს დააკავეს 24 პირი. ბრალდებულის დაკავების ოქმების მონაცემების მიხედვით, პირების დაკავება შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულ სამმართველოში მოხდა, თუმცა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს, რომ დასახელებულ პირებს ხელბორკილი უშუალოდ იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობიდან გაყვანამდე დაადეს და ისე მოათავსეს სპეციალურ მიკრო ავტობუსში. ამავე კადრებიდან ჩანს, თუ როგორ გააცვენეს მათ ბრალდების არსი და შესაბამისი უფლებები. ბრალდებულის იძულებით მიყვანის შესახებ დადგენილებებზე ოპერატიული თანამშრომლების მიერ გაკეთებულია შენიშვნა, რომ პირები აღმოაჩინეს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში (დაკავებულები: გიორგი გაბიძაშვილი და ივანე ლორთქიფანიძე მიუთითებდნენ, რომ ქ.თბილისში დააკავეს და ისინი ჩაიყვანეს ქუთაისში), საიდანაც მოხდა მათი შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულ სამმართველოში მიყვანა. დაკავებულთა მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემული ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ ამ ადგილამდე ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით მივიდნენ ან მიიყვანეს. თუმცა, სახალხო დამცველის რწმუნებულთათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში მხოლოდ ო.კიკვიძე და ა.ვაჩიბერაძე აღნიშნავენ, რომ საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მათი ფაქტობრივი დაკავება მოხდა 2007 წლის 2 ივლისს დაახლოებით 08:30 საათზე.

ომარ კიკვიძის (ქუთაისის მერის მოადგილე) ახსნა-განმარტების თანახმად, 2 ივლისს დაახლოებით 08:30 სთ-ზე საკუთარი ავტომანქანით გამოვიდა საცხოვრებელი სახლიდან. რუსთაველის ქუჩაზე გზა გადაუკეტა თეთრი ფერის ავტომობილმა. მანქანიდან გადმოსულმა პიროვნებამ განუმარტა, რომ იყო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელი და გაყოლა სთხოვა. დაახლოებით 08:50 სთ-დან 13:00 საათამდე ო.კიკვიძე იმყოფებოდა ავტომანქანაში, რომელიც ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მას ჩამორთმეული ჰქონდა მობილური ტელეფონი. შეკითხვაზე, თუ რატომ მოძრაობდნენ გაუგებარი მიმართულებით, ო.კიკვიძეს უპასუხეს, რომ ელოდებოდნენ ხელმძღვანელობის მითითებას. 13:30 საათზე მანქანაში მყოფმა პირებმა სავარაუდოდ, მიიღეს მითითება, რის შემდეგაც ო.კიკვიძე ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში უკანა შესასვლელიდან შეიყვანეს.

ავთანდილ ვაჩიბერაძის (ინდ.მეწარმე) ახსნა-განმარტების თანახმად, 2007 წლის 30 ივნისს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს გამომძიებელმა ოლეგ ვარლამიშვილმა 2 ივლისს ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში გამოცხადება თხოვა. ა.ვაჩიბერაძე დაახლოებით 08:30 საათზე გამოცხადდა, ის ჯერ გამომძიებელს შეხვდა, ხოლო შემდეგ შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს. (ა.ვაჩიბერაძის მითითებით ოთახში მან დაახლოებით 2-3 საათი გაატარა, აქვე იმყოფებოდნენ სხვა

ინდ.მეწარმეები და დეპარტამენტის ერთი თანამშრომელი. მოგვიანებით შემოიყვანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებიც. როგორც ა.ვაჩიბერაძე ამბობს, არცერთი მათგანისთვის არ უთქვამთ, რომ დაკავებული იყო, თუმცა ოთახის დატოვება აუკრძალეს.) მოგვიანებით ოთახში მყოფი ყველა პირი ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში უკანა შესასვლელიდან შეიყვანეს.

რადგან, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი იკვეთებოდა, 11 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა შესაბამისი მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გაუგზავნა. გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი მასალები გადაწყვეტილების მისაღებად დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას გაეგზავნა. აღნიშნული უწყებიდან სახალხო დამცველს პასუხი არ მიუღია.

მილდიანებისა და ხორგუანის საქმე

2007 წლის 18 თებერვალს, 10.30 საათზე შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტმა ჩაატარა სპეცოპარაცია და მესტიის რაიონის სოფელ ჯორკვალთან დააკავა სამი პიროვნება, რომლებიც სამარშრუტო „ვილისში“ ისხდნენ. დაკავების საფუძველი იყო ზუსტად 10 საათით ადრე, 18 თებერვალს 00.30 საათზე სოდის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომ მესტიის რაიონში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომლის წევრები ხვიჩა მილდიანი, გოჩა მილდიანი და ლაშა ხორგუანი არიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, ხსენებული პირები მიმდინარე წლის 18 თებერვალს, გამთენიისას აპირებდნენ მესტიის რაიონიდან ზუგდიდის რაიონში გადასვლას, ამასთან ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ნარკოტიკული საშუალებები.

საქმის მასალების თანახმად, ოპერატიული ინფორმაცია დადასტურდა – სამივე პირი – საქართველოს თავდაცვის პირველი ქვეითი ბრიგადის ყუმბარმტყორცნელი, კაპრალი, 20 წლის ხვიჩა მილდიანი, მისი ძმა, 23 წლის გოჩა მილდიანი, რომელიც სოფლის მეურნეობითაა დაკავებული და 22 წლის ლაშა ხორგუანი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, ხსენებული ავტომანქანით მგზავრობდა. სამივეს აღმოაჩნდა საკმარისი სამხილი, რაც განამტკიცებდა ეჭვს, რომ ისინი ნამდვილად იყვნენ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები და კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროს წევრები. კერძოდ:

სამივე მათგანი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ, რაც დაადასტურა ექსპერტიზამ.

ხვიჩა მილდიანს ჩანთაში აღმოაჩნდა 3 ცალი ხელყუმბარა, ხოლო ჯიბეში 5 აბი სუბოტექსი; გოჩა მილდიანს და ლაშა ხორგუანს სამ-სამი აბი სუბოტექსი. თანაც, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა, პოლიციელების მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების თანახმად, დაკავებისას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და ცდილობდნენ გაქცევას. შესაბამისად, ლ.ხორგუანს ჰქონდა დაზიანებები სახეზე, რაც დაფიქსირებულია მოდულის შენობაში მისი შეყვანის დროს.

დაკავებულებს ადვოკატები არ აუყვანიათ, მათ გამოძიებამ აუყვანა სახაზინო ადვოკატები. მათ ბრალი ედებოდათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, კერძოდ: გოჩა მილდიანს და ლაშა ხორგუანს 260-ე მუხლის მეორე ნაწილი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება და პოლიციის მუშაკისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო ხვიჩა მილდიანს, დამატებით, საბრძოლო მასალის უკანონო გადატანა. შესაბამისად, გოჩა მილდიანისა და ლაშა ხორგუანისთვის წარდგენილი ბრალდებისთვის სასჯელი 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო ხვიჩა მილდიანის შემთხვევაში – 25 წელს.

თანაც, დანაშაული ჩადენილია 2007 წლის თებერვალში, როცა სისხლის სამართლის კოდექსი უკვე მხოლოდ სასჯელთა შეჯამებას ითვალისწინებს.

2007 წლის 19 თებერვალს სამივე დაკავებული დაიკითხა ბრალდებულის სახით, რა დროსაც არც ერთმა მათგანმა თავი დამნაშავედ არ ცნო და ყველამ დუმილის უფლება გამოიყენა.

იმავე დღეს სამივე დაკავებულს ჩაუტარდა ლაბორატორიული გამოკვლევა და დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველობა. 2007 წლის 20 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გ.მილდიანი, ხ.მილდიანი და ლ.ხორგუანი ცნობილ იქნენ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად და თითოეულს ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

დაკავებულებთა მდგომარეობას ამძიმებდა, რომ ისინი იყვნენ კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. მათ არ ითანამშრომლეს გამოძიებასთან, არ აღიარეს, სად, ვისგან და რისთვის შეიძინეს ნარკოტიკები და ყუმბარები. ასევე არ უღიარებიათ, როგორც კრიმინალური დაჯგუფების წევრებს, რა დანაშაულები ჰქონდათ ადრე ჩადენილი, რის ჩადენას აპირებდნენ მომავალში ან ვისთან ჰქონდათ კავშირები.

ექვმიტანილთა დაკავებისა და პირადი ჩხრევის ოქმების თანახმად, სამივე ექვმიტანილმა განაცხადა, რომ არიან უდანაშაულო და ხელს არაფერზე აწერენ. მეტიც, ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესზე მათ განაცხადეს, რომ ნარკოტიკი თავად პოლიციელებმა გაუკეთეს.

როგორც სახალხო დამცველისათვის გახდა ცნობილი, შს სამინისტროს თანამშრომლებმა დაკავებულებს ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტი მიუგზავნეს „დასამუშავებლად“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ 2007 წლის 20 თებერვალს სოდის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ზ.ბეიტრიშვილმა პროკურორ ქ.ჩომახაშვილის თანხმობით, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას ბრალდებულების გ.მილდიანის, ხ.მილდიანის და ლ.ხორგუანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაცემის თაობაზე.

თუმცა, მიუხედავად ამისა, იმავე დღეს აღკვეთი ღონისძიება – დაპატიმრება – შეეფარდა მხოლოდ ლ.ხორგუანს, რადგან გამოძიებამ შეცვალა მოთხოვნა და მოითხოვა გოჩა და ხვიჩა მილდიანებთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად უცნობია, თუ რა საფუძველზე გააფორმა საპროცესო შეთანხმება პროკურატურამ განსასჯელებთან. მესტიის რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილ საქმის მასალებში არ არის ბრალდებულთა და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატთა

განცხადება საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. ასევე არ არის შესაბამისი შუამდგომლობა და ოქმები, არ არის ბრალდებულთა გოჩა და ხვიჩა მილდიანების ბრალდებულის დაკითხვის ოქმები, სადაც ისინი აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2007 წლის 20 თებერვალს გამოტანილი განაჩენის მიხედვით ირკვევა, რომ ბრალდებულები აცნობიერებენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს და ეთანხმებიან საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს.

იმ ფონზე, როცა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ორ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და ბრძოლა ნარკომანიისა და ნარკოტიკების გამსაღებლების წინააღმდეგ, გამოძიებაც, პროკურატურაც და სასამართლოც უპრეცედენტო ღმობიერებას იჩენენ და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებსა და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს მინიმალურ სასჯელს უფარდებენ – თითოეულს 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთას, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმას – სამსამი ათას ლარს.

(ცნობისთვის: მიმდინარე წლის მაისის თვეში თითქმის ამდენივე – 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთა ჯარიმის გარეშე – მიუსაჯა სასამართლომ 14 წლის ზაზა დოლიძეს, რომელსაც ბრალად სკოლაში ბურთის ქურდობა ჰქონდა წაყენებული).

თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, საქმე გვაქვს კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან, რომლის წევრებიც არიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, ამგვარი ლიბერალური მიდგომა ძალიან უცნაურია და ანალოგი არა აქვს.

სასამართლო შედარებით მკაცრი იყო ლაშა ხორგუანის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით 2 თვით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, თუმცა 11 აპრილს მესტიის რაიონულმა სასამართლომ განიხილა და დაამტკიცა იმავე პროკურორის, ქ.ჩომახაშვილის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების თაობაზე. ძირითადი სასჯელი აქაც იგივე დარჩა – 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელი ამჯერად ოდნავ გაიზარდა იყო – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. თანაც, ლ.ხორგუანის დანაშაული შედარებით მსუბუქი იყო – მას ყუმბარები არ ჰქონდა თან.

გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა, ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვასა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვასა და მართლსაწინააღმდეგო ტარებაში ბრალდებული კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების, კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების საცხოვრებელ სახლებშიც ხომ არ ინახება რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი.

* * *

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რატომ გამოიჩინა გამოძიებამ ასეთი ლიბერალური მიდგომა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებთან, რომელთა ბრალის დამადასტურებელი ყველანაირი მტკიცებულება არსებობდა?

გამოძიებამ მოწმეებად მხოლოდ პოლიციელები დაკითხა და არ დაკითხა სხვა მოწმეები, კერძოდ ავტომანქანა „ვილისის“ 6 მგზავრი, რომლებსაც ჩვენ ჩამოვართვით ახსნა–განმარტებები. ამ ახსნა–განმარტებებში მოწმეები აცხადებენ, რომ დაკავებულთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას ადვილი არ ჰქონია. სპეცოპერაციაში სოღის 5 ავტომანქანა მონაწილეობდა შესაბამისი რაოდენობის სპეცრაზმით. ამასთან, მილდიანები, რომლებიც სოფ. ცხუმარში დასხდნენ მანქანაზე და ხორგუანი, რომელიც სოფ. ეცერში ამოვიდა, არ იცნობდნენ ერთმანეთს და ერთმანეთს საერთოდ არ გამოლაპარაკებინან.

იმავეს ამბობს „ვილისის“ მძღოლი ვ.გაზდელიანიც, რომელიც ზუგდიდში ჩამოსვლის შემდეგ დაიბარეს შს სამინისტროს სამხარეო სამმართველოში და დაკითხეს. სამხარეო სამმართველოში პოლიციელებისგან მან შეიტყო, რომ დაკავებულ ხვიჩა და გოჩა მილდიანებსა და ლ.ხორგუანს აღმოაჩნდათ ხელყუმბარები და ნარკოტიკული საშუალებები, რაც მას თავისი თვალთ არ უნახავს. როგორც ვ.გაზდელიანი ჩვენთვის მოცემულ ახსნა–განმარტებაში წერს, დაკითხვისას მან პოლიციას მისცა იგივე ჩვენება, რაც დაფიქსირებულია სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებაში.

თუმცა, მიუხედავად ამისა, 2007 წლის 18 თებერვალს ვ.გაზდელიანის მოწმის სახით დაკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ „ძმები მილდიანებისა და ლაშა ხორგუანის ჩხრეკისას სამართალდამცავებს აღმოუჩენიათ ხელყუმბარები და სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალებები“. წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ასევე წერია, რომ დაკავებისას სამივე პირი წინააღმდეგობას უწევდა პოლიციის თანამშრომლებს და იქნევდნენ ხელფეხს.

ამდენად, არც მგზავრებს და არც მძღოლს არ დაუნახავთ არც ყუმბარები და არც ნარკოტიკი. მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ მილდიანები და ხორგუანი ერთმანეთს არც გამოლაპარაკებინან, ხოლო თავად ბრალდებულები აცხადებენ, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ. ამის გადამოწმება ძალიან ადვილია, თუ ხორგუანისა და მილდიანების ტელეფონების ამონაწერებს გადავამოწმებთ – სხვა თუ არაფერი, შეუძლებელია, კრიმინალური დაჯგუფების წევრებს ერთმანეთთან ერთხელ მაინც არ ჰქონდეთ დარეკილი. მსგავსი გამოძიება არ ჩატარებულა, თორემ ჭეშმარიტება ადვილად დადგინდებოდა.

სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა–განმარტებაში გოჩა და ხვიჩა მილდიანები აღნიშნავენ, რომ 2007 წლის 18 თებერვალს ისინი ავტომანქანა „ვილისში“ ჩასხდნენ სოფ. ცხუმართან. სოფ. ეცერთან ა/მანქანაში კიდევ ჩაჯდა ხუთი მგზავრი, რომელთაგან ისინი არც ერთს არ იცნობდნენ. გზაზე ა/მანქანა გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა. პოლიციელებმა მგზავრებიდან გამოარჩიეს ახალგაზრდები – გ.მილდიანი, ხ.მილდიანი და სოფ. ეცერში ამოსული ახალგაზრდა - ლ.ხორგუანი და გაჩხრიკეს ისინი. გ.მილდიანს უნახეს მობილური ტელეფონი და კითხეს მისი ნომერი. ამ ჩხრეკის დროს არც ერთ მათგანს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ აღმოაჩნდა. ამ ჩხრეკას, გ.მილდიანის განმარტებით, „ვილისის“ სხვა მგზავრებიც ხედავდნენ.

გ.მილდიანის განმარტებით, ტელეფონის ნომერი ჰკითხეს ლ.ხორგუანსაც. მას შემდეგ, რაც ლ.ხორგუანმა უთხრა მათ თავისი ნომერი, ავტომანქანა „ნივიდან“ გადმოვიდა ერთ-ერთი პოლიციელი, რომელმაც ლ.ხორგუანს უთხრა „ვის აგინებდი წუხელ“. ამის შემდეგ მას, მის ძმას ხ.მილდიანს და ლ.ხორგუანს დაადეს ხელბორკილები და გაჩხრიკეს ხელმეორედ, რა დროსაც ისინი მიაყუდეს „ნივის“ ე.წ. „კაპოტან“ და მათი ჯიბეებიდან ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები, რაც მათ არასდროს ჰქონიათ. ასევე ხ.მილდიანის კუთვნილი ჩანთიდან ამოიღეს ხელყუმბარები. დანარჩენ ორ დაკავებულს ჩანთები არ ჰქონდათ და, ბუნებრივია, ყუმბარებსაც ვერ ამოუღებდნენ.

გოჩა და ხვიჩა მილდიანების განმარტებით, აღნიშნული ხელყუმბარები და ნარკოტიკული საშუალებები მათ „ჩაუდეს“ პოლიციის თანამშრომლებმა. ისინი ასევე განმარტავენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მათ გაუკეთეს ნარკოტიკული საშუალებები ავტომანქანაში მას შემდეგ, რაც დაკავებულები გადმოჰყავდათ თბილისში. გოჩა და ხვიჩა მილდიანები აღნიშნავენ, რომ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს მათ თავი დამნაშავედ არ უცვნიათ, სამართალდამცავ ორგანოებს განუცხადეს, რომ ნარკოტიკული საშუალებები და საბრძოლო მასალა მათ არ ეკუთვნოდათ და ნარკოტიკული საშუალება მათ გზაში გაუკეთეს პოლიციის თანამშრომლებმა. ასევე განაცხადეს, რომ დაკავებისას მათ პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

დაკავებულებმა 18 თებერვალს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორს მ.მუმლაძეს დაკავებულებმა განუმარტეს, რომ ამოღებული ნივთები მათ არ ეკუთვნით, რის გამოც ხელს არ აწერენ საგამოძიებო მოქმედებების ოქმებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის დადგენილებებში ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღნიშნულია, რომ „სხდომაზე წარმოდგენილი სამართალდამრღვევი ხვიჩა სანდროს ძე მილდიანი სამართალდარღვევის ოქმს არ ეთანხმება და განმარტავს, რომ ნარკოტიკული საშუალება მას დაკავების შემდეგ თბილისში გადაყვანის დროს გაუკეთეს მანქანაში.“; „სხდომაზე წარმოდგენილი სამართალდამრღვევი გოჩა სანდროს ძე მილდიანი სამართალდარღვევის ოქმს არ ეთანხმება და განმარტავს, რომ ნარკოტიკული საშუალება მას დაკავების შემდეგ თბილისში გადაყვანის დროს გაუკეთეს მანქანაში.“; „სხდომაზე წარმოდგენილი სამართალდამრღვევი ლაშა გიორგის ძე ხორგუანი სამართალდარღვევის ოქმს არ ეთანხმება და განმარტავს, რომ ნარკოტიკული საშუალება მას არ მიუღია.“

სხვა რამ წერია 2007 წლის 20 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სასამართლო სხდომის ოქმში, რომლის თანახმადაც, გოჩა და ხვიჩა მილდიანებმა განაცხადეს, რომ აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს, მათთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ და ეთანხმებიან ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძვლებს.

რაც შეეხება წინააღმდეგობის გაწევას, ძალიან საინტერესო ჩვენებებს იძლევიან სოდის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლები, გ.გვარამია, რ.გაბუნია და ა.ლაგვილავა. 18 თებერვალს, მოწმის სახით დაკითხვის დროს მათ აჩვენეს, ჩხრევისა და დაკავების დროს სამივე პიროვნებამ, ლაშა ხორგუანმა და გოჩა და ხვიჩა მილდიანებმა გაქცევის მიზნით პოლიციის თანამშრომლებს გაუწიეს წინააღმდეგობა, რაც გამოიხატა მათი მხრიდან პოლიციის თანამშრომელთა მისამართით უშვერი სიტყვების მახილსა და ხელ-ფეხის რტყმევაში.

2007 წლის 20 თებერვალს დამატებით დაიკითხნენ მოწმეები გ.გვარამია და რ.გაბუნია, ხოლო ა.ლაგვილავა დამატებით დაიკითხა 2007 წლის 25 თებერვალს (აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ პროკურორ ქ.ჩომახაშვილსა და ბრალდებულებს გოჩა და ხვიჩა მილდიანებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 2007 წლის 20 თებერვალს), სადაც მათ უკვე აღნიშნეს, რომ დაკავებისას მათ წინააღმდეგობას უწევდა მხოლოდ ლ.ხორგუანი, ხოლო გოჩა და ხვიჩა მილდიანებს პოლიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ამასთან, ა.ლაგვილავა მოწმის დაკითხვის ოქმში აღნიშნავს, რომ ლ.ხორგუანმა წინააღმდეგობის გაწევის დროს მიიღო დაზიანებები, კერძოდ: მას დაკავებისას ცხვირიდან მოსდიოდა სისხლი. დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმში აღწერილია ხორგუანის სახეზე არსებული დაზიანებები, თუმცა თავად ხორგუანი აცხადებს, რომ ეს დაზიანებები მან დაკავებამდე მიიღო. თავის მხრივ, ვილისის სხვა მგზავრები აღწერენ, როგორ დაახეტქეს პოლიციელებმა ხორგუანი მიწაზე და სახე ასფალტზე დაარტყმევინეს. როცა ჩვენ ხორგუანივინახულეთ, ის უაღრესად დათრგუნული და შეშინებული იყო, ამდენად მისი ამგვარი ჩვენება მოულოდნელი არ არის.

რეალურად, სოდის სამივე თანამშრომელმა წინასწარ გამოძიებას, რამდენიმე დღის შუალედით, მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. შეუძლებელია, რომ მათ პირველი ჩვენების მიცემის დროს არ სცოდნოდათ, რომ გოჩა და ხვიჩა მილდიანებს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ე.ი. მათ შეგნებულად მისცეს წინასწარ გამოძიებას არასწორი ჩვენება მართლმასაჯულების განზრახ შეცდომაში შეყვანის მიზნით, რითაც მათ ქმედებაში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3711 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, თუმცა მოსამართლესა და პროკურორს ამაზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

* * *

რამდენიმე სხვადასხვა მოწმის ჩვენებიდან იკვეთება, რომ სოდის თანამშრომლები კონკრეტულ მობილური ტელეფონის ნომერს ეძებდნენ და მთელი ეს სპეცოპერაცია შემდგომში განვითარებული მოვლენებითურთ ტელეფონის ამ ნომერთან არის დაკავშირებული.

თვითმხილველ ჯ.გვეტაძის ახსნა-განმარტების მიხედვით, 2007 წლის 14 თებერვლიდან 18 თებერვლამდე იგი იმყოფებოდა მესტიის რაიონის სოფ. ეცერში ნათესავებთან. 17 თებერვალს ღამით იგი სხვა ნათესავებთან, მათ შორის ლ.ხორგუანთან ერთად, იყო მეზობელთან სუფრაზე, საიდანაც ღამის პირველ საათზე

გამოვიდა. აღნიშნულ სუფრაზე მყოფმა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ლ.ხორგუანს სთხოვა მობილური ტელეფონი და დარეკა, იგი სხვაგან მოხვდა - ვერ დაუკავშირდა სასურველ აბონენტს. გვიან გაშვებულმა ზარმა გააღიზიანა ადრესატი და ახალგაზრდა მამაკაცს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. საპასუხოდ ამ ახალგაზრდამაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა უცნობ აბონენტს. ლ.ხორგუანმა ახალგაზრდას ტელეფონი გამოართვა და ბოდიში მოუხადა უცნობ აბონენტს, მაგრამ უცნობმა აბონენტმა ლ.ხორგუანსაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, არ მოუსმინა მას და დაემუქრა, რომ მეორე დღეს შეხვდებოდნენ კაბინეტში.

ჩვენ შევხვდით იმ ახალგაზრდას, გ-ს, ვინც ლაშა ხორგუანის ტელეფონიდან ზარი გაუშვა. მისი ახსნა-განმარტების თანახმად, მან ლ.ხორგუანის ტელეფონიდან ზარი გაუშვა ნომერზე 899535341, თუმცა პირველივე გაშვებული ზარის შემდეგ გათიშა ტელეფონი. ზარის გაშვებიდან 2-3 წუთში გადმორეკეს იმავე ნომრიდან 899535341, საუბრობდა მანდილოსანი, რომელმაც ჰკითხა ზარის გამშვებს მისი ვინაობის შესახებ და უკმაყოფილება გამოხატა გვიან განხორციელებული ზარის გამო. ეს მოხდა 18 თებერვალს, ღამის 02.43 საათზე. პირველი საუბარი მხოლოდ 22 წამს გაგრძელდა, რასაც ადასტურებს ამონაწერიც.

გ-ს განმარტებით, მან ბოდიში მოუხადა მანდილოსანს, მაგრამ მოსაუბრე მანდილოსანმა მუქარის ტონით დაელაპარაკა გ-ს და ყურმილი გადასცა მამაკაცს, რომელმაც ახალგაზრდას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც გ-ს მხრიდანაც მოჰყვა სიტყვიერი შეურაცხყოფა. რამდენიმე წუთში იმავე მამაკაცმა იმავე ნომრიდან (899535341), კვლავ დაურეკა გ-ს და ჰკითხა მისი ვინაობა, რაზედაც ამ უკანასკნელმა კითხვითვე უპასუხა უცნობ მამაკაცს მისი ვინაობის შესახებ. უცნობმა მამაკაცმა განაცხადა, რომ იგი არის ირაკლი, დაემუქრა, რომ მეორე დღეს კაბინეტში მოუწევდა საუბარი და კვლავ განაგრძო გ-ს გინება. გ-მ საუბარი შეწყვიტა, მაგრამ ამის შემდეგ ე.წ. ირაკლი რამდენჯერმე რეკავს უკვე სხვა ნომრიდან (877586363) და ისევ იმუქრება. თითოეული საუბარი უკვე კარგა ხანს - 4-5 წუთი გრძელდება.

იმ ღამით როგორ ხსენებული, ისე სხვა ნომრებიდან მრავალჯერ დაირეკა ლ.ხორგუანის ტელეფონზე. გ-მ და ლ.ხორგუანმა შემოსული ზარების უმეტესობას არ უპასუხეს, თუმცა ამონაწერიდან დასტურდება არაერთი სხვადასხვა ზარი, რომელთაც ხორგუანი და გ. პასუხობენ.

თვითმხილველთა ახსნა-განმარტებებიდან აშკარად იკვეთება, რომ შსს-ს თანამშრომლები დაინტერესებული იყვნენ მგზავრების მობილური ტელეფონებითა და ერთი კონკრეტული ნომრის მფლობელის მოძებნით. ჩვენ ხელთ გვაქვს ლ.ხორგუანის სატელეფონო საუბრების ამონაწერი, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ პოლიციისთვის საინტერესო ნომერზე (899389709) ღამის 02.44 საათის შემდეგ, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში, განხორციელდა რამდენიმე სატელეფონო ზარი. ეს ტელეფონის ნომრებია: 899535341; 877586363; 899109895; 893623465.

ამდენი მუქარის შემდეგ, 03 საათსა და 01 წუთზე ლ.ხორგუანის ტელეფონიდან გ-ს მიერ გაშვებული იქნა შეურაცხმყოფელი მესიჯი ნ.ჟორჟოლიანის კუთვნილ ტელეფონზე.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნული ტელეფონის ნომრებით სარგებლობენ შემდეგი პირები:

899535341 – ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ნანუკა ჟორჯოლიანი;

877586363 – შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი კოდუა;

* * *

2007 წლის 19 თებერვალს განცხადებით მოგვმართეს ლ.ხორგუანის ნათესავებმა. ისინი გვთხოვდნენ, დავხმარებოდით ლ.ხორგუანის ადგილსამყოფელის დადგენაში.

სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი გ.გიორგაძე და სახალხო დამცველის რწმუნებული თ.კემულარია 2007 წლის 19 თებერვალს შს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ქ.თბილისის #1 დმი-ში - ე.წ. „მოდულის“ შენობაში ინდივიდუალურად შეხვდნენ ლ.ხორგუანს, ხვიჩა და გოჩა მილდიანებს.

ლ.ხორგუანმა უარი განაცხადა სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობაზე, რის შესახებაც შედგა შემდეგი შინაარსის ოქმი - „ლ.ხორგუანი თავს იკავებს ჩვენთან საუბარზე, გვთხოვს გადავცეთ მის ნათესავებს, კარგი ადვოკატი აიყვანონ, რადგან დარწმუნებულია, რომ საპროცესო შეთანხმებით გაუშვებენ. სხვა რამე პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა ეტყობა, რომ ნერვიულობს და თავს იკავებს დამატებითი კომენტარის გაკეთებაზე. ჩვენს კითხვაზე, ვისთან ჰქონდა მობილურ ტელეფონზე საუბარი და ამ ფაქტს ხომ არ მოჰყვა ნარკოტიკების ჩადება და მისი დაკავება, აფორიაქებულმა ტირილი დაიწყო, მოითხოვა ოთახიდან გაყვანა საკანში. ინტერვიუ შეწყდა, თუმცა ამ ფაქტმა ექვები გაგვიჩინა, ხომ არ ჰქონდა ადგილი მასზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას.“

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სამივე მსჯავრდებული წინააღმდეგი იყო ამ საქმის გახმაურების. მათ საკმაოდ მკაცრად იწვნიეს, თუ რას ნიშნავს საქართველოს სამართალდამცავ სისტემასთან ურთიერთობა და რამდენად შეიძლება ჰქონდეთ თავისი სიმართლის დამტკიცების იმედი. ლაშა ხორგუანი მკაცრად გააფრთხილეს, რომ თუ რაიმეს გაბედავდა, მისი ქმედებების გამო პასუხს მისი ოჯახის წევრებს აგებინებდნენ.

მიუხედავად ამისა, ამ საქმეში საჯარო ინტერესი იმდენად მაღალია, რომ არანაირი, არც მორალური და არც იურიდიული უფლება არა მაქვს, მასზე ხმამაღლა არ ვილაპარაკო. როცა მსგავსი უკანონობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ასეთი გადამეტება შესაძლებელია ერთ შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს არც ერთი მოქალაქე მსგავსი საფრთხისგან არ არის დაცული.

თანაც, გარანტირებული არ არის ზემოაღნიშნული სატელეფონო ზარის უშუალო გამშვების, გ-ს უსაფრთხოება. თუკი ირაკლი კოდუა დაინტერესებულია ზარის გამშვების ვინაობის დადგენით, დიდია ალბათობა, რომ იგი ამის დადგენას შეძლებს, რის შემდეგაც არსებობს საფრთხე, რომ სახლში ან პირადი ჩხრეკის დროს გ-საც

„აღმოაჩნდება“ ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ნივთი.

მე კარგად მესმის, რომ სამი მსჯავრდებულიდან შეიძლება არც ერთმა არ დაადასტუროს ჩემი ნათქვამი, რადგან ისინი უაღრესად არიან დაშინებული და მათ დაკარგული აქვთ სამართლიანობის იმედი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, თუ გამოძიება მოინდომებს, სიმართლის დადგენას ძალიან მალე შეძლებს. ამისთვის საკმაოდ ბევრი მტკიცებულება არსებობს.

ამ ფაქტის საჯაროობა აუცილებელია თუნდაც მომავალში ხსენებული სამი პირის პირადი უსაფრთხოების დაცვისათვის. მას შემდეგ, რაც სასამართლოდან გამოვითხოვეთ სისხლის სამართლის საქმე, ლაშა ხორგუანისთვის თავის დროზე სოდის მიერ აყვანილმა ადვოკატმა დაიწყო ინფორმაციის შეგროვება, თუ რისთვის დასჭირდა სახალხო დამცველს ამ საქმის გამოთხოვა.

* * *

გარდა საქმეში არსებული მრავალი საექვო გარემოებისა, სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ამ საქმის არაოფიციალური ისტორიაც. კერძოდ:

ე.წ. „აფრასიძეების საქმესთან“ დაკავშირებით ეცერის სასაფლაოს გათხრის დროს ნანუკა ჟორჯოლიანი იმყოფებოდა მესტიის რაიონის სოფელ ეცერში. მან იქ შეკრებილ ადამიანებს დაუტოვა თავისი ნომერი და სთხოვა, რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის არსებობის შემთხვევაში მას დაკავშირებოდნენ. იქ იყო გ-ც. ამის შემდეგ ნანუკა ჟორჯოლიანი და გ. მობილური ტელეფონის საშუალებით პერიოდულად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ეს კავშირი ძირითადად ხორციელდებოდა ტექსტური შეტყობინებების საშუალებით. მობილური ტელეფონით დაახლოებით 10-15 ჯერ მოხდა მათ შორის მიმოწერა. აღნიშნული მიმოწერა ხორციელდებოდა გ-ს ოჯახის წევრების ტელეფონებით. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ნ.ჟორჯოლიანმა ერთხელ სამსახურიდანაც (ტელეკომპანია „რუსთავი 2“) დაურეკა გ-ს. ვფიქრობთ, ყოველივე ამის დადგენა გამოძიებას არ უნდა გაუჭირდეს.

ასევე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სოდის შენობაში ლ.ხორგუანი სასტიკად აწამეს, მას მიაყენეს მძიმე ფიზიკური, ისე ფსიქიკური თვალსაზრისით. მას თავში ურტყამდნენ წყლით სავსე პლასტმასის ბოთლებს, ხოლო რამდენიმე ბოთლი თავზე გადაახეთქეს, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრებზე ანგარიშსწორებით. სოდის შენობაში დაკითხვის დროს ლ.ხორგუანისგან ითხოვდნენ ნანუკა ჟორჯოლიანის ტელეფონზე 899535341-ზე უშუალოდ დამრეკავი პირის ვინაობის გამხელას, რაზედაც მან უარი განაცხადა. ეს ყველაფერი ატარებს წამების კვალიფიკაციას.

ჩვენი ვარაუდით, ირაკლი კოდუასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ლ.ხორგუანის ტელეფონი ისმინებოდა შსს-ს შესაბამისი სამსახურის მიერ, ასევე ფიქსირდებოდა ლ.ხორგუანის მოძრაობა მესტიის რაიონის სოფ.ეცერი - სოფ.ჯორჯვალის მონაკვეთზე არსებული სატელეფონო ანძების საშუალებით. 18 თებერვალს დილით ლ.ხორგუანის ტელეფონიდან დაირეკა ავტომანქანა ვილისის მძღოლ ვ.გაზდელიანის მობილურ ტელეფონზე. ლ.ხორგუანი, ე.კოპალეიშვილი და ჯ.გვეტაძე თბილისში მიემგზავრებოდნენ და მათ აინტერესებდათ, იყო თუ არა სამი მგზავრის ადგილი

ავტომანქანაში. სავარაუდოდ, სწორედ ამ საუბრით იქნა დადგენილი ირაკლი კოდუას მიერ ხორგუანის სურვილი თბილისში გამგზავრების შესახებ და მის თანამგზავრთა რაოდენობაც. სატელეფონო საუბრიდან პოლიციამ გაიგო, რომ ხორგუანს ორი თანამგზავრი ახლდა, მაგრამ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ისინი და დაკავების დროს ახალგაზრდობის ნიშნით გამოარჩიეს სამი პირი, რომლებიც ერთმანეთს, უბრალოდ, არც კი იცნობდნენ.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა ამ ფაქტის შესახებ საჯაროდ განაცხადა და ფაქტის გამოძიება მოითხოვა, შს სამინისტროს თანამშრომლებმა მილდიანებს და ხორგუანს ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტი მიუგზავნეს „დასამუშავებლად“. ამის შემდეგ სამივე მათგანმა საჯაროდ განაცხადა, რომ ისინი დამნაშავეები არიან და ცნობენ თავიანთ დანაშაულს, მაგრამ მაინც ვერ უარყვეს, რომ ისინი მანამდე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს, ერთმანეთს არ იცნობდნენ და, შესაბამისად, ვერც იქნებოდნენ კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრები.

* * *

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებისა და გამოვლენილი გარემოებების შედეგად სოდის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების, ასევე საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან იკვეთება დანაშაულის ნიშნები, ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით:

1441 მუხლი. წამება მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით;

მუხლი 146. უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მე-2 ნაწილით;

მუხლი 147. განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება პირველი ნაწილით;

მუხლი 151. მუქარა;

მუხლი 158. კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით;

მუხლი 159. პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით;

მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით;

მუხლი 332. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება პირველი ნაწილით.

მუხლი 3711. მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა პირველი ნაწილით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არ არის დაცული არც ლაშა ხორგუანის, ხვიჩა და გოჩა მილდიანების, არც მათი ოჯახის წევრების და არც ამ საქმეში არსებული მოწმეების უსაფრთხოება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1441 მუხლი. წამება

1. წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის,-

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე. (25.07.2006 N 3530)

მუხლი 146. უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა

სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (28.04.2006. N2937)

უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში,-

2. იგივე ქმედება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

მუხლი 147. განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (28.04.2006. N2937)

1. განზრახ უკანონო დაკავება,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 151. მუქარა (28.04.2006. N2937)

სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“.

მუხლი 158. კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა

1. კერძო საუბრის უკანონოდ ჩაწერა ან მიყურადება ტექნიკური საშუალების გამოყენებით,

2. კერძო საუბრის ტექნიკური საშუალებით მიღებული ჩანაწერის ანდა ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება,-
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
 - დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,
-ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

- მუხლი 159. პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა
- პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევა,
2. იგივე ქმედება:
 - გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
-ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე

მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შემენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (25.07.2006 N 3530)

1. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შემენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, –
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 - ა) დიდი ოდენობით;
 - გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
 - ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
 - ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 332. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (25.07.2006 N 3530)

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, –
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 3711. მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა (28.04.2006. N2937)

მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

დანართი # 4

ადამიანის უფლებები სასჯელარსრულების სისტემაში გიორგი ღვინიაძის საქმე

2007 წლის 30 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ქ.ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მყოფ მსჯავდრებულს გ.ღვინიაძეს. მისი განმარტებით, იგი 2007 წლის 15 მაისს ქ.ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გადაიყვანეს. ეტაპირების მიზეზად გ.ღვინიაძე ასახელებს გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორსა და მსჯავდრებულებს შორის კორუფციული დამოკიდებულების არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობას.

გ.ღვინიაძის განმარტებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ქუთაისის #2 საპრობილეში მან ექიმთან შეხვედრა მოითხოვა და არ დაემორჩილა საპრობილის სარეჟიმო განყოფილების თანამშრომლის, ლ.მანდარიას მოთხოვნას, შესულიყო საკანში. ზემოაღნიშნულით უკმაყოფილო ლ.მანდარიამ და ი.ივანიშვილმა (ეს უკანასკნელი ამჟამად მუშაობს სად-ის გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში) გ.ღვინიაძეს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მას სცემდნენ მუშტებით სახისა და მუცლის არეში, აფურთხებდნენ სახეში და იხსენიებდნენ უშვერი სიტყვებით. ცემა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. მსჯავდრებული სთხოვდა შეეწყვიტათ მისი ცემა, რადგან ნაოპერაციები იყო. საპასუხოდ, ლ.მანდარიამ და ი.ივანიშვილმა გ.ღვინიაძეს ჩააცვეს დამაწყნარებელი პერანგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ესწრებოდნენ ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ოპერატიული მორიგეები მ.ჩოგოვაძე და მ.სამარგულიანი. გ.ღვინიაძის განმარტებით, იგი სამორიგეო ნაწილის იატაკზე დამაწყნარებელი პერანგით სამი დღე-ღამის განმავლობაში იწვა. მას ამ პერიოდში არ მიეწოდებოდა საკვები, მხოლოდ წყალს ასმევდა მ.სამარგულიანი. ამასთან, არ ჰქონდა ექიმთან შეხვედრის შესაძლებლობა. მხოლოდ მეორე დღეს იგი ინახულა ექთანმა და მისცა დამაწყნარებელი საშუალებები.

დილით მასთან ჩავიდნენ დაწესებულების თანამშრომლები ლ.მანდარია და დ.ნარსია, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გ.ღვინიაძე მკვდარივით ეგდო და აუნთეს კელაპტრები. დ.ნარსიასთან მივიდა დაწესებულების თანამშრომელი, გვარად ჟორჟოლიანი და სთხოვა სამსახურიდან გათავისუფლება, რისთვისაც მას დ.ნარსიამ მოსთხოვა გ.ღვინიაძისთვის თავზე წყლის დასხმა, რაც შეასრულა ჟორჟოლიანმა და რასაც მოჰყვა ორივეს სიცილი.

გ.ღვინიაძემ გამომძიებლისგან შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული იყო წინასწარი გამოძიება დაუმორჩილებლობის ფაქტზე. გამომძიებელთან შეხვედრისას მას დამაწყნარებელი პერანგი გახდილი ჰქონდა. მან ხელი არ მოაწერა ჩვენებას.

მეორე დღეს მასთან მივიდნენ პროკურორი და ექსპერტი. პროკურორმა იკითხა: „ეგ არის გიჟი?“, ექსპერტმა დაათვალიერა მისი სხეული და შეადგინა დოკუმენტი, რომლის შინაარსიც ღვინიანიძისთვის არავის გაუცვნია.

გ.ღვინიანიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან გამომძიებელსა და პროკურორს აცნობა მისი ცემის შესახებ, აღნიშნულ ფაქტზე მათ რეაგირება არ მოუხდენიათ.

მსჯავრდებულმა ახსნა-განმარტებაში ასევე განმარტა, რომ მან სამჯერ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული განცხადებების ბედი მისთვის უცნობია. სახალხო დამცველის აპარატში გ.ღვინიანიძის განცხადებები არ შესულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები მიუთითებდნენ ამავე დაწესებულების თანამშრომელთა ქმედებებში საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებზე.

სახალხო დამცველმა აღნიშნული სათანადო მასალები გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს სათანადო ზომების მისაღებად.

ლ. მანდარიას საქმე

2007 წლის 30 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მსჯავრდებულის ლ. მანაგაძე მოინახულეს და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს.

ლ.მანაგაძემ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ 2007 წლის 4 ივლისს მასზე ფიზიკური ზეწოლა განახორციელეს ქ.ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებმა ლაშა მანდარიამ, ზურაბ მორჩაძემ და კოტე ჭეიშვილმა. მსჯავრდებულის განმარტებით, მას ძირითადად გამლილი ხელით ცემდნენ თავისა და ზურგის არეში.

ზემოაღნიშნული პირები მისგან 2006 წლის 29 მაისს მომხდარ ყაჩაღობაში მონაწილეობის აღიარებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ე.წ. „ბოთლზე დასმით“ ემუქრებოდნენ. როგორც კ.ჭეიშვილმა განუცხადა, ყაჩაღური თავდასხმის დროს გარდაცვლილი მისი ბიძა იყო.

ცემის შემდეგ (სავარაუდოდ გადაწყვეტილების მისაღებად) ლ.მანაგაძე ოთახში მარტო დატოვეს, რა დროსაც მან თვითდაზიანება მიიყენა. მომხდარის გამო მსჯავრდებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინა დაწესებულების ექიმმა. საკანში ლ.მანაგაძე გადაიყვანეს მეორე დილით. აღნიშნულის შესახებ ლ.მანაგაძემ უამბო ადვოკატ რ.ხუნწარიას, ასევე ე.რუხაძეს და მ.მანაგაძეს.

გარდა ამისა, ლ.მანაგაძის განმარტებით, ლ.მანდარია მას დაემუქრა, როდესაც სასამართლო პროცესზე მიჰყავდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ლ.მანაგაძე დაკითხა გამომძიებელმა. ლ.მანაგაძის მითითებით, მან გამომძიებელს არ უთხრა მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ზეწოლის შესახებ და განუმარტა, რომ ხელები თავად დაისერა და პრეტენზიაც არავისთან ჰქონდა. ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ მასთან განმეორებით გამოცხადდნენ გამომძიებელი და ექსპერტი, რა დროსაც ექსპერტმა ლ.მანაგაძის სხეული დაათვალიერა და შეადგინა დოკუმენტი. ლ.მანაგაძეს კი ხელი მოაწერინა, (როგორც მას ახსოვს, მხოლოდ ლ.მანდარიას შესახებ ეწერა).

სახალხო დამცველმა აღნიშნული სათანადო მასალები გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს სათანადო ზომების მისაღებად.

რობერტ მახარაშვილის საქმე

2007 წლის 21 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.რუსთავის #2 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა რობერტ მახარაშვილმა. იგი მიუთითებდა, რომ 2007 წლის 18 თებერვალს #21-ე საკანში სალამოს ჩატარებული გეგმიური შემოწმების დროს ადმინისტრაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემოწმების დამთავრების შემდეგ გაიყვანეს ე.წ. ბიბლიოთეკის ოთახში, სადაც მას კიდევ ერთხელ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. რ.მახარაშვილი ცუდად გახდა და დააბრუნეს საკანში. თანამესაყენე მსჯავრდებულებმა გამოიძახეს ექიმი და მათი დახმარებით იგი გადაიყვანეს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში. რ.მახარაშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას ცემის შედეგად ჰქონდა დაზიანებები, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გოჩა კაკოიშვილმა და ვინმე ბათომ (მისი განმარტებით, ისინი გამოირჩევიან პატიმრებისადმი განსაკუთრებული სისასტიკით და ცინიზმით) იგი გადმოაგდეს ლოგინიდან და სცემეს. მსჯავრდებული აცხადებდა, რომ აღნიშნული თანამშრომლები იყვნენ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ. ხოლო ყოველივე ზემოაღნიშნულს კარგად ხედავდნენ მისი თანამესაყენეები, რადგანაც #21-ე საკანის ფანჯრიდან კარგად ჩანს სამედიცინო ნაწილის ფანჯრები. #21-ე საკანის მსჯავრდებულებმა გამოაცხადეს შიმშილობა და განცხადებაში აღნიშნული ფაქტები დაადასტურეს ხელმოწერით.

21 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ქ.რუსთავის #2 დაწესებულებაში, სადაც მოინახულეს მსჯავრდებული რ.მახარაშვილი. მისი განცხადებით, ცემის შემდეგ უჭირდა სიარული, ჰქონდა ტკივილები, დათვალიერებისას მას აღნიშნებოდა სისხლჩაქცევები: ზურგზე, ხელებსა და ფეხებზე, ასევე შესიება მარჯვენა თვალთან.

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე 23 თებერვალს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება მსჯავრდებულ რ.მახარაშვილის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, 8 მარტს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცნენ დ.შუბითიძე, კ.შარუმაშვილი და დ.ჯილაური და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება. 14 მაისის განაჩენით აღნიშნული პირებს სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

საქმის ანალიზიდან ჩანს, რომ დამნაშავეებისთვის შეფარდებული მუხლი და დანიშნული სასჯელი მათ მიერ ჩადენილ ქმედებასთან აშკარად არაადეკვატურია. საქმეში აღწერილი ფაქტები წარმოადგენს წამების კლასიკურ მაგალითს. გამოძიება ცალსახად წამების მუხლით უნდა დაწყებულიყო.

ალექსანდრე მანუკიანის საქმე

2007 წლის 6 მარტს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ მსჯავრდებულ ა.მანუკიანს, რომელმაც განაცხადა, რომ 2007 წლის იანვრის შუა რიცხვებში იგი რუსთავის №2 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ აგრესიას გრძნობდა. ამის გამო მან მიმართა დაწესებულების დირექტორის მოადგილეს და, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში გადაყვანა მოითხოვა, რადგან არ სურდა ვითარების გართულება. მსჯავრდებულის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და პროტესტის ნიშნად ა.მანუკიანმა პირი ამოიკერა. ა.მანუკიანი კარცერის ტიპის საკანში მოათავსეს, ხოლო მეორე დღეს, 24 იანვარს, გადაიყვანეს ქ.რუსთავის №6 საპრობილეში და სამედიცინო ნაწილში მოათავსეს.

2 მარტს საპრობილის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ა.მანუკიანის სამედიცინო ნაწილში ყოფნა მიზანშეწონილი აღარ იყო და პატიმრის საკანში გადაყვანა გადაწყვიტა. გადაყვანის აღსასრულებლად მისულ ადმინისტრაციის თანამშრომლებს ა.მანუკიანმა ჰკითხა, თუ სად უნდა წაეყვანათ, რაზეც პასუხი ვერ მიიღო. ა.მანუკიანი აცხადებს, რომ შემდგომ ის შეიყვანეს სამედიცინო ნაწილის ერთ-ერთ ოთახში და ადმინისტრაციის ექვსმა თანამშრომელმა მას ცემა და გინება დაუწყო, რაც დაახლოებით 10 წუთი გაგრძელდა. ხმაურზე ოთახში შევიდა სამედიცინო ნაწილის ექიმი, რომელიც კონფლიქტში ჩაერია, მოძალადეებს ოთახი დაატოვებინა, ავადმყოფი გასინჯა, მოწმინდა სისხლი, რომელიც წარბიდან, ტუჩიდან და სხვა ადგილებიდან სდიოდა. რამდენიმე ხანში ა.მანუკიანთან მივიდა საპრობილის უფროსის მოადგილე ჯაბა თავბერიძე, რომელიც მომხდარი ფაქტით დაინტერესდა და ა.მანუკიანმა ყველაფერი უამბო. დირექტორის მოადგილე წავიდა. დაახლოებით 15 წუთში ა.მანუკიანი №2 საკანში (კარანტინში) გადაიყვანეს. მისი განცხადებით, დაახლოებით 10 წუთში ადმინისტრაციის თანამშრომლების თანხლებით მასთან საკანში შევიდა დირექტორი ლ.ბრეგვაძე და თავის კაბინეტში წაიყვანა. საუბრის შემდეგ ა.მანუკიანი №20 საკანში გადაიყვანეს. მსჯავრდებული აცხადებდა, რომ მას შეეძლო ამოეცნო ყველა ის პირი, ვინც მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ა.მანუკიანმა ასევე აღნიშნა, რომ 5 მარტს, მისი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, იგი არ წაიყვანეს ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოში (იხილებოდა მისი და სხვა მსჯავრდებულების საქმე 2006 წლის 30 იანვარს ქ.რუსთავის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ ამბოხებასთან დაკავშირებით), რადგან დაზიანებები აშკარად ემჩნეოდა. დანარჩენი მსჯავრდებულები კი აღნიშნულ პროცესზე წაიყვანეს.

2007 წლის 6 მარტს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის №6

საპრობილეში შეხვდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მსჯავრდებულ, ალექსანდრე მანუკიანს.

7 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულები, ხოლო 9 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია - წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის - „ემპათიას“ პრეზიდენტი მარიამ ჯიშკარიანი იმყოფებოდა ქ.რუსთავის №6 საპრობილეში, სადაც შეხვდნენ ა.მანუკიანს, შეამოწმეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეადგინეს ოქმი. კერძოდ:

ა.მანუკიანს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აღენიშნებოდა სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დაზიანებები, კერძოდ: ორივე თვალბუდის ირგვლივ ჰემატომა; მარცხენა წარბზე ექსკორაცია; კისერზე, ზურგზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა ბარძაყზე, თირკმლების არეში სისხლჩაქცევები, თავზე დიდი კოპი, რომელიც შეხებით მტკივნეულია; გარდა ზემოთ აღნიშნული დაზიანებებისა, ავადმყოფს აღენიშნება მუდმივი შუილი ყურებში, პერიოდული თავბრუს ხვევა და გულისრევის შეგრძნება. წინასწარი დიაგნოზით, ა.მანუკიანს აქვს თავის ტვინის შერყევა, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორაციები და ჰემატომები.

სახალხო დამცველთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ექსპერტის ლევან ლაბაურის აზრით, ა.მანუკიანი საჭიროებდა ტრამვატოლოგის, ქირურგის, ფსიქიატრისა და ნევროპათოლოგის კონსულტაციებს. ტვინის შერყევის გამო მას ესაჭიროებოდა მკურნალობა და ადეკვატური რეჟიმი. ასევე, უმოკლეს ვადებში უნდა დანიშნულიყო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა აღნიშნული დაზიანებების, მათი ხასიათისა და ხანდაზმულობის შესაფასებლად.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას ა.მანუკიანმა განაცხადა, რომ მასთან გამომძიებელი არ მისულა და არ დაუკითხავს; ასევე არ ჩატარებია ექსპერტიზა.

სახალხო დამცველის რწმუნებულის შეკითხვაზე საპრობილის დირექტორმა უპასუხა, რომ მან ა.მანუკიანის შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინება იმავე დღესვე (ანუ 2 მარტს) გააგზავნა გამომძიების ორგანოში, თუმცა მანუკიანთან გამომძიებელი არ მისულა და არც ექსპერტიზა არ ჩატარდა.

13 მარტს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა მსჯავრდებულ ა.მანუკიანის ცემისა და წამების ფაქტთან დაკავშირებით, შემდგომი რეაგირებისთვის სათანადო მასალები საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, 2007 წლის 16 მარტს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამომძიება ქ.რუსთავის #6 საპრობილის თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულ ა.მანუკიანის მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამომძიება გრძელდება.

აბიზ მეხტიევის საქმე

2007 წლის 8 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 საპყრობილეში, სადაც მოინახულეს პატიმარი ა.მეხტიევი. მისი მითითებით, ა.წ. 6 იანვარს სად-ის #2 დაწესებულებაში მას შეუკრეს ხელები და სცემეს დაწესებულების სარეჟიმო სამსახურის თანამშრომელმა, ვინმე ქიზოსამ და ერთ-ერთმა მორიგემ, რომლის ვინაობა მისთვის უცნობია, თუმცა ამოცნობა შეეძლო.

12 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატიდან ზემოაღნიშნული საქმის შესწავლის მიზნით გაიგზავნა მიმართვა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად, 19 თებერვალს დაიწყო წინასწარი გამოძიება ა.მეხტიევის სად-ის #6 საპყრობილეში სხეულის დაზიანების მიყენების ფაქტთან დაკავშირებით.

როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ ყველა სხვა ფაქტზე, ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც გამოძიება ჩადენილი ქმედების ადეკვატური მუხლით არ დაიწყო. პატიმრის მიერ აღწერილი ფაქტები პირდაპირ მიუთითებდნენ მის მიმართ განხორციელებულ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე.

დანართი # 5

სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების სისტემაში

რომეო მარგველანის საქმე

2007 წლის 20 თებერვალს, 14 საათზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა 29 წლის პატიმარი - რომეო მარგველანი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, გარდაცვალებიდან 2 დღის შემდეგ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „ავადმყოფს თავის ტვინის მოცულობითი პროცესი (შუბლის წილი), ქალა ტვინის ტრავმის შემდგომი მდგომარეობა და ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია აღენიშნებოდა. ექიმების პირველადი დასკვნით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი: თავის ტვინის მოცულობითი პროცესის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა გახდა“.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს მიერ, სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან გამოთხოვნილ იქნა გარდაცვლილის ავადმყოფობის ისტორია.

როგორც ავადმყოფობის ისტორიიდან ირკვევა, პაციენტი 2007 წლის 7 თებერვალს ზუგდიდის #2 საპრობილედან გადმოიყვანეს. ისტორიაში მოიპოვება ოქმი, რომლის მიხედვითაც პაციენტს შემოსვლისას „რაიმე ახალი დაზიანებები არ აღენიშნება, აქვს ძველი ნაწიბურები ზემო კიდურებზე, აღენიშნება 7-8 სმ ნაწიბური თხემის არეში“. აღსანიშნავია, რომ ოქმს არ გააჩნია ნომერი. ასევე იგი საკმაოდ არასრულყოფილადაა შევსებული, კერძოდ არ არის მითითებული ნაწიბურების ზუსტი ლოკალიზაცია, ზომა, ფორმა, შეფერილობა, სავარაუდო ხანდაზმულობა, მათი რაოდენობა და ასე შემდეგ. არ არის მითითებული დათვალიერების ჩატარების ადგილი, განათება, დამსწრე პირები (თუ ასეთები იყვნენ). ოქმს ხელს აწერენ მორიგე ექიმი და დაწესებულების დირექტორის მოადგილე. სავარაუდოდ, ამ ორმა პირმა ჩაატარა სხეულის გარეგანი დათვალიერება.

ავადმყოფობის ისტორია დაწერილია არასრულყოფილად და სამედიცინო თვალსაზრისით ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. აღსანიშნავია, რომ ისტორია ამ დაწესებულებაში იწერება განსხვავებული ფორმით, რაც არ შეესაბამება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნორმატივებს. ისტორიაში არ არის შევსებული ყველაზე მთავარი ნაწილი, ე.წ. „Status Locus“, რის საფუძველზეც ექიმი ლოგიკურად უნდა მივიდეს პირველად დიაგნოზამდე, აქედან გამომდინარე გაუგებარია თუ რის საფუძველზე სვავს ექიმი წინასწარ დიაგნოზს?

ისტორიაში არ მოიპოვება მონაცემები თუ როგორ მოხდა ავადმყოფის ტრანსპორტირება ზუგდიდიდან თბილისში (სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ თუ საბადრაგო მანქანით?), ვინ დასვა დიაგნოზი? რის საფუძველზე? ცნობილია მხოლოდ რომ ავადმყოფს აქვს შემდეგი ჩივილები: თავბრუ, ძლიერი თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტე, გულისრევის შეგრძნება. იქვე მითითებულია რომ „ეს სიმპტომები გრძელდება 4-5 დღის განმავლობაში“, თუმცა შემდეგი წინადადების დასაწყისში ნათქვამია, რომ „ზემოთ აღნიშნულ ჩივილებს აღნიშნავს 6 თვის განმავლობაში“. სრულიად გაურკვეველია თუ რომელ ჩანაწერს უნდა ვენდოთ ამ შემთხვევაში? ამ სიტუაციაში წარმოდგენილი ჩივილების მიხედვით შეუძლებელია დაისვას ის დიაგნოზი, რაც ისტორიაშია დაფიქსირებული. ამ დიაგნოზამდე მისვლას ან მის გამორიცხვას ესაჭიროებოდა შესაბამისი პროფილის (ნევროლოგი, ნეიროქირურგი და სხვ.) ექიმი სპეციალისტების კონსულტაციები და ასევე სპეციალური გამოკვლევების ჩატარება. როგორც ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტებიდან ირკვევა, აღნიშნულისათვის საჭირო არც ერთი პროცედურა არ შესრულებულა (!). ასევე უდიდეს დარღვევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ნევროლოგიური / ნეიროქირურგიული (როგორც აღწერილია) პროფილის ავადმყოფი მოთავსებულ იქნა მისთვის არაპროფილურ - თერაპიულ განყოფილებაში. და თუ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას ასეთი განყოფილება არ აქვს და არც ნეიროქირურგი ჰყავს, მაშინ სავალდებულო იყო ავადმყოფი ქალაქის რომელიმე შესაბამისი პროფილის კლინიკაში გადაეყვანათ. ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია ასეთი პროფილის ავადმყოფის თერაპიულ განყოფილებაში მოთავსება და მკურნალობა და წარმოადგენს მძიმე სამედიცინო დარღვევას!. ისტორიაში მოიპოვება 6 თებერვალს შედგენილი ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს ვინმე ა. როგავა (სავარაუდოდ ექიმი). საფიქრებელია, რომ ეს ფურცელი უნდა იყოს გამომგზავნის მიერ დაწერილი დოკუმენტი. ფურცელში არ არის მითითებული ავადმყოფის ვინაობა (სახელი და გვარი), არ არის მითითებული დაწესებულების სახელი, ექიმის სპეციალობა. ობიექტურ მონაცემებში მოკლედაა აღწერილი მხოლოდ გულისცემა და რომ ფილტვებში მოისმინება ვეზიკულური (შეესაბამება ნორმას) სუნთქვა, ასევე წნევა და ტემპერატურა. გადმოცემულია რამდენიმე ჩივილი და პირდაპირ დასმულია დიაგნოზი (რომელიც კოპირებული აქვს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას). გაურკვეველია ექიმ ა.როგავას სტატუსი და კავშირი ავადმყოფთან, რომ არაფერი ვთქვათ მის მიერ დიაგნოზის დასმის ლოგიკაზე!. უცნობია ასევე თუ ავადმყოფს ჩივილები აღნიშნება უკვე 6 თვეა, რა ღონისძიებები იქნა გატარებული დაავადების დიაგნოსტიკის ან მკურნალობის მიზნით.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს ერთ-ერთი გამონაკლისთაგანი დაწესებულებას, რომელიც ამ ფორმით მაინც აწარმოებს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციას, მაშინ თავისთავად ეს ფაქტი „უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევად“ უნდა ჩაითვალოს. როგორც უკვე აღინიშნა ავადმყოფი მოთავსდა და მას „მკურნალობდნენ“ არაპროფილურ დაწესებულებაში. თუ ვივარაუდებთ, რომ ავადმყოფ რ. მ.-ს მკურნალი ექიმი არის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი სპეციალობით - „ზოგადი თერაპია“ (ვინაიდან იგი თერაპიულ განყოფილებაში მუშაობს), მაშინ იგი მისთვის არაპროფილური ავადმყოფის

სტაციონარული მკურნალობის დროს ეწეოდა საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ - „უკანონო საექიმო საქმიანობას“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შედეგი ავადმყოფის სიკვდილი იყო, მაშინ ცხადია კონკრეტული ექიმის და სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელობის მიმართ უნდა გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული უმკაცრესი ზომები! მით უმეტეს, რომ ისინი მსგავს საქმიანობას საკმაოდ ხშირად ეწევიან და ეს ფაქტები ვრცლად არის ასახული 2006 წლის პირველი და მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებებში.

ასევე გაურკვეველია სამკურნალო დაწესებულებაში, კონსულტაციის ჩატარების მიზნით, რატომ არ მიიყვანეს ექიმი ნეიროქირურგი? თუ ვერც ერთი ექიმი ვერ მიხვდა ნეიროქირურგის მიყვანის აუცილებლობას და შესაბამისად არ დასმულა მისი მოწვევის მიზანშეწონილობის საკითხი, მაშინ მათი კვალიფიკაცია უნდა შეფასდეს, როგორც უკიდურესად დაბალი !.

ისტორიაში მოიპოვება მეტად საინტერესო დეტალები: მაგალითად, 2007 წლის 9 თებერვალს ექიმის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ავადმყოფი „უკონტაქტოა“. აქედან გამომდინარე საინტერესოა როგორ „იძლევა კითხვებზე პასუხებს“, იგივე ავადმყოფი, იმავე ჩანაწერის მიხედვით რაც ასევე დაფიქსირებულია იმავე ექიმის მიერ?

გასაკვირია ასევე ის ფაქტიც, რომ უკონტაქტო ავადმყოფს, ნაცვლად იმისა, რომ ადეკვატური მკურნალობა ჩაუტარდეს ენიშნება ფსიქოლოგის კონსულტაცია. საკვირველია, მაგრამ ფსიქოლოგი ახერხებს უკონტაქტო ავადმყოფთან კონტაქტში შესვლას და დასკვნებიც გამოაქვს.

9 თებერვალს ავადმყოფს ჩაუტარდა რენტგენოლოგიური კვლევა. არ არის მითითებული ამ დროს ავადმყოფი რა პოზიციაში იმყოფებოდა (მწოლიარე, მჯდომარე, ფეხზე მდგომი...) რაც მეტად მნიშვნელოვანია გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევისას. გარდა ამისა, თუ ავადმყოფს ტრავმა გადატანილი ჰქონდა თავის მიდამოში და სამუშაო დიაგნოზი ამას ეფუძნება, რატომ არ გადაუღეს ავადმყოფს გულმკერდთან ერთად თავის მიდამოს რენტგენოგრამაც? გულმკერდის რენტგენოლოგიური კვლევის შემთხვევაშიც დასკვნა არასრულყოფილი და გაუგებარია და შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი სიტყვებით - „ფილტვი - პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნება“. გარდა ამისა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იმისათვის რომ ხარისხიანად და სრულყოფილად გამოირიცხოს ფილტვში პათოლოგიური პროცესი, საჭიროა კვლევისას ავადმყოფი იყოს ვერტიკალურ მდგომარეობაში, და შეასრულოს ექიმის მითითებები. ძნელად წარმოსადგენია, რომ უკონტაქტო და დამაბუნებული ავადმყოფი გარკვეულ პოზიციაში გულმკერდით მიეყრდნო სპეციალურ სამიზნეს, თანაც სწორედ დადგა და სუნთქვაც შეიკავა გარკვეული ხნით (!). მიუხედავად ამისა რენტგენოლოგიური კვლევის დასკვნაში ფილტვის ან/და გულმკერდის სხვა რაიმე პათოლოგია მკაფიოდ და ცალსახად გამოირიცხა.

ისტორიაში აღნიშნულია, რომ 10-11 თებერვალს იყო დასვენების დღეები, თუმცა რაში გამოიხატება მორიგე ექიმის მხრიდან ავადმყოფის მეთვალყურეობა არ ჩანს. აქვე დაფიქსირებულია რომ დანიშნული „გადასხმა ვერ გაკეთდა პაცენტის

აგრესიულობის გამო და გადაიდო“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შემდეგ ხაზში წერია - „თან წამლებსაც არ სვამს ... ავადმყოფი უკონტაქტოა“, მაშინ შეიძლება შეგვექმნას გარკვეული წარმოდგენა კონკრეტულ დაწესებულებაში თუ როგორ აგრესიას იჩენენ უკონტაქტო ავადმყოფები და როგორ ასმევენ მათ წამლებს! ექიმი ჩანაწერში ასევე მითითებულია, რომ „სხვების გადმოცემით ღამე დგება, ეჯახება ნივთებს, ბალანდას ასხამს საწოლში და მერე ზედ წვება“

მომდევნო დღეებშიც, მაგალითად 12 თებერვალს ექიმი კვლავ აფიქსირებს რომ ავადმყოფი უკონტაქტოა, თუმცა გაურკვეველია თუ როგორ დგება უკონტაქტო ავადმყოფი, როგორ მოგზაურობს და როგორ „ასხავს ბალანდას ლოგინში“.

ფსიქიატრი 12 თებერვლის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ გამოხატულია თავის ტვინის ორგანული დაზიანების ნიშნები და საჭიროა ნევროპათოლოგის განმეორებითი კონსულტაცია, თუმცა თუ როდის ჩატარდა ნევროპათოლოგის პირველადი კონსულტაცია ისტორიიდან არ ჩანს. გაუგებარია ის სადიაგნოზო კრიტერიუმები, რითაც ფსიქიატრი საუბრობს ორგანულ დაზიანებაზე. ამასთან ფსიქიატრი მიუთითებს, რომ სასურველია კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარება. ჩანაწერის ბოლოს ფსიქიატრს გამოაქვს დიაგნოზი: „თავის ტვინის ტრავმის შემდგომი მდგომარეობა, ცერებროასტენია“. აღსანიშნავია, რომ ეს დიაგნოზი საბოლოოდ ისტორიაზე გამოტანილი არ არის. კვლავ უცნობია თუ რატომ არავის გაუჩნდა აზრი, დიაგნოზის დაზუსტების ან გამორიცხვის მიზნით, საკონსულტაციოდ ნეიროქირურგი მოეწვიათ?

აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ტაქტიკურად გამართლებული გადაწყვეტილება, რაც ნევროლოგის კონსულტაციის დანიშვნაში გამოიხატება (გამომდინარე ჩანაწერებიდან) რამდენიმე დღის განმავლობაში არ შესრულებულა (4 დღის შემდეგ ინახულა). ნევროპათოლოგი მიუთითებს, რომ ავადმყოფი ჩივილებს ვერ ადგენს, არაადეკვატურია და დავალებებს ვერ ასრულებს. ნევროლოგი არც დიაგნოზს სვავს, არც რაიმე პრონციპულ ცვლილებებს ურჩევს მკურნალობაში, არამედ მოითხოვს ფსიქიატრის კონსულტაციას.

აღნიშნულის შემდეგ ექიმის ჩანაწერში კვლავ ფიგურირებს რომ „სხვების გადმოცემით“ და ა.შ. საინტერესოა რატომ სხვების გადმოცემით? სად არის ამ დროს ექიმი, მორიგე ექიმი, ექთანნი ან თუნდაც რომელიმე პასუხისმგებელი პირი (სამედიცინო პერსონალი?)

14 თებერვლის ჩანაწერის მიხედვით ავადმყოფი „დღეს აღზნებულია, უაზროდ მოძრაობს, შედის პალატებში, წვება სხვის კოიკებში, ხევს ნივთებს და ღეჭავს ქალაღებს. ფანჯარაზე იდო საკმეველი და მთლიანად ჩაყლაპა ... გარშემომყოფთა გადმოცემით შარდავს პალატაში და დერეფანში, საღამოს დანიშნულებას არ სვამს, ექთნებს უშაღიანდება“. ალბათ კომენტარი ზედმეტია! შემდეგ ჩანაწერში ექიმი მიუთითებს, რომ „მორიგე ექიმის გადმოცემით და ა.შ.“ იზადება კითხვა რატომ არ წერს პირადად მორიგე ექიმი ისტორიაში ჩანაწერებს? და საერთოდ არის თუ არა მორიგე მედ- პერსონალისთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო დოკუმენტაცია?

14 თებერვალს ავადმყოფს უტარდება ფსიქიატრის კონსულტაცია. ექიმის ჩანაწერის მიხედვით ავადმყოფი კონტაქტში არ ერთვება, თუმცა იგი კითხვებს პასუხობს (???). სამედიცინო თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, რომ ფსიქიატრი ამ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს უნიშნავს ამინაზინს ინექციის სახით, დიმედროლთან ერთად!

15 თებერვალს, ისტორიაში ჩნდება ჩანაწერი, რომ „პაციენტი კვლავ აღზნებულია, გარშემომყოფთა გადმოცემით ღამე ფაქტიურად არ ეძინა, ჭამს გაზეთებს, კედლიდან ხევს სურათები და იმასაც ჭამს, აყოლებს წყალს. გარშემომყოფნი ძალიან აგრესიულად არიან განწყობილნი ვინაიდან მაგის გამო ღამე არ სძინავთ. ფსიქიატრთან გასაუბრების შემდეგ დილიდან გაუკეთდა 0,5-1% ჰალოპერიდოლი და 1,0 დიაზეპამი. ეძინა 2 საათი, შემდეგ იმყოფებოდა ნახევრად გაბრუებულ მდგომარეობაში. 2 საათში ინახულა ფსიქიატრმა, სადამოთის დაუნიშნა ჰალოპერიდოლი 0,5-1% და 1,0 დიაზეპამი“.

მომდევნო ჩანაწერში (რიცხვი და საათი არ იკითხება, თუმცა საათების მითითებით აქ მაინცდამაინც თავს არც იწუხებენ!) – „ორივე ექიმის გადმოცემით (რომელი ორივე???) ღამის 12 საათამდე ავადმყოფი წყნარად იყო. მის შემდეგ, თანაპალატელების გადმოცემით დააპირა ადგომა, წონასწორობა ვერ დაიცვა და წაიქცა, საწოლის კიდეზე ჩამოარტყა მარცხენა თვალი. ობ.: მარცხენა თვალბუდის არეში აღენიშნება სისხლნაჟღენთი. ავადმყოფი გაბრუებულია, განმეორებით გაუკეთდა ჰალოპერიდოლი 0,5-1% + დიაზეპამი 1,0. შემდეგ დაიძინა“.

შემდგომი ჩანაწერი, რომელიც 16 თებერვლით თარიღდება საერთოდ არ იკითხება. ასევე იეროგლიფების სტილშია სავარაუდოდ ექიმის ხელმოწერაც. იდენტიფიკაცია გამწვანებულია!

17 თებერვალს - „ავადმყოფი კონტაქტში არ შემოდის, თუმცა რეაგირებს კითხვების დასმის დროს“ (რა ფორმით რეაგირებს გაურკვეველია). ამ დროიდან უკვე ფილტვებში ჩნდება ხიხინი.

18 თებერვალს მოროგე ექიმი აფიქსირებს, რომ „გამოძახებული ვიყავი ავ. რ.მ.-სთან“. საინტერესოა საიდან იძახებენ მორიგე ექიმს და რატომ არ არის ის განყოფილებაში თუ ის მორიგეა? ამ უკანასკნელის ჩანაწერის მიხედვით ავადმყოფი „საწოლის ფარგლებში“ უგონო მდგომარეობაშია, პულსი არ ისინჯება, წნევა არ იზომება, აღინიშნება მუცლისმიერი ზედაპირული სუნთქვა. გუგის რეაქციები სინათლეზე და გამღიზიანებელზე არ აღენიშნება... ამავე ჩანაწერით ირკვევა, რომ ავადმყოფი გადაყვანილია რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც გამოძახებულ იქნა ექიმი რეანიმატოლოგი (!).

სავარაუდოდ გამოძახებული ექიმი რეანიმატოლოგი ჩანაწერს აკეთებს ისტორიაში არასახელმწიფო - რუსულ ენაზე. მისი შინაარსი სპეციფიკური კალიგრაფიის გამო არ იკითხება.

მომდევნო ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ავადმყოფი არის კომატოზურ მდგომარეობაში. ინტრავენურად ესხმევა გლუკოზა, რინგერი და ფიზიოლოგიური

ხსნარები. იბადება კითხვა ნუთუ რეანიმატოლოგის გამოძახების გარეშე, რეანიმაციულ განყოფილებაში შეუძლებელი იყო ფიზიოლოგიური ხსნარის გადასხმა? და არის თუ არა მხოლოდ აღნიშნული ღონისძიებების გატარება ამ მდგომარეობის ადეკვატური მკურნალობა?

შემდგომ ჩანაწერში ნათქვამია, რომ ავადმყოფი „ზედა კიდურებით გვეწინააღმდეგება წნევის გაზომვისას (თუმცა არ არის განმარტებული თუ რატომ არ იქნევს ამ დროს ფეხებს???)“, კითხვებზე ვერ პასუხობს მაგრამ ცდილობს“. აქვეა მითითებული რომ რაც მთავარია „დანიშნულება სრულდება“ (!).

შემდეგი კურსუსის მიხედვით „ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა“. შემდეგ ექიმი უფრო შორს მიდის, იგი წერს, რომ „გონება არ აღინიშნება, იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში, რეფლექსები არ აღინიშნება, გუგები შევიწროვებულია“. რაც მთავარია ექიმის აზრით „ავადმყოფს უტარდება და უგრძელდება ინტენსიური თერაპია“.

მომდევნო დღისათვის (19 თებერვალი), „ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა რჩება მძიმედ“ აღენიშნება კომატოზური მდგომარეობა, ჰიპორეფლექსია და მიოზი... უგრძელდება დანიშნული მკურნალობა“. 8-დან 10 საათამდე ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, აღინიშნება არეფლექსია და მიდრიაზი“. „სუნთქვა ერთეული 8-10 წთ-ში“. ფილტვებში მოისმინება მრავლობითი სველი ხიხინი ორივე ფილტვში (თანაც) თანაბრად (!). „გულის ტონები მკვეთრად მოყრუებული, პულსი ძაფისებური, სუსტი ავსების. აქვე მითითებულია, რომ ავადმყოფს უგრძელდება ინტენსიური თერაპია წვეთოვნად ვენაში ესხმევა დოპამინი, პოლიგლუკინი და ავადმყოფს უტარდება ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია რესპირატორის საშუალებით.

მომდევნო 1 საათის განმავლობაში ვხვდებით ახალ ჩანაწერს. აქ მითითებულია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა „კიდევ უფრო დამძიმდა“. გაუგებარია, რატომ არ მიმართავენ ამ დაწესებულების თანამშრომლები საყოველთაოდ მიღებულ შკალებს (რომლებიც გამოიყენება კრიტიკულ მდგომარეობებში) და ამის ნაცვლად იყენებენ განსხვავებულ მიდგომას დაავადების სიმძიმის სისტემატიზაციასთან დაკავშირებით, რაც სამედიცინო თვალსაზრისით მიუღებელია. ამავე კურსუსში უკვე ჩნდება ცნობა, რომ „ავადმყოფი ინტუბირებულია“, თუმცა გაურკვეველია როდის. „მკურნალობის“ სქემაში ირთვება დექსამეტაზონი და პრედნიზოლონი.

20 თებერვლისათვის ავადმყოფის მდგომარეობა „არსებითად არ შეცვლილა“. „გამოხატულია ჰიპოტენზია, წნევა 40/0 და არეფლექსია. რამდენიმე საათში ავადმყოფის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, აღენიშნება ჰიპორეფლექსია და ჰიპოტენზია. ასევე მიდრიაზი, სკლერა მშრალი, თვალის კაკლები ფიქსირებული“.

დღის 10 საათისთვის ავადმყოფის მდგომარეობა რჩება უკიდურესად მძიმე. იმყოფება ხელოვნურ სუნთქვაზე, აღენიშნება რეფლექსების დათრგუნვა. „უგრძელდება მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა და დანიშნული ინტენსიური თერაპია“.

შუადღის 1 საათისათვის „ავადმყოფის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. საავადმყოფოს ტერიტორიაზე ელ. დენის გამოთიშვასთან დაკავშირებით 10:15-დან იმყოფება ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე ამბუს პარკის საშუალებით. ობიექტურად პულსი პერიფერიაზე არ ისინჯება, არტერიული წნევა არ იზომება“. ყველაზე საინტერესო კი ის ფაქტია, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ავადმყოფს წნევა არ ესინჯება, თუმცა ექიმის ჩანაწერით ავადმყოფი შარდს მაინც გამოყოფს! მართალია სულ რაღაც 100 მლ-ს, მაგრამ მაინც.

უკანასკნელი ჩანაწერი
(სტილი დაცულია)

„14⁰⁰ მიუხედავად აღნიშნული მკურნალობისა აღინიშნა გულის გაჩერება. ინტრავენურად შეყვანილ იქნა ადრენალინის ხსნარი. ავადმყოფი იმყოფება ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე. აპარატი Ro-6. დაეწყო გულის არაპირდაპირი მასაჟი. ინტრავენურად შეყვანილ იქნა (არ იკითხება) და კოფეინი. ინტრავენურად ნაკადურად მიდის პოლიგლუკინი 500,0, რინგერი 500,0. ინტრაკარდიალურად შეყვანილ იქნა ადრენალინი + ნატრიუმის ქლორიდი. გრძელდება ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია და გულის არაპირდაპირი მასაჟი. აღნიშნული ღონისძიებები ჩატარებულ იქნა რამდენიმეჯერ 40 წუთის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, 14⁴⁰ დაფიქსირდა სიკვდილი“.....

აღსანიშნავია, რომ ისტორიაში არსებული ჩანაწერები არათანმიმდევრულია, ნუმერაცია დარღვეულია. ისტორიაში მოიპოვება 2 დანიშნულების ფურცელი, ბლანკი და მასზე მითითებულია რომ ის ეკუთვნის „თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკას, კერძოდ კარდიოლოგიურ განყოფილებას. მსგავსი სატიტულო წარწერების მიუხედავად, ორივე ბლანკი აშკარად განსხვავებულია. საინტერესოა რატომ გაჩნდა ეს ფურცლები ისტორიაში? საბოლოო ეპიკრიზში ექიმს გამოაქვს დასკვნა, რომ სიკვდილის მიზეზია - „ქალა-ტვინის ტრავმის შემდგომი მდგომარეობის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა“. მეტად საინტერესოა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში დიაგნოზში ჩნდება ჩამატება - თავის ტვინის მოცულობითი პროცესი. კონკრეტდება ასევე, რომ მოცულობითი პროცესი შუბლის წილში მდებარეობს. გარდა იმისა, რომ საინტერესოა საიდან გაჩნდა ეს ჩანაწერი, თვით ფაქტი აღმაშფოთებელია. ისტორიაში არსად არ არის აღნიშნული ვინ დასვა მოცულობითი პროცესის დიაგნოზი, თუ დასვა რა იგულისხმება მასში (სიმსივნე? როგორც მას ხშირად აღნიშნავენ?), ან რატომ არ აჩვენეს ავადმყოფი ნეიროქირურგს, მით უფრო რომ ქალა ტვინის ტრავმა რამდენჯერმე „ფიგურირებს“ ისტორიაში. საინტერესოა ის ფაქტიც რომ ექიმებმა უდიდესი „გულისხმიერება“ გამოიჩინეს, როდესაც გულის არაპირდაპირი მასაჟი 40 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. საინტერესოა რატომ არ იჩენდნენ ისინი ამგვარ გულისხმიერებას პაციენტის სიცოცხლეში?

ზემოთ მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს ფაქტობრივად 29 წლის ახალგაზრდა პაციენტის „სამედიცინო მკვლელობის“ დინამიკას. მასში მონაწილეობდა ყველა ის პირი, რომელიც უშუალოდ აწერს ხელს ისტორიაში ან თუნდაც თავისი უმოქმედობით გულგრილად შეჰყურებდა განვითარებულ მოვლენებს. უმთავრესი მიზეზი კი ალბათ მაინც ის დაწესებულებაა, რომელშიც ეს ტრავედია განვითარდა. დაწესებულება, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის

სისტემას, მასზე არ ვრცელდება ჯანდაცვის კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, კანონქვემდებარე აქტები და საექიმო ეთიკის არანაირი პრინციპები.

ადეკვატური მკურნალობის პირობებში, რ. მ.-ს მდგომარეობიდან გამოსვლისა დიდი შანსი ჰქონდა (თუმცა ამის გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია) ან ბოლოს და ბოლოს ღირსეული სიკვდილისა.

პაციენტ რ.მ.-ს სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვნილ იქნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ნათელი მოეფინოს პაციენტ რ.მ.-ს სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს. დასკვნის პირველივე ფურცლიდან ირკვევა, რომ საქ. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამომძიებო სამსახურის დადგენილება არ არის მითითებული. აქვე ირკვევა, რომ გვამის გაკვეთა ჩატარებულია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების პროზექტურაში 2007 წლის 21 თებერვალს 13:30-დან 15:00 საათამდე. ექსპერტიზა დასრულდა 5 მარტს. გამოძიება სასამართლო სამედიცინო ექსპერტს მხოლოდ 2 კითხვას უსვამს (1. როდის დადგა რ.მ.-ს სიკვდილი და რა არის მისი გარდაცვალების მიზეზი? 2. აღენიშნება თუ არა რ. მ.-ს გვამს რაიმე სახის დაზიანება ან ჭრილობები, დადებით შემთხვევაში განისაზღვროს მათი განლაგება სხეულზე ცალ-ცალკე და ერთობლიობაში, მიყენების მექანიზმი, ლოკალიზაცია, ხანდაზმულობა, რომელი მათგანი შეიძლება ყოფილიყო მისი გარდაცვალების მიზეზი?). „სამედიცინო საბუთის მონაცემები“-ს მიხედვით, არაერთხელ არის მოცემული რომ „ფილტვებში ვეზიკულური სუნთქვა“ აღინიშნება (9 თებერვალი). „9 თებერვალი 2007 წელი, გულმკერდის № XXX რენტგენოგრაფია - ფილტვების პათოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნება. რენტგენოლოგის გადმოცემით, რენტგენოგამოკვლევაზე უარს ამბობდა. პაციენტმა რენტგენოაპარატთან აგრესია გამოავლინა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ეპიზოდებში მიუთითებს, რომ სამედიცინო დოკუმენტებში „ჩანაწერი ვერ იკითხება“. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლის საკითხებთან დაკავშირებით ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება თუ ექსპერტიზის დასკვნაში წავიკითხავთ შემდეგ ფრაზას – „გვამს და ტანსაცმელზე ახვევია ტილები. პირისახეზე მოზრდილი აქვს წვერ ულვაში... უკანა ტანის მიდამო მოსვრილია მოყავისფრო ფერის განავლოვანი მასებით, ასევე ტრუსი და შორისის მიდამოც...“. შინაგანი გამოკვლევის ნაწილში აღწერილია მნიშვნელოვანი ტუბერკულოზური დაზიანებები, რომლებიც მოიცავს ტვინის მაგარ გარსს, ღვიძლს, ნაწლავებს, ბადექონს, ლიმფურ ჯირკვლებს და რა თქმა უნდა ფილტვებს. („ხორხის, სასულესა და ბრონქების ლორწოვანები დაბინდულნი. მათ ლორწოვანებზე აღინიშნება დიდი ოდენობით მორუხო მოყვითალო ფერის მყრალი სუნის მქონე ლორწოვანი ქაფიანი სითხე... ორივე ფილტვის პარენქიმის სისქეში აღინიშნება მოყვითალო-მორუხო ფერის ხაჭოსებრი მასით სავსე ღრუები, რომელთა კედლები დაღრღნილი და უსწორმასწოროა. ორივე ფილტვის ქვემო წილები ალაგ ხელით გასინჯვისას შედარებით მომკვრივო, ჰაერგაუმტარი უბნები. ფილტვის კარისა და ბრონქიალური ლიმფური ჯირკვლები გადიდებულია ზომაში, განაკვეთზე ჭუჭყიანი, მორუხო მოწითალო...“). დამატებითი გამოკვლევების შედეგებით ირკვევა, რომ რ.მ.-ს აღენიშნებოდა - „თავის ტვინის ტუბერკულოზური მენინგიტი... გულის სუსტად გამოხატული დიფუზური კორონაროკარდიოსკლეროზი... ფილტვების მილიარული

ტუბერკულოზი, პარენქიმაში მრავლობითი კაზეოზური ნეკროზის კერები... ბქონქიტი, კაზეოზური პნევმონიის კერები... პნევმოსკლეროზი... ფილტვის კართან ლიმფური კვანძი...კაზეოზური ნეკროზის უბნები... ღვიძლის ჰეპატოციტების ცილოვან-ცხიმოვანი დისტროფია, მრავლობითი ტუბერკულოზური ხორკლები კაზეოზური ნეკროზის კერები... ნაწლავში - კუნთოვან და სეროზულ გარსში მრავლობითი ტუბერკულომები - კაზეოზური ნეკროზის უბნები... თირკმლების ქრონიკული პიელონეფრიტი, ინტრაკაპილარული გლომერულონეფრიტი“. საბოლოო ჯამში ექსპერტიზა წერს, რომ რ.მ.-ს „სიკვდილის მიზეზია მძიმე ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა ... გვამს გარეგნულად აღენიშნებოდა მრავლობითი ნაჭდეგები - შუბლის არეში მარცხნივ, მარცხენა თვალბუდის გარეთა კიდესთან, ცხვირის ზურგზე, მარცხენა სხივ-მაჯისა და ამავე მუხლის სახსრის არეში. დაზიანებები მიყენებულია სიცოცხლის პერიოდში მკვრივი და ბლაგვი საგნის მოქმედებით. ატარებენ მსუბუქი ხასიათის დაზიანებათა ნიშნებს და მათ სიკვდილის გამოწვევა არ შეეძლოთ“. მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ავადმყოფობის ისტორიის მიხედვით პაციენტს გულის, ფილტვის, თირკმელების, ღვიძლის მხრივ არანაირი პრობლემა არ ჰქონია. უფრო მეტიც, რენტგენოგრამაზე რაიმე პათოლოგიური ნიშანი ფილტვებზე ვერ იქნა ნანახი. ვერ იქნა ამოცნობილი ფილტვების ანთება და ბრონქიტი. ისტორიაში ნახსენებია, რომ ავადმყოფი წაიქცა და მიიღო ტრავმა, თუმცა სიცოცხლის პერიოდში არ იქნა აღწერილი ყველა ის დაზიანება, და არ შეფასებულა მათი სიმძიმე. ამ უკანასკნელზე კი განსაკუთრებით უნდა გამახვილებულიყო ყურადღება პაციენტის პათიმრობაში ყოფნის გამო. იმ შემთხვევაშიც კი, პაციენტისათვის დასმული დიაგნოზი რომ დადასტურებულიყო, მკურნალობის პროცესი აშკარად შეუსაბამოდ მიმდინარეობდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გარემოებაა, რომ თავის ტვინის ორგანულ დაზიანებაზე ექვის მიტანის შემთხვევაშიც კი წინააღმდეგ ნაჩვენებია ისეთი პრეპარატების გაკეთება, როგორცაა ჰალოპერიდოლ ან ანამინაზინი (!!!!) ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ პაციენტს შეგნებულად ან უცოდინრობით აყენებ ზიანს (შესაძლებელია სიკვდილითაც დასრულდეს). განსაკუთრებით გაოცებას კი ის ფაქტი იწვევს, რომ ამ პრეპარატებს პაციენტი იღებდა ნევროპათოლოგისა და ფსიქიატრის დანიშნულებით, რომლებსაც პროფილიდან გამომდინარე პირველ რიგში უნდა ესმოდეთ თუ რაოდენ საშიში შედეგი შეიძლება დადგეს ამგვარი ქმედებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ საქმე ეხებოდა ტუბერკულოზურ მენინგიტს, რატომ ვერ ამოიცნო ნევროლოგმა მენინგეალური ნიშნები, რომელიც ნევროლოგიის ყველაზე უფრო ელემენტარულ ცნებებს წარმოადგენს და ნაკლები შანსია რომ ისინი ამოცნობილი ვერ ყოფილიყო თუნდაც სუსტად გამოხატული ფორმით არსებობისას. ასევე ეჭვქვეშ დგება იმ ექიმთა (მით უფრო თერაპევტთა) კვალიფიკაციის საკითხი, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ისმენენ „ვეზიკულურ სუნთქვას“ ფილტვებში, იმ ფონზე, როდესაც გაკვეთით დგინდება სერიოზული ცვლილებები ფილტვებში, ფაქტობრივად მათ დაშლამდე. ან თუნდაც რატომ ვერ დაინახა რენტგენოლოგმა ეს ცვლილებები რენტგენოგრამაზე??? საბოლოო ჯამში, გამოქვეყნებული დიაგნოზი კარდინალურად განსხვავდება რეალურად არსებულისაგან!

ვინაიდან სიკვდილი ბიოლოგიური თვალსაზრისით შეუქცევადი პროცესია, ამ შემთხვევაში რაიმეს გაკეთება უკვე შეუძლებელია. კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებაში ავადმყოფთა შელახული ჯანმრთელობის აღდგენისა და შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საკითხია თუ ვინ

იქნება შემდეგი მსხვერპლი? სავსებით შესაძლებელია შემდეგი პაციენტი იყოს ის ვისაც მიუერთებენ ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის იმ ერთადერთ აპარატს (Po-6), რომლითაც ასუნთქებდნენ ტუბერკულოზით დაავადებულ მომაკვდავ პაციენტს. რა თქმა უნდა არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ თუნდაც თეორიულად დავუშვათ სუნთქვის აპარატის სათანადოდ დამუშავების ალბათობა! აღნიშნულ საქმეზე ვრცლად ვისაუბრე 2006 წლის საპარლამენტო მოხსენებაში, ასევე საკითხის შესწავლის მიზნით მასალები (სამედიცინო დოკუმენტაცია და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა) გადავუგზავნე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, რომელიც უფლებამოსილია აკონტროლოს სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარისხი ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. თავის მხრივ, სააგენტომ, პაციენტის დოკუმენტაცია რეცენზიისათვის გადაუგზავნა საქართველოს ექიმთა ასოციაციას, სადაც აღნიშნული საკითხის შესასწავლად შეიქმნა სპეციალური მულტიდისციპლინური საექიმო კომისია, რომელშიც შეყვანილ იქნა სხვადასხვა დარგის 5 ექიმი-სპეციალისტი. ასოციაციას ასევე გასაცნობად გადაეგზავნა სახალხო დამცველის აპარატის პაციენტის უფლებების დაცვის ცენტრის ექსპერტის, ლევან ლაბაურის მიერ მომზადებული დასკვნა.

ასოციაციის დასკვნის მიხედვით, გამოიკვეთა პაციენტის მკურნალობაში მონაწილე ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით დაეშვათ სააგენტოს თანამშრომლები. აღნიშნულ წერილზე დეპარტამენტს წერილობით არ უცნობებია, შესაბამისად სააგენტომ საშვის მიღების ლოდინში თვეების განმავლობაში საკითხის შესწავლა შეაჩერა. სახალხო დამცველის აპარატმა მოსთხოვა პასუხი სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, თუ რატომ ჭიანურდებოდა სააგენტოს თანამშრომლებზე ნებართვის გაცემა. დეპარტამენტიდან გვეცნობა, რომ საშვის ოფიციალურად დაშვება არ მომხდარა, თუმცა მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მივიდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და განახორციელონ საქმიანობა.

ნათლად ჩანს, რომ ორ სახელმწიფო უწყებას შორის, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებლები არიან პატიმრის ბედზე და ზოგადად ციხის სამკურნალო დაწესებულებაში ქვეყანაში არსებული სტანდარტებით მკურნალობაზე, არ არსებობს კოორდინაცია და სახალხო დამცველის აპარატის მეშვეობით ურთიერთობენ, რაც საბოლოო ჯამში აზიანებს პატიმარ პაციენტთა ინტერესებს. აქვე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ სრულყოფილი დასკვნის შემუშავება ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან რომეო მარგველიანის საქმეში იკვეთება დანაშაულის ნიშნები სამედიცინო პერსონალის მხრიდან, ხოლო ეს დასკვნა საფუძვლად უნდა დაედოს გამოძიების დაწყებას. ხოლო საქმის დროული გამოუძიებლობა და შესწავლა საფრთხის წინაშე აყენებს იმ პატიმარ პაციენტებს, რომლებსაც „მკურნალობს“ რომეო მარგველიანის დალუპვაზე პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალი.

დანართი # 6

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

ლონდა წიტაიშვილის საქმე

2006 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე **ლონდა წიტაიშვილი**, 2004 წლის 2 ნოემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების მიხედვით ლონდა წიტაიშვილის სააპელაციო სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 29 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილება და მოპასუხე მხარეს-სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ოზურგეთის ფილიალს დაეკისრა ლონდა წიტაიშვილის სასარგებლოდ 3182.24 ლარის გადახდა. სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხებიდან (04/03-09წ, 04/03-15წ.) გამომდინარეობს, რომ მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემდეგ, აღნიშნული საქმე წარმოებაში გადაეცა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს და მოვალის მიმართ დაიწყო იძულებითი აღსრულება. რასაც კრედიტორის განმრტებით, ასევე არ მოჰყოლია გადაწყვეტილების აღსრულება.

ვინაიდან, ადგილი ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, რომელიც არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, გაგზავნილი იქნა რეკომენდაცია, რათა სააღსრულებო დეპარტამენტს გაეტარებინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და დროულად მომხდარიყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

მიღებული პასუხის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა გამოარკვია, რომ საინკასო დავალება არ შესრულდა, რადგან, მოცემული დროისათვის შეიცვალა მოვალე ორგანიზაციის-სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საბანკო ანგარიშები და საინკასო დავალებას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ მოჰყოლია.

ნათელა გოდერიძემ, ელეონორა ბექაურმა, მანანა ჯავახიშვილმა და სხვების საქმე

2006 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართა კორპორაცია “ქოლორის“ შპს “ანთას“ დაზარალებულმა მენაბრეებმა: ნათელა გოდერიძემ, ელეონორა ბექაურმა, მანანა ჯავახიშვილმა და სხვებმა. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ კახეთის სააღსრულებო ბიურო არ ახდენს მათ სასარგებლოდ გამოტანილი სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას წლების განმავლობაში, ამასთან არაერთი სააღსრულებო ფურცელი დაიკარგა თავისი სააღსრულებო წარმოებებით, მოიპოვეს ახალი სააღსრულებო ფურცლები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გაწეულია სოლიდური ხარჯები. სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლებიდან ზოგი ნაწილობრივ არის აღსრულებელი, ზოგის აღსრულება დღემდე არ არის დაწყებული. ზოგიერთ სააღსრულებო წარმოებაზე გაწეული წინასწარი ხარჯები რამდენჯერმე აღემატება იძულებითი აღსრულების დროს ამოღებული თანხების და ქონების ღირებულებას, რაზეც ქალბატონმა ნათელა გოდერიძემ წარმოადგინა გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. მისივე განმარტებით, ეს მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რეალურად გაწეული ხარჯების რაოდენობას და ითხოვს გაწეული ხარჯების გაანგარიშებას “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

სახალხო დამცველის აპარატში შემოტანილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე და განმცხადებელთა მითითების მიხედვით, აღსრულებას ექვემდებარება შემდეგი სააღსრულებო ფურცლები:

1. დედოფლისწყაროს სასამართლოს 2004 წლის 4 თებერვლის სააღსრულებო ფურცელი #07/1186 და 2004 წლის 22 დეკემბრის #2/153 სააღსრულებო ფურცელი. ამ სააღსრულებო ფურცლების მიხედვით კრედიტორებს უნდა გადაეცეს სს “არხილოსკალოს“ სალიკვიდაციო ბალანსიდან სხვადასხვა ქონება, ესენია: მეცხოველეობის კომპლექსი #2 ფერმის გარდა მთლიანად, ამბულატორიის ორსართულიანი შენობა, ავტოპარკი, ჩარხა-დაზგები, ვეტამბულატორიის შენობა, მარცვლეულის სატვირთი, მარცვლეულის საწმენდი, მარცვლეულის სანიავებელი, ამასთან ამოღებული უნდა იქნეს დარჩენილი 1103 აშშ დოლარი.

განმცხადებელთა განმარტებით, დასახელებული სააღსრულებო ფურცლების აღსრულება საერთოდ არ არის დაწყებული. საყურადღებოა, რომ სს “არხილოსკალოდან“ თანხების ამოღებისათვის მენაბრეთა ჯგუფს მოპოვებული აქვს სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებებით და განჩინებებით სააღსრულებო ფურცლები ერთი და იგივე თანხაზე, და ერთი და იგივე ქონებაზე, იმ მოტივით, რომ არ ხდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება.

2. 2000 წლის 8 მაისის სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, თ.ხუციშვილის ავტომანქანა “კამაზის“ (სახელმწიფო ნომრით RBF-329) დაყადაღებაზე. სააღსრულებო ფურცელი დაკარგული იქნა აღმასრულებლების მიერ და სააღსრულებო ბიუროში საერთოდ ვერ იქნა მოძიებული. მისი ასლი განჩინებასთან ერთად მოქალაქეებმა წარმოადგინეს და თან ერთვის დოკუმენტებს (იხ. დანართი).

3. აღსასრულებელია 2005 წლის 3 ოქტომბერს დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე 2006 წლის 30 აგვისტოს გამოტანილი #2/4-06 სააღსრულებო ფურცელი. რომლის პირველი პუნქტი მოიცავს ამავე სასამართლოს 1999 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების და 1999 წლის 16 აპრილის განჩინებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნათა ნაწილს. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით გადასახდელი თანხის სრული ოდენობიდან- 57 687,98 დოლარიდან მოვალე კოოპერატივმა “ქვემო ქედმა“ მოახდინა ნებაყოფლობითი აღსრულება 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით, მაგრამ ამ აქტში ჩამოთვლილი ქონების ნაწილი-ავტომანქანა “კამაზი“ ხუციაშვილისგან, მეცხოველეობის კომპლექსის იზოლატორი ჩხოზაძისგან, აღმასრულებელმა ნ.ბულაშვილმა გაყიდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ. საერთო ჯამში დასახელებული სააღსრულებო ფურცლით, როგორც მენაბრეთა ჯგუფის წარმომადგენელმა ნათელა გოდერიძემ განმარტა კოოპერატივ “ქვემო ქედიდან“ აღსრულებას და მოვალისაგან ამოღებას ექვემდებარება 20 000 ლარი. 2006 წლის 30 აგვისტოს გაცემული #2/4-06 სააღსრულებო ფურცლის მეორე პუნქტით სასამართლომ კორპორაცია “ქოლორის“ შპს “ანთას“ უფლებამონაცვლედ ცნო ზემოაღნიშნულ მენაბრეთა ჯგუფი. იმისათვის რომ მოხდეს უფლებამონაცვლეზე ქონების გადაცემა, უნდა განხორციელდეს შპს “ანთას“ ყოფილი ხელმძღვანელების მემკვიდრეობით ქონების მოძიება, მისი არსებობის ან არარსებობის დადგენა, რაც გაფორმებული იქნება შესაბამისი აქტით. ყველა შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და იგი ბოლომდე უნდა იქნეს აღსრულებული.

4. აღსრულებას ექვემდებარება 2003 წლის 10 ნოემბრის სააღსრულებო ფურცელი საქმე #2^ბ/1966-02წ, გაცემული თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 4 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებაზე, დედოფლისწყაროს სასამართლოს მიერ 2004 წლის 20 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი საქმე #2/29 და დედოფლისწყაროს სასამართლოს მიერ 2006 წლის 12 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი საქმე #2/1-02, რომელთა თანახმად, უნდა მოხდეს კოოპერატივ “ქვემო ქედიდან“ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება ჩაბარების აქტით სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად თანხის სანაცვლოდ გადაცემული სხვადასხვა უძრავ-მოდრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და ამ ქონების მესაკუთრეებზე ჩაბარება. განმცხადებელთა წარმომადგენლის ნათელა გოდერიძის მითითებით და სააღსრულებო ფურცლების მიხედვით მენაბრეებს უნდა გადაეცეს შემდეგი ქონება:

სია მოყვანილია 2006 წლის 12 მაისის #2/1-02 სააღსრულებო ფურცლის მიხედვით: აფთიაქის შენობა ნ.მარაულისგან, საწყობი ე.მარაულისგან, ავტომანქანა ზილ-131 ნ.წიკლაურისგან, ავტობუსი გ.ნათათრალიშვილისგან, ტრაქტორი დტ-75 გ.ხუციაშვილისგან, ტრაქტორი ტ-25 თ.ოხანაშვილისგან, ავტომანქანა გაზ-53 თ.ოხანაშვილისგან, ტრაქტორი მტზ-80 კ.ხუცურაულისგან, ტრაქტორი ტ-25 გ.დარძულისგან, ავტომანქანა კამაზი გ.ჩიტოშვილისგან, ტრაქტორი მტზ-80 ნ.ბაინდურაშვილისგან, ტრაქტორი მტზ-80 ზ.ხორნაულისაგან, ავტომანქანა ზილ-130 ზ.ქუმსიაშვილისაგან.

2004 წლის 20 მაისის #07/1185 გაცემული საქმე #2/29-ზე სააღსრულებო ფურცლის მიხედვით: ხორბლისა და მზესუმზირის სათესი პ.ტოხიშვილისგან, მეღორეობის ფერმა გ.ქავთარაძისგან, ტრაქტორი მტზ-80, მზესუმზირის სათესი და ლაფეტი თ.ბურდულისგან, აგურის ქარხანა ნ.პაპიაშვილისგან, გუთანი გ.ხუციაშვილისგან.

განმცხადებელთა განმარტებით, მათ სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი აქტით გადაეცათ ფერმები და საწყობი, მაგრამ იგი ისევ დაიკავეს თავდაპირველმა მფლობელებმა და ისევ აღმოჩნდა უკანონო მფლობელობაში. ამის შემდეგ მეანაბრებმა სასამართლოს გამოაწერინეს 2006 წლის 12 მაისის სააღსრულებო ფურცელი და საქმე აღნიშნული ქონების გადაცემის ნაწილში ისევ იქნა მიქცეული აღსასრულებლად.

5. დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება დედოფლისწყაროს სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომელზეც 2006 წლის 28 აპრილს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი #2/91, კოოპერატივ “ქვემო ქედის“ ა.ხარხელაურის, თ.კურეტიშვილის, დარძულის, ჩიტოშვილის და სხვების მიმართ, მათი უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღებაზე 500 000 ლარის ფარგლებში.

6. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 სექტემბრის სააღსრულებო ფურცელი #51, რომლის თანახმად, კორპორაცია “ქოლორის“ მეანაბრეთა ჯგუფის სასარგებლოდ ყადაღა დაედო სს “მშვიდობის“ უძრავ-მოძრავი ქონებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღსრულებას ექვემდებარებოდა ამავე #51 საქმეზე დედოფლისწყაროს სასამართლოს 2000 წლის 31 ივლისის და 2001 წლის 16 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილებები. აღმასრულებელმა გ.მჭედლიშვილმა კრედიტორებს აცნობა, რომ გადაწყვეტილება აღსრულდა და ყადაღა დაედო სს “მშვიდობის“ ქონებას, მაგრამ ნ.გოდერიძის განმარტებით, საჯარო რეესტრის წერილის თანახმად ყადაღა დადებული არ აღმოჩნდა და საარსრულებო წარმოება საერთოდ დაიკარგა, რის გამოც მეანაბრები და მისი წარმომადგენელი იძულებული გახდნენ განმეორებით მიემართათ სასამართლოსათვის და მოეხდინათ ახალი სააღსრულებო ფურცლის გამოწერა.

მეანაბრეთა განმარტებით, ასევე, არ ხდება სს “არხილოსკალოდან“ “ქოლორზე“ გადაცემული სამი ტრაქტორის ტ-150-ის შეფასება, აუქციონზე გატანა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა, რომელიც აღმასრულებელ გ.მჭედლიშვილის წერილით დაყადაღებული იყო და საჭირო იყო ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია. გოდერიძის განმარტებით, დაუდგენელია ვის ჩაბარდა ეს ქონება შესანახად და სად იმყოფება დღეისათვის.

ყველა ზემოთმოყვანილ სააღსრულებო ფურცელზე სააღსრულებო ბიუროში იძულებითი აღსრულების მოთხოვნით შეტანილი განცხადებების ასლები წარმოდგენილია სახალხო დამცველის აპარატში.

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქონების გადაცემის დროს სასამართლო აღმასრულებელი ხელმძღვანელობს მისთვის მე-17 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი წესების მიხედვით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, იძულებითი აღსრულების დროს აღმასრულებელი უფლებამოსილია აწარმოოს:

ბ) მოვალისაგან იმ საგნების ჩამორთმევა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით კრედიტორს უნდა გადაეცეს;

გ) კანონის შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული სხვა ღონისძიებები.”

როდესაც საქმე ეხება ფულის ან ქონების გადახდევინებას, სასამართლო აღმასრულებელი მოვალისათვის გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების წინადადების ჩაბარებასთან ერთად, დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას და დაყადაღებას, რომლის (როგორც უძრავი ისე მოძრავი ქონების) იძულებითი წესით რეალიზაცია უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ დაუშვებს სასამართლო აღმასრულებელს, რათა მან განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია მოიწვიოს სააღსრულებო პოლიცია.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ არ არის შესრულებული “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნები, უგულებელყოფილია ამავე კანონის 25-ე მუხლი, რომლის თანახმად აღსრულება იწყება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზემოთ დასახელებულ კონკრეტულ შემთხვევებში მართალია სააღსრულებო ფურცლები არაერთხელ გამოიწერა სხვადასხვა სახით, ერთი და იგივე მოთხოვნის აღსასრულებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ არის დაწყებული ზოგიერთი სააღსრულებო ფურცლის აღსრულება და კრედიტორთა კანონიერი მოთხოვნები წლების განმავლობაში არ არის აღსრულებული. ყოველივე ეს იწვევს კრედიტორთა უფლებების შელახვას, ვინაიდან, სასამართლო აღმასრულებელს, გარდა “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 33, 34 და 35-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ შეუძლია კრედიტორის წერილობითი განცხადების გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს სააღსრულებო მოქმედებები, დაუბრუნოს კრედიტორს სააღსრულებო საბუთები, სხვა დროისათვის გადადოს სააღსრულებო მოქმედების შესრულება, ამორიცხოს ყადაღადადებული ქონება აღწერის სიიდან. ასეთი მოქმედებები სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია შეასრულოს სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

გარდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა, განმცხადებლები ითხოვენ სააღსრულებო გაანგარიშების სრულად შედგენას და 1997 წლიდან დღემდე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე გაწეული ხარჯების გაანგარიშებას და “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და 38-ე მუხლების საფუძველზე მოვალეებიდან ამოღებას, რაც სავსებით კანონიერია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ზ” პუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტონ მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, ასევე, დაეხმარონ მათ მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის პასუხად სააღსრულებო დეპარტამენტიდან წარმოდგენილ წერილში მითითებულია, რომ რეკომენდაციაში დასახელებულ საქმეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილია აღსრულებული და დანარჩენის აღსრულება ამჟამადც მიმდინარეობს. აღსრულებულ

გადაწყვეტილებათა შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას გარკვეულწილად არ ეთანხმებიან განმცხადებლები და აღნიშნავენ, რომ კრედიტორებისათვის ქონების გადაცემის ფაქტები არასწორი და დამახინჯებულია.

ამირან დიაკონიძის საქმე

2006 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ამირან დიაკონიძემ. 2005 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ამირან დიაკონიძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს-დაეკისრა ამირან დიაკონიძის სასარგებლოდ 4 წლის ხელფასის ერთდროული კომპენსაციის 6633 ლარის და 60 თეთრის გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება 2006 წლის 28 თებერვალს შევიდა კანონიერ ძალაში და 2006 წლის 26 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი #3/2615-05, რომელიც წარდგენილ იქნა სააღსრულებო დეპარტამენტში.

სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხებიდან (04/03-19დ, 04/03-30დ.) ირკვევა, რომ მოვალის საქართველოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემდეგ, აღნიშნული საქმე წარმოებაში გადაეცა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს და მოვალის მიმართ დაიწყო იძულებითი აღსრულება, რასაც კრედიტორის განმარტებით, ასევე არ მოჰყოლია გადაწყვეტილების აღსრულება.

“2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია წინა წლებში საბიუჯეტო დაწესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გადასახდელი თანხები. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“ და სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, მიეღოთ ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების დროულად და რეალურად აღსრულებისათვის. მიღებული პასუხის შემდეგ (რომლიდანაც გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ კონკრეტულად არაფერი ირკვევა) სახალხო დამცველის აპარატმა გამოარკვია, რომ კრედიტორ სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდა და ამირან დიაკონიძეს გადაეცა კომპენსაციის სახით მისაღები 4 წლის სახელფასო თანხა 6640 ლარი.

კახა იობიშვილის საქმე

2006 წლის 20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე კახა იობიშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, რომ საქართველოს კონტროლის პალატას, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა განმცხადებელი, გააჩნია დავალიანება კახა იობიშვილის მიმართ. აღნიშნულ საკითხზე მოქალაქემ სარჩელით მიმართა ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც 2004 წლის 27 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, კახა იობიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს საქართველოს კონტროლის პალატას დაეკისრა კახა იობიშვილის სახელფასო დავალიანების 573 ლარის და სამივლინებო დავალიანების 2961.52 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ და 2005 წლის 10 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი #3/362, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, იმავე დღეს წარდგენილ იქნა სააღსრულებო დეპარტამენტში.

სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხებიდან (04/03-18ი 31.10.2006, 04/03-29ი 29.11.2006) ირკვევა, რომ მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებლობის შემდეგ, აღნიშნული საქმე წარმოებაში გადაეცა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს და მოვალის მიმართ დაიწყო იძულებითი აღსრულება. ამასთან, სააღსრულებო დეპარტამენტის სპეციალურ ჯგუფს მიეცა მითითება, დროულად უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და ემოქმედა “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, როგორც მოქალაქე კახა იობიშვილი მიუთითებს, სასამართლო გადაწყვეტილება დღემდე არ არის აღსრულებული, ხოლო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და საჭიროებს ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობას (იხ. დანართი, ამონაწერი სტაციონარული, ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათიდან).

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“ და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია გადახდევინება განახორციელოს: “მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.“

“2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია წინა წლებში საბიუჯეტო დაწესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გადასახდელი თანხები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს 2005 წელს 27 ოქტომბერს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, მიეღოთ ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების დროულად და რეალურად აღსრულებისათვის. მიღებული პასუხის შემდეგ (რომლიდანაც გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ კონკრეტულად ვერ ირკვევა) განმცხადებელთან სატელეფონო საუბრისას გამოირკვა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებულია და კრედიტორის სასარგებლოდ გადახდილი იქნა სახელფასო დავალიანება 573 ლარი და სამივლინებო დავალიანება 2961.52 ლარის ოდენობით.

მაია მურადიდის საქმე

2007 წლის 4 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (0479-07/1) მიმართა მოქალაქე **მაია მურადიძე**. მისი განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ განქორწინების შემდეგ, მის ყოფილ მეუღლეს ავთანდილ სულხანიშვილს ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ (საქმე #5, 1997წ.) დააკისრა მათი არასრულწლოვანი შვილისათვის, 1992 წლის 24 თებერვალს დაბადებული მერცია სულხანიშვილისათვის ალიმენტის გადახდა, ხელფასის და სხვა შემოსავლის (1/4 რაოდენობით) 25%-ის ოდენობით.

სასამართლო გადაწყვეტილებაზე 1997 წლის 19 სექტემბერს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით მოქალაქემ სააღსრულებო დეპარტამენტს წარუდგინა 2005 წლის 16 აგვისტოს. აღსრულება თავდაპირველად დაევა სასამართლო აღმასრულებელს მ.ყაულაშვილს, შემდეგ ბ.გულიშვილს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სასამართლო აღმასრულებლებმა არაფერი იღონეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად და განმცხადებელს დანიშნული საალიმენტო თანხა საერთოდ არ მიუღია. აღნიშნულის შემდეგ, განცხადების საშუალებით თვითონ მოახდინა აღსრულების შეჩერება. მაია მურადიდის განმარტებით, ამ მოქმედებას საფუძვლად დაედო სასამართლო აღმასრულებლების მითითება, რომ სააღსრულებო ფურცელში არ არის განსაზღვრული კონკრეტული საალიმენტო თანხა. 1997 წლის 19 სექტემბერს გაცემულ #5 სააღსრულებო ფურცელში საალიმენტო თანხის ოდენობა ცალსახად არის განსაზღვრული და წარმოადგენს მოვალის-ავთანდილ სულხანიშვილის-ხელფასისა და სხვა შემოსავლის 1/4-ს, ანუ 25 პროცენტს.

სააღსრულებო მოქმედებების განახლება მაია მურადიძე იხედავდა მიმდინარე წლის 27 აპრილს. სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად დაეწერა სასამართლო აღმასრულებელს ვ.გეგეჭკორს. კრედიტორის განმარტებით, სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნები არც ამჯერად სრულდება და მოვალე ავთანდილ სულხანიშვილი იხედავდა არიდებს თავს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“ და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პრობებში სასამართლო აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს:

ა.ა) მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ხოლო თუ საკითხი ეხება სახელმწიფო ქონებას, აცნობოს ამის შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის ადგილობრივ ორგანოს;

ა.ბ) მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლებიდან;

ა.გ) მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან: აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.“

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, საქმეებზე ალიმენტის გადახდევინებისას, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, შესაძლებელია გამოცხადდეს მოვალის ძებნა, პოლიციის ორგანოების მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, მიეღოთ ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების დროულად და რეალურად აღსრულებისათვის.

სააღსრულებო დეპარტამენტის პასუხის თანახმად, მოქალაქე მაია მურადიძეს მიმდინარე წლის 12 ივნისს სასამართლო აღმასრულებელმა და მოვალემ ნებაყოფლობით გადასცა 50 ლარი. აღნიშნულის შემდეგ საალიმენტო თანხა გადახდილი არ არის, რადგან აღმასრულებლების განმარტებით, დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი მოვალის ხელფასი და სხვა შემოსავლები, რომლის დასადგენად მიმდინარეობს სათანადო ღონისძიებები.

ლედი სალინაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლედი სალინაძემ თბილისის სტუდენტთა სანატორიუმ – პროფილაქტორიუმის თანამშრომელთა სახელით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2003 წლის 30 ივნისს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი (№3ბ-1105-03), 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულების თაობაზე, რომლის თანახმად, მოპასუხე საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს თბილისის სტუდენტთა სანატორიუმ - პროფილაქტორიუმის სასარგებლოდ დაეკისრა 20 703 ლარის გადახდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დასახელებული ორგანიზაციის მიერ არაერთხელ იქნა მიმართული სააღსრულებო დეპარტამენტისათვის, რის საფუძველზეც ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროს (აღმასრულებელი გ.გოგიშვილი) მიერ 2003 წლის 17 ივლისის წერილით გაფრთხილებული იქნა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობა, რომ ზემოაღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება ნებაყოფლობით მოეყვანათ სისრულეში სამი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში აღსრულება მოხდებოდა იძულებითი წესით და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 113 პრიმა მუხლების თანახმად დამატებით გადახდებოდათ სააღსრულებო მოსაკრებელი. აგრეთვე საქმეს თან ახლავს სააღსრულებო დეპარტამენტის მიერ 2004 წლის 16 დეკემბრს გაცემული №04/03 567 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლო აღმასრულებელს მიეცა მითითება უახლოეს მომავალში გამოასწოროს საქმეში არსებული ხარვეზი და სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. თუმცა აღსრულება დღემდე არ მომხდარა, რითაც დარღვეულია ორგანიზაციის წევრთა უფლებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, საიდანაც გვეცნობა, რომ მითითებული საქმე წარმოებაში აქვს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს, რომელსაც მიეცა შესაბამისი მითითება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის და სააღსრულებო მითითებების დროულად გატარების მიზნით. მოგვიანებით სააღსრულებო დეპარტამენტმა გვაცნობა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია აღსრულდა და მოქალაქეებმა მიიღეს კუთვნილი თანხა. არნიშნული დაადასტურეს განმცხადებლებმაც, რომელთა წარმომადგენელიც იყო ლედი სალინაძე.

დანართი # 7

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

ილია ჩაჩიბაიას საქმე

2006 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობას განცხადებით მიმართა გაზეთ “ღია ბოქლომის” რედაქტორმა ილია ჩაჩიბაიამ, რომელიც თავის განცხადებაში მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლების მხრიდან რწმუნებულის კაბინეტში თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მუქარის, ცემისა და იძულების ფაქტებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა თეონა კუჭავამ, ბაგრატ ქირიამ, გრიგოლ დაგარგულიამ და ა.კენჭაძემ ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს დაზარალებულ ილია ჩაჩიბაიას, გაზეთ “ღია ბოქლომის” აღმასრულებელ რედაქტორს იოსებ ხოფერიას, რადიო “იმედის” კორესპონდენტს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ნანა ფაჟავას და ჟურნალისტებს - ნატო ბერულავასა და მარინე დამენიას .

ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ მიმდინარე წლის 4 დეკემბერს პრეზიდენტის რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსისთვის ინფორმაციის დასაზუსტებლად მისულ ჟურნალისტ ილია ჩაჩიბაიას რამოდენიმე ხანში ტელეფონით დაუკავშირდა გუბერნატორ ზაზა გოროზიას დაცვის უფროსი დიმა მარკოიძე და შეხვედრა მოსთხოვა. შეხვედრის შედეგად ჟურნალისტი მოტყუებით ჩასვეს პრესმდივნის მანქანაში, მიიყვანეს გუბერნატორის კაბინეტში, ჩაკეტეს და მუქარით აიძულებდნენ დაესახელებინა მის ხელთ არსებული ინფორმაციის წყარო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის დახურვითა და ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ. როგორც დაზარალებული და ამ ინციდენტის მოწმეები ადასტურებენ, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მთელი რიგი უკანონო ქმედებების ჩადენას.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ასევე ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პრეს-სამსახურის უფროსს ლალი გელენავას. მისი ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ არ მომხდარა ჟურნალისტ ილია ჩაჩიბაიას გატაცება. მან დაცვის თანამშრომელს დიმიტრი მარკოიძეს შეატყობინა, რომ ჟურნალისტი ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით აპირებდა გაზეთ „ღია ბოქლომში“ რწმუნებულის მაგიდაზე ფეკალური მასის აღმოჩენის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. დიმიტრი მარკოიძე შუთახმდა ილია ჩაჩიბაიას შეხვედრაზე. დათქმულ დროს ილია ჩაჩიბაია და იოსებ ხოფერია გამოცხადდნენ ზუგდიდის ადმინისტრაციული შენობის წინ. ილია ჩაჩიბაია, იოსებ ხოფერია და დიმიტრი მარკოიძე სასაუბროდ შევიდნენ შენობის მეხუთე სართულზე განთავსებულ კაბინეტში. საუბრის დროს დაცვის სამსახურის თანამშრომელმა ინფორმაციის წყაროს დასახელება მოითხოვა. ლალი გელენავას განმარტებით, ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ მან ხელი შეახო სახეზე, მას

შემდეგ რაც ილია ჩაჩიბაიამ ნანა ფაჟავას შეატყობინა მისთვის თავისუფლების აღკვეთის ფაქტი. როგორც იმავე ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, აცრემლებულმა ილია ჩაჩიბაიამ საბოლოოდ დაასახელა ინფორმაციის წყარო.

ახსნა-განმარტებები შემდეგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილი იქნა გენერალურ პროკურატურაში. ამჟამად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის #44061250 საქმეზე ილია ჩაჩიბაიასათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და მისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტთან დაკავშირებით.

ცაულინა მალაზონიას საქმე

მ/წ 03 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ჟურნალისტმა ცაულინა მალაზონიამ. მისი განმარტებით, რედაქტორთან, ლელა ინასარიძესთან და დონორის მიერ მოწვეულ ექსპერტთან, პაატა ვეშაპიძესთან დაპირისპირების, ასევე მისი უფლებების მუდმივი დარღვევის გამო, იძულებული გახდა დაეტოვებინა ახალციხეში გამომავალი გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე.“ ც.მალაზონიას განმარტებით, გაზეთის შიგნით დაპირისპირება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჟურნალისტებთან არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, გაზეთის ბიუჯეტი არ იყო ხელმისაწვდომი და გრანტით მიღებული თანხა არამიზნობრივად იხარჯებოდა.

განმცხადებელს განემარტა, რომ გაზეთის ბიუჯეტის ხელმისაწვდომობისა და გრანტით მიღებული თანხის ხარჯვის მიზნობრიობის შესწავლა სცილდება სახალხო დამცველის უფლებამოსილების ფარგლებს.

ვითარებაში გარკვევის მიზნით, მ/წ 20 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა გაზეთ „24 საათის“ რედაქტორს ბატონ პაატა ვეშაპიძეს. მან განაცხადა, რომ ცაულინა მალაზონია წარმოადგენდა თსუ-ს ახალციხის ფილიალის გაზეთის რედაქტორს. აღნიშნული პოზიცია შეუთავსებელი იყო გაზეთ „სამხრეთის კარიბჭეში“ საქმიანობასთან. მან რედაქციაში გამართულ თათბირზე ორ გაზეთს შორის არჩევანის გაკეთება ურჩია ჟურნალისტ ც.მალაზონიას. რაც შეეხება ჟურნალისტებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხს, პ.ვეშაპიძემ აღნიშნა, რომ დონორის მხრიდან მკაცრი მონიტორინგის პირობებში, შეუძლებელი იყო ამგვარი ხელშეკრულების არარსებობა.

მ/წ 13 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ქ.ახალციხეში, რა დროსაც შეხვდა და ახსნა-განმარტება ჩამოართვა ლელა ინასარიძეს. მისი განმარტებით, 2006 წლის 30 ოქტომბერამდე გაზეთის დონორს წარმოადგენდა ევროკავშირი და ფინეთის მთავრობა IWPR-ის მეშვეობით. გაზეთის რედაქტორის მიერ წარმოდგენილი უწყისით ირკვევა, რომ ამ პერიოდში ცაულინა მალაზონია ანაზღაურების სახით იღებდა ჰონორარს. მაგალითად, 2006 წლის ნოემბერის თვეში ცაულინა მალაზონიას დაერიცხა ჰონორარი 650 ლარის ოდენობით. საგადასახადო დაქვითვის გამოკლებით ხელზე გასაცემმა თანხამ შეადგინა 572 ლარი. ხსენებულ პერიოდში განმცხადებელთან არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. იგი იღებდა არა ხელფასს და არამედ ჰონორარს. შესაბამისად, ცაულინა მალაზონიასა და გაზეთ „სამხრეთის კარიბჭეს“ შორის ურთიერთობა წესრიგდებოდა ნარდობის ხელშეკრულებით. ეს უკანასკნელი შესაძლოა დადებული ყოფილიყო ზეპირი ფორმითაც. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პერიოდისათვის გაზეთის მიმართ წაყენებული მისი პრეტენზიები უსაფუძვლოა.

რაც შეეხება 2006 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს, ამ პერიოდში გაზეთის დაფინანსება ხორციელდებოდა PRESS NOW-ს მიერ გაცემული გრანტის საფუძველზე. გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო მუხლი ჟურნალისტთა ხელფასებისათვის. „სამხრეთის კარიბჭესა“ და ცაულინა მალაზონიას შორის გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანამდებობაზე ყოფნის

პერიოდში ჟურნალისტს დანიშნული ჰქონდა ყოველთვიური ხელფასი სამასი ლარის ოდენობით. იმავე მუხლის მე-4 ნაწილით, თუკი მიერ დაწერილი სტატიების რაოდენობა ექვსს აღემატებოდა, ჟურნალისტი მიიღებდა ჰონორარს, რომლის ოდენობა თითოეულ სტატიაზე განისაზღვრებოდა თხუთმეტიდან ორმოც ლარამდე. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი #34/13 უწყისიდან ირკვევა, რომ 2006 წლის ოქტომბრის თვეში ცაულინა მალაზონიაზე ხელფასის სახით გამოწერილი იქნა 300 ლარი, აქედან ხელზე გასაცემმა თანხამ საგადასახადო ვალდებულების გამოკლებით შეადგინა ორას სამოცდაოთხი (264) ლარი. რაც შეეხება ჰონორარს, ხელზე გაცემული იქნა - ორმოცდათორმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი (52,80).

გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ რედაქტორის ლელა ინასარიძის განმარტებით, 2007 წლის პირველი იანვრიდან ჟურნალისტებთან და გაზეთის სხვა პერსონალთან მოხდა ზეპირი შეთანხმება, რომ შრომითი ხელშეკრულება პერსონალთან გაფორმდებოდა მას შემდეგ, რაც გაზეთი დადებდა კონტრაქტს დონორთან. ჟურნალისტები ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას. სახელფასო თანხა გაზეთ „სამხრეთის კარიბჭეს“ მხოლოდ მაისის თვეში ჩაერიცხა. აქედან იანვრის თვეში ც.მალაზონიაზე გასაცემი თანხის ოდენობამ შეადგინა 90 ლარი, თებერვლის თვეში - 225,3 ლარი, მარტში - 180,24 ლარი, აპრილში - 135,18 ლარი. უწყისიდან არ ჩანს გასაცემი თანხა ხელფასს წარმოადგენს თუ ჰონორარს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანხა გაცემულია ჟურნალისტზე, ამ პერიოდში ცაულინა მალაზონია შრომით სამართლებრივი ურთიერთობით იყო დაკავშირებული გაზეთ „სამხრეთის კარიბჭესთან.“ PRESS NOW-ს საგრანტო პროგრამა ასევე ითვალისწინებს ჟურნალისტებთან წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებებს. მიუხედავად, იმისა, რომ მოქმედი შრომის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმის შრომით ხელშეკრულებებს, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება, ვინაიდან აღნიშნული ფორმა შერჩეული იქნა მხარეთა ნებით. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებები უნდა შესულიყო მხარეთა მიერ შერჩეული ფორმის დაცვით. ლელა ინასარიძის განმარტებით, მას მომავალში დაგეგმილი ჰქონდა ცაულინა მალაზონიასთან ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების დადება წინ უნდა უძღოდეს ვალდებულების წარმოშობას და არა პირიქით. სახელფასო უწყისები ნათლად ადასტურებს, რომ გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ სახელფასო ვალდებულებები ცაულინა მალაზონიას მიმართ არსებობს 2007 წლის იანვრიდან, შესაბამისად, რედაქტორის მიერ ჟურნალისტთან ხელშეკრულების გაფორმების გადადება 2007 წლის მაისისათვის, ანუ იმ პერიოდისათვის როდესაც გაზეთი გააფორმებდა შეთანხმებას დონორთან და სახელფასო თანხა რეალურად ჩაირიცხებოდა ანგარიშზე, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. წარმოდგენილი სახელფასო უწყისიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულება ცაულინა მალაზონიასთან გაფორმებული უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს 2007 წლის იანვრისა, ვინაიდან ჟურნალისტზე გაცემულია იანვრის თვის ანაზღაურება.

ნინო ჩიბჩიური ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ

მ/წ 20 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შიდა ქართლის რეგიონული ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტმა ნინო ჩიბჩიურმა. განმცხადებლის განმარტებით, მ/წ 25 მაისს ქარელის რაიონში ხაშურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ზაზა რამიშვილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განმცხადებლისა და მისი კოლეგის, ჟურნალისტ მაია ხარაიშვილის სარჩელი ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტები ითხოვენ დაშვებული იქნენ მოპასუხის შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ მიუღია ჟურნალისტების შენობაში შესვლის ამკრძალავი აქტი, დაცვისა და მოპასუხის თანამშრომლებმა ორჯერ არ დაუშვეს ისინი შენობაში.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინააღმდეგი არ იყო ჟურნალისტების გამგეობის სხდომაზე დაშვების, მაგრამ ეს უნდა მოხდეს დადგენილი წესით. გამგეობას ჰყავს პრესსამსახური, დადგენილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

მაგისტრატმა მოსამართლემ ზაზა რამიშვილმა დაადგინა: „ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტები ნინო ჩიბჩიური და მაია ხარაიშვილი საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით დაშვებული იქნენ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

მ/წ 15 ივნისს ჟურნალისტმა ნინო ჩიბჩიურმა #534 განცხადებით მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი ზანარდიას. განმცხადებელმა განმარტა, რომ ქარელის რაიონში ხაშურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების მიუხედავად, არ ხდება მისი დაშვება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, შესაბამისად, მისთვის საჯარო ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. ჟურნალისტ ნინო ჩიბჩიურს #534 განცხადების პასუხად, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გ.ზანარდიამ 2007 წლის 25 ივნისის წერილით აცნობა, რომ მოსამართლე ზაზა რამიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, კანონით დადგენილი წესით, ინფორმაციის მიღების მიზნით გამგეობის შენობაში განმცხადებლისა და მაია ხარაიშვილის დაშვების თაობაზე. გამგებელი იქვე მიუთითებს: „მიუხედავად აღნიშნული გადაწყვეტილებისა, თქვენ მაინც, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, პროვოკაციულად ცდილობთ ჩართული კამერებით საზოგადოებას თავს მოახვიოთ თქვენი არაკეთისინდისიერი დამოკიდებულება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი და ცდილობთ ჩართული კამერებით საზოგადოებას აჩვენოთ, რომ გამგეობა ხელს უშლის თქვენს შენობაში დაშვებას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და შეგახსენებთ, რომ გამგეობა არანაირად არ ზღუდავს არცერთ ტელეკომპანიას გააშუქოს საზოგადოებისათვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია დადგენილი წესით. ამასთან გამგეობას ჰყავს სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საკითხის ორგანიზებას და მასთან ურთიერთობით და არა წესების უხეში დარღვევით უნდა

აწარმოებდეთ ინფორმაციის მიღებას, როგორც დანარჩენი სხვა ტელეკომპანიები.“ზოლოს, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი განმარტავს: „ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის წინააღმდეგი გასცეს საჯარო ინფორმაცია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე შეუზღუდავად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

ჟურნალისტმა ნინო ჩიბჩიურის მიერ წარმოადგენილ ვიდეომასალაში ჩანს, თუ როგორ წარუდგინა განმცხადებელმა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელ გ.ზანარდიას 2007 წლის 25 ივნისის წერილი დაცვის თანამშრომელს და ითხოვა შენობაში დაშვება. ჟურნალისტის მოთხოვნას გამგეობის შესასვლელი კარის ჩაკეტვა მოჰყვა.

მ/წ 24 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ქარელის მუნიციპალიტეტის შენობაში ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ გადამღებ ჯგუფთან ერთად. დაცვის თანამშრომლებმა ჟურნალისტი და ოპერატორი შენობაში სახალხო დამცველის რწმუნებულის ჩარევის გარეშე შეუშვეს. ამ დროისათვის შენობაში არ იმყოფებოდა გამგებელი. ჟურნალისტი გაესაუბრა გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს, თეა ფაიქაშვილს.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტ თ.ფაიქაშვილს. მან განაცხადა: „2007 წლის 5 ივლისს, ხუთშაბათს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტი ნინო ჩიბჩიური დამიკავშირდა მე, როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს. მას სურდა რამდენიმე საკითხზე საუბარი, რათა როგორც მან აღნიშნა, ობიექტური სიუჟეტი მოემზადებინა.“ თ.ფაიქაშვილის განმარტებით, ქარელის მუნიციპალიტეტის დაცვის პოლიციის თანამშრომელმა ჟურნალისტი ნინო ჩიბჩიური დაბრკოლების გარეშე შეუშვა შენობაში. ჟურნალისტი გაესაუბრა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თამაზ დალაქიშვილს, რომელიც ინტერვიუს ჩაწერაზე არ დათანხმდა. თ.ფაიქაშვილმა აღნიშნა, რომ იმავე საღამოს „თრიალეთის“ საინფორმაციო გამოშვებაში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ მუნიციპალიტეტის დაცვის თანამშრომელმა ხელმძღვანელობის დავალებით არ შეუშვა ჟურნალისტი შენობაში. გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი აცხადებს: „მე „თრიალეთის“ გარდა ვთანამშრომლობ სხვა ტელევიზიებთან და ჟურნალ-გაზეთებთან. ინფორმაცია გაიცემა მათი მოთხოვნილებების მიხედვით (ხდება მათთვის ფოტო-მასალის მიწოდებაც).“ მნიშვნელოვანი მოვლენები ქარელის მუნიციპალიტეტის შესახებ სისტემატურად განთავსდება შიდა ქართლის საიტზე, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.“ თ.ფაიქაშვილი ქარელის მუნიციპალიტეტის სახელით აცხადებს, რომ მომავალში არ ითანამშრომლებს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთთან“, ვინაიდან ეს უკანასკნელი არაობიექტურად აშუქებს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობას. „ქარელის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტებს არ მისცეს არანაირი ინფორმაცია მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე. რადგან სწორად გაცემული ინფორმაციის მიუხედავად, სიუჟეტები იქნება ცალსახა (ცალმხრივი) და კვლავ დაირღვევა ქარელის

მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები“ - აცხადებს თეა ფაიქაშვილი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის განცხადება იმის შესახებ, რომ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ არაობიექტურად აშუქებს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და აღნიშნული გარემოება საფუძველად უნდა დაედოს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთისათვის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარს, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, არამედ არღვევს საქართველოს შიდა კანონმდებლობასაც, კერძოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას, როგორც სანქციის სახეს ჟურნალისტის არაკეთისინდისიერი მოქმედებისათვის, არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა. ამასთან ერთად, საქართველოს კანონი „სიტყვის და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ საერთოდ გამორიცხავს ჟურნალისტისათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრებას განცხადებისათვის, რომელიც ეხება საჯარო პირს და წამოთქმულია საზოგადოებრივი ინსტერესის მქონე საკითხთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული განცხადება შეიცავდეს მცდარ ფაქტებს. ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც წარმოადგენს საჯარო პირს, აკისრია თმენის ვალდებულება მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიმართ, მით უმეტეს მაშინ, როცა ჟურნალისტ ნინო ჩიბჩიურის მიერ მომზადებული სიუჟეტები ეხება მისი, როგორც გამგებლის საქმიანობას, რაც წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. ამავე დროს გამგებელს „სიტყვის და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე სასამართლო წესით არასოდეს უდავია „თრიალეთის“ მხრიდან ცილისწამებაზე. შესაბამისად, მითითება ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ თანამშრომლების მხრიდან არაეთიკურ და არაკეთისინდისიერ ქმედებაზე, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. აღნიშნული გარემოება ვერცერთ შემთხვევაში ვერ გაათავისუფლებს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვალდებულებისაგან. მითუმეტეს მაშინ, როცა ამგვარი ვალდებულების არსებობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის გამოყენების მეშვეობით, უკვე დადასტურებულია მაგისტრეტი მოსამართლის მიერ. თ.ფაიქაშვილის განცხადება, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა „თრიალეთის“ ჟურნალისტების მოთხოვნის შემთხვევაში არ გასცემს საჯარო ინფორმაციას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის დარღვევასთან ერთად, წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით.

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ახსნა-განმარტებით, დასტურდება ქარელის მუნიციპალიტეტში აშკარა დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობა. თ.ფაიქაშვილი აცხადებს, რომ იგი „თრიალეთის“ გარდა თანამშრომლობს მედიის ყველა სხვა საშუალებასთან. ამგვარი მიდგომით ქარელის მუნიციპალიტეტი, სრულიად უსაფუძველოდ, „თრიალეთთან“ შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სხვა მედია საშუალებებს, რაც აკრძალულია როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ისე მრავალი საერთაშორისო დოკუმენტებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი

აცხადებს: „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, **პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების**, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“ კონკრეტულ შემთხვევაში ქარელის გამგეობის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილი აქვს ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას ამავე კონვენციის მე-10 მუხლთან კავშირში.

მ/წ 01 აგვისტოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს თამაზ დალაქიშვილს და მოითხოვა:

1. ქარელის მუნიციპალიტეტის შენობის ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტიკისათვის ხელმისაწვდომობა
2. უმოკლეს ვადაში სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაწილში.
3. ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის მიერ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტიკის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარება.

მ/წ 20 აგვისტოს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ დალაქიშვილის წერილობითი პასუხით გვეცნობა, რომ გაზიარებული იქნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. მკაცრად იქნა გაფრთხილებული გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი თეა ფაიქაშვილი, მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში დაისმევა მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

მ/წ 05 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის ა.გოჩაშვილის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტიკებს სხვა მედია საშუალებების მსგავსად საშუალება ექნებათ კანონის ფარგლებში შეუფერხებლად განახორციელონ თავიანთი პროფესიული საქმიანობა.

ბადრი ნანეტაშვილი მარლენ ნადირაძის წინააღმდეგ

მ/წ 11 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ დამფუძნებელმა ბადრი ნანეტაშვილმა. მისი განმარტებით, შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, მიხეილ ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მარლენ ნადირაძის მხრიდან ხორციელდება ზეწოლა. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად, ბ. ნანეტაშვილმა წარმოადგინა 2007 წლის 03 იანვრიდან ამავე წლის 04 იანვრამდე დეტალური ამონაწერი, გაცემული შპს „მაგთის“ მიერ. ბ.ნანეტაშვილის მობილურ ტელეფონში მ/წ 3 იანვარს 16:30 საათზე და მ/წ 4 იანვარს 16:47 საათზე დაფიქსირებულია ზარი, ნომრიდან 877 75 77 22, რომელიც განმცხადებლის განმარტებით, ეკუთვნის მარლენ ნადირაძეს. განცხადებიდან იკვეთება, რომ მარლენ ნადირაძე თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისა და შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, მიხეილ ქარელის სახელით სავარაუდოდ სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ბადრი ნანეტაშვილს. ამ უკანასკნელის განმარტებით, აღნიშნული მუქარა უკავშირდებოდა ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში გასულ სიუჟეტს, რომლის ავტორი, ჟურნალისტი ნინო ჩიფჩიური მიხეილ ქარელსა და მარლენ ნადირაძეს ტელეკომპანიის ხელში ჩაგდების მცდელობაში ადანაშაულებდა.

მ/წ 23 იანვარს და 15 თებერვალს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მარლენ ნადირაძეს და მოითხოვა ინფორმაცია ბადრი ნანეტაშვილის განცხადებაში დასმულ საკითხებზე. მარლენ ნადირაძემ სახალხო დამცველის არც ერთ მიმართვაზე არ წარმოადგინა პასუხი კანონით დადგენილი თხუთმეტი დღის ვადაში.

მ/წ 3 აპრილს მარლენ ნადირაძის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. საქმისწარმოებას საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, სამართალდარღვევა, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლით. მ/წ 23 აპრილს გორის რაიონულმა სასამართლომ მოსამართლე გოგიტა თათოსაშვილის დადგენილებით მარლენ ნადირაძე ცნობილი იქნა სამართალდამრღვად და ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

მ/წ 05 აპრილს ჩვენს ხელთ არსებული მასალები სახალხო დამცველის წერილით შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილი იქნა საქართველოს გენერალურ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში.

მ/წ 23 მაისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილის გ.კავსაძის წერილობითი პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ მ/წ 11 მაისს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #8207842 საქმეზე, ბადრი ნანეტაშვილზე განხორციელებული მუქარის ფაქტზე. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

ნინო ჩიბჩიური მიხეილ ქარელისა და მარლენ ნადირაძის წინააღმდეგ

მ/წ 20 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს #0270-07 განცხადებით მიმართა ტელე-რადიო კომპანია „თრალეთის“ ჟურნალისტმა ნინო ჩიბჩიურმა. განმცხადებლის განმარტებით, მ/წ 18 თებერვალს მასთან სახლში დარეკა უცნობმა ქალბატონმა, რომელმაც ჟურნალისტის დედას განუცხადა, რომ თუკი განმცხადებელი არ შეწყვეტდა კრიტიკული მასალის მომზადებას, შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ ქარელი და გორის საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე ფიზიკურად გაანადგურებდნენ ჟურნალისტს.

ნინო ჩიბჩიური აღნიშნავს, რომ მან ინტერვიუ აიღო იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც მხარის რწმუნებულსა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებდნენ. ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტების თემა გახდა შიდა ქართლის ადგილობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციულ დამოკიდებულება „თრალეთის“ მიმართ. ნინო ჩიბჩიურს საკრებულოს სხდომებზე დასასწრებად საშვის აღებას სთხოვდნენ, მაშინ როდესაც სხვა ჟურნალისტები სხდომებს საშვის გარეშე ესწრებოდნენ.

მ/წ 27 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატიდან გასული მიმართვით ნინო ჩიბჩიურის განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას.

მ/წ 16 მარტს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის წერილობითი პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 19 თებერვალს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება ტელეკომპანია „თრალეთის“ ჟურნალისტის ნინო ჩიბჩიურის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე.

ემზარ დიასამიძე და გაზეთი „ბათუმელები“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის წინააღმდეგ

მ/წ 24 ივლისს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გავრცელდა გაზეთი „ბათუმელების“ რედაქტორის მზია ამალლობელის და ამავე გაზეთის ჟურნალისტის ემზარ დიასამიძის კომენტარი. მათი განმარტებით, „ბათუმელების“ ჟურნალისტებს არ უშვებდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე. ამის მიზეზად სახელდება აკრედიტაციის არარსებობა. 2007 წლის იანვრის თვეში გაზეთის რედაქციამ აკრედიტაციის მოთხოვნით მიმართა აჭარის მთავრობის აპარატს. მთავრობის აპარატის უფროსის წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ პასუხისმგებელი პირები საჭიროების შემთხვევაში გაუწევდნენ გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტებს სათანადო დახმარებას.

ჟურნალისტ ემზარ დიასამიძის განცხადებით, მან კოლეგებისაგან შემთხვევით შეიტყო მთავრობის სხდომის შესახებ. დარბაზში შესასვლელად საშივი ე.დიასამიძე იქნა დაშვებული, თუმცა აჭარის მთავრობის აპარატის პროტოკოლისა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მასმედიასთან ურთიერთობის განაყოფილების უფროსმა ირაკლი ჭეიშვილმა აკრედიტაციის არ არსებობის გამო, გაზეთ „ბათუმელების“ დარბაზში დაშვებაზე უარი განაცხადა. ჟურნალისტმა ემზარ დიასამიძემ ირაკლი ჭეიშვილის განმარტებების დიქტოფონზე ჩაწერა სცადა, რასაც დაცვის სამსახურის მიერ მისი შენობიდან გაძევება მოჰყვა.

აკრედიტაციის არარსებობა პირველად არ გამხდარა გაზეთი „ბათუმელების“ ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის მიზეზი. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გახსნის დროს მხოლოდ აღნიშნული გაზეთის ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი იყვნენ მოკლებული შესაძლებლობას, დასწრებოდნენ აღნიშნულ ღონისძიებას.

მ/წ 02 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც ვითხოვდით აკრედიტაციის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტს, ასევე იმ გარემოების გარკვევას, თუ რატომ არ ჩაითვალა გაზეთი „ბათუმელები“ აკრედიტებულად 2007 წლის 24 იანვრის მთავრობის აპარატის უფროსის 05-11/27 წერილით.

მ/წ 14 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის წერილობითი პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ გაზეთი „ბათუმელების“ კორესპოდენტს ემზარ დიასამიძეს დღეისათვის მიცემული აქვს აკრედიტაცია. რაც შეეხება აკრედიტაციის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტს, არ არის მინიშნებული ზემოაღნიშნულ წერილში.

დანართი # 8

ინფორმაციის საჯაროობა

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის საქმე“

2007 წლის 19 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის გარემოსდაცვითი პროგრამების კოორდინატორმა ლია თოდუამ. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ მან, ამა წლის 28 მაისს განცხადებით (#1-365) მიმართა ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს საჯარო ინფორმაციის მისაღებად. კერძოდ კი ითხოვდა, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს“ შორის 2006 წლის 16 თებერვალს დადებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მე-2, მე-6, და მე-7 დანართებს სრული სახით; აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესრულების მიზნით, 2006 წლის 1 ნოემბრამდე შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს“ მიერ ხელშეკრულების 1 დანართის შესაბამისად შედგენილი და ქალაქთან შეთანხმებული „საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გეგმას“; ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კონფერენციების ჩატარების დამადასტურებელ მასალებს; ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წლიური ანგარიში მგზავრთა საჩივრების შესახებ, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ 2006 წლის 1 ნოემბრამდე წარმოდგენილი და ქალაქთან შეთანხმებული სატარიფო გეგმა; მე-10 მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ წარმოდგენილი, მგზავრების მომსახურების ამონაგები თანხების ამოღების სწორი და ეფექტური ფორმა, რომლის ამოქმედებაც კომპანიამ 2007 წლის 6 თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს; იმ სასესხო ხელშეკრულების ასლი, რომელსაც მიუთითებს ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი, აგრეთვე მე-20 მუხლით გათვალისწინებული ბიზნეს გეგმის ასლი და 2006 წლის წლიური ანგარიშის ასლი, ხელშეკრულების 21-ე მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული ანგარიშის ასლი შემოსავლებისა და მგზავრთა რაოდენობის შესახებ და ამავე ხელშეკრულების მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მართვის კომიტეტის წევრთა სახელები, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

2007 წლის 21 მაისს კი სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ამავე ორგანიზაციის დირექტორმა, ეკა ურუშაძემ. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა მიმდინარე წლის 16 მაისს #1-357 და #1-358 წერილით მიმართა ქ.თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს და შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს“ კერძოდ კი ითხოვდა მიეწოდებინათ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია: თბილისში მიწისზედა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, ტრამვაი, მიკროავტობუსი) მოქმედი მარშრუტების ჩამონათვალს და თითოეულის აღწერას, კერძოდ:

სახე (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი თუ მიკროავტობუსი) და ნომერი;

მარშრუტის სიტყვიერი აღწერა, ქუჩების (გამზირების, მოედნების) ჩამონათვალი,

რომელზეც მარშრუტი გადის.

თარიღი რომლიდანაც ამოქმედდა მარშრუტი;

მარშრუტის სიგრძე (ერთ მხარეს,წრიულისათვის-სრული)

გაჩერებების რაოდენობა;

მარშრუტის ოპერატორის დასახელება

ავტომობილის ტიპი რომელიც მარშრუტს ემსახურება,მისი ტევადობა

მგზავრთა საშუალო ნაკადი მარშრუტზე(ცალ-ცალკე სამუშაო დღეებისათვის და უქმე დღეებისათვის) და მისი ცვალებადობა მარშრუტის ცალკეულ მონაკვეთებში აგრეთვე დღის განმავლობაში და სეზონების მიხედვით;

მგზავრთა საშუალო ზიდვის მანძილი მარშრუტზე და მისი ცვალებადობა მარშრუტის ცალკეულ მონაკვეთებში,აგრეთვე დღის განმავლობაში და სეზონების მიხედვით

იმ ხელშეკრულების ასლი სრულად და ყველა დანართითურთ, რომლის საფუძველზეც შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“ თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერირებას ახორციელებდა.

ასევე ავტობუსების მარშრუტების ჩამონათვალი,რომლის ოპერირებასაც შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“ ახორციელებდა და შემდეგი ინფორმაცია თითოეული მარშრუტისათვის;

თარიღი რომლიდანაც საწარმომ დაიწყო მარშრუტის ოპერირება;

ავტობუსის ტიპი, რომლითაც ახორციელებს მარშრუტს (თუ შეიცვალა როდიდან); მისი სრული ტევადობა;

სადისპეჩერო პუნქტების ზუსტი განთავსება;

ავტობუსების რაოდენობა, რომელიც ემსახურება მარშრუტს დღის განმავლობაში (ცალ-ცალკე;სამუშაო დღეებისათვის და უქმე დღეებისათვის)

ავტობუსების გასვლის განრიგი თითოეული სადისპეჩერო პუნქტიდან;

ავტობუსის მოძრაობის საშუალო ხანგრძლივობა სადისპეჩერო პუნქტებს შორის;

მგზავრთა საშუალო ნაკადი მარშრუტზე (ცალ-ცალკე;სამუშაო დღეებისათვის და უქმე დღეებისათვის) და მისი ცვალებადობა მარშრუტის ცალკეულ მონაკვეთებში, აგრეთვე დღის განმავლობაში და სეზონების მიხედვით;

მგზავრთა საშუალო ზიდვის მანძილი და მისი ცვალებადობა მარშრუტის ცალკეულ მონაკვეთებში, აგრეთვე დღის განმავლობაში და სეზონების მიხედვით;

საშუალო დღიური შემოსავალი მარშრუტიდან (ცალ-ცალკე;სამუშაო დღეებისათვის და უქმე დღეებისათვის) და მისი სეზონური ცვალებადობა.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა, ეკა ურუშაძემ პასუხი არ მიიღო კანონით დადგენილ ვადაში. ხოლო ქალბატონმა ლია თოდუამ პასუხი 12 ივლისს მიიღო, საიდანაც ირკვევოდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არასრული იყო. კერძოდ; დოკუმენტაციაში არ მოიპოვებოდა მოთხოვნილი ხელშეკრულების 21-ე მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული ანგარიშის ასლი შემოსავლებისა და მგზავრთა რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ანგარიში 2006 წლის განმავლობაში გაწეული საექსპლუატაციო მაჩვენებლების შესახებ და ხელშეკრულების მე-19 მუხლით გათვალისწინებული მართვის კომიტეტის წევრთა სახელები, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, არასრული იყო პასუხი ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ მუნიციპალური

ავტოტრანსპორტის საწარმოს” შორის 2006 წლის 16 თებერვალს დადებული „საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესახებ” ხელშეკრულების მე-2 და მე-7 დანართებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 დანართის ნაცვლად რომელიც ითვალისწინებს დაწვრილებით ინფორმაციას მარშრუტების შესახებ, მისი მხოლოდ ერთი ნაწილია იქნა წარმოდგენილი, ხოლო ამავე ხელშეკრულების მე-7 დანართი საერთოდ არ მოიპოვებოდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისადმი გაგზავნილ დოკუმენტაციაში.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“, ხოლო კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.“

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მომსახურების მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.“ გამომდინარე აქედან, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლის თანახმად „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დაუყონებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.“

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად „საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის

გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა“.

ამდენად, დარღვეულ იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფლებების დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ზ” და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ქ.თბილისის მერიას სახალხო დამცველმა მიმართა რეკომენდაციით, რათა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცათ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისათვის მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრული სახით, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე, აგრეთვე პრეზიდენტის #466 ბრძანებულების 166-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელათ იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლებისათვის საჯარო ინფორმაციის სახით, მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების დროულად გაცემა.

ქ.თბილისის მერიიდან მიღებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს გადაეცა ყველა ის მოთხოვნილი დოკუმენტაცია რომელიც არსებობდა ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციასა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა, აგრეთვე, შპს „თბილისის ავტობუსში“, რაც თავადვე დაადასტურეს.

გიორგი მკურნალიძის საქმე

2007 წლის 14 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი მკურნალიძემ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2007 წლის 6 თებერვალს (წერილი #75) მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს. მოცემული წერილით მოქალაქე ითხოვდა ეცნობებინათ, დამზადებულა თუ არა შესაბამისი ტირაჟით რაიმე სახის საახალწლო ან სხვა ტიპის მისალოცი, სადაც სახელმწიფო სიმბოლოები, საქართველოს პრეზიდენტის სახელი, ან ფოტოსურათი ფიგურირებდა 2003, 2004, 2005, 2006 და 2007 წლებში, თუმცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მიუღია.

აღნიშნულის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ქალბატონ ეკა შარაშიძეს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე და მე-40 მუხლის საფუძველზე უზრუნველყო მოქალაქის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა.

რეკომენდაციის საფუძველზე მიღებული პასუხის თანახმად გაირკვა, რომ გიორგი მკურნალიძეს ეცნობა შემდეგი: 2003 წლიდან 2007 წლამდე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებებიდან არ დამზადებულა საახალწლო ან სხვა ტიპის მისალოცი ბარათები, სადაც ფიგურირებს სახელმწიფო სიმბოლოები ან საქართველოს პრეზიდენტის სახელი და ფოტოსურათი.

2007 წლის 14 მარტის განცხადებაში კი გიორგი მკურნალიძე მიუთითებდა, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2007 წლის 27 თებერვალს (წერილი #2/90, #2/91, #2/92) მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. როგორც განმცხადებელი განმარტავდა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიწოდებული მონაცემების მიხედვით, ითხოვდა იმ 50 ორგანიზაციისა და 82 მოქალაქის ვინაობა/დასახელების მიწოდებას, რომლებმაც 2003 წლიდან დღემდე სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს ქონება. აგრეთვე ითხოვდა: იმ კომპანიების დასახელებას, რომლებმაც 2003 წლიდან დღემდე საქართველოში განხორციელებულ პრივატიზაციაში მიიღეს მონაწილეობა; რომელი ობიექტები ან ქონება შეიძინეს ზემოთხსენებულმა კომპანიებმა და რა ფასად; რომელმა კომპანიებმა დაარღვიეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და რა სახის სანქციები გატარდა მათ მიმართ. წერილი 2/92-ის მიხედვით კი ითხოვდა, შემდეგი სახის საჯარო ინფორმაციის მოწოდებას: რომელი კომპანიები იღებდნენ თბილისის აეროპორტის მშენებლობისა და მართვის ტენდერში მონაწილეობას; რომელმა კომპანიამ გაიმარჯვა და რა კრიტერიუმებით შეირჩა გამარჯვებული; რა დონეზე შესრულდა აეროპორტის მშენებლობის სამუშაოები და რა პასუხისმგებლობა ეკისრება გამარჯვებულ კომპანიას სამშენებლო ნორმების დარღვევის შემთხვევაში. როგორც თავად განმცხადებელი აღნიშნავდა, კანონით დადგენილ ვადაში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მიეწოდა.

გ.მკურნალიძეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მხოლოდ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე გადაეცა.

ირაკლი ყანდაშვილის საქმე

2007 წლის 19 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა იურიდიული ფირმა „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, მიურატი და პარტნიორები“-ს ადვოკატმა ირაკლი ყანდაშვილმა. წერილში აღნიშნულია, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2006 წლის 11 ნოემბერს მიმართა ქალაქ ზუგდიდის, ქალაქ ფოთის და ქალაქ ბათუმის მერებს. აღნიშნული წერილით ითხოვდა: 2005-2006 წლებში შესაბამის ქალაქში ჩატარებული და ამჟამად მიმდინარე გზის შემკეთებელი (ასფალტის დაგება და სხვა) სამუშაოების საერთო მოცულობის, მათი ღირებულების, სამუშაოების განხორციელების ადგილი-ქუჩების დასახელების და თითოეული ქუჩის მიხედვით სამუშაოების განმხორციელებელი საწარმოების დასახელების ნუსხას. როგორც თავად განმცხადებელი მიუთითებდა, კანონით დადგენილ ვადაში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მიეწოდა.

ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.ზუგდიდის მერს, ბატონ ლევან ქობალიას, ქ.ფოთის მერს, ბატონ ივანე სალინაშვილს და ქ.ბათუმის მერს, ბატონ ირაკლი თავართქილაძეს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე მიღებული პასუხის თანახმად გაირკვა, რომ სამივე ადრესატმა დააკმაყოფილა იურიდიული ფირმა „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, მიურატი და პარტნიორები“-ს ადვოკატის ირაკლი ყანდაშვილის მოთხოვნა და მას გადაეგზავნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

დანართი # 9

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

დავით დალაქიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

2007 წლის 29 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა დავით დალაქიშვილმა. განმცხადებლის, ასევე შემთხვევის ორი თვითმხილველის ნიკოლოზ შეყილაძის და აკაკი ჩაკვეტაძის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ 2007 წლის 26 მაისს დაახლოებით 13:30 საათზე „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები აქციას მართავდნენ ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ დროს რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარეობდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი. აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ შემდეგი შინაარსის ტრანსპარანტები: „არა-ძალადობას,“ „დაისაჯონ მკვლელები,“ „შენი სიცოცხლე საფრთხეშია და ა.შ. აქციის მონაწილეთა განმარტებით, მათ საშუალება არ მისცეს გაეშალათ ტრანსპარანტები. დ.დალაქიშვილის განმარტებით, შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებმა წართვეს აქციის მონაწილეებს ტრანსპარანტები და მიაყენეს მას ფიზიკური შეურაცხოვა. დავით დალაქიშვილი აღნიშნავს, რომ მას ზურგში ჩაარტყეს წიხლი, რის შედეგად იგი წაიქცა. წაქცევამდე რამდენჯერმე იგრძნო დარტყმა თავის და ზურგის არეში. როგორც დ.დალაქიშვილი აღნიშნავს, ამავე დროს მან მიიღო ჭრილობა ბასრი საგნით. თვითმხილველთა განმარტებით, დავით დალაქიშვილის ცემა წაქცევის შემდეგაც გაგრძელდა. წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებიდან ასევე აღნიშნულია, რომ ფიზიკური შეურაცხოვა მიაყენეს ასევე ნიკოლოზ შეყილაძეს. დავით დალაქიშვილის განმარტებით, იგი გადაყვანილი იქნა ივ.ჯავახიშვილის სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც დაესვა დიაგნოზი მარცხენა მტევნის სამი თითის ნაკვეთი ჭრილობა. შემდგომი გამოკვლევებისათვის გადაყვანილი იქნა #1 კლინიკურ საავადმყოფოში.

განცხადებასა და ახსნა-განმარტებებში მითითებული გარემოებები წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ გენერალურმა პროკურატურამ დაიწყოს საკითხის შესწავლა ჯანმრთელობის დაზიანების, შეკრების და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის კუთხით.

ამა წლის 30 აპრილს სახალხო დამცველმა წერილით გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა დავით დალაქიშვილის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილით პასუხად გვეცნობა, რომ ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში 2007 წლის 26 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება. დაზარალებულად ცნობილი და დაკითხული იქნა დავით დალაქიშვილი, მოწმის სახით დაკითხული იქნენ პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებიც ამ წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ასრულებდნენ სამსახურეობრივ მოვალეობას.

დაინიშნული იქნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-დან მოპოვებულ ჩანაწერზე დაინიშნა ფონოსკოპიული-ჰიბიტოსკოპიური კომპლექსური ექსპერტიზა.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე

2007 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე რ.თოფჩიშვილმა დადგენილებით 25 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ სამ წევრს, დავით დალაქიშვილს, ლევან გოგიჩაიშვილს და ჯაბა ჯიშკარიანს.

ამა წლის 18 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გაიგზავნა წერილი, რომლითაც მოვითხოვეთ #4/1001-07 საქმეზე მიღებული დასაბუთებული დადგენილების, სასამართლო სხდომის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების ასლების მოწოდება.

2007 წლის 21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანცელარიის განყოფილების წერილით გადმოგვეგზავნა მოთხოვნილი საქმის მასალები, საიდანაც ირკვევა შემდეგი:

ამა წლის 12 ივნისს პატრულ-ინსპექტორ გოჩა გლურჯიძის მიერ შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი #ბბ 008380 ლევან გოგიჩაიშვილის მიმართ. ოქმში აღწერილია ლ.გოგიჩაიშვილის მიერ ჩადენილი ქმედების შემდეგი შემადგენლობა: „ქ.თბილისში გენერალური პროკურატურის შენობასთან არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. ჩვენი არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, მათ მოახდინეს შესასვლელის ბლოკირება. ასევე გვაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.“

ამა წლის 12 ივნისს ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის IV ასულის პატრული ინსპექტორის ბ.თაბუკაშვილის მიერ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი #ბბ 008379 ჯაბა ჯიშკარიანის მიმართ. ოქმში აღწერილია ჯაბა ჯიშკარიანის მიერ ჩადენილი ქმედების შემდეგი შემადგენლობა: „ქ.თბილისში გენერალური პროკურატურის ცენტრალურ ჭიშკართან ახდენდა ჭიშკრის ბლოკირებას. პოლიციელების არაერთგზის მოთხოვნას - შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, იგი არ დაემორჩილა. ასევე გვაყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას.“

იმავე დღეს, მთაწმინდა-კრწანისის IV ასულის პატრული ინსპექტორის კახა გოგრიჭიანის მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 12 ივნისს, 14 საათსა და 20 წუთზე ქ.თბილისში გორგასლის ქუჩაზე, კერძოდ, პროკურატურის წინ დავით დალაქიშვილი საღებავით წერდა ასფალტზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოთხოვნაზე შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, არ დაემორჩილა, რაზედაც მოხდა მისი ადმინისტრაციული წესით დაკავება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის სამივე ოქმში პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა,

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ექვს თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, - ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.“

სასამართლო სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ მოსამართლის შეკითხვაზე, საპატრულო პოლიციამ შეუშალა თუ არა ხელი აქციის მონაწილეებს გენერალურ პროკურატურაში მისვლამდე აქციის ჩატარებაში, ამირან კერულაშვილი პასუხობს, რომ არაფერს არ უშლიდნენ, ისინი მოუწოდებდნენ აქციის მონაწილეებს კანონის ფარგლებში ჩაეტარებინათ აქცია. მოსამართლის მორიგ შეკითხვაზე, თუ რა მიაჩნია ოქმის შემდგენელ ორგანოს დარღვევად, პატრულ-ინსპექტორმა ბესიკ თაბუკაშვილმა უპასუხა: „საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევა, სასტვენში სტვენა, ფასადზე ხატვა, ბლოკირება და დაუმორჩილებლობა.“ ჯაბა ჯიშკარიანის წარმომადგენლის შეკითხვაზე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება იყო თუ არა სამართალდარღვევა, პატრულ ინსპექტორმა ბესიკ თაბუკაშვილმა უპასუხა: „პროკურატურის კარებთან ბლოკირება დარღვევაა.“ მოსამართლემ კითხვით მიმართა დავით დალაქიშვილის დამკავებელ თანამდებობის პირს, პატრულ-ინსპექტორს, კახა გოგრიჭიანს: „იყო თუ არა შენობის ბლოკირება მთავარი მიზეზი, რის გამოც მოხდა დაკავება.“ პატრულ-ინსპექტორი კახა გოგრიჭიანი პასუხობს: „ნებისმიერი საქმიანობა ბლოკირებას გამოხატავდა.“ ამგვარად ყველა შეკითხვაზე, ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლები პასუხობენ რომ მათი მოთხოვნა, რომელსაც სამართალდამრღვევები არ დაემორჩილნენ, ეხებოდა პროკურატურის შენობის ბლოკირების შეწყვეტას და არა აქციის საერთოდ შეწყვეტას. პატრული ინსპექტორების არც ერთი განმარტებიდან არ იკვეთება ის, რომ მათ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ გენერალური პროკურატურის შენობასთან აქციის ჩატარების თაობაზე. მათი მოთხოვნა იყო ის, რომ არ მომხდარიყო გენერალური პროკურატურის შესასვლელის ბლოკირება. ამის შემდეგ მოსამართლე უსვამს პატრულ-ინსპექტორებს შემდეგ მისახვედრებელ შეკითხვას: რამდენი ხანი მოუწოდებდით აქციის მონაწილეებს **დაშლისკენ?** რაზედაც პატრულ-ინსპექტორებმა უპასუხეს, რომ 5-10 წუთის განმავლობაში. გაკვირვებას იწვევს მოსამართლის მიერ შეკითხვის ფორმულირება, ვინაიდან არც სამართალდარღვევის ოქმში, არც სასამართლოსთვის მიცემულ ახსნა-განმარტებში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდებდნენ.

სამართალდამრღვევი და საპატრულო პოლიციის წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებით, ასევე მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები:

„12 ივნისს ჯაბა ჯიშკარიანი, ლევან გოგიჩაიშვილი, დავით დალაქიშვილი იდგნენ საქართველოს გენერალური პროკურატურის ცენტრალურ ჭიშკართან დაახლოებით 5-10 მეტრის მანძილზე და ამასთანავე აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად ქმნიდნენ პროკურატურაში შესასვლელი ჭიშკარის **ბლოკირების რეალურ**

საშიშროებას და მიუხედავად პოლიციის თანამშრომლების არაერთგზის მოთხოვნისა, არ შეწყვიტეს აღნიშნული ქმედება.“

„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად იკრძალება, გენერალური პროკურატურის შესასვლელის სრული ბლოკირება. მტკიცების სტანდარტი „სრული ბლოკირება“ აკისრებს ოქმის შემდგენელს ვალდებულებას დაამტკიცოს ის გარემოება, რომ დიდი, ძალისხმევის მიუხედავად, მოქალაქემ ვერ შეძლო შენობაში შესვლა. თუკი შენობის ბლოკირება უბრალოდ ხელს უშლის, მაგრამ არ გამოორიცხავს შენობაში მოხვედრის შესაძლებლობას, არ შეიძლება სახეზე იყოს შენობის სრული ბლოკირების შემთხვევა. წარმოდგენილ შემთხვევაში მოსამართლე რ.თოფჩიშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ გენერალური პროკურატურის შენობის ბლოკირებას ადგილი არ ჰქონია, არამედ, როგორც მოსამართლე აღნიშნავს, არსებობდა მხოლოდ ბლოკირების რეალური საშიშროება. აქედან გამომდინარე, პოლიციის მოთხოვნა ბლოკირების შეწყვეტის შესახებ ვერ იქნებოდა კანონიერი, იმ მომენტამდე, ვიდრე გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეებს სრულიად აღეკვეთებოდათ შესაძლებლობა შესულიყვნენ შენობაში. ოქმის შემდგენელმა ორგანომ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი კონკრეტული პიროვნება, ვისაც აღეკვეთა ამგვარი შესაძლებლობა ან თუნდაც ხელი შეეშალა შენობაში შესვლაში. ახსნა-განმარტების მიცემის დროს პატრულ-ინსპექტორები მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლნენ, შენობაში შესვლის გართულების კონკრეტული შემთხვევა კი ვერ დაასახელეს.

სახდელის დაკისრების შესახებ სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია: „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება.“ „დადგენილია და აღნიშნულს არც ჯაბა ჯიშკარიანი, დავით დალაქიშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი უარყოფენ, რომ ისინი საპროტესტო აქციას ატარებდნენ გენერალურ პროკურატურასთან დაახლოებით 10 მეტრიან რადიუსში.“ მე-9 მუხლის პირველ ნაწილში საუბარია შენობიდან 20 მეტრის რადიუსზე, ხოლო მოწმეები მიუთითებენ ჭიშკარიდან 10 მეტრიანი რადიუსის დაცვაზე. გენერალური პროკურატურის შენობიდან ჭიშკარამდე არსებული მანძილი აღემატება 20 მეტრს. სასამართლოს დადგენილებაში არ არის მითითებული სამართლებრივი აქტი, რომელიც გენერალური პროკურატურის ჭიშკარამდე არსებულ ტერიტორიას მიაკუთვნებს აღნიშნული დაწესებულების შენობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმებით და პატრულ ინსპექტორთა ახსნა-განმარტებებით არ იკვეთება ის გარემოება, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებს გენერალური პროკურატურის შენობიდან (ან თუნდაც ჭიშკარიდან) ოცი მეტრის რადიუსში აქციის შეწყვეტა მოითხოვეს, რასაც აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ. სამართალდარღვევის ოქმებში აღნიშნულია, რომ ჯაბა ჯიშკარიანი და ლევან გოგიჩაიშვილი ბოროტად არ დაემორჩილნენ მოთხოვნას, რომელიც ეხება გენერალური პროკურატურის შენობის ბლოკირების შეწყვეტას, ხოლო დავით დალაქიშვილი გენერალური პროკურატურის მიმდებარე ტერიტორიაზე წარწერების გაკეთებისაგან თავის შეკავებას. აღნიშნული მოთხოვნები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის მიზნისათვის არ წარმოადგენს კანონიერს და არ იქნა ასეთად მიჩნეული სასამართლოს მიერვე. მოთხოვნა 20 მეტრის რადიუსში აქციის შეწყვეტის შესახებ არ არის მითითებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში და ამ საფუძველით ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება უკანონოა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე.“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება სამართალდარღვევის ჩადენის არსი. ხოლო 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის განსახილველად მომზადებისას, სასამართლო წყვეტს სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი. თუკი სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ არ არსებობს ქმედება, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიღებული უნდა ყოფილიყო დადგენილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

ამგვარად, არ არსებობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის დადგენილება #4/100001-07 საქმეზე დაუსაბუთებელია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „რაიონის (ქალაქის) სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საბოლოოა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.“ დადგენილებით დაკისრებული სახდელი სამართალდარღვევათა მიმართ უკვე მიქცეულია აღსასრულებლად. შესაბამისად, დადგენილება კანონიერ ძალაშია შესული. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „განცხადებასა და საჩივარს საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის ზემდგომი ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას.“ ასკ-ის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული მოსამართლის (მოსამართლის) დადგენილება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით ადმინისტრაციული მოსამართლის (მოსამართლის) მიერ, აგრეთვე მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი – ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებების და მოვალეობის ან სისხლისამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილ სამართლიან სასამართლო მოსმენაზე. ევროსასამართლომ საქმეში, „ენგელი და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ ტერმინი „სისხლისამართლებრივი ბრალდება“ მე-6 მუხლის მიზნებისათვის არ არის დამოკიდებული ამ ცნების შიდასახელმწიფოებრივ კლასიფიკაციაზე. იმისათვის რომ გამოყენებული იყოს ევროკონვენციის მე-6 მუხლი, აუცილებელია, რომ ბრალდებით მოთხოვნილი სასჯელი იყოს საკმარისად მკაცრი. ამ დროს არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია იმ გარემოებას, ასეთ სასჯელს ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსი, მთავარია, რომ სასჯელი მკაცრი ფორმით ითვალისწინებდეს პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთას. ამგვარად მე-6 მუხლი გამოიყენება, ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, სადაც მოსალოდნელია დამრღვევისათვის თავისუფლების აღკვეთა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების დროს, სამართალდარღვევის ოქმში მოყვანილი მონაცემების მტკიცების ტვირთი ეკისრება, ოქმის შემდგენელ ორგანოს. სასამართლო სამართალდარღვევის საქმეს იხილავს სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნული გარემოებების ფარგლებში. სასამართლოს არა აქვს უფლება გასცდეს სამართალდარღვევის ოქმს, მისცეს დამოუკიდებელი კვალიფიკაცია სამართალდამრღვევის ქმედებას. თუკი სათანადო მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად, ვერ დადასტურდება სამართალდარღვევის ოქმში მითითებული ქმედების არსებობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმია უქმდება და საქმისწარმოება წყდება. რაც არ გამოორიცხავს სხვა ქმედებასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევის პასუხისგებაში ხელახლა მიცემას.

მოცემულ შემთხვევაში, სახდელის სახით 25 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება, ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში საფუძველს, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

პაატა ზაქარეიშვილი ფრიდონ კილანავას წინააღმდეგ

მ/წ 24 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე პაატა ზაქარეიშვილმა. განმცხადებელი განმარტავს, რომ მ/წ 12 ივლისს ქ.ზუგდიდში აპირებდა დევნილებთან შეხვედრას. შეხვედრის ხელის შეშლა სცადეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის მიმართულების ხელმძღვანელმა პირებმა თორნიკე კილანავამ და ანატოლი ჯოლოგუამ. განმცხადებელი ითხოვს მისი კონსტიტუციური უფლებების დაცვას. პ.ზაქარეიშვილი იქვე აცხადებს, რომ ნაცვლად იმისა, დაეგმო კილანავასა და ჯოლოგუას ანტიკონსტიტუციური ქმედება, გალის მიმართულების უშუალო ხელმძღვანელმა ბ.ბულესკირიამ მხარი დაუჭირა პ.ზაქარეიშვილის მიმართ განხორციელებულ აგრესიას.

ბ.ბულესკირიამ განაცხადა: „მ/წ 12 ივლისს ქ.ზუგდიდში აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან შესახვედრად ჩამოვიდა რესპუბლიკური პარტიის წევრი, რიგი მარგინალური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული, დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის და სტუდენტურ-ახალგაზრდული მოძრაობისათვის მიუღებელი პიროვნება, პაატა ზაქარეიშვილი. ეს შეხვედრა არ შედგა, რადგან ბატონი ზაქარეიშვილი ცნობილია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თავისებური, არასწორი, ქართული სახელმწიფოსათვის მიუღებელი და დევნილთათვის დამამცირებელი გამოსვლებით. ცდილობს რა შეცდომაში შეიყვანოს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, ბატონი ზაქარეიშვილი მოქმედებს იმისათვის, რომ ერთგვარი დასაყრდენი მოძებნოს დევნილთა რიგებში.“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თორნიკე კილანავას ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია პაატა ზაქარეიშვილისათვის, თუმცა კამათისას განუცხადა, რომ მისი საქმიანობა არ უწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას.

პაატა ზაქარეიშვილის ზუგდიდში ყოფნის ფაქტი გააშუქა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-მა.“ აღნიშნული მოვლენის ამსახველი ვიდეომასალა განთავსებულია აღნიშნული მედიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=21749&im=main&ct=25 გადაცემის წამყვანი მანანა მანჯგალაძე აცხადებს: „დევნილებმა პაატა ზაქარეიშვილი ზუგდიდიდან გააძევეს. აფხაზეთისა და რუსეთის აგენტის ძახილით ჯერ დიაგნოსტიკური ცენტრის შენობა დაატოვებინეს. დევნილებმა მას რესპუბლიკური პარტიის კონფერენციის ჩატარების საშუალება არ მისცეს. მოსახლეობა აფხაზეთში დაღუპული ადამიანების ცხედრებით ვაჭრობაში ადანაშაულებს. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი კონფერენცია ჩაიშალა, ზაქარეიშვილი მაინც კმაყოფილებას გამოთქვამს. მან ამით მოსახლეობის აზრი გაიგო. ზუგდიდში დღეს მის ნაცვლად ლევან ბერძენიშვილსა და თინა ხიდაშელს ელოდნენ, თუმცა კონფერენცია მაინც ჩაიშლებოდა, რადგან „რესპუბლიკელებს“ არც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოუყო ღონისძიებისთვის შენობა.“ ამის შემდეგ სიუჟეტში ჩანს თუ როგორ მიმართავს თორნიკე კილანავა პაატა ზაქარეიშვილს: „გეყოფა ფულის ჭამა! მოვიდა ის დრო, რომ მოგეკითხება ყველაფერი. მოგეკითხებათ, ახლა დაახვიე აქედან! დაახვიე! მეორედ აღარ დაგინახო.“ ამის შემდეგ თითის ქნევით უახლოვდება

ზაქარეიშვილს და აცხადებს: „მეორედ თუ ჩამოხვალ ზუგდიდში უარესს დაგმართებთ...“

შეხვედრის ჩაშლის მიზნით, თ.კილანავამ პ.ზაქარეიშვილის მიმართ გამოიყენა საჯარო მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქუჩური ლექსიკა, რასაც თან ერთვოდა ზუგდიდიდან გასვლის მოთხოვნა. ამგვარი ფორმით თორნიკე კილანავა ზემოქმედებას ახდენდა პაატა ზაქარეიშვილზე, რათა ამ უკანასკნელს ხელი აეღო თავის განზრახვაზე - ზუგდიდის დიაგნოსტიკური ცენტრის შენობაში ჩაეტარებინა და მონაწილეობა მიეღო რესპუბლიკური პარტიის კონფერენციაში.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174² მუხლის თანახმად: „შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

-
გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 24-ე მუხლის თანახმად, 174² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მოითხოვა ფრიდონ კილანავას მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.

მ/წ 05 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უფროსის წერილობითი პასუხი, რომლითაც უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნა. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გასული ვიდეომასალის მიუხედავად, შს სამმართველოს წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ დევნილებთან შეხვედრის ჩაშალა მოხდა გალის მიმართულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამავე დროს ფრიდონ კილანავას ქმედება არ იქნა მიჩნეული სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებად.

დანართი #10

კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები აფხაზეთში

სიცოცხლის უფლება

5 იანვარს, 5 საათსა და 15 წუთზე გალის რაიონის სოფელ ფიჩორისა და ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის ადმინისტრაციულ საზღვართან განლაგებულ საქართველოს შინაგანი ჯარის ბლოკ-საგუშაგოს თავს დაესხა აფხაზური ე.წ. ანტიტერორისტული ცენტრის ჯგუფი. არსებული ინფორმაციის თანახმად, თავდამსხმელები საგუშაგოს მიუახლოვდნენ 50-60 მეტრის მანძილზე, საიდანაც აწარმოეს რამდენიმე გასროლა ყუმბარმტყორცნიებიდან. ისროდნენ ავტომატიური ცეცხლსასროლი იარაღებიდანაც. ინციდენტის შედეგად დაიღუპა ქართველი ჯარისკაცი, სოფელ თავილონის მკვიდრი, ფირუზ ომარის ძე შარია, ხოლო სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო ზუგდიდელმა ენვერ ჯიქიამ. საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

8 იანვარს, გუდაუთის რ-ნში, ერთ-ერთ კერძო სასტუმროში აღმოჩენილ იქნა სამი ადამიანის - სასტუმროს მფლობელის, 1955 წ. დაბ. დიმიტრი არძინბას, 1965 წ. დაბ. დაურ ლაკობასა და 1960 წ. დაბ. ედუარდ ზადეს ცხედარი. არსებული ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნებები მოკლულნი არიან საღამოს 20:00 საათზე.

18 მარტს, გალის რ-ნის სოფ. ნაბაკევში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც დაიღუპა ორი ადამიანი. ადგილზე დაიღუპა ოჩამჩირის რ-ნის მკვიდრი ზაზა კვიცინია, ხოლო მეორე - საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. დანარჩენი რვა დაჭრილი სოხუმისა და გალის საავადმყოფოებში მოათავსეს. აფეთქება მოხდა ნუგზარ ელიავას სახლის სიახლოვეს, სადაც განთავსებული იყო საარჩევნო შტაბი. აფეთქების შედეგად ეს სახლი საგრძნობლად დაზიანდა. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების მიზეზი ქვეითსაწინააღმდეგო ხელყუმბარის "ფ-1"-ის აფეთქება იყო.

ადამიანების გატაცება, გაუჩინარება

ბოლო დროს, გალის რ-ნის ტერიტორიაზე გახშირდა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცების ფაქტები. თითქოს ჩადენილი დანაშაულთა გახსნის მიზნით, ე.წ. მილიციის თანამშრომლები შედიან სოფლებში, აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, უსაფუძვლოდ, ეჭვმიტანილის სახით აკავებენ სხვადასხვა პირებს და მათ გათავისუფლების სანაცვლოდ სძალავენ ფულს. ადგილი აქვს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებს. გატაცებული პრავაშა ჩეხერიას საქმეზე „ეჭვმიტანილის სახით“ ე.წ. მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს და შემდეგ

ფული გამოსძალეს სოფ. სიდაში მცხოვრებ ლეჟავას, შამუგიას. ასევე ძმებ შამუგიებს და სხვ.

6 იანვარს, დაახლოებით 4 საათზე გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში ბადრი შამუგიას ოჯახში შეიჭრა სამი შეიარაღებული, დაუდგენელი პირი. ბ. შამუგია არის ფსიქიურად ავადმყოფი. შიშის გამო მან ატეხა ყვირილი, სჩადიოდა სხვა არანორმალურ ქმედებებს. ამის დანახვაზე გამტაცებლებმა დატოვეს სახლი და შევიდნენ მეზობლად მცხოვრებ პრავაშა ჩეხერიას ოჯახში, საიდანაც წაიყვანეს იგი და ოჯახის წევრებს გამოსასყიდი თანხის სახით 50 ათას აშშ დოლარის მიტანა დაუბარეს. მომდევნო დღეს თანხამ დაიწია 30 ათას დოლარამდე, ორი დღის შემდეგ კი - 15 ათას დოლარამდე. დაუზუსტებელი ინფორმაციით გამტაცებლები არიან აფხაზი ეროვნების კრიმინალები. უფრო მოგვიანებით, 14 იანვარს, პრავაშა ჩეხერია გაათავისუფლეს. არსებული ინფორმაციით, პ.ჩეხერია ნაცემია. მას ზუგდიდში გადმოსვლის უფლება არ მისცეს.

28 იანვარს, გალის რ-ნის სოფ. ქვემო ბარდებში, დაახლოებით საღამოს 10:00 საათზე, დაუდგენელი პირების მიერ სახლიდან მოტყუებით იქნენ გამოყვანილნი გიგა ღვინჯილია და ხვიჩა ცობეხია. ისინი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. 29 იანვარს მათი მეზობლები - ძმები ზურაბ და მერაბ შამუგიები წავიდნენ გალის რ-ნის ცენტრში, რათა გაეგოთ რაიმე ახალი ამბავი გატაცებულების შესახებ. უკან დაბრუნებისას მათ გვერდით გაჩერდა “უაზ“-ის მარკის ავტომანქანა. დაუდგენელმა პირებმა შამუგიები ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. ცნობილია, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი იყო ე.წ. გალის რ-ნის მილიციის თანამშრომელი და ეცვა მილიციის ფორმა. 29 იანვარს, აფხაზი გამტაცებლები დაუკავშირდნენ მშობლებს და მოითხოვეს 100 ათასი ამერიკული დოლარი მათ გასათავისუფლებლად. მომდევნო დღეების მანძილზე, გამოსასყიდი თანხის ოდენობა 25 ათასი აშშ დოლარამდე შემცირდა. 31 იანვარს, დილით, ძმები ზურაბი და მერაბ შამუგიები გაათავისუფლეს. არსებული ინფორმაციით, მათ გასათავისუფლებლად გადაიხადეს 2000 აშშ დოლარი. გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ გ. ღვინჯილია და ხ. ცობეხიაც გაათავისუფლეს.

3 თებერვალს, ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული ხუთი დაუდგენელი პირი შეიჭრა გალის ადმინისტრაციის თანამშრომელის, დავით სიგუას სახლში და გაიტაცა ის გაურკვეველი მიმართულებით. დ. სიგუა ხელმძღვანელობდა გალის რ-ნის საარჩევნო კომისიასაც.

22 მარტს, დილით ადრე სახლიდან გავიდა გალის რ-ნის სოფ. ოტობაიაში მცხოვრები ემზარ ზურაბის-ძე აბულაძე, დაბ. 1985 წ. გარკვეული დროის მანძილზე უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ემზარ აბულაძე იყო გატაცებული ფულის გამოძალვის მიზნით. თვითმხილველთა თქმით, გამტაცებლები გადაადგილდებოდნენ გაგიდა-პრიმორსკის მიმართულებით. 23 მარტს გამტაცებლებმა ტელეფონით მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა 50 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გამტაცებლებს ემზარ აბულაძე სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, გალის რ-ნის სოფ. ბარდებში ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში ჰყავდათ ჩაკეტილი. 26 მარტს, ისარგებლა რა შემთხვევით,

ე.აბულაძემ მოახერხა სკოჩით შეკრული ხელის განთავისუფლება და სახლის უკანა მხარეს არსებული ფანჯრიდან გადახტა. მან შეძლო მისულიყო ხალხმრავალ ადგილზე და ხმამაღლა მოეთხოვა დახმარება. მოსახლეობამ შეიფარა იგი. გამტაცებლებმა ვერ გაბედეს ხალხში გამოჩენა. მეორე დილით აბულაძე გადმოიყვანეს ენგურის ხიდზე, სადაც მას დახვდნენ მშობლები და წაიყვანეს ქალაქ ქუთაისში.

24 მარტს, გალის რაიონის სოფელ ოკინორეში, არასრულწლოვანმა თენგიზ ომარის ძე გელანტიამ ცოლის მოყვანის მზნით გაიტაცა თავისი თანაკლასელი თეკლე ონისეს ასული ფაცაცია (ორივე მათგანი მეათე კლასის მოსწავლეა). იმ დღესვე გალის ე.წ. აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა ისინი დააკავეს. თეკლე ფაცაცია დაბრუნებულ იქნა თავის ოჯახში, ხოლო თენგიზ გელანტია 26 მარტს, ფულის გადახდის შემდეგ გაანთავისუფლეს.

25 მარტს, გალის რ-ნის სოფ. თავილონში ექვსი შეიარაღებული, ნიღბიანი პირი თავს დაესხა ჯამბულ რუხაიას ოჯახს. თავდამსხმელებმა ოჯახის წევრები აწამეს, რის შემდეგაც ჯ.რუხაია გაიტაცეს. ბანდიტებმა წაიღეს ფული, ძვირფასეულობა, აგრეთვე, ოჯახში არსებული თხილის მოსავალი. გატაცებული რუხაია არის თავილონის აფხაზური ადმინისტრაციის გამგებლის მოადგილე. მისი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს გალისა და ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვართან. სავარაუდოდ, გატაცება უკავშირდება ფულის გამოძალვის განზრახვას. მოგვიანებით, ბანდიტებმა მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა 70 ათასი აშშ დოლარი. 7 აპრილს, 12 ათასი ამერიკული დოლარის გადახდის შემდეგ იგი გაათავისუფლეს. აღნიშნული თანხა რუხაიას ახლობლებმა ბინებისა და სხვა ნივთების გაყიდვით მოაგროვეს. გატაცებული ჯამბულ გაბას ძე რუხაია გამტაცებლებს 10 დღის განმავლობაში ჰყავდათ უმძიმეს პირობებში.

5 აპრილს, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში მცხოვრები 1960 წელს დაბადებული მერაბ საჯაია დაიკარგა გაურკვეველ ვითარებაში. მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. საკითხი დაყენებულია გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წინაშე.

14 აპრილს, 23:00 საათზე გალის რაიონის სოფელ კობორაში მცხოვრები შოთა ხორავას სახლში შეიჭრა ხუთი შეიარაღებული პირი. ყაჩაღებმა გაკოჭეს ოჯახის უფროსი შ.ხორავა და წაიყვანეს ის გაურკვეველი მიმართულებით. გამტაცებლები 15 აპრილს, საღამოს ტელეფონით დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და გამოსასყიდის სახით ასი ათასი ამერიკული დოლარის გადახდა მოსთხოვეს.

26 აპრილს, გალის რ-ნის სოფ. თავილონში, ღამის 00:30 საათზე ოთხმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა ემზარ ალიოშას ძე აბლოთია საკუთარი სახლიდან ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა. მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა. დილით ყაჩაღები დაუკავშირდნენ ნათესავებს და გამოსასყიდის სახით მოითხოვეს 50 ათასი ამერიკული დოლარი. არსებული ინფორმაციით, 4 მაისს, საღამოს გაათავისუფლეს 27 აპრილს სოფელ თავილონიდან გატაცებული ემზარ ალიოშას ძე აბლოთია. გათავისუფლება მოხდა გვიან ღამით, ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე, „ნაფატუს“ ფონთან. აბლოთია 5 მაისს გადმოიყვანეს ზუგდიდში მისი ჯანმრთელობის

მდგომარეობის გამოსაკვლევად. მას აღენიშნება სხეულის მრავლობითი დაზიანებები. სავარაუდოდ, აბლოთიას ნათესავეებს მის გასათავისუფლებლად გადახდილი აქვთ გარკვეული თანხა (რაოდენობა უცნობია).

30 აპრილს, ქ. გალში, ყოფილ “ტაქსო-პარკის” მიმდებარე ტერიტორიიდან გატაცებულ იქნა სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრი მერაბ კარლოს ძე საჯაია. არსებული ინფორმაციის თანახმად, მ. საჯაია გაიტაცეს ე.წ. ანტიტერორისტული ჯგუფის წევრებმა და ჰყავთ ქ. ოჩამჩირეში თავიანთი დისლოკაციის ადგილზე.

1 მაისს, გვიან ღამით გალის რ-ნის სოფ. ოქუშში მცხოვრებ ბულისკერიების ოჯახს თავს დაესხა ხუთი შეიარაღებული ნიღბიანი პირი და ოჯახის წევრებს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ოჯახის წევრებმა გამტაცებლებს გაუწიეს წინააღმდეგობა, რის გამოც თავდამსხმელებმა მათზე ძალა იხმარეს. გაიტაცეს თემურ ბულისკერია, რომლის გათავისუფლებისათვის ბანდიტები ითხოვენ 25 ათასს აშშ დოლარს.

იმავე დღეს, დე-ფაქტო აფხაზმა მესაზღვრეებმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ზუგდიდიდან მიმავალი გოჩა გამისონია დააკავეს, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია.

18 მაისს, გალის რაიონის სოფელ მახუნჯიაში, ღამის საათებში ოთხი დაუდგენელი შეიარაღებული ნიღბიანი პირი შეიჭრა გიორგი უბილავას საცხოვრებელ სახლში. მათ ოჯახის უფროსი იარაღის მუქარით წაიყვანეს დაუდგენელი მიმართულებით. გატაცებულმა მოახერხა გამოქცევა და ე.წ. მილიციელებს შეაფარა თავი. ამჟამად იგი თავის საცხოვრებელ სახლში იმყოფება.

10 ივნისს, ღამის 10 საათზე, გალის რაიონის სოფ. ქვემო ბარლებში სამი შეიარაღებული პირი შეიჭრა რამაზ ანთიას სახლში. რ.ანთია გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. სამი საათის შემდეგ გამტაცებლები დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და გამოსასყიდი სახით მოითხოვეს 50 ათასი აშშ დოლარის გადახდა. 11 ივნისს რ.ანთიამ მოახერხა თავის გათავისუფლება, გამტაცებელს წაართვა ავტომატი და ხუთჯერ გაისროლა მისი მიმართულებით, რითაც სასიკვდილოდ დაჭრა იგი. გამტაცებელი აღმოჩნდა გალის რაიონის მკვიდრი ლაშა ოკუჯავა, რომელიც იძებნებოდა აფხაზი სამართალდამცავი ორგანოების მიერ. რ.ანთია თავად ჩაბარდა გალის ე.წ. აფხაზურ მილიციას. აფხაზური მილიციის წარმომადგენლები მივიდნენ გარდაცვლილის ოჯახში და დაიბარეს, რომ მიცვალებული დაეკრძალათ 12 ივნისს, 13:00 საათზე.

თავისუფალი გადაადგილების უფლება

7 იანვარს, ე.წ. აფხაზური საბაჟოს თანამშრომლებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შეუშვეს გალის რ-ნის მკვიდრი ხვიჩა გრიგოლია და მოსთხოვეს მას 700 რუსული რუბლი. ხ.გრიგოლიამ არ ისურვა თანხის გადახდა, რის გამოც მათ შორის მოხდა შელაპარაკება. შედეგად, საბაჟოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ის ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრა. დაჭრილი მოათავსეს ზუგდიდის საავადმყოფოში, სადაც მას გაუწიეს შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

14 იანვარს, ენგურის ხიდთან არსებულ საბაჟო-საკონტროლო პუნქტზე ე.წ. აფხაზი მებაჟეები მოქალაქეებს ხიდზე თავისუფლად გადასვლა - გადმოსვლის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ისინი საათობით აკავებდნენ ხალხს და უშვებდნენ მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ. იყო მოქალაქეების ცემის ფაქტებიც.

1 თებერვალს, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში, ივო პეტროვმა შამბას გადასცა წერილობითი მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ აფხაზეთის მხარემ უნდა გადახედოს ენგურის ხიდზე შეზღუდული მოძრაობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგანაც ეს ადგილობრივ მოსახლეობას დამატებით პრობლემებს უქმნის და მის ყოველდღიურ ცხოვრებას.

მოგვიანებით, აფხაზურმა მხარემ ენგურის ხიდზე მოხსნა შეზღუდვები. თვითმხილველების გადმოცემით, შეიძლება ითქვას, რომ ხიდი ჩაკეტილი არასდროს არ ყოფილა. მოსახლეობის გადაადგილება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი ხასიათზე იქნებოდნენ მესაზღვრეები. თუ ისინი კარგ ხასიათზე იქნებოდნენ, მხოლოდ მინიმალური თანხის გადახდის შემდეგ გადაკვეთდნენ ხიდს მოქალაქეები, თუ იქნებოდნენ ცუდ ხასიათზე, მაქსიმუმს გადაახდევინებდნენ, ანდა სრულებით არ გაატარებდნენ მათ.

3 და 4 მარტს, არჩევნების წინა დღესა და არჩევნების დღეს ენგურის ხიდი აფხაზურმა მხარემ გადაკეტა. ე.წ. აფხაზური მილიცია და მესაზღვრეები ენგურის მარჯვენა ნაპირზე განლაგდნენ და გალის მოსახლეობას ზუგდიდის მიმართულებით არ ატარებდნენ, გალის რაიონის ტერიტორიაზე მოხვედრა კი შეუზღუდავი იყო.

11 მარტს, იმ სოფლებში, სადაც ე.წ. არჩევნები უნდა ჩატარდეს, შეყვანილ იქნენ დამატებითი შეიარაღებული ჯგუფები. დანაღმული იყო ზუგდიდისკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი.

5 მაისს, ე.წ. აფხაზი მებაჟეებისა და მესაზღვრეების მიერ შეჩერებული იყო ავტობუსების გადაადგილება გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებიდან ზუგდიდის რაიონის მიმართულებით.

23 მაისს, არსებული ინფორმაციის თანახმად, გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში განლაგებული სეპარატისტული რეჟიმის მესაზღვრეები და მებაჟეები ადგილობრივ მოსახლეობას ზუგდიდის მიმართულებით გადასვლაში სძალავდნენ ფულს. ისინი აკონტროლებდნენ გადასასვლელებს. ამ დროისათვის წყლის ადიდების გამო ჩაკეტილი იყო პატარა გადასასვლელები, ე. წ. “ფონები”, ამიტომ მოსახლეობა იძულებული იყო გადასულიყო მესაზღვრეების მიერ კონტროლირებადი გზებით და გადაეხადა დაწესებული თანხა.

საკუთრების უფლება

ქ. სოხუმში, ორეხალაშვილის ქუჩა №28ა-ში მცხოვრებ ნათელა რუსიამ ომის დამთავრების შედეგ თავისი ბინა დაუტოვა დებს - ნაზის და ციალას. ამ

უკანასკნელთა ბინა თავის მხრივ დაიკავეს აფხაზებმა და მის დაბრუნებას არ აპირებენ. ედავებიან ნ.რუსიას ბინასაც.

აღნიშნული საკითხი დაყენებულია საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელის, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელის, საერთაშორისო წითელი ჯვრის ხელმძღვანელის წინაშე, რომლებმაც ადგილზე შეისწავლეს მდგომარეობა. აღნიშნული საკითხი მათ მიერ აყვანილია კონტროლზე. სისტემატიურად აკითხავენ ოჯახს.

12 იანვარს, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში, რუსეთის სამშვიდობო ძალების ბლოკპოსტთან ახლოს შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ალანასა და ხუბუტიას ოჯახს. ბანდიტებმა ფული, ძვირფასეულობა და თხილი წაიღეს.

იმავე დღეს, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში, ხუთი შეიარაღებული პირი რუსეთის სამშვიდობო ძალების № 101-ე საგუშაგოთან რამოდენიმე მეტრის სიახლოვეს თავს დაესხა გალიდან მომავალ სამ ქალბატონს. მოქალაქეებს ფული, ძვირფასეულობა და პირადი ნივთები წაართვეს. წინააღმდეგობის გაწევისას ერთ-ერთი ქალბატონი - ეთერ ჯინჯოლია დაშავდა. ის ზუგდიდის საავადმყოფოში მოათავსეს.

18 თებერვალს, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში ხუთი შეიარაღებული პირი თავს დაესხა გურამ გამსახურდიას ოჯახს. ოჯახის წევრები სასტიკად სცემეს. ისინი გალისა და სოხუმის საავადმყოფოებში მოათავსეს. თავდამსხმელებმა წაიღეს ფული და ძვირფასეულობა.

23 თებერვალს, გალის რ-ნის სოფელ ბარლებში დაწვეს რაიონის დეპუტატის და საარჩევნო კომისიის წევრის, თემურ მორგოშიას სამროხე პირუტყვთან ერთად.

26 თებერვალს, დილის 3 საათზე გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში ხუთი ნიღბიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი თავს დაესხა ამავე სოფლის მცხოვრებ კაჟა გვაგვალის ოჯახს. ყაჩაღებმა იარაღის მუქარით და ძალის გამოყენებით ოჯახიდან წაიღეს ოქროულობა და ფული.

გალის გაეროს ოფისის თანამშრომლის დაყაჩაღების ფაქტზე გაირკვა, რომ 5 აპრილს, 22:00 საათზე ხუთი სამხედრო ფორმიანი და ნიღბაფარებული შეიარაღებული პირი შეიჭრა ბახვა ქობალიას სახლში. ბ.ქობალიას მეუღლე მუშაობს გალის გაეროს ოფისში თარჯიმნად და აქვს საკმაოდ დიდი ხელფასი. შეიძლება დაყაჩაღების მიზეზიც ეს იყოს. ყაჩაღებმა ოჯახის უფროსს ბახვა ქობალიას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ოჯახიდან წაიღეს 3000 ამერიკული დოლარი და ძვირფასეულობა.

რამდენიმე ხნის წინ, დაყაჩაღების მცდელობას ადგილი ჰქონდა გალის გაეროს ოფისის მძღოლის, წირღვავას ოჯახზე, მაგრამ ყაჩაღებმა სახლში შეღწევა ვერ მოახერხეს.

როგორც ცნობილია, ე.წ. გალის მილიციის უფროსი ლორენცო კოლონია, მისი მოადგილე ედიშერ ცომაია და ქვედა ზონის მილიციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ელდარ შამუგია მოსახლეობას, რომელიც ეწევა მცირე

ბიზნესს, ფულს სძალავენ. მაგალითად, მეთევზეებს, ასევე ავტობუსის მძღოლებს, აქვთ დაკისრებული ე.წ. “სტაკვები”.

3 აპრილს, არჩევნებთან დაკავშირებით შემოყვანილი დამატებითი ძალების ნაწილი გალის რ-ნის სოფ. ზემო ბარლებში, ვალერიან ცობეხიას სახლში დაბანაკდა. მათ ოჯახის წევრები გამოყარეს სახლიდან და იქ დამატებითი საგუშაგო გახსნეს. ისინი მოსახლეობისაგან მოითხოვენ სურსათ-პროდუქტებს გამოსაკვებად.

16 აპრილს, დაახლოებით ღამის პირველ საათზე გალის რაიონის სოფელ განახლებაში მცხოვრებ მამუკა რაფიკოს ძე კახიანის ოჯახს თავს დაესხა ხუთი ნიღბიანი, ავტომატური იარაღებით შეიარაღებული პირი. მათ ოჯახის წევრებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, წაიღეს ძვირფასეულობა და ფული.

25 აპრილს, გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერაში მოხდა შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა ალიკა ქვარცხავას ოჯახზე. ამ დროს ოჯახში იმყოფებოდა ა. ქვარცხავას დედა, ეროვნებით სომეხი ნადია დავტიანი. ყაჩაღებმა წაიღეს ფული და ძვირფასეულობა, ხოლო ოჯახის წევრებს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფა. მომხდარმა ფაქტმა სერიოზული აღშფოთება გამოიწვია დაბა აგუძერაში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობაში.

14 მაისს, გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში ხუთი შეიარაღებული ნიღბიანი პირი თავს დაესხა ზაქარაიების ოჯახს. ისინი 2 საათის განმავლობაში აწამებდნენ ოჯახის წევრებს, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვსაც. ბანდიტები ითხოვდნენ 50 ათას აშშ დოლარს, წაიღეს ოქროულობა, 1000 აშშ დოლარი და გაუჩინარდნენ. ოჯახის რამდენიმე წევრი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული.

28 მაისს, გალის რაიონის სოფ. განახლებაში ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი პირი თავს დაესხა რუხაიების ოჯახს. სახლში მხოლოდ მოხუცი ცოლ-ქმარი იმყოფებოდა. ოჯახის უფროსმა, 67 წლის მიხეილ რუხაიამ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შედეგადაც ის ბანდიტებმა ორივე ფეხში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. დაჭრილი მოთავსებულია ზუგდიდის საავადმყოფოში. რუხაიას გადმოცემით, მას თავს დაესხა ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული პირი, რომლებიც საუბრობდნენ მეგრულად. ყაჩაღებმა ოჯახიდან წაიღეს სანადირო თოფი, ფული და ძვირფასეულობა.

6 ივნისს, გალის რაიონის სოფ. ოქუმში, დიმიტრი ბულისკერიას მიტოვებულ სახლში დაბანაკდა ე.წ. აფხაზეთის სასაზღვრო ნაწილი 20 კაცის შემადგენლობით.

28 ივნისს, სოხუმის რ-ნის ქვემო ეშერაში, ე.წ. „სიდედრის ენის“ მონაკვეთზე, დაახლოებით 14:30 საათზე მოხდა ყაჩაღური თავდასხმა „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანაზე, რომელსც გაგრიდან სოხუმის მიმართულებით გადაჰქონდა დიდი რაოდენობის (600 ათასი რუსული რუბლი) ფულადი თანხა. თავდამსხმელები იყვნენ ოთხნი, თეთრი ფერის „ვოლგის“ მარკის ავტომანქანით, რომლებმაც გზა გადაუკეტეს „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანას და ცეცხლი გაუხსნეს მას. მძიმედ დაიჭრა დაცვის თანამშრომელი - ანდრეი კალაიჯიანი, ხოლო ორნი - რუსლან ბასარია და ალექსანდრე ჩერნიშევი არ დაზარალებულან. თავდამსხმელებმა წაიღეს

თანხა და გაუჩინარდნენ გაურკვეველი მიმართულებით. დაჭრილები გადაყვანილ იქნენ სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც გაუკეთდათ ოპერაცია.

2007 წელს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი 72 ობიექტი გაიყიდა (2005 წელს - 67).

თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თვითნებური დაკავების ფაქტები

14 იანვარს, აფხაზური ე.წ სპეცსამსახურების 15-20 კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა გალის რაიონის სოფელ პირველ გალში თავის საცხოვრებელ სახლში დააკავა როინ ბასარია. მიღებული ინფორმაციით, მას ედავებიან აფხაზების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მანაწილეობას. ის იმყოფება სოხუმის იზოლატორში.

16 იანვარს, გალის რ-ნის სოფ. პირველი გალიდან აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, საკუთარი სახლიდან წაიყვანეს ადგილობრივი მაცხოვრებელი, 25 წლის ელდარ ბასარია.

1 მარტს, გალის რ-ნის სოფ. თავილონის მიდამოებში, დაახლოებით 17:00 საათზე, დე-ფაქტო გალის აფხაზი მესაზღვრეების მიერ მიერ დაკავებულ იქნენ ლაშა ყორშია, კობა რიგვაა და გელა ღაჭავა, რომლებმაც გადაკვეთეს ადმინისტრაციული საზღვარი ზუგდიდის რაიონის სოფ. შამგონას მხრიდან. დაკავებულები იმყოფებოდნენ სოხუმის ე.წ. მილიციის ოზოლატორში. მათ დაკითხვას აწარმოებდა უშიშროების სამსახური. დაკითხვას ესწრებოდნენ გაეროს სოხუმის ოფისის წარმომადგენლები. აღნიშნული ახალგაზრდები პროტესტსა და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის 4 მარტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. შაბათს, აფხაზური ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაცემული იყო ორი მათგანის ე.წ. „აღიარებითი“ ჩვენებები, ხოლო მესამის - ძალის გამოყენების შესახებ - კადრები იყო ამოჭრილი. ნათელია, რომ იზოლატორში ყოფნისას, მათზე ზემოქმედების შედეგად, ისინი იძულებით აალაპარაკეს. არსებული ინფორმაციით, ისინი იზოლატორში არიან ნაცემი.

4 მაისს სამივე ქართველი სტუდენტი აფხაზური მხარის მიერ იქნა გათავისუფლებული. ისინი იმ დღესვე თბილისში იქნენ გადმოყვანილნი.

3 მარტს, აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ გაგიდასთან უკანონო თევზჭერის ბრალდებით დააკავეს სამი ქართველი - ბადრი თიკანაძე, პაატა სიჭინავა და ჯონი ცაავა, რომლებიც არიან ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის მცხოვრებნი. მოგვიანებით ისინი ადმინისტრაციული წესით დააჯარიმეს, რის შემდეგაც ისინი გადაეცა ქართულ მხარეს.

9 მარტს, გალის რაიონის სოფ. თავილონში ადგილობრივმა მოსახლეობამ ყანაში მუშაობისას აღმოაჩინა ნაღმი, რის შესახებ ეცნობა რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და ე.წ. აფხაზური სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს. რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავებული იყო ის ექვსი ქართველი, რომლებმაც შეატყობინეს ნაღმის არსებობის შესახებ. ბოლოს დადგინდა, რომ ნაღმი დაახლოებით ერთი წლის წინათ იყო დადებული, რის შემდეგ დაკავებულები გაათავისუფლეს.

26 მარტს, სოხუმში შედგა სოხუმში დაკავებული სამი ქართველი მოქალაქის - ავთანდილ ქაჩიბაიას, მირიან კიკაჩიეშვილისა და ლაშა სიჭინავას საქმის განხილვა, რომლებსაც ბრალი ედებოდათ საზღვრის უკანონო გადაკვეთაში. მათ მიუსაჯეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7 აპრილს, გალის რაიონის სოფელ განახლებაში ორი უაზის ტიპის ავტომანქანით შევიდა გალის ე.წ. აფხაზური მილიციის 8 კაციანი ჯგუფი. მათ მიერ დაკავებულ იქნა ამავე სოფლის მკვიდრი, ხვიჩა ავდარის ძე ცაავა. აღნიშნული ჯგუფი ასევე მივიდა ნოდარ ცაავას საცხოვრებელ სახლში მისი შვილის, კობა ცაავას დასაკავებლად, თუმცა ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელს ვერ მიაკვლიეს.

9 აპრილს, თვითღიარებული აფხაზეთის მესაზღვრეებმა გალის რაიონის სოფ. გაგიდას სანაპიროზე დააკავეს სამი ქართველი მეთევზე - ზუგდიდის რ-ნის სოფ. ანაკლიაში მცხოვრები ემზარ ბერულავა, იური გიგავა და ზაზა სიხარულიძე. მეთევზეები მოათავსეს სოხუმის უშიშროების იზოლატორში. მათ ბრალი ედებოდათ საზღვრის უკანონო გადაკვეთაში. 10 აპრილს, 600 ლარის ჯარიმის სახით გადახდის შემდეგ, მეთევზეები გაათავისუფლეს, ხოლო კუთვნილი საზღვაო ტრანსპორტი და თევზსაჭერი საშუალებები ჩამოართვეს.

21 აპრილს, გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში ექვსი შეარაღებული ნიღბიანი პირი სახლში შეუფარდა გამისონიების ოჯახს. მათ გაურკვეველი მიმართულებით 27 წლის გოჩა გამისონია. მოგვიანებით გაირკვა, რომ შეარაღებული პირები იყვნენ ე.წ. გალის მილიციის თანამშრომლები და გოჩა გამისონია დაკავებული ჰყავდათ მილიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში. მილიციის თანამშრომლებმა დაკავებულს შესთავაზეს მილიციაში გამოცხადებულ იყო მისი ბიძაშვილი - ბადრი გამისონია, რის შემდეგ მას გაათავისუფლებდნენ.

22 აპრილს, გალის მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს 1979 წელს დაბადებული, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები ირაკლი იურის ძე აბლოთია.

28 აპრილს, აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის საზღვაო სასაზღვრო რაზმის მესაზღვრეებმა დააკავეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში მცხოვრები მანუჩარ რაზმაძე (დაბ. 1975 წელს) და თემურ გაბელია (დაბ. 1979 წელს). დაკავებულები გადაიყვანეს სოხუმში. მათ ბრალი ედებოდათ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და თევზაობის წესების დარღვევაში.

1 მაისს, გვიან ღამით დე-ფაქტო გალის აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს გალის რ-ნის სოფ. ოტობაიაში მცხოვრები ვიტალი ნადარაია, მელორ ტაბალუა და კინტუშა ბახტაძე, სოფ. გაგიდაში მცხოვრები ჟუმბერ ხასაია, გიგლა გერგედავა და ლევტერ კვარაცხელია. დაკავებულები გადაიყვანეს ე.წ. გალის მილიციის დროებით დაკავების იზოლატორში. 3 მაისს, ღამის 2 საათზე გაათავისუფლეს მელორ ტაბალუა, კინტუშა ბახტაძე და გოჩა გამისონია. ე.წ. გალის რაიონის პროკურორის მოთხოვნით მილიციის შენობაში დატოვეს ტამიშში მცხოვრები ვიტალი ნადარაია.

23 მაისს, არსებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო სავალდებულო გაწვევებთან დაკავშირებით სეპარატისტული მთავრობის კომისარიატმა გააქტიურა თავისი საქმიანობა გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე. კომისარიატმა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს გადასცა უწყებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ჩაბარდა ადრესატებს. გალის კომისრის მოადგილე ბესიკ კირთაძე ატარებს ე.წ. რეიდებს, აკავებს წვევამძღვლებს და განთავისუფლების სანაცვლოდ სძალავს ფულს. გალის რაიონის სოფელ თავილონის მკვიდრებს რუსლან გვარამიას და ბესიკ რუხაიას, სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრს ყოლბაიას კირთაძემ განთავისუფლების სანაცვლოდ გამოსძალა ფული. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს სოფელ მზიურში, დიხაზურგაში და ქალაქ გალში.

29 და 30 მაისს, გალის რ-ნის სოფ. რეჩხში შემოვიდნენ პოლიციისა და სამხედრო განყოფილების თანამშრომლები და სამხედრო ჯარში გაწვევის მიზნით დააკავეს: დარსანია რომან კლიმენტის ძე - 28.01.83 წელს დაბ. ფიფია ლაშა რეზოს ძე - 23.12.80 წელს დაბ. როდონაია ჯანო ჯემალის ძე - 15.02.1987 წელს დაბ. დააკავეს სამგზავრო ავტობუსიც, მაგრამ წვევამძღვლები ვერ აღმოაჩინეს.

1 და 2 ივნისს, გალის რაიონის სოფ. ქვემო ბარლებში ორი “უაზის” მარკის ავტომანქანით შევიდნენ აფხაზური ე.წ. კომისარიატის და მილიციის თანამშრომლები. აღნიშნულ ათკაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა ე.წ. გალის კომისრის მოადგილე ბესიკ კირთაძე. მათ დააკავეს ბადრი პალიკოს ძე შამუგია და ზაზა ოთარის ძე აბუხბაია, რომლებსაც მოხდილი აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახური ქართულ არმიაში. მათ გასათავისუფლებლად მაინც მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა 50 ათასი რუსული რუბლი. თანხის გადახდა ოჯახის წევრებმა ვერ მოახერხეს და სხვა დაკავებული პირებთან - ნური კუკურის ძე გითოლენდიასა და მალხაზ გვაგვალის ერთად ისინი იძულებით წაიყვანეს აფხაზურ ჯარში.

3 ივნისს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ე.წ. აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა თავის საცხოვრებელ სახლში ექვმიტანილის სახით დააკავეს ჟორა გვაჯავა.

19 ივნისს, გალის რ-ნის სოფ. ოქუმში აფხაზებმა დააკავეს 1984 წელს დაბ. მალხაზ გრამიტონის ძე ლაცუსბაია და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით.

განათლების მიღების შეზღუდვა

23 იანვარს, გალის რ-ნის სოფ. გაგიდის სკოლაში რუსეთის სამშვიდობო ძალების თანხლებით მივიდნენ გალის ე.წ. რაიონული ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელთაც თან ახლდათ რუსი ეროვნების პიროვნება (არსებული ინფორმაციით, რუსეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი) და ნუგზარ სალაყაია (გალის რაიონული გაზეთის რედაქტორი). რუსმა მაღალჩინოსნებმა ადგილობრივ პედაგოგებს გალის რ-ნის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებაზე უარის თქმისკენ მოუწოდეს და სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე გადაყვანაზე შესთავაზეს, რათა მეტი ყურადღება დაუთმონ რუსული ენის სწავლებას მათივე მოსწავლეების

კეთილდღეობისათვის. სკოლის დათვალეირების შემდეგ გაემართნენ სოფ. პირველ ოტობაიაში, სადაც ანალოგიური საუბრები ჰქონდათ მასწავლებლებთან.

2 თებერვალს, დილით, გალის რაიონის სოფ. თაგილონში აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების სპეცდანიყოფი შეიყვანა. ისინი განლაგდნენ სოფ. თაგილონის მთელ პერიმეტრზე და მოსახლეობისაგან პასპორტის მონაცემებს აგროვებდნენ. წასვლის წინ შეიარაღებული პირები დაემუქრნენ მოსახლეობას და სკოლის მოსწავლეებს, რათა აღარ ისწავლონ ქართულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან. აფხაზებმა დაფაზე დატოვეს წარწერა: „აფხაზეთი საქართველო არ არის“.

20 ივნისს, გალის რ-ნის სოფ. 1-ლ გალში, ნარინჯოვანის საშუალო სკოლაში ტყვარჩელის ე.წ. უშიშროების თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა, დაარბიეს ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, თან წაიღეს საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები და ვიდეო კასეტები. სკოლის დირექტორ თამაზ ბიბლაიას მიაყენეს მორალური შეურაცყოფა.

დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით

როგორც ცნობილია, სოხუმის უნივერსიტეტში 70-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობს. მათ მოქალაქეობის შეცვლას სთხოვენ. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა სტუდენტები რუსეთის პასპორტებს არ აიღებენ, მათ სასწავლებლიდან გარიცხვით ემუქრებიან. ასეთი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო 28 ივნისს, მას შემდეგ, რაც აფხაზ მეგობრებთან ერთად სტუდენტები სამი დაპატიმრებული ქართველი ახალგაზრდის სასამართლო პროცესზე მივიდნენ. სასამართლო პროცესი არ შედგა, მაგრამ მოსულმა სტუდენტებმა თავისი პოზიცია სასამართლოს შენობასთან მაინც გამოხატეს. ქართველი სტუდენტები ულტიმატუმის შესრულებას არ აპირებენ.

29 მაისს, გალის რაიონის სოფ. ჩხორთოლში შევიდნენ აფხაზების ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. მათ დააკავეს სკოლის დირექტორი ალიშერ ფაჩულია და მისი მოადგილე რევაზ ბერძენია, რომლებიც რამოდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს. დაკავების მიზეზად სახელდებოდა სოფლის მოსწავლეების მონაწილეობა ზუგდიდში ჩატარებული საფეხბურთო ტურნირში. დაკითხულ იქნენ ტურნირში მონაწილე ბავშვებიც.

ადამიანის უფლებათა პატივისცემა

4 მარტს, შეიარაღებული ჯგუფები ჯავშანტრანსპორტიორებით დადიოდნენ გალის რაიონის სოფლებში, რათა მოსახლეობა იძულებით წაეყვანათ საარჩევნო უბნებში. მათ სახლებში არავინ არ დახვდათ. მოსახლეობა დროულად განერიდა 4 მარტს - ზოგი ზუგდიდში გადმოვიდა, ზოგმაც ტყეს შეაფარა თავი.

18 მარტს აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 17 საარჩევნო ოლქში ჩატარდა. არსებული ინფორმაციით, მოსახლეობის დასაშინებლად ფიქროსა და გაგიდაში აფხაზური ე.წ. სპეცრაზმიც შევიდა, თუმცა იარაღის მუქართაც მოსახლეობა მაინც ვერ წაიყვანა საარჩევნო უბნებში. საარჩევნო უბნები დღის მეორე ნახევარშიც არ იყო გახსნილი.

12 თებერვალს, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის “შვერნიკის” უბანში, მოქალაქე ოლიფანტე ელიავას ოჯახში აფხაზებმა არჩევნების დღესთან დაკავშირებით განათავსეს ე.წ. მილიციისა და სპეც-სამსახურის 40-მდე შეიარაღებული პირი. ეს ჯგუფი სოფელში თავხედურად იქცეოდა, მოსახლეობას ძალავდა ფულს, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მოითხოვდა მათგან სასმელსა და საჭმელს. 13 თებერვალს ისინი უმისამართოდ ისროდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასევე ორჯერ გაისროლეს ყუმბარმტყორცნიდან.

11 ივნისს, გალის რაიონის სოფ. ოტობაიას საბავშვო ბაღის შენობაში განლაგებული დე ფაქტო აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფის არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სამმა ჯარისკაცმა ააწიოკა ადგილობრივი მოსახლეობა. ისინი იქცეოდნენ აგრესიულად, ამტვრევდნენ სახლების კარებს, ფანჯრებს. ოჯახებიდან წაიღეს საკვები პროდუქტები და საოჯახო ნივთები.

აფხაზეთში ადგილი აქვს დამსვენებლების დაყაჩაღებისა და ძარცვის, ძალადობის ფაქტებსაც. 13 ივნისს, გაგრამი, გუდაუთელმა, 1978 წელს დაბ. ა.რ. ყოლბაიამ გაუპატიურა დამსვენებელი რუსეთის ფედერაციის ქ. ბრიანსკიდან. დაზარალებულის ინფორმაციით, მას გაგრის კაფე „ბალტიკა“-ში გაეცნო ახალგაზრდა, რომელმაც ჯერ ზღვის სანაპიროზე სცემა, შემდეგ კი შეიყვანა უპატრონო სახლში, სადაც გაუპატიურა.

წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

17 მარტს, გალის რაიონის სოფელ თაგილონში, მოქალაქე არჩილ შონიას საცხოვრებელ სახლში, სადაც განლაგებულია აფხაზი ე.წ. მებაჟეების შტაბი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მებაჟეებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ხუთი წუთის მანძილზე უმისამართოდ აწარმოეს რამდენიმე გასროლა. ამის შემდეგ სამი მათგანი გაემართა სოფლის ცენტრის მიმართულებით, სადაც შემთხვევით შეხვდნენ მეთევზე სოსიკა აპოლონის ძე ოყუჯავას და ვალერი ტუჩიკოს ძე პაპასქირს. ნასვამმა მებაჟეებმა ისინი სრულიად უმიზეზოდ, ავტომატის კონდახების გამოყენებით სცემეს. ამის შემდეგ მათ მუქარით დაიწყეს მოსახლეობისაგან საჭმლისა და სასმელის შეგროვება. აღნიშნული ფაქტებით აღშფოთებული ხალხი მეორე დილით მივიდა შტაბში უკმაყოფილების გამოსახატავად, რასაც მებაჟეების მხრიდან მოჰყვა მუქარა და შეურაცხყოფა მათი მისამართით.

15 აპრილს, გალის რაიონის სოფელ თაგილონში, ლაკობას სახელობის კოლმეურნეობაში განლაგებულმა, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა აფხაზმა ე.წ. მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ამავე სოფლის ახალგაზრდებს. საბაბი იყო ის, რომ სოფლის ახალგაზრდებმა არ მიულოცეს მათ აღდგომა.

გალის რაიონის სოფელ თაგილონში, მოქალაქე არჩილ შონიას მიტოვებულ საცხოვრებელ სახლში განლაგებულია აფხაზი მებაჟეების შტაბი. 23 მაისს, დილით, შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე მებაჟეებმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს ადგილობრივ მაცხოვრებელს პაატა ზარქუას. მიზეზი იყო ის გარემოება, რომ იგი არ მიესალმა შტაბთან მყოფ მებაჟეებს.

15 ივნისს, ქ. გალში აფხაზებმა სცემეს და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს ადგილობრივ ჯობავას, რომელიც გადმოყვანილ და მოთავსებულ იქნა ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში.

28 ივნისს, დაახლოებით 16 საათზე გალის რაიონის სოფელ თაგილონში, ორი უაზის ტიპის ავტომანქანით შემოვიდა ე.წ. გალის აფხაზური მილიციის ათამდე შეიარაღებული თანამშრომელი. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ე.წ. სისხლის სამართლის სამმებროს უფროსი ედიშერ ცომაია. მათი მიზანი იყო გოჩა ალიოშას ძე ქუხილავას დაკავება. როგორც გაირკვა, ქუხილავამ გაქცევით უშველა თავს. სამმებროს უფროსმა ე. ცომაიამ ქუხილავას დედას და მეზობლებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცყოფა და განუცხადა, რომ თუ გოჩა ქუხილავა თავისი ნებით არ ჩაბარდება მილიციას, ადრე თუ გვიან იქნება ლიკვიდირებული. იარაღებიდან უმისამართო გასროლის შემდეგ აღნიშნულმა ჯგუფმა დატოვა სოფელი.

პრესისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება

13 მაისს, ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა პირებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამომავალი გაზეთის - „გალის“ რედაქტორს, ნუგზარ სალაყაიას ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს. აღნიშნული უკავშირდება გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდილ სტატიას, რომელშიც სალაყაია აფხაზი ე.წ. სამართალდამცავების მიერ დაკავებულ სამ ქართველ სტუდენტს აფხაზების მძევლებს უწოდებს და აცხადებს, რომ აფხაზი ხალხი დღემდე ვერ ხვდება, რომ საფრთხე ემუქრება არა ქართველებისაგან, არამედ რუსეთისაგან.

არსებული ინფორმაციით, ნუგზარ სალაყაია ისე იყო ნაცემი, რომ იგი სოხუმის ერთ-ერთ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშიც კი მოათავსეს. გაზეთი „გალი“ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვრცელდება, იგი მეხუთე წელია რუსულ, ქართულ და მეგრულ ენებზე გამოდის, თუმცა იშვიათად. ამ ხნის განმავლობაში გამოსულია დაახლოებით 35-40 ნომერი.

20 მაისს, გალის რ-ნის სოფ. საბერიოში დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს რუსეთის ტელევიზიის გადამცემი სამი ბლოკი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა რუსეთიდან ტელეგადაცემების მიღება. ამ ქურდობის შედეგად გალის ადგილობრივ მოსახლეობას შეუწყდა რუსეთიდან ტელეგადაცემების მიღების საშუალება.

ტერორიზმის შემთხვევები

20 ივნისს, დაახლოებით დილის 5:30 საათზე ახალი ათონის მახლობლად გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა. ე.წ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა

მისვლისას ნახეს 1 მეტრის დიამეტრისა და 40 სანტიმეტრის სიღრმის ორმო, ასაფეთქებელი მოწყობილობა და რადიომართვადი მოწყობილების არსებული ინფორმაციით, ამ ტრასაზე უნდა გაეწვლი დე ფაქტო აფხაზეთის პრემიერ-მინისტრს ალექსანდრე ანკვაბს, რომლისთვისაც მოწყობილი იყო აღნიშნული ასაფეთქებელი მოწყობილობა.

12 აპრილს, 17.30 საათზე გალის რ-ნის სოფ. მეორე ოტობაია დაცხრილულ იქნა. რამოდენიმე ჭურვი ჩამოვარდა აფხაზეთი მესაზღვრეების საგუშაგოს სიახლოვეს. ადგილობრივი მოსახლეობიდან არავინ დაზარალებულა. მოსახლეობის გადმოცემით, სროლა ქართული მხრიდან არ წარმოებდა და უმისამართოდ თავად აფხაზეთი ისროდნენ. აფხაზეთი ძალოვნებმა „ურალის“ მარკის ორი ავტომანქანით 80-მდე შეიარაღებული პირი შემოიყვანეს.

11 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე დრანდა-განახლების გზის მონაკვეთზე უცნობი პირების მიერ დაცხრილულ იქნა დე-ფაქტო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნს, ეროვნებით აფხაზეთი ტოლიკ კვარაცხელიას ავტომანქანა ვაზ-2107, რომელიც მიემართებოდა ქ. სოხუმის მიმართულებით. ინციდენტის მომენტში ტკვარაცხელია მძღოლთან ერთად იმყოფებოდა. სროლის შედეგად, მსუბუქად დაიჭრა ავტომანქანაში მსხდომი ორივე პიროვნება.

იძულებითი შრომა, ტრეფიკინგი

19 თებერვალს აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ გალის რაიონის მაღალი და დაბალი ზონის სოფლებში შემოიყვანა დამატებითი ძალები. ისინი ეწეოდნენ მოსახლეობის აგიტაცია-პროპაგანდას, აშინებდნენ ხალხს, ათხრევინებდნენ სანგრებს, ათრევინებდნენ ქვიშით სავსე ტომრებს. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა თაგილონში, ჭუბურხინჯში და მეორე ოტობაიაში.

თამარ ქაჩიბაიას საქმე

მიმდინარე წლის 20 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა თამარ ქაჩიბაიამ. იგი განმარტავდა, რომ მისი მეუღლე მირიან კაკაჩიშვილი და მამა ავთანდილ ქაჩიბაია, სხვა პირთან - ლაშა სიჭინავასთან ერთად, დააკავეს აფხაზეთში. დაკავებულები განმცხადებლის ვარაუდით იმყოფებოდნენ სოხუმის ე.წ. პოლიციის განყოფილებაში. თ.ქაჩიბაია ითხოვდა დახმარებას დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში.

2007 წლის 26 იანვარს წერილობით მივმართეთ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ბატონ ჟან არნოს და გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელს - ბატონ ვლადლენ სტეფანოვს და ვითხოვეთ დახმარება ავთანდილ ქაჩიბაიას, მირიან კაკაჩიშვილისა და ლაშა სიჭინავას შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში.

ამავე წლის 15 თებერვალს გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისიდან გვეცნობა, რომ აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სოხუმის დეფაქტო უშიშროების სამსახურის ციხეში მოინახულეს დაკავებულები და გაესაუბრნენ მათ. არც ერთმა მათგანმა საუბრისას არ დაადასტურა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი. ხოლო მირიან კაკაჩიშვილს მისი მოთხოვნის შესაბამისად სამედიცინო დახმარება გაეწია, რადგანაც მან დაკავებამდე, ადიგენში, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქვის მთელეად მუშაობისას მიიღო სხეულის დაზიანება.

როგორც წერილიდან ირკვევა, დეფაქტო ხელისუფლების ცნობით სამ ქართველს ბრალი ედება საზღვრის უკანონო გადაკვეთაში. ასევე ისინი მოწმეებს წარმოადგენენ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნული საქმე ეხება ადამიანებით ვაჭობას-ტრეფიკინგს. ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისის ცნობით, ისინი კვლავაც გააგრძელებენ აღნიშნული შემთხვევის მონიტორინგს.

ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ცხინვალის რეგიონში

სიცოცხლის უფლება

2007 წლის 15 მაისს ზნაურის რაიონის სოფელ ღვედრეთში მცხოვრებ ხსარა გაზაევის მიერ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის შედეგად, ზნაურის რაიონის სოფელ წნელისში ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე ავტომანქანა ნივაში, სახელმწიფო ნომრით -852 მოკლულ იქნა თბილისში მცხოვრები, 1981 წელს დაბადებული ვასილ დავითის ძე ომაძე. გამოძიება დაიწყო 16 მაისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 108-ე მუხლით.

პირადი ხელშეუხებლობის უფლება

2007 წლის 20 თებერვალს გორის რაიონის სოფელ ხეითში მცხოვრებ ბესიკ თედელურს ცხინვალში ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა ე.წ. “სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის” მესაზღვრემ, სანდრო გუმაჩხოვმა.

2007 წლის 26 მარტს ცხინვალის რაიონის სოფელ ელტურაში, ამავე სოფლის მცხოვრებმა ალბერტ სიუკაევმა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა სოფელ საცხენეთში მცხოვრებ სტეფანე ხადურს.

ალბერტ სიუკაევის მიმართ გამოცხადდა ძებნა, დაკავებულ იქნა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით. მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით.

2007 წლის 3 აპრილს, საღამოს საათებში, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე სოფელ ჭოლიბაურში მცხოვრები ოსი ეროვნების ბოროტმოქმედებმა ტაბუ ბესტაევმა, ბერტიკ თიბილოვმა და ინალი ბესტაევმა, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ზნაურის რაიონის სოფელ დიდმუხაში იარაღის გამოყენების მუქარით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თირღვის თემის რაიონული განყოფილების პოლიციის მუშაკებს ალექო და დიმიტრი დურგლიშვილებს.

2007 წლის 3 აპრილს დაახლოებით 22:00 საათზე ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში ოსი ეროვნების პირებმა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენეს სოფელ მერეთის მცხოვრებს ალექსანდრე გორგიშელს.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2007 წლის 4 აპრილს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

2007 წლის 12 მაისს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ოსი ეროვნების დაუდგენელი შეიარაღებული “ბოევიკების” მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის შედეგად ცეცხლსასროლი ჭრილობები მიიღო შსს შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომელმა, პოლიციის სერჟანტმა, უშანგი ქართველიშვილმა.

გამოძიება დაიწყო 12 მაისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 19-109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

2007 წლის 25 მაისს ქცხინვალის რაიონის მიმართულებით განხორციელებული ჭურვის სროლის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო ამავე სოფელში მცხოვრებმა 1957 წელს დაბადებულმა მზია გურულმა.

გამოძიება დაიწყო 25 მაისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 19-108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

2007 წლის 24 ივნისს 14:30 საათზე გორის რაიონის სოფელ თამარაშენის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შს თანამშრომელს პოლიციის კაპიტან ზაზა ჯავახიშვილს, რომელიც აღნიშნული დროის პერიოდში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა თამარაშენში განთავსებულ საგუშაგოზე, ცეცხლი გაუხსნეს ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, რა დროსაც ჯავახიშვილმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

2007 წლის 27 ივნისს გორის რაიონის სოფელ თამარაშენში განთავსებულ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შს სამინისტროს საუშაგოზე მყოფმა, ამავე სამინისტროს მილიციის რიგითმა თემურ ჩიბჩიურმა, ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

2007 წლის 30 ივნისს გორის რაიონის სოფელ თამარაშენის მიმართულებით ოსური მხარის კონტროლირებადი ტერიტორიიდან გამოსროლილი ჭურვის შედეგად, თავისივე საცხოვრებელი სახლის ეზოში ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო არასრულწლოვანმა ვახტანგ ბადრის ძე გოგიძემ.

2007 წლის 4 აგვისტოს ოსი შეიარაღებული ბანდფორმირების მხრიდან განხორციელებული გასროლის შედეგად დაზიანება მიიღეს სოფელ ქართული ფრისის მაცხოვრებლებმა ნაიზ მჭედლიძემ და ილია თუაევმა.

ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2007 წლის 4 აგვისტოს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საკუთრების უფლება

2007 წლის 10 თებერვალს ქცხინვალში ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პირები ყაჩაღურად თავს დაესხნენ გორის რაიონის სოფელ აჩაბეთში მცხოვრებ, 1958 წელს დაბადებულ ოთარ ბაბუციძეს და მის მეუღლეს, 1958 წელს დაბადებულ სალიმათ კაბისოვას, რომლებიც მოძრაობდნენ ავტომანქანა ”ოპელით” და გასტაცეს 2000 დოლარის ღირებულების ნივთები.

2007 წლის 18 თებერვალს გორის რაიონის სოფელ თამარაშენის დასავლეთ მხარეს მდებარე ე.წ. ”სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის” პოზიციებიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დააზიანეს იმავე სოფელში მცხოვრები გივი ჩოხელის ავტომანქანა ”მიცუბიში პაჯერო”.

2007 წლის 18 მაისს ცხინვალის რაიონის სოფელ ღრომში ძიებით დაუდგენელი ორი ნიღბიანი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა კასპის რაიონის სოფელ ფერმაში მცხოვრებ გივი ამირ ოღლის და რამინ ზამინა ოღლის, რომლებსაც გასტაცეს 2000 ლარი და ორი მობილური ტელეფონი.

სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება 2007 წლის 18 მაისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

2007 წლის 4 ივნისს, დაახლოებით 12:00 საათზე ქარელის რაიონის სოფ. ავნევაში მცხოვრებ მერაბ ჭილაძეს ზნაურის რაიონის სოფელ ბეყმარში თავს დაესხნენ ორი ეროვნების ბოროტმოქმედები ხსარა და ჟორა გაზაევი, მცხოვრებნი ზნაურის რაიონის სოფელ გაზაანთში, რომლებმაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მერაბ ჭილაძეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და გასტაცეს მისი კუთვნილი ავტომანქანა "უაზ-469".

2007 წლის 21 ივლისს 01:30 წუთზე ბორჯომის რაიონის სოფელ ლიკანში მცხოვრებ ნოე იანტბელიძეს ზნაურის რაიონის სოფელ სუნისში თავისი ძმის, გივი იანტბელიძის საცხოვრებელ ბინაში ყაჩაღურად თავს დაესხა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ხუთი ოსი ბოროტმოქმედი, რომლებმაც გასტაცეს მისი კუთვნილი ავტომანქანა "ვაზ-2121".

თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თვითნებური დაკავების ფაქტები

2007 წლის 9-10 მაისს ღამეს ოსი ეროვნების ძიებით დაუდგენელმა პირებმა ქ.ცხინვალთან უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს გიორგი ხევიაშვილს და მის თანმხლებ პირებს. მათი გათავისუფლება მოხდა უცხოელი დამკვირვებლების და სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ. სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება 2007 წლის 10 მაისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

2007 წლის 2 ივნისს ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის ტერიტორიაზე ქ.ხაშურში მცხოვრებ როსტომ ნოზაძესა და ვასილ გელაშვილს ოსი ეროვნების ბოროტმოქმედებმა გიორგი თედეევმა და არკადი ძერანოვმა უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული საქმე გადაგზავნილია შიდა ქართლის კონტრდაზვერვის სამმართველოში.

2007 წლის 3 ივნისს ცხინვალის რაიონის სოფელ კოხათთან ე.წ. სამხარეო ოსეთის შს სამინისტროს მდენისის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსმა ნოდარ ბიბილოვმა და მისმა თანამებრძოლებმა აღუკვეთეს თავისუფლება ალიკა თედელურს. მისი გათავისუფლება მოხდა უცხოელი დამკვირვებლების და სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ.

საქმეზე გამოძიება დაიწყო 2007 წლის 4 ივნისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ნოდარ ბიბილოვს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

2007 წლის 8 ივნისს ოსური მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ ორჭორანაში ძიებით დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ვალთან დაკავშირებით დააკავა და უკანონოდ თავისუფლება აღუკვეთა ქ.გორში მცხოვრებ მურაზ დუდაშვილს.

გამოძიება დაიწყო 12 ივნისს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

2007 წლის 11 აგვისტოს ე.წ. ნაქალაქევის მთებში ოსი ეროვნების ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულმა პირებმა, რომლებსაც ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება სოფელ კოშკის მაცხოვრებლებს მიხეილ ჯავახს, გიორგი შევარდნაძეს, ნუგზარ ბელელურს და ნიკოლოზ ტატიურს. ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2007 წლის 12 აგვისტოს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

დანართი #11

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

ტუბდისპანსერის შენობაში მცხოვრები დევნილების საქმე

2007 წლის 4 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით (#0683-07) მიმართეს ქ.თბილისში, აჭარის ქ.#10-ში მდებარე ტუბდისპანსერის შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა. მათი განმარტებით, ისინი 2002 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ კორპუსში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მიწისძვრის შედეგად დაზიანებულ ნაგებობას. დევნილებმა საკუთარი სახსრებით გაამაგრეს საძირკველი, რის შედეგადაც ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ტექნიკურმა საბჭომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეაფასა, როგორც დროებითი ექსპლუატაციისათვის ვარგისი. დევნილებმა საკუთარი ხარჯებით მოახდინეს საცხოვრებელი ფართის დეზინფექცია.

ტუბდისპანსერის შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების რეგისტრაცია ამავე მისამართზე ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, რაც უფრო მეტად ამძიმებს მათ სოციალურ მდგომარეობას და გამოიწვია მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობას. განმცხადებლების საცხოვრებელი პირობები საგანგაშოა. წლების განმავლობაში მათ არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია, წყალი, ვერ სარგებლობენ კომუნალური შეღავათებითაც. დევნილები მიწერილები არიან სხვადასხვა მისამართებზე და არა მათ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილას. განმცხადებლებმა მრავალჯერ მიმართეს სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებს, მათ შორის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, თუმცა მათი მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

2007 წლის 8 ივლისს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, კახა დამენიას და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი უწყების ბალანსზე ირიცხებოდა ქ.თბილისში, აჭარის ქ.#10-ში მდებარე ტუბდისპანსერის ძირითადი კორპუსი და ვინ იყო დევნილების რეგისტრაციაზე თანმობის გაცემაზე უფლებამოსილი პირი. პარალელურად, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გორგაძეს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებები გატარდა ამავე სამინისტროს მიერ ქ.თბილისში, აჭარის #10-ში მდებარე ტუბდისპანსერის ძირითად კორპუსში მცხოვრები დევნილების დამისამართების პრობლემის გადასაჭრელად.

2007 წლის 25 ივნისს მივიღეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, ირაკლი გორგაძის პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ „დევილთა ზუსტი აღრიცხვიანობისა და არსებული კომპიუტერული მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით, სამინისტროს მიერ ამა წლის მარტის თვიდან დაიწყო დევილთა სავალდებულო რეგისტრაციის პროცესი, რომლის დროს მოყვანილ ობიექტში მცხოვრებ დევილთა დამისამართების საკითხი დამატებით იქნება განხილული. 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას პასუხით კი გვეცნობა, რომ ქ.თბილსში, აჭარის ქ.#10-ში მდებარეობს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „საექთნო საქმიანობის ნაციონალური ცენტრი“, ხოლო იმის ნაცვლად, რომ მიეთითებინა დევილთა რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, მან გვირჩია, აღნიშნულ საკითხზე მიგვემართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის.

საქმე ამჟამად წარმოებაშია.

სეისმური ობსერვატორიის შენობაში მცხოვრები დევნილების საქმე

2007 წლის 27 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს აფხაზეთიდან დევნილმა მოქალაქეებმა. განმცხადებლები განმარტავენ, რომ 1998 წლის 29 მაისს ისინი თვითნებურად შევიდნენ ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.#77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობის მესამე სართულზე და დღემდე ამ მისამართზე ცხოვრობენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ობსერვატორიის ადმინისტრაციამ სასამართლოში წამოიწყო დავა. განმცხადებლის მითითებით, ქ.თბილისის ვაკის რაიონულმა სასამართლომ 1998 წლის 28 სექტემბერს გადაწყვეტილება გამოიტანა. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, დევნილების გამოსახლება შესაძლებელია მათი სამაგიერო ფართით დაკმაყოფილების შემდეგ. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება დაევალა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. მითითებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა და, საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დატოვა ძალაში. დევნილთა არაერთი მიმართვის მიუხედავად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ისინი ფართით არ დაუკმაყოფილებია.

განმცხადებლების განმარტებით, სეისმური ობსერვატორიის ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე და მათი წარმომადგენლების თანდასწრებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მიმდინარე წლის იანვარსა და მარტში ჩაატარა აღრიცხვა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოცემულ ობიექტში ცხოვრობს 65 დევნილი. ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.#77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილები დამისამართებულნი არიან დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში და არა ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე, ვინაიდან ობსერვატორიის ადმინისტრაცია არ აძლევთ მათ თანხმობას ობსერვატორიის შენობის დროებით საცხოვრებლად გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დევნილები ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ მათთვის გათვალისწინებული კომუნალური შეღავათებით, მათ შორის ელექტროენერჯის შეღავათით, რაც ამძიმებს დევნილების ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი დევნილთა არაერთი მიმართვის მიუხედავად, პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას და დღესაც მოუგვარებელია. მოქალაქეებმა მიმართეს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიასაც. ამ უკანასკნელმა, 2007 წლის 23 მარტს დევნილთა განცხადება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გადააგზავნა.

2007 წლის 11 მაისს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, შემდეგი ინფორმაციის მოწოდება მოითხოვა:

- კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები დაისახა სამინისტროს მიერ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების აღსასრულებლად;
- რა გადაწყვეტილებები მიიღო და რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის მიერ 2007 წლის 23 მარტს გადმოგზავნილ მოქალაქეთა განცხადებაზე.

აღნიშნული უწყებიდან 2007 წლის 24 მაისს მიღებული წერილით გვეცნობა, რომ „დევილთა ზუსტი აღრიცხვიანობისა და არსებული კომპიუტერული მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით, სამინისტროს მიერ ამა წლის მარტის თვიდან დაიწყო დევილთა სავალდებულო რეგისტრაციის პროცესი, რომლის დროს ობსერვატორიის შენობაში მცხოვრებ დევილთა დამისამართების საკითხი დამატებით იქნება განხილული.

სახალხო დამცველმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, კ.დამენიას და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი უწყების ბალანსზე ირიცხებოდა ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.#77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობა და ვინ იყო დევილების დამისამართებისათვის საჭირო თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილი პირი.

2007 წლის 14 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის პასუხით გვეცნობა, რომ თბილისში, ნუცუბიძის ქ.#77გ-ში მდებარე შენობა სეისმური მონიტორინგის ცენტრის ბალანსზეა. ამავე წერილის თანახმად, მითითებულ ობიექტში დევილთა განსახლებისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უნდა მიმართოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და სწორედ ასეთი მიმართვის საფუძველზეა შესაძლებელი დევილთა მიწერის პროცედურის დაწყება.

2007 წლის 21 აგვისტოს სახალხო დამცველმა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს გადაუგზავნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პასუხი და აღნიშნული საკითხის შესწავლის მოთხოვნით მიმართა. 2007 წლის 17 სექტემბერს პასუხად გვეცნობა, რომ „ობსერვატორიის შენობაში მცხოვრებ დევილთა დამისამართების საკითხი, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, დამატებით იქნება განხილული“. სამწუხაროდ, იმ ტიპის რეაგირების მოხდენა, რომელსაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო უნდა ახორციელებდეს, ჩვენ გვიხდება.

საქმე ამჟამად წარმოებაშია.

ბადის ქუჩის #7-ში მცხოვრები დევნილების საქმე

მიმდინარე წლის 30 აპრილსა და 2 მაისს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს იძულებით გადაადგილებულმა პირებმა. დევნილები განცხადებაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის #643 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც მიტოვებული შენობა-ნაგებობების დევნილთათვის საცხოვრებლად გამოყენებას ითვალისწინებდა, 2002 წლის იანვარში შესახლდნენ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ბადის ქ.#7-ში მდებარე აბანოს შენობაში. იმ დროისათვის აღნიშნული შენობა იყო მიტოვებული და წარმოადგენდა ნახევრად დამწვარ კარკასულ ნაგებობას. დევნილებმა საკუთარი მწირი შემოსავლით აღადგინეს სასმელი წყალი და კანალიზაციის მილები, გაათავისუფლეს შენობა ნაგვისაგან და აქციეს საცხოვრებლად ვარგისად. აღნიშნული პირების შესახლებიდან რამდენიმე დღეში მათთან მივიდა აბანოს ყოფილი დირექტორი, ვინმე ვ.გაჩეჩილაძე. მისი განმარტებით, ის იყო შენობის მესაკუთრე. მოგვიანებით მან დავა სასამართლოში წამოიწყო. აღსანიშნავია, რომ შესახლებისთანავე მოქალაქეებმა განცხადება შეიტანეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში შენობაში დამისამართებისა და მათი კანონიერი მიწერის მოთხოვნით. აღნიშნული პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. 18 პიროვნების რეგისტრაციის შემდეგ სასამართლოში სარჩელი იქნა შეტანილი საბინაო დავასთან დაკავშირებით, ამიტომ დამისამართების პროცესი შეჩერდა და ამავე შენობაში მცხოვრებ დევნილთა დარჩენილ ნაწილს რეგისტრაციის შესაძლებლობა აღარ მიეცა.

საქმეში არსებული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წერილიდან ირკვევა, რომ ბადის ქ.#7-ში მდებარე შენობა (ყოფილი აბანოს შენობა) წარმოადგენს დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტს. დევნილების ინფორმაციით, ქ.თბილისში, ბადის ქ.#7-ში მდებარე შენობის 2252 კვ.მ. მიწის ფართობის რეგისტრაცია არის გაუქმებული. საქმე ამჟამადაც სასამართლო განხილვის სტადიაზეა და ჯერ არ დასრულებულა. ვ.გაჩეჩილაძესა და ბადის ქ.#7-ში მცხოვრებ დევნილებს შორის დავას განიხილავს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. ამჟამად საქმის წარმოება შეჩერებულია იმის გამო, რომ ცალკე იხილება კოოპერატივ „დიდუბე-7“-ის უფლებამონაცვლედ შპს „დიდუბე-7-ვაკას“ ცნობის საკითხი, რის გარეშეც, ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების თანახმად, საჯარო რეესტრში მონაცემები უტყუარი ვერ იქნება. განცხადებიდან ასევე ირკვევა, რომ 2007 წლის 13 აპრილს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მეორე განყოფილებაში მოქალაქეებს გააცნეს ვ.გაჩეჩილაძის ახსნა-განმარტება და მიაწოდეს ინფორმაცია „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფარგლებში მათი გამოსახლების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ პოლიციის განყოფილებაში მათთვის სრულყოფილად არ გადაუციათ ვ.გაჩეჩილაძის მიერ წარდგენილი საბუთები, ასევე ხელმიუწვდომელი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 მარტის #495-ე ბრძანებაც. გამოსახლების პროცესი ჯერ არ შეჩერებულა და კვლავაც აქტუალურია.

სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს განყოფილების უფროსს, ბ-ნ მიხეილ კანდელაკს (ასლი გადაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსს, ბ-ნ არჩილ გიორგაძეს) ბალის ქ.#7-დან დევნილთა გამოსახლების პროცედურის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა კანონს და უხეშად არღვევდა დევნილთა უფლებებს. კერძოდ, რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ. თავისთავად, მითითებული ნორმის გავრცელება სხვადასხვა ობიექტებში სახელმწიფოს მიერ ჩასახლებულ დევნილებზე არალეგიტიმურია და ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს დევნილთა საბინაო დავების საკითხს. „სამოქალაქო კოდექსის“ თანახმად, „ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ადრე მიღებული კანონი. ამ კოდექსით გათავალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები“.

სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად შემთხვევებს არეგულირებს. ხოლო, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი არის სპეციალური კანონი, რომელიც ეხება პირთა სპეციფიკურ წრეს - დევნილებს. შესაბამისად, როდესაც საქმე დევნილებს ეხებათ, უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. მითითებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დევნილთა საბინაო დავებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლოს წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება“. ნორმის მოცემული ფორმულირებიდან თავისთავად ნათელია, რომ კანონი დავის გადაჭრის მხოლოდ ერთ - სასამართლოს გზას იცნობს. დევნილთა სოციალური ჯგუფი იმდენად მოწყვლადია ჩვენს საზოგადოებაში, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მათი გამოსახლების უფლებამოსილება მიენიჭა თავისთავად უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე სასამართლო ხელისუფლებას და არა სამართალდამცავ ორგანოებს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
- გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციას და რეგულირდება საერთო ფართით;
- დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა დევნილები არ არიან მიწერილი მისამართზე კომპაქტური განსახლების ობიექტში, უნდა აღინიშნოს, რომ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ურთიერთობაში სამართალდამცავი ორგანო გამოდის როგორც ადმინისტრაციული ორგანო. ამგვარი განმარტების საფუძველს იძლევა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი: „ადმინისტრაციული ორგანო - ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი აზუსტებს, რომ:

„ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

- ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
- ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;
- გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
- დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
- ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „თ“, „ო“, ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;
- ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან“.

სამართალდამცავი ორგანოს მიერ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას არცერთ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანო არ ახორციელებს დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, არ აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს და არც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისათვის ის ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მთელი რიგი ნორმები ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის მონაწილეობასთან, საქმის გარემოებების გამორკვევასთან, მტკიცებულებათა გამოკვლევასთან, ადმინისტრაციული წარმოების მასალების მხარისათვის გაცნობასთან დაკავშირებით. საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე კი საერთოდ დაუშვებელია სამართალდამცავი ორგანოს მიერ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების გასმოყენება. ამის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც

განმარტავს: „სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს. ამასთან, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა.“ იმ ეტაპზე კი, როდესაც საქმის განმხილველმა სასამართლომ ჯერ ვერ დაადგინა შენობის ნამდვილი მესაკუთრე და სხვა პირების უფლებები შენობაზე, დაუშვებელია პოლიციის ჩარევა აღნიშნულ პროცესში და სასამართლოს მიერ საექვოდ მიჩნეული რეესტრის მონაცემებით ხელმძღვანელობა.

ყაზბეგის ქუჩის #34-ში მცხოვრები დევნილების საქმე

2007 წლის 31 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის ქ.#34-ში, საშენ მასალათა განყოფილებაში ჩასახლებულმა დევნილებმა. განმცხადებლების განმარტებით, ისინი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და შესაბამისად გააჩნიათ შენობაში ცხოვრების უფლება. დევნილების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობდა მათი გამოსახლების პროცედურა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად (მესაკუთრე-ჯემალ ჯაოშვილი, შპს „ჯეოკენი“).

სამართლებრივი თავლსაზრისით, დაუშვებელია სამაქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ. თავისთავად, მითითებული ნორმის გავრცელება სხვადასხვა ობიექტებში სახელმწიფოს მიერ ჩასახლებულ დევნილებზე არალეგიტიმურია და ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს დევნილთა საბინაო დავების საკითხს. ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ნორმათა კონკურენციის გადაწყვეტისათვის, „სამოქალაქო კოდექსის“ თანახმად, „ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ადრე მიღებული კანონი. ამ კოდექსით გათავლისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები“.

სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად შემთხვევებს არეგულირებს, „იძულებით გადაადგილებილ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი კი არის სპეციალური კანონი, რომელიც ეხება პირთა სპეციფიკურ წრეს - დევნილებს. შესაბამისად, ამ და მსგავს შემთხვევებში, როდესაც საქმე დევნილებს ეხებათ, უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელს ენიჭება. მითითებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დევნილთა საბინაო დავებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლოს წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება“. ნორმის მოცემული ფორმულირებიდან თავისთავად ნათელია, რომ კანონი დავის გადაჭრის მხოლოდ ერთ - სასამართლოს გზას იცნობს.

დევნილთა სოციალური ჯგუფი იმდენად მოწყვლადია ჩვენს საზოგადოებაში, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მათი გამოსახლების უფლებამოსილება მიენიჭა თავისთავად უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე სასამართლო ხელისუფლებას და არა სამართალდამცავ ორგანოებს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

„ა) დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება;

ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციას და რეგულირდება საერთო ფართობით;

დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა დევნილები არ არიან მიწერილი მისამართზე კომპაქტური განსახლების ობიექტში, უნდა აღინიშნოს, რომ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ურთიერთობაში სამართალდამცავი ორგანო გამოდის როგორც ადმინისტრაციული ორგანო. ამგვარი განმარტების საფუძველს იძლევა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი: „ადმინისტრაციული ორგანო - ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი აზუსტებს, რომ:

„ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „თ“, „ო“, ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან“.

სამართალდამცავი ორგანოს მიერ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას არცერთ შემთხვევაში უნდა იყოს გარემოებას ადგილი არ აქვს. მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანო არ ახორციელებს დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, არ აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს და არც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ეს ნიშნავს რომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისათვის ის ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ. შესაბამისად, მასზე გავრცელდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მთელი რიგი ნორმები ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის მონაწილეობასთან, საქმის გარემოებების გამორკვევასთან, მტკიცებულებათა გამოკვლევასთან,

ადმინისტრაციული წარმოების მასალების მხარისათვის გაცნობას თან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2007 წლის 4 ივნისს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს II განყოფილების უფროსს, ვახტანგ ბოჭორიშვილს, რათა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა დევნილთა გამოსახლების პროცედურა ალ.ყაზბეგის გამზ.#34-დან, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა კანონს და უხეშად არღვევდა დევნილთა უფლებებს.

2007 წლის 9 ივნისს ამავე უწყებიდან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ შპს „ჯეოკენის“ წარმომადგენელს, ქეთევან უტიაშვილს უარი ეთქვა ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის #34-ში მდებარე ყოფილი „ბიზნესცენტრსაშენმასალათა“ და „საშენმასალათა განყოფილების“ შენობებში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების გამოსახლებაზე.

მედია ქაღდანის საქმე

2007 წლის 21 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (#0452-07) მომართა მოქალაქე მედია ქაღდანმა. განმცხადებლის განმარტებით, მისი შვილი - თეა სუბელიანი არის აფხაზეთიდან დევნილი, 1992 წლიდან 2003 წლამდე ყოველ წელს გადიოდა რეგისტრაციას და ჰქონდა დევნილის სტატუსი. 2003 წლის ნოემბრიდან 2006 წლის ნოემბრამდე თ.სუბელიანი იმყოფებოდა გერმანიაში სასწავლებლად, რის გამოც ვერ გაიარა 2004-2005 წლებში განხორციელებული დევნილთა რეგისტრაცია და შეუჩერდა დევნილის სტატუსი. 2006 წლის ნოემბერში თ.სუბელიანი ჩამოვიდა საქართველოში. 2007 წლის 28 თებერვალს მას აღუდგა დევნილის სტატუსი. ამის შემდეგ მან მიმართ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა რეგისტრაციისა და სოციალურ საკითხთა სამმართველოს, რათა მიეღო 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის დეკემბრამდე გაუცემელი დევნილის შემწეობა, რაზეც მან უარი მიიღო.

სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, 2007 წლის 11 მაისს მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რომელ წელს (ზუსტი თარიღი) შეუჩერდა მოქალაქე თამარ სუბელიანს დევნილის სტატუსი;
- შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი სტატუსის შეჩერების შესახებ, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში დაგვიდასტურეთ მისი არარსებობა;
- რის საფუძველზე მოხდა სტატუსის შეჩერება;
- რომელ წელს (ზუსტი თარიღი) აღუდგა მოქალაქე თამარ სუბელიანს დევნილის სტატუსი.

პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

მიმოზა მიქანძის საქმე

2007 წლის 26 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მიმოზა მიქანძემ. განმცხადებლის განმარტებით, მას 2006 წლის ივნისიდან შეჩერებული აქვს დევნილის სტატუსი. მ.მიქანძის ინფორმაციით, სამინისტროს აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ქ.ზუგდიდში მდებარე ს/ს „მანქანათმშენებლის“ დირექტორის, ბ.გარდავას წერილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მიმართ. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ მ.მიქანძე ცხოვრობს ქ.ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ.№40/2, ბ.7-ში და 1995 წელს დაქორწინდა იძულებით გადაადგილებულ პირზე. ასევე მითითებულია, რომ მ.მიქანძე არც ერთხელ არ ყოფილა ენგურს გაღმა. აღსანიშნავია, რომ წერილს არ ერთვის თან არავითარი დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ასლი.

იმის გამო, რომ დევნილის სტატუსი შეჩერებული აქვს, მ.მიქანძე ვერ ახერხებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყოველთვიური შემწეობის მიღებას. მას ყავს მეუღლე, რომელსაც ინვალიდობის სტატუსი აქვს მინიჭებული I კატეგორიის უსინათლობის გამო და საჭიროებს სისტემატურ მკურნალობას მვირაღდირებული წამლებით. გარდა ამისა, მ.მიქანძის მიერ 2006 წლის 26 ივნისს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა რეგისტრაციის საკითხების დეპარტამენტის უფროსის, ვ.ნიქაძის სახელზე შეტანილი განცხადებიდან ირკვევა, რომ მისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ არ უცნობებიათ და მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ შემწეობის მიღება სიიდან იყო ამოღებული. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის სახელზე 2007 წლის 5 თებერვალს შეტანილი განცხადებიდან ირკვევა, რომ მას მხოლოდ 2006 წლის 1 დეკემბერს (მთელი 6 თვის შემდგომ) ეცნობა დევნილის სტატუსის შეჩერების შესახებ, თუმცა არ მითითებია კანონის შესაბამისი მუხლი. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისთვის სტატუსის აღდგენა ჭიანურდება, ხოლო სამინისტროში შეტანილ განცხადებებზე (26.06.06წ; 18.12.06წ; 05.02.07წ) პასუხს საერთოდ ვერ ღებულობს. მისი თავდაპირველი განცხადება (26.06.06წ.) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გადაიგზავნა ამავე სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს საშუალებით. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ მოქალაქის განცხადებას სამმართველოს უფროსმა ლევან მიქავამ დაურთო „სხვა საბუთები“ და მოითხოვა სტატუსის შეწყვეტა მ.მიქანძისათვის. განმცხადებლისათვის აღნიშნული დოკუმენტები ხელმიუწვდომელი გახდა ლ.მიქავასადმი არაერთი წერილობითი მიმართვის მიუხედავად.

სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1) მ.მიქანძისათვის დევნილის სტატუსის შეჩერების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

- 2) დევნილთა საკითხების დეპარტამენტის მიერ მომზადებული სათანადო დასკვნა მოქალაქისათვის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით;
- 3) რის საფუძველზე შეუჩერდა მ.მიქანძეს დევნილის სტატუსი;
- 4) იყო თუ არა განმცხადებელი ჩართული ადმინისტრაციულ წარმოებაში მისთვის დევნილის სტატუსის შეჩერების დროს;
- 5) ადმინისტრაციულ წარმოებაში მ.მიქანძის მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- 6) რა მიზეზების გამო ბრკოლდება მისთვის სტატუსის აღდგენა.

2007 წლის 29 ივნისს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, ი.გორგაძის წერილით პასუხად გვეცნობა, რომ მოქალაქე მიმოზა მიქანძე ვერ აკმაყოფილებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილია ქ.ზუგდიდი, ჩიქოვანის ქ.#40/2, ხოლო აფხაზეთიდან დევნილ იური ანდრიას ძე ჯობავასთან იგი დაქორწინდა 1995 წლის 9 თებერვალს. აღნიშნულ პასუხს თან არ ერთვოდა არავითარი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ მ.მიქანძის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ.ზუგდიდი, ასევე, არ ერთვოდა ქორწინების მოწმობის ასლი.

აღსანიშნავია, რომ მ.მიქანძის პირადობის მოწმობაში, მისამართის გრაფაში ფიქსირდება ქ.გალი, მზიურის ქ.#9, ხოლო მოწმობის გამცემ ორგანოდ დასახელებულია გალის შინაგან საქმეთა განყოფილება. გარდა ამისა, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, მ.მიქანძის მოწმობა დაბეჭდილი და შევსებულია ქართულ და აფხაზურ ენებზე, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარეობის ფაქტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს 2007 წლის 22 აგვისტოს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მიმართა განმეორებით, რათა მოეწოდებინათ პასუხი იმ კითხვებთან დაკავშირებით, რომელიც მოცემული იყო 2007 წლის 4 მაისის წერილში, ასევე, გამოითხოვა მასალები, რომელთა საფუძველზეც მ.მიქანძის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად სამინისტროს მიერ დადგენილ იქნა ქ.ზუგდიდი, ჩიქოვანის ქ.#40.

პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

კონსტიტუციის ქუჩის #3-ში მცხოვრები დევნილების საქმე

2007 წლის 30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მომართეს აფხაზეთიდან დევნილმა მოქალაქეებმა. განმცხადებლები განმარტავენ რომ 2003 წელს დაიკავეს უმოქმედოდ მიტოვებული შენობა ქ.თბილისში, კონსტიტუციის #3-ში. ამის შესახებ მათ მაშინვე განაცხადეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის შესაბამის სტრუქტურებში. დევნილების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2003 წლის 7 ივლისს შენობა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაეცა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურას. მოგვიანებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ, ნონა წოწორიამ სთხოვა ეკონომიკური განვითარების მინისტრს, რათა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის ქ.თბილისში, წინამძღვრიშვილის #162-ში გადასვლასთან დაკავშირებით გაეუქმებინათ უზუფრუქტის ხელშეკრულება.

იმის გამო, რომ კონსტიტუციის #3-ში მდებარე შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 16 მაისს წერილობით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ იმის გასარკვევად, წინააღმდეგი იყო თუ არა ეს უკანასკნელი, რათა აღნიშნულ მისამართზე დარეგისტრირებულიყვნენ იქ ფაქტობრივად მცხოვრებელი დევნილები.

განმცხადებლები მიუთითებენ, რომ 2006 წლის ნოემბერში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ლ.ბრეგვაძემ ხელი მოაწერა დევნილთა დარეგისტრირებას კონსტიტუციის #3-ში, თუმცა კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში აღნიშნული ცვლილება აისახა მოგვიანებით, კერძოდ, 2007 წლის იანვარში. 2007 წლის მარტის თვეში დევნილებისათვის ცნობილი გახდა, რომ სამინისტროს კომპიუტერული მონაცემთა ბაზიდან ამოღებულ იქნა მათი შენობა, როგორც დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტი. აღნიშნული იურიდიული ფაქტი სამინისტროს შიდა კონტროლის სამმართველოს უფროსმა, თ.ბენდელიანმა ახსნა იმით, რომ ობიექტზე მიწერილი იყო მხოლოდ ერთი ოჯახი, რომელმაც სასტუმრო „ივერიიდან“ უკვე მიიღო საკომპენსაციო თანხა. დევნილების განმარტებით, აღნიშნული დასაბუთება სინამდვილეს არ შეესაბამება და შენობაში განსახლებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების რაოდენობა 11-ს აღწევს. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ აღნიშნული ცვლილებების გამო მათ ექმნებათ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე გაურკვეველი რჩება მათი უფლებები ქ.თბილისში, კონსტიტუციის #3-ში მდებარე შენობასთან მიმართებაში.

სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და გამოითხოვა ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი პასუხისმგებელი პირის ადმინისტრაციული აქტის

საფუძველზე შევიდა ცვლილებები კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში. ასევე, მოითხოვა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის ასლის გადმოგზავნა.

2007 წლის 13 აგვისტოს აღნიშნული უწყებიდან მივიღეთ პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ კონსტიტუციის ქ.#3-ში დამისამართებულ დევნილთა რეგისტრაციის გაუქმებას საფუძველად დაედო ამავე შენობაში მიწერილი თეა ჩანქსელიანის მიერ სასტუმრო „ივერიიდან“ გამოსახლების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღება. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატი დაუკავშირდა თ.ჩანქსელიანს. მან უარყო კომპენსაციის მიღების ფაქტი და განმარტა, რომ ის ნამდვილად იყო დამისამართებული სასტუმრო „ივერიაში“, თუმცა იქ არასოდეს უცხოვრია. შესაბამისად, ის არ იყო უფლებამოსილი კომპენსაციის მიღებაზე.

აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, 2007 წლის 22 აგვისტოს განმეორებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, რათა მოეწოდებინა შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ: სანოტარო აქტის ასლი), რომლითაც დასტურდება თ.ჩანქსელიანი მიერ კომპენსაციის მიღების ფაქტი, სამართლებრივი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც განხორციელდა დევნილთა დარჩენილი 10 ოჯახისათვის კონსტიტუციის ქ.#3-ში რეგისტრაციის გაუქმება და მინისტრის 2007 წლის 18 იანვრის #1 ბრძანების ასლი.

პასუხი დღემდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

ნინო გაბისონიას საქმე

2007 წლის 4 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა ნინო გაბისონიამ. განცხადებიდან ირკვევა, რომ მოქალაქე დროებით ცხოვრობს ქ.თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მ/რ, 31 კორპ. I სართ. მითითებულ მისამართზე ის და მისი ოჯახის წევრები შესახლებულ იქნენ სახელმწიფოს მიერ, რაც დასტურდება მათ კუთვნილ დევნილის მოწმობაში არსებული სამისამართო ჩანაწერებითა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით.

2007 წლის 6 მაისს, ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს III განყოფილების უბნის ინსპექტორის, კობა გვალის მიერ ნ.გაბისონია წერილობით იქნა გაფრთხილებული მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა და საკუთარი ნივთების გატანის შესახებ და მიეცა ხუთი დღის ვადა აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად. ამავე დოკუმენტში მითითებულია ვინმე მალხაზ დოლენჯაშვილი, როგორც ნ.გაბისონიას მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ბინის მესაკუთრე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჟამად საბინაო დავას ნ.გაბისონიასა და მ.დოლენჯაშვილს შორის სასამართლო განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ სასამართლოს ჯერ არ დაუდგენია არც შენობის ნამდვილი მესაკუთრე და არც სხვა პირთა უფლებები შენობაზე.

სამართლებრივი თვალსაზრისით, დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ. თავისთავად, მითითებული ნორმის გავრცელება სხვადასხვა ობიექტებში სახელმწიფოს მიერ ჩასახლებულ დევნილებზე არალეგიტიმურია და ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს დევნილთა საბინაო დავების საკითხს. ერთსა და იმავე საკითხებზე სხვადასხვა ნორმათა კონკურენციის გადაწყვეტისათვის, „სამოქალაქო კოდექსის“ თანახმად, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად შემთხვევებს არეგულირებს, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი კი არის სპეციალური კანონი, რომელიც ეხება პირთა სპეციფიკურ წრეს დევნილებს, შესაბამისად ამ უკანასნელის გამოყენების მიზანშეწონილობა უდავოა. მითითებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დევნილთა საბინაო დავებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება“. ნორმის მოცემული ფორმულირებიდან ნათელია, რომ კანონი დავის გადაჭრის მხოლოდ ერთ სასამართლო გადაჭრის გზას იცნობს.

დევნილთა სოციალური ჯგუფი იმდენად მოწყვლადია ჩვენს საზოგადოებაში, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მათი გამოსახლების უფლებამოსილება მიენიჭა თავისთავად უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე სასამართლო ხელისუფლებას და არა- სამართალდამცავ ორგანოებს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
- გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
- დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

თუმცა იმ შემთხვევაშიც, კი როცა დევნილები არ არიან მიწერილი მისამართზე კომპაქტური ჩასახლების ობიექტში, უნდა აღინიშნოს, რომ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ურთიერთობაში სამართალდამცავი ორგანო გამოდის როგორც ადმინისტრაციული ორგანო. ამგვარი განმარტებების საფუძველს იძლევა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის I ნაწილის ა) ქვეპუნქტი: „ადმინისტრაციული ორგანო - ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი აზუსტებს, რომ:

„ ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

- ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
- ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;
- გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან.
- დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
- ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“, ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;
- ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან“.

სამართალდამცავი ორგანოს მიერ „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას არც ერთ ზემოხსენებულ გარემოებას ადგილი არა აქვს. მოცემულ შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანო არ ახორციელებს დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის სამართლებრივ დევნას, არ აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს და არც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მიზნებისთვის ის ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ. შესაბამისად, მასზე გავრცელდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მთელი რიგი ნორმები ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის მონაწილეობასთან, საქმის გარემოებების გამორკვევასთან, მტკიცებულებათა გამოკვლევასთან, ადმინისტრაციული წარმოების მასალების მხარისათვის გაცნობასთან დაკავშირებით. საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე კი საერთოდ დაუშვებელია სამართალდამცავი ორგანოს მიერ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება. ამის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც განმარტავს: „სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს. ამასთან, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა“. იმ ეტაპზე კი, როდესაც საქმის განმხილველმა სასამართლომ ჯერ ვერ დაადგინა შენობის ნამდვილი მესაკუთრე და სხვა პირების უფლებები შენობაზე, დაუშვებელია პოლიციის ჩარევა აღნიშნულ პროცესებში.

„უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ძალაშია გაცემის მომენტიდან 10 კალენდარული დღის ვადაში“. ნ.გაბისონიას გაფრთხილების მომენტისათვის კი, პოლიციის თანამშრომლის ხელთ არსებული, 20.04.07წ-ს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (#46352/2006) უკვე ძალადაკარგული იყო.

გაურკვეველია საქმეში არსებული გაფრთხილების სამართლებრივი საფუძველიც, კერძოდ, რომელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტთან შესაბამისობაშია ის გამოცემული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს III განყოფილების უფროსს ბ-ნ გიორგი გადელიას დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ნ.გაბისონიასა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების პროცედურა, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა კანონს და უხეშად არღვევს დევნილთა უფლებებს.

2007 წლის 5 ივნისს მიღებული პასუხით გვეცნობა ნინო გაბისონიასა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების შეჩერების შესახებ.

ფრანტი არდიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა ფრანტი არდია-წურწუმიამ, რომელიც ოჯახთან ერთად შესახლებული იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ამჟამად იგი ცხოვრობს ქირით ქ.თბილისში, ამბროლაურის ქ.#3, ბ.3-ში. მისი აწ გარდაცვლილი მეუღლე იყო აფხაზეთის ომის ვეტერანი.

განმცხადებელი განმარტავს, რომ მათი გამოსახლება რესპუბლიკური საავადმყოფოდან სათანადო კომპენსაციის გამოყოფის გარეშე მოხდა. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ კომპენსაციის გასაცემად ჩატარებული დევნილთა რეგისტრაცია არაობიექტურია, რის შედეგადაც თანხების გაცემისას დაირღვა დევნილთა უფლებები. განმცხადებელი მიუთითებს, რომ რეგისტრაციის პროცესში არსებობდა სერიოზული დარღვევები. კერძოდ, ოჯახების გაერთიანება მოხდა ბიოლოგიური, გენეტიკური ნიშნით. რიგ შემთხვევაში კომპენსაცია გაიცა საცხოვრებელი ფართის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში - საოჯახო ნომრის მიხედვით. შერჩევით მოხდა საკუჭნაოებისა და საპირფარეშოების საცხოვრებელ ფართად ჩათვლა და ამ ფართზე კომპენსაციის გაცემა. განმცხადებლის განმარტებით, მან სხვა დევნილებთან ერთად მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბატონ ზურაბ ნოღაიდელს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ბ-ნ ლადო ჭიპაშვილს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ქ-ნ ელენე თევდორაძეს, საქართველოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ გიგა ბოკერიას.

ფრანტი არდია-წურწუმის ინფორმაციით, ზემოთ ჩამოთვლილი უწყებებიდან მიღებული პასუხები ადასტურებდა, რომ შექმნილია სახელმწიფო კომისია, რომელიც სწავლობს აღნიშნული შენობიდან დევნილთა გამოსახლების საკითხს. მისივე განმარტებით, გენერალური პროკურორის დავალებით აღნიშნული საქმე გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, რათა გადაემოწმებინათ დევნილი ფრანტი არდია-წურწუმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

განმცხადებელი ითხოვს შემდეგ დევნილ მოქალაქეებზე ობიექტურად გაიცეს საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ კუთვნილი კომპენსაცია.

1. ფრანტი არდია-წურწუმია ითხოვს (1 ოთახზე + 4 ოჯახის წევრი დანამატი) 16 000 აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაციას.
2. ეკატერინე ნარსია-კალაძე (აღნიშნული მოქალაქე შრომისუუნაროა და ჰყავს 2 მცირეწლოვანი შვილი) იგი ითხოვს 8 500 აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაციას (მასზე გაცემულია მხოლოდ 1 500 აშშ დოლარი)
3. არქანია ექენი (აფხაზეთის ომის მონაწილე) ითხოვს 10 000 აშშ დოლარს
4. აბულაძე გურამი ითხოვს თავშესაფარს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიმართა თსსუ-ს კლინიკურ საავადმყოფოში დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებული საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის განმსაზღვრელი კომისიის მდივანს, ქალბატონ

მარინა წივწივამეს, რათა შეესწავლა აღნიშნული დევნილი მოქალაქეების მოთხოვნები და მოეწოდებინა დეტალური ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2007 წლის 3 ივლისს მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ მოქ.ფრანტი არდია-წურწუმის განცხადებები არ წარმოადგენს საფუძველს საცხოვრებელი ფართის განმსაზღვრელი კომისიისათვის, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ფრანტი არდია-წურწუმიზე, ეკატერინე ნარსია-კალაძეზე, ეჟენი არქანიასა და გურამ აბულაძეზე. გარდა ამისა, გვეცნობა, რომ მოქ. ფრანტი არდია-წურწუმის და მისი ოჯახის წევრებს აღებული აქვთ 40 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობის თანხა #655, 653, 654, 651 ოთახების გამოთავისუფლების სანაცვლოდ. მოქ. ეკატერინე ნარსია-კალაძეს და მისი ოჯახის წევრებს აღებული აქვთ 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობის თანხა #455 ოთახის გამოთავისუფლების სანაცვლოდ, პლიუს 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, როგორც აფხაზეთის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის შემთხვევაში განსაზღვრული დანამატი, პლიუს 6000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, როგორც ერთ ოთახში ათი სულის დაფიქსირების შემთხვევაში განსაზღვრული დანამატი, პლიუს 4000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში როგორც მისი ოჯახის მრავალშვილიანი წევრის დანამატი. მოქ. ეჟენი არქანია არ არის დაფიქსირებული ფართის სანაცვლოდ კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში და მის დევნილის მოწმობაში დროებით საცხოვრებელ ადგილად დაფიქსირებულია დაბა წყნეთი, ორჯონიკიძის ქ.#3. მოქ.გურამ აბულაძე ასევე არ არის დაფიქსირებული ფართის სანაცვლოდ კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში.

2007 წლის 22 აგვისტოს სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა თსსუ-ს კლინიკური საავადმყოფოში დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებული საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის განმსაზღვრელი კომისიის მდივანს, ქალბატონ მარინა წივწივამეს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.“ ხოლო ამავე კოდექსის 76-ე მუხლი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველად ასახელებს დაინტერესებული პირის განცხადებას. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მცხოვრები დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის განმსაზღვრელი კომისია ვალდებულია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სახალხო დამცველის მიერ გადმოგზავნილ განცხადებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, გამოიკვილოს მტკიცებულებები, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველის წინადადება იყო თსსუ-ს კლინიკური საავადმყოფოში დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებული საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის განმსაზღვრელი კომისიისათვის, რათა შეესწავლოთ აღნიშნული განცხადებები ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კი ეცნობებინა კანონით დადგენილ ვადაში და

გადმოეგზავნა ადმინისტრაციული წარმოების დადამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. - ფ.არდიამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს წარმოუდგინა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განსახლებისა და რეგისტრაციის განყოფილების მიერ შედგენილი, რესპუბლიკურ საავადმყოფოში დამისამართებულ დევნილთა აღრიცხვის ფურცლის ასლი (იხ. დანართი), საიდანაც დასტურდება, რომ ფ.არდიას ოჯახი რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობაში განთავსებულ 5 ოთახში იყო მიწერილი (##653, 654, 655, 658, 651). რა დოკუმენტით დასტურდება კომისიის მიერ, რომ მის მფლობელობაში იყო მხოლოდ 4 ოთახი;
2. - ეკატერინე ნარსია-კალაძის საქმესთან დაკავშირებით ნოტარიულად დამოწმებული შესაბამისი ხელშეკრულების ასლი, რომლითაც დასტურდება მის მიერ საკომპენსაციო თანხის აღების ფაქტი და თანხის რაოდენობა;
3. - რომელი დოკუმენტითაა შექმნილი საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის განმსაზღვრელი კომისია, ვინ არის მასზე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანო, რა პროცედურით ხდება კომისიის წევრთა დანიშვნა და ვინ არიან აღნიშნული კომისიის წევრები, ასევე კომისიის დებულება.

აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

ბაგების სტუდენტულმა ჩასახლებული დევნილების საქმე

2007 წლის მანძილზე საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებებით მიმართეს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების სტუდენტულმა დევნილებმა. აღნიშნულ ობიექტში მხოლოდ ერთი მრიცხველია დამონტაჟებული, რაც პრობლემებს ქმნის მოხმარებული ელექტროენერჯის ანგარიშსწორებისას. მოქალაქეები განცხადებაში აღნიშნავენ, რომ მათ გარდა მითითებულ კომპლექსში ცხოვრობენ სტუდენტები, უნივერსიტეტის თანამშრომლები და არადევნილი 200-მდე ოჯახი. იმავე მრიცხველზე მიერთებულია სხვა ობიექტებიც, კერძოდ, საცხოვრები, სტამბა, სასადილო, სამრეცხაო, აბანო, გარე განათება და სხვა. იმ დროის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც დავალიანება დაგროვდა, სტუდენტების 3 დაბალი კორპუსიც ფუნქციონირებდა მთელი დატვირთვით, თუმცა, ამჟამად არასაცხოვრებელი პირობების გამო ისინი თითქმის დაცარიელებულია. აღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ „თელასის“ ანგარიშზე გადარიცხული თანხები არ არის საკმარისი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დასაფარად, რის გამოც მოქალაქეებს მუდმივი პრობლემები აქვთ. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ დაახლოებით 9 თვეა, რაც ელექტროენერჯია მიეწოდებათ დღეში მხოლოდ 2 საათის განმავლობაში, შესაბამისად, გრაფიკით მიეწოდებათ წყალიც. ისინი აცხადებენ, რომ „თელასის“ წარმომადგენელთა მიერ დავალიანების სახით სახელდება ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ციფრები. დევილთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო „თელასის“ ანგარიშზე ყოველთვიურად რიცხავს 22 ათას ლარს, თუმცა, ამის მიუხედავად, მათი პრობლემები არ მოგვარებულა. 2007 წლის აპრილში დევნილებმა მიმართეს სს „თელასს“, რათა ამ უკანასკნელს მათი ხარჯებით დაემონტაჟებინა ინდივიდუალური მრიცხველები. მიღებულ პასუხში გამრიცხველიანების სანაცვლოდ აღნიშნული იყო პირობა, რომელიც ითვალისწინებდა 2763413,93 ლარის ოდენობის დავალიანების წილობრივ აღიარებას დევნილების მიერ. მოქალაქეები ასევე მიუთითებენ, რომ სტუდენტულმა „თელასის“ ქვესადგურიდან IV საცხოვრებელ კორპუსამდე გამავალი დაბალი ძაბვის სადენები (270 მ) არის ავარიულ მდგომარეობაში, გამოუსადეგარია და საჭიროებს გამოცვლას.

ბაგების სტუდენტულმა ელექტროენერჯის პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა შესაბამის უწყებებს, თუმცა პრობლემა არ მოგვარებულა და დღესაც აქტუალურია.

ჩვენს წერილებზე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მიღებულ პასუხებით გვეცნობა, რომ სს „თელასის“ წარმომადგენლებთან გაიმართა კონსულტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ მითითებული სამინისტროს წარმომადგენელი, ბაგების სტუდენტების ადმინისტრაცია და იქ მცხოვრები დევნილები. შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მიმდინარე წლის დავალიანების ეტაპობრივი დაფარვა, ელექტროენერჯის მიწოდების გრაფიკის გაზრდა, IV და V კორპუსების ცალკე აბონენტებად დარეგისტრირება,

გამრიცხველიანება სართულების მიხედვით. ასევე, გვეცნობა, რომ სტუდენტების ადმინისტრაციამ მზადყოფნა გამოთქვა, IV და V კორპუსში განსახლებულ თითოეულ არადევნილ პირზე გადაიხადოს სამინისტროს მიერ დევნილებზე დაწესებული ელექტროენერჯის გადასახადის თანაბარი თანხა.

სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წერილებზე საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისაგან მიღებული პასუხებით გვეცნობა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სს „თელასის“ და სხვა უწყებების მონაწილეობით შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელიც შეისწავლის სს „თელასის“ მიმართ ბაგების სტუდენტებში მცხოვრები დევნილების დებიტორული დავალიანების ოდენობის საფუძვლიანობას. ამასთან, ადგილზე ჩაატარებს აღრიცხვის კვანძის შემოწმებას და გამოავლენს ელექტროენერჯის არალეგალურად მოხმარების ფაქტებს.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა 2007 წლის 11 სექტემბერს ასევე მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ქ.თბილისის ვიცე-მერს, სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, რათა მათ შეესწავლათ განცხადებებში აღნიშნული საკითხი. ასევე, გამოითხოვა ინფორმაცია მიღწეული შეთანხმებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2007 წლის 24 სექტემბერს მივიღეთ ქ.თბილისის ვიცე-მერის პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ დევნილთა კოლექტიური განცხადებები „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სს „თელასს“. უნდა ითქვას, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლი საუბრობს განცხადების უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაგზავნაზე. „თელასი“ კი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია სს ფორმით, შესაბამისად, ის არ არის ადმინისტრაციული ორგანო და ქ.თბილისის ვიცე-მერის მიერ ზაკ-ის მე-80 მუხლზე დაყრდნობა სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონოა.

სხვა უწყებებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

ნათელა მახარობლიძის საქმე

2006 წლის 21 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნათელა მახარობლიძე. მან განცხადებაში აღნიშნა, რომ დევნილია აფხაზეთიდან და ცხოვრობს თბილისში, იუმაშევის #5-ში. განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი ჩასახლების დროისათვის აღნიშნული შენობა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, დღევანდელი მდგომარეობით კი კერძო პირი, ვინმე თ.მანჯავიძე აცხადებს თავს მის მესაკუთრედ და დევნილებს გასახლებით ემუქრება.

ქალბატონმა თ.მანჯავიძემ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთან (სატელეფონო) საუბარში აღნიშნა, რომ იუმაშევის #5-ში მდებარე შენობა პრივატიზებულია და ამჯერად მის კანონიერ საკუთრებას წარმოადგენს.

2006 წლის 1 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ილია გოცირიძეს და გამოითხოვა ინფორმაცია, თუ როდის და რა პირობებით განხორციელდა იუმაშევის #5-ში მდებარე შენობის („საქლოპშენი“) პრივატიზება, მოხდა თუ არა ამ პროცესში დევნილების ინტერესების გათვალისწინება და რა ფორმით.

ამავე დროს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ლ.ლეჟავა და ნ.მახარობლიძე დევნილად რეგისტრირებულნი არიან სამგორის რაიონში, იუმაშევის ქ. #5-ში მდებარე „საქლოპშენის“ შენობაში.

2007 წლის 27 თებერვალს სახალხო დამცველმა შეხსენებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, კახა დამენიას, მოეწოდებინათ შესაბამისი ინფორმაცია. აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ ინფორმაცია ქ.თბილისში, იუმაშევის ქ. #5-ში მდებარე შენობის („საქლოპშენის“) პრივატიზების თაობაზე სამინისტროს საუწყებო არქივში არ მოიპოვება.

იქიდან გამომდინარე, რომ იუმაშევის #5-ში რეგისტრირებული დევნილების საკითხის გადაწყვეტა აუცილებლად მოითხოვდა ამავე მისამართზე მდებარე შენობის („საქლოპშენი“) სამართლებრივი მდგომარეობის დეტალურ გამორკვევას, სახალხო დამცველმა 2007 წლის 20 მარტს კვლავ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს და გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის ბალანსზე ირიცხება იუმაშევის #5-ში მდებარე შენობა, კონკრეტულად რომელი უწყება აგებს პასუხს მის მართვასა და განკარგვაზე, ასევე სამინისტროს ხელთ არსებული სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ შენობაზე ამჟამად არსებულ სამართლებრივ რეჟიმს, ასევე, რა ტიპის ობიექტია „საქლოპშენი“ (საწარმო, მუნიციპალური დაქვემდებარების ობიექტი).

აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“ არ ფლობს რაიმე ინფორმაციას თბილისში, იუმაშევის #5-ში მდებარე შენობის („საქკოლოპშენი“) შესახებ.

2007 წლის 18 მაისს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, რათა დაედასტურებინა იუმაშევის #5-ში მდებარე შენობაზე სახელმწიფო საკუთრების არსებობა და მიეთითებინა, თუ რომელი უწყების ბალანსზეა ამჟამად მითითებული ობიექტი.

2007 წლის 1 აგვისტოს მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერებით, თბილისში, იუმაშევის 35-ში მდებარე 185 კვ.მ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია ვლადიმერ მაჭავარიანისა და მურმან მამრიკიშვილის საერთო საკუთრება, ხოლო მასზე განლაგებული შენობა 235 კვ.მ. წარმოადგენს მ.მამრიკიშვილის და 115 კვ.მ ვ.მაჭავარიანის საკუთრებას.

2007 წლის 16 აგვისტოს სახალხო დამცველმა განუმარტა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, კახა დამენიას, რომ დევნილთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი ჩასახლების მომენტისათვის (1998 წელი) შენობა ჯერ კიდევ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული ობიექტის პრივატიზების თაობაზე, კერძოდ, რომელ წელს განხორციელდა მისი პრივატიზება, გათვალისწინებულ იქნა თუ არა იქ მცხოვრები დევნილების ინტერესები და რა ფორმით.

2007 წლის 4 ოქტომბერს მივიღეთ პასუხი, რომ წერილში დასმული საკითხის თაობაზე უკვე გვეცნობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კორესპონდენციებით.

საქმე ამჟამად წარმოებაშია.

ზემო ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები დევნილების საქმე

2006 წლის 6 ნოემბერს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს თბილისში, კრწანისის რაიონში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე #21-ე დაუმთავრებელ კორპუსში მცხოვრებმა დევნილებმა, რომელთა 74 ოჯახი სხვა საცხოვრებელი ფართის არქონის გამო შესახლდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებულ შენობაში. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ ჩაატარეს გარკვეული გამაგრებითი სამუშაოები, თუმცა ელექტროგაყვანილობის მოწყობისა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად საჭირო გახდა დროებითი რეგისტრაცია აღნიშნულ მისამართზე. დევნილების განმარტებით, მათ არაერთხელ მიმართეს სხვადასხვა ოფიციალურ სტრუქტურას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წერილი განსახილველად გადაუგზავნა თბილისის მერიას იმ მოტივით, რომ „აღნიშნული შენობა წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ინფორმაციით, ზემო ფონიჭალის დასახლების #21-ე კორპუსზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, „ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე კორპუსი მშენებარეა. მისი მშენებლობა შეჩერებულია წლების წინ და იგი გამგეობის ბალანსზე არ ირიცხება“. 2007 წლის 10 იანვრის თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის ს.ქავთარაძის წერილის თანახმად, იმის გამო, რომ მოქალაქეები მიუთითებდნენ კორპუსის სავარაუდო ნომრებს (#21, #22), შენობის ბალანსმფლობელის დადგენა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, სამსახურს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სამართლებრივად გადაეწყვიტა ეს საკითხი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოძიების შედეგად გაირკვა, რომ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ კორპუსთან დაკავშირებით 2006 წლის 3 ოქტომბერს გამოცემულია ბრძანება #226 „მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ფონიჭალის IV მ/რ #11-ე კორპ. მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტის შეთანხმების თაობაზე“. შპს ტერიტორიათა განვითარების სააგენტო „თბილქალაქპროექტის“ მიერ შესრულებულია დაკვეთა #1119/06 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა - „ფონიჭალის IV მ/რ #11 მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსზე მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტი“. აღნიშნულ პროექტში დევნილებმა გადაიხადეს 1.350 ლარი (ერთი ათას სამას ორმოცდაათი ლარი). პროექტში აღნიშნულია აფხაზეთიდან დევნილების მიერ დაკავებული კორპუსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაციის თანახმად, „თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, ზემო ფონიჭალის IV მ/რ, კორპ.#11, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არ არის“. ინფორმაციას თან ერთვის სიტუაციური ნახაზი. ამასთან, „იმულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით.

სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში“. ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.

მითითებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით და გამომდინარე იქიდან, რომ კორპუსის ნომერი უკვე გარკვეულია, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის ვიცე-მერს, რათა უმოკლეს ვადებში განახლდეს ადმინისტრაციული წარმოება დევნილთა დროებითი რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით.

რეკომენდაციის გაგზავნის შემდეგ განმცხადებლებმა მიიღეს ორი პასუხი. ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის, ს.ქავთარაძის წერილიდან ირკვევა: „ჩვენი შეკითხვის პასუხად, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა გვაცნობა, რომ კორპუსი ირიცხება მის ბალანსზე დაუმთავრებელი შენობის სახით.“ გამომდინარე აქედან, „ზემო ფონიჭალის მე-4 მ/რაიონის #11 კორპუსში აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების დროებით რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა სცლდება თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის კომპეტენციას.“ ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის, კ.სუბელიანის მიერ განმცხადებლებისათვის გაგზავნილ წერილში ასევე პირდაპირაა მითითებული, რომ „დაუმთავრებელი კორპუსების განკარგვა ან ამჟამად დროებით მცხოვრებ დევნილებზე „დამისამართების უფლების“ გაცემა არ შედის ჩვენი სამსახურის კომპეტენციაში. აღნიშნულ საკითხზე გთხოვთ მიმართოთ ქ.თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.“ ადგილობრივმა საქალაქო სამსახურებმა მოქალაქეებს მიაწოდეს სრულიად ურთიერთგამომრიცხავი პასუხები. მათი მხრიდან ადგილი აქვს პასუხისმგებლობის ერთმანეთზე გადაკისრებას.

ქ.თბილისის მერიის დებულების 11-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მერის მოადგილეები „კორდინაციას უწევენ მერიის ადმინისტრაციისა და შესაბამისი საქალაქო სამსახურების საქმიანობას.“ აქედან გამომდინარე, 2007 წლის 5 ივნისს სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა რეკომენდაციით ქ.თბილისის ვიცე-მერს ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე #11-ე დაუმთავრებელ კორპუსში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილების დროებითი დარეგისტრირების საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების განახლებასთან დაკავშირებით.

2007 წლის 27 მაისს ქ.თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის, ნ.ბახტაძის წერილით გვეცნობა, რომ მიმდინარე წლის 25 მაისს ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურში თბილისის მერიის ადმინისტრაციიდან გადაიგზავნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილს, ბ-ნ კახა დამენიას წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა მის

მოსაზრებას ზემო ფონიჭალის მე-4 მ/რ; #11 კორპუსში მცხოვრებ დევნილთა დამისამართების ან აღნიშნული შენობის მათ მიერ შესყიდვის თაობაზე.

2007 წლის 22 აგვისტოს სახალხო დამცველმა მიმართა ქ.თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსს და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

რევაზ ფიფიას საქმე

2007 წლის 3 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა რევაზ ფიფიამ. განმცხადებლის განმარტებით, ის 2003 წლიდან სამ სტუდენტ შვილთან ერთად ჩასახლებულია იპოდრომის ტერიტორიაზე არსებულ, ე.წ. საუნის შენობის მეორე სართულზე. მოქალაქე აღნიშნავს, რომ იპოდრომის კომპლექსი შეისყიდა შპს „ჟოკეი კლუბმა“. აღნიშნულ ორგანიზაციას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან მიეწოდა კომპენსაციაზე უფლებამოსილ პირთა სია. მითითებულ დოკუმენტში ფიფურიებდა რ.ფიფია შვილებთან ერთად, როგორც პირი რომელიც უნდა დაკმაყოფილებულიყო ფულადი თანხით. თუმცა შპს „ჟოკეი კლუბს“ მათზე არავითარი კომპენსაცია არ გაუცია. ამჟამად, იპოდრომის ე.წ. საუნის შენობას ელექტროენერჯის მიწოდება შეწყვეტილი აქვს, ხოლო მიწოდების აღდგენის შემთხვევაში ელექტროენერჯის საფასურის ხარჯებს სახელმწიფო აღარ გაიღებს და მათ საკუთარი სახსრებით მოუწევთ მისი დაფარვა. საკუთრივ შენობა ნახევრად დაშლილია. მოშლილია იმ პირთა საცხოვრებელი სადგომები, რომლებიც კომპენსაციით უკვე დაკმაყოფილდნენ. შედეგად, რ.ფიფიას საცხოვრებელი ფართი სავალალო მდგომარეობაშია, წვიმის დროს წყალი ჩასდის. კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმა შპს „ჟოკეი კლუბის“ წარმომადგენლებმა დაასაბუთეს იმით, რომ არ ფლობდნენ ინფორმაციას მითითებულ ობიექტზე რ.ფიფიას მიწერის შესახებ.

2007 წლის 10 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არის თუ არა რ.ფიფია დამისამართებული იპოდრომის ე.წ. საუნის შენობაში და კონკრეტულად რა ფართს ფლობს აღნიშნულ ობიექტში;
- როდის მოხდა მისი მიწერა აღნიშნულ ობიექტზე (ზუსტი თარიღი);
- იყო თუ არა რ.ფიფია იმ პირთა სიაში, რომელთათვისაც კომპენსაცია იყო გათვალისწინებული;
- აღნიშნული სიის ასლი;
- ფარავს თუ არა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ე.წ. საუნის შენობაში მცხოვრები დევნილებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების ხარჯებს?
- იღებდნენ თუ არა ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას საკუთრივ დევნილები.

2007 წლის 5 ივნისს პასუხად გვეცნობა, რომ რ.ფიფია იპოდრომის ე.წ. საუნის შენობაში მიწერილი იყო 2003 წლის 22 სექტემბრიდან, ხოლო 2006 წლის სექტემბრიდან იპოდრომის ტერიტორიაზე იგი დამისამართებულია კერძო სექტორში. ინვესტორის მიერ უახლოეს პერიოდში დასრულდება დევნილებზე ფულადი კომპენსაციის გაცემა და შეთანხმების საფუძველზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიაწვდიან საბოლოო მონაცემებს. ელექტროენერჯის შეღავათი კი გათვალისწინებულია მხოლოდ ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილებზე. სამინისტრომ ასევე მოგვაწოდა იპოდრომის ტერიტორიაზე

ჩასახლებულ დევნილთა სია და ინვესტორისაგან სამინისტროში გადამოცემული დევნილთა სია, რომლებზეც გაცემულ იქნა კომპენსაცია.

2007 წლის 16 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა შპს „ჟოკეი კლუბის“ დირექტორს, ლ.კანდელაკს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რით არის გამოწვეული სხვაობა სამინისტროს მიერ მოწოდებულ კომპენსაციაზე უფლებამოსილ პირთა სიასა და იმ პირთა სიას შორის, რომელთაც კომპენსაცია მიიღეს;
- რა კრიტერიუმებით ხდებოდა კომპენსაციის გაცემა (ოჯახის ნომრების, ფართის მიხედვით) და რა დოკუმენტით წესრიგდებოდა აღნიშნული პროცედურა;
- რა ოდენობის კომპენსაცია იყო გათვალისწინებული დევილთათვის;
- რის საფუძველზე ვერ მიიღო კომპენსაცია რ.ფიფიაშვილი.

2007 წლის 23 აგვისტოს შპს „ჟოკეი კლუბის“ დირექტორის, ლ.კანდელაკის პასუხით გვეცნობა: „გაურკვეველია, თუ რომელ პრივატიზებაზეა მსჯელობა და განმცხადებლის უფლებაზე - მიეღო კომპენსაცია. გასათვალისწინებელია, რომ ლტოლვილებს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჰქონდათ დაკავებული კერძო სამართლის იურიდიული პირის (შპს „ჟოკეი-კლუბის“) საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები. ამდენად, მესაკუთრე უფლებამოსილი იყო კომპენსაციის გადახდის გარეშე მოეთხოვა და განეხორციელებინა საკუთრებაში არსებული ქონების გათავისუფლება.“

2007 წლის 7 სექტემბერს მივიღეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე ე.წ. საუნის შენობის დემონტაჟი ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის.

საქმე ამჟამად წარმოებაშია.

ნარგიზა ქანთარია საქმე

2007 წლის 20 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა. მათი განმარტებით, 2003 წლიდან ისინი შესახლებულნი არიან ნამალადევის რაიონში, ჭყონდიდელისა და საყვირის ქუჩებს შორის მდებარე 4 სართულიან მიტოვებულ კორპუსში, რომელიც აღნიშნულ მისამართზე არ არის რეგისტრირებული. მათი განმარტებით, მითითებულ საცხოვრებელ კორპუსში მათ ჩაატარეს გარკვეული სარემონტო სამუშაოები, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს. თუმცა შეუძლებელი გახდა ელექტროენერჯის, წყლისა და ბუნებრივი აირის გაყვანილობის შეყვანა. ამასთან დაკავშირებით მათ არაერთხელ მიმართეს „თელასს“, თბილგაზს“, თუმცა ზემოხსენებული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ საცხოვრებელი სახლის კომუნალური მომარაგებისათვის საჭიროა აღნიშნულ მისამართზე არსებულ კორპუსში მცხოვრებ დევილთა რეგისტრაცია.

განმცხადებლების განმარტებით, აღნიშნულ შენობას მესაკუთრე არ ჰყავს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 28 დეკემბრის შუალედური პასუხიდან ირკვევა, რომ ჭყონდიდელისა და საყვირის ქუჩებს შორის მდებარე საცხოვრებელი კორპუსი აღრიცხული არ არის. მითითებულ კორპუსზე პრეტენზიას აცხადებდა შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“, რომელმაც დევნილთა გამოსახლების მოთხოვნით 2004 წელს მიმართა სასამართლოს. ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 ოქტომბრის #2ბ/741-06 გადაწყვეტილებაში სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ სადავო შენობა, სავაგონო დეპო „ნამალადევის“ ადმინისტრაციული კორპუსი შპს „მეტროპოლიტენზე“ გადაცემული ძირითადი საშუალებების ჩამონათვალში მითითებული არ არის, რაც იმას მოწმობს, რომ სადავო შენობა შპს „თბილისის მეტროპოლიტენს“ მფლობელობაში არ გადასცემია. შესაბამისად, შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებით, შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

2007 წლის 6 ივლისს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, კახა დამენიას და გამოითხოვა ზუსტი ინფორმაცია, კონკრეტულად რომელი უწყების ბალანსზე ირიცხება ჭყონდიდელისა და საყვირის ქუჩებს შორის მდებარე 4 სართულიანი შენობა. 2007 წლის 24 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა იმავე უწყებას თბილისში, ჭყონდიდელისა და საყვირის ქუჩებს შორის მდებარე ოთხსართულიანი კორპუსის ბალანსმფლობელისა და დევნილთათვის შესაბამისი თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის დადგენის მიზნით.

პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ მცხოვრები დევნილების საქმე

2007 წლის მარტში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზ. #64-ში მდებარე ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ მცხოვრებმა დევნილებმა. მათი განმარტებით, ლტოვილთა და განსახლების სამინისტროსათვის არაერთი მიმართვის მიუხედავად, ისინი დღემდე არ არიან რეგისტრირებულნი მითითებულ დროებით საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნული გარემოება ამძიმებს მათ მდგომარეობას და აზრკოლებს იმ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, რომელიც მინიჭებული აქვთ საქართველოს კანონით „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ.“

ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ მცხოვრები დევნილებისათვის პრობლემას წარმოადგენს ასევე ფართის თვითნებურად დაკავების შემთხვევები. განმცხადებლების მტკიცებით, ის პირები, რომელთაც უკვე აქვთ დროებითი საცხოვრებელი ადგილები, აცხადებენ პრეტენზიას ამ შენობაზე. აქედან გამომდინარე, ძნელდება იმის დადგენა, თუ ვინ არის ფართის მართლზომიერი მფლობელი და ვინ - არა. ზეპირ საუბრებში დევნილები ასევე მიუთითებენ, რომ შენობის მესაკუთრე მზადაა თანხმობა განაცხადოს მათ რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი პროცედურების მეშვეობით დადგინდება, რამდენი დევნილი ცხოვრობს რეალურად ამ მისამართზე და ასეთი გზით გამოირიცხება მოქალაქეთა ის კატეგორია, რომელიც უსაფუძვლოდ ითხოვს რეგისტრაციას ბაგა-ბაღ „ცისარტყელას“ შენობაში. წერილობით განცხადებებსა და ზეპირ ახსნა-განმარტებებში დევნილები მოითხოვენ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას, იმ პირების გამოვლენას, რომელნიც უსაფუძვლოდ ითხოვენ რეგისტრაციის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კომუნალური შეღავათებით სარგებლობას.

2007 წლის 3 აპრილს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს და აღნიშნული საკითხის შესწავლა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მოწოდება სთხოვა.

2007 წლის 23 აპრილს მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ დევნილთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ მცხოვრებ დევნილთა მიერ შესაბამისი საბუთების წარდგენის შემთხვევაში სამინისტრო განიხილავს მათი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დამისამართების საკითხს. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2006 წლის 2 ოქტომბრის #127 ბრძანების თანახმად, პროცესი დაწყებულია და განხორციელდება კომპაქტურად ჩასახლებულ (მათ შორის ბაგა-ბაღის შენობაში) დროებით მცხოვრებ დევნილთა არსებული რეალური პირობების აღწერა.

სახალხო დამცველისათვის განმცხადებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ამა წლის მაისის თვეში ჩატარდა ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ ფაქტობრივად მცხოვრები დევნილების აღწერა. შედეგად, 2007 წლის 13 ივნისს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს და

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა ინფორმაცია, რა სამართლებრივი შედეგები დადგა აღწერის შედეგად, ასევე, აღწერის მასალების ასლი.

2007 წლის 2 ივლისს მივიღეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, ი.გორგაძის პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ სამინისტროს აღწერის ჯგუფის მიერ ამა წლის 26, 27 აპრილს ჩატარდა ბაგა-ბაღ „ცისარტყელას“ კომისიური აღრიცხვა. სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით ამ შენობაში დამისამართებულია 54 დევნილი. აღრიცხვის შედეგებმა გამოავლინა, რომ ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ ფაქტობრივად ცხოვრობს 38 დევნილი, რომელთაგან 32 დამისამართებულია აღნიშნულ მისამართზე, ხოლო 6 სხვაგან.

2007 წლის 22 აგვისტოს სახალხო დამცველმა მიმართა ქ.თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსს, ქ-ნ ნინო ბახტაძეს და გამოითხოვა ინფორმაცია, არის თუ არა თბილისში, გურამიშვილის გამზირის #64-ში მდებარე ბაგა-ბაღ „ცისარტყელას“ შენობა ქალაქის მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

აღნიშნული უწყებიდან 2007 წლის 3 სექტემბერს მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ სამსახური არ ფლობს ხსენებულ ობიექტთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას. ანალოგიური შინაარსის წერილი გაეგზავნა ქ.თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, მ.ქაცარავას და ეთხოვა მის ხელთ არსებული ინფორმაციის მოწოდება.

2007 წლის 18 და 19 სექტემბერს მიღებული წერილებით ზემოაღნიშნული სამსახურებიდან გვეცნობა, რომ ისინი არ ფლობენ რაიმე ინფორმაციას ხსენებული შენობის შესახებ და რომ იგი არ წარმოადგენს ქ.თბილისის ადგილობრივ საკუთრებას.

საქმე წარმოებშია.

თელავი, სასტუმრო „კახეთი“-ის საქმე

მიმდინარე წლის 12 ივლისს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ.თელავში სასტუმრო „კახეთში“ კომპაქტურად ჩასახლებულმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა. დევნილები კანონის სრული დაცვით იკავებენ ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართს. ისინი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ კანონიერად არიან მიწერილები და დამისამართებულები აღნიშნულ შენობაში, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დევნილის მოწმობაში დროებითი მისამართის გრაფაში გაკეთებული ჩანაწერთა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს მოადგილის ი.გორგაძის 23.07.07 და 09.08.07 წერილებით.

დევნილთა განმარტებით, ამა წლის 7 აგვისტოს მათ თელავის შს რაიონული სამმართველოდან მიიღეს გაფრთხილება ს.ს. „კახეთის“ დირექტორის ნინო ჯიჯეიშვილის განცხადების საფუძველზე „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფარგლებში მათი გამოსახლების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმულებულები იმყოფებოდნენ ქ.თელავში სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ იძულებით გადაადგილებულ პირებსა და თელავის შს რაიონული სამმართველოს უფროსს, ბატონ ბაადურ გულიაშვილს. გაეცნენ ნ.ჯიჯეიშვილის განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანების „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ დოკუმენტების სრულ ჩამონათვალს, რომელიც თან უნდა ერთვოდეს განცხადებას. დევნილთა შემთხვევაში აუცილებელია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცნობა-ინფორმაცია ობიექტში დროებით მცხოვრებ ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ - თუ უძრავი ნივთი წარმოდგენს ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. ნ.ჯიჯეიშვილის განცხადებას ასეთი დოკუმენტი თან არ ერთვოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განცხადება სამმართველოში შეტანილია ამა წლის 7 აგვისტოს, და მიუხედავად თანდართული დოკუმენტების არასაკმარისობისა სამმართველოში არ არის ამავე დღეს შედგენილი წერილობითი გაფრთხილება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, უფლებამოსილი პირი 10 სამუშაო დღის განმავლობაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას მოთხოვნებთან და მასთან შეუსაბამობის შემთხვევაში განმცხადებელს აცნობებს წერილობით. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ზომების გატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განცხადება აკმაყოფილებს ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში დარღვეულია ბრძანების მოთხოვნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს #747 ბრძანების „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შეთანხმებით. აღნიშნული შეთანხმების წერილობითი ფორმით მიღებამდე უნდა შეჩერდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელისშეშლის აღკვეთის ღონისძიებების აღსრულება. შსს თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის განმარტებით, ასეთი თანხმობა მათ არ გააჩნიათ, გამოთხოვილი ჰქონდათ სამინისტროდან და ელოდნენ პასუხს, შესაბამისად სასტუმრო „კახეთიდან“ დევნილთა გამოსახლება არ განხორციელდებოდა აღნიშნული თანხმობის მიღებამდე.

2007 წლის 15 აგვისტოს დაგვიკავშირდნენ ქ.თელავში, სასტუმრო „კახეთში“ მცხოვრები დევნილები და გვაცნობეს, რომ მიმდინარეობდა მათი გამოსახლების პროცესი, რომელსაც ახორციელებდნენ თელავის შს რაიონული სამმართველოს წარმომადგენლები. ჩვენ ვცადეთ ბატონ გულიაშვილთან დაკავშირება. მან დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია და განაცხადა, რომ სამმართველოს ხელთ ჰქონდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წერილობითი თანხმობა. აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, დავუკავშირდით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ბატონ ი.გორგიძეს, რომელმაც არ დაადასტურა და უარყო სამინისტროს მიერ სასტუმრო „კახეთში“ მცხოვრებ დევნილთა გამოსახლებაზე წერილობითი თანხმობის არსებობა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად პოლიცია უფლებამოსილია: „პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“

ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელშეშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის და/ან სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“

შსს მინისტრის #747 ბრძანების მე-2 მუხლი განმარტავს მართლზომიერი მფლობელობისა და/ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ცნებას. დევნილთა შემთხვევაში ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ლტოლვილის ან დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უხეშად არის დარღვეული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პროცედურები. კერძოდ, არასაკმარისი დოკუმენტაციის მიუხედავად, თელავის შს რაიონული სამმართველოს მიერ გაიცა წერილობითი გაფრთხილება, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წერილობითი თანხმობის გარეშე ადგილი ჰქონდა დევნილთა გამოსახლების მცდელობას, რაც წარმოადგენს შსს მინისტრის #747 ბრძანების „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის დარღვევას. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ თელავის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომელთა ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ჩვენს ხელთ არსებული საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოსა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

2007 წლის 20 სექტემბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხით გვეცნობა, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილ წერილში მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით, 2007 წლის 3 სექტემბერს, თელავის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის #3507809 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2007 წლის 7 სექტემბერს საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან გვეცნობა, რომ ჩვენი განცხადების საფუძველზე საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა კახეთის საოლქო პროკურატურას.

2007 წლის 7 სექტემბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პასუხით გვეცნობა, რომ სასტუმრო „კახეთში“ მცხოვრებ დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები და მისი კანონის ფარგლებში გადაწყვეტა მათ კონტროლქვეშაა და შესაბამის სამსახურებთან ერთობლივი თანამშრომლობით, დევნილთა და ინვესტორს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, გამონთავისუფლებული ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით.

ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება

ხელაია დალის საქმე

2007 წლის 17 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების, ვახტანგ ფიფიას, ედუარდ ხაჭომიას, სიმონ დარახველიძისა და ლიანა გაბუნიას ადვოკატმა დალი ხელაიამ.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვეოდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები, ვახტანგ ფიფია, ედუარდ ხაჭომია, სიმონ დარახველიძე და ლიანა გაბუნია უკვე 10-12 წელია ცხოვრობენ ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილის მე-13 კილომეტრზე მდებარე, საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის დაქვემდებარებულ სამხედრო ქალაქში და ამავე მისამართზე არიან დარეგისტრირებული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. აღნიშნულ პირთა გარდა, სამხედრო ქალაქში სულ 93 დევნილი ცხოვრობს.

როგორც განმცხადებელი აღნიშნავდა, 2006 წლის 26 დეკემბერს ვახტანგ ფიფიამ, ედუარდ ხაჭომიამ, სიმონ დარახველიძემ და ლიანა გაბუნიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოდან მიიღეს წერილები რომელშიც მითითებული იყო, რომ აღნიშნულ პირებს 7 დღის ვადაში უნდა დაეცალათ დაკავებული საცხოვრებელი ფართი.

განცხადებაზე თანდართული მასალებიდან ასევე ირკვეოდა, რომ 2007 წლის 12 იანვარს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს, წერილობით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ, ირაკლი გორგაძემ და დაადასტურა, რომ სამხედრო ქალაქში კომპაქტურად დასახლებული 93 დევნილი, კანონის სრული დაცვით იკავებს ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართს. მიუხედავად ამისა, ვახტანგ ფიფიას, ედუარდ ხაჭომიას, სიმონ დარახველიძისა და ლიანა გაბუნიას ოჯახებმა განმეორებით მიიღეს ანალოგიური შინაარსის წერილი.

2007 წლის 15 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსს, ბ-ნ ბადრი ბიწაძეს მიმართა რეკომენდაციით, რომელშიც ითხოვდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ დადგენილი მოთხოვნების დაცვას, რადგან მათ მიერ ვახტანგ ფიფიას, ედუარდ ხაჭომიას, სიმონ დარახველიძისა და ლიანა გაბუნიას ოჯახების საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლება გამოიწვევდა მათთვის კანონით მინიჭებული და გარანტირებული უფლებების უხეშ დარღვევას.

ამავე წლის 26 მარტს პასუხად გვეცნობა, რომ ჩვენი რეკომენდაცია დაკმაყოფილდა და აღნიშნული პირები დაკავებული ფართიდან არ გამოსახლდებიან.

მორჩილადე ლაურა, სვანიძე ნელი, ჯიქია ნანული და ოსაძე ლეილა

2007 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართეს აფხაზეთიდან დევნილმა მოქალაქეებმა ლაურა მორჩილადემ, ნელი სვანიძემ, ნანული ჯიქიამ და ლეილა ოსაძემ. მათ განცხადებებში მითითებული პრობლემები იყო იდენტური და ითხოვდნენ საცხოვრებელი ფართის გამოყოფას. თითოეული მათგანი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ რეგისტრირებულია კერძო სექტორში, ზოგიერთი მათგანი ნათესავის, ზოგი კი ნაცნობის ბინაში, სადაც მათ არასდროს უცხოვრიათ. წლების განმავლობაში, განმცხადებლები ცხოვრობენ ნაქირავებ ფართში, რომლის საფასურის გადახდაც მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ფაქტიურად შეუძლებელი ხდება და ოჯახები დგება თავშესაფრის გარეშე დარჩენის საფრთხის ქვეშ. მათ არაერთხელ მიმართეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დახმარებისათვის. მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ ამ კუთხით არაფერი გაკეთებულა.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ დევნილებს საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით; ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართის ფარგლებში“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები და განცხადებები გადაიგზავნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. სამწუხაროდ ყოველ მათგანზე პასუხი იყო უარყოფითი. კერძოდ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განმარტებით, თავშესაფრის გარეშე დარჩენილ დევნილთა დროებითი განსახლების მიზნით, თავისუფალი საცხოვრებელი ფართების გადაცემის მოთხოვნის მიუხედავად, ბოლო წლების განმავლობაში სამინისტროსათვის არანაირი საცხოვრებელი ფართის გადაცემა არ განხორციელებულა და სამინისტროს ქ.თბილისში არ გააჩნია საბინაო ფონდი. სამინისტრო მოკლებულია დახმარების შესაძლებლობას. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია აღნიშნული პირების საცხოვრებელით დაკმაყოფილების საკითხის განხილვა მხოლოდ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

„ყრუ-მუნჯთა დაწესებულებაში“ მცხოვრებ დევნილთა საქმე

2007 წლის 31 მაისს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ.ზუგდიდში, გრიბოედოვის ქ#99-ში მდებარე „ყრუ-მუნჯთა დაწესებულების“ შენობაში კომპაქტურად განსახლებულმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა. დევნილები კანონის სრული დაცვით იკავებენ ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართს. ისინი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ კანონიერად არიან მიწერილები და დამისამართებულები აღნიშნულ შენობაში, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილ დევნილის მოწმობაში დროებით მისამართის გრაფაში გაკეთებული ჩანაწერით.

დევნილთა განმარტებით ამა წლის 15 აპრილს მათ ზუგდიდის რაიონის შს სამმართველოდან მიიღეს გაფრთხილება მოქალაქე ნ.კვიციანიას განცხადების საფუძველზე „სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფარგლებში მათი გამოსახლების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით“

სამართლებრივი თვალსაზრისით, დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ. თავისთავად, მითითებული ნორმის გავრცელება სხვადასხვა ობიექტებში სახელმწიფოს მიერ ჩასახლებულ დევნილებზე არალეგიტიმურია და ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს დევნილთა საბინაო დავების საკითხს. ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ნორმათა კონკურენციის გადაწყვეტისათვის „სამოქალაქო კოდექსის“ თანახმად, „ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები“.

სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად შემთხვევებს არეგულირებს, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი კი არის სპეციალური კანონი, რომელიც ეხება პირთა სპეციფიკურ წრეს - დევნილებს, შესაბამისად ამ უკანასკნელის გამოყენების მიზანშეწონილობა უდავოა. მითითებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დევნილთა საბინაო დავებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება“. ნორმის მოცემული ფორმულირებიდან თავისთავად ნათელია, რომ კანონი დავის გადაჭრის მხოლოდ ერთ - სასამართლოს გზას იცნობს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამოწვევის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

- გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
- დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს #747 ბრძანების „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შეთანხმებით. აღნიშნული შეთანხმების წერილობითი ფორმით მიღებამდე უნდა შეჩერდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელისშეშლის აღკვეთის ღონისძიებების აღსრულება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 4 ივნისს სახალხო დამცველმა ზუგდიდის რაიონის შს სამმართველოს უფროსს მიმართა რეკომენდაციით, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ დევნილთა გამოსახლების პროცედურა.

2007 წლის 27 სექტემბერს პასუხად გვეცნობა, რომ ზუგდიდში, გრიბოედოვის ქ#100-ში ჩასახლებულ დევნილთა გამოსახლება შეჩერდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შენობის მფლობელის ნიკოლოზ კვიციანიას მიერ შეთანხმების მიღწევამდე.

მის აღმატებულებას,
საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

ვხელმძღვანელობ რა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით და ვყვრდნობი რა ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, გაცნობებთ ქვეყანაში დევნილთა - იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების უხეში და მასობრივი დარღვევების შესახებ, ვინაიდან ჩემთვის ხელმისაწვდომი სხვა სამართლებრივი საშუალებები არ აღმოჩნდა საკმარისი ამ უფლებების დასაცავად.

მხოლოდ ბოლო სამი თვის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა 400-ზე მეტი განცხადებაა შემოსული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით; დევნილობები სულ უფრო ხშირად მიმართავენ სასამართლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინააღმდეგ. ამასთან სახალხო დამცველისთვის მიწერილ ერთ-ერთ საპასუხო წერილში სამინისტროს პასუხისმგებელი პირები ამტკიცებენ, რომ ისინი არ არიან ვალდებულნი, დაიცვან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და მიუთითებენ, რომ დევნილებს შეუძლიათ მათი უფლებები სასამართლოს მეშვეობით დაიცვან.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დამოკიდებულება გალის რაიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებისადმი. ფაქტობრივად არ ხდება იმის გათვალისწინება, თუ რა ვითარებაში უწევთ ცხოვრება გალის რაიონში სტიქიურად დაბრუნებულ დევნილებს, ასევე იმ პირებსა და ოჯახებს, ვინც სეზონურად ბრუნდება საკუთარ სახლებში. თუ როგორ ეკიდება სამინისტრო გალის რაიონის მკვიდრთა პრობლემებს, ამას ნათლად მოწმობს გალის რაიონში მაცხოვრებელი დევნილების რეგისტრაციის საქმეც.

მაგალითად, ერთ შემთხვევაში სამინისტრომ მოითხოვა სოფ. პირველ გალში მცხოვრები 104 წლის მოქალაქის პირადად გამოცხადება სამინისტროში, თუმცა შესაძლებელი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გამოყენება ხანდაზმული მოქალაქის ქ.ზუგდიდში ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად, ან მათი დახმარებით, მოქალაქისათვის საჭირო დოკუმენტაციის სახლში შევსების უზრუნველყოფა.

გალის რაიონში მცხოვრები დევნილებისადმი უყურადღებობას მოწმობს ის შემთხვევაც, როცა სოფ. ლეკუხონას მკვიდრი ოთხი შვილის დედა, პედაგოგი, ქ.თბილისში ოთხჯერ ჩამოიყვანეს და მაინც ვერ უზრუნველყვეს მისთვის დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა. იგივე მდგომარეობაში

აღმოჩნდა მისი მეუღლეც, რომელიც ქართული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა და, მიუხედავად იმისა, რომ მის სიცოცხლეს მუდმივად საფრთხე ემუქრება, იგი მაინც ახერხებს და უზრუნველყოფს ამ სკოლაში ქართულ ენაზე სწავლებას.

არასათანადო და არამართლზომიერი მართვის შედეგად მთელი ზამთრის განმავლობაში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების თითქმის არც ერთ ობიექტს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, ხოლო ნაწილს დღემდე არ მიეწოდება. შესაბამისად დევნილებს უწევთ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში ცხოვრება.

იმის გამო, რომ კომპაქტურად ჩასახლების ობიექტები არ არის აღჭურვილი ინდივიდუალური მრიცხველებით, დევნილები, საქართველოს სხვა მოქალაქეებისაგან განსხვავებით, ვერ სარგებლობენ უფლებით, ჰქონდეთ ელექტროენერგია და, შესაბამისად გადაიხადონ მხოლოდ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

ამავე მიზეზით, დევნილები ვერ სარგებლობენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული „გაზრდილი ტარიფის ანაზღაურების ვაუჩერით“, რაც ასევე არასწორი მენეჯმენტის შედეგია. შემაშფოთებელია ისიც, რომ დევნილების მხრიდან ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობისას სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები მიმართავენ კანონდარღვევებს, შანტაჟსა და ძალისმიერ მეთოდებს. ეს ყოველივე კი იწვევს დევნილთა სამართლიან უკმაყოფილებას და ბადებს ნიჰილიზმს. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება დევნილების სოციალური ინტეგრაცია.

ანალოგიურად სავალალო მდგომარეობაა დევნილთა წყალმომარაგების სფეროშიც.

2004 წლის შემდეგ არ ჩატარებულა დევნილთა ყოველწლიური რეგისტრაცია, შედეგად არ არსებობს დევნილთა რაოდენობისა და განსახლების შესახებ ობიექტური და სრული სურათი. ასეთმა მდგომარეობამ, თავის მხრივ გამოიწვია ის ქაოსი რომელსაც ადგილი ჰქონდა აჭარაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილების გამოსახლებისას. თუმცა, სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ამ პროცესის ისე ჩატარება, რომ დევნილები არ დაზარალებულიყვნენ და მომხდარიყო მათი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში დევნილების გამოსახლებას არ მოჰყვებოდა მასობრივი პროტესტები, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარაში.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ბოლო ინფორმაციის თანახმად, რეგისტრაციის პროცესი უნდა დაწყებულიყო 2007 წლის მარტის ბოლოს, თუმცა დღეს უკვე აცხადებენ, რომ ეს პროცესი სავარაუდოდ აპრილის თვის ბოლო დაიწყება. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოცემულია მინისტრის რამოდენიმე ბრძანება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიერ მისი ფუნქციების განხორციელებისას სამართლებრივი საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, კანონიერი ჩარჩოების მიღმა მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს აქვს დევნილთა პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგია, სამინისტროს მხრიდან არ ხორციელდება არც

ერთი ის ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება აღნიშნული პოლიტიკის გატარებისკენ. დევნილების ზემოხსენებული პრობლემების მოგვარება უსისტემოდ და სპონტანურად ხდება.

განსაკუთრებულ შემოთვლას იწვევს საქართველოს ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებში ჩასახლებული სტიქიით დაზარალებული მოქალაქეების მდგომარეობა. არის შემთხვევები, რომდესაც სტიქიით დაზარალებულები ვერ შედიან იმ საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც მათთვის სახელმწიფომ შეიძინა. მათ არ გააჩნიათ საკმარისი დოკუმენტაცია, რათა თუნდაც სამსართაღდამცავი ორგანოების დახმარებით მაინც მოახერხონ ამ სახლებში შესვლა. სამინისტრო არ ახორციელებს პროგრამებს, რაც ხელს შეუწყობს ეკომიგრანტების ინტეგრაციას ადგილობრივ სოციალურ გარემოში. შესაბამისად, ასეთ რეგიონებში წარმოიქმნება დაძაბულობის კერები, რაც ხელს უწყობს იმას, რომ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი ნებისმიერი კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირებაში.

მასალა, რომელსაც გაახლებთ, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ პრობლემებისა, რომლებსაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, არაჯეროვნად განხორციელებული მართვის შედეგად, უქმნის იმ მოქალაქეებს, რომელთა უფლებების დაცვა მას კანონმდებლობით ევალება. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაკეთებული შეფასება. ჩემს შემოთვლას იწვევს ის გარემოება, რომ ყოველივე ეს ხდება პერიოდში, როდესაც სახელმწიფოს წინაშე დგას ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორცაა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება და ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში.

კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით მე არაერთხელ მივმართე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. ამ ვრცელ პრობლემებზე ვრცლად არის საუბარი ჩემს საპარლამენტო მოხსენებაშიც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე, როგორც სახალხო დამცველმა ამოვწურე ჩემს ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი ბერკეტი. მიუხედავად ჩემი რეკომენდაციებისა და საანგარიშო მოხსენებებში ამ პრობლემების არაერთგზის დაფიქსირებისა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გრძელდება მისი პოზიტიური ვალდებულებების უგულვებელყოფა და დევნილთა უფლებების უხეში დარღვევა.

ბატონო პრეზიდენტო!

მოგმართავთ, როგორც საქართველოს კონსტიტუციის უზენაეს გარანტს, რათა თითოეული დევნილის უფლება იყოს დაცული და ყოველ მათგანს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდეს რწმენა, რომ მას და მის უფლებებს იცავს სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა.

უღრმესი პატივისცემით, სოზარ სუბარი

დანართი #12

ლტოლვილების უფლებების დაცვის შესახებ

რაფაელ პაეზ სანჩესის საქმე

2007 წლის 16 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ძველი თბილისის პოლიციის I განყოფილების თანამშრომელმა მოქალაქე თენგიზ ბოჭორიშვილმა. განმცხადებლის განმარტებით, მასთან, პოლიციის განყოფილებაში ხშირად ცხადდებოდა კუბის ყოფილი მოქალაქე რაფაელ სანჩეს პაეზი, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია ლტოლვილის სტატუსი, კონკრეტული საცხოვრებელი ადგილი და ფინანსურად დაუცველია. როგორც აღნიშნულმა პიროვნებამ პოლიციის თანამშრომლებს თავად განუმარტა, იგი 2 წელია იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. სანჩეს პაეზის განცხადებით, მან არაერთგზის მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

2007 წლის 21 თებერვალს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგამეს და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული პირისა და სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2007 წლის 2 აპრილს მივიღეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის, ზ.იმედაშვილის პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ კუბის მოქალაქე რაფაელ პაეზ სანჩესმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე განცხადებით მიმართა 2005 წლის 3 თებერვალს. სამინისტროს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა სამმართველომ არსებულ მასალებზე დაყრდნობით მოამზადა დასკვნა რაფაელ პაეზ სანჩესისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. 2005 წლის 3 ივნისს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ განიხილა რაფაელ პაეზ სანჩესისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი და მიზანშეუწონლად მიიჩნია მასზე ლტოლვილის სტატუსის მინიჭება.

სახალხო დამცველმა გააგრძელა საქმის შესწავლა. რაფაელ პაეზ სანჩესის განმარტებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მან კუბა დატოვა და გაემგზავრა მოსკოვში 2000 წლის თებერვალში 90 დღიანი ნებართვით. სანჩესი კუბაში უნდა დაბრუნებულიყო 2000 წლის 2 აგვისტომდე, მისი პასპორტი მოქმედი იყო 2001 წლის აპრილამდე, ხოლო ვადის გაგრძელების შემდეგ - 2005 წლის 29 აპრილამდე. რაფაელ პაეზ სანჩესს გააჩნდა რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების უფლება 2003 წლის 9 აპრილამდე, ხოლო 2003 წლის 29 აპრილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გრუზიკოვა გალინამ მას მისცა უფლება და მიმართა მოსკოვის ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს ვიზებისა და რეგისტრაციის სამმართველოს, რათა რაფაელ პაეზ სანჩესს გაეცლო რეგისტრაცია მის კუთვნილ

ბინაში. თუმცა კუბელ მოქალაქეს ეს უფლება არ მიუღია. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციაში მისი ყოფნა იყო არალეგალური და რუსეთის ფედერაციაში დეპორტაციის შემთხვევაში მას ემუქრება სასჯელი, რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად - ფულადი ჯარიმა ან დეპორტაცია მისი წარმოშობის ქვეყანაში - კუბაში.

კუბის სოციალისტური რეჟიმის კანონმდებლობის თანახმად, რაფაელ პაეზ სანჩესს მისი პოლიტიური მოსაზრებების გამო ემუქრება სასჯელი. როგორც მან სახალხო დამცველს განუცხადა, არ სურს დიქტატორულ სახელმწიფოში ცხოვრება.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციისა“ და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ოქმის“ შესაბამისად, ცნება „ლტოლვილი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი „პოლიტიკური მრწამსის გამო“ და რომელსაც „არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.“

2005 წლის 3 თებერვალს მოქმედი „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროში შექმნილი კომისია მისი განცხადების რეგისტრაციიდან 4 თვის განმავლობაში.“ 2005 წლის 8 აპრილს შესული ცვლილებების თანახმად, „პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების რეგისტრაციიდან 4 თვის განმავლობაში.“ რაფაელ პაეზ სანჩესისათვის ლტოლვილის სტატუსზე უარი დაადგინა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 2005 წლის 2 ივნისის სხდომაზე, თუმცა ამ დროისათვის ზემოხსენებული კომისია კანონში შესული ცვლილების თანახმად უკვე არ იყო უფლებამოსილი. ამასთან, 2005 წლის 2 ივნისს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მიერ რაფაელ პაეზ სანჩესისათვის გადაცემული დოკუმენტი არ შეესაბამება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლით გათვალისწინებულ იმპერატიულ რეკვიზიტებს, კერძოდ, ის არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს - არ შეიცავს სათაურს, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას, არ არის მითითებული ის ორგანო, რომელშიც შეიძლება აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და სარჩელის წარდგენის ვადა. ასევე, აქტზე გამოსახული არ არის საქართველოს სახელმწიფო გერბი. ამასთან, დოკუმენტში მითითებული დასაბუთებაც არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ რაფაელ პაეზ სანჩესმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა უკანონოდ, კერძოდ, ფსოუს სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რომელსაც ვერ აკონტროლებს ცენტრალური ხელისუფლება. თუმცა, აფხაზეთი - სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ მან მიმართა საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მოთხოვნით, შესაბამისად მასზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა) ბოლოს მოცემული შენიშვნა - „ეს მუხლი არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის

შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.“

ამასთან, საქართველოში შემოსვლის დროს რაფაელ პაეზ სანჩესის პასპორტი ძალაში იყო 2005 წლის 29 აპრილამდე, ანუ იმ დროს, რომცა მის განცხადებას განიხილავდა სამინისტრო. ხოლო სამინისტროს მიერ ლტოლვილის სტატუსზე დაუსაბუთებელი უარის შედეგად, რაფაელ პაეზ სანჩესი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა კანონიერი დოკუმენტების გარეშე.

ამასთან, შეუძლებელია რაფაელ პაეზ სანჩესის დეპორტაცია - მას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი, დაუდგენელია ქვეყანა, საიდანაც ის სავარაუდოდ შემოვიდა, ხოლო მისი წარმოშობის ქვეყანაში მას ემუქრება საფრთხე. საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს პირი, თუ არსებობს ვარაუდი, რომ მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე შეექმნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაფაელ პაეზ სანჩესი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება ყოვლგვარი სამართლებრივი სტატუსის გარეშე, ამავე დროს შეუძლებელია მისი გაძევება. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, მაქსიმალურად მისაღები ფორმით განისაზღვროს მისი სამართლებრივი მდგომარეობა. იგივე შედეგი წარმოადგენს რაფაელ პაეზ სანჩესის კერძო ინტერესს.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, „თანამდებობის პირის აქტი ან მოქმედება შეიძლება ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად მიზანშეუწონლობის მოტივით, თუ აქტი ან მოქმედება აშკარად არ შეესაბამება სამთავრობო პროგრამას და იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან და ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის ან მინისტრის მიერ, ან იწვევს სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ გამოყენებას, ან სხვა ხერხებით ზიანს აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციისა“ და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ოქმის“, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა 2007 წლის 18 აპრილს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, გიორგი ხევიაშვილს და მოითხოვა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და რაფაელ პაეზ სანჩესისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების განხილვა.

2007 წლის 17 მაისს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წერილით გვეცნობა, რომ რაფაელ პაეზ სანჩესი სამინისტროს მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული გასაუბრებებისას იძლეოდა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს. ამასთან ერთად, შს სამინისტროდან მოსული ინფორმაციისა და რაფაელ პაეზ სანჩესის მიერ მოწოდებული არადადამაჯარებელი ბიოგრაფიული მონაცემების საფუძველზე სამინისტრო დარწმუნდა, რომ ამ პიროვნებაზე არ ვრცელდება „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია და „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ 1967 წლის ოქმი. გარდა ამისა, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2005 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა სამმართველოს უფროსმა ზურაბ მშვიდლობაძემ „წარმოადგინა სამმართველოს დასკვნა და შესაბამისი დოკუმენტაცია კუბის რესპუბლიკის მოქალაქე რაფაელ პაეზ სანჩესის შესახებ. დასკვნიდან გამომდინარე, სამმართველომ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონით „ლტოლვილთა შესახებ“, მიზანშეწონილად ჩათვალა ამავე კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, აღნიშნულ პირს არ მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი.“

2007 წლის 6 ივლისს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, გიორგი ხევიაშვილს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რაფაელ პაეზ სანჩესის მიერ სამინისტროსათვის მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები;
- შს სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია აღნიშნული პიროვნების შესახებ;
- ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა სამმართველოს დასკვნა.
- რაფაელ პაეზ სანჩესის მიერ მოწოდებული რომელი ბიოგრაფიული მონაცემები ჩაითვალა არადადამაჯარებლად სამინისტროს მიერ და რაში გამოიხატა მისი საეჭვობა;
- რატომ არ ვრცელდება რაფაელ პაეზ სანჩესზე „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1967 წლის ოქმი, ასევე, მითითებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების კონკრეტულად რომელი მუხლები გაძლევეთ აღნიშნულის მტკიცების საფუძველს;
- „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტში დასახელებული კონკრეტულად რომელი გარემოება არ დადასტურდა რაფაელ პაეზ სანჩესთან მიმართებით.

2007 წლის 6 აგვისტოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან პასუხად გვეცნობა: რაფაელ პაეზ სანჩესი რუსეთის ფედერაციაში იმყოფებოდა 2000 წლიდან. მისი მეუღლე რუსეთის მოქალაქეა და ხუთი წლის მანძილზე პაეზს უპრობლემოდ შეეძლო თავისი ყოფნის ლეგალიზება რუსეთის ფედერაციაში. რაფაელ პაეზ სანჩესს თავშესაფარის თხოვნით უნდა მიემართა რუსეთის ხელისუფლებისათვის, რაც მან არ გააკეთა. რაფაელ პაეზ სანჩესი სამინისტროდან სხვადასხვა დროს მიმართული განცხადებებით არ ითხოვს ლტოლვილის სტატუსს საქართველოში. ასევე მას არ მოუთხოვია ლტოლვილის სტატუსი სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს მიერ ჩატარებული ანკეტირების დროს. ასევე გაუგებარია ამ საკითხის წამოწევა დღეს, ვინაიდან რაფაელ პაეზ სანჩესმა თავის დროზე არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული გასაჩივრებს

უფლება. რაც შეეხება შს სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მოწოდებას, ასეთი სახის მიმოწერა ხორციელდება გრიფით საიდუმლო და ამ ინფორმაციის მისაღებად, მიმართეთ შს სამინისტროს.

2007 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და შეახსენა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის I პუნქტი, რომლის შესაბამისადაც: „სახელმწიფო, კომერციულ ან კანონით დაცული სხვა საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველს გადაეცემა კანონით დადგენილი წესით“. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სახალხო დამცველმა განმეორებით გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია რაფაელ პაეზ სანჩესთან დაკავშირებით. საქმე ამჟამად წარმოებაშია.

დანართი #13

მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით

ძალადობა და დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით

იამზე გნოლიძის საქმე

2007 წლის 15 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ადვოკატმა მანუჩარ ციმინტიამ. მისი განმარტებით, იეჰოვას მოწმეები იამზე გნოლიძე და ნათია მილაშვილი რელიგიური მრწამსის გამო გახდნენ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი. საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს. მ. ციმინტია აღნიშნავდა, რომ გამომძიებელმა ადვოკატის გარეშე დაიბარა დაზარალებულები, გააცნო ექსპერტიზის დასკვნა და მოაწერინა ხელი. ამის შემდეგ კი მათგან მოითხოვა განცხადების დაწერა იმის თაობაზე, რომ ამ საქმეზე არანაირი პრეტენზია და შუამდგომლობა არ ჰქონდათ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საქმის დახურვა. გამომძიებელი ცდილობდა დაერწმუნებინა დაზარალებულები, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, ვინაიდან დაზიანება მსუბუქი ხარისხის იყო.

2007 წლის 18 მაისს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურიდან წერილობით გამოვითხოვეთ ინფორმაცია, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სხეულის რა ხარისხის დაზიანება აღენიშნებოდათ იამზე გნოლიძესა და ნათია მილაშვილს.

2007 წლის 12 ივნისს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს პირველი განყოფილებიდან გვეცნობა, რომ ნათია მილაშვილის მიმართ არ დანიშნულა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ვინაიდან მას არ აღენიშნებოდა არანაირი ფიზიკური დაზიანებები, ხოლო რაც შეეხება იამზე გნოლიძის სხეულის დაზიანების ხარისხს, მას დაესვა დიაგნოზი: თავის რბილი ქსოვილის დაჟეჟილობა. სხეულზე ფიზიკური დაზიანების ნიშნები არ აღენიშნებოდა, რაც გამომძიებელ ნ.ჯიმშიტაშვილის განმარტებით, წარმოადგენდა გამოძიების შეწყვეტის საფუძველს.

2007 წლის 18 ივნისს წერილით მივმართეთ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურას, სადაც მითითებულია, რომ თუ ექსპერტის დასკვნაში აღნიშნულია ი.გნოლიძის თავის რბილი ქსოვილის დაჟეჟილობა, რატომ მიიჩნია გამომძიებელმა, რომ დაზარალებულს სხეულზე არ აღენიშნებოდა დაზიანების ობიექტური ნიშნები. აღნიშნული წერილით მოვთხოვეთ გამოძიებას გაერკვია არსებობდა თუ არა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი. აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაცია მომხდარიყო სისხლის

სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით. თუ მოტივი ვერ დადგინდებოდა, ქმედების კვალიფიკაცია მომხდარიყო 120-ე მუხლით.

2007 წლის 13 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ 2007 წლის 23 მარტს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №1071566 საქმეზე, იამზე გნოლიძის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2007 წლის 7 ივლისს ბრალდებულის სახით სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში იქნა მიცემული იური ოკუჯავა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2007 წლის 9 ივლისს სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

თ. ჯიქურაშვილის, ბ.ტაბატაძის, ბ.ხაჭაპურიძის საქმე

2007 წლის 16 აპრილს დაახლოებით საღამოს რვა საათზე რვა პიროვნება თავს დაესხა იეჰოვას მოწმეთა თემის სამ ახალგაზრდა წარმომადგენელს თენგიზ ჯიქურაშვილს, ბექა ტაბატაძეს და ბაგრატ ხაჭაპურიძეს. თავდამსხმელებმა მათ ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რაც აღმსარებლობის უხამსი ფორმით მოხსენიებაში გამოიხატა, შემდეგ ძალის გამოყენებით მოახდინეს მათზე ფიზიკური ზემოქმედება. ახალგაზრდებმა სცადეს გაქცევა, თავდამსხმელებმა კი მათ ქვები დაუშინეს. ორმა დაზარალებულმა თ. ჯიქურაშვილმა და ბ. ხაჭაპურიძემ მიიღეს სხეულის დაზიანებები. საპატრულო პოლიციის ორი თანამშრომელი შემთხვევის ადგილზე გამოძახებიდან დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ მივიდა. ჯიქურაშვილის განმარტებით, საპატრულო პოლიციამ განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ თავდამსხმელთა მოძებნის უფლება და ამისათვის გამოიძახეს გამომძიებელი, რომელიც თვითმხილველის განმარტებით შემთხვევის ადგილზე მივიდა 20 წუთის შემდეგ. გამომძიებელმა თენგიზ ჯიქურაშვილი შეიყვანა „სამეფო დარბაზში“ სადაც დაკითხვის დროს შევარდა ქვა. დაზარალებულ ბექა ტაბატაძის განმარტებით, პირი, რომელმაც ისროლა ქვა გამომძიებელმა რამდენიმე კითხვის დასმის შემდეგ გაათავისუფლა. საქმეზე მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა.

დავით ელიზბარაშვილის და სოფიკო მიჭელაშვილის საქმე

2007 წლის 6 მარტს გლდანულის დასახლებაში მე-6 კორპუსის 31-ე სადარბაზოში „იეჰოვას მოწმეები“ დავით ელიზბარაშვილი და სოფიკო მიჭელაშვილი ქადაგებდნენ საკუთარ რწმენას. ხსენებულ მისამართზე მცხოვრებმა პიროვნებამ რონის ლატარიამ, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ მოსაუბრე პირები იეჰოვას მოწმეებს წარმოადგენდნენ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მათ. დ.ელიზბარაშვილმა და ს.მიჭელაშვილმა შეწყვიტეს მასთან საუბარი და, მათი მრწამსიდან გამომდინარე, საქმიანობა განაგრძეს იმავე მისამართზე მცხოვრებ სხვა მოქალაქესთან. ამ დროს ბინიდან გამოიჭრა რონის ლატარია და სიტყვიერთან ერთად, ფიზიკური შეურაცხოფაც მიაყენა მათ, კერძოდ, დ.ელიზბარაშვილს ხელი ორჯერ გაარტყა, ხოლო სოფიკო მიჭელაშვილს წიხლი დაარტყა.

ამა წლის 21 მარტს დაზარალებულების საჩივარი ქ.თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ა.ფოცხვერაშვილმა გადაუგზავნა გლდან-ნაძალადევის შინაგან საქმეთა სამმართველოს და მოითხოვა წინასწარი გამოძიების დაწყება სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ე ნაწილით (მუქარა).

თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა 142-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის. საგამომიებო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა მსგავს შემთხვევას, როდესაც ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 151-ე და 142-ე მუხლების ერთობლიობით. კერძოდ, 2007 წლის 1 მარტს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ქ.თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების უფროსი გამომძიებლის კ.პაპავას წერილი. რომლითაც გვეცნობა, რომ 2006 წლის 21 სექტემბერს წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის №04065406 საქმეზე, გიორგი ოთიაშვილისა და სარქის შაროიანის მიმართ, მოქალაქე მარინა გადილიაზე განხორციელებული მუქარისა და ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილი იქნა შემდეგი: 2006 წლის 21 სექტემბერს ქ.თბილისის ისნის რაიონის ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორი მარინა გადილია ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას და არიგებდა ნაციონალური მოძრაობის ბუკლეტებს. აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლებმა, გიორგი ოთიაშვილმა და სარქის შაროიანმა, გაიგეს რა, რომ მარინა გადილია იყო ნაციონალური მოძრაობის წევრი და ეწეოდა წინასაარჩევნო კამპანიას, მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და აუკრძალეს ბიულეტენების დარიგება. სარქის შაროიანი სამშენებლო ნიჩბით გამოეკიდა გადილიას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა გარიდებოდა იქაურობას.

წარმოდგენილ ორ საქმეს შორის არის ის განსხვავება, რომ ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის უფლების დარღვევას რელიგიური ნიშნით, მეორე შემთხვევაში - პოლიტიკური ნიშნით. გადილიას საქმისაგან განსხვავებით, იეჰოვას მოწმეთა შემთხვევაში სიტყვიერთან ერთად, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ხელყოფასაც. ორივე შემთხვევაში, დაზარალებულებს ადეკვატათ შესაძლებლობა - განეხორციელებინათ მათი მსოფლმხედველობრივი კუთვნილებიდან გამომდინარე საქმიანობა. სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით თანასწორუფლებიანობის დარღვევის შემთხვევის დროს გამოიყენეს სსკ-ის 142-ე მუხლი. აღმსარებლობის გამო თანასწორუფლებიანობის ხელყოფის დროს, მსგავს სამართლებრივ კვალიფიკაციას ადგილი არ ჰქონია. ეს მაშინ, როდესაც სსკ-ის 142-ე მუხლი თანაბრად იცავს ადამიანს როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური უფლებების ხელყოფისაგან.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს. მოითხოვა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა და დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის ქმედებაში რელიგიური მოტივის გამოვლენა.

ამა წლის 13 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოდან პასუხად გვეცნობა, რომ მოქალაქე რონის ლატარიას მიერ „იეჰოვას მოწმეების“ სოფიკო მიჭელაშვილისა და დავით ელიზბარაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი სსკ-ის 151-ე მუხლიდან (მუქარა) გადაკვალიფიცირდა 155-ე (დევნა) მუხლით. 2007 წლის 7 ივლისს რონის ლატარიას წარედგინა ბრალდება.

გიორგი ღოლიჯაშვილის ორი საქმე

2007 წლის 3 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრმა გიორგი ღოლიჯაშვილმა. მისი განმარტებით, მიმდინარე წლის 1 ივლისს, დაახლოებით 17:30 საათზე, მიდიოდა რელიგიურ შეკრებაზე, მორეტის ქუჩა №24-ში, სადაც შეხვდა რამდენიმე პიროვნება. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც იყო დაახლოებით 25 წლის და ჰქონდა წვერი, ჰკითხა, ჰქონდა თუ არა სიგარეტი. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, დაარტყა მუშტი სახის არეში და ჩაარტყა თავი, რის შედეგადაც მიიღო დაზიანებები, გაუტყდა ცხვირი. გიორგი ღოლიჯაშვილმა თავს გაქცევით უშველა. მისი განმარტებით, რელიგიური მოტივის ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფები გლდანის ამ ტერიტორიაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გახშირდა. პირადად გიორგი ღოლიჯაშვილის მიმართ მსგავს ქმედებას უკვე მეორედ ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 2007 წლის 11 მაისს მორეტის ქ. 24-ში რელიგიურ შეკრებაზე მიმავალ გიორგი ღოლიჯაშვილს შეხვდა სამი ახალგაზრდა, რომლებმაც ჰკითხეს აპირებდა თუ არა იგი „სამეფო დარბაზში“ მისვლას. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ უცნობებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ დროს მანქანით გამოიარა იეჰოვას მოწმეთა თემის წარმომადგენელმა ნუკრი ნ-მ. ეს უკანასკნელი დაეხმარა თანამორწმუნეს თავდამსხმელთაგან თავის დაღწევაში. შეკრების დამთავრების შემდეგ, ნუკრი ნ-ს მანქანით მიმავალმა თანამორწმუნეებმა შენიშნეს თავდამსხმელები გლდანის მე-2 მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ერთ-ერთმა მათგანმა გ. ე-მ გამოიძახა საპატრულო პოლიცია. თუმცა საპატრულო პოლიციის შემთხვევის ადგილზე გასვლის დროისათვის, თავდამსხმელები მითითებულ ადგილას უკვე აღარ იმყოფებოდნენ. გ. ე. დაბრუნდა „სამეფო დარბაზში“. ამ დროს მან შენობის უკან კვლავ შენიშნა ერთ-ერთი თავდამსხმელი, რის შესახებაც შეატყობინა საპატრულო პოლიციას. შემთხვევის ადგილზე მისვლის სემდეგ საპატრულო პოლიციამ დააკავა გ. ე-ს მიერ მითითებული თავდამსხმელი, რომელიც ამოიციო დაზარალებულმა გიორგი ღოლიჯაშვილმა. მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომელმა შეიტყო, რომ შენობა იეჰოვას მოწმეთა შეკრების ადგილს წარმოადგენდა და თავდასხმა რელიგიური მოტივით იყო ჩადენილი, ვითარება შეიცვალა. შემთხვევის ადგილზე გლდანის მე-2 მ/რ-ის მაცხოვრებლებმა მოიყარეს თავი. პოლიციის თანამშრომლებმა მათ განუცხადეს, რომ იეჰოვას მოწმეთა თანხმობის შემთხვევაში დაკავებულს გაათავისუფლებდნენ. გ. ე-ს განმარტებით საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ამგვარი ქმედებით აღვივებდა ადამიანთა ჯგუფის აგრესიას მის მიმართ. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, თავდამსხმელი გათავისუფლებული იქნა. აღნიშნულ საქმეზე 2007 წლის 11 მაისს, ქ.თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №08071939 საქმეზე, გოგიტა ქობესაურის მიერ არასრულწლოვან გიორგი ღოლიჯაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე. (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.)

2007 წლის 23 ივლისს აღნიშნული განცხადება და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები გადაეგზავნა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის პროკურორს შემდგომი

რეაგირებისათვის. მიმდინარე წლის 3 აგვისტოს პასუხად გვეცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმე №01073457 არასრულწლოვან გიორგი ლოლიჯაშვილის ცემის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული სს კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით) შემდგომი გამოძიების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოში. 2007 წლის 10 ოქტომბერს ჩვენს მიერ ქ.თბილისის მთავარი სამმართველოდან წერილობით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისა და მისი საბოლოო შედეგების შესახებ.

ოთარ მიქავას საქმე

2007 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ადვოკატმა მანუჩარ ციმინტიამ თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ოთარ მიქავას სახელით, რომელიც არის რელიგიური გაერთიანება „იეჰოვას მოწმის“ წევრი. მისი განმარტებით, 2007 წლის დღის საათებში გლდანის მე-7 და მე-8 მიკრორაიონების დამაკავშირებელ ხიდთან ო. მიქავას რელიგიური სიძულვილის მოტივით თავს დაესხა 15 პიროვნება. დაზარალებულს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. საპატრულო პოლიციამ ვერ შეძლო თავდასხმელის ადგილზე დაკავება. ციმინტიას განმარტებით მიქავას მიერ დადგენილ იქნა ორი სავარაუდო თავდამსხმელის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რაც ეცნობა გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს ინსპექტორ გამომძიებელს გკოლოტაურს, რომელიც აღნიშნულ ფაქტზე აწარმოებდა წინასწარ გამოძიებას. დაზარალებულის მიერ ამოცნობილი ორი თავდასმსმელი იმავე დღეს გაათავისუფლეს. 2007 წლის 13 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი №1805/05-2/0931-07 წერილით მანუჩარ ციმინტიას განცხადება შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა გენერალურ პროკურატურაში. 2007 წლის 06 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის გ05-072007/118 წერილით პასუხად გვეცნობა, რომ 2007 წლის 27 მარტს გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს საქმეთა სამმართველოს მეორე განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლილს სამართლის №01071657 საქმეზე, ოთარ მიქავას მიმართ განხორციელებულ ხულიგნობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 26 ივნისს ექვმიტანილად იქნა ცნობილი ლ. გოგიაშვილი, რომლის ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ანა ჯიქურაშვილის საქმე

2007 წლის 14 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა რელიგიური გაერთიანება „იეჰოვას მოწმის“ წევრმა ანა ჯიქურაშვილმა. მისი განმარტებით, ა/წ 13 ივლისს მორეტის ქ.24-ში რელიგიური შეკრების დასრულების შემდეგ, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე თავს დაესხა შვიდი უცნობი პიროვნება, დაუშინეს ქვები. ნასროლი ქვა მოხვდა თავში და დაუზიანდა ჯანმრთელობა. „03“-ის ეკიპაჟმა იგი გადაიყვანა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო გამომახებული პატრული შემთხვევის ადგილზე მოვიდა ერთი საათის დაგვიანებით. 2007 წლის 27 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან გაიგზავნა №2004/05-2.0979-07 წერილი გლდანი ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში, სადაც მითითებულია ა.ჯიქურაშვილის განცხადებაში აღნიშნული გარემოებები და მოვითხოვთ შემდგომ რეაგირებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

2007 წლის 18 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილით გვეცნობა, რომ 2007 წლის 13 ივლისს თბილისის გლდანი ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №01073167 საქმეზე ა.ჯიქურაშვილის სხეულის დაზიანების ფაქტზე 118-მუხლის პირველი ნაწილით (სხეულის დაზიანება). მიმდინარე წლის 12

ივლისს მოხდა დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა და გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

რომან მიქავასა და ია გამახარიას საქმე

2007 წლის 3 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს რომან მიქავამ და ია გამახარიამ. მათი განმარტებით, ისინი არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრები. ამა წლის 27 აპრილს ქ.ზუგდიდში, ჩარგაზიას ქუჩაზე ეწეოდნენ რელიგიურ მსახურებას და მსურველებს ესაუბრებოდნენ რელიგიურ თემებზე. იქ მყოფი უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი დაინტერესდა მათი ვინაობით. მას შემდეგ, რაც შეიტყო მათი რელიგიური მრწამსის შესახებ, იგი გახდა აგრესიული, ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, ერთ-ერთ განმცხადებელს შუბლზე მიაბჯინა და დაემუქრა ფიზიკური განადგურებით, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. რომან მიქავა და ია გამახარია იძულებულნი გახდნენ, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ზემოაღნიშნული ტერიტორია. თავდამსხმელი კი გარკვეული დროის განმავლობაში აგრძელებდა მათ შეურაცხყოფასა და მუქარას. განმაცხადებელთა განმარტებით, როგორც მოგვიანებით მათთვის ცნობილი გახდა, თავდამსხმელი არის ვახტანგ თენგიზის ძე გაბელია, მცხოვრები ქ.ზუგდიდში პაიჭაძის ქუჩაზე, რომელიც მუშაობს საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოში.

2007 წლის 16 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, ასევე საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს ბატონ გიორგი ლაცაბიძეს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაეგზავნათ აღნიშნულ განცხადება შესასწავლად და შემდგომი რეაგირებისათვის.

ამავე წლის 25 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მივიღეთ წერილის ასლი, რომლითაც საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ვალერი გრიგალაშვილი მიმართავს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორს როლანდ ახალაიას და უგზავნის განცხადებას შემდგომი რეაგირებისათვის. წერილში ვკითხულობთ: „როგორც განცხადებაშია მითითებული, 2007 წლის 27 აპრილს ქ.ზუგდიდში ჩარგაზიას ქუჩაზე რ.მიქავა და ი.გამახარია ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებს მოუწოდებდნენ რელიგიური რწმენის შეცვლისაკენ – მართლმადიდებლობის უარყოფისა და „იეჰოვას მოწმეების“ რიგების შევსებისაკენ. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო საქართველოს შს სამინისტროს კუდ-ის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს მუშაკი ვახტანგ გაბელია, რომელმაც თავისი და სხვისი რწმენის დასაცავად აიძულა „იეჰოვას მოწმეები“, შეეწყვიტათ მართლმადიდებლობის ძირგამომთხრელი საქმიანობა.“

აღნიშნული წერილი ფაქტობრივად შეიცავს წინასწარ შეფასებასა და დასკვნებს საქმეზე, რომელის შესწავლაც არ მომხდარა. ამასთან, ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს.

საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლის ქმედება, რომელიც სავარაუდოდ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე, 155-ე და 156-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, შეფასებულია, როგორც

სხვისი რწმენის უსაფრთხოების დაცვა და „მართლმადიდებლობის“ პირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთა, აღნიშნული კი წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების წახალისებასა და გამოძიებაზე ზეწოლას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი განამტკიცებს იმ მორალურ პრინციპებს, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს გენერალური პროკურატურის თითოეული თანამშრომელი. აღნიშნული მუხლის I პუნქტის თანახმად „პროკურატურის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი პროფესიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე გააჩნია საჯარო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.“

ამავე კოდექსის მე-5 მუხლი განსაზღვრავს:

1. პროკურატურის მუშაკი უნდა აცნობიერებდეს, პატივი უნდა სცეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპი სავალდებულოა პროკურატურის მუშაკისათვის.

2. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კი „დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ რელიგიური შეხედულებების აშკარა გამოხატვა, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.“ ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა განიხილება, როგორც პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელი, რაც გამოიწვევს “პროკურატურის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის ვალერი გრიგალაშვილის ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც რელიგიური ძალადობის წახალისება, რაც ეჭვქვეშ აყენებს გენერალური პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას - რელიგიურ ნიადაგზე პირთა დევნის საკითხის შესწავლას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 27 ივლისს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ბ-ნ ზურაბ ადვიშვილს და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს ბ-ნ ნიკა გვარამიას.

2007 წლის 17 აგვისტოს გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №44070754 საქმეზე რომან მიქავასა და ია გამახარიას

რელიგიური მოღვაწეობის გამო დევნის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მიმდინარეობს გამოძიება.

ლია ბესტავაშვილისა და მანანა გაფრინდაშვილის საქმე

2007 წლის 3 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრებმა ლია ბესტავაშვილმა და მანანა გაფრინდაშვილმა. მათი განმარტებით, მიმდინარე წლის 20 ივნისს, 12 საათზე, რელიგიური მსახურების შესასრულებლად შევიდნენ ქ.რუსთავის მე-8 მიკრორაიონის №1 ბინის მე-2 სადარბაზოში, სადაც შენიშნეს შუახნის მამაკაცი, რომელიც ინტერესით აკვირდებოდა განმცხადებლებს და ნელი ნაბიჯით ადიოდა კიბეებზე. ლია ბესტავაშვილი და მანანა გაფრინდაშვილი მე-8 სართულზე შემხვედრ ქალბატონს გაესაუბრნენ. ამ უკანასკნელმა გააჩუმა ისინი და წასვლა ურჩია – „იმ კაცმა არ გაიგოსო“. ამ დროს მამაკაცი, რომელიც სადარბაზოში შემოსვლისას შეხვდათ, ქალბატონებისაკენ გაემართა. იგი იყო აგრესიული, ხელში დანა ეჭირა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მათ. განმცხადებლები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ აღნიშნული ადგილი. მიუხედავად მუქარისა, საღამოს 6 საათზე კვლავ გადაწყვიტეს მისვლა იმ სადარბაზოში. იგივე მამაკაცი მე-3 სართულზე შენიშნეს და სწრაფად დატოვეს ტერიტორია.

2007 წლის 6 ივლისს აღნიშნული განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა საქართველოს შს სამინისტროს ქ.რუსთავის საქალაქო სამმართველოსა და ასლი საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში. ამავე წლის 27 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან პასუხად გვეცნობა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 20 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს საგამოძიებო დანაყოფში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №012070593 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ნინო წიკლაურისა და რუსუდან კირკიტაძის საქმე

2007 წლის 2 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ნინო წიკლაურმა და რუსუდან კირკიტაძემ. მოქალაქეები განცხადებაში განმარტავენ, რომ არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრები. ისინი 2007 წლის 31 იანვარს თემქის დასახლება, მე-2 კვ, 33-ა კორპუსში მსურველებს ესაუბრებოდნენ ბიბლიურ საკითხებზე. მე-3 სადარბაზოს მე-6 სართულზე, აბუთიძეების ბინაში გაესაუბრნენ ქალბატონს, რომელმაც განუცხადა, რომ დაკავებული იყო და კარი მიუხურა. განმცხადებლების განმარტებით, კარი მალევე გაიღო და ბინიდან გამოვიდა დაახლოებით 55-60 წლამდე მამაკაცი. იგი იყო აგრესიულად განწყობილი, რომელმაც ჰკითხა მათ, იეჰოვას მოწმეები ხომ არ იყვნენ. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, მან ქალბატონებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სამი სართულის მანძილზე სდია. ნ.წიკლაური და რ.კირკიტაძე იძულებულნი გახდნენ, შეეწყვიტათ რელიგიური საქმიანობა და დაეტოვებინათ ტერიტორია. განმცხადებლების მითითებით, აღნიშნულ პიროვნებას ადრეც მიუყენებია სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა „იეჰოვას მოწმეებისათვის“, მათ შორის თინა ბერელაშვილისათვის.

2007 წლის 13 აპრილს ნინო წიკლაურმა ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. მისი განმარტებით, ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს მე-7 განყოფილება, კერძოდ, გამომძიებელი ვ.ბერელაშვილი.

2007 წლის 18 აპრილს სახალხო დამცველმა მიმართა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს VII განყოფილების უფროსს, დავით დარასელიას „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

2007 წლის 4 მაისს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის, ა.გიორგაძის პასუხით გვეცნობა, რომ 2007 წლის 1 მარტს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს VII განყოფილებაში ნ.წიკლაურისა და რ.კირკიტაძის განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №01071090 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ნ.წიკლაური და რ.კირკიტაძე 2007 წლის 4 მარტს ცნობილი და დაკითხული იქნენ დაზარალებულის სახით. მათ დაადასტურეს წარდგენილ განცხადებაში მითითებული ფაქტები. კერძოდ, 2007 წლის 31 იანვარს, თემქის დასახლებაში უცნობმა პირმა მათ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა რელიგიური მრწამსის გამო. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნება არის მარატ აბულაძე.

2007 წლის 26 მარტს მ.აბულაძე ცნობილ იქნა ექვმიტანილად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. იმავე დღეს, 2007 წლის 26

მარტს გამოძიების მიერ დადგენილ გარემოებათა გამო, მითითებული დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

გორში მომხდარი დანაშაულებრივი ქმედებები

2007 წლის 14 ივნისს ქ. გორში ალ. ჯავახიშვილის ქ. №2-ში განთავსებულ შენობას, რომელიც განკუთვნილია იეპოვას მოწმეთა რელიგიური შეკრებებისთვის და რომლის მესაკუთრეც არის ალექსანდრე მაისურაძე, 9 საათსა და 30 წუთზე უცნობმა პირებმა დაუშინეს ქვები. აღნიშნული ქმედება განმეორდა იმავე საღამოს 21 საათსა და 30 წუთზე. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელიც მხოლოდ თავდამსხმელებთან გასაუბრებით შემოიფარგლა. 2007 წლის 15 ივნისს 22 საათზე 16 წლის ახალგაზრდამ, ვინმე ნოდარმა დაუშინა ქვები რელიგიური დანიშნულების ობიექტს. იგივე ქმედება 2007 წლის 16 ივნისს 22 საათზე გაიმეორა ვინმე ვანო დვალიშვილმა. დროის მცირე მონაკვეთში მომხდარი ოთხი ქმედება ერთგვაროვანი ხასიათის იყო, რაც სავარაუდოდ ერთიანი განზრახვის არსებობაზე მიუთითებს და აღნიშნული საკითხი სსკ 187-ე მუხლთან ერთად შეიძლება განხილული იყოს სსკ 156-ე (დევნა) მუხლითაც.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2007 წლის 20 ივნისს სახალხო დამცველს მიმართა ალექსანდრე მაისურაძის ადვოკატმა მანუჩარ ციმინტიამ, რომელიც განმარტავდა, რომ დანაშაულის ჩამდენი არცერთი პირი არ იყო პასუხისგებაში მიცემული. 2007 წლის 28 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან წერილი გაიგზავნა გორის რაიონულ პროკურატურაში, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხი სსკ-ის 187-ე მუხლთან ერთად შესწავლილი უნდა იქნეს სსკ-ის 156-ე (დევნა) მუხლითაც.

2007 წლის 18 ივლისს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს გენერალური პროკურატურის №2021/05-02/0931-07/1 წერილით ეცნობა, რომ 2007 წლის 5 ივლისს შს სამინისტროს გორის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №11070582 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მიმდინარე წლის 14 ივლისს დანაშაულებრივი ქმედება ასევე დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით.

დანართი 14

ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო

საქართველოში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის
საბჭოს ჩარჩო კონვენციის“ შესრულებასთან დაკავშირებული

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

რეკომენდაციები მომზადებულია სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული
უმცირესობების საბჭოს მიერ, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის
(ECMI) საექსპერტო დახმარებით

შესავალი

საქართველოში ჩამოყალიბდა ეთნიკური ჯგუფების თანაარსებობისა და
ურთიერთპატივისცემის საუკუნოვანი ტრადიციები. ამასთანავე, ახალმა
ისტორიულმა პირობებმა ჩვენი საზოგადოება ამ კუთხით ახალი გამოწვევების
წინაშე დააყენა. ქართული საზოგადოების განვითარების გარდამავალმა
პერიოდმა და სოციალური პროცესების ინტენსიფიკაციამ წინ წამოწიეს
ეროვნული უმცირესობების საკითხებში უფრო ინტენსიური პოლიტიკის
გატარების აუცილებლობა. თუმცა, მოცემული სფერო თანამედროვე ქართულ
პოლიტიკაში ბოლო დრომდე სარისკო და უკიდურესად მტკივნეულ თემად
მოიაზრებოდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ თავი იჩინა სასიკეთო ძვრებმა. საქართველოს
პარლამენტმა ჩარჩო კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა. ქვეყანა შეუერთდა
ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ევროპულ კონვენციას, ადგილობრივი
თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასა და სხვა საერთაშორისო კონვენციებსა
და პაქტებს.

ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ღიაა
სხვადასხვა სამონიტორინგო ჯგუფისათვის. ამაზე მიუთითებს ეროვნული
უმცირესობების ადგილობრივი ორგანიზაციების კონსულტაციები და შეხვედრები
სხვადასხვა საერთაშორისო სამონიტორინგო ჯგუფთან.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის იმპლიმენტაციის
მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული

უმცირესობების საბჭოს კომისიებმა მოამზადეს რეკომენდაციები. რეკომენდაციების მომზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების დიასპორების, სახალხო დამცველისა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის წარმომადგენლები. რეკომენდაციების შემუშავებისა და დახვეწის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც.

შემოთავაზებული რეკომენდაციები წარმოადგენს საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გარკვეულ ფორმას, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროში სახელმწიფო მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. დოკუმენტი მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს ჩარჩო კონვენციის დებულებათა შესრულების მონიტორინგის პროცედურებს და ხელს შეუწყობს ამ კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაში საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 4

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.
2. აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.
3. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ იქნება განხილული, როგორც დისკრიმინაციის აქტი.

4.1 პრობლემის არსი

ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკა არ არის საკმარისად გამოკვეთილი თანმიმდევრული, ეფექტური და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი და მწირია სამართლებრივი ბაზა.

დასაბუთება:

ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების მიუხედავად, არ არსებობს სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების ენისა და კულტურის დაცვას, სოციალური და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის, ასევე ეროვნული უმცირესობების შესახებ კანონპროექტის რამდენიმე ვარიანტის არსებობის მიუხედავად, ჯერჯერობით არცერთი მათგანი არ არის მიღებული.

რეკომენდაცია:

4.1.1 საქართველოს პარლამენტს - მიღებულ იქნას “ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია” და შეძლებისდაგვარად დაჩქარდეს “ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ კანონის” მიღება ან/უკვე არსებულ კანონმდებლობაში განხორციელდეს ის ცვლილებები, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

4.1.2 “ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონისა და “ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის კონცეფციის” შემუშავება-განხილვაში ჩართულ იქნან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, როგორც დედაქალაქიდან ასევე რეგიონებიდან (მათ შორის სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები).

4.1.3 საქართველოს მთავრობას - შემუშავდეს სამოქალაქო ინტეგრაციის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება სამოქალაქო ინტეგრაციისთვის აუცილებელი პრიორიტეტული პროგრამები, მექანიზმები და რესურსები.

4.1.4 საქართველოს მთავრობას - შეიქმნას საქართველოს სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო ფონდი, რომელიც დააფინანსებს ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობ საგრანტო პროგრამებს. ამ ფონდის ეფექტური ფუნქციონირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას შესაბამისი სახსრები.

4.2. პრობლემის არსი

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე, ხშირ შემთხვევაში, არაკვალიფიციურად უთარგმნიან შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებს.

დასაბუთება:

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები ხშირად მიუთითებენ საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო პროცესის ჩატარებისას სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ზემოაღნიშნული პროცესუალური ნორმების

ხელყოფის შესახებ. მითითებული პრობლემა ხშირ შემთხვევაში იწვევს მათი სამოქალაქო უფლებების დარღვევას, საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლო სისტემის მიმართ უნდობლობას. ეს, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე.

რეკომენდაცია:

4.2.1. საქართველოს მთავრობას - სასამართლო და საგამომიებო საქმეების თარჯიმნების მოსამზადებლად შეიქმნას სასწავლო პროგრამა და მოსამზადებელი კურსები. თარჯიმნების სპეციალიზაცია უნდა მოხდეს ეროვნული უმცირესობების ენაზე.

4.2.2. საგამომიებო და სასამართლო ორგანოების თარჯიმნებისთვის შემოღებულ იქნას სერტიფიცირების სისტემა.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 5

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

2. იმ ზომებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელთა მიღებაც ხდება მათი ზოგადი ინტეგრაციული პოლიტიკის შესაბამისად, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას.

პრობლემის არსი 5.1.

სახელმწიფო არასაკმარისად უწყობს ხელს ეროვნული უმცირესობების ენის, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებას.

დასაბუთება:

არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობების ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებას. ამასთანავე ეგრეთწოდებული “ისტორიული მემკვიდრეობის გადანაწილებაში” მნიშვნელოვანი კონფლიქტოგენური პოტენციალი არსებობს. ისეც ხდება, რომ კულტურული და საკულტო ობიექტების ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების მტკიცების დროს საკითხი პოლიტიკურ ელფერს იძენს. სამწუხაროდ დისკუსიების დროს ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ საქმე ეხება ზოგადად საქართველოს, და არა მისი ცალკეული ეთნიკური ჯგუფის, ფასეულობებს.

რეკომენდაციები:

5.1.1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს - ეროვნული უმცირესობების ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარების მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა (რომელიც მოიცავს კულტურულ ღონისძიებებს).

5.1.2. აღნიშნული პროგრამა შემუშავდეს სახელმწიფო უწყებების, ეროვნული უმცირესობების საკითხზე მომუშავე ექსპერტებისა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

5.1.3. საქართველოს მთავრობას - შეიქმნას “საქართველოს სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო ფონდი”, რომელიც დააფინანსებს ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის ხელშემწყობ საგრანტო პროგრამებს. ამ ფონდის ეფექტური ფუნქციონირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

5.1.4. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს - ჩამოყალიბდეს ერთიანი საბიუჯეტო მიდგომა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით, მიუხედავად მათი ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობისა და კუთვნილებისა.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია” მუხლი 6

1. მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილების გამო.

6.1. პრობლემის არსი

1. არ არსებობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირების თანმიმდევრული და ეფექტური მედია პოლიტიკა.

2. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი.

დასაბუთება:

1. ეროვნულ უმცირესობებს, განსაკუთრებით მათი კომპაქტური დასახლების რეგიონებში, არასრულყოფილად მიეწოდებათ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე. უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთები რეგიონებში დიდი დაგვიანებით, ან საერთოდ არ ვრცელდება.
2. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირებისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსი და ადექვატური ტექნიკური აღჭურვილობა.
3. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში უმცირესობების ენაზე ტელე-რადიო გადაცემებისთვის დაწესებული ქრონომეტრაჟი (დროის ლიმიტი) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირებისთვის არასაკმარისია.
4. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა არხებზე მომზადებული ანალიტიკური, შემეცნებითი და კულტუროლოგიური გადაცემები უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე არ ითარგმნება.

რეკომენდაცია:

- 6.1.1. ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო საბჭოს – ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციაში აისახოს ეროვნული უმცირესობების ინფორმირების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სტრატეგია. კომისიამ სტრატეგიის შემუშავების დროს ითანამშრომლოს ეროვნულ უმცირესობებთან.
- 6.1.2. საქართველოს მთავრობას - მედია საშუალებებით ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქების მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს სახელმწიფო საგრანტო პროგრამა.
- 6.1.3. საქართველოს მთავრობას - გამოყოფილ იქნას აუცილებელი რესურსები, რათა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოს მედია საშუალებების მიერ მომზადებული საინფორმაციო, ანალიტიკური და კულტურულ-შემეცნებითი ტელე და რადიოგადაცემები სათანადო თარგმანით.
- 6.1.4. საქართველოს მთავრობას - ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საქართველოს ელექტრონული მედია საშუალებების ტრანსლიაციის ხარისხის გაუმჯობესებისა და დაფარვის არეალის გაფართოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას სათანადო ფინანსური რესურსები.
- 6.1.5. საზოგადოებრივ მაუწყებელს - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებისა და სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, ასევე ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების შესახებ სპეციალური გადაცემების მომზადების დროს, მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მოლოდინი, მოსაზრებები და რეკომენდაციები. ამისთვის დაჩქარდეს რეგიონებში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივი საბჭოების ფორმირება.

6.2. პრობლემის არსი

ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებით ხშირად გამოიხატება ეთნიკური შეუწყნარებლობა და ქსენოფობიური დამოკიდებულება.

დასაბუთება:

თუ ადრე ტოლერანტობის კულტურა საქართველოში ეთნოსების მარტივ თანაარსებობას ეფუძნებოდა, ამჟამად საჭიროა განვითარდეს ახალი ტენდენციები, რომელიც კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ცხადია, რომ ასეთი პროცესები უმტკივნეულოდ არ ვითარდება. ამაზე მიუთითებს სხვა კულტურებისადმი და არატრადიციული აღმსარებლობებისადმი შეუწყნარებლობის გამოვლენის ფაქტები, მათ შორის პრესასა და პოლიტიკურ წრეებშიც კი. ასეთ ფაქტებზე რეაგირება და მათი აღმოფხვრა როგორც უმცირესობების, ასევე უმრავლესობის ღირსების საკითხად და საზრუნავად უნდა იქცეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ეთნიკური შუღლის გაღვივება და დისკრიმინაცია დასჯადია, ეს ნორმები არასათანადოდ მოქმედებს.

რეკომენდაცია:

6.2.1. მედიის ეთიკის საბჭოს, სახალხო დამცველს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტს, სახელმწიფო მინისტრს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში - ბეჭდვითი და ელექტრონული მედია საშუალებებით ეთნიკური შეუწყნარებლობისა და შუღლის გაღვივების, შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური გამონათქვამების გამოყენების გამოვლენის მიზნით განხორციელდეს მონიტორინგი. გამოვლენილ შემთხვევებს მიეცეს სათანადო შეფასება.

6.2.2. ბეჭდვითი და ელექტრონული მედია საშუალებების რედაქციებს - ეთნიკური შეუწყნარებლობისა და შუღლის გაღვივების, შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური გამონათქვამების გამოვლენის მიზნით განხორციელდეს შიდასარედაქციო მონიტორინგი.

6.2.3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - გამოძებნილ იქნას შესაბამისი რესურსები და შეიქმნას სასწავლო კურსის კომპონენტი /სახელმძღვანელო/ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და მოქმედი ჟურნალისტებისთვის პირობითი სახელწოდებით “კულტურული მრავალფეროვნება და უმცირესობების გაშუქება”, რომელშიც გადმოცემული იქნება ინფორმაცია ამ სფეროში არსებული საერთაშორისო დოკუმენტების, საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შესახებ.

6.2.4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს - აღნიშნული კურსის შემუშავების შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას ამ კურსის დანერგვა სასწავლო პროგრამაში;

6.2.5. საქართველოს მთავრობას - გამოყოფილ იქნას შესაბამისი რესურსები ჟურნალისტიკისთვის უმცირესობებისა და მრავალფეროვნების კულტურის გაშუქების შესახებ კონკურსების, ტრენინგებისა და სემინარების ჩასატარებლად.

6.2.6. საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის, სახალხო დამცველისა და ეროვნული უმცირესობების საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის სხვა შესაძლო გზებს (მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით).

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 9

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.

2. 1-ლი პუნქტი არ უშლის ხელს მხარეებს, დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

3. მხარეები ხელს არ უშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნასა და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლება.

4. მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისათვის ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და დაამკვიდრონ კულტურული პლურალიზმი.

9.1. პრობლემის არსი

1. საქართველოს მედიასაშუალებები (განსაკუთრებით ქართულენოვანში) ნაკლებად გადმოსცემენ ინფორმაციას, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას საშუალებას მისცემს, გაეცნოს ეროვნული უმცირესობების კულტურას, ისტორიას, საქართველოს ისტორიაში შეტანილ მათ პოზიტიურ წვლილს, მიღწევებსა და პრობლემებს.

2. მედიასაშუალებებით არასაკმარისად არის წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობების პრობლემების გამოუქებისა და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტეგრაციის და დიალოგის წამახალისებელი პროგრამები.

დასაბუთება:

მითითებული ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უწყობს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დეზინტეგრაციულ პროცესებს, ხელსაყრელ გარემოს ქმნის ეთნიკური შუღლისა და შეუწყნარებლობის წარმოშობისთვის, ნეგატიურად მოქმედებს სამოქალაქო ინტეგრაციაზე.

რეკომენდაცია:

9.1.1. საქართველოს მთავრობას - გამონახულ იქნას შესაბამისი რესურსი კონკრეტული საგრანტო-საკონკურსო პროგრამების განსახორციელებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბეჭდვითი და ელექტრონული მედიასაშუალებებით ეროვნული უმცირესობების ისტორიის, კულტურის, პრობლემებისა და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში შეტანილი პოზიტიური წვლილის გაშუქებას, წახალისებენ ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესახებ კონსტრუქციულ დიალოგს და ხელს შეუწყობენ სამოქალაქო ინტეგრაციას.

9.1.2. საზოგადოებრივ მაუწყებელს - შეიქმნას ისეთი მედიაპროდუქცია, რომელიც ეროვნული უმცირესობების ისტორიას, კულტურას და საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესში შეტანილ პოზიტიურ წვლილს გააცნობს საქართველოს მოსახლეობას; მხარი დაუჭიროს იმ მედია პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამოქალაქო ინტეგრაციას.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 10

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ რომ, ყველა იმ პირს რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას.

2. იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

3. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ყველა პირისათვის, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება იყოს სასწრაფოდ ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მისი დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ აღძრული ყველა ბრალდების ბუნებისა და მიზეზების შესახებ და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით.

10.1 პრობლემის არსი

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეროვნულ უმცირესობათა ენები, ხშირ შემთხვევაში გამოიყენება მოსახლეობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობისას. მიუხედავად იმისა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა რეალურად ასახავს ვითარებას, არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამგვარ პრაქტიკას ქვეყნის კანონმდებლობასთან და ჩარჩო კონვენციის მითითებულ დებულებებთან შესაბამისობაში მოიყვანს.

დასაბუთება:

1. ეროვნული უმცირესობებით დისპერსიულად დასახლების ადგილებში, სახელმწიფო მოსამსახურეები ცალკეულ შემთხვევებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას, ითხოვენ წერილობითი განცხადებებით მომართვას და ადმინისტრაციული ორგანოების მოსამსახურეებთან ურთიერთობას ქართულ ენაზე, რაც ასეთ შემთხვევებში ართულებს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას.
2. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც ხშირ შემთხვევაში, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები თავად არიან ადმინისტრაციული ორგანოების მოსამსახურეები, დამკვიდრებულია ურთიერთობისა და საქმისწარმოების პრაქტიკა უმცირესობათა ენებზე ან რუსულ ენაზე, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთ უფლებას და ამ პრაქტიკას არაკანონიერს ხდის.

რეკომენდაცია:

10.1.1. საქართველოს პარლამენტს - განიხილოს საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი იმ ცვლილებების მიღების შესაძლებლობა, რომელიც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შესაძლებელს გახდის მოქალაქესა და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობისას, სახელმწიფო ენასთან ერთად, მოქალაქისთვის გასაგები ენის გამოყენებას.

10.1.2. საკითხის სირთულის გათვალისწინებით, პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს მთავრობამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად სპეციალური სასწავლო პროგრამების შექმნა და კურსების ჩამოყალიბება (ან ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ან ქუთაისის ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო მმართველობის სკოლაში) თარჯიმნების მომზადებისთვის როგორც ქართულ ენაზე, ასევე ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად დასახლებული ჯგუფების ენებზე.

ბ) თარჯიმნების სერტიფიცირებისათვის გაიმართოს კონკურსი.

გ) საჭიროების მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოების საშტატო განრიგში დაიშვას ისეთი საშტატო ერთეული, რომელსაც უმცირესობათა ენის მცოდნე სპეციალისტი დაიკავებს.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 11

3. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეცდებიან გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტიპოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეზეა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა.

11.1. პრობლემის არსი:

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მიერ გეოგრაფიული დასახელებების, ტოპოგრაფიული მაჩვენებლებისა და წარწერების მშობლიურ ენაზე გამოფენას.

დასაბუთება:

არსებული მოთხოვნის მიუხედავად ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მათ მშობლიურ ენაზე გეოგრაფიული დასახელებებისა და ტოპოგრაფიული მაჩვენებლების გამოფენა-გამოყენების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმა არ არსებობს. საქართველოს ზოგიერთ რაიონში უმცირესობების ენა სახელმწიფო ენასთან ერთად გამოიყენება გეოგრაფიული/ტოპოგრაფიული მაჩვენებლებისა და დასახელებებისათვის, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი ნორმის არარსებობის გამო, შესაძლოა, ეს განხილულ იქნას კანონის დარღვევად.

რეკომენდაცია

11.1.1. საქართველოს პარლამენტს - მიღებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენასთან ერთად ეროვნული უმცირესობების ენაზე გეოგრაფიული დასახელებებისა და ტოპოგრაფიული მაჩვენებლების გამოფენას.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 12

1. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად
2. ამ კონტექსტში, მხარეები, ინტერ ალია, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კონტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის
3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

12.1. პრობლემის არსი:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორციელდება ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები, უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით მათი კომპაქტური დასახლების რეგიონებში) ვერ ფლობს სახელმწიფო ენას.

დასაბუთება:

სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციას. აგრეთვე მათ ეფექტიან მონაწილეობას სახელმწიფოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

რეკომენდაცია:

12.1.1. საქართველოს პარლამენტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციათა წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების ეფექტურობის საკითხს და აუცილებლობის შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს ამ პროგრამების დახვეწის თაობაზე.

12.1.2. საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდეს მიმდინარე პროგრამების სათანადო კორექცია.

12.1.3. საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (იქ სადაც არსებობს შესაბამისი აუცილებლობა და მოთხოვნილება) გაიზარდოს სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების მატერიალური და ადამიანური რესურსებით მხარდაჭერა.

12.2. პრობლემის არსი

სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე, ხშირ შემთხვევაში, ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

დასაბუთება:

არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა და ხარისხი ვერ უზრუნველყოფს ამ სკოლების კურსდამთავრებულთათვის ქართული ენის ცოდნის სათანადო დონეს (განსაკუთრებით უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში). შედეგად, ეთნიკურად არაქართველი აბიტურიენტების უმრავლესობა ვერ ახერხებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას. ხშირ შემთხვევაში, ეს ხდება უმაღლესი განათლების მისაღებად ამ ახალგაზრდების სხვა ქვეყნებში გამგზავრების მიზეზი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა იმიგრაციის ზრდას.

რეკომენდაცია:

12.2. საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - გამოიყოს დამატებითი სახსრები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისთვის არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებული აბიტურიენტების ქართულ ენაში მოსამზადებლად.

12.3. პრობლემის არსი

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან საჯარო სკოლებში საკმაოდ დაბალია ქართული ენის სწავლების დონე. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებლებს, რიგ შემთხვევაში, არ აქვთ სათანადო კვალიფიკაცია.

დასაბუთება:

სახელმწიფო ენის შესწავლის მიმდინარე პროგრამის მიუხედავად, ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის ცოდნის უზრუნველყოფა, რაც ქმნის წანაპირობას მათი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული იზოლაციისთვის.

რეკომენდაცია:

12.3.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – გამოიყოს დამატებითი რესურსები (სტიპენდიები და სხვა.) იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განათლების სფეროში გააგრძელებენ საქმიანობას.

12.3..2. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს - საკუთარი ბიუჯეტის

შესაძლებლობის ფარგლებში შემოიღონ ქართული ენისა და სხვა დარგების სპეციალისტების მომზადების დაფინანსების პრაქტიკა.

12.4. პრობლემის არსი

საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ნაკლებად არიან ჩაბმული კულტურათმშორისი დიალოგისა და ურთიერგაცნობის პროცესში. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენის და რელიგიის წარმოჩენისა და გაცნობის მიზნით იშვიათად ხორციელდება შესაბამისი პროგრამები.

დასაბუთება:

აღნიშნული გარემოება ქმნის ურთიერთგაუცხოების, ქსენოფობიური განწყობის წარმოქმნისა და გამოვლენისთვის ხელსაყრელ გარემოს.

რეკომენდაცია:

12.4.1. საქართველოს მთავრობას – საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურის, ისტორიის თუ საქართველოს საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის გაცნობის მიზნით, შემოღებულ იქნას სახელმწიფო გრანტების სისტემა, რომლითაც რეგულარულად დაფინანსდება კულტურულ-საგანმანათლებლო და მედია პროექტები.

12.4.2. საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს - უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის შესახებ ტელე და რადიო პროგრამების მომზადება, სადაც ასახული იქნება ამ ეთნიკური ჯგუფების ისტორია, კულტურა და მათი დადებითი წვლილი საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში.

12.5. პრობლემის არსი.

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამ ეტაპზე, საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი ადექვატური ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეთნოსების კულტურის, ტრადიციების, ისტორიის, რელიგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დასაბუთება:

აღნიშნული პრობლემა აბრკოლებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული ნეგატიური დამოკიდებულების, სტერეოტიპების განეიტრალებისა და დაძლევის პროცესს. ეს კი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებაზე.

რეკომენდაცია:

12.5.1 საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო აღზრდის სახელმძღვანელოებში

შეტანილ იქნას ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების კულტურის, ტრადიციების, რელიგიის, სახელმწიფოს მშენებლობაში მათ მიერ შეტანილი პოზიტიური წვლილის, საქართველოში ცხოვრების ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სახელმძღვანელოები ხელს უნდა უწყობდეს მრავალფეროვნების კულტურის დამკვიდრებას, შემწყნარებლობასა და კულტურათშორის დიალოგს. ამ სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში სასურველია, რომ კონსულტაციები გაიმართოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 14

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა.
2. იმ ადგილებში სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

14.1. პრობლემის არსი

ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული უმცირესობების გარკვეული ნაწილი მოკლებულია საქართველოს საჯარო სკოლებში საკუთარი ენის შესწავლის შესაძლებლობას.

დასაბუთება:

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების გარკვეული ნაწილისთვის ჯერჯერობით არ ყოფილა შეთავაზებული სასკოლო განათლების ფარგლებში საკუთარი ენის შესწავლისთვის აუცილებელი პროგრამა და პირობები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მცირერიცხოვანი ეთნოსები: ქურთები, ოსები, ასურელები, ქისტები, ბერძნები და სხვა. ეროვნულ უმცირესობათა მცირე ჯგუფებისათვის საკუთარი ენის შესწავლის შესაძლებლობის არქონა ჩვენი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გაღარიბებას იწვევს.

რეკომენდაცია:

14.1.1. საქართველოს პარლამენტს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება,

რომლის ძალითაც იმ სკოლებში, სადაც არსებობს შესაბამისი მოთხოვნა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით უზრუნველყოფილი იქნება უმცირესობებისთვის საკუთარი ენის შესწავლა.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია”

მუხლი 15

მხარეები შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ.

15.1. პრობლემის არსი:

15.2.

კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არასაკმარისად მონაწილეობენ.

დასაბუთება:

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო (საპარლამენტო კომიტეტები) და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღებისას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან, ხშირ შემთხვევაში, არ იმართება შესაბამისი კონსულტაციები.

რეკომენდაცია:

15.2.1. საქართველოს პარლამენტს - პარლამენტის მიერ მისაღები სამართლებრივი დოკუმენტების პროექტები განსახილველად მიეწოდოს ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან.

15.2.2. საქართველოს პარლამენტს - სამართლებრივი დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დროს კომიტეტების სხდომებზე მიწვეულ იქნან ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან.

15.2.3. საქართველოს მთავრობას, სამინისტროებსა და დეპარტამენტებს - ხელი შეუწყოს სამინისტროებისა და სხვა უწყებების ღია სხდომებზე ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების დასწრებას, მათ შორის უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან.

15.2.4. ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან (მათ შორის უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან)

გამართულ იქნას კონსულტაციები მათთან უშუალოდ დაკავშირებული საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ინიციატივების შესახებ.

15.2.5. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ჩაბმულ იქნან იმ სახელმწიფო, თუ რეგიონალური განვითარების გეგმების და პროგრამების მომზადების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში, რომლებმაც შეიძლება უშუალოდ იქონიონ მათზე გავლენა.

15.3. პრობლემის არსი.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი თავიანთი სამოქალაქო და სხვა უფლებების შესახებ.

დასაბუთება:

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესახებ უმცირესობების წარმომადგენლებს მათთვის გასაგებ ენაზე არასრულფასოვნად მიეწოდებათ ინფორმაცია. არ მუშაობს არცერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

რეკომენდაცია:

15.3.1 მინისტრთა კაბინეტს - გამოყოფილ იქნას საჭირო მატერიალური რესურსები საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე თარგმნისა და გავრცელებისათვის.

15.3.1 ვიდრე არსებობს ამის აუცილებლობა საქართველოს მთავრობამ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხელი შეუწყოს მოქალაქეთა სამართლებრივი კონსულტაციის ცენტრების გახსნას. ეს ცენტრები სასურველია ფუნქციონირებდეს გამგეობებთან და მერიებთან.

15.4. პრობლემის არსი.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, დასაქმებულია მათი კომპაქტური განსახლების რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგრამ ისინი მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი ცენტრალური და ზოგიერთი რეგიონის (მხარის) სახელმწიფო სტრუქტურებში. მაღალი თანამდებობის პირები იშვიათად არიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები.

დასაბუთება:

ა) აღნიშნული პრობლემა აფერხებს ეროვნული უმცირესობების მონაწილეობას მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამის გამო ვერ ხერხდება მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

ბ) სახელმწიფო უწყებებში ეროვნული უმცირესობების დასაქმების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, ერთი მხრივ, გამოიკვეთება ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის გაიზრდება კვალიფიცირებული კადრების რაოდენობა.

რეკომენდაცია:

15.4.1. საქართველოს პარლამენტს, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის სახელმწიფო საბჭოს - "ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის" კონცეფციაში აისახოს ეროვნული უმცირესობების სახელმწიფო ორგანოებში დასაქმების საკითხი.

15.4.2. საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - გამოიყოს შესაბამისი რესურსები, რათა ქ. ქუთაისში არსებული ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის (ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების), პროგრამა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მომზადებისა და გადამზადების მხრივ ორიენტირებული გახდეს კონკრეტული სახელმწიფო უწყებებისთვის, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისთვის სათანადო კადრების მომზადებაზე.

პრობლემა 15.5

იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკომიგრანტების განსახლების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში იშვიათად ან საერთოდ არ არიან ჩართულები როგორც ჩასასახლებელი ასევე ადგილობრივი თემების წარმომადგენლები.

დასაბუთება:

საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც სხვადასხვა წლებში განხორციელდა ეკომიგრანტების ჩასახლება, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და ქონებრივი დავები, რიგ შემთხვევებში, ეთნიკური დაპირისპირების ნიშნებს ატარებდა. მიმდინარე ჩასახლების პროგრამები ხორციელდებოდა ადგილობრივ და ჩასასახლებელ თემებთან ერთობლივი კონსულტაციების გარეშე. აღნიშნული გარემოებები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ შეფასებული იყო როგორც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დემოგრაფიული სტრუქტურის ხელოვნურად შეცვლის მცდელობა.

რეკომენდაცია:

15.5.1. საქართველოს მთავრობას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს – უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეკომიგრანტებისა და სხვა ჯგუფების ჩასახლების

სახელმწიფო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩასასახლებელი და ადგილობრივი თემების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

15.5.2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს - ადგილობრივ თემებს წინასწარ მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ჩასასახლებელი ჯგუფების შესახებ. ადგილობრივი თემების ინფორმირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა შეიცავდეს ამ პროგრამების შესახებ სათანადო განმარტებებს, ასევე ინფორმაციას გადმოსასახლებელი ჯგუფების კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ თავისებურებებზე. ანალოგიური საინფორმაციო ღონისძიებები უნდა გაიმართოს პროგრამაში მონაწილე ჩასასახლებელ მოქალაქეებთანაც.

დანართი #15

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

ციცინო ბოჭორიშვილის საქმე

მიმდინარე წლის 23 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქემ, რიყის ტერიტორიის ნაწილის მესაკუთრემ, ციცინო ბოჭორიშვილმა, რომელიც მიუთითებდა საკუთრებაში არსებული შენობის მოსალოდნელი დემონტაჟის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გამოვარკვეით, რომ რიყის ტერიტორიაზე, რიყე #2-ში (ფართობი 737კვ.მ) მასზე არსებული შენობა-ნაგებობით კერძო საკუთრებაში აქვს მოქალაქე ციცინო ბოჭორიშვილს, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. საქმეში, აგრეთვე, წარმოდგენილია დამთავრებული საამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტი #123, რითაც დასტურდება, რომ მშენებლობა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

ციცინო ბოჭორიშვილის საკუთრებაში არსებულ შენობაში განთავსებული იყო ჟურნალისტთა ასოციაცია. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ყოველდღე მიდიოდნენ ც.ბოჭორიშვილთან და აიძულებენ შენობის გათავისუფლებას სხვადასხვა ნივთებისაგან, რის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო დემონტაჟი.

24 აპრილს ციცინო ბოჭორიშვილმა, ასევე, გვაცნობა, რომ დემონტაჟის პროცესი დაიწყო და დანგრეულია შენობის ნაწილი, აგრეთვე, განადგურებულია შენობაში განთავსებული ზოგიერთი ნივთი.

ზეპირი მიმართვის გამო მესაკუთრეს არ აქვს იურიდიული საფუძველი, რომ თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

შეგახსენებთ, რომ საკუთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მყარად დაცული და გარანტირებული უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით:

„საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შემენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან

ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

იმ შემთხვევაშიც, როცა შესაბამისი სამსახური დაადგენს, რომ მშენებლობის დროს დარღვეული იყო კანონის მოთხოვნები, სამსახურმა უნდა იხელმძღვანელოს დადგენილი წესებით, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით, დემონტაჟის წესი ზუსტად არის განსაზღვრული. კერძოდ, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ საქმის წარმოებას იწყებს მიწერილობის გაცემით და უდგენს გონივრილ ვადას მიწერილობის შესრულებისათვის. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მიწერილობის პირობებთან მიმართებით. თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

- ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
- ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;
- გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

თუ დარღვევა გამოსწორებულია და არ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

დადგენილების მიღებამდე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია, დამრღვევს უწყებით აცნობოს არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირი.

ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, აღნიშნული ორგანოს მისამართსა და გასაჩივრების ვადას.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გაეცნოს დადგენილებაში მითითებულ მხარეს.

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მიწერილობის, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლება

მისი განთავსება მიწერილობაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება:

- ა) საინფორმაციო დაფა;
- ბ) მშენებლობის ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებლისათვის დროებით განთავსებული შენობა;
- გ) მშენებარე ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობე.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში. გასაჩივრება არ აჩერებს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების აღსრულებას მხოლოდ მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში.

ვინაიდან, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ გამოცემული აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მისი გასაჩივრების შემთხვევაში, მასზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლით დადგენილი წესები, რომლის თანახმად,

„თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

- ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას;
- ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;
- გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;
- დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას.“

მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი არცერთი პირობა, ამასთან ზედამხედველობის სამსახურს არ დაუდგენია რაიმე დარღვევა მშენებლობის დროს, ამდენად, ციციხო ბოჭორიშვილის კერძო საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არის სხვისი ქონების განადგურება, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებაში არსებულ ნივთს ისე, რომ არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონების ხელყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიას და მიუთითა, რომ ც.ბოჭორიშვილის კერძო საკუთრებაში

არსებული ობიექტის დემონტაჟის პროცესი მიმდინარეობდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რითაც ილახებოდა მესაკუთრის კანონიერი უფლებები. სახალხო დამცველი მოითხოვდა სათანადო რეაგირებას და მოლაპარაკების დაწყებას ც.ბოჭორიშვილთა სათანადო კომპენსაცია ან ადეკვატური ღირებულების ქონების შეთავაზების თაობაზე.

პასუხად გვეცნობა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება. დღეისათვის მოქალაქესთან მიმდინარეობს საკომპენსაციო თანხაზე მოლაპარაკება, თუმცა შედეგი ჯერ სახეზე არ არის.

მეტრო „გოცირიძის“ საქმე

მიმდინარე წლის 29 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს მეტრო „გოცირიძესთან“ მდებარე სავაჭრო ცენტრის მესაკუთრეებმა აღნიშნული ობიექტის მოსალოდნელი დემონტაჟის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გამოვარკვით, რომ მეტრო-სადგურ „ვიქტორ გოცირიძის“ ამოსასვლელთან არსებული მიმდებარე ტერიტორია შენობა-ნაგებობით საერთო საკუთრებაში აქვს რამდენიმე ფიზიკურ პირს და იურიდიულ პირს, შპს „მერიტაიმსს“, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. საქმეში, აგრეთვე, წარმოდგენილია ქ.თბილისის არქიმშენიინსპექციის 2002 წლის 9 ივლისის #128 მშენებლობის წარმოების ნებართვა და არქიტექტურის სამსახურის 2002 წლის 11 ივლისის 6/127 მშენებლობის ნებართვა, საიდანაც ირკვევა რომ მშენებლობის პროექტი შეთანხმებული იყო ქალაქის მთავარ არქიტექტორთან 2002 წლის 3 ივლისის #20.342 ბრძანებით, აგრეთვე, არსებობს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტი.

განმცხადებლების განმარტებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელმა, მესაკუთრეები ზეპირად გააფრთხილა შენობის მოსალოდნელი დემონტაჟის შესახებ, ასევე, ზეპირი მიმართვით მოითხოვეს სავაჭრო ობიექტების გათავისუფლება. ამდენად, მესაკუთრეებს არა მიეცათ იურიდიული საფუძველი, რომ მათი უფლებების დასაცავად მიემართათ სასამართლოსთვის.

ვინაიდან საქმეზე არ ყოფილა დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიას და მიუთითა, რომ შეესწავლა საკითხი და არ დაეშვა მესაკუთრეთა უფლებების დარღვევა, ვინაიდან დემონტაჟის განხორციელება დასაშვები იყო მხოლოდ ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი წესების მიხედვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე ქ.თბილისის მერიიდან დღემდე პასუხი არ არის მიღებული, რაზედაც გაიგზავნა არერთი შეხსენება.

„თრიალეთის“ საქმე

2007 წლის 21 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ გენერალურმა დირექტორმა, ჯონდი ნანეტაშვილმა.

განცხადებისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად გამოვარკვეეთ, რომ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ 2005 წლიდან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სს „ქართული ფილმის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლით, 2015 წლის 1 მაისამდე. ასევე გაირკვა, რომ 2007 წლის 18 მაისს მან მიიღო გორის მუნიციპალიტეტის 2007 წლის 17 მაისის 475-ე ბრძანების საფუძველზე გამოცემული თანდართული შეტყობინება, რომლის მიხედვითაც ითხოვდნენ ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი ლითონის ღობის დემონტაჟს. მიწერილობაში არ არის მითითებული დომონტაჟის მოთხოვნის საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნაგებობად ითვლება: „გამაგრების, საყრდენი, დამცავი, გამიჯვნის, საწარმოო, ტვირთებისა და ადამიანთა გადაადგილების, აგრეთვე ადამიანთა თავშეყრის მიზნით აგებული მიწისზედა ან მიწის ქვეშა ხაზოვანი, ორგანოზომილებიანი ან სივრცითი სამშენებლო სისტემა, რომელში/ზეც ადამიანთა ყოფნა გათვალისწინებულია ხანმოკლე ვადით, აგრეთვე განპირობებულია ნაგებობის მომსახურებით ან სხვა განსაკუთრებული მიზნებით“.

ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია მშენებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ მშენებლობის ნებართვას ან რომელთა მშენებლობის ნებართვა გაიცემა გამარტივებული წესით ან დაიშვება გამონაკლისი, ასეთებად მიჩნეულია: „2,2 მ-მდე სიმაღლის მიწის ნაკვეთების შემომსაზღვრელი, სამეზობლო მიჯნაზე და ქუჩების გასწვრივ, მათ შორის ბუნებრივი და ხელოვნური ქვის ღობეების, ღია ტერასების, საყრდენი, დამცავი და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის გამიზნული კედლების მშენებლობა“.

ვინაიდან ეს ღობე აღემატებოდა კანონით გათვალისწინებულ 2,2 მეტრის სიმაღლეს, განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ლითონის ღობის საპროექტო დოკუმენტაცია, რაც დამოწმებულია გორის მთავარი არქიტექტორის, გ.სოსანიძის მიერ და შეთანხმებულია გორის რაიონის გამგებლთან, შ.კოშაძესთან. აღნიშნული ადასტურებს ამ ღობის მშენებლობის კანონიერებას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დარღვევის არსებობის შემთხვევაშიც არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა მომხდარიყო „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის თანახმად, რაც დაწვრილებით არის აღწერილი ზემოთ განხილულ მაგალითებში.

სახალხო დამცველმა კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას და, აგრეთვე, გორის რაიონულ პროკურატურას საკითხის შესწავლის მიზნით.

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს მივიღეთ პასუხი გორის რაიონული პროკურატურიდან, სადაც აღნიშნული, რომ დასახელებულ ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება და ტელეკომპანია „თრიალეთის“ დირექტორი, ბადრი ნანეტაშვილი დაიკითხა დაზარალებულის სახით. რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხს, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე არ იქნა გაზიარებული.

გელა ბეჟაშვილის საქმე

2007 წლის 2 მაისს განცხადებით მომმართა მოქალაქე გელა ბეჟაშვილმა სახელმწიფოსთან იძულებით დადებული ხელშეკრულების თაობაზე. მოქალაქემ განაცხადა, რომ იგი აიძულეს თავისი ქონება გადაეცა სახელმწიფოსთვის, იძულების გარეშე მას ასეთი ნება არ გააჩნდა.

განმცხადებლის განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გელა ბეჟაშვილი 2006 წლის 14 დეკემბრამდე იყო ქ.სიღნაღში ერეკლე II #1-ს ტერიტორიის (საერთო ფართი 720კვ.მ) მესაკუთრე, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სიღნაღის ბაზარი. 2006 წლის 14 დეკემბერს მოქალაქე გელა ბეჟაშვილსა (შპს „აჩო“) და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გელა ბეჟაშვილმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მის საკუთრებაში არსებული ბაზარი, მდებარე ქ.სიღნაღში ერეკლე II #1^ა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ სიღნაღში ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების ხელყოფას, ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულებები იძულებით დაიდო რამდენიმე პირთან. ამასთან დაკავშირებით, 2006 წლის 27 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი ჩავიდა ქ.სიღნაღში და გაესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტთა გავნიტარების ცენტრის“ ხელმძღვანელს, თინათინ ფხოველიშვილს და თავად ერთ-ერთ მესაკუთრეს, გელა ბეჟაშვილს. იმ დღეს გელა ბეჟაშვილმა დეტალების მოყოლისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ მას ბაზარი საკუთარი ნებით არ დაუთმია. რაც შეეხება, თ. ფხოველიშვილს, მან განმარტა, რომ რამდენიმე მესაკუთრე, მათ შორის გელა ბეჟაშვილი, ერთად წაიყვანეს სიღნაღის საგადასახადო ორგანოში, სადაც დახვდნენ მათ ფინანსური პოლიციისა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები და მუქარით დაათმობინეს საკუთარი ქონება. თ.ფხოველიშვილის განმარტებით, აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდა თავად მესაკუთრეების ნაამბობიდან. 2006 წლის 27 დეკემბერს შედგა ოქმი, რაც ხელმოწერით დაადასტურეს არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტთა გავნიტარების ცენტრის“ ხელმძღვანელმა, თინათინ ფხოველიშვილმა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა, სალომე ვარდიაშვილმა. ოქმში, აგრეთვე, აღინიშნა, რომ ეს ინფორმაცია არ უნდა გახმაურებულიყო ინფორმაციის წყაროს ნებართვის გარეშე.

2007 წლის 2 მაისის განცხადებაში, აგრეთვე, გ.ბეჟაშვილის განმარტებაში, რომელზედაც შედგა ოქმი, აღნიშნულია, რომ 2006 წლის 13 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს 21 საათზე მას სახლში მიაკითხეს მანქანით სიღნაღის საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებმა და წაიყვანეს მათ სამსახურში, სადაც დახვდა რამდენიმე ათეული (აღბათ 20-30) მისთვის უცნობი პიროვნება, სავარაუდოდ იცოდა, რომ ისინი იყვნენ ფინანსური პოლიციისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლები. აქედან ორმა მათგანმა, რომლებიც, ასევე, უცხონი იყვნენ გელა ბეჟაშვილისათვის, იგი შეიყვანეს

ცალკე ოთახში და დაემუქრნენ, თუ მის საკუთრებაში არსებულ ბაზრის ტერიტორიას სახელმწიფოს არ აჩუქებდა, ოჯახს დაუწიოკებდნენ, კერძოდ, მის შვილს ჩაუდებდნენ ნარკოტიკებს და დააპატიმრებდნენ ამ საფუძველით. ამის შემდეგ, გელა ბეჟაშვილმა განმარტა, რომ იგი დაშინდა და მეორე დღესვე ანუ 14 დეკემბერს მან ხელი მოაწერა ჩუქების ხელშეკრულებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 85-ე, 86-ე, 87-ე მუხლებიდან, მიმაჩნია, რომ 2006 წლის 14 დეკემბერს გელა ბეჟაშვილსა (შპს „აჩო“) და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილ გარიგებას შემდეგ გარემოებათა გამო:

დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ გელა ბეჟაშვილი ნამდვილად იყო ქ.სიღნაღში ერეკლე II #1^ა-ს ტერიტორიის (საერთო ფართი 720კვ.მ) მესაკუთრე, რაც ვლინდება საჯარო რეესტრის ამონაწერიდანაც და 2006 წლის 14 დეკემბრის სანოტარო აქტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.“ სწორედ იმ ფაქტს, რომ ამ მონაცემების უზუსტობის დამადასტურებელი დოკუმენტი არავის წარმოუდგენია, ამოწმებს ნოტარიუსი გიორგი ლომაშვილი ზემოხსენებულ სანოტარო აქტში. ამდენად 2006 წლის 14 დეკემბრის მონაცემებით ქ.სიღნაღში ერეკლე II #1^ა-ში მდებარე ტერიტორია მასზე განთავსებული ბაზრით (საერთო ფართი 720კვ.მ) იყო გელა ბეჟაშვილის საკუთრება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.“ გარიგების განმარტებისას კანონმდებელი აღნიშნული მუხლის კომენტარში ეყრდნობა ნების გამოვლენის თეორიას და მიუთითებს, რომ გარიგება არის კერძო ნების გამოვლენა. სრულიად შესაძლებელია, შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, ეს კი არის საფუძველი ნების გამოვლენის ბათილობისა. შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება ინტერესის საგანი ხდება მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს კონფლიქტი. მოცემულ შემთხვევაში, გელა ბეჟაშვილის მიერ გამოვლენილი ნება არსებითად ეწინააღმდეგება მის შინაგან ნებას, ვინაიდან იგი განმარტავს, რომ მან იძულებით გამოხატა ასეთი ნება.

ამავე კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“ მოცემულ შემთხვევაში გელა ბეჟაშვილსა (შპს „აჩო“) და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დადებული გარიგება ბათილია კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევით დადების გამო, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, აქ ადგილი არა აქვს ნების ნამდვილ გამოვლენას. ამდენად, აღნიშნული მუხლის მიხედვით, იგულისხმება, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია როგორც ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი, ისე ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები. გელა ბეჟაშვილის შემთხვევაში სახეზე

გვაქვს ყველა ის სპეციალური საფუძველი, რაც ახასიათებს იძულებით დადებულ გარიგებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან“. ამდენად, იძულების დროს ადგილი აქვს აშკარა ჩარევას ნების გამოვლენაში, რაც მიზნად ისახავს გარიგების დადებას. ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში განხორციელდა ჩარევა გელა ბეჟაშვილის ნების გამოვლენაში, რაც მიზნად ისახავდა ჩუქების ხელშეკრულების გზით სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ასეთი ნება არ მომდინარეობდა თავად გ.ბეჟაშვილის მხრიდან, ის წაიყვანეს, დაემუქრნენ და აიძულეს, რომ გამოეთქვა ქონების გადაცემის სურვილი. სამოქალაქო კოდექსი ადგენს, აგრეთვე, იძულების გამოხატვის ფორმებსა და ხასიათს. იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში და მუქარაში. პირველ მათგანს მაშინ აქვს ადგილი, როცა პირს ფიზიკური იძულებით, ძალის გამოყენებით მოაწერინებენ ხელს გარიგებაზე ან მძიმე ფიზიკური ტანჯვის მიყენებით, ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში არწმუნებენ, იკისროს ვალდებულება. მუქარის შემთხვევაში, პირი იძულებული ხდება მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიშით მოახდინოს სხვის მიერ ნაკარნახევი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა გელა ბეჟაშვილის მიმართ, ვინაიდან მას დაემუქრნენ ოჯახის დაწიოკებით და შვილის დაპატიმრებით. აღნიშნულს კი, ასევე, სამართლებრივად აწესრიგებს დასახელებული კოდექსის 87-ე მუხლი, რომლის თანახმად, „იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.“

გარიგების ბათილობისა და მართლზომიერების შეფასებისას, აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს იძულების ხასიათს, სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, „1. გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.

2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.“

ამდენად, იძულება უნდა იყოს რეალური, გათვალისწინებულ უნდა იქნას, ვისგან მოდის იძულება და ვის მიმართ ხორციელდება იგი. მოცემულ შემთხვევაში, გელა ბეჟაშვილი, რომელზედაც განხორციელდა იძულება, არის მოქალაქე, რომელიც დაკავებული იყო მცირე ბიზნესით, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ხოლო გარიგების მეორე მხარე არის სახელმწიფო თავისი ძლიერი და უზარმაზარი აპარატით. მის დაქვემდებარებაში არის ქვეყნის ყველა ძალოვანი უწყება, სახელმწიფოზე დამოკიდებული კერძო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. ერთი სიტყვით, ერთ მხარეზე დგას აშკარად ძლიერი კონტრაგენტი, რომელსაც აბსოლუტური ძალა შესწევს, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რაც უარყოფითად აისახება მეორე მხარეზე ანუ რეალურად შეასრულოს მუქარა. ამდენად, გელა ბეჟაშვილი განმარტავს, რომ მას ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ პოლიციის და პროკურატურის თანამშრომლები ნამდვილად შეძლებდნენ მისი შვილისათვის ნარკოტიკების ჩადებას და მის დაპატიმრებას. აღსანიშნავია, აგრეთვე,

მუქარის განხორციელების დრო, ადგილი და ვითარება. გელა ბეჟაშვილი გამიზნულად მიჰყავთ საღამოს საათებში, ვინაიდან შიშის ფაქტორი ასეთ დროს გაცილებით ძლიერია, ამასთან, მას სახელმწიფო ორგანოში ხვდება უამრავი უცხო პიროვნება, რაც კიდევ უფრო თავზარის დამცემია ნებისმიერი ადამიანისათვის. ამ სურათის წარმოდგენის შემდეგ აღარ არსებობს ეჭვი, რომ გელა ბეჟაშვილმა აბსოლუტურად რეალურად აღიქვა განხორციელებული მუქარა და მეორე დღესვე მისი ნების საწინააღმდეგოდ ხელი მოაწერა ჩუქების ხელშეკრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ დარღვეულია მთელი რიგი კანონთა მოთხოვნები, დარღვეულია ქვეყნის მთავარი კანონი - კონსტიტუცია, რომლის თანახმად საკუთრება ერთ-ერთი გარანტირებული და მყარად დაცული უფლებაა, მოცემულ შემთხვევაში, ასევე, იგნორირებულია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნების გამოხატვის თავისუფლება, რაც თავის მხრივ ადასტურებს მოქალაქე გელა ბეჟაშვილის უფლებების დარღვევას. გამომდინარე აქედან, მიმაჩნია, რომ 2006 წლის 14 დეკემბერს გელა ბეჟაშვილსა (შპს „აჩო“) და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დადებული გარიგება ბათილად უნდა იქნას ცნობილი, გ.ბეჟაშვილს უნდა დაუბრუნდეს იძულებით გასხვისებული მიწა, ხოლო ბაზრის დანგრევით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად ან, მორიგების შემთხვევაში, გელა ბეჟაშვილს უნდა შეეთავაზოს მისი ქონების ადეკვატური ღირებულების კომპენსაცია.

ჯემალ წიკლაურის საქმე

მოქალაქე ჯემალ წიკლაურმა 1996 წელს კონკურსის წესით შეიძინა გორის აგრარული ბაზარი და დააფუძნა ინდივიდუალური საწარმო „ლიახვი“.

მოქალაქე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ქ.გორში, გურამიშვილის #5-ში და მის საკუთრებაში იყო გორის მოქმედი ბაზარი, მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით.

2004 წლის 12 იანვარს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა განახორციელეს საბაზრო ობიექტის შემოწმება. მათ შორის იყო შიდა ქართლის ამჟამინდელი გუბერნატორი მიხეილ ქარელი. პარალელურად, პროდუქტის გაყიდვის დროს ბაზარში მოვაჭრე გამყიდველმა შეცდომაში შეიყვანა მოქალაქე ალუდა ჯოხაძე და მას მოტყუებით გადაახდევინა 2 ლარი და 75 თეთრი. ამ ფაქტზე მიხეილ ქარელმა საჯაროდ დაადანაშაულა ინდივიდუალური საწარმო „ლიახვის“ დამფუძნებელი ჯემალ წიკლაური, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უწოდა კორუმპირებული და მოითხოვა მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. ზემოაღნიშნული ინციდენტი ფართოდ იქნა გაშუქებული მედიით.

ამის შემდეგ, გორის საგადასახადო ინსპექციამ განახორციელა არაგეგმიური დოკუმენტალური რევიზია, რის შედეგადაც შედგენელ იქნა აქტი, რომლის თანახმად, ინდივიდუალურ საწარმო „ლიახვს“ დაეკისრა ჯარიმა საურავებით, სულ **287 000 ლარის გადახდა**.

2004 წლის 23 თებერვალს შსს გორის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე ალუდა ჯოხაძის განცხადების საფუძველზე. ა.ჯოხაძე 2004 წლის 21 იანვრის განცხადებაში მიუთითებდა, რომ ვინაიდან იგი გამყიდველმა მოატყუა, ლოგიკურად, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ჯემალ წიკლაური სახელმწიფოს უმაღლავდა გადასახადებს.

ჯემალ წიკლაურს წარედგინა ბრალი, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისათვის თავის არიდება).

აღკვეთის ღონისძიების სახით, ბრალდებულს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. გამოძიების პროცესში იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ ჩატარდა ფინანსური ექსპერტიზა და დადგინდა, რომ ინდივიდუალურ საწარმო „ლიახვის“ დავალიანება იყო არა **287 000**, არამედ **37 000 ლარი**. განმცხადებელი მიუთითებს, რომ წინასწარი პატიმრობის პირობებში ფინანსური ექსპერტიზის დამთავრებამდე, მას უკვე გადახდილი ჰქონდა 58 886 ლარი. ჯემალ წიკლაური მიუთითებს, რომ ამ პერიოდში დაინიშნა მიხეილ ქარელი შიდა ქართლის გუბერნატორად და მან სასჯელადსრულების დაწესებულების უფროსის სამუშაო ოთახში ბრალდებული ორჯერ მოინახულა (იხ.ჯემალ წიკლაურის ახსნა-განმარტება).

განმცხადებელი მიუთითებს, რომ შეხვედრების და სატელეფონო საუბრების დროს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მ.ქარელი მას გამუდმებით ემუქრებოდა ფიზიკური განადგურებით და ოჯახის წევრების ციხეში ჩასმით, ხოლო მოთხოვნა იყო ჯ.წიკლაურის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ობიექტის სახელმწიფოსათვის გადაცემა.

განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული ფსიქოლოგიური ზეწოლის ფონზე იგი იძულებული გახდა დაედო გარიგება საკუთარი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

2004 წლის 24 ივნისს ჯემალ წიკლაურმა, გორის რაიონის გამგეობას ჩუქების ხელშეკრულებით უსასყიდლოდ გადასცა მის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ობიექტი, მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, რაც შეფასებული არის 228 726 ლარად. გარიგება დამოწმდა ნოტარიუსის მიერ ჯ.წიკლაურის პატიმრობის ადგილას.

დადასტურებულ ფაქტები: წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ჯემალ წიკლაურმა ჩაიდინა დანაშაული და ამ ფაქტის ყველაზე უფრო უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება.

2004 წლის 13 სექტემბერს პროკურატურამ და ბრალდებულმა მიაღწიეს საპროცესო შეთანხმებას სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების საფუძველად მითითებულია ის ფაქტი, რომ ჯემალ წიკლაურმა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 58 886 ლარი და ამავდროულად გორის რაიონის გამგეობას უსასყიდლოდ გადასცა თავის საკუთრებაში არსებული 228 726 ლარად შეფასებული ქონება.

დადასტურებით შეიძლება იმის თქმა, რომ 2004 წლის 13 სექტემბრის საპროცესო გარიგება წარმოადგენს არამართ სამართლებრივი ნორმების, არამედ სამართლის დარგების ერთმანეთში არევის და გაურკვევლობის ნიმუშს. დაუშვებელია სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება (ხელშეკრულება) საფუძველად დაედოს საპროცესო შეთანხმებას, როგორც ეს მითითებულია აღნიშნულ დოკუმენტში მართალია, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 50-ე მუხლი მიუთითებს, რომ „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“ მაგრამ, აქ საუბარია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაზე, რაც პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს წარმოადგენს.

ამასთან, სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება მოქალაქეს პრაქტიკულად აღარ აქვს, ვინაიდან ვერ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ხოლო იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად მოქალაქის ახსნა-განმარტება ალბათობის მაღალი ხარისხით ადასტურებს იძულების ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში წყდება ფაქტებს შორის ლოგიკური ჯაჭვი. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ წინასწარ

პატიმრობაში მყოფი ჯემალ წიკლაური პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართ, გადასცა მთელი თავისი ქონება და ამის შემდეგ ცდილობდა სასამართლოს წესით მის დაბრუნებას.

„ბინების საქმე“

2007 წლის 30 მარტს ქ.თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება #07.01.205, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება და ქ.თბილისის მთავრობის მთელი რიგი დადგენილებები, რომლებითაც ქ.თბილისში მცხოვრებ მოქალაქეებს გადაეცათ საცხოვრებელი ბინები საკუთრების უფლებით.

2007 წლის 30 მარტის დადგენილებით, ძველი დადგენილებების ბათილად ცნობის საფუძველად მითითებულია შემდეგი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები, რომელიც საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარეობს და საკუთრების განკარგვის საჯაროობის განსაკუთრებულ ხარისხს უკავშირდება. ახალ დადგენილებაში მითითებულია, რომ კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნა საერთოდ დარღვეული იქნა ზემოხსენებული აქტების მომზადებისა და გამოცემის დროს, ანუ სახეზეა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის არსებითი დარღვევა.

2007 წლის 30 მარტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების, თბილისის საკრებულოს 20.12.00 წ. #15-5 და 09.09.03 წ. #12-7 გადაწყვეტილებებით დადგენილი წესის დაცვის შემთხვევაში, საჯარო გამოცხადების შემდეგ, შემოსული განცხადებების ერთობლივად განხილვის გზით ქ.თბილისის მთავრობას ექნებოდა შესაძლებლობა - გამოევლინა და საცხოვრებელი ფართით დაეკმაყოფილებინა ყველაზე მძიმე საბინაო პირობების მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, კანონის იმპერატიული მოთხოვნა წარმოების სახესთან მიმართებაში სრულიად იქნა უგულებელყოფილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ.თბილისის მთავრობამ განმარტა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, ასევე უგულებელყოფილი იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში იმ საკანონმდებლო, ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის, ან შესაბამისი ნორმის მითითების სავალდებულობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნულია, რომ არც ერთი სადავო აქტი არ შეიცავს შესაბამის მითითებას საკანონმდებლო, ან კანონქვემდებარე აქტზე, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის ამ აქტების სამართლებრივი საფუძველების დადგენასა და შემოწმებას.

სახალხო დამცველმა მიუთითა შემდეგი: დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოქალაქეებზე საცხოვრებელი ბინების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო ქ.თბილისის საკრებულოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე, რასაც პირდაპირ მიუთითებს „საქართველოს დედაქალაქის -

თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი. ქ.თბილისის მთავრობა მართებულად მიუთითებს იმის შესახებ, რომ 2000 წლის 20 დეკემბრამდე არ არსებობდა საკრებულოს გადაწყვეტილება, რომელიც დაარეგულირებდა ქ.თბილისში საბინაო ფონდის განკარგვის წესს, აქვე აღნიშნულია, რომ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ინდივიდუალური აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მიიღება მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.“

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 218-ე მუხლი მიუთითებს, რომ „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“ ამის შესახებ მითითებულია ახალ დადგენილებაშიც. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 2000 წლის 20 დეკემბრამდე მიღებული დადგენილებების ბათილად ცნობის საფუძველია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. რამდენადაც ეს დადგენილებები გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ ორგანო ვალდებული იყო გაეუქმებინა აღნიშნული აქტები. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, „არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლის 20 დეკემბრამდე არსებული დადგენილებების საფუძველზე, მოქალაქეებმა განახორციელეს მთელი რიგი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები. კერძოდ, კანონით დადგენილი წესით საკუთრების უფლება დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში, გაიღეს გარკვეული ხარჯები ბინების მოვლა-პატრონობაში, მათ გაუმჯობესებაში და ა.შ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, „თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი.“ აღნიშნულის შესახებ მითითებულია ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის დადგენილებაში და ამ საკითხის ჯეროვნად განხილვა-გადაწყვეტა ქ.თბილისის მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება.

რაც შეეხება იმ დადგენილებებს, რომლებიც 2000 წლის 20 დეკემბრის შემდეგ იქნა მიღებული, აშკარაა, რომ ქ.თბილისის მთავრობას საცხოვრებელი ბინების გადაცემის

დროს უნდა ეხელმძღვანელა საკრებულოს გადაწყვეტილებით. ახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ქ.თბილისის მთავრობის დადგენილებაში მითითებულია, რომ ქ.თბილისის მთავრობამ შეისწავლა და გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, მოისმინა დაინტერესებულ მხარეთა ახსნა-განმარტებები, გამოიკვლია მათ მიერ წარმოებისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნაწილობრივ, ან სრულად ბათილად უნდა იქნას ცნობილი მთელი რიგი დადგენილებები.

ძველი დადგენილებების ბათილად ცნობის საფუძვლად მითითებულია შემდეგი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.“ (ანუ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება). ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის დადგენილებაში მითითებულია, რომ საცხოვრებელი ბინები უნდა განაწილებულიყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. აღნიშნული ნორმის დაუცველობამ, ახალი დადგენილების თანახმად, გამოიწვია საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღება, ანუ საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდა ის მოქალაქეები, რომლებსაც საცხოვრებელი ფართის მიღების უპირატესი უფლება არ გააჩნდა და შედეგად დაირღვა ყველაზე მძიმე საბინაო პირობების მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების უფლება და კანონიერი ინტერესი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობას ჰქონდა სრული უფლება, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საშუალებით შეემოწმებინა თითოეული მოქალაქის კეთილსინდისიერება ბინების გადაცემის საკითხთან მიმართებაში, გამოეკვლია მოქმედებდა თუ არა ქ.თბილისის მთავრობა ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებების მოთხოვნათა დაცვით და ამის შემდეგ ბათილად ეცნო ის დადგენილებები, რომლებითაც მოქალაქეებს უკანონოდ გადაეცა საცხოვრებელი ბინები და რამაც იმავდროულად შელახა სხვა პირთა უფლებები.

ქ.თბილისის მთავრობის დადგენილების მიხედვით, საჯარო წარმოების დროს გამოირკვა, რომ მოქალაქეთა ნაწილს არ შეიძლებოდა ჰქონოდა კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ნაწილს ჰქონდა კიდევ, მაგრამ, რამდენადაც ადმინისტრაციულმა აქტებმა სხვა ადამიანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა გამოიწვია, ეს გარემოება არ იძლევა ძველი დადგენილებების ძალაში დატოვების შესაძლებლობას.

როგორც აღინიშნა, 2000 წლის 20 დეკემბრის შემდეგ მიღებული დადგენილებების ადრესატები დაიყო ორ ჯგუფად. მოქალაქეები, რომელთა მიმართ გამოცემული აქტები აკმაყოფილებდნენ ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და მოქალაქეები, რომელთა დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა საკრებულოს გადაწყვეტილებების მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის #15-5 გადაწყვეტილების მე-14 მუხლის შესაბამისად, „საცხოვრებელი სადგომების მიღებას ექვემდებარებიან მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრები ოჯახები, რომელთაც გააჩნიათ ქ.თბილისში რეგისტრაციის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.“ ამავე გადაწყვეტილების მე-15 მუხლით კი განსაზღვრული იყო, რომ „საცხოვრებელი სადგომების განაწილებისას უპირატესობა ეძლევათ განსაკუთრებით მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრებ: ა) ოჯახებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო. ბ) ომის ვეტერანებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაინვალიდებულთა ოჯახებს. გ) მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახებს.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 9 სექტემბრის #12-7 გადაწყვეტილებით ახლებურად განისაზღვრა საცხოვრებელი სადგომების მიღების კრიტერიუმები. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-12 მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის მიღების უფლება დაუკავშირდა მძიმე საცხოვრებელ პირობებს და ამავდროულად ქ.თბილისში ცხოვრების 10 წლის სტაჟს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების მე-13 მუხლის თანახმად, 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების მე-15 მუხლით განსაზღვრულ პარამეტრებს დაემატა შემდეგი: საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას უპირატესობა ეძლეოდათ იმ პიროვნებებს, რომელთაც დამსახურებული ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის კულტურის, მეცნიერების და ტექნიკის განვითარებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სახალხო დამცველი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე თითოეული მოქალაქის უფლების დარღვევის შესახებ, თუმცა, წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილებით დარღვეულია ადამიანის გარკვეული ჯგუფის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - საკუთრების უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სამართალი არის საჯარო და კერძო ინტერესების დაპირისპირების სამართალი, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არეგულირებს და აბალანსებს აღნიშნული ინტერესების კონკრეტულ გამოვლინებებს. პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.“

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, გადაწყვეტილება მიიღოს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთბალანსის საფუძველზე, გამოხატულებას ჰპოვებს როგორც ადმინისტრაციული სამართლის ზოგად პრინციპებში, ისე კოდექსის სპეციალურ ნორმებშიც.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ

შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.“

ქ.თბილისის მთავრობის ძველი დადგენილებების ბათილად ცნობა და ახალი დადგენილებით სამართლებრივი ურთიერთობების ახლებურად მოწესრიგება ქ.თბილისის მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა, თუმცა ამ უფლებამოსილების განხორციელების დროს იგი შეზღუდული უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ყურადღება უნდა გამახვილდეს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ უფლება არ განიხილება ასეთად, თუ იგი არ არის კანონიერი. უფლების კანონიერების დადგენის დროს კი ქალაქ თბილისის მთავრობას უნდა ეხელმძღვანელა „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ კანონისა და ქ.თბილისის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით. ქ.თბილისის მთავრობას, დეტალური შემოწმების შედეგად უნდა დაედგინა, აკმაყოფილებდა თუ არა თითოეული მოქალაქე ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებებში გაწერილ კრიტერიუმებს და ამის შედეგად უნდა ბათილად ეცნო, ან ძალაში დაეტოვებინა დადგენილებების ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის უმნიშვნელოვანესი დანაწესის დარღვევას, რომლის თანახმად „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა.“ აღნიშნულის შესახებ პირდაპირ მიუთითებს კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის შესაბამისად, „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.“ ახალი დადგენილებით არ არის და არც შეიძლება იყოს დასაბუთებული ფაქტი, რომ ქ.თბილისის მთავრობის მიერ სხვაგვარად (საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით) განხილვისას საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვა გადაწყვეტილება.

ამდენად, სახალხო დამცველის აზრით, უსაფუძვლო და დაუშვებელია ქ.თბილისის მთავრობის მიერ საჯარო წარმოების წესის დარღვევაზე აპელირება და ამ საფუძვლით თუნდაც ერთი დადგენილების ბათილად ცნობა, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე აკმაყოფილებს საკრებულოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ მონაცემებს და ამავდროულად ქ.თბილისის მთავრობის მიმართ აქვს კანონიერი ნდობა, მასზე საცხოვრებელი ბინის გადაცემა ვერ ხელყოფს სხვა პირის უფლებებს და მით უმეტეს სახელმწიფო ინტერესებს.

2007 წლის 13 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო გვენცაძემ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებდა საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნ.გვენცაძე არის ქ.თბილისის შსს მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის, სამსახურეობრივი

მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული კორნელი ჩალაძის მეუღლე, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით. მათი ოჯახი არის მრავალსულიანი. ნ.გვენცაძე მეუღლესთან ერთად ზრდიდა სამ შვილსა და ერთ დედ-მამით ობოლ მეუღლის დისშვილს. კ.ჩალაძის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი დარჩა ძველ ოროთახიან უფანჯრო და ნესტიან ბინაში (გ.ჩუბინაშვილის ქ.#59). ასეთ ბინაში თვითონ ნ.გვენცაძე დაავადდა და გახდა მე-2 ჯგუფის ინვალიდი, მის უმცროს ვაჟს კი ტრამვის შედეგად დაკარგული აქვს ცალ თვალში მხედველობა. აღნიშნული დროიდან კიდევ უფრო გაიზარდა ნ.გვენცაძის მრავალსულიანი ოჯახი და გაუსაძლისი გახდა მითითებულ ბინაში მათი ერთად ცხოვრება, რისთვისაც ბინით დაკმაყოფილების თაობაზე იგი მიმართავდა საქართველოს იმ დრონდელ პრეზიდენტს და ქ.თბილისის მერს.

ქ.თბილისის მთავრობის 2002 წლის 08 აგვისტოს №12.17.241 დადგენილებით, ნ.გვენცაძის ოჯახს გამოეყო სამოთახიანი ბინა ქუთაისისა და აგლაძის ქუჩების კუთხეში, შპს „სამირკვლის“ მიერ მშენებარე საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულზე. აღნიშნული დადგენილება ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის დადგენილებით და ნ.გვენცაძეს მითითებული ბინა ჩამოერთვა.

ქ.თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ბინის მიღებისათვის საჭირო პარამეტრებს ნ.გვენცაძის ოჯახი რამდენიმე ასპექტში სრულად აკმაყოფილებს. კერძოდ:

1. აქვს მძიმე საბინაო პირობები (ამჟამად, 35,5 კვ. მეტრი ფართის ოროთახიან ბინაში ცხოვრობს 8 სული);
2. ბინა დაზიანებულია მიწისძვრით და მინიჭებული აქვს მე-2 კატეგორია; ჰარის მრავალშვილიანი დედა.

2007 წლის 30 მარტის დადგენილებაში არ არის მითითებული არც ერთი კონტარგუმენტი (კანონიერი ნდობის არარსებობა, მოქალაქის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედება, ან უპირატესი საჯარო ინტერესი), რაც დაამტკიცებდა იმ დადგენილების ბათილად ცნობის მიზანშეწონილობას და კანონიერებას, რომელიც ეხება განმცხადებელს.

სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოებისას გამოირკვა, რომ ქ.თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების მე-15 მუხლით განსაზღვრული საცხოვრებელი სადგომის მიღების უპირატესი უფლებით ცალკეულ ასპექტებში სარგებლობდნენ ანზორ აბრალავას, ჯემალ ხუციშვილის, გულნარა ქსოვრელის (გზირიშვილი), ჯემალ სეფიაშვილის, ირაკლი ჭიაბრიშვილის და ზაზა კოლელიშვილის ოჯახები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განმცხადებლებმა კანონიერი ნდობის საფუძველზე კანონიერად მოიპოვეს საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლება, რაც უხეშად არის ხელყოფილი ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ.

საკუთრების უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა ქ.თბილისის მერს მიმართა რეკომენდაციით, შეესწავლა 2007 წლის 30 მარტის #07.01.205-ე დადგენილების კანონიერების საკითხი თითოეულ მოქალაქესთან მიმართებაში. სრულყოფილად გამოეკვლია ანალოგიურ მდგომარეობაში არსებულ განმცხადებლებზე შესაბამისი დადგენილებების კანონიერება, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60¹ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილის და 62-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლების მიმართ, ნაწილობრივ ბათილად ეცნო დადგენილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებინა კანონით დადგენილ ვადაში.

რეკომენდაციაზე პასუხი იყო უარყოფითი და ემყარებოდა სრულიად უსაფუძვლო არგუმენტებს. პასუხში ყურადღება გამახვილებული იქნა კანონიერი ნდობის მომენტზე. ქ.თბილისის მერმა აღნიშნა, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდა კანონიერი ნდობა გაბათილებული სამართლებრივი აქტის მიმართ, ვინაიდან განმცხადებლებს არ განუხორციელებიათ იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება და მათ არ დაურეგისტრირებიათ საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში. საინტერესოა, რომელ საკანონმდებლო აქტზე დაყრდნობით მიუთითებს მერია, რომ ერთადერთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაა.

სახალხო დამცველს არ გააჩნია რეკომენდაციის იძულებითი აღსრულების მექანიზმი, შესაბამისად, იგი მოკლებული იყო შემდგომი რეაგირების შესაძლებლობას. თუმცა, რეკომენდაციაში მითითებული იურიდიული დასაბუთება მოიცავდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მრავალმხრივ საფუძველს და იგი არ ამოიწურებოდა კანონიერი ნდობის მერიისეული ცალმხრივი განმარტებით. რეკომენდაციაში უშუალოდ არის მითითებული იმ მომენტის შესახებ,

რომ თუ კანონდარღვევის არარსებობის შემთხვევაში სადავო საკითხთან დაკავშირებით ქ.თბილისის მთავრობა არ მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას, ქ.თბილისის მერია არ იყო უფლებამოსილი, ბათილად ეცნო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

დოდო გიორგაძის საქმე

ამა წლის 05 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე დოდო გიორგაძემ.

წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა გორის გამგეობას მიმართა წერილით, რომლითაც გამოთხოვილი იქნა ოფიციალური ინფორმაცია, რა საფუძველით ცნო ბათილად მცხეთის რაიონის გამგეობამ #57 დადგენილება, რომლითაც განმცხადებელს გადაეცა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე.

გამგეობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და განმცხადებლის ახსნა-განმარტებით გამოირკვა შემდეგი გარემოებები: საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებმა 2003 წელს თხოვნით მიმართა მცხეთის რაიონის გამგეობას 10,73 ჰა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გადაცემის თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი იქნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობა და მცხეთის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი.

აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მცხეთის რაიონის გამგეობამ 2003 წლის 30 აპრილს მიიღო #57 დადგენილება, რომლის თანახმად, თხოვნა დაკმაყოფილდა და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორატის მიერ შედგენილი სიის მიხედვით, 102 ფიზიკურ პირს 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა 10,72 ჰექტარი სახნავი მიწის ფართობი. თითოეული ხელშეკრულება დადებული იქნა წერილობითი ფორმით და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

2005 წლის 7 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ“ რომლის თანახმად, მოიჯარეებს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების უფლებამოსილება.

ამის შემდეგ, აღნიშნული მიწის ნაკვეთზე, პრივატიზაციით, უმრავლესობამ მოიპოვა საკუთრების უფლება. ისინი დარეგისტრირდნენ მესაკუთრეებად კანონით დადგენილი წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებით.

მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დროებით შეჩერდა იჯარით აღებული მიწის პრივატიზაციის პროცესი, კერძოდ, საქმის წარმოების პროცესში დადგენილი იქნა, რომ რექტორატის მიერ მცხეთის რაიონის გამგეობაში წარდგენილი სია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და უკანონო იყო მცხეთის რაიონის გამგეობის 30 აპრილის დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცა იმ პირებს, რომლებსაც სამსახურეობრივი შეხება არ ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან.

2006 წლის 31 ოქტომბერს მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ მცხეთის რაიონის გამგეობას მიაწოდა გამოძიებით დადგენილი ინფორმაცია და იმ პირთა სია,

რომელთაც მიწა კანონიერად ჰქონდათ პრივატიზებული და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოითხოვა მცხეთის რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 აპრილის #57 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

2006 წლის პირველ ნოემბერს მცხეთის რაიონის გამგეობამ მიიღო #447 დადგენილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 30 აპრილის #57 დადგენილება და არა დადგენილების ნაწილი.

ახალი დადგენილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია: მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურის 31 ოქტომბრის წერილი, საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 5 მაისის აქტი, საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2006 წლის 21 სექტემბრის დადგენილება, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ და 180-ე მუხლი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე და 51-ე მუხლი და საქართველოს პრეზიდენტის #702-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონის გამგეობის დებულების“ 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმის შესწავლის და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ შელახულია საკუთრების უფლება იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც იგი კანონიერად მოიპოვეს იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო მცხეთის რაიონის #447 დადგენილება ბათილად უნდა იქნას ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო: მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის წერილი მიუთითებდა კანონდარღვევის არსებობის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მცხეთის რაიონის გამგეობა უფლებამოსილი იყო განეხილა #57 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის საკითხი მხოლოდ იმ პირობების მიმართ, რომლებიც სამსახურეობრივად არ იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან. ამასთან, დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა უნდა მომხდარიყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.“ განმცხადებლის განმარტებით, ასეთ ქმედებას მცხეთის რაიონის გამგეობის მხრიდან არ ჰქონია ადგილი. აღნიშნული ფაქტი, დადასტურების შემთხვევაში, ცალსახად წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის (ახალი დადგენილების) ბათილობის ერთ-ერთ საფუძველს. გარდა ამისა, განმცხადებელი განმარტავს, რომ მცხეთის რაიონის გამგეობამ დაარღვია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-13 მუხლის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, „1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.“

როგორც აღინიშნა, მცხეთის რაიონის გამგეობის #447-ე დადგენილების სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 5 მაისის აქტზე და კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2006 წლის 21 სექტემბრის დადგენილებაზე. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გამოირკვა, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ ზემოაღნიშნულ აქტებზე დაყრდნობით, წარდგინებით მიმართა მცხეთის რაიონის გამგეობას 1998 წლის 1 აგვისტოდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის კანონიერების თემატური შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, რაც „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სავალდებულოა შესასრულებლად.

შემოწმების შედეგად საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დადგენილია, რომ მცხეთის რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 აპრილის #57 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტზე იჯარით დამაგრებული მიწის ნაწილიდან ამავე უნივერსიტეტის 102 თანამშრომელს 49 წლიანი ვადით, იჯარით, ყოველგვარი ინფორმაციის გამოქვეყნებისა და კონკურსის გარეშე გადაეცა 10,72 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რითაც დარღვეული იყო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის #446-ე ბრძანებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-8 მუხლის მოთხოვნები. გარდა ამისა, კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ გამგეობამ დაარღვია ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რომელიც კრძალავს მიწის იჯარით გაცემას, ფართობის ყოველგვარი დანაწილების გზით.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის #446-ე ბრძანებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს მიწის მართვის მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესს, რომლის თანახმად, კომისია ორგანიზაციას უწევს იჯარით გასაცემი მიწის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, ხოლო მე-8 მუხლი ადგენს კონკურსის გამოცხადებისა და მისი ჩატარების წესს, მაგრამ ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „იმ შემთხვევაში, თუ მიწის იჯარით აღებას თხოულობს მხოლოდ ერთი პირი, მასზე მიწა იჯარით გაიცემა უკონკურსოდ, ყველა სხვა შემთხვევაში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მიწა იჯარით გადაეცემათ მხოლოდ კონკურსის წესით.“ მოცემულ შემთხვევაში, აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებს მიწის ნაკვეთი საერთო სარგებლობისთვის იჯარით არ აუღიათ. კომისიისაგან თითოეულმა თანამშრომელმა მოითხოვა განსაზღვრული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა და თითოეულ მათგანზე მიწის იჯარით გაცემისთვის კონკურსის ჩატარება მიწის მართვის კომისიას არ ევალებოდა.

პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მიწის იჯარით გაცემისას აკრძალულია ფართობის ყოველგვარი დანაწილება, რაც შეაფერხებს მექანიზაციის რაციონალურად გამოყენებასა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეფექტიან განხორციელებას.“ აღნიშნული ნორმა კუმულაციური დანაწესია და მიწის დანაწილების აკრძალვას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეაფერხებს მექანიზაციის რაციონალურად გამოყენებას და ამავედროულად აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეფექტურ განხორციელებას. განმცხადებლის განმარტებით, აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებზე გადაცემული მიწის ნაკვეთი არ იყო იმ სიდიდის და იმ საზღვრებში, რომელზედაც საერთოდ მექანიზაციის განხორციელება იყო შესაძლებელი, შესაბამისად ალოგიკურია მითითება მექანიზაციის რაციონალურად გამოყენებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კონტროლის პალატის 2006 წლის 5 მაისის აქტში დაფიქსირებული ფაქტები არ ემყარებოდა საქმის სრულ და ყოველმხრივ შესწავლას. შესაბამისად, უსაფუძვლოა კონტროლის პალატის 2006 წლის 5 მაისის აქტის საფუძველზე მიღებული წარდგინება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მცხეთის რაიონის გამგეობის მიერ 2006 წლის 5 მაისის აქტი არ გასაჩივრებულა. გამგეობა არც კი ეცადა საწინააღმდეგო დაემტკიცებინა. შედეგად, კონტროლის პალატის 2006 წლის 17 ოქტომბრის წარდგინებით, მცხეთის რაიონის გამგეობას დაევალა გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

კონტროლის პალატამ არ მიუთითა ზემოაღნიშნული აქტით გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრის კონკრეტული ხერხი. მცხეთის რაიონის გამგეობამ კი 2003 წლის 30 აპრილის დადგენილების ბათილად ცნობით გადაწყვიტა დასმული საკითხი.

კონტროლის პალატის აქტში ასახული დარღვევების დადასტურების შემთხვევაშიც მცხეთის რაიონის გამგეობის #447-ე დადგენილება კანონსაწინააღმდეგო იქნებოდა, ვინაიდან, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, „1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.“ მოცემული მუხლის თანახმად, მხოლოდ კანონის დარღვევა შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველად. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება არის არა კანონი, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. გარდა ამისა, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის დროს, მთელი რიგი პროცედურული ნორმების დაცვასთან ერთად

დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ იქნებოდა მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება მიღებული, კანონის დარღვევის არარსებობის შემთხვევაში. ასეთ დასაბუთებას #447-ე დადგენილება არ შეიცავს და არც შეიძლება შეიცავდეს, ვინაიდან აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებზე მიწის იჯარით გადაცემა და შემდეგ მისი პრივატიზაცია განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

განმცხადებელმა და აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებმა კანონიერად მოიპოვეს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება. მცხეთის რაიონის გამგეობის #57 დადგენილების საფუძველზე მათ განხორციელეს უამრავი იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. თავდაპირველად გააფორმეს იჯარის ხელშეკრულებები. იჯარის უფლება კანონით დადგენილი წესით დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში. ასევე კანონით დადგენილი წესით გამოისყიდეს იჯარით აღებული მიწა და საკუთრების უფლება კვლავ დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში. ამის შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა გაასხვისა კიდევ კუთვნილი მიწის ნაკვეთი.

დარღვეულია განმცხადებლის საკუთრების უფლება, რომელიც აღიარებული და უზრუნველყოფილია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლის მონაწილეც საქართველოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა მცხეთის რაიონის გამგებელს მიმართა რეკომენდაციით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ მუხლის შესაბამისად, ბათილად ეცნო მცხეთის რაიონის გამგეობის #447-ე დადგენილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო. ამასთან, განმცხადებლისა და #57-ე დადგენილებით განსაზღვრული ადამიანების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით, საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა-შესწავლის შედეგად, უზრუნველყო ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება.

რეკომენდაციის პასუხად გვაცნობეს, რომ მცხეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა დოღო გიორგაძის სასარჩელო განცხადება მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და არ დააკმაყოფილა იგი. მცხეთის რაიონის გამგეობამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში, თუმცა გამგეობა იმოქმედებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.

სახალხო დამცველის რეკომენდაციები ხშირად იწერება სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს (სამართალწარმოების ფონზე). ასეთ შემთხვევაში, ადამიანის უფლების დარღვევის აშკარაობისას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს სარჩელის ცნობის საპროცესო მექანიზმი და სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით, თავი აარიდოს საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რაც იქნებოდა სახსრებით კანონიერი, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია.

სოსო სუთიაშვილის საქმე

2007 წლის 22 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით N0072-07 მიმართა მოქალაქე სოსო სუთიაშვილმა. იგი აღნიშნავდა, რომ არის სოფელ დიღმის მკვიდრი და ცხოვრობს ცალკე კომლად. 1992 წლიდან საქართველოში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა. მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე (მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N48, 8 თებერვლის N128 და 10 მარტის N290 დადგენილებები) რეფორმის პერიოდში მიწები პირველ რიგში უნდა მიეღო სოფლად მუდმივად მცხოვრებ ყველა კატეგორიას. სოფელ დიღომში, მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწების ფონდიდან დაიწყო მიწების განაწილება, მაგრამ სოსო სუთიაშვილი არ იქნა დაკმაყოფილებული მიწის ნაკვეთით, რადგან მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ ლასურაშვილმა დიღმის მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ფონდიდან მიწები არ გაანაწილა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული ქმედების გამო ნოდარ ლასურაშვილის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და 2006 წლის 7 სექტემბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოქალაქე სოსო სუთიაშვილი სხვებთან ერთად დაზარალებულად არის ცნობილი. მიწის რეფორმასთან დაკავშირებით მიღებული და გამოცემული სხვადასხვა ნორმატიული აქტები ცალსახად გამოხატავდა სახელმწიფოს ვალდებულებას მისი მოქალაქეებისადმი, რომ მათ შექმნოდათ ცხოვრებისა და განვითარების ნორმალური პირობები. მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა და მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, რომ დააკმაყოფილებდნენ მიწის რეფორმის ფარგლებში სხვა დაზარალებულებთან ერთად სოსო სუთიაშვილს, ის დღემდე კუთვნილი მიწის ნაკვეთის გარეშეა.

ვინაიდან სოფელ დიღმის ტერიტორია დღეს ვაკე-საბურთალოს ტერიტორიულ საზღვრებშია მოქცეული და მოქალაქეებმა ვერ შეძლეს იმ სამართალმემკვიდრის დადგენა, ვინც კომპეტენტური იქნებოდა მათი საკითხის დადებითად გადაწყვეტაში, სახალხო დამცველმა წერილით (N874/04-3/0072-07) მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს დავით იოსელიანს, იყო თუ არა შესაძლებელი დაზარალებული მოქალაქეებისთვის გადაეცათ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთები. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მას მერე, რაც სოფელ დიღმის ტერიტორია დედაქალაქს მიუერთდა, შედგა შეხვედრა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან, მათ შორის იყო გამგებელი დავით იოსელიანიც. დაზარალებულებმა მათგან მიიღეს დაპირება აღნიშნული მიწის ნაკვეთების მათთვის გადაცემის თაობაზე. რაიონის გამგეობიდან სახალხო დამცველის აპარატში გამოგზავნილ ოფიციალურ პასუხში კი აღნიშნულია, რომ რაიონის გამგეობის კომპეტენციაში არ შედის მიწის ნაკვეთის გამოყოფა. ამ საკითხს იხილავს ქ. თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის აპარატი.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წერილი (N0072-07) გაიგზავნა ქალაქ თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიაშიც კითხვით, გადაწყდებოდა თუ არა საკითხი სოსო სუთიაშვილისა და სხვა დაზარალებულების სასარგებლოდ და მიიღებდნენ თუ არა მოქალაქეები კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

აღნიშნული სამსახურიდან წერილი გადაიგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობაში, საიდანაც მიღებულ პასუხში ნათქვამია, რომ მიუხედავად სურვილისა, გამგეობას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, დააკმაყოფილოს სოსო სუთიაშვილისა და სხვა დაზარალებულთა მოთხოვნა. აღნიშნულის გამო პრობლემა დღემდე გადაუწყვეტელი დარჩა და მოქალაქეებმა ვერ მოახერხეს კუთვნილი მიწის ნაკვეთების მიღება.

„საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქალაქ თბილისის მიწის კადასტრის შედგენა და წარმოება,“ ისევე როგორც ქონების მართვისა და განკარგვის საკითხები, განეკუთვნება ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს-მერიის კომპეტენციას. საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად განმარტავს სახელმწიფოს ვალდებულებებს მისი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, თუმცა გარდა ამ ვალდებულებისა არსებობს საერთაშორისო ვალდებულებებიც. მოგეხსენებათ, საქართველო მიერთებულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით.“ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის თანახმად კი ტერმინი „ცხოვრების სათანადო დონე ნიშნავს „ცხოვრების ისეთ დონეს, საკვების, ტანისამოსის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისთვის და მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სოფელ დიღმის მოსახლეობის ნაწილმა მიწის რეფორმის ფარგლებში მიიღო კუთვნილი ნაკვეთები, შესაბამისად, გამოდის, რომ მოსახლეობის ნაწილის მიმართ მიწის რეფორმა იყო დისკრიმინაციული ხასიათის, რამეთუ არ იქნა გათვალისწინებული მათი ინტერესები და არ მოხდა მათი თანაბარ პირობებში ჩაყენება, თვით სასამართლოს გადაწყვეტილებით-მათი დაზარალებულად აღიარების შემდეგაც კი.

რადგან სწორედ ამ საერთაშორისო და ეროვნული ნორმებით აღიარებული უფლებების შელახვა და უგულვებელყოფა იქნება, თუკი სოფელ დიღმის 365 მაცხოვრებელი, სასამართლოს მიერ დაზარალებულად ცნობილი მოქალაქეები ვერ იღებენ სახელმწიფოსგან კუთვნილი მიწის ნაკვეთებს და სახელმწიფო თავის ვალდებულებას მხოლოდ და მხოლოდ უწყებებს შორის მიმოწერით და ურთიერთგადაბრალების მეთოდით იცილებდა სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერს შეესწავლათ აღნიშნული საკითხი და საქმის გარემოებების სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მიეღოთ სათანადო გადაწყვეტილება.

მიუხედავად არაერთი შეხსენებისა, რეკომენდაციაზე პასუხი სახალხო დამცველს დღემდე არ მიუღია.

საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი

2007 წლის 12 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისში წერეთლის გამზირის მე-7 კორპუსში, ბინა #19-ში მცხოვრებმა მოქალაქე მარიამ თოდაძემ საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის და ბინაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მარიამ თოდაძე იმყოფება მძიმე სოციალურ პირობებში, შეყვანილია უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახთა მონაცემთა ბაზაში და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს თავისუფლად გადაადგილებას. განმცხადებლის წარმომადგენლის განმარტებით, 2006 წლის ოქტომბერში განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და წარადგინა რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი. 2006 წლის 4 დეკემბერს საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა გამოსცა ადმინისტრაციული აქტი #0113-032968, რომლის მიხედვით, მოქალაქეს უარი ეთქვა ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე, გადახდილი მომსახურების საფასურის და წარდგენილი დოკუმენტების უკან დაბრუნებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომაც, 2007 წლის 10 იანვრის #01/11-43/თ-39 გადაწყვეტილებით, რომელშიც, მიმდინარე წლის 6 მარტს სააგენტოს თავმჯდომარის #84 ბრძანებით შეტანილი შესწორების მიხედვით, მოქალაქეს განმეორებით ეთქვა უარი საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში რეგისტრაციაზე.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, 2006 წლის 2 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ გამოსცა განკარგულება #359 რაიონის საბინაო ფონდიდან წერეთლის გამზირზე მდებარე საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის შესახებ და 16 ნოემბერს გამგეობის წარმომადგენელს ნინო სახვაძესა და მარიამ თოდაძის წარმომადგენელს ლევან გიგაშვილს შორის სანოტარო წესით გაფორმდა ხელშეკრულება მოქალაქე მარიამ თოდაძისათვის ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მარიამ თოდაძის წარმომადგენლის ლევან გიგაშვილის განმარტებით, პრივატიზაციის ხელშეკრულება, 37 ლართან და სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად, 22 ნოემბერს წარმოებაში მიიღო თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა, რაზეც მოქალაქეს გადასცეს მიღება-ჩაბარების საგარანტიო საბუთი, რომლის მიხედვით, საკუთრების რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს სარეგისტრაციო სამსახური გასცემდა ხუთი სამუშაო დღის შემდეგ, ე.ი. 29 ნოემბერს.

იმ დროისათვის მოქმედი “ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდის შექმნა და განკარგვა. შესაბამისად, ზემოთმოყვანილი ადმინისტრაციული აქტის (#01/11-43/თ-39) მეექვსე აბზაცში აღნიშნულია, რომ განკარგულება პრივატიზაციის შესახებ გამგეობამ გამოსცა 2006 წლის 2 ოქტომბერს და პრივატიზაცია განხორციელდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც სავესებით კანონიერია. 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან, ანუ 19 ოქტომბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა

“ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და ამოქმედდა “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. ამ კანონის მე-16 მუხლში განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები, მე-2 პუნქტის “ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს “თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა“.

მოგვიანებით 2006 წლის 29 დეკემბერს კანონში დამატებით შეტანილი იქნა 65² მუხლი და ამით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დროებითი უფლებამოსილება: “ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელონ კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა“.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დასტურდება, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მარიამ თოდაძე ბინის რეგისტრაციასთან დაკავშირებით განცხადებებით მიმართავდა საჯარო რეესტრის სამსახურს (იხ. დანართი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ქვითრები. შემოსული წერილები #თ-39 (18.12.2006), თ-43 (26.12.2006), 345/თ (12.02.2007), ასევე, სს “საქართველოს ბანკის“ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები 17.11.2006, 21.11.2006 და სხვა), მაგრამ პასუხად ყოველთვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ ბინის რეგისტრაციაზე უარს და #01/11-43/თ-39 ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო გარემოება, რომ ხელშეკრულება დაიდო გამგეობის არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული აქტის მეშვიდე აბზაცის ბოლო წინადადებაში აღნიშნულია: “მოცემულ შემთხვევაში პრივატიზაციის ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 16 ნოემბერს, იმ დროისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი ემოქმედა გამგეობის სახელით, როგორც პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარეს.“ ხოლო პრივატიზაციის ხელშეკრულებაში აღნიშნულია საწინააღმდეგო, სადაც წერია, რომ ნინო სახვაძე წარმოადგენს დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობას და მოქმედებს მისი სახელით, თანახმად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მინდობილობისა (გაც. 03.02.2006 წელს #გას 18-05).

სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის საფუძვლებს ამომწურავად განსაზღვრავს “უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, ამ მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ხოლო მოცემულ შემთხვევაში, თუ რატომ არ იყო აღნიშნული დროისათვის გამგეობის წარმომადგენელი ნანა სახვაძე-უფლებამოსილი, დაედო ხელშეკრულება, საერთოდ არ არის მოტივირებული და ეს გარემოება, რაც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, არ არის დასაბუთებული.

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის და 96-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ასევე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ მუხლში (მე-2 ნაწილში) მოყვანილი საფუძველების არსებობის შემთხვევაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2007 წლის 6 მარტის #84 ბრძანება ვერ ჩაითვლება #01/11-43/თ-39 ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური ან გამოთვლის შედეგად დაშვებული შეცდომის გასწორებად, რადგან ამ ბრძანებით შეიცვალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება (#01/11-43/თ-39) და განმცხადებელს, თავდაპირველი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, ეთქვა უარი საცხოვრებელი ბინის რეგისტრაციაზე, რაც თავის მხრივ ნიშნავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანას და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მუხლი 59, მე-2 ნაწილი). ასევე, შეუძლებელია დავეთანხმოთ 2007 წლის 7 მარტის #01/11-1242/თ-39/345/თ გადაწყვეტილებას, სადაც აღნიშნულია, რომ “საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, რაც ყოველთვის არ იძლევა მოქალაქეების მიმართ სამართლიანობის და გულისხმიერების გამოჩენის შესაძლებლობას.“

2007 წლის 10 იანვრის #01/11-43/თ-39 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და აღნიშნულ საკითხზე მიღებული სხვა გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის, ასევე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო რეესტრის სამსახურს გაეგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და წარმოადგინა პასუხი, სადაც ამჯერადაც არ არის დასაბუთებული რატომ არ იყო უფლებამოსილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი ნინო სახვაძე ემოქმედა გამგეობის სახელით და დაედო ხელშეკრულება 2006 წლის 16 ნოემბერს.

მიწის ნაკვეთის დაკანონების საკითხი

მიმდინარე წლის 8 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე აპოლონ გადელიამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებით. აპოლონ გადელია არის პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი და დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (იხ.დანართი). საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 13 მარტის #273 განკარგულების თანახმად, აპოლონ გადელიას ნება დაერთო პირდაპირი განკარგვის წესით შეეძინა თბილისში ინჟინრის ქ.#38/6-ში #6 საავტორო სკოლასა და ვირსალაძის ქ.#8 საცხოვრებელ სახლს შორის მის საკუთრებაში არსებული გარაჟის გარშემო-არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთი კეთილმოწყობის მიზნით. ამავე განკარგულების მეორე ნაწილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიას (ი.ზოდელავა) დაევალა აპოლონ გადელიას მიერ შესყიდვისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ ერთ თვეში უზრუნველყო მიწის ნაკვეთის შესყიდვის გაფორმება.

2004 წლის 20 თებერვალს მოქალაქემ გადაიხადა მიწის ნაკვეთის ღირებულება 2244 ლარი და 50 თეთრი (იხ. დანართი, გვ.5, თბილბიზნესბანკის სალაროს შემოსავლის ორდერი #001, 0402008) თბილისის თვითმმართველობის ორგანოს საკრებულოს მიერ დაწესებული ტარიფის მიხედვით და თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი იქნა მიწის ნაკვეთის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ. რაც შეეხება მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უძრავ ნივთებზე საკუთრების მოპოვებისათვის კანონით განსაზღვრული წესით, იგი მოქალაქემ დღემდე ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი განცხადება წარადგინა ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურებში, სათანადო დოკუმენტების მომზადების მოთხოვნით.

ქალაქ თბილისის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, “ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.” ასევე, “თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ამავე კანონის მე-100 მუხლის მიხედვით დადგენილ ვადებში და კანონით განსაზღვრული წესით უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, მიუთითოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ და ამისათვის განუსაზღვროს ვადები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს დაშვებული შეცდომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

“სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, მიწით მოსარგებლე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მიწის ნაკვეთებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა გააფორმონ ამ კანონის მიღებიდან ოთხი წლის განმავლობაში, ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული პირები იხდიან ჯარიმას მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მიწის წლიური გადასახადის ოდენობით. რაზეც აპოლონ გადელია სამართლიანად განმარტავს, რომ მისთვის მიწის დაკანონებაზე უარის თქმა ან დაკანონების გაჭიანურება გამოიწვევს მატერიალურ ზიანს.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ საკითხის აღნიშნული ვადებით გაჭიანურებასთან დაკავშირებით, აღნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 13 მარტის #273 განკარგულებით ქალაქის მთავრობას მიცემული ჰქონდა ერთგვანი ვადა შესყიდვის გაფორმებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა დარღვეულად მიიჩნია მოქალაქე აპოლონ გადელიას უფლებები და “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მერიას მიმართა რეკომენდაციით, კანონის მოთხოვნათა დაცვით განეხილა აპოლონ გადელიასათვის მიწის ნაკვეთის დაკანონების საკითხი.

მიმდინარე წლის 20 მარტს ქალაქ თბილისის მერიიდან მივიღეთ პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ გასულ წლებში ჩატარებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კონკურსებსა და აუქციონებში გამარჯვებულებთან, ასევე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გაცემული მიწის ნაკვეთის მიმღებ ზოგიერთ პირთან დღემდე არ გაფორმებულა ხელშეკრულებები. თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის განმარტებით, მათთვის უცნობია რა მიზეზით არ განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებულ ერთი თვის ვადაში თქვენთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მიწის ნაკვეთის შესყიდვის გაფორმება.

მათივე მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, დღეისათვის განცხადება თანდართული მასალებით შესასწავლად გადაეცა ქალაქ თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციას.

ირინა გოგოლაძის საქმე

მიმდინარე წლის 05 იანვარს #0004-07 სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ირინა გოგოლაძემ.

განმცხადებლის ახსნა-განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოირკვა შემდეგი გარემოებები: განმცხადებელი 7 წლის განმავლობაში მუშაობდა პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში მთავარი ბუღალტერის თანამდებობაზე. 2004 წლის პირველი დეკემბრიდან იგი იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. განცხადება სამ წლიანი დეკრეტული შვებულების თხოვნის შესახებ დაწერილია ი.გოგოლაძის წარმომადგენლის ლენა გოგოლაძის მიერ. საქმეში წარმოდგენილია სანოტარო აქტი, რომლის თანახმად რწმუნებულებით ი.გოგოლაძემ შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭა ლ.გოგოლაძეს.

ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე პრეზიდენტის რწმუნებულის 2004 წლის პირველი დეკემბრის #47 განკარგულებით განმცხადებელს მიეცა დამატებითი უხელფასო შვებულება 2004 წლის პირველი დეკემბრიდან 2006 წლის 25 ივლისამდე ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით, იმჟამინდელი „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის“ 161-ე მუხლის თანახმად. აღნიშნული მუხლით განსაზღვრული იყო შემდეგი: „1. ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებების გარდა, ქალს და 159-ე მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულ პირებს, მათი განცხადების თანახმად ეძლევათ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსაზღვრელად, ვიდრე ის მიაღწევდეს სამი წლის ასაკს და შვებულების განმავლობაში ენახება სამუშაო ადგილი (თანამდებობა) (23.05.91).

2. ეს შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს ვიდრე ბავშვს შეუსრულდება სამი წლის ასაკი.“

როგორც ვხედავთ, კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად, ან ნაწილ-ნაწილ, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევანის თავისუფლება ჰქონდა შვებულების მომთხოვნს და არა დამსაქმებელს. ნორმის მიხედვით თუ დასაქმებული მოითხოვდა აღნიშნულ შვებულებას, დამსაქმებელი ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ი.გოგოლაძის წარმომადგენლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო სრულად და არა ნაწილობრივ.

2006 წლის 20 დეკემბერს პრეზიდენტის რწმუნებულის მიერ გამოცემული იქნა განკარგულება #140, რომლითაც „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5 და 60¹ მუხლის შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 1 დეკემბრის #47-ე განკარგულება.

ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველად განკარგულებაში მითითებულია, რომ განცხადება შვებულების თხოვნის შესახებ დაწერილი არ იყო თავად ი.გოგოლაძის, არამედ სხვა პირის მიერ. გარდა ამისა, განცხადებაში არ იყო მითითებული განმცხადებლის მისამართი და აქედან გამომდინარე, განცხადება ადმინისტრაციულ

ორგანოს უნდა დაეტოვებინა განუხილველად, თანახმად „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლისა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტს ცნობს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალი და ურთიერთობებში წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედება განიხილება, როგორც მარწმუნებლის სრულფასოვანი ნების გამოვლინება.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით.“ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წარმომადგენლობა განსაზღვრული იყო რწმუნებელსა და მარწმუნებელს შორის გაფორმებული წერილობითი გარიგებით, რაც დადასტურებული იყო ნოტარიუსის მიერ. რწმუნებულების პირველი პუნქტის თანახმად, „რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს და ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი.გოგოლაძის რწმუნებულმა სრულიად კანონიერად განახორციელა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და განმცხადებლის ხელმოწერის არარსებობა არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო განცხადების შედეგად გამოცემული განკარგულების ბათილობის საფუძველად.

რაც შეეხება განცხადებაში საცხოვრებელი ადგილის მიუთითებლობას, მართალია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების რეკვიზიტები, მაგრამ საცხოვრებელი ადგილის მითითება კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდეს დაბრკოლებების გარეშე. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, რომ დამატებითი დოკუმენტაციის, ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი და არა ვალდებული - გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში აღნიშნული არ იყო განმცხადებლის მისამართი, ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ადმინისტრაციული ორგანოსთვის, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ამდენად, უსაფუძველოა #47-ე განკარგულების ბათილად ცნობის ზემოაღნიშნული საფუძველი.

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის #47-ე განკარგულება კანონსაწინააღმდეგოც რომ ყოფილიყო, საქმის არსის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაშიც არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60¹ მუხლით განსაზღვრულია, რომ „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი

ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია რომ დარღვეულია განმცხადებლის შრომითი უფლებები. უკანონოა და სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული 2006 წლის #140 განკარგულება.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.“

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეზიდენტის რწმუნებულს გაეგზავნა რეკომენდაცია, ბათილად აცნო #140-ე განკარგულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და აღედგინა ი.გოგოლაძის დარღვეული შრომითი უფლებები.

სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოების პარალელურად დავას განიხილავდა სასამართლო, რომელმაც დააკმაყოფილა ი.გოგოლაძის სარჩელი და ბათილად ცნო მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციამ იგივე უსაფუძვლო არგუმენტებით უარყო უფლების დარღვევის ფაქტი, არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გამოიყენა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება - გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ამჟამად საქმის განხილვა მიმდინარეობს ზემდგომ ინსტანციაში.

გიორგი გიორგაძის საქმე

მიმდინარე წლის 28 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი გიორგაძემ.

სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის ახსნა-განმარტების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები: 1999 წლის 8 ივლისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე-49-ე მუხლების საფუძველზე, განმცხადებელი 10 წლის ვადით გამწესდა მოსამართლედ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში. 2005 წლის 31 ოქტომბერს კი მას დაეკისრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს ლიკვიდაციის გამო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 29 დეკემბრის წარდგინების საფუძველზე, 2006 წლის 18 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის №45 ბრძანებულებით გ.გიორგაძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მისი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაეკისრა ლენტეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლება-მოვალეობების განხორციელება სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

აღნიშნულ წარდგინებას და ბრძანებულებას წინ უძღოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრა იმ მოსამართლეთა სია, რომლებსაც წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში შეიძლებოდა დაკისრებოდათ შეთავაზებულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტთან გაიგზავნებოდა წარდგინება მათი რეზერვში ჩარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს (ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს) ოთარ სიჭინავას.

აღნიშნული გადაწყვეტილების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54¹ მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ (რომლის მოთხოვნაა თანამდებობაზე დანიშვნამდე მოსამართლის წინასწარი წერილობითი თანხმობა) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ დასანიშნად წარმოგიდგინათ გ.გიორგაძის კანდიდატურა.

აღნიშნული დარღვევის თაობაზე გ.გიორგაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს 2006 წლის 6 მარტს, მოითხოვა №45 ბრძანებულების ბათილად ცნობა და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება. განმცხადებლის განმარტებით, პასუხი აღნიშნულ მიმართვაზე მას არ მიუღია.

ამის შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 30 ოქტომბრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 დეკემბრის №752-ე ბრძანებულებით გ.გიორგაძე გათავისუფლდა ლენტეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობა). ამჟამად განმცხადებლის სარჩელებზე (№45-ე და №752-ე ბრძანებულებების ბათილად ცნობის თაობაზე) სასამართლოში მიმდინარეობს საქმისწარმოება.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ №45-ე და №752-ე ბრძანებულებები კანონსაწინააღმდეგოა და როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშნა - გათავისუფლებისას ხელმძღვანელობს კონსტიტუციით და ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირების შემთხვევაში მოსამართლეს, წინასწარი წერილობითი თანხმობითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში“. გ.გიორგაძე კი, როგორც ლიკვიდირებული სასამართლოს მოსამართლე, ლენტეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა ამ კანონით დადგენილი წესის დარღვევით, რადგან დაინიშნისას მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა არ არსებობდა.

შესაბამისად, გ.გიორგაძის ლენტეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა უკანონო საფუძველით - ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოსამართლის უფლებამოსილების განუხორციელებლობა. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „შრომა თავისუფალია“, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 4(2) მუხლის თანახმად, „არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესრულება“. ასეთი მოთხოვნა კი პირველ რიგში არ შეიძლება დაკისრებოდა გ.გიორგაძეს, როგორც კანონის დარღვევით დანიშნულ მოსამართლეს, ვინაიდან მის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში ამავე კონვენციის 6(1) მუხლის თანახმად, მის მიერ განხილული ყოველი საქმე, კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ განხილულ საქმედ არ ჩაითვლებოდა. მოგეხსენებათ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო) ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ის, რომ სასამართლო იყოს კანონის მიერ შექმნილი, ანუ კანონიერი შემადგენლობით. მხოლოდ ასეთი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ითვლება კანონიერად და სავალდებულო ძალის მქონედ. აღნიშნული დებულება ასახვას

ჰპოვებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დადგენით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში, თუ განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.“

ამდენად, დარღვეულია გიორგი გიორგაძის შრომითი უფლებები. კერძოდ, მან დაკარგა უფლება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54¹ მუხლით გათვალისწინებული წესით გაეგრძელებინა მოსამართლის საქმიანობა უფლებამოსილების ვადაში შესაბამისი ანაზღაურებით. გარდა ამისა, ამავე კანონის 82-ე მუხლისა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით მიეღო შესაბამისი კომპენსაცია.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. ამავე კანონის მე-12 მუხლი კი ადგენს, რომ „გამონაკლისია ბრძანებულებები საქართველოს მთავრობის წევრის (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) და საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, მოპოვების, შეწყვეტისა და აღდგენის თაობაზე, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნებას, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები“

სახალხო დამცველის აზრით, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (№45 ბრძანებულება) უნდა მოექცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გავლენის სფეროში და მისი მიღების თუ გაუქმების პროცესში აქტზე უნდა გავრცელდეს ამ კოდექსით

გათვალისწინებული მოთხოვნები და შეზღუდვები. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტი დაკარგავდა სამართლებრივი დაცვის საშუალების რეალური გამოყენების შესაძლებლობას (რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით). უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია თავის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაში ბრძანებულებას განიხილავს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ეს მიდგომა ცალსახად კანონიერია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ყოველთვის ექვემდებარება ბათილად ცნობას, თუ კანონის დარღვევის არარსებობის შემთხვევაში საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამკარაა, რომ აღნიშნულ საქმეზე კანონდარღვევის არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54¹ მუხლიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება მდგომარეობდა შემდეგში: თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაევალებინა გ.გიორგაძის თანხმობის საკითხის გარკვევა ან ჩაერიცხა იგი რეზერვში. ე.ი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა აღნიშნული ორგანული კანონით და მისი მოთხოვნის სრული დაცვით განეხორციელებინა დისკრეციული უფლებამოსილება რეზერვში, ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც არ განხორციელდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს“. მოცემულ შემთხვევაში, მართალია №45 ბრძანებულება აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, გ.გიორგაძეს მის მიმართ არ ჰქონდა კანონიერი ნდობა და, რაც მთავარია, მისი შესრულება არსებითად დაარღვევდა იმ პირთა უფლებებსა და ინტერესებს, ვის საქმეებსაც განიხილავდა გ.გიორგაძე, მთლიანობაში კი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უსაფუძვლო წარდგინების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (ადმინისტრაციული აქტი) მიღებულია „საერთო სასამართლოების

შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 54¹ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვა განმცხადებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, შეესწავლა აღნიშნული საკითხი და აღედგინა განმცხადებლის შრომითი უფლებები.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის წერილის თანახმად, სახალხო დამცველის მიერ რეკომენდაციაში დასმული საკითხი პარალელურად განიხილება სასამართლოს მიერ. საქართველოს პრეზიდენტი იმოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად.

დარეჯან მეფარიშვილის საქმე

2007 წლის 7 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე **დარეჯან მეფარიშვილი**. წარმოდგენილ განცხადებაში (#0368-07) აღნიშნული იყო, რომ მას ყოველმხრივ ეზღუდებოდა სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის შენობაში შესვლა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება.

დარეჯან მეფარიშვილი არის იუსტიციის ოფიცერი-ლენინტენანტი და 2002 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრეს-სამსახურის უფროს სპეციალისტად. 2004 წლის 2 მარტიდან დარეჯან მეფარიშვილი გავიდა დეკრეტულ შვებულებაში სამი წლის ვადით, ორსულობისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდის გამო, იმ დროისათვის მოქმედი “შრომის კანონთა კოდექსის“ 159-ე მუხლის და 161-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად. აღნიშნული მუხლებით განისაზღვრება დამატებითი უხელფასო შვებულება დედებისათვის რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვები. მიმდინარე წლის 2 მარტს დარეჯან მეფარიშვილს დაუმთავრდა დეკრეტული შვებულება და ვინაიდან, აღნიშნულ პერიოდში მისი სამსახურეობრივი ურთიერთობა შეჩერებული იყო, განცხადებით (პატაკით) მიმართა დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რათა გაეგრძელებინა სამსახური. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 2 მარტის #413 პ/შ ბრძანების თანახმად, იუსტიციის ლენინტენანტს, დარეჯან მეფარიშვილს 2007 წლის 2 მარტიდან შეუწყდა დეკრეტული შვებულება და შეუდგა სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებას. ბრძანება გაეცნო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირად შემადგენლობას.

სათანადო ბრძანების არსებობის მიუხედავად, დარეჯან მეფარიშვილს არ მიეცა საშუალება, შეესრულებინა თავისი სამსახურეობრივი მოვალეობები და უფრო მეტიც, თავისუფლად შესულიყო სამსახურეობრივ შენობაში. რადგან, როგორც თავად განმარტა, აღნიშნული დროისათვის არ გააჩნდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის პირადობის მოწმობა (მოწმობა ჩააბარა შვებულებაში გასვლის დროს, მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო) და დეპარტამენტის კადრების განყოფილებამ არ გასცა არანაირი საბუთი, მათ შორის არც დროებითი საშვი, რომლის მიხედვითაც იგი მოახერხებდა სამსახურის შენობაში შესვლას და დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

“პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-11 მუხლების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და სასჯელაღსრულების ორგანოს მოსამსახურე არის საჯარო მოსამსახურე. სამსახურის გავლასთან და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაზე ვალდებულია “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 6 სექტემბრის #712-ე ბრძანებით დამტკიცებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების მე-15 მუხლის “დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეკისრება დაწესებულების კადრების სამსახურს, რომელიც თავისი “უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და მის დაქვემდებარებაში მყოფი

დაწესებულებების თანამშრომლებზე დადგენილი ნიმუშის სამსახურებრივი პირადობის მოწმობების გაცემას.“

კადრების სამსახურის თანამშრომლები სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შემავალ სხვა სამსახურებთან და მთელ პირად შემადგენლობასთან ერთად უნდა ემორჩილებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებებსა და განკარგულებებს და ანგარიშვალდებული არიან მის წინაშე (იხ. დებულება).

გარდა ამისა, “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 132-ე მუხლის “გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულების კადრების სამსახური “კონსულტაციებს უწევს მოსამსახურეებს მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვების და სამსახურის გავლასთან დაკავშირებით“.

მოგეხსენებათ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შემსვლელმა პირებმა დაცვას უნდა წარუდგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სათანადო პირადობის მოწმობის უქონლობის გამო, დარეჯან მეფარიშვილი ფაქტობრივად ვერ ახერხებდა თავის მოვალეობათა შესრულებას სამსახურში გამოცხადების დღიდან, დათხოვნის დღემდე 3 აპრილამდე, სამსახურიდან გათავისუფლებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში. განვითარებული მოვლენების პარალელურად სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობდა განცხადებაში აღნიშნული საკითხების შესწავლა, რამდენჯერმე გაგზავნილი იქნა მიმართვა (პირველად გაიგზავნა 2007 წლის 14 მარტს 797/04-4/0368-07, რაზეც 13 აპრილს გაიგზავნა შეხსენება #1123/04-4/0368-07, 23 აპრილს გაიგზავნა (ხელზე ჩაბარებით) მეორე მიმართვა #1215/04-4/0368-07, იხ. დანართი) სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, თუ რა სამართლებრივი საფუძვლებით ეზღუდებოდა დარეჯან მეფარიშვილს დეპარტამენტის შენობაში შესვლა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, ასევე-იყო თუ არა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან აღნიშნული დროისათვის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან პირველად ინფორმაცია შემოვიდა მიმდინარე წლის 19 აპრილს, განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ ერთი თვის განმავლობაში დარეჯან მეფარიშვილი სამსახურში იმყოფებოდა მხოლოდ სამი დღით. 2 მარტს, 22 და 23 მარტს მასზე გაცა შენობაში შესასვლელი ერთჯერადი საშვები, რომლითაც დარეჯან მეფარიშვილს საშუალება მიეცა, მიემართა მხოლოდ კადრების განყოფილებისათვის. 2 მარტს გაცემული საშვის ასლზე წუთობრივად არ ჩანს, მაგრამ სამსახურის შენობაში ყოფნის დრო არ აღემატება ერთ საათს, 22 მარტს დარეჯან მეფარიშვილი სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის შენობაში იმყოფებოდა 18 წუთით. შესვლის დრო 16:07, გასვლის დროდ მითითებულია 16:25. ხოლო 23 მარტს იმყოფებოდა 15 წუთით, შესვლის დრო 14:30, გასვლის დრო 14:45 (იხ. დანართი). შესაბამისად, ერთჯერადი საშვი ვერ ჩაითვლება დეპარტამენტის თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად, შენობაში მცირე დროით შესვლა კი სამსახურის შესრულებად, რაც თავის მხრივ ადასტურებს დარეჯან მეფარიშვილის განმარტებას, რომ არ მისცეს საშუალება შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი უფლებამოვალეობები. თავის მხრივ დარეჯან მეფარიშვილმა 2007 წლის 23 აპრილს მეორედ მოგვმართა განცხადებით (0368-07/1), სადაც აღნიშნულია, რომ ერთი თვის

მანძილზე არაერთხელ მიმართა სასჯელადსრულების დეპარტამენტს, ოთხჯერ მოგმართათ განცხადებით მისი უფლებების დასაცავად, მაგრამ არც დახმარება გაუწიეს და ვერც პასუხი მიიღო. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან იკვეთება, რომ სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე დეპარტამენტის კადრების განყოფილებამ განზრახ შეუზღუდა დარეჯან მეფარიშვილს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების შესაძლებლობა.

“საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება საჯარო მოსამსახურის უფლებები და გარანტიები. ამ მუხლის 1 პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს: “მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ ტექნიკური საშუალებები და პირობები.“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და წარმოადგენს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოქმედება მასზე ვრცელდება, გარდა თავისი საქმიანობის იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის “გ“ პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას:

“სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას.“

ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, რომლის მიხედვით “დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.“

შრომითი ურთიერთობისას რაიმე დისკრიმინაციის დაუშვებლობას კიდევ უფრო განამტკიცებს ის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლის მონაწილედ საქართველოა და რომელიც წარმოადგენს უშუალოდ მოქმედ სამართალს. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლისა და “ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, მათ გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. “შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ კონვენციის 1(b) მუხლის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი დისკრიმინაცია მოიცავს: “ბ) ყოველგვარ სხვა განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას, და რომელსაც შესაბამისი წევრი განსაზღვრავს მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასეთები არსებობს და სხვა შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციით.“

“ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც კონვენცია ძალაშია, კისრულობს ვალდებულებას განსაზღვროს და განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით წახალისოს შესაძლებლობების და მოპყრობის თანასწორობა შრომისა და დასაქმების სფეროში, რათა აღმოფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია“ (მუხლი 2).

ზემოხსენებული კონვენციების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა გმობს შრომითი ურთიერთობისას რაიმე ფორმით დისკრიმინაციას, მათ შორის ამ საფუძვლით დასაქმებულის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. დისკრიმინაციის ტერმინის ამომწურავ განმარტებას იძლევა “საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლი. ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად ასევე ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. სწორედ ამ მუხლის მე-4 ნაწილით გამოხატულ მოქმედებას ჰქონდა ადგილი მოცემულ შემთხვევაში, რადგან როგორც დარეჯან მეფარიშვილი განმარტავს, არ უშვებდნენ სამსახურის შენობაში და შესასვლელში ალოდინებდნენ დიდი ხნის განმავლობაში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ასეთი საქციელი რა თქმა უნდა დამამცირებელი და შეურაცმყოფელი იყო დარეჯან მეფარიშვილისთვის, როგორც საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ჟურნალისტისათვის.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 23 იანვრის #12 §1 ბრძანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გამოცხადდა რეორგანიზაცია. “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 12 მარტის #1889 ბრძანებით გაუქმებული იქნა პრესცენტრის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული (იხ. დანართი, ოქმი 23.03.2007). შტატის გაუქმება განხორციელდა დარეჯან მეფარიშვილის სამსახურში არყოფნის პერიოდში 2-დან 22 მარტამდე და ეს გადაწყვეტილება უშუალო გავლენას ახდენდა მის შრომით უფლებებზე. მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოჰყვა გარკვეული სამართლებრივი შედეგები და იგი კანონით დადგენილი წესით უნდა გაეცნოთ მოქალაქისათვის, რაც ასევე არ განხორციელდა. ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 3 აპრილის #1141 ბრძანების თანახმად, დარეჯან მეფარიშვილი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

დარეჯან მეფარიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერ საფუძვლად გათავისუფლების ბრძანებაში მითითებულია სამსახურის რეორგანიზაციით გამოწვეული შტატების შემცირება, “პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის მე-2¹ პუნქტი, “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1 და მე-3 პუნქტები, 108-ე მუხლის პირველი პუნქტი და 109-ე მუხლის პირველი პუნქტი. ასევე, “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხის

დამტკიცების შესახებ“. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 12 მარტის #1889-ე ბრძანება.

“საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება, გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე.“ დარეჯან მეფარიშვილი თვლის, რომ შტატების შემცირება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარმოადგენდა მხოლოდ საბაზს და შემცირებას რეალურად ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული საკითხი მოითხოვს შესწავლას და სათანადო შეფასებას.

რადგან, “საჯარო სამსახურის შესახებ“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მოხელის გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო დათხოვნასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კადრების განყოფილებამ წარმოადგინა 2 მარტს შედგენილი დარეჯან მეფარიშვილის გაფრთხილების ოქმი მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ. დარეჯან მეფარიშვილი განმარტავს საწინააღმდეგოს და აღნიშნავს, რომ ამ დღეს მცირე დროით იმყოფებოდა შენობაში (ამის შემოწმება საშვით შეიძლება) და მისთვის ოქმი გასაცნობად არავის წარუდგენია. ოქმში ამასთანავე შეცდომით არის მოხსენიებული დეკრეტული შვებულების შეწყვეტის ბრძანების თარიღი და 2 მარტის ნაცვლად მითითებულია 3 მარტი. ოქმის შედგენის დღეს 2 მარტს შეუძლებელია ვინმეს სცოდნოდა მომავალი დღის 3 მარტის ბრძანების არსებობის შესახებ. შეცდომა არ იქნა გასწორებული კადრების სამმართველოს ოთხი თანამშრომლის მიერ, რომლებმაც თავიანთი ხელმოწერებით დაადასტურეს აღნიშნული ოქმის შედგენა და მისი სისწორე. ამდენად, განმცხადებელი სადავოდ ხდის აღნიშნული ოქმის ნამდვილობას და ოქმის მისთვის გაცნობას. საქმეში ამასთან ერთად წარმოდგენილია სხვა ოქმებიც. 22 მარტს შედგენილ ოქმში აღნიშნულია, რომ დარეჯან მეფარიშვილს შეთავაზეს ალტერნატიული თანამდებობა დეპარტამენტის რეფორმებისა და სტრატეგიული დაგეგმარების განყოფილების სპეციალისტის თანამდებობა. რასაც კადრების განყოფილება თვლის ტოლფას (ოფიცრის) თანამდებობად. ვინაიდან, პრეს-სამსახურის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული წარმოადგენდა ოფიცრის თანამდებობას (იხ. დანართი, #0/5/8-5708 17.04.2007). უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირება განისაზღვრება “საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით: უმცროსი საჯარო თანამდებობა, უფროსი საჯარო თანამდებობა, წამყვანი საჯარო თანამდებობა, მთავარი საჯარო თანამდებობა (ჩამონათვალი მოყვანილია რანგის ზრდის მიხედვით). ხოლო ლეინტენანტი წარმოადგენს ოფიცრის წოდებას და არა თანამდებობას.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დღემდე არ მოუხდენია საბოლოო ფინანსური ანგარიშსწორება დარეჯან მეფარიშვილთან, რომლის განმარტებით, არ მიუღია მარტის თვის კუთვნილი ხელფასი და “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია, ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. 2007 წლის 3 აპრილის #1141 ბრძანებაში კი აღნიშნულია, რომ სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა 109-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დეკრეტული შევებულებიდან სამსახურში გასვლის შემდეგ უხეშად დაირღვა მოქალაქე დარეჯან მეფარიშვილის შრომითი და მოქალაქეობრივი უფლებები, რაც გამოიწვია მის მიმართ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელობის და კადრების განყოფილების ზოგიერთი თანამშრომლის მხრიდან დისკრიმინაციის გამომწვევმა ქმედებებმა. „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ამდენად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გაეგზავნა რეკომენდაცია, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ მუხლის მიხედვით ბათილად ეცნოთ დარეჯან მეფარიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 3 აპრილის #1141 ბრძანება, როგორც კანონსაწინააღმდეგო. დარეჯან მეფარიშვილის უფლებათა და კანონის მოთხოვნათა დაცვით მიეღოთ საკითხზე ახალი გადაწყვეტილება, გამოცემულიყო ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და აღედგინათ დარეჯან მეფარიშვილი შესაბამის თანამდებობაზე. ამასთანავე, 21-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, გაიგზავნა წინადადება, გატარებულიყო დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სათანადო ზომები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც შესაძლოა მოქმედებდნენ კონკრეტული თანამდებობის პირების მითითებით და თავიანთი მოვალეობების განზრახ შეუსრულებლობით არ მისცეს დარეჯან მეფარიშვილს სამსახურის შესრულების შესაძლებლობა და უხეშად დაარღვიეს მისი უფლებები.

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მივიღეთ რეკომენდაციის პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ საქმის მასალები შესასწავლად და სათანადო რეაგირებისათვის გადაეცა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც მოგვიანებით შეწყვიტა სამსახურებრივი შემოწმება, რადგან ცნობილი გახდა რომ საქმე განსახილველად წარმოებაში მიიღო სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო თვლის, რომ სამინისტრო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს დაირღვა თუ არა მოსამსახურის უფლებები სადაო ადმინისტრაციული აქტით, მის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. 2007 წლის 20 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მოქალაქე დარეჯან მეფარიშვილის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილი სახალხო დამცველის რეკომენდაციის პასუხი (#01/23/16-5990, 13.07.07წ.), სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით სასამართლო წარმოებაშია, რის გამოც სამსახურებრივი შემოწმება შეწყვეტილ იქნა.“

საქართველოს ნორმატიული აქტებისათვის დადგენილი იურიდიული ძალის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუცია და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი იერარქიულად მაღლა დგას საქართველოს სხვა კანონებთან შედარებით. ხოლო თავისი არსით სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ საჩივარს და იგი მიზნად ისახავს ქვეყანაში ადამიანის დარღვეულ უფლებათა აღდგენას. ადამიანის ძირითად უფლებებს, ამასთანავე, ცნობს და იცავს საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ადამიანის წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, ხოლო ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

სამწუხაროდ, ისეთ შემთხვევებში, როცა საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მსგავსი რეკომენდაციების სამართლებრივი ბუნება არამართებულად არის აღქმული და სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე ვღებულობთ უარს სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონო საფუძვლით. ადმინისტრაციული ორგანოები ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლით, რომლის თანახმად „ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.“ ადმინისტრაციული საჩივარი კი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენს „დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილ წერილობით მოთხოვნას დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის...“.

ადმინისტრაციული საჩივარსა და სახალხო დამცველის რეკომენდაციას შორის არის დიდი განსხვავება მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით. სახალხო დამცველი ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ჩვეულებრივ დაინტერესებულ პირად, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და მისი რეკომენდაციის გაიგივება ადმინისტრაციულ საჩივართან დაუშვებელია.

შაქრო კობაიძის საქმე

სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე შაქრო კობაიძემ, რომელსაც უარი უთხრეს სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებაზე, წარსულში ნასამართლობის გამო, რომელიც განცხადების დაწერის მომენტისათვის გაქარწყლებული იყო.

საქმის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი: საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის საკადრო საკითხთა სამმართველომ შაქრო კობაიძის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დაადგინა მისი ნასამართლობა 1991, 1998 და 1999 წლებში და მას „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სისტემაში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც ნასამართლობის მქონე პირს, უარი უთხრა სასაზღვრო პოლიციაში მიღებაზე.

შაქრო კობაიძეს სასჯელის ვადა 2000 წლის 14 აგვისტოს ამოეწურა და დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად, „სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არ მქონედ.“ ამასთანავე, ამავე მუხლის მე-3. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნასამართლობა გაქარწყლდება „ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ“.

რადგან სასაზღვრო პოლიციის კადრების სამმართველომ ამ პასუხით, მოქალაქე შაქრო კობაიძეს უარი უთხრა სამუშაოდ მიღებაზე, შეილახა მისთვის კანონითა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული უფლებები, შეეზღუდა მას სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირების შესაძლებლობა.

სახალხო დამცველმა საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე რეკომენდაციით მიმართა საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსს. რათა ხელახლა შეესწავლათ შაქრო კობაიძის სასაზღვრო პოლიციაში დასაქმების საკითხი.

რეკომენდაციის პასუხად, სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ხელმოწერით მიღებულ N38-2/3-294 წერილში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაცია არ ეთანხმება „ნასამართლობის“ სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით დადგენილ განმარტებას და მიუთითა, რომ იხელმძღვანელა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სისტემაში სამსახურის გავლის წესის მე-7 მუხლით“. რასაც სახალხო დამცველი არ დაეთანხმა, რადგან მითითებული დებულება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად „სისხლის სამართლის კოდექსსა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს ამ აქტთან შედარებით აქვს უპირატესი იურიდიული ძალა და იერარქიულად დებულება მათზე მაღლა ვერ დადგება. ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოშველიებაც, სადაც საუბარია რომ „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი

ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას” არანაირ კავშირში არ არის მოქალაქის სამსახურში მიღებასთან და მას სხვა სამართლებრივი დატვირთვა აქვს.

წერილში სასაზღვრო პოლიციის სამსახურის უფროსი უთითებს, რომ დებულებაში სიტყვა „ნასამართლევნი პირი“ იმ შინაარსითაა გამოყენებული, როგორც ეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონშია განმარტებული. ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ეჭვქვეშ დააყენა ამ დებულების მართლზომიერება და კანონშესაბამისობა, რადგან სამართლებრივ ლიტერატურაში, არც საქართველოში და არც საერთაშორისო სივრცეში არ არსებობს ისეთი პრეცედენტი, როცა კანონზე მაღლა დადგა ნებისმიერი წიგნი ან ნაწარმოები, თუნდაც ეს იყოს ამ ქვეყნის განმარტებითი ლექსიკონი. იქვე იყო მითითება, რომ აღნიშნული სამსახურის მიერ გატარებული ლოგიკა ეწინააღმდეგებოდა სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.

რაც შეეხება კონკურსის წესით კანდიდატთა შერჩევას, სახალხო დამცველმა გაიზიარა უწყების მოსაზრება, რომ კანდიდატების შეფასება უნდა მოხდეს კომპეტენტური კომისიის მიერ და შესაძლებელია ასეთ კონკურსზე გამოვლინდეს უფრო უკეთესი კანდიდატურა, ვიდრე შაქრო კობაიძეა. მოცემულ შემთხვევაში კი მიიჩნია, რომ სამსახურში მიღებაზე უარის თქმა იყო უკანონო და დისკრიმინაციული, რადგან უარის თქმის საფუძველად მითითებული იყო მოქალაქის ნასამართლობა. საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტისა და “ვ” ქვეპუნქტის თანახმად სახალხო დამცველმა იმავდროულად დააყენა მოთხოვნა ემსჯელათ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობაზე, ვინც კანონი არასათანადოდ განმარტა.

რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა. მიზეზად სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციამ კვლავ ნასამართლობა დაასახელა.

ნინო ოქროჯანაშვილის, ნანული მარკოიშვილის, ქეთევან გეგეშიძის, გულსუნდა ცოტაძისა და მედეა აზარაშვილის საქმე

2007 წლის 19 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმმართეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის “მონიტორინგისა და პროგნოზირების” ცენტრის ყოფილმა თანამშრომლებმა ნინო ოქროჯანაშვილმა, ნანული მარკოიშვილმა, ქეთევან გეგეშიძემ, გულსუნდა ცოტაძემ და მედეა აზარაშვილმა. მათ არასამართლიანად მიიჩნიეს 2007 წლის 15 იანვარს ზემოაღნიშნულ ცენტრში ჩატარებული კონკურსის შედეგები და მოითხოვეს თავიანთი კანონიერი და დარღვეული უფლების აღდგენა. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან და განმცხადებელთა განმარტებებით გაირკვა, რომ “მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრმა” კონკურსი მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით გამოაცხადა, თუმცა მსვლელობის პროცესში მთელი რიგი კანონშეუსაბამო ქმედებები გამოიკვეთა.

კერძოდ: მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის უფროსის 2007 წლის 15 იანვარის N7 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის რეგლამენტის მე-2 მუხლის (“კომისიის ამოცანა და ფუნქციები”) მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ამოცანაა “პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისების შეფასების პროცედურის წარმართვა”. კონკურსანტებს უნდა ჰქონოდათ უმაღლესი განათლება, შესაბამისი პროფილით მუშაობის არაუმეტეს 5 წლისა და არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, ქართული ენის, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის მსვლელობისას შედგენილ ოქმებში კონკურსანტთა ამ თვისებებმა ასახვა ვერ ჰპოვა. ამ დოკუმენტიდან შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს ან დააკმაყოფილეს კონკურსანტებმა.

მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ადმინისტრაციამ 2007 წლის 15 იანვარის N7 ბრძანებით საკონკურსო კომისია შვიდი კაცის შემადგენლობით დაამტკიცა. მოგვიანებით, 2007 წლის 30 დეკემბერს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, ოფიციალური ბრძანების გარეშე, ორი წევრი დაემატა;

კონკურსანტები რამაზ ჭითანავა და ემილ წერეთელი. მათ კონკურსი 29 იანვარს გაიარეს, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტისა და ბუნების სტიქიური პროცესების საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური კვლევების სამმართველოს უფროსის ვაკანსიების დასაკავებლად, ხოლო აღნიშნულ თანამდებობაზე მათი დანიშვნა მოხდა 2007 წლის პირველი თებერვლის N46/კ ბრძანებით. მათ კონკურსში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, როგორც თანამდებობის პირებს, თუმცა ფაქტობრივად, კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს არაუფლებამოსილმა პირებმა, რომელთაც იმ მომენტისათვის არ შეეძლოთ გადაეწყვიტათ იმ კონკურსანტთა ბედი, რომლებიც კონკურსში მონაწილეობდნენ, როგორც მათი დეპარტამენტისა და სამმართველოს დაქვემდებარებაში შემავალი პირები. შესაბამისად, ამ მომენტისათვის ჩატარებული კენჭისყრის შედეგები ვერ

იქნებოდა ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი, რადგან “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის თანახმად, “ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად და ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე”. ამკარაა, რომ კონკურსანტთა მიმართ დაირღვა ამ კანონის მოთხოვნები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპები.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, 2007 წლის 31 იანვარს საკონკურსო კომისია შეკრებილი იყო სრული შემადგენლობით, (9კაცი), თუმცა განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი N3 ოქმის ქსეროასლს, რაც ბეჭდითა და ხელმოწერითაა დამოწმებული-“ასლი დედანთან სწორია”, სხდომის ბოლოს კომისიის ექვსი წევრი აწერს ხელს. მას მერე, რაც საქმის შესწავლის მიზნით, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან ოფიციალურად მოხდა შესაბამისი მასალებისა და დოკუმენტების გამოთხოვა, აღმოჩნდა, რომ 31 იანვრის ოქმს ხელს კომისიის ცხრავე წევრი აწერს. ეჭვის ქვეშ დგება ოქმის კანონიერება, რაც სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რადგან 2007 წლის 15 იანვარს საჯარო სამართლის იურიდიული პირის “მონიტორინგისა და პროგნოზირების” ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსი ჩატარდა მთელი რიგი კანონდარღვევებით, რასაც მოჰყვა კონკურსანტთა უფლებების შელახვა სახალხო დამცველმა “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21- ე მუხლის შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ეხელმძღვანელა ამავე ცენტრის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილებით, რომლის თანახმად “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი უფლებამოსილია სამსახურებრივი ზედამხედველობის წესით შეაჩეროს ან გააუქმოს ცენტრის უფროსის გადაწყვეტილება, მათ შორის, მიზანშეწონილობის მოტივით”, შეესწავლა ჩატარებული კონკურსის შედეგები და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა. სამინისტროს პოზიცია აღნიშნულზე იყო შემდეგი: „კონკურსი არ ჩატარებულა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევით და არ არსებობს მისი შედეგების გაუქმების არც სამართლებრივი საფუძველი და არც მიზანშეწონილობის მოტივი.”

მაია სიღამონიძის საქმე

2007 წლის 10 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმმართა მოქალაქე მაია სიღამონიძემ. განმცხადებლის განმარტებით, ის მონაწილეობდა სკოლის დირექტორთა შესარჩევ კონკურსში. გადალახა 20%-იანი ბარიერი და “საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარსადგენ კანდიდატთა განაწილების” ინსტრუქციის პირველი პუნქტის თანახმად მოიპოვა საკონკურსო ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში სასურველი საჯარო სკოლის არჩევის უფლება. მაია სიღამონიძემ არჩევანი შეაჩერა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის საჯარო სკოლაზე, სადაც მას 14 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის N438 ბრძანების საფუძველზე დირექტორობის კანდიდატი მაია სიღამონიძე, სხვა კანდიდატთან ერთად ასარჩევად წარედგინა ახაშენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს. 7 ივლისს გამართულ არჩევნებზე სამეურვეო საბჭომ, ხმათა არასაკმარისი რაოდენობის გამო, წარდგენილი კანდიდატებიდან დირექტორად ვერცერთი კანდიდატი აირჩია.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით გაირკვა, რომ დირექტორობის კანდიდატების შესარჩევი საარჩევნო კამპანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ახაშენის საჯარო სკოლაში კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით მიმდინარეობდა, რითაც შეილახა კონკურსანტის მაია სიღამონიძის შრომითი უფლებები. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სამეურვეო საბჭოებისთვის დირექტორების არჩევნებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოდ გამოცემულ სპეციალურ გზამკვლევში ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ სამეურვეო საბჭოებს კანდიდატების სამოქმედო პროგრამის პრეზენტაცია უნდა ჩაეტარებინათ მინისტრის მიერ მათი წარდგენიდან მე-15 კალენდარულ დღეს.

სამეურვეო საბჭოს წევრებს უფლება ჰქონდათ პროგრამის გარშემო კითხვები დაესვათ პრეზენტაციაზევე, ან ჩაენიშნათ ეს კითხვები და მასზე პასუხი შემდეგ ეტაპზე, გასაუბრებაზე მოესმინათ კანდიდატისგან. პროგრამის შეფასების შედეგები სამეურვეო საბჭოს უნდა აესახა სხდომის ოქმში, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო კანდიდატის მიერ უშუალოდ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი საკითხები, საბჭოს წევრების შეკითხვები კანდიდატის მიმართ და ამ უკანასკნელის პასუხები.

პროცედურულად ახაშენის საჯარო სკოლაში პროგრამის პრეზენტაცია 2 ივლისს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა სამეურვეო საბჭომ, როგორც ეს მათ მიერ 2007 წლის 7 ივლისს შედგენილი N7 სხდომის ოქმის დღის წესრიგიდან ჩანს, ერთ დღეში ჩაატარა კანდიდატთა პროგრამის პრეზენტაცია, გასაუბრება და არჩევნები, რაც პროცედურის უხეში დარღვევაა. შვიდ წევრიანი სამეურვეო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მე-3 საფეხურის (მე-11 კლასი) მშობელი თინა ილაშვილი, რომელსაც უფლებამოსილება ამოეწურა 2007 წლის 16 ივნისს, როგორც კი მე-11 კლასელთათვის სასწავლო პროცესი დასრულებულად გამოცხადდა. “საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ” დებულების 39-ე მუხლის “გ” პუნქტის თანახმად,

სამეურვეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება, თუ “მოსწავლე, რომლის წარმომადგენლადაც ის ითვლება, გაირიცხა/ამოირიცხა სკოლიდან ან პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელს შეუწყდა სკოლასთან შრომითი ურთიერთობა.”

თავის მხრივ, ამ დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: “სამეურვეო საბჭო ვალდებულია სამინისტროს დაუყოვნებლივ აცნობოს სამეურვეო საბჭოს წევრის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლის დადგომის თაობაზე,” რაც არ გააკეთა ახაშენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ და 7 ივლისს, დირექტორთა არჩევისას კენჭისყრაში მონაწილეობა მიაღებინა არაუფლებამოსილ წევრს. არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია თვითმმართველობის წარმომადგენელს, მე-10 კლასის მოსწავლეს მარიამ მინდიაშვილს. სამეურვეო საბჭომ მას საერთოდ იგნორირება გაუკეთა, როცა N7 ოქმში გრაფაში “ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კენჭისყრის დღემდე” შვიდის ნაცვლად დააფიქსირა ექვსი წევრი, რაც პროცედურის კიდევ ერთი უხეში დარღვევაა.

დარღვევებითვე ჩაატარა სამეურვეო საბჭომ წარდგენილ კანდიდატთა გასაუბრების პროცესიც. პროცედურა, თუ როგორ უნდა წარმართულიყო გასაუბრება, ჩამოყალიბებული იყო გზამკვლევაში. მასში აღნიშნულია, რომ საბჭოს წევრებს უფლება ჰქონდათ, დაესვათ ნებისმიერი კითხვა, რომელიც ეხებოდა სკოლის ფუნქციონირებას და დააზუსტებდა კანდიდატის მიერ წარდგენილი პროგრამის განხორციელების გზებს, საშუალებებს ან ხელისშემშლელ პირობებს. გასაუბრების პროცესში კანდიდატებს უნდა შექმნოდათ კომფორტული სამუშაო გარემო. სამეურვეო საბჭოს წევრებს თავი უნდა შეეკავებინათ რესპოდენტთან შეკამათებისგან, არ უნდა დაეშვათ საწინააღმდეგო აზრის მტკიცების პრეცედენტი. კონკურსანტისთვის არ უნდა დაესვათ კითხვები, რომელიც პირად ცხოვრებას ეხებოდა.

საქმეში წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, ცალსახაა, რომ კონკურსანტები სრული წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ოქმი ისეა აგებული, რომ კითხვას მოსდევს კანდიდატის პასუხი, პასუხს კი სამეურვეო საბჭოს კომენტარები, სადაც იკვეთება კანდიდატისადმი არაკეთილგანწყობა და ხშირ შემთხვევაში პატივისა და ღირსების შემლახავი მომენტები. მაგალითად, კითხვაზე “როგორი ლიდერი სჭირდება 21-ე საუკუნის სკოლას და თუ გაგაჩნიათ თქვენ ეს თვისება?” კანდიდატი პასუხობს: “ლიდერი უნდა იყოს ობიექტური, კომუნიკაბელური და თავის საქმეზე თავდადებული”. საბჭოს წევრები კანდიდატის თანდასწრებით აკეთებენ კომენტარს: “კანდიდატი შეიძლება თეორიულად განმარტავს საკითხს, მაგრამ პრაქტიკულად თავისი მუშაობის პერიოდში არ გამოუვლენია ეს თვისება. არავის ახსოვს პირადი საქციელით მაგალითის მიმცემი ყოფილიყოს”.

კითხვაზე “ქვეყანაში მომძლავრებული მოსწავლეთა კრიმინალური პრობლემების საწინააღმდეგოდ ბრძოლის რა მეთოდები გაქვთ გათვლილი?” კანდიდატი პასუხობს: “ასეთ მოსწავლეებთან ბრძოლის მეთოდად მიმაჩნია მათი სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. გამოჩენილი ხელმძღვანელი პირების მოწვევა, მათთან შეხვედრა და საუბარი”. პასუხზე სამეურვეო საბჭოს წევრების კომენტარია: “სამეურვეო საბჭოს მიაჩნია, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური

ორიენტაცია არა მარტო სპორტულ ღონისძიებებზე ყოფილიყო გათვლილი, არამედ პატრიოტული ბანაკების შექმნაზეც, რომელიც დაფინანსებული იქნებოდა სკოლის ბიუჯეტიდან. სადაც უფროსკლასელებს საშუალება ექნებოდათ, უკეთ გასცნობოდნენ საქართველოს მიწა-წყალს”.

ოქმის მთელი შინაარსი იმ კითხვებზეა აგებული, რაც არ გამომდინარეობს პროგრამიდან და მასში კითხვის ადრესატების მხრიდან კანდიდატებისადმი კეთილგანწყობა ნამდვილად არ იგრძნობა. ოქმში აქცენტები არასწორადაა გაკეთებული. კერძოდ: რომ კანდიდატს არ აღმოაჩნდა “ორატორული ნიჭი”, “სანდო წყაროზე დაყრდნობით გაიგეს, თუ რატომ უნდოდა კანდიდატს ახაშენის საჯარო სკოლის დირექტორობა” და ა.შ. სამეურვეო საბჭოს მხრიდან საკითხისადმი არასერიოზულ და არამართლზომიერ ქმედებაზე მეტყველებს.

გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მის ერთ-ერთ წევრს, ნ.ყაჭიურს არ მიეცა კანდიდატ მაია სიდამონიძეზე გამოთქმული განსხვავებული აზრის ცალკე, დანართის სახით ოქმში დაფიქსირების შესაძლებლობა, რაც პროცედურით გათვალისწინებული იყო. ამასთანავე გასაუბრებას ესწრებოდა მოქალაქე გელა მთივლიშვილი, როგორც დამკვირვებელი, რაც პროცედურის კიდევ ერთი უხეში დარღვევაა. გასაუბრება უნდა ჩატარებინა სამეურვეო საბჭოს და მასზე სხვა პირის დასწრება, მით უფრო დამკვირვებლის სტატუსით, დაუშვებელი იყო.

ამასთანავე დამკვირვებელს, როგორც არჩევნების მონაწილე სუბიექტს, განსაზღვრული ჰქონდა უფლება-მოვალეობები და მას ეკრძალებოდა პირდაპირი ან ირიბი ჩარევა სამეურვეო საბჭოს ფუნქციასა და საქმიანობაში, ნებისმიერი ფორმით გავლენა მოეხდინა ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე (გზამკვლევი, გვ:მე-18, მე-2 პუნქტის “ა” და “ბ” ქვეპუნქტი). ფაქტობრივად კი დამკვირვებელი, არა მხოლოდ მონაწილეობდა გასაუბრების პროცესში, მეტიც, მან არაერთხელ მისცა შენიშვნა აზრის გამოთქმისას სამეურვეო საბჭოს წევრს, ნ. ყაჭიურს, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო. ის, რომ სამეურვეო საბჭოს 7 ივლისის N7 ოქმში აღნიშნულია, რომ “კანდიდატ სიდამონიძეს არა აქვს პრობლემებში წვდომის უნარი, არაფრისმთქმელია მისი ფრაზები, კანდიდატი ინდიფერენტულია, უმადურია, არაკოლეგიალურია, ტოვებს უსუსურ შთაბეჭდილებებს, სკოლას ასეთი დირექტორი არ შეეფერება,” მეტყველებს სამეურვეო საბჭოს მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე და პირად შეურაცხყოფაზე. სამეურვეო საბჭოს მთელი საარჩევნო კამპანია დირექტორების კანდიდატების პროგრამის გარშემო უნდა ეწარმოებინა და სამეურვეო საბჭოს წევრებს წარდგენილი კანდიდატების არჩევისას გადაწყვეტილება კანდიდატის მიერ წარდგენილი პროგრამის საფუძველზე, საჯარო სკოლაში არსებული საჭიროებების გათვალისწინებით უნდა მიეღოთ. სწორედ ამ პროცედურების იგნორირებით ჩატარდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ახაშენის საჯარო სკოლაში არჩევნები, რითაც დაირღვა თავისუფალი და და თანასწორი არჩევის პრინციპი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გადაეხედა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ახაშენის საჯარო

სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2007 წლის 7 ივლისს ჩატარებული არჩევნების შედეგები და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60 პრიმა მუხლის თანახმად ეცნო ის ბათილად.

რეკომენდაცია არ დაკამყოფილდა. სამინისტროდან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორთა არჩევნების მიმდინარეობის პროცესში არსებით პროცედურულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რაც შედეგების ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.“ თუმცა როგორც წერილშია აღნიშნული, რადგან გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ არ შეასრულა მასზე „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები ახაშენის საჯარო სკოლას მიეცა გაფრთხილება.

სამხატვრო აკადემიის საქმე

2007 წლის 26 ივნისს განცხადებით მომმართეს სამხატვრო აკადემიის აბიტურიენტებმა: მზეონა ზუმბაძემ, ანა წერეთელმა, ქეთევან ჯანგავიძემ, ქეთევან თვაურმა და მარიამ ცერცვაძემ. განმცხადებელთა განმარტებით, ისინი მონაწილეობას იღებდნენ აკადემიაში 18 ივნისს გამართულ 2007 წლისათვის აბიტურიენტთა მისაღებ შემოქმედებით კონკურსში. საკონკურსო კომისიამ მათი ნამუშევრები შეაფასა “0” ქულით, რამაც კონკურსანტთა პროტესტი გამოიწვია.

საქმის მასალების მიხედვით, კონკურსის წესი, პირობები და მასში მონაწილე ყველა სუბიექტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრა აკადემიის რექტორის 25 აპრილის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი საკონკურსო დებულებით.

აღნიშნულ პროცესებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პასუხისმგებლობა დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად იყო “მხოლოდ კონკურსის სამართლიანი და ხარისხიანი ორგანიზება, ობიექტური შეფასება და კონკურსის შედეგების დროული მიწოდება”. კონკურსის მსვლელობისას ზემოაღნიშნულ კონკურსანტებთან მიმართებაში დებულების სწორედ ეს მოთხოვნა დაირღვა, შემდეგ გარემოებათა გამო:

დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თითოეული საკონკურსო ნამუშევარი შემფასებელი კომისიის მიერ ასქულიანი სისტემით ფასდებოდა, რაც გულისხმობდა ნულიდან ას ქულამდე დიაპაზონში შეფასებას. დებულების მიხედვით არ იყო განსაზღვრული, რა შემთხვევაში ფასდებოდა შემოქმედებითი ნამუშევარი ნული ქულით. საკონკურსო კომისიის ვარაუდი, აბიტურიენტებმა არ შეასრულეს საკონკურსო დავალება და შესაბამისად მათი ნამუშევრები შეფასდა ნული ქულით,” ჩემს მიერ არ იქნა გაზიარებული.

თსსა რექტორის მიერ დამტკიცებული კომპოზიციის შესაბამისად, საკონკურსო მოცემულობა იყო “ნატურმორტი”. ყველა ზემოთხსენებულმა განმცხადებელმა ეს დავალება შეასრულა და ის რომ მათ დავალების რაღაც ნაწილი შეცვალეს, როგორც ამას განცხადებაში მიუთითებდნენ, დებულების მიხედვით ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა ნამუშევრის ნული ქულით შეფასების საფუძველი. ერთადერთი მართლზომიერი მოქმედება ამ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი შეფასებისას, დავალების არც თუ მნიშვნელოვანი დეტალის შეცვლის გამო, მათ გარკვეული ქულები ჩამოკლებოდათ. მაგრამ დავალების ის ნაწილი, რაც კონკურსანტებმა წინასწარ განსაზღვრული კომპონენტების დაცვით შეასრულეს, შეუფასებელი არ უნდა დარჩენილიყო.

საკონკურსო დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ნათლადაა ჩამოყალიბებული ყველა ის მოქმედება, რაც კონკურსის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალებოდა. აკრძალული მოქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, “აბიტურიენტს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ოქმით”. ამ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, “შემოქმედებითი კონკურსის ნამუშევარი შეიძლება მოიხსნას კონკურსიდან საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით

საკონკურსო დავალების შეუსრულებლობის ან მაიდენტიფიცირებელი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი.” დებულების თვით ეს ჩანაწერიც კი არ იძლეოდა შემოქმედებითი ნამუშევრის ნული ქულით შეფასების შესაძლებლობას და რომც ვივარაუდოთ, რომ მსგავსმა ვითარებამ განაპირობა კონკურსანტთა ნამუშევრების შეფასების არსებული შედეგი, საქმის მასალებში არ არსებობდა დებულებით გათვალისწინებული ამის ამსახველი ოქმები.

უფრო მეტიც, დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, სადაც საუბარი იყო დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობაზე, არაფერი იყო ნათქვამი ტერმინზე საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელი და არც მის უფლებამოვალეობებზე. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც მიღებულ იქნა საკონკურსო დებულებით განსაზღვრული უფლებებისაგან განსხვავებით, იყო არამართლზომიერი და კანონშეუსაბამო, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, “უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.”

აკადემიის პოზიცია, რომ „კომპოზიციის შერჩევასა და გათვალისწინება მრავალი სხვადასხვა ფაქტორი და მიმართულია ყველა იმ უნარის ასახვაზე, რასაც აბიტურიენტისაგან ელის აკადემია,” წინააღმდეგობაში მოდიოდა განმცხადებლებთან მიმართებაში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან, რადგან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, არამედ დავალების ერთი, ჩემი აზრით ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპონენტის არასათანადოდ შეუსრულებლობის გამო. აბიტურიენტებს კომპოზიცია, როგორც იყო მითითებული, თვითნებურად არ შეუცვლიათ. კომპოზიცია იყო ნატურმორტი და ერთი დეტალის-ამ შემთხვევაში სადგამის-შეცვლა (განმცხადებელთა თქმით, ტუმბო შეიცვალა მაგიდით) არ უნდა გაიგივებულიყო კომპოზიციის შეცვლასთან. შემოქმედებითი კონკურსის შეფასების კრიტერიუმი სრულად იძლეოდა შესაძლებლობას, ამ გადახვევისთვის კონკურსანტებს გარკვეული ქულათა ოდენობა დაკლებოდათ.

მას მერე, რაც კონკურსანტთა ნამუშევრები ნული ქულით შეფასდა, აბიტურიენტებმა აპელაციით მიმართეს საპრეტენზიო კომისიას.

შემოქმედებითი კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის წესი განისაზღვრა დებულების მე-14 მუხლით. თუმცა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერანაირად ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი, რადგან თსსა რექტორის 2007 წლის 15 ივნისის N038ს/ხ ბრძანებით, შემოქმედებითი კონკურსის შემფასებელი და სააპელაციო კომისიის შემადგენლობა ერთიდაიგივე წევრებით დაკომპლექტდა. განსხვავება იყო სააპელაციო კომისიის შემადგენლობის სამი წევრი, თუმცა, როცა კომისია გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებდა, ამ სამ ხმას არ შეეძლო არსებითი ზეგავლენის მოეხდენა გადაწყვეტილებაზე. ცხადია, იმ შემთხვევაში, როცა გასაჩივრებული ნამუშევრების ბედი უნდა გადაწყვიტა

ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს საპრეტენზიო კომისიის წევრებს, რომელთაც თავად შეაფასეს ეს ნამუშევრები, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერანაირად ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად: „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.”

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სამხატვრო აკადემიაში 2007 წლისათვის აბიტურიენტთა მისაღებ შემოქმედებით კონკურსზე დაირღვა კონკურსანტების მზეონა ზუმბაძის, ანა წერეთლის, ქეთევან ჯანგავიძის, ქეთევან თვაურისა და მარიამ ცერცვაძის უფლებები და “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა, სამხატვრო აკადემიის რექტორს და “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 62-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა ნაწილობრივ ბათილად ეცნოთ მათ მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი მზეონა ზუმბაძის, ანა წერეთლის, ქეთევან ჯანგავიძის, ქეთევან თვაურისა და მარიამ ცერცვაძის მიმართ.

ყურადსაღებია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაკმაყოფილდა. 2007 წლის 17 აგვისტოს ჩატარდა განმეორებითი შემოქმედებითი კონკურსი.

ამასთან, აღნიშნულ საკითხზე 2007 წლის 3 აგვისტოს იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც მოსარჩელების მზეონა ზუმბაძის, ანა წერეთლის, ქეთევან ჯანგავიძის, ქეთევან თვაურისა და მარიამ ცერცვაძის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბათილად სცნო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2007 წლის 18 ივნისის შემოქმედებითი კონკურსის შემფასებელი კომისიის შედეგები მოსარჩელეთა ნაწილში.

გერონტი გასვიანის საქმე

2007 წლის 19 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმმართა მოქალაქე გერონტი გასვიანმა. განმცხადებლის განმარტებით ის წლების განმავლობაში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ მუშაკად და განყოფილების გამგედ. მას არ მიეცა შესაძლებლობა ინსტიტუტში გამოცხადებულ კონკურსზე მიეღო მონაწილეობა, რითაც შეილახა მისი უფლება.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან მიღებულ პასუხებში აღნიშნული იყო, რომ გერონტი გასვიანმა მონაწილეობა მიიღო მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, თუმცა ვერ გაიმარჯვა. აქვეა მითითებული, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება არ არსებობს, რადგან “საკონკურსო დებულების და სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დროებითი წესდების შესაბამისად, კონკურსში ვერ გასული ავტომატურად ითვლება თანამდებობიდან გათავისუფლებილად.”

სახალხო დამცველმა მიიჩნია რომ, აღნიშნული პოზიცია მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, რადგან ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და არის ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციულმა ორგანომ კი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, როცა ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს უნდა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამდენად გერონტი გასვიანის გათავისუფლების თაობაზე თქვენ მიერ ბრძანების არ გამოცემა მოქმედი კანონის უხეში დარღვევაა.

მას მერე, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2007 წლის 26 მარტის N215 ბრძანებით ბათილად ცნო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული კონკურსის შედეგები, ცალკეული კანონდარღვევის გამო, ინსტიტუტის ადმინისტრაციას დაგეგალათ 2006 წლის 5 სექტემბრის N28 ბრძანების შედეგად შემოსული საკონკურსო განცხადებების საფუძველზე, 2007 27 აპრილამდე უზრუნველგეყოთ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ხელახლა ჩატარება, რაც გულისხმობდა კონკურსის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვით თავიდან ჩატარებას.

ინსტიტუტის ადმინისტრაციის არგუმენტი, რომ კონკურსის ჩასატარებლად ერთთვიანი ვადა იყო განსაზღვრული და დროის სიმცირის გამო ვერ ესწრებოდა კონკურსის თაობაზე განცხადების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელება, სახალხო დამცველმა არ გაზიარა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის თანახმად “ საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ამ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის წინადადებით გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" ან სხვა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აცხადებს სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსი ან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი შესაბამის ბეჭდვით ორგანოში; ამასთან, კანდიდატებს განცხადების შესატანად ეძლევათ ორკვირიანი ვადა შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.”

საქმის მასალების მიხედვით ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ხელახალი კონკურსი 2007 წლის 30 მარტს გამოცხადდა. ამ დროიდან ათვლილი პერიოდი სრულიად საკმარისი იყო, რათა კონკურსანტებს კანონის დაცვით მიეღოთ ინფორმაცია აღნიშნულზე და წარმოედგინათ ყველა საჭირო მასალა.

ოფიციალურ პასუხებში აღნიშნული იყო, რომ გერონტი გასვიანს განმეორებითი კონკურსის თაობაზე ტელეფონით მიიღო ინფორმაცია კადრების განყოფილების თანამშრომლის მიერ, რასაც კატეგორიულად უარყოფს განმცხადებელი. დადებით შემთხვევაშიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კონკურსის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის გავრცელების სატელეფონო ფორმას არ ცნობს. არამართლზომიერი ქმედების შედეგად კი გერონტი გასვიანმა კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღო.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომით დაირღვა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა.”

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლი სახელმწიფო და სხვა სტრუქტურებს ავალდებულებს საქმის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველს მიაწოდონ მის მიერ გამოთხოვილი მასალები. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია კი მხოლოდ ოქმის ამონაწერით შემოიფარგლა.

სახალხო დამცველი არ დაეთანხმა კომისიის წევრების მიერ გერონტი გასვიანის მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებს კონფიდენციალურობას და ინფორმაციის უცხო პირებზე, მათ შორის კონკურსანტებზე გაცემის დაუშვებლობის, თაობაზე და განმარტა, რომ ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხი კანონმდებლობითაა განსაზღვრული და არანაირი საკონკურსო დებულება, რომელიც აწესებს ამგვარ შეზღუდვებს კანონზე მაღლა ვერ დადგება.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 27¹-ე მუხლის თანახმად “პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.” ამავე კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად კი “პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.” ამასთანავე, კომისიის წევრთა არგუმენტები, რის გამოც

გერონტი გასვიანმა ვერ გაიარა კონკურსი სცდება სამართლებრივ და კონკურსანტებისათვის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ის მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოსაზრებების გამოხატულებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა რა გერონტი გასვიანის სამუშაოდან დათხოვნის ბრძანება, მას რეალურად არ მიეცა კონკურსზე გასვლის შესაძლებლობა, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს რათა, იმსჯელონ გერონტი გასვიანის დარღვეული შრომითი უფლების აღდგენაზე.

საკითხი ამჟამად შესწავლის სტადიაშია.

გიორგი გოროშიძის საქმე

2007 წლის 13 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი გოროშიძემ. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან და განმცხადებლის განმარტებით გაირკვა, რომ ის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის 2005 წლის 20 აპრილის N2/221 ბრძანებით გაუფრთხილებლად გაათავისუფლეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობიდან. მოგვიანებით კი, 2005 წლის ოქტომბერში, კონკურსის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოაქვეითეს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, მაშინ როცა მისი გამოცდილება და პოტენციალი სრულად აკამყოფილებდა ასოცირებული პროფესორის თანამდებობას.

საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ გიორგი გოროშიძის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეობიდან გაათავისუფლება მოხდა მაშინ მოქმედი “შრომის კანონთა კოდექსის” დარღვევით.

კერძოდ, არ არსებობდა გიორგი გოროშიძისთვის შრომითი ხელშეკრულების მოშლისა და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი (მუხლი 30-ე). კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მუშაკის განთავისუფლება შეეძლო მხოლოდ:

„ა) საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა), ან მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო;

ბ) თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

გ) მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობის, ან მის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, თუ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება”.

კანონის ამ მოთხოვნათა არცერთ პუნქტს არ აკმაყოფილებს გიორგი გოროშიძის გათავისუფლების ბრძანების შინაარსი, რომლის საფუძველად მითითებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. ამ დოკუმენტში მინიშნება კეთდება არა შტატების შემცირებაზე, არამედ საუბარია “უნივერსიტეტის მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაციაზე” (ბრძანება N49, 2005წ.12 აპრილი).

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდებოდა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე შტატების შემცირება ან რეორგანიზაცია, გიორგი გოროშიძე იმ დროისათვის მოქმედი “შრომის კანონთა კოდექსის” 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის “ზ” და “გ” ქვეპუნქტების თანახმად სარგებლობდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლებით. მას ჰქონდა უნივერსიტეტში მუშაობის 25 წლის სტაჟი, ოჯახში იყო ერთადერთი შემოსავლის მქონე პირი და, როგორც მის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ის არის მაღალკვალიფიციური მუშაკი. “მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების

შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც უფრო მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან.

2. თანაბარი პირობების შემთხვევაში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა ეძლევა:

ბ) იმ პირს, რომლის ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სხვა პირი;

გ) იმ პირს, რომელსაც ამ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვს.”

„შრომის კანონთა კოდექსი” ასევე განსაზღვრავდა მუშაკის განთავისუფლების საფუძველსა და წესს. 42-ე პრიმა მუხლის თანახმად, „მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ მუშაკს პერსონალურად უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე მაინც. აღნიშნული შეტყობინება მუშაკმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, გაფრთხილებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეადგინოს ოქმი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ მუშაკი გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ და იგი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე. ამ შემთხვევაში ოქმში აგრეთვე მიეთითება მისი შედგენის თარიღი და მასზე ხელს აწერს მხოლოდ გაფრთხილებაზე უფლებამოსილი პირი”, რაც მოქალაქე გიორგი გოროშიძის შემთხვევაში არ მომხდარა.

მას მერე, რაც გიორგი გოროშიძე გაათავისუფლეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეობიდან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 6 ივლისის N111 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, რაშიც მან, როგორც კონკურსანტმა, მონაწილეობა მიიღო. განმცხადებლის განმარტებით, კონკურსის მსვლელობისას გამოიკვეთა მთელი რიგი დარღვევები, რამაც არსებითი ზეგავლენა იქონია მის შედეგებზე.

ზემოაღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ბრძანების საფუძველზევე შემუშავდა და დამტკიცდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის დროებითი დებულება. დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით კომისიის მიზანი იყო კონკურსის გამჭირვალედ, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების საფუძველზე ჩატარება, რაც დაირღვა კონკურსის მიმდინარეობისას. კერძოდ: საკონკურსო კომისიის ფსიქოლოგიის დარგობრივი ჯგუფის 2005 წლის 3 ოქტომბრის N1 სხდომის ოქმში შენიშვნის სახითაა აღნიშნული, რომ გიორგი გოროშიძეს “ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე წარმოდგენილი მასალების ფრაგმენტულობა ან პედაგოგიური სტაჟის სიმცირე არ აძლევს საშუალებას, მიეცეს რეკომენდაცია საძიებელი თანამდებობის დასაკავებლად.”

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ცალსახაა, რომ გიორგი გოროშიძეს ასოცირებული პროფესორის თანამდებობობრივ ვაკანსიაზე ყველა დოკუმენტაცია წარდგენილი ჰქონდა 2005 წლის 6 ივლისის N111 ბრძანებისა და საკონკურსო

კომისიის დროებითი დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. მისი პედაგოგიური სტაჟი 25 წელს აღემატება, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს არასაკმარისად, რადგან, როგორც თქვენს მიერ მოწოდებული კონკურსის მასალებიდან ჩანს, იმ 9 კონკურსანტიდან, რომლებმაც დაიკავეს ასოცირებული პროფესორის თანამდებობა მხოლოდ ერთს აქვს 25 წლის მუშაობის სტაჟი, დანარჩენთა სამუშაო სტაჟი არ აღემატება 16 წელს. უფრო მეტიც, ერთ-ერთ კონკურსანტს-ლუიზა არუთინოვას-საერთოდ არა აქვს პედაგოგიური მუშაობის სტაჟი. თუ კი კონკურსანტი ვერ წარმოადგენდა დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებს, კომისიას ასეთი კონკურსანტი არ უნდა დაეშვა კონკურსზე, რაც რეალურად არ მოხდა ცალკეულ კონკურსანტებთან, რამაც კონკურსანტები არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

ამასთანავე, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დარგობრივ ჯგუფს საკონკურსო კომისიის დებულების მიხედვით არ ჰქონდა უფლებამოსილება, გიორგი გოროშიძე გადაენაცვლებინა ერთი სამიუნივერსიტეტის თანამდებობიდან სხვა თანამდებობაზე, მისი ნების საწინააღმდეგოდ.

რამდენადაც, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოდ ითვლება „ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს,“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა ხელმძღვანელობდეს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად. ამ კოდექსის 95-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის თანახმად, კი „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში“. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში“. გიორგი გოროშიძის ასოცირებული პროფესორის თანამდებობიდან ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ჩამოქვეითებით კი მკვეთრად გაუარესდა მისი მატერიალური მდგომარეობა.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ასევე დაირღვა ადმინისტრაციული ორგანოსა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-4 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.“

საკონკურსო კომისიის დროებითი დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია გადაწყვეტილებას იღებდა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. გიორგი გოროშიძის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რაც ოქმის სახითაა წარმოდგენილი, დარღვეულია დებულების ეს მოთხოვნა, ვინაიდან მასში არ არის ასახული, თუ კომისიის სხდომებზე დამსწრეთა შორის როგორ განაწილდა ხმების რაოდენობა. ვინაიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ადმინისტრაციული ორგანო, რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია იყო კოლეგიური ორგანო, რომელიც კონკურსის ჩატარებით ახორციელებდა ადმინისტრაციულ წარმოებას, ყოველი ჩატარებული სხდომის ოქმში, “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 106-ე მუხლის თანახმად მითითებული უნდა ყოფილიყო:

- ა) კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ბ) სხდომის დრო და ადგილი;
- გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
- დ) განხილვის საგანი;
- ე) კენჭისყრის შედეგები;
- ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.” სწორედ ამ მუხლის “ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ არის ასახული საკონკურსო კომისიისა და დარგობრივი ჯგუფის სხდომის ოქმებში, რაც არ იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს, რამდენად მართლზომიერი და სამართლიანი იყო დარგობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია, რის საფუძველზეც საკონკურსო კომისიამ უარი უთხრა გიორგი გოროშიძეს ასოცირებული პროფესორის საძიებო თანამდებობაზე.

მიმაჩნია, რომ დარგობრივმა ჯგუფმა გიორგი გოროშიძის შედეგების შეფასებისას გადააჭარბა მის უფლებამოსილებას, რადგან საოქმო ჩანაწერების მიხედვით მას იმ საკითხებზე აქვს გადაწყვეტილება მიღებული, რაც საკონკურსო კომისიის დროებითი დებულების მიხედვით მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეობიდან განთავისუფლებითაც და კონკურსის შედეგებითაც დაირღვა მოქალაქე გიორგი გოროშიძის შრომითი უფლებები.

სახალხო დამცველმა საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა თსუ რექტორს და “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მე-60 პრიმა მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე (“ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები”) და მოითხოვა ბრძანება N2/221 და საკონკურსო კომისიის სხდომის N2 ოქმის თანახმად მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა გიორგი გოროშიძესთან მიმართებაში, როგორც კანონშეუსაბამო.

რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა. თსუ ადმინისტრაციამ მიზეზად საქმის
სასამართლოში წარმოება დაასახელა.

სახელფასო დავალიანება:

2007 წლის 3 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა მიუღებელ ხელფასებთან დაკავშირებით. განმცხადებელთა განმარტებით, ისინი ვერ ახერხებენ გასულ წლებში შესრულებული სამუშაოს შრომის ანაზღაურების მიღებას. მუზეუმის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტის მიხედვით, 2007 წლის პირველი იანვრისათვის მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურების სახით 1998, 1999, 2000 წლებში დარიცხული კრედიტორული დავალიანება შეადგენს 19 778 ლარს.

დღეისათვის თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის არსებობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, ხოლო დავალიანების დაგროვების პერიოდისათვის წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებას, რომელიც ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, “მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)” და კანონით გათვალისწინებული დანამატები.

1998, 1999, 2000 წლებში დაგროვილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მუზეუმის თანამშრომლებმა არაერთხელ მიმართეს სხვადასხვა უწყებებს, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, მათ მცდელობას დღემდე არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

“2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში გათვალისწინებულია გარკვეული ღონისძიებები წინა წლებში სახელმწიფო დაწესებულებებზე წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. დავალიანებების დასაფარად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, გაეგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით, მუზეუმის მოსამსახურეთა სახელფასო დავალიანების გასტუმრება ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი და სახელფასო დავალიანების დაფარვა სხვა დავალიანებებთან ერთად შესაძლებელი გახდება სამინისტროსათვის შესაბამისი ასიგნებების გამოყოფის შემდეგ.

მაყვალა ბოჭორიშვილის საქმე

2007 წლის 15 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მაყვალა ბოჭორიშვილმა მისი გარდაცვლილი მეუღლის სახელფასო დავალიანების თაობაზე. როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, მისი მეუღლე ვახტანგ წივწივაძე 30 წლის განმავლობაში მუშაობდა აბასთუმნის ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსად. 2006 წლის 31 დეკემბერს მოხდა აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაცია და მიუღებელი დარჩათ 18 თვის სახელფასო დავალიანება. აღნიშნულის თაობაზე მან რამოდენიმეჯერ მიმართა შესაბამის სამსახურებს, თუმცა საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

მ.ბოჭორიშვილის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, ბატონ დ.ტყეშელაშვილს.

მ/წ 15 ივნისის #04-04-28/1797 პასუხით გვაცნობეს, რომ 1998-200 წლებში წარმოქმნილ სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანებების დაზუსტების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის #281 განკარგულების საფუძველზე, სამინისტრომ საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით უზრუნველყო კრედიტორულ დავალიანებათა წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2006 წლის 1 აგვისტომდე.

აქვე მითითებულია, რომ „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად სამინისტროს ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით არ გააჩნია ეკონომია, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამატებით ასიგნების გამოყოფამდე უზრუნველყოს მ.ბოჭორიშვილისა და მისი მეუღლის სახელფასო დავალიანების დაფარვა.

შსს ყოფილი თანამშრომლების საქმე

2007 წლის 15 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა ტარიელ კაპანაძემ და გალაქტიონ ბიბილეიშვილმა სახელფასო დავალიანების თაობაზე. განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ტ.კაპანაძე 1979 წლიდან, ხოლო გ.ბიბილეიშვილი 1984 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდნენ ქ.თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოში. 2004 წელს პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით გათავისუფლდნენ სამსახურიდან. ტ.კაპანაძეს მისაღები დარჩა გასული წლების სახელფასო დავალიანება - 883 ლარი და 01 თეთრი, ხოლო გ.ბიბილეიშვილს 761 ლარი 56 თეთრი. აღნიშნულის თაობაზე მათ არაერთხელ მიმართეს შესაბამის სამსახურებს, თუმცა საკითხი არ გადაწყდა.

დასახელებული განცხადებების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც 2007 წლის 14 ივნისის #6/10-2403 პასუხით გვაცნობეს, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების დაფარვისათვის თანხები, რის გამოც სამინისტრო ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას.

აქვე მითითებულია, რომ შესაბამისი ასიგნებების გამოყოფის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ მოახდენს მათი სახელფასო დავალიანებების გადახდას.

თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების საქმე

2007 წლის 27 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქ.ხონის სამხედრო დასახლებაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა: ტარიელ ბჟალავამ, ჯუმბერ ბენდელიანმა, მერაბ გვასალიამ, ნაზი ლობჯანიძემ და ელგუჯა ლობჯანიძემ სახელფასო დავალიანების თაობაზე. როგორც განცხადებებშია მითითებული, ისინი არიან აფხაზეთიდან დევნილები და წლების მანძილზე მუშაობდნენ თავდაცვის სამინისტროს ქ.ხონის ცალკეულ სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო ნაწილებში. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით ისინი გათავისუფლებული იქნენ სამსახურიდან. მათ მისაღები აქვთ წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანება, კვების კომპენსაცია, ფულადი ჯილდო და ბინის ქირა. შესაბამისი სამსახურებისადმი მიუხედავად მრავალგზის მიმართვისა, მათ დღემდე არავითარი თანხა არ მიუღიათ. განცხადებებს თან ახლავს მიუღებელი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასახელებული განცხადებების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ბატონ დ.კეზერაშვილს. მ/წ 17 ივლისის #9/2155 პასუხით გვაცნობეს, რომ თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროების მიერ დაკრედიტებული დავალიანების ანაზღაურება განხორციელდება ამ მიზნებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლების თხოვნა, მაგრამ შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

აზარაშვილი, მარკოიშვილი, გეგეშიძე და სხვები

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომლებმა სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე. როგორც განმცხადებლები მიუთითებენ, ისინი 2006 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდნენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2006 წლის აგვისტოდან დაიწყო დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაცია, ხოლო 2007 წლის 15 იანვრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების შესახებ. ჩატარებული კონკურსის შედეგად სამსახურის გარეშე დარჩნენ განმცხადებლები: ქ.გეგეშიძე, ნ.მარკოიშვილი, მ.აზარაშვილი, გ.ცოტაძე და სხვები. განმცხადებლები დაობენ, არა მარტო კონკურსის კანონიერების თაობაზე, ამასთანავე ისინი ითხოვენ 1998 -2000 წლების სახელფასო დავალიანებას.

აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, ბატონ დ.ტყეშელაშვილს, საიდანაც მ/წ 12 ივნისის #04-04-28/1730 პასუხით გვეცნობა, რომ აღნიშნული სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში თანამშრომელთა შემცირებასთან დაკავშირებით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ საკადრო პოლიტიკის ღიად და გამჭვირვალედ განხორციელების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ. აქვე განმარტებულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლები, რომლის საფუძველზე მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელობა უფლებამოსილი იყო თავისი შეხედულებისამებრ ცალმხრივად შეეწყვიტა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შეუძლია უარი უთხრას კანდიდატს დასაქმებაზე. მიუხედავად ამისა აღნიშნულ ცენტრში გამოცხადდა კონკურსი. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნა საგამოცდო კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იყო სამინისტროს ხელმძღვანელობით, მათ შორის შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, რომლის საფუძველზეც ობიექტურად შეფასებული და შერჩეული იქნენ თანამშრომლები.

რაც შეეხება 1998-2000 წლებში წარმოქმნილ სახელფასო დავალიანებას, გვაცნობეს, რომ 2006 წლის 21 ივნისის #281 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ პირველად საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით უზრუნველყო კრედიტორულ დავალიანებათა დაზუსტება და წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2006 წლის 01 აგვისტომდე.

„საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად სამინისტროს არ გააჩნია ეკონომია წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად, რის გამოც, სამინისტრო

მოკლებულია შესაძლებლობას დამატებითი ასიგნების გამოყოფამდე უზრუნველყოს სახელფასო დავალიანების დაფარვა.

ნანა ჯაფარიძის საქმე

2007 წლის 07 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნ.ჯაფარიძემ. როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, წლების განმავლობაში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ქ.ახალციხის #22-ე ბრიგადაში, საიდუმლო ნაწილში. 2005 წელს ასაკის გამო გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. მისაღები დარჩა 1998-1999-2000 წლების ხელფასი. აღნიშნულის თაობაზე ნ.ჯაფარიძემ მიმართა თავდაცვის სამინისტროს, თუმცა საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია.

აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ბატონ დ.კეზერაშვილს.

2007 წლის 23 აპრილის #9/1138 პასუხით გვეცნობა, რომ მიმდინარე წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული გასული წლების დავალიანების დაფარვის შესაბამისი ასიგნებები, რის გამოც ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ნ.ჯაფარიძის თხოვნა. შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში სამინისტრო კვლავ დაუბრუნდება დავალიანებების საკითხის განხილვას.

თეიმურაზ სილაგაძის საქმე

2007 წლის 16 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე თეიმურაზ სილაგაძემ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში. არის თავდაცვის სამინისტროს გადამდგარი პოლკოვნიკი, პენსიონერი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე. 2003 წლის ივლისში იგი გაუშვეს პენსიაზე და არ გადაუხადეს ერთჯერადი დახმარების სახით სახით 10 თვის ფულადი სარგო და სანივთე კომპენსაციის სახით 660 ლარი, რისთვისაც მიმართა სასამართლოს. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. ორივე სასამართლო გადაწყვეტილებაზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

აღნიშნულის თაობაზე თ.სილაგაძის მიერ მიუხედავად მრავალგზის მიმართვისა, ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროსადმი. აღსრულება არ მომხდარა.

თ.სილაგაძის განცხადების საფუძველზე 2007 წლის 24 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს. მ/წ 04 მაისის #124/03-22ს პასუხით გვცნობა, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ, განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, 2007 წლის 10 აპრილს გაიგზავნა საინკასო დავალება თანხის უდაო წესით ჩამოჭრის მიზნით. გადაწყვეტილება აღსრულებული იქნა მ/წ 3ივლისს.

აღნიშნულის გამო თეიმურაზ სილაგაძემ სახალხო დამცველს წერილობითი მადლობა გადაუხადა.

ცისანა ხეცურიანის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ცისანა ხეცურიანმა ქ.აბაშიდან, მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის ვახტანგ ცომიას სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე უარის თქმის კანონიერების შემოწმების შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვახტანგ ცომია წლების მანძილზე მუშაობდა სააქციო საზოგადოება გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აბაშის ფილიალში. გარდაცვალებამდე ვ.ცომიას მიუღებელი აქვს რამოდენიმე წლის ხელფასი. მიუხედავად შესაბამისი სამსახურებისათვის მრავალჯერ მიმართვისა, გარდაცვლილის ოჯახს არც დაკრძალვისა და არც შემდგომ პერიოდში მისი კუთვნილი თანხა არ მიუღიათ. ოჯახის წევრები დღემდე უმუშევრები არიან, ამას ემატება დაკრძალვის ხარჯები, რომელიც ვალად აქვთ აღებული და უნდა დაფარონ გარდაცვლილის სახელფასო დავალიანებიდან. ამდენად, ოჯახი განიცდის უკიდურეს ფინანსურ გაჭირვებას.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სააქციო საზოგადოება გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალურ დირექტორს, საიდანაც გვაცნობეს, რომ გივი ცომიას ჩაერიცხა ხელფასის ნაწილი 460 ლარის ოდენობით და დაპირდა, რომ ყველა სხვა დავალიანების დაფარვა მოხდება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე.

ინა კომახიდის საქმე

2007 წლის 4 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ინა კომახიძემ, რომელიც ითხოვდა “სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებისა და დახმარების მიმღებთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას.

სახალხო დამცველმა არ გაიზიარა აღნიშნულ საკითხზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსაზრება, რომ მოქალაქე ინა კომახიძე ვერ იღებდა ამ პროგრამაში მონაწილეობას მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრისი.” შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არგუმენტად მოყვანილი იყო საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის N 51 დადგენილების მე-2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, 1 ქვეპუნქტი, სადაც განმარტებულია ოჯახის ცნება.

სახალხო დამცველი სარეკომენდაციო ხასიათის წერილში აღნიშნავდა; ამავე დადგენილების მე-2 მუხლში (ტერმინთა განმარტებები) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ოჯახი განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირიცაა”. ამავე მუხლის “ბ” პუნქტის “ა” ქვეპუნქტით კი განმარტებულია, რომ „ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი”. მიგვაჩნია, რომ დებულების ამ პირობას სრულად აკმაყოფილებს მოქალაქე ინა კომახიძე, რომელიც არის მარტოსული, მას არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი და სამი წელია ცხოვრობს მის მიერ მოწყობილ მუყაოს ფარდულში მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში. საქართველოს მთავრობის N51 დადგენილებით მხოლოდ ოჯახის ცნებაა განმარტებული. კანონში კი არსად არ არის მითითებული, რომ ეს ოჯახი აუცილებლად უნდა ცხოვრობდეს ფეშენებელურ სახლში ან ფლობდეს კეთილმოწყობილ კარმიდამოს. კანონი არც იმ პირებს ზღუდავს მიმართონ სახელმწიფოს სოციალური დახმარების მისაღებად, ვინც უსახლკაროა.

დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ მონაცემთა ბაზის ფორმირება ერთიანი სამართლებრივი პროცესია და მოიცავს “მაძიებლის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შეფასებას” (“გ” პუნქტი), “სარეიტინგო ქულის მინიჭებას” (“დ” პუნქტი), რაც მოქალაქე ინა კომახიძის შემთხვევაში არ იქნა შესრულებული ოჯახი. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ რეალურად არ შეაფასა მისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, სადაც განსაზღვრულია განაცხადების მიღების, წარდგენისა და აღრიცხვაზე აყვანის წესი, მაძიებელს განაცხადის დადგენილი ფორმის შევსების შემდეგ წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები, რომლის მე-3 პუნქტის ქვეპუნქტების ჩამონათვალში ნათქვამია, რომ “განაცხადის შევსებისას მაძიებლის შემადგენლობაში მყოფ პირთა რაოდენობაში არ გაითვალისწინება:

- ა) სასჯელარსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი;
- ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;
- გ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი;
- დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი პირი;

ე) სასამართლოს მიერ უზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი.``

როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი იმ შეზღუდვაზე, რომ უსახლკარო, ან როგორც თქვენ უწოდებთ, საცხოვრისის არ მქონე პირი არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მაძიებლის შემადგენლობაში მყოფ პირთა რაოდენობაში. ამდენად, ინა კომახიმეს სრული უფლება აქვს ირიცხებოდეს დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დახმარების მაძიებელთა კატეგორიაში.

დადგენილების მე-7 მუხლის - „მაძიებლის უფლება-მოვალეობანი” 1-ლი პუნქტის “ბ” და “გ” ქვეპუნქტებში აღნიშნულია, რომ “ მაძიებლის მიერ განაცხადის შევსება და მისი საკომუნიკაციო პუნქტში ჩაბარება ადასტურებს, რომ იგი თანახმაა:

ბ) სოციალური დახმარების დამნიშვნელმა ორგანომ მისი და მაძიებლის შემადგენლობაში მყოფი წევრების შესახებ ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მის იდენტიფიკაციასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) მიეცეთ მოპოვებული ინფორმაცია სხვა სოციალური და-ხ-მარების დამნიშვნელ დაწესებულებებსა და ორგანიზა-ციებს, რაც მიმართული იქნება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.”, რაც ინა კომახიმესთან მიმართებაში სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ არ განახორციელა. წინააღმდეგ შემთხვევაში “სოციალური დახმარების შესახებ” კანონით, რომელიც “ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, დატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი” (მუხლი 2). მას უნდა მიეღო საარსებო შემწეობა, რაც მე-7 მუხლის თანახმად ნიშნავს:

„1. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა.

2. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული დატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

3. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ” ა) მაძიებლის განმეორებითი განაცხადის არსებობა;

ბ) მაძიებლის შემადგენლობაში მყოფი პირ(ებ)ის სხვა განაცხადში არსებობა;

გ) განაცხადში შეტანილი მონაცემების შეუსაბამობა სხვა მონაცემთა ბაზებში მასზე არსებულ ინფორმაციასთან.

ფაქტია, რომ ინა კომახიმეს საცხოვრისის არ ქონის გამო უარი არ უნდა მიეღო მაძიებლად რეგისტრაციაზე, რითაც დაირღვა მისი სოციალური უზრუნველყოფის უფლებები.

იმის გამო, რომ მოხდა დადგენილებით განსაზღვრული ცალკეული ნორმების უგულვებელყოფა მოქალაქე ინა კომახიმის მიმართ- ვერ მიენიჭა მას მაძიებლის სტატუსი, არ მოხდა მისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლა, არ იქნა მისი ადგილსამყოფელი შეფასებული, როგორც საცხოვრისი, არ აღიარეს, როგორც ერთსულიანი ოჯახი ვერ განისაზღვრა მისი სარეიტინგო ქულა, რის გამოც იგი ვერ

მოხვდა ოსიღარობის დაძლევის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებისა და დახმარების მიმღებთა კატეგორიაში, მაშინ როცა ყოველივე ამას მოქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა. ინა კომახიძეს არ მიენიჭა დახმარების მაძიებლის სტატუსი და ვერ მიიღო მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული შემწეობა.

გაიოზ გიორგაძის საქმე

2007 წლის 12 თებერვალს განცხადებით მიმართა მოქალაქე გაიოზ გიორგაძემ. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან და მისი განმარტებიდან გაირკვა, რომ მას სჭირდებოდა მენჯ-ბარძაყის სახსრის ოპერაცია, რაც დადგენილი სტანდარტის მიხედვით 6.300 ლარი ჯდებოდა. რადგან მოქალაქეს არ შეეძლო აღნიშნული თანხის გადახდა, მან 2006 წლის 7 აგვისტოს N06 482 განცხადებით მიმართა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს გლდანინაძელაძის რაიონულ განყოფილებას, მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისათვის, „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამით” გათვალისწინებული დახმარების მისაღებად.

მოქალაქე გაიოზ გიორგაძემ აღნიშნულ განცხადებაზე პასუხი სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოდან (წერილი N25-571) 2007 წლის 24 იანვარს მიიღო. მასში ნათქვამია, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველ ოჯახთა განცხადების სიმრავლის გამო, მისი განაცხადის დამუშავებას დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ გადაწყვეტილება მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში იქნა მიღებული. რადგან სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადა, რითაც გაიოზ გიორგაძეს სამედიცინო დახმარების ბარათი უნდა მიეღო, 2006 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა, მოქალაქეს უარი ეთქვა უფასო სამედიცინო მომსახურეობაზე.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გაიოზ გიორგაძის ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა 94720 ოდენობით, რითაც მოქალაქეს, განცხადების დაწერის მომენტისათვის მოქმედი სტანდარტების მიხედვით, უნდა ესარგებლა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურეობით. რადგან ზემოთნახსენები ბრძანების 216-მუხლით “ოჯახებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა, გაიცემა ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი, რომელიც ითვალისწინებს: უფასო ამბულატორიულ მომსახურებას, სპეციალისტების კონსულტაციასა და გამოკვლევებს, მწვავე და გეგმიურ ქირურგიულ ჰოსპიტალურ მომსახურებას, მშობიარობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.”

იმის გამო, რომ მოქალაქემ 2006 წლის 8 აგვისტოს შეტანილ განცხადებაზე პასუხი სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოდან 2007 წლის 9 იანვარს მიიღო, ის კანონით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა, რითაც დაირღვა გაიოზ გიორგაძის სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის N 59 დადგენილების „სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესის” მე-8 მუხლის “სოციალური დახმარების დანიშვნის საფუძველი და პრინციპები” მე-2 და მე-3 პუნქტის თანახმად “ლატაკ ოჯახს სოციალური დახმარების მიღების უფლება წარმოეშობა ოჯახის მიერ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ განაცხადის შეტანიდან მეოთხე თვეს,” ხოლო “სოციალური დახმარება ინიშნება უფლების წარმოშობის თვიდან,”

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მოქალაქე გაიოზ გიორგაძისთვის, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ინფორმაცია მინიჭებულ ქულათა ოდენობაზე კანონით დადგენილ ვადებში უნდა ეცნობებია, ანუ 2006 წლის 7 დეკემბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან დარღვეული იყო მოქალაქის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის უფლება, სახალხო დამცველმა “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად რეკომენდაციით მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა, იმ მოტივით, თითქოს განმცხადებელმა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტით სარგებლობაზე მოთხოვნა დააყენა 2007 წლის 19 იანვარს, რაც სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება.

ლიზა მჟავანაძის საქმე

2007 წლის 30 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მოგვმართა მოქალაქე ლიზა მჟავანაძემ. განცხადებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გაირკვა, რომ ლ.მჟავანაძე ცხოვრობდა სამრეწველო დასახლება, პირველი ქუჩის #75-ში. სახლის მიწისძვრით დაზიანების გამო 2005 წლის 27 დეკემბერს ოჯახი შესახლებული იქნა ყოფილი უშიშროების აკადემიის სამანევრო კორპუსში (ქ.თბილისი, ქერჩის ქ.#22). საცხოვრებელი პირობების არ არსებობის გამო ისინი დაბრუნდნენ თავიანთ კუთვნილ სახლში, რომელიც დღემდე გაურკვეველი მიზეზით დაიწვა 2007 წლის პირველ იანვარს. სახლში გაჩენილი ხანძრის დროს დაიწვა ლ.მჟავანაძის მეუღლე.

ამდენად, ოჯახი დარჩა საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის საჭირო ყოველგვარი ინვენტარის გარეშე, რისთვისაც იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ კვლავ ქერჩის ქ.#22-ში. თუმცა აღნიშნულ ბინაში ბავშვებისათვის პირობების არ არსებობისა და სივიწროვის გამო ლ. მჟავანაძის შვილი თავის მეუღლითა და სამი მცირეწლოვანი შვილით დროებით შესახლდნენ ნათესავის ბინაში. ამდენად, ლ.მჟავანაძის მრავალსულიანი ოჯახი იმყოფება უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორც მიწისძვრით დაზარალებული, რომელსაც სახლთან ერთად დაეწვა მეუღლე და მთელი ქონება.

ლ.მჟავანაძის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერს, ბატონ გ.უგულავას. მ/წ 24 მაისის #3-05/1973 პასუხით გვეცნობა, რომ ქალაქ თბილისში გასანაწილებელი თავისუფალი საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო ამ ეტაპზე ლ.მჟავანაძეს ვერ აკმაყოფილებენ საცხოვრებელი ფართით. აქვე მითითებულია, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის მიერ განხილული იქნება ლ.მჟავანაძის საბინაო საკითხი.

მზია ჯაჭვლიანის საქმე

2007 წლის 27 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მზია ჯაჭვლიანი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მზია ჯაჭვლიანი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში. მეწყერის შედეგად მისი ოჯახი დარჩა ღია ცის ქვეს. ამჟამად ისინი თავშეფარებული არიან ახლობლებთან. მიუხედავად იმისა, რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით მან არერთხელ მიმართა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, დღემდე არ მოხერხდა მათი დაკმაყოფილება. ამასთანავე განმცხადებელი მიუთითებს, რომ დოკუმენტაცია მათი ოჯახის საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაგზავნილია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, თუმცა პასუხი არც ამ უკანასკნელისაგან მიუღიათ.

აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ზესტაფონის რაიონის გამგებელს, ხოლო, ასლი გაეგზავნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. ზესტაფონის გამგეობიდან მ/წ 20 აპრილის #489 პასუხით გავეცნობა, რომ დღეისათვის ზესტაფონის გამგეობას არ გააჩნია საბინაო ფონდი. გამგეობა ეცდება უახლოეს მომავალში (პირველივე შესაძლებლობისთანავე) დაეხმაროს მზია ჯაჭვლიანს საბინაო პრობლემის მოგვარებაში.

ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მ/წ 04 მაისის #01/01-17/3420 პასუხით გვეცნობა, რომ მ.ჯაჭვლიანის ოჯახისათვის შეთავაზებული იქნა განსახლება ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთში. სამინისტროს წინადადებას მ.ჯაჭვლიანის მეუღლე დათანხმდა და მ/წ 19 აპრილს სხვა დაზარალებულ ოჯახებთან ერთად ისინი ჩაყვანილი იქნენ სოფელ ქორეთში, საცხოვრებელი სახლების გასანაწილებლად. ამის შემდეგ, მ.ჯაჭვლიანის ოჯახმა გაურკვეველი მიზეზების გამო უარი განაცხადა ახმეტის რაიონში ჩასახლებაზე.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მიმდინარე წლის 26 სექტემბრის #01/01-17/6381 პასუხით დამატებით გვაცნობა, რომ იგი 2007 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებს ყიდულობს ახმეტის, ლაგოდეხისა და წალკის რაიონებში და იგი მზადაა მ.ჯაჭვლიანის ოჯახს არმოუჩინოს დახმარება რომელიმე მითითებულ რაიონში ჩასახლების საკითხში.

აღნიშნულის თაობაზე ეცნობა მოქალაქეს.

ლიზა ბარნაბიშვილის საქმე

მიმდინარე წლის 02 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლიზა ბარნაბიშვილი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გაირკვა, რომ განმცხადებელი თავის ავადმყოფ არასრულწლოვან ობოლ შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს სარდაფის ტიპის გაულესავ ნესტიან ბინაში. ოჯახი არის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში. მატერიალური ცხოვრების არანორმალურმა პირობებმა იმოქმედა, როგორც ბარნაბიშვილის, ისე მისი შვილიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რის შედეგადაც ორივე დაავადდა სხვადასხვა დაავადებით. საბინაო პრობლემის თაობაზე განმცხადებელმა არაერთხელ მიმართა შესაბამის სამსახურებს, თუმცა შედეგი არ მოჰყოლია. ამჟამად მათთვის ცნობილი გახდა, რომ გლდანის მე-7 მ/რ-ში, კ.25-ში გამოთავისუფლდა ბინა, რომელიც არის გამგეობის ბალანსზე, რისთვისაც მოგვმართა აღნიშნული ბინის მისთვის გადაცემის თაობაზე.

მოქალაქე ლ. ბარნაბიშვილის განცხადების საფუძველზე რეკომენდაცია გაეგზავნა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელს, ბატონ ნ. ხაჩირაშვილს. მ/წ 10 აპრილის #216/4-14 პასუხით გვაცნობეს, რომ ლ.ბარნაბიშვილის განცხადებაში მითითებული ბინის (გლდანის მე-8 მ/რ, კ.25) გამოთავისუფლების შესახებ უკვე ეცნობა ქ.თბილისის მერიას, რათა საკითხის განხილვა ქ.თბილისის საბინაო საკითხთა კომისიაზე მოხდეს მისი ოჯახის მძიმე საბინაო პირობების გათვალისწინებით.

აქვე მითითებულია, რომ აღნიშნული ბინის მიზნობრივად გამგეობისათვის გადმოცემის შემთხვევაში გამგეობა იმსჯელებს მისი განაწილების შესახებ არსებული წესის შესაბამისად.

ცისანა მამისაშვილის საქმე

2007 წლის 05 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ცისანა მამისაშვილმა. განცხადებაში მიუთითებდა, რომ მისი ოჯახი 1993 წლამდე ცხოვრობდა კიროვის რაიონის მე-2 ხეივნის ქ#8-ში. ხანძრის შედეგად დაეწვა სახლი, რის შემდეგაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ შესახლებული იქნა სანატორიუმ „ჯეჯილის“ შენობაში.

მ/წ 3 მარტს მათთან ოჯახში მივიდა პიროვნება, რომელმაც მოითხოვა აღნიშნულ ბინაში შესახლების დამადასტურებელი დოკუმენტით გამოცხადებულიყო მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეექმნებოდა პრობლემები და დადგებოდა საკითხი ბინიდან მათი გამოსახლების თაობაზე. ვინაიდან, მითითებული დოკუმენტი ც.მამისაშვილს არ გააჩნია და აღარც ის გამგეობა არსებობს, რომელმაც შეასახლა ბინაში, მოსალოდნელი გამოსახლების საშიშროების გამო მოგვმართა დახმარებისათვის.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე მივმართეთ ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას, საიდანაც გვაცნობეს, რომ ც.მამისაშვილის ოჯახი 1992 წლის 29 დეკემბერს, სახლის დაწვის შემდეგ, ყოფილი მთაწმინდა-კრწანისის გამგეობამ შეასახლა სანატორიუმ „ჯეჯილში“, სადაც დღემდე უჭირავთ ერთი ოთახი. იმავე გამგეობამ 1996 წლის 29 მაისის #69 გადაწყვეტილებით ც.მამისაშვილის სამსულიან ოჯახს გამოუყო ერთ ოთახიანი იზოლირებული ბინა #16, მდებარე ფონიჭალა 3, მე-3 მიკრორაიონი, კორპუსი 9, პირველი სადარბაზო, მე-6 სართული და მოხსნა ბინის მიღების აღრიცხვიდან. როგორც განმცხადებელი განმარტავს, აღნიშნული ბინა კეთილმოწყობილი არ არის, ამიტომ ამჯობინებს ცხოვრებას სანატორიუმ „ჯეჯილში“, რომელიც თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის კუთვნილებაა და მასზე გამგეობის უფლებამოსილება არ ვრცელდება.

ნაზი ბიჭაშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართა მოქალაქე ნაზი ბიჭაშვილმა. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 1991 წლის აპრილიდან არის მიწისძვრით დაზარალებული. მას შემდეგ 16 წელია ცხოვრობს ვაგონში. საჩხერის გამგეობის მიერ 2002 წლის 2 დეკემბერს გაცემული #645 ცნობით დასტურდება, რომ პირველი ჯგუფის ინვალიდს ნაზი ბიჭაშვილს, მცხოვრებს ქ.საჩხერეში, აბაშიძის ქ.#18-ში, 1991 წლის 28 აპრილს მიწისძვრის შედეგად ნამდვილად დაენგრა საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობს ვაგონში. 1998 წლის 18 მარტს მან განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონის ადგილობრივი მმართველობის იმ დროინდელ გამგეობის თავმჯდომარეს ც.ლაშხს, თუმცა არ მოხდა განმცხადებლის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

ნ.ბიჭაშვილის განცხადების საფუძველზე მივმართეთ საჩხერის რაიონის გამგობას, საიდანაც მ/წ 30 მარტის #46 პასუხით გვაცნობეს, რომ 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად საჩხერეში 800-ზე მეტი ოჯახის საცხოვრებელი სახლია დანგრეული. მათზე დახმარების შესაძლებლობა კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც საჩხერის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, ამიტომ მუდმივად დგას დახმარების სკითხი ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. ბოლო 10 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მხოლოდ 2005 წლის 23 ივნისის #264 განკარგულებით გამოიყო და გაიცა 5000 ლარიანი დახმარებები 139 ოჯახზე, რომლებსაც არ გააჩნდათ სხვა თავშესაფარი და ცხოვრობდნენ რკინიგზის ვაგონებში. ამ ოჯახების შერჩევა მოახდინა საჩხერის რაიონში შემავალი სოფლის, თემის, ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შექმნილმა კომისიებმა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლობის მონაწილეობით და იმის გამო, რომ თქვენ მიწისძვრისაგან დანგრეული საცხოვრებელი სახლი აშენებული გაქვთ, კომისიამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა თქვენი შეყვანა 5000 ლარიანი დახმარებების მიმღებთა სიაში, რის თაობაზეც მრავალჯერ მოგეცათ განმარტება.

აღნიშნული პასუხის არასრულყოფილად მიჩნევის გამო, განმეორებით მივმართეთ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელს. მ/წ #0280-07 პასუხით გვაცნობეს, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია მოაგვაროს, როგორც თქვენი, ასევე სხვა უფრო მძიმე პირობებში მყოფ მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემები. ასეთი არის დაახლოებით 1000-ზე მეტი ოჯახი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რისთვისაც მთლიანად დამოკიდებული არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე, რომელიც ამ საკითხის გადაჭრას ეტაპობრივად ახორციელებს. პირველ ეტაპზე 5000 ლარიანი დახმარება გაეწიათ ისეთ ოჯახებს, რომლებსაც მიწისძვრისაგან დანგრეული სახლები საერთოდ არ ჰქონდათ აშენებული და ცხოვრობდნენ ვაგონში.

აქვე მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო შემდგომ ეტაპზე გამოყოფს თანხებს მიწისძვრით დაზარალებული იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც მიწისძვრით დანგრეული საცხოვრებელი სახლები საკუთარი ძალებით აქვთ აშენებული და მოსაწყობი, ნ.ბიჭაშვილზეც გაიცემა შესაბამისი დახმარება.

ინა კომახიდის საქმე

2007 წლის 26 აპრილს განცხადებით მიმართა მოქალაქე ინა კომახიძემ საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ი. კომახიძე ბინის არ არსებობის გამო ცხოვრობდა სასტუმრო „ივერიაში“ აფხაზეთიდან დევნილებთან ერთად. გამოსახლების შემდეგ, დევნილების ნაწილი დაკმაყოფილებული იქნა ფულადი კომპენსაციით, ნაწილი საცხოვრებელი ბინებით. დევნილების მიერ სასტუმროს გათავისუფლების შემდეგ ი.კომახიძე უკიდურესი გაჭირვების გამო საცხოვრებლად კვლავ დარჩა სასტუმროში. როგორც აღნიშნავს, მას ქ.თბილისის მერიამ შეთავაზა ბინით დაკმაყოფილება, თუ დატოვებდა სასტუმროს, თუმცა 2005 წლის 20 იანვრიდან დღემდე ცხოვრობს ღია ცის ქვეშ, მაჩაბელის ქუჩაზე. აღნიშნული აღბეჭდილია ფოტოზე სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ, რასაც აგრეთვე ადასტურებენ ძველი თბილისის რაიონის გამგეობის თანამშრომლები.

ი.კომახიძის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერს, ბატონ გ.უგულავას.

მიმდინარე წლის 24 მაისის #კ-2029 პასუხით გვეცნობა, რომ ქ.თბილისის ბინათმშენებლობაში შექმნილი რთული მდგომარეობისა და გასანაწილებელი თავისუფალი საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო, ი.კომახიძეს ამ ეტაპზე უარი ეთქვა საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებაზე. აქვე მითითებულია, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში მათ მიერ განხილული იქნება ი.კომახიძის საბინაო საკითხი.

მურმან თოლორდავას საქმე

2007 წლის 10 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მურმან თოლორდავამ. როგორც განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, მ.თოლორდავა არის აფხაზეთიდან დევნილი და ცხოვრობს დროებით ქ.თბილისში, გედევანიშვილის ქ.#25-ში. 2002 წლის 25 აპრილს ქ.თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალდა მისი საცხოვრებელი სახლი და მიენიჭა მე-3 კატეგორია, რის შემდეგაც მ.თოლორდავამ საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის მიმართა შესაბამის სამსახურებს.

2003 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მურმან თოლორდავას დროებით სარგებლობაში გადასცა ვარკეთილის მასივის მე-4 მიკრორაიონის 407-ე კორპუსში მდებარე ფართი.

როგორც განმცხადებელი მიუთითებს, აღნიშნული ფართი დღემდე არ დაუკავებია, ვინაიდან იქ ცხოვრობს სხვა დავნილი, რომლის გამოსახლებაც დღემდე ვერ მოხერხდა და მას კვლავ მიწისძვრით დანგრეულ სახლში, არაადამიანურ პირობებში უხდება ცხოვრება. განმცხადებლის განმარტებით, მისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს მისთვის გამოყოფილ ფართში შესახლება, ვინაიდან იქაც დევნილი ცხოვრობს, მაგრამ

ითხოვს დანგრეული სახლის სანაცვლოდ მისცენ სხვა ნებისმიერი თავისუფალი ფართი, სადაც უსაფრთხოდ შეეძლება თავისი ოჯახით ცხოვრება.

მ.თოლორდავას განცხადების საფუძველზე მივმართეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საიდანაც მ/წ 12 ივნისის #01/01-17/4166 პასუხით გვაცნობეს, რომ მ.თოლორდავამ არ დააყენა მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ფართიდან ამჟამად, იქ მცხოვრები სხვა დევნილის გამოსახლების საკითხი და მოითხოვა მის სანაცვლოდ სხვა ნებისმიერი ფართის გამოყოფა.

წერილში განმარტებულია, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებით განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში“.

ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბოლო წლების მანძილზე ქ.თბილისში დევნილთა განსახლებისათვის საცხოვრებელი ფართი არ გამოყოფილა, მ.თოლორდავას საკითხი აყვანილია კონტროლზე და განხილული იქნება სამინისტროსთვის ფართის გადაცემის შემთხვევაში.

აქვე მითითებულია, რომ განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში საცხოვრებელი ფართის მისთვის გადაცემა შესაძლებელია საქართველოს რეგიონებში.

დანართი # 16

ბავშვის უფლებები

ნ-ლ-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრს განცხადებით მომართა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელის მცხოვრებმა, 15 წლის ნ. ლ.მ. არასრულწლოვანის მიერ მოცემულ ახსნა-განმარტებაში დასახელებულია რამდენიმე შემთხვევა, რომელიც მიუთითებს ბავშვის მამის, რ. ლ.-ის მხრიდან ნ. ლ.-ზე განხორციელებული სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტებზე, კერძოდ: 2007 წლის 29 აპრილს, როგორც ნ. ლ. იხსენებს, მამამ ეზოში გასვლის გამო დაუწყო ყვირილი და შემდეგ სასტიკად სცემა - ორჯერ მუშტი ჩაარტყა თავში და რკინის ღუმელის საჩხრეკი - ზურგში. ზოგადად, ოჯახში დამაბული მდგომარეობაა, ხშირად ხდება მამის მხრიდან კონფლიქტის პროვოცირება. ნ. ლ.-ს ჰყავს 17 წლის ძმა გ. და 10 წლის და მ; ასევე, 15 წლის ნ. ახსნა-განმარტებაში საუბრობს, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ (ზუსტად თარიღს ვერ იხსენებს), შუალამისას ბავშვების საძინებელ ოთახში, როდესაც მას ეძინა, უეცრად გამოეღვიძა, რადგან იგრძნო ინტიმურ ადგილებში შეხება და დაინახა, რომ მას მამამისი ეხებოდა. ბავშვმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა და დაიწყო ყვირილი, რათა გაეღვიძებინა და-ძმა. რ. ლ.-მა 10 წლის მ.-ის გაღვიძების შემდეგ დატოვა ოთახი. თუმცა მან იმავე ღამეს ხელმეორედ სცადა იგივე გაეკეთებინა, რაზეც უკვე უფროს ძმას გამოეღვიძა.

სახალხო დამცველის აპარატმა, ნ.ლ-სათვის ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“, სადაც ბავშვს ნევროპათოლოგის გასინჯვის შედეგად გამოუვლინდა მსუბუქი ტვინის შერყევის ნიშნები, თუმცა მეორე დღეს დაინიშნა შეხვედრა, სადაც ნ.ლ-ს უნდა ჩატარებოდა საფუძვლიანი კვლევა. ზუსტად ამ დღეს ბავშვები დაბრუნდნენ სოფელში და კვლევას თავი აარიდეს. აღნიშნული საქმე შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით გადავეცით საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურიდან გვეცნობა, რომ ამჟამად ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სსსკ 126-ე მუხლის „დ“ პუნქტით. წინასწარი გამოძიებისას ადვიკატისა და პედაგოგის თანდასწრებით დაზარალებულის სახით დაკითხვისას ნ.ლ.-მ უარყო მის მიმართ ძალადობის განხორციელების ფაქტები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ, აღნიშნულ საქმე შესასწავლად და შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად გადასცა „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის“ ქვეპროგრამის თელავის სოციალურ მუშაკს. სოციალურ მუშაკთან გასაუბრებისას, ნ.-ლ-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა მამის მხრიდან ძალადობის ფაქტები.

ამჟამად ბავშვები ცხოვრობენ ბებიასთან. სოციალურმა სამსახურმა დაიწყო მუშაობა ბავშვების შვილობილობაში გადაცემის მიზნით.

უ.ა-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.თბილისის „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის“ დირექტორმა, ქ.კობალაძემ. 2007 წლის 26 ივნისს, საპატრულო პოლიციამ ცენტრში მიიყვანა 2000 წლის 2 სექტემბერს დაბადებული უ.ა., რომელსაც ცენტრის ექიმის დათვალიერების შედეგად აღმოაჩინა მრავალი დაზიანება სხეულისა და სახის არეში. როგორც თვითონ უ.ა-მ განგვიმარტა, აღნიშნული დაზიანებები მას დედამ და დეიდამ მიაყენეს. მისი თქმით, დედა და დეიდა სცემენმას, თუ სახლში ფულს არ მიიტანს. ბავშვი უარს აცხადებდა სახლში დაბრუნებაზე, თუმცა უ.ა-ს დედამ, ი.კ-მ მიუხედავად შვილის წინააღმდეგობისა, ძალით წაიყვანა „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრიდან“.

ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 171-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, სახალხო დამცველმა საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ტერიტორიულ რესურს ცენტრსა და გენერალურ პროკურატურაში.

შედეგად, გლდან-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრმა განათლების სამინისტროს სოციალური მუშაკების დახმარებით უზრუნველყო ბავშვის წყნეთის ბავშვთა სახლში გადაყვანა. გენერალურ პროკურატურაში კი აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება სსსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

ხ.თ-ს საქმე

2007 წლის 29 მაისს სახალხო დამცველმა მიიღო „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის, ქეთევან კობალაძის წერილი, რომელშიც ის მოგვმართავდა თხოვნით, შეგვესწავლა 8 წლის ხ. თ.ს საქმე.

2007 წლის 25 მაისს ბავშვი საკუთარი მამინაცვალის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომელმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ადგილზე შეისწავლეს მდგომარეობა და შეადგინეს ოქმი.

ამჟამად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ბავშვის მამინაცვალი დაკავებულია.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის რესურს ცენტრს, რათა ხელი შეუწყონ ხ.თ-თვის დაბადების მოწმობის დროულად გაცემას და მისთვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფას. თუმცა ბავშვისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან რესურსცენტრის წარმომადგენლის ვიზიტის შემდეგ დედა ბავშვთან ერთად გაუჩინარდა და ამ დრომდე მათი მოძებნა ვერ მოხერხდა. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რესურს ცენტრის უფროსმა გვაცნობა, ისინი განაგრძობენ ბავშვის ძებნას. აღსანიშნავია, რომ ამისათვის მათ პოლიციის ორგანოებისთვის არ მიუმართავთ.

ვ.ა-ს საქმე

2007 წლის 19 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა სოფელ დიდი ჩაილურის მცხოვრებმა ჯ.ვეშაპიძემ და შეატყობინა შემდეგი:

2007 წლის 12 აპრილს დააპატიმრეს მისი მეზობელი, ქალბატონი მ.ვ. რომელსაც ოჯახში დარჩა ოთხი არასრულწლოვანი შვილი - 8,6,4 წლის და 8 თვის და 75 წლის დედა, რომელსაც ბავშვების მოვლა არ შეეძლო.

საქმის ადგილზე შესასწავლად, ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლები საგარეჯოში ჩავიდნენ და შეხვდნენ საგარეჯოს რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსს, ც. კვასხვაძეს.

სოფელ დიდ ჩაილურში ისინი შეხვდნენ საშუალო სკოლის დირექტორს, საგარეჯოს რაიგანყოფილების საუბნო ჯგუფის ინსპექტორს და მათთან ერთად მოინახულეს მ.ვ-ს ოჯახი.

ცენტრის თანამშრომლებმა დაათვალიერეს მ.ვ-ს კუთვნილი კარ-მიდამო, შეისწავლეს ბავშვების მდგომარეობა, ესაუბრნენ მ.ვ-ს დედას, მეზობლებს და დარწმუნდნენ, რომ ოჯახი მართლაც უკიდურეს სიდუხჭირეში იმყოფება; სახლში არ არის გაზი, ელექტროენერგია, ბავშვებს არა ჰქონდათ ელემენტარული საკვები, რაც საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლესაც კი - ყველაზე პატარა, 8 თვის ბავშვის საკვებს წყალში გახსნილი მჭადის ფქვილი წარმოადგენდა(!); ამ ბავშვის განვითარება შეფერხებულია, ჩვილი კახექსიურია, დაწყებული ჰქონდა გაუწყლოვანება, მცირე ხნით დაყოვნებაც ბავშვისთვის საბედისწერო შეიძლება აღმოჩენილიყო.

ბავშვების ბებიასთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ის გონებრივად შეზღუდულია და არ შესწევს ძალა, ადეკვატურად შეაფასოს მდგომარეობა და სათანადოდ მოუაროს ბავშვებს ამ უკიდურესი გაჭირვების ფონზეც კი.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, მ.ვ-ს უფროსი ბავშვები, 8 და 6 წლის გოგობიჭი სკოლაში დადიან და ნორმალურად ვითარდებიან.

მეზობლების ახსნა-განმარტებით, ბებია არასრულფასოვანია და ვერ უვლის ბავშვებს.

უბნის ინსპექტორის და მეზობლების ინფორმაციით, მ.ვ-ს ხშირად დაჰყავდა ბავშვები თბილისში, იქ მათთან ერთად მათხოვრობს და ასე არჩენს ოჯახს. პოლიციამ კი ის ქურდობისთვის დააპატიმრა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა იშუამდგომლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვზე ზრუნვის სამმართველოსთან მ.ვ-ს შვილების ბავშვთა სახელმწიფო ინსტიტუციაში გადაყვანის შესახებ; სამმართველოს უფროსის, თამარ გოლუბიანის თანხმობითა და დახმარებით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის

თანამშრომლებმა მ.ვ-ს ოთხივე ბავშვი თბილისში ჩამოიყვანეს და ჩვილ ბავშვთა სახლში მოათავსეს.

აღნიშნული საქმე შემდგომი შესწავლისთვის გადაეცა საგარეჯოს რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს.

ე.ე-ს საქმე

სახალხო დამცველისათვის მასმედიის საშუალებით ცნობილი გახდა ქალაქ ახალციხის #3-ე საჯარო სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესახებ, როდესაც მასწავლებელმა ანნამან მინასიანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ე.ე-ს, მეშვიდე კლასის მოსწავლეს. კერძოდ, ე.ე-ს თქმით, მას მასწავლებელმა რამდენჯერმე დაარტყა თავში ხელი.

საქმის შესწავლისა და დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლები ადგილზე იმყოფებოდნენ ქ.ახალციხეში და შეხვდნენ #3-ე საჯარო სკოლის დირექტორს რ.მურადიანს, ასევე ანნამან მინასიანს, ე.ე-ს და მის მშობლებს.

ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ისტორიის მასწავლებელი ანნამან მინასიანის მხრიდან მართლაც ადგილი ჰქონდა მეშვიდე კლასელის ე.ე-ს ცემის ფაქტს. მასწავლებლის მიერ მოსწავლის ცემის ფაქტი განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად რ.მურადიანმა გადასცა სკოლის სამეურვეო საბჭოს. როგორც სკოლის სამეურვეო საბჭომ დაადგინა, ა.მინასიანს აკრძალა ე.ე-ს კლასში გაკვეთილების ჩატარება, მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური და დაუკავდა 1 თვის ხელფასი. სკოლის დირექტორმა აგრეთვე განაცხადა, რომ სამეურვეო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ მოსწავლის მშობლებიც, რომლებმაც პრეტენზია არ გამოთქვეს საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. თუმცა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან შეხვედრისას ე.ე-ს მშობლებმა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს და მოითხოვეს ა.მინასიანის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. აქვე ბავშვის მამა რ.ე. მიუთითებს, რომ მას არ სურს საქმის პროკურატურისათვის გადაცემა, ან სასამართლოში განხილვა.

საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა განალებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა ინსპექციამ სკოლის დირექტორისგან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. დირექტორის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათში აღწერილია ის ღონისძიებები, რაც მან განახორციელა, მასწავლის მიერ მოსწავლისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის გამოვლენის შემდეგ. გენერალურმა ინსპექციამ მართებულად და საკმარისად მიიჩნია დირექტორის მიერ მიღებული ზომები და შემდგომი რეაგირება აღარ მოუხდენია.

ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონი

2007 წლის 27 ივნისს, 4 და 16 ივლისს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ზემო ბოდბის სკოლა პანსიონში მონიტორინგის ჩასატარებლად.

ისინი შეხვდნენ პანსიონის დირექტორს, თ.ბალარჯიშვილს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს. დაათვალიერეს კვების ბლოკი, ბავშვების საძინებელი ოთახები და საერთო ოთახები.

პანსიონის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

შემოწმებული იქნა ბავშვთა სახლის სამედიცინო კაბინეტი და სამედიცინო დოკუმენტაცია. შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი დარღვევები სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასა და მედიკამენტებით უზრუნველყოფაში. ბავშვის უფლებების ცენტრის თანამშრომლები, სახალხო დამცველის პაციენტის უფლებათა დაცვის ცენტრის მთავარ ექსპერტთან, ირმა მანჯავიძესთან ერთად გაეცნენ სამედიცინო დოკუმენტაციას.

ინდივიდუალური სამედიცინო ბარათები მოწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „გენეზისის“ მიერ. მათ ჩატარებული აქვთ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა კომპლექსური სამედიცინო შემოწმება, ასევე საჭიროების შემთხვევაში სტაციონარული გამოკვლევები უტარდებათ თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოში, სადაც მოქმედებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დახმარების პროგრამა.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა წამლებით უზრუნველყოფა ხორციელდება ყოველთვიურად ექიმისა და ექთნის მიერ შედგენილი მოთხოვნის საფუძველზე. ხოლო წამლების შესყიდვა ხდება ბავშვთა სახლის ადმინისტრაციის მიერ, დაწესებულების ბუღალტრის განცხადებით, თვეში საშუალოდ 100 ლარის ოდენობით. ვინაიდან აღნიშნული ბავშვთა სახლი უპირატესად ემსახურება ფსიქო-მოტორული შეფერხების და ჩამორჩენის მქონე ბავშვებს, რომელთაც ესაჭიროებათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობა ნევროპათოლოგიის დანიშნულებით (პანტოგამით, ნოტროპილით, სხვადასხვა სპეციფიკური მედიკამენტებით), ასეთი კონტიგენტის წამლებით უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარული დახმარების გზით.

ბავშვთა სახლი პერიოდულად ღებულობს სხვადასხვა სახის მედიკამენტებს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (უკანასკნელად მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაცია “ფესვებისგან“, ხელმძღვანელი ნანა ხელაშვილი), თუმცა ყველა მედიკამენტზე წარწერები ინგლისურ ენაზეა, ზოგიერთ წამალს კი ანოტაცია საერთოდ არ ახლავს. ყოველივე ზემოაღნიშნული შეუძლებელს ხდის წამლების დანიშნულების მიხედვით გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოდბის ბავშვთა სახლის წამლის მოთხოვნის ჟურნალში ძირითადად ერთი და იგივე წამლები არის მოთხოვნილი, თუმცა ჩვენს მიერ შემოწმებული თითქმის არც ერთი ბავშვის ინდივიდუალური ბარათში არ იყო

დაფიქსირებული, რომ ბავშვი საერთოდ საჭიროებდა მკურნალობას. ლ.კ. 8 წლის ასაკში შემოვიდა ბოდბის ბავშვთა სახლში 17.10.2003 წელს (დაბადების თარიღი არ არის მითითებული). 2007 წლის მარტის თვეში ამ აღსაზრდელზე მოთხოვნილია წამლებია: გალაზოლინი 1 ცალი, ციტრამონი 10 აბი, ანალგინი 6 აბი, კოლდრექსი 10 ცალი, მაშინ როცა არ არსებობს ექიმის ჩანაწერი, გაუგებარია თუ რატომ დასჭირდა მედდას ამ წამლების გამოწერა.

მ.გ., დაბადებული 11.03.1999. აპრილის თვეში ექიმის ჩანაწერის მიხედვით დადგენილი აქვს - დიაგნოზი ჩუტყვავილა, რასაც წამლების დანიშნულება არ ახლავს, ხოლო ექთნის მიერ წამლის მოთხოვნის ჟურნალში ამ ბავშვზე მოთხოვნილია წამლები (კეტოტიფენი, კოლდრექსი, ვალერიანი, ნომპა, ციტრამონი) აბსოლუტურად დაუსაბუთებლად.

შემოწმებისას დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როცა მედდის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე არის წამლები მოთხოვნილი. აღსაზრდელი მ.ხ. დაბადებული 1997 წ. 11.01. გასინჯული იქნა ექიმის მიერ (23.04.07) და მიეცა დანიშნულება (ამპიცილინი, მაპაპი, ვიტამინი C, ბრომჰექსინი), მწვავე რესპირატორული დაავადების დიაგნოზით. აპრილის თვეში ამ ბავშვზე არის გამოწერილი და მოთხოვნილი მედიკამენტები ბრომჰექსინი 15 აბი, პარაცეტამოლი 12, ამპიოქსი 15, ალოხილი 15, ფესტალი 6 აბი. ექიმს აქვს გამოწერილი ამპიცილინი, მოთხოვნილია ამპიოქსი, ასევე დამატებით მოთხოვნილია ექიმის დანიშნულების გარეშე სხვა მედიკამენტები. გაუგებარია, ვის მოხმარდა არადანიშნულების მიხედვით მოთხოვნილი მედიკამენტები.

წამლებზე მოთხოვნა იმდენად თვინებურად და დაუსაბუთებლად ხდება მედდის მიერ, რომ ისეთ შემთხვევაში, როცა ექიმმა მისცა დანიშნულება, წამალზე მოთხოვნის ჟურნალში კონკრეტულ გვარზე არ არის წამლებზე მოთხოვნა. აღსაზრდელი ვ.ბ., დაბადებული 25.09.1999 წ. გასინჯულია ექიმის მიერ 26.04.07 წ. მწვავე რესპირატორული დაავადების დიაგნოზის საფუძველზე დანიშნულების (პარაცეტამოლი, 3 აბი C, მუკალტინი) მიხედვით წამალზე მოთხოვნა არ არის გატარებული ჟურნალში.

ასევე შ.ი., 10 წლის ასაკში არის შემოსული. გასინჯულია ექიმის მიერ 30.03.07, დასმულია დიაგნოზი მწვავე ბრონქიტი. აქვს დანიშნულება ამოქსაცილინი 500მგ, ლაზოლვანი, კეტოტიფენი. ეს დანიშნულება არ არის ასახული წამლის მოთხოვნაში.

დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა მოთხოვნილი იყო ისეთი მედიკამენტები, რომლის ანალოგიც ჰუმანიტარული გზით იყო შემოტანილი. აღსაზრდელი მ.კ., დაბადებული 8.01. 1995წ. 16.04.07 გასინჯულია პედიატრის მიერ, დასმული აქვს მწვავე რესპირატორული დაავადების დიაგნოზი და დანიშნული აქვს მაპაპი (პარაცეტამოლი). ორი დღის შემდეგ უკვე ბრონქიტის დიაგნოზის საფუძველზე დანიშნულია ამოქსაცილინი, სუპრასტინი, ნომპა, ლაზოლვანი, სტრეპტოციდი. რამდენად შეესაბამება მკურნალობა დიაგნოზს, ეს სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების კომპეტენციას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ექთნის მიერ ამ ბავშვისათვის მოთხოვნილია: ფესტალი 10 აბი, ამოქსაცილინი 15 ცალი, პარაცეტამოლი 12 აბი, ბრომჰექსინი 15 აბი. იმ შემთხვევაში, როცა ჰუმანიტარულად

იყო შემოტანილი მაპაპი, რა საჭირო იყო დამატებით პარაცეტამოლი? ასევე გაურკვეველია, რატომ არის განსხვავებული ექიმის დანიშნული და მოთხოვნილი წამლების ჩამონათვალი. ასეთი სახის შეუსაბამობანი ექვექვემ აყენებს ბოდბის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების საკითხს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, სამედიცინო მომსახურება და შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხები ბოდბის ბავშვთა სახლში საჭიროებს სათანადო შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას.

ამრიგად, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბოდბის სკოლა-პანსიონში აუცილებელია კადრების განახლება და მათი სამედიცინო განათლების გაუმჯობესება, კონტროლის შესაბამისი მექანიზმების დანერგვის პარალელურად.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს.

სააგენტომ შესწავლით დაადგინა, რომ სიღნაღის რაიონის სოფ. ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონის ექიმი არის სერტიფიცირებული სპეციალობაში - „შინაგანი სნეულებანი“, ეწევა უკანონო საექიმო საქმიანობას სპეციალობაში - „პედიატრია“, ანუ ექიმს პედიატრად მუშაობის უფლება არ ჰქონდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეივსო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაეცა სიღნაღის სასამართლოს, ასევე დაისვა საკითხი სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე: „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაწესებულების ექიმის პასუხისმგებლობის შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, ექიმს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი 1000 ლარის ოდენობით. იმის გამო, რომ ამჟამად ექიმი იმყოფება სადეკრეტო შვებულებაში, მასზე სხვა ღონისძიებების გატარება ჯერ-ჯერობით არ გადაწყვეტილა.

სააგენტომ ასევე დაწესებულებაში დააფიქსირა ექთნის მიერ დანიშნულების გარეშე წამლების გაცემის ფაქტი. დაისვა საკითხი „ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონის“ დირექტორის წინაშე, განიხილოს ექთნის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ექთანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ეწერის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ აღსაზრდელთა თავშესაფარი

16 ივნისს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სამტრედიის რაიონის ეწერის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ აღსაზრდელთა თავშესაფარში მონიტორინგის ჩასატარებლად.

ისინი თავშესაფრის დირექტორს, კარლო გოთოშიას და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ. დაათვალიერეს კვების ბლოკი, ბავშვების საძინებელი ოთახები და საერთო ოთახები.

თავშესაფრის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

დაწესებულება გათვალისწინებულია 100 აღსაზრდელზე; გასული წლის მონაცემებით, თავშესაფარში 50 აღსაზრდელი იყო; ამჟამად დაწესებულებაში 18 ბავშვია - 9 ბიჭი და 8 გოგო, ასევე ერთი აღსაზრდელი, რომელიც ასაკობრივად აღარ მიესადაგება თავშესაფრის პარამეტრებს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ სხვაგან წასასვლელი არ აქვს, დაწესებულებაში რჩება.

დაწესებულებას ემსახურება 5 აღმზრდელი და 2 ძიძა. როგორც გამოკითხვის შედეგებიდან გაირკვა, თავშესაფრის არცერთ თანამშრომელს არ აქვს გავლილი რაიმე მომზადება შესაბამის სფეროში. მათ აღნიშნეს, რომ თავშესაფარში ძალადობის ფაქტებს არცერთხელ არ ჰქონია ადგილი, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში რა სარეაბილიტაციო ზომებს უნდა მიმართონ, მათთვის უცნობია.

აღსანიშნავია თერაპიული კაბინეტის საკითხი. მონიტორინგის დროს ჩაკეტილი იყო ექთნის ოთახი, სადაც მოთავსებულია პირველადი საჭიროების მედიკამენტები. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, სამედიცინო ოთახის გაღება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, შეკითხვაზე, თუ რა ღონეს მიმართავენ აღმზრდელები, თუ ბავშვი რაიმეს დაიზიანებს ან უბრალოდ სიცხე აუწევს, მათ განგვიმარტეს, რომ მიმართავენ ადგილობრივ სასწრაფო დახმარებას. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ სამედიცინო ოთახის არსებობის საჭიროება საერთოდ ეჭვქვეშ დგება.

მონიტორინგის დროს ასევე ყურადღება მიიქცია ე.წ. „ფანტაზიის“ ოთახმა, სადაც ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოებია მოთავსებული. ოთახი წარმოადგენს შუშაბანდს და, შესაბამისად, იქ მოთავსებული სათამაშოების დათვალიერება გარედანაც შესაძლებელია. თვითონ ოთახი ჩაკეტილია და ბავშვებისთვის მიუწვდომელი, რაც იმით აგვიხსნეს აღმზრდელებმა, რომ ბავშვები სათამაშოებს სწრაფად აფუჭებენ.

ზემოთ აღწერილი ფაქტები ბავშვის უფლებათა სხვადასხვა დარღვევებზე მიანიშნებს. კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე მუხლით განსაზღვრულია ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს პირველადი სამედიცინო და სანიტარული დახმარებით, გარდა ამისა, კონვენციის 31-ე მუხლი ითვალისწინებს ბავშვის უფლებას

დასვენებასა და თავისუფალ დროზე, ასევე ასაკისთვის შესაფერის თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობაზე.

სახალხო დამცველმა ეწერის ბავშვთა სახლში არსებული პრობლემების თაობაზე რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სამინისტროს მიერ გამოგზავნილ პასუხში აღნიშნულია, რომ სამინისტრო ინფორმირებულია დაწესებულებაში არსებული პრობლემების შესახებ, რომელიც არ უქმნის აღსაზრდელებს განვითარებისთვის სათანადო გარემოს. არსებული რეალობიდან გამომდინარე, სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს რეფორმის ფარგლებში აღნიშნული დაწესებულების რეორგანიზაცია დღის ცენტრად, რომლის ფუნქციონირება დაიწყება 2008 წლის იანვრიდან.

დანართი #17

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

კახაბერ ბ-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატს მიმართა მოქალაქე კახაბერ ბ-მ. იგი აღნიშნავდა, რომ მისი და - თამარ ბ. 2006 წლის 4 აპრილს მოჰყვა ავტოკატასტროფაში, რის შედეგადაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. კერძოდ, ამპუტირებული აქვს მარჯვენა ზედა კიდური მხრის სახსრის დონეზე. თამარ ბ იყო პიანისტი. ავტოკატასტროფამ გამოიწვია მისი როგორც ფიზიკური დამახინჯება, ასევე პროფესიული საქმიანობისაგან სამუდამო ჩამოშორება.

განმცხადებლის განმარტებით, თამარ ბ-ს ესაჭიროება „კუნთთან შერწყმული“ პროთეზი მიოელექტრული მართვით. მოცემული განცხადების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა (წერილი #2358/04-1/1139-07) რეკომენდაციით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დირექტორს, ბატონ ლევან ფერაძეს. აღნიშნული რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველი თხოვდა სააგენტოს დირექტორს, იმისათვის რათა თამარ ბეროშვილს მიეცეს შესაძლებლობა, სხვა მოქალაქეთა მსგავსად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში, არ იგრძნოს თავი საზოგადოებისაგან გარიყულად და სახელმწიფოსაგან მიტოვებულად უნარშეზღუდულობის მიზეზით, შესაძლებლობის ფარგლებში აღმოეჩინათ დახმარება „კუნთთან შერწყმული“ მიოელექტრული მართვით პროთეზის შეძენაში.

2007 წლის 27 აგვისტოს (წერილი #01/06-3632) სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან მიღებული პასუხის თანახმად ირკვევა, რომ ჩვენი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს. აღნიშნული სააგენტოს მიერ განხილულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გვაცნობეს, რომ შშმ პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის - შშმპ-თა საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში თამარ ბეროშვილს ეკუთვნის აღნიშნული დახმარება, რისთვისაც მან უნდა მიმართოს ამ ეტაპზე პროგრამაში მონაწილე დაწესებულებას (შშმპ-თა სოციალურ რეაბილიტაციის ცენტრს, მისამართზე: ქ.თბილისი, კედიას ქუჩა №7).

დანართი #18

ხანდაზმულთა სახლებისა და პანსიონატებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის შედეგები

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი

პანსიონატი 1978 წლიდან ფუნქციონირებს. დაწესებულება ახორციელებს ხანდაზმულთა ინსტიტუციონალურ პატრონაჟს - მოვლა პატრონობას, კვებას, პირველად სამედიცინო მომსახურებას და რეაბილიტაციას. დაწესებულებაში მარტოხელა, ეკონომიკურად შეჭირვებული, დევნილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან მოთავსებული. ამ დროისთვის დაწესებულების ქონებრივი სტატუსი გაურკვეველია.

საყოფაცხოვრებო პირობები

პანსიონატის ეზო მოწესრიგებულია. დაწესებულების ინტერიერი კარგ მდგომარეობაშია. სანიტარული ნორმები დაცულია და ინფრასტრუქტურა ნორმალურად ფუნქციონირებს. თითოეულ ოთახში ერთი მობინადრე ცხოვრობს, იმ გამონაკლისების გარდა, როცა მეუღლეები ერთად ცხოვრებას ირჩევენ. ოთახები უზრუნველყოფილია საჭირო ავეჯით, ხელსაბანებით და ტუალეტებით. ცხელი წყალი მობინადრეთა ოთახებს არ მიეწოდება, თუმცა მობინადრეებს აქვთ აბაზანით რეგულარულად სარგებლობის საშუალება. გამოკითხულები აცხადებენ, რომ ზაფხულისთვის ესაჭიროებათ ვენტილატორები ან კონდიციონერები. დაწესებულება მათ ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფს. გამოკითხულ მობინადრეთა 85% აცხადებს, რომ მისი პრივატულობა დაცულია. საკვები ხარისხიანი და საკმარისია. მობინადრეთათვის მოწყობილია სპეციალური ოთახი ჯგუფური დასვენებისთვის.

მობინადრეთა მოვლა

გამოკითხულთა 100% აცხადებს, რომ პერსონალი პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობა. გამოკითხულთა 25% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პირადი მომვლელის აყვანა, ხოლო 35% აცხადებს რომ პირადი მომვლელის აყვანა არ შეუძლია. მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა რამდენიმე პაციენტს, რომელთაც პირადი მომვლელი ესაჭიროებათ და არ ჰყავთ. ჰიგიენური პროცედურები შირმის მიღმა ტარდება. რამდენიმე გამოკითხული აცხადებს, რომ ღამით მორიგე პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა მობინადრეები მარტო

ცხოვრობენ - კრიზისულ სიტუაციებში მათ ვერავინ დაეხმარება, რადგან სასიგნალო სისტემები ყველა ოთახში არ არის დამონტაჟებული. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით მობინადრეთა დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით ადგილი არ აქვს.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

მობინადრეთათვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია, დაწესებულება უზრუნველყოფს მათთვის რეგულარული გამოკვლევების და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის ჩატარებას. გამოკითხულთა 85% თვლის, რომ მისთვის სამედიცინო მედიკამენტები ხელმისაწვდომია. გამოკითხულთა მცირე ნაწილი აცხადებს, რომ სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს და უსახსრობის გამო ხელი არ მიუწვდება. მობინადრეებს აქვთ ფსიქოლოგის მომსახურებით სარგებლობის საშუალება.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

მობინადრეებს აქვთ ეზოში სუფთა ჰაერზე სეირნობის საშუალება. მნახველებთან შეხვედრის დრო შეზღუდული არ არის. მობინადრეებს შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით უფლება აქვთ დატოვონ დაწესებულება. მათ აქვთ ტელევიზორით, რადიოთი, ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობის საშუალება. გამოკითხულთა 80%-ის მითითებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში მობინადრეები დასასვენებლად არსად ყოფილან. გამოკითხულთა 78% არ იცის თუ რა თანხა არის სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი და რაში იხარჯება აღნიშნული თანხა. გამოკითხულთა მხოლოდ 30% იცნობს შინაგანაწესს. მობინადრეებს არ აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება, გამოკითხულთა მითითებით სამივე სართულზე მხოლოდ ერთი ტელეფონი ფუნქციონირებს.

იძულებითი შრომა

გამოკითხულთა 80% აცხადებს, რომ არ უწევს შრომა დაწესებულების სასარგებლოდ, ხოლო 15% საკუთარი ნებით ასრულებს მსუბუქ სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი ოთახის დალაგებასთან.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

გამოკითხულთა აზრით მათ აქვთ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების შესაძლებლობა.

შეკითხვაზე - "გაქვთ თუ არა საშუალება როდესაც გნებავთ და ვისთანაც გნებავთ თქვით ის რაც თქვენ გსურთ?" - გამოკითხულთა 80% პასუხობს - "დაახ", ხოლო 20% პასუხობს - "არა".

გასაჩივრების უფლება

გამოკითხულთა 70% აცხადებს, რომ პრეტენზიის შემთხვევაში საშუალება აქვს საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციას ან სხვა უწყებებს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება

გამოკითხულთა 80% დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, მათ შორის ბევრი მობინადრე აცხადებს, რომ მისი მოსვლის შემდეგ არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა. 20% თავს იკავებს შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან. გამოკითხულთა 55% პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან არ აქვს.

ხანდაზმულთა სახლი "ბეთელი"

"ბეთელი" წარმოადგენს 22 ადგილიან ხანდაზმულთა სახლს, რომელიც ქველმოქმედებით მიღებული შემოწირულობებით ახორციელებს ხანდაზმულთა მოვლა პატრონობას, კვებას, პირველად სამედიცინო მომსახურებას და რეაბილიტაციას. დაწესებულებაში მარტოხელა, ეკონომიკურად შეჭირვებული, დევნილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან მოთავსებული.

საყოფაცხოვრებო პირობები

"ბეთელი"-ს შენობა ახლად აშენებულია. ინტერიერი კომფორტულია. სანიტარული ნორმები დაცულია და ინფრასტრუქტურა გამართული. თითოეულ ოთახში ერთი ან ორი (მეუღლეები) მობინადრე ცხოვრობს. ოთახები უზრუნველყოფილია თანამედროვე ავეჯით, ტუალეტებით და სააბაზანოებით. დაწესებულება მათ ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფს. ყველა გამოკითხული კმაყოფილია საკვების ხარისხით და ოდენობით, სასადილო სუფთა და კომფორტულია. მობინადრეთათვის მოწყობილია სპეციალური ოთახი დასვენების და გართობისთვის.

მობინადრეთა მოვლა

გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ პერსონალი პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობა. გამოკითხულთა 90% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პირადი მომვლელის აყვანა, მონიტორინგის ჯგუფმა ნახა რამდენიმე ბინადარი, რომელთაც პერსონალური მომვლელები ჰყავთ. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით მობინადრეთა დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით ადგილი არ აქვს.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

გამოკითხული მობინადრეები აცხადებენ, რომ სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები ხელმისაწვდომია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მათთვის ძვირადღირებული სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მთლიანად დაფინანსება დაწესებულებას არ შეუძლია. რამდენიმე მობინადრე საჭიროებს ოფთალმოლოგის კონსულტაციას და მკურნალობას.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

მობინადრეებს აქვთ ეზოში სუფთა ჰაერზე სეირნობის საშუალება. მნახველებთან შეხვედრის დრო შინაგანაწესით არის განსაზღვრული. მობინადრეებს უფლება აქვთ დატოვონ დაწესებულება. მათ აქვთ ტელევიზორით, რადიოთი, ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობის საშუალება. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასასვენებლად არსად ყოფილა. თითქმის ყველა გამოკითხულმა იცის თუ რა თანხას იხდის საკუთარი პენსიიდან და რაში იხარჯება იგი. გამოკითხულთა 85% იცნობს შინაგანაწესს რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მობინადრეებს აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება.

იძულებითი შრომა

გამოკითხული მოზინადრეები არ შრომობენ დაწესებულების საჭიროებისთვის. თუმცა მათივე თქმით, თუ ამის სურვილი ექნებათ შეუძლიათ სხვადასხვა სამუშაო შეასრულონ.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

გამოკითხულთა აზრით მათ აქვთ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების შესაძლებლობა.

შეკითხვაზე - "გაქვთ თუ არა საშუალება როდესაც გნებავთ და ვისთანაც გნებავთ თქვათ ის რაც თქვენ გსურთ?" - გამოკითხულთა 75% პასუხობს - "დიახ", ხოლო 25% პასუხობს - "არა".

გასაჩივრების უფლება

გამოკითხულთა 80% აცხადებს, რომ პრეტენზიის შემთხვევაში საშუალება აქვს საჩივრით მიმართოს სახლის ადმინისტრაციას ან სხვა უწყებებს.

✓ არჩევნებში მონაწილეობის უფლება

გამოკითხულთა 40% აცხადებს, რომ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობა მიუღია, დანარჩენი ნაწილი აცხადებს, რომ მისი მოსვლის შემდეგ არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა. ყველა გამოკითხულს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან აქვს.

სათნოების სახლი "კათარზისი"

"კათარზისი" წარმოადგენს 15-20 ადგილიან ხანდაზმულთა სახლს, რომელიც შემოწირულობით ახორციელებს ხანდაზმულთა მოვლა პატრონობას, კვებას და რეაბილიტაციას. დაწესებულებაში მარტოხელა, ეკონომიკურად შეჭირვებული და დევნილი პირები არიან მოთავსებული. "კათარზისი"-ს საბანკო ანგარიშები ამჟამად დაყადაღებულია.

საყოფაცხოვრებო პირობები

"ბეთელი"-ს შენობას უტარდება სარემონტო სამუშაოები, რომელიც ამჟამად საბანკო ანგარიშების დაყადაღების გამო შეჩერებულია. ორ ოთახში სულ 15-მდე მოზინადრე ცხოვრობს. ოთახები უზრუნველყოფილია მინიმალური ავეჯით. ტუალეტების და სააბაზანოების სარემონტო სამუშაოები შეჩერებულია. ყველა გამოკითხული კმაყოფილია კვების პირობებით. სანიტარული ნორმები დაცულია. მოზინადრეებს აქვთ ეზოში სეირნობის საშუალება.

მოზინადრეთა მოვლა

გამოკითხული მოზინადრეები პერსონალის მოპყრობით კმაყოფილი არიან. გამოკითხულთა 90% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პირადი მომვლელის აყვანის საშუალება მოზინადრეებს არ აქვთ და მათი განმარტებით არც ესაჭიროებათ. გამოკითხულთა აზრით მოზინადრეთა დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით ადგილი არ აქვს.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

გამოკითხული მოზინადრეები აცხადებენ, რომ პირველადი სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია, მედიკამენტები გამოკითხულთა ნაწილის განცხადებით არასაკმარისია.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

მნახველებთან შეხვედრის დრო შეზღუდული არ არის. შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით მოზინადრეებს უფლება აქვთ დატოვონ დაწესებულება. მათ აქვთ ტელევიზორით, რადიოთი, ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობის საშუალება. მოზინადრეები ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასასვენებლად არსად ყოფილან. გამოკითხულთა მხოლოდ 50% იცნობს შინაგანაწესს. მოზინადრეებს აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება.

იძულებითი შრომა

გამოკითხული მოზინადრეები არ შრომობენ დაწესებულების საჭიროებისთვის.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

გამოკითხულთა აზრით მათ აქვთ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების შესაძლებლობა.

შეკითხვაზე - "გაქვთ თუ არა საშუალება როდესაც გნებავთ და ვისთანაც გნებავთ თქვათ ის რაც თქვენ გსურთ"? - ყველა გამოკითხული პასუხობს - "დიახ";

გასაჩივრების უფლება

ყველა გამოკითხული აცხადებს, რომ პრეტენზიის შემთხვევაში საშუალება აქვს საჩივრით მიმართოს სახლის ადმინისტრაციას ან სხვა უწყებებს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება

გამოკითხულთა ნახევარს დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობა მიუღია; ყველა გამოკითხულს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან აქვს.

მევრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი

მევრის შშმპ-თა პანსიონატში მოთავსებული არიან მარტოხელა, ეკონომიკურად შეჭირვებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. მობინადრეების უმრავლესობა დაწესებულებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს (4 - 16 წ.).

საყოფაცხოვრებო პირობები

შენობა საჭიროებს რემონტს. ინფრასტრუქტურა უკიდურესად მოუწესრიგებელია, მოშლილია წყალგაყვანილობის და ელექტროგაყვანილობის სისტემები. სანიტარული კვანძები ამორტიზებულია (კარების გარეშე). წყლის გამათბობლები კუსტარულად არის დამზადებული და უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ბოლო 15 წლის განმავლობაში ინვენტარი არ შეცვლილა. მწყობრიდან არის გამოსული გათბობის სისტემა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ნაწილი, რომელიც ეტლების საშუალებით გადაადგილდება საჭიროებს ეტლების შეცვლას, რადგან არსებული ეტლები დაძველებულია და მწყობრიდან არის გამოსული. პანსიონატში არ არის შშმპ პირების ცხოვრებისთვის, გადაადგილებისთვის აუცილებელი პირობები. დაწესებულება მობინადრეებს ვერ უზრუნველყოფს ტანსაცმლით. მობინადრეები ჰუმანიტარულ დახმარებას არ იღებენ.

მობინადრეთა მოვლა

პერსონალი მობინადრეებს "გიჟებად" მოიხსენიებს და მათ წინაშე პასუხისმგებლობას არ გრძნობს. მობინადრეები ჩივიან, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჯოხით სცემენ ხოლმე. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ერთ-ერთი სანიტარი ქალი ბანს ქალებსაც და კაცებსაც.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალება აქვს და მედიკამენტებით უზრუნველყოფილია.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

გამოკითხულ მობინადრეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაწესებულებას შინაგანაწესი არ გააჩნია. არც ერთი გამოკითხული იყო ინფორმირებული თუ რაში იხარჯება მათთვის სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხა. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში წინათ ათობით ლარის გადახდა უწევდა, თუმცა მათივე თქმით ეს პრაქტიკა ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ აღმოიფხვრა. რამდენიმე მობინადრეს სურს, რომ შვილები მათთან იზრდებოდნენ, თუმცა მათივე განცხადებით ისინი "მათგან შორს ზესტაფონის ბავშვთა სახლში არიან" მოთავსებული.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების უფლება არ არის დარღვეული. მოზინადრეებს არ აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება, ამისთვის მათ ცემით ემუქრებიან.

იძულებითი შრომა

გამოკითხულთა განცხადებით ადმინისტრაცია მოზინადრეებს იძულებით ამუშავებს ანაზღაურების გარეშე. მეზობლად მცხოვრები მოსახლეობა ხშირად მიმართავს ადმინისტრაციას სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად მოზინადრეთა გამოყენების მიზნით.

გასაჩივრების უფლება

გამოკითხულთა 80% აცხადებს, რომ პრეტენზიის შემთხვევაში საშუალება აქვს საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციას ან სხვა უწყებებს.

საპატრიარქოსთან არსებული მეგვის ხანდაზმულთა სახლი

მეგვის ხანდაზმულთა სახლი ერთადერთია მოხსენებაში ჩამოთვლილ დაწესებულებათა შორის, რომელშიც მოთავსებული არიან მარტოხელა, ეკონომიკურად შეჭირვებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სხვადასხვა ასაკის ადამიანები. აქ ბინადართა შორის შეხვდებით ბავშვებს, ზრდასრულებს და ხანდაზმულებს. სახლი მათ მოვლა-პატრონობას შემოწირულობებით ახერხებს. დაწესებულებას სოციალურად შეჭირვებული ოჯახის პრობლემათა მთელ სპექტრთან უხდება შეჭიდება, როგორცაა ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა, სამედიცინო მომსახურება, მობინადრეთათვის განათლების მიცემა და დასაქმება.

საყოფაცხოვრებო პირობები

დაწესებულება მშვენიერი, გამწვანებული ეზოთი არის გარშემორტყმული. ეზოში რამდენიმე დამოუკიდებელი შენობაა. მობინადრეების ოთახებში განთავსების რაიმე კონკრეტული წესი არ არსებობს. მობინადრეებს აქვთ აბაზანით რეგულარულად სარგებლობის საშუალება. კვების პირობები გამოკითხულთა თქმით ნორმალურია. სანიტარული ნორმები დაცულია. დაწესებულება ბინადრებს ტანსაცმლით, მინიმალური სამგზავრო და საარსებო ფულით უზრუნველყოფს. სახლის ბინადრების ნაწილი სწავლობს თბილისში და ყოველდღიურად უხდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით გამგზავრება.

მობინადრეთა მოვლა

გამოკითხულთა აზრით პერსონალი მათ პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობა. ჰიგიენური პროცედურები შირმის მიღმა ტარდება. მობინადრეთა დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით ადგილი არ აქვს.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალება მობინადრეებს ადგილზე არ აქვთ. დაწესებულების ხელმძღვანელობა პირადი კონტაქტების დახმარებით ცდილობს მათთვის ჯანმრთელობის პრობლემების მოწესრიგებას. მედიკამენტებით მობინადრეები უზრუნველყოფილნი არიან.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

მობინადრეებს აქვთ თავისუფლად გადაადგილების უფლება. ბავშვები მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე სარგებლობენ ამ უფლებით. ტელევიზორი და რადიო ხელმისაწვდომია. დაწესებულებას არ გააჩნია შინაგანაწესი. გამოკითხულთა განმარტებით მობინადრეები ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენენ და ისე ცხოვრობენ როგორც საკუთარ სახლში. ყველა მობინადრეს აქვს სტუმრების მიღების საშუალება.

იძულებითი შრომა

გამოკითხულები უარყოფენ იძულებითი შრომის ფაქტებს. გამოკითხულთა ნაწილი აცხადებს, რომ თავად რეცხავს ტანსაცმელს და ალაგებს თავის ოთახს.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

გამოკითხულთა აზრით მათ აქვთ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების შესაძლებლობა. მობინადრეებს შეუძლიათ მახლობელ ეკლესიაში მისვლა და საეკლესიო რიტუალებზე დასწრება.

შეკითხვაზე - "გაქვთ თუ არა საშუალება როდესაც გნებავთ და ვისთანაც გნებავთ თქვათ ის რაც თქვენ გსურთ"? - ყველა გამოკითხული პასუხობს - "დიახ".

გასაჩივრების უფლება

ყველა გამოკითხული აცხადებს, რომ პრეტენზიის შემთხვევაში საშუალება აქვს საჩივრით მიმართოს სახლის ხელმძღვანელს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება

გამოკითხულთა ნაწილს არჩევნებში მონაწილეობა მიუღია. გამოკითხულ მობინადრეებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები თან აქვთ.

ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი

ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში იმყოფებიან მარტოხელა, ეკონომიკურად შეჭირვებული, შშმ და დევნილი პირები. მოზინადრეები დაწესებულებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებიან. დაწესებულებისკენ მიმავალი გზა ამორტიზებულია და შეკეთებას საჭიროებს.

ბენეფიციარის პირად საქმეში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს თუ რომელი სარწმუნოების მიმდევარია და მონათლულია თუ არა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43 მუხლთან, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულება ვალდებულია "არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლხედველობრივ შეხედულებებთან".

საყოფაცხოვრებო პირობები

შენობა ძველია და საფუძვლიან რემონტს საჭიროებს. მიუხედავად ამისა სისუფთავე დაცულია. თითო ოთახში ორი მოზინადრეა განთავსებული. მოზინადრეებს აქვთ აბაზანით რეგულარულად სარგებლობის საშუალება. კვების პირობებით გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია.

2007 წლის იანვრიდან ლიფტი არ ფუნქციონირებს, რის გამოც შშმ პირებს, რომლებიც ეტლებით სარგებლობენ, გადაადგილება უჭირთ.

მოზინადრეთა მოვლა

პერსონალის მომსახურებით გამოკითხული მოზინადრეები კმაყოფილები არიან. პირადი მომვლელის აყვანის საშუალება დაწესებულებაში არ არის. მოზინადრეთა დისკრიმინაციას პერსონალის მხრიდან ადგილი არ აქვს. გამოკითხულთა 35% განცხადებით ჰიგიენური პროცედურები შირმის მიღმა არ ტარდება.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

გამოკითხულთა განცხადებით სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია, მედიკამენტებით მომარაგება - საკმარისი. ფსიქოლოგი დაწესებულებას არ ემსახურება.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

ბენეფიციარების პირად საქმეში აღნიშნულია შეკითხვა, თუ რომელი სარწმუნოების მიმდევარია ბენეფიციარი და მონათლულია თუ არა რაც არსებულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის.

არც ერთი გამოკითხული არის ინფორმირებული თუ რა თანხა არის გამოყოფილი მისთვის სახელმწიფოს მხრიდან და რაში იხარჯება აღნიშნული თანხა.

შინაგანაწესი გამოქვეყნებულია განყოფილებებში, თუმცა არცერთი გამოკითხული იცნობს მას.

მნახველების მიღება მობინადრეებს შეუძლიათ. შენობიდან გასვლა ნებართვის საფუძველზეა შესაძლებელი.

იძულებითი შრომა

მობინადრეები არ შრომობენ დაწესებულების საჭიროებისთვის.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

გამოკითხულთა აზრით მათ აქვთ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების შესაძლებლობა.

შეკითხვაზე - "გაქვთ თუ არა საშუალება როდესაც გნებავთ და ვისთანაც გნებავთ თქვათ ის რაც თქვენ გასურთ?" - რამდენიმე გამოკითხული აცხადებს, რომ კრიტიკული აზრის გამოთქმისთვის მობინადრეები ისჯებიან.

გასაჩივრების უფლება

გამოკითხულთა 85% თვლის, რომ აქვს საშუალება პრეტენზიით მიმართოს ადმინისტრაციას ან სხვა უწყებას.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება

გამოკითხულთა 60% მიუღია არჩევნებში მონაწილეობა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში. უმრავლესობას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები თან აქვს.

ხანდაზმულთა სახლი "სათნოება"

"სათნოება" წარმოადგენს ქ. თბილისში მდებარე 4 ოთახიან კერძო სახლს, რომელიც საქველმოქმედო მიზნებით გადაკეთდა ხანდაზმულთა სახლად. დაწესებულებაში მართობელა, ეკონომიკურად შექირვებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან მოთავსებული.

საყოფაცხოვრებო პირობები

სახლის ფასადი და სახურავი გარემონტებულია შემოწირულობების მეშვეობით. . წყალგაყვანილობის და ელექტროგაყვანილობის სისტემები ნორმალურად ფუნქციონირებს. თითო ოთახში 3-4 მობინადრეა მოთავსებული. ინვენტარი მოძველებულია. თეთრეული რეგულარულად არ იცვლება. გაზის გამათბობელი ერთ-ერთ ოთახში საწოლის თავზეა დამონტაჟებული და კედელი გამურულია გამონაბოლქვით - რაც უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და საფრთხეს უქმნის მობინადრეებს. გამოკითხულთა ნაწილი კვების პირობებით უკმაყოფილოა. სუფთა ჰაერზე სეირნობის საშუალება მობინადრეებს არ აქვთ, რადგან დაწესებულებას აქვს მცირე ეზო, რომელშიც სეირნობა შეუძლებელია. დაწესებულებაში აღინიშნება სპეციფიური არასასიამოვნო სუნი.

მობინადრეთა მოვლა

აღსანიშნავია, რომ მობინადრეთა უმრავლესობას აღინიშნება კოგნიტიური მოშლილობები, რომელიც სავარაუდოდ ათეროსკლეროზის მიზეზით არის გამოწვეული. არც ერთმა გამოკითხულმა იცის იღებს თუ არა პენსიას. გამოკითხულთა ნაწილი აცხადებს, რომ "სათნოებაში" მოთავსებისთვის მათი ნათესავები იხდიან თანხას. პერსონალი აცხადებს, რომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობს საქველმოქმედო მიზნით. გამოკითხული მობინადრეები კმაყოფილები არიან მოვლის პირობებით.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

დაფინანსების სიმწირის გამო დაწესებულება მობინადრეებს სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით ვერ უზრუნველყოფს. თუმცა ადმინისტრაციის განცხადებით ექიმები ხშირად სტუმრობენ სახლს და მობინადრეებს გამოკვლევებს უტარებენ. დაწესებულებას ემსახურება ფსიქოლოგი.

კავშირი გარესამყაროსთან და ინფორმაციის მიღების უფლება

დაწესებულებას შინაგანაწესი არ გააჩნია. სახლის დატოვების უფლება შეზღუდულია. გამოკითხულთა განცხადებით მნახველებთან ურთიერთობის დრო შეზღუდულია. მობინადრეთა ნაწილს აქვს ტელევიზორით სარგებლობის საშუალება. ტელეფონი მათთვის დამონტაჟებული არ არის, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციის თქმით ტელეფონით სარგებლობა შესაძლებელია.

აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება

რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების უფლება არ არის დარღვეული. მობინადრეებს მათივე თქმით აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

იძულებითი შრომა

მობინადრეების ნაწილი შრომობს დაწესებულების სასარგებლოდ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

გასაჩივრების უფლება

გასაჩივრების შიდა მექანიზმი არ არსებობს, თუმცა გამოკითხულების აზრით მათ შეუძლიათ სხვადასხვა უწყებას მიმართონ პრეტენზიით.

დანართი #19

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი

მ.ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო/კვლევით ინსტიტუტში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - 2007წ. მაისი

წარდგენა

მონიტორინგი განხორციელდა ფონდ “ღია საზოგადოება საქართველო”-ს ფინანსური მხარდაჭერით.

მ.ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მონიტორინგი ჩატარდა 29-30 მაისს. ინსტიტუტის დირექცია წინასწარ იყო გაფრთხილებული მონიტორინგის ჩატარების შესახებ, რათა საავადმყოფოს ნორმალურ მუშაობას პრობლემები არ შექმნოდა და მონიტორინგის შეუფერხებლად ჩატარებისათვის შესაბამისი ზომები მიეღო. 12 კაციანი მონიტორინგის ჯგუფისათვის ორგანიზებული იყო ცალკე, დაცული სამუშაო ოთახები. სამედიცინო პერსონალი მაქსიმალურად ყურადღებიანი იყო.

მონიტორინგის მიზანი იყო შეგვესწავლა საავადმყოფოში არსებული პირობები და პაციენტთა უფლებები ზოგადად, მათ შორის, სტაციონარში მოთავსებისა და მკურნალობისას დაცული იყო თუ არა ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი მკურნალობის პროცედურა “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” კანონის მიხედვით. გამოყენებული იყო 3 ტიპის კითხვარი ექიმების, მედლებისა და პაციენტებისათვის. ინფორმაციის მიღების მეთოდი იყო ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ, დაკვირვება და ფოტო-დოკუმენტირება. მონიტორინგის დროს დაცული იყო ნებაყოფლობითი მონაწილეობის და კონფიდენციალობის პრინციპები.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12 ექიმმა, 15 მედდამ და 45 პაციენტმა.

ანგარიშის მოკლე შინაარსი

მ.ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში წამყვანი ფსიქიატრიული დაწესებულებაა, რადგან აქ მუშაობენ სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტები, ფუნქციონირებს სამედიცინო ინსტიტუტების კათედრები და ხორციელდება რეზიდენტურის პროგრამები.

დაწესებულება მდებარეობს თბილისის ცენტრალურ უბანში (საბურთალოზე), უკავია 3 ჰა გამწვანებული ტერიტორია.

საავადმყოფოში ამჟამად მკურნალობს 280 პაციენტი. მედპერსონალი - 39 ექიმი, 60 მედდა.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბოლო წლების დაფინანსების გაზრდა მნიშვნელოვნად დაეტყო საკვების ხარისხსა და მედიკამენტებით მომარაგებას. საავადმყოფოში 4 ჯერადი კვებაა, მენიუ შედარებით მრავალფეროვანია, თითქმის ყოველდღეა ხორცი. განყოფილებები ძირითადი მედიკამენტებით შეუფერხებლად მარაგდება.

შენობების კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ განყოფილებაში გაკეთდა კოსმეტიკური რემონტი, სველი წერტილები მძიმე მდგომარეობაშია, კედლები დანესტიანებულია, ბევრი პირსაბანი გაუქმებულია, ტუალეტები მოშლილია, საშხაპეები არ არის, წყალს აცხელებენ ელექტრო გამაცხელებლებით. აბანო საშუალოდ კვირაში ერთხელაა. საავადმყოფოში არ არის პირადი ჰიგიენის დაცვის ისეთი საშუალებები, როგორცაა ტუალეტის ქაღალდი, კბილის პასტა, ჯაგრისი, ჰიგიენური პაკეტები, პირსახოცები. აღნიშნული ძირითადად პაციენტის ახლობლებს მოაქვთ. თეთრეული იცვლება აბანოს შესაბამისად.

მონიტორინგის დღეებში სისუფთავე დაცული იყო, მაგრამ გაურემონტებელი განყოფილებები, ძველი ინვენტარი, გაცვეთილი ლეიბები, საბნები და ცუდად ჩაცმული პაციენტები მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

მედპერსონალი ძირითადად უჩივის სამუშაოს მძიმე პირობებს და დაბალ ხელფასს. ექიმის საშუალო ხელფასია - 140ლ, ექთნის - 110ლ. ასევე აღნიშნეს სპეციალური სამედიცინო გამოკვლევების ნაკლებხელმისაწვდომობა. მედდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი თანამედროვე ლიტერატურასა და ინტერნეტ რესურსებისადმი. მნიშვნელოვანია, რომ ექთნებმა რამდენიმე თვის წინ, ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად გაირეს ტრეინინგების ციკლი ფსიქიატრიასა და იმულებითი ზომების გამოყენების შესახებ. ტრეინინგები ჩატარეს ქართველმა და უცხოელმა ტრენერებმა.

საავადმყოფო ძირითადად მომარაგებულია ფსიქიატრიული დანიშნულების მედიკამენტებით. პაციენტებს საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ სხვა სპეციალობის ექიმთა კონსულტაცია და შესაბამისი მკურნალობა, მაგრამ სხვა საავადმყოფოში გადაყვანა პრობლემურია, ზოგიერთი საავადმყოფო არც იღებს პაციენტებს, განსაკუთრებით თუ პაციენტი გადახდისუნაროა, ამიტომ ფსიქიატრიულ დაწესებულებას უწევს მკურნალობის ხარჯის დაფარვა.

საავადმყოფოს არ ჰყავს სტომატოლოგი (დეკრეტშია), რის გამოც პაციენტები სტომატოლოგიური მომსახურების გარეშე არიან.

მედიკამენტური მკურნალობის გარდა პაციენტები გადიან რეაბილიტაციის კურსს საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში, სადაც მათ უტარდებათ ფსიქოთერაპია, ხელოვნებითი თერაპია, ერგო-თერაპია, სწავლობენ დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევებს.

საავადმყოფოში გახსნილია არტ-თერაპიული განყოფილება, სადაც პაციენტებს შექმნილი აქვთ კომფორტული, მყუდრო გარემო, ჩართულნი არიან ხელოვნებით თერაპიაში, კომპიუტერის სწავლების პროგრამაში და სწავლობენ ხელსაქმეს.

მონიტორინგის დღეს საავადმყოფოში მოიყვანეს 12 წლის ბიჭი, რომელიც ქალთა განყოფილებაში დააწვინეს, რადგან საქართველოში არ არსებობს ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილებები. 14 წლამდე ბავშვის მოზრდილთა განყოფილებაში მოთავსება კანონს ეწინააღმდეგება.

საავადმყოფო ქალაქის ცენტრში მდებარეობს, ამიტომ გარე სამყაროსთან კავშირი შენარჩუნებულია. შესაბამისად ნათესავებს არ უჭირთ პაციენტების მონახულება.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაციენტთა უმრავლესობა ნებაყოფლობით მკურნალობს, მათ შეზღუდული აქვთ საავადმყოფოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება.

მონიტორინგის ჯგუფმა მუშაობის ორივე დღეს სულ რამდენიმე პაციენტი ნახა ეზოში სასაერნოდ გამოსული. რომლებსაც ასევე საშუალება აქვთ, გავიდნენ საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე და შეიძინონ სიგარეტი, საჭმელი ან სხვა რაც სჭირდებათ.

პაციენტები ძირითადად ნებაყოფლობით მკურნალობენ, სამედიცინო დოკუმენტებში მკურნალობაზე მათი ან მათი მეურვის თანხმობაა.

არანებაყოფლობითი სტაციონირების შემთხვევაში, კანონის შესაბამისად საავადმყოფოში იმართება სასამართლო სხდომა. საერთოდ მონიტორინგმა აჩვენა, რომ ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით მოთავსებულ პაციენტთა საავადმყოფოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისა და საავადმყოფოდან გაწერის პირობები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

საავადმყოფოს აქვს შინაგანაწესი, თუმცა ყველა განყოფილებაში არ არის საინფორმაციო დაფა, რომლითაც პაციენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ რეჟიმს, ან კანონს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ ან თავის უფლება-მოვალეობებს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ პაციენტებმა არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ (საერნობის, შვებულების, ტელეფონით სარგებლობის, ინფორმაციის მიღების, გაწერის და სხვა).

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდებიდან ხშირად იყენებენ პაციენტის ფიქსაციას, მაგრამ მედპერსონალმა ზუსტად ინსტრუქციები არ იცის. პასუხები თუ რამდენი ხანი გრძელდება შეზღუდვა, ვინ ნიშნავს და ხსნის, შეიძლება თუ არა ტულეტის გამოყენება ფიზიკური შეზღუდვის დროს განსხვავებულია.

განყოფილების საჭიროებისთვის პაციენტების `ნებაყოფლობითი შრომა` მიღებული პრაქტიკაა. ანაზღაურების სანაცვლოდ პაციენტებს სიგარეტით ან კეთილგანწყობით

”ასაჩუქრებენ”. მედპერსონალი მიიჩნევს, რომ ეს შრომა პაციენტისათვის სასარგებლოა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ პაციენტებსა და მედპერსონალს შორის არსებობს კეთილგანწყობა. პაციენტთა უმრავლესობა კმაყოფილია პერსონალის კვალიფიკაციითა და გაწეული მომსახურებით. პაციენტები უხეშობას და შეურაცხყოფას აწყდებიან ძირითადად სანიტრების მხრიდან. საავადმყოფოში გასაჩივრების შიდა მექანიზმი შემუშავებული არ არის, რის გამოც ადმინისტრაცია ნაკლებადაა ინფორმირებული მედპერსონალსა და პაციენტებს შორის არსებულ პრობლემებზე.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები პაციენტის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, გაამკაცროს კონტროლი სანიტრების ქცევასა და პაციენტების შრომის გამოყენაზე, შეიმუშაოს საავადმყოფოს შინაგანაწესი და გასაჩივრების მექანიზმი, ჩაუტაროს მედპერსონალს შესაბამისი ინსტრუქტაჟი, უზრუნველყოს პაციენტების ყოველდღიური სეირნობა და პაციენტების და ნათესავებისათვის მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მონიტორინგის ვრცელი ანგარიში

მ.ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

დაწესებულება მდებარეობს თბილისის ცენტრში, უკავია 3 კვ.მ გამწვანებული ტერიტორია. საავადმყოფოში 7 განყოფილებაა, ამჟამად მკურნალობს 280 პაციენტი. საავადმყოფოში მუშაობს სამედიცინო ინსტიტუტის კათედრები, ყველა განყოფილებას ჰყავს მეცნიერ ხელმძღვანელი. ექიმების რაოდენობაა 39, ექთანი 60, ექიმის საშუალო ხელფასია - 140 ლარი, ექთნის - 110 ლარი. თითოეული ექიმი საშუალოდ 15 პაციენტს ემსახურება. განყოფილებებში დღის სამუშაო საათებში 3 ექთანი (უფროსი ექთანი, დღის ექთანი, მორიგე ექთანი) და 4 სანიტარია. საავადმყოფოს მიმღები განყოფილება აქვს, რომელსაც ცალკე შტატი ჰყავს. თითოეულ განყოფილებაში დაახლოებით 35 პაციენტია. განყოფილებები გადატვირთულია, პალატებში 10-15 პაციენტია, ზოგიერთ განყოფილებაში პაციენტები დერეფანში წვანან.

მედპერსონალის სამუშაო ოთახები მოუწყობელია, ინვენტარი მოძველებული. ექიმებს არ აქვთ ცალკე კაბინეტები, კომპიუტერები.

ამჟამად დიფერენცირებული დაფინანსების გამო მიმდინარეობს განყოფილებების რეორგანიზაცია. იხსნება მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული განყოფილებები, რომელთაც შესაბამისად სხვადასხვა დაფინანსება ექნებათ, შესაბამისად თითოეულ პაციენტზე დღეში - 32 ლარი, 15 ლარი და 8.6 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ასათიანის კლინიკაში სხვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებთან შედარებით უფრო ხშირად ათავსებენ მწვავე ავადმყოფებს, პაციენტთა 30-40% საშუალოდ 3 თვეს მკურნალობს, დაახლოებით 45% 6 თვეზე მეტია იმყოფება საავადმყოფოში..

დაწესებულებაში მუშაობს არტ-თერაპიული განყოფილება და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, სადაც პაციენტებს აქვთ საშუალება გაიარონ სხვადასხვა ფსიქო და ხელოვნებითი თერაპია.

საავადმყოფოს ტერიტორიაზე 2004 წლიდან ფუნქციონირებს პაციენტთა ადვოკაციის ჯგუფი, რომელსაც დაწესებულების დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე საშუალება აქვს მონახულოს პაციენტები განყოფილებებში და განიხილოს მათი საჩივრები.

შენობების კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა, რის გამოც, მიუხედავად ზოგიერთ განყოფილებაში გაკეთებული კოსმეტიკური რემონტისა, სველი წერტილები მძიმე მდგომარეობაშია, კედლები დანესტიანებული, ბევრი პირსაბანი გაუქმებული, ტუალეტები მოშლილი, საშხაპეები არ არის.

ინვენტარი ძირითადად ძველია და არასაკმარისი. ტუმბოები მხოლოდ 2 განყოფილებაშია. ლეიბები, თეთრეული, საბნები გაცვეთილია, საჭიროებს განახლებას. სისუფთავე შეძლებისდაგვარად დაცულია.

ეზო გამწვანებულია, მაგრამ არ არის შესაბამისად მოვლილი. ბალის მერხები დამტვრეულია, ბალის შორეული კუთხეები დანაგვიანებული. არ არის სპორტული მოედანი.

სამზარეულოს შენობა ცალკეა და ასევე გასარემონტებელი. სამზარეულოს ინვენტარი მოძველებულია. დაფინანსების გაზრდის შემდეგ კვება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ოთხჯერადია.

საავადმყოფოს აქვს ცივი წყალი, თუმცა დიდი დავალიანების გამო წყალს პერიოდულად უკეტავენ, შეიძლება რამდენიმე დღითაც. განყოფილებებში წყლის ელექტრო გამაცხელებლებია.

ზოგადად ყოფითი სანიტარული პირობები თანაბრად მძიმეა როგორც პაციენტებისათვის, ასევე პერსონალისათვის.

✓ სამუშაოს განსაკუთრებული სიმძნელები მედპერსონალისათვის

მედპერსონალი ძირითადად უჩივის სამუშაოს მძიმე პირობებს და დაბალ ხელფასს. ექიმებმა აღნიშნეს ასევე სპეციალური გამოკვლევების ნაკლებხელმისაწვდომობა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ექიმებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების და თანამედროვე ლიტერატურის გაცნობის საშუალება არსებობს. მედდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი თანამედროვე ლიტერატურასა და ინტერნეტ რესურსებზე. მედდებმა აღნიშნეს ასევე, მომვლელი პერსონალის სიმცირე.

მნიშვნელოვანია, რომ `გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში` ძალისხმევით ექთნებს ჩაუტარდათ ტრენინგების ციკლი როგორც ფსიქიატრიის ძირითად საკითხებში, ასევე იძულებითი ზომების გამოყენების შესახებ. ტრენინგები ჩაატარეს ქართველმა და უცხოელმა ტრენერებმა.

ადმინისტრაციის განმარტებით, შედარებით დაბალი ხელფასი განპირობებულია იმით, რომ ასათიანის კლინიკაში ექიმებისა და პერსონალის შტატი სხვა საავადმყოფოებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია.

მედპერსონალმა ერთ-ერთ პრობლემად დაასახელა ასევე პაციენტების გაწერასთან დაკავშირებული სიძნელებები. ნათესავები ზოგჯერ არ აკითხავენ ან უარს ამბობენ პაციენტის გაყვანაზე. ზოგიერთ პაციენტს წასასვლელი არ აქვს. ხშირია პაციენტის ახლობლებთან კონფლიქტი ამ ნიადაგზე.

საშუალო მედპერსონალი მიიჩნევს, რომ მათი ფიზიკური უსაფრთხოება დაცული არ არის. მართალია, განყოფილებებში კარებები იკეტება და ზოგიერთ საპროცედურო კაბინეტში სასიგნალო ზარი არსებობს, მაგრამ პერსონალი თავს დაუცველად გრძნობს, განსაკუთრებით ღამის საათებში. საჭიროების შემთხვევაში სანიტრებს დასახმარებლად სხვა განყოფილებებიდან ტელეფონით იძახებენ.

✓ პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობები

უკანასკნელ წელს დაფინანსების გაზრდასთან ერთად პაციენტთა კვება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საკვები შედარებით მრავალფეროვანია და გემოც დამაკმაყოფილებელი აქვს.

პაციენტთა 80%-მა უპასუხა, რომ აკმაყოფილებს საკვების გემო და ხარისხი.

არის ასევე სპეციალური კვების საშუალება თუ პაციენტს კუჭ-ნაწლავის პრობლემა ან დიაბეტი აქვს.

სავადმყოფოში 4 ჯერადი კვებაა, გამონაკლის შემთხვევებში, როცა პაციენტი განრიგით ვერ იკვებება, მის ულუფას ინახავს განყოფილების სასადილოს მედდა და მოგვიანებით აჭმევს. განყოფილებებში არ არის მაცივრები და პაციენტის ნათესავის მიერ მოტანილი პროდუქტის შენახვა პრობლემაა.

✓ სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

მონიტორინგის დღეებში სისუფთავე დაცული იყო, მაგრამ გაურემონტებელი განყოფილებები, ძველი ინვენტარი, გაცვეთილი ლეიბები, საბნები და ცუდად ჩაცმული პაციენტები მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

პაციენტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ პაციენტთა 80%-ზე მეტს მიაჩნია, რომ სისუფთავე დაცულია, როგორც პალატებში, დერეფნებში ასევე სასადილოში.

სველი წერტილები ძირითადად მძიმე მდგომარეობაშია, მოშლილია პირსაბანები, როგორც წესი განყოფილებაში ერთი პირსაბანია 35-40 კაცზე.

საშხაპეები არ არის. პაციენტთა დაახლოებით 80%-მა აღნიშნა, რომ აბანო მინიმუმ კვირაში ერთხელაა. წყალს აცხელებენ ელექტრო გამაცხელებლებით. საბანაოდ ხშირად რიგია.

“წყალი სანამ გაცივდება 4-5 პაციენტი ასწრებს დაბანას და ხშირად მინდა დაბანა და ვერ ვახერხებ. არიან პაციენტები, რომელთაც თვეზე მეტია არ დაუბანიათ”

საავადმყოფოში არ არის პირადი ჰიგიენის დაცვის ისეთი საშუალებები, როგორცაა ტუალეტის ქაღალდი, კბილის პასტა, ჯაგრისი, ჰიგიენური პაკეტები, პირსახოცები. აღნიშნული ძირითადად პაციენტის ახლობლებს მოაქვთ. თეთრეულს უცვლიან აბანოს შესაბამისად. ლეიბები, საბნები ძველია და გაცვეთილი. თეთრეული არ არის საკმარისი. ლოგინად ჩავარდნილ პაციენტებს თეთრეული საერთოდ არ აქვთ.

პაციენტებმა აღნიშნეს, რომ პალატები ნიავედა, დერეფნები და ტუალეტი ღამე განათებულია. გათბობის სისტემა ცუდად მუშაობს. პაციენტთა ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ ზამთარში განყოფილებაში ცივა “ჰაერია ოდნავ მოტეხილი.” თბილი ტანსაცმელი ან ნათესავებს მოაქვთ, ან ჰუმანიტარულია. ზოგჯერ მედპერსონალს მოაქვს სახლიდან.

✓ სამედიცინო მომსახურება

უკანასკნელი წელია მედიკამენტებით მომარაგება შეუფერხებელი და დამაკმაყოფილებელია. საავადმყოფოს აქვს ყველა საჭირო მედიკამენტი. სტაციონირებისას ყველა პაციენტს უტარდება როგორც ლაბორატორიული (სისხლის, შარდის, სიფილისზე), ასევე პათოფსიქოლოგიური გამოკვლევა. საჭიროების შემთხვევაში, პაციენტს კურირებს საავადმყოფოს თერაპევტი, ნევროპათოლოგი, შესაძლებელია საკონსულტაციოდ სხვა სპეციალისტების მოწვევაც. პრობლემაა, თუ პაციენტს სპეციალური გამოკვლევები ან სხვა საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა. ზოგიერთი საავადმყოფო არც იღებს პაციენტებს, განსაკუთრებით თუ პაციენტი გადახდისუუნაროა, ამიტომ ფსიქიატრიულ დაწესებულებას მკურნალობის ხარჯის დაფარვა უწევს.

საავადმყოფოს არ ჰყავს სტომატოლოგი (დეკრეტშია), რის გამოც პაციენტები სტომატოლოგიური მომსახურების გარეშე არიან.

ქრონიკული პაციენტების ჯანმრთელობის შემოწმების შესახებ პასუხები ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად ნაწილმა უპასუხა, რომ 6 თვეში ერთხელ უღებენ შარდის და სისხლის ანალიზს, ნაწილმა აღნიშნა წელიწადში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში.

აზალეპტინით (ლეპონექსირთ) მკურნალობისას არ ხდება სისხლის აუცილებელი კონტროლი ლეიკოციტებზე და გრანულოციტებზე, რადგან ეს გამოკვლევა ფასიანია და ყველა პაციენტს არ შეუძლია გადახდა. სისხლის კონტროლის გარეშე ამ მედიკამენტის დანიშვნა საშიშია პაციენტის ჯანმრთელობისათვის.

გარდა მედიკამენტური მკურნალობისა პაციენტები გადიან რეაბილიტაციის კურსს საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებულ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტში, სადაც მათ უტარდებათ ფსიქოთერაპია, ხელოვნებითი თერაპია, ერგო-თერაპია, სწავლობენ დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევებს.

საავადმყოფოში გახსნილია არტ-თერაპიული განყოფილება, სადაც პაციენტებს შექმნილი აქვთ კომფორტული, მყუდრო გარემო, ჩართულნი არიან ხელოვნებით თერაპიაში, კომპიუტერის სწავლების პროგრამაში და სწავლობენ ხელსაქმეს

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა მხოლოდ 20% -მა უპასუხა, რომ მონაწილეობს სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ნიშნავს, რომ პაციენტების ჩართვას სარეაბილიტაციო ღონისძიებებში არ ექცევა სათანადო ყურადღება და პაციენტთა უმრავლესობა მის გარეშე დარჩენილი.

დიდი ტერიტორიის მიუხედავად სავადმყოფოს არ აქვს სპორტული მოედანი და პაციენტებს არ აქვთ სპორტულ თამაშებში მონაწილეობის საშუალება.

პაციენტთა 80% არანაირ თამაშებში არ მონაწილეობს, დანარჩენ 20 %-ს სარეაბილიტაციო ცენტრში მაგიდის ჩოგბურთის თამაში შეუძლია.

მონიტორინგის დღეს საავადმყოფოში მოიყვანეს 12 წლის ბიჭი, რომელიც ქალთა განყოფილებაში მოათავსეს, რადგან საქართველოში არ არსებობს ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილებები. 14 წლამდე ბავშვის მოზრდილთა განყოფილებაში მოთავსება კანონს ეწინააღმდეგება.

✓ შინაგანაწესი

მედპერსონალის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გვიპასუხა, რომ საავადმყოფოს შინაგანაწესი არსებობს, მაგრამ ვერ გვიპასუხეს თუ რას არეგულირებს, ვინ ადგენს, ვინ ცვლის და რაც მთავარია, ვერ გვიჩვენეს ეს შინაგანაწესი. პაციენტებისათვის შინაგანაწესი ცნობილი არ არის. განყოფილებებში არ არის საინფორმაციო დაფა, რომ პაციენტებს ჰქონდეთ საშუალება გაეცნონ რეჟიმს, ან კანონს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ ან თავის უფლება-მოვალეობებს. ისინი მედპერსონალისაგან მხოლოდ სიტყვიერ ინსტრუქციებს იღებენ, ხშირად არასრულს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ პაციენტებმა არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ (სეირნობის, შვებულების, ინფორმაციის მიღების, ტელეფონის გამოყენების, გაწერის და სხვა).

განყოფილებებში არსებობს იძულებითი ზომების გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც მედდების ოთახშია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მედდები მას კარგად არ იცნობენ.

მონიტორინგის დროს განყოფილებებში მონიტორინგის ჯგუფმა დაარიგა ბროშურები და განყოფილებებში გააკრა პოსტერები პაციენტის უფლებების შესახებ.

✓ გარესამყაროსთან კავშირი

სავადმყოფო ქალაქის ცენტრში მდებარეობს, ტრანსპორტით მიმოსვლის პრობლემა არ არის. შესაბამისად ნათესავებს არ უჭირთ პაციენტების მონახულება.

ნათესავებთან შესახვედრად არსებობს ცალკე ოთახი, სადაც შესაძლებელია მედპერსონალის ზედამხედველობის გარეშე შეხვედრა. უკანასკნელი პერიოდში ადმინისტრაციამ დაუშვა პაციენტების ხანმოკლე შვებულებით გაშვება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანგრძლივ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისათვის, ასევე ოჯახს ეძლევა პაციენტთან ადაპტაციის საშუალება.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაციენტთა უმრავლესობა ნებაყოფლობით მკურნალობს, მათ შეზღუდული აქვთ საავადმყოფოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება. პაციენტების უმრავლესობას მედპერსონალის გარეშე სასეირნოდ არ უშვებენ, მედპერსონალი კი, როგორც წესი, ვერ

ახერხებს პაციენტების სასეირნოდ გამოყვანას. შესაბამისად პაციენტთა უმრავლესობას არ აქვს ყოველდღიური სეირნობის საშუალება, რაც მათი უფლების უხეში დარღვევაა.

პაციენტთა გამოკითხვამაც დაადასტურა, რომ 70% ეზოში საერთოდ არ სეირნობს.

მონიტორინგის ჯგუფმა მუშაობის ორივე დღეს რამდენიმე პაციენტი ნახა ეზოში სასეირნოდ გამოსული. რომლებსაც ასევე საშუალება აქვთ, გავიდნენ საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე და შეიძინონ სიგარეტი, საჭმელი ან სხვა რაც სჭირდებათ.

პაციენტები ხშირად ჩივიან, რომ არ აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება, რადგან მედპერსონალი უკრძალავს დარეკვას. მედპერსონალი კი აღნიშნავს, რომ პაციენტები ძალიან ხშირად ითხოვენ დარეკვას, რაც შეუძლებელია. საავადმყოფოში არ არის ტელეფონით სარგებლობის ინსტრუქციები, რომელიც დაარეგულირებდა ამ პრობლემას.

პაციენტთა 75% აღნიშნავს, რომ ვერ გრძნობს საზოგადოების (არასამთავრობო, რელიგიური ორგანიზაციების, ჟურნალისტების) მხარდაჭერას.

✓ პერსონალისა და პაციენტის ურთიერთდამოკიდებულება

გამოკითხული მედდების 99% აღნიშნავს, რომ პაციენტებსა და მათ შორის არსებობს კეთილგანწყობა და თბილი დამოკიდებულება. პაციენტთა 85%-მა ასევე დადებითად უპასუხა ამ კითხვას. პაციენტთა 70% კმაყოფილია პერსონალის კვალიფიკაციით და მიიჩნევს, რომ პერსონალი პატივისცემით ეპყრობა. პაციენტთა 50% -მა აღნიშნა, რომ საავადმყოფოში ის დახმარება მიიღო, რომელიც სჭირდებოდა, ხოლო 70% თვლის, რომ მათი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა. პაციენტები ძირითადად სანიტრების უხეშობას აწყდებიან, განსაკუთრებით ღამის საათებში.

სხვა საავადმყოფოებთან შედარებით პაციენტები უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ მედპერსონალის მუშაობას, მათდამი დამოკიდებულებას და აღმოჩენილ დახმარებას, რაც ადასტურებს, რომ ასათიანის კლინიკაში პროფესიონალიზმის და მომსახურების დონე სხვასთან შედარებით უკეთესია.

✓ ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი მკურნალობა

პაციენტთა 55%-მა აღნიშნა, რომ მკურნალობს ნებაყოფლობით, მათგან მხოლოდ 15% მიიჩნევს, რომ შეუძლია გაეწეროს საავადმყოფოდან საკუთარი სურვილით, 40%-მა უპასუხა, რომ არ შეუძლია, ხოლო 45%-მა არ იცის.

პაციენტის არანებაყოფლობით მოთავსების შემთხვევაში, საავადმყოფოში იმართება სასამართლო სხდომა, რომელზეც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება. თუმცა ექიმთა 30%-მა ვერ უპასუხა, თუ ვის უნდა მიმართონ პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონირების შემთხვევაში და რა ვადებში.

ზოგადად მონიტორინგმა აჩვენა, რომ პაციენტთა უმრავლესობა ნებაყოფლობით მკურნალობს, ისტორიაში დაფიქსირებულია პაციენტის ან მეურვის ხელმოწერა, მაგრამ რეალურად მათი მკურნალობის პირობები არ განსხვავდება იძულებითი მკურნალობის პირობებისაგან. განყოფილებები ჩაკეტილია, გასაღები მხოლოდ პერსონალს აქვს, პაციენტს არ შეუძლია თავისუფლად სეირნობა, საავადმყოფოდან

გაწერა არ ხდება ნებაყოფლობით მოთავსებული პაციენტის სურვილით, როგორც ამას “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს.

✓ იძულებითი შრომა

პაციენტთა 45%-მა აღნიშნა, რომ შრომობს სავადმყოფოს საჭიროებისათვის და 90% მიიჩნევს, რომ არ იღებს ამ შრომაში სამართლიან ანაზღაურებას. მხოლოდ 10% მიიჩნევს, რომ შრომას აიძულებენ.

მედპერსონალმა აღნიშნა, რომ პაციენტები საკუთარი სურვილით ეხმარებიან სანიტრებს განყოფილებაში და მათი აზრით ეს მათთვის სასარგებლოც კია.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ განყოფილების საჭიროებისთვის პაციენტების “ნებაყოფლობითი შრომა” მიღებული პრაქტიკაა, ანაზღაურების სანაცვლოდ პაციენტებს სიგარეტით ან კეთილგანწყობით “ასაჩუქრებენ”.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, როგორც ამას მედპერსონალი უწოდებს, განსხვავდება იმისაგან, რასაც პაციენტები აკეთებენ.

პაციენტები ძირითადად სანიტრების მოვალეობას ასრულებენ ალაგებენ პალატებს, ტუალეტებს, უვლიან ჩაწოლილ ავადმყოფებს, რეცხავენ და მოაქვთ სადილი სამზარეულოდან.

✓ პირადი ცხოვრების უფლება

პაციენტთა უმრავლესობა (70-80%) აღნიშნავს, რომ შეუძლია ნათესავების ნახვა და ტელეფონზე საუბარი ან მათთან მიმოწერა კონფიდენციალურად, რომ მედპერსონალი არ განიხილავს მათ პირად საქმეს სხვების თანდასწრებით.

რაც შეეხება სამედიცინო პროცედურებს და ჰიგიენურ მანიპულაციებს, პაციენტთა 45% აცხადებს, რომ ეს პროცედურების სხვების თანდასწრებით ტარდება, მაშინ როდესაც მედდების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ეს პროცედურები ცალკე ტარდება.

პაციენტთა დაახლოებით ნახევარს აქვს საშუალება შეინახოს პირადი ნივთები, მათ უმრავლესობას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი თან არ აქვს.

გამოკითხულ პაციენტთა 30%-მა აღნიშნა რომ აქვს საკუთარი ფული, მათგან 60% თავისუფლად განკარგავს ამ ფულს. პაციენტის პირადი ნივთები და ფული ძირითადად უფროსს მედდასთან ინახება. ზოგიერთ განყოფილებაში პაციენტებს არ აქვთ საკუთარი ნივთების შესანახი ტუმბოები.

✓ ინფორმაციის მიღების უფლება

ზოგადად პაციენტები ინფორმირებულნი არიან საკუთარი დაავადებისა და მედიკამენტების შესახებ. დაახლოებით 55%-მა აღნიშნა, რომ იცის დიაგნოზი და რა

სახის მედიკამენტებს იღებს. მაგრამ პაციენტთა უმრავლესობამ (80%) არ იცის რამდენ ხანს დაჰყოფს სტაციონარში და არ იცნობს საკუთარ უფლებებს.

მედპერსონალი განსხვავებულად პასუხობს კითხვაზე, თუ ვინ და როგორ აწვდის ინფორმაციას პაციენტებს მკურნალობისა და მათი უფლებების შესახებ, რაც მიუთითებს, რომ საავადმყოფოს არ გააჩნია პაციენტთა ინფორმირების სტრატეგია.

✓ იძულებითი ზომების გამოყენება

პაციენტთა 80% თავს უსაფრთხოდ გრძნობს. 50% აღნიშნავს, რომ ყოფილა მედპერსონალის (განსაკუთრებით სანიტრების) მხრიდან უხეშობისა და ცემის ფაქტები, აქედან 35% -ის მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური შეზღუდვა-ფიქსაცია. გამოკითხულ პაციენტთა 45%-მა აღნიშნა, რომ მედპერსონალი აგრესიას ავლენს, როცა ისინი უარს აცხადებენ მედიკამენტების მიღებაზე.

მედპერსონალის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდებიდან ხშირად გამოიყენება პაციენტის ფიქსაცია, მაგრამ მედპერსონალმა ინსტრუქციები ზუსტად არ იცის. პასუხები თუ რამდენი ხანი გრძელდება შეზღუდვა, ვინ ნიშნავს და შეიძლება თუ არა ტუალეტის გამოყენება ფიზიკური შეზღუდვის დროს განსხვავებულია.

✓ დისკრიმინაცია

მონიტორინგმა არ გამოავლინა რაიმე სახის დისკრიმინაცია რელიგიური ან ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. არაქართულენოვან პაციენტებთან ურთიერთობენ თარჯიმნის მეშვეობით. საავადმყოფოში არ უშლიან ნებისმიერი რელიგიური რიტუალის ჩატარებას. ზოგჯერ საავადმყოფოში მოდიან სასულიერო პირები.

პაციენტთა 60%-მა აღნიშნა, რომ აქვს რელიგიური რიტუალის შესრულების საშუალება, 70% კი მიიჩნევს, რომ შეუძლია აზრის თავისუფლად გამოხატვა.

გამოკითხულ პაციენტთა 25%-მა აღნიშნა, რომ პერსონალს ჰყავს `ასისტენტი` პაციენტები, 10% მიიჩნევს, რომ ისინი პრივილეგიებით სარგებლობენ.

✓ საჩივრის შეტანის უფლება

პაციენტთა 30% მიიჩნევს, რომ სამედიცინო მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში გასაჩივრება შეუძლია, 40%-მა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ საავადმყოფოში გასაჩივრების შიდა მექანიზმი შემუშავებული არ არის, რის გამოც ადმინისტრაცია ნაკლებადაა ინფორმირებული იმ პრობლემებზე, რომლებიც პაციენტს განყოფილებაში ექმნება.

მედპერსონალი აღნიშნავს, რომ პაციენტს ყოველთვის შეუძლია იჩივლოს განყოფილების გამგესთან ან დირექციაში, მაგრამ არ არსებობს საჩივარზე რეაგირების ვადა ან განხილვის პროცედურა. როგორც წესი, საჩივარზე წერილობითი პასუხის გაცემა არ ხდება. პაციენტთა 40% მიიჩნევს, რომ მათ საჩივარს არანაირი შედეგი არ მოყვება. პაციენტთა ნახევარმა აღნიშნა, რომ მათ საჩივრის შედეგენაში არავინ ეხმარება.

მართალია, საავადმყოფოში ფუნქციონირებს ადვოკაციის ოფისი, რომელსაც პაციენტები ხშირად მიმართავენ საჩივრით, მაგრამ, როგორც ჩანს, ადვოკაციის ოფისსა და ადმინისტრაციას შორის არ არის მჭიდრო თანამშრომლობა საჩივრების შესწავლასა და განხილვასთან დაკავშირებით.

✓ ჩალრმავებული გამოკითხვის შედეგები

პაციენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ პერსონალის მხრიდან პატივისცემით მოპყრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქცევიან პერსონალის მიმართ თავად პაციენტები - "როგორც მოვექცევი ისე მექცევიან" - ამბობს პაციენტი.

პაციენტები მიუთითებენ, რომ მათ უწევთ იატაკების დასუფთავება და რეცხვა, ასევე საკვების ნარჩენების აღება და ნაგვის გატანა.

"ასისტენტი" პაციენტები წახალისებული არიან სიგარეტით და ფულით პერსონალის მხრიდან.

ზოგიერთ პაციენტს თეთრეულს საერთოდ არ უცვლიან.

სასადილოში პაციენტებს კოვზები და სხვა ინვენტარი არ ჰყოფნიან.

პაციენტები აცხადებენ, რომ ექიმები გაცილებით პატივისცემით და ჰუმანურად ექცევიან, ვიდრე დაბალი მედპერსონალი.

ზოგიერთი პაციენტი მიუთითებს სანიტრების სადისტურ დამოკიდებულებაზე მათ მიმართ.

ზოგიერთ პაციენტს აბაზანის მიღების საშუალება არ აქვს ერთი თვის განმავლობაშიც კი.

პაციენტები უჩივიან პრივატულობის უქონლობას, მიაჩნიათ რომ მათი პირადი ცხოვრების უფლება დარღვეულია.

პაციენტები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ არ აძლევენ ეზოში სეირნობის საშუალებას. ეზოში პაციენტთა მხოლოდ მცირე ნაწილს ასეირნებენ.

რამდენიმე პაციენტი იხსენებს ექთნების მხრიდან სამედიცინო მანიპულაციების დაუდევრად შესრულების ფაქტებს.

დასკვნა

მონიტორინგის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები

- დადებითი ტენდენციები
- პერსონალი მაღალკვალიფიციურია

- საავადმყოფოში დაფინანსების ზრდასთან ერთად გაუმჯობესდა კვება და
- მედიკამენტებით მომარაგება
- გაიზარდა მედპერსონალის ხელფასი, თუმცა უმნიშვნელოდ
- მიმდინარეობს განყოფილებების დიფერენცირება პაციენტთა სიმწვავის მიხედვით
- განყოფილებებში დაცულია სისუფთავე
- პაციენტებსა და მედპერსონალს შორის არსებობს კეთილგანწყობა
- პაციენტებს უტარდებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
- საავადმყოფოში მუშაობს ადვოკაციის ჯგუფი
- ექთნებმა გაიარეს ტრენინგები
- საავადმყოფოში პაციენტის არანებაყოფლობითი მოთავსებისას იმართება სასამართლო სხდომა

- უარყოფითი ტენდენციები

- საავადმყოფო გადატვირთულია, პაციენტები დერეფნებში წვანან
- 14 წლამდე ბავშვებს აწვენენ მოზრდილთა განყოფილებაში
- ლეიბები, საბნები, თეთრეული გაცვეთილი და გამოსაცვლელია
- პაციენტები არ სეირნობენ ეზოში
- არ არის სპორტული მოედანი
- არ არის ჰიგიენური საშუალებები (ტუალეტის ქაღალდი, ჰიგიენური პაკეტები)
- საავადმყოფოს არ ყავს სოციალური მუშაკი
- სანიტრების უხეშობა პაციენტთა მიმართ დაუსჯელია
- პაციენტები შრომობენ სანიტრების საჭიროებისათვის
- სან-კვანძები მძიმე მდგომარეობაშია
- არ არის შიდა საჩივრის მექანიზმი
- მედპერსონალი არ იცნობს ფიზიკური შეზღუდვის ინსტრუქციას

რეკომენდაციები

მ.ასათიანის ფსიქიატრის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრაციას

- საავადმყოფო უნდა მომარაგდეს ჰიგიენური საშუალებებით, პაციენტებს უნდა ჰქონდეთ საცვალი, წინდები, თბილი ტანსაცმელი.
- უნდა გამოიცვალოს ლეიბები და საბნები, გაუმჯობესდეს გათბობის სისტემა, გარემონტდეს აბაზანა და ტუალეტები.
- აუცილებელია ყველა განყოფილებაში პაციენტებს ჰქონდეთ ტუმბოები პირადი ნივთების შესანახად.
- უნდა გაკეთდეს სპორტული მოედანი.
- უნდა გაუმჯობესდეს სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება, კერძოდ, აუცილებელია სასიგნალო სისტემის და მედდის საგუშაგოს შემოღება განსაკუთრებით მწვავე განყოფილებაში.

- აუცილებელია, რომ პაციენტის ოჯახთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად საავადმყოფოს ჰყავდეს სოციალური მუშაკი.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს პაციენტების სტომატოლოგიური მომსახურება
- აუცილებელია იმ პაციენტებისათვის, რომლებიც იღებენ აზალეპტინს და ლითიუმის მარილებს, სისხლში ლეიკოციტებისა და გრანულოციტების კონტროლის განხორციელება უფასოდ.
- უნდა შემუშავდეს საავადმყოფოს შინაგანაწესი
- განყოფილებებში უნდა არსებობდეს საინფორმაციო დაფები.
- პაციენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება გაეცნონ შინაგანაწესს, საკუთარ უფლებებს, კანონს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ. უნდა არსებობდეს სპეციალური ბროშურები საავადმყოფოს რეჟიმისა და პაციენტის უფლება-მოვალეობების შესახებ პაციენტებისათვის და მათი ნათესავებისათვის.
- აუცილებელია მედპერსონალის ტრენინგება მათი უფლება-მოვალეობებისა და იძულებითი ზომების გამოყენების წესების შესახებ კანონის შესაბამისად.
- საავადმყოფოს ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პაციენტის (გარდა იმ პაციენტებისა, რომლებიც ვერ მოძრაობენ ან ფსიქიკური მდგომარეობა გამწვავებული აქვთ) ყოველდღიური სეირნობა.
- განყოფილებებში უნდა არსებობდეს პაციენტებისათვის ტელეფონით სარგებლობის წესი და ლიმიტი. პაციენტებს უნდა ჰქონდეთ წერილის დაწერის და გაგზავნის საშუალება.
- უნდა გამკაცრდეს კონტროლი სანიტრების ქცევაზე
- ნებაყოფლობით მოთავსებულ პაციენტთა მკურნალობის პირობები დაცული უნდა იყოს კანონის შესაბამისად.
- აუცილებელია მედპერსონალის უკეთ ინფორმირება არანებაყოფლობითი სტაციონირების წესისა და პროცედურის შესახებ.
- აუცილებელია გამკაცრდეს კონტროლი პაციენტების მიერ განყოფილებაში სანიტრების სასარგებლოდ შრომაზე.
- აუცილებელია შემუშავდეს პაციენტთა ინფორმირების პროცედურა ვინ, როგორ, როდის აწვდის ინფორმაციას პაციენტებს და მათ ნათესავებს.
- აუცილებელია შემუშავდეს მედდების ქცევის წესები პაციენტის მიერ რეჟიმის დარღვევაზე.
- აუცილებელია პერსონალის მომზადება ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების პროცედურის შესახებ.
- აუცილებელია შეიქმნას შიდა გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - 2007 წ. მაისი

წარდგენა

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს ფინანსური მხარდაჭერით.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი ჩატარდა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს მიერ.

აღსანიშნავია, რომ ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ანალოგიური მონიტორინგი 2005 წელსაც განხორციელდა. 2005 წელს ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ დაწესებულება რაიონულ ცენტრს მოწყვეტილია, გზა ამორტიზებულია და ადმინისტრაციის მითითებით თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში გაუვალი იყო. პაციენტებს ხელი არ მიუწვდებოდათ სამედიცინო არაფსიქიატრიულ მომსახურებაზე. პერსონალის დამოკიდებულება პაციენტთა მიმართ მეპატრონეობითი იყო. პაციენტებს ჰქონდათ მოუგვარებელი სოციალური პრობლემები, რომელიც მათი მეურვეების მხრიდან პენსიების და ქონების მითვისებას უკავშირდებოდა. მეურვეები ხშირად მხოლოდ პაციენტების გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვალების მოწმობის ასაღებად აკითხავდნენ დაწესებულებას.

შესავალი

ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო 1960 წელს აშენდა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს ულამაზეს ხეობაში მდებარეობს. 1980-იანი წლების შემდეგ საფუძვლიანი რემონტი არ ჩატარებია. ამორტიზებულია საავადმყოფომდე მისასვლელი გზა.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ფსიქიატრიული მომსახურებით 103 პაციენტი სარგებლობს. მათ შორის 30 პაციენტი იძულებით მკურნალობაზე, 8 არანებაყოფლობითზე, ხოლო 65 ნებაყოფლობით მკურნალობაზე იმყოფება.

იმის გამო, რომ საავადმყოფო მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს და დაფინანსებაც მწირი აქვს, თანამშრომლების ანაზღაურება დაბალია და შტატი კვალიფიციური სპეციალისტებით ვერ კომპლექტდება. განსაკუთრებით აღინიშნება დაბალი მედპერსონალის საკადრო დეფიციტი.

მონიტორინგის დროს ჯგუფი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონით და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ ყველა უფლებას იკვლევდა.

მონიტორინგი 2 დღე გაგრძელდა. გამოყენებული იყო კითხვარი, რომლის საშუალებითაც ჯგუფი ყველა უფლების დარღვევას იკვლევდა.

მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის საშუალებით.

მონიტორინგი განხორციელდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს"-ს ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშის მოკლე შინაარსი

ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო ემსახურება ნებაყოფლობით, არანებაყოფლობით და იძულებით მკურნალობაზე მყოფ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებს, მათ შორის საქართველოში ერთადერთია, რომელსაც გააჩნია ტუბერკულოზით დაავადებული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთათვის განკუთვნილი განყოფილება. ამ დროისთვის დაწესებულებაში 103 პაციენტია სტაციონირებული, აქედან დაახლოებით 30 პაციენტი იძულებით, ხოლო 8 არანებაყოფლობით მკურნალობაზე იმყოფება.

დაწესებულება მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს, დაფინანსება მწირია, რის გამოც ვერ ხერხდება ინფრასტრუქტურის შეკეთება, განყოფილებებში რემონტის ჩატარება და კვალიფიციური კადრების მოზიდვა. თანამშრომელთა ანაზღაურება მცირეა - ექიმის ანაზღაურება საშუალოდ 160 ლარს შეადგენს. არ არსებობს კომუნიკაციის საშუალებები, თუმცა მიმდინარეობს ჯი-ეს-ემ საოპერაციო ანბის მონტაჟი, რათა დაწესებულებამ ფიჭური კავშირგაბმულობით მაინც ისარგებლოს.

შინაგანაწესი პაციენტთათვის ხილულ ადგილას არ არის გამოქვეყნებული, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში მათ შეუძლიათ შინაგანაწესის წაკითხვა საპროცედურო ოთახში. პაციენტთა უფლებები არ არის გამოქვეყნებული განყოფილებებში და პაციენტები არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ.

პაციენტის უფლება "მიიღოს თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") დარღვეულია, რადგან გამოკითხულთა 50% -ზე მეტი საკუთარი დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო დანარჩენი ნაწილის უმრავლესობა ფლობს არასრულყოფილ ინფორმაციას. გამოკითხულ პაციენტთა დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ მედპერსონალი მათ საკუთარ დაავადებაზე და მკურნალობაზე ინფორმაციას არ აწვდის.

პაციენტის უფლება "უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა ეს უფლება იზღუდება) არ არის რეალიზებული. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, მათი სურვილის მიუხედავად - შეწყვიტონ მკურნალობა - არ აქვთ საშუალება გაეწერონ დაწესებულებიდან. ადმინისტრაციის

განმარტებით, პაციენტების გაწერა ყოვნადა იმ მოტივით, რომ მათი სოციალური პირობები დაწესებულების გარეთ, არ იძლევა პაციენტების გაწერის საშუალებას (მათ უმრავლესობას ადგილი არ გააჩნია, სადაც შეიძლება იცხოვროს გაწერის შემდეგ), თუმცა მონიტორინგის შედეგად - შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - 85% პასუხობს "დიახ". ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა არც არის ინფორმირებული ამ უფლების შესახებ. ჩაღრმავებული გამოკითხვისას პაციენტები ამბობენ, რომ თუნდაც გაეწერონ, უფულობის გამო ისინი ვერ შეძლებენ სახლამდე მისვლას. საავადმყოფოს ადმინისტრაცია თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში თავად უზრუნველყოფს გაწერილი პაციენტის ტრანსპორტირებას. გამოკითხულთა 60%-მა არ იცის თუ რამდენი ხანი უნდა დაჰყოს საავადმყოფოში. მონიტორინგმა აჩვენა, რომ პაციენტთა ნაწილი საავადმყოფოში ნებაყოფლობით მკურნალობაზე წლების განმავლობაში იმყოფება.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საკუთარი მკურნალობის პროცესში არ მონაწილეობს და პერსონალის მხრიდან მის მიმართ მზრუნველობითი (მამობრივი ან დედობრივი) დამოკიდებულებაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაწესებულებაში პაციენტები არ აღიქმებიან როგორც ექიმის პარტნიორები მკურნალობის პროცესში.

პაციენტთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საკითხი მოუწესრიგებელია, რაც პარალელურად პრობლემებს უქმნის მათ პენსიების ან სხვა შემოსავლების მიღებაში. პაციენტების ნაწილისთვის ვერ ხერხდება მეურვის დანიშვნა, რადგან ამ პროცედურისთვის განსაზღვრულ თანხას დაწესებულება ვერ იხდის.

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უქონლობის მიუხედავად გამოკითხული პაციენტები აცხადებენ, რომ მონაწილეობდნენ არჩევნებში. ერთ-ერთი გამოკითხული პაციენტი ამბობს, რომ მას არჩევნებში თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება არ მისცეს და პირდაპირ მიუთითეს კანდიდატი, რომლისთვისაც ხმა უნდა მიეცა.

გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ პაციენტების ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის შექმნილი. მართალია ზოგიერთ პაციენტს აქვს სათბურში და ფერმაში მუშაობის საშუალება, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატიულ თერაპიად, თანაც ასეთი ტიპის სამუშაოს მხოლოდ პაციენტთა უმცირესობა ასრულებს. არ არის ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები და არ არის დანერგილი ალტერნატიული მკურნალობის მეთოდები, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტთა შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევების შენარჩუნებას. გამოკითხული პაციენტები გამოხატავენ დიდ სურვილს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. პაციენტებს აქვთ ეზოში სეირნობის საშუალება. ეზო გამწვანებული და მოვლილია.

ადმინისტრაციამ უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს დაბალი მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა შრომის გამოყენებაზე. გამოკითხულ პაციენტთა 75%-ზე მეტი აცხადებს, რომ შრომობს დაწესებულების საჭიროებისათვის. მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში პაციენტები სხვადასხვა

სამუშაოებს ასრულებენ, მაგ.: ეზიდებიან საკვების კონტეინერებს, ალაგებენ განყოფილებებს და ა.შ.

ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებას, რათა ეს უკანანსკნელი მედპერსონალის მხრიდან სავალდებულო პროცედურის დაცვით მოხდეს.

შიდა საჩივრების სისტემა - როგორც დაწესებულებასა და პაციენტს შორის უკუგების მექანიზმი - არ მუშაობს. გამოკითხულ პაციენტთა 85% ამბობს, რომ პრეტენზიების შემთხვევაში ვერავის მიმართავს დახმარებისთვის, ხოლო 20% ამბობს, რომ აზრის თავისუფლად გამოხატვის ეშინია, 5 % კი თავს იკავებს შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან. გამოკითხულთა 80 % აცხადებს, რომ საჩივრის მომზადებაში მათ არავინ ეხმარება, ხოლო 60% ფიქრობს, რომ საჩივრით მიმართვა არავითარ შედეგს არ გამოიღებს.

უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის აზრს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

გამოკითხულ პაციენტთა 90% ამბობს, რომ დღის განმავლობაში სამჯერ იკვებება, როდესაც არსებული სტანდარტით მათ ოთხჯერადი კვება ეკუთვნით.

გამოკითხულ პაციენტთა 35% საუბრობს პერსონალის მხრიდან პაციენტთა დისკრიმინაციაზე.

გამოკითხულთა 65% აცხადებს, რომ მედიკამენტები დასჯის მიზნითაც გამოიყენება, ხოლო 50% მიუთითებს მედპერსონალის მხრიდან ცემის, ყვირილის, მუქარის და უდიერად მოპყრობის ფაქტებზე.

გამოკითხულ პაციენტთა 45% აცხადებს, რომ არ აქვს სამედიცინო არაფსიქიატრიული მომსახურებით სარგებლობის საშუალება. მონიტორინგის დროს ნანახი იქნა პაციენტი, რომელსაც აღენიშნება დაცემის შედეგად მიღებული ფეხის მძიმე ტრავმა და საჭიროებს ქირურგის კონსულტაციასა და სამედიცინო შემოწმებას, თუმცა ტრავმის მიღებიდან 4 თვეა გასული და ქირურგს იგი არ უნახავს.

პაციენტებს არ აქვთ გარე სამყაროსთან კავშირის საშუალება.

ანგარიშის ვრცელი შინაარსი

- ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო დღეს

დაწესებულებაში 103 პაციენტია სტაციონირებული, აქედან დაახლოებით 30 პაციენტი იძულებით, ხოლო 8 არანებაყოფლობით მკურნალობაზე იმყოფება.

ინფრასტრუქტურა მოძველებულია და შეკეთებას საჭიროებს. განყოფილებებში არსებული პირობები მინიმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

დაწესებულების თანამშრომელთა შემოსავალი მცირეა, რის გამოც ვერ ხერხდება კვალიფიციური კადრების მოზიდვა, ექიმის საშუალო ხელფასი 160 ლარს შეადგენს. დაბალი სამედიცინო პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი.

დაწესებულებას გარე სამყაროსთან კომუნიკაციის მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს. არ არის ხელმისაწვდომი სატელეფონო კავშირი. ფიჭური კავშირგაბმულობაც მიუწვდომელია, არსებულ ტერიტორიაზე ჯი-ეს-ემ საოპერაციო ანძის სუსტი სიგნალები თუ აღწევს რის გამოც კავშირი არასტაბილური და ხშირად მიუწვდომელია. კომუნიკაციის პრობლემებს თან ერთვის გზის მოუწყვრეგებლობა, რის გამოც ზამთრის პერიოდში და გაზაფხულზე საავადმყოფო მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს.

განყოფილებებში არ არის დამონტაჟებული საინფორმაციო დაფები და საჩივრის ყუთები. შინაგანაწესი და კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" გამოქვეყნებული არ არის განყოფილებებში.

ეზო მოვლილი და გამწვანებულია. პაციენტთა კვება 3-ჯერადია როცა არსებული სტანდარტით პაციენტებს 4-ჯერადი კვება ეკუთვნით. დაწესებულება პაციენტებს ვერ უზრუნველყოფს ტანსაცმლით, ჰიგიენური საშუალებებით, პალატებში არსებული ინვენტარი და თეთრეული მოძველებულია.

სამედიცინო არაფსიქიატრიულ მომსახურებაზე პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ. მონიტორინგის შედეგად ერთ-ერთ განყოფილებაში დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ხანდაზმულმა პაციენტმა მიიღო ფეხის მძიმე ტრავმა და 4 თვის განმავლობაში მას ქირურგის კონსულტაციაც კი არ მიუღია. პაციენტებს არ აქვთ ასევე სტომატოლოგიური მომსახურებით სარგებლობის საშუალება.

ალტერნატიული თერაპიის მეთოდები დანერგილი არ არის. რიგ შემთხვევებში პაციენტთა მიმართ დამოკიდებულება არაჰუმანურია. გამოკითხულთა 70%-ის განცხადებით მედიკამენტები დასჯის მიზნითაც გამოიყენება, პაციენტები საუბრობენ პერსონალის მხრიდან ცემის, მუქარის და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე. დაბალი მედპერსონალის და ექიმების რაოდენობა საკმარისი არ არის.

ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოსადმი საზოგადოების ინტერესი მცირეა. არსებული დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს პაციენტთათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობებით და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას. კომუნიკაციის და მიმოსვლის პრობლემა პაციენტებს დაუცველს და გარესამყაროსგან იზოლირებულს ხდის, რაც მათი უფლებების დარღვევის წინაპირობაა.

- კითხვარებით მიღებული სტატისტიკური მონაცემები

ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები დამრგვალებულია მათემატიკური წესით და სურათს არსებითად არ ცვლის.*

- **საყოფაცხოვრებო პირობები**

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა - 90% - აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში სისუფთავე დაცულია და პალატები, დერეფნები სათანადოდ არის განათებული.

გამოკითხულ პაციენტთა 90% -ზე მეტი დაწესებულების გათბობის პირობებით კმაყოფილია.

თეთრეული, პირსახოცები და ტანსაცმელი რეგულარულად იცვლება, თუმცა პაციენტების უმრავლესობას ტანსაცმელი მოუწესრიგებელი აქვს და დაწესებულება მათ ვერ უზრუნველყოფს ტანსაცმლის სტანდარტული პაკეტით.

გამოკითხულთა თითქმის 50%-ის განცხადებით დაწესებულება პაციენტებს ჰიგიენური საშუალებებით ვერ უზრუნველყოფს. გამოკითხულთა 80%-ზე მეტი ამბობს, რომ აბაზანის რეგულარულად მიღების საშუალება აქვს. თუმცა ტუალეტები და სააბაზანო ოთახები მოძველებულია და გარემონტებას საჭიროებს.

კვება სამჯერადია, მაშინ როცა არსებული სტანდარტით პაციენტებს 4-ჯერადი კვება ეკუთვნით. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 80% კმაყოფილია საკვების ხარისხით და ოდენობით.

პაციენტებს აქვთ ეზოში სეირნობის საშუალება. ეზო გამწვანებული და მოვლილია.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთვის სპორტული ღონისძიებები არ იმართება და გამოხატავს სურვილს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

○ **გარე სამყაროსთან კავშირი**

პაციენტებს აქვთ მნახველების მიღების საშუალება. თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შვებულებით სარგებლობის საშუალება მათ არ აქვთ.

გამოკითხულთა 55 % მიუთითებს, რომ არ შეუძლია წერილების გაგზავნა. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ მათი გაგზავნილი წერილი ადრესატს არ მიუვა.

გამოკითხულთა 60% მიუთითებს, რომ ტელეფონით სარგებლობის საშუალება არ აქვს, რადგან განყოფილებებში მათთვის ტელეფონი არ არის დამონტაჟებული. დანარჩენი ნაწილი მიუთითებს, რომ პაციენტების პირადი მობილური ტელეფონებით უკიდურესი საჭიროებისას სარგებლობენ. კომუნიკაციის პრობლემებზე ადმინისტრაციაც საუბრობს, მისი განმარტებით ტერიტორია მთლიანად მოწყვეტილია სატელეფონო კავშირს და ფიჭური კავშირგაბმულობაც არასტაბილურია ანძის სიშორის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაციის ძალისხმევით საავადმყოფოსკენ მიმავალი გზის განაპირას მონტაჟდება ჯი-ეს-ემ საოპერაციო ანძა, რომელმაც ტერიტორიის დაფარვა უნდა უზრუნველყოს.

გამოკითხულ პაციენტთა 65 % აცხადებს, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ გრძნობს. გამოკითხულ პაციენტთა მითითებით, დაწესებულებას ყველაზე ხშირად ახლოსმდებარე მონასტრის მესვეურები სტუმრობენ. იმის გამო, რომ ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოსკენ მიმავალი გზა ამორტიზებულია და

ნაღებქიანი ამინდების შემთხვევაში გაუვალა მსუბუქი ავტომობილებისთვის, დაწესებულება მოწყვეტილია საზოგადოების ყურადღებას.

○ **პერსონალი**

გამოკითხულ პაციენტთა 30% აცხადებს, რომ მედპერსონალი არ არის მათდამი კეთილგანწყობილი და უკმაყოფილებას გამოხატავს პერსონალის მომსახურებით და პროფესიონალიზმის დონით. აქვე ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა 20% საუბრობს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება დაწესებულებაში შეზღუდულია, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პერსონალის მოპყრობით პაციენტთა გაცილებით დიდი ნაწილია უკმაყოფილო.

○ **სამედიცინო მომსახურება**

გამოკითხულ პაციენტთა 30%-ს მიაჩნია, რომ გაწეული მკურნალობა არ სჭირდება და ამ მკურნალობის შედეგად მისი ჯანმრთელობა გაუარესდა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხულთა შორის იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტებიც არიან.

55% აცხადებს, რომ არაფსიქიატრიული მომსახურებით სარგებლობის საშუალება არ აქვს. მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით პაციენტებს მართლაც არ მიუწვდებათ ხელი სამედიცინო არაფსიქიატრიულ მომსახურებაზე, რადგან პაციენტების თქმით სტომატოლოგიური მომსახურების უქონლობის გამო ისინი კბილებს თავად უღებენ ერთმანეთს. ასევე ერთ-ერთ განყოფილებაში ვიზიტისას ჯგუფი წააწყდა ხანდაზმულ პაციენტს, რომელმაც ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და 4 თვის განმავლობაში მას ქირურგის კონსულტაციაც კი არ გაეწია.

გამოკითხულთა 35% აცხადებს, რომ მკურნალობა ნებაყოფლობით უტარდება, თუმცა იგივე გამოკითხულთა მხოლოდ 3% აცხადებს, რომ საშუალება აქვს დაწესებულებიდან საკუთარი სურვილისამებრ გაეწეროს.

გამოკითხულთა 90% აცხადებს, რომ გარდა მედიკამენტურისა, სხვა არამედიკამენტური მკურნალობის მეთოდებით სარგებლობა არ შეუძლია.

○ **შინაგანაწესი**

სტაციონარში შინაგანაწესი არსებობს, თუმცა გამოკითხულთა 50%-ზე მეტი არ იცნობს მას. ხოლო შეკითხვაზე - "არსებობს თუ არა განცხადებების დაფა თქვენს განყოფილებაში?"- 80%-ზე მეტის პასუხი უარყოფითია.

○ **ღირსების პატივისცემა**

გამოკითხულთა 25% აღნიშნავს, რომ პერსონალი მას თავაზიანად, ყურადღებით და პატივისცემით არ ეპყრობა და მისგან დამცინავ დამოკიდებულებას გრძნობს.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 50% საუბრობს პერსონალის მხრიდან მფარველობით (მამობრივ ან დედობრივ) დამოკიდებულებაზე.

○ **სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობა**

გამოკითხულთა 30% აფიქსირებს, რომ მედიკამენტები დასჯის მიზნითაც გამოიყენება.

გამოკითხულთა 50% აღნიშნავს, რომ პერსონალის მხრიდან იყო მუქარის, ყვირილის და ცემის ფაქტები.

გამოკითხულთა მხოლოდ 25% მიუთითებს, რომ მის მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური შეზღუდვის მეთოდი.

შეკითხვაზე, ყოფილა თუ არა მათ მიმართ სქესობრივი ძალადობა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა უარს აცხადებს.

40% მიუთითებს, რომ ისინი მედპერსონალში აგრესიას იწვევენ, როდესაც მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებენ.

○ **იძულებითი შრომა**

შეკითხვაზე შრომობენ თუ არა პაციენტები დაწესებულების საჭიროებისთვის - გამოკითხულთა 70% პასუხობს რომ - დიახ. 80% მიუთითებს, რომ ამისთვის სამართლიან ანაზღაურებას არ იღებს.

ამასთანავე გამოკითხულ პაციენტთა 15% აღნიშნავს, რომ მას აიძულებენ იმუშაოს.

ყველა გამოკითხული აცხადებს, რომ იძულებითი შრომა არ გამოიყენება როგორც სასჯელის ფორმა.

○ **საკუთრების უფლება**

გამოკითხულ პაციენტთა 65% აღნიშნავს, რომ პირადი ნივთების შესანახი ადგილი არ აქვს. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არც ერთ გამოკითხულ პაციენტს აქვს თან.

გამოკითხულ პაციენტთა 80% მიუთითებს, რომ საკუთარ შემოსავალს (პენსია ან სხვა სახის შემოსავალი) არ იღებს, ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ მათ პენსიას ნათესავები ითვისებენ. თუმცა გამოკითხულთა 45% აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში აქვს საკუთარი ფულის თავისუფლად გამოყენების საშუალება (იმ შემთხვევაში თუ ასეთი აქვს).

○ **პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება**

გამოკითხულ პაციენტთა 80% აცხადებს, რომ ახლობლებთან კონფიდენციალური შეხვედრების საშუალება აქვს, ხოლო გამოკითხულ პაციენტთა 20 % უკმაყოფილოა იმით, რომ მათ პირად საკითხებზე ინფორმაციას მედპერსონალი სხვათა თანდასწრებითაც განიხილავს.

გამოკითხულთა 40%-ს მიაჩნია, რომ მისი პირადი მიმოწერა არ არის კონფიდენციალური, თუმცა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მიმოწერით არ სარგებლობს.

გამოკითხულთა 35% აღნიშნავს, რომ ჰიგიენური პროცედურები და სამედიცინო მანიპულაციები სხვათა თანდასწრებით უტარდება.

გამოკითხულთა 60% აცხადებს, რომ აქვს პირადი კუთხის მოწყობის საშუალება, რაც მონიტორინგული დაკვირვების შედეგადაც დასტურდება.

○ **ინფორმაციის უფლება**

გამოკითხულთა 50%-ზე მეტი საკუთარი დაავადების და დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო 70%-მა არაფერი იცის საკუთარი მკურნალობის შესახებ. 60%-ზე მეტმა არ იცის რამდენ ხანს უნდა დაჰყოს დაწესებულებაში.

გამოკითხულთა 80% არ არის ინფორმირებული საკუთარ უფლებებზე, დაწესებულებაში პაციენტების უფლებები არსად არის გამოქვეყნებული.

გამოკითხულთა 50%-ზე მეტი მიუთითებს, რომ აქვს ტელევიზორით სარგებლობის საშუალება.

შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - 85% პასუხობს "დიახ", ხოლო 15%-მა არ იცის სად უნდა დაბრუნდეს მკურნალობის დასრულების შემდეგ. გამოკითხულთა ნაწილი აცხადებს, რომ გაწერის შემთხვევაში ფულის უქონლობის გამო ვერ დაბრუნდება სახლში. თავის მხრივ ადმინისტრაცია კი ამბობს, რომ გაწერილი პაციენტების დანიშნულების ადგილამდე მიყვანას თავად უზრუნველყოფს.

○ **საარჩევნო უფლება**

გამოკითხულთა მხოლოდ 10% პასუხობს, რომ მონაწილეობა მიუღია არჩევნებში სტაციონირების შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, არცერთ გამოკითხულს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები თან არ აქვს (ან დაკარგული აქვს). ერთ-ერთმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ არჩევნებში თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება არ მისცეს და პირდაპირ მიუთითეს კანდიდატი, რომლისთვისაც უნდა მიეცა ხმა.

○ **დისკრიმინაციის აკრძალვა**

გამოკითხულ პაციენტთა 30%-ს მიაჩნია, რომ პაციენტებს სხვადასხვა ნიშნის გამო განსხვავებულად ექცევიან, 50% -ს კი მიაჩნია, რომ მედპერსონალს ჰყავს "ასისტენტები" პაციენტთა შორის, რომლებიც (35% აზრით) სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობენ.

○ **საჩივრის შეტანის უფლება**

გამოკითხულთა 70%-ზე მეტი მიუთითებს, რომ არა აქვს გასაჩივრების საშუალება საავადმყოფოში თუ მათ მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებით, სამედიცინო პერსონალის ან სხვა პაციენტების მათდამი დამოკიდებულებით ან სხვა პირობებით უკმაყოფილოა. 75%-ს მიაჩნია, რომ ასეთ საჩივარს შედეგი არ მოჰყვება.

ყველა გამოკითხული მიუთითებს, რომ ასეთი პრეტენზიებით არასოდეს მიუმართავს სასამართლოსთვის, ხოლო 80%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ საჩივრის მომზადებაში მათ არავენ ეხმარება. დაწესებულებაში ყუთები პაციენტთა საჩივრებისთვის არ არის დამონტაჟებული და არც ვადები არის განსაზღვრული, რომელშიც უნდა მოხდეს რეაგირება პაციენტის მიერ გამოთქმულ პრეტენზიაზე.

○ **რწმენის და აზრის თავისუფლება**

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საშუალება აქვს თავისუფლად ადასრულოს რელიგიური რიტუალი. ყველა გამოკითხული ამბობს, რომ დაწესებულებას სასულიერო პირები სტუმრობენ.

შედარებისთვის საინტერესოა - გამოკითხულთა 65% აცხადებს, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ გრძნობს.

გამოკითხულ პაციენტთა 20% ამბობს, რომ არ აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

● **ჩაღრმავებული გამოკითხვის შედეგები**

ამ თავში მოყვანილია ის შენიშვნები, რომელიც ჩაღრმავებული ინტერვიუს პროცესში და მონიტორინგის ჯგუფის წევრთა დაკვირვებით იქნა მოპოვებული. პაციენტების ვინაობა, რომლებმაც აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდეს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის მითითებული.

ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები არ არის დოკუმენტირებული და არც სტატისტიკურად სარწმუნოა, თუმცა საყურადღებოა და მომავალში კვლავ დაკვირვებას მოითხოვს.

შენიშვნების ჩამონათვალი

გამოკითხული პაციენტები უჩივიან სანიტრების მხრიდან დაბმის, ცემის და დასჯის მიზნით მტკივნეული ინექციების გამოყენების ფაქტებს.

ერთ-ერთმა პაციენტმა აღნიშნა, რომ ზამთარში დასჯის მიზნით გააშიშვლეს.

გამოკითხული პაციენტების ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს, რომ უწევს განყოფილების დალაგება, დასუფთავება, ასევე ტუალეტების სანიტარული დამუშავება.

პაციენტებს უწევთ დაწესებულებაში მოსული ავტომობილების რეცხვა, რისთვისაც ანაზღაურებას 1 ლარს და რამდენიმე ლერ სიგარეტს იღებენ.

ზოგიერთი პაციენტი თავს ესხმის სხვა პაციენტებს, ართმევს საკვებს, პირად ნივთებს და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სცემს კიდევ.

ერთ-ერთი გამოკითხული აღნიშნავს, რომ მონიტორინგის ჩატარების წინ ადმინისტრაციამ უკარნახა თუ რა პასუხები უნდა გაეცა შეკითხვებზე.

გამოკითხული პაციენტები აღნიშნავენ, რომ გასაჩივრებას შედეგი არ მოჰყვება ხოლმე.

გამოკითხული პაციენტების ნაწილი ამბობს, რომ ღამით სრულიად უყურადღებოდ რჩება.

გამოკითხული პაციენტები ამბობენ, რომ პენსიების მიღება არ შეუძლიათ და პენსიების საკითხს საერთოდ გაურკვევლად მიიჩნევენ.

მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა პაციენტი ფეხის მძიმე ტრავმით რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, თუმცა ის ქირურგის კონსულტაციას ამაოდ ელის თვეების განმავლობაში. რამდენიმე პაციენტი ამბობს, რომ პაციენტები ”კბილებს თვითონ ძაფით იძრობენ”.

ზოგიერთი პაციენტი იღვევება სექსუალური ორიენტაციის გამო.

გამოკითხული პაციენტები ამბობენ, რომ კრიტიკული აზრის გამოხატვისთვის 20გრ ამინაზინის მტკივნეული ინექციით ისჯებიან.

ერთ-ერთმა გამოკითხულმა პაციენტმა აღნიშნა, რომ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი და თავისუფალი არჩევანის გაკეთება არ აცალეს, პირდაპირ მიუთითეს თუ ვისთვის უნდა მიეცა ხმა.

გამოკითხული პაციენტები აღნიშნავენ, რომ სანიტრების მხრიდან ხშირია მუქარის ფაქტები.

ზოგიერთ პაციენტს აიძულებენ დაალაგოს განყოფილება და უარის შემთხვევაში სცემენ კიდეც.

ზამთარში პაციენტებს საკვების მოსამზადებლად საჭირო შეშა ტყიდან მოაქვთ ხოლმე.

პაციენტები წვერს თვითონ პარსავენ ერთმანეთს.

”ასისტენტი” პაციენტები უკეთეს პირობებში ცხოვრობენ.

დასკვნები

მონიტორინგის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები ასეთია:

✓ დადებითი ტენდენციები

ბედნიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია პაციენტთა კვება, განყოფილებების გათბობის პირობები და მედიკამენტებით მომარაგება.

მოწესრიგებულია დოკუმენტაციის წარმოების პროცესი. (შემუშავებულია სტანდარტული ბლანკები პაციენტის თანხმობისთვის მკურნალობაზე და სხვა).

საავადმყოფოს ძალისხმევით - სატელეკომუნიკაციო კომპანიებისადმი მრავალჯერადი მიმართვის შედეგად ხდება ჯი-ეს-ემ საოპერაციო ანძის მონტაჟი, რაც მომავალში კომუნიკაციის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. დაწყებულია საავადმყოფომდე მისასვლელი გზის ნაწილის რეაბილიტაცია.

დაწესებულებაში დაცულია სისუფთავე. კარ-მიდამო მოვლილია. პაციენტებს აქვთ ეზოში სეირნობის საშუალება.

არანებაყოფლობით მკურნალობაზე პაციენტები სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფებიან.

✓ უარყოფითი ტენდენციები

პაციენტებს მათი უფლებების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება არ აწვდის.

პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ არაფსიქიატრიულ მკურნალობაზე, რის გამოც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება.

პაციენტის უფლება "მიიღოს თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") დარღვეულია.

პაციენტის უფლება "უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") (გარდა კანონით გათვალისწინებული შემხვევებისა, როცა ეს უფლება იზღუდება) არ არის რეალიზებული. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, მიუხედავად მათი სურვილისა - შეწყვიტონ მკურნალობა - არ აქვთ საშუალება გაეწერონ დაწესებულებიდან.

პერსონალის დამოკიდებულება პაციენტების მიმართ ხშირად არაჰუმანური და დამამცირებელია. გამოკითხულ პაციენტთა ინფორმაციით დასჯის მიზნით ხდება მტკივნეული ინექციების გამოყენება. ხშირია პერსონალის მხრიდან მუქარის ფაქტები.

პაციენტებს უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

მოუგვარებელია პაციენტების სოციალური პრობლემები. გაურკვეველია მათი პენსიების საკითხი.

არჩევნებში პაციენტთა მონაწილეობა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე ხორციელდება.

არ არის შემუშავებული შიდა საჩივრების მექანიზმი.

პაციენტები არ მონაწილეობენ საკუთარი მკურნალობის პროცესში. პერსონალის მხრიდან მათ მიმართ მზრუნველობითი (მამობრივი ან დედობრივი)

დამოკიდებულებაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაწესებულებაში პაციენტები არ აღიქმებიან როგორც ექიმის პარტნიორები მკურნალობის პროცესში.

გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ პაციენტების ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის შექმნილი. არ არის ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები და არ არის დანერგილი ალტერნატიული თერაპიის მეთოდები, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

საავადმყოფოს დაფინანსება მწირია, რის გამოც ვერ ხერხდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განყოფილებების გარემონტება.

პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია არ არის საკმარისი პაციენტთათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების გასაწევად. დაფინანსების სიმწირის გამო ვერ ხერხდება კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ძირითადი რეკომენდაციები

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები პაციენტთა ინფორმირებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ. შესაძლებელია შინაგანაწესით განისაზღვროს პაციენტთა დაწესებულებაში მიღებიდან გარკვეული დროის განმავლობაში სავალდებულო ინფორმირება მათი უფლებების შესახებ ან/და მკურნალობის პროცესში მიაწოდოს მედპერსონალმა ასეთი ინფორმაცია.

დაწესებულების ადმინისტრაციამ აუცილებელია მიიღოს ზომები, პაციენტთა ინფორმირებისთვის მათი დაავადების/დიაგნოზის, მკურნალობის და მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

დაშვებულ იქნას სოც.მუშაკის შტატი, რადგან პაციენტთა სოციალური საკითხები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პენსიები და მეურვეების გულგრილი დამოკიდებულების (და სხვა) საკითხები კომპეტენტურმა ადამიანმა მოაგვაროს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა ისეთი უფლების დარღვევა, როგორცაა სამედიცინო არაფსიქიატრიული მომსახურებით სარგებლობის უფლება - მოითხოვს დაუყოვნებელ რეაგირებას.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საავადმყოფომ უნდა უზრუნველყოს ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა სტაციონარიდან დროულად გაწერა.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა შეიცვალოს პაციენტის როლი მკურნალობის პროცესში და პაციენტი არამხოლოდ როგორც მზრუნველობის ობიექტი, არამედ როგორც პარტნიორი ისე აღიქმებოდეს. საკუთარი მკურნალობის პროცესში მონაწილეობის უფლება პაციენტებს "პაციენტთა უფლებების შესახებ" კანონით აქვთ გარანტირებული.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

აუცილებელია მკურნალობის პროცესში ისეთი ალტერნატიული მკურნალობის მეთოდების ჩართვა, რომელიც სტაციონარში პაციენტის უნარ-ჩვევების შენარჩუნებას და განვითარებას შეუწყობს ხელს. დღეისათვის პაციენტები სტაციონარში მკურნალობის განმავლობაში იმ სასარგებლო შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევების დიდ ნაწილს კარგავენ, რომელმაც უნდა გაუადვილოს მათ საზოგადოებასთან თანაცხოვრება.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა აღიკვეთოს დაწესებულების საჭიროებისთვის სამართლიანი ანაზღაურების გარეშე პაციენტთა შრომის ფაქტები.

ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა შიდა საჩივრების სისტემის - როგორც დაწესებულებასა და პაციენტს შორის უკუგების მექანიზმის დანერგვა. უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის აზრს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საჭიროა ერთი პაციენტის სტაციონარული მკურნალობისთვის დღიურად გამოყოფილი დაფინანსების გაზრდა.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - 2007 წ. აპრილი

წარდგენა

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი განხორციელდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს ფინანსური მხარდაჭერით.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი ჩატარდა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს მიერ და მასში სახალხო დამცველის აპარატის თბილისის ოფისის და დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლების მონაწილეობას მონიტორინგის პროცესში, წინ უძღოდა ტრენინგი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგის თემაზე, რომელიც თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან შედგებოდა და მონიტორინგის საბჭოს ექსპერტებმა ჩაატარეს.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთათვის მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა პოსტერები, რომელიც უფლებათა ჩამონათვალს შეიცავს და ბუკლეტები, სადაც აღწერილია საზოგადოების და პაციენტების ურთიერთქმედების პრინციპები.

მონიტორინგის ჩატარებას წინ უძღოდა რადიო გადაცემა "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" კანონზე.

შესავალი

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო სახალხო დამცველის ინიციატივით 2006 წელს შეიქმნა. დღემდე მონიტორინგის საბჭომ საქართველოს ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელა მონიტორინგი და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესია ფსიქიატრიული სერვისის გამწვევთა შორის. აღნიშნულ საავადმყოფოში ფსიქიატრიული მკურნალობით 439 პაციენტი სარგებლობს. მათ შორის იმყოფებიან არანებაყოფლობით და იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები (იძულებით მკურნალობით სარგებლობს დაახლოებით 130 პაციენტი).

მონიტორინგის დროს ჯგუფი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონით და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ ყველა უფლებას იკვლევდა.

გამოყენებული იყო სამი სხვადასხვა ტიპის კითხვარი, რომელთაგან ერთ-ერთი ყველა უფლების დარღვევას იკვლევდა ხოლო ორი ფოკუსირებული იყო კონკრეტულ უფლებაზე.

ანგარიშის მოკლე შინაარსი

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი ემსახურება ნებაყოფლობით, არანებაყოფლობით და იძულებით მკურნალობაზე მყოფ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებს. ამ დროისთვის დაწესებულებაში 439 პაციენტია სტაციონირებული აქედან დაახლოებით 130 პაციენტი იძულებით მკურნალობაზე იმყოფება.

ადმინისტრაცია ცდილობს დაწესებულებაში თანამედროვე მიდგომების დანერგვას. მიმდინარეობს განყოფილებების რეაბილიტაცია. თანამშრომელთა ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაზრდილია. შექმნილია და ვითარდება კომპიუტერული ინფრასტრუქტურა, არსებობს კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა ინტერნეტი და ფაქსი, ინერგება დაწესებულების ელექტრონული მართვის პროგრამა.

განყოფილებებში პაციენტთა განთავსების პრინციპი იცვლება.

განყოფილებებში გამოქვეყნებულია შინაგანაწესი და კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ", თუმცა პაციენტები მათი უფლებების შესახებ მაინც არ არიან ინფორმირებული, მიუხედავად ადმინისტრაციის მცდელობისა, საინფორმაციო დაფებზე გამოექვეყნებინა პაციენტთა უფლებები, ჩანს, რომ ამ ფორმით პაციენტთა ინფორმირება ვერ ხდება. საჭიროა დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღოს დამატებითი ზომები, პაციენტთა ინფორმირებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ.

პაციენტის უფლება "მიიღოს თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") დარღვეულია, რადგან გამოკითხულთა 60% -ზე მეტი საკუთარი დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო დანარჩენი ნაწილის უმრავლესობა ფლობს არასრულყოფილ ინფორმაციას, რომელიც საკუთარი დაკვირვების საშუალებით მოიპოვა.

პაციენტის უფლება "უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") (გარდა კანონით გათვალისწინებული შემხვევებისა, როცა ეს უფლება იზღუდება) არ არის რეალიზებული. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, მიუხედავად მათი სურვილისა - შეწყვიტონ მკურნალობა - არ აქვთ საშუალება გაეწერონ დაწესებულებიდან. ადმინისტრაციის განმარტებით პაციენტების გაწერა ყოვნადა იმ მოტივით, რომ მათი სოციალური პირობები დაწესებულების გარეთ, არ იძლევა პაციენტების გაწერის საშუალებას (მათ უმრავლესობას ადგილი არ გააჩნია, სადაც შეიძლება იცხოვროს გაწერის შემდეგ), თუმცა მონიტორინგის შედეგად - შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - 80% პასუხობს "დიახ". ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა არ არის ინფორმირებული ამ უფლების შესახებ. ჩანს, რომ დაწესებულებაში არსებული საწოლების რაოდენობა, დაყოვნების გამო მუდმივად შევსებულია. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა სტაციონარიდან გაწერის საკითხი დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საკუთარი მკურნალობის პროცესში არ მონაწილეობს და პერსონალის მხრიდან მის მიმართ მზრუნველობითი (მამობრივი ან დედობრივი) დამოკიდებულებაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაწესებულებაში პაციენტები არ აღიქმებიან როგორც ექიმის პარტნიორები მკურნალობის პროცესში.

პაციენტთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საკითხი მოუწესრიგებელია, რაც პარალელურად პრობლემებს უქმნის მათ პენსიების ან სხვა შემოსავლების მიღებაში და ქმნის ბარიერს არჩევნებში მონაწილეობისათვის. ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა სოც. მუშაკის შტატის დაშვება.

გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ პაციენტების ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის შექმნილი. არ არის ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები და არ არის დანერგილი შრომათერაპია, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

პაციენტებს აქვთ ეზოს შიგნით მხოლოდ მცირე, შემოღობილ ტერიტორიაზე სეირნობის საშუალება, რაც მათი უმრავლესობისთვის მიუღებელია. პაციენტებს უნდა ჰქონდეთ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება.

ადმინისტრაციამ უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს დაბალი მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა შრომის გამოყენებაზე, ასევე ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებაზე, რადგან მისი გამოყენება მედპერსონალის მხრიდან სავალდებულო პროცედურის დაცვით მოხდეს.

შიდა საჩივრების სისტემა - როგორც დაწესებულებასა და პაციენტს შორის უკუგების მექანიზმი - არ მუშაობს.

უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის აზრს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

- ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი დღეს

დაწებულებაში 439 პაციენტია სტაციონირებული. ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ პაციენტთა რაოდენობა ადრინდელთან შედარებით 3-4 ჯერ გაიზარდა. დღეისათვის დაწყებულია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, განყოფილებების რეაბილიტაცია, პარალელურად მიმდინარეობს იძულებით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთათვის ახალი კორპუსის მშენებლობა.

დაწესებულების თანამშრომელთა შემოსავალი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ექიმის საშუალო ხელფასი 500 ლარს შეადგენს. მომვლელთა მინიმალური ანაზღაურება კი 115 ლარს. ხელფასების ზრდა ქმნის ხელსაყრელ პირობებს კადრების მოსაზიდად. დაბალი სამედიცინო პერსონალი სპეციალურ გადამზადებას საჭიროებს.

დაწყებულია კომპიუტერული ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესი და დაწესებულება ცდილობს მართვის ავტომატიზებული პროგრამის დანერგვას, რომელიც ფინანსების, რესურსების მართვის და პაციენტთა მონაცემების ბაზის გამოყენების საშუალებას იძლევა.

განყოფილებებში დამონტაჟებულია საინფორმაციო დაფები და საჩივრის ყუთები. ეზო მოვლილი და გამწვანებულია. პაციენტთა კვება 4-ჯერადია. პაციენტთათვის შეძენილია ახალი თეთრეული, დანერგილია ალტერნატიული თერაპიის მეთოდი. შინაგანაწესი და კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" გამოკრულია განყოფილებებში.

ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს განყოფილებებსა და პალატებში პაციენტების განაწილება მათი დაავადების სტატუსის მიხედვით და ცვლის იმ მანკიერ ტრადიციას, რომლითაც პაციენტების განთავსება მათი წარმოშობის მიხედვით ხდებოდა.

დაწესებულების დირექტორი ცდილობს პროგრესული ნაბიჯების გადადგმას და დაწესებულებაში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციები, რომელიც მონიტორინგის საბჭომ ამ დაწესებულებას წინა მონიტორინგის შედეგად მისცა, გათვალისწინებულია.

- კითხვარებით მიღებული სტატისტიკური მონაცემები

ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები დამრგვალებულია მათემატიკური წესით და სურათს არსებითად არ ცვლის.*

- **საყოფაცხოვრებო პირობები**

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და უახლოეს დასახლებულ პუნქტს შორის მიმოსვლის შესაძლებლობა გამოკითხულთა 55%-ის მითითებით არის, თუმცა პაციენტთა 45 % აღნიშნავს, რომ მიმოსვლა ჭირს.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა - 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში სისუფთავე დაცულია და პალატები, დერეფნები სათანადოდ არის განათებული.

გამოკითხულ პაციენტთა 40 %-ზე მეტი დაწესებულების გათბობის პირობებით უკმაყოფილოა და აღნიშნავს, რომ სათანადოდ მხოლოდ ზოგიერთი პალატა თბება.

თეთრეული, პირსახოცები და ტანსაცმელი რეგულარულად იცვლება, თუმცა პაციენტების უმრავლესობას ტანსაცმელი მოუწესრიგებელი აქვს და დაწესებულება მათ ვერ უზრუნველყოფს ტანსაცმლის სტანდარტული პაკეტით.

ჰიგიენური საშუალებები ხელმისაწვდომია და პაციენტებს აბაზანის რეგულარულად მიღების საშუალება აქვთ, თუმცა ტუალეტები და აბაზანა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

კვება ოთხჯერადია და გამოკითხულთა 80% კმაყოფილია საკვების ხარისხით და ოდენობით.

პაციენტებს აქვთ ეზოში სეირნობის საშუალება, თუმცა გამოკითხულთა 20 % მიუთითებს, რომ სეირნობა ეზოს შიგნით შემოღობილ მცირე (ასფალტირებულ) ტერიტორიაზეა შესაძლებელი და ეზოს საუკეთესო, გამწვანებული ნაწილი მათთვის სასეირნოდ მიუწვდომელია, რაც მონიტორინგის განმავლობაში ჯგუფის წევრების დაკვირვებითაც დასტურდება.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთვის სპორტული ღონისძიებები არ იმართება.

○ **გარე სამყაროსთან კავშირი**

პაციენტებს აქვთ მნახველების მიღების საშუალება. თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შვებულებით სარგებლობის საშუალება მათ არ აქვთ.

გამოკითხულთა 40 % მიუთითებს, რომ არ შეუძლია წერილების გაგზავნა და მიღება, რადგან ამისთვის არ აქვს საჭირო საშუალებები. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ მათი გაგზავნილი წერილი ადრესატს არ მიუვა.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ ტელეფონით სარგებლობის საშუალება არ აქვს, რადგან განყოფილებებში მათთვის ტელეფონი არ არის დამონტაჟებული. ხოლო გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება თუ თხოვნით მიმართავს მედპერსონალს ან სტუმრებს, რომლებიც დაწესებულებაში მოდიან.

გამოკითხულ პაციენტთა 60 % აცხადებს, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ გრძნობს.

○ **პერსონალი**

გამოკითხულ პაციენტთა დიდი უმრავლესობა კმაყოფილია პერსონალის მომსახურებით და პროფესიონალიზმის დონით.

○ **სამედიცინო მომსახურება**

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა მიუთითებს სტაციონირების შემდეგ საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, ხოლო 20%-ს მიაჩნია, რომ ის დახმარება არ გაუწიეს, რომელიც სჭირდებოდა.

30% აცხადებს, რომ არაფსიქიატრიული მომსახურებით სარგებლობის საშუალება არ აქვს.

გამოკითხულთა 60% აცხადებს, რომ მკურნალობა ნებაყოფლობით უტარდება, თუმცა მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ არ აქვს საშუალება გაეწეროს დაწესებულებიდან საკუთარი სურვილისამებრ.

გამოკითხულთა 80% აცხადებს რომ გარდა მედიკამენტურისა, არამედიკამენტური მკურნალობითაც სარგებლობს და ასეთი მკურნალობის ერთ-ერთი სახით - "კულტურული თერაპიით" კმაყოფილია.

○ **შინაგანაწესი**

სტაციონარში შინაგანაწესი არსებობს, თუმცა გამოკითხულთა 80% -ზე მეტი არ იცნობს მას. ხოლო შეკითხვაზე - "არსებობს თუ არა განცხადებების დაფა თქვენს განყოფილებაში?" - 45%- ზე მეტი უარს აცხადებს. თუმცა დაფები ობსერვაციის შედეგად ნამდვილად იქნა დაფიქსირებული განყოფილებებში.

○ **ღირსების პატივისცემა**

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პერსონალი მას თავაზიანად, ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობა და მისგან დამცინავ დამოკიდებულებას არ გრძნობს. ასევე მიუთითებს, რომ სხვა პაციენტებიც პატივისცემით ექცევიან.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 70%-ზე მეტი საუბრობს პერსონალის მხრიდან მფარველობით (მამობრივ ან დედობრივ) დამოკიდებულებაზე.

○ **სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობა**

გამოკითხულთა 25% თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს, თუმცა გამოკითხულთა 80% აღნიშნავს, რომ პერსონალი ყოველთვის იცავს მათ სხვა პაციენტთა თავდასხმისაგან.

გამოკითხულთა 60% აფიქსირებს, რომ მედიკამენტები დასჯის მიზნითაც გამოიყენება.

გამოკითხულთა 30 % აღნიშნავს, რომ პერსონალის მხრიდან იყო მუქარის და ყვირილის ფაქტები, ხოლო 55% მიუთითებს მის მიმართ გამოყენებული ფიზიკური შეზღუდვის შემთხვევებზე.

შეკითხვაზე, ყოფილა თუ არა მათ მიმართ სქესობრივი ძალადობა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა უარს აცხადებს.

30% მიუთითებს, რომ ისინი მედპერსონალში აგრესიას იწვევენ, როდესაც მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებენ.

○ **იძულებითი შრომა**

შეკითხვაზე შრომობენ თუ არა პაციენტები დაწესებულების საჭიროებისთვის გამოკითხულთა 65% პასუხობს რომ - დიახ. 40% -ზე მეტი აღნიშნავს, რომ ამისთვის სამართლიან ანაზღაურებას არ იღებს.

ამასთანავე გამოკითხულ პაციენტთა 20% აღნიშნავს, რომ მას აიძულებენ იმუშაოს, ხოლო 80% აცხადებს, რომ ასეთი შრომა მისთვის სასიამოვნოა და ნებაყოფლობით მუშაობს.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ იძულებითი შრომა არ გამოიყენება როგორც სასჯელის ფორმა.

○ **საკუთრების უფლება**

გამოკითხულ პაციენტთა 70%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ პირადი ნივთების შესანახი ადგილი არ აქვს. უმრავლესობას (80% -ზე მეტს) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები თან არ აქვს.

გამოკითხულ პაციენტთა 70%-ზე მეტი მიუთითებს, რომ საკუთარ შემოსავალს (პენსია ან სხვა სახის შემოსავალი) ვერ იღებს და ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ მის პენსიას ნათესავები ითვისებენ. თუმცა გამოკითხულთა 55% აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში აქვს საკუთარი ფულის თავისუფლად გამოყენების საშუალება (თუ ასეთი აქვს).

○ **პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება**

გამოკითხულ პაციენტთა 55%-ს მიაჩნია, რომ ახლობლებთან კონფიდენციალური შეხვედრების საშუალება აქვს, ხოლო გამოკითხულ პაციენტთა 25 % უკმაყოფილოა იმით, რომ მათ პირად საკითხებზე ინფორმაციას მედპერსონალი სხვათა თანდასწრებითაც განიხილავს.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ მისი პირადი მიმოწერა არ არის კონფიდენციალური, თუმცა ასევე უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მიმოწერით არ სარგებლობს. კავშირი ამ ორ მონაცემს შორის შესაძლოა ის იყოს, რომ მიმოწერის კონფიდენციალურობის დარღვევას, მიმოწერაზე უარის თქმა მოჰყვა.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ჰიგიენური პროცედურები და სამედიცინო მანიპულაციები სხვათა თანდასწრებით უტარდება.

○ **ინფორმაციის უფლება**

გამოკითხულთა 60%-ზე მეტი საკუთარი დაავადების და დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო 70%-ზე მეტმა არ იცის რამდენ ხანს უნდა დაჰყოს დაწესებულებაში.

გამოკითხულთა 80% არ არის ინფორმირებული საკუთარ უფლებებზე, მაშინ როცა გამოკითხულთა 60% განყოფილებებში საინფორმაციო დაფების არსებობას ადასტურებს და მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" რომელიც შეიცავს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების უფლებებს განყოფილებებში გამოქვეყნებულია.

გამოკითხულთა 50%-ზე მეტი მიუთითებს, რომ აქვს ტელევიზორით და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობის საშუალება.

შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - 80% პასუხობს "დიახ", ხოლო 20%-მა არ იცის სად უნდა დაბრუნდეს მკურნალობის დასრულების შემდეგ.

○ **საარჩევნო უფლება**

გამოკითხულთა მხოლოდ 30% პასუხობს, რომ მონაწილეობა მიუღია არჩევნებში სტაციონირების შემდეგ. დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი სტაციონირების შემდეგ არჩევნები არ ჩატარებულა.

ამასთანავე, საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 80%- ზე მეტს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები თან არ აქვს (ან დაკარგული აქვს).

○ **დისკრიმინაციის აკრძალვა**

გამოკითხულ პაციენტთა 25% -ს მიაჩნია, რომ პაციენტებს სხვადასხვა ნიშნის გამო განსხვავებულად ექცევიან, 50% -ს კი მიაჩნია, რომ მედპერსონალს ჰყავს "ასისტენტები" პაციენტთა შორის, რომლებიც (ასევე 50%-ის აზრით) სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობენ.

○ **საჩივრის შეტანის უფლება**

გამოკითხულთა 50%-ზე მეტი მიუთითებს, რომ არა აქვს გასაჩივრების საშუალება საავადმყოფოში, თუ მათ მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებით, სამედიცინო პერსონალის ან სხვა პაციენტების მათდამი დამოკიდებულებით ან სხვა პირობებით უკმაყოფილოა.

გამოკითხულთა 100% მიუთითებს, რომ ასეთი პრეტენზიებით არასოდეს მიუმართავთ სასამართლოსთვის, ხოლო 80%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ საჩივრის მომზადებაში არავინ ეხმარება.

საუბრისას დაწესებულების ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ მიუხედავად დამონტაჟებული საჩივრების ყუთისა, წლის განმავლობაში თითქმის არცერთი საჩივარი (რამდენიმე არაარსებითი წერილის გარდა) აღნიშნულ ყუთებში არ ყოფილა ნაპოვნია.

○ **რწმენის და აზრის თავისუფლება**

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აქვს საშუალება, თავისუფლად ადასრულოს რელიგიური რიტუალი. გამოკითხულთა 70% -ზე მეტი ამბობს, რომ დაწესებულებას სასულიერო პირები სტუმრობენ.

შედარებისთვის საინტერესოა - გამოკითხულთა 60% აცხადებს, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ გრძნობს.

გამოკითხულ პაციენტთა 65% ამბობს, რომ არ აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

- ჩაღრმავებული გამოკითხვის შედეგები

ამ თავში მოყვანილია ის შენიშვნები, რომელიც ჩაღრმავებული ინტერვიუს პროცესში და მონიტორინგის ჯგუფის წევრთა დაკვირვებით იქნა ჩაწერილი. პაციენტების ვინაობა, რომლებმაც აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდეს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის მითითებული.

ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები არ არის დოკუმენტირებული და არც სტატისტიკურად სარწმუნოა, თუმცა საყურადღებოა და მომავალში კვლავ დაკვირვებას მოითხოვს.

შენიშვნების ჩამონათვალი

პაციენტები უჩივიან, რომ პალატებში განაწილების პრინციპი მათთვის მიუღებელია და არ ეხმარება მათ გამოჯანმრთელებაში. იგივე პოზიციას აფიქსირებს ადმინისტრაცია და აღნიშნავს, რომ პაციენტთა განყოფილებებში და პალატებში განაწილების პრინციპი იცვლება და ეს პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება.

იმ შრომას, რომელსაც პაციენტები ეწევიან დაწესებულების საჭიროებისთვის პურით და სიგარეტით უნაზღაურებენ; იშვიათად სანიტრები სცემენ პაციენტებს და აიძულებენ გარკვეული სამუშაოს შესრულებას, მაგ.: ტუალეტების დალაგება-დასუფთავებას;

თუმცა შინაგანაწესი გამოქვეყნებულია, მათ არ აქვთ წაკითხვის და გაცნობის საშუალება, რადგან პალატებთან არ არის გაკრული და არც იმ დერეფანში სადაც ხშირად უხდებათ ყოფნა;

ერთ-ერთმა პაციენტმა იმის გამო, რომ სიტყვიერ შეურაცხყოფის გამო მოითხოვა იმ მედპერსონალის შეცვლა, რომელიც მას ემსახურებოდა, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

ზოგიერთი გამოკითხული აღნიშნავს, რომ ჰიგიენურ პროცედურებს პაციენტები ერთმანეთს უტარებენ და ხშირად ჰიგიენური პროცედურები პაციენტებს სხვათა თანდასწრებით უტარდებათ;

არაფსიქიატრიული მომსახურებით პაციენტებს მხოლოდ სტომატოლოგი ემსახურება;

ზოგიერთი პაციენტი აღნიშნავს, რომ სტაციონირებისას თანახმა არ იყო მკურნალობაზე, თუმცა ახლა თანახმაა, სასამართლოსადმი მიმართვები არ მოიპოვება, ასევე უცნობია სტაციონირებიდან რა ვადაში იქნა მიღებული ასეთი პაციენტების თანხმობა;

სამედიცინო პროცედურები პალატებში უტარდებათ, როცა ამისთვის სპეციალურად არსებობს საპროცედურო ოთახი;

პაციენტების ფიზიკური შეზღუდვა ხშირად გამოიყენება, შეზღუდვა ზოგჯერ დღე-ღამეების განმავლობაშიც გრძელდება;

პაციენტებს წვერს მშრალად და ერთი და იმავე საპარსით პარსავენ, რაც მათთვის მტკივნეულია და ინფიცირების საფრთხეს ქმნის;

პაციენტმა კბილის ტკივილის გამო მიმართა დაწესებულებას, თუმცა დახმარება არ აღმოუჩინეს და კბილი თავად ამოიღო - "თოკი მოვაბი და ამოვიძრე" - აღნიშნავს ერთ-ერთი მათგანი;

"ასისტენტი" პაციენტები ეხმარებიან სანიტრებს სამუშაოს შესრულებაში და სანაცვლოდ სიგარეტს და პურს იღებენ;

ერთ-ერთი პაციენტი აღნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის წინ უთხრეს ხმა კონკრეტული პარტიისთვის მიეცა;

პალატებში ღამით საერთო შუქი ანთია, რაც პაციენტების ნაწილს ხელს უშლის დაძინებაში;

იზოლაცია დასჯის მიზნითაც გამოიყენება;

ზოგიერთი პაციენტი სხვა ლოგინად ჩავარდნილ პაციენტს უვლის;

სეირნობის საშუალება უმრავლესობას მხოლოდ ეზოს შიგნით რკინის ბადით შემოღობილ ადგილას აქვთ;

პაციენტების პენსიების საკითხი მოუგვარებელია, გაურკვეველია ვინ იღებს მათ კუთვნილ შემოსავალს.

დასკვნები

მონიტორინგის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები ასეთია:

✓ დადებითი ტენდენციები

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელობა ცდილობს დაწესებულებაში თანამედროვე მიდგომების დანერგვას. დასაქმებულთა შემოსავალი მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც კადრების მოზიდვის საფუძველს ქმნის.

პაციენტთა განყოფილებებში და პალატებში განაწილების პრინციპი იცვლება და დაწყებულია მათი განთავსება დაავადების სტატუსის მიხედვით.

შექმნილია და ვითარდება კომპიუტერული ინფრასტრუქტურა, არსებობს კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა ინტერნეტი და ფაქსი, ინერგება დაწესებულების ელექტრონული მართვის პროგრამა, მიმდინარეობს განყოფილებების სარეაბილიტაციო სამუშაოები,

არსებობს შინაგანაწესი, რომელიც გამოქვეყნებულია, დამონტაჟებულია საინფორმაციო დაფები და საჩივრის ყუთები.

დაწესებულებაში დაცულია სისუფთავე და კვება მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული წინა წლებთან შედარებით, კარ-მიდამო მოვლილია.

დანერგილია მკურნალობის ალტერნატიული მეთოდი - კულტურაპია; შთამბეჭდავია, რომ მოძრაობა შეზღუდული პაციენტებიც კი ასრულებენ ცეკვის რთულ ილეთებს და ენთუზიაზმით მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.

✓ უარყოფითი ტენდენციები

პაციენტებს მათი უფლებების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ვერ აწვდის. მიუხედავად ადმინისტრაციის მცდელობისა, საინფორმაციო დაფებზე გამოქვეყნებინა პაციენტთა უფლებები, ჩანს, რომ ამ ფორმით პაციენტთა ინფორმირება ვერ ხდება.

პაციენტის უფლება "მიიღოს თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") დარღვეულია, რადგან გამოკითხულთა 60% -ზე მეტი საკუთარი დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო დანარჩენი ნაწილის უმრავლესობა ფლობს არასრულყოფილ ინფორმაციას, რომელიც საკუთარი დაკვირვების საშუალებით მოიპოვა.

პაციენტის უფლება "გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") არ არის რეალიზებული. გამოკითხული პაციენტები დიდ ინტერესს გამოხატავენ საკუთარი სამედიცინო დოკუმენტაციისადმი - "ნეტა ჩამახედა რა წერია მასში!" - ასეთი იყო ერთ-ერთი პაციენტის სურვილი.

პაციენტის უფლება "უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე" (კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ") (გარდა კანონით გათვალისწინებული შემხვევებისა, როცა ეს უფლება იზღუდება) არ არის რეალიზებული. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, მიუხედავად მათი სურვილისა - შეწყვიტონ მკურნალობა - არ აქვთ საშუალება გაეწერონ დაწესებულებიდან. ადმინისტრაციის განმარტებით პაციენტების გაწერა ყოვნადა იმ მოტივით, რომ მათი სოციალური პირობები დაწესებულების გარეთ, არ იძლევა პაციენტების გაწერის საშუალებას (მათ

უმრავლესობას ადგილი არ გააჩნია, სადაც შეიძლება იცხოვროს გაწერის შემდეგ), თუმცა მონიტორინგის შედეგად - შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - 80% პასუხობს "დიახ". ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა არც არის ინფორმირებული ამ უფლების შესახებ. ჩანს, რომ დაწესებულებაში არსებული საწოლების რაოდენობა, დაყოვნების გამო მუდმივად შევსებულია.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საკუთარი მკურნალობის პროცესში არ მონაწილეობს და პერსონალის მხრიდან მის მიმართ მზრუნველობითი (მამობრივი ან დედობრივი) დამოკიდებულებაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაწესებულებაში პაციენტები არ აღიქმებიან როგორც ექიმის პარტნიორები მკურნალობის პროცესში.

პაციენტთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საკითხი მოუწესრიგებელია, რაც პარალელურად პრობლემებს უქმნის მათ პენსიების ან სხვა შემოსავლების მიღებაში და ქმნის ბარიერს არჩევნებში მონაწილეობისათვის.

გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ პაციენტების ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის შექმნილი. არ არის ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები და არ არის დანერგილი შრომათერაპია, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ძირითადი რეკომენდაციები

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

საჭიროა დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღოს დამატებითი ზომები, პაციენტთა ინფორმირებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ. შესაძლებელია შინაგანაწესით განისაზღვროს პაციენტთა დაწესებულებაში მიღებიდან გარკვეული დროის განმავლობაში სავალდებულო ინფორმირება მათი უფლებების შესახებ ან/და მკურნალობის პროცესში მიაწოდოს მედპერსონალმა ან სოც. მუშაკმა ასეთი ინფორმაცია.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

დაშვებულ იქნას სოც.მუშაკის შტატი, რადგან პაციენტთა სოციალური საკითხები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პენსიები და მეურვეების გულგრილი დამოკიდებულების (და სხვა) საკითხები კომპეტენტურმა ადამიანმა მოაგვაროს.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

დაწესებულების ადმინისტრაციამ აუცილებელია მიიღოს ზომები, პაციენტთა ინფორმირებისთვის მათი დაავადების/დიაგნოზის, მკურნალობის და მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. სამედიცინო დოკუმენტაცია პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა სტაციონარიდან გაწერის საკითხი დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია. გამოკითხვა ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში პაციენტთა დაყოვნება ხდება, თუმცა ადმინისტრაციის არგუმენტი, რომ ეს პაციენტთა სოციალური შეჭირვების მოსაზრებით კვლავ მათ დასახმარებლად კეთდება, კანონთან "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" წინააღმდეგობაში მოდის, ასევე საწინააღმდეგოს ამბობს გამოკითხვის შედეგები, სადაც გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობამ იცის, თუ სად უნდა დაბრუნდეს მკურნალობის დასრულების შემდეგ.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

საჭიროა დამატებითი მუშაობა პაციენტთა ინფორმირებისთვის მათი უფლებების, საავადმყოფოს შიდა რეგულაციების და შინაგანაწესით მინიჭებული უფლება-მოვალეობების შესახებ.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

საჭიროა შეიცვალოს პაციენტის როლი მკურნალობის პროცესში და პაციენტი არამხოლოდ როგორც მზრუნველობის ობიექტი, არამედ როგორც პარტნიორი ისე აღიქმებოდეს. საკუთარი მკურნალობის პროცესში მონაწილეობის უფლება პაციენტებს "პაციენტთა უფლებების შესახებ" კანონით აქვთ გარანტირებული.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

აუცილებელია მკურნალობის პროცესში ისეთი ალტერნატიული მკურნალობის მეთოდების ჩართვა, რომელიც სტაციონარში პაციენტის უნარ-ჩვევების შენარჩუნებას და განვითარებას შეუწყობს ხელს. დღეისათვის პაციენტები სტაციონარში მკურნალობის განმავლობაში იმ სასარგებლო შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევების დიდ ნაწილს კარგავენ, რომელმაც უნდა გაუადვილოს მათ საზოგადოებასთან თანაცხოვრება. ერთის მხრივ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრმა უნდა დანერგოს ასეთი სერვისი და მეორეს მხრივ სერვისის დამფინანსებელმა უნდა მოითხოვოს ფსიქიატრიული მომსახურების პაკეტში მისი შეტანა. რა თქმა უნდა ასეთი სერვისის გაწევა შესაბამისად უნდა იყოს ანაზღაურებული.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

აუცილებელია გაუმჯობესდეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა ხელმისაწვდომობა არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს

პაციენტებს უნდა მიეცეთ ეზოში სეირნობის საშუალება, რადგან მიუღებელია მათი ეზოს შიგნით შემოღობილ ტერიტორიაზე სეირნობა. პაციენტებს უნდა ჰქონდეთ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება.

ადმინისტრაციამ უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს დაბალი მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა შრომის გამოყენებაზე, ასევე ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებაზე, რადგან მისი გამოყენება მედპერსონალის მხრიდან სავალდებულო პროცედურის დაცვით მოხდეს.

საჭიროა შიდა საჩივრების სისტემის - როგორც დაწესებულებასა და პაციენტს შორის უკუგების მექანიზმის - ეფექტურად გამოყენება.

უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტის აზრს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

ქ. თბილისის (ა. ზურაბაშვილის სახ.) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - 2007 წ. ივნისი

წარდგენა

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი განხორციელდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს ფინანსური მხარდაჭერით.

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირველი მონიტორინგი 2005 წლის ნოემბერში ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს მიერ. 2005 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგ, ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო სხვა შენობაში გადავიდა, რომელსაც ახლა რემონტი უტარდება.

2005 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით საავადმყოფოში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, მცირე ანაზღაურება და პაციენტთა უფლებების დარღვევის მრავალი ფაქტი გამოვლინდა.

2007 წლის ივნისში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ჩანს, რომ პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესებულია და პერსონალის შემადგენლობა განახლებულია. პაციენტთა უფლებების დარღვევის ფაქტებმა კი მკვეთრად იკლო.

შესავალი

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო სახალხო დამცველის ინიციატივით 2006 წელს შეიქმნა. დღემდე მონიტორინგის საბჭომ საქართველოს ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელა მონიტორინგი და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო მდებარეობს გლდანში და პაციენტებს მთელი საქართველოს მასშტაბით ემსახურება. ამ დროისათვის საავადმყოფოს უტარდება სარემონტო სამუშაოები, რომელიც ამა წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს.

საავადმყოფოში ფსიქიატრიული მომსახურებით ამჟამად 97 პაციენტი სარგებლობს. ყველა მათგანი ნებაყოფლობით მკურნალობაზე იმყოფება. აღნიშნული რაოდენობიდან 30-ზე მეტი ქმედუუნაროს სტატუსით სარგებლობს და მეურვის თანხმობით იღებს მკურნალობას.

საავადმყოფოს დაფინანსება მწირია. პერსონალის საშუალო ხელფასი 110 ლარს შეადგენს.

მონიტორინგის დროს ჯგუფი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონით და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ ყველა უფლებას იკვლევდა.

მონიტორინგი 2 დღე გაგრძელდა. გამოყენებული იყო კითხვარი, რომლის საშუალებითაც ჯგუფი ყველა უფლების დარღვევას იკვლევდა.

ანგარიშის მოკლე შინაარსი

ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოში 97 პაციენტია სტაციონირებული, აქედან 30-ზე მეტი ქმედუუნაროა. დაწესებულებაში 4 ექიმი, 6 ექთანი, 15 სანიტარი, 2 ფსიქოლოგი და 5 ექიმი კონსულტანტია დასაქმებული.

მედპერსონალის საშუალო შემოსავალი მცირეა და 110 ლარს შეადგენს, თუმცა პაციენტების უმრავლესობა მათი მომსახურებით კმაყოფილია.

საავადმყოფოს ამჟამად უტარდება რემონტი, რომელიც 2007 წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს. ამ დროისათვის ექსპლუატაციაშია სამი განყოფილება.

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საყოფაცხოვრებო პირობებით გამოკითხული პაციენტების უმრავლესობა კმაყოფილია, თუმცა გამოკითხულთა აზრით კვლავ პრობლემად რჩება კვების პირობები.

განყოფილებებში პაციენტებისთვის ტელეფონი არ არის დამონტაჟებული. სტაციონარს გააჩნია შინაგანაწესი, რომელიც პაციენტთათვის ხელმისაწვდომია.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა მედპერსონალის მომსახურებით კმაყოფილია. პაციენტთა აზრით დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში, აღმოიფხვრა.

საავადმყოფოში პაციენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ ოკუპაციური თერაპიით, რომელსაც მათ ორგანიზაცია "ანტი-სტიგმა" სთავაზობს.

პაციენტების ნაწილი შრომობს დაწესებულების საჭიროებისთვის სამართლიანი ანაზღაურების გარეშე. გამოკითხულთა თქმით, ისინი ასრულებენ დაბალი მდებარე სონალისთვის განკუთვნილ სამუშაოს.

რამდენიმე პაციენტს გასაუბრებისას თან ჰქონდა პირადი ნივთები, ტკბილეული და სხვა წვრილმანი. მათი განმარტებით ხშირია პაციენტებს შორის ქურდობის ფაქტები.

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები. ადმინისტრაციამ მონიტორინგის ჯგუფს აჩვენა პაციენტების მიერ ყუთებში ჩაგდებული საჩივრები და მათზე რეაგირების წესიც განუმარტა.

მონიტორინგის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები ასეთია:

✓ დადებითი ტენდენციები

ქ. თბილისის საავადმყოფოში წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესებულია საყოფაცხოვრებო პირობები.

სამედიცინო პერსონალის მომსახურებით პაციენტები გაცილებით კმაყოფილები არიან ვიდრე წინა წლებში. დანერგილია ალტერნატიული თერაპიის მეთოდები - არტთერაპია, კოგნიტიური თერაპია და სხვა... არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულია.

პაციენტები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში.

პაციენტებისთვის ინფორმაცია მათი დაავადების შესახებ ხელმისაწვდომია. განყოფილებებში თვალსაჩინო ადგილას არის გამოქვეყნებული დაწესებულების შინაგანაწესისა და პაციენტთა უფლებების შესახებ ინფორმაცია.

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები.

✓ უარყოფითი ტენდენციები

პაციენტებს უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

მოუგვარებელია პაციენტების სოციალური პრობლემები. გაურკვეველია მათ პენსიებთან და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არამხოლოდ საავადმყოფოს პრობლემას წარმოადგენს.

დაწესებულებაში კვების პირობები პაციენტთათვის არაადამაკმაყოფილებელია.

საავადმყოფოში პაციენტთა კონტინგენტის ნაწილი არ საჭიროებს სტაციონირებას. ამ შემთხვევაში საავადმყოფო მათთვის თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს, რაც ხელს უწყობს მათში "ჰოსპიტალიზმის" სინდრომის ჩამოყალიბებას და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო უნარების დაკარგვას.

- ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო დღეს

ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოში 97 პაციენტია სტაციონირებული, აქედან 30-ზე მეტი ქმედუნაროა. დაწესებულებაში 4 ექიმი, 6 ექთანი, 15 სანიტარი, 2 ფსიქოლოგი და 5 ექიმი კონსულტანტია დასაქმებული.

საავადმყოფოს ამჟამად უტარდება რემონტი, რომელიც 2007 წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს. ამ დროისათვის ექსპლუატაციაშია სამი განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებებში კარგი საყოფაცხოვრებო პირობებია. სისუფთავე დაცულია, პალატები ნიავედება, დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს თანამედროვე გათბობის სისტემა, თეთრეული და პირსახოცები რეგულარულად იცვლება, პაციენტებს აქვთ აბაზანით სარგებლობის საშუალება, სასადილოში სისუფთავე დაცულია. განყოფილებებში დამონტაჟებულია ტელევიზორები. კვება 3-ჯერადაა და გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა კვების პირობებით უკმაყოფილოა.

მედპერსონალის საშუალო შემოსავალი მცირეა და 110 ლარს შეადგენს, თუმცა პაციენტების უმრავლესობა მათი მომსახურებით კმაყოფილია.

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები.

საავადმყოფოს ჰყავს სხადასხვა სპეციალიზაციის კონსულტანტი ექიმები. დანერგილია ალტერნატიული თერაპიის მეთოდები.

- კითხვარებით მიღებული სტატისტიკური მონაცემები

ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები დამრგვალებულია მათემატიკური წესით და სურათს არსებითად არ ცვლის.*

- **საყოფაცხოვრებო პირობები**

დაწესებულებაში სისუფთავე დაცულია. პალატები ნიავედება, განყოფილებები, დერეფნები და ტუალეტები სათანადოდ არის განათებული.

პაციენტთა უმრავლესობა გათბობის პირობებით კმაყოფილია, დამონტაჟებულია გათბობის თანამედროვე სისტემა.

თეთრეული, პირსახოცები და ტანსაცმელი რეგულარულად იცვლება. პაციენტებს აქვთ აბაზანით რეგულარულად სარგებლობის საშუალება.

გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ დაწესებულება მათ ჰიგიენური საშუალებებით ვერ უზრუნველყოფს.

კვება სამჯერადია და გამოკითხულთა 60% კვების პირობებით უკმაყოფილოა. პაციენტებს არ აქვთ სპეციალური დიეტებით სარგებლობის საშუალება.

პაციენტებს აქვთ ეზოში სეირნობის საშუალება.

გამოკითხული პაციენტების მცირე ნაწილს სურს ხანდაზმულთა სახლში გადასვლა, რადგან მხოლოდ მოვლას საჭიროებს. ექიმთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მართლაც არიან პაციენტები, რომელთაც მხოლოდ სპეციალური მოვლა ესაჭიროებათ, თუმცა მათი გადაყვანა ობიექტური მიზეზების გამო შესაბამის დაწესებულებებში ვერ ხერხდება.

○ **გარე სამყაროსთან კავშირი**

პაციენტებს აქვთ მნახველების მიღების, ასევე წერილების გაგზავნის საშუალება.

გამოკითხულთა 80% მიუთითებს, რომ ტელეფონით სარგებლობის საშუალება არ აქვს, რადგან განყოფილებებში მათთვის ტელეფონი არ არის დამონტაჟებული.

გამოკითხულ პაციენტთა 90% აცხადებს, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ გრძნობს.

უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ორგანიზებას უკეთებს კულტურულ საღამოებს პაციენტთათვის. ასეთი შეხვედრების დროს პაციენტებისთვის იმართება თეატრალიზებული წარმოდგენები, პოეზიის საღამოები და სხვა.

საავადმყოფოში პაციენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ ოკუპაციური თერაპიით, რომელსაც მათ ორგანიზაცია "ანტი-სტიგმა" სთავაზობს.

○ **პერსონალი**

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა მედპერსონალის მომსახურებით კმაყოფილია. პაციენტთა აზრით დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში, აღმოიფხვრა.

მონიტორინგის დროს - "შეკითხვაზე იღებს თუ არა რაიმე თანხას პერსონალი თქვენგან ან თქვენი ნათესავებისგან გაწეული მომსახურებისთვის?" - გამოკითხულთა 20%-მა უპასუხა დიახ. ჩაღრმავებული გამოკითხვისას პაციენტები აცხადებდნენ, რომ წლების წინ თანხის აღებას ადგილი ჰქონდა ძირითადად საავადმყოფოში მიღების დროს მორიგე ექიმის მიერ ან სტაციონირების შემდეგ ექიმების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ადმინისტრაციის განმარტებით ქრთამის აღებას შესაძლოა მართლაც ჰქონდა ადგილი წინა წლებში, მაგრამ მას შემდეგ რაც ადმინისტრაცია შეიცვალა, ხოლო თანამშრომლების დიდი უმრავლესობა სამსახურიდან გაათავისუფლეს, ასეთი ფაქტები აღიკვეთა.

ასევე ნიშანდობლივია, რომ ის პაციენტები, რომლებიც საავადმყოფოში მიღებისას მორიგე ექიმის მიერ ქრთამის აღების ფაქტებზე მიუთითებენ, 8-15 წლის წინ არიან სტაციონირებული საავადმყოფოში.

○ **სამედიცინო მომსახურება**

ყველა გამოკითხული პაციენტი ოფიციალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე იმყოფება. გამოკითხულთა 35% კი აღნიშნავს, რომ მკურნალობა რომელიც უტარდება არ სჭირდება.

გამოკითხულთა 70% აცხადებს, რომ არ შეუძლია გაეწეროს საავადმყოფოდან და ამის მიზეზად ასახელებენ მიუსაფრობას - "რომც გავეწეროთ ვერსად წავალთ" - აცხადებს ერთ-ერთი პაციენტი.

საავადმყოფოში გარდა მედიკამენტურისა, არამედიკამენტური (ალტერნატიული) მკურნალობის მეთოდებიც არის დანერგილი. პაციენტები აქტიურად მონაწილეობენ ალტერნატიული თერაპიის სეანსებში და გამოკითხვისას კმაყოფილებას გამოთქვამენ ასეთი სერვისის არსებობის გამო.

○ **შინაგანაწესი**

სტაციონარს გააჩნია შინაგანაწესი, რომელიც პაციენტთათვის ხელმისაწვდომია.

○ **ღირსების პატივისცემა**

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პერსონალი მას თავაზიანად, ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 40% საუბრობს პერსონალის მხრიდან მფარველობით (მამობრივ ან დედობრივ) დამოკიდებულებაზე.

○ **სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობა**

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა დაწესებულებაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

პერსონალის მხრიდან ცემის ან მუქარის ფაქტებზე გამოკითხულების მხოლოდ 15% მიუთითებს. ჩაღრმავებული გამოკითხვისას ისინი ამბობენ, რომ ასეთი ფაქტები ძალიან იშვიათად, ერთ-ერთი ცვლის მუშაობის დროს ხდება.

ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება იშვიათია და ფიქსირდება პაციენტთა სამედიცინო დოკუმენტაციაში.

შეკითხვაზე, ყოფილა თუ არა მათ მიმართ სქესობრივი ძალადობა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა უარს აცხადებს.

გამოკითხულთა 35%-ის აზრით მედიკამენტებზე უარის თქმის შემთხვევაში პერსონალი აგრესიას ავლენს.

○ **იძულებითი შრომა**

შეკითხვაზე შრომობენ თუ არა პაციენტები დაწესებულების საჭიროებისთვის - გამოკითხულთა 65% პასუხობს რომ - დიახ. 80% მიუთითებს, რომ ამისთვის სამართლიან ანაზღაურებას არ იღებს. გამოკითხულთა სრული უმრავლესობა უარყოფს იძულებითი შრომის და შრომის დასჯის მიზნით გამოყენების ფაქტებს.

○ **საკუთრების უფლება**

პაციენტებს აქვთ პირადი ნივთების შესანახი ადგილი პალატებში. საწოლებთან დგას ტუმბოები და განყოფილებებში არის სპეციალური ადგილი პირადი ნივთების უსაფრთხოდ შენახვისთვის, მაგრამ გასაუბრებას რამდენიმე პაციენტი მაინც პირადი ნივთებით, ტკბილეულით და სხვა წვრილმანით დაესწრო - მათი განმარტებით ხშირია პაციენტებს შორის ქურდობის ფაქტები.

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას თან არ აქვს.

გამოკითხულ პაციენტთა 80% მიუთითებს, რომ საკუთარი შემოსავალი (პენსია ან სხვა სახის შემოსავალი) არ გააჩნია.

○ **პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება**

პაციენტებს აქვთ ახლობლებთან კონფიდენციალური შეხვედრების საშუალება. გამოკითხულთა აზრით მათი მიმოწერა კონფიდენციალურია.

ჰიგიენური პროცედურები და სამედიცინო მანიპულაციები სხვათა თანდასწრებით არ ტარდება.

პაციენტებს აქვთ პირადი კუთხის მოწყობის საშუალება.

გამოკითხულთა 70%-ის თქმით, პერსონალი მათ პირად საქმეებზე სხვათა თანდასწრებით არ საუბრობს.

○ **ინფორმაციის უფლება**

გამოკითხულთა 75% საკუთარი დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ ინფორმაციას ფლობს. 90%-მა არ იცის რამდენ ხანს უნდა დაჰყოს დაწესებულებაში. ასეთი პაციენტების უმრავლესობა საავადმყოფოში დაყოვნების მიზეზად ასახელებს სოციალურ შეჭირვებას, მომვლელის არყოლას, მიუსაფრობას და ნათესავების უყურადღებობას.

გამოკითხულთა 80% არ არის ინფორმირებული საკუთარ უფლებებზე, თუმცა მონიტორინგული ვიზიტის შემდეგ, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მიწოდებული პლაკატები ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა უფლებების შესახებ ყველა თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული.

განყოფილებებში პაციენტათვის დამონტაჟებულია ტელევიზორები.

შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - 70% პასუხობს "არა".

○ **საარჩევნო უფლება**

გამოკითხულთა მხოლოდ 25% პასუხობს, რომ სტაციონირების შემდეგ მონაწილეობა მიუღია არჩევნებში. უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოში სტაციონირებულ პაციენტთა ნაწილი ქმედუუნაროდ არის აღიარებული, რის გამოც ისინი არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ.

○ **დისკრიმინაციის აკრძალვა**

გამოკითხულ პაციენტთა მხოლოდ 15%-ს მიაჩნია, რომ პაციენტებს სხვადასხვა ნიშნის გამო განსხვავებულად ექცევიან, 40% -ის აზრით, მედპერსონალს ჰყავს "ასისტენტები" პაციენტთა შორის, რომლებიც სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობენ.

○ **საჩივრის შეტანის უფლება**

გამოკითხულთა 40%-ზე მეტი მიუთითებს, რომ აქვს გასაჩივრების საშუალება საავადმყოფოში, თუ მათ მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებით, სამედიცინო პერსონალის ან სხვა პაციენტების მათდამი დამოკიდებულებით ან სხვა პირობებით უკმაყოფილოა.

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები. ადმინისტრაციამ მონიტორინგის ჯგუფს აჩვენა პაციენტების მიერ ყუთებში ჩაგდებული საჩივრები და მათზე რეაგირების წესიც განუმარტა.

ყველა გამოკითხული მიუთითებს, რომ საჩივრით არასოდეს მიუმართავს სასამართლოსთვის, ხოლო 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ საჩივრის მომზადებაში მათ არავინ ეხმარება.

○ **რწმენის და აზრის თავისუფლება**

დაწესებულებაში სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები არიან სტაციონირებული. გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აქვს საშუალება, თავისუფლად აღასრულოს რელიგიური რიტუალი.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა ამბობს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება დაწესებულებაში აქვს.

ჩაღრმავებული გამოკითხვის შედეგები

ამ თავში მოყვანილია ის შენიშვნები, რომელიც ჩაღრმავებული ინტერვიუს პროცესში და მონიტორინგის ჯგუფის წევრთა დაკვირვებით იქნა მოპოვებული. პაციენტების ვინაობა, რომლებმაც აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდეს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის მითითებული.

ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები არ არის დოკუმენტირებული და არც სტატისტიკურად სარწმუნოა, თუმცა საყურადღებოა და მომავალში კვლავ დაკვირვებას მოითხოვს.

შენიშვნების ჩამონათვალი

საავადმყოფოში თეთრეული 2 კვირაში ერთხელ იცვლება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პაციენტებს ეზოში სეირნობის საშუალება არ აქვთ.

”ასისტენტი” პაციენტები დაბალი მედპერსონალის საქმის დიდ ნაწილს ასრულებენ. მათ ამისთვის სიგარეტით და ყავით უმასპინძლებიან.

დაწესებულებაში ადგილი აქვს დისკრიმინაციას, თუმცა ეს უხეში ფორმებით არ ხდება და ამიტომ პაციენტთა უმრავლესობისთვის შეუმჩნეველია.

სპეციალურ საცავში პაციენტთა ნივთების შენახვის შემდეგ მათი მფლობელების ვინაობები ირევა და ამის გამო ადგილი აქვს კონფლიქტს.

იშვიათად ადგილი აქვს პაციენტთა შეურაცხყოფის ფაქტებს.

პაციენტებს არ აქვთ სტომატოლოგიური მომსახურებით სარგებლობის საშუალება.

იშვიათად ადგილი აქვს ინექციის დასჯის მიზნით გამოყენებას.

ერთ-ერთი სანიტარი პაციენტებს აშინებს, რომ სტაციონარიდან ვერასოდეს გავლენ.

ერთ-ერთ პაციენტს, რომელმაც მედპერსონალს საკუთარი უფლებები შეახსენა, დასჯის მიზნით ინექცია გაუკეთეს.

დასკვნები

მონიტორინგის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები ასეთია:

✓ დადებითი ტენდენციები

ქ. თბილისის საავადმყოფოში წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესებულია საყოფაცხოვრებო პირობები.

სამედიცინო პერსონალის მომსახურებით პაციენტები გაცილებით კმაყოფილები არიან ვიდრე წინა წლებში. დანერგილია ალტერნატიული თერაპიის მეთოდები - არტთერაპია, კოგნიტიური თერაპია და სხვა... არაფსიქიატრიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულია.

პაციენტები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში.

პაციენტებისთვის ინფორმაცია მათი დაავადების შესახებ ხელმისაწვდომია. განყოფილებებში თვალსაჩინო ადგილას არის გამოქვეყნებული დაწესებულების შინაგანაწესის და პაციენტთა უფლებების შესახებ ინფორმაცია.

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები.

✓ უარყოფითი ტენდენციები

პაციენტებს უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

მოუგვარებელია პაციენტების სოციალური პრობლემები. გაურკვეველია მათ პენსიებთან და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არამხოლოდ საავადმყოფოს პრობლემას წარმოადგენს.

დაწესებულებაში კვების პირობები პაციენტთათვის არაადაკმაყოფილებელია.

საავადმყოფოში პაციენტთა კონტინგენტის ნაწილი არ საჭიროებს სტაციონირებას. ამ შემთხვევაში საავადმყოფო მათთვის თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს, რაც ხელს უწყობს მათში "ჰოსპიტალიზმის" სინდრომის ჩამოყალიბებას და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო უნარების დაკარგვას.

ძირითადი რეკომენდაციები

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს

დაშვებულ იქნას სოციალური მუშაკის შტატი, რადგან პაციენტთა სოციალური საკითხები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პენსიები, მეურვეების გულგრილი დამოკიდებულება და პირად ქონებასთან დაკავშირებული საკითხები კომპეტენტურმა ადამიანმა მოაგვაროს.

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს

საჭიროა აღიკვეთოს დაწესებულების საჭიროებისთვის სამართლიანი ანაზღაურების გარეშე პაციენტთა შრომის ფაქტები.

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს

საჭიროა მიღებულ იქნას ზომები კვების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ძირითადი პრეტენზიები ამ მხრივ კვების ჯერადობის სიმცირეს, საკვების რაოდენობის ნაკლებობას, კალორიულობის სიმცირეს და საკვების ერთფეროვნებას უკავშირდება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები თვალნათლივ მიუთითებს, რომ ტრადიციული, ინსტიტუციურ მომსახურებაზე ორიენტირებული და

ცენტრალიზებული ფსიქიატრიული სერვისი ვერ უზრუნველყოფს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ინტერესების და უფლებების სრულყოფილ დაცვას, ვინაიდან ასეთი სისტემა იმთავითვე "დეფექტური" პროცენტების იზოლაციისთვის იყო შექმნილი.

საქართველოს სახალხო დამცველს და საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს მიაჩნია, რომ ინვესტიციების განხორციელება არსებული არაეფექტური სისტემის ზედაპირული გაუმჯობესებისთვის ხელს უშლის საზოგადოებრივი ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესებას, ვინაიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მკურნალობის შედეგები, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა.

საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა თემზე დამყარებული სოციალური სერვისის განსავითარებლად, თანამედროვე ფსიქოსოციალური მოდელის შემუშავების და დანერგვისათვის.

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - 2007 წ. ივლისი

წარდგენა

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი განხორციელდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს ფინანსური მხარდაჭერით.

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში პირველი მონიტორინგი 2006 წ. განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს მიერ.

ქ. ბათუმის რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელშიც ადმინისტრაციამ ადამიანის უფლებების დაცვის კონცეფცია ფსიქიატრიულ სერვისში გაითვალისწინა - შექმნა შინაგანაწესი, დანერგა ალტერნატიული თერაპიის მეთოდები, კონსულტაციები გაიარა ფსიქიატრიის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გააუმჯობესა პაციენტთათვის საყოფაცხოვრებო პირობები, დაუშვა სოციალური მუშაკის შტატი და ქმედითი ნაბიჯები გადადგა პაციენტთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

2007 წელს საავადმყოფოში მონიტორინგი განმეორებით ჩატარდა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო სახალხო დამცველის ინიციატივით 2006 წელს შეიქმნა. დღემდე მონიტორინგის საბჭომ საქართველოს ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განახორციელა მონიტორინგი და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო ემსახურება აჭარა - გურიის მოსახლეობას. ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის მიხედვით საავადმყოფო დაასრულებს ფუნქციონირებას. საავადმყოფოს რემონტი 2006 წელს ჩაუტარდა, თუმცა ამ დროისათვის იგი ხელახალ რემონტს საჭიროებს.

საავადმყოფოში ფსიქიატრიული მომსახურებით ამჟამად 110 პაციენტი სარგებლობს. ნებაყოფლობით მკურნალობაზე 103, არანებაყოფლობითზე 4, ხოლო იძულებით მკურნალობაზე 3 პაციენტი იმყოფება.

პაციენტთა დენადობა საკმაოდ მაღალია - საშუალოდ თვეში 18-20 ახალი პაციენტის მიღება და იგივე რაოდენობით პაციენტების გაწერა ხდება.

საავადმყოფოს დაფინანსება მწირია. დაბალი მედპერსონალის საშუალო ხელფასი 90 ლარს შეადგენს.

ამ დროისათვის ყველაზე მწვავე პრობლემად ადმინისტრაცია ქრონიკული პაციენტების დიდ რაოდენობას (საერთო რაოდენობის 40%) და მარტოხელა პაციენტთა გაწერის და მოვლის სირთულეებს ასახელებს.

მონიტორინგის დროს ჯგუფი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონით და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ ყველა უფლებას იკვლევდა.

ანგარიშის მოკლე შინაარსი

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ფსიქიატრიული მომსახურებით ამჟამად 110 პაციენტი სარგებლობს. ნებაყოფლობით მკურნალობაზე 103, არანებაყოფლობითზე 4, ხოლო იძულებით მკურნალობაზე 3 პაციენტი იმყოფება.

მედპერსონალის საშუალო შემოსავალი მცირეა და 110 ლარს შეადგენს, თუმცა პაციენტების უმრავლესობა მათი მომსახურებით კმაყოფილია.

ამ დროისათვის ფუნქციონირებს ოთხი განყოფილება, სადაც პაციენტები დიფერენცირებულად, დაავადების სტატუსის მიხედვით არიან განთავსებული. აღნიშნულ განყოფილებებში დამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობებია. სისუფთავე დაცულია, პალატები ნიავედება, თეთრეული და პირსახოცები რეგულარულად იცვლება, პაციენტებს აქვთ აბაზანით სარგებლობის საშუალება.

განყოფილებებში დამონტაჟებულია ტელევიზორები. კვება 4-ჯერადაა და გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა კვების პირობებით კმაყოფილია.

დაბალი მედპერსონალის შემოსავალი მცირეა და 90 ლარს შეადგენს,

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები, ფუნქციონირებს ალტერნატიული თერაპიის კაბინეტი, სადაც პაციენტებს უტარდებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებები. პაციენტებს აქვთ სარეაბილიტაციო სერვისით სარგებლობის საშუალება.

გარდა ექიმი ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგისა, საავადმყოფოს ემსახურება სხადასხვა სპეციალიზაციის 3 ექიმი. სტომატოლოგიური მომსახურება ხელმისაწვდომია.

მონიტორინგის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები ასეთია:

✓ დადებითი ტენდენციები

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. დაცულია სისუფთავე, კვების რეჟიმი და საკვების ხარისხი გამოკითხულ პაციენტებს აკმაყოფილებთ.

მოწესრიგებულია პაციენტთა განყოფილებებსა და პალატებში განთავსების პროცესი. ადმინისტრაციამ წინა წლებთან შედარებით შეძლო პაციენტთა მიღებასა და დროულად გაწერას შორის ბალანსის დამყარება.

ეფექტურად ასრულებს თავის დანიშნულებას სოციალური მუშაკი, რომელიც ზრუნავს პაციენტთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და სოციალური საკითხების (მეურვეების დანიშვნა, ქონებრივი საკითხები და ა.შ.) მოწესრიგებისათვის.

✓ უარყოფითი ტენდენციები

პაციენტებს კვლავ უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე, ისინი ხშირად დაბალი მედპერსონალის სამუშაოს ნაწილს ასრულებენ, მართალია ამას იძულებითი ფორმა არ აქვს, მაგრამ ვინაიდან პაციენტები არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან მედპერსონალთან შედარებით, მათი მონაწილეობა ასეთ სამუშაოებში გაუმართლებელია.

კვლავ პრობლემად რჩება მედპერსონალის დაბალი ანაზღაურება, რაც მათ დემოტივაციას იწვევს.

პაციენტთა ნაწილს არ აქვს ეზოში სეირნობის საშუალება.

ანგარიშის ვრცელი შინაარსი

ქ. ბათუმის რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო დღეს

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ფსიქიატრიული მომსახურებით ამჟამად 110 პაციენტი სარგებლობს. ნებაყოფლობით მკურნალობაზე 103, არანებაყოფლობითზე 4, ხოლო იძულებით მკურნალობაზე 3 პაციენტი იმყოფება.

საავადმყოფოს 2006 წელს ჩაუტარდა რემონტი, თუმცა ადმინისტრაციის განმარტებით იგი უკვე ხელახალ რემონტს საჭიროებს. ამ დროისათვის ფუნქციონირებს ორი განყოფილება, რომელიც 15 პალატას მოიცავს. აღნიშნულ განყოფილებებში საყოფაცხოვრებო პირობები დამაკმაყოფილებელია. სისუფთავე დაცულია, პალატები ნიავედება, თეთრეული და პირსახოცები რეგულარულად იცვლება, პაციენტებს აქვთ აბაზანით სარგებლობის საშუალება, სასადილოში სისუფთავე დაცულია. განყოფილებებში დამონტაჟებულია ტელევიზორები. კვება 4-ჯერადია და გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა კვების პირობებით კმაყოფილია.

დაბალი მედპერსონალის შემოსავალი მცირეა და 90ლარს შეადგენს,

განყოფილებებში დამონტაჟებულია საჩივრის ყუთები, ფუნქციონირებს ალტერნატიული თერაპიის კაბინეტი. პაციენტებს აქვთ რეაბილიტაციის სერვისით სარგებლობის საშუალება.

გარდა ექიმი ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგისა, საავადმყოფოს ემსახურება სხადასხვა სპეციალიზაციის 3 ექიმი. სტომატოლოგიური მომსახურება ხელმისაწვდომია.

- კითხვარებით მიღებული სტატისტიკური მონაცემები

ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები დამრგვალებულია მათემატიკური წესით და სურათს არსებითად არ ცვლის. *

○ საყოფაცხოვრებო პირობები

განყოფილებებში სისუფთავე დაცულია. პალატები ნიავედება, დერეფნები, პალატები და სანიტარული კვანძები განათებულია.

თეთრეული, პირსახოცები და ტანსაცმელი რეგულარულად იცვლება. პაციენტებს აქვთ აბაზანით რეგულარულად სარგებლობის საშუალება და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფილნი არიან.

კვება ოთხჯერადია - გამოკითხულთა უმრავლესობა კვების პირობებით კმაყოფილია.

მხოლოდ პაციენტების ნაწილს აქვს ეზოში სეირნობის საშუალება. ამ მხრივ პაციენტები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან.

პაციენტთათვის არ არის ორგანიზებული სპორტულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

○ გარე სამყაროსთან კავშირი

პაციენტებს აქვთ მნახველების მიღების, ასევე წერილების გაგზავნის საშუალება.

პაციენტებს ტელეფონით სარგებლობის საშუალება არ აქვთ, რადგან განყოფილებებში მათთვის ტელეფონი არ არის დამონტაჟებული.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ გრძნობს.

○ **პერსონალი**

პერსონალი პაციენტთა მიმართ კეთილგანწყობილია. გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა მედპერსონალის მომსახურებით კმაყოფილია.

დაბალი მედპერსონალის შრომის ანაზღაურება მცირეა. ადმინისტრაციის თქმით, მომვლელების და სანიტრების რაოდენობა საკმარისია.

○ **სამედიცინო მომსახურება**

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ აქვს უფლება საკუთარი სურვილისამებრ გაეწეროს საავადმყოფოდან.

გამოკითხულთა 80% -ის აზრით, სამედიცინო დახმარება რომელსაც იღებს ნამდვილად ესაჭიროება და საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ მათი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა.

სავადმყოფოში მედიკამენტურის გარდა. არამედიკამენტური (ალტერნატიული) მკურნალობის მეთოდებიც არის დანერგილი.

ხელმისაწვდომია არაფსიქიატრიული სამედიცინო მომსახურებაც.

○ **შინაგანაწესი**

სტაციონარს გააჩნია შინაგანაწესი, რომელიც პაციენტთათვის ხელმისაწვდომია, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობამ საფუძვლიანად არ იცის რას არეგულირებს და რა უფლება - მოვალეობებს ანიჭებს მათ შინაგანაწესი.

○ **ღირსების პატივისცემა**

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პერსონალი მას თავაზიანად, ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობა. გამოკითხულთა 50% საუბრობს პერსონალის მხრიდან მფარველობით (მამობრივ ან დედობრივ) დამოკიდებულებაზე.

○ **სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობა**

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა დაწესებულებაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

პერსონალის მხრიდან ცემის ან მუქარის ფაქტებზე გამოკითხულების 25% მიუთითებს. ჩაღრმავებული გამოკითხვისას ისინი ამბობენ, რომ ასეთი ფაქტები ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება.

ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება ფიქსირდება პაციენტთა სამედიცინო დოკუმენტაციაში.

შეკითხვაზე, ყოფილა თუ არა მათ მიმართ სქესობრივი ძალადობა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა უარს აცხადებს.

გამოკითხულთა 30%-ის აზრით მედიკამენტებზე უარის თქმის შემთხვევაში პერსონალი აგრესიას ავლენს.

გამოკითხულთა აზრით მედიკამენტები დასჯის მიზნით არ გამოიყენება.

○ **იძულებითი შრომა**

შეკითხვაზე შრომობენ თუ არა პაციენტები დაწესებულების საჭიროებისთვის - გამოკითხულთა 40% პასუხობს რომ - დიახ და რომ ამისთვის სამართლიან ანაზღაურებას არ იღებს.

გამოკითხულთა სრული უმრავლესობა უარყოფს იძულებითი შრომის და შრომის დასჯის მიზნით გამოყენების ფაქტებს.

პაციენტები ძირითადად დაბალი მედპერსონალის კომპეტენციაში შემავალ საქმეებს აკეთებენ.

○ **საკუთრების უფლება**

პალატებში ყველა პაციენტს არ აქვს პირადი ნივთების შესანახი ადგილი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას თან არ აქვს.

გამოკითხულ პაციენტთა 75% მიუთითებს, რომ საკუთარი შემოსავალი (პენსია ან სხვა სახის შემოსავალი) არ გააჩნია.

საავადმყოფოს ადმინისტრაციამ წარმოადგინა დამაჯერებელი სტატისტიკა, პაციენტთათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღდგენის და მათ შემოსავლებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის შესახებ.

○ **პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება**

პაციენტებს აქვთ ახლობლებთან კონფიდენციალური შეხვედრების საშუალება.

ჰიგიენური პროცედურები და სამედიცინო მანიპულაციები სხვათა თანდასწრებით არ ტარდება.

პაციენტებს აქვთ პირადი კუთხის მოწყობის საშუალება.

მონიტორინგის დროს შესამჩნევი იყო, რომ პაციენტებს არ აქვთ განმარტოების, დასვენების და გართობის საშუალება, რაც მათი პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვაა.

○ **ინფორმაციის უფლება**

გამოკითხულთა 70% საკუთარი დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა ინფორმირებულია თუ რამდენ ხანს უნდა დაჰყოს დაწესებულებაში, რაც მკურნალობის პროცესში დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს წინა წლებთან შედარებით.

გამოკითხულთა მხოლოდ 30% აცხადებს, რომ ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. საავადმყოფოს ადმინისტრაციას მიეწოდა სპეციალური მასალა რომელშიც პაციენტთათვის გასაგებ ენაზე არის აღწერილი მათი უფლებები.

განყოფილებებში პაციენტთათვის დამონტაჟებულია ტელევიზორები.

შეკითხვაზე - "იცით თუ არა სად დაბრუნდებით საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ?" - გამოკითხულთა 55% პასუხობს "დიახ".

○ **საარჩევნო უფლება**

გამოკითხულთა 65% -ს მონაწილეობა მიუღია არჩევნებში სტაციონირების შემდეგ.

○ **დისკრიმინაციის აკრძალვა**

გამოკითხულთა აზრით პაციენტთა მიმართ მკურნალობისა და მოვლის პროცესში თანასწორი მიდგომაა. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მედპერსონალს "ასისტენტი" პაციენტები არ ჰყავს.

○ **საჩივრის შეტანის უფლება**

გამოკითხულთა 35% მიუთითებს, რომ აქვს გასაჩივრების საშუალება საავადმყოფოში თუ მათ მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებით, სამედიცინო პერსონალის ან სხვა პაციენტების მათდამი დამოკიდებულებით ან სხვა პირობებით უკმაყოფილოა, თუმცა, გაცილებით მცირე ნაწილი თვლის, რომ ასეთ საჩივარს რაიმე შედეგი მოყვება. ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საავადმყოფო ეხმარება პაციენტებს საჩივრის მომზადებაში და ამის დამადასტურებელ ფაქტებსაც ასახელებს.

მონიტორინგის დროს განყოფილებებში დაფიქსირდა საჩივრის ყუთები და საინფორმაციო დაფები, სადაც პაციენტთა უფლებების შესახებ ინფორმაციაა გამოქვეყნებული.

○ **რწმენის და აზრის თავისუფლება**

დაწესებულებაში სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები არიან სტაციონირებული. გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საშუალება აქვს თავისუფლად აღასრულოს რელიგიური რიტუალი.

გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ დაწესებულებაში აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

- ჩაღრმავებული გამოკითხვის შედეგები

ამ თავში მოყვანილია ის შენიშვნები, რომელიც ჩაღრმავებული ინტერვიუს პროცესში და მონიტორინგის ჯგუფის წევრთა დაკვირვებით იქნა მოპოვებული. პაციენტების ვინაობა, რომლებმაც აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდეს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის მითითებული.

ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები არ არის დოკუმენტირებული და არც სტატისტიკურადაა სარწმუნო, თუმცა საყურადღებოა და მომავალში კვლავ დაკვირვებას მოითხოვს.

შენიშვნების ჩამონათვალი

ერთ-ერთი პაციენტის განცხადებით, მედპერსონალი მას ემუქრება მწვავე პაციენტთა განყოფილებაში გადაყვანით თუ მის მითითებებს არ შეასრულებს.

პაციენტებს სანიტრები ავალენ პალატების და დერეფნების დასუფთავებას.

ერთ-ერთი პაციენტი სანიტრის მხრიდან ცემის ფაქტზე მიუთითებს, თუმცა მის ვინაობას არ ასახელებს.

მონიტორინგის დროს ჯგუფი გაესაუბრა პაციენტს, რომელიც საიზოლაციო ოთახში იმყოფებოდა. მისი თქმით იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფება იზოლაციაში.

დასკვნები

მონიტორინგის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები ასეთია:

✓ დადებითი ტენდენციები

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. დაცულია სისუფთავე, კვების რეჟიმი და საკვების ხარისხი გამოკითხულ პაციენტებს აკმაყოფილებთ.

მოწესრიგებულია პაციენტთა განყოფილებებსა და პალატებში განთავსების პროცესი. ადმინისტრაციამ წინა წლებთან შედარებით შეძლო პაციენტთა მიღებასა და დროულად გაწერას შორის ბალანსის დამყარება.

ეფექტურად ასრულებს თავის დანიშნულებას სოციალური მუშაკი, რომელიც ზრუნავს პაციენტთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და სოციალური საკითხების (მეურვეების დანიშვნა, ქონებრივი საკითხები და ა.შ.) მოწესრიგებისათვის.

✓ უარყოფითი ტენდენციები

პაციენტებს კვლავ უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე, ისინი ხშირად დაბალი მედპერსონალის სამუშაოს ნაწილს ასრულებენ, მართალია ამას იძულებითი ფორმა არ აქვს, მაგრამ ვინაიდან პაციენტები არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან მედპერსონალთან შედარებით, მათი მონაწილეობა ასეთ სამუშაოებში გაუმართლებელია.

კვლავ პრობლემად რჩება მედპერსონალის დაბალი ანაზღაურება, რაც მათ დემოტივაციას იწვევს.

პაციენტთა ნაწილს არ აქვს ეზოში სეირნობის საშუალება.

ძირითადი რეკომენდაციები

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა დაბალი მედპერსონალის მიერ პაციენტთა შრომის გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრება.

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა ყველა პაციენტს თანაბრად მიეცეს ეზოში სეირნობის საშუალება, თუ ამას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უშლის ხელს.

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

ადმინისტრაციამ უნდა გაამკაცროს კონტროლი იძულებითი ზომების გამოყენებაზე, განსაკუთრებით იზოლაციაში მყოფ პაციენტებზე.

ქ. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს

საჭიროა დამატებითი მუშაობა პაციენტთა ინფორმირებისთვის მათი უფლებების, საავადმყოფოს შიდა რეგულაციების და შინაგანაწესით მინიჭებული უფლება-მოვალეობების შესახებ.